ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული
სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი

გიორგი დავითაშვილი

დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში

თბილისი, 2017
გამომცემლობა „ურისტების სამყარო“

წიგნში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების საფუძველზე შესწავლილია დანაშაულთა სახეები და მათთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში.

განკუთვნილია ქართული ხალხური სამართლით დაინტერესებული მკითხველთა ფართე წრისათვის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტი: პროფესორი **დ. ბოსტოღანაშვილი**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© გიორგი დავითაშვილი, 2017

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

https://www.facebook.com/PublishingHouselawyersworld

ISBN 978-9941-9512-2-0

სარჩევი

შესავალი 7

თავი პირველი

მკვლელობა როგორც დანაშაული ქართულ ჩვეულებით სამართალში 13
შესავალი 13
1. მკვლელობასთან როგორც დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში 17
1. 1. მკვლელობის როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება 17
1. 2. დამოკიდებულება მკვლელობისადმი 47
1. 3. მკვლელობის მიზეზები 49
1. 4. მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავების გარემოებები 68
2. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 72
2. 1. შესავალი 72
2. 2. ნორის ოდენობა სვანური საზოგადოებების მიხედვით 73
2. 3. აზნაურის („ნაურგიელის", გვარიშვილობის, „ეარგიშ") ნორი 84
2. 4. „ნავერიანის ნორი" 88
2. 5. ნათესავების მონაწილეობა ნორის გადახდასა და მის მიღება-განაწილებაში 93
2. 6. მკვლელის და მისი ოჯახის მიერ სახლ-კარის მიტოვება, როგორც ნორის გადახდის ალტერნატივა 100
2. 7. პასუხისმგებლობა ორსული ქალის მკვლელობისათვის 101
2. 8. სვანის მიერ არასვანისა და არასვანის მიერ სვანის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 102
2. 9. საჩუქრები. „ნალშგურიერ". მკვლელის მიერ გასანევი სხვა ხარჯები 103
2. 10. ნორის მიღების შემდეგ სისხლის აღების შედეგები 109
2. 11. საჯარო ხასიათის სასჯელები მკვლელობისათვის 112
2. 12. კოლექტიური პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანურ ჩვეულებით სამართალში 115
2. 13. ნათესავის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი სვანური ჩვეულებითი სამართლით 117
2. 14. მორალური პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 119
3. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის ხევსურულ ჩვეულებით სამართალში..... 121
3. 1. ტერმინების შესახებ 121
3. 2. „თავსისხლი" ხევსურულ ჩვეულებით სამართალში 122
3. 3. პასუხისმგებლობა ქალის მკვლელობისათვის 129
3. 4. პასუხისმგებლობა ორსული ქალის მკვლელობისათვის 136
3. 5. „სისხლი" 137
3. 6. „თავსისხლის" შემადგენელი კომპონენტები 138
3. 7. გადასახადები „თავსისხლის" გარდა 176
3. 8. მკვლელის ციხეში ყოფნის გავლენა პასუხისმგებლობის დაკისრებისას 189
3. 9. ხევსურის მიერ არახევსურის და არახევსურის მიერ ხევსურის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 191
3. 10. „თავსისხლის პატიება" 191
3. 11. ნათესავის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში 193
3. 12. საბოლოო შერიგების შემდეგ შურისძიების მიზნით მკვლელობის შედეგები 199
4. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის ფშაურ, თუშურ და მთიულურ ჩვეულებით სამართალში 200

5. მკვლელობის ინსტიტუტი და მისთვის პასუხისმგებლობა აჭარის, ხევის და რაჭის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 211
6. მკვლელობის ინსტიტუტი და მისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 231

თავი მეორე

სხეულის დაზიანება – დაჭრა-დასახიჩრება და ცემა – ქართულ ჩვეულებით სამართალში 243
შესავალი 243
1. სხეულის დაზიანებასთან, როგორც დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები 249
1.1. დაჭრა-დასახიჩრების როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება 249
1.2. ტერმინების შესახებ 258
1.3. დაჭრა-დასახიჩრების გავრცელებულობა. შუღლის, კეჭნაობის თავისებურებანი საქართველოს მთიანეთში 260
1.4 დაჭრა-დასახიჩრების მიზეზები 270
1.5. პასუხისმგებლობა პირუტყვის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანებისათვის 278
2. სხეულის დაზიანების კლახიფიკაცია მისი სიმძიმის მიხედვით 280
2.1 სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია სვანურ ჩვეულებით სამართალში 280
2.2. სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია ხევსურულ ჩვეულებით სამართალში 287
3. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორები 293
4. სხეულის ცალკეული ნაწილების დაჭრა-დასახიჩრებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა სვანურ, ხევსურულ, ფშაურ და თუშურ ჩვეულებით სამართალში 296
4.1. თავში მიყენებული ჭრილობა 296
4.2. სახის ჭრილობა 308
4.3. თვალის დაზიანება 324
4.4. ყურის დაზიანება 331
4.5. ცხვირის დაზიანება 335
4.6. კბილების სახიჩრობა 337
4.7. ტანის არეში მიყენებული ჭრილობა 340
4.8. ხელ-ფეხის დაზიანება 353
4.9. თითების სახიჩრობა, მოკვეთა 365
4.10. საუპატიურე. საუნამუსოე. საუნამუსოე (საუპატიურე) ჭრილობა 371
4.11. სახსრებზე, იოგისთავებზე მიყენებული ჭრილობა 374
4.12. სალოგინე 374
5. დაჭრა-დასახიჩრება სხვა კუთხეებში 375
6. ცემა 381

თავი მესამე

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ ჩვეულებით სამართალში 386
შესავალი 386
1. საზოგადოების ღალატი 389
2. ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვა 396
3. საერთო (სასოფლო-სათემო) და ჯვარ-ხატების ქონების ხელყოფა 405
4. საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. თემის, სოფლის „პირის გატეხვა“ 410
4.1. საზოგადოების მიერ მიღებული კანონების შეუსრულებლობა. საზოგადოების წევრთა შეთანხმებით დადგენილი ზოგადი ხასიათის ქცევის წესის უგულებელყოფა 412

4.2. სასამართლოს მიერ დაკისრებული საჯარო სასჯელის აღსრულების წესების შეუსრულებლობა. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა 414
4.3. საზოგადოების მიერ საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრების ცერემონიალში მონაწილეობის მიუღებლობა 417
4.4. საზოგადოების მიერ მტრულად განწყობილ მხარეთათვის შერიგების მოთხოვნის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა 417
4.5. საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა 418
4.6. საზოგადოების დავალების, მოთხოვნის შეუსრულებლობა 422
4.7. ამანათისთვის დახმარების გაუწევლობა 423
4.8. სოფლის საიდუმლოს გარეთ გატანა 423
4.9. საზოგადოების მიერ გარკვეული კონკრეტული ქმედების განხორციელების აკრძალვის დარღვევა 424
5. საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა. „გაბუდაყება“ 426
6. უქმის გატეხვა 435
7. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა 442
8. პასუხისმგებლობა ენის მიტანისა და საზოგადოებისათვის მიუღებელი ზოგიერთი სხვა საქციელისთვის 445

თავი მეოთხე

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ ჩვეულებით სამართალში 450
შესავალი 450
1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები 456
1. 1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგადი დახასიათება ქართულ ჩეულებით სამართალში 456
1. 2. ტერმინების შესახებ 462
1. 3. საზოგადოების ქურდობისადმი დამოკიდებულების საკითხი 462
2. პასუხისმგებლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის 479
2.1. პასუხისმგებლობა ქურდობის პირველად ჩადენისათვის 480
2.2. ქურდობა სახლში შეღწევით 493
2.3. ქურდობისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი 500
2.4. პასუხისმგებლობა არაერთგზისი და სხვა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის 505
2.5. პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის 512
2.6. დაზარალებულის მიერ ქურდის მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი 514
2.7. ფაქტორები რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქურდობისათვის პასუხისმგებლობას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე 519

თავი მეხუთე

ზნეობისა და პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ ჩვეულებით სამართალში 522
შესავალი 522
1. პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 523
1. 1. შეურაცხყოფა 524
1. 2. ცილისწამება 541
2. უკანონო ქორწინება 547

2.1. პასუხისმგებლობა სისხლიერ და სულიერ ნათესავებს შორის ქორწინებისათვის ... 549
2. 2. პასუხისმგებლობა მოყვრობითი ნათესაობის პრინციპის დარღვევისათვის ... 556
2. 3. პასუხისმგებლობა სხვა სარწმუნოების პირთან დაქორწინებისათვის ... 557
2. 4. პასუხისმგებლობა ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევისათვის ... 557
2. 5. პასუხისმგებლობა მტერზე დაქორწინებისათვის ... 562
3. მეუღლის მიტოვება საპატიო მიზეზის გარეშე. ცვარობ ... 564
4. ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით ... 582
4. 1. ქალის მოტაცების, როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება და პასუხისმგებლობა მისთვის საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ... 584
4. 2. პასუხისმგებლობა დანიშნული/გათხოვილი ქალის მოტაცებისათვის ... 595
4.3. პასუხისმგებლობა ქვრივი ქალის მოტაცებისათვის ... 604
4. 4. პასუხისმგებლობა ქალის მოტაცებისათვის საქართველოს სხვა კუთხეების (გურია, იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, მესხეთი) ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ... 606
5. „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა ... 610
6. უკანონო სქესობრივი კავშირი ... 617
6. 1. დაქორწინებული პირის სქესობრივი კავშირი. მრუშობა ... 618
6. 2. „ქალის შეცდენა" ... 625
6. 3. სქესობრივი კავშირის დამყარება ნათესავთან, თანასოფლელთან, მცირენლოვანთან ... 627
6. 4. უკანონო სქესობრივი კავშირი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. ბოზობა ... 633
7. გაუპატიურება ... 638
8. მამათმავლობა ... 644
9. უკანონო შვილის გაჩენა. ქალის დაორსულება უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგად, „გაბიჭიანება" ... 645
10. ნაწლობის, ნადობ-ნაძმობობის, სწორფრობის წესების დარღვევა ... 651

თავი მეექვსე

სხვა დანაშაულები ... 658
1. ადამიანის გატაცება, დატყვევება ... 658
1. 1. ადამიანის გატაცება და დატყვევება გამოსასყიდის მიღების (ვალის დაბრუნების) მიზნით ... 658
1. 2. ადამიანის გატაცება და დატყვევება შურისძიების მიზნით ... 664
1. 3. ადამიანის გატაცება გაყიდვის მიზნით ... 664
2. დასმენა ... 667
3. თანამოფიცართა დაყოლიება ცრუ ფიცის დადებაზე ... 670
4. ოჯახის დარბევა-აწიოკება, „ოჯახის გატეხვა" ... 673

REZUME ... 676

ლიტერატურა ... 684

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება დანაშაულთა ცალკეული სახეების განხილვას ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის მიხედვით. ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ცალკეული დანაშაულების ზოგად დახასიათებაზე და განსაკუთრებით იმ პასუხისმგებლობაზე, რაც ამ დანაშაულების ჩადენისათვის საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩვეულებითი სამართლით იყო გათვალისწინებული. ჩვენ სხვა ნაშრომი[1] სპეციალურად მივუძღვენით დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტთა ზოგად დახასიათებას ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ამ ნაშრომში განხილულ იქნა დანაშაულთა კლასიფიკაცია, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, დანაშაულის სუბიექტი, სუბიექტური მხარე, დანაშაულის მცდელობის საკითხი, თანამონაწილეობის ინსტიტუტი, სასჯელთა სისტემა და კლასიფიკაცია, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები, ასევე, სასჯელთა ცალკეული სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში. წინამდებარე ნაშრომი ფაქტიურად წარმოადგენს აღნიშნული ნაშრომის გაგრძელებას და შესრულებულია მისი ძირითადი დებულებების გათვალისწინებით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბების მიზნით მოგვიწია წინა ნაშრომში ჩამოყალიბებული ზოგიერთი დებულების თუ მოსაზრების განმეორება.

ნაშრომი ძირითადად შესრულებულია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, ნაშრომში გამოკვლეულია დანაშაულის ცალკეული სახეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სწორედ ამ პერიოდის ეთნოგრაფიულ მასალაში ასახული მონაცემების თანახმად, რომელიც ძირითადად მოიცავს ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმების მოქმედებას XIX-XX საუკუნეებში.

მოკლედ დავასახელებთ ძირითადად გამოყენებულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას. XIX საუკუნის შუახნებისა და II ნახევრის მასალიდან მნიშვნელოვანი წყაროა ბ. ნიჟარაძის მონაცემები სვანურ ჩვეულებით სამართალზე,[2] ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე ნ. ხიზანაშვილის ცნობები,[3] ივ. ცისკარიშვილისა[4] და ალ. ხახანაშვილისა[5] თუშურ ჩვეულებით სამართალზე, რ. ერისთავის მონაცემები თუშურ, ფშაურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე[6] და სხვა.

XX საუკუნის დასაწყისის ავტორთაგან გამოვყოფთ ბ. გაბუურის მასალებს ხევსურეთის შესახებ,[7] ეგ. გაბლიანის მონაცემებს სვანურ ჩვეულებით

---

1 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011.

2 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962.

3 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

4 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

5 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „იერია", 1888, №185.

6 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986.

7 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924.

სამართლაზე,[8] გიორგი ჟორდანიას ცნობებს დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ ქართლის ჩვეულებით სამართალში.[9]

XX საუკუნის შუა ხანების ავტორებიდან აღსანიშნავია რ. ხარაძის ნაშრომები, სადაც საუბარია დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალზე.[10] უმნიშვნელოვანეს და ფასდაუდებელ მონაცემებს შეიცავს ფშავ-ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, განსაკუთრებით კი ჩვენს განსახილველ საკითხებზე, ალ. ოჩიაურის ცნობები.[11] ძალზედ მნიშვნელოვანია მისი გამოუქვეყნებელი საარქივო მონაცემები,[12] რომლებიც ძირითადად XX საუკუნის 30-50-იან წლებშია დაფიქსირებული. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მ. კედელაძის ასევე გამოუქვეყნებელი მასალები ფშავის, ხევსურეთის, თუშეთის, რაჭის, ლეჩხუმის, მთიულეთ-გუდამაყრის ჩვეულებით სამართალზე.[13] საინტერესო ცნობებს სვანურ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ გვაწვდის ა. დავითიანი,[14] ასევე დ. მარგიანი, ა. ონიანი, ს. გულედანი და სხვა.[15] თუშურ ჩვეულებით სამართალში სტ. მენთეშაშვილი.[16] მათ გარდა უნდა დავასახელოთ დ. ცისკარაულის მონაცემები ხევსურეთთან დაკავშირებით,[17] ასევე, ხევსურეთის შესახებ ნ. მაკალათიას, მ. ბალიაურის, ნ. ბალიაურის უაღრესად საინტერესო ცნობები.[18] ნაშრომში მნიშნელოვან წყაროდ გვევლინება ვ. ბარდაველიძის პირად საარქივო ფონდში დაცული მასალები[19], რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავს. ჩვენი თემატიკისთვის ძირითადად გამოვიყენეთ სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაფიქსირებული მასალა.

XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი ცნობებიდან ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ინსტიტუტის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და უპირატესად ვეფუძნებით მ. კეკელიას მიერ საქართვე-

---

8 ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925; მისივე, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.

9 გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ფ. 1813.

10 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, მისივე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947; მისივე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1959.

11 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.

12 ალ. ოჩიაურის არქივი ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

13 მ. კედელაძის არქივი ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

14 ა. დავითიანის არქივი ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში. ა. დავითიანის საარქივო მასალებს, რომლებიც გაერთიანებულია სათაურით „სვანეთი ეთნოგრაფიულად" არ აქვს მითითებული შესრულების თარიღი. გარკვეული ცნობებით იგი შედგენილი უნდა იყოს XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში.

15 დ. მარგიანის, ს. გულედანის, ა. ონიანის მასალები ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

16 იხ. სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, 1937. სტ. მენთეშაშვილის არქივი ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

17 იხ. დ. ცისაკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია, №2814. დ. ცისაკარაულის მონაცემებს არ აქვს მითითებული თარიღი. ვფიქრობთ, რომ მისი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს დაახლობით XX საუკუნის I ნახევარში.

18 მ. ბალიაურის, ნ. ბალიაურის, ნ. მაკალათიას საარქივო მასალები ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

19 ვ. ბარდაველიძის პირადი საარქიეო ფონდი ინახება თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

ლოს სხვადასხვა კუთხეში XX საუკუნის 60-80-იან წლებში ჩაწერილ მასალებს, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია მ. კეკელიას მიერ დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში ჩაწერილი მონაცემები.

სამეცნიერო ნაშრომებიდან, რომლებიც არსებითია საკვლევი თემისთვის აღვნიშნავთ „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ მიერ მომზადებულ ნაშრომს – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“,[20] რომლის ორი თავი ეხება სწორედ დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტს ფშაურ ჩვეულებით სამართალში და დ. ჯალაბაძის ნაშრომს, რომელიც ასევე ეხება დანაშაულის ინსტიტუტს ფშაურ ჩვეულებით სამართალში.[21] საინტერესო მონაცემებია სვანურ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ ასევე, დ. დავითულიანის ნაშრომშიც.[22]

ხევსურული სამართლის მიხედვით დანაშაულის შესასწავლად მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს 2012 წელს გამოცემული ბ. გოგოჭურის წიგნი „ხევსურული რჯულ-სამართალი“,[23] რომელიც შეიცავს ძალზედ მნიშვნელოვან ცნობებს დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. როგორც ავტორი ნაშრომის შესავალში აღნიშნავს, იგი ეყრდნობა პირადად მის მიერ გამოკითხულ ხევსურული რჯულ-სამართლის მცოდნე პირთა მონაცემებს, ასევე მან გამოიყენა ხევსურეთის მკვიდრის ბეწინურ ჯარიას ძე არაბულის მიერ მისთვის მიწოდებული მასალები, რომელიც ამ პიროვნებას ახალგაზრდობაში ჩაუწერია თავისი წინაპრების ზეპირი გადმოცემების საფუძველზე. ავტორს მთლიანად გამოუყენებია ეს მონაცემები, რომელიც ბეწინურ არაბულის მიერ პირადად დაწერილ ორ საერთო რვეულს შეადგენს. ამის გარდა ბ. გოგოჭური დაეყრდნო ხევსურულ რჯულ-სამართალზე შემორჩენილ ხელნაწერებს, კერძოდ, ხვთისო ივანეს ძე არაბულის და ივანე მამუკას ძე ნიკლაურის მცირედ ჩანაწერებს.[24] ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ბ. გოგოჭურის პირად არქივს, ხელნაწერებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის წიგნს, უშუალოდ მის მიერ სხვადასხვა ხევსური ინფორმატორის გამოკითხვის ჩანაწერებს, რომლებიც ძირითადად 2007-2010 წელსაა დაფიქსირებული. ასევე 2016 წლის დეკემბერში შესაძლებლობა მოგვეცა ქალაქ დუშეთში გავსაუბრებოდით და ჩაგვეწერა ბ. გოგოჭურის ზოგიერთი ხევსური რესპონდენტი (ტარიელ ხვთისოს ძე არაბული, იოსებ ხვთისოს ძე არაბული, პეტრე გოგოჭური) ხევსურულ რჯულთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის დასაზუსტებლად.[25]

საკვლევ პერიოდში დანაშაულის ინსტიტუტთან დაკავშირებული ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოქმედება, ფაქტიურად საქართველოს ყველა კუ-

---

20 იხ. ფშაური ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, „მეცნიერება“, თბ., 1991.

21 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003.

22 იხ. დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975.

23 იხ. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, „გამომცემლობა გრიფონი“, თბ., 2012.

24 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 7-8.

25 ბ. გოგოჭურის პირადი არქივი მომანოდა და ქალაქ დუშეთში ჩემი ამ შეხვედრის ორგანიზება მოახდინა ბატონმა გიორგი გოგოჭურმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

თხეში ფიქსირდება, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით (მთის რეგიონებში მეტი, ხოლო ბარში ნაკლები). დანაშაულის ცალკეული სახეების შესახებ ყველაზე სრულყოფილი მონაცემები სვანეთსა და ხევსურეთში გვხვდება. საერთოდ, სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ფაქტიურად მთელი XX საუკუნის განმავლობაში (უფრო ადრეულ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ) საკმაოდ სრულფასოვანი სახით იყო წარმოდგენილი. საქართველოს ამ კუთხეებში საკვლევ პერიოდში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც (მკვლელობის დროსაც კი) საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით წყდებოდა და რუსეთის იმპერია, თუ საბჭოთა ხელისუფლებაც კი ვერ ახერხებდა დანაშაულის ჩადენისას ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედების აღკვეთას.[26] ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედება დანაშაულის ინსტიტუტთან დაკავშირებით იგივე პერიოდში საქართველოს სხვა მთის რეგიონებშიც ფიქსირდება, თუმცა ნაკლებად სრულყოფილი სახით, ვიდრე სვანეთსა და ხევსურეთში.[27] საკვლევი პერიოდის ხევსურულ და სვანურ, ასევე, გარკვეულწილად საქართველოს სხვა მთის რეგიონების ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება დანაშაულის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი უძველესი ელემენტები.[28] მხედველობაში გვაქვს გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე ფიქსირდება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედების შემონახულობა საქართველოს ამ კუთხეების ჩვეულებით სამართალში XX საუკუნეშიც კი.

ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე დანაშაულის ინსტიტუტს ახასიათებს მისი დაკავშირება მხოლოდ მიყენებულ ზიანთან, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განუსხვავებლობა. გვხვდება შურისძიების ინსტიტუტი, მისი თავიდან აცილება კომპოზიციის გადახდით, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის განუსხვავებლობა, ნებისმიერი დანაშაულის აღქმა შეურაცხყოფად, არა მარტო დაზარალებულის, არამედ მთელი მისი ნათესაური ჯგუფის მიერ, რაც შურისძიების განმაპირობებელი იყო.[29] ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ხალხის იურიდიული აზროვნება დაბლა დგას, სამოქალაქო და სისხლის სამართალს შორის განსხვავება თითქმის არ არის, მაშინ მთელი სამართალი სისხლის სამართალია და ეს მოვლენა საზოგადო მოვლენას წარმოადგენს.[30] გვაროვნული საზოგადოებისადმი დამახასიათებელი გარკვეული ელემენტები საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებით სამართალს საკვლევ პერიოდშიც შემორჩა (მაგალითად, მკვლელობისას ობიექტური შერაცხვის პრინციპის დომინირება ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, სისხლის აღების ინსტიტუტის შემონახულობა ზოგიერთ კუთხეში, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის განუსხვავებლობა და სხვა), თუმცა ძირითადად მაინც ქართული ჩვეულებითი სამართალი

---

26 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 9.

27 იქვე, 9-10.

28 იქვე, 10.

29 ი. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 30; М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 18.

30 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 46.

(მათ შორის მთის რეგიონების) პრიმიტიულ დონეზე არ იდგა და მასში სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება მკვეთრად იყო გამოხატული. სვანურ ჩვეულებით სამართალში კი საკმაოდ კარგად ჩანს ამ პრინციპის თანდათანობითი დამკვიდრების პროცესი.[31] აქვე აღვნიშნავთ, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოს მთის რეგიონებში გვაროვნული სოლიდარობის პრინციპის შემონახულობამ განაპირობა, რომ აქ შემორჩა ჩადენილი დანაშაულის აღქმა მთელი გვარის შეურაცხყოფად და სირცხვილად, ამიტომაც, დამნაშავის წინააღმდეგ გვარის, საძმოს მოქმედება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.[32]

სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საქმის განხილვა და სასჯელის დაკისრება საკვლევ პერიოდში საქართველოს ბარის რეგიონებშიც კი გვხვდება. აქედან გამომდინარე, განსახილველი საკითხის შესწავლისას ჩვენ ამ რეგიონებში დაფიქსირებულ მასალებსაც გამოვიყენებთ. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონებში ხალხური სამართალი სუბიექტური შერაცხვის პრინციპებს ეფუძნება, რაც ხალხის მართლშეგნებაზე თანამედროვე სამართლის გავლენის შედეგი უნდა იყოს. მაგალითად, ბარის ზოგიერთ კუთხეში ჩაწერილი მასალების მიხედვით, მცირეწლოვნის, ან სულით ავადმყოფის მიერ დანაშაულის (აქ საუბარია იმ დანაშაულებზე, რომელთა განხილვა ამ კუთხეებში ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხდებოდა, მაგალითად, ქურდობის) ჩადენის შემთხვევაში, მათი და მათი ნათესავების მიმართ ხალხური სამართლით არანაირი სასჯელის გამოყენება არ ხდებოდა, როგორც ეს მთის ზოგიერთ რეგიონში გვხვდება. მხოლოდ მცირეწლოვნის მშობლებს, ან თუ მშობლები არ ყავდა მის მეურვეს ეტყოდნენ საყვედურს.[33]

ზემოთდასახელებულ ნაშრომში ჩვენ მოვახდინეთ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით საკვლევ პერიოდში დაფიქსირებული დანაშაულების კლასიფიკაცია საჯარო და კერძო დანაშაულებად. საჯარო სამართალდარღვევებად მივიჩნიეთ: საზოგადოების ღალატი, საზოგადოების თავისუფლების ხელყოფა (ეს ძირითადად მთის რეგიონებს ეხება, მაგალითად, ბალსზემო სვანეთს), საზოგადოების პირის გატეხვა, საერთო საქმისადმი თავის არიდება, ქურდობა (საკუთარ სოფელსა თუ თემში ჩადენილი, განმეორებითი, სისტემატური), უზნეო საქციელი (უკანონო სქესობრივი კავშირი, გაუპატიურება, ბუშის გაჩენა), საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ეკლესიის ქონების ხელყოფა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის), საზოგადოების (სოფლის, თემის) საერთო საკუთრების, საერთო ქონების ხელყოფა, მისი უკანონო ექსპლოატაცია (მაგალითად, მოხვნა, ტყის მოჭრა), უკანონო ქორწინება, საზოგადოებრივი წესრიგის ხშირი დარღვევა, თემში, სოფელში რაიმე უპირატესობის (სოციალურის, ქონებრივის) მოპოვებისკენ სწრაფვა და თემისაგან განცალკევების მცდელობა, უქმის გატეხვა და სხვა. კერძო სამართალდარღვევებს კი მივაკუთვნეთ: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდო-

31 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 12-13, 123-130.

32 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974–1975, 15.

33 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 39; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 21, 25.

ბა, შეურაცხყობა, ქონების დაზიანება და სხვა.[34] აღნიშნული კლასიფიკაცია ჩვეულებითი სამართლის ნაკლებადრეგლამენტირებულობის მიზეზით ძალზედ პირობითია, მითუმეტეს იგი ჩამოყალიბებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის (როგორც მთის, ისე ბარის) მიხედვით, მაშინ როდესაც ჩვეულებითი სამართალი პარტიკულარული ხასიათისაა და დანაშაულთა ხასიათი (საჯაროა თუ კერძო) ყველა კუთხეში ერთგვაროვანი ვერ იქნება. ამიტომ, ჩვენ დანაშაულის ცალკეული სახეები განვიხილეთ მათი ხელყოფის ობიექტის მიხედვით. შესაბამისად, ნაშრომის სისტემა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ: 1. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, 2. ადამინის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, 3. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 4. ზნეობისა და ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 5. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 6. სხვა დანაშაულები. აქ ჩვენ განვიხილეთ ის დანაშაულები, რომლებიც არცერთ ზემოთჩამოთვლილ კატეგორიას არ მიეკუთვნება.

34 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 17-18.

თავი პირველი

მკვლელობა როგორც დანაშაული ქართულ ჩვეულებით სამართალში

შესავალი

მკვლელობის ინსტიტუტის და მისი ჩადენის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების შესწავლა ქართული ჩვეულებითი სამართლის კვლევის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. საკვლევ პერიოდში მკვლელობის ინსტიტუტის შესახებ ყველაზე სრული მონაცემები სვანურ და ხევსურულ ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება. ბალსზემო სვანეთსა და ხევსურეთში XX საუკუნის განმავლობაშიც კი მკვლელობის საქმეები ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო მკვლელობისათვის სისხლის აღება, მკვლელის და მისი ნათესავების გახიზვნა, გახიზნულის მოსაკლავად დევნა, შერიგება ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესით, შერიგების მრავალწლიანი და მრავალკომპონენტური პროცესი. სვანეთში მკვლელობის საქმეებს ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ძირითადად სამედიატორო სასამართლო განიხილავდა, ხოლო ხევსურეთში მკვლელობის საქმე, როგორც წესი, სამედიატორო სასამართლოს მიერ არ განიხილებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ხევსურეთში რჯულის საფუძველზე მკვლელობის საქმეზე ყველაფერი წინასწარ იყო დადგენილი, როგორც ხევსურები ამბობენ: „წინასწარ იყო გარჯულილი“, მას სასამართლო განხილვა არ ჭირდებოდა. მკვლელობის საქმეს შუაკაცები აგვარებდნენ და არა მედიატორი მოსამართლეები.[35] ნებისმიერი მკვლელობისათვის ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე ერთი ოდენობის გადასახადი იყო და მას ვერავინ შეცვლიდა, ამდენად, სასამართლო პროცესს აზრი არ ჰქონდა. ეს ეხება შემთხვევას, როდესაც მკვლელის ვინაობა დადგენილი იყო და დავას არაფერი იწვევდა. მხოლოდ, თუ მკვლელობის საქმეზე რაიმე სადავო იქნებოდა, მაგალითად, თუ მკვლელის ვინაობა არ იყო დადგენილი და ეჭვმიტანილი უარყოფდა მის ჩადენას, თუ ორივე მხრიდან რამოდენიმე მკვლელობას და დაჭრას ჰქონდა ადგილი და რომელ მხარეს რა ოდენობის საზღაური უნდა გადაეხადა გაურკვეველი იყო და სხვა, ამ შემთხვევებში მკვლელობის საქმეზე შესაძლოა გამართულიყო რჯული (სამედიატორო სასამართლო).[36]

---

35 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 17-18; №2, 42, 55, 76; №3, 17; №5, 1, 60; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 2.

36 საერთოდ ხევსურული რჯული უძველეს დროს წარმოიქმნა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მშვილდისრები არსებობდა და თოფები ჯერ არ იყო. მონაცემების მიხედვით ხევრურული რჯული გუდანის ჯვარში, ე. წ. ბელღის კარში გაჩნდა. იგი სალოცავის გვერდით იყო, სადაც ხდებოდა ხალხის შეკრება. გუდანის ჯვარი არაბულების, გოგოჭურების და ჭინჭარაულებისაა. სამივე გვარი მაგანძურია, გუდანის ჯვრის სამაგანძურო, ანუ ისინი გუდანის ჯვრის განძის მფარველები იყვნენ. უძველესი წესები, წარსულში მომხდარი ამბები ხევსურეთში ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ხევსურეთში ძველად წერა-კითხვა ფაქტიურად არავინ იცოდა და ასაკიანი ხალხი ავალდებულებდა ახალგაზრდებს მოესმინა მათთვის ძველი ამბები და ესწავლათ წინაპრების ყოფა-ცხოვრების წესები, რჯული (ჩვეულებითი სამართალი), წარსულში მომხდარი ამბები. მცოდნე კაცად ითვლებოდა ის, ვინც ეს ძველი ამბები („ანდრეზები“) იცოდა (იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 4-6; მისივე, ხევსურული მასალები, 1937, პირადი

სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობა იწვევს სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის მონაწილენიც არა მარტო მკვლელი და მოკლულის ოჯახის წარმომადგენლები არიან, არამედ ორივე მხარის საკმაოდ ფართე ნათესაური წრე, რომელშიც შედიან ნათესავები როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. დედის მხრიდან ნათესავების, ასევე მოკლულის მამიდაშვილების მონაწილეობა ძირითადად შემოიფარგლებოდა მკვლელობისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის გარკვეული ნაწილის მიღებაში. ძირითადად კი ამ ურთიერთობაში მკვლელის და მოკლულის მოგვარეები იღებდნენ მონაწილეობას, განსაკუთრებით კი მათი ქვეგვარის წარმომადგენლები – სვანეთში მკვლელის და მოკლულის სამხუბის წევრები, ხოლო ხევსურეთში – მათი მამიშვილობის, საძმოს წევრები, საძმოგაუყრელი ბიძაშვილები.

ხევსურეთში მკვლელობა მრავალმხრივ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. ერთ მხრივ, სისხლის აღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას სისხლის აღების სუბიექტებსა და ობიექტებს შორის, მკვლელის და მისი ნათესავების გახიზვნას და დევნას, მეორე მხრივ, ამის პარალელურად შერიგების პროცესის მიმდინარეობას, რომლის მიზანი სისხლის აღების თავიდან აცილებაა. შერიგების პროცესი ხევსურეთში ძირითადად დაკავშირებულია „რიგის ყენებასთან".

„რიგის ყენება" მკვლელობის საქმეზე შერიგების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხევსურულმა რჯულმა შექმნა, როგორც სისხლის აღების ალტერნატიული მექანიზმი. რიგის ყენება აფერხებს შურისძიებას და არცთუ იშვიათად მკვლელის მხარე, რომელიც „რიგს უყენებს" მოკლულის მხარეს და სათანადოდ შეასრულებს მასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას (ასევე შერიგების პროცესის სხვა კომპონენტებს), აღწევს სისხლის აღების თავიდან აცილებას და დიდი დროისა და ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ ხდება მხარეთა საბოლოო შერიგება, რაც რიგის ყენების საბოლოო მიზანია. ბ. გოგოჭურის თანახმად, რიგის ყენება პირველ რიგში მოკლულის სულის პატივისცემაა, რელიგიური და სამართლებრივი დატვირთვის მქონე რიტუალია. მკვლელობის ჩამდენი მხარე პატივს მიაგებს რა მათ მიერ მოკლულის სულს, ინანიებს და მკვლელობისათვის მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, გამოთქვამს რა მზადყოფნას შერიგების შემთხვევაში ქონებრივად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის. ამდენად, „რიგის ყენება" მოსისხლეთა უმსხვერპლოდ შერიგებისკენ მიმართული, მოკლულის სულის პატივსაცემად გამართული რიტუალია.[37]

რიგის ყენება გულისხმობს ყოველწლიურად, დათქმულ დღეს მოკლულის ოჯახისათვის მკელელის მიერ საკლავის გაგზავნას, სანამ არ მოხდება მხარეთა საბოლოო შერიგება (ე. წ. „თავის გათავება"). ასევე არსებობს სხვადასხვა სახის რიგი, რომელსაც მკვლელის ნათესავები ერთჯერადად უხდიან მოკლულის ნა-

არქივი, რეული №1, 13; მისივე, მასალები სამამო მინათმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, 1953, პირადი არქივი, რეული №1 (გაოხრებული (ამოწყვეტილი) გვარები ხევსურეთში), 1953, 1; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 55-56). გუდანის გარდა ისტორიულად ხევსურეთის კანონებისა და წესრიგის მცოდნე კაცების საგანგებოდ გამოყოფილი შესაკრები ადგილი იყო სოფელ ბარისახოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მდინარე არაგვის მარჯვენა ტერასაზე. აქ საჭიროების შემთხვევაში გარკვეული დღეების განმავლობაში იმართებოდა ხევსურთა საგანგებო შეკრებები. კოლობები ხევსურეთში მანამდე არსებული ჩვეულებითი სამართლის ნორმების და წესების შესწორების მიზნით (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 158).

37 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 67-68.

თესავებს. ესაა: საგვარო რიგი, საძმო რიგი, სადედო რიგი, სამამიდო რიგი, სადო რიგი და სხვა.

ასე რომ, ხევსურული რჯულით ჩამოყალიბებული შერიგების მექანიზმი გულისხმობს მკვლელის და მისი ნათესავების ვალდებულებას „რიგის ყენებისა“, თუმცა ეს პროცესი იწყება მხოლოდ მას შემდეგ რაც დაზარალებული მხარე დათანხმდება „რიგის ყენებაზე“. რიგის ყენებაზე თანხმობის მიღებას დაზარალებულის შუაკაცთა საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა (განსაკუთრებით განზრახ მკვლელობისას), რადგანაც დაზარალებული მხარისთვის შერიგება სირცხვილად ითვლებოდა და მას აქცენტი, განსაკუთრებით მკვლელობიდან საწყის პერიოდში, სისხლის აღებაზე ჰქონდა გადატანილი. ხშირად არაერთი უარის შემდეგ, შუაკაცები ახერხებდნენ დაზარალებულთა რიგის ყენებაზე დათანხმებას. რიგის ყენებაზე თანხმობა არ ავალდებულებდა დაზარალებულ მხარეს ხელი აეღო შურისძიებაზე. ამდენად, ხევსურული რჯული უშვებდა სისხლის აღების მიზნით დევნის და შერიგების პროცესის პარალელურ მიმდინარეობას. რიგის ყენების პროცესი მხოლოდ „თავის გათავებით“ სრულდებოდა, თუ მანამდე სისხლის აღებას არ ექნებოდა ადგილი.

რიგის ყენების პროცესი ხევსურული ჩვეულებითი სამართლით მკვლელისა და მოკლულის ნათესაური ჯგუფების ჩართვას გულისხმობდა. რიგის ყენების ფარგლებში გარკვეული ვალდებულებები მკვლელის გარდა გააჩნდა მის ყველა იმ ნათესავს, რომელიც სხვადასხვა დოზით შეიძლება გამხდარიყო სისხლის აღების მიზნით დევნის ობიექტი (ისტორიულად თუ საკვლევ პერიოდში), კერძოდ, მისი გვარის წარმომადგენლები (მამიშვილობის წევრების გარდა), რომლებიც საგვარო რიგს უყენებდნენ მოკლულის ანალოგიური ხარისხის ნათესავებს (მოგვარეებს) და ამით თავდაპირველად სწორედ ისინი ურიგდებოდნენ მოკლულის გვარს; გარკვეული დროის შემდეგ მკვლელის ბიძაშვილები, მისი საძმო, რომლებიც რიგს უყენებდნენ მკვლელის ბიძაშვილებს, მის საძმოს. ტარდებოდა ამ ნათესაური ჯგუფების ერთმანეთთან შერიგების ცერემონიალი; ბოლოს მკვლელის ძმები, თვითონ მკვლელი ურიგდებოდნენ მოკლულის ოჯახს და ნათესაობას. აუცილებელი იყო ასევე შერიგება მოკლულის არა მარტო მოგვარეებთან, არამედ დედის ნათესაობასთან, კერძოდ, ამისათვის მკვლელის მხარეს რიგი უნდა ეყენებინა მოკლულის დედის ძმებისადმი. შერიგება უნდა მომხდარიყო მოკლულის ოჯახიდან გათხოვილ ქალებთანაც – კერძოდ, მის დასთან და მამიდასთან. ამდენად, შერიგების პროცესში ჩართული იყო როგორც მკვლელის, ისე მოკლულის ნათესავების ფართე სპექტრი.

მკვლელობასთან დაკავშირებული შერიგება ხევსურეთში საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცესი იყო. იგი მოიცავდა გარკვეული ოდენობის გადასახადებს, პირშესამყრელოებს[38], რიტუალურ თუ ცერემონიალურ მოქმედებებს მოკლულის ჯვარსა და ოჯახში და სხვა. შერიგების პროცესის დეტალურ შესწავლას და ანალიზს ვაპირებთ ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის სრულყოფილი კვლევისას. ამ ნაშრომში ქართულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის ინსტიტუტის ზოგად დახასიათებასთან ერთად ძირითადად განვიხილავთ მკვლელობისათვის პასუხისმგე-

38 პირშესამყრელო – მოკლულის სალოცავში (ჯვარში) მკვლელისა და მოკლულის ბიძაშვილების, შემდეგ ოჯახის წევრების და თვით მკვლელის შერიგების ცერემონიალი.

ბლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამიტომ აქ ჩვენ შერიგების პროცესს ვეხებით მის სხვადასხვა ეტაპზე გადასახდელი ქონებრივი საზღაურის კონტექსტში. ხევსურეთში თავსისხლის (მკვლელობისათვის დადგენილი გადასახადის) გადახდა ცალკეული კომპონენტების სახით, შერიგების პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ხდებოდა და რიგის ყენებასთან, სხვადასხვა სახის რიგის გადახდასთან, თავის გათავებასთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, შერიგების პროცესის, რიგის ყენების საკითხებს ჩვენ წინამდებარე ნაშრომში მოკლედ მაინც შევეხებით თავსისხლის კომპონენტების გადახდის სრული სურათის წარმოსაჩენად.

ხევსურული რჯულით შერიგების მისაღწევად მკვლელის ვალდებულებას არა მხოლოდ რიგის ყენება წარმოადგენდა, არამედ ე. წ. სამხსნელოების გადახდა და ე. წ. პატივის მიცემა დაზარალებული მხარისადმი.

სამხსნელო წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელიც უნდა გადახდილიყო დაზარალებული მხარისადმი მკვლელის მხარის წარმომადგენელის მიერ გარკვეული სახის საქმიანობის თუ მოქმედების განხორციელების ნებართვის მისაღებად. ჩვენ თავსისხლის ანგარიშში გადასახდელების განხილვის შემდეგ სწორედ სამხსნელოებს და შესაბამის გადასახადებს შევეხებით.

„პატივი" ხევსურული ჩვეულებითი სამართლით წარმოადგენდა მკვლელის მხარის წარმომადგენლების მიერ მოკლული მხარისადმი ხათრის გაწევას, რაც განსაზღვრული წესების შესრულების ვალდებულებას გულისხმობდა. „პატივის" მიცემა შერიგების მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. მისი დაუცველობა შესაძლოა შერიგების პროცესის შემაფერხებელი გამხდარიყო. ამ საკითხს ჩვენ დეტალურად ასევე ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის შესწავლისას განვიხილავთ. აქ მხოლოდ მოკლედ ჩამოვთლით ზოგიერთ სავალდებულო წესს, რომლებსაც „პატივის" მიცემა მოიცავდა.

ხევსურული რჯულით მკვლელი და მისი ნათესაობა ვალდებული იყო ხათრი გაეწია მოკლულის და მისი ნათესავებისათვის, პატივი მიეგო მათთვის. აღნიშნული შემდეგში გამოიხატებოდა: მკვლელს და მის ნათესავებს არ ჰქონდა უფლება ცხენზე ამხედრებულებს გაევლოთ მოკლულის სოფელში; გზაში თუ შეხვდებოდა ცხენით მკვლელის მხარის წარმომადგენელი მოკლულისას, უნდა ჩამოქვეითებულიყო და ისე გაეგრძელებინა გზა; მკვლელის მხარის წარმომადგენელს (მკვლელს, მის სახლიკაცს, ბიძაშვილს) სუფრაზე არ უნდა შეესვა სასმელი, სანამ პატივს არ გაუგზავნიდა მოკლულის მხარის წარმომადგენელს. კერძოდ, ვალდებული იყო მერიქიფის ხელით თასი, ყანწი გაეგზავნა მისთვის და თვითონ მუხლზე ჩამჯდარი დალოდებოდა, სანამ არ დალევდა იგი სასმისს და უკან არ გადააწვდიდა მას; მკვლელის მხარის წარმომადგენელს არ ჰქონდა უფლება მოკლულის მხარის წარმომადგენლის თანდასწრებით ეცეკვა ან ემღერა, ასევე დოღში ცხენი გაეჭენებინა; არ შეეძლო ეჩხუბა მოკლულის მხარის წარმომადგენელთან ან სხვასთან ამ უკანასკნელის თანდასწრებით; მოკლულის მხარის წარმომადგენლის ჩხუბისას მკვლელის მხარის წარმომადგენელს მისთვის დახმარება უნდა გაეწია და სხვა. ამის გარდა მოკლულის მშობლების, დაძ[illegible]ა, ბიძაშვილების გარდაცვალების შემთხვევაში მეხელეს საკლავი უნდა გაეგზავნა დაზარალებულისთვის.[39] „პატივის" მიცემის ვალდებულება ჰქონდა

39 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 70-71,

მკვლელის ნათესავებს მესაძმოების ჩათვლით.[40]

მკვლელობის ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვის შემდეგ ჩვენ უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობლობას სწორედ სვანური სამართლით და ხევსურული რჯულით, ასევე ფშაური, თუშური და მთიულური ჩვეულებითი სამართლით, სადაც საკვლევ პერიოდშიც კი მკვლელობისათვის კომპოზიციის გადახდა წესად შემორჩა. შემდეგ განხილული იქნება მკვლელობის ინსტიტუტი და მისთვის პასუხისმგებლობა აჭარაში, რაჭასა და ხევში, სადაც საკვლევ პერიოდში მკვლელობათა განხილვა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ბოლოს კი შევეხებით მკვლელობის ინსტიტუტს საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სადაც აღნიშნული დანაშაული ნაკლებად მიეკუთვნებოდა ჩვეულებითი სამართლით განსჯად საქმეს.

§1. მკვლელობასთან როგორც დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში

1. 1. მკვლელობის როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება. ცნობილია, რომ ძველი სამართალი დანაშაულს უმთავრესად კერძო ხასიათის სამართალდარღვევად განიხილავდა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს ქონებრივი ხასიათი ჰქონდა.[41] ქართულ ჩვეულებით სამართალშიც დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის უმძიმესი დანაშაულებიც (მაგალითად, მკვლელობა), როგორც ზემოთ აღინიშნა, კერძო-სამართლებრივი ხასიათის იყო. მკვლელობის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათებისას რამდენიმე საკითხს გამოვყოფთ.

დანაშაულის ინსტიტუტის ზოგად დახასიათებას, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მივუძღვენით სხვა ნაშრომი. შესაბამისად, მკვლელობის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათებისას ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ჩვენ ამ ნაშრომში ნათქვამს აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ მოკლედ გავიხსენებთ ზოგიერთ ძირითად დებულებას. ასევე, საკითხის განხილვისას დავეყრდნობით ზოგიერთ ისეთ მონაცემს, რომელიც აღნიშნულ ნაშრომში არ გამოგვიყენებია.

1. 1. 1. ბრალის საკითხი მკვლელობისას. ქართულ ჩვეულებით სამართალში ბრალის საკითხის შესწავლისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხევსურულ და სვანურ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება არაერთი მონაცემი, რომლის მიხედვითაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დანაშაულებრივ შედეგს. ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება მკვლელობის საქმეზე განსაკუთრებით

73; №2, 73; №6, 36-37; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/6, 69, 72, მისივე, პირადი არქივი, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 30-31; ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 140-141; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 179; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 85-86; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84-85; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 39, 40, 42-43.

40 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ე. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 10951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 15. „მესაძმოების" მნიშვნელობას ქვემოთ შეეხებით.

41 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 190.

ხევსურეთში ვლინდება.[42] აქ მნიშვნელობა არ ქონდა მკვლელობა რა მოტივით იქნებოდა ჩადენილი, განზრახ, თუ განზრახვის გარეშე, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, თუ ფარგლების გადამეტებით, ძლიერი სულიერი აღელვებით, მცირეწლოვნის, თუ სულით ავადმყოფის მიერ, ან პრიქით, მცირეწლოვნის, თუ სულით ავადმყოფის, მოხუცის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით (მაგალითად, მრავლობითი ჭრილობების მიყენებით) და სხვა, მკვლელს ერთნაირად „თავი დაედებოდა" (ანუ მკვლელობისათვის ერთგვაროვანი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა), კერძოდ, მას შესაძლოა მოჰყოლოდა შურისძიება, მკვლელის ოჯახიანად გახიზვნა, ხოლო შერიგებისას მაგალითად, შემთხვევით, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მკვლელობის ჩამდენს იმავე ოდენობის კომპოზიციის გადახდა უწევდა და იმავე ვალდებულებების შესრულება, რაც წინასწარი განზრახვით და მომზადებით მკვლელობის ჩამდენს.[43] ასეთი დამოკიდებულება XX საუკუნის 70-80-იანი წლების მასალებითაც ფიქსირდება.[44] მასალებში გვხვდება არაერთი კონკრეტული ფაქტი, როდესაც არაგანზრახ (იშობრად) ჩადენილ მკვლელობას მოჰყვა შურისძიება, ან მკვლელის ისეთივე დევნა და შერიგების ისეთივე გართულება, როგორც განზრახი მკვლელობისას.[45]

ობიექტური შერაცხვის პრინციპების მოქმედებას ვხვდებით თუშურ ჩვეულებით სამართალშიც, ძირითადად XIX საუკუნის შუა პერიოდისა და მეორე ნახევრის მონაცემებით. კერძოდ, ივ. ცისკარიშვილი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მკვლელობის განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ჩამდენი ვერაფრით იქნებოდა მშვიდად და ნებისმიერ შემთხვევაში სისხლის აღების საფრთხის ქვეშ იქნებოდა.[46] აქ კარგად ჩანს, რომ თუშეთში მიუხედავად იმისა მკვლელობა ჩადენილი იყო განზრახვით, თუ განზრახვის გარეშე სისხლის აღების საშიშროება მაინც იქნებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ თუშების სისხლის სამართლებრივი ჩვეულებები ხევსურულისაგან დიდად არ განსხვავდება. თუშები მკვლელობისას ხევსურების მსგავსად ბოროტ განზრახვას კი არ აქცევენ ყურადღებას, არამედ მატერიალურ ზიანს. აქედანაა მათთვის დაუსჯელობა მცდელობისა და წაქეზებისა.[47] აქ მ. კოვალევსკი ფაქტიურად ადასტურებს ივ. ცისკარიშვილის ინფორმაციას თუშურ ჩვეულებით სამართალში (ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნეში) ობიექტური შერაცხვის პირინციპის შემორჩენილობის შესახებ. ზუსტად იგივეს მიუთითებს მ. კოვალევსკი ფშავთან მიმართებაშიც.[48] მკვლელობისას ობიექტური შერაცხვის პრინციპის შემორჩენილობას XX საუკუნის დასასრულის ფშავი ინფორმატორიც ადასტურებს. მისი

---

42 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 88-111, 543. საინტერესოა, რომ ობიექტური შერაცხვის პრინციპის ცალკეული გამოვლინება სწორედ მკვლელობის შემთხვევაში მთის რაჭაშიც ფიქსირდება. კერძოდ, მ. კედელაძის რაჭულ მასალაში გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც განზრახვის გარეშე მკვლელობას სისხლის აღება მოჰყვა (იხ. მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 1-3; მ. კ. 6/9, 23-24).

43 გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 90; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 55, 56-57.

44 გ. დავითაშვილი, იქვე, 90-91.

45 იქვე, 91-94.

46 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

47 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118.

48 М. Ковалевский, Пшавы, Юридический вестник. Т. 7, М., 1888, 218.

თქმით, განზრახი თუ გაუფრთხილებელი მკვლელობა შერიგებით უნდა დასრულებულიყო და მკვლელს „კაცის თავი" 60 ძროხა უნდა გადაეხადა.[49] ეს მონაცემები მიანიშნებს, რომ მეზობელი კუთხეების მსგავსად, ფშავშიც მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას ადგილი ჰქონდა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მოქმედებას.

აღნიშნული პრინციპის მოქმედება ჩრდილო კავკასიელი მთიელების ჩვეულებით სამართალშიც საკმაოდ დიდხანს შემორჩა. თ. ლეონტოვიჩი ოსურ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას აღნიშნავს, რომ არაგანზრახი მკვლელობა, ისე როგორც მკვლელობა თავდაცვისას და ქურდის მკვლელობა, სისხლის აღებას ერთნაირად ექვემდებარება. იგივეს ვხვდებით სხვა ჩრდილოკავკასიელ ხალხთა (მაგალითად, ჩეჩენთა და ინგუშთა ჩვეულებით სამართალშიც).[50] მაგალითად, თუ ქალი მოკლავდა მის მიმართ მოძალადეს, ანუ იმოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ჩვეულებრივ აგებდა პასუხს.[51]

აღსანიშნავია, რომ სვანეთშიც და ხევსურეთშიც ხალხი კარგად ანსხვავებდა ერთმანეთისგან მკვლელობის განზრახ ჩადენას უნებლიედ, განზრახვის გარეშე ჩადენისაგან, ასევე ზოგიერთი მკვლელობის შემთხვევაში იმის გაცნობიერებაც არსებობდა, რომ მკვლელობის მიზეზი თვითონ მოკლული იყო: სწორედ მან ატეხა ჩხუბი სიმთვრალის ნიადაგზე, ცემა, დაჭრა, გალანძღა საჯაროდ ამის პასუხად მკვლელობის ჩამდენი. მიუხედავად ამისა, მასალების მიხედვით, მედიატორები მკვლელს მაინც სრულ სისხლს აკისრებდნენ ხოლმე, რასაც გარკვეული ფაქტორები განაპირობებდა.[52]

მიუხადავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სუბიექტური ფაქტორების სრულ უგულვებელყოფას სვანეთსა და ხევსურეთში მკვლელობის ჩადენისას ადგილი მაინც არ ჰქონია. ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობა აადვილებდა დაზარალებულის დათანხმებას შერიგებაზე. მაგალითად, უნებლიე მკვლელობის შემთხვევაში დაზარალებული მხარე ნაკლებ აგრესიას იჩენდა და მკვლელს ისეთი გამეტებით, შეურიგებლად, უკიდურესი აღშფოთებით, დაუყოვნებელი თვითგასწორების დაუოკებელი სურვილით არ დევნიდა მოსაკლავად, როგორც განზრახი მკვლელობის ჩამდენს. ასეთ შემთხვევაში სვანეთში შესაძლოა საზოგადოებაც ჩარეულიყო საჭიროებისას და ზემოქმედება მოეხდინა დაზარალებულ მხარეზე, რომ არ მომხდარიყო უნებლიე მკვლელობის ჩამდენის სისხლება და დაეჩქარებინა შერიგების პროცესის დაწყება.[53] ხევსურეთშიც ფიქსირდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ჩანს ტენდენცია, რომ იშობრად ჩადენილი მკვლელობისას დაზარალებული მხარე შედარებით სწრაფად თანხმდებოდა რიგის ყენებაზე. მასალებში შესაბამისი კონკრეტული ფაქტებიც მოიპოვება[54] აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხევსურეთში იშობრივი მკვლელობისას შერიგების გაადვილება, გახიზნული მკვლელის ნაკლები ინტენსიობით დევნა,

49 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 28-29.

50 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев. Т, 2, Одесса, 1883, 4, 129, 148.

51 იხ. М. Ковалевскій. Современный обычай и древний законъ, Т. 2, М., 1886, 95. ოსურ ჩვეულებით სამართალში ობიექტური შერაცხვის პრინციპის ამსახველი მაგალითები იხ. იქვე, 91-92.

52 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 99-105.

53 იქვე, 111-122.

54 იქვე, 111-114.

მტიცე წესი არ იყო[55] და როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა მას ისეთივე რეაქცია მოჰყოლოდა, როგორც განზრახ მკვლელობას. არაგანზრახი მკვლელობისას შერიგების გაიოლება ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება.[56]

ხევსურეთში შერიგების გაადვილება ფიქსირდება მაშინაც, როდესაც განზრახ მკვლელობას ექნებოდა ადგილი, თუმცა ამ დანაშაულის მაპროვოცირებელი თვითონ მხსვერპლი იყო. მაგალითად, თუ პიროვნება სამტროდ მიუვარდებოდა სხვას სახლში, სანაწვეთეს[57] გადალახავდა და მას მასპინძელი მოკლავდა, მასპინძელს თავი მაინც დაედებდა, მაგრამ შერიგება გაადვილებული იყო, რადგან სანაწვეთოს გადალახვა სამტროდ მოსულს არ შეეძლო.[58] იშობრად ჩადენილი მკვლელობის მსგავსად, ყველა ასეთ შემთხვევაში შერიგების გაიოლება გარდაუვალი არ უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ შედარებით გვიანდელი მონაცემებით, განსაკუთრებით მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებული მასალებით ცალსახად ფიქსირდება, რომ სვანურმა ჩვეულებითმა სამართალმა გადალახა ობიექტური შერაცხვის პრინციპის ბატონობა და სხვა დანაშაულების მსგავსად მკვლელობის შემთხვევაშიც მორვებმა დაიწყეს სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება. მაგალითად, თუ განზრახი მკვლელობისათვის („ნაბუშ დაგრა“) სრული წორი ეკისრებოდა მკვლელს, განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობისათვის („უნბილათ დაგრა“) კი ნახევარი წორი, ან ნახევარზე ცოტა მეტი. იყო შემთხვევები, როდესაც დაზარალებული მხარე დარწმუნებული იმაში, რომ მკვლელობა შემთხვევით მოხდა, საერთოდ უარს ამბობდნენ წორის მიღებაზე.[59] სუბიექტური შერაცხვის პრინციპების დამკვიდრება სვანურ ჩვეულებით სამართალში ცალსახად დასტურდება თანამედროვე ინფორმატორთა მონაცემებითაც.[60]

მ. კეკელიას მასალებში ასევე კარგად გამოჩნდა, რომ სვანი მორვების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში მიიღებოდა არა მარტო ის, დანაშაულის განზრახ მოხდა თუ უნებლიედ, არამედ დანაშაულის ჩადენის მიზეზი, მოტივი, კერძოდ, ვინ დაიწყო შუღლი, რატომ, რამდენად სამართლიანი იყო მისი მოთხოვნა. მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში მორვებმა მკვლელს განზრახი მკვლელობისათვის მხოლოდ ნახევარი წორი დააკისრეს, რადგანაც მოკლულმა დაიწყო ჩხუბი, იგი ჩაუსაფრდა გზად მიმავალ მკვლელს. მეორე შემთხვევაში ყანაზე დავის გამო მეზობლებს შელაპარაკება მოუვიდათ, რის გამოც ერთმა მოკლა მეორე. მორვებმა მკვლელს ასევე მხოლოდ ნახევარი წორი დააკირეს; იმიტომ რომ მოკლული მკვლელის მიმართ მართალი არ იყო ამ დავაში.[61] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, რომელიც ხშირად ყოფილა

---

55 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 40.

56 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“, II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, თბ., 1991, 38.

57 სანაწვეთე – ხევსურული სახლის კედლის გაყოლებით დაწყობილი ფიქალი ქვები, რომელ ზედაც მიწური სახლის ბანიდან, მისი სანაპიროდან ჩამოდის წვიმის წვეთები თუ დამდნარი თოვლი.

58 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრფიული რვეული, 1988, №1, 6.

59 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 122-123.

60 იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 51-53.

61 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 126-127. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 1-4; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 59-63.

სხვადასხვა საქმეზე მორევი, მისი თანდასწრებით მორევთა მიერ განაჩენის გამოტანისას არასდროს მომხდარა მკვლელისათვის სრული წორის დაკისრება.[62] ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად ყოველთვის არსებობდა რაღაც ფაქტორები, რის გამოც მკვლელს წორის ოდენობას უმცირებდნენ.

მორევების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრებისას წორის განსაზღვრული ნაწილი შესაძლოა დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის გარდა დაეკისრებინათ იმ პირისათვის, ვისი მიზეზითაც მოხდა იმ ჩხუბის პროვოცირება, რასაც მკვლელობა მოჰყვა.[63] მკვლელობის მიზეზის გათვალისწინება პასუხისმგებლობის დაკისრებისას, 2015 წელს ჩაწერილმა მონაცემებმაც დააფიქსირა.[64]

სუბიექტური ფაქტორების (მოტივის, მიზეზის) გათვალისწინება მკვლელობისას ფშავშიც ფიქსირდება. XX საუკუნის 80-იანი წლების ფშაველი ინფორმატორები ადასტურებენ საქართველოს ამ კუთხეში არაგანზრახი მკვლელობისას არა მარტო შერიგების გაიოლებას, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრებისას სისხლის ფასის შემცირების, ან პასუხისმგებლობისაგან საერთოდ გათავისუფლების შესაძლებლობას.[65] ჯ. მერაბიშვილს მოჰყავს რამოდენიმე ფშაველი ინფორმატორის ცნობაც. მაგალითად, ფშაველი ინფორმატორი განმარტავს: „მკვლელობის დროს ადამიანის სისხლი შეფასებული ყოფილა 60 ძროხად. ეს მაშინ თუ მკვლელობა განგებ იყო ჩადენილი, ხოლო თუ მკვლელობა შემთხვევით მოხდებოდა, მაშინ მთელი სისხლის ნახევარს, ე. ი. 30 ძროხას იხდიდა დამნაშავე.“[66] მეორე ინფორმატორის ცნობა: „მნიშვნელობა ჰქონდა გიზმაობით და შემთხვევით ჩადენილ მკვლელობას. შემთხვევით, უცაბედად ჩადენილ მკვლელობას არ სჯიდნენ.“.[67] კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით: მკვლელობა და დაჭრა ძირითადად ქალის შეურაცხყოფის მიზეზით ხდებოდა. ამ დროს მედიატორები ანგარიშს უწევდნენ ამ გარემოებას და სასჯელს ამსუბუქებდნენ. შემთხვევითი მკვლელობისას შესაძლოა საერთოდ სისხლის პატიება მომხდარიყო.[68] დ. ჯალაბაძის ფშაველი ინფორმატორიც ადასტურებს ამას: „თუ კაცს კაცი შემთხვევით შემოაკვდებოდა, მაშინ მათ შორის შურისძიება არ უნდა მომხდარიყო, ამ დროს უფრო ნაკლებ საზღაურს გადაიხდიდა.“[69]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ფშაურ ჩვეულებით სამართალში სვანურის მსგავსად გარკვეულ ეტაპზე მკვლელობის დროს პასუხისმგებლობის დაკისრებისას გარკვეული სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება დაიწყეს, რაც აისახა კიდეც XX საუკუნის დასასრულის ფშაველი ინფორმატორების მონაცემებში.

---

62 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 24.

63 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 128-129..

64 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 58, 87, 111, 130, 184, 244. იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 216, 239, 260, 276, 323, 374.

65 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“, II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, თბ., 1991, 38.

66 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 12.

67 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 11.

68 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 81.

69 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 9.

როგორც ჩანს, ფშაურ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისას თუ შედარებით ადრეულ ეტაპზე გაბატონებული იყო ობიექტური შერაცხვის პრინციპები, შედარებით გვიან სუბიექტურ ფაქტორებსაც ექცეოდა ყურადღება.

საქართველოს კუთხეებში, სადაც საკვლევ პერიოდში ჩვეულებითი სამართლის გავლენა ნაკლები იყო, ვიდრე საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში, თუ ადგილი ექნებოდა მკვლელობის საქმის ხალხური წესით გადაწყვეტას, აშკარად ჩანს სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გავლენა. კერძოდ, გვხვდება ცალკეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, თავდამსხმელის, ქურდის, მოღალატე ცოლის თუ მისი საყვარლის მკვლელობისათვის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრება არ მომხდარა.[70] მაგალითად, აჭარაში ჩაწერილ მასალაში გვხვდება არაერთი კონკრეტული ფაქტი მრუშობის შემთხვევაში ქმრის მიერ ცოლის და მისი საყვარლის მკვლელობისა, ასევე ქურდის მკვლელობისა, რასაც არავითარი პასუხისმგებლობა არ მოჰყოლია.[71] თუ ასეთ შემთხვევაში მოკლულის ნათესაობა მაინც დააპირებდა შურისძიებას, მაშინ მათ წინააღმდეგ მთელი სოფელი დაირაზმებოდა.[72] როგორც ვხედავთ, ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესების წინააღმდეგ წამსვლელთა მიმართ მთელი საზოგადოება იღებდა გარკვეულ ზომებს.

გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხდვითაც, მკვლელობის საქმეზე ითვალისწინებდნენ დანაშაულის ჩადენის მოტივს, მიზეზს. ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ხალხური წესით მკვლელობის საქმის განხილვისას დამნაშავისთვის პასუხისმგებლობა არ დაუკისრებიათ, თუ დაუნახავთ, რომ მის მოქმედებას ხალხის თვალთახედვით რაიმე გაამართლებდა.[73] ინფორმატორს კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს: ოჯახმა დაიწუნა ქალიშვილის შეყვარებული ვაჟი სიღარიბის გამო და შეძლებულ კაცზე დანიშნა, იმ პირობით, თუ იგი პირველ ცოლს გაუშვებდა. ამან ძალზედ გაამწარა შეყვარებული ვაჟი და მან საცოლის მამა მოკლა. საქმე სოფლის საზოგადოების თანდასწრებით იქნა განხილული და მკვლელი დამნაშავედ არ ცნეს.[74] მესხეთში მომხდარ კიდევ ერთ შემთხვევაში სოფლის საზოგადოებამ გაამართლა პიროვნება, რომელმაც მოკლა ბიძაშვილი უკიდურესად უზნეო საქციელისათვის საკუთარ რძალთან მიმართებაში.[75] ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი იხსენებს, რომ ვ. ი-მ მოკლა ვინმე თათარი იმის გამო, რომ იგი სხვებთან ერთად ქართველ ქალებს აუპატიურებდა. საზოგადოებამ გაამართლა მკვლელი და არ დასაჯა.[76] აჭარელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ მიწაზე დავის დროს შერიგება უფრო ადვილდებოდა, თუ დადგინდებოდა, რომ მოკლული ამ დავაში მართალი არ იყო.[77] აჭარელი შუაკაცები მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას ყოველთვის

---

70 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 133-134.

71 იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 7, 11; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 43; 1989, 43, 57; 1991, 32-33.

72 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9.

73 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21-22.

74 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 22.

75 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 22-23.

76 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 15.

77 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 41.

ითვალისწინებდნენ მოკლულის როლს დანაშაულის ჩადენაში, ადგენდნენ მის ბრალს. შემდეგ მშობლებსა და ახლობლებს განუცხადებდნენ, რომ მართალია მოკლეს, მაგრამ მასაც მიუძღვოდა ბრალი და მთლად უბრალოდ, უმიზეზოდ არ მოუკლავთო. აღნიშნული გარემოება კი პასუხისმგებლობის ხარისხზე ახდენდა გავლენას.[78] იგივე დამოკიდებულებას ვხვდებით ხევში. აქაც შუაკაცები (ე. წ. თემის კაცები), რომლებიც მოსისხლეებს არიგებდნენ და მკვლელს გარკვეულ გადასახადს აკისრებდნენ, ითვალისწინებდნენ მოკლულის მიერ მკვლელისადმი მიყენებულ ზიანს, მის შესაძლო მაპროვოცირებელ როლს დანაშაულის ჩადენაში. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, შუამავლებმა დაზარალებულ მხარეს პირდაპირ უთხრეს, რომ მოკლულს მანამდე მუცლის არეში დაჭრილი ყავდა მკვლელის ძმა. შუამავლებს დაზარალებული მხარისათვის ამის თქმა დაჭირდათ იმიტომ, რომ ზემოქმედება მოეხდინათ მოკლულის ნათესავების შერიგებაზე დასათანხმებლად. საერთოდ, ჩვეულებრივი მოვლენა იყო შუამავლებს გაერკვიათ, თუ ვის რა ბრალი, როლი მიუძღვოდა მკვლელობის გამომწვევი კონფლიქტის დაწყებაში, მის გამწვავებაში. გაჯიუტებულ მოკლულის მხარეს აუცილებლობისას აუხსნიდნენ, რომ არც ისინი (მოკლული თუ მისიანები) არიან მთლად მართლები და მათმა მოქმედებებმა თუ სიტყვებმაც შეუწყვეს ხელი მკვლელობის ჩადენას.[79] ყველა აღნიშნული ფაქტორი, ცხადია, გავლენას ახდენდა ხევში შუამავლების მიერ მკვლელობისათვის სისხლის საზღაურის ოდენობის განსაზღვრაზე.

დასახელებულ კუთხეებში კარგად ჩანს, რომ საზოგადოება ცალსახად განასხვავებს განზრახ მკვლელობას განზრახვის გარეშე, უნებლიედ დანაშაულის ჩადენისაგან, რაც ხალხური წესით მკვლელობის საქმის განხილვისას დამნაშავის პასუხისმგებლობაზეც აისახებოდა. მესხი ინფორმატორის განმარტებით, საზოგადოებიდან გაძევება ხდებოდა განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის, ხოლო უნებლიედ ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავეს უფრო ლმობიერად დასჯიდნენ.[80] ფაქტიურად იგივეს ადასტურებს კიდევ ერთი მესხი ინფორმატორი, რომლის მიხედვითაც, თუ მკვლელობა „ცუდ უბრალოზე", ანუ განზრახ მოხდებოდა, დამნაშავეს მკაცრად სჯიდნენ, ხოლო თუ შემთხვევით მკვლელობას ექნებოდა ადგილი, მაშინ შესაძლოა მკვლელი საერთოდ არ დაესაჯათ.[81] ხევშიც უნებლიე მკვლელობისას შერიგება უფრო გაადვილებული იყო, ვიდრე განზრახი მკვლელობისას და პასუხისმგებლობაც ნაკლები ეკისრებოდა.[82] მაგალითად, ერთ-ერთი მოხევე ინფორმატორის ცნობით, ერთი შემთხვევითი მკვლელობისას მკვლელთან შერიგება სასაფლაოზე მისვლის გარეშე მომხდარა,[83] მაშინ როდესაც, როგორც წესი, ხევში მკელელობისას შერიგების აუცილებელი კომპონენტი მკვლელის საფლავზე მისვლა იყო. ამის გარეშე შერიგება კი მის შემსუბუქებულ ფორმას წარმოადგენდა, რაც მკვლელობის არაგანზრახი ხასიათით იყო გან-

78 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 6-7; 1989, 29.

79 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 57-60, 63; №2, 64-65.

80 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 31.

81 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 37.

82 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 29, 36; ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 36.

83 მ. კეკელია, იქვე, 67.

პირობებული. ვალ. ითონიშვილის მიხედვითაც გამოდის რომ ძველ ეპოქაშიც უნებლიე მკვლელობისათვის მხარეთა მორიგება შედარებით გამარტივებული იყო და გვარის უფროსებისა და სოფლის თავკაცების მონაწილეობით ხერხდებოდა, ხოლო თუ მკვლელობა განზრახ ხასიათს ატარებდა და მოსისხლეთა ურთიერთშემუსვრის ხასიათს მიიღებდა, მაშინ საქმის სათემოდ აღძვრა ხდებოდა და საქმეში „ბჭეთუფროსი და რჯულისთავი" ხევის გაგა ჩაერეოდა თემის ბჭეებთან ერთად.[84] აღსანიშნავია, რომ ხევში უნებლიე მკვლელობის აღთქმა შედარებით მსუბუქ დანაშაულებრივ ქმედებად XIX საუკუნის ბოლოს მომხდარ კონკრეტულ შემთხვევაშიც კარგად ჩანს. 1893 წლის გაზეთ „ივერიაში" ვკითხულობთ: „ქორწილში, ს. არშაში მცხოვრებმა ანდრია ბაზალმა მოჰკლა რევორველით ს. ყანობის მცხოვრები ივანე ლოდარიაშვილი. ეს ორივენი მკვლელიც და მოკლულიც მოწვეულნი იყვნენ ქორწილში სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრებ ივანე ჩეკიაშვილთან (გიგაური), როგორც ნათესავები. როგორც ქალ-ვაჟთა თამაშობა გაიმართა, ამ დროს ერთმა დედოფლის მაყარმა, გ. ავსაჯანოვმა აიღო რევოლვერი და ჭერში უნდა ესროლა, სამჯერ დააცემინა და საუბედუროდ არ გავარდა. შემდეგ ამის რევორველი გამოართვა ანდრია ბაზალმა გასასინჯად, რატომ არ ვარდებაო, ხელში რომ ატრიალებდა, რევორველი უცბად გავარდა და მოხვდა ტყვია მარჯვენა თვალში ივანე ლადარიშვილს, რომელიც ამ დროს თამაშობდა. საბრალომ დიდი ხანიც აღარ იცოცხლა და იმავე ღამეს სული დალია. მეორე დღეს გარდაცვალებულის მშობლებმა სთხოვეს ბოქაულს, რომ გვაკმარეთ ერთი კაცის დაკარგვა და მაგ მკვლელს ნუღარ დაატუსაღებთო, რადგან მკვლელობა ჩაიდინა შემთხვევით და არა რაიმე ბოროტგანზრახულობითო. მიუხედავად ამ ნაირის თხოვნის, პოლიციამ მაინც შეიპყრო ანდრია ბაზალი და დუშეთს გაგზავნა."[85] ამ კორესპონდენციიდან კარგად ჩანს, რომ იმ დროს საზოგადოება განსხვავებულად აღიქვამს მკვლელობას „შემთხვევით" და მკვლელობას „ბოროტგანზრახულობით". სწორედ იმის გამო, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შემთხვევით მოხდა, დაზარალებულმა მხარემ ხელისუფლების წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა დამნაშავე არ დაეპატიმრებინათ.

ხევში მკვლელისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას აუცილებლად ითვალისწინებდნენ განზრახაა მკვლელობა ჩადენილი, თუ უნებლიედ. სამაგალითოდ მოვიყვანთ „ქართულ დიალექტოლოგიაში" მოცემულ ტექსტს, სადაც ხევში მომხდარი მკვლელობის გამო შერიგების პროცესია ასახული. მოხევე მთხრობელი აღნიშნავს, რომ დაზარალებული მხარის შერიგებაზე დათანხმების შემდეგ დაიწყო საუბარი საფასურზე. თემის კაცებში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა მკვლელობა განზრახ იყო ჩადენილი, თუ უნებლიედ. ამაზე იყო დამოკიდებული საზღაურის ოდენობა. მთხრობელის თქმით: განზრახი მკვლელობისათვის გადასახადი მეტია, უნებლიე მკვლელობისთვის კი ნაკლები.[86]

არაგანზრახი მკვლელობისას პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების არაერთი მაგალითი გვხვდება ლეჩხუმში ჩაწერილ მასალაშიც. ფაქტიურად

---

84 ვ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი" ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957, 167.

85 „ივერია", 1893, 16 ნოემბერი, №247.

86 ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 36.

ყველა შემთხვევაში შერიგება ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოხდა. დაზარალებულთა მხრივ სახელმწიფო ორგანოებშიც არ მომხდარა მიმართვა.[87] ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევითი მკვლელობის ფაქტს, რომელსაც ქორწილში ჰქონდა ადგილი ცეკვის დროს. მოკლულის გვარმა თურმე იწყინა ეს, თუმცა მისმა მამამ თქვა, რომ რადგან ჩემი შვილი შემთხვევით მოკლა უნდა შევრიგდეთო.[88] კიდევ ერთ შემთხვევაში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოხდა, ერთმა პირივნებამ შემთხვევით მოკლა თავისი ბიძაშვილი. მოკლულის მამამ თქვა: „ერთი ბავშვი დაიღუპა და მეორეს მივხედოთო. ამ ბიჭს (მკვლელს) არაფერი მოუვიდეს, შეშინებული არსად გაიქცესო და მან ეს მკვლელი შვილად აიყვანა."[89] ეს კონკრეტული მაგალითები კარგად გვიჩვენებს შემთხვევითი მკვლელობისადმი ხალხის დამოკიდებულებას. უკანასკნელ შემთხვევაში მოკლულის მამის რეაქცია ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ამ დამოკიდებულებას. ლეჩხუმის მეზობელ რაჭაშიც ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც „უცაბედად", შემთხვევით ჩადენილი მკვლელობისას დაზარალებულმა მხარემ არაფერი გადაახდევინა დამნაშავეებს.[90] იმერეთში ჩაწერილ მასალებშიც ჩანს, რომ მკვლელობის უნებლიედ, შემთხვევით ჩადენისას მკვლელს არავინ დევნიდა და პასუხს არ აგებინებდა.[91]

მკვეთრად მიჯნავდნენ განზრახ („ინტერესით") მკვლელობას, გაუფრთხილებლობით, შემთხვევით („ყეზად") ჩადენილი მკვლელობისაგან აჭარაშიც.[92] „ყეზად" მკვლელობისას აჭარაში (მათ შორის აჭარაში მცხოვრებ ლაზებშიც), საპასუხო მკვლელობა, როგორც წესი არ ხდებოდა. ამის აუცილებელი პირობა იყო მკვლელს და მის ნათესაობას სათანადოდ მოენანიებინა დანაშაული და პატივი მიეგო მოკლულის ჭირისუფლისათვის. ასევე სისხლის ფასის ოდენობა კი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე განზრახი მკვლელობისას. ყეზად მკვლელობისას აჭარაში მიღებულად ჩანს უღელი ხარის, ხალიჩის და ორი ქვეშაგებლის (წყვილი ლოგინის) გადახდა[93]. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ყეზად მკვლელობისას იტყოდნენ: „ყეზას თვალი არ უჩანსო". ყეზად მკვლელობისას სისხლის აღება იმიტომ არ ხდებოდა, რომ ამ დროს მოკლული მხარე შერცხვენილად არ ითვლებოდა. სისხლის აღება კი მკვლელობით მიყენებული სირხვილის გამო ხდებოდა.[94] ყეზად მკვლელობისას დაზარალებული მხარისადმი პატივის მიგება გამოიხატებოდა იმაში, რომ მკვლელის ნათესაობა უნდა მისულიყო და-

87 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15; გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 21.

88 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 28.

89 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 4.

90 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 1-2.

91 იხ. ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 4, 42.

92 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 24.

93 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14; გ. დავითაშვილი, მასალები ლაზურ ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6, 16, 24. 45; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 46, 56; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 12, 24, 32; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37, 39; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 26, 38, 40.

94 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფოული რვეული, 1989, 33.

ზარალებულ მხარესთან ბოდიშის მოხდით და ეთხოვა შერიგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლულის ნათესაობა ჩათვლიდა, რომ მკვლელის მხარემ არაფრად ჩააგდო და მიუხედავად ყეზად მკვლელობისა, სრულიად შესაძლებელია სისხლის ასაღებად ეზრუნა. ყეზად მკვლელობის ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ინფორმატორი აღწერს, მკვლელის ნათესაობა, მისი ძმები, ახლო ბიძაშვილები მკვლელობის დღესვე მივიდნენ ჭირისუფლის ოჯახში და შერიგება ითხოვეს. რადგანაც გაუფრთხილებელ მკვლელობას ჰქონდა ადგილი და მკვლელის მხარე სათანადოდ მოიქცა, მხარეები შერიგდნენ. მკვლელის მხარეს ყეზად მკვლელობისას დადგენილი გადასახადის გადახდა მოუხდა.[95] ერთ-ერთი ინფორმატორი კი მის ბავშვობაში მამამისის მკვლელობის ამბავს იხსენებს. მკვლელს შემთხვევით შემოაკვდა იგი, რომელიც მისი ამხანაგი იყო. მკვლელმა ყვირილით ზურგზე მოიკიდა მოკლული და ასე მიიყვანა სახლში, რითაც მკვლელობის ჩადენა მოინანია. რაკი ყეზით იყო მოკლული შუაკაცებს მკვლელისათვის დაუკისრებია მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ ერთი უღელი ხარის, ხალიჩის და ორი ქვეშაგებელის გადახდა. ამით საქმე დამთავრებულა.[96]

დაზარალებულები საჭიროებისას აუცილებლად განსაზღვრავდნენ შემთხვევითობის საფარქვეშ განზრახ მკვლელობას ხომ არ ჰქონდა ადგილი. ისინი გამოიკვლევდნენ ადრე მხარეთა შორის ხომ არ ჰქონია ადგილი შეხლა-შემოხლას, რაიმე სახის კონფლიქტს, უსიამოვნებას, რომელსაც შესაძლოა მკვლელობა მოჰყოლოდა და როდესაც დარწმუნდებოდნენ მკვლელობის შემთხვევითობაში შურს არ იძიებდნენ.[97] მასალებში გვხვდება რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როდესაც „ყეზად" მკვლელობისას მოკლულის მამას „სისხლი არ უძებნია", რადგანაც მკვლელობა განზრახვის გარეშე იყო ჩადენილი.[98]

ზოგიერთი მონაცემით შესაძლებელი იყო გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისას მხარეთა შერიგება ყოველგვარი გადასახადის გარეშე მომხდარიყო. ამის მაგალითია ქედის რაიონში ჩაწერილი კონკრეტული შემთხვევა. ინფორმატორი აცხადებს, რომ ყეზად მკვლელობისას „ფარის გარეშე დარიგდებოდნენ".[99]

გურიაშიც განზრახ ანუ „ინტერესით", „განგებ" მკვლელობა უფრო მძიმედ ისჯებოდა, ვიდრე უნებლიედ, „მარცხად", „უცაბედად" და შერიგებაც უფრო რთულდებოდა.[100] ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც განზრახ მკვლელობის ჩამდენი სოფელმა სიკვდილით დასაჯა.[101] იგივე ითქმის სამეგრელოზეც. აქ ჩაწერილ მასალებშიც ფიქსირდება არაგანზრახი მკვლელობისას მხარეთა შერიგება თავკაცების მიერ. შერიგება შესაძლებელი გახდა მას

95 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 49-50.

96 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 51.

97 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 10.

98 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 11; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 34.

99 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 10.

100 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2, 7; გ. ბ ითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989, 16; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 9.

101 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

შემდეგ რაც დადგინდა, რომ მკვლელობა განზრახვის გარეშე მოხდა.[102]

გურიაში არაგანზრახი მკვლელობის აღსანიშნავად XX საუკუნის ბოლოსაც შემორჩა ძველქართული სამართლის ძეგლებისათვის კარგად ცნობილი ტერმინი „ფათერაკი". მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც კაცს თოფი გაუვარდა შემთხვევით, ტყვიამ კედელი გაიარა და გვერდით ოჯახში მყოფი ქალი მოკლა. ინფორმატორის თქმით, ასეთ დროს იტყოდნენ ფათერაკით მოკვდაო.[103] ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით კი ფათერაკი მაშინაა, როცა სულ არ შეეძლო წარმოედგინა თუ კაცი მოკვდებოდა და მოკლა. მაგალითად კი მოჰყავს შემთხვევა, როდესაც მამა ყანაში დათვს ჩაუსაფრდა და მის საძებრად გამოსული შვილი მოკლა დათვის ნაცვლად. ასეთ მკვლელობას ეძახდნენ ფათერაკით მკვლელობას. ამ შემთხვევაში რაიმე პასუხისმგებლობა არ დამდგარა.[104]

„ფათერაკი" ფიქსირდება სამეგრელოშიც. ადგილობრივი ინფორმატორები ერთმანეთისაგან განასხვავებენ განძრახ („გაძრახო") და ფათერაკით, შემთხვევით ჩადენილ დანაშაულს. მეგრელი ინფორმატორები სწორედ ტერმინ „ფათერაკს" ხმარობენ.[105] განზრახვის საპირისპირო, უნებლიე მოქმედების აღსანიშნავად ასევე ხმარობენ ტერმინს: „უმუთხილაფუობა" – გაუფრთხილებლობა, როდესაც, მაგალითად, პიროვნებას შემოაკვდებოდა ვინმე.[106]

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეგრელი ინფორმატორი განასხვავებს ერთმანეთისაგან ფათერაკს, შემთხვევას გაუფრთხილებლობისაგან.[107] ერთ-ერთ ინფორმატორს ასე ესმის განსხვავება ფათერაკსა და გაუფრთხილებლობას შორის: „ფათერაკის დროს დამნაშაე მას ვერ იცილებს, მისგან დამოუკიდებლად ხდება, მისი ნება არაა, ხოლო უმუთხილაფუობის დროს კი კაცს შეეძლო გაფრთხილება, მაგრამ არ გააკეთა ეს."[108] სხვა ინფორმატორების განმარტებითაც, ფათერაკია, როდესაც შედეგს ვერ აიცილებ, ბედისწერასავითაა, მის დადგომას ვერ იწინასწარმეტყველებ, გაუფრთხილებლობის დროს კი რომ გაფრთხილებულიყო თავიდან აიცილებდა.[109]

ამ მონაცემებში მოტანილი განსხვავება ფათერაკსა და გაუფრთხილებლობას შორის ფაქტიურად ანალოგიურია თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას (კაზუსს) შორის განსხვავებისა. შესაძლოა ინფორმატორების ასეთი პოზიცია თანამედროვე მართლშეგნების გავლენა იყოს. სამწუხაროდ, მათ არ მოჰყავთ კონკრეტული ფაქტები, რომელთა მიხედვითაც გამოჩნდებოდა: ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას რამდენად ითვალისწინებდნენ დანაშაული გაუფრთხილებლობით მოხდა, თუ შემთხვევით, განსხვავებულ

102 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 31; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 5.

103 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 3-4.

104 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15.

105 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგფაფიული რეული, 1988, 2.

106 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგფაფიული რეული, 1988, 16-17.

107 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 1-2; მ. კეკელია, მასალები სამგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 41.

108 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 2.

109 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგფაფიული რეული, 1988, 2, 41.

პასუხისმგებლობას აკისრებდნენ თუ არა გაუფრთხილებლობით და შემთხვევით მომხდარი დანაშაულებისათვის? კონკრეტული მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ შორის სამეგრელოში დაფიქსირებულით, ამ განსხვავების გათვალისწინება განზრახვის გარეშე მკვლელობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, არ გვხვდება. რამდენიმე ინფორმატორის ზოგადი მონაცემის საფუძველზე შეუძლებელია დადასტურებულად საუბარი იმაზე, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში ცალსახად დამკვიდრებულია განსხვავება გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას შორის.

1. 1. 2. თანამონაწილეობა მკვლელობისას. სხვა ნაშრომში ქართულ ჩვეულებით სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტის შესწავლისას ჩვენ ძირითადად თანამონაწილეობით მკვლელობასთან დაკავშირებული მაგალითები გავაანალიზეთ. კერძოდ, დავადგინეთ, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში თანამონაწილეობით მკვლელობის ჩადენისას მკვლელობის უშუალო ჩამდენს ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა. ასევე, ადგილი ჰქონდა დანაშაულის თანაამსრულებლის, დამნაშავისათვის დანაშაულის ჩადენის იარაღის მთხოვებლის, დანაშაულის გამომწვევი ჩხუბის დამწყების პასუხისმგებლობას. არ ფიქსირდება მკვლელობის წამქეზებლის პასუხისმგებლობა. განვიხილეთ თანაამსრულებლის და მკვლელობის მაპროვოცირებლის პასუხისმგებლობის საკითხი ხევსურულ და ფშაურ ჩვეულებით სამართალში.[110]

გარკვეული მწირი მონაცემები თანამონაწილეობისათვის პაუსიხმგებლობის შესახებ გვხვდება აჭარაში დაფიქსირებულ ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც. ინფორმატორის განმარტებით, არაერთი პირის მონაწილეობით მკვლელობის ჩადენისას პასუხი შეიძლება ნებისმიერი მათგანისთვის ეგებებინათ, თუმცა ჯერ იმას დაადგენდნენ, ვინ იყო მთავარი, ორგანიზატორი მკვლელობისა, ვისი ინციატივა იყო მკვლელობის ჩადენა. თუ ასეთს ვერ მოიხელთებდნენ, მის თანამონაწილეს მოკლავდნენ. მკვლელობის თანაამსრულებელთაგან მხოლოდ ერთის მოკვლა იყო დასაშვები.[111] მკვლელობის ინიციატორს შესაძლოა თვითონ მიეღო მონაწილეობა დამხმარეებთან ერთად მკვლელობის ჩადენაში, ან არ გამხდარიყო დანაშაულის ამსრულებელი და ორგანიზატორად, წამქეზებლად დარჩენილიყო. ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებული მხარე უპირველეს ყოვლისა მას აღიქვამდა მკვლელად და მის მიმართ ცდილობდა შურისძიებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ეს მისი თანაამსრულებლის, თანამონაწილის მიმართაც განეხორციელებინა.

---

110 იხ. გ, დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 132-164, 546. საინტერესოა მკვლელისათვის იარაღის მიმცემის პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემები სვანეთში 2015 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით. ამ მასალებში ჩანს, რომ მკვლელობის ჩასადენად იარაღის შეგნებულად, სპეციალურად მიმცემი, ისეთივე დამნაშავედ ითვლებოდა, როგორც მკვლელობის უშუალოდ ჩამდენი. შესაბამისად, დაზარალებულს ასეთ შემთხვევაში შეეძლო იარაღის მიმცემიც მოეკლა და ეს მას საპასუხო მკვლელობად არ ჩაეთელებოდა (ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 2015, 61, 110, 133, 171, 201, 215-216, იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 218, 259, 279, 313, 338, 350). გამოდის, რომ თანამედროვე სვანური ჩვეულებითი სამართლით, მკვლელისთვის იარაღის შეგნებულად მიმცემი აღიქმებოდა დანაშაულის მოთავედ, ორგანიზატორად, ან დამხმარედ, რის გამოც ისიც ხდებოდა პასუხისმგებელი დანაშაულისათვის, როგორც თანამონაწილე.

111 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 1989, 15; იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 18.

აჭარული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შეიძლება ვისაუბროთ წამქეზებლის პასუხისმგებლობაზე. იბ. აბაშიძის თანახმად, თუ მცირეწლოვანი, ან სულით ავადმყოფი მკვლელობას ჩაიდენდა, პასუხს არავის აგებინებდნენ, თუ ისინი ამას სხვისი შთაგონების გარეშე ჩაიდენდნენ. ხოლო თუ ისინი ამას გააკეთებდნენ სხვისი შთაგონებით, მაშინ ამ უკანასკნელს უნდა ეგო პასუხი ამ დანაშაულისთვის. კერძოდ, მის მიმართ სისხლს აიღებდნენ, ან სისხლის ფასს გადაახდევინებდნენ.[112] აქ გარკვეული სახით შუალობით ამსრულებლობასთან (და არა თანამონაწილეობასთან) უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც დანაშაულისთვის სწორედ შუალობითი ამსრულებელი აგებს პასუხს, ხოლო დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის რაიმე სახის პასუხისმგებლობაზე მასალებში არანაირი მონაცემი არ ფიქსირდება.

საერთოდ, აჭარაში ჩაწერილ მასალაში ხშირია პიროვნების დაქირავება მკვლელობის ჩასადენად.[113] ამ შემთხვევებში ძირითად პასუხისმგებლად, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მკვლელის დამქირავებელი, ანუ მკვლელობის წამქეზებელი, როგორც დანაშაულის თანამონაწილე, გვეელინება.

თუშეთთან დაკავშირებულ ჩვეულებითი სამართლის მასალაში ფიქსირდება ორი თანაამსრულებლის მიერ მკვლელობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, სტ. მენთეშაშვილს მოჰყავს ასეთი შემთხვევა: ერთ კაცს თოფი ეჭირა, მეორემ ჩახმახს გამოჰკრა, რის შედეგად გავარდნილმა ტყვიამ კაცი იმსხვერპლა. საქმე მოურიგებით დასრულდა. დამნაშავეებს 600 მანეთი გადაუხდიათ, როგორც ეს ხალხური სამართლით იყო განსაზღვრული. ამ თანხის ნახევარი ერთს გადაუხდია, ნახევარი მეორეს.[114] ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვალა, რომ ორივე პირს თანაბარი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული დანაშაულის ჩადენაში, ამიტომ ორივეს სოლიდარულად აგებინეს პასუხი ჩადენილი მკვლელობისათვის. ეს მაგალითი ადასტურებს ჩვენს მიერ სხვა ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ როდესაც მკვლელობა (დაჭრაც) წარმოადგენდა კერძო სამართალდარღვევას, მთავარი იყო დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსირება და პასუხისმგებლობის ზომა (გადასახდელი ქონებრივი საზღაურის ოდენობა) არ იყო დამოკიდებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობაზე.[115] თუშეთში მკვლელობისათვის გადასახადი 600 მანეთს უდრიდა და ამ შემთხვევაში ორმა თანაამსრულებელმა ზუსტად იმდენი გადაიხადა, რამდენსაც გადაიხდიდა ერთი დამნაშავე რომ ყოფილიყო.

1. 1. 3. პასუხისმგებლობა მკვლელობის მცდელობისათვის. მასალების მიხედვით სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ცალსახად დასტურდება პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის. ჩვენ ეს საკითხი სპეციალურად შევისწავლეთ სხვა ნაშრომში.[116] აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში, კერძოდ კი უშგულის თემში დაფიქსირებულია, რომ

112 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 10.

113 მაგალითად, იხ. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 15.

114 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, 1937, პირადი არქივი, 167-168.

115 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 149.

116 იქვე, 165-186.

თოფის სროლის შემთხვევაში, თუ პიროვნება ააცილებდა მსხვერპლს უნდა დაეფიცა სათანადო წესით, რომ მოკვლა არ უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნახევარი წორი უნდა გადაეხადა.[117] ეს ნიშნავს, რომ ნახევარი წორი თოფის მსროლელს დაეკისრებოდა მკვლელობის მცდელობისათვის.

მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულ მასალაში გვხვდება ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მორვებმა მძიმე დაჭრისთვის პიროვნებას სრული წორი დააკისრეს. სხეულის დაზიანება იმდენად მძიმე იყო, რომ დაზარალებული ვეღარ საუბრობდა და ამ ჭრილობის შედეგად სამუდამოდ დაავადმყოფდა. ინფორმატორის განმარტებით სრული წორის დაკისრება იმიტომ მოხდა, რომ დამნაშავის „ხელიდან განზრახ მოკლული იყო".[118] გამოდის რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობას ადგილი არ ჰქონია, მოხდა მძიმე დაჭრა და დაზარალებული ძლივს გადაურჩა სიკვდილს, თუმცა მორვებმა დამნაშავეს დააკისრეს სასჯელი – სრული წორი – რაც განზრახ მკვლელობისათვის იყო გათვალისწინებული. მორვებმა ამის ასახსნელად სწორედ იმ გარემოებას გაუსვეს ხაზი, რომ დამნაშავემ ფაქტიურად მოსაკლავად გაიმეტა დაზარალებული, ეს უკანასკნელი დამნაშავის ხელიდან განზრახ მოკლული იყო, თუმცა ღვთის წყალობით გადარჩა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მორვებმა დამნაშავეს განზრახ მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელი დააკისრეს, რადგანაც ჩათვალეს, რომ დამნაშავის მხრიდან მკვლელობის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ეს მაგალითი მიუთითებს, რომ სვანურ სინამდვილეში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საქმის განხილვისას, შესაძლებელი იყო მორვებს სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობის მიყენება, რომელიც არ დასრულებულა ლეტალური შედეგით (ჭრილობის ხასიათის გათვალისწინებით, თუ იგი დამნაშავის ქმედებაში მკვლელობის მიზანს მიუთითებს), მკვლელობის მცდელობად შეეფასებინათ და ამისათვის განზრახი მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელი დაეკისრებინათ. სამწუხაროდ, სხვა ანალოგიური მონაცემი ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ გვხვდება და ამდენად, ძნელი სათქმელია ასეთი გადაწყვეტილება მორვებმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღეს, თუ სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც იგივეს ჰქონდა ადგილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ XX საუკუნის განმავლობაში სვანურ ჩვეულებით სამართალში მოხდა მკვერთი შემობრუნება სუბიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრებისკენ, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება სრულიად შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც მომხდარიყო.

ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ აქ სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას ხანჯლის წვერით თუ ტყვიით მიყენებული ჭრილობა (თუნდაც მსუბუქი) განიხილებოდა მკვლელობის მცდელობად, რაც სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებებშიც კარგად ჩანს და ნახევარი სისხლის გადახდას ითვალისწინებს.[119] ასევე ჩანს მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობა თუ პიროვნება მეორეს თოფს მიზანმიმართულად ესროდა, თუმცა ააცდენდა. ამ შემთხვევაში ბ. გაბუურის მიხედვით, გადასახადი

117 იხ. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №2, 1968, 55, 68.

118 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №3, 1968, 6-7.

119 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 548; ბ. გოგოჭური ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 54; განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მ[illegible]აცემს ეხვდებით ბ. გოგოჭურთან. მის მიხედვით, თუ მკვლელობის მიზნით თოფით ნასროლი ტყვია დაზარალებულს ტანზე მოხვდებოდა, მაგრამ იგი გადარჩებოდა, ასევე 30 ხელითი ძროხა „სამთელმკვდროს" გადახდა იყო საჭირო (ბ. გოგოჭური, იქვე).

– „სამთელსამკვდრო“[120] 5 ძროხას შეადგენდა.[121] 1988 წელს ჩაწერილ მასალაშიც ჩნდება ცნობა, რომლის მიხედვითაც, თუ პიროვნება ჩხუბის დროს თოფს ესროდა ადამიანს, თუმცა მიზანს ვერ მოარტყამდა, ვისაც ესროდა მასთან უნდა მისულიყო და მისთვის საკლავი დაეკლა.[122] ბ. გოგოჭური ფაქტიურად ადასტურებს ბ. გაბუურის მონაცემს და მიუთითებს, რომ თუ პიროვნება მოკვლის მიზნით დამიზნებით თოფს ესროდა მეორე პიროვნებას, მაგრამ ააცილებდა, მისთვის 5-დან 8 ძროხამდე ღირებულების „სამთელმკვდრო“ დრამა უნდა გადაეხადა, ხოლო თუ ნასროლი ტყვია ტანსაცმელში გაუვლიდა, მაშინ 30 ძროხის ღირებულების სამთელმკვდრო.[123] ეს მონაცემები ცალსახად მიანიშნებს, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლით მკვლელობის მცდელობა დასჯადი იყო. როდესაც პიროვნება ყველაფერს გააკეთებდა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ეს შედეგი არ დადგებოდა, მაშინაც კი, როდესაც დაზარალებულს არავითარი ზიანი არ მიადგებოდა, დამნაშავე პასუხს აგებდა. ეს კი ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენდა.

გარკვეული მწირი მონაცემები მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გვხვდება ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც. ზოგიერთი მონაცემით, აქაც მკვლელობის მცდელობა პასუხისმგებლობას იწვევდა. ფშაველ ინფორმატორთა ნაწილის მიხედვით, მკვლელობის მცდელობა 60 ძროხად ფასდებოდა (ანუ სრული სისხლის ღირებულება), ზოგიერთი ინფორმატორის მონაცემით კი ნახევარი სისხლი.[124] ფშაველი ინფორმატორი მიუთითებს, რომ „მნიშვნელობა ენიჭებოდა – გესროლე, მაგრამ ვერ გაგარტყი, ან მოგიღერე და სხვისი ხელის შეშლით აგაცილე. ამ დროს ნახევარ მკვლელობად ფასდებოდა მსროლელისა და მომღერებლის მოქმედება.“[125] ჯ. მერაბიშვილის დაკვირვებით, ფშავში მკვლელობის მცდელობის კვალიფიცირებისათვის მთავარი იყო განზრახვის არსებობა, სურვილი პიროვნების მოკვლისა, თანაც ეს სურვილი გარკვეული მოქმედებით უნდა გამოხატულიყო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა მცდელობის სიმძიმის ხარისხი და შესაბამისად დაეკისრებოდა დამნაშავეს სრული, ან ნახევარი სისხლი.[126]

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ფშაურ ჩვეულებით სამართალში

120 სამთელსამკვდრო, სამთელმკვდრო დრამა – საზღაური გათვალისწინებული მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის, „სიცოცხლით თავის გათავებისას“. „სამთელმკვდროს“ ყველა შემთხვევაში იღებდა სოცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილი დაზარალებული, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, ან სიკვდილის საფრთხის წინაშე იდგა (იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 416-417).

121 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 142.

122 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 6. დაზარალებულთან მისვლა საკლავით და არყით ხევსურული ჩვეულებითი სამართლით 5 ძროხას უდრიდა. ამდენად, XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორის ცნობა მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ბ. გაბუურის შესაბამისი ცნობის შესატყვისია.

123 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 53-54.

124 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“, II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, თბ., 1991, 44.

125 მ. კეკელია, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რველი, 1987, 25.

126 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“, II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, თბ., 1991, 46.

გარკვეული სახით დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობა. სამწუხაროდ, ზუსტი კრიტერიუმი არ ფიქსირდება იმისა, თუ როდის შეიძლება მკვლელობის მცდელობისათვის დამნაშავეს დაკისრებოდა სრული სისხლი, ან ნახევარი სისხლი.

1. 1. 4. მცირეწლოვნის, სულით ავადმყოფის და ქალის მიერ მკვლელობის ჩადენის შედეგები. კვლევის შედეგად ჩვენ დავადგინეთ, რომ სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მცირეწლოვნის და სულით ავადმყოფის მიერ მკვლელობის (ასევე დაჭრის) ჩადენა პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელ, ან შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სრული მოცულობით დგება იმ ჯგუფის მიმართ, რომლის წარმომადგენელიცაა დამნაშავე. სულით ავადმყოფი თუ მცირეწლოვანი მკვლელი (დამჭრელი), როგორც წესი, არ ხდებოდა შურისძიების ობიექტი. დაზარალებული მხარე თავის შურისგებას, ძირითადად, მისი გვარის (მამიშვილობის, სამხუბის) ვაჟკაცობით გამორჩეული წევრის წინააღმდეგ მიმართავდა. შერიგება არასრულწლოვანის, ან სულით ავადმყოფის მშობელთან, თუ მის უფროს დაძმებთან ხდებოდა. შერიგების შემთხვევაში, ცხადია, სისხლის ფასს დანაშაულის ჩამდენის ოჯახი გადაიხდიდა.[127]

მ. კოვალევსკის თანახმად, იგივე სურათია თუშური ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. აქაც, მაგალითად, შვიდი წლის ბავშვის მიერ მისი ამხანაგის ჩხუბში მოკვლა ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა.[128]

აღსანიშნავია ისიც, რომ მ. კეკელიას მიერ სვანეთში ჩაწერილი მასალების თანახმად, როდესაც არასრულწლოვნები (ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით „პატარა ბიჭები" 15 წლამდე) ჩაიდენდნენ მკვლელობას (ან დაჭრა-დასახიჩრებას), თუნდაც ერთმანეთის მიმართ, სისხლის აღება იშვიათად ხდებოდა და მკვლელის მშობლებს შესაბამის ქონებრივ საზღაურს ახდევინებდნენ. ასეთ შემთხვევაში სისხლის აღებას უფრო მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც სისხლის ფასის გადახდა არ მოხდებოდა. ასეთ დროს სულით ავადმყოფის, ან მცირეწლოვნის ახლობელს ისისხლებდნენ.[129] ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის, სულით ავადმყოფის მიერ ჩადენილი მკვლელობის (თუ დაჭრის) შემთხვევაში პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ დგებოდა სვანური ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესით. გარკვეული შეღავათის გაწევა იმაში გამოიხატებოდა, რომ ასეთ დროს უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო დაზარალებული მხარის დაყოლიება შერიგებაზე.

ბ. გოგოჭურის მონაცემით, ანალოგიურ შემთხვევაში შერიგება გაადვილებული ჩანს ხევსურეთშიც.[130]

---

127 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 59-63, 541-542. ერთ-ერთმა ხევსური ინფორმატორი იხსენებს ბარისახოში მომხდარ შემთხვევას, როდესაც ბავშვს შემთხვევით გაუვარდა თოფი და ბიძაშვილი შემოაკედა. ჩვეულებრივ მოხდა „თავის დადება" (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 40-41). ვ. გურკო-კრიაჟინის თანახმად კი 14 წლის ახალგაზრდამ მოკლა 40 წლის კაცი. ამ უკანასკნელის შვილმა მოკლა მკვლელის მამა მოკლე დროში (В. Гурко-Кряжжин, Хевсуры, Москва, 1928, 20).

128 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118.

129 ე. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 12; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 4, 5; გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 61-62.

130 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 45-46.

სვანურ ჩვეულებით სამართალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. მ. კეკელიას მასალებში არის მოწაცემი, რომლის მიხედვითაც, თუ სულით ავადმყოფი, ან მცირეწლოვანი მოკლავდა ვინმეს სრული წორის გადახდა უნდა მომხდარიყო.[131] მ. კეკელიას ინფორმატორთა უმრავლესობის ცნობით კი ასეთ შემთხვევაში წორის გადახდევინება გარკვეული შეღავათით ხდებოდა და შესაძლოა გადასახადი ნახევარ წორამდეც შეემცირებინათ.[132] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება გარკვეულწილად სულით ავადმყოფის და მცირეწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზეც გავრცელდა.[133]

ზოგიერთი კუთხის ჩვეულებით სამართალში ამ თვალსაზრისით განსხვავებულ დამოკიდებულებასაც ვხვდებით, რომელიც უფრო ესადაგება თანამედროვე სამართლებრივ აზროვნებას.

მაგალითად, აჭარაში მცირეწლოვნის ან სულით ავადმყოფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უშუალოდ მათ მიმართ, როგორც წესი, შურისძიების აქტი არ ხორციელდებოდა.[134] იბ. აბაშიძის ზემოთმოყვანილი მონაცემით თუ ვიმსჯელებთ, მცირეწლოვნის და სულით ავადმყოფის მიერ მკვლელობის ჩადენა პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, თუ ვინმე არ უბიძგებდა მას დანაშაულის ჩასადენად.

ეს მიანიშნებს, რომ აჭარის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მცირეწლოვანი და სულით ავადმყოფი მკვლელობის, როგორც დანაშაულის სუბიექტად, არ ითვლებოდა. სავარაუდოდ, იგივე იქნებოდა სხვა დანაშაულებთან მიმართებაშიც. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მცირეწლოვანი და სულით ავადმყოფი ადგილობრივი საზოგადოების მართლშეგნებით დანაშაულის სუბიექტად არ აღიქმებოდა.

ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება მონაცემები, რომელთა თანახმადაც შესაძლოა სულით ავადმყოფის მიერ მკვლელობის ჩადენისას პასუხისმგებლობის დაკისრებას არ ჰქონოდა ადგილი. მას არ მოკლავდნენ, იტყოდნენ: „თავისი სიგიჟე ეყოფაო“.[135] დ. ჯალაბაძე ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ შეურაცხადის დაუსჯელობა ფშაური სამართლის ერთგვარ ალტერნატიულ დამოკიდებულებას გამოხატავდა დანაშაულის სუბიექტისადმი, რაც ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოეყენებინათ და ჩვეულებრივ, სასჯელი შეეფარდებინათ.[136] აქ ჩანს, რომ შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობისას პასუხისმგებლობა ფშავში ხევსურეთთან შედარებით შერბილებული იყო და შესაძლოა პასუხისმგებლობის დაკისრებაც გამოერიცხათ.

131 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 107.

132 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 43, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 13, 42,

133 იგივე დასტურდება 2015 წელს ჩაწერილი მასალითაც. ზოგიერთი თანამედროვე ინფორმატორის ცნობით, სულით ავადმყოფის და მცირეწლოვნის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხს არავის სთხოვდნენ, ან მორვები ამცირებდნენ პასუხისმგებლობას (ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 82, 187; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 235, 326).

134 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15.

135 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 9.

136 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელ ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, 2003, 68-69.

საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც საკვლევ პერიოდში ჩვეულებითი სამართალი შენარჩუნებული იყო (მაგალითად, სვანეთსა და ხევსურეთში), ქალის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში (ისე როგორც სხვისი დაჭრა-დასახიჩრებისას), რაც იშვიათად ხდებოდა, ისეთივე პასუხისმგებლობა დგებოდა, როგორიც მამაკაცის მიერ ანალოგიური დანაშაულის ჩადენისას. საქართველოს მთის რეგიონებში სისხლის აღების მიზნით ქალის მოკვლა (ან საპასუხოდ ქალის დაჭრა) სამარცხვინო საქციელი იყო და ამდენად ქალის ნაცვლად შურისძიება ქალის პატრონის მიმართ განხორციელდებოდა – თუ გაუთხოვარი იყო პასუხს მამას, ძმებს აგებინებდნენ, ხოლო თუ გათხოვილი იქნებოდა, მაშინ სისხლის აღების (თუ საპასუხო დაჭრის) ობიექტი მისი ქმარი, შვილები გახდებოდნენ. საინტერესოა, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა დანიშნული ქალის მიერ ჩადენილი მკვლელობის (დაჭრის) შემთხვევაში. ამ საკითხის მოწესრიგებას ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ვხვდებით. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში დანიშნული ქალი დამნიშნავი ვაჟის კანონიერ საცოლედ ითვლებოდა, პასუხს აგებდნენ ის და მისი მშობლები და არა ქალის დამნიშნავი ვაჟი. ეს გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ქალი ქორწილის შემდეგ საბოლოოდ არ წავიდოდა ქმრის სახლში და არ დაიწყებდა იქ ცხოვრებას.[137]

სვანურ ჩვეულებით სამართალში მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, ქალის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაშიც სისხლის აღება იშვიათად ხდებოდა და მხარეები სისხლის ფასის გადახდით მორიგდებოდნენ ხოლმე.[138] ეს ასევე მიუთითებს, რომ ქალის მიერ ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაშიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ტენდენცია შერიგების გაადვილებისა.

1. 1. 5. პასუხისმგებლობა პირუტყვის მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში. სხვა ნაშრომში ჩვენ გავნიხილეთ პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. სვანური ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ პირუტყვის მიერ ადამინის სიცოცხლის მოსპობა მისი პატრონის პასუხისმგებლობას იწვევდა, კერძოდ, მოკლულის სრული სისხლის ან მისი ნახევრის ოდენობით. დაახლოებით იგივე მონაცემები ფიქსირდება ხევსურეთშიც.[139] ხევსურული რჯულით, თუ კაცი ცხენის ჭენებით დაეჯახებოდა კაცს და მოკლავდა, ან დააზიანებდა მას, ცხენის პატრონი სრულად აგებდა პასუხს მკვლელობისათვის თუ სხეულის დაზიანებისათვის.[140]

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მონაცემები იქნა დაფიქსირებული სვანურ ჩვეულებით სამართალში 2015 წელს ჩაწერილი მასალებით. თუ სოფელში გამოჩნდებოდა მრჩოლავი პირუტყვი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა გარშემომყოფთ, მის პატრონს აფრთხილებდნენ, რომ ამ ხარს შეიძლება ვიღაცისთვის ზიანი მიეყენებინა. ინფორმატორის განმარტებით, თუ ეს პირუტყვი ასეთი

137 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 144.

138 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 12; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 4, 5.

139 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 70-75.

140 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 119.

გაფრთხილების შემდეგ ვინმეს დააზიანებდა, მოკლავდა მაშინ მის პატრონს შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მას ეს პირუტყვი გაფრთხილების შემდეგ უნდა გაეცვალა, გაეყიდა, ან დაეკლა.[141] ხარს გაფრთხილებამდე რომ მიეყენებინა ზიანი, ამ შემთხვევაში პატრონის პასუხისმგებლობა არ დადგებოდა.[142]

ხევსურეთშიც, თუ ავი ძაღლის პატრონი სოფელმა გააფრთხილა, მაგრამ მან მაინც არ დააბა ძაღლი და შემდეგ ამ ძაღლმა კაცი დაგლიჯა და მოკლა, ან სხეული დაუზიანა, ასეთ შემთხვევაში ძაღლის პატრონი პასუხს აგებს მკვლელობისათვის, თუ სხეულის დაზიანებისათვის. თუ პატრონი ადრე არ იყო გაფრთხილებული ძაღლის დაბმის შესახებ და ასეთმა ძაღლმა დაკბინა კაცი, მაშინ დაზარალებულს მხოლოდ პატივი ედება – „ხმელი პატივის" სახით, რაც ერთი აბაზის გადახდაში გამოიხატებოდა და დრამის თუ თავსისხლის გადახდა არ დაეკისრებოდა.[143] მრჩოლავი პირუტყვის, თუ ავი ძაღლის პატრონის სათანადო გაფრთხილების შემდეგ ამ პირუტყვის მიერ ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა პატრონის დაუდევრობით იყო განპირობებული. ამ მონაცემებში ჩანს, რომ სვანური ჩვეულებითი სამართალი სუბიექტურ ფაქტორს უკვე პირუტყვის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაშიც ეფუძნება. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მონაცემებისაგან განსხვავებით პირუტყვის მიერ ზიანის მიყენებისას მისი პატრონი პასუხს აგებდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი საკუთარი პირუტყვის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით არ დაიცავდა გარკვეულ გაფრთხილების ნორმებს, მაგალითად, სათანადო გაფრთხილების შემდეგ არ უზრუნველყოფდა იმას, რომ მისი მრჩოლავი პირუტყვი უსაფრთხო ყოფილიყო გარეშემყოფთათვის. აღსანიშავია იგივე სამართლებრივი შედეგი ანალოგიურ შემთხვევაში ხევსურული რჯულითაც.

ბ. გოგოჭურის მონაცემით, ხევსურული რჯულით, პატრონიანი ძაღლის მიერ კაცისთვის სხეულის დაზიანებისას დრამის იგივე რაოდენობის გადახდაა სავალდებულო, რაც იარაღით დაჭრის შედეგად იქნებოდა გადასახდელი.[144] აქ შემთხვევითი არ არის ხაზგასმა იმაზე, რომ სხეულის დაზიანება მოხდა ძაღლის პატრონის თანდასწრებით – „პატრონიანი ძაღლის" მიერ. ეს მიუთითებს იმას, რომ პატრონის გარეშე ძაღლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა შესაძლოა საერთოდ არ დამდგარიყო (თუ პატრონი წინასწარ არ იქნებოდა გაფრთხილებული რომ ძაღლი დაება). პატრონის თანდასწრებით ძაღლის მიერ სხვისთვის ზიანის მიყენება პატრონის თანდასწრებით ამ უკანასკნელის ბრალეულობასთან (განზრახვასთან თუ დაუდევრობასთან) იქნებოდა დაკავში-

141 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 186, 236-237; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 325, 368-369.

142 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 106, 129-130; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 256, 276. საინტერესოა რომ მრჩოლავი პირუტყვის მიერ ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ეს ნორმები ფაქტიურად ანალოგიურია ვახტანგის სამართლის წიგნის 196-ე მუხლისა, რომლის თანახმადაც, მრჩოლავი პირუტყვი მას შემდეგ რაც მის პატრონს მეზობლები გააფრთხილებდნენ, რომ მოეკლა, დაეკლა, ან გაეყიდა იგი, მოკლავდა, ან დააშავებდა ვინმეს, მის პატრონს ამისათვის პასუხი უნდა ეგო (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 529-530).

143 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 119.

144 იქვე.

რებული და შესაბამისად პასუხისმგებლობის გამომწვევი.

აღნიშნულ საკითხს გვინდა შევეხოთ აჭარული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, იბ. აბაშიძის ერთი მონაცემის საფუძველზე. ამ მონაცემის თანახმად, თუ პიროვნება გაუშვებდა თავის საქონელს (პირუტყვს) დიდ გზაზე, ანუ სახალხო გზაზე და ეს პირუტყვი გამოიწვევდა ადამიანის სიკვდილს, პასუხისმგებლობა პირუტყვის პატრონს ეკისრებოდა და სისხლის საზღაური მას უნდა გადაეხადა ადამიანის სიკვდილისათვის. თუ პირუტყვი მისით გაწყვეტდა თოკს და ადამიანის სიკვდილს გამოიწვევდა, პასუხისმგებლობა პირუტყვის პატრონს არ დაეკისრებოდა.[145] ეს მაგალითი ცალსახად მიუთითებს, რომ აჭარული ჩვეულებითი სამართლის თანახმადაც, პირუტყვის მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შესაძლოა დაკისრებოდა მის პატრონს. ეს მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ჩაიდენდა პირუტყვი, რომლის პატრონი არ დაიცავდა გაფრთხილების წესებს და პირუტყვს უმეთვალყურეოდ გაუშვებდა სახალხო გზაზე. თუ პირუტყვის პატრონი დაიცავდა გაფრთხილების წესებს, მაგრამ პირუტყვი თოკს გაწყვეტდა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გამოიწვევდა, მას პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ამდენად, ამ მონაცემის მიხედვით გამოდის, რომ ხალხური მართლშეგნებით, პირუტყვის პატრონი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, რომ სახალხო გზაზე გაშვებულ პირუტყვს შეიძლება ვინმე დაეზიანებინა და მისი სიკვდილიც გამოეწვია და თუ მან ეს არ გაითვალისწინა, ანუ თავისი მოვალეობა არ შეასრულა და პირუტყვმა ვინმეს სიკვდილი გამოიწვია, ამ შემთხვევაში შესაძლოა ვიმსჯელოთ პირუტყვის პატრონის პასუხისმგებლობაზე მისი გაუფრთხილებლობის, კერძოდ, დაუდევრობის გამო. პირიქით, თუ გაითვალისწინებდა ამ ვალდებულებას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდებოდა პირუტყვის მიერ სხვისი დაზიანება, იგი პასუხს არ აგებდა. ასე რომ, აჭარული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით შეიძლება ვისაუბროთ დაუდევრობის გამო პასუხისმგებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ საკითხზე მხოლოდ ეს ერთი ზოგადი მონაცემი მოგვეპოვება, რომელიც კონკრეტული ფაქტებით განმტკიცებული არაა. აქედან გამომდინარე ამ საკითხზე დაბეჯითებით საუბარი მხოლოდ დამატებითი მონაცემების მოპოვების შემდეგაა შესაძლებელი.

1. 1. 6. პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის. სიმთვრალეში ჩადენილი განზრახ მკვლელობისას (თუ დაჭრისას) რაიმე შეღავათის გაწევას ადგილი სვანურ ჩვეულებით სამართალში ადგილი არ ჰქონდა. არაერთი სვანი ინფორმატორი ამას ერთხმად ადასტურებს.[146] ხევსური ინფორმატორის მიხედვითაც, ხევსურეთში არ ჰქონდა მნიშვნელობა მკვლელობა ჩადენილი იქნებოდა სიფხიზლეში, თუ სიმთვრალეში. მკვლელი მკვლელია და თავის დადება ერთნაირად მოხდებოდა, მითუმეტეს, მკვლელობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხევსურეთში სწორედ სიმთვრალეში ხდებოდა.[147]

ეს სრულად ეხმიანება ძველ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში, კერძოდ,

145 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 40.

146 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 6, 33, 58; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 42; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 36; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 31, 45, 70-71, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 23.

147 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 77.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დადგენილ პრინციპს (მუხლი 93-ე), რომლის მიხედვითაც სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა.[148] მხოლოდ არის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, შედარებით მსუბუქი ხასიათის დანაშაულზე (როდესაც სახეზე არაა მკვლელობა თუ მძიმე დაჭრა), შესაძლოა სიმთვრალისთვის ანგარიში გაეწიათ და იგი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გაეთვალისწინებინათ.[149]

ფშაველში ჩაწერილი მონაცემების მიხედვით სიმთვრალეში ჩადენილი მკვლელობის შეფასებისას ჯ. მერაბიშვილის გამოკვლევით, ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ინფორმატორთა ნაწილს სიმთვრალე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიაჩნია, ნაწილი კი თვლის კი რომ, სიმთვრალეში დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) ჩამდენი ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც სიფხიზლეში იგივე ქმედების ჩამდენი. ინფორმატორთა გარკვეული ნაწილი კი ასეთ დანაშაულს პასუხისმგებლობის დამამძიმებლად მიიჩნევს.[150] ჯ. მერაბიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ღვინის კულტურის ქვეანაში, სადაც სასმელის სმის რიტუალური წესები იყო შემუშავებული, მთვრალი კაცის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეღავათი არ ექნებოდა და იგი მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა.[151] როგორც ჩანს, ფშაველში სიმთვრალეში ჩადენილი მკვლელობის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება არსებობდა, როგორიც სვანურ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება და ზოგადად ქართულ სამართლებრივ აზროვნებას ესადაგება.

1. 1. 7. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები მკვლელობისას. თავდაპირველად პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს შევეხებით.

ზოგადად ქართულ ჩვეულებით სამართალში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენა განზრახვის გარეშე. ეს დებულება შესაძლოა მკვლელობის შემთხვევაზეც გავავრცელოთ, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობისას ობიექტური შერაცხვის პრინციპის გათვალისწინება XX საუკუნის დასასრულის მასალებშიც კი გვხვდება.[152] მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ობიექტური შერაცხვის პრინციპების გათვალისწინება მაინც გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. XX საუკუნის სვანურ მასალებში უკვე კარგად ჩანს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისას მორვები ითვალისწინებდნენ მკვლელობის უნებლიედ ჩადენის ფაქტს და შესაბამისად ამცირებდნენ ამის გამო პასუხისმგებლობას. საქართველოს სხვა კუთხეებშიც, სადაც საკვლევ პერიოდში ჯერ კიდევ შემორჩა მკვლელობის საქმეების ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით განხილვის წესი, მკვლელობის უნებლიედ ჩადენა ამსუბუქებ-

148 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 505.

149 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 58.

150 იხ. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 42–43.

151 იქვე, 43.

152 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 88-111.

და პასუხისმგებლობას.[153] თვით ხევსურეთშიც (სხვა კუთხეებზე რომ არაფერი ვთქვათ), მკვლელობის უნებლიედ ჩადენა აადვილებდა დაზარალებული მხარის შერიგებაზე დათანხმებას, რაც მიუთითებს იმას, რომ აქაც მკვლელობის უნებლიედ ჩადენის ფაქტორი სრულად იგნორირებული არ ყოფილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მკვლელობის საქმეზეც დანაშაულის უნებლიედ ჩადენის ფაქტორი ძირითადად მაინც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა.

პასუხისმგებლობის შემამასუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა ნათესავის მკვლელობაც.[154] დამატებითი მონაცემებით აღნიშნული აჭარულ ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, ძმის მკვლელობისას სისხლის აღება აკრძალული იყო, მთელი გვარი არ დაუშვებდა ამას, თუმცა შესაძლებელია ძმის მკვლელი ოჯახიანად გადახვეწილიყო.[155] ნათესავის მკვლელობას აჭარაში შესაძლოა სისხლის აღება მოჰყოლოდა, თუმცა შერიგება მაინც გაადვილებული იყო.[156] მოხევე ინფორმატორის თქმითაც, ძმის მკვლელობისათვის რაიმე სასჯელი არ იყო გათვალისწინებული.[157] მ. კოვალევსკის თანახმად კი, თუშეთშიც მამის და ძმის მკვლელობა არ იწვევს არც სისხლის აღებას და არც კომპოზიციის მოთხოვნას.[158] იგივე ითქმის ფშავზეც. აქაც „საკუთარი ნათესავის მოკვლისათვის სისხლის აღებას ადგილი არ ჰქონდა და ამიტომ მამა თუ შვილს მოჰკლავდა ან ძმა ძმას, თემი მას არ დასჯიდა."[159]

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა ასევე ქურდის, მრუში ცოლის, თუ მისი საყვარლის მკვლელობა, რასაც ვერ ვიტყვით სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე.[160] პასუხისმგებლობის

153 იხ. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 42.

154 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 212-221.

155 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8.

156 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 19.

157 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 31.

158 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118.

159 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1965, 73.

160 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 221-223. მაგალითად, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ დანიშნული ქალის მომტაცებლის მკვლელობა, ქურდის მკვლელობა ჩვეულებრივი წესით იწვევდა პასუხისმგებლობას (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53). კიდევ ერთ ხევსურ ინფორმატორს დავესესხებით, რომლის მიხედვითაც, მკვლელობა მძიმე შეურაცხყოფის, მაგალითად, ქალის მოტაცების გამო, მაინც მკვლელობისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას იწვევდა (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24). ჩრდილოკავკასიელებშიც, მაგალითად, ოსებში ქურდის და მრუში ცოლის საყვარლის მკვლელობა ცოლთან ნასწრების მომენტში, პასუხისმგებლობას ჩვეულებრივ იწვევდა (М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 94). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანამედროვე სვანი ინფორმატორის ცნობით, სხვის სახლში შეპარული ქურდის მკვლელობა სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობას ამსუბუქებდა (ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 29, 64, 87; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 183, 220, 240). როგორც ჩანს, სუბიექტური შერაცხვის პრინციპს ამ საკითხზეც მოუხდენია გავლენა და ხალხურ ცნობიერებაში ქურდის მკვლელობისადმი დროთა განმავლობაში განსხვავებული მიდგო-

შემამსუბუქებელ გარემოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მკვლელობა თავდაცვის მიზნით.[161] აქ შეიძლება ვიგულისხმოთ მკვლელობა ნებისმიერი სახის ძალადობისაგან თავის დაცვის შემთხვევაში. კერძოდ, ოჯახზე თავდასხმისას, რომლის მიზანია ოჯახის ქონების დაუფლება, ოჯახიდან ქალის (ცოლის, დანიშნულის) მოტაცება და სხვა, პიროვნებაზე ძალადობისას მისი სიცოცხლის მოსპობის მიზნით, ქალზე ძალადობისას გაუპატიურების მიზნით.[162] აქ მკვლელობა შეიძლება ჩაედინა უშუალოდ ქალსაც, ასევე ქალის ახლობელსაც.

გარკვეული მონაცემებით, დანაშაულის მონანიებაც შეიძლება გამხდარიყო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. მაგალითად, სვანეთში თუ მკვლელი მონანიების ნიშნად მოკლულის ოჯახში კერის ქვეშ გაძვრებოდა, ან კერას შემოუვლიდა სამჯერ ჩოქვით და ხვეწნით, მას პასუხისმგებლობა შეუმცირდებოდა.[163]

აჭარაში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მოკლულის ჭირისუფლის მიმართ მკვლელის, მისი ოჯახის გულწრფელი მონანიება, თავის დახრა, შესაძლოა პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელი გარემოებაც ყოფილიყო. მაგლითად, სოფელ ხიხაძირში მეფის რუსეთის ხანაში („ნიკოლოზის დროს") ასეთი ამბავი მომდარა: მეზობლის მკვლელისთვის მის მამას კისერზე საბელი წაუბავს და ასევე ყელსაბლიანი მიუყვანია მოკლულის ოჯახში, ეზოში დაუბავს და მისი მამისთვის უთქვამს: „რაც გინდა ის უყავიო." ჭირისუფალს უპასუხია: „რახან ასე გააკეთე, მიპატიებია სისხლიო".[164] სხვა შემთხვევაში ნინაიკაცებმა დაითახმეს მოკლულის მამა შერიგებაზე და ამ უკანასკნელმა მკვლელის მის სახლში მიყვანა მოითხოვა. წინაიკაცები წავიდნენ და ღამით ხარანით (ავი ძაღლის წასაყვანად იყენებდნენ) მოიყვანეს მკვლელი და მოკლულის ახორის წინ დააბეს. დილით მოკლულის მამასთან მივიდნენ, მან სახლში არ შეუშვა: ათი დღე ჩემთან დადიოდით, თქვენი ხათრით მორიგებაზე დავთანხმდი და ეხლა მკვლელიც ვერ მოიყვანეთო?! წაინიკაცებმა უთხრეს: გადი ახორის წინ აბია ის ძაღლიო. მოკლულის მამა გავიდა, ახსნა თოკი და მკვლელი ოჯახში შეიყვანა. მკვლელი მოკლულის მამამ სუფრასთან დაისვა. დაზარალებულმა მკვლელს არავითარი გადასახადი არ გადაახდევინა.[165]

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მკვლელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულის გადაწყვეტილებით მოხდა. კერძოსამართლებრივი დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავე მხარეს სწორედ იგი უნდა დაერწმუნებინა მონანიების გულწრფელობაში, რადგანაც განზრახი მკვლელობისას დამნა-

---

მა ჩამოყალიბებულა, რაც თანამედროვე ინფორმატორთა თანახმად ჩვეულებითი სამართლის ნორმებშიც ასახულა.

161 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 222. საინტერესოა, რომ 2015 წელს ჩაწერილი მასალის მიხედვით სვანურ ჩვეულებით სამართალში თავდაცვის მიზნით მკვლელობა უკვე აღიქმება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად (იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 78). ეს განპირობებულია სუბიექტური შერაცხვის პრინციპების დამკვიდრებით სვანურ ჩვეულებით სამართალში, რაც პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მოტივის, თუ მიზეზის გათვალისწინებაშიც გამოიხატა.

162 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 44.

163 იხ. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1961, 141.

164 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 19; 1991, 51.

165 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 87-88.

მავის პაუხისმგებლობისაგან სრული გათავისუფლება (რაც გამოიხატებოდა სისხლის აღებაზე თუ სისხლის ფასის მიღებაზე უარის თქმაში), მხოლოდ დაზარალებულ მხარეს შეეძლო.

საერთოდ ყელზე თოკის მობმა ძველთაგანვე უდიდეს სირცხვილად იყო მიჩნეული მსოფლიოს ბევრ ხალხში. ევროპულ ქვეყნებში დამნაშავე პირი ყელზე თოკს ჩამოიბამდა იმის ნიშნად, რომ თავის მოკვეთისა და ჩამოხრჩობის ღირსი ვარო.[166] ქართული სამართლის ძეგლებითაც ყელზე თოკის მობმა ასევე პიროვნების დამცირების, შერცხვენის გამოხატულება იყო.[167] თოკის ყელზე მობმას, ისე როგორც საერთოდ ქართულ სინამდვილეში, აჭარაშიც დამამცირებელი, შემარცხვენელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით იყო განპირობებული ის, რომ დაზარალებული სწორედ ყელსაბლიანი მკვლელის მოყვანას მოითხოვდა, რაც ამ უკანასკნელის დამცირებას, შერცხვენას ნიშნავდა, ამით კი ხდებოდა სისხლის აუღებლობით გამოწვეული სირცხვილის ერთგვარი გაწონასწორება.[168]

სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ცალსახად ჩანს, რომ მორვების მიერ დაკისრებული გადასახადის ოდენობაზე, მისი შემცირების თვალსაზრისით, გავლენას ახდენდა დამნაშავის (მკვლელის) სახელმწიფო ორგანოების მიერ დასჯის ფაქტი და ამ სასჯელის გარემოებები.[169] სვანები ყოველთვის ცდილობდნენ მათში მომხდარი დანაშაული თვითონ, საკუთარი წესებით განეხილათ და დამნაშავე ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დაესაჯათ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ორგანოებამდე არ მიეღწია. ამ ორგანოებს არასდროს აძლევდნენ დამნაშავის საწინააღმდეგო ჩვენებას, თუნდაც დაზარალებულები ყოფილიყვნენ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მეფის რუსეთის პერიოდში.[170] მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთის პერიოდშიც და საბჭოთა ეპოქაშიც სვანეთში გარკვეულ დამნაშავეებს, მათ შორის მკვლელებს, ცხადია, სახელმწიფო ორგანოები სჯიდნენ. ამ გარემოებაზე ა. დავითიანიც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ მთავრობას (მხედველობაშია მეფის რუსეთის მთავრობა) ხელში მაინც უვარდებოდა რომელიმე მკვლელი და სჯიდა კიდეც მას, კერძოდ, 8-10, ან 12 წლით გზავნიდა საკატორღო სამუშაოებზე. დაზარალებული, რომელსაც სახელმწიფო ორგანოში არ ჰქონდა შეტანილი საჩივარი, წლების განმავლობაში უცდიდა დამნაშავის დაბრუნებას. სანამ დამნაშავე სასჯელს იხდიდა, მის ოჯახს სისხლის აღების შიში არ ჰქონდა. სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ მკვლელს სიფრთხილე მართებდა. მას უცილობლად უნდა მიეღო ზომები სვანური წესით, ანუ სამედიატორო სასამართლოს მეოხებით შესარიგებლად.[171] მიუხედავად იმისა, მკვლელი სახელმწიფომ დასაჯა თუ არა, სვანური წესით, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საქმის გადაწყვეტა მაინც უნდა მომხდარიყო. სვანური წესით საქმე დასრულებულად არ ჩაითვლებოდა იმის გამო, რომ მკვლელმა სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სასჯელი მოიხა-

166 ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, 118.

167 იხ. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი - მუხ. 23 (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963, 433); ვახტანგ VI სამართლის წიგნი – მუხ. 69 (იქვე, 499).

168 ამ საკითხზე იხ. ო. ზოიძე, შერიგების პროცესი აჭარაში, ხელნაწერი, 30-32.

169 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 41.

170 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 91-94.

171 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 80.

და. საქმე დამთავრებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, როდესაც მხარეები მორვებით მორიგდებოდნენ.[172] ამდენად, სასჯელმოხდილს და მის ოჯახს დაბრუნებისთანავე რომ არ დაეწყო ზრუნვა შერიგებაზე და დაზარალებული მხარის იგნორირება მოეხდინა, ეს ცხადია სისხლის აღებისკენ უბიძგებდა დაზარალებულ მხარეს. ზოგადად, როგორც ა. დავითიანი აღნიშნავს სასჯელმოხდილი მკვლელი ნაკლებად საშიში იყო რომ მოეკლათ. საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ კაცს მკვლელობისათვის სასჯელიც მოეხადა სრულად და ბოლოს მოეკლათ კიდეც. თუმცა თუ რაღაც ახალ კონფლიქტს ექნებოდა ადგილი, რაც იშვიათად ხდებოდა, შესაძლოა დაზარალებულის ოჯახს სისხლი აეღო. ახალი კონფლიქტი შეიძლება გამოეწვია რაიმე ახალ სერიოზულ ჩხუბს ოჯახებს შორის, ან დატრაბახებას მკვლელობასთან დაკავშირებით. თუ ასეთ ახალ კონფლიქტს არ ექნებოდა ადგილი, შესაძლოა სოფელს, თემს მოეთხოვა დაზარალებული ოჯახისაგან შერიგება ნაცნობარ თუ ნაკატორღალ მკვლელთან, რაც ადრე თუ გვიან მიღწეული იქნებოდა.[173] საერთოდ, მკვლელის ციხეში ყოფნა ხელს არ უშლიდა შერიგებაზე მოლაპარაკების წარმოებას. შეიძლება ითქვას ხელსაც კი უწყობდა ამ პროცესს და ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის შერიგებაზე დათანხმება უფრო ადვილდებოდა და შესაბამისად გადასახადის ოდენობაც მცირდებოდა.[174] მ. კეკელიას არაერთი სვანი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ თუ მკვლელს (ზოგადად დამნაშავეს) სახელმწიფო სასამართლო დასჯიდა, მორვები ამას მხედველობაში იღებდნენ და დამნაშავეს გარკვეულ შეღავათს გაუვრცელებდნენ.[175] ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ მკვლელის ციხეში ყოფნა, მის მიერ სასჯელის მოხდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა.[176]

მ. კეკელიას მასალებში არის მოცემული კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მორვებმა გაითვალისწინეს მკვლელის ციხეში ყოფნის ფაქტი და ამისათვის შეამცირეს წორის ოდენობა.[177] ერთ შემთხვევაში მორვებმა მკვლელს განზრახი მკვლელობისათვის დააკისრეს მხოლოდ ნახევარი წორი. ეს ინფორმატორმა ახსნა იმით, რომ დამნაშავეს ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მკვლელი ვადაზე ადრე დაბრუნდა სახლში ძალზედ მძიმედ დაავადებული, როგორც ინფორმატორმა აღნიშნა – „ცოცხალ-მკვდარი“.[178]

მორვები საქმის გადაწყვეტისას ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, თუ რა სიმძიმის სასჯელს აკისრებდა სახელმწიფო დამნაშავეს და ამის მიხედვით ამცირებდა მკვლელობისათვის გადასახადის ოდენობას.[179] მოყვანილ მონაცემებში ჩანს ასევე, რომ მორვები მკვლელობისათვის წორის ოდენობის განსაზღვრისას (ისე როგორც სხვა დანაშაულისათვის გადასახადის ოდენობის

172 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 15.

173 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 81.

174 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 6.

175 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 73; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 34, 51.

176 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 23.

177 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 62.

178 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 17-18.

179 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 6.

დადგენისას) ითვალისწინებდნენ იმას, თუ როგორ მდგომარეობაში დაბრუნდებოდა დამნაშავე სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სასჯელის მოხდის შემდეგ შინ, ან საერთოდ დაბრუნდებოდა თუ არა. ინფორმატორის განმარტებით, თუ მკვლელი ციხეში, ან გადასახლებაში დაიღუპებოდა, მაშინ შესაძლოა საქმე დასრულებულიყო.[180] ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მორვებზე იყო დამოკიდებული. მ. კეკელიას მასალებში გვხვდება შემთხვევა, როდესაც მკვლელი ციხეში „ძვლიანად დაიკარგა", ე. ი. ისე დაიღუპა, რომ ოჯახმა მისი გვამიც ვერ მიიღო და საკუთარ მიწაში ვერ დამარხა სიკვდილის შემდეგ. ამ საქმეზე მკვლელის ჭირისუფლებმა მისი „ძვლიანად დაკარგვის" ერთ წორად შეფასება მოითხოვეს, თუმცა მორვებმა არ გაიზიარეს ეს მოსაზრება და ეს ფაქტორი ნახევარ წორად შეაფასეს.[181] მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია ამ შემთხვევაში მორვებს მკვლელის დაღუპვა და „ძვლიანად დაკარგვა" ერთ წორად შეეფასებინათ, თუმცა ამ კონკრეტულ საქმეზე ეს მორვებმა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს.

ბოლოს ვიტყვით, რომ წორის ოდენობის განსაზღვრისას მკვლელის მიერ სასჯელის მოხდის გათვალისწინება მორვების მიერ, ჩვენი ვარაუდით დაიწყო იმ დროიდან, როდესაც სვანურ ჩვეულებით სამართალში მორვებმა ზოგადად დაიწყეს სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება განაჩენის გამოტანისას. მანამდე კი მკვლელის მიერ სასჯელის მოხდა დაზარალებული მხარის შერიგებაზე შედარებით ადვილად დათანხმების განმაპირობებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო.

ახლა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს შევეხებით. მკვლელობისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ამ დანაშაულის ჩადენა ეკლესიაში თუ სალოცავის (ჯვარ-ხატის) ტერიტორიაზე.[182] აჭარაში უაღრესად საძრახისად ითვლებოდა ჯამეში (მეჩეთში) კაცის მოკვლა, რასაც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა ხოლმე ადგილი, რადგან ჯამე ღვთის სახლად იყო მიჩნეული, სადაც ღმერთის სადიდებელი რიტუალი სრულდებოდა.[183]

მკვლელობისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით გვხვდება მკვლელის მიერ მოკლულის შეურაცხყოფა, დამცირება, კერძოდ, თუ მკვლელობის შემდგომ მკვლელი კიდევ მიაყენებდა მიცვალებულს შეურაცხყოფას მოკლულს ხანჯლით ან სხვა რაიმე იარაღით, მისი დამახინჯებისა და დაცინვის მიზნით, ასევე, დასამცირებლად მას თოფს წაართმევდა, ქუდს მოხდიდა და წაიღებდა, მოკლულს გაძარცვავდა, ზედმეტ ჭრილობას მიაყენებდა, ერთზე მეტ ტყვიას ესროდა, მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის ოდენობა იზრ-

180 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 23.

181 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 95-96.

182 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 198-200; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართა-", 3, თბ., 1991, 40.

183 იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 14.

დებოდა.[184] იგივე დასტურდება მაგალითად, ოსურ ჩვეულებით სამართალშიც, კერძოდ, თუ მკვლელი მოკლულს ააცლიდა იარაღს, ან წაიღებდა მის ტანსაცმელს, დამალავდა მოკლულის გვამს, რაც მის დროულ დასაფლავებას გამორიცხავდა, ან რაიმე სხვა სახით შეურაცხყოფას მიაყენებდა მოკლულის სხეულს, დამატებით უნდა გადაეხადა 12 ძროხა გვამის შეურაცხყოფისათვის.[185]

ხევსურეთში მკვლელობისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა მოკლულის სხეულის ნაწილების დაკარგვა, ვერ მოძიება.[186]

ცალკეული მონაცემით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა მკვლელობის ჩადენა ღალატით. მაგალითად, აჭარაში ჩაწერილი მონაცემების მიხედვით, განასხვავებდნენ მკვლელობას ჩადენილს მიპარვით, ღალატით (მათ შორის მოსისხლეთა შერიგების შემდეგ მკვლელობის ჩადენა), თუ პირდაპირ, ყაზახობით.[187]

ღალატით მკვლელობა მორალურად მიუღებელი იყო საქართველოს მთის რეგიონებში. მთის ყოფის და ზნე-ჩვეულებების რეალისტურად აღმწერი ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც მტერს დევნის მოსაკლავად, იფიცება, რომ „აქაც ღალატით და ჩასაფრებული არა ვკლავ....".[188]

ღალატით მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ძველი ქართული სამართლის მიხედვით. ღალატით მკვლელობისათვის პასუხიმგებლობის ზრდა სხვადასხვა სამართლის ძეგლის მიხედვით გვხვდება.[189] მ. კეკელიას თანახმად, ღალატით მკვლელობად ჩაითვლება ყოველგვარი მკვლელობა, რომელსაც მინდობილი კაცი არ მოელის არსად და არცერთ ვითარებაში.[190] როგორც ჩვენს ხელთ არსებული მწირი მონაცემებით ჩანს, იგივე მნიშვნელობა ჰქონდა ღალატით მკვლელობას ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. შერიგების შემდეგ ადამიანის მოკვლა სწორედ შერიგებას, მიცემულ სიტყვას, წინაიკაცების ავტორიტეტს მინდობილი ადამიანის მკვლელობას წარმოადგენდა, რომელიც, ცხადია, არ ელოდა რომ მოწინააღმდეგე მხარე სიტყვას გატეხდა. ღალატით მკვლელობად აღიქმებოდა მიპარვით, ჩასაფრებით მკვლელობა, რომელიც სრულიად მოულოდნელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. ასეთი რამ კი ქართველი ადამიანისათვის მორალურად დასაძრახი და მიუღებელი იყო. ასეთი დამოკიდებულება კი სრულიად შესაძლებელია ყოფილიყო განმაპირობებელი იმისა, რომ ხალხური სამართლით ღალატით მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაეთვალათ. ამას მხოლოდ იმ კუთხეების ჩვეულებით სამართლით შეიძლება ჰქონოდა ადგილი,

---

184 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 206; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 33; მისივე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯახაიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 168; ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 56.

185 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 151.

186 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 203-204.

187 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 3; 1989, №1, 5, 15.

188 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948, 6.

189 ამ საკითხზე იხ. მ. კეკელია, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2015, 91-96.

190 მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., 96.

სადაც მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას სუბიექტურ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ღალატით მკვლელობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად აჭარულ ჩვეულებით სამართალში ჩანს. ჩვენი ვარაუდით, სრულიად შესაძლებელია ასე ყოფილიყო საქართველოს სხვა ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლითაც.

ხევსური ინფორმატორის თქმითაც, ღალატით მკვლელობა უფრო მძიმეა, თუმცა მკვლელი რომ ღალატით მოკლა, მხოლოდ თავი თავში გაიბრება.[191] აქ ჩანს, რომ ხევსურეთში მკვლელის ღალატით მოკვლა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ინფორმატორი კი იძახის, რომ ღალატით მკვლელობა „უფრო მძიმეა", მაგრამ კონკრეტული მაგალითებით ეს არ დასტურდება. ნებისმიერი მკვლელობა ხევსურეთში ერთგვაროვან პასუხისმგებლობას იწვევდა. ბუნებრივია, ღალატით მკვლელობა (გარდა მკვლელზე შურისძიებისა) საზოგადოებაში მორალური თვალსაზრისით უფრო მიუღებლად, დასაგმობად ითვლებოდა, ვიდრე ღია, პირდაპირი მკვლელობა, რაც ჩვენი აზრით არის კიდეც ასახული ამ ინფორმატორის ნათქვამში, თუმცა ასეთი დამოკიდებულება სამართლებრივ სიბრტყეზე არ გამოვლენილა. თანაც ისიც აღსანიშნავია, რომ ღალატით მკვლელობები ხევურეთში ძალზედ იშვიათად თუ მოხდებოდა. აღნიშნული საერთოდ დამახასიათებელია კავკასიელი მთიელებისათვის. მ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ მას კავკასიელ მთიელებთან (ყაბარდოელებთან, სვანებთან) საუბრისას არაერთხელ გაუგონია, რომ მათში ფარული მკვლელობა მხოლოდ რუსული მმართველობის დადგომის შემდეგ ხდება.[192]

განმეორებით, არაერთგზის მკვლელობის ჩადენა იმ კუთხეების ჩვეულებითი სამართლით შეიძლება ყოფილიყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, სადაც მკვლელობა როგორც დანაშაული საჯარო სამართალდარღვევად ითვლებოდა.[193]

ავტოსაგზაო შემთხვევის გამო არაგანზრახი სიცოცხლის მოსპობისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ხალხური სამართალი მიიჩნევდა დამნაშავის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვებას და დაზარალებულისადმი დახმარების აღმოუჩენლობას. მაგალითად, ხევში დაახლოებით გასული საუკუნის შუა პერიოდში სამხედრო გზაზე მოხდა ავტოკატასტროფა, რომელსაც ერთი პიროვნება ემსხვერპლა. დამნაშავე – კ. გ. მიიმალა და დაზარალებული მიატოვა. ეს უკანასკნელი კი რამოდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის გამო დაზარალებულმა მხარემ არათუ მკვლელის, მისი გვარის შერიგებაზეც კი უარი თქვა.[194] ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ შერიგების გართულების მიზეზი დამნაშავის მიერ დაზარალებულის მიტოვება გახდა, რის გამოც მისი მყისიერი დახმარება არ განხორციელდა და სრულიად შესაძლებელია ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დაზარალებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ამ მაგალითიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ასეთ

---

191 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24.

192 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 6.

193 იხ. გ. დავითაშვილი, ჯ. მერაბიშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992, 4-5.

194 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №2, 19-20..

შემთხვევაში (როდესაც დამნაშავის მიერ მიტოვებული დაზარალებული არა ადგილზე გარდაიცვლებოდა, არამედ გარკვეული დროის შემდეგ) ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არა უნებლიე, არამედ უკვე განზრახ დანაშაულად აღიქმებოდა და ამდენად, მკვლელთან შერიგებაც რთულდებოდა, რაც პასუხისმგებლობის სიმძიმეზეც ახდენდა გავლენას. სავარაუდოდ, ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო ასეთი ქმედებისათვის საქართველოს სხვა კუთხეების ხალხური სამართლის მიხედვითაც.

1. 1. 8. გაბრა მკვლელობისას. გაბრის ინსტიტუტს ქართულ ჩვეულებით სამართალში ჩვენ სხვა ნაშრომში უკვე შევეხეთ, მათ შორის სვანურ და ხევსურულ სამართალთან დაკავშირებული მასალების საფუძველზე.[195] ჩვენ აქ სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში გაბრის ინსტიტუტის უკეთ წარმოჩენის მიზნით იმ ნაშრომში გამოუყენებელ მონაცემებს დავეყრდნობით.

სვანურ ჩვეულებით სამართალში გაბრის ინსტიტუტს მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში მოპოვებული მასალის მიხედვით განვიხილავთ.

ორმხრივი ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის განსაზღვრა სვან მორევებს საკმაოდ ხშირად უწევდათ და ამ შემთხვევაში ყოველთვის გაბრას მიმართავდნენ ხოლმე. ასევე ხდებოდა XX საუკუნის განმავლობაში გამართული მორევთა სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის დადგენის დროსაც.

მ. კეკელიას მოჰყავს ლატალელი ინფორმატორის ტარასი ნანსყანის ცნობა, რომელიც მორევად ყოფილა გირგვლიანებისა და ფარჯიანების გახმაურებული მრავალწლიანი მტრობის საქმეზე. ინფორმატორის თქმით, ორივე მხრიდან ექვს-ექვსი მკვლელობა იყო მომხდარი და შესაბამისად მორევებმა ორივე მხრის მიერ ერთმანეთისადმი მიყენებული ზიანი გაბრეს და გადასახადი არცერთ მხარეს არ დააკისრეს.[196] ასეთი რამ სვანეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მხარეები ერთმანეთთან მხოლოდ ერთგულების ფიცს დებდნენ და შესაძლოა ნათლიაობასაც ჰქონოდა ადგილი.[197] გასული საუკუნის 50-იან წლებში საპასუხო მკვლელობა განუხილავთ მედიატორებს. მორევების უფროსს საბოლოოდ გამოუცხადებია: „რადგან ორივე მხრიდან ტოლი რაოდენობითაა მოკლული, წორი არ გაჩნდება, მხარეები ისე უნდა შევარიგოთ, ერთმანეთის ოჯახში მიყვანითო.“[198] კიდევ ერთ შემთხვევაში ორ-ორი კაცი მოუკლავთ მხარეებს და მხოლოდ შემდეგ მომხდარა მორევების მიერ საქმის განხილვა. მორევებს ორივე მხრიდან თანაბარი რაოდენობის მკვლელობის გამო წორი არცერთი მხარისთვის არ დაუკისრებიათ[199] ეს კონკრეტული შემთხვევები გაბრის თვალსაჩინო მაგალითია. მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი აღწერს კონკრეტულ შემთხვევას, რომლის დროსაც ერთმა მეორე დაჭრა, ამ უკანასკნელმა კი მოკლა დამჭრელი. ამ შემთხვევაში მორევებმა მკვლელობისათვის 60 ძროხა დაადგინეს, თუმცა ამ ღირებულებას მკვლელის დაჭრისათვის 15 ძროხა გამოაკლეს, ასევე

---

195 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 226-231. ამ საკითხზე სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალებიდან ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა: ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 98, 102; ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 71, 78 და სხვა.

196 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №8, 1972-1973, 29.

197 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 90.

198 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 30-31.

199 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 80-82, 90.

30 ძროხა იმისათვის, რომ მკვლელი ციხეში მოკვდა, უფრო სწორად, საერთოდ დაიკარგა.[200]

ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ მორვები განაჩენის დადგენისას და საჭიროებისას გაბრის განხორციელებისას ითვალისწინებდნენ არა მარტო ერთმანეთისადმი ზიანის მიყენებას (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცემა, შეურაცხყოფა და სხვა), არამედ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან დამნაშავის (მაგალითად, მკვლელის) დასჯის ფაქტს და ამ სასჯელის შედეგს. ამის გათვალისწინების საჭიროება მეფის რუსეთის მმართველობის დროსაც შეიძლება ყოფილიყო. აღნიშნული შემთხვევაც სწორედ ამ პერიოდს ეხება, თუმცა ამის აუცილებლობა განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება-გაძლიერების ფონზე, როდესაც მკვლელობის (ასევე მძიმე დაჭრის) ჩამდენს ხელისუფლება უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო კანონების მიხედვით სჯიდა.

საერთოდ, საბჭოთა პერიოდში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მორვების მიერ სვანური ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე განაჩენის შესახებ მსჯელობისას დამნაშავის (მკვლელის) მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოტანილი განაჩენის შინაარსის გათვალისწინება.[201]

დამატებითი მონაცემების განხილვა გაბრის ინსტიტუტთან დაკავშირებით ხევსურეთში დაფიქსირებული მასალების საფუძველზეც მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

არხოტელი ინფორმატორი იხსენებს მკვლელობის შემთხვევას. დაზარალებულმა მხარემ ფეხში დაჭრა მკვლელის ძმა. როცა დაჭრილი გამოჯანმრთელდა მოკლულის მხარეს შუაკაცები მიუგზავნეს: „ნახევარ კაც დარჩა თქვენგან და ეს საქმე გაათავეთო". მოკლულის მხარე მაინც არ ურიგდებოდა და უთვლიდა: „თუ ნახევარ კაც დარჩა ჩვენ მთელ კაც მოგვიკლეს, მოვჰკლავთ და მაშინ გავსწორდებით". შემდეგ ისევ განახლდა ხვეწნა და შუაკაცობა და ბოლოს და ბოლოს მოხდა შერიგება. შუაკაცებმა მკვლელის მხარეს ნახევარი თავის გადახდა დააკისრეს.[202] როგორც ჩანს მკვლელის ძმის დაჭრა ნახევარ სისხლად შეფასდა და შესაბამისად აღნიშნული ჭრილობის სისხლი მკვლელობის სისხლის ნახევარში გაიბრა, რის შედეგადაც მკვლელის მხარეს ნახევარი სისხლი დარჩა გადასახდელი. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელი იყო სხვადასხვა სახის დანაშაულთათვის გათვალისწინებული საფასურის ერთმანეთში გაქვითვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაში გაბრა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ შურისძიების ნიადაგზე დაიჭრა მკვლელის ძმა, ანუ ის პიროვნება, რომელიც შურისძიების ობიექტთა წრეში შედიოდა. რომ დაეჭრათ (ან მოეკლათ) ისეთი პირი, რომელიც არ შედიოდა სისხლის აღების ობიექტთა წრეში (მაგალითად, მკვლელის ახლო ნათესავი დედის მხრიდან), მაშინ გაბრა არ მოხდებოდა, ხოლო აღნიშნული დანაშაული დამოუკიდებლად იქნებოდა განხილული.

კიდევ ერთ შემთხვევაში მოხდა პიროვნების მკვლელობა იმის გამო, რომ მან ვალის დაბრუნება მოსთხოვა ერთ პიროვნებას. ამის საპასუხოდ, მისმა ნათესავებმა მკვლელს გზა შეუკრეს და მოკლეს. შუაკაცებმა „თავი თავში გაუ-

200 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 96.

201 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 51.

202 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

ბრეს“ და პირველი მკვლელობის ჩამდენმა მხარემ ის ვალიც დააბრუნა, რის გამოც მკვლელობა მოხდა.[203]

ვ. ბარდაველიძის საარქივო მასალებში გვხვდება მკვლელობისას გაბრის საინტერესო კონკრეტული შემთხვევა. ვინმე ჩოდრიშვილის მკვლელობა დაბრალდა კინწათ ადუას. ჩოდრიშვილებმა ჩაიდინეს საპასუხო მკვლელობა და ასევე მძიმედ დაჭრეს თვით ადუა, რომელსაც ცხრა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ამისათვის მას რჯულის კაცებმა „სამთელსამკვდრო“ მიაკუთვნეს. ამ საქმეზე რჯულის კაცებმა არცერთ მხარეს არავითარი გადასახადი არ დააკისრეს და ორივე მხარის მიერ ჩადენილი დანაშაული ტოლი მნიშვნელობისად მიიჩნიეს. ორივე მხრიდან ჩადენილი მკვლელობა ერთმანეთში გაიბრა, ხოლო მკვლელისათვის მიყენებული ჭრილობა გაიბრა იმ ზიანში, რაც დაჭრილმა მიაყენა მოწინააღმდეგე მხარეს სახლიდან აყრით, ფუტკრის და საქონლის გაოხრებით და სხვა.[204] როგორც ჩანს, ქონებრივი და მორალური ზიანი შესაძლოა გაბრილიყო ჯანმრთელობის დაზიანებისათვის გათვალისწინებულ გადასახადში.

1. 2. დამოკიდებულება მკვლელობისადმი. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართალის მასალების მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ დამოკიდებულებაზე მკვლელობისადმი და მკვლელისადმი საქართველოში. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემები გვხვდება სვანურ მასალებში.

ცნობილია, რომ სვანეთში საკმაოდ დიდხანს შემორჩა სისხლის აღების ინსტიტუტი და მკვლელობას და შესაბამისად, საპასუხო მკვლელობას არცთუ იშვიათად ჰქონდა ადგილი. ნ. ჩიმაკაძე წერს: „თუ სვანს რაიმე ინტერესი აქვს მეორესთან, მაშინ ის ეძებს შესაფერის დროს და გარემოებას, რომ ჩაუსაფრდეს სადმე გზაში, ან ტყეში და აგრე ელოდება, სანამ არ გამოივლის მისი მსხვერპლი, ხოლო როცა გამოივლის, ესვრის ფარულად თოფს და თვითონ გარბის ტყეში, ან წამოეპარება და ხანჯლით დაჭრის.“[205] რატომღაც აეტორი აქცენტს არცთუ ობიექტურად სვანის მუხანათურ ქმედებებზე აკეთებს. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გვხვდება არაერთი კონკრეტული ფაქტი სვანეთში მკვლელობის ჩადენისა და მსგავსი მუხანათური ქმედებები ფაქტიურად არ ფიქსირდება.

უნდა ითქვას, რომ სვანისთვის მკვლელობის ჩადენა უაღრესად სამძიმო საქმეს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს ა. დავითიანი. მისი თქმით, სვანური სისხლის სამართლის უმძიმესი სეგმენტია მკვლელობა და მისგან გამომდინარე შედეგები. მისი განმარტებით, „მკვლელობის სისხლი დაულპობელია“ – ეს ნიშნავს, რომ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა თაობებზე გადადიოდა და არასდროს წყდებოდა.[206] ა. დავითიანი მიუთითებს, რომ სვანს საშინლად უმძიმდა კაცის სისხლის დაღვრა. ეს მისთვის ცოდვაც იყო და გაუბედურებაც, თუმცა მკვლელობა მაინც ხდებო-

203 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 1954, ა. ო. 7/9, 108.

204 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 10951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 124.

205 ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი II, ტფილისი, 1913, 6.

206 ა. დაეითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 42.

და.[207] გაუბედურება იყო იმიტომ, რომ მკვლელი, მისი ოჯახის წევრები, ნათესავები სისხლის აღების მოლოდინში, მუდმივად შიშში უნდა ყოფილიყვნენ და შესაძლოა ერთ მკვლელობას ორივე მხრიდან არაერთი ადამიანის სიკვდილი გამოეწვია, ხოლო თუ საქმე შერიგებამდე მივიდოდა მკვლელის ოჯახს ფაქტიურად არაერთი თაობის შრომით ნაგროვები თითქმის მთელი ქონება დაზარალებული ოჯახისთვის უნდა მიეცა.

ა. დავითიანი აღწერს იმასაც, თუ სვანების რელიგიური წარმოდგენით რაოდენ დიდ ცოდვას წარმოადგენდა მკვლელობა და რა ბედი ელოდა იმქვეყნად მკვლელს. ა. დავითიანი წერს: „.....რელიგიით კაცის მკვლელს სააქაო შავად უნდა გაეტარებია და საიქიოში ფისის ტბა მოელოდა. ამ სატანჯველში სხვა საშიშროებაც მოელოდა. ის უნდა მოეკლა მის მკვლელს იმ იარაღით, რა იარაღითაც თვითონ ჰყავდა მოკლული. ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ შიში და წინდახედულობა მსჭვალავდა მკვლელს. მისი მოკლული რითაც მოკლული იყო, თვითონაც იმ იარაღით უნდა მომკვდარიყო. დანით მოკლულის შიშით მის მკვლელს დანა „მიჰქონდა" საიქიოში, სადაც თავი უნდა დაეცვა მის მოკლულისაგან, რომელიც თითქოს სისხლის ასაღებად მზად მყოფი, თავს დაესხმოდა. ..... დანა თუ სხვა წერილი იარაღი კუბოში ედო მკვდარს გვერდით. იგი სიცოცხლეში მოვლილი და მოლესილი ჰქონდა, რომ ბრძოლაში საიმედო ყოფილიყო. ასეთი რწმენა მეტად ფეხმოკიდებული იყო მოსახლეობაში და ამ რწმენით გამსჭვალული მოხუცი თაობა ხშირად კმაყოფილებასაც გამოთქვამდა, რომ საიქიოში შეიარაღებული მიდიოდა თავისივე ხელით თავის დასაცავად."[208] იგივე ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ხალხური რწმენით, მკვლელობა მაინც დიდ ცოდვად ჩაეთვლებოდა მკვლელს საიქიოში, არავითარი შელავათი არ ექნებოდა იქ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ჩაიდინა მან ეს დანაშაული: განზრახვით მოკლა, თუ უნებურად, გამშველებელი მოკლა, თუ ვისი მოკვლაც სურდა, ერთი ჭრილობის მიყენებით მოკლა, თუ რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობით, ღალატით მოკლა, თუ პირდაპირ, აშკარა მტრობით, მოკლა კაცი, ქალი თუ ბავშვი. ნებისმიერ შემთხვევაში მისი სული სამუდამოდ წაიწყმიდებოდა. ხალხის რწმენით, ბავშვის სული ისეთივე სრული იყო, როგორც ზრდასრულის და ამდენად, მნიშვნელობა არ ჰქონდა, დიდი სული იყო თუ პატარა, კარგი, ცუდი თუ საშუალო.[209]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ სვანისთვის მკვლელობის ჩადენა არა მარტო ამქვეყნიურ ყოფაში იყო მისი გამაუბედურებელი, არამედ რელიგიური წარმოდგენით იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც ძალზედ მძიმე ყოფას უქადდა მას. ასეთმა რელიგიურმა შეხედულებებმა, როგორც ჩანს, გარკვეულწილად განაპირობა მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას ობიექტური შერაცხვის პირინციპების საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემონახულობა.

მკვლელობა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა ხევსურეთშიც. აქ მკვლელობისათვის ძალზედ მკაცრი რჯული იყო დადგენილი, რათა თავიდან ყოფილიყო მკვლელობის ჩადენა აცილებული და ისედაც ცოტა ხევსურები კიდევ უფრო მეტად არ შემცირებულიყვნენ. ხევსურეთში კაცის მოკვლა მკვლელისა და მისი ნათესაობისათვის დიდი უბედურების მომტანი იყო. კერძოდ, აქ

---

207 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 42

208 იქვე.

209 იქვე, 92.

მკვლელობა ინვევდა დიდ ხარჯებს, მკვლელის და მისი ოჯახის, ასევე ახლო მოგვარეების გახიზვნას, მალულად ყოფნას, მორჩილებას, პატივს მოკლულის ნათესაობისადმი. ხევსურეთში მკვლელობისადმი ასეთი დამოკიდებულება შემდეგ ფრაზებში გამოიხატებოდა: „სხვის მოკვლას თავის სიკვდილი სჯობიაო“, „ათასწილად საფლავჩი წასვლაი სჯობ კაცის მოკულას“ – ამბობდნენ ხევსურები. მკვლელის მდგომარეობას ამიძიმებდა ისიც, რომ შერიგება შესაძალოა მკვლელობიდან დიდი ხნის შემდეგ მომხდარიყო. ხშირად ეს მკვლელის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა.[210] მაგალითად, ერთ შემთხვევაში მკვლელობა მოხდა 1915 წელს, ხოლო საბოლოო შერიგება მხოლოდ 1972 წელს.[211]

ხევსურებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ გარკვეული უცხო ტომელის მკვლელობისადმი. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალების თანახმად, ბუდე-ხევსურეთის ხევსურებს ძალზედ სძულდათ ქისტები და ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს ქისტის მოკვლა მადლი იყო და თუ დაინახავდნენ, თითქოს სავალდებულოც კი იყო ქისტის მოკვლა. თუ ვინმე ქისტს მოკლავდა, დიდი სასახელო საქმე იყო და ერთი ქისტის მოკვლით მთელი გვარი ამაყობდა.[212]

ნეგატიური დამოკიდებულება მკვლელობისა და მკვლელისადმი სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. მაგალითად, მ. კეკელიას მიერ ქსნის ხეობაში ჩაწერილი მასალების მიხედვით ადგილობრივები მკვლელს „ცოდვიანს“ ეძახიან, რადგანაც მის მიერ ჩადენილი ქმედება ხალხის თვალთახედვით ცოდვას წარმოადგენდა.[213] „ცოდვიანას“ ეძახდნენ მკვლელს ფშაველებიც. მას ყველა ზიზღით და ცუდი თვალით უყურებდა.[214]

1. 3. მკვლელობის მიზეზები. მოკლედ მიმოვიხილავთ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მკვლელობის მიზეზებს, განსაკუთრებით საქართველოს იმ რეგიონების მიხედვით, სადაც მკვლელობის შემთხვევებს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილავდნენ.

საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც XIX-XX საუკუნეებშიც შემორჩა სისხლის აღების წესი, ცხადია, მკვლელობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ნათესავის მკვლელობის გამო შურისძიება იყო. სისხლის აღების ინსტიტუტზე საუბარს სხვა ნაშრომში ვაპირებთ და ამდენად მასზე დეტალურ საუბარს აქ არ შევუდგებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში საკმაოდ ბევრი შემთხვევა ფიქსირდება შურისძიების გამო მკვლელობის.[215]

---

210 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 2; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 1; ალ. ოჩიაური, სახატო მინები ხევსურეთში, 1938, პირადი არქიეი, ა. ო. 10/3, ხევსურეთის ზოგიერთი ნესები, 26; ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 11.

211 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულბეით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №3, 1.

212 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები II, 1949-1950, აღებ-მიცემობა ხევსურეთში, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, 1988, 194.

213 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 16, 22, 30, 71.

214 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო ნესი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72; ს. მაკალათია, ფშაური, თბ., 1965, 73.

215 იხ. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 24, 27; ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 60-61. ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 31-34; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 52; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 10-11. ერთ-ერთი ცნობილი ფაქტი სისხლის აღებისა რაც ფიქსირდ-

შურისძიების საფუძველი იყო არა მარტო ნათესავის, არამედ სტუმრის მკვლელობაც. სტუმრის მკვლელობა ოჯახის წევრის მკვლელობასთან იყო გათანაბრებული.[216]

არაერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ მკვლელობა საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო.[217] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ჩვენში მკვლელობა ხუთკაპეიკად იყო.[218] ამით იგი მიუთითებს, რომ ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობდა და მკვლელობა შესაძლოა სრულიად უბრალო მიზეზითაც მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემს გვაწვდის 1888 წლის გაზეთი „ივერია" ხევის სინამდვილესთან დაკავშირებით: „ხევიდან გვწერენ: ჩვენის ხევის ხალხს ვინც კი იცნობდა ამ რამდენიმე წლის წინად და იცოდა, როგორი ძმური კავშირი ჰქონდათ მეზობლებს ურთიერთშორის. ამ უკანასკნელ დროსაც ნახოს ეს ხალხი და დღეს სრულად ვერ იცნობს აქაურობას. ამ რამდენიმე წლის წინათ კაცის კვლა მეტად იშვიათი იყო; ეხლა კი 1887 წლიდამ მოკიდებული ვიდრე დღევანდლამდე, ე. ი. 16-17 თვის განმავლობაში 5 კაცი გამოათხოვეს ამ წუთისოფელს."[219] ეს კორესპონდენცია ხევიდან გვიჩვენებს, რომ საქართველოს ამ რეგიონში XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საკმაოდ გახშირებულა მკვლელობები., რომლის მიზეზად დასახელებულია საზოგადოების წევრებს, მეზობლებს შორის ურთიერთობების გაუარესება. კორესპონდენციის შინაარსის კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ამას ზნეობრიობის დაქვეითებას უკავშირებს.

მკვლელობის საკმაოდ გავრცელებული მიზეზი იყო მხარეებს შორის სპონტანურად მომხდარი ჩხუბი, ძირითადად სიმთვრალის გამო უბრალო ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე. არაერთი სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ინფორმატორის მიხედვით, უბრალო შეურაცხყოფა, გინება, აუგი სიტყვის თქმა პიროვნებისთვის, დაცინვა, მისი მშობლების თუ ცოლის შეურაცხყოფა იწვევდა მკვლელობას.[220] განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა, როდესაც ვინმეს მიცვალებულს შეუგინებდნენ. ესეც შესაძლოა მკვლელობით დასრულებულიყო.[221]

ება ბალსზემო სვანეთში არის ფარჯიანებისა და გირგვლიანების დაპირისპირება, რაც საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და ორივე მხრიდან 6-6 კაცი იქნა მოკლული. ამის შემდეგ მოხდა მათი შერიგება მორევების მეშვეობით. მ. კეკელიამ ამ საქმესთან დაკავშირებული მორევების სასამართლოს პერიპეტიები ტარას ნანსყანისგან ჩაიწერა, რომელიც ამ საქმეზე ყოფილა მორევად (იხ. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 27-29).

216 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 25; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 61. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟის – ელგუჯას სიტყვები: „მაშ სტუმრის სისხლი შევარჩინო?" (ალ ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948, 156).

217 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1, 43.

218 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 52.

219 „ივერია", 1888, 28 ივნისი, №134.

220 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6, 11; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1, 43; მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №1, 34, 39; №2, 6-7, 36; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 32; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/2, 19; 7/3, 25; 7/6, 70-71; 7/7, 73, 78; 7/14, 166-167; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 81.

221 იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 33.

არაერთი შემთხვევაა აღწერილი მასალებში რელიგიური დღეობის, ქორწილის, ქელეხის დროს სიმთვრალეში სრულიად უმნიშვნელო მიზეზით ჩხუბის დაწყებისა, რაც მკვლელობით დასრულებულა. ხევსურეთში მკვლელობა ძირითადად ხატობისას ხდებოდა დიდი სმა-ღრეობის დროს.[222] მ საღარაძის მიხედვით იმერეთში ქორწილის დროს ღვინოს სვამენ უზარმაზარი რაოდენობით, რასაც ხშირად მკვლელობებიც კი მოჰყვებოდა ხოლმე, რომ აღარაფერი ვთქვათ დაჭრებზე.[223]

ალ. დავითიანი სვანურ ყოფაზე დაკვირვებით მიუთითებს, რომ სისხლისღვრა სვანეთში შეიძლება ყველაფერს მოჰყოლოდა, კერძოდ, უბრალო წალაპარაკება, შეგინება ხშირად შეხლა-შემოხლას იწვევდა. ასეთი წვრილმანი სადაო ხევ-სოფლებში არასდროს არ ილეოდა და ხშირად მკვლელობამდეც კი მიდიოდა. მკვლელობა გამოუწვევია ისეთ ნაკლებადმნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა მაგალითად, ყანის დაზიანება, აუგი სიტყვა და სხვა, რაც ბევრ შემთხვევაში ოჯახების სერიოზული მტრობის საგნად ქცეულა.[224] მ. კეკელიას ინფორმატორი იხსენებს ამ თვალსაზრისით ტრიავიალურ კონკრეტულ შემთხვევას: გასაბჭოებამდე მესტიელები მ. ჩ. და მ. ხ. დამთვრალან ქორწილში და სრულიად უბრალო მიზეზის გამო ნაჩხუბებულან, რის შედეგადაც პირველს ხანჯლით მოუკლავს მეორე.[225] გასული საუკუნის 20-იან წლებში მულახის თემში ქორწილში დამთვრალა ერთი პიროვნება და დაუწყია ჭირვეულობა. წესრიგი რომ არ დარღვეულიყო იგი ქორწილიდან გააძევეს. მას ეს შეურაცხყოფად მიუღია, განაწყენებული უკან თოფით მობრუნებულა და თოფი ხალხისთვის უსვრია – ერთი მოუკლავს, ერთი დაუჭრია.[226] კიდევ ერთ შემთხვევაში ლატალში სალოცავიდან წამოსულა ნასვამი ხალხი. ორ თანასოფლელს მოსვლია შელაპარაკება, რასაც ჩხუბი მოჰყოლია. ჩხუბში ერთ-ერთის ცოლიც ჩაბმულა და ჯოხი დაურტყამს ქმართან მოშუღლარისთვის. ქმარს კი ხანჯლის დარტყმით დაუჭრია მოწინააღმდეგე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვლილა.[227] დ. დავითულიანის ინფორმატორიც იხსენებს ლენჯერში მომხდარ შემთხვევას, როდესაც უბრალო შელაპარაკების ნიადაგზე დ. გ.-მ თოფით მოკლა ა. ხ.[228] აჭარაში ძველად მომხდარა ასეთი შემთხვევა: ერთი პიროვნება ს. ლ. ლოცვის დროს ჯამესთან მისულა. მეორეს ა. ა-ს უთქვამს: „რახან მოხვედი ილოცეო". ამაზე პასუხად მიუღია: „შენ არავინ გეკითხებაო". ამის გამო ა. ა.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია ს. ლ.-სთვის. ამ უკანასკნელს ეს ვერ მოუთბენია და მოუკლავს ა. ა.[229] იმერეთშია დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც მეზობელმა სიმთვრალეში ღობის სარები დაუმტვრია მეზობელს. ამის გამო გაბრაზებულმა მასპინძელმა შეაგინა მას, რასაც მოჰყვა ჩხუბი, რომლის შედეგადაც ორივე მხრიდან თი-

222 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 73; В. Гурю-Кряжин, Хевсуры. Москва, 1928. 19.

223 М. Сагарадзе, Обычай и верования в Имеретии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 26, отдел I, 1899, 19.

224 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, ეთნოგრაფიული რეული №6, 77.

225 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 14.

226 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №7, 1970, 57.

227 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 39-40.

228 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, 144.

229 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 21-22.

თო ადამიანი დაიღუპა.[230] სამეგრელოში გვხვდება შემთხვევა, როდესაც პირმა მკვლელობა ჩაიდინა ჭიდაობაში დამარცხების მიზეზით.[231]

ხევსურეთში შეურაცხყოფის მიზეზით მკვლელობის მაგალითად XX საუკუნის 20-იან წლებში მომხდარი შემთხვევა შეიძლება მოვიყვანოთ: არხოტის თემის სოფელ ჭიმღის მცხოვრებმა ხირჩლა თეთრაულმა მოკლა თავისივე სოფლელი მიხეილ გიგაური. მკვლელობა მოხდა სოფელ ჭიმღაში. მიზეზი კი ის იყო რომ მიხეილი იყო ძალიან ამაყი და შეურაცხყოფას აყენებდა ყველას, მათ შორის თეთრაულებსაც. ამაზე ხირჩლამ შეუთვალა, ნუ გვავიწროებ და ამაყად გვექცეეო. ერთ შემოდგომის დღეს როცა ხირჩლა ბანზე იყო, გაიგონა რომ მიხეილი აგინებს თეთრაულებს – თქვენმა თხებმა შეგვაწუხა, „თქვენ ჩემების ტილებო, გლახები ხართო". ხირჩლამ ეს რომ გაიგონა, დაუძახა, თუ მხდლები ვართ მანდ დამაცადეო და შევიდა სახლში, თოფის გამოსატანად. როცა გარეთ გამოვიდა გარეთ დაინახა რომ მიხეილი ხანჯლით მისულიყო მის სახლთან. ხირჩლამ ესროლა, მიიჭრა მასთან და ხელდახელ მისწვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მიხეილი ჩაიკეცა და მოკვდა. საჭირო გახდა თეთრაულებისა და გიგაურების გაშველება, რისთვისაც ხალხი ამღიდან და ახიელიდანაც ჩამოიყვანეს, მკვლელი კი ოჯახიანად სოფელ ახიელში გაიხიზნა.[232]

ხირჩლას მიერ მიხეილის მკვლელობის განსხვავებულ ვარიანტს ვხვდებით ალ. ოჩიაურის მასალებში. აქაც მკვლელობის მიზეზი მიხეილის მიერ შეურცხმყოფელი მიმართვა იყო. მას ურთიერთობა ჰქონდა ხირჩლას ძმის ცოლთან – მხედველობაშია ხევსურული წესით და-ძმურად წოლა-დგომა. მიხეილს ამ ქალის ქმართან შუღლი მოუვიდა. მიხეილი თავხედი და ცუდი ენის პატრონი იყო და ამ ქალის ქმარს შეაყვედრა: „მე შენ ცოლთან ისე ვიყავი, როგორც ქმარი და ეგ შვილებიც ჩემები გყავსო". ეს გაიგონა შეურაცხყოფილის უფროსმა ძმამ ხირჩლამ, შევარდა სახლში, გამოიტანა თოფი და მიხეილს ესროლა, რომელიც იქვე მკვდარი დაეცა.[233]

უბრალო ურთიერთშელაპარაკების, შეკამათების მიზეზით მკვლელობა, ხშირად ქეიფის დროს, სიმთვრალის ნიადაგზე საქართველოს ფაქტიურად ყველა კუთხეში ფიქსირდება.[234]

მსგავსი სპონტანურად წარმოქმნილი შუღლი უბრალო ურთიერთშელაპარაკების, სიმთვრალის ნიადაგზე, ხშირად სხეულის დაზიანების, დაჭრა-დასახიჩრების მიზეზი გამხდარა, რასაც თავის მხრივ შესაძლოა დაჭრილის გარდაცვა-

230 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 74; ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 61-62.

231 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 43-44.

232 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 1-2.

233 ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/5, 49-50.

234 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №2, 77-78; გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 21, 21-22; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25, 35; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 83; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 38; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, 1988, 23; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 21; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 32; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 53, 58.

ლება გამოეწვია ჭრილობის სიმძიმის, სისხლისაგან დაცლის, ჭრილობის გამიზეზების გამო. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთის რეგიონებში დამნაშავე (თუნდაც მსუბუქი ჭრილობის მიმყენებელი, რასაც მაგალითად, ჭრილობაში ინფექციის შეჭრის თუ არასათანადო მკურნალობის შედეგად მოჰყვა დაჭრილის გარდაცვალება) მკვლელობისათვის აგებდა პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს მიზნად არ ჰქონდა მოწინააღმდეგის მოკვლა.[235]

ხშირად გამხდარა მკვლელობის მიზეზი ჩხუბის დროს შეურაცხმყოფელი მოქმედება. მაგალითად, ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი იხსენებს გასული საუკუნის 20-იან წლებში ჰადიშში მომხდარ შემთხვევას, როდესაც მთვრალი ხალხი დღეობიდან ბრუნდებოდა. ამ დროს სოფელ ხალდეს მცხოვრებმა ა. ჯ. ცხენი დააჯახა ჰადიშელ ი. ქ.-ს. ამან გამოიწვია შელაპარაკება მათ შორის, რა დროსაც ა. ჯ.-მ მათრახი გადაუჭირა ი. ქ.-ს. ამის შემდეგ ისინი ხელდახელ შეებნენ ერთმანეთს და ი. ქ.-მ ხანჯლით მოკლა მოწინააღმდეგე.[236] მათრახის გადაჭერა, ცხადია, უკიდურესად ლახავდა მთიელის ღირსებას და უკიდურესი ზომებისაკენ უბიძგებდა მას.

აჭარაში პიროვნების დამცირების მიზნით შესაძლოა მომხდარიყო მისი ახორში, ბოსელში დაბმა, დამწყვდევა. ასეთი დამცირებაც გამხდარა მკვლელობის მიზეზი, მათ შორის უბრალო გლეხის მიერ ადგილობრივი აღასი.[237]

რაჭაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც რამდენიმე მთვრალმა პიროვნებამ „აიბუჩავა“, ანუ მასხრად აიგდო ვინმე მ. რ. ამ უკანასკნელმა ეს ვერ მოითბინა, სახლიდან ხანჯალი გამოიტანა და მისი ერთ-ერთი აბუჩად ამგდები მოკლა (უფრო სწორად ეგონა რომ ის მოკლა, ვინც ყველაზე მეტად იგდებდა აბუჩად, სინამდვილეში კი მოკლული სხვა პიროვნება აღმოჩნდა).[238] ხევშიც მ. კეკელიამ ჩაიწერა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ერთი პიროვნება მეორეს მუდმივად აბუჩად იგდებდა, ამცირებდა. ერთხელაც სუფრაზე ჯდომისას იგივე გაიმეორა, შეურაცხყოფილმა ველარ მოითბინა და მოკლა შეურაცხმყოფელი.[239]

აბუჩად აგდებისათვის მკვლელობის მაგალითს ხევსურეთის სინამდვილეშიც ვხვდებით. ხევსურეთში, სოფელ გუროში ცხოვრობდა კვირიკა გოგოჭური (ქერხოსანთ მამის). მას ყავდა ორი შვილი – ბათირა და ხოლიგა. ეს უკანასკნელი ნაკლები ჭკუისა ყოფილა და ხშირად დასცინოდნენ, რასაც ვერ იტანდა. დასცინოდნენ მისივე ახლობლები, მათ შორის მისი ბიძაშვილი – ნიქა. ხოლიგამ ვერ გაუძლო ამ დაცინვას, თოფით მიეპარა ნიქას, ესროლა და მოკლა. ბნელი ღამე იყო და სოფელში ვერავინ დაინახა ვინ იყო მკვლელი. ხალხმა მკვლელის ძებნა დაიწყო. ხოლიგა მათ შორის ერთ-ერთი აქტიური იყო. მკვლელი ვერ გაარკვიეს ვინ იყო. ბოლოს მოკლულის ერთ თანასოფლელს დააბრალეს მკვლელობა, რომელსაც ნიქას ჯავრი ჭირდა. ხოლიგას სინდისმა შეაწუხა, რომ უდანაშაულო კაცს ტყუილად აბრალებდნენ მკვლელობას. ხოლიგა ყველაფერს თავის ძმას მოუყვა. ეს ხოლიგას მამამ – კვირიკამაც გაიგო. ყველაფერი იმით დასრულდა,

235 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 55-56.

236 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 80-81.

237 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18; გ. ირემაძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 6.

238 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 15-16.

239 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №1, 74.

რომ მამამ შვილს თოფი ესროლა და მოკლა. ხალხი რომ მოვიდა, უთხრეს: რა ქენი, შვილი რად მოკალიო. კვირიკამ უპასუხა შინში მომიკლა და ეგრე უნდაო.[240] აქაც მკვლელობის მიზეზი პიროვნების დაცინვა, აბუჩად აგდება აღმოჩნდა.

ხშირ შემთხვევაში ადრე მომხდარი ჩხუბი, შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის დაზიანება შესაძლოა გარკვეული დროის შემდეგ გამხდარიყო მკვლელობის მიზეზი. სვანეთში ქელეხში სიმთვრალის ნიადაგზე მომხდარ დაჭრას რამდენიმე წლის შემდეგ მოჰყვა მკვლელობა.[241] მ. კეკელიას სვანურ მასალებში აღწერილ ერთ შემთხვევაში ჩხუბის დროს ერთმა პიროვნებამ მეორეს ჯოხის დარტყმით თავი გაუტეხა. დაზარალებული ძლივს გადარჩა სიკვდილს. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ კი აფხაზეთის სვანეთში წავიდა ზიანის მიმყენებლის მოსაძებნად და იქ მოკლა იგი.[242] კიდევ ერთ შემთხვევაში კალის თემში ორ პიროვნებას მოსვლია ხელდახელ ჩხუბია. ერთი მეორეს და ცემა იგი. მეორე დღეს მოხდა ამ ჩხუბის გაგრძელება. ნაცემი თავის ძმასთან ერთად დაუხვდა მცემელს. ამ უკანასკნელმა ჩხუბის დროს ხმალი წაართვა მოწინააღმდეგეს და მოკლა იგი.[243] სამეგრელოში შელაპარაკების შედეგად მოხდა მსუბუქი დაჭრა. დაზარალებული საავადმყოფოს გარეშე მორჩა. სოფლის კაცებმა მხარეები შეარიგეს. შერიგების ნიშნად სუფრაც კი გაიშალა, თუმცა დაჭრიდან ოთხი წლის შემდეგ დაჭრილმა დამჭრელი მაინც მოკლა.[244]

ხევში რელიგიური დღესასწაულის (ათენგენობის) დროს დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისში მოხდა ჩხუბი, რასაც შედეგად მოყვა ერთი პიროვნებისთვის თავის გატეხვა. მან გამშველებლების ჩარევის გამო პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. გარკვეული დროის შემდეგ ორივე წასულა ძაუჯიკაოში (ვლადიკავკაზი). აღნიშნულ ჩხუბში დაზარალებული დარიალთან ჩასაფრებია მოწინააღმდეგეს და მათი ჩხუბი ერთ-ერთის მკვლელობით დასრულებულა.[245]

აჭარაშიც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მკვლელობები ცემის თუ დაჭრის მიზეზით.[246] ერთ შემთხვევაში ჯერ კიდევ ბეგების პერიოდში ხულოს რაიონში გლეხმა ცემა ბეგი. მისმა ახლო ნათესავმა ეს ვერ აიტანა და რამდენიმე თვის შემდეგ თოფით მოკლა იგი.[247] სხვა შემთხვევაში პირიქით გლეხმა მოკლა ბეგი მისი გალახვის გამო, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მოკლულის ძმამ შური იძია ამისათვის.[248] აჭარაშივე ბავშვობაში ცემის გამოც მომხდარა მკვლელობა.[249]

ეს კონკრეტული მაგალითები თვალნათლივ ადასტურებს მკვლელობის ზე-

240 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/9, 102-105.

241 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 1-2.

242 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფლიული რვეული №1, 1967, 91-92.

243 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 1-3.

244 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 38-40.

245 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №3, 8.

246 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7, 11; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 7.

247 ა. ქათამაძე, მოგონებები და ზღაპრები, 1958, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №232, 2-3.

248 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 11..

249 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

მოთაღნიშნულ მიზეზს.

მკვლელობის ძალზედ გავრცელებული მიზეზი იყო ქალის გამო დაპირისპირება, ქალისათვის შეურაცხყოფის მიყენება. ამით ხდებოდა ქალის ახლობლების (მამის, ძმების, ბიძაშვილების, ქმრის, საქმროს) დამცირება, რაც მათი მხრიდან საპასუხო რეაქციას იწვევდა და ხშირად მკვლელობის ჩადენისკენ უბიძგებდა მათ. როგორც დ. დავითულიანი აღნიშნავს სვანეთში ქალი იყო უმეტესად ყოველგვარი მტრობისა და უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი.[250] ა. დავითიანიც ფაქტიურად იგივეს ადასტურებს. მისი განმარტებით, სვანეთის ხევ-სოფლებში მტრობისა და სისხლისღვრის მიზეზად უმეტეს შემთხვევაში მაინც ქალებს თვლიან. დაკვირვებული კაცების აზრით, ყოველი ასი ჩხუბიდან 95-ში ქალის ხელი ურევია. ვინც სვანეთსა და მის ადათ-წესებს კარგად იცნობს იშვიათად გაიხსენებს სისხლის ღვრას, მკვლელობას, რომელშიც ქალი არ არის ჩარეული. კერძოდ, ქალს ქმრის ოჯახში ხშირად გამოუწვევია ძმებში სისხლის ღვრა და მკვლელობა, შვილს და მშობლებს შორის სიძულვილის ჩამოგდება და სხვა. ასევე გასათხოვარ ქალიშვილს უბრალო „ყბად აღებით" თავისიანები მიუყვანია სისხლისღვრამდე, გათხოვებით, საქმროს დაწუნებით, მიტოვებით, ცილის წამებით, აუგად ხსენებით და კიდევ სხვა რამით არაერთი მკვლელობა გამოუწვევია.[251] აქ ჩამოთვლილ ბევრ შემთხვევაში ქალი მკვლელობის მაპროვოცირებელი, ხელის შემწყობი უფრო გამოდის, ვიდრე მისი მიზეზი, თუმცა უშუალოდ ქალის მიზეზითაც ხშირად მომხდარა მკვლელობები. აჭარელი ინფორმატორიც ადასტურებს, რომ აჭარაშიც ხშირი იყო ქალის გამო მკვლელობების შემთხვევები. სხვისი ცოლის, დის, დედის, ნათესავი ქალის პატიოსნების შელახვას არავის აპატიებდნენ.[252]

მაგალითად, მ. კეკელიას სვანეთში ჩაწერილ მასალებში აღწერილია შემთხვევა, როდესაც პ. გ.-მ სასიყვარულო წერილები გაუგზავნა ლ. თ.-ს ცოლს. ამ უკანასკნელს ამის შესახებ მეუღლისთვის უთქვამს. ქმარს გაუფრთხილებია პ. გ. შეეწყვიტა წერილების გაგზავნა მისი ცოლისთვის, თუმცა უშედეგოდ. იგი მაინც აგრძელებდა წერილების წერას. ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ შეურაცხყოფილმა ქმარმა მოკლა მისი შეურაცხმყოფელი.[253] აჭარაში ქალების მოყვარულ კაცს მოუნდომებია ერთ გათხოვილ ქალთან ურთიერთობის დამყარება, თუმცა არაფერი გამოსვლია. ქალს ყველაფერი ქმრისთვის მოუყოლია, რომელსაც მოუკლავს მისი შეურაცხმყოფელი.[254]

იმერეთში დაფიქსირებულ მასალებში გვხვდება შემთხვევა, როდესაც მკვლელობა მოჰყვა ცეკვის დროს ქალის შეცილებას (სოფელი ზოდი, ჭიათურის რაიონი).[255] გურიაში კი ცოლთან ერთად გზად მიმავალ პიროვნებას ერთერთ სოფელში ახალგაზრდა ნაქეიფარი ბიჭები შეხვდნენ. ისინი დანიძლავებულან, ვინ აკოცებს მაგ ქალსო. ერთ-ერთს უკრია ხელი ქმრისათვის და მის ცოლს

250 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, 185.

251 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, ეთნოგრაფიული რვეული №6, 77.

252 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 41, 52; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 9.

253 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 29-31.

254 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

255 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 68.

მოხვევია. ქმარს ამოუღია ხანჯალი და ის ახალგაზრდა იქვე მოუკლავს.[256] ხდებოდა მკვლელობა ქალისათვის შეცილების გამო.[257] ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც მოღალატე ცოლის წაქეზებით საყვარელმა მოკლა ქმარი.[258] ასევე, ქმრის მკვლელობა მისი ცოლის ხელში ჩაგდების მიზნით.[259]

ქალის ოჯახის წევრების (მამის, ძმების, ბიძაშვილების) შეურაცხყოფას წარმოადგენდა ქალის მოტაცება, გაუპატიურება, ქალიშვილის შეცდენა და სხვა უზნეო მოქმედებანი ქალის მიმართ. ქმრის (საქმროს) უკიდურეს დამცირებად და შეურაცხყოფად აღიქმებოდა ცოლის (საცოლის//დანიშნულის) მოტაცება, ცოლის ღალატი, საცოლის უარი გაჰყოლოდა საქმროს ცოლად და სხვა. ყოველივე ეს საკმაოდ ხშირად გამხდარა მკვლელობის მიზეზი, რადგანაც ხალხის თვალში სწორედ ასეთი რეაგირება წარმოადგენდა სირცხვილის ჩამორეცხვის ერთადერთ საშუალებას. ხევსური ინფორმატორის მითითებით, სხვისი დანიშნული ქალის წაყვანა, თუნდაც ქალის სურვილით, მკვლელობას გამოიწვევდა.[260] მითუმეტეს ცოლის წაგერა იქნებოდა მკვლელობის ხშირი მიზეზი.[261]

ხევსურეთში ქვრივი ქალის გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან წაყვანაც ამ ოჯახის დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა და შესაძლოა მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო. ალ. ოჩიაურის მასალებში ამის კონკრეტული შემთხვევაც ფიქსირდება: გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან ქალის წაყვანისათვის, ქალის მაზლმა მოკლა ქალის წამყვანი, რომელიც გარკვეული ხანი ხევსურეთს საერთოდ მოცილდა და ქისტურ სოფელს ჰქონდა თავი შეფარებული, რადგანაც შურისძიების ეშინოდა.[262]

ქალისათვის, განსაკუთრებით ცოლისათვის ლეჩაქის ჩამოხდა, ნაწნავის მოჭრა ასევე ყოფილა მკვლელობის გამომწვევი. ამ საკითხებს უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ შესაბამის დანაშაულებზე საუბრისას. სამაგალითოდ მხოლოდ რამოდენიმე კონკრეტულ შემთხვევას მოვიყვანთ:

ფშავში სოფელ ახადში მცხოვრები ფშაველ ქალზე დანიშნულა. იგივე შეყვარებია შუაფხოელსაც, რომელსაც ეს სხვისი დანიშნული ქალი მოუტაცია. ამის გამო შეურაცხყოფილ ახადელს მოუკლავს საცოლის მომტაცებელი.[263] ერთერთი ინფორმატორის პაპა ჯარში წასულა, ხოლო მისი ცოლი სხვას გაჰყოლია. ჯარიდან დაბრუნებულ პაპას მოუთხოვია ცოლის უკან დაბრუნება და პატიებას შეპირებია. უარის შემოთვლის შემდეგ კი ის კაციც და ცოლიც ინფორმატორის

256 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 23.

257 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 30-31; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 35; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986, 10-11; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 36-37; ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 4.

258 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 9.

259 იხ. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი Р-462, ანაწერი №1, საქმე №2, 3.

260 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53.

261 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 74; В. Гурко-Кряжин, Хевсуры, Москва, 1928. 19.

262 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/10, 109-111.

263 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/12, 8.

პაპას დაუხოცავს.[264] ფშავში ქალის მიზეზით მკვლელობის სხვა ფაქტებიც ფიქსირდება.[265]

იმერეთში ერთ საჩხერელ ქალს სხვა ვაჟის მიმართ სიყვარულის გამო აღარ მოუნდომებია დანიშნულ საქმროზე გათხოვება და ამის გამო ბიძამისთან დამალულა. სასიძოს ნათესავებმა რომ გაიგეს დანიშნული ქალი აღარ მოგვყვებაო, მივარდნენ მისი ბიძის სახლში და ეზოშივე მოკლეს ქალის ბიძაც და მისი შვილიც, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს ქალის წასაყვანად მისულთ.[266] დანიშნული საქმროსათვის საცოლის ოჯახის უარი ქალის გატანებაზე, საქმროს ოჯახის არცთუ ძლიერი მატერიალური მდგომარეობის გამო, გახდა მკვლელობის მიზეზი აჭარაში მეფის რუსეთის პერიოდში.[267]

გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც შეურაცხყოფილმა შვილმა დედის საყვარელს მოუკლა შვილი დედასთან მისი ურთიერთობის გამო, ძმამ მოკლა დის გამაუპატიურებელი.[268] ხშირად ფიქსირდება მკვლელობა ცოლის ღალატის მიზეზით, როგორც ცოლის ისე მისი საყვარლის, ეჭვიანობის ნიადაგზე. ინფორმატორები ხშირად იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევებს.[269] იგივე ითქმის გაუპატიურების[270] და ქალის მოტაცების, ცოლის წართმევის მიზეზით მკვლელობის შესახებ.[271]

აჭარის სინამდვილეში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მკვლელობა მოხდა ქალის მითხოვებაზე უარის გამო. აჭარელი ინფორმატორი იხსენებს, რომ მის სოფელში 1927 თუ 1928 წელს მეზობელმა ჯაშს სთხოვა ქალიშვილი ცოლად. ჯაშმა მას უარი უთხრა და თავისი ქალი სხვას გაატანა. მეზობელმა ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო და მოკლა ჯაში. ამავე მიზეზით სოფელ გულესაში დაახლოებით იმავე წლებში მოკლეს შაქარაშვილი. მას გზაში დაუხვდა ორი ძმა ბლადაძე, იმიტომ რომ მათ შაქარაშვილს და სთხოვეს ცოლად, მან კი უარი უთხრა და სხვაზე გაათხოვა. ბლადაძეებს შაქარაშვილის მოკვლა არ სურდათ, გალახვა უნდოდათ მისი, მაგრამ ჩხუბი სროლაში გადაიზარდა. შაქარაშვილმა

264 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 8.

265 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 31.

266 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 82.

267 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 94-95.

268 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 41, 58.

269 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №2, 1989, 2; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1989, 8, 39; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 28-29; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 29; იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 6-7, 41, 42; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 53, 56; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 25.

270 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 15; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 33; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 58-59; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 19-20; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25.

271 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 6; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 6; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 58.

დაჭრა ბლადაძე. მეორე ძმამ კი ესროლა შაქარაშვილს და მოკლა იგი. ამას რამდენიმე წლის შემდეგ შერიგება მოჰყვა.[272]

მკვლელობის მიზეზი ხშირად გამხდარა სისხლის აღრევა, უკანონო ქორწინება, სასიყვარულო ურთიერთობა ნათესავ-მოყვარესთან (მაგალითად, ნათესავის ცოლთან, ქვრივთან) და სხვა. ხშირად საკუთარი ნათესავები არ აპატიებდნენ ასეთი უმსგავსობის ჩამდენს.[273] ხევსურეთში მკვლელობის მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო ვინმეს მიერ სხვისი დანიშნულისათვის საქმროზე გულის აცრუების ძალისხმევა, საქმროს დამცირებით, საცოლისათვის იმის მტკიცებით, რომ მისი საქმრო ბეჩავია, მხდალი და სხვა, თუ ეს საქმროს და მისი ოჯახის წევრების ყურამდე მივიდოდა. ალ. ოჩიაურს შესაბამისი კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს.[274]

დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა და მკვლელობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ვინმეს მიერ უმიზეზოდ ცოლის გაშვება, ან პირიქით ცოლის მიერ ქმრის უმიზეზოდ მიტოვება. დ. დავითულიანის თანახმად, მაგალითად, სვანეთში-ეთნოგრაფიული მასალისა და სამედიატორო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მკვლელობის გამომწვევი მიზეზების უმრავლესობა სწორედ მეუღლის უმიზეზოდ მიტოვებასთან იყო დაკავშირებული.[275] ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ამ მიზეზით მკვლელობის კონკრეტული მაგალითებიც მოგვეპოვება სვანური სინამდვილიდან.[276]

სვანეთში განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა ვინმესთვის ძაღლის მოკვლა. ეს აქ ლამის ოჯახის წევრის მკვლელობას უტოლდებოდა და ამდენად შესაძლოა მკვლელობის თუ დაჭრის მიზეზი გამხდარიყო.[277]

იქვე ძველად გავრცელებულ მოვლენად ითვლებოდა დატყვევებაც, ძირითადად გამოსასყიდის მიღების მიზნით. ეს უაღრესად დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ქმედებად ითვლებოდა დატყვევებულისათვის. როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს ამ სირცხვილს ტყვე არავის შეარჩენდა და ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მკვლელობისა სვანეთში კაცის დატყვევება იყო. მხოლოდ დამტყვევებლის მოკვლა აღუდგენდა პატივს ტყვეს.[278]

სვანეთში გვხვდება ახალდაბადებული ქალიშვილების მკვლელობა დედების მიერ. ამას ბ. ნიჟარაძე საზიზღარ მოვლენად მიიჩნევს, რომელიც სვანებს ზნეობრივ ჩირქს სცხებს, თუმცა მიუთითებს, რომ ეს სამწუხარო მოვლენა არცთუ ხშირი იყო.[279] ამ სახის მკვლელობის მიზეზი ცრუმორწმუნეობაში უნდა ვეძიოთ. არსებობდა რწმენა, რომ ახალშობილი ქალიშვილის მოკვლას უცილობლად მო-

272 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18-19.

273 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 22-23; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 50; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 17; იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 9; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/12, 134-135.

274 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 151-156.

275 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, 185.

276 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 98; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 32.

277 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 75-77.

278 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 122.

279 იქვე, 109.

ყვებოდა ესოდენ სასურველი ვაჟის დაბადება.[280]

საქართველოს სინამდვილეში მკვლელობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ქონებრივი დავა, კერძოდ, დავა მამულზე, მიჯნაზე. ამ მიზეზით მკვლელობის კონკრეტული ფაქტები ჩვენს ხელთ არსებულ მასალაშიც მოგვეპოვება.[281] ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევას სამაგალითოდ მოვიყვანთ. აჭარაში მომხდარა ასეთი ამბავი: სოფელ ფარჩხაში სურმანიძეები იყვნენ სამად გაყოფილი ძმები. ერთი ძმა მოკვდა და ობოლი შვილი დარჩა, რომელიც ერთ-ერთმა ბიძამ აღზარდა. როცა 16 წლის გახდა, მოიყვანა ცოლი და გაუძღვა მეურნეობას თავის მამის წილ მიწაზე. დაახლოებით 1916-17 წლებში ბიძამ მოიწადინა მისი შევიწროვება და უთხრა: მეურნეობა მე დამითმე, შენ კი სხვა მიწაზე გადადიო. ეს მიწა უვარგისი იყო და ბავშვმა უარი უთხრა: „მამაჩემის მიწას არავის დავუთმობო.“ ბიძამ ამის შემდეგ მისი მოკვლა გადაწყვიტა. მან თავის ძმასთან ერთად ტყეში წაიყვანა ეს ბავშვი მოსაკლავად. იგი ხის კუნძზე დააწვინეს და ნაჯახით ყელი უნდა გამოეჭრათ. მაგრამ ვიღაცამ გამოიარა ამ დროს და ეს ბიჭი გადარჩა. ბიძებს შეეშინდათ არ დაგვინახოსო და გაუშვეს. ბავშვმა იფიქრა, რაკი გადავრჩი ვითომ იმ დღეს დავიბადეო და გადაწყვიტა ბიძის მოკვლა. მან თავის ცოლი ცოლისძმებს ჩააბარა, თვითონ კი თავისი ბიძა მოკლა. შემდეგ იგი თურქეთში გავარდა ყაჩაღად.[282] ამ მონაყოლიდან ჩანს, რომ სწორედ მამულზე დავამ ბიძა-ძმიშვილს შორის გამოიწვია ჯერ მკვლელობის მცდელობა, ხოლო შემდეგ ამას მოჰყვა ძმიშვილის მიერ ბიძის მკვლელობა.

მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას: დავით ჩოფლიანს და ტრიფონ გასვიანს ერთმანეთის გვერდით ქონიათ ყანა სოფელ ხალდეში. მიჯნაზე მოსვლიათ შელაპარაკება, რა დროსაც ტრიფონს თოფი უსვრია დავითისათვის და იქვე მოუკლავს. ტრიფონი დააპატიმრეს და ციხე მიუსაჯეს. შურისძიების მიზნით კი სამი წლის შემდეგ მოკლეს მკვლელის ძმა.[283] მიჯნაზე დავის გამო შუღლი მოსვლიათ ლატალელ ბესო თამლიანს და მის ძმას მეზობელ ბათაბ ოვეჩიანთან და მის ძმასთან, რა დროსაც ოვეჩიანების მხრიდან ცელით დაიჭრა ბესო თამლიანის ძმა. მეორე, თუ მესამე დღეს ბესომ თოფით მოკლა ის კაცი, რომელმაც მისი ძმა დაჭრა და თითონ გაიქცა ტყეში ყაჩაღად.[284]

მამულზე დავა მკვლელობის ხშირი მიზეზი ყოფილა ფშავშიც. ფიქსირდე-

---

280 ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი II, ტფილისი, 1913, 22. Д. Бакрадзе, Сванетия, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VI, Тифлис, 1864, 46; Д. Маргиани, Сванеты, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 10, отдел I, 1890, 75.

281 იხ. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1986, 30; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 18; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 2, 7; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 20; იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 6, 7; გ. ირემაძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1991, 6-7; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 5; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 2, 76. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1991, 11-12, 18, 20.

282 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 58-59.

283 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 60-61.

284 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 58.

ბა არაერთი კონკრეტული შემთხვევა.[285] იგივე ითქმის ხევსურეთზეც.[286] ამას საქართველოს მთის რეგიონებში მცირემიწიანობა განაპირობებდა და ხშირად არსებული მიწების არათანაბარი განაწილება. ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას ვხვდებით ხევსურულ სინამდვილეში. აქ ძველად მიწები განანილებული იყო გვარების (მამიშვილობების) მიხედვით. გვარი (მამიშვილობა) რომელიც გამრავლდებოდა კაცრიელად ითვლებოდა, რომელიც არ მრავლდებოდა – უკაცურად. კაცრიელ გვარში მამულები თანდათანობით ნაწილდებოდა და თითოეული განაყრის წილი სულ უფრო მცირდებოდა. კაცრიელი გვარის (მამიშვილობის) მამულები პატარა ნაჭრებად იყო დასერილი. უკაცურ გვარში (მამიშვილობაში) კი მამულები თავდაპირველი სახით რჩებოდა. თუ გვარი არ მრავლდებოდა, ცხადია, არც მისი განანილება მოხდებოდა. ამის შედეგად ჩნდებოდნენ მდიდრები და ღარიბები. კაცრიელს მცირე მამული ეკავა, ამიტომ პური ნაკლები ოდენობით მოსდიოდა, საქონელიც ბევრი არ ჰყავდა და უკიდურესად ღარიბდებოდა. უკაცური კი კარგ პირობებში იყო. ეს იწვევდა შურს, რის გამოც კაცრიელები მიმართავდნენ ძალადობას, ეტანებოდნენ უკაცური კაცის სახნავ-სათიბ მიწებს, ხშირ შემთხვევაში აუტეხდნენ შარს ან ჩხუბს, დაეცემოდნენ ბევრნი, სცემდნენ, ჭრიდნენ ხანჯლით და ავიწროვებდნენ რითაც კი შეეძლოთ.[287] ამდენად, მამულის დაუფლებისკენ მისწრაფება შუღლს, ძალადობას და შედეგად დაჭრას, მკვლელობას განაპირობებდა.

ხევსურეთში აპარეკად[288] წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მამულზე ცილობა, მისი ძალით წართმევა იყო. ამას ძირითადად აკეთებდა „კაცრიელი" გვარის ხალხი უკაცურის მიმართ. აპარეკად წასვლა კი დაჩაგრულის მიერ დამჩაგვრელის მკვლელობის მიზნით ხდებოდა. ალ ოჩიაურს მოჰყავს ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც თავს გადახდენია ვინმე მამუკა ქეთელაურს სოფელ ბისოდან, რომელიც ჩოდრიშვილის მამიდან იყო. ამ მამიშვილობაში მამუკას მეტი არავინ იყო. იგი ობოლი გაიზარდა და დედა-დების მეტი

285 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თაეის – „დანაშაული", II ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 30-31.

286 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 74.

287 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," №1, თბ., 1988, 186-187.

288 აპარეკი იყო პიროვნება, რომელიც თავის სოფელს განირავდა და სხვაგან გადაიხვეწებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც კაცრიელი გვარის ხალხი უკაცურს ჩაგრავდა – მამულს ეცილებოდა, და ართმევდა ძალით, მას კი მომხრე არავინ ჰყავდა და ვერ უმკლავდებოდა მოპირისპირეს, ან დაჭრის თუ მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე არაფრად ჩააგდებდა დაჭრილს, ან მოკლულის ოჯახს და შესაბამისად არც დაჭრისათვის დადგენილ ქონებრივ საზღაურს გადაიხდიდა და არც ხევსურული წესით რიგს აყენებდა. ასეთ შემთხვევაში ეს დაჩაგრული შუაკაცებს მიუგზავნიდა დამჩაგვრელს და შეუთვლიდა, რომ გაუსწორდეს ხევსურული რჯულით, წინააღმდეგ შემთხვევაში განირავს სახლ-კარს, „მთა-ბარს", ადგილ-წყალს და წავა აპარეკად. აპარეკად წასული კაცი თავის თავზე ხელს იღებდა და მოწინააღმდეგე მხარეს მოკვლას უქადდა. ამიტომ იგი წინასწარ გაეცლებოდა ოჯახს, რომ დამჩაგვრელის მოკვლის შემდეგ წასვლა არ გაძნელებოდა, წინასწარ ოჯახსაც გახიზნავდა და ქონებასაც თან წაიღებდა. ამ მიზეზით დამჩაგრაეი ხშირად დათმობაზეც მიდიოდა და აპარეკის მხრიდან სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, შუკაცების მეშვეობით ურიგდებოდა მას. თუ აპარეკად ნასული მტერს არ მოკლავდა, ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. აპარეკი წავიდოდა სხვა სოფელში თავის ნაცნობ-მეგობრებთან, ან, თუ ყავდა, ნათესავთან მიდიოდა და დროებით იქ ცხოვრობდა. ის სოფელს არ თხოვდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. იგი საცხოვრებლად სოფლიდან სოფელში გადადიოდა და თან ჩუმად თავის სოფელში დადიოდა მისი დამჩაგრავის მოსაკლავად (იხ. ალ. ჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, ხევსურული ამბები. სხვადასხვა. აშანათი და აპარეკი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №1, 1988, 178-179; მისივე, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 19).

არავინ ჰყავდა. სხვა ქეთელაურები ბევრნი იყვნენ და გამრავლების კვალობაზე მათი მამულები სულ უფრო და უფრო იყოფოდა და აღარ ყოფნიდათ. მამუკას მამიშვილობა კი რაკი არ მრავლდებოდა, რაც მის პაპის პაპებს ჰქონდათ მამული ის დაყოფილი არ იყო და მამუკა მარტო ფლობდა. ჩოდრიშვილს დავა ქეთელაურების სხვა მამის წარმომადგენლებმა დაუწყეს: ჩვენ მამული არ გვყოფნის და შენ ზედმეტი გაქვსო. მამუკა კი პასუხობდა, რომ მას ის მამული ჰქონდა რაც გვარისგან რგებია და მას იგი არავისთვის ნაურთმევია. თქვენ კი გამრავლდით და ამიტომ თქვენი მამული დაიყოო, ჩვენ კი არ გავმრავლებულვართ და არც მამული გაგვიყვიაო. მიუხედავად ამისა ჩოდრიშვილს განსაკუთრებით უპირისპირდებოდნენ ხუთი ძმა „კინწანი". ჩოდრიშვილი მათ შუაკაცების პირით სთხოვდა, რომ მისთვის თავი დაენებებინათ და მიწას ნუ ეცილებოდნენ, თორემ ასაყრელად გამიხდიან საქმესო. კინწათ მაინც არ მოიშალეს და მოხნეს მისი მამულები. ამის პასუხად ჩოდრიშვილმა ოჯახის წევრები გახიზნა, გამოიხურა სახლის კარი და აპარეკად წავიდა. კინწანი მაინც არ ეპუებოდნენ მას. ჩოდრიშვილმა გზა შეუკრა შატილში წასულ კინწათ ერთ-ერთ ძმას – ტუჩას და დათვის ჯვრის გადასასვლელში მოკლა. მეორე ძმა გიორგი ხევსურეთის არაგვზე ჩასაფრებულმა მოკლა. მესამე ძმა მძიმედ დაჭრა ტყვიით, თუმცა იგი გადარჩა. როცა იგი გამოჯანმრთელდა ერთ მოხერხებულ დროს და ადგილას, ჩოდრიშვილიც მოკლა. აი, ასეთი მწვავე შედეგი გამოიღო აპარეკად წასვლამ – სამი კაცის სიკვდილი.[289] ეს კონკრეტული შემთხვევა თვალნათელი მაგალითია მამულზე ცილობის მიზეზით მკვლელობათა რიგისა და ადასტურებს ამ მიზეზის გამო მკველობათა ჩადენის სიხშირეს.

ლეჩხუმელი ინფორმატორის დაკვირვებით, ძველად მკვლელობები საკმაოდ ხშირად ხდებოდა და მათი ყველაზე გავრცელებული მიზეზი მიწაზე დავა იყო. იგი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც ერთმა პიროვნებას მამულზე დავის გამო ბიძაშვილის ცოლი მოკლა.[290] კიდევ ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი ადასტურებს მიწის გამო ბიძაშვილის მკვლელობის ფაქტს.[291]

ლეჩხუმში ფიქსირდება ერთი საკმაოდ საინტერესო შემთხვევა: ბიძაშვილებს მოუვიდათ მამულზე დავა. აღნიშნული დავა ხალხური სამართლით იქნა განხილული, თუმცა ერთ-ერთი მხარე მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა. ამის გამო მან სახელმწიფო რაიონულ სასამართლოს მიმართა. აღნიშნული მხარე სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც უკმაყოფილო დარჩა, რასაც შედეგად მოყვა მის მიერ მოდავე ბიძაშვილის მოკვლა.[292] ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობა საბოლოო ჯამში მამულზე დავას მოყვა. ეს მაგალითი საინტერესოა იმით, რომ გვიჩვენებს ჩვეულებით- სამართლებრივი სისტემის დაკნინებას. ამას ცალსახად მიანიშნებს ხალხური წესით გამოტანილი გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა და უკმაყოფილო მხარის მიმართვა სახელმწიფო სასამართლოსადმი. აქ კარგად ჩანს, რომ ჩვეულებითი სამართლის მოქმედება შემორჩენილია, თუმცა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები უკვე აშკარად თრგუნავს და ზღუდავს ხალხური სამართლის მოქმედებას.

289 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეული №2, 20-22.

290 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 43.

291 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 1.

292 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 21-22.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ანალოგიური ვითარება საკვლევ პერიოდში ლეჩხუმის გარდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, მაგალითად, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, ქართლში, მესხეთში.

მამულზე დავა არა მარტო ბიძაშვილებს, არამედ ძმებს შორისაც გამხდარა მტრობის და მკვლელობის მიზეზიც.

ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს წინაპართა გადმოცემას, რომლის მიხედვითაც მისი ბაბუის მამამ მამულზე დავის მიზეზით მოკლა საკუთარი ძმა.[293] იმერეთის სხვა სოფლებშიც ფიქსირდება ძმის მიერ ძმის მოკვლა სამნის გადაწევის გამო,[294] ასევე გურიაში,[295] მესხეთში,[296] მთიულეთში (ქსნის ხეობაში).[297]

იმერელი ინფორმატორი იხსენებს ასევე შემთხვევას დაკავშირებულს სერგო ორჯონიკიძის მამასთან. გადმოცემით მას გაუგია, რომ სერგო ორჯონიკიძის მამას დავა მოსვლია მამულზე კურტანიძეებთან, რის საფუძველზეც იგი მოუკლავთ. ინფორმატორის თქმით, ხალხი თურმე სიცილით ამბობდა: კურტანიძეებმა პატარა მიწა წაართვეს სერგოს მამას და ზედ მისი სიცოცხლეც შეიწირეს, მისმა შვილმა მთელი ხარაგაული დაისაკუთრაო.[298]

საინტერესო შემთხვევა ფიქსირდება გურიაში, მომხდარი XX საუკუნის პირველ ათწლეულში: გურიაში იმერეთიდან ჩასულმა კაცმა მოიყვანა ადგილობრივი ცოლი და იქვე შეიძინა მიწა. გარკვეული დროის შემდეგ იგი სამმა ჩასაფრებულმა კაცმა მოკლა. ბოლოს გაირკვა, რომ ეს გააკეთეს მიწის გამყიდველის ძმებმა, რომლებმაც ვერ აიტანეს, რომ მათი გვარის წარმომადგენლის მიწა სხვის ხელში გადავიდა.[299] როგორც ჩანს, ხალხურ ცნობიერებაში შემორჩენილი იყო მიწის უპირატესი შესყიდვის უფლება მიწის მესაკუთრის მოგვარეთა მხრიდან, რამაც ამ შემთხვევაში გამოიწვია მიწის უცხოზე გამყიდველი ძმების უკმაყოფილება და მკვლელობა.

მამულზე, მიწაზე დავა შესაძლოა მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო მაშინაც, როდესაც ეს დავა არსებობდა არა კერძო პირებს, ოჯახებს, არამედ სოფლებს, თემებს, ანუ ტერიტრიულ ერთეულებს, როგორც კორპორაციებს შორის.

მ. კეკელიას ლენჯერელი ინფორმატორი იხსენებს მამის მონაყოლს. ლენჯერს სათემო მთა ჰქონია, რომლის ნაწილის მითვისებაც მოუნდომებია მესტიელებს. ეს გაუგია ლენჯერელებს და სადაო ადგილას მისულან. იქ მომხდარა შუღლი ლენჯერელებს და მესტიელებს შორის, შედეგად ლენჯერელ ფილფანს

---

293 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29.

294 ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 62; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 74.

295 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 7.

296 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21. საინტერესოა, რომ მესხეთში მიწაზე დავა ხშირად ხდებოდა ქართველებსა და თათრებს შორის სამნის გადაწევის გამო, რასაც მკვლელობაც მოყვებოდა ხოლმე (იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 11-12).

297 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, '985, 29.

298 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19.

299 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 1.

მოუკლავს ერთი მესტიელი. წორში მესტიელებს სადაო მიწა დარჩენიათ.[300] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ საერთო საქმის გამო მკვლელობის ჩადენისას პასუხს მხოლოდ მკვლელობის უშუალოდ ჩამდენი კი არ აგებდა, არამედ, მთელი საზოგადოება იღებდა მონაწილეობას წორის გადახდაში. ამ შემთხვევაში თემის საერთო საკუთრებაში არსებული ქონება გადაეცა დაზარალებულ მხარეს, ანუ მესტიის თემს. ასეთ შემთხვევაში სისხლის აღებაზე რომ მიმდგარიყო საქმე, უპირველეს ყოვლისა მკვლელობის ჩამდენის მოკვლას მოინდომებდნენ. თუ ამას ვერ შეძლებდნენ, მაშინ მკვლელის ნებისმიერ თანამოთემეს, თანასოფლელს ისისხლებდნენ.[301]

ხევსურეთშიც, მაგალითად, ლიქოკელებსა და ხახმატელ-ბისოველებს შორის მომხდარა დავა მიწის თაობაზე, რასაც ასევე მკვლელობა მოჰყოლია.[302]

არა მარტო მიწაზე, არამედ მოძრავ ქონებაზე დავასაც შეიძლება გამოეწვია მკვლელობა. ჩვენს ხელთ არსებულ სვანურ მასალაში მოგვეპოვება შემთხვევა, როდესაც მკვლელობა გამოიწვია ალაფის გაყოფაზე წარმოქმნილმა დავამ. კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლება ახლად დამყარებული იყო, როდესაც ოსებისათვის წართმეული ჯოგის გაყოფისას წარმოქმნილი დავის გამო ს. ნ.-მ მოკლა ლ. გ.[303]

ნაქურდალის გაყოფაზე წარმოქმნილი დავის მიზეზით მკვლელობის კონკრეტული ფაქტი ფიქსირდება ხევსურეთშიც, კერძოდ, არხოტში. რამდენიმე ქისტ ძმას ქურდობა დაუწყია არხოტსა და ბუდე ხევსურეთში. გზები კარგად იცოდნენ, ქართული კარგად იცოდნენ, რადგანაც ისინი მშობლებთან ერთად საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არხოტში ცხოვრობდნენ. შემდეგ ქისტეთში გადასახლდნენ. იპარავდნენ ხარებს, ძროხებს, საოჯახო ნივთებს, კერძოდ, სპილენძის ქვაბებს. მათ დაუძმობილდა ერთი ამაყი კაცი სოფელ ამღიდან, გაგათ ჩაჩაური (ბერდიშვილების მამიდან). იგი ქისტებს უძღვებოდა წინ და ხელს უწყობდა ქურდობაში. მკითხავები და სხვა ხალხიც ამბობდნენ: „ეგ არხოტის ჯვარის ყმათ ღალატობსად, დალოცვილი მიქიელი მაგას კას არას უზამს, ისით ადგილას დაამარცხებს, რო სრუ არ ეგონას“. ამის პირში თქმას მას ვერავინ გაუბედავდა. მან ბოლოს ეს თავისი ძმობილი ქისტებიც აღარაფრად ჩააგდო. ბუდე ხევსურეთიდან ნაპარევი შეუჭამა და აღარ აძლევდა. მოდიოდნენ ქისტები და თხოვდნენ ვალის გასწორებას, მაგრამ მან არაფერი მისცა. ამ მიზეზით ქისტებმა მისი მოკლა გადაწყვიტეს და ორი ძმა წავიდა არხოტში. არხოტის ჯვარში ერთ-ერთი დღეობის ღამის თევა იყო. ჩაჩაურიც იქ მოვიდა .და ქისტებიც. დარბაზში როგორც სტუმრებს კარგად დახვდნენ. სასმელი მათაც დალიეს, მაგრამ ძალიან ცოტა. ისხდა ხალხი ჯვარიონთან ერთად. სვამდნენ ლუდს და საუბრობდნენ ძველ ამბებზე. მიუხედავად ქართულის კარგად ცოდნისა, ქისტები საუბარში არ ერეოდნენ. უცებ მათ მოულოდნელად ჩაჩაურს რამდენიმე ადგილზე დასცეს სანჯალი. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. არხოტიენებმა რომ ქისტებისგან დახანჯლული კაცი ნახეს, ამათაც ასეთივე სისწრაფით

300 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 32-33.

301 იქვე, 33.

302 ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგირთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1987, თბ., 1991, 166.

303 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 76.

დაარტყეს ქისტებს ხანჯლები. იმათაც კიდევ რამდენიმე კაცი დაჭრეს და სამი კაცი: ორი ქისტი და ჩაჩაური დაიხოცნენ. ეს პატარა დარბაზი სისხლით შეიღება და ამის შემდეგ აიკრძალა დარბაზში ჯვარიონთა გარდა სხვების შეყვანა.[304]

იგივე არხოტის სოფელ კალოთანში მომხდარა მკვლელობა ნაქურდალის გაყოფის გამო წარმოქმნილი დავის მიზეზით. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ძმები ქიბიშაურები (სოფელი სწორედ ამ გვარის წარმომადგენლებით იყო დასახლებული) – გიორგი და კვირიკა, რომლებიც ქურდებთან და ყაჩაღებთან იყვნენ დაახლოებულნი. ქისტების სოფელ ნეთხაში ცხოვრობდა ქურდობით სახელგანთქმული მარსაგოვი ანდასუყო. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ – ერთმანეთს ხელს უწყობდნენ საქონლის გარეკვა-გამორეკვაში. ბოლოს რაღაცაზე იჩხუბეს. ქიბიშაურები ხვედრს ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. ერთ ზაფხულს მარსაგოვმა გადაწყვიტა ერთი ფშაველის ცხვრის ფარა გაერეკა. მისი მეთაურობით სამი კაცი წავიდა. მივიდა ისევ ძმებ ქიბიშაურებთან და მათ უთხრა მოსვლის მიზეზი. კვირიკამ და გიორგიმ მოილაპარაკეს: სტუმარია და აქ სახლში ვერაფერს ვუზამთო და შეპირდნენ დახმარებას. ერთმანეთში კი შეთანხმდნენ, რომ ფშაველთან რომ მივიდოდნენ იქ ამოიყრიდნენ მის ჯავრს. მეორე დღეს მივიდნენ ფშაველთან, თითქოს ცხვრის საყიდლად. ღამე უნდოდათ მოპარვა, თუმცა ღამე ის სამი ქისტი დახოცეს, მკვდრები კი შორს ქვიშაში დამარხეს.[305] ორივე შემთხვევაში მკვლელობის მიზეზი ქურდობით მოპოვებული ნადავლის განაწილებაზე დავა გახდა.

ხევსურეთში ასევე ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მასობრივი შუღლი მოხდა ორი სოფლის წარმომადგენლებს: შატილოვნებსა და გუროელებს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა ორი შატილელისა და ექვსი გუროელის მკვლელობა და საკმაოდ ბევრი ადამიანის დაჭრა. ამ შუღლის მიზეზი კი გახდა შატილელთა მიერ გუროელთა თიკან-ბატკნების გამორეკვა შატილში, იმის გამო, რომ მათი პატრონი (გუროელი ქალი) შატილელთა ადგილზე აბალახებდა მათ (ოციოდე თიკან-ბატკანს). ამ ადგილს შატილივნები არაფრად იყენებდნენ, რადგანაც იქ არ იყო რაიმე გარდა კლდეებისა და უბრალო ფიჭვნარისა, მაგრამ შატილოვნებს მაინც წყინდათ. კაცებიც მიუგზავნეს: „თიკან-ბატკნები ნუ გადმოგდით თორემ გაგილალავთ", ე. ი. წაგართმევთ და შატილში გავრეკავთო. მიუხედავად ამისა ამ ქალმა არ მოიშალა თიკან-ბატკნების შატილელთა ადგილზე გარეკვა. შატილელებმა აასრულეს პირობა და თიკან-ბატკნები შატილში ნაასხეს. გუროელებმა ეს დიდ შეურაცხყოფად მიიღეს, თან ეს ამბავი რომ მოხდა გუროს ჯვარში ათენგენობა იყო და ხალხი დამთვრალი. ერთი ამ სოფლის მკვიდრი მივიდა ჯვარზე და ხალხს უთხრა: „დღეს შატილიონ სირცხვილი დაგვდეს, თიკან-ბატკნები გაგვილალეს. თუ ამაზე არაი ხქენით, ხვალ მოვლენ შატილიონნიდ ცოლებსაც გაგვილალვენ." მთვრალ ხალხს მეტი არაფერი უნდოდათ, წავიდნენ სახლებში, ფარ-ხმლებით შეიარაღდნენ და შატილზე დასაცემად გაემართნენ. ისინი ვერავის თხოვნამ ვერ გააჩერა, ქალის მანდილიც არაფრად ჩააგდეს. ამ დაპირისპირებას კი ზემოთაღნიშნული სავალალო შედეგი მოჰყვა.[306]

---

304 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/8, 85-87.

305 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/8, 89-91.

306 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/11, 124-127.

ქონებრივი დავა ხშირად გამხდარა მკვლელობის მიზეზი სხვა კუთხეებშიც..[307] გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც უმნიშვნელო ქონებრივი დავის გამო (ერთი გოდორი ყურძნისთვის) მამამ შვილი მოკლა.[308] გურიაშივე ფიქსირდება ასეთი შემთხვევა: მომხდარა ოჯახის გაყოფა. მამას რგებია წილში მსხლის ხე. შვილი ასულა ამ ხეზე და დაუწყია მსხლის კრეფა. მამა თოფით დასდგომია შვილს და მოუთხოვია ჩამოსულიყო ხიდან. შვილს გაუგრძელებია მსხლის კრეფა. მამას მართლა მოუკლავს შვილი.[309] რაჭაში ჩაწერილ მასალებში გვხვდება შემთხვევა, როდესაც თანასოფლელებს ჩხუბი მოსვლიათ იმერეთში გაყიდული თხა-ცხვრების შემოსავლის გაყოფისას: ერთს ჯოხი დაურტყამს მეორისთვის, ამ უკანასკნელს კი დანით მოუკლავს იგი.[310] აჭარაში კი ფიქსირდება მკვლელობა სიმინდის გამო. ძველად ასეთი წესი ყოფილა: თუ ვინმეს ძროხა გადაეჩეხებოდა, დაკლავდნენ და სოფელში ჩამოარიგებდნენ. ყველა ვალდებული იყო აელო ხორცი, თუნდაც უვარგისი ყოფილიყო. ხორცში აძლევდნენ პროდუქტს – სიმინდს, ლობიოს. ინფორმატორის ბაბუასაც ძროხა გადაეჩეხა. მან ხორცი ჩამოარიგა, ერთმა პიროვნებამ ხორცის ვალი არ გაუსტუმრა, ამაზე მოუვიდათ ჩხუბი და ამ პიროვნებამ მოკლა ინფორმატორის ბაბუა.[311]

მკვლელობის მიზეზი ხშირად სესხის დაუბრუნებლობაც ყოფილა.[312] გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ერთ პიროვნებას (ინფორმატორის ბიძას) ორი ღარიბი ძმისათვის ერთი წლით უსესხებია ფული. ერთი წელი გასულა, მაგრამ ძმებს ვალი ვერ დაუბრუნებიათ. ბოლოს გადაუწყვეტიათ, ვალს ვერ გავისტუმრებთ, არ მოგვეშვება და მოვკლათო. მართლაც, იმერეთიდან მომავალ კრედიტორს ჩასაფრებიან და მოუკლავთ კიდეც.[313]

ხევსურეთში ასეთი ამბავი მომხდარა: ქისტებს მოუტაციათ ხევსური ქალი. საჭირო გახდა გამოსასყიდის გადახდა, რაც 30-დან 60 ძროხამდე იყო. ქალის ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა, რის გამოც ვალის აღება დაჭირდა. ოჯახს შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწია გაგათ მინდიამ. საერთო ძალისხმევით ქალი გამოიხსნეს. სამი წლის შემდეგ გაგათ მინდია მივიდა ამ ოჯახში და სესხის უკან დაბრუნება მოითხოვა. ქალის მამამ – ბათირამ უთხრა, რომ მას ახლა არ ჰქონდა ვალის დაბრუნების შესაძლებლობა. ბათირას ცოლი ანჩხლი და ბრაზიანი დიაცი იყო. მან უთხრა თავის ქმარს: შამილი შატილს ვერ ატანდა იმდენ ძალას, შენ რომ გაგათ მინდია გადგას თავზე და ძალას გატანსო. როგორ თუ ძალას მატანს, მაშ მე კაცი აღარ ვყოფილვარო, – სთქვა ბათირამ, იშიშვლა ხანჯალი, წვერით დაარტყა მინდიას და იქვე მოკლა.[314] ალ. ოჩიაურის მასალებში სხვა შემთხვევააცაა დაფიქსირებული დებიტორის მიერ კრედიტორის მოკვლის. ამ

307 იხ. გ, დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 10; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 77.

308 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 56.

309 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1989, 1.

310 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 32.

311 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 65-66.

312 იხ. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 32.

313 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 1989, 6.

314 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/9, 106-107.

უკანასკნელმა ვალის გადახდა მოსთხოვა დებიტორს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საქონლის წაყვანით დაემუქრა. ამას მოჰყვა შუღლი და კრედიტორის მკვლელობა.[315]

კრედიტორის მიერ დებიტორის მკვლელობის ფაქტებიც ფიქსირდება. აჭარაში დაახლოებით 1915 წელს სოფელ წაბლანაში მეზობელმა მეზობელს ასესხა გარკვეული ვადით ათი კოლოგრამი სიმინდი. ინფორმატორის განმარტებით, ძველად ხელშეკრულება იდებოდა სიტყვის მიცემით. ვინც დაარღვევდა მას შეიძლება მოეკლა იგი მეორე მხარეს, თუ სოფელი არ მოარიგებდა. ვადა რომ გავიდა მსესხებელმა აღარ დააბრუნა სიმინდი. მაშინ გამსესხებელმა უთხრა: სიმინდი დამიბრუნე თორემ მოგკლავო. მსესხებელმა დაცინვით უპასუხა: თქვენი მოკლული ბაყაყები მინახავსო. ამას მოჰყვა სიმინდის მსესხებლის მკვლელობა.[316]

მკვლელობის მიზეზი შესაძლოა ქონებრივი ზიანის მიყენებაც ყოფილიყო.[317] იმერეთში ერთ ოჯახს საბძელი დაუწვეს. მათ ეჭვი ბიძაშვილზე მიიტანეს, რომელიც ამ ოჯახს მიწაზე ედავებოდა, მიუვარდნენ და ოჯახის უფროსი ნაჯახით მოკლეს.[318]

ხშირად გამხდარა მკვლელობა ძარცვის, ყაჩაღური თავდასხმის (მათ შორის ოჯახზე) თანმდევი.[319] ქსნის ხეობაში მომხდარა შემთხვევა, რომელიც მ. კეკელიას ინფორმატორს გადმოცემით გაუგია: ადრე მომხდარა მკვლელობა ქობოურებსა და ნარიმანლებს შორის. ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ლექსიცაა გამოთქმული: „შვიდი ძმა მოვკალ მე ქალმა, ნარიმანიძე იამა, ზოგის სიკვდილი მეწყინა, ზოგისა ძაან მიამაო". ეს მკვლელობა ასე მომხდარა: ნარიმანნი იყვნენ სამი ძმანი, ქობოურები კი შვიდნი ძმანი. ნარიმანთ ქალი იყო გათხოვილი ქობოურებში. ერთ დღეს ქობოურებს მოულაპარაკებიათ „გავტეხოთ" ჩვენი მძახლების სახლიო და თუ რამა აქვთ წამოვიღოთო. ეს გაუგონია ქობოურების ქალს და განუზრახავს თავისიანებისთვის შეტყობინება. .....გამოსავალი იმაში უნახავს, რომ ქმრისა და მაზლებისათვის უთქვამს, მე თავი უნდა დავიბანოო. დაწოლილან ძმები. ქალი კი გაქცეულა თავისიანებთან და უთქვამს – „უნდა დაგესხან და ამოგხოცონო" და უმალ დაბრუნებულა უკან (მათი უბნები გვერდი გვერდ იყო). მართლაც ჯერ კიდევ ბნელოდა როცა ქობოურები გაემგზავრნენ თავიანთი ბნელი ზრახვების აღსასრულებლად. სამი ძმა ნარიმნები მათ გზაში დახვედრიათ და სულ ერთიანად ამოუწყვეტიათ. სწორედ ამაზე გამოუთქვამს

315 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/10, 112-113.

316 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 47.

317 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 62; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 66; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 45-46, 32-33; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 28.

318 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

319 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 42-43; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 7; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თაეის – „დანაშაული", II ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 32.

იმ ქალს ლექსი.... ამ ლექსით მას ზოგიერთის სიკვდილი, მაგალითად, ქმრის დაენანებოდა, ხოლო სხვების არა."[320] ამ შემთხვევაში ყაჩაღური თავდასხმის მომწყობნი გახდნენ დამხდურთა მსხვერპლნი.

საქართველოს მთის რეგიონებში სადაც შენარჩუნებული იყო საზოგადოების თავისუფლება, არ ჰყავდათ მებატონე, მკვლელობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ასეთი საზოგადოების თავისუფლების ხელყოფის მცდელობა. მაგალითად, ასეთ საზოგადოებას წარმოადგენდა ბალსზემო სვანეთი, მისი ცალკეული თემი. ცნობილი შემთხვევაა, როდესაც უშგულის თემმა ერთობლივად მოკლა (42-მა ბავშვმა ეკლესიის თოფის სასხლეტზე გამობმულ თოკს ერთად გამოჰკრა ხელი) უშგულზე გაბატონების მსურველი ფუთა დადეშქელიანი.[321] ლატალელებმა იგივე მიზეზით ამოწყვიტეს ჩარკვიანები.[322]

საქართველოში მკვლელობის საკმაოდ გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენდა დამსმენის, მთხრობელის, ცილისმწამებლის, ენის მიმტანის მკვლელობა. ამას არაერთი ინფორმატორი მიუთითებს.[323] სამეგრელოში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ხარების მოპარვაში ცილდაწამებულმა მოკლა ცილისმწამებელი.[324] გურიაშიც ფიქსირდება „ენის მიტანა-მოტანის საფუძველზე" მკვლელობა.[325] აჭარაშიც შესაძლოა მოეკლათ ცილისმწამებელი ან ენის მიმტანი.[326]

მესხი ინფორმატორი კი ასეთ შემთხვევას იხსენებს: ორი კაცი ერთმანეთს იყო გადაკიდებული, მათ შორის ერთ-ერთი გარდაიცვალა. ეს რომ ერთმა მეზობელმა გაიგო, ახარა მეორეს. ეს კაცი მიხვდა, რომ მათი მტრობა ავი მეზობლების ბრალი იყო, რომლებიც გარდაცვლილზეც არ აჩერებდნენ ენას. გამოიტანა თოფი და იქვე მოკლა ენის მიმტანი. ინფორმატორის განმარტებით სოფელს მკვლელი არ დაუსჯია.[327] ასეთი საქმიანობა ქართულ საზოგადოებაში სამარცხვინოდ ითვლებოდა და მისი ჩამდენის მკვლელობასაც ხალხი განსაკუთრებით ნეგატიურად არ აღიქვამდა.

საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საკმაოდ დიდხანს შემორჩა და მიუღებლად ითვლებოდა დაზარალებულის მიმართვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, მკვლელობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო პიროვნების საპატიმროში გარდაცვალება, თუ ის ვინმე ადგილობრივის დასმენის, თუ საჩივრის საფუძველზე მოხვდებოდა იქ.[328] მკვლელობის აღნიშნულ მიზეზს ადასტურებს გ. თედორაძეც.[329]

მკვლელობის მიზეზად სხვა დანაშაულის დაფარვაც გვეელინება. მკვლელო-

---

320 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 6-8.

321 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 17.

322 ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, 72.

323 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 33; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1989, 4-5; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 21.

324 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38.

325 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15.

326 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 21; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 24.

327 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 23-24.

328 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 149.

329 გ. თედორაძე, ხუთი ნელი ფაშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 117-118.

ბა შესაძლოა მომხდარიყო ქურდობის დასაფარად, ასევე უკანონო სქესობრივი კავშირის დასაფარად, ამ კავშირის შედეგად დაბადებული ჩვილის მკვლელობა. ფშავსა და ხევსურეთში შესაბამისი კონკრეტული მაგალითებიც გვხვდება. მაგალითად. ფშავის ერთ-ერთ სოფელში იპოვეს მკვდარი ახალშობილი. სოფლის თავკაცებმა სოფლის ყველა ქალი გასინჯეს და ვისაც რძე აღმოაჩნდა, ამის მიხედვით დაადგინეს ვინ იყო უკანონო შვილის გამჩენი. იგი სოფლიდან გააძევეს.[330] ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ ქალის მიერ ახალშობილის მკვლელობა მის მიერ უკანონო სქესობრივი კავშირის ჩადენის გაუმჟღავნებლობის მიზეზით მოხდა. ხევსურეთში კი ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ქალმა ახალშობილი შვილი მოკლა იმისათვის, რომ ეს მის მოგვარესთან დამყარებული უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგი იყო.[331]

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მკვლელობის მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო პიროვნების „შეწირვა" მიცვალებულისადმი, სხვა პირისადმი, რაც მისადმი „შეწირულის" მონა-მორჩილად გამოცხადებას გულისხმობდა. აქ სიმბოლურ შეწირვაზეა საუბარი, რაც უკიდურესად დიდ შეურაცხყოფად აღიქმებოდა. აჭარაში ეს გამოიხატებოდა „ყურბნად შემოვლებაში". მაგალითად, ერთ 1961 წელს მომხდარ შემთხვევაში პიროვნებამ ძმის გამლახავი ჯერ ცემა, ხოლო შემდეგ საკუთარ ძმას ირგვლივ შემოატარა. ამ შეურაცხყოფას დამცირებულის მხრიდან შეურაცხყოფის მიმყენებლის მკვლელობა მოჰყვა.[332] ხევსურეთში დაჭრილის დამჭრელის მიცვალებულისადმი შეწირვა, ერთი პიროვნების მიერ მეორის მიცვალებულის შეგინება, როდესაც მის მკვდარს სახელდებით „უწირავს" (მაგალითად, თქმა: „ძაღლ იყვას თქვენის მკვდრისადა"), მისი უკიდურესად შეურაცხმყოფელი ხასიათის გამო, ასევე შესაძლოა მკვლელობის მიზეზი გამხდარიყო. მოსისხლეთა შერიგების შემდეგ ხევსურეთში მტრობის განახლების და საპასუხო მკვლელობის ჩადენის ძირითადი მიზეზი სწორედ მოკლულის სახელის შეურაცხყოფა, მისი „შეწირვაა".[333]

მასალებში მოგვეპოვება ასევე ცნობები, რომელთა მიხედვითაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მომხდარი არაგანზრახი მკვლელობებიც გამხდარა ხალხური წესით განხილვის ობიექტი. ადგილი ჰქონდა მხარეთა შერიგებას, შუაკაცების გადაწყვეტილებით დამნაშავისადმი სისხლის საზღაურის დაწესებას.[334]

მკვლელობის ძირითად იარაღს ხმალი, ხანჯალი, მშვილდ-ისარი, ბოძალდი წარმოადგენდა, ასევე თოფიც. ფიქსირდება ასევე პიროვნების მოწამლვაც.[335].

1. 4. მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავების გარემოებები. მკვლელობის მიზეზების მოკლე მიმოხილვის შემდეგ უპრიანი იქნება ვისაუბროთ ქართულ სინამდვილეში, კერძოდ, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც საკვლევ პერიოდში შემორჩა შურისძიების ინსტიტუტი, არსებულ იმ გარემოებებზე, რომლებიც

330 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 9.

331 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 79.

332 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

333 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯული-სამართალი, თბ., 2012, 15-16, 92.

334 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1984, №2, 19, 24.

335 იხ. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 33.; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 57.

მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავებას განაპირობებდა. თავიდანვე ვიტყვით, რომ ქვემოთ განხილული გარემოებების არსებობისას მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავება ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესი იყო.

ქართული ჩვეულებითი სამართლით მიუღებლად ითვლებოდა მტრის მკვლელობა ქალის თანდასწრებით.

მაგალითად, სვანს თოფი მიმართული რომ ჰქონოდა მტრის მოსაკლავად და ამ დროს ქალს თავიდან ლეჩაქი ჩამოეხადა, თმა გაეშალა და ეს ლეჩაქი მუხლზე შემოეხვია, ბოროტგანმზრახველს უფლება არ ჰქონდა მკვლელობა ჩაედინა.[336] პირობებში თუ მოსაკლავად მტერს გამოედევნებოდა და ამ დროს ეს გაქცეული ქალს შეხვდებოდა, მას ხელს მოკიდებდა, ამოეფარებოდა, ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი სიკვდილს გადარჩენილიყო.[337]

აჭარაში დაფიქსირებული მასალებითაც არ შეიძლებოდა ქალის თვალწინ კაცის მოკვლა.[338] აჭარელი ინფორმატორი განმარტავს: „საერთოდ იყო წესი, რომ თუ კაცს ახლავს ცოლი, მცირეწლოვანი შვილი, ან დედა, მისი არათუ მოკვლა, შეურაცხყოფაც არ შეიძლებოდა. ნაკლები შეგნების ადამიანებში რა თქმა უნდა იქნებოდა გამონაკლისი."[339] კიდევ ერთი აჭარელი ინფორმატორის ცნობით, ქალთან ყანაში ან გზაზე მყოფ მამაკაცს არ მოკლავდნენ, რადგანაც ასეთი რამ სათაკილოდ იყო მიჩნეული. მაგალითად, ბათუმის რაიონის მცხოვრებ ხასან სარჯველაძის შვილი ოსმან ფაღავას მოსაკლავად ჩაუსაფრდა და როცა დაინახა, რომ ეს უკანასკნელი ცოლის თანხლებით მოდიოდა აღარ ესროლა – მისი მოკვლა სხვა უფრო შესაფერისი დროისთვის გადადო.[340] ძალზედ საინტერესო შემთხვევას ვხვდებით ო. ზოიძის მიერ აჭარაში დაფიქსირებულ კიდევ ერთ შემთხვევაში, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის წინ მომხდარა. მტრობა ყოფილა ფაღავებსა და სარჯველაძეებს შორის. სარჯველაძეები მკვლელობის ჩადენის შემდეგ გადაიხვეწნენ თურქეთში. ორი ფაღავა თურქეთში გაყვა შურის საძიებლად. მიაგნეს სარჯველაძეებს, რომლებიც დაიმალნენ სახლის სარდაფში. ფაღავებს ესმით სარჯველაძისა და მისი ცოლის საუბარი. ცოლმა უთხრა: „ასეთი ძლიერი მტერი გყავს, აჭარიდან გამოგყვნენ მოსაკლავადო, სახლში რატომ ჩერდები, მოგკლავენო." მკვლელმა უპასუხა: „მე ისეთი ვაჟკაცი მტერი მყავს, რომ ქალ-ბაღანასთან თოფს არ მესვრისო". ცოლ-შვილის წინ მოკვლა სირცხვილი იყო. მაშინ ფაღავებმა ორი ტყვია დატოვეს ფანჯრის რაფაზე და წავიდნენ. მეორე დღეს სარჯველაძემ ნახა ეს ტყვიები და ცოლს თავისი სიტყვა გაახსნა.[341]

ქალის თანდასწრებით მტრის მოკვლისაგან თავის შეკავება მორალური, რაინდული კოდექსის მოთხოვნით იყო განპირობებული. ქალის თანდასწრებით, ქალს ამოფარებული კაცის მკვლელობა უღირს საქციელად ითვლებოდა და ამას არავინ იკადრებდა. როგორც ამ ბოლო მონაცემში გამოჩნდა, იგივე ითქმის მცირეწლოვანი შვილის წინაშე მკვლელობაზეც. მიუღებლად ჩანს უიარაღო მტრის მკვლელობაც.[342]

---

336 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 119.

337 А. Стоянов, Путешествие по Сванетии. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книжка X, выпуск второй, Тифлис, 1876, 435; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 120.

338 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 42.

339 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 61.

340 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 30.

341 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 2.

342 ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „ციცკა" მთავარი პერსონაჟი მტრის მოკვლისაგან თავის შეკავების მთავარ

მკვლელის თუ მისი ახლო ნათესავის მკვლელობა მიუღებელი იყო მაშინაც, როდესაც მათ გვერდით ახალგაზრდა ყმანვილი, ბავშვი იქნებოდა. ხევსურეთში მკვლელი გარეთ გამოსვლისას თუ გვერდზე დაიყენებდა ახალგაზრდა ყმაწვილს, მას შურისმაძიებელი მისი ხათრით არ ესროდა.[343]

მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავება აუცილებელი იყო თუ მსხვერპლი გარკვეულ ადგილს შეაფარებდა თავს. მაგალითად, ეგ. გაბლიანის ცნობით, თუ ერთი მტრისაგან დევნილ სვანს მეორე მტრის ოჯახში შესვლა მოუხდება თავის გადასარჩენად, უკანასკნელი ვალდებულია შეიბრალოს იგი და დაიცვას, თუნდაც დიდი სურვილი ჰქონდეს მისი მოკვლის.[344] ეს ცნობა გვიჩვენებს, რომ პიროვნებამ სვანეთში დადგენილი წესის თანახმად თავი უნდა შეიკავოს მის სახლში თავშემოფარებული მტრის მოკვლისაგან. აქ სტუმრის, მითუმეტეს დევნილის დაცვის, პატივისცემის მორალური პრინციპი გამოდის წინა პლანზე, რაც ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის" სიუჟეტის ერთგვარი გამოძახილია.

მკვლელობისაგან თავის შეკავება მაშინაც მოეთხოვებოდა მტრის მდევარს, როდესაც დევნილი საკუთარ სახლში მოასწრებდა შესვლას, ღვლეჭს მოიბავდა კისერზე, ხარს დაიჭერდა და კერას მიუწვებოდა. დ. დავითულიანის ერთერთი უშგულელი ინფორმატორი იხსენებს ასეთ კონკრეტულ ფაქტს, როდესაც მდევრებმა საკუთარი კერის გვერდით მიწოლილი მტერი აღარ მოკლეს.[345] კერის გვერდზე მყოფი მტრის მოკვლისგან თავის შეკავება კერის საკრარული მნიშვნელობიდან გამომდინარე ხდებოდა. კერის მნიშვნელობასა და კერის შეურაცხყოფაზე, როგორც დანაშაულზე, ქვემოთ გვექნება საუბარი.

აჭარაში მიუღებლად ითვლებოდა შარვალჩახდილი კაცის მკვლელობა, მაგალითად, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას. ასეთი რამ სამარცხვინოდ ითვლებოდა.[346] ზუსტად იგივეს აფიქსირებს ხევსური ინფორმატორიც. აქაც მოკლულის ახლობელი მკვლელს ვერ მოკლავდა, როცა ის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა და შარვალი ჩახსნილი ჰქონდა.[347]

მტრის მკვლელობისაგან თავის შეკავება ზემოთაღნიშნული გარემოებების გამო შესაძლოა დაპირისპირებული მხარეების შერიგების საფუძველიც კი გამხდარიყო. ერთ კონკრეტულ შემთხვევას მოვიყვანთ. აჭარელი ინფორმატორი იხსენებს დედამისისგან, რომელიც 120 წლისა გარდაიცვალა, გაგონილ საკმაოდ დიდი ხნის წინანდელ ამბავს: აკრიელი და ცრემლანელი ორი კაცი მტრობდნენ ერთმანეთს, 18 წელიწადს. მათ ვერავინ არიგებდა. ერთხელ ცხემლანელი შინ მისულა ტანის დასაბანად. აკრიელს გაუგია, მოსაკლავად მისულა და ფანჯრიდან შეუხედავს. ცოლი ქმარს ტანს აბანინებდა და თან ეუბნებოდა: „შენი მტერი მოგკლავს, შინ რატომ მოხვედიო. ქმარს უპასუხია: „ჩემს მტერს ჩემსავით ყვერები ჰკიდია, კაცია და ტანის ბანისას არ მესვრის, გარეთ კი მესვრისო." აკრიელს აღარ უსვრია მტრისათვის, ტყვია კიბეზე დაუდია და წასულა.

მიზეზად მის უიარაღობას ასახელებს. ნანარმოების მიხედვით ციცკა ღმერთს მიმართავს: „ღმერთო, ხევის ჯვარ-ანგელოზნო! თქვენა ხართ მოწამენი, რომ აქამდისინ ათჯერ მოვკლამდი ამ კაცს, მაგრამ რადგანაც ეს უიარაღოდ დადიოდა და უიარაღო კაცი კი დედაკაცსა ჰგავს, იმიტომ არ მოვკალ. შენა ხარ მოწმად, დიდებულო ივანე ნათლის-მცემელო!" (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1948, 6).

343 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 38.

344 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 120.

345 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, 140-141.

346 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 42.

347 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 19-20.

დილით ცხემლანელმა ტყვია იპოვა, ყველაფერს მიხვდა და აკრიელის მოსაძებნად წასულა. მიუსწრო იმ დროს, როცა აკრიელს თოფი ხეზე მიუყუდებია და შარვალჩახსნილი იჯდა. ცრემლანელი თოფთან დამჯდარა და ხელით უნიშნებია აკრელისათვის – იჯექიო. შემდეგ შერიგებულან.[348]

მიუღებელი იყო ქალის და ბავშვის, სულით ავადმყოფის, ასევე მოხუცის მკვლელობა.[349] ეს შურისძიების მიზნით მკვლელობაზეც ვრცელდება.[350] ერთ შემთხვევაში ქობულეთის რაიონში შურისძიების ნიადაგზე ბავშვი მოკლეს, რამაც უაღრესად ააღელვა სოფლის საზოგადოება.[351] იბ. აბაშიძე ბავშვის და ქალის მკვლელობას მახინჯ მოვლენად მიიჩნევს, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს აჭარელთა ყოფისთვის დამახასიათებლად. ასეთ რამეს ყველა ერიდებოდა და ამიტომ ბავშვის და ქალის განზრახ მკვლელობა იშვიათად ხდებოდა.[352] აღნიშნული ტენდენცია ჩანს ალ. ყაზბეგის ერთ-ერთ ნაწარმოებში – „მოძღვარი". მწერალი ნაწარმოების ქალი პერსონაჟის – მაყვალას მკვლელობას მეტისმეტად შემაძრწუნებელ შემთხვევად ახასიათებს და მთის კაცისთვის წარმოუდგენელ შერცხვენად აფასებს.[353] როდესაც ვსაუბრობთ ქალის მკვლელობის მიუღებლობაზე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს არ ვრცელდება ქმრის/საქმროს მოღალატე თუ უმიზეზოდ მიმტოვებელ ცოლზე, ან დანიშნულზე.

ჩვეულებითი სამართლით მცირეწლოვნის მკვლელობა იკრძალებოდა ფშავშიც. ეს აკრძალვა უპირველეს ყოვლისა შურისძიებით მკვლელობას ეხება. ინფორმატორი განმარტავს: „თუ შვილი 16 წლის ასაკს არ იყო მიღწეული, დააცლიდნენ გაზრდას და მერე მოკლავდნენ, მცირეწლოვანზე სისხლის ძიება არ შეიძლება".[354] ფშაური რჯული კრძალავდა ასევე მოხუცის მოკვლას. ჯ. მერაბიშვილის დაკვირვებით, აქ მოხუცის ცნებაში იგულისხმებოდა დავრდომილი, შრომისა და თავდაცვის უნარს მოკლებული ადამიანი. ამას ემატებოდა უფროსის პატივისცემის ზოგადი პრინციპი, რაც მთიელებში, მათ შორის ფშავში მაღალ დონეზე იდგა.[355] მცირეწლოვნის თუ მოხუცის მკვლელობა შემთხვევით თუ მოხდებოდა. განზრახ ასეთი სახის მკვლელობა, მკვლელს მთელი თემის რისხვას დაატეხდა თავს.[356]

348 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 40–41.

349 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 42, 53; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 20.

350 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 61; ვ. გურკო-კრიაჟინი იხსენებს, რომ სოფელ ღულში შესვლისას მისი და მისი თანმხლები პირების მეგზურობა იკისრა ერთმა ახალგაზრდამ, თუმცა შემდეგ იუარა, რადგანაც შურისძიების შეეშინდა. ამის გამო მეგზურობა იკისრა მისმა პაპამ – 90 წლის პიროვნებამ, სწორედ იმიტომ რომ იგი სისხლის აღებას აღარ ექვემდებარებოდა (В. Гурко-Крыжин, Хевсуры, Москва, 1928, 20). როგორც ვხედავთ, 90 წლის მოხუცს არ შეშინებია რომ მას სისხლის აღების მიზნით მოკლავდნენ. ეს კონკრეტული შემთხვევა ადასტურებს, რომ მოხუცებულის მოკვლა სისხლის აღების მიზნით არ ხდებოდა. თუ მაინც მოხდებოდა შურისძიების მიზნით მოხუცის მკვლელობა, ხევსურული რჯულით ეს აუცილებლად ჩაითვლებოდა საპასუხო მკვლელობად და თავი თავში გაიბრებოდა. იგივე ითქმის ყმანვილის მკვლელობაზეც (თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 3).

351 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 11.

352 იქვე.

353 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 443.

354 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 15.

355 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 27-28.

356 იქვე, 29.

§2. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

2. 1. **შესავალი.** XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ჩანს, რომ სვანეთში XX საუკუნის II ნახევარშიც შემორჩა ქონებრივი საზღაურის დაკისრება მკვლელობისათვის. საკვლევ პერიოდში მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდა საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, რაც სისხლის აღების თავიდან აცილების, ან შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. მკვლელობისას ქონებრივი საზღაურის – სისხლის ფასის – გადახდა ჯერ კიდევ XIV-XVII საუკუნეების სვანურ საისტორიო ძეგლებში გვხვდება. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საბუთი, სადაც სისხლის ფასის გადახდისას ურთიერთდახმარებაზეა საუბარი.[357]

მკვლელობისათვის გათვალისწინებულ სისხლის ფასს სვანეთში ერქვა წორი.[358] გ. გასვიანის მოსაზრებით, წორი უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან – სწორი და ფასის გადახდა-მიღებით გასწორებას უნდა ნიშნავდეს. თუ „ლიწვრი" მოწინააღმდეგისადმი ფიზიკურ გასწორებას ნიშნავს, „წორ" საურავის მიღებით გასწორებას გულისხმობს. ისე, როგორც „სისხლი" – „წორ" დამნაშავის მიერ სისხლში გადასახდელ ფასს ეწოდება.[359] დ. დავითულიანის მიხედვით, ტერმინი „წორ" შორეულ წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს და მისი მონაცვლე ტერმინი სვანურში არ მოიპოვება. იგი აკრიტიკებს გასვიანს, რომლის მიხედვითაც წორი სწორიდან მოდის.[360] ძალზედ საინტერესოა დ. დავითულიანის მოსაზრება ტერმინ წორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, სვანურ ადათობრივ სამართალში ადრეულ პერიოდში ხმარებაში ყოფილა ტერმინი „ლიწვრი", რაც ნიშნავს შურისძიებას, ადამიანის ფიზიკურ მოსპობას. ცხადია, ეს ტერმინი ხმარებაში იქნებოდა იმ ეპოქაში, როდესაც შურისძიება კანონზომიერ მოვლენად ითვლებოდა. მორვების სასამართლოსთან „ლიწვრის" არავითარი ურთიერთობა არ აქვს. „ლიწვრის" როგორც სასჯელის თავისებურ სახეს ადგენდა არა მორვების სასამართლო, არამედ დაზარალებულის გვარი. ამ პერიოდში მკვლელობის ქონებრივი საზღაური არ არსებობდა და თავისთავად ცხადია უცნობი იქნებოდა თვითონ სიტყვა – „წორიც", ამიტომ ამ ორი ტერმინიდან „ლიწვრი" უფრო ადრინდელია, ვიდრე „წორი". საზოგადოების განვითარების კვალობაზე შურისძიების ინსტიტუტის ალტერნატივად ყალიბდება ქონებრივი საზღაური, სვანურად – „წორი". ტერმინი „წორი" ადრინდელი „ლიწვრის" გენეზისის შედეგია. „ლიწვრი" ქართულად ნიშნავს გამოდენას. ასე მაგალითად, სისხლი ლიწვრე – სისხლის გამოდენა, ვეფილიწვრივ – ოფლის გამოდენა და ა. შ. „წორ", „ლიწვრე", „ქოლიწვრე" და ა. შ. ყველა შემთხვევაში ნიშნავს დენას, გამოდენას და არა სხვა რამეს. „დენა" რასაც სვანურად – „ლიწვრე" ჰქვია ძველი ქართული სამართლის ტერმინია. ქართული სამართლის ძეგლებში ხშირად ვხვ-

---

357 იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, 110.

358 წორის შესახებ ზოგადად ჩვენ ვისაუბრეთ ნაშრომში: „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში", თბ., 2011, 363-364. წორი მხოლოდ მკვლელობის, დაჭრის და ნაცვერიელის შემთხვევაში გამოიყენება ქონებრივი საზღაურის აღსანიშნავად (იხ. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, №1, 1967, 11; ეთნოგრაფიული რეეული, №3, 1968, 46).

359 გ. გასვიანი, დასაელეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 169.

360 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 166-167.

დებით ამ ტერმინის მეშვეობით სასჯელთა განსაზღვრას. ვახტანგის კოდიკოში სასჯელის განსაზღვრის შესახებ ნათქვამია: „სისხლის დენის წესი ასრე არის: დიდს გვარიშვილს უფრო დიდი სისხლი სდის, ქვემოითს უფრო პატარა სისხლი სდის“ და ა. შ. მაშასადამე „დენა“ ანუ იგივე „წორ“ უპირველეს ყოვლისა ნიშნავს „სისხლის გამოდენას“, ე. ი. მკვლელობის საზღაურს ნიშნავს.[361]

დ. დავითულიანის ეს მოსაზრება საყურადღებოდ მიგვაჩნია. საკმაოდ ლოგიკურად გვეჩვენება ტერმინ „წორის“ წარმომავლობა „ლიწვრისგან“ ამ სიტყვების აზრობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, თუმცა აღნიშნული საკითხი შემდეგომ კვლევას საჭიროებს.

2. 2. წორის ოდენობა სვანური საზოგადოებების მიხედვით. სვანურ ჩვეულებით სამართალში მკვლელობისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაური – „წორი“ – მიწის საზომით, ანუ ნალჯომით განისაზღვრებოდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სვანეთში ძირითადი საგადამხდელო ერთეული მიწის ნაკვეთი იყო. დ. დავითულიანი მიხედვით, ამის მიზეზი იყო ის, რომ სვანეთში მიწა ყიდვა-გაყიდვის, ვალის გადახდის საშუალებას და სვანი გლეხის არსებობის საფუძველსაც წარმოადგენდა. ოჯახის ეკონომიკური სიძლიერე უპირველეს ყოვლისა სახნავი მიწის ოდენობით განისაზღვრებოდა. მეცხოველეობა სვანეთში უძველესი დროიდან იყო წამყვანი დარგი, მაგრამ გეოგრაფიული კარჩაკეტილობის პირობებში შეუძლებელი იყო მესაქონლეობიდან მიღებული ჭარბი პროდუქტების მარცვლეულზე გადაცვლა, ამიტომაც სახნავ მიწას ანუ მიწათმოქმედების დარგს სვანეთში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ სისხლის ფასი ნალჯომებით შეფასდა და არა პირუტყვით. სვანეთში სისხლის საფასურის გადახდა ძირითადად მიწით ხდებოდა, თუმცა ხდებოდა ვალის გადაუხდელობის გამო მიწის გასხვისებაც.[362]

„ნალჯომი“ ქართულად საზომს ნიშნავს. დ. დავითულიანის განმარტებით, სვანეთში მიწა დღიურით იზომებოდა. დღიური ნიშნავს ერთი უღელი ხარით, სვანური კავით მთელი დღის მანძილზე მოხნულ მიწას. სვანური დღიური დაახლოებით 350 კვ. საჟენს აღწევდა, ხოლო ნალჯომი დღიურის მესამედს უდრიდა. სხვადასხვა საზოგადოებაში ნალჯომის ზომები სხვადასხვა იყო. ლენჯერში ნალჯომი დაახლოებით 110 კვ. საჟენს უდრიდა, მესტიაში დღიური 1500 კვ. მეტრი იყო. უშგულის, კალის, მულახის, იფარის და ბალსზემო სვანეთის სხვა საზოგადოებებში ერთი ნალჯომი ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებების ოთხ ნალჯომს უდრიდა. საშუალოდ მთელ სვანეთში დღიური 350 კვ. საჟენს უდრიდა.[363]

ბ. ნიჟარაძე სწორედ სვანური საზოგადოებების მიხედვით გადმოგვცემს მკვლელობისათვის გათვალისწინებული წორის ოდენობას:

1. **უშგულის საზოგადოებაში** წორის ოდენობა იყო 6 ნალჯომი სახნავი ყანები. ეს უცილობლად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ყანები, სოფლის ახლოს, ყველაზე ძვირადღირებული. ერთი ასეთი მიწის ნალჯომი ღირდა 6 ხარი.

361 დ. დავითულიანი, იქვე, 167-168.

362 დ. დავითულიანი, იქვე, 24-25.

363 დ. დავითულიანი, იქვე, 170, 171.

2. **კალის საზოგადოებაში** წორის ოდენობა იგივე იყო, რაც უშგულში. მხოლოდ აქ დამატებით მკვლელის ოჯახს დაზარალებული მხარისთვის უნდა მიეცა კერია და ნაჭა (ჯაჭვი). კერიისა და ნაჭის მიცემა ხალხის რწმენით მათი დამთმობი ოჯახის აყრას, დაღუპვას ნიშნავდა.[364]

3. **იფარის საზოგადოებაში** წორი უდრიდა სამ ნალჯომ სახნავ, ორ ნალჯომ სათიბ მიწას და ერთი ნალჯომის ღირებულების მოძრავ ქონებას.

4. **მულახის და მესტიის საზოგადოებაში** წორი უდრიდა სამ ნალჯომ სახნავ მიწას და ამდენივე ნალჯომ სათიბს.[365]

5. **ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებაში** წორის ოდენობა იყო 24 ნალჯომი სახნავი მიწა. ლატალისა და ლენჯერის ოთხი ნალჯომი უშგულის ერთ ნალჯომს უდრიდა. ლატალისა და ლენჯერის ერთი ნალჯომი ერთი ხარად და ერთ ძროხად ფასობდა.[366] დ. დავითულიანს საკუთარ ინფორმატორზე დაყრდნობით მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ლენჯერის თემში უბრალო შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა მკვლელობა. მორევებმა დამნაშავეს სრული წორის გადახდა დააკისრეს 24 ნალჯომი მიწის ოდენობით. დ. დავითულიანის ინფორმატორის მიხედვითაც ნალჯომი მაშინ კარგ ხარად და ძროხად ფასობდა. მიწების მიზომვა, როგორც წესი შუა ადგილას მოხდა.[367] დ. დავითულიანის ეს კონკრეტული ცნობა ადასტურებს ბ. ნიჟარაძის მონაცემს ლენჯერის თემში წორის ოდენობის შესახებ. მ. კეკელიას ლატალელი ინფორმატორებიც ადასტურებენ, რომ ძველად მათ თემში წორი მკვლელობისათვის 24 ნალჯომს შეადგენდა, ხოლო ერთი ნალჯომის მოცულობა 650 კვ. მ. იყო. ეს ორ ხარს, ან ოთხ ძროხას უდრიდა.[368] ერთ-ერთი ლატალელი ინფორმატორი – გელა ფარჯიანი – მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ მომხდარა. მორევებს დამნაშავისთვის ერთი წორი, ანუ 24 ნალჯომი მიწა დაუკისრებიათ. ამ ინფორმატორის მიხედვით ერთი ნალჯიმი 625 კვ. მ.-ს უდრიდა.[369] მ. კეკელიას მასალებში კიდევ ერთი კონკრეტული შემთხვევაც გვხვდება, როდესაც ლატალის თემში მორევებმა მხარეებს ურითიერთმკვლელობისათვის 24-24 ნალჯომის გადახდა დააკისრეს. საბოლოო ჯამში კი მოხდა ამ გადასახადების ერთმანეთში გაქვითვა.[370]

მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში ბ. ნიჟარაძისგან გარკვეულწილად განსხვავებული მონაცემებიც გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთი კალელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ამ თემში წორი 12 ნალჯომს უდრიდა. მას კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს, როდესაც მორევებმა დაახლოებით XX საუკუნის ათიან წლებში მკვლელს ნახევარი წორი დააკისრეს, ანუ 6 ნალჯომი. შესაბამისად სრული წორი 12 ნალჯომს შეადგენდა. იგივე ინფორმატორის მიერ მოყვანილ მეორე შემთხვევაშიც სრული წორის დაკისრებას ჰქონდა ადგილი –

364 ბ. ნიჟარაძე, იქვე, 118.

365 იქვე.

366 იქვე.

367 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 145.

368 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №1, 1967, 5, 25, 33.

369 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №8, 1972-1973, 48.

370 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №1, 1967, 48.

12 ნალჯომის ოდენობით.[371] აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას არაერთი სხვა ინფორმატორი ადასტურებს, რომ სრული წორის ოდენობა სწორედ 12 ნალჯომს შეადგენდა. მასში შედიოდა როგორც სახნავი, ისე სათიბი მიწები. კერძოდ, ამას მიუთითებს წვირმელი, იფარელი, მესტიელი, კალელი ინფორმატორი. ზოგიერთი მათგანი ამ ოდენობის წორის დაკისრების კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს.[372] როგორც ვნახეთ, ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ამ საზოგადოებებში სრული წორი 6 ნალჯომს უდრიდა. მ. კეკელიას ინფორმატორთა მონაცემები კი ცალსახად გვიჩვენებს, რომ იგივე საზოგადოებებში შედარებით გვიანდელ პერიოდში სრული წორის ოდენობას 12 ნალჯომად აფასებდნენ, თუმცა როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ამით წორის ფაქტობრივი ღირებულება დიდად არ შეცვლილა და 6 ნალჯომი მიწის ღირებულება დაახლოებით შემდგომდროინდელი 12 ნალჯომის ტოლი იყო.

რ. ხარაძე ადასტურებს, რომ წორი ჩვეულებრივ 6 ნალჯომ ყანას უდრიდა, თუმცა ნალჯომის ზომა სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული იყო, მაგალითად, მულახის საზოგადოების ერთი ნალჯომი ლატალ-ლენჯერის ოთხ ნალჯომს უდრიდა.[373] შესაძლოა წორის შეფასება განსხვავებული ერთეულებით მომხდარიყო. რ. ხარაძის თანახმად, ხალდეს საზოგადოებაში წორის ღირებულება უდრიდა 21 ტყუიმიშს (ტყუიმიში ტოლია ერთი უღელი ხარის), რაც 12 ნალჯომ ყანას შეადგენდა. ხალდეში არსებული წესების მიხედვით თვითონ წორი ნათესავთა შორის ნაწილდებოდა და მას ზედმეტად დიდი ღირებულების საჩუქარი აღარ ემატებოდა.[374]

საბატონო (ბალსქვემო, სადადეშქელიანო) სვანეთში – ბეჩოს, ფარის და ჩუბეხევის საზოგადოებაში წორის ოდენობა იყო 24 აქაური „ცხვადიში" სახნავი და სათიბი მიწა. აქაური „ცხვადიში" და ლენჯერ-ლატალის „ნალჯომი" ზომითაც და ფასითაც ერთნაირი იყო. ეცერის საზოგადოებაში „წორი" უდრიდა 12 ცხვადიშ სახნავ-სათიბს მიწას. აქაური ცხვადიში ზომით უშგულის, კალის, იფარის ნალჯომის ტოლი იყო, მაგრამ მისი ღირებულება იყო ათი „ფურეში" (ფურეში – 10 მანეთი).[375] ა. დავითიანის დაზუსტებით კი ბალსქვემო სვანეთში ცხვადიშის მოცულობა სხვადასხვა საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყო (მაგალითად, ეცერში ორ საზომს ხმარობდნენ და ორივე სხვადასხვა მოცულობისა იყო – ჭანდანის ცხვადიში 88 საჟენს უდრიდა, ჰებშიშ ცხვადიში კი 84 კვ. საჟენს, მაშინ როცა ლახამულას ცხვადიში 40 საჟენს შეადგენდა), მაგრამ მოცულობის სხვაობა ღირებულებაზე არ ახდენდა გავლენას. ეცერისა და ლახამულას ცხვადიში ორივე ას მანეთად იყო შეფასებული ოქროს ღირებულებით, ანუ საქონლით ხუთ ძროხად.[376] ამდენად, ეცერული ცხვადიშის ღირებულების შესახებ ბ. ნიჟარაძის მონაცემი (10 ფურეში), ემთხვევა ა. დავითიანის მონაცემს 100 მანეთი (იგივე 10 ფურეში).

ეცერის საზოგადოებაში წორის ოდენობაზე მონაცემს ვხვდებით მ. კოვა-

371 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 3, 6..

372 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 82; ეთნოგრაფიული რეული №4, 1968, 4, 13; ეთნოგრაფიული რეული №5, 1968–1969, 62, 69; ეთნოგრაფიული რეული №6, 1, 23.

373 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 34.

374 იქვე.

375 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 118.

376 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 65.

ლევსკისთანაც. მისი მონაცემით აქ წორი 13 ცხვადიშ მიწას უდრის, რაც ექვსნახევარი ქცევა მიწის ტოლია (ანუ ქცევა ორი ცხვადიშია). თითო ცხვადიში კი 384 კვ. საჟენის ტოლია. იგივე ავტორის მიხედვით ბეჩოში წორის ოდენობა ამის ნახევრად ფასობდა. მკვლელის მიერ გადასაცემი მიწა აქ ცხვადიშით არ იანგარიშებოდა, არამედ ნალჯომებით. წორი სულ 12 ნალჯომს უდრიდა. თითოეული ნალჯომი ცხვადიშის ნახევარი (და ნაკლებია). თავისუფალ სვანეთში კი სისხლის ფასი დაახლოებით ისეთივე იყო, რაც ბეჩოში.[377] ეცერში რომ წორს შედარებით განსხვავებული ღირებულება ჰქონდა ბ. ნიჟარაძესთანაც გამოჩნდა. აქაური წორის თანაფარდობა სხვა საზოგადოებების წორთან მ. კოვალევსკის მიხედვით, გარკვეულწილად ეთანხმება სხვა მონაცემებსაც.

მ. კეკელიას მიერ ეცერში დაფიქსირებული მასალის თანახმად, წორის დაკისრება შესაძლოა არა მიწის, არამედ პირუტყვის ანგარიშით მომხდარიყო. კერძოდ, ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მონაწილეობდა მკვლელობის საქმეზე მორევად. მორევებს მკვლელის მხარისთვის (თვით მკვლელი ციხეში დაიკარგა) სრული წორის – 60 ძროხის გადახდა დაუკისრებიათ, თუმცა შემდეგ ამისთვის გამოუკლიათ გადასახადი მკვლელისთვის მიყენებული სხეულის დაზიანებისათვის და ციხეში სიკვდილისათვის.[378] აღნიშნული ინფორმატორი სხვა შემთხვევასთან დაკავშირებითაც საუბრობს მკვლელისათვის სრული წორის სახით 60 ძროხის დაკისრებაზე და ზოგადადაც მიუთითებს, რომ მკვლელობისათვის მათ თემში სრული წორის ოდენობა სწორედ ამდენი იყო.[379] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, ეცერის თემში, მკვლელისათვის გადასახადი ვახტანგის სამართლის წიგნისა და ხევსურული რჯულის მსგავსად 60 ძროხად იყო შეფასებული.

წორის შესახებ მონაცემები არაერთ ავტორთან გვხვდება და ციფრობრივი თვალსაზრისით განსხვავებულიც. ჩვენ ყველა მონაცემი აქ არ მოგვიტანია. საფუძვლად კი ბ. ნიჟარაძის ცნობები ავიღეთ, რადგანაც იგი ყველაზე სანდოდ მიგვაჩნია, გამომდინარე იქედან, რომ იგი იყო ადგილობრივი მკვიდრი და სვანური წეს-ჩვეულებების უბადლო მცოდნე.

წორის ანგარიშში საუკეთესო მიწები რომ უნდა მიეცათ კარგად ჩანს ბალსქვემო სვანეთის მაგალითზეც. ა. დავითიანის თანახმად, წორის სახით გადასახდელი მიწების აზომვას წორის გადამხდელის სამოსახლოსთან ახლოს მდებარე სახნავ-სათესით იწყებდნენ. თუ გადამხდელ ოჯახს მიწა სახლის გარშემო ჰქონდა, მედიატორები სახლიდან ცხრა ნაბიჯს გადადგამდნენ და მიწის აზომვას იქიდან იწყებდნენ. თუ სოფლის ახლოს მიწები არ ჰყოფნიდა ოჯახს, მას უფლება ჰქონდა სოფლიდან ასე თუ ისე მოშორებით მდებარე სახნავ-სათიბი გადაეხადა, ოღონდ ამ შემთხვევაში ღირებულებას გაუნახევრებდნენ, რადგან სოფლის მახლობლად მდებარე სახნავი თუ სათიბი ასი მანეთი თუ ღირდა, მოშორებით ადგილებს ხუთ თუმნად მიიღებდნენ. მედიატორები მიწებს თოკებით ზომავდნენ და ადგილს იქ მიუზომავდნენ, სადაც წორის გადამხდელი მიუთითებდა.

---

377 М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 36.

378 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 96.

379 იქვე, 104, 106.

წორის მიმღები ოჯახი ამ პროცესში მონაწილეობას არ იღებდა.[380] ამ მონაცემიდან საინტერესოა ასევე ის გარემოებაც, რომ წორში გადასახდელი მიწის ღირებულება შესაძლოა დამოკიდებული ყოფილიყო, თუ რამდენად ახლოს, ან შორს იყო ეს მიწები გადამხდელის საცხოვრისთან, სოფელთან. მოშორებით არსებული მიწების ფასი შემცირებული – განახევრებული იყო. შესაბამისად, თუ წორის გადამხდელს არ ჰქონდა შესაბამისი მიწები სოფლის მახლობლად, დასაშვები იყო სოფლიდან მოშორებული მიწების გადახდაც, თუმცა ამ შემთხვევაში მიწების ორმაგი მოცულობის გასხვისება უწევდათ.

ბ. ნიჟარაძის თანახმად, ყველა საზოგადოებაში „ნალჯომის“ და „ცხვადიშის“ ფულადი თვალსაზრისით შეფასება დაახლოებით თანაბარ ჯამს იძლევა. მაგალითად, უშგულის სისხლის ნალჯომი იმდენივე ღირს, რამდენიც ლენჯერ-ლატალის 4 სისხლის ნალჯომი და ფარ-ჩუბეხევის 4 ცხვადიში, ე. ი. ექვსი ხარი. ამდენად, ექვსი უშგულური სისხლის ნალჯომი ღირდა 36 ხარი. 36 ხარად გაიყიდებოდა აგრეთვე ლენჯერ-ლატალის და საბატონი სვანეთის 24 ნალჯომი თუ ცხვადიში, გარდა ეცერის ცხვადიშისა. ხარი რომ 25 მანეთად ვიანგარიშოთ, ვნახავთ, რომ 36 ხარის ფასი შეადგენს 780 მანეთს. ამას უნდა დაემატოს ზემოთ ნახსენები საჩუქრები, ხარჯი. ამ ნაირად „წორ“ ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში ფულადი გამოხატულებით არანაკლებ 780 მანეთს შეადგენდა.[381] იგივეს ადასტურებს დ. დავითულიანიც. მისი დაზუსტებით, წორის ღირებულება აღწევდა 780-800 მანეთს (ოქროს კურსით). ამას ემატებოდა საჩუქრები, რომლებსაც სვანურად „ნალშგურიერ“ ჰქვია.[382]

წორის ფულადი შეფასების განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდის ზოგიერთი სხვა ავტორი. მაგალითად, ა. დავითიანის მიხედვით ბალსქვემო, ანუ სადადეშქელიანო სვანეთში გადასახადი გლეხის მკვლელობის შემთხვევაში იყო 1200 მანეთი ოქროთი.[383] მ. კოვალევსკი თანახმად, იფარის საზოგადოებაში წორის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 1000 მანეთს.[384] რ. ხარაძის მიხედვით, ლატალის საზოგადოებაში წორი უდრიდა 24 ნალჯომ მიწას, ანუ იმდენს, რამდენსაც მიუთითებს ბ. ნიჟარაძე, თუმცა რ. ხარაძის თანახმად, ფულად გამოხატულებაში ეს იყო 2400 მანეთი. ლახამულას საზოგადოებაში კი წორი უდრიდა 1200 მანეთს ოქროთი, რასაც იხდიდნენ მიწით, საქონლით და ფულითაც.[385] დ. დავითულიანი არ ეთანხმება რ. ხარაძეს რომ წორის ღირებულება 2400 მანეთი შესაძლოა ყოფილიყო. მისი აზრით, რეალობასთან უფრო ახლოსაა ბ. ნიჟარაძის მონაცემი, რომლის მიხედვითაც წორის ფულადი გამოხატულება 780-800 მანეთს ოქროთი შეადგენდა.[386] იქვე დ. დავითულიანი სრულიად სამართლიანად

---

380 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 65.

381 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 118-119.

382 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 171.

383 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 48; ა. დავითიანს მოყავს მკვლელობის კონკრეტული შემთხვევა (გულედანების მიერ გ. ჭ-ს მკვლელობის). საქმე შერიგებამდე მივიდა და 12-მა მედიატორმა გაარჩია და მკვლელის მხარეს დააკისრა სისხლის საზღაურად: საყანე ადგილები, შოძრავი ქონება – სულ ათას ორასი ოქროს მანეთის ოდენობის (ალ. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, პირადი არქივი, ა. დ. 16/3, 256). კონკრეტული ფაქტი ადასტურებს „ნორის“ ოდენობას ბალსქვემო სვანეთში.

384 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе. Т. 2, М. 1890, 36.

385 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 33., 34.

386 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 172.

მიუთითებს, რომ წორის ფულადი გამოსახულება ნაკლებად სარწმუნოა, რადგანაც ფულის კურსი სხვადასხვა ეპოქაში არ შეიძლება მყარი ყოფილიყო. მისი თქმით, წორის ღირებულების განსაზღვრისას ყველაზე უტყუარია მისი პირვანდელი საზომი, ე. ი. სვანური „ნალჯომი“, ანუ მიწის ზომებით „წორის“ შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწები ცალკეულ სოფლებში სხვადასხვანაირია: უშგულში „წორი“ 6 ნალჯომი ღირს, ლატალში 24, ისინი მაინც ერთ ღირებულებას ქმნიან. ამის დასადასტურებლად დ. დავითულიანი ფაქტიურად იმეორებს ბ. ნიჟარაძის შესაბამის გამოთვლას, კერძოდ, უშგულის ერთი ნალჯომი 6 ხარი ღირდა, ამდენად, სრული წორი 36 ხარი იყო. ლატალის და ასევე ლენჯერის ერთი ნალჯომი ერთი ხარი და ერთი ძროხა ღირდა, მაგრამ მათი საერთო ჯამი იგივე გამოდიოდა – ერთი ხარი ჩვეულებრივად ორ ძროხის ღირებულებისა იყო, 24 ძროხა 12 ხარს უდრიდა, 24+12=36 ხარს.[387] დ. დავითულიანს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ წორის ფულადი გამოხატულება ნაკლებად ყურადსაღებია. მიწის ღირებულება სხვადასხვა დროს, ცხადია, განსხვავებული იყო და ამდენად, წორის ფულადი გამოხატულებაც მიწის ღირებულების ცვლასთან ერთად შეიცვლებოდა. ამდენად, ა. დავითიანის და რ. ხარაძის მონაცემების განსხვავება ბ. ნიჟარაძის მონაცემისგან წორის ფულად გამოხატულებასთან დაკავშირებით, შესაძლოა განპირობებული იყო მათ მიერ ინფორმაციის სხვადასხვა დროს დაფიქსირებით და რაიმე შეცდომასთან საქმე არ გვაქვს. მ. კოვალევსკის მონაცემი (1000 მანეთი) კი მიახლოებითია და როგორც ჩანს უშუალოდ წორის გარდა დაზარალებული მხარისადმი მისაცემი საჩუქრების ღირებულებასაც მოიცავს. ამდენად, მისი მონაცემი ბ. ნიჟარაძის მონაცემისაგან დიდად არ განსხვავდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. კეკელიას მონაცემებში ვხვდებით ერთი შეხედვით ბ. ნიჟარაძისგან განსხვავებულ მონაცემს წორის ოდენობასთან დაკავშირებით ბალსზემო სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში (მაგალითად, კალაში, იფარში, მესტიაში). ამ მონაცემებით წორი უდრის 12 ნალჯომს და არა ექვსს, როგორც ეს ბ. ნიჟარაძესთანაა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბ. ნიჟარაძის თანახმად ერთი ნალჯომის ღირებულება 6 ხარს უდრის, ხოლო მ. კეკელიას იგივე ინფორმატორთა მიხედვით, ერთი ნალჯომი უღელ ხარად და ერთ ძროხად, ან სამ ხარადაა შეფასებული,[388] გამოდის, რომ წორის საერთო ღირებულება ორივე შემთხვევაში დაახლოებით თანაბარია და ჯამში 36 ხარის ტოლია, ანუ ბ. ნიჟარაძის 6 ნალჯომი მიწა (ნალჯომი 6 ხარის ღირებულების), უტოლდება მ. კეკელიას ინფორმატორების დასახელებულ 12 ნალჯომ მიწას (ნალჯომი 3 ხარი, ან 2 ხარი და ერთი ძროხა). როგორც ჩანს, ბალსზემო სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში დროთა განმავლობაში წორის განმსაზღვრელი ერთი ნალჯომი მიწის მოცულობა დაახლოებით განახევრდა, თუმცა ნალჯომების საერთო რაოდენობა გაორმაგდა. თუ რატომ მოხდა ასე ძნელი სათქმელია. ფაქტია, ამ საზოგადოების მცხოვრებთათვის წორის ოდენობის 12 ნალჯომად ანგარიში უფრო მოსახერხებელი გახდა, ვიდრე 6 ნალჯომად, თუმცა თვითონ სრულ წორში ნაგულისხმევი მიწის ოდენობა და ღირებულება არსებითად არ

387 იქვე.

388 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 82-83; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 13; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 62, 69.

შეცვლილა.[389]

თუ დამნაშავეს არ ჰქონდა სათანადო რაოდენობის და ხარისხის (საუკეთესო, სოფლის მახლობლად არსებული) საგვარეულო (ლაგვარ) ყანები, მისი შეცვლა სხვა საქონლით ხდებოდა.[390] კერძოდ, მკვლელს მათ მაგიერ უნდა მიეცა სახლ-კარი, რომელიც სამ სისხლის ნალჯომს უდრიდა და კალო თავისი კარაპანით („კარპან" – სადადიანო სვანეთში, „მაჩ" – თავისუფალ სვანეთში და „ცალმაგ" – სადადეშქელიანო სვანეთში, იგივე საბძელი). კალო-კარაპანი უდრიდა ორ სისხლის ნალჯომს. მეექვსე ნალჯომის მაგიერ მკვლელს მოძრავი ქონება უნდა მიეცა.[391]

შესაძლოა, კონკრეტულ ვითარებაში დაზარალებულ მხარეს საერთოდ არ აწყობდა წორში მიწის მიღება. ამ დროს წორში მისაცემი მიწის ღირებულებას მორვები პირუტყვის ღირებულებით, ან ფულში იანგარიშებდნენ და ისე დააკისრებდნენ დამნაშავეს. მაგალითად, მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ ფაქტს, როდესაც იგი უშგულში იყო მორევად მკვლელობის საქმეზე. მკვლელი უშგულელი იყო, დაზარალებული ხალდელი. ამ უკანასკნელს არ აწყობდა წორის სახით მიწების მიღება უშგულის ტერიტორიაზე და ამიტომ მორვებმა წორის გადახდა დამნაშავეს მთლიანად პირუტყვის (ხარებისა და ძროხების) სახით დააკისრეს, ცხადია, წორში მისაცემი მიწის ღირებულების შესატყვისად.[392] წორის ფულადი სახით ანაზღაურების საჭიროებისას, ისინი განსაზღვრავდნენ წორის ოდენობას მიწის, თუ პირუტყვის სახით, ხოლო შემდეგ მსჯელობდნენ (როგორც ინფორმატორი მიუთითებს, მორვების ნახევარი მაინც), თუ რა ღირებულებისაა წორში მისაცემი მიწა, პირუტყვი, რომ მათ ნაცვლად ნაღდი ფულის შესაბამისი ოდენობის გადახდა მომხდარიყო.[393]

ბალსზემო სვანეთში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მორვები მკვლელს წორის ნაწილის გადახდას მიწით აკისრებდნენ, ხოლო ნაწილს ფულით. მაგალითად, მ. კეკელიას მიერ მოპოვებული მედიატორთა სასამართლოს განაჩენის თანახმად, მორვებმა დამნაშავეს დააკისრეს ორი ნალჯომის მიწის გადახდა და ასევე 90 000 მანეთი. ამ განაჩენის გამოტანა 1918 წლის აგვისტოში მოხდა და თანახის ოდენობაც ფულის იმდროინდელი კურსით განისაზღვრა.[394]

ა. დავითიანის განმარტებით, რომელიც ძირითადად ბალსქვემო სვანეთს ეხება, ძირითად წორში არ შედიოდა ცხენი, ჯორი და ნვრილფეხა ცხოველები.

---

389 მ. კეკელიას მასალებში გვხვდება ზოგიერთი მონაცემი წორის ოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, რეალური არაა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, იფარის საზოგადოებაში ერთი წორი 30 აცსიში იყო. თითო აცსიში კი „ნიკოლოზის ფულით" ექვს მანეთს უდრიდა (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 37, 38). ჯამში გამოდის 180 მანეთი, რაც სრული წორისთვის ძალზედ მცირე ციფრია და აშკარად არ შეესაბამება იმ ზემოთმოყვანილ სანდო მონაცემებს, რომლებიც მეფის რუსეთის პერიოდში წორის ღირებულებად 780-800 მანეთს ასახელებენ. კიდევ ერთი იფარელი ინფორმატორის ცნობით კი წორის ოდენობა 120 აცსიშია (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 51). ეს მონაცემი უფრო ახლოსაა რეალურთან. წორის გამოსახვა აცსიშად იშვიათად გვხვდება მასალებში, თუმცა შესაძლებელია, რომ იფარის საზოგადოებაში წორის გამოთვლა აცსიშშიც ხდებოდა და ერთ წორს 120 აცსიშად ანგარიშობდნენ, როგორც ეს ინფორმატორი მიუთითებს.

390 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974–1975, 170.

391 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 117-118.

392 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 72..

393 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 83.

394 მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, დოკუმენტი №22, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №3, თბ., 1991, 187.

მოძრავ ქონებას ფასს თვითონ მედიატორები ადებდნენ და მათ მიერ შეფასებული უცილელად უნდა მიეღო ოჯახს. თოფ-იარაღს არ შეაფასებდნენ, თუ ერთხელ იყო გადახდილი ნორში. ხშირად გამოჰქონდათ ისეთი თოფები, რომლებიც მანამდეც არაერთხელ იყო გადახდილი ნორში და მათ ხელახლა არავინ აფასებდა. სპილენძის ჭურჭლეულობა, საარაყე ქვაბები, ქალის სამკაული და სხვა ცალ-ცალკე უნდა შეფასებულიყო. მედიატორები ადგენდნენ ნორს და ათას ორასი მანეთის ანგარიშში იბარებდნენ და აფასებდნენ. ნორის გადამხდელ ოჯახს გამოჰქონდა, რაც რამე დიდი ღირებულების გააჩნდა თავისი, თუ ნათესავებისგან შესანევრის სახით მიღებული.[395] ანალოგიურად უნდა მომხდარიყო საჭიროების შემთხვევაში ნორის სახით მისატანი მოძრავი ქონების შეფასება ბალსზემო სვანეთშიც.

სადადიანო სვანეთში, რომელიც შედგება სამი საზოგადოებისაგან: ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი, ნორად ითვლებოდა 400 მანეთის ღირებულების მოძრავი ქონება: „იარაღი – თოფი, ლეკური, ვერცხლის ძეწკვები, თასები, აზარფეშები, სპილენძის საარაყო ქვაბები და ..... ოთხფეხი საქონელი." თუ დამნაშავეს აღნიშნული მოძრავი ქონება არ ჰქონდა, მაშინ 400 მანეთის ღირებულების სახნავ-სათესი ადგილები უნდა გადაეხადა.[396]

სვანური ჩვეულებითი სამართალი ნორში მიწის გადაცემისას ადგენს დათესილი ყანის მოსავლის განაწილების წესსაც დამნაშავესა და დაზარალებულს შორის. ნორში გადასაცემ მიწას მორვები აზომავდნენ. თუ ყანა დათესილი იყო, მოსავალი შუაზე იყოფოდა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის. დამნაშავე მხარე აიღებდა მთელ მოსავალს და ნახევარს დაუტოვებდა დაზარალებულ მხარეს.[397]

მკვლელობისას ნორის გადახდით მორიგება სვანეთში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა. მ. კეკელიას ინფორმატორების მიხედვით ნორის გადახდა XX საუკუნის 60-70-იან წლებშიც ხდებოდა, თუმცა ამ პერიოდისთვის გადახდის საშუალებად ძირითადად გამოიყენებოდა არა მიწა, არამედ ფული.

სხვადასხვა ინფორმატორი ნორის ანგარიშში გადასახდელ სხვადასხვა თანხას ასახელებს, როგორც ე.წ. ძველი, ისე ე. წ. ახალი კურსით.[398] ინფორმატორების განმარტებით, ნორის ანგარიშში მიწის ნაცვლად ფულის სახით ანაზღაურებაზე გადასვლა განაპირობა იმან, რომ საბჭოთა პერიოდში მიწაზე კერძო საკუთრება გაუქმდა და ხალხს აღარ ჰქონდა საშუალება ნორი მიწის მეოხებით გადაეხადა, ამიტომ მათ თანამედროვე პერიოდში მიწაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო.[399]

ბალსზემო სვანეთის სხვადასხვა თემის წარმომადგენლები ნორის ღირებულებად უფრო ხშირად ასახელებენ 10 ათას მანეთს (ახალი კურსით),[400] თუმცა არის მონაცემები ამაზე ნაკლები (6-7-8 ათასი, ძველი კურსით 70-80 ათასი

---

395 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, რვეული №6, 66.

396 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 119.

397 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 53-54. ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1968-1969, 69.

398 იგულისხმება საბჭოთა ფული 1961 წელს საბჭოთა კავშირში მომხდარ ფულის რეფორმამდე და მის შემდეგ.

399 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 21; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 72.

400 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 2, 9, 54; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 103; ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 72.

მანეთი)[401] და მეტი ოდენობის (15 ათასი, 20 ათასი)[402] დასახელებისაც. ასეთი განსხვავებული მონაცემები განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ინფორმატორები წორის ოდენობას გამოხატულს საბჭოთა მანეთებში ასახელებენ კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე. კონკრეტულ შემთხვევებში კი განზრახ მკვლელობისათვის მორევებს შესაძლოა განსხვავებული ოდენობის თანხის გადახდა დაეკისრებინათ დამნაშავისათვის, რაც ამ შემთხვევებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

როგორც ბალსზემო სვანეთის სხვადასხვა თემის წარმომადგენელ მთხრობელთა უმრავლესობა მიუთითებს, ძირითადად წორის ოდენობა 10 ათასი მანეთის ფარგლებში იყო. ამას ერთი კონკრეტული შემთხვევაც ადასტურებს: კონკრეტული მკვლელობის საქმეზე მორევად მყოფი ინფორმატორის თქმით, მკვლელს 10 ათას მანეთზე მეტი დააკისრეს წორის სახით.[403] ზოგიერთი ინფორმატორი, როგორც დავინახეთ, შედარებით ნაკლებ თანხასაც ასახელებს. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, დამნაშავისათვის მთელი წორის გადახდა დღეს ძალიან ძნელია, ან თითქმის შეუძლებელი. ამიტომაც წორის სახით დამნაშავეს შეიძლება დიდი დიდი 70 ათასი მანეთი (ძველი კურსით, ახლით 7 ათასი) გადახდეს. მას ცოტა საქონელსაც დავამატებთ, თუმცა არც საქონელი გვყავს ძველებურად.[404] კიდევ ერთი ინფორმატორის თქმით, წორის ღირებულება დღევანდელი ფულის კურსით არ აღემატება 6 ათას მანეთს. ამ დროს ანგარიში ეწევა დამნაშავის შესაძლებლობას თანხის გადახდის საქმეში, მით უფრო ახლა, როდესაც აღარ შეუძლია მიწით დაფაროს წორის ნაწილი.[405] სხვა ინფორმატორები მიუთითებენ სახელმწიფოს მხრიდან მკვლელის დაპატიმრების ფაქტორს და მის მიერ საკმაოდ მძიმე სასჯელის მოხდას, რაც გავლენას ახდენდა წორის ოდენობაზე და მორევებს წორის შედარებით შემცირების საშუალებას აძლევდა.[406]

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის მონათხრობი, რომელიც მორევად ყოფილა 1948 თუ 1949 წელს მომხდარ მკვლელობის საქმეზე: მულახის თემში ნესტორ ჟორჟოლიანს რევოლვერით მოუკლავს მისი მოგვარე ინდიკო ჟორჟოლიანი, მისი ფეხმძიმე მეუღლე და დანით დაუჭრია ამ უკანასკნელის და. მოკლულებს დარჩენიათ ხუთი წლის შვილი ალიოშა. სამედიატორო სასამართლო გაიმართა მკვლელის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ, როდესაც მოკლულთა შვილს უკვე ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული. მორევებმა მსჯელობის შემდეგ ორი ადამიანის მკვლელობისა და ერთის დაჭრისათვის დამნაშავეს დააკისრეს 50 ათასი მანეთი (ძველი კურსით, იგივე 5 ათასი მანეთი ახალი კურსით). ინფორმატორის განმარტებით, ორი ადამიანის მკვლელობისათვის ასეთი დაბალი გადასახადი არასდროს დადგენილა. მორევებს ამის საშუალება იმან მისცა, რომ მათ ტოლობის ფიცი არ და-

401 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 55; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 21, 41. ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 1.

402 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 88; ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 66; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 8.

403 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 61-62.

404 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 21-22.

405 მ. კეკელია, მასალები სვანური ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 1.

406 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 62; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 41

დეს. წორის დიდი რაოდენობით შემცირების მიზეზი იყო ის, რომ ფულის მეტი ოდენობით გადახდის საშუალება იმ დროს აღარ იყო, ხალხს არც მიწა გააჩნდა და აღარც პირუტყვი ყავდა იმდენი. ასევე სახელმწიფო ამ დროს მკვლელობის ჩამდენთ ძალზედ დევნიდა და სასჯელს აკისრებდა.[407] როგორც ვხედავთ, მორვები საბჭოთა მანეთებში წორის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ ხელისუფლების მხრიდან მკვლელის (იგივე ითქმის დამჭრელზე) დასჯის ფაქტს და ასევე მოსახლეობაში გადახდისუნარიანობის შემცირებას იმ დროსთან შედარებით, როდესაც მათ მიწები კერძო საკუთრებაში ჰქონდათ, ან პირუტყვიც მეტი ოდენობით ჰყავდათ. ინფორმატორები მიუთითებენ მკვლელის სიღარიბით გამოწვეული წორის გადაუხდელობის გამო მესისხლეობაზე.[408] ინფორმატორების განმარტებით, ფულის არქონის შემთხვევაში წორის ნაწილის გადახდა დასაშვები იყო პირუტყვით, ან სხვა რაიმე ქონებით (ყველაფრის გადახდა იყო დასაშვები გარდა ქვისა და შეშისა), რომლის ღირებულებასაც მორვები შეაფასებდნენ.[409]

აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორი იმასაც კი აღნიშნავს, რომ უკვე მათში მკვლელობის შემთხვევაში მორიგებისას წორის გადახდაც კი არ ხდება და მხარეები მხოლოდ ტოლობის ფიცის დადებით რიგდებიან. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს ინფორმატორები ლატალ-ლენჯერის თემების წარმომადგენლები არიან. მათი მითითებით, წორი დაახლოებით 10 ათასი მანეთის ოდენობით ჯერ კიდევ არსებობს ზემო თემებში (იგულისხმება მესტიაში და ზემოთ, უშგულის მიმართულებით არსებული თემები), ხოლო მათთან მკვლელობისას დაზარალებულთან მოსარიგებლად მხოლოდ საჩუქრის გადახდა ხდებოდა (მაგალითად, ერთი ხარის), თუმცა ბოლო დროს ეს ჩვეულებაც იკარგება. ამის მიზეზი კი არის ის, რომ წორის გადახდის საშუალება უბრალოდ აღარ ჰქონდა ხალხს.[410] ერთ-ერთი ლატალელი ინფორმატორი კი საჩუქრის გადახდასაც არ თვლის სავალდებულოდ და აღნიშნავს, რომ ამის გაკეთება დამნაშავის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.[411] ზუსტად იგივეს დადასტურებას ვხვდებით ლენჯერელი ინფორმატორის ცნობაში. მისი თქმით, მათ საზოგადოებაში წორის აღებას ადგილი აღარ აქვს. დამნაშავე თავისი ნებით თუ რამეს აჩუქებს დაზარალებულს.[412]

საჩუქრის გადაცემის ჩვეულების თანდათანობითი დაკარგვა სწორედ იმას მიანიშნებს, რომ ამის გაკეთება სავალდებულო აღარ იყო და მხოლოდ დამნაშავის კეთილ ნებაზე შეიძლება ყოფილიყო დამოკიდებული.

წორის გადახდის გარეშე მხარეების მორიგება ვერ მოხდებოდა ე. წ. ტოლობის ფიცის გარეშე, რომელიც დამნაშავეს უნდა მიეცა დაზარალებული მხარისათვის. კერძოდ, დამნაშავეს უნდა დაეფიცა, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, მასაც რომ იგივე დამართნოდა, რაც დაზარალებულს, ისიც იგივეთი დაკმაყო-

---

407 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 29-30, 37, 42.

408 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 22.

409 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 65; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 12.

410 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 2, 9

411 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 55.

412 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 34.

ფილდებოდა.[413] ამით დამნაშავე მიანიშნებდა დაზარალებულს – მიუხედავად, იმისა, რომ შერიგება მოხდა შურისძიების, თუ წორის მიცემის გარეშე, ეს არ ნიშნავს მის დამცირებას და შეურაცხყოფას.

მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი ანალოგიური წესის არსებობას ადასტურებს ბალსქვემო სვანეთშიც. მისი ცნობით, ბალსქვემო სვანეთის სოფელ ბეჩოში საზოგადოების ხატზე დაფიცებით გააუქმეს ქონებრივი საზღაურის გადახდევინება. მხოლოდ დამნაშავე მხარე დაიფიცებდა, რომ „მეც ასე მოვიქცეოდი ..... ვაპატიებდი და არაფერს არ გადავახდევინებდიო".[414] მისივე განმარტებით, ქონებრივი საზღაურის აღება აღარ ხდება ლატალში, ეცერში, ბეჩოში, ცხუმარში, ლახამულაში, ჭუბერში და ბალსქვემო სვანეთში ყველგან.[415]

ინფორმატორი რომელიც ადასტურებს მკვლელობისას წორის გადახდის გარეშე შერიგების ტენდენციას, ამას მათ შორის იმითაც ხსნის, რომ სახელმწიფოს მხრიდან მკვლელობისა და მძიმე დაჭრის შემთხვევები სახელმწიფოსგან დაუსჯელად არ რჩებოდა.[416]

ამრიგად, იმ პერიოდში, როდესაც წორის ანაზღაურება ხდებოდა უკვე საბჭოთა ფულით, წორის ღირებულებაზე, მის ფულად გამოხატულებაზე გავლენას ახდენდა ზოგადად ხალხის გადახდისუნარიანობის შემცირება, ასევე უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მკვლელის დასჯა. ამის გამო მიღებული იყო მორვებს მკლელისათვის წორი 10 ათასი მანეთის ფარგლებშიც დაეკისრებინათ და შედარებით ნაკლები ოდენობითაც, იმის გათვალისწინებით, თუ რომელ თემში იყო დანაშაული მომხდარი და რა სასჯელი ჰქონდა დაკისრებული სახელმწიფოს მხრიდან დამნაშავეს და სხვა. ამიტომაც, ფიქსირდება წორის ოდენობად 10 ათასი მანეთიც და ნაკლებიც. აღნიშნული მიზეზებით, შესაძლოა მორვებს წორის აშკარად შემცირებული ოდენობა დაეკისრებინათ მკვლელისათვის, რაც ყოველგვარ მიღებულ ოდენობაზე არსებითად ნაკლები იყო. ეს მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როდესაც მორვები ტოლობის ფიცს არ დებდნენ, სწორედ იმ მიზნით, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შემცირების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ტოლობის ფიცის დადების შემთხვევაში, რითაც ხატის წინაშე სამართლიანი განაჩენის გამოტანის ვალდებულებას იღებდნენ, მათ მოუწევდათ განზრახი მკვლელობისათვის დაწესებული წორის ოდენობის ფარგლებში მიეღოთ გადაწყვეტილება და წორის ოდენობით არსებით შემცირებას ვერ გაბედავდნენ ფიცის დარღვევის შიშით. მასალებში ჩანს ტენდენცია მკვლელობისას წორის გადახდის გარეშე შერიგებისაც.

როგორც ზოგიერთი მონაცემით გამოჩნდა, წორის ოდენობა შესაძლოა 10-ათას მანეთზე მეტიც ყოფილიყო, მაგალითად, 15 ათასი, ან 20-იც კი. თანხის ასეთი ოდენობის დასახელება სვანი ინფორმატორების მხრიდან არ არის შემთხვევითი. ძველად სრული წორი – ექვსი ნალჯომი მიწა დაახლოებით 36 ხარს უდრიდა. საბჭოთა პერიოდში, როდესაც მ. კეკელია იწერდა მასალებს, ხარის ღირებულება სვანეთში დაახლოებით 500-600 მანეთს უდრიდა, ამდენად, ერთი

---

413 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 54; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 34.

414 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 81.

415 იქვე.

416 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 55.

წორი 18-20 ათასი მანეთი გამოდიოდა. ასე რომ, თუ პირდაპირ მოხდება წორის ძველი ღირებულების საბჭოთა ფულში გადაყვანა, დაახლოებით იმ გადასახადს მივიღებთ, რასაც ეს ინფორმატორები მიუთითებენ. აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას ინფორმატორთაგან მხოლოდ რამოდენიმე მათგანი ასახელებს ასეთ შედარებით მაღალ ციფრს წორის ფასად. გამორიცხული არაა კონკრეტულ თემში, კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც, ამ ოდენობის გადასახადის დაკისრებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ საფიქრებელია, საბჭოთა მანეთით წორის დაკისრებისას მორვები ძირითადად მაინც 10 ათას მანეთს (ან ცოტა მეტს) აკისრებდნენ დამნაშავეს, ან შედარებით ნაკლებს. უმეტესი მონაცემი ამას ადასტურებს, მათ შორის ორიოდე კონკრეტული შემთხვევაც, რაც საუკეთესო დასტურია ჩვენი ამ ვარაუდის. ამდენად, სავარაუდოდ, წორის ღირებულება ამ პერიოდში ძველად არსებულ ნალჯომებში გამოხატული წორის ღირებულების ფულად გამოხატულებასთან შედარებით კლების ტენდენციას იჩენს, რაც ხალხის გადახდისუნარიანობის შემცირებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. მეტიც, მასალებით ზოგ საზოგადოებაში მკვლელობისას წორის გადახდის საერთოდ გაუქმებასაც ვხვდებით.

ბოლო პერიოდის მონაცემების მიხედვით, წორის გადახდის სანაცვლოდ სვანურ ჩვეულებით სამართალში ძირითადად გამოიყენება შერიგება ტოლობის ფიცის მეშვეობით, რაც მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში დაფიქსირებული ტენდენციის გაღრმავების მაჩვენებელია. წორის ინსტიტუტი, ბალსზემო სვანეთის თანამედროვე სინამდვილეში ზოგან ჯერ კიდევ შემორჩენილია, თუმცა მისი გამოყენება ნაკლები ინტენსიობით ხდება, ზოგან კი მტრების შერიგების სხვა მექანიზმებით არის ჩანაცვლებული. აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლის დაკნინების კვალობაზე წორის ინსტიტუტის მოქმედება თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.[417]

წორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სვანეთში არ არსებობდა. წორის გადახდა შესაძლოა დანაშაულის ჩადენიდან მრავალი წლის შემდეგ, დამნაშავის შთამომავლობის მიერ მომხდარიყო. მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი მიუთითებს, რომ წორის მოთხოვნის უფლება დაზარალებულს არასდროს ეკარგება რაც არ უნდა დრო გავიდეს დანაშაულის (მკვლელობის) ჩადენიდან. პირიქით, რაც მეტი დრო გავიდოდა, შერიგებით საქმის დამთავრების შესაძლებლობა იზრდებოდა.[418] ეს წესი სრულ თანხვედრაშია ქართული ჩვეულებითი სამართლისთვის ზოგადად დამახასიათებელ პრინციპთან, რომ იგი არ იცნობს პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადას.[419]

2. 3. აზნაურის („ნაურგიელის", გვარიშვილობის, „ვარგიშ") წორი. ა. დავითიანის თანახმად, სვანეთში მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ იყო მოკლული: სოფელში განთქმული კაცი, განთქმული მეოჯახე, ხალხისთვის სასარგებლო თუ უსარგებლო, ფიზიკური ნაკლის მქონე მუნჯი, ყრუ, კოჭლი, თუ სრულიად

417 ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 100.

418 მ. კეკელიას, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6. 1969, 29.

419 ამ საკითხზე იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 238-239.

უნაკლო ადამიანი.[420] ერთგვაროვნად ისჯებოდა კაცისა და ქალის მკვლელი, ასევე სასულიერო პირის მკვლელი.[421] განსხვავებული ოდენობის მხოლოდ აზნაურის სისხლი იყო. ზემოთაღნიშნული წორის გადახდა გლეხის მკვლელობის შემთხვევაში ხდებოდა. აზნაურის სისხლი გლეხისაზე ორჯერ მეტი ღირდა.[422] დ. დავითულიანის მიხედვით, აზნაურის წორის ადათი „ნაურგიელის" (გვარიშვილობის) წორის ადათად არის ცნობილი. „ნაურგიელის" ადათი შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს, რადგანაც ამ პერიოდის სვანური ძეგლები განასხვავებენ ერთმანეთისაგან აზნაურსა და გლეხს, „ვარგსა და ყმას" და გარკვეულ აზნაურთა სისხლის უპირატესობას წარმოაჩენენ.[423]

ძველად ბალსზემო სვანეთში ისეთივე ბატონყმური ურთიერთობები არსებობდა, როგორც დანარჩენ საქართველოში. გლეხები მიწებიანად ეკუთვნოდა აქაურ აზნაურებს – ვარგებს.[424] შემდეგ, დროთა განმავლობაში ეს ბატონყმური ურთიერთობები შეირყა. გლეხობამ აქ შეძლო აზნაურთათვის მხოლოდ ფორმალური პრივილეგიები დაეტოვებინა. აზნაურების თვითნებობის აღსაკვეთად არც თუ იშვიათადად გლეხობა უკიდურეს ზომებს მიმართავდა. ერთ ასეთ შემთხვევას აღწერს მ. კოვალევსკი. ცნობილია, რომ მესტიაში გაბატონებული ყოფილან ჯაფარიძეები (XV საუკუნის შემდგომ), რომელთაც ბატონყმობის საკმაოდ მძიმე უღელი დაადგეს მესტიელ გლეხებს. ადგილი ჰქონდა გლეხების გაყიდვას, რასაც ხშირად თან ახლდა მშობლებისა და შვილების, ცოლ-ქმართა განცალკევება. ჯაფარიძეთა მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ გამოიწვია ჯაფარიძეთა გვარის თითქმის მთლიანი ამოწყვეტა. გადარჩა მხოლოდ ერთი ბავშვი, რომლისგანაც გამრავლდნენ ჯაფარიძეების ახალი თაობები. ამის შემდეგ ხალხი ირჩევდა „მახვშს" და თვითონ განაგებდა ყოველგვარ საქმეს.[425] სვანეთის საისტორიო ძეგლებში გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, გლეხობას ძალზედ მცირედი გადასახადი უნდა მიეცა ჯაფარიძეებისათვის.[426] როგორც დ. დავითულიანი მიუთითებს, ეს უფრო მოწყალების სახეს ატარებდა. გადასახადის ოდენობა თვითონ გლეხებს განუსაზღვრავთ, ხოლო ჯაფარიძეები სიამოვნებით დათანხმებიან და ფიცი მიუციათ, რომ მეტს არ მოითხოვენ.[427] ლატალში გლეხობამ ბოლო მოუღო ჩარკვიანთა ბატონობას – ყველა ერთ დღეში ამოხოცა. აქაც ერთი ბავშვი გადარჩენილა, რომელიც მულახში ყოფილა თავის ნათესავებთან. რამდენიმე წლის შემდეგ ხალხმა მაინც მისცა მას უფლება დასახლებულიყო იქ, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ.

---

420 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 48, 55.

421 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 86; ეთნოგრაფიული რეული №4, 1968, 61.

422 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 48; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 28; ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი II, ტფ., 1913, განყოფილება IV, 4; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 96 და სხვა.

423 იხ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 160-162; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 28.

424 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 281.

425 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 14-15.

426 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, 16.

427 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 28-29.

მისი შთამომავლობა ამის შემდეგ უფლებრივად გაუთანაბრდა ადგილობრივ გლეხებს.[428] ბალსზემო სვანეთის თემები ყოველთვის უპირისპირდებოდნენ აზნაურებს. მხოლოდ უშგულში მოუკლავთ სხვადასხვა დროს ექვსი აზნაური.[429] ცალკეული თემები სწორედ ასე, ერთობლივი ძალებით იმკვიდრებდნენ თავისუფლებას, თუმცა მიუხედავად ამისა, აზნაურთა გვარებს („ვარგებს") მათი ფაქტობრივი ბატონობის პერიოდში დამკვიდრებული გარკვეული პრივილეგიები მაინც შერჩათ. კერძოდ, აზნაურის, „ვარგის" მოკვლისათვის სისხლის საფასურის (წორის) გაორკეცებული ოდენობა გლეხის სისხლთან შედარებით და გადიდებული ნაჭვლაში (იგივე ურვადი, მისატანი, რომელსაც საქმრო უხდიდა საცოლის მშობლებს).[430] დ. დავითულიანის სამართლიანი მოსაზრებით, ეს პრივილეგიებიც აზნაურებს იმიტომ შერჩათ, რომ ისინი ადათით იყო დამკვიდრებული, ხოლო ადათ-ჩვეულების დარღვევას მოსახლეობა თავს არიდებდა.[431] ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ბალსზემო სვანეთში ვერ შენარჩუნდა უკვე დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობები, იყო აქ არსებული მეურნეობის ხასიათი, რომელმაც არ შეუწყო ხელი სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებას და ფეოდალური ურთიერთობები აღარ განვითარებულა.[432] მიუხედავად ამისა, აზნაურის გვარის წარმომადგენელთა მკვლელობისათვის ორმაგი წორის გადახდა აქ XX საუკუნეშიც კი იყო შენარჩუნებული.

სვანეთში კარგად იყო ცნობილი გვარები, რომლებიც ვარგებად ითვლებოდნენ და ორმაგი წორი მათი ძველი დროიდან შენარჩუნებული პრივილეგია იყო. ბალსზემო სვანეთში ასეთი იყო – ჯაფარიძეები, გოშხეთელიანები, ქურდიანები, იოსელიანები, ჟორჟოლიანები. თავადების ორი გვარი: გარდაფხაძეები და გელოვანები სახლობდნენ ქვემო სვანეთში. ბალსქვემო სვანეთში კი ყველაფერი დადეშქელიანების გვარის ხელში აღმოჩნდა – მიწებიც და წოდებრივი პრივილეგიებიც. გლეხები ვალდებულნი იყვნენ გარკვეული ბეგარა შეესრულებინათ მათ მიმართ და გარკვეული ნატურალური ხასიათის გადასახადი გადაეხადათ.[433] ა. დავითიანი მიუთითებს, რომ ბალსქვემო სვანეთში დადეშქელიანებმა გლეხებს ქონების, მიწების სახით არაფერი დაუტოვეს, ამიტომ გლეხს არ ჰქონდა იმდენი უძრავი ქონება, რომ თავადის მოკვლის შემთხვევაში ორმაგი წორი გადაეხადა და შემდეგ თვითონაც ცხოვრების მატერიალური სახსარი ჰქონოდა. მისი თქმით, რეალურად არ დასტურდება შემთხვევა, გლეხის მიერ თავადის მოკვლისა და შემდეგ სისხლის საზღაურის გადახდით შერიგებისა. არავის ახსოვს ვინმეს თავადის წორი გადაეხადოს. გლეხი თავადთა სასისხლო საქმეებს საერთოდ გაურბოდა. ორმაგი სისხლი იმის გარანტია იყო, რომ ყმას თავადის მოკვლა არასდროს გაებედა.[434] შესაძლოა ბალსქვემო სვანეთთან დაკავშირებით ა. დავითიანის ეს განცხადება რეალობას მოკლებული მართლაც არ იყოს, მაგრამ ბალსზემო სვანეთში, სადაც ვარგების (აზნაურების) პრივილეგია მხო-

428 ეგ. გაბლიანი, თაქისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 26.

429 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 29.

430 იქვე, 30.

431 იქვე., 31.

432 იქვე.

433 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 49; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 18-19.

434 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 48-49, 71.

ლოდ სისხლის ორმაგ ოდენობაში გამოიხატებოდა (გადიდებულ ნაჭვლაშთან ერთად), ეთნოგრაფიული მონაცემებში ფიქსირდება შემთხვევები აზნაურთა გვარის წარმომადგენლის მკვლელობისა და დამნაშავის მიერ შესაბამისი წორის გადახდისა. დ. დავითულიანი მიუთითებს, რომ სვანეთში წორს ყველა იღებდა (მას მხედველობაში აზნაურთა გვარები აქვს), გამონაკლისის იყო დადეშქელიანების გვარი. ისინი წორს არ იღებდნენ და შეურაცხმყოფელს უცილობლად მოკლავდნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის.[435] ეს მონაცემი ამყარებს ა. დავითიანის პოზიციას ბალსქვემო სვანეთთან მიმართებაში, რომ თავადის მკვლელობისათვის წორის გადახდა არ მომხდარა. როგორც ჩანს, აქ არა მარტო გლეხს არ შეეძლო ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შესწვდენოდა ორმაგი წორის გადახდას, არამედ არც აქაური თავადები – დადეშქელიანები კადრულობდნენ წორის აღებას და ყველას საპასუხო მკვლელობით უსწორდებოდნენ.

სხვა ვარგები კი წორის აღებას არ თაკილობდნენ, რაც კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება. იგივე დ. დავითულიანს ჩაწერილი აქვს შემთხვევა ლენჯერის საზოგადოებაში გულედანის მიერ ჯაფარიძის მოკვლისა. ინფორმატორის თქმით, რომელიც მოკლულის ძმისშვილი იყო, მკვლელობა მომხდარა მის პატარაობაში, მთაში, სასოფლო მიწებთან დაკავშირებით. მორევებმა გულედანებს დააკისრეს ორი სრული წორი – ერთი მკვლელობის და ერთიც „ნაურგიელ" (გვარიშვილობის). ამის გარდა მესამე სრული წორის გადახდა დააკისრეს სოფელ ნესგვიანს, რადგან მკვლელობა სასოფლო საძოერებს მოყვა. გულედანებმა წორის გადახდა შეძლეს და შერიგებაც მოხდა. ჯაფარიძეები მაინც დამცირებულად თვლიდნენ თავს, რადგან მათი მოგვარე გლეხმა მოკლა, ამიტომაც დ. დავითულიანის ინფორმატორმა და მისმა ძმამ, როდესაც წამოიზარდნენ მოკლეს მკვლელის ძმა. ჯაფარიძეებს ერთი წორის დაბრუნება მოუწიათ.[436] ეს კონკრეტული მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რომ ვარგის მკვლელობისათვის სამედიატორო სასამართლომ დადგენილი წესის თანახმად მკვლელს ორმაგი წორი დააკისრა. მკვლელის მხარემ კი ამ ფასის გადახდა შეძლო. საპასუხო მკვლელობის გამო კი მხოლოდ ერთი წორის დაბრუნება მოხდა, რადგანაც შურისძიების მიზნით მოკლული გლეხი იყო.

ორკეცი წორის ოდენობის გადასახადის გადახდას ჰქონდა ადგილი უშგულის საზოგადოების მიერ ბალყარელი თავადის სიკვდილით დასჯის გამოც, რაც ბალყარელებმა მკვლელობად შეაფასეს.[437]

აზნაურის მკვლელობისათვის ორმაგი წორის გადახდა ფიქსირდება XX საუკუნის II ნახევარში დაფიქსირებულ მასალაში.[438] გვხვდება კონკრეტული ფაქტებიც აზნაურის მკვლელობისათვის ორმაგი წორის დაკისრებისა. მაგალითად, მ. კეკელიას მულახელი ინფორმატორი იხსენებს მეფის რუსეთის (ნიკოლოზ II-ის) დროინდელ შემთხვევას, როდესაც ინფორმატორმა როგორც მორე-

435 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 148.

436 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 147; იგივე შემთხვევის აღწერას ეხვდებით მ. კეკელიას მასალებშიც (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 31).

437 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 172.

438 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 6, 62, 78; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 8, 13, 78; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 26; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 23, 32.

ვმა მონაწილეობა მიიღო მარგიანის მიერ იოსელიანის მკვლელობის საქმეში. მედიატორებმა მკვლელს ორმაგი წორის გადახდა დააკისრეს.[439] მ. კეკელიას ერთ-ერთი იფარელი ინფორმატორი კი აღნიშნავს, რომ მათთან აზნაურები იყვნენ ჩარკვიანები. მათი წორი განზრახ მკვლელობისას ორმაგი იყო, ხოლო უნებლიე მკვლელობისას, ცხადია, ნახევრდებოდა, ანუ უდრიდა ერთ წორს – ერთი გლეხის სისხლს მისი განზრახი მკვლელობისათვის. იგი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას წინაპართაგან გადმოცემულს, როდესაც უნებლიედ მოკლეს ჩარკვიანი და მორევებმა მკვლელს ერთი წორი დააკისრეს, რადგანაც იგი აზნაური იყო.[440] ეს მაგალითები ადასტურებს, რომ „ნაურგიელის" წორი XX საუკუნეშიც მოქმედებდა და ორმაგ წორს გულისხმობდა. როდესაც ბალსზემო სვანეთში უნებლიე მკვლელობისათვის წორის განახევრება დაიწყეს, ეს აზნაურის წორზეც გავრცელდა, კერძოდ, აზნაურის გვარის წარმომადგენლის უნებლიე მკვლელობისათვის მორევები ერთი წორის გადახდას აკისრებდნენ დამნაშავეს.

2. 4. „ნავერიანის წორი." ბალსზემო სვანეთში დაფიქსირებულ ჩვეულებითი სამართლის მასალაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ცნობები ე. წ. „ნავერიანის წორის" შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რა იგულისხმება მასში.

„ნავერიანის წორს" საერთოდ არ ახსენებს ბ. ნიჟარაძე, რ. ხარაძე, ა. დავითიანი, მ. კოვალევსკი. ეგ. გაბლიანი მხოლოდ ადასტურებს მის არსებობას და ერთგან მიუთითებს, რომ მორევები, რომლებიც მონაწილეობენ მათ მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებაში: „..... მიდიან ყანებში, მიუზომავენ „ნავერიანა წორა ნალჯვემს", – ნავერიანის სისხლის მიწის ზომას...."[441] ეს მონაცემი მიუთითებს, რომ ბალსზემო სვანეთში არსებულა „ნავერიანის წორი", რაც წორის სიდიდის განმსაზღვრელი საზომის – ნალჯომის გარკვეულ ზომას გულისხმობს. სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს, თუ ნავერიანის წორის ნალჯომის ზომა რა ოდენობის იყო, განსხვავდებოდა თუ არა იგი ჩვეულებრივი წორის განმსაზღვრელი ნალჯომის ზომისაგან, ასევე, ნავერიანის წორის ნალჯომის ზომა მთელ ბალსზემო სვანეთში გამოიყენებოდა თუ არა და საერთოდ, რატომ ჰქვია წორის ამ სახეობას ერთ-ერთი სვანური გვარის სახელი?

ამ საკითხს შედარებით ვრცლად შეეხო დ. დავითულიანი. მისი განმრატებით, თავისუფალ სვანეთში მტკიცედ დამკვიდრდა ე. წ. „ნავერიანის წორის" ადათი. მკვლელობისათვის გლეხის სისხლის ფასს უშუალოდ „ნავერიანის წორი" ჰქვია. „ნავერიანის წორი" ყველა სოფელში ერთნაირი ოდენობის საურავია. გლეხის მოკვლისათვის თუ „ნავერიანის წორს" არ მიუსჯიდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ გავრცელდა რაღაც შეღავათი, ადგილი ჰქონდა მისაგებებელ სარჩელს, რაღაც პატივსადებ მიზეზს, პატიებას და სხვა. „ნავერიანის წორი ლენჯერ-ლატალში 24 ნალჯომ სახნავ მიწას უდრის, მესტიაში, მულახში და იფარში 3 ნალჯომ სახნავ მიწას და ამდენივე შემოკავებულ სათიბს. კალა-უშგულში კი 6 ნალჯომ სახნავ მიწას. მიუხედავად სახნავი მიწის ამ სხვადასხვაობისა „ნავე-

439 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 7.

440 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 24, 38.

441 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 108.

რიანის წორი“ ყველგან ერთი და იგივე საშუალო ღირებულებას ქმნის, იგი 36 ხარის ღირებულ ქინებას უდრის. ნავერიანის წორის ადათის შესახებ ბალსზემო სვანეთში ჩვეულებრივ, ყველა ზრდასრულ ადამიანს გაუგია, თუმცა მის წარმოშობაზე მხოლოდ აქა იქ შეუძლიათ გიპასუხონ. ადათის წარმოშობაზე ხალხის ზეპირი გადმოცემა მხოლოდ იმას ამბობს, რომ მოკლული ნავერიანი ყოფილა დედისერთა, შედარებით კარგი ოჯახიდან და გლეხის სისხლის ღირებულების შეფასებისას დამნაშავისათვის ერთობ დიდი წორი გადაუხდევინებიათ. ამას შემდეგში როგორც ჩანს სხვამაც მიბაძა და ასე დაიმკვიდრა ამ ადათმა თავისი ადგილი. მკვლელობის ინციდენტის კონკრეტულ გარემოებებზე ამჟამად საერთოდ არაფერი ახსოვთ.[442]

დ. დავითულიანის ამ მონაცემიდან გამომდინარეობს, რომ ბალსზემო სვანეთის თითოეულ თემში გლეხის მკვლელობისათვის დადგენილი წორი, რომლის ოდენობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, იგივე ნავერიანის წორია, ანუ ე. წ. ნავერიანის წორის ნალჯომის ზომა ტოლია ბალსზემო სვანეთის ცალკეულ თემში დადგენილი ზემოთდასახელებული ნალჯომის ზომისა. ასევე, ამ მონაცემიდან გამომდინარეობს, რომ ძველად წორის ოდენობა შედარებით მცირე ყოფილა, მაგრამ ნავერიანის მკვლელობისათვის დამნაშავისათვის შეფარდებული შედარებით დიდი ოდენობის წორი ქცეულა პრეცედენტად და გლეხის მკვლელობის სხვა შემთხვევებისას წორის იგივე ოდენობის დაკისრება წეს-ჩვეულებად დამკვიდრებულა. თუ რატომ მომხდარა ნავერიანის მკვლელობისას წორის მომეტებული ოდენობის დაკისრება დ. დავითულიანის მონაცემში ზუსტად არ ჩანს. ჩვენი აზრით, მოკლულის დედისერთობა და კარგი ოჯახისშვილობა არ უნდა ყოფილიყო ამის ცალსახა მიზეზი. დედისერთობის ფაქტს შესაძლოა რაიმე გავლენა მოეხდინა მორვების განაჩენზე, რადგანაც ეს ოჯახის ამოგდების ტოლფასი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და გამორიცხული არაა მკვლელობის სხვა გარემოებებსაც მოეხდინა ზემოქმედება მორვებზე. ამრიგად, დ. დავითულიანის მიხედვით, ნავერიანის წორი გლეხის მკვლელობისათვის დადგენილი ჩვეულებრივი სრული წორია და წორის რაიმე სპეციფიკურ, განსხვავებულ სახეს არ წარმოადგენს, ხოლო მისი დაკისრება ხდება მაშინ, როდესაც გლეხის მკვლელობისას რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება არ არსებობს, მოკლულის მხრიდან მკვლელის მიმართ რაიმე დანაშაულის ჩადენას, ზიანის მიყენებას, ასევე რაღაც სახით პატიებას ადგილი არ ჰქონია.

დ. დავითულიანის მითითებით ბალსზემო სვანეთში ყველა მორევმა იცოდა, რომ სვანეთში გლეხის სისხლი „ნავერიანის წორით“ განისაზღვრებოდა. ეს მისი სვანი ინფორმატორების მონაყოლითაც დასტურდება.[443] ერთ-ერთი მისი ინფორმატორი იხსენებს, რომ ლენჯერის თემში მოხდა მკვლელობა, რისთვისაც მორვებმა (რომელთა შორის ინფორმატორიც იყო) მკვლელს სრული წორი დააკისრეს. ინფორმატორის მითითებით მათ წორის განსაზღვრის დროს „ნავერიანის წორის“ სიდიდე იანგარიშეს.[444]

ყველაზე მეტ მონაცემს ნავერიანის წორთან დაკავშირებით მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში ჩაწერილ მასალაში ეხვდებით. ცნობილი მეცნიერი

442 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 39-40.

443 იქვე, 141, 149. .

444 იქვე, 145.

ამ საკითხს სპეციალურად იკვლევდა და შესაბამისი კითხვა მან თავის არაერთ სვან ინფორმატორს დაუსვა. ბევრ მათგანს გაგონილი ჰქონდა ნავერიანის წორის შესახებ, თუმცა უმეტესობას მაინც ზოგადი წარმოდგენა აქვს მის შესახებ. მათი განმარტებით, „ნავერიანის წორი" ჰარაკად არის შემორჩენილი და წორის გადიდებულ ოდენობას გულისხმობს, კერძოდ, ერთი ლატალელი ინფორმატორის მიხედვით იგი 32 ნალჯომს უდრიდა 24-ის ნაცვლად, ლენჯერელი ინფორმატორის თანახმად კი 30-ს. სხვათა ცნობით კი გაორმაგებულ წორს. მისი დაკისრება კი მაშინ ხდებოდა, როდესაც რაიმე უმძიმესი დანაშაულის ჩადენას ექნებოდა ადგილი. ნავერიანის წორი საერთოდ, მიწის ზომებთან იყო დაკავშირებული, თუმცა უფრო კონკრეტული მონაცემები, მათ შორის მისი წარმოშობის შესახებ მათ არ ახსოვთ.[445] სამაგალითოდ, ერთ-ერთი იფარელი ინფორმატორის მონაცემს მოვიყვანთ: „ჩვენში ხშირად გაიგონებთ „ნავერიანების წორი" – რომელსაც მაშინ ვიტყვით, როცა „ნამეტან დანაშაულთან" გვაქვს საქმე, რომელიც მკაცრად უნდა დაისაჯოს. „ნავერიანის წორის" ღირს კაცს ორმაგად მაინც უნდა გარდახდეს. თუ საიდანაა წარმომდგარი ეს „ნავერიანის წორი", მე არ ვიცი. ალბათ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ასეთი წორის გადახდას."[446] ამ მონაცემების სისწორე ძალზედ საეჭვოა, განსაკუთრებით „ნავერიანის წორის" ოდენობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციის მომწოდებელი სვანი ინფორმატორები თავად აღიარებენ, რომ მათი ცნობები „ნავერიანის წორის" შესახებ ზუსტი არაა და მის შესახებ ბევრი რამ არ იციან.

მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორის დაზუსტებით „ნავერიანის წორი" მულახის თემში გაჩნდა, იგი მულახის თემში მომხდარ მკვლელობას უკავშირდება და მის გამოყენებას სწორედ აქ ჰქონდა ადგილი. სხვა თემის წარმომადგენელი ზოგიერთი ინფორმატორი მათ თემში (მაგალითად, ლატალში, ლენჯერში) „ნავერიანის წორის" გამოყენებას არ ადასტურებს.[447]

ეს ინფორმაცია, სავარაუდოდ, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. ამას ის გარემოებაც მიუთითებს, რომ „ნავერიანის წორის" შესახებ ყველაზე უფრო სრულყოფილი და კონკრეტული მონაცემები მ. კეკელიამ სწორედ მულახის თემში დააფიქსირა.

მულახელი ინფორმატორი, სოფელ ჟამუშიდან ილარიონ ნავერიანი (მონაცემის ჩაწერის დროს – 1968 წ, იყო 88 წლის) იხსენებს მამამისის მონაყოლს, რომელშიც ასახულია ამ სოფელში მომხდარი იმ მკვლელობის პერიპეტიები, რომლის შედეგადაც წარმოიშვა „ნავერიანის წორი". საინტერესოა, რომ ინფორმატორი ამ მკვლელობის ჩამდენის შთამომავალი ყოფილა. მისი თქმით, მათში ჰარაკად ყოფილა შემორჩენილი „ნავერიანების წორი". ინფორმატორი განმარტავს, რომ სოფელ ჟამუშში ნავერიანის გვარის ორი შტო ცხოვრობს, რომელთა შორისაც სისხლით ნათესაობა არ არის. მისი წინაპარი ყოფილა მსვათ ნავერიანი, რომლის კოშკთან ერთ დღეს ახლოს ჩამოუვლია მეორე შტოს ნავერიანს, სახელად ნავერს, რომელსაც ინფორმატორი კარგ ვაჟკაცად ახასიათებს და დაუძახია მისთვის: „მსვათ! კოშკში ხარ"? „აქა ვარო" – უპასუხია

445 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 24, 33, 62; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 31-32, 38-39, 65-66.

446 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 60.

447 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 62; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 31-32..

მსვათს. იმავ წუთს ნაერ ნაერიანს შეუძახია: „თუ მაქა ხარ, მოდი აგერო". ჩაუხდია შარვალი და საჯდომი დაუნახვებია. ამის დანახვაზე მსვათს გული მოსვლია და ნაერ ნაერიანი იქვე მოუკლავს. ამ საქმეს მოციქულობა მოჰყოლია, მას კი მორვარობა, რომლებსაც გაურჩევიათ ეს საქმე და მსვათ ნაერიანისათვის წორის ძალიან დიდი რაოდენობა დაუკისრებიათ, ჩვეულებრივი წორისგან განსხვავებული. ინფორმატორს ზუსტად არ ახსოვს რა ოდენობის იყო ეს წორი. აღნიშნული შემთხვევა ინფორმატორის მამის პატარაობისას მომხდარა.[448] ეს ცნობა ადასტურებს, რომ ნაერიანის წორი მულახის თემში, კერძოდ, ამ თემის სოფელ ჟამუშში წარმოშობილა და დაკავშირებული ყოფილა აქ მომხდარ ნაერიანის გვარის წარმომადგენლის მკვლელობასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1968 წელს ინფორმატორი იყო 88 წლის (ანუ დაბადებული დაახლოებით 1880 წელს), ხოლო ამ ამბავს მამამისის ბავშვობისას ჰქონდა ადგილი, ეს მკვლელობა დაახლოებით XIX საუკუნის შუა ხანებში უნდა მომხდარიყო. სწორედ ამ დროიდან დამკვიდრებულა მულახის თემში მკვლელობის სისხლად „ნაერიანის წორი" – უფრო დიდი ოდენობის, ვიდრე ეს მანამდე იყო, თუმცა წორის ოდენობის ეს გაზრდა კონკრეტულად რაში გამოიხატა, ამ ინფორმატორის მონათხრობში არ ჩანს.

მ კეკელიას სხვა მულახელი ინფორმატორებიც ადასტურებენ, რომ შემდგომ მომხდარი მკვლელობებისათვის ამ თემში სრული წორის დაწესებისას სწორედ „ნაერიანის წორს" უფარდებდნენ ადგილობრივი მორვები და სხვა წორი მულახში არ ყოფილა.[449]

კიდევ ერთი მულახელი ინფორმატორი გვაძლევს დამატებით ცნობებს ნაერიანის წორის შესახებ, კერძოდ, წარმოდგენას გვიქმნის მისი სპეციფიკის თაობაზე, თუ რატომ იყო ეს წორი გამორჩეული ჩვეულებრივი წორისაგან. ერმალე ჟორჟოლიანი მულახის თემის სოფელ არცხელიდან აღნიშნავს, რომ მის სოფელში განზრახ მკვლელობისათვის ერთი წორი მოიცავდა ორ ყანას და ერთ სათიბს, რაც შეადგენდა „ნაერიანის წორს". კერძოდ, ეს იყო ქალდანების ყანა სოფელ ჟამუშში, რომელსაც „უსგულაშს" ეძახდნენ, მეორე ეს იყო მათივე ყანა „ბადერის" სახელწოდებით და მესამე ნაერიანების ერთი სათიბი. ნაერიანის წორი ამ სამ კონკრეტულ მიწის ნაკვეთს მოიცავდა და შეადგენდა ერთ წორს. როდესაც მკვლელობა მოხდებოდა, სწორედ ამ მიწის ნაკვეთების ზომებს იღებდნენ მხედველობაში. მკვლელობის დროს ნაერიანის წორის შეფარდებისას ჯერ ამ მიწებს გაზომავდნენ, ხოლო შემდეგ ამ ზომის მიხედვით, დამნაშავის მიწების აზომვა მოხდებოდა და აღნიშნული სამი მიწის ნაკვეთის მოცულობის მიწებს მკვლელი დაზარალებულ მხარეს გადასცემდა წორის ანგარიშში.[450] ინფორმატორი ასე ასრულებს თავის მსჯელობას „ნაერიანის წორის" შესახებ: „ზომის ერთეულად ერთი წორის ანგარიშში ეს ყანები აუღიათ პირველად და ჩვენც ამას ვდებდით შემდეგ – იგი შეადგენდა ერთ ნაერიანის წორს, სხვა წორი მულახში არ იყო."[451]

ერთ-ერთი მულახელი ინფორმატორი (კონსტანტინე გუჯეჯიანი, მულახის

448 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 79-80.

449 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 9, 23.

450 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 8-9.

451 იქვე, 9.

თემი, სოფელი ჭოლაში) იხსენებს მულახის თემში მომხდარ კონკრეტული მკვლელობის შემთხვევას, რომლის განხილვაშიც იგი მონაწილეობას იღებდა, როგორც მორევი. მკვლელს მიუსაჯეს ნავერიანის ერთი წორი, რაც ინფორმატორის განმარტებით ორ ჰექტარ მიწას უდრიდა. აქედან ნახევარი სახნავი იყო და ნახევარი სათიბი (ექვს-ექვსი ნალჯომი თითოეული). მესამე თუ მეოთხე დღეს მორევები წასულან დაზარალებულისათვის მიწების მისაზომად. მორევებს თავდაპირველად ნავერიანების საყანე გაუზომავთ, საიდანაც წასულან და ამ ზომის შესაბამისად დამნაშავის მიწა გადაუზომავთ. შემდეგ ნავერიანების სათიბში წასულან და მისი ზომები აუღიათ. შესაბამისი ზომის სათიბი კი დამნაშავის სათიბში მიუზომიათ დაზარალებულისათვის. მიუხედევად იმისა, რომ ზოგიერთმა მორევმა იცოდა ნავერიანების წორში რამდენი საყანე და რამდენი სათიბი მიწა შედიოდა და შეიძლებოდა ნავერიანების ყანასა და სათიბში მისვლის გარეშეც მიეზომათ მისი ტოლი მიწის ნაკვეთი დამნაშავის მიწებიდან დაზარალებულისათვის, მაგრამ წესად იყო დადგენილი, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჯერ ნავერიანების წორში ნაანგარიშები სახნავი მიწა აუზომათ, შემდეგ მისი ტოლი დამნაშავის, შემდეგ ნავერიანების წორის სათიბი და ისევ დამნაშავის სათიბი – ამიტომაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მორევებმა ზუსტად დაიცვეს წესები.[452]

მ. კეკელიას მულახელი ინფორმატორების მონაცემები, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობაა, საკმაოდ სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის „ნავერიანის წორის“ შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით შემდეგი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს:

1. ნავერიანის წორი სვანური წორის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს, რომლის გამოყენება ძირითადად მაინც მულახის თემში დასტურდება. მ. კეკელიას ინფორმატორების მონაცემებში გარკვევით ჩანს, რომ სვანეთის სხვა თემებში ნავერიანის წორის გამოყენებას ადგილი არ ჰქონდა. ეს ეწინააღმდეგება დ. დავითულიანის მონაცემს, რომლის მიხედვაც ნავერიანის წორი მთელ სვანეთში იყო გავრცელებული და ბალსზემო სვანეთის ყველა თემში არსებული წორი, სწორედ ნავერიანის წორს წარმოადგენდა. მ. კეკელიას საკმაოდ სრულყოფილი კვლევა აქვს ჩატარებული ნავერიანის წორთან დაკავშირებით და გამოკითხული ჰყავს სვანური ჩვეულებითი სამართლის საუკეთესო მცოდნენი. მათ შორის აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ მულახელი ინფორმატორების ნაამბობია კონკრეტული და მოიცავს არსებით ცნობებს ნავერიანის წორის, მისი წარმოშობის შესახებ. სხვა კუთხეების წარმომადგენელთა მონათხრობი ნავერიანის წორის შესახებ კი საკმაოდ ზოგადი და ზედაპირულია. ეს მიუთითებს იმას, რომ ნავერიანის წორის გამოყენება სწორედ მულახში ხდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შესახებ სრულყოფილ მონაცემებს ბალსზემო სვანეთის სხვა თემებში მცხოვრები ინფორმატორებიც მოგვაწვდიდნენ. აქედან გამომდინარე, არ მიგვაჩნია სარწმუნოდ დ. დავითულიანის მონაცემი. მისი კონკრეტული ცნობა ლენჯერში მომხდარი მკვლელობისას ნავერიანის წორის დაწესების შესახებ ან გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს, ან მისი ინფორმატორის მხრიდან ნავერიანის წორის შინაარსის არასწორი ინტერპრეტაცია. დ. დავითულიანის ცნობაში საერთოდ არ ჩანს ნავერიანის წორისთვის დამახასიათებელი მიწის მიზომვის წესი, რაც კონკრეტულ ადგილას უნდა განხორციელებულიყო. ამ ფაქტორის გა-

452 . კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 63, 69-70.

რეშე საუბარი ნავერიანის წორის გამოყენების შესახებ შეუძლებლად მიგვაჩნია.

2. ნავერიანის წორის დაწესება XIX საუკუნის შუახანებში უნდა მომხდარიყო მულახის თემის სოფელ ჟამუშში ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით, როდესაც ადგილობრივმა მორევებმა ამ მკვლელობისათვის წორში გადასახდელად მიწის რამდენიმე კონკრეტული ნაკვეთის გადახდა დააკისრეს დამნაშავე მხარეს. ეს მიწის ნაკვეთები ერთად აღებული ქმნის ნავერიანის წორს. მათი ერთობლივი მოცულობა, თუ ერთ-ერთ ინფორმატორს დავუჯერებთ, დაახლოებით ორი ჰექტარია, რაც მოცულობით აღემატება ჩვეულებრივი წორის განმსაზღვრელი მიწის ნალჯომების საერთო მოცულობას. სწორედ ამაში უნდა გამოიხატებოდეს „ნავერიანის წორის" გადიდებული ოდენობა. ერთ-ერთი მულახელი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ მულახში ნალჯომის ოდენობა მეტია, ვიდრე ბალსზემო სვანეთის სხვა საზოგადოებებში.[453]

3. მულახის თემში განზრახ მკვლელობის ჩამდენს მხოლოდ ნავერიანის წორს აკისრებდნენ.

4. ნავერიანის წორი გულისხმობდა კონკრეტულ მიწის ნაკვეთებს – ყანას და სათიბს, ხოლო წორის დაკისრება ყოველი მკვლელობისათვის სწორედ მათი ზომის მიხედვით ხდებოდა. ე. წ. „ნავერიანის წორის" ადათი გულისხმობდა იმას, რომ მორევები ყველა მკვლელობის შემთხვევაში ჯერ ზომავდნენ ნავერიანის წორის დადგენისას განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებს (რიგრიგობით ყანას „უსგულუშის" და „ბადერის" სახელწოდებით და ნავერიანების სათიბს), შემდეგ მკვლელის ყანასა და სათიბში აზომავდნენ იგივე მოცულობის ნაკვეთებს დაზარალებულისათვის გადასაცემად. ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ნავერიანის წორის განმსაზღვრელი მიწის ზომები წინასწარ იყო ცნობილი. მ. კეკელიას მულახელი ინფორმატორების თანახმად, ეს წესი ნავერიანის წორის ადათის განუყოფელი ნაწილი იყო. ამდენად, ამ წესის განხორციელების გარეშე გადაცემული ნორი, არ შეიძლება ჩაითვალოს ნავერიანის წორად.

მიგვაჩნია, რომ უპრიანია ნავერიანის წორის შესახებ კვლევის გაგრძელება ამ ინსტიტუტის უფრო სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

2. 5. ნათესავების მონაწილეობა წორის გადახდასა და მის მიღება-განაწილებაში. წორის ოდენობა სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკმაოდ დიდი იყო. როგორც დ. დავითულიანი აღნიშნავს, სვანურ მეურნეობაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხარს და ამდენად მისი ღირებულებაც მნიშვნელოვან ოდენობას აღწევდა. წორის ღირებულების – 36 ხარის – გადახდა ერთი ცალკე აღებული ოჯახისთვის თითქმის შეუძლებელი იყო. წორის ღირებულება ჩვეულებრივი ოჯახის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებასაც აღემატებოდა. მეტი თვალსაჩინოებისათვის დ. დავითულიანი ხარის ღირებულებას მისი თანამედროვე ეპოქისათვის (XX საუკუნის 70-იანი წლები) უჩვენებს, რაც მაშინ 500-600 საბჭოთა მანეთს შეადგენდა, შესაბამისად 36 ხარის ღირებულება 18-20 ათას მანეთს უდრიდა. ასეთი თანხის გადახდას კი ამ პერიოდშიც ყველა ვერ შეძლებდა.[454] 10 ათასი მანეთის გადახდაც არ იყო ადვილი. ეს დ. დავითულიანის თანამედროვე ადამიანისთვის სრულიად გასაგებია.

სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, წორის გადახდაში მონაწი-

453 კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 28.

454 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 172-173.

ლეობის მიღება სამხუბში[455] შემავალი ოჯახების მოვალეობას შეადგენდა. მკვლელთან ერთად წორის გადახდაში მონაწილეობდნენ: მისი ცალკე ოჯახად მცხოვრები ძმები, ახლო ბიძაშვილები, გარე ბიძაშვილები და სხვა. ამ საკითხზე საკმაოდ სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის რ. ხარაძე. მისი გამოკვლევით ერთი სამხუბის წევრის მიერ მეორე სამხუბის წევრის მოკვლის შემთხვევაში მკვლელის მთელი ახლო ნათესაობა მოკლულის ნათესავთა დევნის ობიექტი ხდებოდა სისხლის აღების მიზნით, ან მონაწილეობას იღებდა წორის გადახდაში.[456] მისი განმარტებით, წორის გადახდაში სამხუბის წევრები ერთმანეთს „ნამხუბიერით", ე. ი. საძმოს გადახდით ეხმარებოდნენ. წორის რაოდენობის მსგავსად ამგვარი დახმარებაც საზოგადოებათა მიხედვით განსხვავებული იყო. ავტორი ხალდეში შეგროვილი მასალების მიხედვით გვიჩვენებს, თუ ამგვარი შესაწევარი სხვადასხვა ნათესაური კატეგორიის მიხედვით როგორ ნაწილდებოდა:

1. პირველ რიგში მკვლელს დახმარებას უწევდნენ ძმები. თუ ისინი გაყრილები იყვნენ, მაშინ წამ ლახუბა (ძმები ერთად)[457] იხდიდა მესამედს, ზოგჯერ ნახევარსაც. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი ძმა იყო სულ და როგორ იყვნენ ისინი გაყოფილნი. მაგალითად, თუ 5 ძმა იყო და გაიყვნენ ისე, რომ ერთი ცალკე იყო და ოთხნი კი ერთად და გადასახდელი სწორედ ამ მეხუთეს ჰქონდა, მაშინ ამ ოთხ ძმას ორი მესამედი მაინც უნდა გადაეხადა. ზოგჯერ მკვლელი ძმა ნაკლებს იხდიდა, ვიდრე დანარჩენი ძმები, რადგან მათზე ნაკლებად შეძლებული იყო.

2. ძირიშ მეხუბარარი – უახლოესი მოძმეები (ესაა სამხუბის შემადგენელი მთელი შტო, რომელიც დაახლოებით ძმათა შვილების შვილებიდან იწყება) იხდიდა თითო ხარს, ან მის ღირებულებას, რაც ნახევარ ნალჯომ მიწას უდრიდა.

3. ქახიქა მეხუბარარი – გარეშე მოძმეები (ესაა სამხუბის სხვადასხვა შტოები ერთიმეორის მიმართ) იხდიდა ერთ ძროხას ან ერთი ძროხის საფასურს.

4. ლანბაშნა ანუ ჰასუიშ ნიბაშინ-ი (ესაა ჰასუიშის, მკვლელის ოჯახიდან გათხოვილი დის, ქალის შთამომავლობა)[458] იხდიდა იმდენს, რამდენსაც ქახიქა მეხუბარარი – ერთი ძროხის საღირალს.

5. ლადიარი – ნათესაობა დედის მხრიდან იხდიდა იგივეს. განსაკუთრებით ეს დედის ძმებს შეეხებოდა.[459]

ნამხუბიერის გადახდა სავალდებულო იყო, ხოლო მისი გადაუხდელობა დიდ უსიამოვნებას იწვევდა: „ტუელად მადამიკ", ე. ი. ტოლად არ ჩამთვალეო, ეტყოდნენ ასეთ კაცს და უეჭველად მტრულად შეხედავდნენ მას.[460]

ამრიგად, წორს არა მხოლოდ მკვლელი იხდიდა. ამ საქმეში მას მთელი სამხუბი ეხმარებოდა და პასუხს აგებდა თავისი თანამოძმის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ქონებრივი საზღაურის,

455 სამხუბი – გვარის შემადგენელი ახლონათესაური სტრუქტურული ერთეული. თავის მხრივ შედგებოდა ცალკეული შტოებისაგან.

456 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 25, 33, 62,

457 თითოეული ძმა ერთიმეორისათვის წამ მეხუბეს, ე. ი. ღვიძლ ძმას ნარმოადგენს.

458 ლანბაშნა – პასუიშის შთამომავლობა, რაც მისი ოჯახის და მთელი მისი სამხუბისათვის სრულიად ახალ ნათესაობას ნარმოადგენდა.

459 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 34.

460 იქვე, 34–35.

სისხლის ფასის გადახდა სისხლის აღების თავიდან აცილების მიზნით ხდებოდა. სისხლის აღება კი არა მარტო უახლოეს ნათესავებზე, არამედ სამხუბის სხვა წევრებზეც შეიძლება გავრცელებულიყო. ამდენად, შერიგებისას სამხუბის ყველა წევრს უნდა მიეღო მონაწილეობა სისხლის გამოსყიდვაში და ამით შურისძიებისაგან თავის დაღწევაში, ხოლო სამხუბის თითოეული წევრის მიერ გადასახდელი შესაწევრის ოდენობა მკვლელის მიმართ ნათესაურ სიახლოვეზე იყო დამოკიდებული.

სისხლის ფასის გადახდაში მკვლელის გარდა მისი გვარის წევრების მონაწილეობას ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალშიც ვხვდებით. მაგალითად, ჩერქეზებში სისხლის ფასი ძალზედ დიდი იყო და მისი გადახდა მხოლოდ მკვლელის შესაძლებლობებს აღემატებოდა, ამიტომ აქ მთელ გვარს ეკისრებოდა ვალდებულება მონაწილეობა მიეღო მის გადახდაში.[461] საერთოდ, საზოგადოებაში სადაც გვაროვნული, სამეურნეო-ჯგუფური ერთობა არსებობს, კომპიზიციის გადამხდელი მთელი ჯგუფია.[462]

წორის გადახდაში მკვლელთან ერთად მისი ნათესავების მონაწილეობის შესახებ კონკრეტულ ფაქტს ადასტურებს მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი ნესტორ ჩარკვიანი უშგულიდან. იგი მორევი იყო მკვლელობის საქმეზე, დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისში. მორევებმა მკვლელს დააკისრეს 10 უღელი ხარის სახნავი მიწა და ამდენივე უღელი ხარი. მორევების გადაწყვეტილებით, აქედან მკვლელის სახლისკაცებს, მის განაყოფთ, სულ ექვს კომლს უნდა გადაეხადა თითი დღის სახნავი და ერთი უღელი ხარი, რის შემდეგაც მკვლელს გადასახდელი რჩებოდა 4 უღელი ხარის სახნავი მიწა და 4 უღელი ხარი. ინფორმატორი იმასაც ხსნის, თუ რატომ დააკისრეს მკვლელის განაყოფებს ფაქტიურად გადასახადის ნახევარზე მეტის გადახდა. მათ ჩათვალეს, რომ მკვლელი ვერ შეძლებდა ამდენი რაოდენობის მიწისა და ხარების გადახდას (მას არაფერი დარჩებოდა, ან ვერ აუვიდოდა ამდენ გადასახადს) და მორვარობა ფუჭი აღმოჩნდებოდა. თუ მკვლელი გაეცლებოდა დაზარალებულებს და მკვლელს ვერ ისისხლებდნენ, ახლობელზე იძიებდნენ შურს. გადასახადის გადახდაში ახლობლების ჩართვის გარეშე შერიგება ვერ მოხდებოდა. ინფორმატორი იხსენებს, რომ დამნაშავის მიერ გადასახადის გადახდის შემდეგ მას მიწა და პირუტყვი არ დარჩენია, სახლი ბიძაშვილს დაუტოვა, ხოლო თვითონ ქვემო სვანეთში (ლაშხეთში) გადასახლდა, იქ დაცოლშვილდა და მისი შთამომავლები იქ ცხოვრობენ.[463] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ წორის ნაწილის დაკისრება მკვლელის უახლოესი ნათესავებისადმი, მისი განაყოფი ოჯახებისადმი XX საუკუნის დასაწყისშიც ხდებოდა და კონკრეტული მაგალითით დასტურდება, რომ მკვლელის დახმარება მისი უახლოესი ნათესავების მიერ სვანეთში მიღებული წესი იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მორევებმა ზუსტად დააწესეს, თუ რომელ ნათესავს რამდენი უნდა გადაეხადა. მათ ფაქტიურად დაავალდებულეს მკვლელის ნათესავები ეს გაეკეთებინათ. მკვლელის გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე, მათ წორის ნახევარზე მეტის გადახდა მის ნათესავებს დააკისრეს. სავარაუდოდ, მკვლელის ახლო ნათესავები მორევების დავალდებულების გარე-

461 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.1, Одесса, 1882, 167.

462 М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 113.

463 მ. კეკელია მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 37-39.

შეც დაეხმარებოდნენ მას წორის გადახდაში, რადგანაც ეს სვანეთში მიღებული იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საჭირო გახდა საკმაოდ სოლიდური დახმარების გაწევა დამნაშავისადმი და ამიტომაც მორევებმა შესაძლოა თავიც დაიზღვიეს და განაჩენით განსაზღვრეს, თუ ვინ რამდენით უნდა დახმარებოდა მკვლელს, რომ წორის გადახდა გარანტირებული ყოფილიყო. ასევე, შესაძლებელია ამ პერიოდისათვის წორის გადახდაში ნათესავთა მონაწილეობის წინასწარ ზუსტად დადგენილი პირობები აღარც იყო შემორჩენილი და საჭიროების შემთხვევაში მორევები განსაზღვრავდნენ, თუ ვინ რამდენით უნდა დახმარებოდა მკვლელს. მ. კეკელიას ინფორმატორი წორის გადახდაში ნათესავების მხრიდან მკვლელის დახმარების იგივე მიზეზს ასახელებს, რაც ზემოთ მოვიტანეთ. იგი ადასტურებს, რომ ეს აუცილებელი იყო სამედიატორო სასამართლოს მთავარი მიზნის, მხარეთა შერიგების მისაღწევად, რაც წორის გადახდის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ეს დახმარება კი საჭირო იყო ამის უზუნველსაყოფად და მკვლელის და მისი ნათესავებისათვის შურისძიების ასარიდებლად.

მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი (კალას თემიდან) ადასტურებს წორის გადახდაში მკვლელის ნათესავების მონაწილეობას. მისი განმარტებით, მკვლელის განაყოფი ძმები, ასევე ბიძები და ბიძაშვილები ინაწილებდნენ მკვლელის ოჯახთან ერთად გადასახდელ წორს. ეს ინფორმატორიც მიუთითებს, რომ ეს ხდება მკვლელისადმი დაკისრებული წორის გადახდის უზრუნველსაყოფად, რაში დაინტერესებული მკვლელის უახლოესი ნათესავებიც არიან, რადგანაც შურისძიების საშიშროება წორის გადაუხდელობის შემთხვევაში მათაც ემუქრება.[464] საინტერესოა, რომ ეს ინფორმატორიც მიუთითებს მკვლელის ამ უახლოესი ნათესავებისათვის წორის ნაწილის გადახდის დაკისრებას მორევების მიერ.[465] როგორც ჩანს, იმ პერიოდში რომელსაც მ. კეკელიას ინფორმატორთა მეხსიერება სწვდება, სრულიად შესაძლებელი იყო მორევებს განესაზღვრათ მკვლელის ნათესავების სავალდებულო მონაწილეობა წორის გადახდაში.

წორის გადახდაში მკვლელის ოჯახისადმი ნათესავების, სამხუბის წევრების დახმარების შესახებ ბალსქვემო სვანეთში ადასტურებს ა. დავითიანი. მისი განმარტებით, შესაწევრის რაოდენობა დამოკიდებული იყო მისი გამღების ნათესაურ სიახლოვეზე მკვლელთან და მის შეძლებაზე. მაგალითად, მკვიდრ საძმოს შეეძლო ასი მანეთიც გაეღო შესაწევრად ადგილით, ფულით, მსხვილფეხა საქონლით, განძეულით, თოფ-იარაღით, სპილენძისა და ვერცხლის განძეულით. ყველაფერი ეს წორში შეიძლება გადახდილიყო. საერთოდ არც ერთი ასე თუ ისე ნათესაურად დაკავშირებული ოჯახი არ დარჩებოდა, რომ რამე შესაწევარი არ გაეღო თავისი შეძლების კვალობაზე. შესაწევარი ნებაყოფლობითი იყო და შეიძლება ყოფილიყო ასი მანეთიდან დაწყებული სამ მანეთამდე, ანუ ცხვრის ღირებულებით ან თვითონ ცხვრის გაღებით დამთავრებული.[466]

ა. დავითიანის მონაცემებს ბალსქვემო სვანეთთან დაკავშირებით თუ შევადარებთ რ. ხარაძის მონაცემებს ხალდეს თემთან მიმართებაში, შეიძლება დავინახოთ მსგავსებებიც და განსხვავებებიც. ორივე მონაცემში ჩანს მკვლელის სამხუბის წევრების მონაწილეობა წორის გადახდაში. რ. ხარაძის მონაცემები

464 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 37-38.

465 იქვე, 37.

466 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 6.

უფრო რეგლამენტირებული და კონკრეტიზირებულია. ა. დავითიანთან ასეთი განსაზღვრულობა და კონკრეტიკა არ ჩანს. ჩვენ მისი მონაცემებიდან მხოლოდ ზოგადად ვიგებთ, რომ გადასახდელი შესაწევრის ოდენობას განსაზღვრავდა მკვლელთან ნათესაობის ხარისხი, თუმცა რამდენი უნდა გადაიხადოს, მაგალითად, მკვიდრმა ბიძაშვილმა თუ სხვა ნათესავმა მითითებული არაა და ამავე დროს პიროვნების შეძლებაზეც არის დამოკიდებული. მკვიდრ ბიძაშვილს შესაძლოა ასი მანეთი ან მისი საღირალი ქონება გაეღო შესაწევრად, შესაძლოა სამი მანეთიც. ყველა ნათესავი შეძლებისდაგვარად გაიღებდა რაიმეს. ა. დავითიანის მიხედვით, განსხვავებით რ. ხარაძის მონაცემებისგან, შესაწევრი ნებაყოფლობითი იყო. აქ ნებაყოფლობითობაში იგულისხმება ის, თუ შესაწირავს რა ოდენობით გადაიხდიდა ესა თუ ის ნათესავი. თვით შესაწირავს კი ყველა იხდიდა. ა. დავითიანთან კარგად გამოჩნდა, რომ შესაწევრის გადახდის გარეშე მკვლელის არც ერთი ნათესავი ოჯახი არ დარჩებოდა. რ. ხარაძის მონაცემით კი კონკრეტულადაა განსაზღვრული თუ რომელი კატეგორიის ნათესავს რა ოდენობის შესაწევრი უნდა გადაეხადა. შესაწევრის სავალდებულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მის მიუცემლობას შესაძლოა მტრობა გამოეწვია. მონაცემების ასეთი განსხვავებულობა შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ისინი სვანეთის სხვადასხვა რეგიონს ეხება და სხვადასხვა დროსაა დაფიქსირებული.

სვანური ჩვეულებითი სამართალით მოკლულის სხვადასხვა კატეგორიის ნათესავებზე გადანაწილებას ექვემდებარებოდა ასევე დაზარალებულისადმი მისაცემი წორიც. რ. ხარაძის მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა: მოკლულის ღვიძლ და-ძმებს – წამ ლახუბასა და წამ დაჩუირს, თუ ცოცხლები იყვნენ, მიღებული წორიდან ერგებოდა თითო უღელი ხარი. თუ და-ძმა ცოცხალი არ იქნებოდა ეს მათ შვილებს ეკუთვნოდა, თუმცა სხვადასხვანაირად – ვაჟებს მეტი, ხოლო ქალებს მათზე ნაკლები, რაც მამაკაცის ხაზით მესამე თაობამდე გრძელდებოდა. თუ დაჩუირის შვილი ქალი იყო, მაშინ წორის განაწილება მესამე თაობაზევე შეწყდებოდა. ამგვარად, თუ ლახუბა-გეზლარ (ძმათა შვილები) ვაჟები იყვნენ, იღებდნენ ორ ხარს, ან უფრო მეტს, ხოლო ქალები იმავე ნათესაურ დამოკიდებულებაში იღებდნენ ერთი ძროხის, ან ერთი ხარის საფასურს. შემდგომ მესამე თაობაში შედიოდნენ ლახუბა-გეზლირის ვაჟები, რომლებიც უკვე ძირიშ მეხუბარარს წარმოადგენდნენ, ხოლო მათი დები – სამხუბის ჰასუიშებს. ამ უკანასკნელთა ვაჟები იღებდნენ წილს, როგორც გარკვეული ნათესაური ჯგუფი – ლანბაშნა, ჰასუიშების ქალები კი სრულიად გამოირიცხებოდნენ წილის მიღებისაგან და ამდენად მესამე თაობაზე წყდებოდა ქალის ხაზით მიმართული ნათესაობის შიგნით წორის განაწილება. გამონაკლის შემთხვევაში ჰასუიშის ქალს, თუ კარგი ქმარი ჰყავდა, რომელსაც შეეძლო რომ ესისხლა, შესაძლებელი იყო წორის ნაწილი რგებოდა. ამ დროს მხედველობაში მიიღებოდა არა თვითონ ქალი, არამედ მისი ქმარი და მაშინ მას იმდენივე მიეცემოდა, რამდენიც ვაჟს.[467]

რ. ხარაძე დასკვნის სახით შემდეგნაირად აყალიბებს მიღებული წორის განაწილების წესს:

1. წამ ლახუბას, სხვა ნათესავებთან შედარებით ეკუთვნოდა წორის უდიდესი ნაწილი.

2. ჰასუიში იღებდა ერთ ხარს (ხოლო თუ გასაყოფი ნაწილები ბევრი იყო, მა-

467 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 35.

შინ ძროხის საფასურს), წორის ეს წილი გადადიოდა მის ვაჟიშვილებზედაც სამ თაობამდე, ხოლო მისი ქალიშვილები უკვე არაფერს იღებდნენ. ამგვარად, ქალის შთამომავლობა, რომელიც შემდეგ უკვე მამაკაცის ხაზით მიიმართებოდა, სამ თაობამდე გრძელდებოდა და თავისი წინაპარი ქალის უფლებებით სარგებლობდა. ასეთივე იყო ლანბაშნას მოპირდაპირე ნათესაობის – ლადიარის (დედულეთი) უფლებებიც.

3. ძირიშ მეხუბარარი იღებდა ხარს ან ხარის საფასურს (იმ შემთხვევაში, თუ გასაყოფთა რაოდენობა დიდი იყო – ძროხის საფასურს).

4. ქახიქა მეხუბარარი იღებდა ყველაზე ნაკლებს, მაგრამ ზოგჯერ მისი ნაწილი ძროხის ღირებულებას აღწევდა.[468] დანარჩენი წორი რჩებოდა მოკლულის ცოლ-შვილს და მშობლებს თუ კი არ ჰყავდა ისინი, მაშინ მის და-ძმებს.[469]

როგორც ვხედავთ, რ. ხარაძე საკმაოდ დეტალურად აღწერს მკვლელობისათვის გადახდილი წორის განაწილების წესებს მოკლულის ნათესავებს შორის. ბუნებრივია წორის უდიდესი ნაწილი მოკლულის ოჯახს რჩებოდა, თუმცა სხვადახვა ოდენობით წორიდან წილი მოკლულის სხვადასხვა კატეგორიის ნათესავებსაც ერგებოდათ. სვანურ ჩვეულებით სამართალს ყურადღება მიუპყრია იმაზეც, თუ ვის დარჩებოდა წორის შესაბამისი წილი, თუ ცოცხლები არ იქნებოდნენ, მაგალითად, მოკლულის და-ძმები, მშობლები, ცოლ-შვილი და სხვა ნათესავები. ეს გარემოება აქტუალური უნდა ყოფილიყო იმის გამოც, რომ მხარეებს შორის შერიგება და შესაბამისად მედიატორის მიერ დამნაშავისათვის წორის დაკისრება შესაძლოა მკვლელობიდან მრავალი წლის შემდეგ მომხდარიყო.

ამ სახით წორის განაწილებას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. რ. ხარაძის მონაცემების მიხედვით, თუ წორის განაწილებისას რომელიმე ნათესავი გამორჩებოდათ მისი მცირეწლოვნობის, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, იგი როდისმე მკვლელისგან მაინც მოითხოვდა თავის კუთვნილ წილს. მკვლელს ან მის მეხუბარარს აღნიშნული სრულუფლებიანი ნათესავი უნდა დაეკმაყოფილებინა, რისთვისაც ის მკვლელს თავის სახლში მიჰყავდა და იქ უკვე უნდა მომხდარიყო მასთან შერიგება მთელი წესის სრული ჩატარებით მკვლელის მეხუბარარის თუ მთელი ნაწილის არა, დიდი უმრავლესობის თანდასწრებით და საურავის სათანადო ნაწილის ჩაბარებით. ეს მოთხოვნა იმდენად კატეგორიული იყო, რომ დაუკმაყოფილებელი ნათესავი ხშირად მკვლელობითა და სისხლის აღებით იმუქრებოდა.[470] ამდენად, რ. ხარაძის ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ თუ მოკლულის სამხუბის რომელიმე უფლებამოსილი წევრი რაიმე მიზეზით მონაწილეობას არ მიიღებდა შერიგების პროცესში (სვანური ჩვეულებითი სამართლით სავალდებულო იყო შერიგებას ყველა ნათესავი დასწრებოდა – ძირიშ მეხუბარარის ჩათვლით, ლანბაშნა, ლადიარი და მონაწილეობა მიეღო შერიგების პროცესში) და მას არ მიეცემოდა ჩვეულებითი სამართლით დადგენილი მისი კუთვნილი წილი წორიდან, იგი მკვლელთან და მის ნათესავებთან შერიგებულად არ ჩაითვლებოდა და აქედან გამომდინარე მათთან მტრობის მდგომარეობაში რჩებოდა. ასეთ პიროვნებას ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა

468 იქვე, 35-36.

469 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 176.

470 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 35-36.

წორიდან მისი წილის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საქმე სისხლის აღების მუქარამდეც შეიძლება მისულიყო.

როგორც ვხედავთ, სვანურმა ჩვეულებითმა სამართალმა შემოგვინახა მკვლელობისათვის გადახდილი სისხლის ფასის – წორის გადახდისა და განაწილების საზოგადოებრივი განვითარების შედარებით ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი წესი. ცნობილია, რომ უძველეს პერიოდში სისხლის ფასის გადახდა მკვლელის მთელ გვარს ეკისრებოდა, შემდეგ იგი დამნაშავის ახლო ნათესავებსა და ოჯახს დაეკისრა, ხოლო ბოლოს პირადად დამნაშავეს.[471] ი. დოლიძის თანახმად, „ადრინდელი ფეოდალური სამართლის მიხედვით სისხლის დაურვების ანუ კომპოზიციების სისტემა მკვლელობის შემთხვევაში იწვევდა არა მარტო დამნაშავის, არამედ მისი ნათესავებისა და ხშირად მთელი გვარის კოლექტიურ პასუხისმგებლობას.“ მისი დასკვნით, „დანაშაულის კოლექტიური პასუხისმგებლობა, ანუ სისხლის დაურვების ნათესაური პრინციპი, ოჯახისა და გვარის უახლოესი ნათესავების მხრივ გვაროვნული საზოგადოებრივი წყობილებიდან გადმოსული ძველი ადათია, რომელმაც ..... ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სანქცირებული სასჯელის სახე მიიღო.“[472] სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, კი ვხედავთ, რომ გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი წორის გადახდა-განაწილების პროცესში აქ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისშიც შემორჩა საკმაოდ სრულყოფილი და რეგლამენტირებული სახით. აღნიშნულ პროცესში ფაქტიურად სრულადაა ჩართული მკვლელის/მოკლულის არა მარტო ახლო ნათესაობა, არამედ შედარებით შორეული მოგვარეებიც, კერძოდ, ოჯახის წევრები, ახლო ბიძაშვილები და შორეული ბიძაშვილებიც, რომლებიც მკვლელის/მოკლულის სამხუბის წევრები იყვნენ, თუმცა სამხუბის სხვა განშტოებას შეადგენდნენ. ფაქტიურად, წორის გადახდა-განაწილებაში მოკლულის/მკვლელის მთელი სამხუბის ჩართულობა ჩანს, თუმცა არათანაბარი დოზით – წორის გადახდა-განაწილებაში მკვლელის/მოკლულის ამა თუ იმ ნათესავის წილობრივი მონაწილეობა, მკვლელის/მოკლულის მიმართ მის ნათესაურ ხარისხზე იყო დამოკიდებული.

წორის გადახდა-განაწილების სვანეთში შემორჩენილი წესის სიძველეზე მეტყველებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორი. როგორც გამოჩნდა წორის გადახდა-განაწილებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მამისეული, ანუ აგნატური ნათესაობის, არამედ კოგნატური ნათესაობის წარმომადგენლებიც – ლინბაშნა, ლადიარი. რ. ხარაძე შენიშნავს, რომ შეუძლებელია პატრიარქალური ოჯახის დროს გაჩენილიყო ისეთი პირობები, როდესაც ნათესავები დედის მხრიდან იღებდნენ მონაწილეობას წორის გადახდის თუ მიღების საკითხებში, ამიტომ ეს გარემოება სრულიად გარკვეული ხანის უფლებებზე მიუთითებს.[473] რ. ხარაძე ამ შემთხვევაში, ცხადია, მატრიარქატის, დედის უფლების ნიშნებს გულისხმობს, რაც ნიშნავს, რომ საკვლევი პერიოდის სვანურ ჩვეულებით სამართალში უძველესი დროის სოციალური ცხოვრების გადმონაშთები შეიძლება იყოს შემორჩენილი.

---

471 იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 192.

472 იქვე, 192-193.

473 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 36.

მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ წორის გადახდისას ძირითადი პასუხისმგებლობა მკვლელს, მის ოჯახს, უახლოეს ნათესავებს (ძმებს) ეკისრებოდათ. ძმების პასუხისმგებლობა ცალკე განხილულია იმდენად, რამდენადაც ისინი მკვლელისგან დამოუკიდებელ ოჯახად ცხოვრობდნენ. სხვა ნათესავები კი (როგორც ახლო, ისე შორეული ბიძაშვილები და სხვა) სავალდებულო შესაწევრით იღებდნენ მონაწილეობას წორის გადახდაში. წორის განაწილების დროს პრიორიტეტი მოკლულის ოჯახს ჰქონდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში (მათ შორის საკვლევ პერიოდში), სისხლის ფასის (წორის) გადახდის თვალსაზრისით საზოგადოებრივი განვითარების ის ეტაპი ფიქსირდება, როდესაც პასუხისმგებლობა ძირითადად მკვლელს და მის ოჯახს ეკისრება, თუმცა ჯერ კიდევ შემორჩენილია მკვლელის მთელი გვარის (სვანეთის შემთხვევეაში გვარის სტრუქტურული ერთეულის – სამხუბის) მონაწილეობა სისხლის დაურვებაში. ეს მონაწილეობა კი განსხვავებულია მკვლელის მიმართ ნათესაური ხარისხის გათვალისწინებით და უფრო მცირე მოცულობისაა რაოდენობრივი თვალსაზრისით, ვიდრე მკვლელის ოჯახის.

თანამედროვე ეპოქაში მკვლელის არა თუ სამხუბის თითოეულ წევრს, არამედ მის უახლოეს ნათესავებსაც არ ეკისრებათ ვალდებულება წორის გადახდაში მონაწილეობისა. ამას ისინი აკეთებენ მხოლოდ საკუთარი კეთილი ნებით. წორის განაწილება მკვლელის ნათესავებს შორის კი საერთოდ არ ფიქსირდება. ეს გარემოება მიუთითებს, რომ თანამედროვე სვანურ ჩვეულებით სამართალში ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. ზოგადად წორის გადახდის წესის დაკნინება, ცხადია, გავლენას მოახდენდა წორის გადახდაში სამხუბის წევრების სავალდებულო მონაწილეობის წესზე. ამ ვალდებულების ფაქტიურად გაუქმებაზე გავლენა იმასაც უნდა მოეხდინა, რომ დროთა განმავლობაში სისხლის აღების ობიექტთა წრე შემცირდა და მკვლელის სამხუბის წევრების უმრავლესობა საპასუხო მკვლელობის საფრთხეს აღარ განიცდიდა.[474]

2. 6. მკვლელის და მისი ოჯახის მიერ სახლ-კარის მიტოვება, როგორც წორის გადახდის ალტერნატივა. მკვლელის მიერ წორის გადაუხდელობის შემთხვევაში მკვლელისა და მისი ოჯახის მიერ შურისძიების შიშით სახლ-კარის მიტოვების შემთხვევაში, სვანური ჩვეულებითი სამართალი გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს. ამ სამართლებრივ შედეგებზე ბალსქვემო სვანეთის მაგალითზე დეტალურად საუბრობს დ. დავითიანი. მისი განმარტებით, თუ მკვლელი და მისი ოჯახი აიყრებოდა და სახლ-კარს ქონებიანად დატოვებდა ყოველგვარი შეფასების გარეშე, ეს სისხლის საზღაურის, წორის სრულ გადახდას უტოლდებოდა. ამ შემთხვევაში მკვლელის ოჯახი ტოვებდა ყველაფერს და სოფლიდან სამუდამოდ მიდიოდა. მას თან უნდა წაეღო მხოლოდ კერია და ჯაჭვი, შეიძლება წაეყვანა შინაური ცხოველები. დანარჩენი ყველაფერი რჩებოდა და მას სრული უფლებით დაეპატრონებოდა მოკლულის ჭირისუფალი. იმ დღიდან ახალი მფლობელის საკუთრებაში კანონიერად გადადიოდა სახლ-კარი, ეზო, სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე და ხეხილი, რაც მანამდე მკვლელის ოჯახის კუთვნილება იყო. არავის ჰქონდა უფლება შედავებოდა მას ამაში. სოფელი ყველაფერ ამას მშვიდად მიიღებდა და ახალ პატრონს ცნობდა კანონიერ მფლობელად. ეს იყო

474 ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 62.

ტრადიციული კანონი და დატოვებული ქონება რაც უნდა ცოტა ყოფილიყო, წუნი არ დაედებოდა და წორად ჩაითვლებოდა.[475] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ სვანური ჩვეულებითი სამართალი კარგად იცნობდა ძველად არაერთ ხალხში გავრცელებულ ჩვეულებას, რომლის თანახმადაც, როდესაც მკვლელი და მისი ოჯახი აიყრებოდა და მიატოვებდა სახლ-კარს, მამულს და ქონებას, მას ეპატრონებოდა დაზარალებული და მთელი ეს ქონება მის საკუთრებაში გადადიოდა.[476] ამრიგად, სვანური ჩვეულებითი სამართლის თანახმად, დაზარალებულის მიერ ამ გზით დამნაშავის სახლ-კარისა და ქონების დაპატრონება სრულ წორად იანგარიშებოდა. ეს ნიშნავს, რომ მკვლელის მთელი უძრავი ქონების დაზარალებულის ხელში გადასვლა, სრულ წორად ითვლებოდა.

იგივე წესი მოქმედებდა ბალსზემო სვანეთშიც, რაც კარგად ჩანს მ. კეკელიას მასალებშიც. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, სვანეთში არის ასეთი წესი, თუ მკვლელის ოჯახი აიყარა და სულ წავიდა სვანეთიდან, არც მორიგება მოხდება და არც სისხლის აღება, რადგანაც ოჯახის აყრა თავისთავად ერთი „წორია".[477] მისივე განმარტებით, თუ მარტო მკვლელი განერიდა, მაშინ ეს წესი არ მოქმედებს: უნდა აიყაროს ოჯახი დედაბუდიანად. ასეთი მოქმედება თავის მხრივ მონანიებას ნიშნავდა.[478]

2. 7. პასუხისმგებლობა ორსული ქალის მკვლელობისათვის. ამ საკითხს სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ეხება ა. დავითიანი. მისი განმარტებით, ორსული ქალის მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას მორვები მხედველობაში მიიღებდნენ მუცლად მყოფ ბავშვსაც, იმ მომენტიდან, როდესაც ქალს მუცელში ბავშვი გაენძრეოდა. ამ დღიდან, ა. დავითიანის განმარტებით, ქალი ითვლებოდა ორ სულად, ორ ადამიანად, რომლებიც დედის ორი ფეხით დაიარებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ორსული ქალის მკვლელობისას მორვარები დედის მუცელში მყოფი ბავშვის სისხლის ფასის ასანაზღაურებლად ცალკე იმსჯელებდნენ და შესაბამისად ერთი ადამიანის მკვლელობისათვის დაწესებულ წორზე მეტ გადასახადს დააკისრებდნენ დამნაშავეს.[479] კონკრეტულად რამდენი იყო გადასახადი მუცლად მყოფი ბავშვის სიცოცხლის შეწყვეტისათვის ამ მონაცემში არ ჩანს. ზოგადი ფრაზა რომ მორვები ამ საკითხზე ცალკე იმსჯელებდნენ, უნდა მიუთითებდეს, რომ მუცლად მყოფი ბავშვის დაღუპვისათვის ცალკე დაეკისრებოდა ორსული ქალის მკვლელს პასუხისმგებლობა. საინტერესოა, რომ ა. დავითიანი სრულიად სხვა საკითხის განხილვისას პირდაპირ მიუთითებს მუცლად მყოფი ბავშვის დაღუპვისათვის სისხლის ფასს. იგი აღნიშნავს, რომ მუცელში მყოფი ბავშვიც „სრული ადამიანის სულად" ითვლებოდა და მისი დაღუპვა ვინმეს მიზეზით სრულ სისხლად შეფასდებოდა.[480] ა. დავითიანის ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში (ყოველ შემთხვე-

475 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 72.

476 იხ. М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 54, 60.

477 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეცენზია №4, 1968, 15.

478 იქვე.

479 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 94.

480 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ., 16/8, 572.

ვაში ბალსქვემო სვანეთის, რომლის შესახებაც გვაწვდის ცნობებს ა. დავითიანი) ორსული ქალის მკვლელობისას მუცლად მყოფი ბავშვის მოკვდინებისათვის დამატებითი პასუხისმგებლობა დადგებოდა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მუცლად მყოფი ბავშვი გაინძრეოდა (ანუ უტყუარად დადასტურდებოდა, რომ ქალი ორსულადაა), ხოლო რაკი მუცლად მყოფი ბავშვი „სრული ადამიანის სულად" ჩაითვლებოდა მისი სისხლის ფასი სრულ წორად შეფასდებოდა.

2. 8. სვანის მიერ არასვანისა და არასვანის მიერ სვანის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ამ საკითხისადმი ინტერესი მ. კეკელიამ გამოიჩინა და თავის სვან ინფორმატორებს სპეციალურად უსვამდა კითხვას სვანის მიერ არასვანის და პირიქით არასვანის მიერ სვანის მკვლელობისას ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის შესახებ. სვანი ინფორმატორები ამ საკითხს განიხილავენ სვანის მიერ ბარელის (სამეგრელოს, იმერეთის და ბარის სხვა კუთხის მცხოვრების) და პირიქით, ბარელის მიერ სვანის მკვლელობის კონტექსტში. ცხადია, სვანური სამართალი, მისთვის დამახასიათებელი პრინციპებით სვანეთის ფარგლებში მოქმედებდა და ძირითადად უშუალოდ სვანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას ემსახურებოდა. მ. კეკელიასთვის საინტერესო აღმოჩნდა საკითხი, თუ რამდენად იმოქმედებდა სვანური ჩვეულებითი სამართალი ამ შემთხვევაში.

სვანი ინფორმატორების უმრავლესობა ბარელის მიერ სვანის მოკვლის შემთხვევაში მკვლელისაგან წორის აღებას ძირითადად გამორიცხავენ, ამაზე ლაპარაკიც მიუღებელი იყო და აღნიშნავენ, რომ ამ დროს მათი მხრიდან სისხლის აღებას ექნებოდა ადგილი. შესაძლოა მკვლელი სახელმწიფოსაც დაესაჯა. თუ სვანი მოკლავდა ბარელს, ამ შემთხვევაში საქმე ძირითადად სახელმწიფო ორგანოების განხილვის ობიექტი ხდებოდა, მაგრამ თუ მოკლული ბარელის ნათესავები სვანეთში ჩავიდოდნენ და სვანური წესით მოითხოვდნენ საქმის განხილვას და მკვლელისგან წორს, მკვლელს უნდა გადაეხადა შესაბამისი საზღაური. ინფორმატორები ამ წესებს ავრცელებენ ასეთი სახის მკვლელობებზე, მიუხედავად იმისა, ეს მკვლელობები სვანეთში მოხდა თუ მის გარეთ.[481] ერთ-ერთი ინფორმატორი ადასტურებს ყოველივე ამას, თუმცა მიუთითებს, რომ სვანის მიერ ბარელის მკვლელობისას წორის გადახდაზე გავლენას ახდენდა დაზარალებულთა მხრიდან წორის მოთხოვნის ფაქტი და ასევე მოკლული მხარის მხრიდან ვინმეს მოკვლის შესაძლებლობა.[482]

სამწუხაროდ, ინფორმატორებს არ მოჰყავთ არცერთი კონკრეტული შემთხვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მოტანილი ზოგადი ინფორმაცია და ინფორმატორთა ძირითადად ერთსულოვნება გვიჩვენებს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სვანეთში ჩამოყალიბებული იყო საზოგადოების მხრიდან გარკვეული ერთგვაროვანი მიდგომა და ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმები: ბარელის მიერ სვანის მკვლელობისას წორის აღება ითვლებოდა დამამცირებლად და აქედან გამომდინარე ამ შემთხვევაში

481 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 25, 63; ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 72; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 6, 42; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 55.

482 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 8.

ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული საპასუხო რეაქცია შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ შურისძიება. სვანის მიერ ბარელის მოკვლის შემთხვევაში კი შესაბამისი მოთხოვნისას დასაშვები იყო მკვლელ სვანს მოკლული ბარელის ნათესავებისადმი გადაეხადა მორვების მიერ დადგენილი წორი.

სვანის მიერ უცხოტომელის მკვლელობისას (ან პირიქით) იგივე პრინციპები მოქმედებდა, თუმცა ერთ-ერთი ინფორმატორის მითითებით, ამ შემთხვევაში ყურადღების ღირსია ის, ერწმუნებიან თუ არა ისინი ჩვენს ფიცს და სწამთ თუ არა მათ ქრისტე, მისი მოციქულები და ხატები.[483] როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო მკვლელ სვანს უცხოტომელისთვისაც გადაეხადა წორი სვანი მორვების გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ რა თქმა უნდა თვით დაზარალებული ენდობოდა სვანი მორვების ფიცს და მათ მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობას და საერთოდ დათანხმდებოდა შერიგებას სისხლის ფასის გადახდის საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა უშგულის თემის გადაწყვეტილებით ბალყარელი თავადის სიკვდილით დასჯა მის მიერ ადგილობრივი ეკლესიის გატეხვის გამო. ბალყარელებმა ეს მკვლელობად ჩათვალეს და უშგულის თემს შესაბამისი კომპოზიციის გადახდა მოთხოვეს. შურისძიების თავიდან ასაცილებლად და მოსარიგებლად ბალყარელთა მხარემაც და უშგულის თემმაც ექვს-ექვსი მედიატორი აირჩია, რომელთაც აღნიშნული საქმე გაარჩიეს. მორვების სასამართლოს სისხლის ფასად უშგულისათვის 200 სული მოზვერის გადახდა დაუკისრებია. მისჯილი საურავიდან გამოუქვითიათ ეკლესიის „საუპატიოდ" 100 სული მოზვერი, ხოლო 100 სული გადაუხდევინებიათ. 75 სული მოზვერი იმავე წელს გადაუხდია უშგულს, ხოლო დანარჩენიც მომდევნო წლებში.[484] ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რომ სვანის მიერ უცხოტომელის მკვლელობის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი იყო საქმის განხილვა სვანური წესებით მომხდარიყო და მედიატორი მოსამართლეების მიერ დაკისრებული წორი სვანებს უცხოტომელთათვის გადაეხადათ. მითუმეტეს ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მოკლული უცხოტომელი იმ ხალხის წარმომადგენელი იყო, სადაც სვანური ჩვეულებითი სამართლის მსგავსი სამართლის ნორმები მოქმედებდა, მაგალითად, ჩრდილოკავკასიელი, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც გამოჩნდა, შესაძლებელია სამედიატორო სასამართლოს ფორმირებაში პარიტეტის დაცვით მოკლული უცხოტომელის მხარესაც მიეღო მონაწილეობა.

2. 9. საჩუქრები. „ნალშგურიერ". მკვლელის მიერ გასაწევი სხვა ხარჯები. სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით კარგად ჩანს, რომ მკვლელობისას დამნაშავეს დაზარალებული მხარისათვის უნდა მიეცა საჩუქრები და გაეწია გარკვეული ხარჯი. ბ. ნიჟარაძე უშგულის საზოგადოებაში დანესებული წორის ოდენობაზე საუბრის შემდეგ მიუთითებს, რომ წორის გარდა მკვლელს დაზარალებული მხარისათვის საჩუქრად უნდა მიეცა კარგი თოფი და მოკლულის ოჯახის თითოეული წევრისთვის ხარი ან ძროხა. შერიგების დროს მკვლელს მოკლულის ოჯახისა და მასთან ერთად მორვებისთვის უნდა

483 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 107-108.

484 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 107.

გაენია სუფრის ხარჯი.[485] ეგ. გაბლიანის მონაცემებით შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ უშგულში მკვლელს დაზარალებული მხარისთვის უნდა მიეცა „ლადგარია თეფშ", ე. ი. თოფი, რომლითაც მან კაცი მოკლა. თითო ხარი კი საჩუქრად უნდა მისცემოდა მოკლულის დედას, მამას, ძმას, დას და ცოლს.[486] მ. კეკელიას ინფორმატორიც აღნიშნავს, რომ მკვლელს მოკლულის მხარისთვის ის თოფი უნდა ეჩუქა, რომლითაც მკვლელობა ჩაიდინა.[487] აღნიშნული თოფის საჩუქრად მიცემის მორვების მიერ მისჯის საჭიროება არ იყო, რადგანაც ამის გაკეთება ადათის მიხედვით ხდებოდა. ამ თოფს ინფორმატორის თქმით „ნაშოვს" ეძახდნენ. დანაშაულის იარაღის ჩუქება არ ხდებოდა დაჭრის დროს და არც ხანჯლით, ხმლით მკვლელობისას. მკვლელობის იარაღის ჩუქება დაზარალებული მხარისათვის დაწესებული იყო მხოლოდ თოფით მკვლელობის შემთხვევაში.[488]

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ასეთივე ოდენობის საჩუქრების მიცემა და ხარჯის გაწევა ხდებოდა ანალოგიურ შემთხვევაში სხვა საზოგადოებებშიც.[489] დაზარალებული მხარისათვის იმ თოფის მიცემა რითაც მკვლელობა მოხდა, საჩუქრად პირუტყვის გადაცემა და შერიგების სუფრისათვის საკმაოდ დიდი ოდენობის ხარჯის გაწევა ფიქსირდება მ. კოვალევსკისთანაც.[490]

ეგ. გაბლიანის დაზუსტებით, მულახსა და მესტიაში ხარი საჩუქრად ეძლეოდა მოკლულის დედ-მამას, ძმას და დას, ხოლო ძროხა ცოლს. გარკვეული საჩუქრები სხვა ნათესავებსაც უნდა მიეღოთ. კერძოდ, 2 აცსიშიდან 10 აცსიშამდე, ე. ი. 12 მანეთიდან 60 მანეთამდე (აცსიში უდრის 6 მანეთს). დამნაშავის მხარე იხდიდა ასევე მუწვრი მაღვრას. მუწვრი იყო მსაჯულ-მედიატორების გარდა მხოლოდ მომჩივანის მიერ ამორჩეული კაცი, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად დაეკისრებინა დამნაშავისათვის წორის გარდა 60 აცსიშამდე, ე. ი. 360 მანეთამდე. „მუწვრი მაღვრა" ეწოდება მის მიერ მისჯილ თანხას.[491] მისი განმარტებით, „მუწვრი მაღვრა" ცნობილია, მაგალითად, მულახისა და მესტიის საზოგადოებებში, ხოლო ლატალსა და ლენჯერში მისი არსებობა არ დასტურდება.[492] მუწვრის უფლებას მედიატორებისაგან დამოუკიდებლად, დამატებითი გადასახადი დაეკისრებინა დამნაშავისათვის, ადასტურებს დ. დავითულიანიც.[493] მუწვრის მიერ მკვლელისადმი დამატებითი გადასახადის დაკისრების წესი ფიქსირდება მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალაშიც. ამ მასალების მიხედვით, მაგალითად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მუწვრის მიერ დამატებითი გადასახადის გადახდის წესი არსებობდა იფარის საზოგადოებაში. რამოდენიმე იფარელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მუწვრი განაჩენის დადგენაში მონაწილეობას არ იღებდა და როცა მორვები დაადგენდნენ წორის ოდენობას, იგი თავისას დაუმატებდა. შეეძლო რასაც მორვები დაადგენდნენ იმის ნახევარი დაემატებინა, შესაძლოა

485 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 118.

486 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 110.

487 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 24; ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 10.

488 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 24, 61-62.

489 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 118.

490 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 36.

491 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 110.

492 იქვე.

493 დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 150.

მეტიც საქმის შინაარსიდან გამომდინარე. იშვიათად მორვები აკლებინებდნენ მუწვრს მის მიერ გადაწყვეტილი სახდელის ოდენობას. ზოგჯერ მუწვრს იმდენი მოუთხოვია, რომ მორვარობაც კი ჩაშლილა.[494] მულახელი ინფორმატორის მიხედვით კი მუწვრს წორის ზემოთ შეეძლო მოეთხოვა არაუმეტეს 30 აცსიშისა. 30 აცსიშის ქვემოთ რამდენსაც სურდა იმდენს გააჩენდა. თუ მუწვრი განაჩემის გამოტანას არ ესწრებოდა, მაშინ მის მიერ დაწესებულ საჩუქარზე ლაპარაკიც არ იქნებოდა.[495] ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც მორვებმა განაჩენი დაადგინეს, მუწვრმა განაცხადა: „ჩემს მხრივ მინდა დაუმატო ის, რომ დამნაშავემ მოკლულის მამას, დედას, დებს, ძმებს და სხვა ახლობლებს საჩუქრად უნდა მისცეს ესა და ესო". ინფორმატორს კონკრეტულად არ ახსოვს თუ რა დააკისრა მუწვრმა დამნაშავეს, თუმცა აღნიშნა, რომ მუწვრის მიერ დაკისრებული საჩუქრები დაზარალებულმა მხარემ განაჩენის გამოცხადების დღესვე მიიღეს, რაც უმეტეს შემთხვევაში სწორედ ასე ხდებოდა.[496] მისივე განმარტებით, მუწვრი ადგენდა მშობლების საჩუქრად ხარს, ძროხას, ხოლო სხვებისთვის სხვა პირუტყვს და ფულს.[497]

ამ მონაცემებით ჩანს, რომ მუწვრს შეეძლო საკმაოდ დიდი ოდენობის გადასახადი დაეკისრებინა დამნაშავისათვის წორს ზემოთ. როგორც აღინიშნა, ეგ. გაბლიანის მიხედვით ეს შეიძლება ყოფილიყო 60 აცსიშამდე (360 მანეთამდე). თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნის დასასრულისთვის სრული წორის ფულადი გამოხატულება დაახლოებით 780 მანეთს შეადგენდა, 360 მანეთი თითქმის წორის ნახევარია, ცოტა ნაკლები. მ. კეკელიას მულახელი ინფორმატორის მიხედვით კი ეს სახდელი 30 აცსიშს არ აღემატებოდა. სრულიად შესაძლებელია, რომ შედარებით გვიანდელ პერიოდში, მუწვრის მიერ დასახელებული სახდელის ოდენობა შემცირდა ზოგადად წორის ოდენობის შემცირების კვალობაზე. მ. კეკელიას იფარელი ინფორმატორების თანახმად კი მუწვრის მიერ დაკისრებული სახდელის ოდენობა მორვების მიერ გამოტანილი წორის ოდენობაზე იყო დამოკიდებული და ძირითადად დაკისრებული წორის დაახლოებით ნახევარს შეადგენდა, რაც ასევე უაღრესად მძიმე ტვირთად ედებოდა დამნაშავეს.

სრულიად შესაძლებელია მუწვრს დამნაშავის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებითაც მოეხდინა მისთვის წორს გარეთ გარკვეული სახდელის დაკისრება. მაგალითად, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მესტიის თემში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით მორვებს დამნაშავისთვის მიუსჯიათ სრული წორი, ანუ 12 ნალჯომი კარგი მიწა. მუწვრს კიდევ დაუმატებია 2 ნალჯომი, თუმცა გარკვეულა, რომ დამნაშავეს მიწები არ ეყოფოდა და დამატებითი სახდელი მუწვრმა ერთ ნალჯომამდე ჩამოიყვანა.[498] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ მუწვრის მიერ მოთხოვნილი სახდელი მაინცდამაინც წორის ნახევარი არ უნდა ყოფილიყო და შესაძლოა შედარებით ნაკლების დაკისრებას ჰქონოდა ადგილი,

494 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 18, 21-22, 24.

495 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 79.

496 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 63-64, 69-70, 84.

497 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 64

498 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 62.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 2 ნალჯომი მიწა მაინც საკმაოდ სოლიდური დანამატი იყო წორს ზემოთ.

უშგულის თემში მუწვრის მონაწილეობა მორევთა სასამართლოში არ დასტურდება. აქ მისი შემცვლელი „ლუფხვილებია“.[499]

მ. კეკელიას განმარტებით, უმრავლეს თემებში „ლუფხვილი“ დაზარალებულის მიერ დასახელებული თანამოფიცარია, უშგულში კი იგი მოსამართლეცაა, რომელსაც დაზარალებული ირჩევს. აქედანაა ლუფხვილის განაჩენი – „ლუფხულარე ნამორავ“. ისინი მკვლელობის საქმეზე იღებდნენ მონაწილეობას და გადასახადის განსაზღვრის მომენტის გარდა, მორევებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას ყველა მოქმედების შესრულებაში.[500] მ. კეკელიას მასალებში არის დაფიქსირებული კონკრეტული შემთხვევა მკვლელობის საქმეზე განაჩენის გამოტანაში ლუფხვილთა მონაწილეობისა. უშგულელი ინფორმატორი იხსენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო, როდესაც უშგულის თემში მოხდა მკვლელობა. მორევებმა მკვლელს სრული წორის გადახდა გადაუწყვიტეს. ინფორმატორის თქმით, მათ დამნაშავეს 6 ხარი და ამდენივე ძროხის გადახდა დააკისრეს ფულთან ერთად. ფულის ოდენობა არ ახსოვს. როდესაც ოჯახში მოხდა ამ გადაწყვეტილების გამოცხადება, ლუფხულებმაც წესისამებრ მორევების მიერ დაკისრებული გადასახადის ნახევარი დაადგინეს და დამნაშავე მხარეს აცნობეს.[501] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ უშგულში მკვლელობის საქმეზე მორევების მიერ განსაზღვრული გადასახადის გარდა, დამნაშავეს ეკისრებოდა ლუფხვილების მიერ დადგენილი გადასახადის გადახდაც. მისი ოდენობა კი, როგორც ამ მონაცემიდან ჩანს, მორევების დადგენილი გადასახადის ნახევარი უნდა ყოფილიყო, ანუ ფაქტიურად იმდენი რასაც მ. კეკელიას სხვა ინფორმატორების მიხედვით მუწვრი აწესებდა დამნაშავის სახდელად.

ლატალის საზოგადოებაში საჩუქრების ოდენობაზე მონაცემები გვხვდება რ. ხარაძესთან. მისი განმარტებით, საჩუქრები შემდგნაირად ნაწილდებოდა: 1. დედ-მამას, წამ ლახუბას (ძმები ერთად), წამ დაჩუირს[502] (ქალი გახოვებამდე, და), და შვილებს – თითო ხარს აძლევდნენ. 2. ძირიშ მეხუბარარს – 100-200 მანეთს. 3. ლადიარსა და ლანბაშნას (ჰასუიშის, გათხოვილი ქალის მთელი შთამომავლობა ქალის ხაზით მეორე მუხლამდე, ხოლო მამაკაცის ხაზით 7-8 თაობამდე) – 100 მანეთამდე და სხვა.[503]

აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საჩუქრად მისაცემი ქონების (საზღაურის) ღირებულება მცირდებოდა მოკლულთან ნათესაური კავშირის შესუსტების კვალობაზე. საჩუქრის მიმღებ ნათესავთა შორის იყვნენ, არა მარტო მოკლულის ოჯახის წევრები, არამედ სხვა შედარებით შორეული ნათესავები, მათ შორის დედის მხრიდან, ასევე, მოკლულის გათხოვილი დის შთამომავლობა, როგორც ეს რ. ხარაძესთან გამოჩნდა.

ლატალში მკვლელობისას დაზარალებული მხარისადმი გადასაცემი საჩუ-

499 მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981, 143.

500 იქვე, 112, 143.

501 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 80, 86.

502 ქალი სანამ ოჯახშია იწოდება დაჩუირ, გათხოვების შემდეგ კი ჰასუიშ.

503 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 33.

ქრების შესახებ მონაცემებს ვხვდებით მ. კეკელიას ერთ-ერთ ინფორმატორთანაც კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, მკვლელს წორის გადახდასთან ერთად დააკისრეს საჩუქრის გადაცემაც დაზარალებული მხარის ნათესავებისადმიც, კერძოდ, ხარების და ძროხების მოკლულის ძმებისა და შვილებისათვის და ვერცხლის ნივთებისა ცოლის და ქალიშვილებისათვის.[504] მეტი კონკრეტიკა ამ მონაცემში სამწუხაროდ არაა. იგივე ითქმის მ. კეკელიას ჰადიშელი ინფორმატორის მონაცემზეც. მისი განმარტებით, დაზარალებულს საჩუქრად აძლევენ ძროხას, ან მის ღირებულებას ფულის სახით. ზოგჯერ როცა დამნაშავე აძლევდა დაზარალებულს საჩუქრად ძროხას, დაზარალებული უარს იტყოდა წაყვანაზე. ამ შემთხვევაში დამნაშავე გაყიდიდა მას და მისცემდა ფულს. ამ ინფორმატორის განმარტებით, საჩუქრების ოდენობას დამნაშავე წყვეტდა, ისე რომ ამაში სხვები არ ერეოდნენ.[505] მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ კონკრეტულ საქმეზე დაზარალებულის ოჯახში განაჩენის გამოცხადებისას დამნაშავის მხრიდან ერთ-ერთმა დაიძახა, რომ საჩუქრად ამას და ამას ვაძლევთო და ჩამოთვალა ეს საჩუქრები – ხარი, ცხენი და სხვა. მისივე განმარტებით, საჩუქრების ოდენობა დამნაშავე მხარის მატერიალურ შეძლებაზეც იყო დამოკიდებული. მდიდარი მეტ საჩუქარს აძლევდა დაზარალებულებს და უფრო მეტად იგებდა მათ გულს, ღარიბი კი ნაკლებად, რადგანაც მათ ბევრი საჩუქრის მიცემის საშუალება არ ჰქონდათ. თუ დამნაშავე მხარე ძალიან ღარიბი იყო, მას ნათესავები ეხმარებოდნენ საჩუქრების მიცემაში.[506] მ. კეკელიას ინფორმატორების მიხედვით გამოდის, რომ დამნაშავის მიერ დაზარალებული მხარისადმი წორთან ერთად საჩუქრების მიცემის ვალდებულება საბჭოთა პერიოდშიც შემორჩა, თუმცა მათი ოდენობის ისეთი რეგლამენტაცია აღარ შეინიშნება, როგორც ამას მაგალითად, რ. ხარაძის შესაბამის ცნობაში ვხვდებით.

მ. კეკელიას ერთ მულახელ ინფორმატორთან ვხვდებით ცნობას, რომ მკვლელს დაზარალებული მხარისთვის (მათ შორის სახლიკაცებისათვის) უნდა გადაეხადა საჩუქრის სახით „სემეშ ათციში“ (ქართულად ოცდახუთი ხუთი მანეთი).[507] იგივე ინფორმატორის მიხედვით, არსებობდა ე. წ. „სამხშირო“, რაც დაზარალებულის მიერ დამნაშავისადმი ხმის გაცემისათვის საჩუქრის მიცემაში გამოიხატებოდა და ერთ უღელ ხარს უდრიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს წესი, ინფორმატორის თანახმად, მოისპო.[508] საჩუქრის ამ ორი სახის შესახებ მხოლოდ ეს ერთეული მონაცემი მოგვეპოვება. შესაძლოა ამ სახის საჩუქრები დამოუკიდებელი სახით არსებობდა (თუნდაც რომელიმე თემში, ან თემებში) სხვა ზემოთაღნიშნული საჩუქრების გარდა, ასევე არაა გამორიცხული ამ სახელწოდებებს აღნიშნული ინფორმატორი უწოდებს იმ საჩუქრებს, რომლებსაც სხვა ინფორმატორები და ავტორებიც იხსენიებენ. ყოველ შემთხვევაში საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

---

504 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 48-49.

505 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 51.

506 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 21-22.

507 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 10.

508 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 9-10.

საინტერესოა, რომ თუ ორმხივ მკვლელობას ექნებოდა ადგილი, შესაძლოა მორვებს არცერთი მხარისთვის არ დაეკისრებინათ საზღაურის გადახდა, ანუ ადგილი ჰქონოდა გაბრას, მაგრამ საჩუქრებს მხარეები ერთმანეთს მაინც ჩუქნიდნენ. მაგალითად, ურთიერთმკვლელობის ერთ-ერთ საქმეზე მორვებმა გაბრის მიუხედავად მხარეებს დააკისრეს ერთმანეთისთვის საჩუქრების (ხარეების, ძროხების) გადაცემა.[509]

საჩუქარის მიცემას და სხვა ხარჯის გაღებას ვხვდებით საბატონო სვანეთშიც. მის ოთხ საზოგადოებაში (ბეჩო, ფარი, ჩუბეხევი, ეცერი). წორში მისაცემი ზემოთაღნიშნული ოდენობის მიწის გარდა მკვლელს უნდა გადაეხადა ორას მანეთამდე საჩუქრის, თუ სხვადასხვა ხარჯის სახით.[510] ა. დავითიანის მიხედვით, კი ბალსქვემო სვანეთში წორის თანმხლები საჩუქრების ღირებულება, რომლებიც მოკლულის ჭირისუფლებს უნდა მიეღოთ, შეადგენდა 25 თუმანს ოქროთი. თუ ვისთვის რამდენი იყო საჭირო მორვარ-მედიატორებს უნდა დაედგინათ და განაჩენთან ერთად გამოეცხადებინათ.[511] საჩუქრების განაწილება კი ბალსქვემო სვანეთში შემდეგნაირად ხდებოდა: მოკლულის მამას საშუალოდ ერთი ხარის ღირებულებას აძლევდნენ, დედას ერთ ძროხას, მკვიდრ დას თუ დებს დაახლოებით თითო უშობლის ღირებულებას, ცოლს ერთი ძროხის ოდენობას, შვილსა თუ შვილებს ცალ-ცალკე ასაჩუქრებდნენ, ძმებს კიდევ ცალკე უფროსუმცროსობის მიხედვით. ერთი სიტყვით არ დარჩებოდა ასე თუ ისე ახლო ჭირისუფალი რომ რაიმე საჩუქარი არ რგებოდა. უკანასკნელი საჩუქარი ტრადიციის მიხედვით ერთ ცხვარს უდრიდა, რასაც რომელიმე ასე თუ ისე შორეული ნათესავი მიიღებდა და იმის შემდეგ მკვლელსა და მის ოჯახის წევრებს მასთან ლაპარაკის უფლება ჰქონდათ, რასაც უშკენაშმობას ეძახდნენ.[512]

როგორც ვხედავთ, მკვლელობისათვის გათვალისწინებული ძირითადი საზღაურის – წორის – გარდა დამნაშავე დაზარალებულ მხარეს სავალდებულო წესით აძლევდა განსაზღვრული რაოდენობის საჩუქრებს. დ. დავითულიანი განმარტავს, თუ რატომ იყო აუცილებელი წორის გარდა საჩუქრების მიცემა დაზარალებულის ნათესავებისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. საჩუქრების აღმნიშვნელი ტერმინი „ნალშგურიერ“ ავტორის განმარტებით, მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „შგვირ“, რაც ქართულად ნიშნავს „სირცხვილს“, რუსულად – „обида“. გვაროვნული ყოფის ტრადიციიდან გამომდინარე გვარის თვითოეული წევრის მიმართ მიყენებული რაიმე შეურაცხმყოფელი ქმედება, მითუმეტეს დანაშაული, მთელი გვარის და პირველ რიგში დაზარალებულის ოჯახის წევრების შეურაცხყოფად და სირცხვილად ითვლებოდა. სწორედ ამით იყო განპირობებული ჩვეულება, რომლის მიხედვითაც მოსისხლეთა შერიგების დროს დანაშაულის საზღაურის გარდა, დამატებით, დამნაშავეს ევალე-

509 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 29.

510 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 118. სადადეშქელიანო სვანეთში წორის ოდენობასთან დაკავშირებით გარკვეულ დაზუსტებას აკეთებს ეგ. გაბლიანი. მისი განმარტებით, ბეჩოს თემში, ბეჩო-ლეჩყანში წორი უდრიდა 6 ნალჯომ სახნავ და 6 ნალჯომ სათიბს საუკეთესო ადგილას. მაზერის უბანში კი დაახლოებით ბეჩო-ლეჩყანის 14 ნალჯომს. დაზარალებულს ასევე უნდა მიეღო „ლადგარია თვეფ“, საუკეთესო ხარი და 300 მანეთი. საჩუქრები (ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., 111). მცირე განსხვავებების გარდა საზოგადოებების მიხედვით მთელს ზემო სვანეთში წორის ღირებულება დაახლოებით თანაბარი გამოდის (ეგ. გაბლიანი, იქვე).

511 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 55.

512 იქვე, 70.

ბოდა გარკვეული საჩუქრები მიეცა დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის, მისი დებისა და ძმებისათვის. ამას ადათი მოითხოვდა და განსაკუთრებით მძიმე საურავის გადახდის დროს ეს ისევე სავალდებულო იყო, როგორც თვითონ ძირითადი საურავის გადახდა.[513] დ. დავითულიანის ეს განმარტება რეალურად მიგვაჩნია. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე მდგომ საზოგადოებებში ნებისმიერი დანაშაული შეურაცხყოფად აღიქმებოდა. სრულიად შესაძლებელია, რომ სვანეთში წორის გარდა საჩუქრების მიცემის სავალდებულობა დანაშაულისადმი ასეთი დამოკიდებულების შემორჩენილობით აიხსნას. ამას საჩუქრების სახელწოდების წარმომავლობაც მიანიშნებს. ამდენად, სვანეთში მკვლელობისას წორის გარდა საჩუქრების მიცემა, ამ უმძიმესი დანაშაულის შედეგად მიყენებული შეურაცხყოფის ერთგვარ კომპენსირებას წარმოადგენდა და სისხლის ფასის ღირებულების ზემოთ გადახდებოდა მკვლელს.

წორისა და საჩუქრების მიცემის გარდა შერიგების უზრუნველსაყოფად, მის გასამყარებლად, მორვების გადაწყვეტილებით დაპირისპირებულ მხარეებს შორის შესაძლოა მომხდარიყო ხელოვნური დანათესავება (შვილად აყვანა), ან ნათლიაობა. ამ საკითხების უფრო დეტალური განხილვა ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის შესწავლისას. აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო სვანეთში და თავის მხრივ საჩუქრების მიცემასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მორვების გადაწყვეტილებით მოხდა მოკლულის ძმის შვილება დამნავის ოჯახის მიერ, ხოლო მკვლელის დაობლებული შვილის შვილება მოკლულის ოჯახის მიერ. ისინი ორივე მხარემ დაასაჩუქრა. მკვლელის მხარემ ნაშვილებს სამი ხარი აჩუქა, ხოლო მოკლულის მხარემ ნაშვილევს თავის მხრივ ერთი უნაგირიანი ცხენი და ერთი ხარი.[514] აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ შერიგებისას ორივე მხარის სამხუბთა სრული შემადგენლობით მონაწილეობა ხდებოდა, რომ მკვლელს და მისი სამხუბის თითოეულ წევრს თავი დაემცირებინა, ქედი მოეხარა მოკლულის სამხუბის თითოეული წევრის მიმართ. ეს დამცირება შესაძლოა გარკვეული მოქმედებებით გამოხატულიყო, მათ შორის იყო მკვლელის ოჯახის სიმბოლური განადგურება, რაც გამოიხატება დამნაშავის სახლიდან დაზარალებული მხარის წარმომადგენლის მიერ კერის და ნაჭის (ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვის) მოთხოვნასა და ცეცხლზე წყლის დასხმაში.[515]

2. 10. წორის მიღების შემდეგ სისხლის აღების შედეგები. წორის გადახდა სვანეთში მოსისხლეებს შორის მტრობის შეწყვეტის საწინდარი იყო და ძირითადად, მშვიდობის დამყარებას იწვევდა. ამის უზრუნველყოფისათვის მხარეები დებდნენ „ერთგულების ფიცს“, რომლითაც ადასტურებდნენ, რომ დაემორჩილებოდნენ მორვების განაჩენს. ასევე, განაჩენით დადგენილი საზღაურის გადახდის შემთხვევაში შეურიგდებოდნენ ერთმანეთს და ყოველგვარ მტრობას

513 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974–1975, 188–189.

514 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული №1, 1967, 99–100.

515 იხ. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთების სვანეთში, თბ., 1939, 37, 38, 40, 41; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 109.

შეწყვეტდნენ. მკვლელის მიერ წორის გადახდის მიუხედავად თუ მაინც მოხდებოდა საპასუხო მკვლელობა, ადგილი ექნებოდა ფიცით განმტკიცებული შერიგების დარღვევას. ასეთი რამ სვანეთში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა. ამ შემთხვევაში სვანური ჩვეულებითი სამართალი საპასუხო მკვლელობის ჩამდენს, როგორც ფიცის გამტეხს, ავალდებულებდა დაებრუნა წორი სრული ოდენობით.[516] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მკვლელს დააკისრეს წორის გადახდა 60 ძროხის ოდენობით. მკვლელმა გადაიხადა ეს საზღაური და მტრებიც შერიგდნენ. მკვლელობიდან გავიდა 15-20 წელი, წამოიზარდა მოკლულის ძმისშვილი და მან ისისხლა ბიძამისის მკვლელი. ეს საქმე მორვების მსჯელობის საგნად იქცა, რომელთაც მკვლელს 60 ძროხის ოდენობის წორის დაბრუნება დაავალდებულეს. დამატებით არაფერი მიუსჯიათ.[517] კიდევ ერთ შემთხვევაში, რომელსაც მულახელი ინფორმატორი ყვება, წორის აღებიდან 3-4 წლის შემდეგ მოკლულის შვილს უსისხლია მამის მკვლელი. მორვების გადაწყვეტილებით წორის უკან დაბრუნება მოხდა. დამატებით რაიმე გადასახადის დაკისრებას ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.[518]

ამ კონკრეტულ შემთხვევებში ყველაფერი შედარებით მარტივად იყო, რადგანაც პირველი მკვლელობის ჩამდენ მკვლელს სრული წორის გადახდა დააკისრეს და საპასუხო მკვლელობის ჩამდენსაც იმდენივეს დაბრუნება მოუწია. შესაძლოა პირველი მკვლელობის თანმდევი ყოფილიყო მკვლელისათვის გარკვეული ზიანის მიყენება, მაგალითად, დაჭრა, ასევე შეურაცხყოფის მიყენება. მორვები მკვლელობისათვის გათვალისწინებულ სრულ წორს გამოაკლებდნენ ამ დაჭრის თუ შეურაცხყოფის ღირებულებას და საბოლოოდ სრულ წორზე ნაკლები წორის გადახდას დააკისრებდნენ დამნაშავეს. თუ წორის გადახდის მიუხედავად საპასუხო მკვლელობა მაინც მოხდებოდა, ეს წმინდა მკვლელობა იყო და ამდენად სრულ წორად შეფასდებოდა. შესაბამისად, საპასუხო მკვლელობის ჩამდენს ამ შემთხვევაში არა მარტო იმის დაბრუნება უწევდა, რაც პირველი მკვლელობის შედეგად მისმა მხარემ მიიღო, არამედ, დამატებით უნდა გადაეხადა სხვაობა სრულ ნორსა და წორის იმ ოდენობას შორის, რაც პირველი მკვლელობისას დაადგინეს მორვებმა, ანუ საპასუხო მკვლელობის ჩამდენს მეტი გადასახადის გადახდა მოუწევდა, ვიდრე პირველი მკვლელობის ჩამდენისაგან მისმა მხარემ მიიღო.[519]

მიღებულ წორზე მეტი ან ნაკლების გადახდა უწევდა შერიგების შემდეგ საპასუხო მკვლელობის ჩამდენს მაშინაც, როდესაც მკვლელი და მოკლული სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ, კერძოდ, ერთი ვარგი იყო, მეორე ჩვეულებრივი გლეხი, რადგანაც ვარგის სისხლი, როგორც ვნახეთ, ორმაგ წორად ფასდებოდა. მესტიელი ქიშვარდ ჯაფარიძე იხსენებს, რომ მისი მამა მაზი ჯაფარაძე მთაში ჩხუბის გამო თოფით მოკლა ვინმე გულედანმა. რადგანაც მოკლული ვარგის გვარისა იყო, მორვებმა დამნაშავეს ორმაგი წორის გადახდა დააკისრეს, რაც ინფორმატორის თქმით 30 ნალჯომ მიწას და 50 სულ პირუტყვს

516 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 56-58; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 30..

517 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 106-107.

518 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 71-72

519 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 54-55.

უდრიდა. მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის წინ ინფორმატორის ძმამ მოკლა გულედანი და ყაჩაღად გაავარდა. მორვების გადაწყვეტილებით, ინფორმატორს ერთი წორის უკან დაბრუნება მოუწია, რაც მისი თქმით 22 ნალჯომამდე ადიოდა.[520]

წორის მიღების შემდეგ სისხლის აღებისას რაიმე დამატებითი გადასახადის არ დაკისრება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მკვლელი ერთგულების ფიცის დამრღვევი იყო და როგორც ჩანს, ამის გამო გარდაუვალი ღვთაებრივი სასჯელი საკმარისად მიაჩნდათ მორვებს საპასუხო მკვლელობის ჩამდენისა და შერიგების დამრღვევის მიმართ დამატებით სასჯელად.

საინტერესოა, რომ მ. კეკელიას მასალებში გვხვდება ერთი განსხვავებული შემთხვევა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოხდა. მკვლელობისათვის დაზარალებულმა მხარემ მიიღო წორი, მოხდა შერიგება, თუმცა, მიუხედავად ამისა დაახლოებით 6-7 წლის შემდეგ მოკლულის ძმისშვილმა (მოკლულს შვილი არ ჰყავდა) მაინც ისისხლა მკვლელი. მორვებმა მას სრული წორის გადახდევინების გარდა დააკისრეს ჯარიმა ერთგულების ფიცის გატეხვისათვის ნახევარი ნალჯომი მიწა.[521] ეს კონკრეტული შემთხვევა მიუთითებს, რომ სრულიად შესაძლებელია მორვების გადაწყვეტილებით შერიგების შემდეგ მკვლელობის ჩამდენისათვის წორის გადახდის გარდა სისხლის ამღებისათვის დაეკისრებინათ პირგასამტეხლო ჯარიმა.

აღნიშნული შემთხვევა გამონაკლისად არ შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ანალოგიურ ჯარიმას ეხვდებით მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში მოპოვებულ დოკუმენტში, რომელიც პირობის წიგნია მკვლელობის საქმის მორიგებით დასრულებასა და მომავალში დავის განუახლებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც დაზარალებული მხარე აძლევს დამნაშავე მხარეს. დოკუმენტი შედგენილია 1906 წლის 18 მარტს. ხელწერილით დაზარალებული მხარე ადასტურებს, რომ მიიღო წორი სრული ოდენობით და დებს პირობას, რომ მისი მხრიდან ღალატს და საპასუხო მკვლელობას მკვლელის, მისი ძმის, მათი შვილების და შთამომავლების, მათი მოგვარეების მიმართ ადგილი არ ექნება. მაგრამ თუ მაინც დაზარალებულის მხრიდან ვინმე მაინც ჩაიდენდა საპასუხო მკვლელობას, ამ შემთხვევაში ისინი წორსაც დააბრუნებდნენ სრული ოდენობით და დამატებით ჯარიმაც უნდა გადაეხადათ 700 მანეთის ოდენობით.[522] აქ ჩანს, რომ თუ მოხდებოდა საპასუხო მკვლელობა წორის მიღების მიუხედავად, შურისმაძიებელი მხარე არა მარტო წორს აბრუნებდა, არამედ შერიგების დარღვევისათვის ჯარიმას იხდიდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა წორის ოდენობის (1709 მანეთი) ნახევარზე ნაკლებია.

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში შერიგებისა და წორის მიღების მიუხედავად სისხლის აღების შემთხვევაში წორის გადახდის გარდა შურისმაძიებელს შესაძლოა დაკისრებოდა ჯარიმის გადახდა. ყოველ შემთხვევაში XX საუკუნის დასაწყისში ეს შესაბამისი ფაქტებით დასტურდება. ასევე გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მორვებმა არ ჩათვალეს მიზანშეწონილად შერიგების შემდეგ სისხლის ამღებისათვის ჯა-

520 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 31-32.

521 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 4-6.

522 მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, დოკუმენტი №9, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №1, 1988, 164.

რიმა დაეკისრებინათ.

ჩვენი ვარაუდით, შერიგების შემდეგ სისხლის აღებისათვის წორის გარდა პირგასამტეხლო ჯარიმის დაკისრება შურისმაძიებლისათვის შედარებით გვიან დამკვიდრებული წესი უნდა იყოს. შერიგების შემდეგ სისხლის ამღები ერთგულების ფიცის გამტეხი იყო. ძველ პერიოდში კი ფიცის გატეხვისათვის რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება არ ხდებოდა, რადგანაც ითვლებოდა, რომ ფიცის გამტეხს ღმერთი უცილობლად დასჯიდა და ამისათვის რაიმე სახის მიწიერი სასჯელის დანიშვნა საჭირო აღარ იყო. დროთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება შეიცვალა და როგორც ჩანს ფიცის მიმართ რწმენის გარკვეულწილად შერყევამ ფიცის გატეხვისათვის მიწიერი სასჯელის დაწესება გამოიწვია. ასე უნდა ყოფილიყო სვანურ სინამდვილებშიც, სადაც დროთა განმავლობაში დაიწყეს ერთგულების ფიცის გატეხვისათვის პირგასამტეხლო ჯარიმის დაკისრებაც. არაა გამორიცხული ეს შესაბამისი ფაქტების გახშირებამ გამოიწვია, რის გამოც რიგ შემთხვევებში ღვთაებრივი სანქციების ამარად დარჩენა აღარ ჩაითვალა მიზანშეწონილად. თუ ჩვენი ვარაუდი მართალია და ერთგულების ფიცის გატეხვისათვის ჯარიმის დაკისრება შედარებით გვიანდელი მოვლენაა, იგი მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით ზოგადსავალდებულო წესად არ ჩამოყალიბებულა, რაც მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულ კონკრეტულ შემთხვევებშიც ჩანს, როდესაც ერთგულების ფიცის გატეხვისათვის ჯარიმის დაკისრება არ მომხდარა.

2. 11. საჯარო ხასიათის სასჯელები მკვლელობისათვის. სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მკვლელობისათვის ძირითადად კერძო სამართლებრივი ხასიათის სასჯელების გამოყენებას ვხვდებით ქონებრივი საზღაურის სახით. როგორც დავინახეთ, დამნაშავე მხარე ამ საზღაურს მოკლულის ოჯახს და მის ახლო ნათესავებს უხდიდა. საკვლევ პერიოდში საჯარო ხასიათის ქონებრივი სასჯელის დაკისრება მკვლელობისათვის ბალსზემო სვანეთში ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით არ ფიქსირდება. ასეთი სასჯელის გამოყენებას ამ დანაშაულისათვის ვხვდებით საბატონო (ბალსქვემო) სვანეთში. შესაბამის მონაცემს გვაწვდის მ. კოვალევსკი. მისი განმარტებით, ბალსქვემო სვანეთში თავადის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავეთაგან ჯარიმის აღება. იგი ქვეშევრდომებს ანიჭებდა უფლებას სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით მოეგვარებინა საქმეები და არ ერეოდა მხარეების მიერ მედიატორთა არჩევაში. ის კმაყოფილდებოდა დამნაშავედ ცნობილი პირისაგან მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდევინებით. უფრო ხშირად გადახდა ხდებოდა პირუტყვით. მაგალითად ბეჩოში მკვლელობისათვის ეს ჯარიმა შეადგენდა 300 მანეთს.[523] ეს ნიშნავს, რომ აქ მკვლელი იხდიდა ქონებრივ საზღაურს – წორს – დაზარალებულის სასარგებლოდ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ოდენობით, ანუ კერძო სამართლებრივი ხასიათის ქონებრივ საზღაურს და ასევე საჯარო ხასიათის ჯარიმას სათავადო (ბალსქვემო) სვანეთის მმართველის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელი საზღაურის გადახდა მოხდებოდა მას შემდეგ რაც დამნაშავე დაზარალებულს წორს გადაუხდიდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელიც და მოკლულიც საბატონო სვანეთის

523 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 19.

რომელიმე თემის მცხოვრები იყო.

სვანეთის ამ რეგიონში მკვლელობისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენებას რომ ჰქონდა ადგილი ჩანს ალ. რობაქიძისა და რ. ხარაძის ნაშრომში, თუმცა ეს ავტორები განსხვავებული სახის სასჯელზე საუბრობენ. მათი განმარტებით, მას შემდეგ რაც ბეჩოსა და ეცერში დადეშქელიანები მომაგრდნენ, ისინი ამ თემების უფროსები გახდნენ და ყველაფერს უკვე თვითონ განაგებდნენ. ეს გარემოება მანამდე არსებული თემური მმართველობის წესებსაც შეეხო. თუ თემის შიგნით მკვლელობა მოხდებოდა, დადეშქელიანები დამნაშავეს ბორკილებს ადებდნენ და ზოგჯერ საკითხს ხალხის მიერ არჩეულ მორვარების გარეშეც წყვეტდნენ.[524] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ დადეშქელიანები ბალსქვემო სვანეთში გაბატონების შემდეგ თავისი ძალაუფლების დემონსტრირებას მათ საგამგეო თემების წევრთა შორის მომხდარი მკვლელობის შემთხვევაშიც ახდენდნენ. მკვლელობის საქმე მხარეთა შერიგებისას, ამ მონაცემის თანახმად, ბალსქვემო სვანეთში დადეშქელიანების გაბატონების შემდეგაც, ძირითადად, სამედიატორო სასამართლოს (მორვების) მიერ განიხილებოდა. მხოლოდ ზოგჯერ თუ მოხდებოდა ამის გაკეთება დადეშქელიანების მიერ, თუმცა ავტორები არ მიუთითებენ, თუ როდის შეიძლება ეს მომხდარიყო. ბორკილების დადება მკვლელისთვის მის თავისუფლების შეზღუდვას უნდა გულისხმობდეს. ამდენად, მკვლელი, კერძო ხასიათის ქონებრივ საზღაურს ამ ავტორთა თანახმადაც იხდიდა და მის მიმართ ამავე დროს საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენებაც ხდებოდა.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ უაღრესად ავტორიტეტული მეცნიერების მონაცემს, რომლის მიხედვითაც, დადეშქელიანები მკვლელს ბორკილებს ადებდნენ, თუმცა მონაცემი ზედაპირულია და გარკვეულ შეკითხვებს ბადებს. მაგალითად, არ ჩანს, თუ რა ვადით ხდებოდა მკვლელისათვის ბორკილების დადება და რა მიზნით – ხანგრძლივი ხნით დასაპატიმრებლად, თუ სხვა რაიმე მიზნით? თანაც სვანეთში იმ პერიოდში მოქმედებდა სისხლის აღების ადათი და მკვლელს შესაძლოა დაეტოვებინა სახლ-კარი და გაქცეულიყო. ამ შემთხვევაში მკვლელისათვის ბორკილების დადება ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა, მის დევნას კი მხოლოდ მოკლულის ნათესავები განახორციელებდნენ დამნაშავის მოსაკლავად და არა შესაპყრობად. ამდენად, ხშირი იქნებოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ბორკილების დადება მკვლელისთვის ვერ მოხერხდებოდა.

რაც შეეხება მკვლელისთვის ბორკილის დადების მიზანს, ჩვენი მოსაზრებით, ეს არ უნდა ყოფილიყო მკვლელისთვის ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა, როგორც ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული საჯარო სასჯელი. მკვლელი წორის სახით ისედაც საკმაოდ დიდ გადასახადს იხდიდა (მისი ქონების მნიშნელოვან ნაწილს) და ამის გარდა კიდევ დიდი ხნის ვადით მომხდარიყო მისთვის თავისუფლების აღკვეთა, იქნებოდა არაადეკვატურად მძიმე სასჯელი. ჩვენი ვარაუდით, შესაძლებლად მიგვაჩნია, დადეშქელიანებს მკვლელი შეეპყროთ იმ შემთხვევაში, თუ იგი მკვლელობისათვის დაწესებულ საჯარო ხასიათის ჯარიმას არ გადაიხდიდა. მხედველობაში გვაქვს მ. კოვალევსკისთან დაფიქსირებული ჯარიმა 300 მანეთის ოდენობით. წორთან ერთად ამ საზღაურის გადახდა შესაძლოა მკვლელს ძალზედ გასჭირვებოდა და დადეშქელიანე-

524 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 108.

ბს ამ ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად მკვლელის მიმართ პატიმრობაც გამოეყენებინათ. სავარაუდოდ, აღნიშნული ჯარიმის გადახდას ადგილი აღარ ექნებოდა, თუ სისხლის აღება მოხდებოდა.

ამრიგად, მ. კოვალევსკის და ალ. რობაქიძე/რ. ხარაძის მონაცემები, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა, მიუთითებს, რომ საბატონო (ბალსქვემო) სვანეთში, დადეშქელიანთა გაბატონების შემდეგ, ჩანს ტენდენცია მკვლელობის შემთხვევაში მკვლელის მიმართ გარკვეული საჯარო ხასიათის სასჯელების გამოყენებისა კერძო სამართლებრივი ხასიათის სასჯელთან ერთად.

საჯარო ხასიათის სასჯელად შეიძლება ჩაითვალოს ბალსზემო სვანეთში სასულიერო პირის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში მისთვის საზოგადოების გადაწყვეტილებით სასულიერო ღირსების ჩამორთმევა. ბ. ნიჟარაძის თანახმად, ბალსზემო სვანეთში სასოფლო ყრილობას ექვემდებარებოდა სასულიერო წოდებაც. მკვლელობის შემთხვევაში სასულიერო პირისათვის ღირსების ჩამორთმევას სამუდამო ხასიათი ჰქონდა.[525]

ბ. ნიჟარაძე საჯარო სასჯელის გამოყენებაზე საუბრობს ასევე ქალიშვილების მკვლელობისათვის. ავტორი საზიზღარ ჩვეულებას უწოდებს სვანეთში არსებულ ქალიშვილების ხოცვას, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოვლენას ხშირად არ ჰქონია ადგილი და არც დაუსჯელი რჩებოდა როგორც ამას სხვადასხვა სჯულის მოგზაურები ერთხმად ამტკიცებდნენ. ბ. ნიჟარაძის თანახმად, ახლადდაბადებული ქალიშვილის მკვლელი დედა განსაზღრულ სასჯელს მაინც ექვემდებარებოდა. კერძოდ, ქალიშვილის მკვლელს ხალხი არ მარხავდა ნაკურთ მინაში. მას ეკლესიების და სალოცავების ახლოს არ მისცემდნენ გავლის უფლებას, მსხვერპლის შეწირვისას არ მიაღებინებდნენ მონაწილებას. ქალიშვილის მკვლელი დედა ვერ დაესწრებოდა სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებს. ხალხის თვალში იგი თითით საჩვენებელი იყო და მის შთამომავლობას ეს საუკუნო საძრახისად რჩებოდა. ბ. ნიჟარაძის აზრით, ყოველივე ეს ამ დანაშაულის ჩამდენის მძიმე დასჯას წარმოადგენდა.[526] სვანეთში დედის მიერ ქალიშვილის მკვლელობისათვის ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის – სისხლის ფასის – გადახდა არ ხდებოდა, თუმცა, როგორც ბ. ნიჟარაძის მიხედვით ჩანს, ეს ქმედება საზოგადოების მიერ მაინც აღიქმებოდა დანაშაულად და საჯარო სასჯელის სახით მას კონკრეტული ზემოთჩამოთვლილი მოქმედების (ძირითადად რელიგიური წესების) შესრულების უფლებას ართმევდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ნაკურთხ მიწაში არ დაასაფლავებდა. ეს რასაკვირველია ქალიშვილის მკვლელისთვის უაღრესად დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ჩაყენება იყო და არა მარტო გარკვეული მოქმედების უფლების ჩამორთმევას უკავშირდებოდა. ეს გარემოება მიუთითებს, რომ დედის მიერ ქალიშვილის მკვლელობა მაინც დანაშაულად უნდა შეფასდეს.

საინტერესოა რომ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების უფლებას მოკლებული იყო არა მარტო ქალიშვილი მკვლელი დედა, არამედ ყველა მკვლელი.[527] მაგალითად, მკვლელს არ ჰქონდა უფლება მსხვერპლი შეეწირა და სამსხ-

525 ბ. ნიჟარაძე, ეთნოგრაფიულ-ისტორიული წერილები, თბ., 1962, 88.

526 იქვე, 109.

527 იხ. რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 112, 114.

ვერპლო ცხოველი დაეკლა. აღნიშნული აკრძალვა მთელი ცხოვრების განმავლობაში ნარჩუნდებოდა.[528]

სვანეთში მკვლელობისათვის გვხვდება ისეთი სასჯელიც, როგორიცაა მკვლელის გაძევება. მკვლელს სვანეთიდან აძევებდნენ. შესაძლოა გაეძევებინათ ნათესავის უნებლიედ მკვლელიც. სანათესაო თავად განსჯის ნათესავის მკვლელს და შესაძლოა მას სვანეთის დატოვება მიუსაჯოს.[529] ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ბიძაშვილის ფათერაკით მკვლელი გაძევებულ იქნა სვანეთიდან.[530]

2. 12. კოლექტიური პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანურ ჩვეულებით სამართალში. მკვლელობისათვის კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა წორის გადახდაში მკვლელთან ერთად მისი ახლო ნათესაური ჯგუფის თანამონაწილეობა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არამედ მკვლელთან ერთად წორის გადახდაში გარკვეული ტერიტორიული ერთეულის (მაგალითად, თემის) მცხოვრებთა ერთობლივი მონაწილეობა.

მთელი თემის მიერ წორის ურთიერთშორის განაწილებით გადახდა სვანეთში ხდებოდა თვით ამ თემის ყრილობის გადაწყვეტილებით, რასაც ყველა სავალდებულო წესით ემორჩილებოდა. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამოდენიმე პირი თემის საერთო მტერს მოკლავდა.[531] აღნიშნული წესის სიძველის დასადასტურებლად ეგ. გაბლიანს მოჰყავს მესტიის ოთხთავის მინაწერები.[532]

არა ნათესაური ჯგუფის, არამედ ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა მიერ წორის კოლექტიური გადახდის მაგალითად სვანური საისტორიო ძეგლების მიხედვით ჩანს ე. წ. „სახელოს" გადახდა. გ. გასვიანის თანახმად, სვანეთის ამა თუ იმ თემის ან სოფლის საერთო ინტერესების დამცველი თუ თავისი მოქმედებით დადგენილ საზღვრებს გადააჭარბებდა: ვინმეს მოკლავდა, ან მძიმედ დაასახიჩრებდა, ამისათვის დადგენილ გადასახდელ საურავს (მატერიალურ საზღაურს) ეწოდებოდა „სახელო". ავტორის ვარაუდით "სახელო" უშუალოდ მოქმედი პირის „ხელთან" (უფლებასთან) იყო დაკავშირებული. მისი თქმით, „ამ შემთხვევაში „სახელო" სისხლის არასრულ ფასს უნდა ნიშნავდეს. საერთო ინტერესების შემლახველის მოქმედება ზოგჯერ სიკვდილს და სისხლის გაცუდებას ითვალისწინებდა, უმეტესად კი – ქონებრივ დასჯას. თუკი საზოგადოების ინტერესების შემლახველი თავის ქმედების გამო მეტისმეტად ზარალდებოდა, მაშინ მისადმი „სახელოს" მიცემა სავალდებულო ყოფილა. მაგრამ საურავის მიცემა უშუალოდ იმას კი არ ევალებოდა, ვინც დამნაშავეს კუთვნილზე მეტი ვნება მიაყენა, არამედ ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულ ოჯახებს".[533] ამრიგად, თუ ვინმე ჩაიდენდა საზოგადოების ინტერესების შემლახველ ქმედე-

528 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 91.

529 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 112.

530 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 1-3.

531 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 67.

532 იქვე, 67-68.

533 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 175-176.

ბას და ის პირი, რომელსაც ევალებოდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, ზედმეტ ზიანს მიაყენებდა მას (ანუ უფრო მეტად შეფასებულ ზიანს მიაყენებდა, ვიდრე საზოგადოების ინტერესის შემლახავს ამ ქმედებისათვის უნდა დაკისრებოდა), ამ უკანასკნელისათვის უნდა გადაეხადათ „სახელო“, თუმცა მთელ საზოგადოებას ერთობლივად და არა მხოლოდ ზიანის მიმყენებელს.

ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა ერთობლივ პასუხისმგებლობას მაშინაც ექნებოდა ადგილი, როდესაც ისინი ერთობლივად ჩაიდენდნენ დანაშაულს. მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, რაც მოცემულია გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადების“ მე-2 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განმგებლის მკვლელობისათვის, როდესაც მას კლავს ხალხი ერთობლივად – ერთი სოფელი, ან ერთი ხეობა.[534] სვანეთში ფიქსირდება ასეთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უშგულის თემის მცხოვრებლებმა ერთობლივი მოქმედებით მოკლეს ფუთა დადეშქელიანი, რომელსაც ამ თემზე გაბატონება სურდა. მათ უშგულის ყველა ოჯახიდან მოაგროვეს თითო მარცვალი ტყვიის წამალი და მისგან დაამზადეს ფუთას მოსაკლავი ტყვია. მკვლელობისათვის გამოიყენეს ეკლესიის თოფი, რომლის ჩახმახს გამოაბეს თოკი და თითოეული ოჯახიდან მოყვანილმა თითო ბავშვმა გამოჰკრა მას ხელი.[535] უშგულელები ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ საერთო მტრის მკვლელობაში უშგულის ყველა ოჯახს თანაბარი მონაწილეობა მიეღო და აქედან გამომდინარე არა ერთ რომელიმე ადამიანს, არამედ, მთელ თემს ერთობლივად ეგო პასუხი. ეს ასეც მოხდა: ფუთას შვილმა გადაწყვიტა შურისძიება უშგულელთა მიმართ და დიდი ლაშქრით გაემგზავრა უშგულისაკენ, თუმცა სანამ უშგულამდე მივიდოდა საკმაოდ დიდი დანაკლისი განიცადა ბალსზემო სვანეთის სხვა თემებზე გავლისას და ამიტომ უშგულს შერიგება შესთავაზა. უშგულის მცხოვრებლებმა შესარიგებლად შესაბამისი წორი გადაუხადეს ფუთას შვილს. როდესაც იგი ამ წორით უშგულიდან მიემგზავრებოდა და მურყმელის წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინ მიდიოდა, უცებ ცხენი მოუკვდა. ფუთას შვილმა ეს უშგულიდან წორის წაღებისათვის ღვთისაგან მოვლინებულ რისხვად ჩათვალა და ამით შეშინებულმა „წორი“ დატოვა.[536]

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში გამოჩნდა უშგულელებმა სიკვდილით დასაჯეს ბალყარეთის თავადი დეევთგერ მურზაყულოვი, რომელმაც თანმხლებ პირებთან ერთად გაძარცვა უშგულის ერთ-ერთი ეკლესია. ბალყარელებმა ამისათვის სისხლის ფასის გადახდა მოითხოვეს და სამედიატორო სასამართლომ ბალყარელი თავადის მოკვლისათვის უშგულს 200 მოზვერის გადახდა დააკისრა, თუმცა 100 გამოუქვითა ეკლესიის გაძარცვისათვის. უშგულელებმა გაყიდეს საეკლესიო მიწები, 70 მოზვერი მაშინვე მისცეს, ხოლო 30 შემდეგ.[537]

ორივე ამ შემთხვევაში უშგულის მთელმა საზოგადოებამ ერთობლივად ჩადენილი მკვლელობისათვის, სისხლის ფასიც ერთობლივად გადაიხადა.

---

534 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963, 403.

535 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890; ამ შემთხვევის დეტალური აღწერა იხ. ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925, 65-66.

536 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 18-19.

537 იქვე, 24.

2. 13. ნათესავის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი სვანური ჩვეულებითი სამართლით. სვანურ ჩვეულებით სამართალში ნათესავის მკვლელობის შემთხვევაში სპეციალური წესები არსებობდა. ჩვენ სხვა ნაშრომში განვიხილეთ ნათესავის მკვლელობა როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება[538] და ძირითადად ბ. ნიჟარაძისა და მ. კოვალევსკის მონაცემების საფუძველზე აღვნიშნეთ, რომ შვილის, ძმის მკვლელობა სვანეთში ქონებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევდა, ხოლო მოგვარის (სამხუბის) წევრის მკვლელობისას არ ხდებოდა სისხლის აღება, ხოლო წორის ოდენობა იმის ნახევარი იქნებოდა, რაც დადგენილი იყო ზოგადად მკვლელობისათვის. ქმრის მიერ ცოლის მოკვლა კი ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა.[539] მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორიც ადასტურებს, რომ ძმის მიერ ძმის, ან მამის მიერ შვილის მკვლელობისას, რაიმე სასჯელი არ არსებობს, ხოლო სამხუბის შიგნით მკვლელობას სისხლის აღება არ მოჰყვება, ხოლო ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.[540] ეს მონაცემები მიუთითებს, რომ მცდარია მ. კოვალევსკის ცნობა, რომლის მიხედვითაც, სისხლის აღება არ ხდება მხოლოდ ოჯახის წევრთა შორის მკვლელობის ჩადენისას. სხვა ოჯახის წევრის, თუნდაც მოგვარის მკვლელობა კი ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა.[541] მასალები გვიჩვენებს, რომ სვანეთში გვარის შიგნით მკვლელობა სისხლის აღებას მხოლოდ მაშინ იწვევდა, თუ მკვლელი და მოკლული ერთი გვარის სხვადასხვა სამხუბს მიეკუთვნებოდა. თუ ერთი სამხუბის წევრებს შორის მოხდებოდა მკვლელობა, მაშინ სისხლის აღება, როგორც წესი არ ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს გადასახდელი წორის ოდენობასთან დაკავშირებით მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულ მასალებში, ბ.ნიჟარაძისგან განსხვავებული ცნობებიც გვხვდება. როგორც ზემოთ გამოჩნდა, ბ. ნიჟარაძის მიხედვით, სამხუბის შიგნით მკვლელობისას გადასახადი დადგენილი წორის ნახევარი იქნებოდა, ხოლო საქმე თვით გვარის შიგნით გაირჩეოდა.[542] მ. კეკელიას ინფორმატორების მიხედვით, სამხუბის შიგნით განზრახი მკვლელობისას სისხლის აღება არ ხდებოდა, თუმცა როცა საქმე შერიგებამდე მივიდოდა, მაშინ მორვები გაარჩევდნენ საქმეს და მკვლელს იმდენივე უნდა გადაეხადა, რამდენიც ჩვეულებრივ განზრახი მკვლელობისათვის იყო დადგენილი[543] და არა ამის ნახევარი, როგორც ამას ბ. ნიჟარაძესთან ვხვდებით. ერთ-ერთი ინფორმატორი კი აღნიშნავს, რომ ასეთ დროს წორის ნახევრის გადახდა ხდებოდა, ოღონდ იმიტომ, რომ სამხუბის წევრის მკვლელობა მხოლოდ უნებლიედ შეიძლება მომხდარიყო, ხოლო უნებლიე მკვლელობისათვის წორის ნახევარი იყო გადასახდელი.

538 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 214-217.

539 ბ. ნიჟარაძე, ეთნოგრაფიულ-ისტორიული ნერილები, თბ., 1962, 107, 111; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 34-35. სამხუბის შიგნით სისხლის აღების აკრძალვას ადასტურებს დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, 133.

540 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 88; ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 10, 57; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 61; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 13.

541 მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 35.

542 ბ. ნიჟარაძე, ეთნოგრაფიულ-ისტორიული წერილები, თბ., 1962, 107

543 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 10; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 13.

შესაძლოა საერთოდ არაფერი დაკისრებოდა ასეთ შემთხვევაში მკვლელს.[544] ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბ. ნიჟარაძის დროიდან დამოკიდებულება საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობისადმი, თუნდაც ბალსზემო სვანეთის ზოგიერთ თემში, გარკვეულწილად შეიცვალა. მ. კეკელიას მასალებით, სამხუბის წევრის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს წესად არ არის სისხლის აღება, რაც მხარეთა შერიგების შედარებითი სიადვილის მაჩვენებელია, თორემ შერიგების შედეგად მკვლელისათვის დაკისრებული წორის ოდენობა არაფრით განსხვავდება არანათესავის მკვლელობისათვის დაწესებული საზღაურისაგან. ნაკლებსავარაუდოა, რომ ბ. ნიჟარაძე საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობისათვის წორის ნახევრის გადახდას იმის გამო მიუთითებდეს, რომ ასეთი მკვლელობა მხოლოდ უნებლიედ შეიძლება მომხდარიყო, როგორც ამას მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი გვაუწყებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბ. ნიჟარაძე არაფერს ამბობს უნებლიე მკვლელობისას პასუხისმგებლობის შესახებ და ამდენად, ფაქტიურად არ განასხვავებს პასუხისმგებლობას განზრახ და უნებლიე მკვლელობისათვის. ბ.ნიჟარაძის მიხედვით გამოდის, რომ მის დროს საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობა წორის განახევრებას იწვევდა, მიუხედავად იმისა ეს განზრახ მოხდა თუ გაუფრთხილებლობით. მ. კეკელიას XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით, კი განზრახ და უნებლიე მკვლელობისათვის განსხვავებული პასუხისმგებლობა ფიქსირდება, რაც სამხუბის წევრის მკვლელობაზეც ვრცელდება: განზრახი მკვლელობისას სრული წორი, ხოლო უნებლიე მკვლელობისას წორის ნახევარი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლოა საერთოდ არაფერი დაკისრებოდა დამნაშავეს.

ამის საილუსტრაციოდ შესაბამის მაგალითსაც მოვიყვანთ მ. კეკელიას მასალებიდან. შემთხვევა XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა: ბიძაშვილები ივაკი და გიორგი კაკრიაშვილები ცხენით მიდიოდნენ. ქვემო სვანეთში უღელტეხილზე ივაკიმ დაინახა მტერი გრამიტონ ნიჟარაძე, რომლის ძმას ადრე მოკლული ყავდა ივაკის ბიძა გიორგი კაკრიაშვილი. როცა მტერს ნიშანში იღებდა გიორგი ცხენიდან დასწვდა მას, რამაც თოფის ლულის ზემოთ აწევა გამოიწვია, გავარდა თოფი და გიორგი მძიმედ დაიჭრა მკერდში. მომაკვდავმა გიორგიმ მიმართა თავისიანებს: „ნუ მოკლავთ ივაკის, მას შემთხვევით მოუვიდა, ოღონდ წავიდეს ჩვენს სოფელში ნუ იცხოვრებსო და მოკვდა.“ დაკრძალვას ივაკი არ დასწრებია, მან იმავ დღეებში მონანიების მიზნით კისერზე ქვა ჩამოიკიდა. საქმეში ხალხის ჩარევის შემდეგ თავისიანებით ასე კისერზე ქვადაკიდებული მივიდა გიორგის ოჯახში, თან მიიტანა საჩუქრები (ხარები, ძროხები და სხვა) და ამრიგად მოხდა მათი შერიგება. თითონ ივაკი აიყარა უშგულიდან და აფხაზეთის სვანეთში გადასახლდა.[545] როგორც ვხედავთ, კონკრეტულ შემთხვევაში ნათესავის (ბიძაშვილის) მკვლელი დაზარალებულ ოჯახს დანაშაულის მონანიების და საჩუქრების მიცემით შეურიგდა წორის გადაუხდელად. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ნათესავის უნებლიე მკვლელობისას შესაძლოა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მკვლელისთვის წორის გადახდა არ დაეკისრებინათ, თუმცა მკვლელს

544 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 61.

545 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 1-3.

მოუწია სოფლის დატოვება, რადგანაც იგი მოკლულის თანასოფლელი იყო და მისი ჭირისუფლებისათვის რთული ასატანი იქნებოდა მკვლელის ხშირი ნახვა და შესაძლოა მოეკლათ კიდეც. რა მოხდებოდა ნათესავის მკვლელობა განზრახ რომ მომხდარიყო? სავარაუდოდ, ასე ადვილად მკვლელს არ შეირიგებდნენ, შესაძლოა ცხელ გულზე მოეკლათ კიდეც (როგორც დავინახეთ, თვით მომაკვდავმა სთხოვა თავისიანებს მკვლელი არ მოეკლათ, რადგანაც მან ეს დანაშაული უნებლიედ ჩაიდინა). შესაბამისად, შერიგების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ნორის გადახდასაც.

საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობა დიდი ალბათობით უფრო ხშირად მართლაც უნებლიედ მოხდებოდა, თუმცა გამორიცხვა იმისა, რომ ასეთი მკვლელობა განზრახაც შეიძლება მომხდარიყო შეუძლებელია. როდესაც ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობებს ჰქონია ადგილი, საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობას ვერ გამოვრიცხავთ. მ. კეკელიას მასალების მიხედვით ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს სრულ ნორს აკისრებდნენ. ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, კი მორიგება ამ შემთხვევაში შინაურულად, ნათესაობაში მოხდებოდა, მორვებით მორიგება ასეთ დროს შედარებით იშვიათად ხდებოდა.[546] სამწუხაროდ, ეს ინფორმატორი არაფერს ამბობს სამხუბის წევრის მკვლელობისას ნორის დაკისრებისა და ოდენობის შესახებ.

მ. კეკელიას მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, საკუთარი სამხუბის წევრის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ბალსზემო სვანეთში, ყოველ შემთხვევაში მის ზოგიერთ თემში, ნორის ნახევარი არ იყო, როგორც ეს ბ. ნიჟარაძის მიხედვითაა და შესაძლოა განზრახ მკვლელობის შემთხვევაში სრული ნორიც დაეკისრებინათ დამნაშავისათვის, ანუ პასუხისმგებლობა დამდგარიყო ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ მკვლელობისას ხდებოდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ბალსზემო სვანეთის ყველა თემში ასე არც ყოფილიყო და ნათესაური ფაქტორის გათვალისწინებით პასუხისმგებლობის რამდენადმე შემცირებასაც ჰქონოდა ადგილი. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობა, რომ ასეთ შემთხვევაში ნათესაურად მორიგდებოდნენ, სწორედ ამის მიმანიშნებელი უნდა იყოს. იგივე ინფორმატორი აღნიშნავს, რომ სამხუბის წევრის მკვლელობა შესაძლოა მორვებსაც განეხილათ. ამ შემთხვევაში, ცხადია, ნათესაური მორიგება ვეღარ მოხდებოდა და ტოლობის ფიცის გავლენის ქვეშ მყოფი მორვები ჩვეულებრივ განიხილავდნენ ასეთ საქმეს.

2. 14. მორალური პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. სვანეთში აქ დადგენილი ჩვეულებითი სამართლის ნორმების მიხედვით, ფიქსირდება მკვლელის მორალური დასჯაც. ალი დავითიანის თანახმად, მკვლელს თორმეტი ფიქალი ქვა უნდა დაეკიდა იღლიებში და ეტარა თორმეტი წლის განმავლობაში. რამდენი წელიწადიც გავიდოდა იმდენი თითო ქვა უნდა გამოეკლო. ასე რომ, მეთორმეტე წელიწადს უკანასკნელ ქვას მოიხსნიდა. ზოგ ხევში გადმოცემით მიღებული იყო ერთი ფიქალი ქვა ყოფილიყო ოთხ-ხუთ კილომდე, რომელსაც დაიკიდებდა კაცის მკვლელი და უცვლელად ეკიდა, იმავე თორმეტი წლის განმავლობაში, როგორც სახლში ყოფნის დროს, ისე სამუშაოს შესრულებისას. ამ სასჯელის მოხდას მეთვალყუ-

546 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 88.

რეობას ხევი უწევდა.[547] ა. დავითიანის ამ ცნობის მიხედვით, მკვლელის ქვებით დასჯა ნებისმიერი მკვლელობის შემთხვევაში ხდებოდა. სხვა მსგავსი მონაცემი ითვალისწინებს ანალოგიურ სასჯელს მხოლოდ და მხოლოდ ნათესავის მკვლელობისას. მაგალითად, მ. კოვალევსკის მითითებით მამის მკვლელი წორს არ იხდიდა, თუმცა მას მხარზე ჩამოკიდებული ჰქონდა მრგვალი ქვების ასხმა.[548] რ. ხარაძის თანახმად კი ძმის მკვლელობის შემთხვევაში ძმის მკვლელს წვრილი აბაზიანების ოდენა გახვრეტილი ქვებისაგან გაკეთებულ საბელს ჩამოჰკიდებდნენ. ეს ჩადენილი დანაშაულის გამომხატველი იყო და ცოდვის მოსანანიებელ საშუალებას წარმოადგენდა.[549] მ. კოვალევსკის და რ. ხარაძის მონაცემი გვიჩვენებს, რომ ცოდვის მონანიების მიზნით ქვების ჩამოკიდება სვანეთში ოჯახის წევრის მკვლელობის შემთხვევაში ხდებოდა (მამის, ძმის), რა დროსაც წორის გადახდა არ ხდებოდა და ასეთი მკვლელობა მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობის გამომწვევი იყო. ქვების ჩამოკიდებით დასჯა ნათესავის მიმართ ფიქსირდება მ. კეკელიას მასალებშიც. კერძოდ, მისი ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გასული საუკუნის დაახლოებით სამოციან წლებში პიროვნებას შემთხვევით გაუვარდა ოთახში იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა მისი ნათესავი ქალი. სამედიატორო სასამართლო არ შემდგარა, თუმცა ხალხი იძახდა მკვლელმა მონანიების ნიშნად კისერზე ფიქალის ქვა უნდა ჩამოიკიდოსო. საბოლოოდ ტოლობის ფიცით მოხდა შერიგება.[550] კიდევ ერთ შემთხვევაში უნებლიედ ბიძაშვილის მკვლელი მონანიების ნიშნად კისერზე ქვაჩამოკიდებული მივიდა დაზარალებულის ოჯახში შესარიგებლად. მკვლელს ქვა კისერზე სამი წელი ქონია ჩამოკიდებული. ქვა ტანსაცმელში იყო დამალული. ქვა პირველად ულვლელზე იყო ჩამოკიდებული, შემდეგ კი რაიმე თოკზე, ან ქსოვილზე. ხალხში არის ასეთი თქმა: „ისეთი საქმე მომივიდა, კისერზე ქვა უნდა ჩამომეკიდნაო", ე. ი. ახლობელი, სახლიკაცი კინაღამ შემომაკვდაო. ინფორმატორის განმარტებით, გარდა მკვლელობისა, სხვა საქმეზე არ გაუგონია ქვის კისერზე ჩამოკიდების შესახებ.[551] ეს მაგალითებიც გვიჩვენებს, რომ მონანიების ნიშნად მკვლელის მიერ ქვის ჩამოკიდება ნათესავის მკვლელობის შემთხვევაში ხდებოდა. ამას მონანიების ნიშნად ჰქონდა ადგილი და შესაძლოა რამდენიმე წელი გაგრძელებულიყო. როგორც ბოლო შემთხვევაში გამოჩნდა, ნათესავის უნებლიედ მკვლელი კისერზე ქვაჩამოკიდებული სამი წელი დადიოდა. ის წესი ქვის ტარებისა, რომელიც ა. დავითიანის მიერაა აღწერილი მ. კეკელიას ინფორმატორებს უკვე აღარ ახსოვთ და XX საუკუნის 60-70-იან წლებში დავიწყებულია, თუმცა მონანიების ნიშნად ნათესავის მკვლელის მიერ ქვის ტარება XX საუკუნის შუახნებში ჯერ კიდევ ხდებოდა.

---

547 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 90.

548 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 91.

549 რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 170.

550 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 78-79.

551 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №8, 1972-1973, 1-4.

§3. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის ხევსურულ ჩვეულებით სამართალში

3. 1. ტერმინების შესახებ. ხევსურეთში მკვლელობის ინსტიტუტთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო ტერმინოლოგია ჩამოყალიბდა.

მკვლელობას და მისგან წარმოშობილ შედეგებს ხევსურეთში უკავშირდება ტერმინები: „თავ-მეთავეობა", „მამკალ-მამკვდრობა", რაც „სისხლ-მესისხლეობას", სისხლის აღებას გულისხმობს.[552] ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის მიხედვით, სიტყვები: „თავ-მეთავეობა", „მამკალ-მამკვდრობა" ერთი შინაარსისაა, განსახვავება მხოლოდ იმაშია, რომ „თავ-მეთავეობა" ძველ შუღლზე ითქმის, ხოლო „მამკალ-მამკვდრობა" – ახლად ჩამოვარდნილ მტრობაზე.[553]

მ. კეკელიას ინფორმატორთა მიხედვით, ხევსურეთში უფრო იხმარება – „მამკალ-მამკვდრობა", „თავ-მეთავეობა", „მესისხლეობა", ხოლო „სისხლ-მესისხლეობა" კი არ გამოიყენება.[554] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, „სისხლ-მესისხლეობა" ბარიდან შემოსული ტერმინი უნდა იყოს.[555] მამკალ-მამკვდარი მკვლელი და მოკლულია.[556]

მკვლელი ასევე იწოდება მეხელედ. მეხელე მკვლელობის უშუალოდ ჩამდენია.[557] ამდენად, მკვლელს ხევსურები მამკლავს, მეხელეს უწოდებენ.[558] იარაღით მოკლულს „სისხლიანს".[559]

თავ-მეთავენი მოკლულის და მკვლელის საგვარეულოები არიან, რომლებიც ერთმანეთის მოსისხლეებს წარმოადგენენ.[560]

მეთავე იგივე მოკლულის მხარეა, კერძოდ, ვინც სისხლი (ქონებრივი სახელაური, თავისისხლი) უნდა მიიღოს, ვინც თავისიანის მკვლელს დასდევს მოსაკლავად, მესისხლე.[561] მ. კეკელიას ინფორმატორიც ადასტურებს ამ ტერმინის აღნიშნულ შინაარსს. მისი განმარტებით, მეთავე არის ის, ვისაც მოკლულის ნათესაობიდან „თავს ედება" სისხლის აღება – მამა, ძმა, შვილი, ბიძა, ბიძაშვილი.[562]

ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით მკვლელობის საქმეს თავმეთავეობას იმიტომ უწოდებენ რომ, „თავი თავში უნდა წავიდეს".[563] მეორე ინფორმატორის მიხედვით კი თავ-მეთავეობაში იგულისხმება, რომ მკვლელობის შედეგად „მე

552 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 388, 813.

553 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 27.

554 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რველი, 1977, №1, 24; №4, 28; №6, 47.

555 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5-6.

556 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 541.

557 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 590.

558 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 17; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 39; №5, 25.

559 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 812.

560 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 388; მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები" (1988), თბ., 1991, 55.

561 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 578; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 43.

562 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 84.

563 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 7.

კაცი მომიკალი, რითაც კაცის თავი დამაკლდა და ამიტომ ვეტყვით: „ჩემი თავი გმართებსო".[564]

მოსისხლე მტერს ხევსურები „მესისხლედ" იხსენიებენ.[565] როდესაც მოხდებოდა მკვლელობა, მეხელე ხდებოდა სისხლის აღების ობიექტი და მას ეკისრებოდა ხევსურული რჯულით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების (რიგის ყენების, პატივის მიცემის და სხვა) თავის თავზე აღება, რაც ხევსურეთში „თავის დადებად" იწოდება.[566]

როდესაც ხევსურეთში ვინმე კაცს მოკლავდა, იტყოდნენ: „კაცის თავი შამოებარაო", არა აქვს მნიშვნელობა მკვლელობა განზრახ მოხდა, თუ განზრახვის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელმა წესის მიხედვით პასუხი უნდა აგოს.[567]

სისხლის აღების განხორციელების შემთხვევაში ხევსურები არ იტყვიან „ისისხლაო", იტყვიან – „თავის მამკდარ მაიძიაო".[568]

3.2. „თავსისხლი" ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. ხევსურეთში სვანეთის მსგავსად XX საუკუნის II ნახევარში ფიქსირდება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდა.

ხევსურეთში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების, თუ ჩრდილო კავკასიელი მთიელი ხალხების მსგავსად, ქონებრივი საზღაურის გადახდის ძირითადი საშუალება (ძირითადი გაცვლითი ერთეული) იყო ძროხა. მკვლელობისათვის ქონებრივ საზღაურს ეწოდებოდა „თავსისხლი".[569]

ხევსურეთში მამაკაცის სისხლი 60 ძროხად იყო შეფასებული.[570] ბ. გოგოჭურის მონაცემთა თანახმად, აღნიშნული საზღაური ხევსურეთში XIX საუკუნის დასაწყისში დადგინდა, როდესაც მთელმა ხევსურეთმა ე. წ. საგანგებო შეკრებებზე დაიწყო მკაცრი და შეუბრალებელი კანონების შეცვალა და ლმობიერების მიმართულებით შესწორებები შეიტანა იმ დროს ხევსურეთში მოქმედ ჩვეულებით სამართალში. სწორედ იმ დროს დადგინდა მოკლული კაცის თავსისხლად 60 ძროხის ღირებულების ქონებრივი გადასახადი.[571]

აქ, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, ყველას სისხლი თანაბარი იყო და არავის უპირატესობა არ ჰქონდა. 60 ძროხა იყო სისხლი ბავშვის, თუ მოხუცის მკვლელობის შემთხვევაშიც.[572] არას-

564 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 24; №5, 13.

565 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 586.

566 ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები" (1987), თბ., 1990, 161.

567 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 1, 11.

568 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 73.

569 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 391.

570 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 13; №2, 53; №5, 1, 38; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 44; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 117.

571 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 10, 99-100.

572 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24. განსხვავებულ მონაცემს ეხედებით ნ. ხიზანაშვილთან. მისი განმარტებით, მამაკაცის სისხლი ხევსურეთში შეფასებული იყო 80 ძროხად, ხოლო 60 ძროხა ღირდა ქალის სისხლი (ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 47). მამაკაცის მკვლელობისათვის 80 ძროხას ეხვდებით ს. მაკალათიასთანაც, თუმცა ქალის მკვლელობისათვის იგი 30 ძროხას აფიქსირებს (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 87). ეს მონაცემები

რულწლოვანის (15 წლამდე პირის), თუ მოხუცებულის (60 წელს გადაცილებული პირის, რომელიც იარაღს აღარ ატარებს და „იარაღაყრილად" ითვლება) მკვლელობა ზოგადად, აუგად და სირცხვილად ითვლებოდა, თუმცა გამორიცხული არ იყო, მათ შორის სისხლის აღების ნიადაგზე. შურისმაძიებელი ცდილობდა პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მკვლელი მოეკლა და შეეწირა მტრის ხელით მოკლული საკუთარი მკვდრისათვის, ან მოეკლა მის ოჯახში და გვარში გამორჩეული ახალგაზრდა, სახელიანი და ღირსეული ვაჟკაცი, მითუმეტეს, თუ მკვლელი უსახელო კაცია. მაგრამ თუ შურისძიების სურვილით გაბოროტებული მოკლულის ახლობლები ვერ მოხელთავდნენ მკვლელს, ან გამორჩეულ ვაჟკაცს, ზოგადად სრულწლოვან პიროვნებას, შესაძლოა, არასრულწლოვანი, თუ მოხუცი მოეკლათ. ამ შემთხვევაში თავი თავში გაიბრებოდა.[573]

როგორც აღვნიშნეთ, ძროხა ძირითად გაცვლით ერთეულს წარმოადგენდა და მკვლელობისათვის (ისე როგორც სხვა დანაშაულებისათვის) ქონებრივი საზღაურის გადახდისას პირდაპირი გაგებით ძროხების მიყვანას ადგილი არ ჰქონია. განასხვავებდნენ ქონებრივი საზღაურის გადახდას „ხელითი" და „ფეხითი" ძროხის სახით. „ფეხით" ძროხაში იგულისხმებოდა კომპოზიციის გადახდა უშუალოდ საქონლით, ძროხით. „ხელითი" კი ნიშნავდა ძროხის ღირებულების ანაზღაურებას. კერძოდ, ხელითში იგულისხმება სპილენძის ჭურჭელი, ქვაბები, ტაფები, ტაშტები, თულუხები, თუნგები, ქაფქირები, ფარდაგი, ვერცხლეული, სარტყელი, იარაღი, საარაყე ქვაბი, კოკა და სხვა. ხევსურეთში ქონებრივ საზღაურს „დრამას" უწოდებდნენ და მასში სწორედ „ხელითი" ძროხა იგულისხმებოდა.[574] ხევსური ინფორმატორის თქმით, დრამას სწორედ სისხლის ფასში მისატან სპილენძს, ვერცხლს ეძახდნენ. ძროხაზე და ცხვარზე დრამას არ იტყოდნენ.[575]

იმ ნივთების უმრავლესობა, რომლებიც დრამაში გაიცემოდა წინასწარ იყო შეფასებული. მაგალითად, ხევსურული რჯულით ერთი „ხელითი" ძროხა უდრიდა 4 კილოგრამ სპილენძს (სახის არეში მიყენებული პირველი ჭრილობისას 5 კილოგრამს). ერთი ხელითი ცხვარი შეფასებული იყო ერთ კილოგრამ სპილენძად. ერთი ძროხა უდრიდა ოთხ ცხვარს.[576] სხვა ნივთების ღირებულებაც შეფასებული იყო ძროხასთან მიმართებაში, ზოგიერთს, რომელთა ღირებულება არ იყო

(გარდა ქალის მკვლელობისათვის 30 ძროხისა) სხვა მონაცემებს არ შეესაბამება. თითქმის ყველა სხვა ავტორის თუ ხევსური ინფორმატორის, მათ შორის ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის, ბ. გოგოჭურის, მ. კეკელიას და მის მიერ შექმნილი „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ შეკრებილი და მონაცემების თანახმად, მამაკაცის მკვლელობისათვის 60 ძროხაა, ქალის მკელელობისათვის 30. საზღაურის აღნიშნული ოდენობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შესაბამისად მცდარად მიგვაჩნია ნ. ხიზანაშვილის ცნობა ხევსურეთში სისხლის ფასის შესახებ. ს. მაკალათიას ცნობა კი სავარაუდოდ, ნ. ხიზანაშვილის მონაცემს ეყრდნობა.

573 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 61-62, 63-64.

574 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ტ. 1, 1947, 174; ო. ზოიძე, სასჯლები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №3, თბ., 1991, 127; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 3; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 74.

575 რ. ხარაძე, იქვე; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 39.

576 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 192; გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 351.

ძროხასთან მიმართებაში წინასწარ განსაზღვრული, შუაკაცები აფასებდნენ.[577]

აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის ზოგიერთ კუთხეში ქონებრივი საზღაურის გადახდა მთლიანად „ხელითი" ძროხის სახით ხდებოდა, ზოგიერთ კუთხეში კი ნახევარი „ხელითის" სახით გადაიხდებოდა, ნახევარი „ფეხითის". მაგალითად, ბუდე ხევსურეთში მთელი საზღაური „ხელითი" ძროხით გადაიხდებოდა, შატილში კი ნახევარი „ფეხითით", ნახევარი „ხელითით".[578] გუდანელი ინფორმატორის თქმით, მათთან არასდროს ყოფილა ფეხითი ძროხა დრამაში გადასახდელად და არც ის, რომ ხელით დრამაში ფეხითი ცხვრები ეანგარიშათ.[579] არხოტელი ინფორმატორის განმარტებით, არხოტის რჯული იმით განსხვავდებოდა შატილის რჯულისაგან, რომ არხოტელები ქონებრივ საზღაურს დანაშაულისათვის იხდიდნენ მთლიანად ხელითს, ხოლო შატილელები ნახევარს ხელითს და ნახევარს ფეხითს.[580] ხევსურეთში ინფორმატორის თქმით, „თავსისხლში" ვინმეს 60 ფეხითი ძროხა მიეყვანა, არ ყოფილა.[581]

ასეთი განსხვავებული მონაცემები ხევსურეთის სხვადასხვა კუთხეების მიხედვით ჩვეულებითი სამართლის პარტიკულარული ხასიათიდან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყო. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ რასაც იგი ამბობს ხევსურულ რჯულთან დაკავშირებით, შეიძლება სხვამ იგივე საკითხზე განსხვავებულად ისაუბროს. ამას იმით ხსნის, რომ ხევსურეთის სხვადასხვა კუთხეში რჯული განსხვავებულია, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ მამკვდარ-მამკლავზე ბუდე-ხევსურეთს ერთნაირი რჯული აქვთ.[582]

საინტერესოა, რომ 1927 წლის 18 ივნისს არხოტის თემის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება თავ-მეთავეობის წესების შესახებ და გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამ წესებში.[583] ეს დადგენილება ძირითადად სისხლის აღებისა და შერიგების წესებს ეხება, რაც წინამდებარე ნაშრომის განხილვის ობიექტს არ წარმოადგენს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ დადგენილების მე-2 მუხლით არხოტის თემში უნდა მოსპობილიყო დრამის გადახდა და ჯურუმის დაკისრება.[584] მ. კეკელია 1977 წელს ხევსურეთში ყოფნისას სპეციალურად დაინტერესდა, თუ რამდენად სრულდებოდა ამ დადგენილების მოთხოვნები არხოტის თემის სოფლებში. ამისათვის მან ჩვეულებითი სამართლის შესანიშნავად მცოდნე რამოდენიმე ადგილობრივ პირს დაუსვა შესაბამისი კითხვები. ამ კონკრეტულ საკითხზე გაბრიელ ოჩიაურმა (სოფელი ამღა) და ციცქა ჯაბუშანურმა (სოფე-

577 უფრო დაწვრილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 351-352; ხევსურეთში გაცვლის მნიშვნელოვანი ერთეული ძროხასთან, ცხვართან, სპილენძის ნივთებთან ერთად იყო ერბოც. ერბო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის ხევსურეთშიც მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენდა. ს. მაკალათიას მონაცემით ძველად ფუთი (16 კგ.) ერბო უდრიდა ერთ ძროხას, ანუ ოთხ კილოგრამ სპილენძს, ანუ ოთხი კილოგრამი ერბო ერთ კილოგრამ სპილენძს უტოლდებოდა (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 87).

578 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31, 64; ჯ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 47; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 15; აღ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 73.

579 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 76, 84.

580 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 26.

581 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 38.

582 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 73.

583 დადგენილების ტექსტი იხ. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 89-92.

584 ს. მაკალათია, იქვე, 90.

ლი ახიელი) უპასუხეს, რომ დადგენილების მე-2 მუხლი არ სრულდება, რადგანაც დრამის გადახდა მაინც ხდება და ჯურუმის დაკისრებასაც აქვს ადგილი.[585] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად დრამის აკრძალვის მცდელობისა არხოტის თემში, მისი გადახდა მაინც ძველი წესის მიხედვით გაგრძელდა.

ხევსურეთში სისხლის ფასში გვხვდება მიწის გადაცემაც. ხევსურები ყველანაირად ცდილობდნენ სისხლის ფასში მიწა არ მიეცათ. მამული ხევსურეთში ყველაფერზე ძვირფასი იყო და სისხლში მამულის მიცემა სირცხვილად ითვლებოდა. ხევსურები იტყოდნენ: „ისე გაუჭირდა, რომ საქმე სამამულოდ გაუხდაო." ამიტომ ხევსურები ცდილობდნენ ქონებრივი საზღაური სხვა საქონლით გადაეხადათ,[586] თუმცა იყო შემთხვევები როდესაც სიდუხჭირის გამო უწევდათ სისხლის ფასში მამულის გადახდაც. ეს ძირითადად ხდებოდა მაშინ, როდესაც ხევსურს კაცის თავის გადახდა ეკისრებოდა და დიდი ხარჯები ჰქონდა გასასტუმრებელი, ან ვინმეს მძიმე დაჭრის გამო დიდი დრამის გადახდა უწევდა. ერთი ძროხა უდრიდა ერთი „წერის" მოსავლიან ყანას, ანუ 63 ძნას (სამჯერ ოცდაერთ ძნას, დაახლოებით გამოდიოდა ორფუთნახევარი ქერი.).[587] 21 ძნა კი უდრიდა ერთ წერილას, ერთი წერილა კი 5 ხადურას. ერთი ხადურა 5 ძნას.[588]

ხევსურეთში სისხლის ფასად მიწის გადაცემის წესი უძველესი დროიდან დამკვიდრებულა. ალ. ოჩიაურის თანახმად, პატარა ზომის მიწაზე წაკიდების გამო სისაურსა და ხამხელაურს დაუხოცავთ ერთმანეთი. ამ მოსისხლეობის შედეგად ექვსი კაცი ხამხელაური მომკვდარა და სამი სისაური. ძალიან მაგრად გადაკიდებიან ერთმანეთს და მათი შერიგება გაძნელებულა. ამათ შერიგებას დასჭირდა ისეთივე წვერგაყვითლებული კაცი, როგორიც იყო ის ქისტი, რომელიც ალ. ოჩიაურის მონაცემით ქალის სისხლის დასადგენად მოიწვიეს. ასეთი კაცი ვერსად ნახეს. მხოლოდ ფშავში იყო ერთი ფშაველი, გარა თურმანაული და იგი მოიყვანეს. გარა მოვიდა ყავარჯნიანი. როცა საქმის განხილვა გაიმართა, ყავარჯენი მიწას დასცა და თქვა: „სამი თავი სამს თავში გავაბრათო." ხევსურები შეეხვეწნენ: „ეგ სამი საქმეც გაარჩიეო." გარამ თქვა: „ეგ სამი ადგილში გავაბარათო. ადგილი დარჩა ხამხელაურს სამი კაცის თავში, სამი კაცის თავსისხლი გაიბრა.[589]

აქ კარგად გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ძველ პერიოდში მომხდარ ერთ-ერთ პირველ სისხლ-მესისხლეობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით მკვლელობისათვის მამულის გადაცემის დაკისრება მოხდა. სავარაუდოდ, მამულის გადაცემა იმის გამო გახდა აუცილებელი, რომ სამი კაცის სისხლის ფასის გადახდა უნდა მომხდარიყო, რაც მამულის გარდა სხვა საქონლით შეუძლებელი იქნებოდა.

---

585 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 2, 70.

586 ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული მასალები, 1949, 9.; გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 354.

587 მ. კეკელია, მასალები ხევურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 30; №6, 27; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №1, 15; №2, 16.. ერთ-ერთი ინფორმატორის დაზუსტებით, ერთი წერი მინა ერთ ძროხას უდრიდა, თუ მინა ადვილად მისადგომი იყო და მასში შესაძლებელი იყო ნაკელის შეტანა, ხოლო, თუ ნაკელი შორს იყო და ჭირდა მისი შეტანა, მაშინ ორი წერი ერთ ძროხას უდრიდა. (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10).

588 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 36.

589 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 3.

მამულის სისხლის ფასში გადაცემის კონკრეტული ფაქტები შემდეგ პერიოდშიც გვხვდება. მაგალითად, ამღელ წიკლაურს მოუკლავს ცისკარაული და დაზარალებულებმა სისხლის ფასში მიწა აიღეს და ამ მონაცემის ჩაწერის მომენტისათვის (1977) მას სწორედ ისინი ამუშავებდნენ.[590]

კაცის სისხლში აღებულ მიწას ხევსურეთშიც სვანეთის მსგავსად არავინ გაყიდდა. შთამომავლობას არ უნდა დავიწყებოდა, რომ ეს მამული კაცის სისხლში იყო აღებული. ასეთი მიწის გაყიდვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა.[591] სისხლში აღებულ მამულს იმიტომაც ინახავდნენ, რომ თუ ოდესღაც მაინც მოხდებოდა სისხლის აღება, ბუნებრივია ეს მიწა დასაბრუნებელი გახდებოდა.[592]

მკვლელი ოჯახიანად თუ მამულს სამუდამოდ მიატოვებდა და გაიხიზნებოდა, უფრო ხშირ შემთხვევაში მის მამულს რომელიმე ახლო ნათესავი, ძმა, ბიძაშვილი დაეუფლებოდა, როდესაც მას დაზარალებული მხარე სოფელში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა, პირშესამყრელოს შემდეგ და შესაბამისად დაზარალებული მხარისათვის ხარჯების გასტუმრება მას უწევდა. აღნიშნული მამული საზოგადო („სახალხოდ") არასდროს რჩებოდა. თუ გახიზნულ მკვლელს ახლო ნათესავი არ ყავდა, ვინმე შორეული მოგვარე გაისტუმრებდა შესაბამის ხარჯებს და მამულიც მას რჩებოდა. თუ მოგვარე (მამიშვილობის წევრი) აღარავინ იყო, მის გვართან ახლოს მყოფი ვინმე დაისაკუთრებდა მას.[593]

მაგალითად, ბაბუა წიკლაურმა სოფელ ამღაში (არხოტი) მოკლა ჯღუნა წიკლაური. მისი ოჯახი გაიხიზნა და ქონება სახლში დარჩა. პირშესამყრელოს შემდეგ ბიძაშვილებს დაბრუნების უფლება მისცეს. მამულს დაეპატრონა მკვლელის ალალი ბიძაშვილი ხიზანა. მას მამული უფასოდ დარჩა და ხევსურული რჯულის მიხედვით, რიგის ყენების, პატივის ვალდებულებაც მას დაეკისრა.[594] კიდევ ერთ შემთხვევაში მკვლელის მამული დარჩა მის გარე ბიძაშვილს. მოკლულის ახლობლებმა (ბერდიშვილების გვარის წარმომადგენლებმა) მკვლელის ახლო ბიძაშვილებს (გაგიჩათ) თავი დაანებეს და გარე სახლიკაცებს (ცისკარაულებს) არ აძლევდნენ მოსვენებას. ზოგი დაჭრეს, ზოგს ესროლეს. გაგუჩათ მამული მკვლელის ერთ გარე ბიძაშვილს ეკავა, მისი გარდაცვალების შემდეგ სხვას. ხევსურული რჯულის თანახმად, სწორედ ისინი უყენებდნენ ბერდიშვილებს რიგს. თურმე ამან ვერ გაუძლო ბერდიშვილების მხრიდან შევიწროებას, მამულსაც და სახლ-კარსაც თავი მიანება და კახეთში გადასახლდა.[595] იგივე დასტურდება რ. ხარაძის მონაცემითაც.[596]

ამდენად, ვინც მკვლელის მამულს ფლობდა, დაზარალებულის წინაშე ხევსური რჯულით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება მას ეკისრებოდა. საერთოდ გარეშე პირი რომ დაუფლებოდა მკვლელის მიწებს, სწორედ მას დაეკისრებოდა მთელი ის გადასახადი, რაც მკვლელს უნდა ეხადა დაზარალებულისათვის. ამიტომ იყო, რომ მკვლელის სახლ-კარს და მამულს შეიძენდა ის, ვისაც

590 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 30.

591 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 18.

592 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, სოფელ ახიელის ძველი ოჯახები, რვეული №2, 172,

593 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 17.

594 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, სოფელ ახიელის ძველი ოჯახები, რვეული №4, 172-173.

595 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 67-68.

596 იხ. რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ.1, 1947, 184.

რიგის ყენების შესაძლებლობა ჰქონდა[597]

მკვლელი თუ თავისი ოჯახით გადაიხვეწებოდა ხევსურეთის გარეთ და საერთოდ, საბოლოოდ ხელს აიღებდა თავის მამულზე, სახლ-კარზე, ძველი წესის მიხედვით ეს უკანასკნელი ფაქტიურად სისხლის ფასად რჩებოდა დაზარალებულ ოჯახს. ე. ი. გახიზნული თავისუფლდებოდა „თავსისხლის“ გადახდისაგან. თუ მოკლულს ოჯახი და ახლობლები არ ჰყავდა, მაშინ მისი გვარი ინანილებდა მკვლელის მიწებს, მკვლელს კი აღარ დაედევნებოდნენ. ამ ადგილას კი გახიზნულის შვილიც ვეღარ გაივლიდა.[598] ალ. ოჩიაურის მასალებში სამაგალითოდ ორი კონკრეტული შემთხვევაა მოყვანილი.

პირველი შემთხვევა ასეთია: სოფელ ჭიმღაში მცხოვრებ პიროვნებას – გვარად თეთრაულს შემოკვდომია ვინმე ოჩიაური სოფელ ახიელიდან. მოკლული განსაკუთრებით ახლობელი არავისი იყო. ეს თეთრაული თავის ოჯახით გახიზნულა და სადღაც იორზე ფშაველების სოფელში დასახლებულა. ეს კაცი რომ წასულა სისხლში დარჩა მისი ადგილ-მამული. ოჩიაურებს გაუყვია ეს მამულები.[599]

მეორე შემთხვევა ასეთია: ნაროზაულთ კაცს შემოკვდომია თანასოფლელი ოჩიაურთ კაცი. მკვლელი და მისი ოჯახი აყრილა და თიანეთის მხარეს გადასახლებულა. მათ მამული არ ჰქონიათ და სოფლის პირდაპირ რაღაც უვარგისი მიწები სჭერიათ. მათი წასვლის შემდეგ ეს ადგილი დარჩა ოჩიაურებს. რადგან ჩრდილი ადგილი იყო ოჩიაურები ვერაფერში იყენებდნენ, თუმცა ითავისებდნენ: ეს მამული კაცის სისხლში არისო.[600]

გვხვდება ერთი შემთხვევა, როდესაც მკვლელობის გამო საცხოვრისის მიტოვებას მამულისათვის მტრობაც კი მოჰყოლია. ნაქურდალის ვერ გაყოფის გამო სოფელ კალოთანის (არხოტი) მცხოვრებელმა ორმა ძმამ დახოცეს სამი ქისტი და შორს ჩამარხეს ისინი. ქისტებმა სიმართლე მაინც გაიგეს და მათი შურისძიების შიშით სოფელ კალოთანის მთელი მოსახლეობა აიყარა და გადასახლდა კახეთის ტყეში, აბმეტის რაიონში. იქ ტყე გააველეს და იქვე დასახლდნენ. არხოტში თავისი ადგილი სოფელ ამღის მცხოვრებლებს მიჰყიდეს. ქისტებმა დაიწყეს დავა ამ მიწებზე. მათი თქმით: ჩვენი სამი კაცი მოკვდა და სოფელი ამიტომაც აიყარა, ხოლო ადგილი იმ კაცების თავებში ჩვენთვის დარჩაო. ამ ადგილის მყიდველი ერთი ამღელი კაცი – ახვათ ბენიკა მოკლა კიდეც ერთ-ერთი მოკლული ქისტის უმცროსმა ძმამ – ოსიმ. იგი უთვლიდა ამღელებს: მაგ ადგილს თუ თავი არ დაანებეთ, ყველას მოგკლავთ, ვისაც იქ მოგისწრებთო. ამის საპასუხოდ, ბენიკას ახლობლებმა მოკლეს ნეთხელი (ქისტური სოფელი ხევსურეთის მეზობლად) ქისტი. შემდეგ ბენიკას ახლობელმა ხომიზურთ ბაბუამ მოკლა ჩარგეზა, ასევე ნეთხელი. მამულის გამო ამ მტრობას ორივე მხრიდან ბევრი ადამიანი შეეწირა.[601] აქ ვლინდება კოლიზია მკვლელობის გამო გახიზნულის მამულზე მკვლელობის გამო დაზარალებულის უფლებასა და მყიდველის უფლებას შორის.

---

597 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 79-80; ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 374/16, 186-187.

598 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 18; იგივე ფიქსირდება ოსურ ჩვეულებით სამართალშიც (Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т, 2, Одесса, 1883, 4).

599 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 18.

600 იქვე, 19.

601 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/8, 90-92.

თუ მოკლულის ოჯახიდან არავინ დარჩებოდა, მისი ახლობელი მიიღებდა რიგის საკლავს და პატივსაც მას სცემდნენ. მაგალითად, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, რაკი სხვა აღარავინ დარჩა, მოკლულის ბიძაშვილთან (მ. კეკელიას ინფორმატორთან) მიჰყავდათ რიგის საკლავი და თავის გათავებისთვის შუაკაცები სწორედ მას გაუგზავნეს.[602] ამ საკითხს შეეხო ბ. გოგოჭური. მისი მონაცემით, ხევსურული რჯულის თანახმად, თუ მოკლულის მოგვარე ბიძაშვილები (რომლებთანაც საძმო არ ჰქონდა გაყრილი) და ყველა ისინი ვისაც თავის დროზე სამაგიეროს გადახდით შური უნდა ეძიათ, სულ დაიხოცებიან და ამოწყდებიან, ისე რომ, შურისმაძიებელი აღარავინ დარჩება, ასეთ ვითარებაში მკვლელი, დიდი ხნის გასვლის მიუხედავად მაინც მოვალეა მოკლულის თავ-სისხლის დრამა გადაიხადოს, კერძოდ, შეურიგდეს მოკლულის საძმო გაყრილ ყოფილ მესაძმოებს, ასეთი მხარის არარსებობის შემთხვევაში კი იმ სოფლის მკვიდრთ, სადაც წარსულში მოკლული ცხოვრობდა.[603]

მკვლელობისათვის „თავსისხლში" ფულის აღებას ხევსური ინფორმატორები ძირითადად უარყოფენ.[604]

ხევსურეთში ხშირი იყო შემთხვევები შუღლში დაჭრილის გარდაცვალებისა. არც თუ იშვიათად დაჭრიდან გარდაცვალებამდე საკმაო პერიოდი გადიოდა. ხევსურული რჯული ასეთ შემთხვევაში ჭრილობის მიმყენებელს მკვლელობისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობას უწესებს. ხევსურ ინფორმატორთა განმარტებით, თუ დაჭრას სიკვდილი მოჰყვებოდა და ჭრილობა თუნდაც მკვლელობის მიზნით არ იყო მიყენებული, დამნაშავე მაინც მამკალ-მამკვდრობის წესით აგებდა პასუხს, მნიშვნელობა არ ჰქონდა დაჭრიდან რამდენი ხნის (რამდენიმე დღის, თვის, ან წლის) შემდეგ გარდაიცვლებოდა პიროვნება.[605] შესაძლოა დაჭრილი უშუალოდ ამ ჭრილობის გამო არც მომკვდარიყო, მაგალითად, ჭრილობამ დაასუსტა და გულით მოკვდა, ჭრილობა დაუჩირქდა, გაუმიზეზდა ჰიგიენური პირობების დაუცველობის გამო, თუ სხვა, მაინც სისხლი დაედებოდა.[606] ერთ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნება გარდაიცვალა დაჭრიდან 7 წლის შემდეგ. ჭრილობის მიმყენებელი ჩვეულებრივ გაიხიზნა და იქიდან უყენა რიგი დაზარალებულ მხარეს.[607]

ეს მონაცემები ადასტურებს ხევსურეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპის შემონახულობას. როგორც ვხედავთ, შესაძლოა ჭრილობა დამჭრელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გართულებულიყო და დაზარალებულის სიკვდილი გამოეწვია. ეს გარემოება არ ახდენდა არავითარ გავლენას დამნაშავის პასუხისმგებლობის ხასიათზე, იგი ჩვეულებრივ მკვლელობისათვის აგებდა პასუხს. ასევე არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნება ჭრილობას მოკვლის მიზნით მიაყენებდა თუ არა.

დამჭრელი დაჭრილის გარდაცვალების შემთხვევაში „თავსისხლის" გადახდისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მოხდებოდა ე. წ. „სიცოცხლით

602 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 14-15.

603 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 97-98.

604 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 54, 76.

605 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 29; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53.

606 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 29

607 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 25.

თავის გათავება," რისთვისაც დამჭრელს „სამთელსამკვდრო" – 30 ძროხა უნდა გადაეხადა. როდესაც დაჭრილი მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა და სათუო იყო მისი გადარჩენა, ჭრილობის მიმყენებელი დაზარალებულს მიუგზავნიდა ავტორიტეტულ ადამიანებს საკლავით და დაჭრილს სთხოვდა „სამთელ-სამკვდროს" აღებას. თუ დათანხმდებოდა და აიღებდა „სამთელსამკვდროს" და დაჭრილი გადარჩებოდა, მას დამნაშავე მხარე ვერაფერს მოსთხოვდა და დაჭრილს 30 ძროხა შერჩებოდა (იგულისხმება ის, რომ ჭრილობის ღირებულება შესაძლოა 30 ძროხაზე ნაკლები ყოფილიყო და დაჭრილის გადარჩენის შემთხვევაში დამჭრელი შესაბამის სხვაობას ვერ დაიბრუნებდა), ხოლო თუ დაჭრილი გარდაიცვლებოდა, მაშინ დაზარალებული მხარე „თავსისხლს" კარგავდა – დამნაშავე თავს აღარ დაიდებდა, არც რიგს უყენებდა, არც გაიხიზნებოდა. დაზარალებული ოჯახიც ველარ გადაემტერებოდა. „სამთელსამკვდროს" გადახდის უფლებას დამნაშავეს დაზარალებული მხარე აძლევდა შუაკაცების თხოვნის საფუძველზე. დაზარალებული მხარის თანხმობის მიღება გაადვილებული იყო მაშინ, როდესაც დაჭრა იშობრად მოხდებოდა, დამჭრელსა და დაჭრილს შორის ადრე მტრობა, კონფლიქტი არ ყოფილა და ერთმანეთის მიმართ ინტერესი არაფერი ჰქონდათ. თანხმობის მიღების შემთხვევაში შუაკაცებს „სამთელსამკვდრო" დაჭრილის გარდაცვალებამდე, „სულის ამოსვლამდე" უნდა მიეტანათ. დაგვიანების შემთხვევაში დამნაშავე მხარეს მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრებოდა.[608] ალ. ოჩიაურს მოჰყავს „სიცოცხლით თავის გათავების" კონკრეტული ფაქტიც.[609] სამთელსამკვდროს, „სიცოცხლით თავის გათავების" შესახებ საკითხს ჩვენ სხვა ნაშრომში შევეხეთ[610] და უფრო დეტალურად აქ აღარ განვიხილავთ.

3. 3. პასუხისმგებლობა ქალის მკვლელობისათვის. ხევსურეთში ქალის მკვლელობა მამაკაცის მკელელობისათვის გათვალისწინებული საფასურის ნახევრად იყო შეფასებული – 30 ძროხად.[611] საერთოდ, ქალის მკვლელობა ხევსურეთში და საერთოდ საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება დიდხანს შემორჩა, ძალზედ იშვიათი იყო. ქალის მკვლელობა სირცხვილად ითვლებოდა და უმეტეს შემთხვევაში განზრახვის გარეშე თუ მოხდებოდა.[612] ხევსურეთში ქალის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დადგენა უკავშირდება ხევსურულ სინამდვილეში ქალის პირველად მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევას. სანამ ქალის მკვლელობა არ მოხდა, მანამ ქა-

608 იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 7-8; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 12.

609 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 7-8

610 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 410-417.

611 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 67; №2, 53; №5, 38; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 11.

612 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 12; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 117. სისხლის ნახევარი ფასობდა ქალის სისხლი ჩრდილოკავკასიელი მთიელების ჩვეულებითი სამართლითაც. მაგალითად, ოსური ჩვეულებითი სამართლით (იხ. Письма из Осетии, Тифлисские ведомости, №84, 1830) საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში ქალის სისხლის შეფასება კაცის სისხლის ნახევრად, განპირობებულია ქალის სამეურნეო ღირებულების ნაკლებობით (М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 95).

ლის მკვლელობისათვის საზღაური ხევსურებს არ ჰქონდათ დაწესებული. ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება აღწერილობა იმ კონკრეტული შემთხვევისა, რომელთანაც ხევსურეთში ქალის სისხლის დაწესებაა დაკავშირებული. ინფორმატორის განმარტებით, ხევსურეთის რჯული პირველად დაიწყო სოფელ ლიქოკში „ბორტველსა" და "ბასხაჯურს" შორის. პირველად მათ შორის მოხდა მამკლავ-მამკვდრობა. ბასხაჯური იყო ერთი კაცი, ბორტველნი კი ექვსი ძმა. ბორტველნი ბევრნიც იყვნენ და „თავაყრილი" და „უცოდო-მადლო" ხალხიც იყო. ისინი ამ ერთ ბასხაჯაურს ავიწროვებდნენ რითაც შეეძლოთ, მაგრამ არც ის უტყდებოდა მათ. ბასხაჯურს მოაბეზრეს თავი და ერთხელ ჩხუბის დროს ბასხაჯურმა ხანჯალით მოკლა ბორტველების ერთ-ერთი ძმა, რომელიც ყველაზე ამაყი იყო და ბასხაჯაურს მოსვენებას არ აძლევდა. დარჩა 5 ძმა. ბასხაჯაური გამაგრდა თავის ციხეში. ბორტვიონნი ყოველთვის დარაჯობდნენ მას სისხლის აღების მიზნით, მაგრამ ის გარეთ არ გამოდიოდა. ბასხაჯურს ყავდა ერთი და. ქალმა იცოდა რომ თუ მისი ძმა გარეთ გამოვიდოდა ბორტველნი მოკლავდნენ და ბასხაჯაურთ გვარი ამოწყდებოდა. ბოლოს ქალმა გადაწყვიტა: საკუთარი ძმის მაგიერ მოეკლევინებინა თავი ბორტველთათვის ძმის გადასარჩენად. იგი ფიქრობდა, რომ მისი სიკვდილით არაფერი დაშავდებოდა, ხოლო ძმის სიკვდილით კი მისი მამის გვარი ისპობოდა. ქალმა ძმას მშვილდ-ისარი სთხოვა ნახნავის დამაზიანებელი მტრედების დასახოცად. ძმამ ერთადერთ დას, რომელიც უყვარდა, უარი ვერ უთხრა. დამ მშვილდ-ისარი აიღო, ძმისგან მალულად მისი ტანსაცმელიც ჩაიცვა, ქუდიც მისი დაიხურა (მოსისხლეები მის ქალობას თუ გაიგებდნენ, არ მოკლავდნენ). ქალი გავიდა ბორტველების სახლის პირდაპირ და მტრედებს დაუწყო მიპარვა, თითქოს დასახოცად. ბორტველების მამამ დაინახა მშვილდისრიანი კაცი და თავისი შვილის „მამკლავი" ეგონა. ძმებმა ესროლეს მას ისარი და მოკლეს. ხალხი რომ მივიდა, გაირკვა, რომ მოკლული ქალი იყო და არა მათი ძმის მკვლელი. ბასხაჯური ციხიდან გამოვიდა და ახლა იმან დაუწყო ბორტველებს დევნა დასახოცად. ხალხმა მოინდომა მათი შერიგება, მაგრამ არავინ იცოდა კაცის თავსისხლი მეტად შეფასებულიყო, თუ ქალის. ამიტომ თქვეს: „ამ საქმეს გაარჩევს ისეთი ხნიერი კაცი, რომ წვერი ჯერ გათეთრებული ქონდეს სიბერით და მერე გაყვითლებულიო." ასეთი კაცი იყო სოფელ მითხოში ერთი ქისტი. წავიდნენ და ის მოიყვანეს. ქისტმა თქვა: „დიაცი არც მეომარია, ადგილის და გვარის დამცველი, არც ჭკვაგონით და ძალღონით შეუძლია კაცის ოდენი, ამიტომ დიაცის თავი კაცისთავის ნახევრად უნდა შეფასდესო. დრამაზედაც ამ ქისტმა შეაფასა კაცის თავი. კაცისთავიო, თქვა, 60 ძროხა ღირსო და დიაცის თავი ოცდაათი ძროხაო. ბორტველი და ბასხაჯური ამან შეარიგა: ოცდაათი ძროხა მისცა ბორტველს ბასხაჯურმა.[613]

ამ ისტორიის განსხვავებული ვარიანტი გვხვდება ალ. ოჩიაურის მასალებში, ოღონდ სხვა ადგილას. მოვიყვანთ ამ ვარიანტსაც. ინფორმატორი აქაც გადმოგვცემს ზემოთაღწერილ მკვლელობას და აღნიშნავს, რომ ქალის მკვლელობის შემდეგ ატყდა კაც-შუაკაცი, მაგრამ რაკი ქალის მკვლელობა არ ყოფილა მომხდარი, „ამის რჯული არ იყო დადებული" და როგორ უნდა გარჩეულიყო ეს საქმე არავინ იცოდა. ბასხაჯურმა გელდაურსაც მიმართა, რადგანაც იგი ხევსურული რჯულის საუკეთესო მცოდნე იყო, მაგრამ მანაც ვერ გარჯულა და ბასხაჯურს

613 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 1-2.

ქისტის მოყვანა ურჩია, იქნებ მაგის რჯული იმან იცისო. ბასხაჯურმა ქისტეთიდან ერთი იქაური მცოდნე კაცი ჩამოიყვანა. ეს ქისტი შემდეგნაირად მოიქცა: „ქისტმა აიღო ერთი დიდ ქვა დახყუდ, ორ ქვა ცოცოტები გვერდზე დაუყოდ, იქი აქათი. ერთ ქვა ცალკე დახყუდ შორს. ქისტს ხკითხეს: რაის ლიშნად დახყუდევ ეგ ქვებივ. ეგ დიდ ქვა დედაიავ, ეგ ორ ქვა მაგის შვილებავ – იქით რომ ხყუდავავ ის მამივ. ეს ყველა იმას ლიშნავ რო დედა შვილებთან ახლოს ასავ, მამა შორსავ. მაშ კაცთ გამრავლება დიაცისგან ყოფილაოდ, დიაცის თავ მეტად უნდა დაფასდასავ. აქ ხევსურებიც იყვნენ რჯულის კაცებიდ, ესენ არ დასთანხმდეს. დიაციც განა მეომარიავ, დიაცის თავი კაცის თავს ვერ უდრისავ. ხევსურის რჯულის კაცებმა ისიც იფიქრეს: „ქისტივ ბასხაჯურმა მაუყვანაოდ, იმისკე იხრებისავ." მემრ იქავ ქისტმ უთხრა: .... თუ კაცი მეომარია, მარჯვენა ხელით ომობს კაცი, მარჯვენა ხელით ყოფილა მეტი. მარჯვენა ხელი თექვსმეტ ძროხაი ღირს ხევსურეთის რჯულით, თექვსმეტი ძროხით ყოფილა კაცი მეტი დიაცზე. ეს კაცი გავლენიანი კაცი იყო. ეს სიტყვა „გააგონ" ხევსურის რჯულის კაცებს. გარჯულეს, რომ რაკი ბასხაჯურთა ქალი იყო მამკვდარიდ, ბორტვიონთ კაცი თავი თავში გაბრილყვ, ხოლო ბასხაჯურთ ბორტვიონთად უნდა მიეცა თექვსმეტ მეტ ძროხაი. ნარჯულევი ორსავ მხარეს გამოუცხადეს. ბასხაჯურს არ მოეწონა, მაგრამ შუაკაცებმა ბევრის ხვეწნის შემდეგ დააჯერეს, გადაფასეს 16 ძროხად ბორტვიონს, ჩააბარეს პირშესამყრელოც ორსავ სახლშიით დაამზადეს, კარატის ჯვარში..... თითო საკლავი მოიყვანეს. შაყარნეს ერთად მამკლავ-მამკვდარნი."[614]

ამ ვარიანტის მიხედვით, ქალის სისხლის ფასის საბოლოო დადგენა ქალის მეორე მკვლელობის დროს მოხდა. ამ მკვლელობასაც ლიქოკში ჰქონდა ადგილი. ქალი მოშუღლარებს აშველებდა და ხანჯლით დაიჭრა. ჭრილობა მცირე იყო და ქალს ყურადღება არ მიუქცევია, თუმცა ჭრილობა დაჩირქებულა და ქალი გარდაცვლილა. ქალის ოჯახს სრული კაცისთავი (ანუ 60 ძროხა) მოუთხოვია. შეკრებილა ხევსურეთის მოწინავე ხალხი ყველა თემიდან და მათ გაუუქმებიათ ქალის მკვლელობისათვის ქისტის მიერ დადგენილი გადასახადი, რომელიც კაცის სისხლზე 16 ძროხით ნაკლები იყო. მათ დაუდგენიათ შემდეგი: „კაციც ორჯერ მეტი ღირსავ დიაცზედავ. გვარს, თემ-სოფელს, ადგილს, ყველას ამაგრებსაც, ომში გადისავ, დიაც ზისავ, ასთავს, ჩეჩსად, საქონთ ხყურემს, სხვა რა საქმე-ი აქვ დიაცს. ამ თემ-თემის მცოდნე კაცებმ, მაშინ დაადგინეს დიაცის თავსისხლი კაცის ნახევარ თავსისხლად. კაცის თავის სამოც ძროხად, დიაცის თავი ოცდაათ ძროხად." მოკლული ქალის ოჯახი ამის წინააღმდეგ წასულა: „ ჩემს თავზე რაად არჯულებთავ მაგ რჯულსაც, რომ დიაცს თავივ ნახევარ კაცის თავად ჩააგდითაც. როცა ბასხაჯურთ ქალის თავ დაფასდავ, ჩვენის ქალის თავიც იმთენი ღირსავ. მაგრამ თემ-თემის ხალხმა კარატის ჯვარის დროშით სთხოვეს, ეს რჯულივ ყველაისად იქნებისავ ..... ქალის მამისახლიც ჯვარის ხათრით უარ ვეღარ უთქომოდ, მაშინ გარჯულებულ დიაცის თავის ნახევარ კაცის თავად".[615]

ქალის სისხლის დაწესების პირველი ვარიანტი ალ. ოჩიაურს ჩაწერილი აქვს ხევსურული რჯულის საუკეთესო მცოდნის, სოფელ უკან ხადუში მცხოვრებ შიშია ქერაულისგან, მეორე ვარიანტს კი 1937 წელს მას მოუყვნენ მინდია ლი-

614 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/6, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 62-64.

615 იქვე, 64-65.

ქოკელი, მამათ ბასხაჯურთ კაცი, არხოტის ჯვრის მორიგე და „სხვა მცოდნე ხევსურები." რომელი ცნობაა უფრო სანდო რთული სათქმელია. სავარაუდოდ მეორე ვარიანტი, რადგანაც იგი სწორედ იქაა ჩაწერილი, სადაც ქალის მკვლელობა მოხდა, ხოლო ინფორმატორი ამ მოსისხლეობაში მონაწილე ერთ-ერთი მამიშვილობის (ბასხაჯურთა) წარმომადგენელი იყო და ეს ამბავი მისი უშუალო წინაპრებისგან ექნებოდა გაგებული. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს 1988 წელს დ. ჯალაბაძის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ხევსური ინფორმატორის მონაყოლი, რომელიც ხევსურეთში მომხდარ ქალის პირველი მკვლელობის შემთხვევას ეხება. ინფორმატორი ალ. ოჩიაურის ინფორმატორის მსგავსად ყვება, თუ როგორ მოხდა ქალის მკვლელობა. ლიქოკში და საუბრობს ამ საქმის გადასაწყვეტად ქისტის მოწვევაზე. ქისტს კი უთქვამს: „მე ხმლიანს ხელსაო და ნამტნიანს ხელს (ძაფის მრთავი ხელი – დ. ჯ.) ვერ გავასწორებო და კაცის პატრონმა 48 ძროხა მისცეს ქალის პატრონსაო. თუმცა საერთოდ, ქალი ნახევრად დაყენებულა, მაგრამ ამ ქისტმა არ დააყენა ნახევრად და კაცის თავზე 12 ძროხით ნაკლებად დააყენა, ე. ი. 48 ძროხა გადაახდევინა მკვლელს. ეს ქისტი ყოფილა სახელად თათარაული, გვარი კი არ მახსოვს. ეს შემთხვევა ერთადერთი და პირველი იყო და მისი გადაწყვეტის წესი ხევსურებისათვის ცნობილი არ ყოფილა, ამიტომ მოიწვიეს ქისტი.[616] ამდენად, XX საუკუნის დასასრულის ხევსური ინფორმატორის მიხედვითაც გამოდის, რომ ქალის სისხლის ფასად 30 ძროხა ამ ქისტის მიერ დადგენილი არ არის. ქალის სისხლის ფასის ეს ოდენობა თვით ხევსურებს შემდგომ დაუდგენიათ. ეს ადასტურებს ალ. ოჩიაურის მეორე ინფორმატორის ნაამბობს.

ალ. ოჩიაურის პირველი ინფორმატორის მონათხრობის მიხედვით გამოდის, რომ ქალის მკვლელობისას ხევსურებმა მოხუცი ქისტი მოიყვანეს ქალის სისხლის ფასის დასადგენად და მან ქალის სისხლი მამაკაცის სისხლის ნახევრად შეაფასა. მეორე მონათხრობის მიხედვით კი ბასხაჯურის მიერ მოწვეულმა ქისტმა თავდაპირველად მიიჩნია, რომ ქალის სისხლის ფასი მამაკაცისაზე მეტიც კი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ადამიანთა გამრავლება ქალზე იყო დამოკიდებული. ამას დაუპირისპირდნენ იქ მყოფი ხევსური რჯულის კაცები, რომელთა გავლენითაც ქისტმა დააწესა, რომ ქალის სისხლის ფასი მამაკაცისაზე ნაკლები უნდა ყოფილიყო 16 ძროხით. საბოლოოდ კი ქალის სისხლის ფასი ხევსურეთის ყველა თემიდან შეკრებილ თავკაცებს, მცოდნე კაცებს დაუდგენია. მოტანილი მონაცემები უაღრესად საინტერესოა ხევსურეთში ადგილობრივი რჯულის დადგენის წესების შესწავლის თვალსაზრისით. ხევსურეთის ყველა თემის წარმომადგენელ თავკაცებს გაუუქმებიათ ქისტის დადგენილება და ქალის სისხლად კაცის სისხლის ნახევარი დაუწესებიათ. ქალის მკვლელობისათვის სისხლის ფასი ხევსურული რჯულის თანახმად, მისი მთელი შემდგომი მოქმედების განმავლობაში სწორედ 30 ძროხა იყო. ორივე მონაყოლის მიხედვით, მიზეზი იმისა, რომ მამაკაცის სისხლი ქალის სისხლზე მეტია, ფაქტიურად ერთგვაროვანია: ესაა ხევსურულ ყოფაში მამაკაცის ფუნქციური მნიშვნელობის უპირატესობა ქალის ფუნქციურ მნიშვნელობასთან შედარებით, კერძოდ, ის რომ მამაკაცი არის მეომარი (მეორე მონაყოლის მიხედვით ქისტმა ქალის სისხლი კაცის სისხლზე 16 ძროხით ნაკლებად განსაზღვრა, სწორედ იმიტომ,

616 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 28-30.

რომ მამაკაცი მეომარია და მარჯვენა ხელით იბრძვის და ამითაა მეტი ქალზე, ამიტომ რადგანაც ხელის სისხლი 16 ძროხაა, ქალის სისხლის ფასიც კაცისაზე 16 ძროხით ნაკლები უნდა იყოს)[617], გვარისა და ადგილის, თემ-სოფლის დამცველი. ქალი კი ჭკუა-გონებით და ძალღონით კაცზე ნაკლებია, მისი ფუნქცია კი მხოლოდ სახლში ჯდომა, მატყლის ჩეჩვა, ძაფის ასთვა, საქონლისთვის ყურადღების მიქცევაა, რაც კაცის ფუნქციებთან შედარებით ნაკლებადმნიშვნელოვნად ითვლება.

მასალებში მოიპოვება ქალის პირველი მკვლელობის და შესაბამისად ქალის სისხლის ფასის დაწესების განსხვავებული ამბავიც, რომელსაც ყვება გუდანელი ინფორმატორი მამუკა ქეთელაური, ცნობილი რჯულის კაცის შვილი და თავადაც რჯულის კაცი. იგი აღნიშნავს, რომ ქალის სისხლი, რომელიც 30 ძროხაა, დიდი ხნის მანძილზე არ ყოფილა შეფასებული, ალბათ იმიტომ რომ არ ყოფილა ამის საჭიროება. როცა მოხდა ქალის მკვლელობა ამის საჭიროებაც დადგა. ეს კი ასე მომხდარა: სოფელ აჭეში უცხოვრიათ და-ძმას. ძმას ერთდროულად შემოკვდომოდა ორი კაცი – ხახმატელი და ატაბელი. ორივე მიცვალებულის ჭირისპატრონებს ერთდროულად ქონდათ „თიბის სამშაბათი.“[618] იცოდნენ რომ მკვლელი „თიბის სამშაბათს “ ყურადღებას მოადუნებდა, ანუ როგორც ხევსურები იტყვიან „ბრიყვად“ იქნებოდა. გასწიეს ლიქოკის ხეობაში, ჭიეში და ჩაუსაფრდნენ მკვლელს, რათა აეღოთ სისხლი. თუ რომელი სოფელი წავიდა დღესაც დაუდგენელია: ისინი ერთმანეთს აბრალებენ ამ ამბავს. ჩასაფრებული ხალხი შეამჩნიეს ბავშვებმა და უთხრეს მკვლელის დას. მას გადაუცვამს თავისი ძმის ტანსაცმელი და გამოსულა სათიბად, იფიქრა, მე მესვრიან და ამით ძმას გადავარჩენო. ესროლეს ჩასაფრებულებმა და მოკლეს ქალი. ქალს დაცემისას ქუდი გადაუვარდა, თმა გაეშალა, და ამით მიხვდნენ რომ ქალი მოკლეს, მაგრამ რაღას იზამდნენ. ინფორმატორის თქმით, სწორედ ამიტომ აბრალებენ ერთმანეთს ხახმატელები და ატაბელები, ერცხვინებათ მონაწილეობა ქალის მკვლელობაში. შეიყარა რჯული გუდანში. მათი მიზანი იყო გაერკვიათ თანაფარდობა მამაკაცისა და ქალის სისხლს შორის. ამავე დროს დაედგინათ: ჩათვლილიყო თუ არა გაბრილად ამ ქალის სისხლში ის ორი მამაკაცი. საქმეს ოთხი კაცი რჯულავდა, მათ შორის ერთი ქისტი. ესენი იყვნენ: ლიქოკელი მამუკა გელდიაური (წარმოშობით როგორც ვიცით გელდიაურები ფშაველები ყოფილან, სოფ. აფშოდან); ძეძეურთელი ყურაულისძე, როშკით ბაბალიშვილი (ადრე იყო ასეთი გვარები ხევსურეთში, ახლა ასეთი გვარები არ გეხდება) და ქისტი ღარაჩისძე. საერთოდ ქისტების მოწვევა რჯულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გაარჩია ამ ოთხეულმა ეს საქმე და გადაწყვიტეს ქალის სისხლი შეეფასებინათ 30 ძროხად. საქმე ასე გაურჯულავთ და გაუბჭიათ: მიუტანიათ ქალის სასთავტარი (ძაფის საგრეხი თითისტარი და ფარტენი – დასართავად გამზადებული მატყლი) და მამაკაცის ფარ-ხმალი. ითათბირეს და დაადგინეს, რომ მართალია თითისტარიც საჭიროა.

617 და არა 12 ძროხით ნაკლები, როგორც ეს XX საუკუნის დასასრულის ხევსური ინფომრატორის მონათხრობის მიხედვით ჩანს.

618 თიბის სამშაბათი ნიშნავს იმას, რომ ათენგენობის შემდეგ თუ სოფელში ახალი მიცვალებულია, მაგრამ წლისთავი უკვე გადახდილი აქვთ, ჭირის პატრონი სამშაბათ დღეს დაპატიჟებს მთელ სოფელს და გაუმასპინძლდება. მეორე დღეს ოთხშაბათს კი შეუძლია უკვე ცელი აიღოს და წავიდეს სათიბში. ათენგენობა იწყება პარასკევს, გრძელდება შაბათ-კვირას და მთავრდება ორშაბათს. სამშაბათს ყველა მიდის სათიბში თუ თიბის სამშაბათი არ არის სოფელში გასაკეთებელი (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 57).

იგი აცმევს კაცს, მაგრამ ფარ-ხმალმა თუ არ დაიცვა, ისე ვერ მოქსოვენო, ამიტომ შეფასებულია ქალი სისხლი მამაკაცის სისხლის ნახევრად.[619]

ეს მონათხრობიც უაღრესად საინტერესოა. ფაქტობრივად აქ ხევსურეთში ქალის პირველად მკვლელობის სხვა შემთხვევაა აღწერილი, თუმცა ისიც ძმის ტანსაცმელში გადაცმული დის შეცდომით მკვლელობას აღწერს. ეს მკვლელობაც ლიქოკის ხეობაშია მომხდარი, მხოლოდ ქალის მკვლელობისათვის სისხლის ფასის დადგენას გუდანის ჯვარში[620] შეკრებილი ოთხი პიროვნება ახორციელებს, ერთი ქისტის მონაწილეობით. ამ მონაცემის მიხედვითაც, ქალის სისხლის ფასად ხევსურეთში 30 ძროხა დაწესდა, ამაში მონაწილეობა ხევსურეთის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილმა უფროსმა კაცებმა მიიღეს და მიზეზი იმისა, რომ ქალის სისხლის ფასი მამაკაცის სისხლის ფასის ნახევარი დადგინდა იგივეა, რაც ალ. ოჩიაურის ინფორმატორებთან გვხვდება. ეს მონაცემიც ადასტურებს, რომ თემ-სოფლის დაცვა, როგორც მამაკაცის ფუნქცია ხევსურეთისთვის უფრო მნიშვნელოვანად ითვლებოდა, ვიდრე ტანსაცმლის დამზადება, რადგანაც დაცვის უზრუნველყოფის გარეშე ვერც ქსოვა იქნებოდა და საერთოდ, ვერც მშვიდობიანი ცხოვრება.

ქალის სისხლში 30 ძროხის გადახდა სასამართლო პრაქტიკითაც დასტურდება. ერთ შემთხვევაში მოხდა ქალის შემთხვევითი მკვლელობა. საპასუხოდ მოკლეს ორი კაცი. გაიმართა რჯული (სამედიატორო სასამართლო), რომელმაც ქალის თავში ნახევარი თავი გაუბრა. დარჩა გადასახდელი ერთი კაცის თავი სრული და ერთი ნახევარი. კაცის თავის ნახევარში უნდა მიეცა ოცდაათი ძროხა დრამა, ანუ კაცის თავის ნახევარი დრამით უნდა ეზღო და ერთი კაცის თავის რჩებოდა რიგის საყენებლად.[621]

რაკი ქალის სისხლის ფასი მამაკაცის სისხლის ფასის ნახევარად იყო შეფასებული, შესაბამისად ქალის თავში მამაკაცის რიგის ნახევარს უყენებდნენ, ანუ რიგის საკლავის მიყვანა ქალის მკვლელობისას წელიწადგამოშვებით ხდებოდა.[622]

ქალის სისხლი კი იყო შეფასებული კაცის სისხლის ნახევრად, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთებმა სრული სისხლი მაინც აიღეს.[623] ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ძლიერი გვარის წარმომადგენელი იყო მოკლული ქალი. ალ. ოჩიაურის ინფორმატორთა განმარტებით, კაცრიელი გვარი, რაკი მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, მეტს ითხოვდა და სრულ სისხლს აყენებინებდა, თუ უკაცური გვარი იყო ქალის თავში ნახევარი სისხლით დაკმაყოფილდებოდა.[624] ინფორმატორებს მოყავთ ქალის თავში სრული სისხლის გადახდის კონკრეტული ფაქტებიც. მაგალითად, მოხდა გამშველებელი ქალის მკვლელობა. ქალის ახლობლებმა მკვლელი და მისი ოჯახის წევრები კარში არ

---

619 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 57-59.

620 ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით, ხევსურული რჯულის ნორმების დადგენა ჩვეულებრივ გუდანის ჯვარში ხდებოდა, რისთვისაც უფროსი კაცების მოწვევა სხვა თემებიდანაც ხდებოდა (იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 4-6).

621 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. ხევსურეთში, 7/2, 19; 7/11, 123.

622 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 11; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 65; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 61.

623 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 39.

624 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 65.

გამოუშვეს, სანამ სრული კაცის თავი არ დაიდეს, ხოლო შემდეგ რიგის საკლავსაც ყოველწლიურად უგზავნიდნენ.[625] მეორე შემთხვევაში: „მოწმაოს „ხონდათ“ მაკლეს გუდანელ „ბურკვათ“ ქალი თავის ქმარშვილთან ერთად. მამისახლმა ხონდან კარში არ გამოუშვა, მანამ კაცის რიგ არ აყენეს დიაცის თავში,“ მიუხედავად იმისა, რომ ქალის თავსისხლი ხევსურული რჯულით კაცის თავსისხლის ნახევარია.[626]

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ბუნებრივია ისმის კითხვა, რომ თუ ქალის სისხლი ხევსურული რჯულით შეფასებული იყო 30 ძროხად, როგორ შეიძლება მომხდარიყო რომ ქალის მკვლელობის ზოგიერთ შემთხვევაში მოკლული ქალის ოჯახი აიძულებდა მკვლელს სრული სისხლი გადაეხადა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ ალ. ოჩიაურის მონაცემებს დავესესხებით. მის მასალებში აღნიშნულია, რომ კაცრიელ გვარს კაცმრავლობის გამო მეტი გავლენა ჰქონდა და მტყუანიც რომ ყოფილიყო უკაცურთან მაინც თავისას გაიტანდა და რჯულიც და სამართალიც „კაცრიელისაკე დაიხრებოდა“: „კაცრიელ კაცი ას, ძალა-აქვ, აბა უკაცურს კაცს რა გაუვ კაცრიელსთან, უკაცურს ვინ რაად ჩააგდებს, ვინ შაეპოების“ – იტყოდნენ ხევსურები.[627] ასე რომ, ქალის მკვლელობისას მკვლელისათვის სრული სისხლის დაკისრება კაცრიელი გვარის არაფორმალური გავლენის წყალობით მიიღწეოდა და იგი ძალმომრეობის შედეგი იყო. ასეთი მოქმედება, ცხადია, ხევსურული რჯულის ფარგლებიდან გასვლას გულისხმობდა.

გაუთხოვარი ქალის მკვლელობისას, დაზარალებული, „ჭირის პატრონი“ იყო ქალის „მამის სახლი“ – მშობლები და ძმა-ბიძაშვილები.[628] გათხოვილი ქალის მკვლელობისას დამნაშავისათვის პასუხი უნდა მოეთხოვა მის ქმარს. თუ ქმრის ოჯახი ამ მიმართულებით სირბილეს გამოიჩენდა, ამ შემთხვევაში ქალს მამისახლი უპატრონებდა, მკვლელს რიგს აყენებინებდა ყველა წესის შესრულებით. თუ ამას არ შეასრულებდა, თოფსაც გამოიყენებდა და სხვა იარაღსაც მკვლელის და მისი გვარის საწინააღმდეგოდ და თავსისხლს მაინც დასდებდა. მოკლული ქალის მამის ოჯახი მკვლელს ხომ რიგს აყენებინედა, მერე ქმარს ნამაშვრალს[629] წაართმევდა, რადგანაც ჩაითვლებოდა, რომ მოკლული ქალი, რომელსაც ქმრის ოჯახმა დამნაშავეს სათანადო პასუხი არ მოსთხოვა, ისევეა როგორც ქმრისაგან თავდანებებული და ქმარმა უნდა გადაუხადოს რჯულით დაწესებული ნამაშვრალი.[630] ცხადია, ეს არ მოხდებოდა მოკლული ქალის ქმარს სათანადო პასუხი რომ მოეთხოვა მკვლელისათვის.

დანიშნული ქალის მკვლელობის (ასევე დაჭრის) შემთხვევაში კი ხევსურული რჯულით, ქალის დამნიშნავ ვაჟს და მის მშობლებს არ ჰქონდათ უფლება

---

625 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადო არქივი, ა. ო. 7/6, 65.

626 იქვე.

627 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, ხევსურული ამბები. სხვადასხვა. ამანათი და აპარეკი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, 1988, 186.

628 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 60.

629 „ნამაშვრალის“ გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც ქმარი მასთან შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრებ ცოლს გაუშვებდა და აღნიშნული საზღაური მისი გარჯილობის ანაზღაურებას ნარმოადგენდა. კერძოდ, ქმართან ცხოვრების თითოეული წლისათვის ქმარს გაშვებული ცოლისთვის უნდა გადაეხადა თითო ძროხა, ქორწინების პირველი და ბოლო წლების გამოკლებით.

630 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეეული №1, 12.

შურისძიებისა. ამას დანიშნული ქალის მშობლები და ახლობლები აკეთებდნენ.[631] ამდენად, დანიშნული ქალის მიერ მკვლელობის ჩადენის, თუ მისი მოკვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობა, ან პასუხის მოთხოვნის ვალდებულება, ქალის მამის მხარეს აწვა ტვირთად და არა საქმროს ოჯახს.

3. 4. პასუხისმგებლობა ორსული ქალის მკვლელობისათვის. ხევსურეთში ორსული ქალის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ცნობას ვხვდებით ალ. ოჩიაურის მასალაში. მისი ინფორმატორის განმარტებით, „დრამით ქალის თავი შეფასებულია ოცდაათ ძროხად. კაცის თავი სამოცი ძროხაა. ორსული ქალი თუ ვისიმე ხელით მოკვდა, ქალის თავი თავის თავად რჩება თავსისხლის ნახევრად. რომელი ბავშეიც ჯერ არ დაბადებულიყო ის რჩებოდა „ხმელ თავად". ხმელი თავი ქვიან დრამით თავსისხლის გადახდას. დედის თავში რიგს უყენებდნენ და თავსისხლი ჩვეულებრივად ედებოდა. ბავშვის თავში კი უნდა მიეცა 30 ძროხა დრამა."[632] ამ მონაცემის მიხედვით გამოდის, რომ ორსული ქალის მკვლელს ქალის თავი დაედებოდა (ნახევარი „თავსისხლი" – 30 ძროხა) და დედის თავში ჩვეულებრივ რიგის ყენება მოუწევდა, ხოლო დაუბადებელი ბავშვისათვის (მიუხედავად სქესისა და ნაყოფის ასაკისა) მკვლელს დამატებით გადახდებოდა „ხმელ თავი" – 30 ძროხა დრამის სახით, ანუ ჯამში იხდიდა 60 ძროხას: ამის ნახევრისათვის რიგი უნდა ეყენებინა შესაბამისი შედეგებით, ნახევარი კი პირდაპირ დრამის სახით გადაეხადა, რიგის ყენებისა და საწესოების გარეშე. ბ. გოგოჭურის მონაცემითაც ფაქტიურად იგივე დასტურდება.[633]

ორსული ქალის მკვლელობისას დაუბადებელი ბავშვი რომ 30 ძროხა „ხმელ თავად" იყო შეფასებული ირიბად იქედანაც ჩანს, რომ თუ ორსულ ქალს მისი მამის სახლი რაღაც მიზეზით სახლში წაიყვანდა, ქმარ-ქმრეულებთან შეუთანხმებლად, თუ მკვდარი ბავშვი დაიბადებოდა ან მოუკვდებოდა ახალდაბადებული ბავშვი ქალს, ან მას მუცელი მოეშლებოდა, მაშინ ამ ქალის ყოფილი ქმარი ქალის მამისახლს აზღვევინებდა სწორედ „ხმელ თავს" – ოცდაათ ძროხას. ამიტომ ხევსურები ყველანაირად ერიდებოდნენ ორსულობის დროს ქალის მამის სახლში წაყვანას და თხოვდნენ ქალს მშობიაროზამდე ქმრის მხრიდან ნებისმიერი შევიწროებისათვის გაეძლო. იგივე შედეგი მოყვებოდა თუ დედა მცირეწლოვან ბავშვს ასევე ქმარ-ქმრეულების თანხმობის გარეშე წაიყვანდა მამის სახლში და იქ ბავშვი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლებოდა.[634] როგორც ვხედავთ, თუ ქმრისგან მამის სახლში წაყვანილი ორსული ქალი ბავშვს დაკარგავდა, ან მამის სახლში წაყვანილი ბავშვი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლებოდა, ქალის მამის ოჯახს სწორედ ხმელი თავი – 30 ძროხა უნდა გადაეხადა. როგორც ჩანს, ცალკე აღებული ბავშვის დაკარგვა (მკვდარი ბავშვის დაბადება, მუცლის მოშლა, მცირეწლოვანი ბავშვის ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალება), თუ ამისათვის ვინმეს დრამა უნდა გადაეხადა, ხევსურული რჯულით ზოგადად 30 ძროხა „ხმელ თავს" უდრიდა და შესაბამისად ბუნებრივი უნდა იყოს ორსული

631 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 144.

632 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 11.

633 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 61.

634 ალ ოჩიაური, იქვე; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 62.

ქალის მკვლელობით გამოწვეული დაუბადებელი ბავშვის დაკარგვის შეფასება ასევე 30 ძროხა „ხმელ თავად“.

XX საუკუნის დასასრულს ჩაწერილ მასალაში ასევე არის გარკვეული მონაცემები ორსული ქალის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ერთერთი მათგანი მიუთითებს, რომ ამ დანაშაულისათვის ორმაგი სისხლის გადახდა იყო საჭირო, მაგრამ რაკი ქალის სისხლი 30 ძროხაა, საბოლოოდ ორსული ქალის მკვლელს 60 ძროხის გადახდა მოუწევდა.[635] ეს მონაცემი ფაქტიურად ალ. ოჩიაურის მონაცემის შესატყვისია. ორივეს მიხედვით, ორსული ქალის მკვლელობა 60 ძროხადაა შეფასებული – 30 ძროხა ქალის მკვლელობისათვის და 30 დაუბადებელი ბავშვისათვის. უბრალოდ მეორე მონაცემში არაა მითითებული, რომ ეს უკანასკნელი 30 ძროხა მკვლელს „ხმელი თავის“, ანუ დრამის სახით უნდა გადაეხადა. ორივე შემთხვევაში ჩანს, რომ ხევსურული რჯული მუცლად მყოფი ნაყოფის სიცოცხლის მოსპობას დამოუკიდებლად აფასებს და ნაყოფს ფაქტიურად, როგორც ცოცხალ ადამიანს განიხილავს.

3. 5. „სისხლი.“ ხევსურეთში მკვლელობისათვის სისხლის ფასის უძველესი ფორმის შესახებ ძალზედ საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ოჩიაური. მისი განმარტებით, ხევსურეთში უძველეს პერიოდში სისხლის ფასი მხოლოდ 60 ძროხა არ ყოფილა. მისი მონაცემით, ხევსურეთში მკვლელობისათვის დადგენილი გადასახადის გარდა, რაც დღეს ცნობილია „თავსისისხლის“ სახით, არსებულა კიდევ ერთი გადასახადი, ე. წ. „სისხლი“, რაც გულისხმობდა დამატებით „ოცის ოცი ცხვრის“, ე. ი. დრამის სახით ოთხასი ცხვრის გადახდას. ეს იყო ოთხასჯერ ექვსი აბაზი მაშინდელი ფულის ანგარიშით, როცა ცხვარი ნამდვილად ექვსი აბაზი ღირდა. ამ გადასახადს მთელი გვარი იხდიდა. თუ გვარი მცირერიცხოვანი იყო, მაშინ იგი ხარით ძმად შემოეყრებოდა[636] რომელიმე სხვა გვარს, რომ სისხლის გაღებაში დახმარებოდა ახლად შემოყრილი გვარი. „სისხლის“ გაღების მიზნით ასეთი ხარით შემოყრილი გვარები იყო: გუდანელი და ღულელი, როშკიონი და ხარნაული და სხვა. მისი გადახდის შემდეგ „თავსისხლი“ შემადგენელი კომპონენტებითურთ ისევ გადასახდელი იყო. აღნიშნული გადასახადი უმძიმესი ტვირთი იყო ყველასათვის და ძალზედ ჭირდა მასთან გამკლავება. ამის გამო გუდანის ჯვარში შეკრებილან ხევსურები და გაუუქმებიათ ე. წ. „სისხლი“ – „ოცის ოცი ცხვარი“ და დარჩა მხოლოდ ის, რაც დღეს „თავსისხლის“ სახითაა ცნობილი.[637]

635 ჯ, მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 77.

636 ხარ-ქვებით შეყრა – როდესაც სუსტი გვარი მოინდომებდა ძლიერი „კაცრიელი“ გვარის მფარველობაში შესვლას და მიიღებდა თანხმობას, მოხდებოდა გვარების ხარ-ქვაბით შეყრა. ამისათვის ორივე გვარი იკრიბებოდა დიდი გვარის მთავარ ჯვარში. სუსტი გვარი ადუღებდა ლუდს და ძლიერი გვარის ჯვარში მიიყვანდა ერთ ხარს. აქ ხუცესი დაამწყალობებდა ორივე გვარს, ხდებოდა ხარის მოკვდინება და ტარდებოდა ხარქვაბით შეყრის სათანადო რიტუალი. ამის შემდეგ ორივე გვარი ერთმანეთის ნამდვილ მოგვარებად ითვლებოდნენ, ხოლო სუსტი გვარი ძლიერი გვარის ჯვრის მფარველობაში მყოფად.. „შაყრა“ მხოლოდ გვარებში ხდებოდა და არა მამიშვილობაში, თუ ოჯახებში. ძლიერი გვარი ეხმარებოდა სუსტ გვარს, თუმცა მფარველი გვარი უკაცურ გვარს „თავსისხლში“ ვერ ეხმარებოდა და თუ უკაცური გვარის წარმომადგენელს ვინმე შემოაკვდებოდა, მისი მფარველი გვარი თავს არ დაიდებდა (ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კაცრიელი და უკაცური, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №2, თბ., 1990, 189-190).

637 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 13-14; სავარაუდოდ, გამორიცხული არაა სწორედ ამ სახდელის შესახებ საუბრობდეს ნ. ხუდადოვი, როდესაც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც მკვლელი ჩუმად მოკლულის ჯვრის მფარველობაში შევიდოდა (აეტორს მხედველობაში „ჯვარში შეჯდომა“ უნდა ჰქონდეს) ამის შესახებ ეცნობებოდა მოკლულის მხარეს. ამის შემდეგ მოკლულის გვარი შეიკრიბებოდა, იარაღდებოდა და გაემართებოდა მკვლელის სოფლისკენ. იქ გაჩერდებოდნენ ერთ-ერთი სახლის

3. 6. „თავსისხლის“ შემადგენელი კომპონენტები. ხევსურულ ჩვეულებით სამართალში თავსისხლის გადახდა ერთბაშად არ ხდებოდა. იგი მხარეთა შეიგების მრავალწლიანი და მრავალკომპონენტიანი პროცესის (რიგის ყენების) სხვადასხვა ეტაპზე ნაწილ-ნაწილ გადაიხდებოდა და მისი გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა არა მარტო მეხელეს და მის ოჯახს, არამედ თავსისხლის თავისი წილის გადახდა უწევდა მკელელის სხვადასხვა ნათესაურ ჯგუფს მოკლულის შესაბამისი ნათესაური ჯგუფისთვის.

თავსისხლი შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან შედგებოდა: მიწადშაე საკლავი, საგვარო რიგი, სადედო რიგი, სახლის რიგი, საძმო რიგი, საქალო რიგი, ყოველწლიური რიგის საკლავი. დამატებით მკელელის მხარეს უხდებოდა დაზარალებული მხარის მიერ სხვადასხვა საფუძვლით მისთვის დაკისრებული ჯარიმების და ე. წ. არბითის გადახდა.[638]

გარკვეული საზღაურის გადახდა ფიქსირდება მეხელეს პირშესამყრელოს დროს და ასევე თავის გათავებისას. ეს გადასახადები შესაძლოა თავსისხლის კომპონენტებად განვიხილოთ, ხოლო დამატებით ქონებრივ საზღაურს მკველობისათვის კი ჯარიმისა და არბითის გარდა შეიძლება მივაკუთვნოთ სასუ-

---

ბანზე. და პკითხავდნენ მკელელის ახლობელს, გადაიხდიდა თუ არა იგი სისხლის ფასს. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ დამნაშავე მხარე გაუმასპინძლდებოდა მოსულებს. შემდეგ მოხდებოდა საზღაურის გადახდა. მოკლულის მოგვარეები შეარჩევდნენ თავისი რიგებიდან ორ პიროვნებას და ავალებდნენ მკელელის გვარისგან აეღოთ ყველაფერი რაც მოეწონებოდა. გადასახადის ოდენობა იყო 416 ცხვარი და დამატებით საკლავი (Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 15). სისხლის ფასის ამ სახით აღების შესახებ სხვა მონაცემი არ მოგვეპოვება. აქ არ არის აღწერილი მკელელობის შემდეგ მყისიერად მკელელის სოფელში მოკლულის გვარის ლაშქრობა. ნ. ხუდადოვი ამ ლაშქრობას ცალკე აღწერს. აქ საუბარია მოკლულის გვარის ხელმეორე ლაშქრობაზე მოკლულის სოფელში უკვე სისხლის ფასის ასაღებად, მკელელის ჯვარში შეჯდომის შემდეგ. სისხლის ფასის ოდენობა კი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ალ. ოჩიაურის მონაცემში – მხოლოდ 16 ცხვრით მეტი. აღნიშნული განსხვავების ახსნა შესაბამისი მასალების უქონლობის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია. ნ. ხუდადოვის ეს მონაცემი გარკვეულწილად ადასტურებს, რომ ძველად სისხლის ფასი მართლაც არ იყო მხოლოდ ის რაც „თავსისხლის“ სახელნოდებითაა ცნობილი (ძირითადად ხელითი ძროხების გარკვეული რაოდენობა) და ასევე გულისხმობდა 400 თუ მეტი ცხვრის გადახდას. ნ. ხუდადოვის მონაცემითაც მხოლოდ 416 ცხვრის გადახდა არ ხდებოდა და ამის გადახდის შემდეგაც ყოველწლიურად თითო საკლავის დაკვლა უნდა მომხდარიყო დაზარალებულის სასარგებლოდ (ნ. ხუდადოვი, იქვე).. თუ ჩავთვლით, რომ ამ 416 ცხვრის ოდენობის გადასახადის სახით მართლაც საუბარია ალ. ოჩიაურთან ნახსენები „სისხლის“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ნ. ხუდადოვთან მოცემულია აღნიშნული სახდელის აღების წესი, რაც მკელელის სოფელში მოკლულის გვარის განმეორებით ლაშქრობასთან არის დაკავშირებული. ძველად არსებული „სისხლის“ გადახდის წესის სხვა აღწერილობა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ მოგვეპოვება და ამდენად, ნ. ხუდადოვთან მოცემული წესის გადამოწმება შეუძლებელია. ნ. ხუდადოვის შემდგომი პერიოდის მასალაში ასეთი სახის სახდელის დაუფიქსირებლობა ადასტურებს ალ. ოჩიაურის მონაცემის სისწორეს, რომლის თანახმადაც „სისხლის“ გადახდა 400 ცხვრის (თუ მეტი) ოდენობით ძველ პერიოდში ხდებოდა და გარკვეულ ეტაპზე ამ სახის სახდელმა ხევსურეთში შენყვიტა არსებობა. თუ როდის შეიძლება ეს მომხდარიყო პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვათ. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ბ. გოგოჭურის მონაცემი, რომლის თანახმადაც ხევსურებმა XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს მოსახლეობის „საგანგებო შეკრებებზე“ ძველად მიღებული შეუბრალებელი და მკაცრი კანონების ლმობიერების თვალსაზრისით შესწორება და გადაკეთება. ამ დროიდან დაწესეს ხევსურებმა კაცის მკველობისათვის გადასახადი შეეცვალათ 60 ძროხის ღირებულებით (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 99-100). ამ მონაცემიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია დავუშვათ, რომ სწორედ ასეთ „საგანგებო შეკრებაზე“ ხევსურეთში XIX საუკუნის დასაწყისში გაუქმდა მკველობისათვის გათვალისწინებული საზღაური 400 ცხვრის ოდენობით, რომლის შესახებაც ალ. ოჩიაურის მონაცემშია საუბარი და მკველობისათვის საზღაურად მხოლოდ 60 ძროხის ოდენობის გადასახადი დაწესდა, რითაც მკველობისათვის გათვალისწინებული სასჯელი არსებითად შემსუბუქდა. აღნიშნული ვარაუდი სრულიად ეხმიანება ბ. გოგოჭურის მონაცემს, რომლის მიხედვითაც, ამ შეკრებებზე ხდებოდა მკაცრი კანონების შემსუბუქება და ერთ-ერთ შეკრებაზე მკველობისათვის 60 ძროხის დაწესება ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის შერბილებადაა განხილული.

638 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1947, ტ. 1, 189-190.

დარმკვდრო, ხოლო საპასუხო მკვლელობისას – საუკენმამკვდრო.

აღნიშნული ქონებრივი საზღაურის გადახდა მეხელესა და მის ნათესავებს უხდებოდა შესაბამისი ოდენობის დრამის სახით და გარკვეული ასაკისა და რაოდენობის კურატისა და საკლავის (ხარისა და ცხვრის) მიყვანით მოკლულის ჯვარსა თუ ოჯახში. ასევე უხდებოდა განსაზღვრული ოდენობის ლუდის დაღება.

3. 6. 1. მინადშაე საკლავი. თავდაპირველად მეხელეს მოკლულის ოჯახში უნდა გაეგზავნა ე. წ. „მინადშაე" საკლავი, რომელიც მიცვალებულის სულს ეძღვნებოდა და მისი სულის სახსენებლად, სულის სამხსნელოდ დაიკლებოდა. აღნიშნული საკლავი მოკლულის ოჯახში უნდა მიეყვანათ გარდაცვლილის დასაფლავებამდე. საკლავი უფრო წინა, ან გარდაცვალების დღეს მიჰყავდა ორსამ შუაკაცს. შუაკაცებად შეარჩევდნენ გარეშე პირებს (შესაძლოა მოკლულის მოგვარეებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ სხვა მამიშვილობის წევრები).[639]

ხევსურულ დიალექტზე „მინათ შაე" დასაფლავების, დამარხვის დროს ნიშნავს.[640] შესაბამისად, „მინათ შაე" საკლავი მას უნდა რქმეოდა სწორედ იმიტომ, რომ იგი მოკლულის დამარხვის დროს მისაყვანი საკლავი იყო.

ინფორმატორები მას ასევე მოიხსენებენ, როგორც „მინათ საშამაელო საკლავი", „მინად შამავალი საკლავი", „მინათშესამრო საკლავი", „მინათშასვლის საკლავი", „მინათშასამსვლელო საკლავი", „მინად შაის საკლავი", „მინათ შეი საკლავი".[641] ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება „მინად მიტანის საკლავი".[642] ამ საკლავის გაგზავნა სავალდებულო იყო. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას დაზარალებულის მხრიდან „რიგის ყენებაზე" დათანხმება რეალური იყო, თუ არა. „მინადშაე საკლავის" მიყვანა ნიშნავდა, რომ მკვლელი აღიარებდა მის მიერ მკვლელობის ჩადენას და თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას ჩადენილი მკვლელობისათვის.[643] არც დაზარალებულს ჰქონდა უფლება არ მიეღო საკლავი და უკან გაებრუნებინა. ხალხური წარმოდგენით „მინადშაე საკლავი" მიცვალებულისთვის იყო საჭირო (მისი სულის სამხსნელად იკვლებოდა) და მისი მიღება დაზარალებული ოჯახის მიერ აუცილებლად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა როგორ იყო იგი შერიგებისადმი განწყობილი.[644] „მინადშაე საკლავი" იყო ბატკანი, ან ცხვარი. მისი დაკვლა მოკლულის დასაფლავებამდე ხდებოდა. დაზარალებული მხარე ამ საკლავს თვითონ არ მოიხმარდა და შესაძლოა შუაკაცებისათვის მიეცა.[645]

---

639 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 41; №2, 33, 68; №4, 3, 17; №5, 45-46, 65; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 3, 80; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 30, 64; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984., 83.

640 ალ. ჭინაჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 612.

641 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 41; №3, 3, 17; №5, 35; 45; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 3, 80; 30; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 75; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 63.

642 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 22; 7/4, 43;

643 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 63.

644 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 2; №3, 22; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი,. ა. ო. 7/2, 22.

645 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 12; დ.

„მიწადშაე საკლავის" მოკლულის დასაფლავებამდე მიუყვახლობა იხვევდა დაზარალებული მხარის მიერ მეხელესათვის ჯურუმის დაკისრებას. ჯურუმი 5 ხელით ძროხას შეადგენდა. დაზარალებული მხარე დაგვიანებით მიყვანილ „მიწადშაე საკლავს" მხოლოდ მას შემდეგ მიიღებდა, რაც მეხელეს მხარე აღნიშნულ ჯურუმს გადაიხდიდა. საერთოდ „მიწადშაე საკლავის" მიყვანისა და მისი დაგვიანების შემთხვევაში ჯურუმის გადახდის გარეშე დაზარალებული სახლის რიგს არ იყენებდა.[646] აღნიშნული საკლავის მიყვანა სავალდებულო იყო სისხლის აღების ნიადაგზე საპასუხო მკვლელობის ჩამდენის მიერაც.[647]

3. 6. 2. საგვარო რიგი. საგვარო რიგს მკვლელის გვარი უყენებდა მოკლულის გვარს. ეს გამოიხატებოდა ე. წ. „საგვაროს" გადახდაში. როდესაც მკვლელობა მოხდებოდა, გაგებისთანავე მკვლელის გვარი შეიკრიბებოდა და გაემართებოდა მოკლულის ოჯახის დასალაშქრად. ამიტომ საგვარო რიგს „სალაშქრო რიგსაც" უწოდებდნენ.[648] მკვლელის გვარში იგულისხმება არა მარტო მისი მამიშვილობის, საძმოს წევრები, არამედ მისი გვარი მთლიანად, მასში შემავალი განაყრები, ერთმანეთისგან გაყრილი მამიშვილობების, საძმოს წევრები, რომელთაც საერთო გვარი ჰქონდათ. ხევსური ინფორმატორის, გიგი ქეთელაურის განმარტებით, თუ მაგალითად, ქეთელაურს მოკლავდნენ, ყველა ქეთელაური მიუხედავად იმისა, თუ სად, რომელ სოფელში ცხოვრობდა და რომელ მამიშვილობას, საძმოს ეკუთვნოდა, მოკლულის სოფელში შეიკრიბებოდა და მკვლელის სოფლისკენ გაემართებოდა.[649] თუ ვინ იღებდა მონაწილეობას სალაშქრო რიგის მისაღებად და ვინ იყო „საგვაროს" მიმღები შესაძლოა სხვა გვარების მაგალითზეც განიმარტოს.

მაგალითად, სოფელ ჯუთაში ცხოვრობენ არაბულები. ისინი აქ იყოფოდნენ სამ საძმოდ: იმედანი, მარაისძენი და თილილანი. ისინი სამი ძმის შთამომავლები იყვნენ, თუმცა საძმო გაყრილი ჰქონდათ და დამოუკიდებელ საძმოებს წარმოადგენდნენ. თავის მხრივ თითოეული ეს საძმო იყოფოდა მამებად, რომელთა წევრები ერთმანეთის მესაძმოები იყვნენ. ვთქვათ, მარაისძეთ კაცი მოკლა ვინმე სხვამ, საგვარო ლაშქარში სამივე საძმოს წევრები წავიდოდნენ და საგვაროს მიიღებდნენ. საგვაროსაგან განსხვავებით კი საძმოს (როგორც ქვემოთ გამოჩნდება) მარაისძის საძმოს კაცის მკვლელობისას მხოლოდ მარაისძის საძმოს წევრები მიიღებდნენ. ამდენად, პირები, რომლებიც მკვლელის ან მოკლულის მესაძმოები არ იყვნენ, ანუ საძმოს წევრები არ იყვნენ და მხოლოდ მოგვარეები იყვნენ, საძმოს არც იღებდნენ და არც გასცემდნენ.[650] სოფელ ახიელში (არხოტის

ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1988, 3.

646 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 22; მისივე, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რევეული №3, 29; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, თბ., 1947, 178; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 75; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №2, 12; 34; №6, 3; ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, ჯარიმა „მიწადშაე" საკლავის დაგვიანებისათვის შეიძლება 5 ძროხაზე ნაკლებიც ყოფილიყო, მაგალითად, 3 ცხვარი, ან 2 ძროხა, ხუთი ძროხა კი მაქსიმუმი იყო (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 10951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 66).

647 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 63.

648 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №1, 43; №2, 1.

649 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №2, 30.

650 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 63.

თემი) ცხოვრობდნენ ოჩიაურები, ცისკარაულები და ნაროზაულები, რომლებიც ადრე ყოფილან ერთი ოჯახიდან – ნავროზას, ცისკარას და ოჩისგან წარმოშობილნი. მათ საძმო გაყარეს და ამდენად, ისინი დამოუკიდებელ საძმოებს წარმოადგენდნენ. თუ ამ რომელიმე საძმოს წევრს მოკლავდნენ, სამივე საძმოს წევრები გაემართებოდნენ მკვლელის სოფლის დასალაშქრავად.[651] იგივე ითქმის ნიკლაურების გვარზეც. ჯურხა ნიკლაურის (სოფელ როშკადან) განმარტებით, მისი გვარი ასევე შედგება რამოდენიმე მამიშვილობისგან, საძმოსგან, რომლებიც ერთმანეთის განაყრები არიან, თუმცა გვარის წევრის მკვლელობის შემთხვევაში მთელი გვარი გაემართება თავის განაყრებიანად მკვლელის სოფლისკენ, მკვლელის ოჯახის დასალაშქრად.[652]

აღნიშნული გარემოება დაადასტურეს ტარიელ და იოსებ არაბულებმა (ბაცალიგოს ხეობა, სოფელი ჩხუბა). მათი განმარტებით, მოკლულის გვარის ნებისმიერ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში საგვაროს მისაღებად, თუმცა, როდესაც გვარი დიდია, ცხადია, ყველა სალაშქროდ ვერ წავა. მაგალითად, რომელი მოგვარეც შორსაა მას არ მიეცემა საშუალება ლაშქრობაში მიიღოს მონაწილეობა. მოკლულის საძმოც მიდის სალაშქროდ და მას მიჰყვებიან გვარის საძმოგაყრილი წევრებიც. ვინც სოფელშია, თემშია ყველა გაყვება. მოგვარეები მეზობელი სოფლებიდანაც წავლენ სალაშქროდ. არაბულების გვარი იყოფა ბიჩინაგურებად, ჩუჩაყაურებად, ველგუჯაურებად, რკინაულებად. ისინი თავის მხრივ იყოფიან საძმოებად, რომლებიც ერთმანეთის განაყრები არიან. ბიჩინაგურის მკვლელობის შემთხვევაში სალაშქროდ მიდიან ბიჩინაგურთა საძმოები და შესაძლოა გაყვნენ ჩუჩაყაურებიც, ველგუჯაურებიც და რკინაულებიც. მოკლულის მეთემე არაბულები ყველანი წავლენ.[653] ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ საგვაროს მისაღებად ლაშქრობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მოკლულის გვარის ნებისმიერ წევრს, მხოლოდ რეალურად ამის შესაძლებლობა ჰქონდა მოკლულის სოფელში, მეზობელ სოფელში თუ თემში მცხოვრებ მოგვარეებს და ძირითადად სწორედ ისინი მიდიოდნენ სალაშქროდ, მიუხედავად იმისა მოკლულის საძმოს წევრები იყვნენ თუ საძმოგაყრილი მოგვარეები.

ლაშქრობაში არ მონაწილეობდნენ მხოლოდ მოკლულის გვარის ის წევრები, რომელთაც მკვლელის გვარის წევრი ჰყავდა მოკლული ან ცოლ-ქმრული ურთიერთობები ჰქონდა მოკლულის გვარის წარმომადგენელთან.[654] ასევე, გვარის ლაშქრობაში არ მიდიოდა უშუალოდ მოკლულის სახლიც (ოჯახი) და მასთან ერთად რჩებოდა და ლაშქრობაში ასევე არ იღებდა მონაწილეობას მისი უახლოესი ნათესავის ოჯახი. ეს იქნებოდა მოკლულის ძმის სახლი, თუ ძმა არ ყავდა, მაშინ ბიძაშვილის და ა. შ.[655]

მკვლელის გვარის ლაშქრობა ხდებოდა მეხელის მოსაკლავად, სახლ-კარის გადასანავებად, სახლის ბანის ჩასანგრევად, ბანის სანაპიროს ასანგრევად. ხევსურული სახლის ბანის სანაპირო სახლის ბანის ნაპირებზე შემოვლებულ სიპებს

651 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 43-44.

652 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 51.

653 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 1.

654 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 44; №2, 30; №5. 51; №6, 51.

655 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ო. 7/2, 23.

წარმოადგენდა და ლაშქრობისას სწორედ ამ სიპი ქვების აყრა ხდებოდა. ასევე ადგილი ჰქონდა მკვლელის ძნა-თივის განადგურებას.[656] ალ. ოჩიაურის ინფორმატორის თანახმად სახლის დაწვა ძველად ხდებოდა, ახლა ბანის დაზიანება ხდება,[657] თუმცა ალ. ოჩიაურისავე სხვა ინფორმატორი სახლის გადაწვას არ გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ მკვლელის სახლის გადაწვა მაშინ მოხდებოდა, როდესაც მისი სახლი ცალკე იდგა და სხვა თანასოფლელების სახლებს არ გადაედებოდა ცეცხლი, ან ბან-სანაპიროს დაანგრევდნენ. მოლაშქრეებს სახლის მთლიანი ნგრევა შესაძლოა არც ეკადრათ, მათ შორის მყოფი ვინმე ჭკვიანი კაცის რჩევით, თუმცა წესის მიხედვით სახლს ორ-სამ სანაპიროს მაინც ააგლეჯდნენ.[658] სახლის გადაწვა მოკლულის გვარის ლაშქრობისას მხოლოდ შორეული წარსულის მოვლენა რომ არ იყო XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალაში გამოჩნდა. კერძოდ, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, რომელსაც თვითონ მოესწრო: ძეძეურთელი ჭინჭარაული მოკლა ჭორმეშაველმა გოგოჭურმა. ძეძეურთაში შეიკრიბა ჭინჭარაულების გვარი და გაემართა ჭორმეშავში მკვლელის სახლის დასარბევად. მათი წამოსვლის ამბავი მკვლელის სოფელში ვერავინ გაიგო, ამიტომ დასარბევად წამოსული მოკლულის გვარი მივიდა მკვლელის სახლში. მკვლელი და მისი ოჯახის წევრები გაიქცნენ. ჭინჭარაულებმა მკვლელის სახლი და ქონება გადაწვეს. სახლში დამწვარა მოხუცი ქალიც. ეს ჩაითვალა ჩვეულებრივ მოვლენად და დამწვარი სახლის ფასის გადახდა არ მომხდარა.[659] ეს კონკრეტული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ გვარის ლაშქრობისას მკვლელის სახლის გადაწვა შესაძლოა XX საუკუნეშიც მომხდარიყო, თუმცა სხვა მონაცემების მიხედვით მაინც ჩანს, რომ მოლაშქრენი ამისგან თავს იკავებდნენ და უფრო ბანის დაზიანებას მიმართავდნენ ხოლმე.

მოკლულის გვარის ლაშქრობის ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად ხევსურული რჯულის მიხედვით აუცილებელი იყო მეხელის ოჯახის დასალაშქრად წამოსული გვარისთვის მათი მკვლელის სოფელში შესვლამდე (სოფლის გარეთ) დაეხვედრებინათ ერთი კურეტი (მოზვერი) – სამი წლის, ორი საკლავი (ცხვარი), ზოგი მონაცემით 4 კილოგრამი სპილენძი (ერთი ხელითი ძროხა), ზოგით კი 3 ჩარექი სპილენძი – სამი ხელითი ცხვარი (როგორც წესი ქვაბის სახით). ამას აკეთებდა მკვლელის თანასოფლელი ორი-სამი ავტორიტეტული მოხუცი.[660] ეს სახდელი გულისხმობდა კიდეც „საგვაროს“. ზოგიერთი მონაცემით „საგვარო“ ერთ კურეტთან ერთად ერთ (და არა ორ) საკლავს მოიცავდა.[661]

656 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 45; რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 91; Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 14.

657 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 29.

658 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 21.

659 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 61.

660 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 11; №6, 51; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 83; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 28; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 69; ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ე. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ე. ბ. 329, 64).

661 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 4, 42; №2, 1, 30, 44, 67; №5, 34, 45, 65; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 6, 30; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფი-

ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება „საგვაროს“ დაგვიანების შემთხვევაში დამატებითი საკლავის მიცემის ვალდებულება. მისი ინფორმატორი მიუთითებს, რომ თუ სალაშქროდ წამოსული მოკლულის გვარი გადმოვიდოდა მკვლელის სოფლის მიწა-წყალზე და მოკლულის გვარმა მანამდე ვერ მიაგება კურეტი და ორი საკლავი, მკვლელის გვარისთვის მესამე საკლავი უნდა მიეცა. თუ ამასაც ვერ მოასწრებდა და უშუალოდ მოკლულის გვარის სოფელში შევიდოდა, უკვე სახლის დარბევა მოხდებოდა.[662] იგივეს ადასტურებს ალ. ოჩიაურის სხვა ინფორმატორიც.[663] ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც, თუ სალაშქროდ წამოსული გვარი მკვლელის სოფლის მხარეს გადაკვეთენ მკვლელისა და მოკლულის სოფლებს შორის არსებულ შუა ადგილს შუაკაცების მოსვლამდე, მათ მეორე საკლავის მოყვანასაც მოსთხოვს მოკლულის გვარი, მაგრამ თუ მოკლულის გვარი მკვლელის სოფელში შევა, იქ უფლება აქვს მკვლელის სახლ-კარის გადაწვა-აწიოკებისა.[664] სალაშქროდ წამოსული გვარის მიერ განსაზღვრული მიჯნის გადალახვისას, თუნდაც ერთი ნაბიჯით, მოკლულის გვარის მიერ მეორე, დამატებითი საკლავის მიყვანის მოთხოვნაზე საუბარია მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალაშიც.[665]

ული რვეული, 1988, 2; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 44; 7/5, 56; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 69. ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით კი, დრამის გადახდა (სამი თუ ოთხი კილოგრამი სპილენძის) საჭირო იყო მაშინ, როდესაც კურეტი პატარა იყო ეთქვათ, 2 წლის და არა სამის (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 11, 30). ამ უკანასკნელი ცნობის სანინააღმდეგოდ, უმრავლესი მონაცემის თანახმად, დრამის გადახდა კურეტთან და საკლავთან ერთად ყველა შემთხვევაში იყო საჭირო, რაც ხევსურეთში ზოგადი წესი უნდა ყოფილიყო. ცალკეული ინფორმატორების მიერ მოტანილი ცნობა, რომ „საგვაროს“ მიტანისას დრამა (სპილენძის სახით) საჭირო იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც კურეტი იყო პატარა, სამ წელზე ნაკლების, თუ იგი რეალობას ასახავს, ხევსურეთის კონკრეტული თემის, სოფლისთვის დამახასიათებელ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია სამი წლის კურეტის ნაცვლად ორი წლის კურეტის მიყვანის შემთხვევაში, მკვლელის გვარს მართლაც გარკვეული რაოდენობის დამატებითი დრამა (სამი ან ოთხი კილოგრამი სპილენძი) გადაეხადა, თუმცა დადგენილი დრამის გადახდა საგვარო რიგის ყენებისას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა მიყვანილი კურეტი სამი წლის იყო თუ ორის. ამის ირიბი დადასტურება გვხვდება თავის გათავებასთან დაკავშირებულ მონაცემებში. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ამ დროს საჭირო იყო ასევე 3 წლის კურეტის მიყვანა და თუ მკვლელის მხარე ორი წლის კურეტს მიიყვანდა დამატებით ერთი ძროხის დრამა უნდა მიეტანა დაზარალებული მხარისათვის, ხოლო თავის გათავებისას დადგენილი 16 ძროხის დრამა ჩვეულებრივ უნდა გადაეხადა (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 34) და ორი წლის კურეტის მიყვანის გამო დამატებითი სპილენძის გადახდა ამაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

662 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 28-29.

663 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 22.

664 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 69. საინტერესოა, რომ ტარიელ და იოსებ არაბულებმა, რომელთა მონაცემებიც ბ. გოგოჭურისთვის მნიშვნელოვანი წყაროა, ჩემთან საუბრისას არ დაადასტურეს, რომ სალაშქროდ წასული მოკლულის გვარის დახვედრა მაინცდამაინც მკვლელის და მოკლულის სოფლებს შორის შუა ადგილას უნდა მომხდარიყო. მათი განმარტებით, კურეტი, ორი საკლავი და ქვაბი უნდა დაეხვედრებინათ მოლაშქრეთათვის მკვლელის სოფლამდე. (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 2). ბ. გოგოჭურის კიდევ ერთმა რესპონდენტმა – პეტრე გოგოჭურმა – ჩემთან საუბარში ასევე აღნიშნა, რომ სალაშქროდ წამოსვლისას მთავარი იყო სოფლის ტერიტორიაზე არ შესულიყვნენ. მკვლელის და მოკლულის სოფლებს შორის შუა ადგილის გათვალისწინება შესაძლოა მხოლოდ მაშინ მომხდარიყო, თუ მკვლელი და მოკლული მომიჯნავე სოფლებიდან იყვნენ (გ. დავითაშვილი, იქვე, 14). ასეთ შემთხვევაში მომიჯნავე სოფლების შუა ადგილის აქეთ-იქით ამ სოფლების ტერიტორიები იგულისხმება და შუა ადგილის გადაცდომა მოლაშქრეთა მიერ უკვე მკვლელის სოფლის ტერიტორიაზე, მინა-წყალზე გადასვლად უნდა განხილულიყო. ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ ბ. გოგოჭურის ცნობა იმის შესახებ, რომ სალაშქროდ წამოსულებისათვის მკვლელის და მოკლულის სოფლებს შორის შუა ადგილას უნდა დაეხვედრებინათ საკლავი, ყველა შემთხვევაზე არ შეიძლება გავრცელდეს.

665 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 9; დ.

ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით ასეთი წესი ძველად მოქმედებდა.[666] მ. კეკელიას ინფორმატორიც ადასტურებს ამას და აღნიშნავს: „ეხლა გვარ აღარ მიდის."[667] ამრიგად გამოდის, რომ ძველად ხევსურეთში არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც მკვლელის გვარს „საგვარო" სალაშქროდ წამოსული მოკლულის გვარისათვის უნდა დაეხვედრებინა მანამ, სანამ მათ მიწა-წყალზე შემოვიდოდნენ, ანუ მათ მიწა-წყლამდე უნდა შეგებებოდნენ. თუ ამას ვერ მოასწრებდნენ და მოკლულის გვარი მკვლელის გვარის მიწა-წყალზე შემოვიდოდა, მაშინ დამატებით კიდევ ერთი (ალ. ოჩიაურის ინფორმატორთა მიხედვით – მესამე, ბ. გოგოჭურის თანახმად, მეორე) საკლავიც უნდა დაეხვედრებინა მკვლელის გვარს მოკლულის გვარისათვის. თუ მკვლელის გვარი მოკლულის გვარის უშუალოდ სოფელში შემოსვლამდე ვერ მოასწრებდა „საგვაროს" (ერთი საკლავით მეტი ოდენობით) დახვედრებას, მაშინ, როგორც ალ. ოჩიაურთან გამოჩნდა, მკვლელის სოფელში შემოსულ მოკლულის გვარს შეეძლო დაერბია მკვლელის სახლი. მკვლელის მხარის მიწა-წყლად ითვლებოდა მიწები, რომლებიც მკვლელის სოფელს ეკუთვნოდა. ამდენად, საგვაროს დახვედრება თვითონ სოფლიდან მოშორებით, სოფლის მიწა-წყალს იქით უნდა მომხდარიყო.

„საგვაროში" შემავალ კომპონენტებს ამზადებდა მკვლელის გვარი – გარდა მკვლელისა, მისი ძმებისა და ალალი ბიძაშვილებისა.[668] საკლავი დაიკვლებოდა, ხოლო კურეტს და დრამას მოკლულის გვარი წაიყვანდა და გაინაწილებდა. დაკლულ საკლავს არ შეჭამდნენ და ძირითადად საკლავის მიმყვან შუაკაცებს დაუტოვებდნენ.[669] „საგვაროს" გარკვეული ნაწილის შეწირვა ჯვარისადმი ხდებოდა.[670] ტარიელ და იოსებ არაბულების განმარტებით, საგვაროში შემავალი ორი საკლავიდან ერთი ჯვარისთვის დაიკვლებოდა და მეორე მოკლულის სულისთვის. კურეტები გზაში არ იკვლებოდა და ყოველთვის ჯვარისთვის შეინირებოდა.[671]

როდესაც დროულად მიაგებებდნენ მოკლულის გვარს აღნიშნულს, იგი უკან გაბრუნდებოდა და მეხელეს ზიანს ვეღარ მიაყენებდა. ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც იშობრად მკვლელობას მოჰყვა მოკლულის გვარის ლაშქრობა მკვლელის სოფლისკენ. მკვლელის გვარმა მოკლულისას მიაგება: ერთი სამი წლის კურეტი, სამის ჩარექის სპილენძის ქვაბი და ორი საკლავი. შედეგად მოკლულის გვარი უკან გაბრუნდა და მკვლელის ოჯახის დარბევას ადგილი არ ჰქონია.[672]

ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 2; მ. კეკელიას ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით, ორი საკლავის საჭიროებისას ერთი საკლავი იქნებოდა „ბანზე შესამხდომლო" და მეორე „ბანიდან გადმოსამხდომლო". (მ. კეკელია, იქვე) კიდევ ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ერთი საკლავი იყო „შასამხდომლო", მეორე კი „გარმასამჭდელო" (ვ. ბარდაველიძე, იქვე). აქაც უნდა იგულისხმებოდეს ბანზე „შასამხდომლო" და ბანიდან „გარმასამჭდელო" საკლავი.

666 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 21.

667 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 65.

668 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 29.

669 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 1, 44; №5, 45; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 69.

670 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", თბ., 1947, 178.

671 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 3.

672 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 21.

ამრიგად, მოტანილი მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „საგვარო" შეადგენდა ერთ კურეტს (სამი წლის), ერთ ან ორ საკლავს (ცხვარი ან ბატკანი) და 3-4 კილოგრამ (ჩარექ) სპილენძის დრამას. მონაცემთა უმრავლესობა სწორედ ამას მიუთითებს. შედარებით განსხვავებულ მონაცემს ვხვდებით რ. ხარაძესთან. მისი ინფორმატორის მიხედვით, „საგვარო" გულისხმობდა ერთ ბულას, 12-20 საკლავს, 5 ჩარექ სპილენძს.[673] აქ განსხვავება ეხება საკლავის ოდენობას. „საგვაროდ" 12-20 საკლავი მკვეთრად აღემატება სხვა მონაცემების მიხედვით „საგვაროში" შემავალი საკლავების რაოდენობას (1-2 საკლავი). ასეთი განსხვავება შესაძლოა მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ასეთი დიდი ოდენობის საკლავის გადახდა „საგვაროს" სახით შესაძლოა ძველ პერიოდში ხდებოდა და შემდგომ დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა შემცირდა, თუ რა თქმა უნდა ეს მონაცემი მცდარი არ არის. რ. ხარაძის გუდანელი ინფორმატორი ასევე მიუთითებს, რომ თუ „საგვაროს" არ დაახვედრებდნენ სალაშქროდ წამოსულ მოკლულის გვარს, ისინი სოფელს დაეცემოდნენ და ქუდიანს (მამაკაცს) ვისაც მოიხელთებდნენ ყველას „სრუ გააფუჭებენ" და ერთ კაცს მაინც მოკლავდნენ.[674] ჩვენს ხელთ არსებულ სხვა მასალაში ასეთი სასტიკი დამოკიდებულება სოფლის დალაშქვრისას არ ჩანს, მითუმეტეს არ დასტურდება სოფლის ნებისმიერი მკვიდრის მოკვლის შესაძლებლობა, რომელიც ხელში მოხვდებოდათ. ეს გარემოება მიუთითებს, რომ რ. ხარაძის ინფორმატორი შედარებით ადრინდელ ნესებზე უნდა საუბრობდეს, ვიდრე ეს ალ. ოჩიაურის, მ. კეკელიას და სხვათა მასალის მიხედვით ჩანს. მაგალითად, ალ. ოჩიაურის ზემოთმოყვანილ მონაცემში გამოჩნდა, რომ მოკლულის გვარი უფრო ბანის დაზიანებით კმაყოფილდებოდა. ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში კი მიუხედავად იმისა, რომ მოკლულის გვარი მკვლელის გვარის სოფელში ისე შევიდა, რომ „საგვარო" ვერ დაახვედრეს, მკვლელის გვარს არც დამატებითი (მესამე) საკლავი მოუთხოვია და არც მკვლელის სახლის ბანზე არავინ შემხდარა მის დასაზიანებლად და მხოლოდ კურეტი, ორი საკლავი და სამი ჩარექი სპილენძი (კერძოდ, სპილენძის ქვაბი) იკმარეს.[675] როგორც ვხედავთ, ამ მონაცემებით, სალაშქროდ წამოსული გვარის მოქმედება, ძირითადად არ იყო ისეთი სასტიკი, როგორც ეს რ. ხარაძის მონაცემში ჩანს, რაც ასევე ადასტურებს ჩვენ მოსაზრებას, რომ რ. ხარაძის ცნობა უფრო ადრინდელ პერიოდს უნდა ეხებოდეს.

საგვარო რიგის ყენებაში გვარის თითოეული ოჯახი იღებდა მონაწილეობას. თუ დიდი გვარი იყო „მეკვამურობაზე კენჭებით დაითვლიდნენ და ვისაც რა შეხვდებოდა სისხლის კენჭში, იმას გადაიხდიდა."[676] საერთოდ, სალაშქროდ მოსული მოკლულის გვარის დასაშოშმინებლად მათ გამასპინძლებას საკლავის დაკვლით ხევსურეთში „სისხლის კენჭი" ეწოდებოდა.[677]

საგვარო რიგის გადახდის შედეგად ხდებოდა გვარის შერიგება გვართან, თუმცა ამით მოკლულის არც ოჯახი და არც საძმო (მამიშვილობა) მკვლელის სახლს არ ირიგებდა.[678]

---

673 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", თბ., ტ. 1, 1947, 178.

674 რ. ხარაძე, იქვე.

675 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 22.

676 რ. ხარაძე, იქვე.

677 ალ. ჭინჭარაული, ხევსურულ ლექსიკონი, თბ., 2005, 812.

678 რ. ხარაძე, იქვე, 179. ბ. გოგოჭურის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის – ირ. არაბულის განმარტებით, საგვაროს აღების შემდეგ მოკლულის გვარის საძმოგაყრილ ბიძაშვილებს, აღარაფერი ეკუთვნის, მათ

შესაძლოა მოკლულის გვარი თავად არ წასულიყო მკვლელის სოფლისკენ მისი სახლის დასალაშქრავად. ამ შემთხვევაში საგვარო რიგის აღება და უკან წამოსვლა არ მოხდებოდა. შესაბამისად, მკვლელის გვარი ყველანაირად ცდილობდა მოკლულის გვარის წარმომადგენლები საგვარო რიგის ყენებაზე რაც შეიძლება მალე დაეთანხმებინა. საგვარო რიგის ყენებაზე თანხმობის მიღების შემდეგ მკვლელის გვარი თავისი ხარჯებით, შუაკაცების ხელით უგზავნის მოკლულის გვარს საგვარო რიგს, კერძოდ, სამი წლის კურეტს (ეს კურეტი იკვლება მოკლულის სოფლის ადგილის დედის სალოცავისად), ერთ საკლავს და სამი ცხვრის ღირებულების ხელით დრამას.[679] ეს ფაქტიურად იგივე სახეობის და ოდენობის საზღაურია, რასაც მოკლულის სალაშქროდ წასულ გვარს დაახვედრებდნენ შუაკაცები და რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

3. 6. 3. სახლის რიგი. რიგის საკლავი. მოკლულის დასაფლავებიდან გარკვეული დროის შემდეგ მკვლელის მხარე დაიწყებდა ზრუნვას დაზარალებული მხარის რიგის ყენებაზე დასათანხმებლად. მკვლელის ოჯახი შეარჩევდა ავტორიტეტულ, რჯულის მცოდნე შუაკაცებს, რომლებთანაც ნათესაური კავშირი არ ჰქონდა და გაგზავნიდა მოკლულის ოჯახში მოსალაპარაკებლად. ეს მოკლულის დასაფლავებიდან დაახლოებით ერთ-ორ კვირაში მოხდებოდა, შესაძლოა უფრო გვიანაც. საერთოდ, აღნიშნული პერიოდი დამოკიდებული იყო თვით მკვლელობის ხასიათზე (განზრახ იყო ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით და სხვა ფაქტორებზე). სხვა სოფელში გახიზნული მკვლელის ოჯახიც ანალოგიურად მოიქცეოდა. მოკლულის ოჯახში მისულ შუაკაცებს მიყავდათ „ასამტეხლო" საკლავი[680] („რიგის დაყენების ასამტეხლო") და თხოვდნენ დათანხმებას „რიგის ყენებაზე".[681] „რიგის ყენებაზე" დათანხმება, როგორც წესი, მყისიერად, შუაკაცების პირველივე მისვლის შემდეგ არ ხდებოდა, თუმცა გვხვდება გამონაკლისი შემთხვევები. ძირითადად კი, ამას შუაკაცების არაერთი მისვლა შეიძლება დასჭირვებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში შუაკაცების შემადგენლობაც იცვლებოდა. არც თუ იშვიათად დაზარალებული მხარე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, არაერთი, შესაძლოა ოცი წელიც, უარს ამბობდა რიგის ყენებაზე. როგორც წესი, რიგის ყენების თხოვნას არაერთხელ გაიმეორებდნენ, მანამ, სანამ არ დაითანხმებდნენ. განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობისას რიგის ყენენაზე დათანხმება უფრო ადვილად ხდებოდა.[682] ალ. ოჩიაურის

შორის არც პატივი, განსხვავებით საძმოგაუყრელი ბიძაშვილებისა, რომელთაც შემდგომშიც შესაბამისი დრამაც ეკუთვნის და პატივიც (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეკული №2, 20). აღნიშნული მონაცემი ადასტურებს, რომ საგეაროს იღებდნენ მოკლულის საძმოგაყრილი ბიძაშილებიც, საძმოგაუყრელებთან ერთად.

679 გ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 71, 73.

680 ასამტეხლო საკლავი – შერიგებაზე მოლაპარაკების დაწყებისათვის დანესებული საკლავი. ამ საკლავს მკვლელის მხარე შუაკაცების ხელით უგზავნიდა დაზარალებულ მხარეს რიგის ყენებაზე დათანხმებისათვის საუბრის დასაწყებად (ასატეხად). მის გარეშე დაზარალებული მხარე მკვლელის მიერ გაგზავნილ შუაკაცებს სიტყვას არ აძრახებდა. ასამტეხლო საკლავი ასევე აუცილებელი იყო შერიგების სხვადასხვა ეტაპზე, მაგალითად, ბიძაშვილების, მეხელის პირშესამყრელებზე, თავის გათავებაზე დაზარალებული მხარის დათანხმებისათვის საუბრის დასაწყებად (იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1988, 41; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1988, 64; ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 182; ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 30).

681 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1977, №1, 42, 46–47; №2, 2, 34, 46, 68; №5, 47.

682 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეკული, 1977, №2, 2-3, 13, 35; №5, 36.

მასალებში ვხვდებით კონკრეტულ ფაქტებს, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში რიგის ყენებაზე დათანხმება სხვადასხვა მიზეზის გამო პირველივე თხოვნაზე მოხდა, უარის უთქმელად, სხვა შემთხვევებში დაზარალებული მხარე დათანხმდა რიგის ყენებაზე ძალზედ რთულად, შუაკაცების მრავალგზისი მიგზავნის შემდეგ, გვხვდება შემთხვევა როდესაც შუაკაცების ბევრი წვალების მიუხედავად, რიგის ყენებაზე დათანხმება ვერ მოხერხდა.[683]

დაზარალებული მხარე რიგის ყენების პირობად აყენებდა დამნაშავე მხარის მიერ სხვადასხვა დარღვევებისათვის ჯურუმის გადახდას, კერძოდ, ამ დროს ითვალისწინებდნენ დამნაშავე და მისი ახლო ნათესავები ხათრიანად ეპყრობოდნენ დაზარალებული მხარის წარმომადგენლებს, თუ უხათროდ, ხომ არ იმღერეს, იცეკვეს, და სხვა რაიმე უპატივცემლობა ხომ არ გამოხატეს დაზარალებულთა მიმართ. რიგის ყენება მხოლოდ დაზარალებულის მიერ დაკისრებული ჯურუმის გადახდის შემდეგ შეიძლება მომხდარიყო.[684]

როდესაც დაზარალებული მხარე უარს ამბობდა რიგის ყენებაზე, ეს ნიშნავდა რომ მისი მიზანი სისხლის აღება იყო. სისხლის აღების უცილობლად მოსურნე თუ დათანხმდებოდა რიგის ყენებაზე, საპასუხო მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში ვალდებული იქნებოდა რაც მიიღო მკვლელისგან უკან დაებრუნებინა, ამიტომ, რიგის ყენებაზე დათანხმება სისხლის აღების მოსურნეს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ: „ხომ უნდა მოვკლათ და რიგის დაბრუნებას რაღა ჭკვა აქვს ..... რიგს არ ვიყენებთ და როცა მოვკლავთ თავიც და რიგიც ერთმანეთში გაიბრებაო.“[685] შესაბამისად, რიგის ყენებაზე დაზარალებული მხარის დათანხმება რთულდებოდა. ასეთ დროს მკვლელი და მისი ახლობლები უაღრესად ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ. ისედაც ხდებოდა რომ დაზარალებული მხარე „რიგის ყენებაზეც“ უარს იტყოდა და ვერც მკვლელს მოკლავდა.[686]

რიგის ყენებაზე დათანხმება არ ნიშნავს დაზარალებული მხარის მიერ სისხლის აღებაზე უარის თქმას. მას ხელფეხი არ ეკვრება სისხლის ასაღებად. მიუხედავად ამისა მკვლელის მხარე უმეტეს შემთხვევებში მაინც ცდილობდა მიეღწია რიგის ყენებისათვის. ინფორმატორთა მონაცემების მიხედვით შეიძლება ამის მიზეზები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ჯერ ერთი, რიგის ყენება ძველთაგანვე დაწესებული სავალდებულო წესი იყო და აქ არ იანგარიშებოდა, თუ ამით რა მოგებას ან წაგებას ნახავდა რომელიმე მხარე, მეორეც, რიგის ყენება ერთგვარად ამშვიდებდა დაზარალებულს (როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს: ნაწილობრივ მაინც) და მისი გაბრაზება მცირდებოდა, რაც გარკვეულწილად არბილებდა დაზარალებულის დამოკიდებულებას მკვლელისადმი. რიგის ყენებაზე დათანხმების შემდეგ აღარ მოხდებოდა სახლში მივარდნა და შესაბამისად მამკვდრის მხარის დათანხმება რიგის ყენებაზე კარგის მაჩვენებლად ითვლებოდა და დამნაშავისთვის გარკვეულ შეღავათს წარმოად-

683 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 17; 7/5, 56, 57; 7/6, 67; 7/7, 74.

684 იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, №3, 27, 28; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 26.

685 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 22.

686 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 13, 35, 68; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 159.

გენდა.[687]

რიგის ყენებაზე დათანხმების შემდეგ დაიკვლებოდა ასამტეხლო საკლავი, შუაკაცები უკან დაბრუნდებოდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ მიუტანდნენ მოკლულის ოჯახს სახლის რიგს. მკვლელის სახლი მოკლულის სახლს სახლის რიგის სახით უგზავნიდა: ერთ კურეტს, ხუთ ხელით ძროხას და საკლავს (საკლავში ცხვარი იგულისხმება). ასეთი მონაცემი ძირითადად გვხვდება მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალაში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები).[688] ალ. ოჩიაურის მასალების თანახმად კი, სახლის რიგი შეადგენდა: სამი წლის კურეტს, სამ ჩარექ, ანუ სამ კილოგრამ სპილენძის ქვაბს და ორ საკლავს.[689] რ. ხარაძის შესაბამისი მონაცემიც ალ. ოჩიაურისას უახლოვდება: სამი წლის კურეტი (ბუღა), სამი ჩარექი სპილენძის ქვაბი, ორი საკლავი.[690] ბ. გოგოჭურის მიხედვით კი სამი წლის კურატი, სამი ცხვრის ღირებულების ხელითი დრამა და ერთი საკლავი.[691] დ. ცისკარაულის ცნობით კი ერთი ხარი, ერთი ცხვარი და 10 გირვანქა (4 ჩარექი) წონის სპილენძის რაიმე ნივთი.[692] აქვე უნდა ითქვას რომ, ნახსენებ მასალაში სახლის რიგის ოდენობის შესახებ განსხვავებული მონაცემებიც ფიქსირდება.[693] დ. ცისკარაულის თანახმად, კურეტი იკვლებოდა მოკლულის სულის მოსახსენებლად, საკლავი (ცხვარი) კი მოკლულის სოფლის ჯვარისთვის. სპილენძის ნივთიც ჯვარში რჩებოდა უნჯად.[694]

მონაცემები გვიჩვენებს, რომ სახლის რიგი მოიცავდა სამ აუცილებელ კომპონენტს: კურეტს, გარკვეული რაოდენობის სპილენძს (დრამას) და საკლავს. როგორც დავინახეთ ინფორმატორების მონაცემები მათ ოდენობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, თუმცა შეიძლება მათი განზოგადება და ძირითად მონაცემთა გამოყოფა. კერძოდ, ცალკე შეიძლება გამოვყოთ ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის ინფორმატორთა, ბ. გოგოჭურის და დ. ცისკარაულის მონაცემები. მათ მიხედვით სახლის რიგი შედგება კურეტის, სამ-ოთხ ჩარექიანი სპილენძის ქვაბის და 1-2 (ზოგი მონაცემით სამი) საკლავისაგან. XX საუკუნის

687 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 47, 70; №5, 36; №6, 57; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 17; 7/14, 159.

688 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 3, 46-47, №2, 46; №3, 20 და სხვა..

689 ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურეთის რჯული 1945, რვეული №3, 28; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 17, 26; 7/4, 44.

690 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 179.

691 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 75

692 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 35.

693 კერძოდ, მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორის თანახმად, სახლის რიგი არა ერთ, არამედ ორ საკლავს მოითხოვდა. ამ ინფორმატორთაგან ზოგიერთი საერთოდ არ საუბრობს სახლის რიგში ხუთ ხელით ძროხაზე და მხოლოდ კურეტსა და ორ საკლავს მიუთითებს (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 12, 35; №6, 54), რაც მათ მონაცემში ხარვეზზე უნდა მიუთითებდეს. გარკვეული რაოდენობის ხელითი ძროხა, როგორც სახლის რიგის აუცილებელი კომპონენტი, მონაცემების უდიდეს ნაწილში ფიქსირდება და ამდენად, მისი გამორიცხვა სახლის რიგიდან შეუძლებელია. იგივე ითქმის იმ ინფორმატორთა მონაცემებზე, რომლებიც სახლის რიგის სხვა რომელიმე კომპონენტზე (კურეტზე, საკლავზე) არ საუბრობენ (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 3; №3, 22).

694 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 35.

70-80-იან წლებში მ. კეკელიას და მისი დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილი მონაცემებით კი ძირითადად შედგება კურეტის, ხუთი ხელითი ძროხის დრამის და ერთი საკლავისაგან. აღსანიშნავია, რომ იგივე მასალებით რამდენიმე ინფორმატორის მიხედვით, სახლის რიგი დრამის სახით არა ხუთ ხელით ძროხას (20 კილოგრამი სპილენძი), არამედ სამ (ოთხ) კილოგრამ სპილენძს მოიცავდა,[695] როგორც ეს ალ. ოჩიაურთან, რ. ხარაძესთან, დ. ცისკარაულთან და ბ. გოგოჭურთან ჩანს.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველი პერიოდიდან ზოგადად სახლის რიგი ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის და ბ. გოგოჭურის მასალაში გადმოცემული ოდენობით გადაიხდებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში სახლის რიგის გადახდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩანერილ მასალაში დაფიქსირებული სახითაც დამკვიდრდა..[696]

რიგის ყენება გამოიხატებოდა იმაში, რომ სახლის რიგის მიტანის შემდეგ, დამნაშავის ოჯახი ვალდებული ხდებოდა წელიწადში ერთხელ დაზარალებულის მიერ დადგენილ დღეს (ეს ძირითადად იქნებოდა რომელიმე რელიგიური დღესასწაული, მაგალითად, ამაღლება, ათენგენობა, აღდგომა და სხვა) მოკლულის სახლისთვის გაეგზავნა რიგის საკლავი: თითო საკლავი მოკლულის სულის მოსახსენიებლად და გარკვეული რაოდენობის არაყი. რომელიმე წელს საკლავის დაგვიანება (თუნდაც ერთი დღით), ან არ გაგზავნა, ჯურუმის დაკისრებას გამოიწვევდა. ჯურუმის გადახდამდე რიგის საკლავი არ დაიკვლებოდა.[697] რიგის საკლავის დაკლების გამო შესაძლოა დაზარალებული მხარის წარმომადგენლებს ისევ ეფიქრათ საპასუხო მკვლელობის ჩადენაზე, როგორც მათი ნათესავის მკვლელობის საწყის მომენტში. ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ინფორმატორის თანახმად, თუ რომელიმე წელს „რიგის საკლავი" დაზარალებულის ოჯახს დროულად არ მიუვიდოდა, მაშინ ისევ აიღებდნენ თოფს მკვლელის მოსაკლავად.[698] ალ. ოჩიაურის ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მოკლულის ნათესავებმა მკვლელის სანათესაოდან ვინმეს მოკვლა გადაწყვიტეს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობიდან დიდი დრო იყო გასული.

695 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 68; №6, 2; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 4,

696 როგორც დავინახეთ, XX საუკუნის 70-80-იან წლებში მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალაში გვხვდება ცალკეული ცნობები სახლის რიგში შემავალი საკლავების და სპილენძის ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ალ. ოჩიაურის და რ. ხარაძის ცნობებში გადმოცემულის ანალოგიურია. აქ მსგავსება მხოლოდ სახლის რიგის ცალკეულ კომპონენტს ეხება და არა ყველას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახლის რიგის კომპონენტები დროთა განმავლობაში არ შეცვლილა, მხოლოდ მ. კეკელიას მასალებში საკლავის რაოდენობა გვხვდება შემცირებული, თუმცა სამაგიეროდ, სპილენძის ოდენობა გაზრდილი.

697 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 9, 46; №2, 3, 13, 46, 68-69; №5, 37, 55, 65-66; №6, 3, 54, 55; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8-9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31, 64; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 72; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 42; რ. ხარაძე ყოველწლიურად გასაგზავნ საკალვს „სამაჯნაო საკლავს" უწოდებს. მისი განმარტებით, ეს სახდელი საუკუნეების განმავლობაში არ ისპობოდა, ხოლო მამკლავი და მისი შთამომავლობა მას ერთი ცხვრის სახით ყოველწლიურად იხდიდა. რ. ხარაძე აღნიშნავს, რომ „სამაჯნაო რიგის" დაყენება გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ხვნა დაიწყებოდა და ხარის პირველი კვალი გავიდოდა (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 184).

698 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 72.

ამის მიზეზი ის გახდა, რომ მკვლელის მხარეს ყოველწლიური რიგის საკლავი დააკლდა. ვისაც ეს საკლავი გაატანეს არაყთან ერთად დამთვრალა და საკლავი და ხურჯინი დაუკარგავს. ინფორმატორის განმარტებით, რიგის დაკლება ხევსურეთში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და შესაძლოა შურისძიების განახლება გამოეწვია, რაც ამ შემთხვევაში მოხდა კიდევაც.[699]

ქალის მკვლელობის შემთხვევაში რიგის ყენება „წელშუ", (წელიწადგამოშვებით) მოხდებოდა, რადგანაც ქალის სისხლის ფასი ხევსურული რჯულით კაცის სისხლის ფასის ნახევარი იყო.[700]

მ. კეკელიას ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს, თუ როგორ უგზავნიდა მისი ოჯახი, როგორც მეხელის სახლი, ყოველწლიურად რიგის საკლავს მოკლულის ოჯახს. ინფორმატორის თქმით, ისინი ათენგენობა დღეს უგზავნიდნენ საკლავს და ერთი ქინთ (ტიკ) არაყს და ამას ძირითადად მისი დედა აკეთებდა. ხანდახან საკლავს და არაყს უცხო პირსაც ატანდნენ.[701] რიგის ყენება სავალდებულო იყო ნებისმიერ შემთხვევაში, რა კარგი დამოკიდებულებაც არ უნდა ყოფილიყო მხარეებს შორის.[702] რიგის ყენების ვალდებულება მაშინაც კი არსებობდა, როდესაც მკვლელი თავად იყო დაჭრილი (თუნდაც მძიმედ) მის მიერ მოკლულთან შუღლის შედეგად. ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მკვლელი თვითონ იყო ლოგინად ჩავარდნილი და ჭრილობებისაგან იტანჯებოდა, თუმცა ხევსურული რჯულის მიხედვით, მისი ოჯახი მაინც უყენებდა რიგს მოკლულის ოჯახს. კერძოდ, მამამისი რიგის საკლავს უგზავნიდა მოკლულის სახლს და ასევე, ჩვეულებრივ მოხდა სახლის, საგვაროს, სადედოს, საქალო რიგის დაყენება.[703] შესაბამისად, ჯურუმის დაკისრება იმ დროსაც მოხდებოდა, როდესაც მკვლელის მხარე რიგის ყენებაზე დასათანხმებლად მოკლულის მხარეს საკლავს არ გაუგზვნიდა. დაზარალებული მხარე იტყოდა „მაგან რა იცოდა, ვიყენებდი თუ არა რიგსო?"[704]

ჯურუმის გადახდის შემთხვევაში რიგის ყენება გაგრძელდებოდა, ხოლო თუ ჯურუმს არ გადაიხდიდა, მაშინ „რიგის გადაყრა" მოხდებოდა, რაც ნიშნავს, რომ მტრობა ხელახლა განახლდებოდა და რიგი რაც გადახდილი ჰქონდა მკვლელის მხარეს, ყველაფერი „ჩაუვლიდა". როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს: შურისძიება „იქავ დაიწყების, როგორც მკვლელობის დღეს."[705]

---

699 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1931, პირადი არქივი, რვეული №5, ხევსურთა ლაშქარი არხოტში, 34-35.

700 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 55; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37, 76. შეიძლება ნახევარი სისხლის (ან სისხლის ფასის რაიმე ნაწილის) დაკისრება მამაკაცის მკვლელობის შემთხვევაშიც მომხდარიყო. ამას მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც მოკლულსაც რაიმე მნიშვნელოვანი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი მომავალი მკვლელის მიმართ და ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ ქონებრივ საზღაურს გამოაკლებდნენ მკვლელობისათვის გათვალისწინებულ სისხლის ფასს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში პიროვნებამ მოკლა მისი ცოლის ნამგვრელი. რჯულმა დამნაშავეს ნახევარი თავი დააკისრა, ხოლო მეორე ნახევარი ცოლის ნაგვრაში გაუბრა. შედეგად, მკვლელი პირველი რიგის ყენების შემდეგ წელგამოშვებით უგზავნიდა მოკლულის ოჯახს თითო ცხვარს (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/10. 112).

701 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 6.

702 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9.

703 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/14, 167.

704 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 13.

705 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 72.

ძველად რიგის საკლავის ყოველწლიური გაგზავნა დაუსრულებლად ხდებოდა. თავის გათავების ინსტიტუტის შემოღების შემდეგ კი თავის გათავებით მამკლავის ყველა ვალდებულება წყდებოდა, მათ შორის რიგის საკლავის მიყვანის.[706]

მკვლელის ოჯახი ვალდებული იყო, როდესაც მოკლულს გარდაეცვლებოდა დედა, მამა, ძმა, ახლო (საძმოგაუყრელი) ბიძაშვილი შუაკაცის ხელით გაეგზავნა ერთი საკლავი და ერთი „ქინთი", ანუ ტიკი არაყი გარდაცვლილის ოჯახისათვის. საკლავის გაგზავნა დასაფლავებამდე უნდა მომხდარიყო.[707] თუ მოკლულის გარებიძაშვილი ქალია დაღუპული მაშინ მის ოჯახს გაუგზავნიდნენ ექვს აბაზ ვერცხლის ფულს და ერთ „ქინთ" არაყს.[708] ბ. გოგოჭურის თანახმად, მკვლელი და მისი ოჯახის წევრები თვალყურს ადევნებენ და სხვებისთვისაც დავალებული აქვთ, რომ მკვლელს დაუყოვნებლივ შეატყობინონ, თუ მათ მიერ მოკლულის ოჯახს გარდაეცვლება ოჯახის წევრი, თუ საძმოგაუყრელი ახლო ბიძაშვილი.[709]

3. 6. 4. სადედო რიგი. გარკვეული გადასახადი მკვლელის მხარეს უნდა გადაეხადა მოკლულის დედის ხაზით ნათესავებისათვისაც – მოკლულის დედის ძმებისა და ბიძაშვილებისათვის. კერძოდ,უნდა ეყენებინა სადედო რიგი და გადაეხადა გადასახადი, რომელსაც „სადედო" ერქვა.

სადედო რიგი საგვარო რიგის მსგავსად სალაშქრო რიგს წარმოადგენდა. კერძოდ, მას შემდეგ რაც გვარი წამოვიდოდა მკვლელის სოფელში და საგვაროს მიიღებდა, მკვლელის სოფლისკენ წამოვიდოდნენ მოკლულის დედის გვარი – დედისძმები და ბიძაშვილები. „დედის" მოსვლა, როგორც ხევსურები იტყვიან, ძველად ისეთივე წესით ხდებოდა, როგორც გვარის მოსვლა. ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით, მოსულებს „საგვაროს" მსგავსად სოფლის თავკაცები დაახვედრებდნენ სოფელში შემოსვლამდე „სადედოს" (ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში მოსულებს დაახვედრეს: სამი წლის კურეტი, ორი საკლავი და სამი ჩარექი (კილოგრამი) სპილენძის ქვაბი). როგორც საგვაროს შემთხვევაში, თუ მოასწრებდნენ „სადედოს" დახვედრებას საკუთარი მინა-წყლის იქით, მაშინ მოკლულის დედის გვარის წარმომადგენლები უკან გაბრუნდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში დამხვდურ მხარეს დამატებითი (ალ. ოჩიაურის მიხედვით – მესამე) საკლავიც უნდა მიეცა მოკლულის დედის მოგვარეებისათვის. თუ მკვლელის სოფელში შეასწრებდნენ, მაშინ ძველად მოკლულის დედის გვარს ასევე შეეძლო დაეწვა თუ დაენგრია მეხელის სახლი.[710]

მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორებს ასევე კარგად ახსოვთ, რომ სადედო რიგი საგვარო რიგის მსგავსად სალაშქრო რიგის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მკვლელის გვარის მსგავსად მისი დედის გვარიც წამოვიდოდა მეხელის დასალაშქრავად და თუ

706 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 47; №5, 55.

707 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 3; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 64; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 79.

708 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 79.

709 იქვე.

710 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეეული №3, 29; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 23; რ. ხარაძე ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 179.

სადედოს არ დაახვედრებდნენ შეიძლება სახლიც დაეწვათ. ერთ-ერთი ინფორმატორი იმასაც კი აცხადებს, რომ მოკლულის დედულებს შეეძლოთ მეხელის სოფელში სამი სახლის დაწვა: ერთი თვითონ მეხელის, დანარჩენი ორი სხვების, თუმცა არ ახსოვს კონკრეტულად ვისი.[711] ბ. გოგოჭურის მონაცემის მიხედვითაც, მოკლულის დედის ძმები და მათი ახლო მოგვარე ბიძაშვილები შეიარაღებულები ჯგუფურად მიემართებიან მათი დისწულის მკვლელის სოფლისა და სახლის მიმართულებით, რათა შურისძიების მიზნით დაჭრან მკვლელი, ან მისი ახლობელი ოჯახის წევრი, თუმცა დისწულის მკვლელის სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობის უფლება მათ არ აქვთ. ამის თავიდან ასაცილებლად მკვლელის მხარე, ისე როგორც მოკლულის გვარს დაახვედრებს გზაზე სამი წლის კურეტს, ერთ საკლავს და სამი ცხვრის ღირებულების ხელით დრამას. შუაკაცები სთხოვენ მოკლულის დედულებს აიღონ და დაიყენონ „სადედო რიგი" და უკან დაბრუნდნენ. იმ შემთხვევაში თუ დედულნი გადაკვეთენ მოკლულის დედულთ და მკვლელის სოფლებს შორის შუა-სასნორო საზღვარს და გადავლენ მკვლელის სოფლის მხარეს, ასეთ შემთხვევაში მკვლელის მხარემ მეორე საკლავიც უნდა მიუყვანოს დედულებს, რომ მოხდეს მათი დათანხმება სადედო რიგის აღებაზე და უკან გაბრუნებაზე.[712] როგორც ვხედავთ ბ. გოგოჭურის მონაცემებში დასტურდება ის, რომ სადედო რიგი სალაშქრო რიგია და ალ. ოჩიაურის მონაცემის მსგავსად ადასტურებს დამატებითი საკლავის მოთხოვნის სავალდებულობას, თუ მოლაშქრენი გადასცდებოდნენ გარკვეულ პირობით საზღვარს. ამ ავტორის თანახმად, მოკლულის დედულებს იმის გარდა რომ, მკვლელის და მათი ახლობლების დაჭრა შეუძლიათ და მათი მოკლულისადმი „შეწირვა", რაც პასუხისმგებლობას არ იწვევს, ასევე უფლება აქვთ, მოირიდონ და ხალხში არ მიუშვან მკვლელი და მისი მხარის წარმომადგენელი მამაკაცები. მოკლულის დედულებს ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ სადედო რიგის დაყენება და სადედოს გადახდა, როცა მკვლელობა ხდება ოჯახის წევრებსა და ძმა-ბიძაშვილებს შორის, როდესაც სისხლის აღება არ ხდება. მხოლოდ, დედულებს დისწულის მკვლელის სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობის უფლება არ ჰქონდათ.[713] მოკლულის დედულების მიერ სისხლის აღება საპასუხო მკვლელობად, თავის თავში გაბრად არ ჩაითვლებოდა და მოკლულისა და მკვლელის გვარებს შორის ახალ სისხლ-მესისხლეობას დაუდებდა საფუძველს.

ალ. ოჩიაურის მონაცემებით, „სადედოს" იხდიდა არა უშუალოდ მეხელის სახლი (ოჯახი). სადედო რიგს აყენებდა ის მეორე სახლი, რომელიც მკვლელის სახლთან ერთად საგვარო რიგიდან დარჩა თავისუფალი. გვარს რომ რიგს უყენებდნენ, ეს დამნაშავის გვარის ხარჯი იყო. წესის მიხედვით ერთი ან ორი სახლი (ოჯახი) არ მიიღებდა გვარის რიგის ყენებაში მონაწილეობას – შესაბამის ხარჯს არ გაიღებდა და რჩებოდა მეხელესთან ერთად. როგორც აღინიშნა, ეს სახლი იქნებოდა ან მკვლელის ძმის, ან ბიძაშვილის. მოსულ „დედას" სწორედ ეს ოჯახი უყენებდა რიგს. თუ მკვლელს ძმა არ ყავდა, მაშინ მეორე სახლად რჩებოდა მკვიდრი ბიძაშვილი, თუ ისიც არ ყავდა, მაშინ მეორე სახლად მოგვევლი-

711 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 3, 14, 32, 67; №5, 65; №6, 52; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31, 60.

712 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 70.

713 იქვე, 78.

ნებოდა უფრო ახლობელი ბიძაშვილი და ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს მეორე სახლად დარჩენილი, დედის რიგს ის უყენებდა.[714] ამდენად, ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით, „სადედო“ რიგს აყენებდა ე. წ. „მეორე სახლი“ – მკვლელის ძმის სახლი. ძმის არ ყოლის შემთხვევაში მის მონაცვლედ ამ ვალდებულების განხორციელებაში გვევლინებოდა უახლოესი ბიძაშვილი. ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც სწორედ „მეორე სახლმა“ – მოკლულის ძმამ აყენა სადედო რიგი.[715] ბ. გოგოჭურის მონაცემის მიხედვითაც, სადედო რიგს უყენებენ მკვლელის სწორედ გაყრილი ძმა-ბიძები და შინშები.[716]

საკლავს დახვედრის ადგილას დაკლავდნენ (ეს დაკლული საკლავი ძირითადად შუაკაცებს რჩებოდა), ხოლო დანარჩენს მოკლულის გვარი თან გაიყოლებდა და გაინაწილებდა. სპილენძის ქვაბი კი მოკლულის დედის ძმის ოჯახს რჩებოდა. თუ რამდენიმე დედის ძმა ყავდა მოკლულს, მაშინ კენჭისყრით გაირკვეოდა ამ ქვაბის მფლობელი.[717]

მკვლელის სახლის დაწვა, დანგრევა შედარებით ადრინდელი პერიოდისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. მ. კეკელიას მასალებში გვხვდება მონაცემი, რომლის მიხედითაც მოკლულის დედულეთის წარმომადგენლების მიერ მკვლელის ოჯახის „დალაშქვრას“ ქონდა სიმბოლური ხასიათი, მხოლოდ სადედოს გადახდა ჩვეულებრივ ხდებოდა. ერთ-ერთი ინფორმატორი სადედო რიგის ყენებასთან დაკავშირებით იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას: ინფორმატორის თანასოფლელმა ჩიბაშაურმა, რომელიც კახეთშია საცხოვრებლად გადასული (ახმეტის რაიონის სოფელ კვერნაძეულში) ათი წლის წინ მოკლა იქ ჩასახლებული ხევსური ლაგაზა. ლაგაზას დედული ხევსურეთში (სოფელ ღულში) ყავდა, ხოლო მკვლელი არხოტში იყო გადასახლებული. მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ მკვლელს შეატყობინეს: „მოხარშე ლუდი, სადედო უნდა ავიღოთო“. მართლაც, მოხარშეს ლუდი და ინფორმატორი გაგზავნეს მოკლულის დედის გვარის წარმომადგენლების მოსაყვანად, რომ მათ მიეღოთ „სადედო რიგი“. ინფორმატორმა მოიყვანა მოკლულის დედის გვარის ორი წარმომადგენელი. ორივე შემოსხდა მკვლელის სახლის ბანზე და მოითხოვეს „ბანზე შესამხმდომლო საკლავი“. იმ წუთასვე მიჰგვარეს ბატკანი და იქვე დაკლეს. ამის შემდეგ მიიყვანეს ისინი ლუდიან კოდთან და იქვე მიიტანეს 5 ძროხა სპილენძი. ამის შემდეგ დასხდნენ და დაიწყეს ლუდის სმა. იქვე იყვნენ მეზობლებიც. მოსულები მეორე დღემდე დარჩნენ. მეორე დღეს, როდესაც გადმოხდნენ მკვლელის ბანიდან, ერთმა მათგანმა დაიძახა: „მამეცით ერთი საკლავი „ბანიდან ჩამოსამხდომლო“ კიდევ მეკუთვნისო“. მიუყვანეს ეს საკლავიც. ჩაისვა იგი ხურჯინში, მისცეს სპილენძიც და წავიდნენ.[718] აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას სხვა ინფორმატორიც ადასტურებს, რომ სადედოს მიცემისას მკვლელის მხარე მოკლულის დედის გვარს მისცემდა ორ საკლავს, აქედან ერთი იყო „ბანზე შესამსხდომლო“ და მეორე „ბანიდან გადმოსამხდომლო“.[719] როგორც ჩანს, სადედო ძირითადად

714 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 23.

715 იქვე.

716 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 70.

717 რ. ხარაძე ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 179; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №6, 52, 53.

718 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 45.

719 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №4, 9.

მაინც ორ საკლავს მოიცავდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მონაცემები 1977 წელსაა ჩაწერილი, აღწერილი შემთხვევა XX საუკუნის 60-იან წლებში მომხდარა. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდისთვის მოკლულის დედის გვარის სალაშქროდ წამოსვლა აღარ იყო დაკავშირებული მკვლელის სახლის დანვასთან. სახლის ხელყოფის სიმბოლურ გამოხატულებად გვევლინება სადედოს მისაღებად მოსული მოკლულის დედის გვარის წარმომადგენლის მკვლელის სახლის ბანზე შეხდომა.

მასალების მიხედვით ასევე ჩანს, რომ მოკლულის დედის გვარი შესაძლოა საერთოდ არ წასულიყო მკვლელის ოჯახის დასალაშქრად და მას ისე გაუგზავნიდნენ სადედოს.[720] ასეთი შემთხვევის შესახებ საუბარია ბ. გოგოჭურის მონაცემში, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, როდესაც მოკლულის დედისძმები და მათი გვარი არ წავლენ მოკლულის სოფლის მიმართულებით და იქ არ მოხდება „სადედო რიგის" აღება და უკან გამობრუნება, მაშინ მკვლელის გაყრილი ძმები და შინშები, თავისი ხარჯებით, შუაკაცების ხელით, პატივისცემისა და წინასწარი შერიგების მიზნით, უგზავნიან „სადედო რიგს", კერძოდ, სამი წლის კურეტს, რომელიც იკვლება მოკლულის დედის სოფლის სალოცავის სამხვეწროდ, მოკლულის სულის მოსახსენიებლად, ერთ საკლავს და სამი ცხვრის ღირებულების დრამას.[721] ამდენად, სადედო რიგის აღება შესაძლოა დედისძმების გვარის ლაშქრობის გარეშეც მომხდარიყო.

სადედო რიგის ყენებისას გადასახადის ოდენობის შესახებ გარკვეული მონაცემები უკვე მოვიყვანეთ. ალ. ოჩიაურის მონაცემების თანახმად, სადედოს რიგის ყენებისას ხდებოდა სამი წლის კურეტის, ერთი საკლავის და სამი ჩარექის სპილენძის ქვაბის გადახდა,[722] ალ. ოჩიაურის სხვა მონაცემით კი ორი საკლავის გადახდა.[723] XX საუკუნის დასასრულის მონაცემებშიც ვხვდებით, რომ სადედო რიგის ყენება უნდა მომხდარიყო ერთი კურეტის, ორი საკლავის, სამი, ან ოთხი ჩარექი (კილოგრამი) სპილენძის ქვაბის გადახდით. ამ პერიოდის მასალებშიც გვხვდება მონაცემი სადედოს სახით კურატთან და სამი (ოთხი) კილოგრამი სპილენძის ქვაბთან ერთად არა ორი, არამედ ერთი საკლავის გადახდის შესახებ.[724] გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც „სადედოს" ოდენობა გარკვეული ავტორების მიხედვით 5 ძროხის დრამას შეადგენდა.[725] „სადედოს" იგივე ოდენობას ასახელებს XX საუკუნის 70-80-იანი წლების არაერთი ხევსური ინფორმატორიც. მათი განმარტებით, „სადედო" შეადგენდა 5 ძროხის დრამას და ამის გარდა ერთ საკლავს,[726] ზოგიერთი მონაცემით ორ საკლავს.[727]

720 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 3, 33, 47.

721 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 74.

722 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/4, 44.

723 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/2, 23.

724 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 3, 14, 47, 67; №6, 52; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 30.

725 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 47; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; ალ. ჭინჭარაული ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 732.

726 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 44; №2, 11; №3, 20; №5, 48; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 16.

727 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 44; 45.

როგორც ვხედავთ, არის წყება მონაცემებისა, რომელთა მიხედვითაც „სადედოს“ ოდენობა 5 ძროხის დრამაა ერთ თუ ორ საკლავთან ერთად და არის მეორე წყება მონაცემებისა, რომელთა მიხედვით დედულებისათვის გადასახდელი შეადგენს ერთ სამი წლის კურეტს, ერთ ან ორ საკლავს და სამ ან ოთხ კილოგრამ სპილენძის ქვაბს. აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ბ. გოგოჭურის მონაცემი. როგორც დავინახეთ აღნიშნული მკვლევარის თანახმად, მკვლელის სოფელში სალაშქროდ წასული მოკლულის დედულებისათვის სადედო რიგის საყენებლად უნდა დაეხვედრებინათ ერთი სამი წლის კურეტი, ერთი საკლავი და სამი ცხვრის ღირებულების ხელითი დრამა, ან თუ მკვლელის სოფლისკენ აღნიშნულ ლაშქრობას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ იგივე სახდელი შუაკაცების ხელით გაეგზავნებოდა დედულებს. ბ. გოგოჭურის თანახმად, დედულებისათვის გადასახდელი საზღაური ამით არ სრულდებოდა. მკვლელის მხარის მოკლულის დედულებთან საბოლოო შერიგებისათვის სადედო რიგის ყენების გარდა აუცილებელი იყო „სადედოს“ რიტუალის ჩატარება. იგი გულისხმობდა მკვლელის სახლში ლუდის დუღებას, ერთი საკლავის დაკვლას და 5 ხელითი ძროხის ღირებულების დრამის გადახდას, ამის გარდა, მოკლულის სალოცავად მორთული თასის, ან ყანწის მიტანას. ამის შემდეგ ხდებოდა მკვლელის მხარის მოკლულის დედულებთან შერიგება. მხოლოდ თავის გათავებამდე მკვლელის მხარეს მოკლულის დედულებისათვისაც უნდა ეძლია „პატივი“.[728]

ამდენად, ბ. გოგოჭურის მიხედვით გამოდის, რომ მკვლელის მხარეს უნდა გადაეხადა სხვა მონაცემებში მოცემული ორივე სახის სახდელი: 1. სადედო რიგის ყენებისას სალაშქროდ წამოსული დედულებისთვის – სამი წლის კურეტი, საკლავი და დრამა (3 კილოგრამი სპილენძი) და 2. „სადედო“ – 5 ძროხის ღირებულების ხელითი დრამა და საკლავი.

ჩვენს ხელთ არსებულ სხვა მასალაში ასეთი მონაცემი არ გვხვდება. ყველა ავტორი მოკლულის დედულებისათვის გადასახადად ან ერთი სახის სახდელს მიუთითებს, ან მეორეს და არსად ფიქსირდება ორივე ერთად, თანაც სხვადასხვა დროს. მაგალითად, ალ ოჩიაურთან „სადედო რიგის ყენებაც“ და „სადედოც“ გულისხმობს, როგორც აღინიშნა, ერთი კურეტის, ორი საკლავის და სამი კილოგრამი ხელითი დრამის (სპილენძის ქვაბის) გადახდას. სხვა რაიმე სახდელის გადახდას მოკლულის დედულების სასარგებლოდ ალ. ოჩიაურის მასალებში ვერ ვხვდებით. მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორები, რომლებიც საუბრობენ სალაშქროდ წამოსული მოკლულის დედულებისთვის კურეტის, სამი-ოთხი კილოგრამი სპილენძის დრამის და საკლავის დახვედრებაზე, სხვა რაიმე გადასახადის გადახდის სავალდებულობას მოკლულის დედულების სასარგებლოდ არ მიუთითებენ, ისევე როგორც ის ინფორმატორები, რომლებიც საუბრობენ იგივე სალაშქროდ წამოსული დედულებისათვის „სადედოდ“ საკლავის და 5 ძროხის ხელითი დრამის გადახდაზე. მასალების თანახმად, რომელიმე სახის ეს გადასახადი დედულებისათვის მათ ან სალაშქროდ წამოსვლისას მიეცემა, ან თუ სალაშქროდ წასვლა არ ხდება, შუაკაცების ხელით ეგზავნება. ამის გარდა, კიდევ სხვა გადასახადი ბ. გოგოჭურის მონაცემების გარდა არ გვხვდება, კერძოდ, სადედოს რიტუალის გადახდის ვალდებულება და ამ დროს დედულებისთვის გადასახადის გადახდა.

728 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 70, 74.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არის მკვლელის მხარის მიერ მოკლულის დედის ძმებისთვის (დედულებისთვის) გადასახდელი საზღაურის შესახებ არსებობს სამგვარი მონაცემი, კერძოდ, სადედო რიგის ყენებისას მოკლულის მხარეს მკვლელის დედულებისათვის უნდა გადაეხადა: 1. ან სამი წლის კურეტი, საკლავი (სხვადასხვა ცნობით, ერთი ან ორი) და სპილენძის დრამა (3-4 კილოგრამი, იგივე სამი-ოთხი ხელითი ცხვარი), 2. ან ხუთი ძროხის ღირებულების ხელითი დრამა და საკლავი (ზოგი მონაცემით ორი). 3. ან ორივე სახის გადასახადი – პირველი სადედო რიგის ყენებისას, მეორე კი სადედოს ცერემონიალისას, რა დროსაც ხდება „სადედოს" როგორც გადასახადის გადახდა 5 ძროხის ოდენობით, რაც მხოლოდ ბ. გოგოჭურთან გვხვდება.

ასეთი არაერთგვაროვანი ცნობები ჩვეულებითი სამართლის მონაცემებში გასაკვირი არაა და ჩვეულებრივი მოვლენაა. მოკლულის დედულებისათვის ამ ორის სახის სახდელის არსებობა ეჭვს არ იწვევს – არაერთი მონაცემი ადასტურებს მათ არსებობას.

ჩვენი აზრით, სადედოს გადახდის ამ ორ განსხვავებულ წესს შორის წინააღმდეგობას ლოგიკურად ხსნის ბ. გოგოჭურის მონაცემი, რომელიც ორივე ამ ვარიანტის გამოყენებას თავის ადგილს მიუჩენს: პირველი სახის სახდელი გადაიხდება მკვლელის სოფელში სალაშქროდ წამოსული დედულების უკან გასაბრუნებლად, „სადედო რიგის ყენებისას" მეორე სახის სახდელი კი – „სადედო" 5 ძროხის ოდენობით – გადაიხდება მოგვიანებით, როდესაც მკვლელის მხარე ატარებს „სადედოს" ცერემონიალს ლუდის მოხარშვით და საკლავის დაკვლით („სადედო" რომ ხუთი ხელითი ძროხაა ეს არაერთ ავტორთან – ნ. ხიზანაშვილი, ს. მაკალათია, ალ. ჭინჭარაული და სხვა დასტურდება).

ბ. გოგოჭურის მონაცემი „სადედოს" შესახებ დამიდასტურეს ტარიელ და იოსებ არაბულებმა, ასევე პეტრე გოგოჭურმა. მათი განმარტებით, გვარს და დედულს ჭირდება ერთნაირი დახვედრა, ერთნაირი გადასახადი – კურეტი, ორი საკლავი და სამი ცხვრის დრამა, იგივე სამკილოგრამიანი ქვაბი. თუმცა საბოლოო შერიგებისათვის ეს საკმარისი არაა. ამისათვის საჭიროა გარკვეული დროის შემდეგ სადედოს – საკლავის და 5 ხელითი ძროხის გადახდა, სამი ან ხუთი საწყვის[729] ლუდის დუღება, თასი, ან ყანწი სალოცავად.[730] ეს მონაცემები მიუთითებს ბ. გოგოჭურის ცნობის სისწორეს და მოკლულის დედულებთან შესარიგებლად მკვლელის მხარის მიერ ორივე სახის სახდელის გადახდის აუცილებლობას.[731]

თუ მოკლულს დედის ძმა (ძმები) გარდაცვლილი ჰყავდა, მაშინ „სადედოს" მისი შვილები მიიღებდნენ. მიღებული საზღაური აღნიშნული ნათესაური ჯგუფის (მოკლულის დედის გვარის წარმომადგენელთა) შიგნით ნაწილდებოდა.[732] ნ. ხიზანაშვილის ცნობით, თუ მოკლულს ეს ნათესავები არ ჰყავდა აღნიშნული საზღაური მის ოჯახს რჩებოდა.[733]

---

729 ერთი საწყვი, საწყაო – 1 ფუთი, ანუ 16 კგ. ქერისგან ადგულებულ ლუდს უდრიდა.

730 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 3, 12.

731 ბ. გოგოჭურის მიერ გადმოცემული სადედოს გადახდის წესის რეალურობა, ალაგის წესის გათვალისწინებით, არ გამორიცხავს აღნიშნული ორი სახის სახდელის ცალ-ცალკე გამოყენების შესაძლებლობასაც.

732 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 48; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 190.

733 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

3. 6. 5. საქალო რიგი. საქალო რიგი ხევსურეთში გულისხმობდა მეხელის ოჯახის მიერ გარკვეული გადასახადის გადახდას მოკლულის დისა და მამიდისადმი. შესაბამისად ამ გადასახადებს ერქვა „სადო“ და სამამიდო“.

ამ გადასახადის გადახდა მეხელისათვის სავალდებულო იყო. ალ. ოჩიაურის ინფორმატორის ცნობით „სადო“ 10 ცხვარის ოდენობის იყო, ხოლო „სამამიდო“ 5 ცხვარი. მის ერთ-ერთ ინფორმატორს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს, როდესაც მეხელემ აღნიშნული გადასახადები სწორედ ამ ოდენობით გადაიხადა.[734] ნ. ხიზანაშვილის,[735] ს. მაკალათიას,[736] რ. ხარაძის[737] მიხედვით „სადო“ და „სამამიდო“ ცხრა-ცხრა ცხვარს შეადგენდა. ალ. ჭინჭარაულიც „სადოს“ ოდენობად 9 ცხვარს ასახელებს.[738]

როგორც ვხედავთ, მოყვანილი უმრავლესი მონაცემის (XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის I ნახევრისა) მიხედვით „სადო“ და „სამამიდო“ 9 ცხვარს შეადგენდა. გამონაკლისი მხოლოდ ალ. ოჩიაურის მონაცემია, რომლის თანახმადაც „სადო“ (10 ცხვარი) დიდად არ განსხვავდება სხვა მონაცემებისაგან. ერთი ხელითი ცხვრის ცდომილება ჩვეულებითი სამართლის ნაკლებადგანსაზღვრულობიდან გამომდინარე გასაკვირი არაა. შესაძლებელია ხევსურეთის რომელიმე საზოგადოებაში სადო სწორედ 10 ცხვარი ყოფილიყო. იგივე ითქმის სამამიდოს ოდენობის თაობაზე ალ. ოჩიაურის მონაცემების შესახებაც. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა მეხელეს იგი მართლაც 5 ხელითი ცხვრის ოდენობით გადაეხადა, როგორც ეს ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში ჩანს.

„სადოსა“ და „სამამიდოს“ შესახებ ცნობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება. ხევსური ინფორმატორების ცნობით: სახლის რიგის დაყენების შემდეგ მეხელის ოჯახი მოკლულის დასა და მამიდას უგზავნის შესაბამისად „სადოს“ და „სამამიდოს“ – თითო საკლავს და თითო ქინთ არაყს. თუ არ გაუგზავნიდნენ, მტრობა არ მოისპობოდა.[739] ერთ-ერთი მათგანი (ბაბო საყურას ძე არაბული, ბაცალიგოდან) მიუთითებს, რომ ადრე სამამიდო და სადო იყო 9 ცხვარი, ხოლო ახლა ერთი საკლავი და ერთი ქინთი სასმელია.[740] ზოგიერთი ინფორმატორის მონაცემით კი სადო და სამამიდო გარდა საკლავისა და სასმლისა ასევე გულისხმობდა გარკვეული რაოდენობის სპილენძის დრამის გადახდის ვალდებულებას. ერთი ინფორმატორის მიხედვით ეს იყო ორ-ორი კილოგრამის სპილენძის დრამა.[741] კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით „სადო“ შეადგენდა საკლავს და სამ ხელით ცხვარს (ანუ სამი კილოგრამი სპილენძს), ხოლო სამამიდო იყო ხუთი ხელითი ძროხა და ერთი საკლავი.[742] მეორე ინფორ-

734 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 39; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 30.

735 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 47.

736 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 83.

737 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1. 1947, 179.

738 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 733.

739 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 3, 14, 47, 70.

740 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 70.

741 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 9.

742 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 47.

მატორიც ადასტურებს რომ სამამიდო 5 ხელითი ძროხა იყო, თუმცა შემდეგ შემცირდა სამ ხელით ცხვარამდე, ხოლო სადო იყო 5 ხელითი ცხვარი.[743] გვხვდება მონაცემები, რომელთა თანახმადაც, სამამიდოც და სადოც 5 ხელით ძროხას და ერთ საკლავს შეადგენდა.[744] ბ. გოგოჭურის მონაცემების მიხედვით კი სადო და სამამიდო საკლავის და სასმლის გარდა ითვალისწინებდა სამი ხელითი ცხვრის გაგზავნას.[745]

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სადო" და „სამამიდო" შედარებით ადრეულ პერიოდში (კერძოდ, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I ნახევრის მასალებით) ძირითადად ცხრა ცხვარს წარმოადგენდა, თუმცა შესაძლოა კონკრეტულ საზოგადოებაში სხვა ოდენობაც ყოფილიყო. როგორც მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი ამტკიცებს, ეს ოდენობა ძველად იყო, შედარებით გვიანდელ პერიოდში კი სხვაგვარი ოდენობა ფიქსირდება.

XX საუკუნის 70-80-იანი წლების და შემდგომი პერიოდის მონაცემებით საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით სადედოსა და სამამიდოს ოდენობის შესახებ. საერთო, ძირითადი სურათი კი ასეთია: უმეტესი მონაცემით საქალო რიგი (სადო და სამამიდო) იყო ერთი საკლავი და ქინთი არაყი,[746] ან აღნიშნულ საკლავთან და სასმელთან ერთად სამი (ზოგიერთი მონაცემით ორი) ხელითი ცხვრის დრამა (მაგალითად, ბ. გოგოჭურის მონაცემით). ზოგიერთი მონაცემით კი სამამიდო და სადო ხუთ ხელით ძროხას და საკლავს შეადგენდა. არის მონაცემი სამამიდოს დროთა განმავლობაში შემცირების შესახებ (5 ძროხიდან 3 ცხვრამდე). გასათვალისწინებელია რომ ერთი ცოცხალი („სისხლიანი") საკლავი 5 ძროხას უდრიდა. შესაბამისად, როდესაც ინფორმატორები სამამიდოს და სადედოს ოდენობად ასახელებენ საკლავსა და ქინთ არაყს, ფაქტიურად გულისხმობენ სამამიდოს და სადოს საზღაურად 5 ძროხას. როგორც ვნახეთ, ზოგიერთი ინფორმატორი სადოს და სამამიდოს ოდენობად პირდაპირ 5 ძროხას მიუთითებს, თუმცა საკლავთან ერთად. ეს მიუთითებს, რომ XX საუკუნის 70-80-იანი და შემდგომი წლების მონაცემთა უმრავლესობა სადოსა და სამამიდოს ოდენობას 5 ძროხას უკავშირებს, თუმცა ან საკლავთან, ან ორ-სამ ხელით ცხვართან ერთად, ან ყოველივე ამის გარეშე მხოლოდ საკლავისა და არაყის სახით. შესაძლებელია რომ სამამიდოსა და სადოს გადახდა ნებისმიერი ამ სახით მომხდარიყო, კერძოდ, რომელიმე მათგანი გამოყენებულიყო სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში (ძირითადად ალაგის წესის გათვალისწინებით). მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სამამიდო და სადო შესაბამისად მხოლოდ 3 თუ 5 ხელითი ცხვარია, ეს ან არასწორი მონაცემია, ან მართალაც შესაბამისი გადასახადის შემცირების ტენდენციის ამსახველი, რაც მ. კეკელიას ერთ-ერთ ინფორმატორთან ფიქსირდება.

როდესაც ვსაუბრობთ „სადოს" და „სამამიდოს" გადახდაზე, გასათვალისწი-

743 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 38.

744 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 65; გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 14.

745 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 76.

746 იგივეს დადასტურებას ვხვდებით ბ. გოგოჭურის ჩანაწერებში, მისი ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის მიერ. კერძოდ, ბენინურ არაბული უარყოფს სადოდ და სამამიდოდ 3 ცხვრის ხელითი დრამის გადახდას და ამბობს, რომ ეს შესაძლოა ძველად ყოფილიყო. მის ხსოვნაში კი სადო და სამამიდო ერთი საკლავის და სასმლის მიტანას გულისხმობდა (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები", 118).

ნებელია, რომ ამ სახდელის მიმღებები იყვნენ მოკლულის გათხოვილი მამიდა და და. ხევსურული რჯულით მოკლულის ოჯახთან და ძმა-ბიძაშვილებთან ერთად, მკვლელობის შემთხვევაში დაზარალებულად ითვლებოდნენ მოკლულის გათხოვილი მამიდები, დები და მათი შვილები. ეს უკანასკნელნი მოკლულის მოგვარეები არ იყვნენ, მაგრამ, როგორც მისი მამიდაშვილები და დისშვილები თავის დედის ძმის (ძმისშვილის) მკვლელს და მის ახლობლებს მტრობენ და შესაძლოა შეხვედრისას იარაღით დაჭრან და თავის მოკლულ დედისძმას (ძმისშვილს) შეწირონ. ასეთი დაჭრისას ისინი პასუხს არ აგებენ სისხლით და დრამით, მომავალში მტრების შერიგებისას. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად და სწორედ მათთან შემორიგებისთვის იხდის მკვლელის მხარე „სადოს“ და „სამამიდოს“.[747]

თუ მოკლულს არაერთი გათხოვილი და, ან მამიდა ყავდა, მაშინ „სადოს“, და „სამამიდოს“ მიიღებდა უფროსი და და მამიდა, რის შემდეგაც ყველა მამიდა და და შემორიგებულად ითვლებოდა და მათ ცალკე დრამა და საკლავ-სასმელი აღარ ეკუთვნოდათ.[748] მოკლულის დებისა და მამიდების რაოდენობა გავლენას არ ახდენდა „სადოს“ და „სამამიდოს“ ოდენობაზე, იგი ნებისმიერ შემთხვევაში უცვლელი რჩებოდა.[749]

3. 6. 6. საძმო რიგი. საძმო რიგს მკვლელის ბიძაშვილები უყენებდნენ მოკლულის ბიძაშვილებს. „საძმო“, როგორც სახდელის ოდენობა შეადგენდა 5 ხელით ძროხას. მკვლელის ბიძაშვილები მოკლულის ბიძაშვილებს შუაკაცების ხელით მოკლულის ჯვარში უგზავნიდნენ კურეტს, საკლავს (ზოგიერთი მონაცემით ორს) შესაბამისი ოდენობის დრამას და სვეს ლუდის მოსახარშად (ადუღებდნენ სამი ან ხუთი საწყვის ლუდს). შემდეგ მკვლელის ბიძაშვილებიც მივიდოდნენ ამ ჯვარში, სადაც მოხდებოდა მათი შერიგება მოკლულის ბიძაშვილებთან.[750]

მკვლელისა და მოკლულის ბიძაშვილების პირშესამყრელო მკვლელობიდან გარკვეული დროის შემდეგ მიიღწეოდა. ამ ვადის ხანგრძლივობა კონკრეტულ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. გ. თედორაძის მიხედვით, ბიძაშვილების შერიგება მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ,[751] მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორების თანახმად კი მკვლელობიდან დაახლოებით 1-3 წლის შემდეგ ხდებოდა.[752] ზოგიერთი მონაცემით ეს შესაძლოა უფრო გვიანაც მომხდარიყო.[753] შედარებით გვიანდელ პერიოდში ბიძაშვილების შერიგება უფრო ადრეც მომხ-

747 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 76.

748 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 76-77; გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, ქ. დუშეთი, 2016, 14; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №2, 3, 70; №6, 3-4.

749 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №1, 47; №2, 47.

750 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №1, 4, №2, 4-5, 16, 36, 70; №3, 24, 25; №5, 49, 50-51; №6, 6, 55, 62; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 65; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეეული №3, 32; მისივე, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1, 1; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 30; 7/4, 45.; 7/5, 51, 57; მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/16, 6; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 181; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 75.

751 გ. თედორაძე, ხუთი-წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 116.

752 მ. კეკელია, მასალები ხეესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №2, 4; №5, 35.

753 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №6, 5.

დარა. მაგალითად, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ.[754] არხოტელი ინფორმატორის ცნობით, ახალი წესით რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს პირშესამყრელო.[755] ეს არხოტელი ინფორმატორი გულისხმობს არხოტში 1927 წელს მიღებულ თავ-მეთავეობის შესახებ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც გარე ბიძაშვილები ჩაითვალნენ თითქმის თავისუფლად სისხლ-მესისხლეობისაგან, მხოლოდ დადგენილ იქნა, რომ უფრო სწრაფად მომხდარიყო მათი პირშესამყრელო. შინშები (ახლო ბიძაშვილები) კი მხოლოდ ნახევარი წელი უნდა მორიდებოდნენ დაზარალებულებს.[756] საერთოდ, მკვლელის ბიძაშვილებთან მოკლულის ბიძაშვილების შერიგება ხდებოდა მამკვდარის სახლის ნებართვით.[757]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ შედარებით ძველ პერიოდში ხევსურეთში ბიძაშვილების შერიგება მკვლელობიდან ერთი ან რამდენიმე წლის შემდეგ ხდებოდა. რადგანაც შერიგება მოკლულის ოჯახის ნებართვით ხდებოდა, მას შესაძლოა ამ ნებართვის გაცემა საკმაოდ დიდხანს გაეჭანჭლებინა. ეს ბევრწილად დამოკიდებული იყო მკვლელობის ხასიათზე და შესაბამისად დაზარალებული მხარის მტერზე განაწყენების ხარისხზე. მონაცემების მიხედვით, უფრო გვიანდელ პერიოდში ჩანს ბიძაშვილების შერიგების არსებითად დაჩქარების ტენდენცია.

მოკლულის ოჯახი ნიშნავდა შერიგების დროსაც და ჯურუმსაც დააკისრებდა მკვლელის ბიძაშვილთაგან იმათ, ვინც მკვლელობის შემდეგ რაიმე ცუდს იტყოდა დაზარალებულ მხარეზე, იმღერებდა, იცეკვებდა. შესაბამისად, შუაკაცები ამ ჯურუმებს მოამზადებდნენ დრამის სახით და „საძმოსთან" ერთად მიუტანდნენ.[758] ჯურუმის ოდენობა ამ შემთხვევაში 3-დან 5 ცხვარამდე იყო.[759]

ამ შერიგებაში მონაწილეობას იღებდნენ მოკლულის მამა, ძმები, ბიძები, შინშები, გარე ბიძაშვილები.[760] მკვლელის მხრიდან ბიძაშვილების შერიგებაში მონაწილეობის მიმღებთა შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არაერთგვაროვანი მონაცემებია.

მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორების ერთი ჯგუფი მიუთითებს, რომ საძმოს იხდიდა და შესაბამისად ბიძაშვილთა შერიგებაში მონაწილეობას იღებდა მკვლელის გარე ბიძაშვილობა.[761] ამ ინფორმატორთა განმარტებით, გარე ბიძაშვილებში იგულისხმება ერთი მამიდან წარმოშობილები, რომლებშიც არ შედის I-II-III მამით შინშები[762] (მკვიდრი და ახლო ბიძაშვილები). III მამით შინშების

754 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 23.

755 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 35.

756 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 90.

757 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 36; №5, 48.

758 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 31-32; მისიეე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/5, 57.

759 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 50.

760 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 4, 16, 70.

761 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 4, 16.

762 შინშები (საუბარია მამით შინშებზე) ღვიძლი ბიძაშვილებია. მათი შვილები მეორე შინშები, შვილიშვილე-

შემდგომი ბიძაშვილები წარმოადგენენ მესაძმოებს.[763] ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც გამოდის, რომ ბიძაშვილთა პირშესამყრელოში მონაწილეობას იღებდნენ მკვლელის შედარებით შორეული, გარე ბიძაშვილები (არა ოჯახის წევრები და ახლობელი „სახლისკაცები").[764]

ინფორმატორთა მეორე ჯგუფის განმარტებით კი საძმოს გადახდასა და აღნიშნულ შერიგებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო გარე ბიძაშვილები, არამედ შინშები და მათი შვილებიც.[765] შერიგებას არ ესწრებოდნენ მხოლოდ მკვლელი, მისი მამა, ძმები და ე. წ. „გაწირული".[766] ამდენად, ამ დროს მათი შემორიგება არ ხდებოდა.[767] აქ ჩანს, რომ ამ შერიგებაში მთელი ბიძაშვილობა იღებდა მონაწილეობას.

იმის გასარკვევად თუ ამ ორი განსხვავებული ხასიათის მონაცემიდან რომელია სწორი, საუკეთესო გამოსავალია განვიხილოთ საძმოს გადახდის კონკრეტული შემთხვევები ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით. მ. კეკელიას ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს ბიძაშვილების შერიგების კონკრეტულ ფაქტს, რომელშიც თვითონ მას მიუღია მონაწილეობა. ამ შერიგებისას მხოლოდ მკვლელის გარე ბიძაშვილები მონაწილეობდნენ.[768] იგივეს ვხვდებით ალ. ოჩიაურის მიერ აღწერილ რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევაში.[769] ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, პირველი სახლი რიგს უყენებს მოკლულის სახლს, მეორე სახლი – მოკლულის დედულებს და მესამე: საძმოს იხდის მესაძმოე. მისი განმარტებით, საძმო უნდა გაიღონ მკვლელის მესაძმოებმა – გარე სახლისკაცებმა და ეძლევა მოკლულის გარე სახლისკაცებს (ბიძაშვილებს).[770] ამავე ინფორმატორის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაშიც საძმო გაიღეს ჭოლიკაურების (მკვლელი გვარად ნიკლაური იყო მამით ჭოლიკაური) იმ პირებმა, რომელთაც პირშესამყრელო ჰქონდათ (გარე ბიძაშვილებმა) და მიიღეს მოკლულის გარე ბიძაშვილებმა.[771] ეს კონკრეტული ფაქტების აღმწერი მონაცემები მიუთითებს, რომ საძმოს გადახდაში მხოლოდ გარე ბიძაშვილები იღებდნენ მონაწილეობას.

ალ. ოჩიაურის მიერ კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში (გაგა თეთრაულმა

ბი კი მესამე (რ. ხარაძე, ნათესაობის სისტემის საკითხისათვის ხევსურეთში, ენიმკის მოამბე, 1940, V–VI, 509).

763 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 16, 36.

764 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 82.

765 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 70; №3, 4; №5, 48; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32.

766 ხევსურეთში მოკლულის ოჯახს ხევსურული რჯულის მიხედვით უფლება ჰქონდა მკვლელის გვარში, მის ბიძაშვილებში შეერჩია გამორჩეული ვაჟკაცი (ერთი ან ორი) და „დაეტანა" მკვლელისთვის. ამას სახალხოდ გამოაცხადებდნენ და მას შემდეგ რაც მოკლულის მხარე შეურიგდებოდა მკელელის ძმა-ბიძაშვილებს, სისხლის აღების საშიშროების ქვეშ მკელელთან ერთად დატანებულიც რჩებოდა. მას ისეევე დევნიდნენ, როგორც მკვლელს. თუ მკვლელს ვერ მოიხელთებდნენ, მაშინ შესაძლოა სისხლის აღების ნიადაგზე სწორედ დატანებული მოეკლათ, რომლის თავსისხლი მოკლულის თავსისხლში გაიბრებოდა. საპასუხო მკვლელობის გარეშე შერიგების შემთხვევაში „დატანებულს" მკელელთან ერთად ირიგებდნენ (გ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 82). „დატანებული" „სათოფედ განირულადაც" იწოდება..

767 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 43; №2, 79; №5, 50; №6, 7.

768 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 24.

769 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 30; 7/4, 45; 7/5, 51.

770 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 30.

771 იქვე.

მოკლა ბაბო ცისკარაული) ჩანს, რომ საძმოს გაღებაში და ბიძაშვილების შერიგებაში მკვლელის ყველა სახლიკაცს (ბიძაშვილს)მიუღია მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, შესაბამის მონაცემში არ არის მითითებული, რომ საძმოს მისატანად და შესარიგებლად ჯვარში მხოლოდ გარე ბიძაშვილები მივიდნენ, თუმცა არც ისაა დაკონკრეტებული, რომ მათ შორის მკვლელის შინშებიც (ახლო ბიძაშვილებიც) იყვნენ.[772] განსახილველი საკითხის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ბიძაშვილების შერიგების აღწერამდე მითითებულია, რომ დაზარალებულმა მხარემ სწორედ გარე ბიძაშვილებს მისცეს უფლება თავის სოფელში ცხოვრებისა და იქ საქმიანობისა. იქვე მითითებულია, რომ გაგას, ანუ მკვლელს ახლობელი არავინ ჰყავდა.[773] ეს მინიშნება შესაძლოა იმას გულისხმობდეს, რომ მკვლელს არ ყავდა ახლო ბიძაშვილები და ამდენად, ყველა ბიძაშვილი, რომელიც მას ყავდა და საძმოს გადახდაში მიიღო მონაწილეობა, მისი გარე ბიძაშვილი იყო.

ჩვენს ხელთ არსებული უმრავლესი მონაცემის მიხედვით გამოდის, რომ ხევსურეთში საძმოს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მკვლელის გარე ბიძაშვილებს. ხევსურეთში გვარები იყოფა ქვეგვარებად. ქვეგვარს ხევსურეთში მამას უწოდებენ, ქვეგვარებად დაყოფას მამ-მამად დაყოფას. გვარის შემადგენელი ზოგიერთი მამები ერთმანეთთან უფრო ახლოს არიან (ისინი ერთ საძმოს შეადგენენ), ზოგიერთი უფრო დაშორებულნი და მათ ძმობა გაყრილი აქვთ. ერთი მამის წევრები ერთმანეთის ახლო ბიძაშვილებს, სახლიკაცებს წარმოადგენენ. ამ ნათესაურ ჯგუფს შეადგენენ ერთმანეთის შინშები, რომლებიც მამის ხაზით სამ თაობას შეადგენენ (ძმათა შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები). ამ სამი თაობის შემდეგ თაობები ქმნიან ახალ მამებს. ეს ახალი მამები გარკვეული ხნის განმავლობაში არსებობენ საძმოს შიგნით, როგორც ცოტად თუ მეტად ერთმანეთთან დაახლოებული სისხლით ნათესავები, რომლებსაც ერთმანეთის მესაძმოებს უწოდებენ, ანუ მესაძმოები არიან უკვე ნათესაობის შემდეგ საფეხურზე მყოფი პირები. მესაძმოები შესაძლოა სხვადასხვა გვარის მატარებლებიც ყოფილიყვნენ (ბუნებრივია მათ ძველად ერთი საერთო გვარი ჰქონდათ და ამ გვარის სხვადასხვა ახლობელი მამების წარმომადგენლები იყვნენ). მესაძმოებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო მინათმფლობელობა, საძმო რიგები, ეგზოგამიურობა. სწორედ მკვლელის მესაძმოები იხდიდნენ საძმოს, საძმოში შემავალი სხვა მამის წევრები და არა მისი მამის წევრები, ახლო ბიძაშვილები, სახლიკაცები. მესაძმოებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ თავი აერიდებინათ საძმოს გადახდისაგან და საერთოდ, მოკლულის მხარის მიმართ გარკვეული ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ მკვლელთან და მის სახლიკაცებთან საძმოს გაყრიდნენ, მკვლელს და მის სახლიკაცებს, როგორც ნათესაურ ჯგუფს მოიკვეთდნენ, რაც სალოცავში (ჯვარში) სამნის ჩასმით ხდებოდა.[774] საერთოდ საძ-

772 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/5, 57-58.

773 იქვე, 56.

774 ხევსურული საზოგადოების ცნობიერება გვაროვნული სოლიდარიზმის იდეით იყო გამსჭვალული და მკვლელი ნათესავის, მისი სახლიკაცების მარტოდმარტო დატოვება მტრის პირისპირ, ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში მისთვის ზურგის შექცევა, ამ საზოგადოების პრინციპების ღალატს წარმოადგენდა. ამიტომ, როგორც ალ. ოჩიაური მიუთითებს, მკვლელის ძმობიდან მოკვეთა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და ძალზედ იშვიათად ხდებოდა (ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 176). ანალოგიურ ცნობას ეხვდებით მ. კედელაძის მასალებშიც (მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951, მ. კ. 5/5, 5-6). ალ. ოჩიაურის მასალებში გეხვდება

მოს გაყრა 7-8 თაობაზე ხდებოდა, ბოლო პერიოდში კი უფრო ადრეც.[775] საძმოს გაყრის შემდეგ გაყრილები მესისხლეობაში არ დაუდგებოდნენ ერთმანეთს გვერდში და არც საძმოს გადახდაში მიიღებდნენ მონაწილეობას, არც „პატივს“ მისცემდნენ მოკლულის მხარეს. მოკვეთილი სახლიკაცების დანაშაულზე დაზარალებული მათ ვერანაირ პასუხს ვეღარ მოსთხოვდა. მესაძმოებზე შორს მდგომნი, სხვადასხვა საძმოს წევრები ერთმანეთის მოგვარეებად, ერთი გვარის წევრებად ითვლებიან.[776]

მასალებით დასტურდება რომ მესაძმოების მიერ საძმოს გაუღებლობა საძმოს გაყრის საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამის კონკრეტულ მაგალითს ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით. ინფორმატორი იხსენებს XIX საუკუნის დასასრულს მომხდარ შემთხვევას, როდესაც ცისაკარაულს (ხარათ მამის წევრს) – გეგუჩათ აბას შემოაკვდა ამღელი ქორიათ გიგი. არხოტის თემში სოფელ ახიელში მცხოვრები ნაროზაულები, ოჩიაურები და ცისკარაულები ერთმანე-

კონკრეტული მონაცემი ბიძაშვილის მიერ მკვლელთან ძმობის გაყრისა ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით (ალ. ოჩიაური, იქვე, 177).

775 ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ვ. ბ. 247/1, 5, 11. მაგალითად, არაბულების გვარის ქვეგვარია ბარისაჯვანი (ბარისახოში და ნინა ჯადუში მცხოერებნი). ისინი ერთ საძმოს შეადგენენ და ერთმანეთის მესაძმოები არიან. კაკაკავანი კიდევ მეორე საძმოს. ისინი ბარისახოში ზეისტეჩოდან გადმოსახლდნენ. ბარისაჯვანი და კაკაკავანი გაყრილები არიან (იხ. ვ. ბარდაველიძე, იქვე, 247/1, 17). თუ ბარისაჯვათ წევრი ვინმეს მოკლავდა საძმოს მხოლოდ აღნიშნული საძმო გაისტუმრებდა, კაკაკავანი კი პასუხისმგებლობიდან თავისუფალი იქნებოდნენ. ჭინჭარაულების საგვარეულო იყოფოდა სამ მამად: 1. სათათარ-მშაველნი, 2. სანადირაბო, 3. სამგელიაურო. თათარ-მშაველნი თავის მხრივ ორ მამად იყოფიან: ა. სათათრო და ბ. მშეელანი. ეს უკანასკნელნი კიდევ თავის მხრივ იყოფიან: ბურკეანი, გარელანი და ჭინჭარანი. სანადიარაბო იყოფა: ა. აბანი, ბ. ნადირანი. აბანი თავის მხრივ იყოფიან შემდეგ მამებად: ჯიღალანი, ვეფხვანი, ყიყილა-კურდღელაურნი. ნადირნი სამ მამად იყოფოდნენ: ხაჩილ-ყვირილურნი, ბუბუჩანი, ტილჩხიონნი. აბათ საძმოში შემავალი მამები კიდევ იყოფოდნენ ახალ მამებად. ჯიღალანი – გაიდაურნი, დავითანი, უჭკუონი; ვეფხვანი – ჯარანი, ნასთველევანი, ხოსირონი; კურდღელაურნი – ყიყილანი და კურდღელისძენი. სამგელაურო თავის მხრივ იყოფოდა: ხარაბუანი, ხუტარაულნი, ფანდურანი, ჯანიკურნი, რომლებიც თავის მხრივ ორ მამად იყოფოდნენ. ცალკე საძმოებს წარმოადგენდნენ: ნადირანი, აბანი, მგელაურნი, თათარ-მშაველარნი. როგორც აღვნიშნეთ, სანადირაბო ორ მამას აერთიანებდა, თუმცა ეს მამები: ნადირანი და აბანი გაყრილები იყვნენ (ვ. ბარდაველიძე, იქვე, 247/1, 20). ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ თუ მაგალითად, სათათარ-მშაველთა წარმომადგენელი მოკლავდა ვინმეს, სანადირაბო და სამგელიაურო არაფითარ პასუხს არ აგებდა და სისხლ-მესისხლეობის საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობას არ მიიღებდა. სანადირაბო თავის მხრივ ერთ საძმოს აღარ წარმოადგენდა, რადგანაც მასში შემავალი მამები – ნადირანი და აბანი გაყრილები იყვნენ. ამიტომ ნადირანი და მასში შემავალი ახალი მამები ერთ საძმოს შეადგენდნენ, და ერთმანეთის მესაძმოები იყვნენ, ხოლო აბანი და მასში შემავალი მამები სხვა საძმოს. შესაბამისად, თუ ნადირათ საძმოს რომელიმე მამის (მაგალითად, ბუბუჩათ) წევრი მკვლელობას ჩაიდენდა, საძმოს გადაიხდიდნენ ნადირათ საძმოში შემავალი მამების წევრები – ხაჩილ-ყვირილურნი, ტილჩხიონნი. აბათ საძმოში შემავალი მამების წარმომადგენლებს კი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა. სოფელ ჯუთაში მცხოვრები არაბულები იყოფოდნენ სამ საძმოდ: 1. იმედანი, 2. მარაისძენი, 3. თილილანი. იმედანი იყოფოდა ორ მამად: თოხოლჩანი და თამარისძენი, მარაისძენი იყოფოდა ასევე ორად: ნანისძენი და დანარჩენი მარაისძენი, თილილანი იყოფოდა ოთხად (ვ. ბარდაველიძე, იქვე, 247/2, 39, 42). აქაც საძმოს გამტანი მხოლოდ მკვლელის საძმოს წევრები იყვნენ და სხვა საძმოს წევრები პასუხს არ აგებდნენ (მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 17, 19, 20). სისაურთ გვარში ხახონაურები ცალკე საძმოს შეადგენდნენ. ამ საძმოში გაერთიანებული იყო სამი მამა: შუქიაურნი, უპერანგონი, და გამიხარდიანი. სისხლ-მესისხლეობის შემთხვევაში ამ საძმოს შიგნით გაიყოფა „საძმო რიგის“ მისაღებიც და ასაღებიც (ვ. ბარდაველიძე, ვ. ბ. 329, 71). თითოეულ საძმოს თავისი უფროსი ყავდა. მის უკითხავად საძმოში არაფერი ხდებოდა. მაგალითად, თუ ვინმე ცოლის მოყვანას გადაწყვეტდა საძმოს უფროსს ჰკითხავდნენ (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 33).

776 .მაგალითად, სოფელ ჯუთაში მცხოვრები არაბულები: 1. იმედანი, 2. მარაისძენი, 3. თილილანი, რომლებიც სამ სხვადასხვა საძმოს შეადგენდნენ, მოგვარეებად ითვლებოდნენ და ერთმანეთის მესაძმოებს არ ნარმოადგენდნენ.

თის განაყრები იყვნენ. ცისკარაულები და ოჩიაურების ერთი მამით ახლოს იდგნენ. ეს ორი გვარი ორი ძმის ჩამომავლები იყვნენ, ხოლო ნაროზაულები მათი ბიძაშვილის ჩამომავლები. შესაბამისად, ოჩიაურები და ცისკარაულები ნაროზაულებთან ერთი მამით იყვნენ დაშორებულნი. მათ შორის საძმო როდის გაიყო არავის ახსოვდა. ცისკარაულებსა და ოჩიაურებს შორის საძმოს გაყოფა კი, ალ. ოჩიაურის ინფორმატორის თქმით, არც თუ დიდი ხნის წინ მომხდარა (მასალის ჩაწერიდან დაახლოებით სამოციოდე წლის წინ). ამ მკვლელობის გამო ოჩიაურებს, როგორც ხარათ მესაძმოებს უნდა გაეღოთ საძმო ხუთი ძროხის დრამა და შემდეგ მოკლულის გვარის წარმომადგენლებთან ხათრით უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ეს მამკლავ-მამკვდარის წესით იყო გათვალისწინებული. მაგრამ მაშინ ოჩიაურებმა საძმოს გაღებაზე უარი თქვეს: ჩვენ სხვა გვარი გვაქვს და საძმოს არ გავიღებთო, – ბერდიშვილებს (დაზარალებულებს) უნდოდა საძმო მათგან აეღოთ და „ხელს ქვეითაც დაეჭირა" ოჩიაურის გვარიც, მაგრამ ოჩიაურებმა მაინც არ გაიღეს და ამის შემდეგ არხოტის ჯვარში საძმო გაიყარა. საძმო ცისკარაულებმა თვითონ გაიღეს.[777] ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის, გვარად ჭინჭარაულის თქმით, იგი მიეკუთვნებოდა ბოსელათ მამას. მისი განმარტებით, ბოსელანი ცალკე იყვნენ, მგელანი, გვიანაურნი და ოსპანი ერთად. იმათ რომ თავსისხლი დასდებოდა (ვინმე მოეკლა), ბოსელანი ამ საქმეში არ ჩაერეოდნენ, არაფერს გადაიხდიდნენ, რადგანაც ბოსელათ მათთან საძმო ჰქონდა გაყრილი.[778] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ საძმოს გაყრის შემთხვევაში გაყრილი მამის წევრებს საძმოს გადახდა აღარ ეკისრებოდა.

მესაძმოები „საძმოს" სოლიდარულად იხდიდნენ. რამდენი ბიძაშვილიც იყო „საძმოს" „გამტანი", იმდენს უნდა მიეღო მონაწილეობა მის შეგროვებაში. მაგალითად, თუ ხუთი ოჯახი იყო საძმოს გადამხდელი, „საძმო" ხუთ ოჯახზე გადანაწილდებოდა, თუ ერთი, მაშინ ამ ერთ ოჯახს დაეკისრებოდა მთელი ამ სახდელის გადახდა.[779] თუ საძმოს გადამხდელი 10 ოჯახი იყო, თითოეული მათგანი ორ ცხვარს გაიღებდა, თუ 20 – თითო ცხვარს.[780]

777 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1. 1, მისივე, მესაძმოე, სახლისკაცი და მეშაბათე, პირადი არქივი, 1951, ა. ო. 18, 1-2. ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც დასტურდება რომ საძმოს გაუღებლობა საძმოს გაყრას იწვევდა (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 5). საძმოს გაყრა ძირითადად ხდებოდა საძმოს შიგნით მკვლელობის, თუ ქორწინების გამო. მაგალითად, ზემოთნახსენები კავკავანი და ბარისაჭვანი ერთ საძმოს შეადგენდნენ, მაგრამ ბარისაჭვათ კავკავათ კაცი მოკლეს, რის გამოც გაყარეს ძმობა (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 17, 19, 20).

778 ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, პირადი არქივი, ვ. ბ. 369, 38 (ჩაწერილია 1962 წელს, სოფელ გამარჯვებაში).

779 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 5, 17; №6, 6.

780 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; მესაძმოები, რომლებსაც „საძმო" უნდა გაეღოთ, შესაძლოა რამდენიმე მამად ყოფილიყვნენ დაყოფილნი. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამ შემთხვევაში საძმოს გაღება ზოგი მონაცემით კომლობრივად მობდებოდა და არა საძმოს გამღები მამების მიხედვით (იხ. ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ვ. ბ. 247/3, 55; ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 69), თუმცა ვ. ბარდაველიძის მასალებში გვხვდება მონაცემი, რომლის თანახმადაც საძმოს მესაძმოები იხდიდნენ არა საძმოში შემავალი კომლების მიხედვით (თითოეული კომლი თანაბრად), არამედ საძმოში შემავალი მამების მიხედვით. ეს მამები გადასახდელ საძმოს თანაბრად ინანილებდნენ. (ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირა-

შერიგების შემდეგ მკვლელის ბიძაშვილებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ სიარული და აღარ იმალებოდნენ, თუმცა ვალდებულნი იყვნენ ხათრი მიეცათ მოკლულის მხარის წარმომადგენლებისათვის: პატივს მისცემდნენ სუფრასთან, თუ გზაში შეხვდებოდნენ ცხენიდან ჩამოქცეითდებოდნენ და უხმოდ ჩაუვლიდნენ და სხვა. პატივის მიცემა თავის გათავებამდე გაგრძელდებოდა.[781]

„საძმოს" გადახდა არ მოხდებოდა თუ მკვლელობას საძმოს შიგნით ექნებოდა ადგილი. მაგალითად, საძმოში შემავალი ერთი მამის წევრი თუ მოკლავდა ამავე საძმოს მეორე მამის წევრს, თავის მესაძმოეს. ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მისი მამის წევრი მოკლა მესაძმოემ. მისი თქმით, მკვლელს გადაახდევინეს „საგვარო", თუმცა საძმოს გადახდას ადგილი არ ჰქონია. საძმო რომ მოეთხოვა დაზარალებულს, მაშინ მამებს შორის საძმო გაიყრებოდა.[782] საერთოდ, საძმოს შიგნით მკვლელობისას მხარეთა შორის შერიგება და „პატივის" მიცემა ისევე ხდებოდა, როგორც უცხო საძმოებსა თუ გვარებს შორის.[783]

ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მონაცემით, მესაძმოე გაიგივებულია მეშაბათესთან,[784] საძმოს წევრები ამავე დროს ერთმანეთის მეშაბათეები არიან

დი არქივი, ვ. ბ. 247/1, 13; მისივე, ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 71). როგორც ვხედავთ ვ. ბარდაველიძის მასალებში ურთიერთსანინააღმდეგო მონაცემები ფიქსირდება. ვ. ბარდაველიძე ცდილობდა გაერკვია თუ მაინც რა წესით ხდებოდა საძმოს გადახდა – კომლების მიხედვით, თუ მამების მიხედვით? ამიტომ იგი სხვა საკითხებთან ერთად ამ საკითხის გარკვევას ავალებდა ველზე მომუშავე ეთნოგრაფებს. ამ საკითხის დაზუსტების მიზნით შესაბამისი კითხვა დავუსვით პეტრე გოგოჭურს, რომელმაც გვიპასუხა რომ საძმოს გაღება ხდებოდა კომლების და არა მამების მიხედვით (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 16). როგორც ჩანს, უფრო სარწმუნოა გადასახდელი საძმოს განაწილება კომლების მიხედვით (უფრო მეტი მონაცემი ამას ადასტურებს), თუმცა მიგვაჩნია რომ ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

781 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 7; 1977, №3, 24; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32.

782 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 64, 66. ხევსური ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას: ჯუთაში მცხოვრები არაბულების ერთ-ერთ – იმედათ საძმოში, რომელიც ორ მამად იყოფოდა – თოხოლჩანი და თამარისძენი, მოხდა მკვლელობა. თოხოლჩანი იყოფოდნენ ახალ მამებად: სუსუანი, მანგიანი, გარსიანი და შალვანი. თამარისძენი ასევე იყოფოდნენ ოთხ ახალ მამად: იდიანი, თამარისძენი, უთურანი და გაგანი. თამარისძენი კიდევ იყოფოდნენ სამ უახლოეს მამად: ადუანი, ბაბალანი და ჯაოხანი. სწორედ ამ ორ უკანასკნელ მამებს შორის მოხდა მკვლელობა. ადუათ საძმო არ აიღეს, რადგანაც ახლობლები იყვნენ (ვ. ბარდაველიძე, იქვე, 64). თუ უცხო მოკლავდა ამ მამის რომელიმე წევრს, ადუანი საძმოს უცილობლად აიღებდნენ. საძმოს უფრო შორეულ მამებს შორის რომ მომხდარიყო მკვლელობა, საძმოს აღების ალბათობა უფრო დიდი იქნებოდა. თოხოლჩათ მამიდან სუსუათი რომ მოეკლა მაგალითად, იდიათ კაცს, საძმოს თოხოლჩანი აიღებდნენ (თუ საძმოს აღებას საერთოდ ექნებოდა ადგილი). თუ სუსუათი მოკლავდა იდიანთ კაცს, მაშინ პირშესამყრელოზე სუსუანი არ მიეიდოდნენ. მივიდოდნენ მანგიანი და შალვანი (ვ. ბარდაველიძე, იქვე, 66), ანუ საძმოს გადამხდელნი ისინი იქნებოდნენ, ისევე როგორც წინააღმდეგ შემთხვევაში, საძმოს ამღებნი. თუ ზემოთმოყვანილ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა საძმოს გაყრა მასში შემავალ მამებს შორის.

783 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 80.

784 მეშაბათე – ახლო ნათესავი მამის მხრივ (ბიძაშვილი და სხვა). როცა ვინმე მოკვდება, მეშაბათე მოვალეა თმა და წეერი დაიყენოს. (იხ. ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 588). მეშაბათეები იხდიან შაბათის რიგს, მიცვალებულის დასაფლავების მეორე დღეს ჭირისუფალი დაამზადებდა რძეში მოხარშულ ფქვილის ერბოიან ფაფას და საღამოსთვის მიიწვევდა მეშაბათეებს. ჭირისუფლები და მეშაბათეები მიირთმევდნენ ამ ფაფას (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ.

და შესაბამისად, საძმოს ამღებად და გამღებად მეშაბათეც მოიაზრება. ამ მონაცემებით საძმოს გაყრა ამავე დროს შაბათის გაყრას ნიშნავს.[785] დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული არ შეესაბამება რეალობას. მეშაბათე მესაძმოეს მსგავსად არ არის საძმოგაუყრელი ბიძაშვილი. მეშაბათეები ერთმანეთის მიმართ საძმოგაყრილები არიან და შესაბამისად ერთმანეთის მესაძმოებად არ ითვლებიან. ამდენად, საძმოს და შაბათის გაყრა ერთიდაიგივე არ არის.[786] ამავე დროს მეშაბათეები შედარებით ახლად გაყრილი მოგვარეები არიან და სხვა საძმოგაყრილ მოგვარეებთან შედარებით ახლოს დგანან. საძმოს გაყრის შემდეგ საძმოგაყრილ ყოფილ მესაძმოებს შორის შაბათი რჩება გაუყრელი, ისინი შაბათის გაყრამდე ერთმანეთის მეშაბათეებად რჩებიან და ერთმანეთის მიმართ გარკვეული მოვალეობები რჩებათ მიცვალებულის რიგის დროს.[787] გამომდინარე იქედან, რომ მეშაბათე არ არის მესაძმოე და საძმოგაყრილი მოგვარეა, იგი საძმოს მიღება-გაღებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.[788]

3.6.7. გადასახადი მეხელის პირშესამყრელოსას. ბიძაშვილების პირშესამყრელოს შემდეგ ხდებოდა უშუალოდ მეხელის შერიგებაც. მეხელის შერიგებას წინ უძღვოდა მისი ე. წ. „ჯვარში შეჯდომა". ერთ საღამოს ჩუმად, ვინმემ რომ არ გაიგოს, მიდის მეხელე მოკლულის ჯვარში, თან მიყვება რამდენიმე თავისიანი და მიყავთ კურეტი (3 წლის) და საკლავი, მიაქვთ ტიკით არაყი. მოკლულის ჯვარში ღამით „შეჯდებიან". მოკლულის ოჯახმა და ნათესაობამ ამის შესახებ არაფერი უნდა იცოდეს. ჩუმად დაუძახებენ მხოლოდ ადგილობრივ ხუცესს. იგი ვალდებულია მივიდეს, რაც არ უნდა „ცეცხლის დღეები" ჰქონდეს: სათიბი, სახნავი და დაკლას კურეტი და საკლავი. მხოლოდ მეორე დღეს შეატყობინე-

---

ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 3-6). ხევსური ინფორმატორები მეშაბათეებს გარეზიძაშვილებად იხსენიებენ, რომლებიც მესაძმოების გვერდით დგანან (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 22, 85). ადრე ერთმანეთის მეშაბათეები საერთო გვარის მატარებლები იყვნენ, თუმცა შემდეგ სხვა გვარზე გადავიდნენ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, 34).

785 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 9, 12. 76, 79; კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/16, 6. განსაკუთრებით გამოკვეთილად მესაძმოებისა და მეშაბათეების იგივეობა ვლინდება ვ. ბარდაველიძის მასალებში. მაგალითად, მის საარქივო ფონდში დაცულ ერთ მონაცემში ვკითხულობთ: საოჩიაუროში ცალკე მამები იყვნენ: საჩინონი, ქულიელნი და ალუდიკანი. ეს სამი ერთ საძმოს შეადგენენ, ერთმანეთის მესაძმოენი არიან და ამავე დროს ერთმანეთის მეშაბათეებიც (ვ. ბარდაველიძე, იქვე, 82).

786 ტარიელ და იოსებ არაბულების განმარტებით, საძმოს გაყრა სამნის ჩასმით და საკლავის დაკვლით ხდება, ხოლო შაბათის გაყრა საკლავის (ბატკნის, თიკანის) დაკვლით (გ. დავითაშვილი, მაალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 7)..

787 ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 6; მისივე, ეთნოგრაფიული რვეული: №1, 54; მისივე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 4, 5; მისივე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 9; გ, დავითაშვილი, იქვე).

788 ბ. გოგოჭურის მონაცემით მკვლელობისას მკვლელის მეშაბათეები მოკლულის მეშაბათეებს უხდიდნენ საკლავ-პატივს, კერძოდ, ერთ საკლავსა და 6 აბაზ ეერცხლის ფულს (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 97; მისივე, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 6; ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები", 66; ეთნოგრაფიული რვეული №1, 54; ეთნოგრაფიული რვეული №2, 5). პეტრე გოგოჭურმა აღნიშნული გარემოება დამიდასტურა და აღნიშნა რომ თუ ეს საკლავი ექვსი აბაზი არ იქნებოდა გადახდილი მოკლულის მეშაბათეს შეეძლო დაეჭრა და თავისი მკვდრისთვის შეენირა მკვლელი თუ მისი მესაძმოე ბიძაშვილი (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ქ. დუშეთი, 2016, !3).

ბენ მოკლულის ოჯახს მეხელის ჯვარში შეჯდომის შესახებ.[789] ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, კურეტიც და საკლავიც ჯვარში იკვლება, თუ მკვლელი და მოკლული სხვადასხვა სოფლებიდან არიან, ხოლო თუ ორივე ერთი სოფლიდანაა, მაშინ კურეტი ჯვარში იკვლება, საკლავი კი არა. საკლავი მეორე დღეს მოკლულის ოჯახში დაიკვლებოდა.[790] აღნიშნული გარემოება კონკრეტული მონაცემებითაც დასტურდება.[791] ზოგიერთი მონაცემით ჯვარში შეჯდომისას ხდებოდა ჯვარისთვის ვერცხლის თასის შეწირვაც.[792] ბ. გოგოჭურის მიხედვით კი საუბარია ორი საკლავის მიყვანაზე.[793]

ჯვარში შეჯდომა ნიშნავდა, რომ მკვლელი შემოებარა, „შაეხიზნა" მოკლულის სალოცავს. ამის შემდეგ ადგილი ექნებოდა „თოფის აღებას", რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელს აღარავინ დაედევნებოდა მოსაკლავად, თოფს აღარ ესროდა, თუ რა თქმა უნდა მკვლელი დაზარალებული მხარის წარმომადგენელს გზაში არ შეეჩეხება და რაიმეთი არ აწყენინებს, პატივს არ მისცემს.[794]

ჯვარში შეჯდომიდან გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებული მხარის თანხმობით ადგილი ექნებოდა მეხელის შერიგებას. მეხელესთან ერთად ხდებოდა ყველა იმ პირის შერიგება მოკლულის მხარესთან, რომელიც მონაწილეობას არ მიიღებდა ბიძაშვილების პირშესამყრელოში. იმ ინფორმატორთა მიხედვით, რომელთა თანახმადაც ბიძაშვილების პირშესამყრელოში მონაწილეობდნენ მხოლოდ გარე ბიძაშვილები, მეხელესთან ერთად მოკლულის ოჯახს ურიგდებოდნენ მისი შვილები, მამა, ძმები, შინშები და მათი შვილები, ასევე „სათოფედ გაწირული".[795] ბ. გოგოჭურის მონაცემის მიხედვითაც მეხელესთან, ანუ მკვლელთან ერთად პირშესამყრელოში მონაწილეობას იღებდნენ მისი ოჯახის წევრები, ახლობელი „სახლისკაცები" და „სათოფედ დატანებულები, ანუ ისინი რომლებიც მანამდე სხვა ბიძაშვილებთან ერთად არ შემოურიგებიათ".[796] ბ. გოგოჭურის მონაცემი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბიძაშვილების პირშესამყრელოში როგორც წესი გარე ბიძაშვილები იღებდნენ მონაწილეობას და არა ახლობელი სახლისკაცები, ანუ ახლო ბიძაშვილები. იმ ინფორმატორთა მიხედვით, რომელთა თანახმადაც ბიძაშვილების პირშესამყრელოში მონაწილეობდა მკვლელის ყველა ბიძაშვილი, მათ შორის შინშებიც, მეხელესთან ერთად რიგდებოდნენ მხოლოდ მისი მამა, ძმები, „სათოფედ გაწირული."[797] ჩვენი ვარაუდით გამორიცხული არაა პირშესამყრელო ასეთი შემადგენლობითაც მომხდარიყო, თუმცა ამას გამონაკლის შემთხვევაში

789 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული 1977, №2, 5; №5, 54; ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 187; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 38-39.

790 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეული №3, 34-35; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 33.

791 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 32-33.

792 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 86; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, თბ., 1932, 76; მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი), თბ., 2001, 27.

793 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 93.

794 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეული №3, 35; მისივე, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 187; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 39.

795 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 38, 50,

796 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 82-83.

797 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული 1977, №4, 12; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, თბ., 1932, 76.

თუ ექნებოდა ადგილი, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე.

მეხელის პირშესამყრელოც მოკლულის ჯვარში უნდა მომხდარიყო. ყველაფერი ისევე ხდებოდა, როგორც ბიძაშვილების პირშესამყრელოს დროს. იმ ინფორმატორთა მიხედვით, რომელთა თანახმადაც ბიძაშვილების პირშესამყრელოში მონაწილეობდა მკვლელის ყველა ბიძაშვილი, მათ შორის შინშებიც, მეხელესთან ერთად რიგდებოდნენ მისი მამა, ძმები, „სათოფედ გაწირული."[798]

ამ შემთხვევაშიც შერიგებაში მონაწილეობას ორივე მხარის წარმომადგენლები მიიღებდნენ. ამ დროსაც ხდებოდა მოკლულის ჯვარში ლუდის დუღება (დაახლოებით სამი, ზოგი მონაცემით ხუთი ფუთი, ქერისგან). ამ შემთხვევაშიც, ბიძაშვილების პირშესამყრელოს მსგავსად, ერთი საკლავი (ზოგი მონაცემით ორი), ერთი კურეტი (სამი წლის) უნდა მიეყვანათ და ხუთი ხელითი ძროხა მიეცათ. შეთანხმებულ დროს კურეტი და საკლავი (საკლავები) კაც-შუაკაცებს მიჰყავდათ მოკლულის ჯვარში, ისინი წინ მიდიდოდნენ და 10-12 ნაბიჯით მათ უკან მოჰყვებოდა მკვლელის მხარე. მათ ჯვარში დახვდებოდნენ დაზარალებული მხარის წარმომადგენლები. ერთი საკლავი ჯვარში იკვლებოდა, მეორე მოკლულის ოჯახში.[799]

უმრავლესი მონაცემით მოკლულის ჯვარში მეხელეს ერთ სამი წლის კურეტთან ერთად ორი (და არა ერთი) საკლავი უნდა მიეყვანა. ხევსურული რჯულით დადგენილი წესი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. ალ. ოჩიაურის მონაცემებით, მეხელის პირშესამყრელოს დროს ერთი საკლავით მეტი მიყავდათ, ვიდრე ჯვარში შეჯდომისას. კერძოდ, თუ მეხელე და მოკლული სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ, კურეტი და ორივე საკლავი ჯვარში უნდა დაკლულიყო, ხოლო, თუ ერთი სოფლიდან იყვნენ, მაშინ ჯვარში დაიკვლებოდა კურეტი და ერთი საკლავი, ხოლო მეორე საკლავი დილით მოკლულის ოჯახში დაიკვლებოდა. აღნიშნული ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილი კონკრეტული შემთხვევითაც დასტურდება.[800]

როგორც აღინიშნა მეხელის პირშესამყრელოს დროს მეხელეს კურეტისა და საკლავის გარდა დაზარალებულისათვის უნდა გადაეხადა ხუთი ხელითი ძროხა. როგორც ალ. ოჩიაურის ხევსური ინფორმატორი აღნიშნავს, ეს უნდა ყოფილიყო ხუთი ძროხის კარგი სპილენძი, რომელსაც ეწოდება „გვერდით სამჯდომლო". სახდელის სახელწოდებიდან გამომდინარე ეს იყო გადასახადი იმისა, რომ მოკლულის მხარემ ნება დართო მეხელეს თავის გვერდით დაჯდომისა. თუ მამკალ-მამკვდარი ერთი სოფლიდან იყვნენ, მაშინ მეხელეს ხუთი ხელითი ძროხა კი არ უნდა გადაეხადა, არამედ ე. წ. „სასუდარმკვდრო" – ხუთი წერის მიწა.[801]

პირშესამყრელომდე შესაძლოა დაზარალებულ მხარეს ჯურუმები შეეთვალა („გამოება") მკვლელის ან ამ მომენტისათვის მისი ჯერ კიდევ შეურიგებელი ნათესავებისათვის და ეს ჯარიმაც უნდა გადაეხადა მეხელეს დაზარალებული-

798 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1977, №4, 12; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, თბ., 1932, 76.

799 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1977, №2, 17, 38, 51, 73; №4, 12; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 64-65.; ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 195,

800 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 48.

801 ალ. ოჩიაური, მეისისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 48; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 36-37.

სადმი სხვა ზემოთდასახელებულ მისატანთან ერთად.[802]

ყველა ეს გადასახადი მიჰქონდათ მოკლულის ოჯახში და ხუცესს და შუაკაცებს სალოცავიდან იქ მიჰყავდათ მეხელეც. მას თან ერთ საკლავსაც გააყოლებდნენ, რომ დაეკლათ – „ზღუბლის[803] სამლაჯაოდ". „ზღუბლის" დალახვა გულისხმობდა კაცის სახლში შესვლას და ზღურბლზე ფეხის დადგმას. რადგან მამკლავის შესვლა მამკვდრის სახლში მძიმე საქმე იყო, ამიტომ იკვლებოდა იქ შესვლისას საკლავი „ზღუბლის სამლაჯაოდ".[804] ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით, მეხელეს „ზღუბლის სამლახაოდ" შესაძლოა საკლავის ნაცვლად მოკლულის სახლში ნაეღო 12 აბაზი ვერცხლის ფული აქედან 6 აბაზი იყო ზღურბლზე ფეხის გადადგმისათვის და 6 აბაზი იქიდან გამოსვლისა და ზღურბლის ისევ გადმოლახვისათვის.[805] მეხელის მოკლულის ოჯახში მიყვანა ხდებოდა მოკლულის დედასთან მის შესახვედრად და შესარიგებლად. ამ დროს სახლში მხოლოდ ქალები (მოკლულის დედა, ბებია, მამიდა და სხვა) არიან და მათთან მკვლელის შეყვანაზე თანხმობის მიღების შემდეგ ხუცესი ბანზე კლავს მიყვანილ საკლავს – „ზღუბლის სამლაჯაო საკლავს", ამ ოჯახის წევრთა სამხვეწროსამეშველოდ. ამის შემდეგ ხუცესს და შუაკაცებს მოკლულის სახლში შეჰყავთ მკვლელი, სადაც ტარდება მკვლელის მოკლულის დედასთან შერიგების ცერემონიალი.[806]

მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით კი სწორედ ამ ეტაპზე მეხელეს არბითი უნდა გადაეხადა, თუ მეარბითე სხვა არავინ იქნებოდა.[807]

პირშეყრის შემდეგ გახიზნული მეხელე ამანათობიდან უკან ბრუნდებოდა.[808] მას ამის შემდეგ დაზარალებული მხარისადმი გადასახდელი რჩებოდა წლიური რიგი – ერთი საკლავი და პატივი უნდა მიეცა დაზარალებული მხარისადმი, ხათრი დაეჭირა მის მიმართ.[809]

ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით, კონკრეტული მამკვდარ-მამკვდრობიდან გამომდინარე შესაძლოა ძმების პირშესამყრელო ცალკეც მომხდარიყო.[810] ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება ე. წ. „დატანებულის" დამოუკიდებლად შერიგებაც. ალ. ოჩიაურის მასალებში კონკრეტულ შემთხვევას ვხვდებით, სადაც დატანებულის პირშესამყრელო ცალკე მოხდა.[811] მ. კეკელიას მასალებში ვხვდებით მონაცემს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა ერთად მომხდარიყო მკვლელის ძმების და დატანებულის შერიგება.[812] ასეთი მონაცემი ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში შედარებით იშ-

802 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 192-193; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 50.

803 „ზღუბლი" – კარების ჩარჩოს ქვედა მხარე.

804 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 199.

805 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/7, 84; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 37-38..

806 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 85.

807 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 8-9.

808 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 73.

809 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/3, 36, 7/4, 48, 7/5, 60, 7/6, 72; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 71, №6, 9; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 7.

810 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, 64

811 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3. 26.

812 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული 1977, №5, 51-52.

ვიათად გვხვდება და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკე მკვლელის ძმების, თუ ცალკე დატანებულის, ან მათი ერთად შერიგება გამონაკლის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

3. 6. 8. გადასახადი თავის გათავებისას. ხევსურეთში მკვლელობის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა წყდებოდა მხოლოდ „თავის გათავების" შედეგად. „თავის გათავების" გარეშე მხარეების საბოლოო შერიგება ვერ მოხდებოდა. „თავის გათავება" მესისხლეების საბოლოო შერიგებას ნიშნავდა. იგი შერიგების უკანასკნელი ეტაპია. ამ დროს გადასახდელი დრამა „თავსისხლის" ბოლო კომპონენტს წარმოადგენდა.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას რომ ხევსურეთში „თავის გათავება" შედარებით გვიანაა შემოღებული. არაერთი მონაცემის მიხედვით, ძველად ხევსურეთში თავის გათავება არ ხდებოდა და მამკალ-მამკვდარს შორის მტრობა დაუსრულებლად გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მხარეებს მკვლელისა და მოკლულის სახელიც კი არ ახსოვდათ და არც კი იცოდნენ თუ როდის მოხდა მკვლელობა. მესისხლეობის ფაქტს და მისგან გამომდინარე ვალდებულებებს კი მხარეები არ ივიწყებდნენ.[813] შესაბამისად, დასასრული არ ჰქონდა ყოველწლიურად რიგის საკლავის მიყვანას, განუსაზღვრელი ვადით ხდებოდა მკვლელის მხარის წარმომადგენელთა მიერ მოკლულის მხარის წარმომადგენელთა მიმართ ხათრის დაჭერა, პატივის მიცემა.[814]

ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით მონაცემს, რომლის თანახმადაც ხევსურებმა 1909 წელს ჩაატარეს ყრილობა, რომელზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება თავის გათავების წესის შემოღების შესახებ. თავის გათავებისას მკვლელის შთამომავლობას მოკლულის შთამომავლობისათვის უნდა მიეტანა თექვსმეტი ძროხა დრამა, იმ ჯგუარში რომლის ყმაც იყო მოკლული მოემზადებინა ლუდი, მიეყვანა კურეტი, საკლავი. თავის გათავების შემდეგ კი სისხლი ჩამოშორებულად ჩაითვლებოდა, თავსისხლი გადახდილად და მკვლელის მხარის წარმომადგენლებს არც რიგის საკლავის მიყვანის, არც ხათრის დაჭერის, არც პატივის მიცემის ვალდებულება აღარ ჰქონდათ. მათ შუღლიც კი შეეძლოთ მოკლულის მხარის წარმომადგენელთან და დაზარალებულ მხარეს არავითარი უფლება აღარ რჩებოდა ჯურუმი დაეკისრებინა მკვლელის მხარის წარმომადგენლისათვის, მაგალითად, პატივის არ მიცემის, მათთან შუღლის გამო და სხვა.[815] ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხევსურეთში პაპისპაპის დროინდელი თავების გათავება მომხდარა.[816] ამრიგად, თავის გათავების შემდეგ საბოლოოდ წყდებოდა მკვლელობის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, რიგის საკლავის მიყვანის, პატივის მიცემის ვალდებულება, მესისხლეობა. იყო შემთხვევები, როდესაც მკვლელის გვარი თავის გათავების შემდეგაც აგრძელებდა ხათრის დაჭერას მოკლულის მხარის წარმომად-

---

813 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 7-8, 26; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 43.

814 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 26;

815 ალ. ოჩიაური, ხევსურული ეთნოგრაფიული მასალები, 1931, პირადი არქივი, რვეული №5, ხევსურთა ლაშქარი არხოტში, 32, 35-36; მისივე, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 73; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 69; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 44.

816 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 69.

გენელთა მიმართ. მაგალითად, სისხლ-მესისხლეობას ჰქონდა ადგილი ბერდიშვილებსა და ხარათ შორის. მოხდა თავის გათავება და მათ შორის თავმეთავეობა მოისპო. შესაბამისად ბერდიშვილები ხარათგან ხათრს აღარ თხოულობდნენ. მიუხედავად ამისა ხარანი მიჩვეულნი იყვნენ მათთან ხათრის დაჭერას და ამიტომ ნაწილობრივ აგრძელებდნენ ამის კეთებას.[817] ეს, ცხადია, მკვლელის მხარის წარმომადგენელთა ვალდებულება აღარ იყო და მათი ინიციატივით თუ მოხდებოდა ამის გაკეთება.

ხევსურეთში თავის გათავების წესის დადგენის შესახებ ცნობებს ალ. ოჩიაურის გარდა სხვა ავტორებთანაც ვხვდებით. მაგალითად, რ. ხარაძე მიუთითებს, რომ მკვლელის მხარის შეზღუდვები დაზარალებულ მხარესთან ურთიერთობაში, რიგის საკლავის ყოველწლიური მიტანა დაუსრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, მათ შორის ძველისძველ მესისხლეთა შორის და მხოლოდ ამ 50 წლის წინათ იქნა შემოღებული ე. წ. თავის გათავება.[818] თავის გათავების შემოღება არ გამორჩენია გ. თედორაძესაც. მისი განმარტებით შერიგების პროცესის საბოლოო ეტაპი იყო თავის გათავება, რომელიც 10-12 წლის წინ შემოუღიათ. იგი გულისხმობდა მკვლელობიდან 80 წლის შემდეგ მოსისხლეთა შთამომავლებს შორის ყოველგვარი მტრობის მოსპობას. თავის გათავების წესის შემოღებამდე კი სისხლის აღებას ხევსურეთში არ ჰქონდა ვადა დადებული. ახალი წესის მიხედვით 80 წლის განმავლობაში მკვლელის მხარეს ყოველ წელს უნდა დაეკლა საკლავი მოკლულის ჭირისუფლისთვის, ხოლო მეოთხმოცე წელს დაეკლა სამი წლის კურეტი და გადაეხადა 16 ძროხის დრამა. ამის შედეგად სამარადისოდ თავდებოდა სისხლის აღება მოსისხლეთა შორის.[819]

ალ. ყამარაულის მიხედვითაც, ამ რამდენიმე წლის წინათ გუდანის ჯვრის ხატობაში შეიკრიბა საზოგადოება, იმსჯელა და მესისხლეთა დევნის უკანასკნელ ვადად 80 წელიწადი დააწესა.[820] თავის გათავების შემოღების თვალსაზრისით საინტერესო ჩანაწერი გვხვდება ქართულ დიალექტოლოგიაში: „თუ ოთხმოც წელ გავიდ, მემრ თექვსმეტ ძროხას მისცემს, ერთ ქვაბ ლუდს ადუღებს, სამის წლის კურეტს დაუკლავს, მემრე კი საბოლოოდ საქმეს გაათავებენ. სწორ-სწროდაც იშუღლებენ, მემრ გინდა შუღლი მოუხდას.“[821]

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: „თავის გათავება“ ხევსურეთში დაწესდა 1909 წელს. მანამდე სისხლ-მესისხლეობა, რიგის საკლავის მიყვანა, პატივის მიცემა დაუსრულებლად გრძელდებოდა. ამ დადგენილების მიღების შემდეგ ყველაფერი ეს წყდებოდა და სისხლ-მესისხლეობა საბოლოოდ ისპობოდა. თავის გათავებისას ხდებოდა 16 ძროხის დრამის გადახდა, სამი წლის კურეტის და საკლავის მიყვანა დაზარალებული მხარისათვის. თავის გათავება მიღებული დადგენილების თანახმად უნდა განხორციელებულიყო მკვლელობიდან 80 წლის შემდეგ, თუმცა ამ ვადის დაცვა ყოველთვის არ ხდებოდა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება მონაცემები ხევსურეთში „თავის გათავების“ დაწესების შესახებ. ამ პერიოდში მცხოვრებ ინფორმატორებს გადმოცემით ახსოვთ ამის თაობაზე. ერთი გუდანელი

817 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 69.

818 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 185.

819 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 116.

820 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1932, 80.

821 ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 12.

ინფორმატორის ცნობით, დაახლოებით 80 წლის წინათ (ცნობა ჩაწერილია 1977 წელს) „თურმე ბლოელმა აბა გიგაურმა, რომელიც ნიკოლოზის მოხელე ყოფილა (სტრაჟნიკი), უთავნია „თავმეთავეობის" გათავება." ინფორმატორის განმარტებით, ეს უნდა მომხდარიყო მკვლელობიდან რაც შეიძლება ადრე, თუმცა მანამ, სანამ მეხელე და მისი ახლობლები ცოცხლები იყვნენ, თავის გათავება არ ხდებოდა, თუმცა ინფორმატორის მითითებით ბოლო დროს თავის გათავება უკვე 10-15 წლის განმავლობაშიც ხდება და შეიძლება უფრო ადრეც და ამის მაგალითები ბევრია.[822] კიდევ ერთი ინფორმატორი (სოფელ ბაცალიგიდან) ასევე საუბრობს თავის გათავების წესის შემოღებაზე ვინმე აბა გიგაურის თაოსნობით. მისი თქმით, იგი პირადად იცნობდა აბა გიგაურს, რომელიც „ნიკოლოზის დროს" მართლაც სტრაჟნიკად მსახურობდა. სწორედ მისი ინიციატივით, მთელ პირაქეთ ხევსურეთს განესაზღვრა რომ თავ-მეთავეობა დამთავრდეს 80 წელიწადში, ვიდრე ცოცხლები შეიძლება იყვნენ ის ხალხი, ვისაც გული შესტკივა ამ საქმეზე. თავდაპირველად მართლაც ასე იყო, თუმცა ბოლო დროს დაახლოებით 15 წელიწადში და უფრო ადრეც დაიწყეს თავის გათავება. ამავე დროს, ვიდრე მკვლელი ციხეშია და არ გამოვა, თავის გათავება არ ხდება.[823] ერთ-ერთი ინფორმატორის მითითებით თავის გათავება მკვლელობიდან ოცი წლის შემდეგ ხდებოდა.[824] კიდევ ერთი ინფორმატორის თქმით, თავის გათავებისათვის 20-30 წელი მაინც უნდა გასულიყო და იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მისი ბიძის მკვლელობასთან დაკავშირებით თავის გათავება მოხდა მკვლელობიდან 40 წლის შემდეგ.[825] თავის გათავების „მომწიფებას", ანუ დაზარალებული მხარის საბოლოო შერიგებისათვის განწყობას ხევსურეთში ხელს უწყობდა მკვლელის გარდაცვალების ფაქტი.[826] ალ. ოჩიაურის მასალებში ჩანს, რომ თავის გათავება მკვლელის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა.[827]

საინტერესოა რომ, ზოგიერთი ხევსური ინფორმატორის ცნობით, თავის გათავების წესის შემოღება უკავშირდება არა პირაქეთ ხევსურეთს, არამედ არხოტს. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ გადმოცემით გაუგია არხოტში თემის შეკრების შესახებ, როდესაც მიუღიათ გადაწყვეტილება „უხსოვარი თავი გავათავოთო". ხალხს უთქვამს: ხშირად არც მკვლელი გვახსოვს, არ მოკლული და რატომ ვიჩაგრებითო. ზოგ ძველისძველ საქმეზე მართლაც არ ახსოვდათ ვინ მკვლელი იყო, ვინ მკვლელის, ან მოკლულის შვილი, შვილიშვილი. ამიტომ დაადგინეს: „კაცი რომ კაცს მოკლავს, 80 წლის შემდეგ კაცის თავი უნდა გათავდესო." დღეს კი თავს უფრო ადრე ათავებენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი მკვლელის სიცოცხლეშიც კი.[828] როდის მოხდა ეს ყრილობა არხოტში ინფორმატორს არ ახსოვს. მისი განმარტებით, ეს წესი არხოტიენებისაგან მთელ ხევსურეთს გადაუღია (ინფორმატორი ხევსურებად მხოლოდ პირაქეთა ხევსურეთის მცხო-

822 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 52-53. ბ. გოგოჭურის ჩანაწერებში გვხვდება პ. გოგოჭურის მონაცემი, რომლის თანახმადაც, აბა გიგაურის ძმა ყოფილა მოკლული და თავი პირველად სწორედ მას გაუთავებია. შემდეგ სხვებმაც იგივე გააკეთეს (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1-2).

823 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 76.

824 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 57.

825 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 34.

826 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 28.

827 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 69.

828 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8.

ვრებლებს იხსენიებს).[829] კიდევ ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ თავის გათავების წესი სწორედ არხოტში იქნა დადგენილი. მათ სოფელში კი თავის გათავების ეს ვადები (სავარაუდოდ 80 წლიან ვადას გულისხმობს – გ. დ.) არ განსაზღვრულა, თუმცა თავის გათავება მათთანაც ხდებოდა, მხოლოდ მკვლელობიდან 15-20, თუ 50 წლის შემდეგ.[830]

ძნელი სათქმელია რამდენად სანდოა მონაცემი „თავის გათავების" თავდაპირველად არხოტში და არა პირაქეთ ხევსურეთში (გუდანში) დაწესების შესახებ. ფაქტია რომ პირაქეთ ხევსურეთისთვის ამ წესის დადგენა მომხდარა აბა გიგაურის თაოსნობით XX საუკუნის დასაწყისში და ასევე ისიც, რომ თავის გათავების წესი მოქმედებდა პირიქით ხევსურეთშიც, კერძოდ, არხოტში. ეს ნიშნავს, რომ ოდესღაც არხოტშიც მიღებულა შესაბამისი გადაწყვეტილება.

ეს მონაცემებიც გვიჩვენებს, რომ როდესაც დაწესდა თავის გათავების წესი, დაადგინეს, რომ ეს უნდა მომხდარიყო მკვლელობიდან 80 წლის შემდეგ, თუმცა დროთა განმავლობაში ამ ვადის დაცვა აღარ ხდებოდა და თავის გათავება უფრო ადრეც ხორციელდებოდა. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ თავის გათავება მკვლელობის შემდეგ სწრაფადვე შეიძლებოდა. როგორც მონაცემები გვიჩვენებს 15 წელი მაინც (შესაძლოა ცოტა ნაკლები) უნდა გასულიყო მკვლელობიდან თავის გათავებამდე. ეს შეიძლება 20 თუ 40 წლის შემდეგაც მომხდარიყო. თავის გათავება, როგორც გამოჩნდა, მკვლელის გარდაცვალების ფაქტორს უკავშირდებოდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, განსაკუთრებით უფრო გვიანდელ პერიოდში, ეს შეიძლება მკვლელის სიცოცხლეშიც მომხდარიყო. შესაძლოა თავის გათავება მოჰყოლოდა უხსოვარ დროს მომხდარ მკვლელობას, ისე რომ არც ახსოვდათ, თუ კონკრეტულად ვინ იყო მკვლელი თუ მოკლული, თუმცა ორ გვარს შორის მესისხლეობა რომ არსებობდა ამ გვარების წარმომადგენლებმა გადმოცემით იცოდნენ.

თუ თავის გათაეების მომენტისათვის მკვლელი ცოცხალი აღარ იყო, მაშინ თავის გათავების ვალდებულება ინფორმატორის თქმით, მის შვილზე გადავიდოდა.[831] როგორც აღინიშნა ძირითადად თავის გათავება მკვლელის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა და თავის გათავების ვალდებულება მის იმ შთამომავლებს, მემკვიდრეებს ჰქონდათ, რომლებიც გარდაცვლილი მკვლელის მამულს ფლობდნენ. შესაძლოა ეს მკვლელის გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მომხდარიყო და მისი მამული არა ერთ, არამედ რამოდენიმე მის შთამომავალს ჰქონოდა მფლობელობაში. ამ შემთხვევაში თავის გათავებისათვის სავალდებულო დრამას მკვლელის შთამომავლები გადაიხდიდნენ ერთობლივად, მაგრამ არა თანაბრად, არამედ იმისდა მიხედვით, თუ მკვლელის მამულის რა ნაწილი ეკავა ამა თუ იმ შთამომავალს. მაგალითად, ერთ კონკრეტულ შემთხვევაში თავის გათავებისათვის საჭირო 16 ხელითი ძროხა გადაიხადა ხუთმა ოჯახმა, რომლებიც მკვლელის მამულს ფლობდნენ. ამ 16 ძროხიდან ნახევარი გადაიხადა ერთმა ოჯახმა, რომელიც მკვლელის მამულის ნახევარს ფლობდა და მეორე ნახევარი დანარჩენმა ხუთმა ოჯახმა.[832] იგივე პრინციპით მოხდებო-

829 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8, 26-27.

830 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 87.

831 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 57.

832 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 3.

და დრამის განაწილება გადამხდელებს შორის, თუ თავის გათავების მომენტისათვის მკვლელის მამულს არა მისი უშუალო შთამომავლები, არამედ სხვა პირები, თუნდაც არანათესავები ფლობდნენ.

თავის გათავებისას სწორედ 16 ძროხის დრამის გადახდა გადაწყდა, რადგანაც გამოთვლის შედეგად დადგინდა, რომ თავის გათავების მომენტისათვის რაც გადაიხადა მკვლელის მხარემ „თავსისხლის" (60 ძროხა) ანგარიშში, მის სრულად გადახდამდე დაახლოებით 16 ძროხა იყო დარჩენილი.[833]

XX საუკუნის ბოლოს ჩანერილ ინფორმატორთა უმრავლესობა ასევე ადასტურებს, რომ თავის გათავების დროს 16 ძროხის დრამა უნდა ყოფილიყო გადახდილი, ქალის მკვლელობის შემთხვევაში კი ამის ნახევარი – 8 ძროხა.[834] როგორც ჩანს, დრამის ღირებულება „თავის გათავებისას" წინასწარ იყო განსაზღვრული 16 ძროხის ოდენობით და მისი განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ ხდებოდა.[835] ამას არაერთი ხევსური ინფორმატორიც ადასტურებს.[836] 16 ძროხა დრამის გარდა მეხელეს თავის გათავებისას უნდა მიეყვანა 3 წლის კურეტი და ერთი საკლავიც. ზოგიერთი მონაცემით, თუ კურეტი არა სამის, არამედ ორი წლის იქნებოდა, მაშინ მეხელეს მხარეს ერთი ძროხის დრამა უნდა დაემატებინა. ასევე უნდა მოედუღებინა 3 ფუთი ლუდი.[837] ბ. გოგოჭურის მონაცემების მიხედვითაც, „თავის გათავებისას" გადასახადი 16 ძროხა იყო, მასთან ერთად კი მკვლელობის ჩამდენი და მისი ძმა-სახლისკაცები მოკლულის სოფლის სალოცავში შუაკაცების ხელით აგზავნიდნენ 3 ან 5 საწყვის ლუდს, მიიყვანენ სამი წლის კურეტს, 1 ან 2 საკლავს, ერთ ვერცხლის სალოცავ თასს, ან მორთულ ყანწს.[838]

მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორები ასევე მიუთითებენ, რომ მეხელეს მხარეს დრამის გარდა უნდა მიეტანა ვერცხლის თასი, ნიკოლოზის 10 ვერცხლის მანეთის ნონა. ეს თასი უნდა მიეტანათ ჯვარში მოკლულის სულის მოსახსენებლად. ამ თასიდან მისი სულის შესანდობარი უნდა დაელიათ, სანამ იგი ახსოვდათ. თასს ზოგჯერ წარწერასაც უკეთებდნენ.[839] თავის გათავებისას

833 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 58-59; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 36.

834 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 53, 73; №5, 37; №6, 38.

835 ეს დებულება ეწინააღმდეგება რ. ხარაძის მონაცემს, რომლის მიხედვითაც „თავის გათავებისას" დრამის ოდენობას – 16 თუ 30 ძროხა – განსაზღვრავდა მეთავე, ანუ დაზარალებული მხარე (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, თბ., 1947, 185). სხვა არცერთი მონაცემის მიხედვით „თავის გათავებისას" 30 ძროხა არ ფიგურირებს. ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რატომ დადგინდა „თავის გათავებისას" დრამის ოდენობა 16 ძროხა. თუ მაინც კონკრეტულ შემთხვევაში, ან ადგილას მოხდებოდა „თავის გათავებისას" დრამის ოდენობის განსაზღვრა ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, ძნელი წარმოსადგენია მეხელეს 30 ძროხა დარჩენოდა გადასახდელი. გაუგებარია ამ ოდენობის დრამას რის საფუძველზე ასახელებს რ. ხარაძე. სამწუხაროდ, იგი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა კრიტერიუმი არსებობდა დრამის ოდენობად 16 თუ 30 ძროხის მოთხოვნისა. თან დრამის ოდენობის ასეთი სოლიდური სხვაობის არსებობა „თავის გათავების" სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია. „თავის გათავებისას" დრამის ოდენობის განსაზღვრის პრინციპის გათვალისწინებით, სხვა მონაცემების მხედველობაში მიღებით, „თავის გათავებისას" 30 ძროხის დრამის გადახდის შესაძლებლობა მცდარ მონაცემად მიგვაჩნია.

836 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 84; №5, 37.

837 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 34, 67.

838 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 89.

839 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 73; №5, 37.

მოკლულის სულის მოსახსენებლად საუბარია მოკლულის ხატში ჩხუტის (ლუდის ჩასასხამი სპილენძის ჭურჭელი, რომლშიც 10 ლიტრამდე ლუდი ჩადის) შენირვაზეც.[840]

სადაც მთელი „თავსისხლი" ხელითი ძროხის სახით გადაიხდებოდა „თავის გათავების" დროს გადასახდელ დრამაში მთლიანად მიქონდათ სპილენძი, ვერცხლეული, ფარდაგები, ნოხები, ხანჯალი, თულუხი, თუნგი, ბაკანი, ტაფა, ქაფქირი, ქიტი (წვენის ამოსაღები ჩამჩა) და სხვა. ზოგჯერ შეიძლება მიწაც მიეცათ.[841]

ზემოთაღნიშნული გუდანელი და ბაცალიგოელი ინფორმატორთა განმარტებით, ნახევარი დრამა (ე. ი. რვა ძროხა) ერთი ძროხის ანგარიშში 4 კილოგრამ სპილენძად იანგარიშებოდა, ნახევარი 5 კილოგრამ სპილენძად.[842] ერთ-ერთი ინფორმატორი კი სოფელ ამღიდან (არხოტი) თავის გათავებისას 16 ხელითი ძროხის მცირედით განსხვავებულ განაწილებაზე საუბრობს: 8 ხელით ძროხაში გადაიხდებოდა 800 გრამი ვერცხლი (100 გრამი ვერცხლი ერთ ხელით ძროხას უდრიდა). დანარჩენი 8 ხელითი ძროხა კი სპილენძის სახით გადაიხდებოდა: 4 ხელითი ძროხა ერთი ძროხის ანგარიშში 4 კილოგრამ სპილენძად იანგარიშებოდა, დანარჩენი 4 ხელითი ძროხა კი 5 კილოგრამად.[843] როგორც ვხედავთ, თავის გათავებისას მისაცემი 16 ძროხის განაწილება პირაქეთა ხევსურეთის სოფლებში და არხოტის სოფელში დაახლოებით ერთნაირი პრინციპით ხდებოდა, ხოლო არხოტელი ინფორმატორის ცნობაში გარკვეული განსხვავებაც ფიქსირდება, რაც ჩვეულებითი სამართლის პარტიკულარული ხასიათიდან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს და არხოტში მცირედით განსხვავებული წესის არსებობას უნდა მიუთითებდეს.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სადაც ნახევარი-ნახევარი დრამა ერთი ძროხის ანგარიშში შესაბამისად 4 და 5 კილოგრამ სპილენძად იანგარიშებოდა, ვერცხლის, მაგალითად, ვერცხლის ქამრის სახით გადახდა აკრძალული იყო. უბრალოდ, ეს არ იყო სავალდებულო, განსხვავებით არხოტელი ინფორმატორის ცნობისგან.

შესაძლოა, მოკლულის მხარეს ნაწილობრივ ეპატიებია დრამა. ეს მამკვდრის ოჯახის სურვილზე იყო დამოკიდებული.[844] ამ გარემოებას ადასტურებს რ. ხარაძეც. იგი საუბრობს „თავის გათავებისას" დრამის ერთი მესამედის პატიების შესაძლებლობაზე, რაც დაზარალებულზე იყო დამოკიდებული.[845] ფიქსირდება ცალკეული შემთხვევა, როდესაც დაზარალებულ მხარეს თავის გათავებისას დრამის აღებაზე საერთოდ უარი უთქვამს. მაგალითად, ხარათ და ბერდიშვილების მესისხლეობის საქმეზე თავის გათავებისას ბერდიშვილებმა უარი თქვეს დრამის აღებაზე, აპატიეს რა არხოტის ჯვარს.[846]

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არაერთი კონკრეტული ფაქტია აღწერილი

840 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 4.

841 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 4; №2, 53; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

842 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 6, 79.

843 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 10.

844 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 74.

845 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 185.

846 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/6, 69.

„თავის გათავების". მაგალითად, მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი (ნადირა ლიქოკელი) იხსენებს „თავის გათავების" შემთხვევას, რომელსაც მის ოჯახში ჰქონდა ადგილი, როგორც „მეთავესთან." ინფორმატორის ცნობით „თავის გათავებისას" მკვლელის მხარემ მეთავეს მიუყვანა კურეტი, ორი საკლავი და დრამა 16 ძროხა. დრამის ანგარიშში მიიტანეს ორი სპილენძის ქვაბი, ვერცხლის ქამრები (ერთი კილო ვერცხლი უდრის 10 ძროხას). საკლავი და კურეტი დაიკლა და „დადგა ტაბლა მკვდრისათვის". იგივე ინფორმატორის განმარტებით, დრამა, ლუდი და ერთი საკლავი მკვდრისათვის არის, ხოლო კურეტი და მეორე საკლავი ხატისათვის.[847] არხოტელი ინფორმატორი კი იხსენებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მისმა ოჯახმა (მეხელის მხარემ) მოკლულის მხარეს გადაუხადა 800 გრამი ვერცხლის ქამარი, ასევე სპილენძის ქვაბები, ქაფქირები, თულუხები და სხვა.[848] ფაქტიურად ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის სხვა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორი.[849]

თავის გათავებისთვის საჭირო დრამა მეხელის ოჯახიდან გადიოდა. საჭიროების შემთხვევაში მას ეხმარებოდნენ ძმები, ბიძაშვილები, დედის ძმებიც კი. ხევსური ინფორმატორის მიხედვით, რასაც მეთავე ღებულობს თავის გათავების დროს, ყველაფერი მასთან რჩება. სხვას არაფერს არ აძლევს, მით უფრო დედის გვარს.[850]

თავის გათავებისას ხდებოდა ორივე მხარის ნარმომადგენელთა შეხვედრა, რაც სრულდებოდა ე. წ. „სანასკვოს დადებით". თუ როგორ ტარდებოდა თავის გათავება, როგორი იყო „სანასკვოს დადების" რიტუალი, რა მნიშვნელობა ჰქონდა და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა მას, საუბარი გვექნება ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის შესწავლისას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თავსისხლის გადახდა-განაწილებაში მონაწილეობას მკვლელის და მოკლულის სხვადასხვა ნათესაური ჯგუფები იღებდნენ, თანაც როგორც მამის, ისე დედის ნათესაობის წარმომადგენლები.[851]

3. 7. გადასახადები „თავსისხლის" გარდა. მკვლელობის ჩადენისას „თავსისხლის" ზემოთ დაზარალებულ მხარეს უნდა მიეღო გარკვეული დამატებითი გადასახადი. ეს სახდელები ჩვენ განხილული გვაქვს სხვა ნაშრომში. აქ მოკლედ შევეხებით მათ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის სრული სურათის წარმოსაჩენად.

ა. არბითი.[852] „არბითი" როგორც გადასახადი არ შედიოდა „თავსისხლის" შემადგენლობაში. ამ გადასახადს პირველ რიგში იხდიდა მკვლელობის არა უშუალოდ ჩამდენი, არამედ დანაშაულის ხელშემწყობი, თუნდაც მისდა უნებურად, კერძოდ, „არბითის" გადახდა ეკისრებოდა იმას, რომლის ენის მიტანას

847 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 15-16.

848 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 11.

849 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 12.

850 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85.

851 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1947, ტ. 1, 191.

852 „არბითის" შესახებ უფრო დანერილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 395-400.

მოჰყვებოდა მკვლელობა, სხვისი იარაღით (თოფით, ხანჯლით, დანით) მკვლელობის ჩადენისას ამ იარაღის პატრონს.[853] ასევე არბითს გადაახდევინებდნენ იმ პირს, რომელიც მოახდენდა ჩხუბის პროვოცირებას და ამ ჩხუბში მონაწილე სხვა პირებს შორის მკვლელობა მოხდებოდა.[854] თუ მკვლელობა მოხდა ვინმეს ენატანიობის, პროვოცირების, წაქეზების გარეშე და დანაშაულის ჩამდენის იარაღით, მაშინ „არბითი" დაეკისრებოდა იმ პიროვნებას, რომელიც დაესწრო შუღლს და არ გააშველა მოჩხუბარნი. თუ ასეთიც არ იყო, მაშინ „არბითს" გადაახდევინებდნენ მას, ვინც ამ შუღლის დროს სოფელში, სახლში იყო, კარები ღია ჰქონდა და გასაშველებლად არ გამოვიდა.[855]

თუ არცერთი ზემოთდასახელებული პიროვნება არ იყო სახეზე, მაშინ არბითს იხდიდა თვითონ დამნაშავე.[856] ეს ნიშნავს, რომ „არბითი" არასდროს იკარგებოდა და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გადახდილი. ამრიგად, „არბითს" იხდიდა: დანაშაულის ჩადენის თუნდაც უნებურად ხელშემწყობი, თუ ასეთი არ იყო, ვინც ზომები არ მიიღო დანაშაულის აღსაკვეთად, თუ ასეთიც არ იყო, მაშინ თვით დანაშაულის ჩამდენი.

არბითი შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში რამოდენიმე პირსაც დაკისრებოდა და თვით დანაშაულით დაზარალებული მხარის წარმომადგენელსაც კი.[857]

ვისაც ეკისრებოდა „არბითის" გადახდა მას „მეარბითეს" უწოდებდნენ.[858] „არბითი" ოდენობა ხევსურეთში ძირითადად 5 ხელითი ძროხა იყო,[859] თუმცა შესაძლოა მეტიც ყოფილიყო – 5-დან 16 ძროხის ფარგლებში, „მეარბითეს" ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით.[860]

---

853 არბითი იარაღის პატრონს მაშინაც ეკისრებოდა, როდესაც იგი უმეთვალყურეოდ მიატოვებდა თავის იარაღს, ამ იარაღს მისდაუკითხავად აიღებდა პიროვნება და მისით ჩაიდენდა მკვლელობას (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 23).

854 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 396-397.

855 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 36.

856 ალ. ოჩიაური, იქვე. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ვხედებით მონაცემს, რომლის მიხედვითაც არბითის გადახდაში სავალდებულო იყო გადამხდელის მესაძმოე ბიძაშვილების მონაწილეობა. ხევსური ინფორმატორის განმარტებით, მესაძმოები, ერთმანეთს მხარში უდგანან სისხლ-მესისხლეობისას, როგორც გადასახადში, ისე ასაღებშიც. ერთ საძმოში შემავალი ერთ-ერთი მამის წევრს ჩაუდენია მკელელობა. არბითის – 16 ძროხის გადახდა მას დაეკისრა. მათი მესაძმოე მამის წევრები არბითის გადახდისას გვერდში არ დაუდგნენ და არბითის მთელი ოდენობით გადახდა მკვლელის მამის წევრებს მოუწია და ამის გამო მათ თავის მესაძმოებთან საძმო გაყარეს. ინფორმატორის მტკიცებით, რჯულის მიხედვით, მესაძმოე არბითის გადახდაში მონაწილე უნდა ყოფილიყო (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 131). ამ მონაცემიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხევსურეთში არბითის გადახდაში მესაძმოეობის დახმარება რეალობას წარმოადგენდა. კონკრეტული ფაქტი ამის დამადასტურებელია, თუმცა მხოლოდ ერთი მონაცემით რაიმეს ცალსახად მტკიცება ძნელია.

857 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 36; ბ. გოგოჭური, ხეეურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 23.

858 გ. დავითაშეილი, დასახ. ნაშრ., 397.

859 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1977, 12, №6, 8-9; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18, 36.

860 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 23; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ტ. 1, 1947, 188. ჩვენ სხვა ნაშრომში მოვიყვანეთ სხვადასხვა მონაცემი ხევსურეთში არბითის ოდენობის შესახებ. ძირითადად 5-დან 16 ძროხამდე. ეს განსხვავება კი ავხსენით ალ. ოჩიაურის ცნობით, რომლის მიხედვითაც, ხევსურეთში არბითის ოდენობა დროთა განმავლობაში მცირდებოდა. მაგალითად, თავდაპირველად „არბითი" ყოფილა 16 ძროხა, შემდეგ ჩამოსულა 12 ძროხამდე, შემდეგ 8–მდე და ბოლოს გამხდარა 5 ძროხა. ჩვენ ამ მონაცემზე დაყრდნობით დავასკვენით, რომ ერთ კონკრეტულ პერიოდში „არბითის" ოდენობა ზუსტად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო და მასთან დაკავშირებით მხარეები რაიმე ალტერნატივის

ბ. სასუდარმკვდრო. მკვლელობის დროს „სასუდარმკვდროს" დამნაშავე უხდიდა დაზარალებულ მხარეს მიწის სახით. მოკლულის ნათესავებთან მკვლელის შერიგებისას, მკვლელს უნდა მიეცა დაზარალებულისათვის 5 წერის მამული. ეს უნდა ყოფილიყო საუკეთესო, ე. წ. გულის მამული (ანუ მიწის ნაკვეთი მამულის შუაგულში). „სასუდარმკვდროს" სახით 5 წერის მამულის გადაცემა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მკვლელი და მოკლული ერთი სოფლიდან იყვნენ. თუ სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ, მაშინ მკვლელი მოკლულის მხარეს მამულის სანაცვლოდ უხდიდა იმავე, ანუ 5 ძროხის ოდენობის დრამას.[861] აღნიშნული მამული არის სიმბოლო იმისა, რომ მკვლელობისათვის გადახდილი სისხლი მამულის სახით სამუდამოდ რჩება გვარში მოკლული ნათესავის და მისი მკვლელობისათვის გადახდილი „სისხლის" ხსოვნის ნიშნად.[862]

გ. საუკენმამკვდრო.[863] ამ საზღაურს ხევსურეთში იხდიდა საპასუხო მკვლელობის ჩამდენი 5 ძროხის დრამის ოდენობით. საპასუხო მკვლელობის ჩამდენს უნდა გადაეხადა 5 ძროხა საუკენმამკვდრო და უკან უნდა დაებრუნებინა მის მიერ მიღებული მთელი დრამა, რომელიც შერიგების პროცესში მიიღო მან

წინაშე მხარეები არ უნდა მდგარიყვნენ (იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 396). სხვა ავტორები (რ. ხარაძე, ბ. გოგოჭური და სხვა), რომლებიც „არბითის" ოდენობად 5–16 ძროხას ასახელებენ არ მიუთითებენ რომ ამ სახდელის ოდენობა დროთა განმავლობაში 16-დან 5 ძროხამდე შემცირდა, ხოლო ბ. გოგოჭურის მონაცემით აშკარად ჩანს, რომ „არბითი" 5–16 ძროხის ფარგლებში ერთ პერიოდში შეიძლება გამოყენებულიყო და როგორც აღინიშნა, მისი ოდენობა მეარბითეს ქმედების სიმძიმეზე იყო დამოკიდებული.. რაში შეიძლება გამოხატულიყო „ქმედების სიმძიმე", ჩვენი აზრით, ჩანს ბ. გოგოჭურის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის გაგა თოთიას ძე ჭინჭარაულის მონაცემში, რომლის თანახმადაც, ენის მიტანით ან სხვისი იარაღით მკვლელობის ჩადენისას, ენის მიმტანი და იარაღის პატრონი „არბითის" სახით გადაიხდიდა 5 ძროხას, მაგრამ თუ ენის მიტანა მოხდა სპეციალურად, მაშინ „არბითად" შესაძლოა 16 ძროხის დაკისრებაც მომხდარიყო (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები", 1). როგორც ვხედავთ, ბ. გოგოჭურის მონაცემით, თუ ენის მიტანა მკვლელობის ჩადენას ისახავდა მიზნად „არბითის" ოდენობა შესაძლოა უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე მაშინ როდესაც ენის მიმტანს ასეთი მიზანი არ ჰქონდა. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირეს ამ საკითხზე ჩემთან საუბარში იოსებ არაბულმა და პეტრე გოგოჭურმა. იოსებ არაბული მიუთითებს, რომ არბითის ოდენობაში გრადაცია ყოველთვის არსებობდა და „მძიმე არბითის" დროს შესაძლოა 16 ძროხაც ყოფილიყო გადახდილი (16 ძროხა მაქსიმუმი იყო). თუ შედარებით მცირე წვლილი მიუძღოდა მეარბითეს დანაშაულის ხელშეწყობაში, ან მაგალითად, მოშუღლარები ვერ გააშველა და ამიტომ დაეკისრა არბითის გადახდა, არბითი ნაკლები, ვთქვათ, 5 ძროხის ოდენობის იქნებოდა (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 5). პეტრე გოგოჭური კი საერთოდ უარყოფს არბითის ოდენობის შემცირების ტენდენციას, რაც ალ. ოჩიაურის მასალებში ფიქსირდება და აღნიშნავს, რომ ასეთი რამ პირაქეთ ხევსურეთში არ იყო. იგიც მიუთითებს, რომ არბითის ოდენობა მეარბითეს ქმედების სიმძიმით იყო განპირობებული. მაგალითად, პიროვნებამ სხვას განგებ ენა მიუტანა, იარაღი მისცა, მითუმეტეს თუ იცის რომ მტერი ჰყავს, არბითის ოდენობა ამ დროს მეტი იქნებოდა. იარაღის სხვა პიროვნებისათვის მიმცემს უნდა გაეთვალისწინებინა რომ ამას შესაძლოა მკვლელობა მოჰყოლოდა (გ. დავითაშვილი, იქვე, 11). ბ. გოგოჭურის და დასახელებული ხევსური რესპონდენტების ეს მონაცემები განსხვავებულია ალ. ოჩიაურის მონაცემისაგან. ჩვენ ალ. ოჩიაურის მონაცემის სანდოობაში ეჭვი არ გვეპარება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ დროთა განმავლობაში ხევსურული რჯულით გათვალისწინებული სხვადასხვა ხასიათის გადასახადების შემცირების ზოგად ტენდენციას. ასევე მისი სისწორე ფაქტიურად დაგვიდასტურა ტარიელ არაბულმა, მისი მამის – ხვთისო არაბულის და ივანე წიკლაურის შესაბამისი ჩანაწერის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ასევე არბითის ოდენობა დროთა განმავლობაში შემცირდა (გ. დავითაშვილი, იქვე, 6). თუმცა სრულიად შესაძლებელია ალ. ოჩიაურის მონაცემი „არბითის" ოდენობის შემცირების შესახებ საბოლოოდ 5 ძროხამდე მთელი ხევსურეთისთვის არ ყოფილიყო დამახასიათებელი, ან ყოველთვის ასეთი მიდგომა არ ყოფილიყო გამოყენებული. შესაბამისად, დასაშვებია „არბითის" ოდენობა სხვადასხვა შემთხვევაში 5-დან 16 ძროხამდე ყოფილიყო., „მეარბითეს" ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, როგორ ეს ბ. გოგოჭურის ხევსურმა რესპონდენტებმა დააფიქსირეს.

861 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 417-418.

862 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადო არქივი, რვეული №3, 38.

863 საუკენმამკვდროს შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. დაეითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 418-423.

მკვლელისგან და მისი ნათესავისგან, გარდა ჯურუმისა.[864]

„საუკენმამკვდროს" გადახდა საპასუხო მკვლელობის ჩამდენის მიერ ნებისმიერ შემთხვევაში არ ხდებოდა. „საუკენმამკვდროს" გადახდის ვალდებულება შურისძიების ჩამდენს დაეკისრებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი მკვლელობის ჩამდენს და მის ნათესაობას არსებითი ნაბიჯები ექნებოდა გადადგმული მოკლულის ოჯახთან და ნათესაობასთან შესარიგებლად.[865] პირველი მკვლელობის ჩამდენი განიცდის დიდ წვალებას, კერძოდ, შესაძლოა მას ახლო ნათესავებთან ერთად მოუწიოს გახიზვნა, ზრუნვა პირშესამყრელოს მოწყობაზე და სხვა. თუ ამ წვალებისა და ხარჯის მიუხედავად სისხლის აღება მაინც განხორციელდა, მოხდება „თავის თავში გაბრა", ანუ გაქვითვა. ცხადია, შურისმაძიებელმა მხარემ პირველი მკვლელობის ჩამდენს მისგან მიღებული დრამა უნდა დაუბრუნოს, თუმცა იმ წვალებას, რომელიც პირველმა ჩამდენმა მხარემ გასწია (შესაძლოა არაერთი წლის განმავლობაში), საპასუხო მკვლელობის ჩამდენი არ განიცდის. შესაძლოა, მართლაც ამის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა ხევსურეთში სახდელი, რომელსაც დამატებით იხდის საპასუხო მკვლელობის ჩამდენი „საუკენმამკვდროს" სახით.[866]

დ. ჯურუმი. ხევსურეთში „მამკალ-მამკვდრობისას" მკვლელისა და მოკლულის მხარეებს შორის ურთიერთობის წესების დარღვევისათვის მიღებული იყო დაზარალებული მხარის მიერ მკვლელის და მისი მხარის წარმომადგენლისათვის „ჯურუმის" დაწესება. მისი გადახდა კი ხევსურული რჯულით სავალდებულო იყო მაშინაც კი, როდესაც მისი დაკისრება მკვლელის მხარეს უსამართლოდ მიაჩნდა.

ჯურუმის დაკისრება მოკლულის მხარის მიერ ხდებოდა: 1. მიწადშეი საკლავის დაგვიანებისათვის – 5 ძროხის დრამა; 2. რიგის საკლავის დაგვიანებისათვის – ოდენობას დაზარალებული მხარე განსაზღვრავდა ერთი კილოგრამი სპილენძიდან (ერთი ცხვარი) 20 კილოგრამ სპილენძამდე (ხუთი ძროხა); 3. მკვლელის ან მისი ნათესავის მხრიდან დაზარალებული მხარის მიმართ რაიმე უკადრისის, შეურაცხმყოფელის თქმისთვის; 4. მკვლელის ან მის ნათესავთა მხრიდან დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელისთვის. აქ ე.წ. „პატივის" მიუცემლობა, ხათრის გაუწევლობა იგულისხმება. 5. მკვლელის მხა-

---

864 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5, ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 5, 58-59; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 45; ჯურუმის გარდა უკან არ ბრუნდებოდა ასევე ასამტეხლო საკლავები, მოკლულის ოჯახის წევრებისა და ძმაბიძაშვილების დაღუპვის დროს მიყვანილი საკლავები, რჯულის საკლავი, ექიმის ხელ-მხრის გასანათლი საკლავი (ესაა საკლავი, რომელიც საჭიროა იმისათვის რომ სალოცავმა ხელი მოუმართოს ექიმს დაჭრილის მკურნალობის საქმეში. ექიმი ითხოვს ამ საკლავს მაშინ, როდესაც ჭრილობა მძიმე და საშიშია), ექიმის გასამრჯელო დრამა (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 49, 97).

865 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 5.

866 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 420; „საუკენმამკვდროს" არსებობას საინტერესოდ ხსნის ბ. გოგოჭური. მისი მოსაზრებით, „საუკენმამკვდროს" გადახდა საპასუხო მკვლელობის ჩამდენის მიერ ხდებოდა არა იმის გამო, რომ პირველი მკვლელობა იშობრად, შემთხვევით ხდებოდა, ხოლო საპასუხო წინასწარი განზრახვით (როგორც ამას ს. მაკალათია, გ. თედორაძე და სხვები ამტკიცებენ), არამედ იმის გამო, რომ საპასუხო მკვლელობის დროს ადგილი ჰქონდა მკვლელის მიერ მოკლულის მიცვალებულისადმი შეწირვას. ბ. გოგოჭური ს. მაკალათიას და სხვათა აღნიშნულ მოსაზრებას აბათილებს იმით, რომ ხევსურული რჯული ზოგადად არ განასხვავებს პასუხისმგებლობას განზრახ და იშობრად მკვლელობისათვის (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №2, 69). სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ არგუმენტთან ერთად, ბ. გოგოჭურის მოსაზრებაც მისაღებად მიეიჩნიოთ.

რის წარმომადგენლების მიერ გარკვეული სახეობის საქმიანობისა თუ მოქმედებისთვის მოკლულის ნებართვის გარეშე (სამხსნელოების გადახდის გარეშე) და სხვა. ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იყო 5 ძროხის დრამა.[867]

დაჯურუმებას ხევსურეთში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მკვლელისა და დაზარალებული მხარის შერიგების პროცესის ნებისმიერი ეტაპის, კერძოდ, „რიგის ყენების", ბიძაშვილების პირშესამყრელოს, მეხელის პირშესამყრელოს, თავის გათავების წინ. დაზარალებული მხარე იძიებდა – დამნაშავე მხარის წარმომადგენლებს (მკვლელს, მისი ოჯახის წევრებს, ბიძაშვილებს) რაიმე საჯურუმო ხომ არ ჰქონდა ჩადენილი და შესაბამისი ფაქტის არსებობისას ჯურუმს აკისრებდა მათ. ჯურუმის გადაუხდელობა შერიგების პროცესს აჩერებდა და შესაძლოა მტრობის განახლება (თუ გამძაფრება) გამოეწვია. ასეთი გართულების თავიდან ასაცილებლად, რასაც დაზარალებული ჯურუმად დაადგენდა, დამნაშავე, მისი მხარის წარმომადგენელი, როგორც წესი, უსიტყვოდ უგზავნიდა მას.[868] ჯურუმის დაკისრება შესაძლოა არაერთხელ მომხდარიყო სხვადასხვა დარღვევისთვის, თუმცა, როგორც ბ. გოგოჭურთან ჩანს, დაკისრებული ჯურუმების საერთო ღირებულება არ უნდა აცდენოდა თექვსმეტ ძროხას.[869] ჯურუმს იხდიდა ან დამრღვევი, ან მკვლელის ოჯახი. ჯურუმი, იმისდა მიუხედავად თუ ვინ გადაიხდიდა, მოკლულის ოჯახში მიდიოდა და ახლო ბიძაშვილებზე არ ნაწილდებოდა. იგი არ შედიოდა მკვლელობისათვის გადახდილ დრამაში და შურისძიებით მკვლელობისას უკან აღარ დაბრუნდებოდა.[870]

ე. სამხსნელოები. მკვლელს (მის მხარეს) ხევსურული ჩვეულებითი სამართლით გარკვეული აკრძალვები ჰქონდა დაწესებული. ამ აკრძალვებისაგან გასათავისუფლებლად და დაზარალებული მხარისგან აღკვეთილი საქმიანობის თუ მოქმედების განხორციელების ნებართვის მისაღებად მკვლელის მხარეს დაზარალებული მხარისათვის უნდა გადაეხადა გარკვეული ქონებრივი საზღაური – ე. წ. „სამხსნელო."

მკვლელობის შემთხვევაში მკვლელი და მისი ახლობლები (მოკლულთან ერთ სოფელში, ან ახლო სოფელში მცხოვრებნი) დაუყოვნებლივ ტოვებდნენ საცხოვრისს. საცხოვრისის დატოვება უხდებოდა ყველას, ვინც ხევსურული რჯულის თანახმად შესაძლოა გამხდარიყო სისხლის აღების ობიექტი: მკვლელი, მისი ოჯახის წევრები და ახლო ბიძაშვილები (მკვლელთან საძმოგაუყრელი „სახლიკაცები", ბიძაშვილები)[871]. მათ წინააღმდეგობის გაწევის უფლება

---

867 უფრო დაწვრილებით ჯარიმის შესახებ, რომელიც მკვლელობისას დაზარალებულის სასარგებლოდ გადაიხდებოდა იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 388-390.

868 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 389-390.

869 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 67.

870 ბ. გოგოჭური, იქვე; ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 11.

871 მკვლელი და მისი მამის ნათესავები (ახლო ბიძაშვილები) ოჯახიანად (ქალიან-კაციანად) იხიზნებიან, ხოლო მკვლელის მეორადნათესავებიდან (გარე ბიძაშვილებიდან, მკვლელის საძმოს სხვა მამის ნათესავებიდან) მხოლოდ მამაკაციანი გვარიშვილები, ისიც შედარებით მცირე ხნით. მაგალითად, ხახონაურთა საძმოდან თუ მკვლელი ქალიანი იყო, მისი ქალი, ნათესავი ყველაფერს ტოვებენ და ოჯახიანად გარბიან. ხახონაურთა საძმოს დანარჩენი ნათესავებიდან კი მხოლოდ კაცები გაიხიზნებიან (ვ. ბარდაელიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაელიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ონიანურის მაასლებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ფ. 329, 109).

არ ჰქონდათ და ამდენად, ფარულად იხიზნებოდნენ შედარებით უსაფრთხო სოფელში, სადაც „ამანათის“ უფლებებით სარგებლობდნენ.[872] ისინი მხოლოდ გარკვეული პირშესამყრელოების შემდეგ ბრუნდებოდნენ უკან. ჯერ გარე ბიძაშვილების დაბრუნება ხდებოდა, მოგვიანებით თვითონ მკვლელის და მისი ოჯახის წევრების. დაბრუნებულებს დაზარალებულის მხრივ ფაქტიურად ყველანაირი საქმიანობის უფლება აღკვეთილი ჰქონდათ: დღისით ვერ გავიდოდნენ სახლიდან, ხალხში ვერ გამოჩნდებოდნენ, ვერ გავიდოდნენ სამუშაოდ, სალოცავში ვერ მივიდოდნენ, სოფლის საძოვრებით, წისქვილით ვერ ისარგებლებდნენ, თავის მიცვალებულს სასაფლაოზე ვერ დამარხავდნენ და სხვა. აღნიშნული აღკვეთები ვრცელდებოდა არა მარტო მეხელესა და მის ოჯახზე, არამედ მის ახლო ნათესავებზეც, რომლებიც სისხლის აღების მიზნით დევნის ობიექტები შეიძლება გამხდარიყვნენ. თითოეული ამ უფლების მიღებისათვის აუცილებელი იყო ცალ-ცალკე სამხსნელოს გადახდა.[873] სამხსნელოს გადაუხდელობას დაჯურუმება მოჰყვებოდა ხუთი ხელითი დრამის ოდენობით.[874] ზოგიერთი მონაცემით, სამხსნელოს გადაუხდელობას შესაძლოა გამოეწვია რიგის ყენებისას უკვე გადახდილი საზღაურის გაბათილება და მტრობის ხელახალი ძალით განახლება.[875]

ხევსურული რჯულით რამდენიმე სახის სამხსნელო არსებობდა:

1. წყალ-წისქვილის სამხსნელო – მისი გადახდით მკვლელის მხარეს ეხსნებოდა აღკვეთა წყალსა და წისქვილზე. მის გადახდამდე წისქვილში დაფქვა მკვლელის მხარისთვის აკრძალული იყო. ამ სამხსნელოს გადახდის შემდეგ კი ამ უფლებას იძენდნენ.[876]

2. ჯვარ-ჯვარის კრის[877] სამხსნელო – ამ სამსხსნელოს გადახდა საჭირო იყო ჯვარში მისვლის უფლების მისაღებად. მის გადახდამდე მკვლელის მხარე საკუთარ სალოცავში ვერ მივიდოდა.[878]

3. საფლავ-სამარის სამხსნელო – თუ მკვლელის გვარში ვინმე მოკვდებოდა, მას მანამ ვერ დაასაფლავებდნენ, სანამ მოკლულის მხარეს აღნიშნული სამხს-

872 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 64.

873 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 194-195; ქართულ დიალექტოლოგიაში ვკითხულობთ: „აღარაფრის ნებაიც აღარ მიეცემის ეხლა ი კაცის მამკლავსა და იმის ბიძაშვილებს, ვერც მამულს მახნავს თავისას, გინდა ათ სახლიც ედგას, სულ ერთია, არ აყურებიებენ. ის თავის ადგილს ვერ დაელახავს. თუ დალახა, მაშინ ის ჯურუმს გადაახდევს, რომ შენ თავის ადგილში შამასულხარო.“ (ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 12).

874 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 15, 72; №6, 4; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 65-66.

875 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 4.

876 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 194; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 10; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; გ. თედორაძე, ფშავ-ხევსურეთი, ტფ. 1930, 115; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 76; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 36.

877 ჯვარ-ჯვარისკარი, იგივე ჯვარის კარი – ხატის, ჯვრის (ნაგებობის) ეზო-მიდამო, სამლოცველო ადგილი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 1170).

878 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 194; მისივე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 38; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 10; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 76; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 36.

ნელო არ გაეგზავნებოდა. ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით მონაყოლს ნაროზაულთა და ოჩიაურთა მესისხლეობის შესახებ. სოფელში ბავშვები და ქალები მიუშვეს, ხოლო მამაკაცები იმალებოდნენ. მკვლელის გვარში ერთი მოხუცი კაცი გარდაიცვალა, საჭირო გახდა მისი დაკრძალვა. რადგანაც საფლავ-სამარე მოსისხლე გვარებს ერთად ჰქონდა (თანასოფლელები იყვნენ), ამიტომ აუცილებელი გახდა საფლავ-სამარის სამხსნელოს გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასაფლავების უფლებას დაზარალებული მხარის წარმომადგენლები მკვლელის გვარს არ მისცემდნენ. მიცვალებულის პატრონმა გაუგზავნა დაზარალებულის ოჯახს შესაბამისი სამხსნელო და იხსნა საფლავ-სამარხი, დაასაფლავა თავისი მკვდარი.[879]

4. საქმის სამხსნელო, იგივე მუშაობის სამხსნელო – მისი არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ მკვლელის მხარეს დაზარალებული მხარისაგან ნებართვა უნდა მიეღო საკუთარ მამულში მუშაობის: მოხვნის, თიბვის, მკის, საერთოდ საქმის კეთების.[880] მ. კეკელიას ინფორმატორის განმარტებით: თიბვის, მკის, ხვნისთვის გათვალისწინებული სამხსნელო „საქმეზე გასვლის სამხსნელოდ" იწოდება.[881] ს. მაკალათიას თანახმად, შინ დაბრუნებული მეხელე სამხსნელოს უგზავნიდა დაზარალებულს თითოეული საქმიანობის დაწყების წინ, კერძოდ, საქმის სამხსნელოს უგზავნიდა ოჯახში საქმიანობის დასაწყებად, შემდეგ ხარგუთნის გაბმის (ანუ ხვნის დაწყების) წინ უგზავნიდა მიწა-წყლის სამხსნელოს, რის შემდეგაც ხვნის უფლება ეძლეოდა, თიბვის დაწყებამდე – თიბად გასვლის სამხსნელოს.[882] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორიც აღნიშნავს, რომ საქმის თავის სამხსნელო (ასე უწოდებს იგი საქმის სამხსნელოს) ყველა ცალ-ცალკეა მაგალითად, ხარების დაბმაზე ანუ ხვნის სამხსნელო ცალკეა, თიბვა-მკა ცალკეა, ცალკეა წყალ-წისქვილის სამხსნელო.[883] ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვითაც „ჴვნად გასვლის სამხსნელო" და „თიბისა" ცალ-ცალკეა დასახელებული.[884] ბ. გოგოჭურის მონაცემების თანახმადაც, თუ მკვლელობა გაზაფხულზე ან ზაფხულის პერიოდში მოხდებოდა, მკვლელს მოუწევდა ხვნა-თესვისა და თიბა-მკის სამხსნელო საკლავების გაგზავნა ჭირის პატრონისათვის. ამის შემდეგ ჭირის პატრონი მას ხვნა-თესვისა და თიბა-მკის უფლებას მისცემს.[885]

---

879 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 194; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 44; მისივე, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 10; ს. მაკალთია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 76; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 80; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 36.

880 ბ გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, 1923-1924, 141; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 115; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №3, 4; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 36; თუ მკვლელობა მოხდა ისეთ დროს, რომ მკვლელს უკვე დათესილი ჰქონდა ყანა, ეს ნათესი უნდა დარჩენილიყო და იქ განყალებულიყო უსარგებლოდ. მისი მამული იმ წელიწადს არ დამუშავდებოდა და დარჩებოდა უსარგებლოდ. მკვლელის სახლ-კარიც უპატრონოდ უნდა დარჩენილიყო და არავის ჰქონდა უფლება მიეხედა სახლ-კარისა და სახლში დარჩენილი ქონებისათვის (დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 36).

881 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 42.

882 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84.

883 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 56.

884 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 187.

885 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 66.

ნაროზაულთა და ოჩიაურთა მესისხლეობის ზემოთნახსენებ შემთხვევაში ნაროზაულები სამუდამოდ გაიხიზნენ სოფლიდან – გაყიდეს მამულები, სახლები, ავეჯი და კახეთის ტყეებში წავიდნენ საცხოვრებლად, ზოგიერთებმა კი ვერ მოასწრეს გაყიდვა და მიწები იქვე მოხნეს. დაზარალებულ მხარეს ხვნად გასვლის სამხსნელო გაუგზავნეს და ამით ხვნა-თესვის უფლება მიიღეს.[886] ამ შემთხვევაში ჩანს, რომ სამხსნელოს გაგზავნა მოხდა ერთი კონკრეტული სახეობის საქმიანობის (ხვნის) უფლების მოსაპოვებლად.[887]

ამდენად, „საქმის სამხსნელო" გულისხმობდა სხვადასხვა სახის საქმიანობაზე უფლების მოპოვებას.

მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორი „სამახნაო საკლავს" მოხვნის ნებართვისთვის გაღებულ საკლავად მოიხსენიებს, ანუ ფაქტიურად „სამხსნელოდ". მათი თქმით, ამ საკლავს მკვლელის ოჯახი უგზავნიდა მოკლულის ოჯახს, არა ყოველწლიურად, არამედ მხოლოდ ერთხელ.[888] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოკლულის მხარისადმი ყოველწლიურად გასაგზავნ საკლავს „სამახნაო საკლავს" არ უწოდებდნენ, როგორც ეს ზოგიერთ ავტორთან (კერძოდ, რ. ხარაძესთან) გამოჩნდა.

ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ძირითადად ამ სამხსნელოებზეა საუბარი. მათ ავტორების უმრავლესობა ეხება. გარდა ამისა გვხვდება სხვა სამხსნელოებიც.

მასალებში გვხვდება „გარეთ გასვლის" სამხსნელო. ხევსურეთში როგორც წესი სისხლის აღების მიზნით არ დევნიდნენ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს. მათ მიმართ თოფის სროლა არ შეიძლებოდა. მოხუც მამაკაცს „იარაღაყრილი კაცი" ეწოდებოდა. ალ. ოჩიაურის თანახმად, მკვლელის მხარის (მითუმეტეს მკვლელის მესაძმოების, გარე ბიძაშვილების) ქალები, ბავშვები და მოხუცი მამაკაცები შეიძლება დარჩენილიყვნენ, არ გახიზნულიყვნენ, თუმცა რაკი მათი ოჯახის წევრის, ბიძაშვილის ხელით კაცი იყო მოკლული, ისინი დაღამებამდე სახლში იმალებოდნენ და მკვლელობის ჩადენის თავდაპირველ ეტაპზე დღისით გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. იმისათვის რომ ეს აკრძალვა გაუქმებულიყო და დაზარალებულ მხარეს მათთვის გარეთ გასვლის უფლება მიეცა, საკლავი უნდა გაეგზავნა დაზარალებული მხარისათვის. თუ ვინმე გამოვიდოდა, მას დაზარალებული მხარე ჯურუმს დააკისრებდა.[889] მ. კეკელიას ინფორმატორიც საუბრობს, რომ მეხელის ოჯახს და მის ბიძაშვილებს ოჯახიდან გარეთ გამოსვლის უფლების მისაღებად, საკლავი უნდა გაეგზავნათ დაზარალებულის

---

886 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 46.

887 მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი აქ მოტანილი მონაცემების საწინააღმდეგოდ მიუთითებს, რომ „საქმის სამხსნელო" მოიცავდა ყველა სახის სამუშაოზე – ხვნა-თესვაზე, მკაზე, თიბვაზე – უფლების მიღებას და ყველა ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ერთი საკლავი (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №2, 52). მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი ასევე მიუთითებს, რომ „საქმის სამხსნელო" ერთიანად გულისხმობს ყველა აღნიშნულ საქმიანობაზე უფლების მიღებას (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №2, 4). მონაცემებში გარკვეული განსხვავებანი შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგან ყველა ამ საქმიანობაზე უფლების მისაღებად მკვლელის მხარეს სამხსნელო მხოლოდ ერთჯერადად უნდა გადაეხადა და ზოგან თითოეული ამ საქმიანობის (მაგალითად, ხვნის და თიბვის) დასაწყებად ცალ-ცალკე.

888 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №5, 38; №6, 47-48.

889 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 185-186.

ოჯახისათვის.[890] ბ. გოგოჭური ასევე ადასტურებს აღნიშნული სამხსნელოს არსებობას.[891]

ზოგიერთი ინფორმატორი საუბრობს „გზათა სამხსნელოს" გაგზავნის აუცილებლობის შესახებ, გზაზე გავლის უფლებისათვის.[892]

გვხვდება „საქორწინო სამხსნელო" – ამ სამსხნელოს გადახდა მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ მკვლელის მხარეს პირშესამყრელოს მოხდენამდე ვინმე დაქორწინდებოდა. ამ სამხსნელოს გადახდა მხოლოდ ერთხელ ხდებოდა. ყველა სხვა დაქორწინებისას მისი გადახდის საჭიროება არ არსებობდა.[893]

საერთოდ, თითოეული სამხსნელოს გადახდა მხოლოდ ერთხელ ხდებოდა. მაგალითად, საფლავ-სამარის სამხსნელოს მკვლელის მხარე ერთხელ გადაიხდიდა, პირველი გარდაცვალებისას. ყველა სხვა გარდაცვალების შემთხვევაში ამ სამხსნელოს გაგზავნა საჭირო აღარ იყო.[894]

მ. კეკელიას ინფორმატორთა მიხედვით, სამხსნელოების მიცემა ერთბაშად არ ხდებოდა. მაგალითად, გარეთ გასვლის სამხსნელო მაშინვე გადაიხდებოდა, ისე როგორც წყალ-წისქვილის სამხსნელო, რადგანაც გარეთ გასვლა და წისქვილი ყოველთვის საჭირო იყო. ზოგიერთ სამხსნელოს კი მაშინ უგზავნიდნენ როცა ამის საჭიროება დადგებოდა, მაგ. ხვნის სამხსნელოს ხვნის დაწყების დროს უგზავნიდნენ, ჯვარ-ჯვარისკარისას დღესასწაულის – ჯვარობის დროს და ა. შ. შესაძლოა ხვნის დაწყებას არ დალოდებოდნენ და შესაბამისი სამხსნელო ადრეც გადაეხადათ, თუმცა ყველაფრის ერთბაშად გადახდა მაინც არ ხდებოდა.[895]

ინფორმატორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ზოგიერთი სამხსნელო – საფლავ-სამარის, ჯვარ-ჯვარის კრის აუცილებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელის და მოკლულის მხარეებს საერთი სამარე და სალოცავი ჰქონდათ. თუ სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი იყვნენ და საერთო სამარე არ ჰქონდათ, მაშინ შესაბამისი სამხსნელოს გადახდა საჭირო არ იყო.[896] ზემოთმოყვანილ ნაროზაულთა და ოჩიაურთა შუღლთან დაკავშირებითაც აღინიშნა, რომ საფლავ-სამარის სამხსნელოს გადახდა მოხდა იმიტომ, რომ ამ გვარებს საერთო სამარე ჰქონდათ. ხევსურეთში მიღებული წესის მიხედვით მიცვალებული მხოლოდ თავის სოფლის სასაფლაოზე უნდა დამარხულიყო. სხვა სოფლის სასაფლაოზე ამის გაკეთება მხოლოდ დროებით ხდებოდა, მაგალითად, უგზოობის გამო ზამთრის პერიოდში.[897] ეს წესი განაპირობებდა აუცილებლობას იმისა, რომ მკვლელის მხარეს თავისი მიცვალებულის საკუთარი

---

890 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 35; №6, 4.

891 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 65.

892 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 42; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებითი სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 77; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71.

893 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 52, 75; №6, 57.

894 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 73, 75; №6, 4.

895 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 46-47; №6, 4.

896 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71.

897 ბ. გოგოჭური, ხევსურული- რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 66.

სოფლის სასაფალოზე დასასაფლავებლად მოკლულის მხარისაგან უფლების მიღების მიზნით მისთვის სამხსნელო გადაეხადა.

საერთო სამარეს და სალოცავის არარსებობისას აღნიშნული სამხსნელოების გადახდა რომ არ ხდებოდა, სხვა მონაცემებითაც დასტურდება.[898] ს. მაკალათიას მონაცემით, სანამ მკვლელი წყალ-წისქვილის სამსხსნელოს გადაიხდიდა, მანამ საფქვავს სხვა სოფელში ფქვავდა.[899] აქ გარკვეული მინიშნებაა, რომ ამ სამხსნელოს გადახდაც მაშინ ხდებოდა, როდესაც მკვლელი და მოკლული თანასოფლელები იყვნენ. აქ ჩანს, რომ მკვლელის მხარე წყალ-წისქვილის სამხსნელოს გადახდის შემდეგ იღებს უფლებას წისქვილით ისარგებლოს მოკლულის სოფელში. თუ მას შეუძლია მანამდე სხვა სოფლის წისქვილით ისარგებლოს, ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ მაშინ ექნება ინტერესი ისარგებლოს მოკლულის სოფლის წისქვილით, თუ ისიც იმავე სოფლიდანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია რატომ უნდა გადაიხადოს მან სამხსნელო მოკლულის სოფელში წისქვილით სარგებლობისათვის, როდესაც მას შეუძლია ისარგებლოს სხვა სოფლის წისქვილით.

უნდა ითქვას, რომ მ. კეკელიას მასალებით (1977 წ.) და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილი მასალებით (1988) სამხსნელოების გადახდა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელი და მოკლული თანასოფლელები იყვნენ. ერთ-ერთი ინფორმატორი აცხადებს: „სამხსნელოებია, როდესაც **ორივე მხარე ერთ სოფელშია** (ხაზგასმა ჩვენია – გ. დ.), მაშინ საჭიროა მკვლელობიდან უმოკლეს დროში მოკლულთა მხარემ მიართვას გზაზე გავლის სამხსნელო, საქმეზე გასვლის სამხსნელო, წყალ-წისქვილის სამხსნელო, საფლავ-სამარხის სამხსნელო. ყველა ამისათვის მამკლავი მხარე უგზავნის მოკლულის მხარეს ერთ საკლავს, მხოლოდ ერთხელ."[900] მეორე ინფორმატორის მითითებით: „მამკლავმა მხარემ **თუ თავისი სოფლელი მოკლა** (ხაზგასმა ჩვენია – გ. დ.) უნდა გაუგზავნოს მოკლულის ოჯახს ასამხსნელოებიც: წყალ-წისქვილისა, საქმის თავთა, საფლავ-სამარხის, ჯვარ-ჯვარის კარის (მის გარეშე ჯვარში ვერ შევა), ქორწილის ..... სამხსნელო (ვერ გაათხოვებს და ვერც დააქორწინებს). თითოეული სამხსნელოსათვის თითო საკლავია..... თუ გარეშე სოფლელია მკვლელი, იგი არც ერთ სამხსნელოს არ აგზავნის."[901] მისი განმარტებით, სხვა სოფლელ მკვლელს თავის წყალ-წისქვილი, სასოფლო და სამუშაო ადგილები აქვს და არც ქორწილის სამხსნელოს გადახდას საჭიროებს.[902]

1988 წელს ხევსურეთში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ „სამხსნელო" გადაიხდებოდა მაშინ, როდესაც მკვლელი და მოკლული ერთი სოფლის მცხოვრებნი იყვნენ.[903]

გარკვეულწილად განსხვავებულ ცნობას გვაწვდის მ. კეკელიას სხვა ინ-

898 . კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №6, 4, 57.

899 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84.

900 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 42.

901 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 72-73.

902 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 75.

903 გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში 1988 წლის ივნის-აგვისტოში სამეგრელოსა და ხევსურეთში ჩატარებულ სამუშაოზე, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," №4, თბ., 1993, 208.

ფორმატორი. მისი თქმით, მკვლელისა და მოკლულის თანასოფლელობა აუცილებელი იყო ისეთი სამხსნელოების გადახდის სავალდებულობისათვის, როგორიცაა წყალ-წისქვილისა და საფლავ-სამარის სამხსნელო. თანასოფლელობის შემთხვევაში მკვლელის მხარე დაზარალებულს უგზავნიდა სხვა სამხსნელოებსაც: მაგალითად, „საქმის სამხსნელოს" ხვნის, თიბვის, მკის და სხვა უფლების მოსაპოვებლად. თუ მკვლელი და მოკლულების თანასოფლელები არ იყვნენ, „სხვა ალაგისაა" წყალ-წისქვილისა და საფლავ-სამარის სამხსნელოების გადახდა არ ხდებოდა, ხოლო საქმის სამხსნელოს გადახდა შესაძლოა მომხდარიყო. თუმცა თუ ამას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ შესაძლოა ჯურუმის გადახდევინება მაინც არ მომხდარიყო. ინფორმატორის განმარტებით, ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ აფასებდა მკვლელის მხარე დაზარალებულს.[904] ამ ინფორმატორის მონაცემის მიხედვით ფაქტიურად გამოდის, რომ თუ მკვლელი და მოკლული სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ სამხსნელოების გადახდის ვალდებულება, როგორც ზოგადი წესი, არ არსებობდა: წყალ-წისქვილისა და საფლავ-სამარეს სამხსნელოს გადახდა საერთოდ არ ხდებოდა, ხოლო საქმის სამხსნელო შესაძლოა გადახდილიყო და შესაძლოა არა. ეს დამოკიდებული იყო დაზარალებულ მხარეზე, მის შესაძლებლობაზე. თუ მკვლელის მხარე ანგარიშს უწევდა დაზარალებულ მხარეს, მაშინ მეტი ალბათობა იყო იმისა, რომ მას საქმის სამხსნელო გადაეხადა. სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მხარე ითვალისწინებდა, რომ დაზარალებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, უნარი მასზე ზემოქმედების მოხდენის. ამდენად, ამ ინფორმატორის მონაცემი არსებითად არ განსხვავდება მ. კეკელიას იმ ინფორმატორთა ცნობისაგან, რომლებიც აცხადებენ, რომ სამხსნელოს გადახდა მხოლოდ მაშინ ხდებოდა, თუ მკვლელი და მოკლული თანასოფლელები იყვნენ. ამ მონაცემშიც კარგად ჩანს, რომ მკვლელისა და მოკლულის სხვადასხვა სოფელში ცხოვრება სამხსნელოს გადახდის ვალდებულებას არ წარმოშობდა, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს ინფორმატორი უშვებს შესაძლებლობას საქმის სამხსნელოს გადახდისა მხოლოდ დაზარალებული მხარის უნარიდან გამომდინარე.

მოტანილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სამხსნელოს გადახდის ვალდებულებას უზრუნველყოფდა დაზარალებულის შესაძლებლობა გაეკონტროლებინა მკვლელის მხარის ქმედებები, ხელი შეეშალა მისი წარმომადგენლებისათვის მისულიყო ჯვარში, დაეფქვა წისქვილში, გამოსულიყო გარეთ, მოეხნა, ეთიბა და სხვა. ჩვეულებითი სამართლით დადგენილი სამხსნელოს გადახდის წესი ამ ფაქტორის გარეშე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამის შესაძლებლობა დაზარალებულ მხარეს უპირველეს ყოვლისა ჰქონდა მაშინ, როდესაც მკვლელი მისი თანასოფლელი იყო. თუ მკვლელი დაზარალებულისგან მოშორებით მდებარე სოფელში ცხოვრობდა, მაშინ, ცხადია, ასეთი კონტროლის განხორციელება უკიდურესად გაძნელდებოდა. ამიტომ უნდა მიუთითებდნენ მ. კეკელიას ინფორმატორები, რომ სამხსნელოს გადახდა უცილობლად მაშინ ხდებოდა, როდესაც მკვლელი და მოკლული თანასოფლელები იყვნენ. ერთ-ერთი ინფორმატორის დაშვება, რომ შესაძლოა სხვა ალაგის, სხვა სოფლის მცხოვრები მკვლელის მხარის მიერაც მომხდარიყო სამხსნელოს გადახდა, მისი დაზარალებულისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სრულიად რეალურია (შესაბა-

904 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 15.

მისი მაგალითებიც არსებობს),[905] თუმცა ჩვენი აზრით, მ. კეკელიას ამ ინფორმატორის ლოგიკას თუ მივყვებით, ეს ძირითადად მაინც მოკლულის სოფლის მეტნაკლებად ახლომდებარე სოფლის მკვიდრ მკვლელზე შეიძლება გავრცელდეს და არა შორეულ სოფლის მკვიდრზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტარიელ და იოსებ არაბულების მონაცემი, რომელიც გარკვეულწილად ადასტურებს ჩვენს ამ ვარაუდს. მათი ცნობით, სამხსნელოს გადახდას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც მკვლელი და მოკლული თანასოფლელები ან თანამეთემეები იყვნენ,[906] ანუ ერთმანეთის ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი.

ძირითადი მონაცემებით, სამხსნელოებს დაზარალებულ მხარეს უხდიდა მამკლავი. ასე ჩანს რ. ხარაძის, ს. მაკალათიას, ბ. გაბუურის, გ. თედორაძის მონაცემებით.[907] რ. ხარაძის ინფორმატორის მიხედვით მეთავე როდესაც მკვლელს შეირიგებს მაშინ გამოართმევს სამხსნელოებს: წყალ-წისქვილის, ჯვარ-ჯვარის კრის, საფლავ-სამარის.[908] უშუალოდ მკვლელის ოჯახის მიერ სამხსნელოს გადახდას ადასტურებს მ. კეკელიას ინფორმატორი საკუთარი ოჯახის მაგალითზე.[909] ვ. ბარდაველიძის არაერთი მონაცემითაც, სამხსნელოებს იხდის მეხელე, მკვლელის ოჯახი, ძმები და არა მესაძმოე, რომელიც მეხელეზე ადრე ბრუნდება. მესაძმოე მხოლოდ პირშესამყრელოს აკეთებდა.[910] იგივეს აფიქსირებენ ტარიელ და იოსებ არაბულები.[911]

გვხვდება მონაცემები რომელთა მიხედვითაც სამხსნელოების გადახდა ხდებოდა არა უშუალოდ მეხელის ოჯახის, არამედ მისი ბიძაშვილების მიერ, რომლებიც მეხელეზე ადრე აწყობენ დაზარალებულთან პირშესამყრელოს და სახლში ბრუნდებიან.[912] აღსანიშნავია, რომ ვ. ბარდაველიძის პირად საარქივო ფონდში დაცულ მასალებში არის ასეთივე მონაცემი. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ სამხსენლოებს იხდის მკვლელის გარე ბიძაშვილი, ანუ მესაძმოე.[913] ასეთი ინფორმაცია ვ. ბარდაველიძის მონაცემებში ერთეულია, ძირითადად ინფორმატორები სამხსნელოების გადამხდელად მაინც მკვლელს, მის ოჯახს, უახლოეს ადამიანებს ასახელებენ.

ზემოთ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში (იგულისხმება ნაროზაულთა

---

905 ერთ შემთხვევაში მკვლელი ამღელი იყო (არხოტის თემი), მოკლული ჯუთელი. როგორც მკვლელის შვილი აღნიშნავს, მისმა ოჯახმა გარკვეული სამხსელოები გადაიხადა (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1977, №3, 4).

906 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ქ. დუშეთი, 2016, 4,

907 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 194-195; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; ბ. გაბური, დასახ. ნაშრ., 141; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 115.

908 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 195.

909 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №3, 4.

910 ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ვ. ბ. 247/3, 56; ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 68, 111, 113.

911 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ქ. დუშეთი, 2016, 4.

912 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რეული №1, 10.

913 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ე. ბ. 329, 114.

და ოჩიაურთა მტრობა) სამხსნელოების გადახდა მკვლელის ოჯახის მიერ არ მომხდარა. ერთ შემთხვევაში საფლავ-სამარეს სამხსნელო მოკლულის გვარში ვარდაცვლილის ოჯახმა გადაიხადა, მეორე შემთხვევაში კი მიწის მოხვნისთვის სამხსნელო გადაიხადეს მოკლულის იმ ბიძაშვილებმა, რომლებმაც კახეთში გადასასახლებლად ქონების გაყიდვა ვერ მოასწრეს და მიწის მოხვნა ისევ თავის სოფელში მოუხდათ.

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ სამხსნელოს გადახდა ზოგადად უწევდა მკვლელს, მის ძმებს. მაგრამ თუ მკვლელი და მისი ოჯახი, ძმები სამუდამოდ გაიხიზნებოდნენ და უკან აღარ დაბრუნდებოდნენ, ცხადია, სამხსნელოების გადახდა მკვლელს და მის ოჯახს აღარ მოუწევდა და ამას მისი მონაცვლე ბიძაშვილები, ან სხვები გააკეთებდნენ. ზემოთმოყვანილ შემთხვევაში (ნაროზაულთა და ოჩიაურთა მტრობა) მკვლელი სამუდამოდ გაიხიზნა და ამდენად, სამხსნელოები უშუალოდ მას არ გადაუხდია. კონკრეტულ შემთხვევაში სამხსნელოების გადახდა შესაძლოა მკვლელის ბიძაშვილებს განეხორციელებინათ საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც ეს აღნიშნულ შემთხვევაში მოხდა.

რ. ხარაძის ინფორმატორის მიხედვით, მის მიერ ჩამოთვლილი ყველა სამხსნელო (წყალ-წისქვილის, ჯვარ-ჯვარის კრის, საფლავ-სამარის, საქმის) ცალ-ცალკე 9 ხელითი ცხვრის ღირებულებისაა.[914] ავტორთა უდიდესი ნაწილის (ალ. ოჩიაურის, ბ. გაბურის, ს. მაკალათიას, გ. თედორაძის, ბ. გოგოჭურის და სხვა) მასალების მიხედვით კი ერთი საკლავი.[915] მ. კეკელიას ინფორმატორთა უმრავლესობაც სამხსნელოს ღირებულებად ერთ საკლავს მიუთითებს.[916] ერთ-ერთი მათგანის თქმით ეს უნდა ყოფილიყო ბატკანი ან „წელგამავლილი“, ე. ი. მეორე წელში გადასული ცხვარი.[917] ზოგიერთი ცალკეული ცნობის მიხედვით კი სამხსნელო 3 ხელითი ცხვრის დრამის ოდენობისაა.[918]

ალ. ოჩიაურის ერთი ინფორმატორი საუბრობს სამხსნელოდ როგორც საკლავის, ისე სამი ცხვრის დრამის ერთდროულად გაგზავნაზე. მისი განმარტებით: „.....ყველა წესების შესრულების შემდეგ დამნაშავის გვარის ხალხს მოუშვებენ სოფელში. მოსულებმა დაზარალებულს უნდა გაუგზავნონ საკლავი წყალ-წისქვილის სამხსნელო, ერთი საფლავ-სამარის სამხსნელო და ერთი ჯვარ-ჯვარისკრის სამხსნელო. ამ საკლავებს თან უნდა მიაყოლონ სამსამის ცხვრის დრამა, სულ ცხრა ცხვრის დრამა. ამის შემდეგ ნება ეძლევა წისქვილში დაფქვისა, თუ ვინმე მოუკვდა აქაურ სასაფლაოში დამარხვისა და ჯვარში მისვლისა სალოცავად. მანამდინ ეს არ შესრულდება ჭირისპატრონი არც ერთის ნებას მისცემს.....“[919]

914 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 195.

915 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 44; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 84; გ. თედორაძე, ფშავ-ხევსურეთი, ტფ. 1930, 115; ბ. გაბურაური, დასახ. ნაშრ., 141; მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი), თბ., 2001, 23; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 65, 66.

916 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 3, 15, 41, 52; №3, 4; №5, 45; №6, 4.

917 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 46.

918 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 76; ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 12.

919 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 10.

სამ სხვადასხვა სამხსნელოდ ერთდროულად თითო საკლავის გადახდაც და სამ-სამი (ჯამში ცხრა) ცხვრის დრამისაც ალ. ოჩიაურის მხოლოდ ერთ ინფორმატორთან გვხვდება. სხვა მონაცემებით, როგორც წესი, სამხსნელოდ ერთი საკლავის გაგზავნა ხდებოდა. ალ. ოჩიაურის ეს ინფორმატორი ხევსურული რჯულის არაჩვეულებრივი მცოდნეა და ძალზედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ხევსურული რჯულის დაწესებაზე. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ სამხსნელოს გადახდის აღნიშნული წესი მართლაც მოქმედებდა ხევსურეთში, რომელიმე ლოკალურ ტერიტორიაზე, ან თუნდაც შედარებით ადრეულ პერიოდში.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების დიდი უმრავლესობის მიხედვით გამოდის, რომ ძირითადად თითოეული სამხსნელო ერთ საკლავად ფასობდა, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში გამორიცხული არაა აქ მოყვანილ სხვა ოდენობადაც შეფასებულიყო.[920]

3. 8. მკვლელის ციხეში ყოფნის გავლენა პასუხისმგებლობის დაკისრებისას. ხევსური ინფორმატორების განმარტებით, მკვლელობის დროს მკვლელისა და მოკლულის მხარეთა შერიგების მთელი პროცესი თავის გათავების ჩათვლით, როგორც ძველად, ისევე ტარდებოდა (იგულისხმება მონაცემის ჩაწერის მომენტისათვის – 1977), მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ მკვლელი ციხეში იმყოფებოდა სახლი სახლს არ უყენებდა რიგს. მკვლელის ოჯახის წევრები იტყოდნენ: „რა ვიცით, იქნებ არ დაბრუნდესო“. მკვლელი ციხიდან გამოსვლის შემდეგ დააყენებდა სახლის რიგს.[921] ინფორმატორთა განმარტებით, მკვლელის ციხეში ყოფნა მას საშუალებას არ აძლევს „თავი დაკარგოს“, ანუ ხევსური რჯულით დადგენილი მამკლავის ვალდებულებები არ შეასრულოს. მკვლელს ციხიდან დაბრუნების შემთხვევაში ყველაფერი უნდა ეზღო,

---

920 რ. ხარაძის ინფორმატორის მონაცემის გარდა სხვა არცერთი მონაცემი არ გვხვდება თითოეული სახის სამხსნელოდ ცხრა ცხვარის გადახდის შესახებ. არის რამოდენიმე მონაცემი, სადაც სამხსნელოების ღირებულებად ცხრა ცხვარი ფიგურირებს. მაგალითად, „ქართულ დიალექტოლოგიაში“ მოყვანილი ტექსტი გვაუწყებს, რომ სამხსნელოები (დასახელებული სამი) ჯამში შეადგენს ცხრა ცხვარს (ო. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 12). ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ინფორმატორიც საუბრობს სამხსნელოდ ცხრა ცხვარის გადახდაზე, თუმცა ამ მონაცემებში ცხრა ცხვარი სამი სამხსნელოს საერთო ღირებულებაა და არა ცალკეული სამხსნელოსი. საინტერესოა რომ შედარებით ადრინდელ ნაშრომში, რომელიც სვანეთს ეხება რ. ხარაძე საუბრობს ხევსურეთში არსებულ სამხსნელოებზე და თითოეული სამხსნელოს ღირებულებად ასახელებს არა ცხრა ცხვარს, არამედ 5 ძროხას (იხ. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 38). რ. ხარაძის ეს მონაცემი ესადაგება უმრავლეს ავტორთა და ხევსურ ინფორმატორთა მონაცემს სამხსნელოების თითო საკლავად შეფასების შესახებ, რადგანაც ხევსურული ჩვეულებითი სამართლით, ერთი ცოცხალი საკლავის გაგზავნა ხუთი ხელითი ძროხის გადახდას უტოლდებოდა. როგორც ჩანს, რ. ხარაძეც თავდაპირველად აფიქსირებს სამხსნელოს იმ ღირებულებას, რაც სხვა უმრავლეს მონაცემში გვხვდება, თუმცა გვიანდელ ნაშრომში, რომელიც უშუალოდ ხევსურულ ჩვეულებით სამართალს ეძღვნება, სამხსენლოს ღირებულებად ცხრა ცხვარს ასახელებს. ეს მიუთითებს, რომ რ. ხარაძეს ხელთ ჰქონდა მონაცემი, რომლის თანახმადაც, თითოეული სამხსნელო 5 ხელით ძროხად იყო შეფასებული, თუმცა ხევსურული რჯულისადმი მიძღვნილ ნაშრომში სხვა მონაცემს მიანიჭა უპირატესობა, რომლის მიხედვითაც, სამხსენლოს ღირებულება 9 ცხვარს შეადგენს.. რ. ხარაძის მასალებში მოყვანილი ცალკეული სამხსნელოს ღირებულება – ცხრა ცხვარი – შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად ამოვარდნილია სხვა მონაცემებისაგან, რაც ჩვენი აზრით, რ. ხარაძის ამ მონაცემში გარკვეული ხარვეზის მაჩვენებელი უნდა იყოს, ან დამახასიათებელი ხევსურეთის რომელიმე ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულისთვის, ან შედარებით ძველ პერიოდში მოქმედი წესი. მონაცემები სამხსნელოს მხოლოდ სამ ხელით ცხვრად შეფასების შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში შედარებით იშვიათად გვხვდება. სამხსნელოს ამ ღირებულებად შეფასება შესაძლოა ასევე ხევსურეთის ცალკეული ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულებისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი.

921 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №2, 75; №6, 60-61.

ყოველგვარი შეღავათის გარეშე. ამ დროს შესაძლოა, უფრო მალე მომხდარიყო მორიგება, შეიძლება ჯურუმსაც არ გადაახდევინებდა დაზარალებული, შეიძლება ცოტა დრამაშიც ანგარიში გაეწიათ, მაგრამ თავი მაინც დარჩებოდა.[922] აღნიშნული შეღავათების გაწევა მთლიანად დაზარალებულის ნებაზე იყო დამოკიდებული. კიდევ ერთი ინფორმატორი იხსენებს მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მკვლელს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს რამდენიმე წლით. მის დაუსნრებლად მოხდა საქმის გარჯულება ხევსურული წესით და მას სრულად დააკისრეს იმის გადახდა, რაც მამკალ-მამკვდრობის წესით იყო დადგენილი.[923] როგორც ვხედავთ, მკვლელის ციხეში ყოფნა არ გულისხმობდა ხევსურული რჯულით მისი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. მხოლოდ დაზარალებულს შეეძლო საკუთარი ნება-სურვილით გარკვეული შეღავათი გაეწია ციხეში მჯდომი დამნაშავისთვის, კერძოდ, შედარებით ადვილად დათანხმებოდა მორიგებას, არ დაეკისრებინა მკვლელისთვის ჯურუმი (ეს მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის პრეროგატივას წარმოადგენდა და მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული ჯურუმის დაკისრება-არდაკისრება) და სხვა. იგივე ინფორმატორის მიხედვით, ძველი წესით ციხიდან დაბრუნებულის მიმართ შურისძიება და სისხლის აღება ჩვეულებრივ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაკი მკვლელს მოხუცი მამის მეტი არავინ დარჩა, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია.[924]

მკვლელის ციხეში გარდაცვალება თავის გაბრად ითვლებოდა. ამის გამო მკვლელის ციხეში ყოფნისას მის ნათესავს დაზარალებული მხარე არ მოკლავდა, რადგანაც თუ ამას გააკეთებდა, მკვლელის ციხეში გარდაცვალების შემთხვევაში მას თავი დაედებოდა და მკვლელობისათვის პასუხი უნდა ეგო. მკვლელის ციხეში გარდაცვალებისას მხარეები ყველაფერს თანაბრად კისრულობდნენ. მათი შეყრა და თავის გათავება მაინც უნდა მომხდარიყო, სანასკვო მაინც უნდა დადებულიყო, რომ საბოლოო შერიგება გაფორმებულიყო. ყველაფერი ისე ჩატარდებოდა, როგორც თავის გათავების დროს, მაგრამ ხარჯს ორივე მხარე თანაბრად იკისრებდა, რადგანაც ორივე მოკვდა, „ორივე სწორებია".[925]

თუ მოკლულის მხარეს რიგი ჰქონდა აღებული, უნდა დაებრუნებინა, გარდა მიწადშაე საკლავისა. დაახლოებით მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ხახმა-

---

922 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 23; №6, 28-29..

923 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 58-59.

924 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 58-59. მ. კეკელიას მასალებში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ციხეში ნაჯდომმა მკვლელმა უარი განაცხადა რიგის ყენებაზე: მკვლელს (ი. ლ.-ს) ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მისმა ოჯახმა თავიდან რიგი უყენა (ამ დროს მკვლელი იმალებოდა და ჯერ დაკავებული არ იყო), შემდეგ მოხუცმა დედამ ვეღარ შეძლო რიგის ყენება. გათავისუფლების შემდეგ მკვლელი გადასახლდა კახეთში და უარი განაცხადა რიგის ყენებაზე იმ მოტივით, რომ ამ მკვლელობის გამო მან ციხე მოიხადა და სამშობლოც მიატოვა (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 12-13). ამ შემთხვევაში მკვლელის მხრიდან რიგის ყენებაზე უარი განაპირობა იმან რომ მან საერთოდ მიატოვა ხევსურეთი და კახეთში გადასახლდა. ასეთ დროს რიგის ყენება მკვლელის იმ ნათესავს ეკისრებოდა, რომელიც ხევსურეთში მის მამულს და სახლ-კარს დაეპატრონებოდა. ამდენად, დაზარალებული მხარე რიგის ყენებისა და სხვა წესების შესრულების გარეშე არ დარჩებოდა და შესაბამის მოთხოვნას კახეთში გადასახლებულ მკვლელს ისედაც არ ნაუყენებდა. მკვლელის ოჯახი სამშობლოში რომ დარჩენილიყო, მისი ციხეში ყოფნა რიგის ყენებაზე უარის საფუძველი ვერ გახდებოდა. მკვლელის სახლს დაზარალებული მხარე რიგის ყენებას უცილობლად მოსთხოვდა, თუ რა თქმა უნდა დაბეჩავებული და უუნარო ოჯახი არ იყო.

925 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 28-29.

ტელი არაბული მოკლა მისმა სოფლელმა. მკვლელი ორი წლის შემდეგ ციხეში გარდაიცვალა. მკვლელის მხარემ რიგი უყენა. მკვლელის სიკვდილის შემდეგ შვილებმა რიგის დაბრუნება მოითხოვეს და მიიღეს კიდეც.[926]

ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მამკლავის ციხეში ყოფნის შემთხვევაში მკვლელის მხარე მაინც სრულად აგებდა მკვლელობისათვის პასუხს, სრულად გადაიხდიდა ყველა ხარჯს და შეასრულებდა ყველა მოვალეობას, რაც ხევსურული რჯულით მკვლელს ეკისრებოდა. მხოლოდ სახლის რიგი უნდა შესრულებულიყო მკვლელის ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ციხიდან გამოსული მკვლელი ასრულებდა ყველა ვალდებულებას რაც ხევსურული რჯულით იყო გათვალისწინებული. მკვლელის ციხეში გარდაცვალება კი თავს თავში გაბრიდა. მხოლოდ თავის გათავება მაინც უნდა მომხდარიყო თანაბარი ხარჯის გაღებით.

3. 9. ხევსურის მიერ არახევსურის და არახევსურის მიერ ხევსურის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ამ საკითხზე ძალზედ მწირი მონაცემები გაგვაჩნია. ზოგადად ვიტყვით, რომ როდესაც ხევსური მოკლავდა იმ კუთხის წარმომადგენელს, რომელშიც ხევსურეთის მსგავსი წესები მოქმედებდა – მხედველობაშია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრები, ჩრდილოკავკასიელი მთიელი, ან პირიქით, მაშინ მხარეთა შორის მორიგება შესაძლოა ამ კუთხეებში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით მომხდარიყო. მაგალითად, ხევსური ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ხევსურმა მოკლა მოხევე. მოხდა გვარის შერიგება მოკლულის გვართან და ოჯახთან, როგორც ეს მოხევური ჩვეულებითი სამართლით იყო დადგენილი. ხევსურებმა მიიტანეს სასმელი, საკლავი, მოხდა შუაკაცების ჩარევა და გაიშალა შერიგების სუფრა.[927] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებთი, თუ მკელელი ქისტი იყო, იქ შერიგება არ შეიძლებოდა, აუცილებლად უნდა მოეკლათ.[928] თუ ხევსურს მოკლავდა ისეთი პიროვნება, რომლისთვისაც ჩვეულებითი სამართლით ურთიერთობის დარეგულირება უცხო იყო, მაშინ მკვლელის სამაგიერო მკვლელობა იქნებოდა ერთადერთი შესაძლებელი შედეგი, თუ რასაკვირველია მკვლელი მოსაკლავად ხელმისაწვდომი იქნებოდა. თუ ხევსური მოკლავდა ასეთ პიროვნებას, მაშინ პასუხისმგებლობა ძირითადად სახელმწიფოს მიერ იქნებოდა დამნაშავისათვის დაკისრებული. ხევსური ინფორმატორის განმარტებით, თუ ასეთი პიროვნება, მაგალითად, თბილისელი, მოინდომებდა მკვლელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ხევსურული რჯულით, მაშინ მას „რჯულს გაუჩენდნენ".[929]

3. 10. „თავსისხლის პატიება". „თავსისხლის" პატიება ხევსურეთში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. აქ დაზარალებულის დათანხმება რიგის ყენებაზე, საბოლოო შერიგებაზე იყო ძალზედ რთული და შურისძიებაზე უარის მთქმელი როგორც წესი „თავსისხლზე" უარს არ ამბობდა. „თავსისხლის" პატიება ხევსურეთში ძირითადად ქადაგ-მკითხავების გაელენით ხდებოდა. ხევსურეთში ქადაგი ჯვარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსახური იყო, რომელიც ხალხს

926 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 23.

927 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 25.

928 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 59.

929 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 25.

ღვთაების ნება-სურვილს აუწყებდა, მისი პირით ლაპარაკობდა და მოციქულობდა ხალხსა და ღვთაებას შორის. ხევსურეთში ქადაგს უწოდებდნენ ასევე „მეენეს" და „მკადრეს."[930] იგი წინასწარმეტყველებდა მომავალს (ავადმყოფობა, სიკვდილიანობა, ლაშქრობის წარმატებულობა, ამინდის სიავკარგე, მოსავლიანობა და სხვა), ამცნობდა ხალხს თუ რა სწყინს ღვთაებას, რას თხოულობს მათგან (მაგალითად, მოეთხოვა მტრების შერიგება), რით შეუძლება მისი გულის მონადირება და სხვა. სალაშქროდ ისე არ წავიდოდნენ, თუ ქადაგს არ დასვამდნენ და ღვთაების ნება-სურვილს არ შეიტყობდნენ გამარჯვებისა და დამარცხების შესახებ.[931]

ამდენად, ხევსურეთში ქადაგის სიტყვა ღვთაების ნებად აღიქმებოდა და თუ იგი მოუწოდებდა მკვლელობის შედეგად დაზარალებულს შერიგებოდა მკვლელს, ეპატიებინა „თავსისხლი", დაზარალებული უცილობლად დათანხმდებოდა ამას. თ. ოჩიაურს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს: ბარისახოელი მამუკა არაბული ჭალაში შეხვედრია მტერს, მანგიაურთ ბაჭყიას, წასწვდომია მახვილს, მაგრამ ვერ ამოუღია, მტერი წასულა, ხოლო მამუკა უგრძნობლად დაცემულა, ავად გამხდარა. მოსულა ქადაგი და უთქვამს: „მაკვლა გაუბედავავ, ის კაც თუ არ მაიყვანეთავ (ბაჭყია), არ ეშველებისავ, მეეყვან ბაჭყიაი, შეეხვეწნეს, საკლავებ დაკლეს, აპატიესად..."[932]

კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება: მოხდა უბედური შემთხვევა, რომელსაც ქალი ემსხვერპლა. მისი სიკვდილი დააბრალეს გიგიტა ცისკარაულს, რომელიც ამ დროს შემთხვევის ადგილთან ახლოს იმყოფებოდა. დაზარალებულს მიუგზავნეს შუაკაცები, თუმცა ისინი კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ შერიგების. გიგიტა გადაიხვეწა, მიუხედავად იმისა, რომ მისი უდანაშაულობა დამტკიცდა. დაზარალებულები მაინც არ ეშვებოდნენ და მოსაკლავად დასდევდნენ მას. შემდეგ გრადაცელილი ქალის მშობლებს და ძმებს რაღაც ავადმყოფობა დაემართათ და მათ ოჯახში სულ აუღებელი ლოგინი იყო ავადმყოფისა. წავიდნენ ქადაგ-მკითხავებთან. ყველა მკითხავმა უთხრა: გიგიტა დამნაშავე არ იყო ტყუილად დატანჯეთო და ამიტომ იმისი სალოცავი მთაშეშაგი და არხოტის ჯვარი გამწყრალი არიან და მანამ თავს არ აპატიებ, არაფერი გეშველებათო. ბოლოს დაზარალებულებმა გადაწყვიტეს თავის პატიება. ქალის მამა ბაბუა ძალიან რომ შეწუხდა ოჯახის წევრების ავადმყოფობით, დაიბარა შუაკაცები და უთხრა: „მე თქვენის და ჯვართ ხათრით მაგათ თავს ვაპატივებ და იმათგან რიგ მიღებული მაქვ, იმასაც იქავ დაუბრუნებ, ხოლო ყველა ერთად შავეხვეწნათ არხოტის ჯვარსაც, სხვა ხთისშვილთაც, რომ მაპატივან .... ჩამააგდან მშვიდობა, მაიყვანეთ გიგიტა ჩემს სახლში." შუაკაცებმა დაიბარეს გიგიტა და ბაბუას სურვილი გამოუცხადეს. ამის შემდეგ დაზარალებულის ოჯახში მოხდა შერიგების ცერემონიალი.[933]

მოტანილი კონკრეტული მაგალითები გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, „თავსისხლის" პატიება ხდებოდა ძირითადად მაშინ, როდესაც დაზარალებულთა ოჯახში ავად-

930 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, 4.

931 იქვე, 75.

932 იქვე, 82.

933 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/2, 15-19.

მყოფობა დაისადგურებდა. ასეთ შემთხვევებში თუ სიტუაცია არ უმჯობესდებოდა ხევსურები ქადაგ-მკითხავებს მიმართავდნენ ხოლმე, რომ გაერკვიათ, თუ რა არის მათი ასეთი მდგომარეობის მიზეზი. ქადაგ-მკითხავნი ამის მიზეზად ღვთაების განრისხებას უსახელებდნენ, რადგანაც მათ რაღაც ისეთი ჩაიდინეს, რაც ღვთაებისთვის მიუღებელი იყო და ამიტომ მან ავადმყოფობა თუ სიკვდილიანობა მოუვლინა მათ. აქედან გამოსავალი იყო შეეწყვიტათ ის საქმიანობა, რის გამოც ღვთაება მათზე განრისხდა. ორივე შემთხვევაში ღვთაების სახელით ქადაგ-მკითხავთ დაზარალებულ მხარეს მოუწოდეს შეეწყვიტათ მტერთან ბრძოლა და ეპატიებინათ მისთვის. მეორე შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ ღვთაება განრისხდა იმიტომ, რომ გარდაცვლილის ნათესავებმა ტყუილ-უბრალოდ დააბრალეს მკვლელობა ერთ პიროვნებას და დაიწყეს მისი მოსაკლავად დევნა. ამრიგად, ამ ორივე შემთხვევაში ქადაგ-მკითხავთა რჩევა დაზარალებულთათვის ეპატიებინა მკვლელისთვის, რაც გახდებოდა მათი გამოჯანმრთელების საფუძველი, გახდა „თავსისხლის" პატიების საფუძველი.

გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, მკვლელის დევნა წყდებოდა, როდესაც მკითხავის პირით საიქიოს მყოფი მიცვალებული თითქოს შეუთვლიდა თავისიანებს, რომ შეეწყვიტათ სისხლის ძიება და შერიგებოდნენ მკვლელს, რადგანაც გაარკვია, რომ მისი ბედი ყოფილა სწორედ მკვლელის ხელით სიკვდილი. შესაბამისად, თუ მის დევნას გააგრძელებდნენ იგი საიქიოში შეწუხდებოდა. დ. ცისკარაულთან აღწერილია ძალზედ უცნაური შემთხვევა: ნადირა წიკლაურს მოუკლავს ახალგაზრდა ბიძურა ჭინჭარაული. მალევე გარდაცვლილა მკვლელის გაუთხოვარი და – ნანა. ბიძურამ მკითხავის პირით გადმოსცა თავისიანებს: „აი, ახლა მე მაქორწინებენ, მომყავს ნადირას დაი. ჩვენ მოკეთეები გავხდით. და მანდ სამზეოს თქვენც ჩვენი ქორწილი უნდ გარდაგვიხადოთო". მოკლული ბიძურას დედამ დაამზადა ყველაფერი რაც ქორწილისთვის იყო საჭირო საიქიოს გადასაცემად, რომ იქ ეს საჭმელ-სასმელი მიცვალებულებს ქორწინებისათვის გამოეყენებინათ. ამის გამო ნადირა არა მარტო სიკვდილს გადაურჩა, არამედ საკუთარი მტრის მძახალიც კი გახდა[934] (ხალხის რწმენით ქორწინებას ადგილი საიქიოშიც შეიძლება ჰქონოდა და იქ წარმოშობილი მოყვრობითი ნათესაობა სააქაოზეც ვრცელდებოდა). როგორც ჩანს, ცრუმორწმუნეობას შესაძლოა დადებითი როლიც ეთამაშა და სისხლისღერის თავიდან აცილებისთვის შეეწყო ხელი.

3. 11. ნათესავის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. აღნიშნულ საკითხს ჩვენ გარკვეულწილად სხვა ნაშრომში შევეხეთ, ნათესავის მიმართ ჩადენილი დანაშაულის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების განხილვისას.[935]

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ მამის მიერ შვილის, შვილის მიერ მამის, ქმრის მიერ ცოლის, ძმის, ბიძაშვილის (მამიშვილობის წევრის) მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი.

ნ. ხიზანაშვილის და ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით ჩანს, რომ მამის მიერ შვილის და ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა არსებითად შემცირებულ გადასახადს იწვევდა იმასთან შედარებით, რაც ხევსურული რჯულით მკვლე-

934 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 68-69.

935 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 217-220.

ლობისათვის იყო გათვალისწინებული. კერძოდ, აღნიშნული ავტორების მასალებით ჩანს, რომ ხევსურეთში ცოლის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ძალზედ მცირედი გადასახადით შემოიფარგლებოდა. ალ. ოჩიაურის მიხედვით, ქმრის მიერ ცოლის მოკვლის შემთხვევაში მკვლელი ქალის მამისახლს ერთ საკლავს დაუკლავდა, ხოლო დანარჩენი თავი იკარგებოდა.[936] ნ. ხიზანაშვილის მიხედვითაც, ცოლის მკვლელობისთვის ხევსურულმა რჯულმა სისხლი არ იცის და მცირედი გადასახადია დაწესებული: ქმარი „დედულებს" აძლევს მხოლოდ 5 ძროხას და საქმე ამით სრულდება.[937] მოკლულის დედულებს ყოველთვის ჰქონდა უფლება მკვლელობისას თავისი წილი საზღაურის მიღების და შესაბამისად არც ეს შემთხვევა უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, გამონაკლისი. მოკლული ცოლის მამისახლი კი, როგორც ალ. ოჩიაურთან გამოჩნდა, მხოლოდ ერთი საკლავით უნდა დაკმაყოფილებულიყო.[938] შვილისა და ცოლის მკვლელობისათვის ანალოგიური პასუხისმგებლობა ბ. გოგოჭურთანაც დასტურდება – მისი მონაცემით, დედულებისთვის ორივე შემთხვევაში გადაიხდება ხუთი ძროხა, ხოლო ცოლის მკვლელობის შემთხვევაში მის მშობლებს („მამისახლს") მკვლელი მეუღლე უგზავნის და უკლავს ერთ საკლავს.[939] დედულები 5 ძროხას მიიღებდნენ ცოლის მიერ ქმრის მკვლელობის შემთხვევაშიც.[940]

ნ. ხიზანაშვილის მონაცემით, მამის მიერ შვილის მკვლელობა იგივე პასუხისმგებლობას იწვევდა, რასაც ქმრის მიერ ცოლის მოკვლა.[941] მამის, ქმრის ასეთ დიდ უფლებებს ოჯახის წევრების მიმართ ავტორი ძველ ოჯახში უფროსის განუსაზღვრელი უფლებებით ხსნის. მისი განმარტებით, „ხევსურს თავისი ოჯახი კერძო საკუთრებად მიაჩნია, იგი სრული ბატონია ცოლ-შვილისა."[942]

ალ. ოჩიაურის ცნობით კი, შვილის მიერ მამის მკვლელობის შემთხვევაში, მეორე შვილი მას ნახევარ სისხლს გადაახდევინებდა.[943] როგორც ჩანს, ავტორის ეს მონაცემი ეფუძნება მამის მკვლელობისათვის გადახდილი „თავსისხლის" ძმებს შორის მემკვიდრეობით განაწილების პრინციპს. მამის მკვლელობისათვის გადახდილ „თავსისხლს" გაყოფილი ძმები ცხადია თანაბრად გაინაწილებდნენ. თუ ერთ-ერთი ძმა იქნებოდა მამის მკვლელი, მაშინ ბუნებრივია ერთი ძმა თავის წილს მიიღებდა ძმისგან, მეორე ნაწილის გადახდა კი აზრს დაკარგავდა, რადგანაც მისი გადამხდელი და მიმღები ერთი და იგივე სუბიექტი იქნებოდა. აღნიშნული წესი ხევსურული რჯულის ზოგად პრინციპებს ეთანხმება და ამ-

936 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 13.

937 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 48.

938 ხევსურეთში ქმრის მიერ ცოლის მკელელობისათვის პასუხისმგებლობას ეხება მ. კოვალევსკიც. მისი განმარტებით, ქმარი გადასახადს უხდის ცოლის ძმას, თუ ცოლის ძმა არ ყავს, მაშინ მოკლულის ბიძას დედის მხრიდან (М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118). როგორც ვხედავთ, მ. კოვალევსკი ადასტურებს, რომ ცოლის მკვლელ ქმარს გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა ცოლის ძმისთვის, თუმცა. გადასახადის ოდენობას მ. კოვალევსკი არ აკონკრეტებს. ასევე ამ მონაცემით, ცოლის ბიძა დედის მხრიდან მკვლელისგან გადასახადს იხდის მხოლოდ ცოლის ძმის არ ყოლის შემთხვევაში. ჩვენი აზრით, აქ ავტორი „სადედოს" შესახებ უნდა საუბრობდეს, რომლის გადახდა მისთვის მკვლელს მოუწევდა ნებისმიერ შემთხვევაში და არა მარტო მაშინ, როდესაც მოკლულ ცოლს ძმა არ ყავდა.

939 ბ. გოგოჭური, ხევსური რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 59.

940 ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 9.

941 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

942 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

943 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №2, 13.

დენად, მისი სისწორე ეჭვს არ იწვევს. ამ მონაცემში სამწუხაროდ არ ჩანს, თუ როგორ მოხდებოდა „თავსისხლის" გადახდა, თუ ერთადერთი შვილი მოკლავდა შამას, ან არა ორი არამედ სამი და მეტი ძმა იქნებოდა სახეზე. პირველ შემთხვევაში სავარაუდოდ მკვლელს არაფერი გადახდებოდა, რადგანაც „თავსისხლის" მიმღები აღარავინ იქნებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სავარაუდოდ თავსისხლი ძმების რაოდენობაზე გაიყოფოდა და მამის მკვლელი ძმის გარდა ყველა თავის წილ თავსისხლს მიიღებდა. ასევე საფიქრებელია, რომ ყველა შემთხვევაში „სადედო" გადახდილი უნდა ყოფილიყო.

ახლა განვიხილოთ თუ რა თავისებურებანი ახასიათებდა ძმის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობას ხევსურეთში. XX საუკუნის 80-იანი წლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ზოგიერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით ძმის მიერ ძმის მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დგებოდა,[944] თუმცა ერთ-ერთი მათგანი აზუსტებს, რომ სისხლის დადება არ მოხდება თუ გაუყრელი ძმა მოკლავს ძმას.[945] ამ მონაცემიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაყრილი ძმის მკვლელობა გაუყრელისგან განსხვავებით გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. როდესაც ძმები გაუყოფლები იყვნენ მათ საერთო ქონება ჰქონდათ და გაუყოფელი ძმის მკვლელობისას „თავსისხლის" გადახდა, ცხადია, ვერ მოხდებოდა, თუ „სადედოს" არ მივიღებთ მხედველობაში. თუ გაყოფილი ძმის მკვლელობა მოხდებოდა, ამ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ძმებს თავთავისი ქონება ჰქონდათ და თეორიულად შესაძლებელი იყო ერთ ძმას მეორესთვის ქონებრივი საზღაური გადაეხადა. როგორც მასალების მიხედვით ჩანს, ეს პრაქტიკულადაც ასე ხდებოდა. მ. კოვალევსკი ადასტურებს, რომ ოსებისა და სვანებისაგან განსხვავებით, ხევსურები ძმის მკვლელს გარკვეულ გადასახადს ახდევინებდნენ მისი შვილების სასარგებლოდ.[946]

ხევსურეთში ძმის მკვლელობისას გადასახადის გადახდა კონკრეტული მაგალითითაც დასტურდება, რომელსაც ნ. ბალიაურის მასალებში ვხვდებით. კერძოდ, ცოლშვილიან კაცს საქმე დაუჭერია მოგვარე ქალთან და შესძენიათ უკანონო შვილი. ამ კაცს ჰყავდა ორი ძმა, რომელთაც ძმის ამ საქციელით თავი უაღრესად შეურაცხყოფილად იგრძნეს და მოილაპარაკეს, რომ ერთი მოკლავდა შემარცხვენელ ძმას, მეორე კი თავსისხლს არ მოსთხოვდა მას და მხოლოდ სადედოს მიცემა დაჭირდებოდათ. მართლაც ერთ-ერთმა ძმამ მოკლა ეს ძმა. აღსანიშნავია, რომ ამ მკვლელობისათვის გადასახადი მოკლულის შვილიშვილმა მოსთხოვა მკვლელის შვილიშვილს და მიაღწია მისგან „თავსისხლის" გადახდას.[947] ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ ხევსურეთში შესაძლებელი იყო ძმის

944 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 82; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

945 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

946 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118. მ. კოვალევსკი იქვე მიუთითებს, რომ თუ მოკლულ ძმას შვილები არ ჰყავდა, მაშინ გადასახადს გადაუხდიდნენ მოკლულის ქვრივის ძმას (მ. კოვალევსკი, იქვე). ასეთი ნესი სხვა რომელიმე მონაცემით არ დასტურდება. მკვლელობის საზღაური აღმოჩნდეს არა მოკლულის, არამედ სხვა გვარის, თუნდაც მოკლულის ცოლის გვარის ხელში, ჩვენი აზრით, ხევსურული რჯულის პრინციპებს არ შეესაბამება და ამდენად, მცდარად მიგვაჩნია. მოკლულის გვარის გარეთ გადაიხდებოდა მხოლოდ ე. წ. „საქალო" რიგი. მოკლულის ცოლის ძმისათვის საზღაურის გადახდა არც „საქალო" რიგის გადასახადად შეიძლება განვიხილოთ.

947 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 79-80.

მკვლელობას „თავსისხლის“ გადახდა გამოეწვია. ნ. ბალიაური სწორედ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საუბრობს ხევსურული რჯულისთვის დამახასიათებელ პრინციპზე: „ხევსურეთის რჯული ..... ყველას ავალდებულებს სისხლის ნიადაგზე ან სხვა რაიმე წესის დარღვევის ნიადაგზე კუთვნილი გადასახდელი არავის დააკლდეს და ყველამ გადაიხადოს.“[948] ძმის მკვლელობისას, ჩვენი აზრით, ადგილი არ ექნებოდა მხოლოდ „საგვაროს“ და „საძმოს“ გადახდას, რადგანაც მკვლელობა გვარის, საძმოს შიგნით მოხდა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძმამ ძმა მას შემდეგ მოკლა რაც კიდევ ერთი ძმისგან მიიღო გარანტია, რომ ძმის მკვლელობისათვის „თავსისხლს“ არ მოითხოვდა. ეს ნიშნავს, რომ ხევსურული რჯულით სრულიად შესაძლებელი იყო ძმას მოეთხოვა მისი ძმის მოკვლისათვის მკვლელი ძმისაგან მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდა. „თავსისხლის“ გადახდა შესაძლოა მოკლული ძმის შვილსაც მოეთხოვა, თუმცა მან ეს არ გააკეთა. როგორც დავინახეთ „თავსისხლი“ მოითხოვა მოკლულის შვილიშვილმა და მიაღწია კიდეც საწადელს. ცნობილია, რომ ხევსურეთში სვანეთის და სხვა მთის რეგიონების მსგავსად მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა არ არსებობდა და მკვლელობისათვის „თავსისხლის“ მოთხოვნის უფლება მოკლულის ნებისმიერ შთამომავალს ჰქონდა, თუნდაც რამდენიმე თაობის შემდეგ.[949]

მოყვანილ შემთხვევაში გამოჩნდა, რომ შესაძლებელია მოკლულის ძმას, შვილს, ან მის შთამომავალს საერთოდ არ მოეთხოვა მკვლელის ან მისი შთამომავლისაგან მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადი, რაც არანათესავის მკვლელობის შემთხვევაში ფაქტობრივად გამორიცხული იყო. ჩვენი აზრით, ეს მიუთუთებს, რომ ხევსურული რჯულის თანახმად, შესაძლებელია საუბარი იმის შესახებ, რომ ძმის მკვლელობისას (და საერთოდ, ახლო ნათესავის მკვლელობისას) სისხლის პატიების ალბათობა მეტი იყო, ვიდრე არანათესავის მკვლელობისას. ასევე ნათესავის მკვლელობისას ბევრად ადვილი იყო შერიგება.[950] ალ. ოჩიაურის მასალებში ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო შემთხვევას ვხვდებით: არხოტელმა ალუდაურმა მოკლა თავისი ძმა ბაბო და ყაზბეგის რაიონის სოფელ ართხმოში გათხოვილ დას შეეხიზნა. მოკლულ ძმას 17-18 წლის შვილი ჰყავდა, სახელად დავითი – ანჩხლი და მოშურნალარი პიროვნება. ალუდაურს მისი შიში ჰქონდა, მისგან სისხლის აღებას ელოდა და რიგის ყენება სთხოვა დავითს. დავითმა უარი თქვა: „მაგან თავის ძმა მოკლა და მე მაგის რიგი რად მინდაო“. ალუდაური ამან კიდევ უფრო შეაშინა. დავითი კი უთვლიდა: „დაბრუნდი და შენს სახლ-კარს და მამულს მიხედეო“. ალუდაური მაინც არ ენდობოდა. შემდეგ იგი თბილისში გადასახლდა და სასადილოში სიმთვრალის ნიადაგზე იჩხუბა, რის გამოც რამდენიმე წლით დააპატიმრეს. დავითმა გაიგო ამის შესახებ და წავიდა თავის მამის მკვლელი ბიძის სანახავად. ალუდაურმა რომ ნახა ხმა ვერ გასცა და დაიწყო ტირილი. დავითმა უთხრა: „ნუ გეშინინ ჩემგან, შენ შენი ძმა მახკალი, როგორც მე, შენც ისე დაგაკლდა ის კაცი, ახლა მე იქ არავინ მყავ, უკაცურ კაცი ორ, როგორმე უნდა დაგეხმარო ..... უნდა მოხვიდე

---

948 იქვე.

949 ამ გარემოებას გ. თედორაძეც ადასტურებს (გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 151).

950 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 219, დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/12, 144.

და იქ ვიცხოვროთ, როგორც ბიძა-ძმისწულნი". ალუდაური ციხეში ავად გახდა და გარდაიცვალა.[951] კიდევ ერთ შემთხვევაში ძმის მკვლელმა გაზარდა მის მიერვე მოკლული ძმის შვილი და საერთოდ უპატრონა მის ცოლ-შვილს. როცა მოკლულის შვილი დავაჟკაცდა, განიცდიდა, რომ ობლად გაიზარდა და რიგის ყენება არ მოსთხოვა მკვლელ ბიძას. ასეთი განწყობა განსაკუთრებით მაშინ ეუფლებოდა, როდესაც ბიძაშვილები აწყენინებდნენ. ეს უკანასკნელნი მის მიმართ ხათრით იყვნენ და ცუდი არაფერი მომხდარა.[952] პეტრე გოგოჭურმა ასეთი შემთხვევა გაიხსენა: ძმამ ძმა მოკლა – მიხიელმა გამიხარდი. მკვლელი გაიხიზნა, რადგანაც ძმის ოჯახის, ძმისშვილის შურისძიების ეშინოდა. მიხიელმა ძმის ოჯახს, რძლის მოთხოვნით რიგი უყენა. მოკლულის ვაჟი რომ წამოიზარდა მკვლელს პირშესამყრელო უკვე გაკეთებული ჰქონდა. მოკლულის ვაჟმა როდესაც დაინახა რომ ბიძა მუხლზე დაუჯდა, აპატია და ყველაფერი დაუბრუნა რაც მის ოჯახს მკვლელის მხრისაგან მიღებული ჰქონდა, თუმცა შეეძლო არც დაებრუნებინა.[953]

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ძმის მკვლელობისას შესაძლებელი იყო მოკლულის შთამომავალს სისხლი აეღო, მისთვის მკვლელ ბიძას რიგი ეყენებინა, თუმცა პირველ ორ შემთხვევაში მოკლულის შვილებს ეს არ გაუკეთებიათ. მესამე შემთხვევაში რიგის ყენება ჩვეულებრივ განხორციელდა, თუმცა მოკლულის წამოზრდილმა ვაჟმა ბიძას თავსისხლში მიღებული დრამა უკან დაუბრუნა. ყველა შემთხვევაში მკვლელის პატიება მოხდა, რაც უპირველეს ყოვლისა ახლო ნათესაური კავშირით იყო განპირობებული. პირველ შემთხვევაში მკვლელის შვილმა აპატია მამის მკვლელ ბიძას, რომელსაც ძალზედ ეშინოდა ძმისწულის მხრიდან სისხლის აღების, უფრო იმიტომაც, რომ იგი ბიძის გახიზვნის შემდეგ ფაქტიურად მარტო დარჩა – „უკაცურ კაცად". ეს კი ხევსურეთში უაღრესად არასასურველი იყო, რადგანაც ნათესავის გვერდში დგომის, დახმარების გარეშე ხევსურეთში ცხოვრება ძალზედ ჭირდა. ნათესავის მკვლელობისას შერიგების, პატიების გაზრდილი ალბათობა გარკვეულწილად ძმა-ბიძაშილების დაკარგვის არასასურველობის ფაქტორითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. მეორე შემთხვევაშიც მოკლულის შვილმა, გაზრდის შემდეგაც, უკმაყოფილების მიუხედავად, არავითარი ზომები არ მიიღო მამის მკვლელი ბიძის მიმართ. აქაც ნათესაურმა ფაქტორმა იმოქმედა და მკვლელის მხრიდან მოკლული ძმის ოჯახზე განსაკუთრებულმა ზრუნვამ. პ. გოგოჭურის მიერ მოყვანილ შემთხვევაშიც მკვლელის პატიება მოკლულის ვაჟის მიერ ნათესაური გრძნობების გამო მოხდა და მასზე გავლენა ბიძის მონანიებამ, მის წინაშე მუხლზე დადგომამ განაპირობა.

ბიძაშვილის (შინშის, მამიშვილობის წევრის) მკვლელობა ხევსური ინფორმატორის მონაცემით ჩვეულებრივ იწვევდა ხევსურული რჯულით მკვლელობისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, მათ შორის „სადედოს" გადახდას. მხოლოდ, „საგვაროს", „საძმოს" გადახდას არ ექნებოდა ადგილი.[954] ბიძაშვილის მკვლელობისას შერიგება შედარებით გაადვილებული იყო. ერთ-

951 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/9, 101-102.

952 იქვე, 98-99.

953 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 12-12.

954 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. 1988, 63.

ერთი ხევსური ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ რაკი მკვლელი ბიძაშვილი იყო შერიგებაც გაადვილდა.[955] კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ნათესავებს შორის მომხდარი ურიერთ-მკვლელობის შემდეგ შესაბამისმა მხარემ უარი თქვა „საუკენმამკვდროს" აღებაზე, რადგანაც მხარეები ნათესავები იყვნენ და „ძმურად შერიგდნენ".[956]

მასალების მიხედვით, ახლო ბიძაშვილებს, შინშებს შორის მომხდარი მკვლელობაც შესაძლოა სისხლის პატიების საფუძველი გამხდარიყო. მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელსაც ხევსური ინფორმატორი იხსენებს: 1966 წელს ხახმატში ბაბო ალუდაურს გაუვარდა თოფი, რომელიც მოხვდა მის ბიძაშვილს, 11 წლის თამრიკოს და მოკლა. მკვლელს მიუსაჯეს 3 წელი პატიმრობა. მასსა და მოკლულის ოჯახებს შორის მტრობა არ ჩამოვარდნილა. მიწადშაე საკლავი კი დაიკლა. ასევე დედულეთმა მოითხოვა ის რაც ეკუთვნის და თავისი არ დაკარგა.[957] ეს ინფორმატორი ამ შემთხვევას ანზოგადებს და მიუთითებს, რომ ახლო ბიძაშვილის მკვლელობისას დაზარალებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სასჯელით კმაყოფილდება და ხევსურული რჯულით დადგენილი პასუხისმგებლობის მოთხოვნა არ ხდება.[958]

ბ. გოგოჭურის მიხედვით, მკვლელი არ აგებს პასუხს მშობლების, და-ძმების და ახლობელი ძმა-ბიძაშვილების მკვლელობისათვის. ამდენად, არ ხდება მათ შორის „თავის დადება", რიგის ყენება და სამაგიერო მკვლელობის ჩადენა. მიუხედავადა ამისა, ახლობლის მკვლელი ცოდვიან ადამიანად არის აღიარებული და საზოგადოების პატივისცემას არ იმსახურებს. აღნიშნული ახლობლის მკვლელობისას მოკლულის დედის ძმები და დედულები აუცილებლად მოითხოვდნენ „სადედოს" გადახდას. ავტორს შესაბამისი კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს, როდესაც ძმის და ბიძის (მამის ძმის) მკვლელობისას დედულებმა ორივე შემთხვევაში აიღეს „სადედო" 5 ძროხის ოდენობით.[959]

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ბ. გოგოჭურის მონაცემის მსგავსად სრულიად დასტურდება, რომ უახლოესი ნათესავის მკვლელობის შემთხვევაში დედულები არასდროს კარგავენ „სადედოს" – 5 ძროხის ოდენობით. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ უახლოესი ნათესავის მკვლელობისათვის ხევსურეთში პასუხისმგებლობისაგან სრული გათავისუფლება არ ხდება, მიუხედავად „სადედოს" არც თუ დიდი ოდენობისა. ამავე დროს, ცალსახად თქმა იმისა, რომ ძმის, ახლო ბიძაშვილის მკვლელი ხევსრეთში პასუხს არ აგებდა (სადედოს მხედველობაში მიუღებლად), ჩვენი აზრით, არ შეიძლება. ბ. გოგოჭურის მონაცემების გარდა ჩვენ სხვა მონაცემებიც მოვიყვანეთ, რომელთა მიხდევითაც ძმა-ბიძაშვილების მკვლელი პასუხს არ აგებს და კონკრეტული მაგალითებიც მოვიხმეთ, როდესაც ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დამდგარა. ამავე დროს მოვიყვანეთ მათ შორის კონკრეტული მონაცემები ძმის მკვლელობის შემთხვევაში ხევსურული რჯულით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისა, კერძოდ თავსისხლის გადახდისა, ასევე ძმის მკვლელის გახიზვნისა ძმისშვილისგან

955 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 41,

956 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/12, 143.

957 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №4, 25.

958 იქვე.

959 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 60.

სისხლის აღების შიშით. ნიშანდობლივია ნ. ბალიაურის მიერ ხევსურული რჯულისთვის დამახასიათებელ პრინციპზე საუბარი, რომ იგი ყველას ავალდებულებს დანაშაულის, მათ შორის მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი საზღაურის გადახდას, სწორედ ძმის მკვლელობის კონტექსტში. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძმის (მითუმეტეს ახლო ბიძაშვილის) მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება ხევსურული რჯულით გათვალისწინებული იყო და მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოც, თუმცა როგორც ჩანს, ასეთი რამ გამონაკლისის სახით ხდებოდა და უფრო ხშირ შემთხვევაში ძმის, ახლო ბიძაშვილის მკვლელობისას დაზარალებული მხარე (მოკლულის ოჯახი) „თავსისხლს" აპატიებდა დამნაშაეს. ჩვენ მოვიყვანეთ კონკრეტული მაგალითები მოკლულის შვილის მიერ ძმის მკვლელი ბიძის პატიებისა. სწორედ ასეთი კონკრეტული ფაქტების გამო უნდა იყოს სხვადასხვა ავტორთა და ხევსურ ინფორმატორთა აქ მოტანილ ცნობებში მითითება ძმის, ახლო ბიძაშვილის მკვლელობისას პასუხისმგებლობის არ დაკისრების შესახებ. როგორც ჩანს, უმრავლეს ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დგებოდა, ხდებოდა „თავსისხლის" არ მოთხოვნა, პატიება (სავარაუდოდ, საზოგადოებაში ასე იყო მიღებული ზნეობრივი თვალსაზრისით),[960] რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ზოგიერთი ავტორის და ხევსური ინფორმატორის ცნობიერებაში ჩამოყალიბება იმისა, რომ ძმის და ახლო ბიძაშვილის მკვლელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, რაც მათ მიერ მოწოდებულ მონაცემებშიც აისახა.

3. 12. საბოლოო შერიგების შემდეგ შურისძიების მიზნით მკვლელობის შედეგები. „თავის გათავების" და „სანასკვოს დადების" შემდეგ შურისძიებით მკვლელობას თუ მაინც ექნებოდა ადგილი, როგორც ზემოთ „საუკენმამკვდროს" შესახებ საუბრისას აღვნიშნეთ, საპასუხო მკვლელობის ჩამდენ მხარეს უნდა დაებრუნებინა ყველაფერი, რაც მან მიიღო დრამის სახით პირველი მკვლელობის ჩამდენისაგან (ე. წ. „დრამის უკან გადმოყრა") და დამატებით „საუკენმამკვდრო."[961]

თავის გათავებისას „სანასკვოს დადების" დროს საბოლოო შერიგება იმ პირობით ხდებოდა, რომ მკვლელის მხარე დაზარალებულ მხარეს მოკლულს არ შეუწირავდა, არ შეუგინებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ მტრებად დარჩებოდნენ. სანასკვოს დადებისას კი შუაკაცები და იმ ჯვარის ხუცესი, რომლის კარზეც სანასკვოს დადება მოხდებოდა, სანასკვოს პირობის დარღვევისათვის დამრღვევს დაუწესებენ გადასახადს ჯურუმის სახით 5-დან 7 ძროხის ხელითი დრამის ოდენობით, იმ ჯვარის-სალოცავის სასარგებლოდ, სადაც სანასკვო დაიდო.[962]

„თავის გათავების" შემდეგ შურისძიების მიზნით მკვლელობა ძირითადად

---

960 პეტრე გოგოჭური ადასტურებს, რომ ახლო ნათესავებს შორის, კონკრეტულად, საძმოს შიგნით მომხდარი მკვლელობა, როგორც წესი, პატიებით სრულდებოდა, თუმცა პასუხის მოთხოვნა ასეთი მკვლელობისათვის არ იყო გამორიცხული, რაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თუ ხდებოდა. იგივე ითქმის ძმის მკვლელობის შემთხვევაზეც (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 13).

961 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 91, 92.

962 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 13; №3, 15; №4, 16.

სწორედ მაშინ ხდებოდა, როდესაც მკვლელი და მისი ახლობლები შერიგების მიუხედავად, მოკლულის მხარეს უხათროდ, უდიერად და უპატივცემულოდ მოექცევიან, ჩხუბის დროს თავის მოკლულის სახელს შეურაცხყოფენ და მოკლულის სულს სახელდებით შეუნირავენ: „ჩვენ მიერ მოკლულსავ ძაღლი და ვირი ჩაგიდნასთავ".[963] ასეთ შემთხვევაში, „სანასკვოს დადებისას" პირობის დარღვევის გამო, მოკლულის მხარეს სრული უფლება ჰქონდა მტრობის განახლების, რის შესახებაც სახალხოდ გამოაცხადებდა, ხოლო საპასუხო მკვლელობას ზემოთაღნიშნული შედეგი მოჰყვებოდა. მაგრამ თუ მოკლულისათვის შეწირვას და მტრობის განახლებას არც ამ შემთხვევაში მოჰყვებოდა საპასუხო მკვლელობა, ასეთ შემთხვევაში მკვლელობის ჩამდენი მარტო მკვდრისად შეწირვისათვის ხელახლა შერიგებისას ჭირის პატრონს გადაუხდიდა 16 ძროხის ღირებულების ხელით დრამას, რასაც მას რჯული დააკისრებდა. ასევე „სანასკვოს დალახვისათვის" მასვე დაეკისრებოდა 5 ძროხის ხელითი დრამა ჯურუმის სახით იმ სალოცავის სასარგებლოდ, სადაც „სანასკვოს დადება" ხდება.[964]

§4. პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის ფშაურ, თუშურ და მთიულურ ჩვეულებით სამართალში

მკვლელობის ინსტიტუტი ფშავში შესწავლილი აქვს ჯ. მერაბიშვილს. მისი განმარტებით, მკვლელობა ფშავში უმძიმეს დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა თემისა და ხატის წინააღმდეგ მიმართულ და ზნეობრივი ხასიათის დანაშაულების შემდეგ. მისი ობიექტი, როგორც ყველგან, ადამიანის სიცოცხლე იყო.[965]

ფშავში ასევე დასტურდება სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება. თავის დროზე ეს ინსტიტუტი საკმაოდ მყარი სახით არსებობდა. აქაც შურისძიების ჯაჭვი შესაძლოა რამდენიმე თაობის განმავლობაში გაგრძელებულიყო, სანამ შერიგებით არ დასრულდებოდა. სისხლის აღება ფშავში სავალდებულო იყო და ამ წესის დაუცველობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა.[966] დ. ჯალაბაძის კვლევით, საკმაო მასალაა მოპოვებული იმასთან დაკავშირებით, რომ შურისძიების შიშით მკვლელი ოჯახით გადაიხვეწებოდა სოფლიდან, თუმცა დროთა განმავლობაში ფშავში შურისძიების ინსტიტუტი დაკნინდა და სისხლის დაურვებით შეიცვალა.[967]

ფშავში სისხლის ფასის არსებობის შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ავტორებთან გვხვდება. მკვლელს სისხლის აღების საშიშროების თავიდან ასაცილებლად და დაზარალებულთან შერიგების მისაღწევად აქაც სისხლის ფასი უნდა გადაეხადა. სისხლის ფასს ფშავში „თავსისხლს" უწო-

963 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 92.

964 იქვე.

965 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული", II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 26-27.

966 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1965, 76, 78; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 90.

967 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 90.

დებდნენ. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ მკვლელს უნდა გადაეხადა „სისხლი" 80 ძროხა (ძროხა 5 მანეთი), ანუ 360 ცხვარი.[968] ალ. ხახანაშვილიც ადასტურებს, რომ ვაჟკაცის სისხლი ფშაველში 80 ძროხას უდრიდა.[969] იგივეს ადასტურებს ს. მაკალათიაც.[970] მ. კოვალევსკიც აღნიშნავს, რომ სისხლის ფასი ფშაველში 360 ცხვარს უდრიდა.[971] რ. ერისთავის თანახმად, მკვლელს მოკლულის საზოგადოებისათვის უნდა გადაეხადა 180 ცხვარი საგვარეულო სისხლი და ამდენივე მისი ნათესავებისათვის (თავი პატრონისა)[972], ანუ ჯამში ამ მონაცემითაც 360 ცხვარი, ანუ 80 ძროხა გამოდის. სისხლის ფასის გადახდას ფშაველები „თავსისხლის გადახდას" უწოდებდნენ.[973] როგორც ვხედავთ, XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები ერთხმად აცხადებენ, რომ ფშაველში სისხლის ფასი (თავსისხლი) 80 ძროხა იყო. XX საუკუნის 80-იანი წლების ინფორმატორები კი სისხლის საზღაურად 60 ძროხას ასახელებენ.[974]

ო. ზოიძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სასჯელთა სახეები ფშაურ ჩვეულებით სამართალში, მათ შორის თავსისხლის ინსტიტუტი, აღნიშნავს, რომ თავდაპირველად თავსისხლის სწორედ 80 ძროხა უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი თანადათანობით უნდა მომხდარიყო სისხლის ფასის შემცირება. მისი განმარტებით, შურისძიება ფშაველში XIX საუკუნიდან შესუსტებული ჩანს, ამიტომ გასაკვირი არაა მკვლელობის საზღაურის ჩამომცრობა 60 ძროხამდე. XX საუკუნის 80-იანი წლების უხუცეს ფშაველებს ამგვარად ჩამომცრობილ თავსისხლთან ჰქონდათ საქმე და ამიტომაც მიუთითებენ ისინი დაბეჯითებით, რომ მკვლელობის საზღაური 60 ძროხა იყო.[975]

ხევსურეთის მსგავსად ფშავსა და თუშეთში თემის წინაშე ყველა თანასწორი იყო და ამიტომ სისხლის ფასის ოდენობა ყველას მიმართ თანაბარი გახლდათ. ადამიანის ღირსებას, ჩამომავლობას, გვარს ფშაური ჩვეულებითი სამართალი არ ითვალისწინებდა.[976]

ხევსურეთის ზოგიერთი თემის მსგავსად ფშავში მკვლელს 60 ძროხიდან 30 ძროხა „ფეხითი" უნდა გადაეხადა, ხოლო დანარჩენი 30 „ხელითი". „ხელითი" ძროხა ფშავშიც ხევსურეთის მსგავსად გულისხმობდა ძროხის ღირებულების ანაზღაურებას სპილენძის ჭურჭლით, იარაღით, ფარდაგებით, ერბოთი და სხვა. სისხლის საზღაურის გადახდა შესაძლოა მომხდარიყო ფულითაც.[977]

ო. ზოიძის მოსაზრებას ფშაურ ჩვეულებით სამართალში „თავსისხლის" ოდენობის შემცირების ტენდენციის შესახებ ადასტურებს 1987 წელს ჩაწერი-

---

968 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესი", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72.

969 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზეთი „ივერია", 1888, №185.

970 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 79.

971 М. Ковалевский. Пшавы. Юридический вестник. Т. 7, М., 1888, 218.

972 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 92.

973 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 76.

974 ო. ზოიძე, სასჯელები, (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 125.

975 იქვე.

976 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 79.

977 ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 127,

ლი ერთი კონკრეტული შემთხვევა: განზრახი მკვლელობისას მკვლელობიდან 20 წლის შემდეგ (1987 წელს) მკვლელის მამამ დაზარალებულს შესარიგებლად შუაკაცები მიუგზავნა. მოკლულის ნათესავებმა თავსისხლად 25 ძროხის ღირებულების გადახდა მოთხოვეს. ბოლოს შეთანხმებისამებრ, დამნაშავე მხარემ გადაიხადა ერთი მოზვერი (3 წლის), ერთი ჭედილა (2 წლის), 1000 მანეთი ფული და პურმარილი.[978] აქ კარგად ჩანს, რომ დაზარალებულებმა თავსისხლის სახით მოითხოვეს არა 60 ძროხა, არამედ მხოლოდ 25, საბოლოოდ კი უფრო მცირე საზღაურსაც დათანხმდნენ. ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ დროთა განმავლობაში ფშაური ჩვეულებითი სამართლით „თავსისხლის" ოდენობა კიდევ უფრო შემცირდა, ან სრულიად შესაძლებელია, რომ თავსისხლის წინასწარ განსაზღვრული ოდენობისთვის აღარ მიექციათ ყურადღება და თავსისიხლის გარკვეული ოდენობის მოთხოვნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომხდარიყო, სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის სუბიექტურის გათვალისწინებით. დ. ჯალაბაძე ამ კონკრეტული შემთხვევის ანალიზისას სამართლიანად მიუთითებს, რომ იგი მაჩვენებელია ფშავში სისხლის დაურვების ინსტიტუტის დაკნინებისა, როდესაც მხოლოდ ნაწილობრივ ეწეოდა ანგარიში უძველეს ფშაურ ანდრეზეულ სამართალს.[979]

რ. ერისთავის მიხედვით, ფშავში ჩვეულებითი სამართალი არ ითვალისწინებდა მკვლელის სახლ-კარის გადაწვას. მკვლელის გვარს მოკლულის გვარისთვის უნდა გადაეხადა ე. წ. საუპატიო – 3 ხარი, 3 ცხვარი და ერთი ხმალი.[980] სავარაუდოდ, აღნიშნული გადასახადი ხევსურული საგვაროს მსგავს გადასახადს უნდა წარმოადგენდეს. არ არის შემთხვევითი, რომ რ. ერთისთავი მას მკვლელის სახლ-კარის გადაწვის კონტექსტში განიხილავს. მკვლელის სახლ-კარის გადაუწველობა აღნიშნული სახდელის გადახდასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ისე როგორც ხევსურეთში საგვაროს გადახდა. თანაც ორივე ამ გადასახადს მკვლელის გვარი უხდის მოკლულის გვარს.

მონაცემების მიხედვით თუშეთში საკვლევ პერიოდში ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტი. ივ. ცისაკრიშვილის მონაცემით, თუშეთში მკვლელი შურისძიების შიშით გადაიხვეწებოდა და დატოვებდა საზოგადოებას. მას უნდა მოენანიებინა დანაშაული, არ ჩაეცვა ფეხსაცმელი, გაეზარდა თმები. მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო შესაძლებელი იგი უკან დაბრუნებულიყო და შერიგებოდა დაზარალებულს.[981] აღნიშნულის დასადასტურებლად სტ. მენთეშაშვილის მონათხრობი შეიძლება მოვიყვანოთ: ორ პიროვნებას მოუკლავს კაცი. ერთი ქუმელაურში გაქცეულიყო, მეორე ხევსურეთში. ბოლოს ისინი თორმეტ კაცს მოურიგებია.[982] ამ თორმეტ კაცში ე. წ. „საკითხი კაცები" უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც თემის სოფლებიდან აირჩეოდნენ და სხვადასხვა დანაშაულთა და მათ შორის მკვლელობის საქმეთა განხილვის კომპეტენციის მატარებელნი იყვნენ.[983]

978 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 54.

979 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 75.

980 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 92.

981 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

982 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, 1937, პირადი არქივი, 167-168.

983 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარსულიდან, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი,

თუ ორივე მხრიდან ექნებოდა ადგილი მკვლელობას, შერიგება ადვილად ხდებოდა. თუ სისხლი არ იყო გაწონასწორებული, ცხადია, შედარებით რთულად და აუცილებლად მოითხოვდა მკვლელობის მონანიებას და სისხლის ფასის გადახდას. ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, შერიგება მაინც ხერხდებოდა.[984] ჩვენი ერთ-ერთი თუში ინფორმატორის განმარტებით, საზოგადოების თავკაცები მკვლელობიდან ორი-სამი წლის შემდეგ იწყებდნენ შერიგებაზე ზრუნვას.[985] მ. კოვალევსკის მიხედვით, თუშეთისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ აქ სისხლის აღება ძალზედ იშვიათად ხდებოდა.[986] სტ. მენთეშაშვილის თუში ინფორმატორებიც ადასტურებენ, რომ მკვლელობისათვის შურისძიება კი იყო თუშეთში, თუმცა უფრო შერიგება ხდებოდა. სისხლის ასაღებად არ აქეზებდნენ, პირიქით აწყნარებდნენ დაზარალებულ მხარეს და სხვადასხვა სოფლებიდან დაბარებული მოხუცი, ჭკვიანი კაცებით არიგებენენ.[987] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ თუშეთში სისხლის აღების ინსტიტუტი საკვლევ პერიოდში არსებობდა, თუმცა ბევრად შერბილებული სახით, ვიდრე ხევსურეთში. XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილი მონაცემებით, კი რომლებიც უახლესია ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში, თუშეთში მკვლელობისას მოქმედებდა პრინციპი: „სისხლი სისხლით არ დაიბანება და წყლით კი დაიბანებაო". ინფორმატორის განმარტებით, „წყლით დაიბანება" ნიშნავს სისხლის ჩამორეცხვას, ე. ი. რაც მოხდა მოხდა – დაპირისპირებული მხარეები უნდა შერიგდნენ და როგორც ძველად იყვნენ, ისე უნდა დარჩნენ.[988] ამდენად, XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორები თუშეთში სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედებას ფაქტიურად არ ადასტურებენ, მათ მეხსიერებაში მისი ინტენსიური მოქმედება არ შემონახულა და მკვლელობის შემთხვევაში ხალხური წესით მხარეთა შერიგებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

თუშეთში უძველესი მონაცემები სისხლის ფასის და მისი ოდენობის შესახებ ეკუთვნის ივანე ცისკარიშვილს. მისი „ჩანაწერები თუშეთზე" 1849 წელს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნდა. ივ. ცისკარიშვილის მიხედვით, სისხლის ფასი თუშეთში იყო 120 ძროხა, ე. ი. 600 მანეთი ვერცხლით, ხოლო ქალის მკვლელობისათვის ამის ნახევარი.[989] სხვა მონაცემების მიხედვით, სისხლის ფასის ასეთი დიდი ოდენობა (120 ძროხა) არ ფიქსირდება. მაგალითად, მ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ გადასახადი მკვლელობისათვის თუშეთში 60 ძროხაა.[990] იგივე დასტურდება ალ. ხახანაშვილის მიერაც. მისი განმარტებით, 60 ძროხა ღირდა მამაკაცის სისხლი, ხოლო ქალის სისხლი ორჯერ ნაკლები – 30 ძროხა იყო. ავტორი ამას იმით ხსნის, რომ თუშების თვალთახედვით ქალი მეომარ მამაკაცზე უფრო და-

---

ხელნაწერის უფლებით), დ. 299, 138-139.

984 იქვე, 139.

985 გ. დავითაშვილი, ჯ. მერაბიშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992, 5.

986 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118.

987 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, პირადი არქივი (ხელნაწერი), 1937, 169, 171, 172.

988 გ. დავითაშვილი, ჯ. მერაბიშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992, 3.

989 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11. სიტყვასიტყვით იგივეს იმეორებს არნ. ზისერმანი (А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879, 249), ცხადია, ივ. ცისკარიშვილზე დაყრდნობით.

990 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 118.

ბლა დგას.[991] ს. მაკალათიას მიხედვითაც, მამაკაცის სისხლი 60 ძროხად იყო შეფასებული, ხოლო ქალისა – 30 ძროხად.[992]

თუშური ჩვეულებითი სამართლით სისხლის ფასის საკითხს შეეხო ვ. ლაგაზიძე. იგიც ადასტურებს, რომ თუშური სამართლით მკვლელს უნდა გადაეხადა საკმაოდ დიდი საზღაური, კერძოდ, 60 სული ძროხა. თუშეთში მოქმედი სამართლით ძროხების შეცვლას დასაშვებად თელიდნენ მხოლოდ ცხვრებით, სადაც თითო ძროხა უდრიდა 8 სულ ცხვარს. ხევსურეთისგან განსხვავებით, თუშეთში სისხლის საფასურს ერთბაშად იხდიდნენ.[993] საზღაურის გადახდაში მკვლელს მთელი გვარი ეხმარებოდა.[994]

გარკვეულწილად განსხვავებულ მონაცემს გვაწვდის სტ. მენთეშაშვილი. მისი თქმით, თუშეთში „სისხლის თავი 600-300 მანეთამდე იყო შეძლებისდაგვარად." ერთ-ერთ სოფელში ჩაწერილი ცნობით კი სისხლის ფასი 30 ძროხა იყო. ამის გარდა კი მკვლელს დაზარალებულის ოჯახში უნდა წაეღო საკლავი, ლუდი (ერთი ქვაბი), პური.[995]

ეს მონაცემები ცალსახად ადასტურებს, რომ თუშეთში სისხლის ფასი (მკვლელობისათვის წინასწარ დადგენილი ქონებრივი საზღაური) XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდა. მისი ოდენობის შესახებ, როგორც ვხედავთ, არაერთგვაროვანი ცნობებია. ივ. ცისკარაულის მიერ მოყვანილი 120 ძროხა მამაკაცის მკვლელობისათვის აშკარად აღემატება სხვა ავტორების შესაბამის მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ძირითადად, მამაკაცის მკვლელობისათვის სისხლის ფასი 60 ძროხაა. რა შეიძლება იყოს ასეთი განსხვავების მიზეზი? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს. ივ. ცისკარიშვილის მონაცემში ეჭვის შეტანა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. იგი თვითონ იყო თუში და კარგად იცნობდა საკუთარი კუთხის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას. ამდენად, სისხლის ფასის ოდენობა მისთვის ყურმოკვრით არ იქნებოდა ცნობილი და ზუსტი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა ამ საკითხზე. ასევე სხვა ავტორების ცნობებიც ამ საკითხზე არ უნდა იწვევდეს ეჭვს. ისინი უშუალოდ მათ მიერ შეკრებილ მასალებს ეყრდნობიან. ჩვენი ვარაუდით აღნიშნული განსხვავება შეიძლება განპირობებული იყოს ორი ფაქტორით: 1. ივ. ცისკარიშვილი მონაცემი დაახლოებით 40 წლით უფრო ადრეულია, ვიდრე მაგალითად, ალ. ხახანაშვილის, ან მ. კოვალევსკის. სრულიად შესაძლებელია დროთა განმავლობაში თუშეთში სისხლის ფასის ოდენობა შემცირდა. ო. ზოიძე, რომელიც ადარებს ივ. ცისკარიშვილისა და ალ. ხახანაშვილის შესაბამის მონაცემებს, სისხლის ფასის ღირებულების შესაძლო შემცირებას თუშთა ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებას უკავშირებს.[996] 2. თუშეთის სხვადასხვა თემში განსხვავებული ნორმების არსებობით. ჩვეულებითი (ხალხური) სამართლისათვის ხომ დამახასიათებელია, რომ ერთი კუთხის სხვადასხვა თემსა თუ სოფელში განსხვავებულ

991 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზეთი „ივერია", 1888, №185.

992 ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, 102.

993 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით), დ. 299, 139-139ა, 141.

994 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით), დ. 299, 139; ალ ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზეთი „ივერია", 1888, №185.

995 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, პირადი არივი (ხელნაწერი), 1937, 167, 170.

996 ო. ზოიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი და ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1990, 28.

ნორმებს ემოქმედა. გამონაკლისი არც თუშეთი უნდა ყოფილიყო. სრულიად შესაძლებელია ივ. ცისკარიშვილს თუშეთის ერთი თემის მონაცემი დაეფიქსირებინა (ალბათ ეს წოვა თუშეთი იქნებოდა, რადგანაც ივ. ცისკარიშვილი სწორედ აქედან იყო), ხოლო სხვა ავტორებს თუშეთის სხვა თემის.[997]

სისხლის ფასად კაცის მკვლელობისათვის 60 ძროხა, ხოლო ქალის მკვლელობისათვის ამის ნახევარი, როგორც დავინახეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო (მაგალითად, ხევსურული რჯულით) და ის რომ ამ ოდენობის სისხლის ფასი და ქალის მკვლელობისათვის სისხლის ფასად კაცის სისხლის ნახევარი ფიქსირდება თუშეთში, სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს.

როგორც მოტანილ მონაცემებში გამოჩნდა, არის ცნობა, კერძოდ, სტ. მენთეშაშვილის, რომლის თანახმადაც სისხლის ფასი წინასწარ ზუსტად განსაზღვრული ოდენობის სახით არ გვევლინება (600-300 მანეთამდე შეძლებისდაგვარად). სრულიად შესაძლებელია, რომ თუშეთის რომელიმე თემში თუ სოფელში გარკვეულ ეტაპზე სისხლის ფასის განსაზღვრისას დაიწყეს დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება. შესაძლებელია ისიც, რომ საერთოდ თუშეთში თანდათან ჩამოყალიბება დაიწყო მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის ისეთმა სახემ, რომლის ოდენობა წინასწარ ზუსტად განსაზღვრული აღარ იყო, თუმცა გარკვეულ ფარგლებში გახლდათ მოქცეული. ეს გარემოება მაჩვენებელი უნდა იყოს ჩვეულებითი სამართლის გავლენის შესუსტების ტენდენციისა. სტ. მენთეშაშვილის კიდევ ერთი მონაცემი, რომ ერთ კონკრეტულ სოფელში სისხლის ფასი 30 ძროხაა, ადასტურებს, რომ სხვადასხვა სოფელში შესაძლოა ჩვეულებითი სამართლის განსხვავებულ ნორმებს ეარსება. ეს მონაცემი ასევე უნდა მიუთითებდეს სისხლის ფასის თანადათანობითი შემცირების ტენდენციას.

ივ. ცისკარიშვილი თანახმად, თუშეთში დაზარალებული მხარე თითქმის არასდროს იღებდა სისხლის საზღაურს, რადგანაც ეს მიცვალებულის სულის შეურაცხყოფად მიაჩნდათ.[998] სისხლის საზღაურის აღებაზე უარის თქმა შესაძლოა მომხდარიყო ქადაგის რჩევითაც. თუ ქადაგი დაარწმუნებდა დაზარალებულ მხარეს, რომ ლაშარის ჯვარი ითხოვდა სისხლის ფასის აღებაზე უარის თქმას, მაშინ ხატს მიართმევდნენ ერთ ქვაბ ლუდს, ხარსა და ცხვარს და ამით დამნაშავე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა.[999] როგორც ჩანს, რელიგიური ფაქტორი ქართველ მთიელებში ძალზედ დიდ გავლენას ახდენდა სამართლებრივ ურითერთობებზე. სისხლის აღებაზე უარი (მთლიანად თუ ნაწილობრივ)

---

997 იხ. იქვე. თუ ეს მოსაზრება სწორია და ნოვა თუშეთში სისხლის ფასი მართლაც ორჯერ მეტი იყო, ვიდრე თუშეთის სხვა თემებში. იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ასეთი განსხვავების მიზეზი? ჩვენი ვარაუდით ამის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ნოვა თუშების გარკვეული ხნის განმავლობაში ინგუშეთში ცხოვრების ფაქტი. ნოვა თუშებმა ინგუშეთში ცხოვრების პერიოდში ბევრი რამ ადგილობრივი წესჩვეულებებიდან შეითვისეს, სრულიად შესაძლებელია, რომ ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლიდანაც. საინტერესოა, რომ ინგუშეთში სისხლის ფასი საკმაოდ დიდი ოდენობისა იყო – თ. ლეონტოვიჩის თანახმად, 130 ძროხა (იხ. Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т. 2, Одесса, 1883, 148). ეს ციფრი დიდად არ განსხვავდება ივ. ცისკარიშვილის მიერ დასახელებულისაგან და გასაკვირი არ იქნებოდა, რომ ნოვა თუშებს სისხლის ფასად 120 ძროხა სწორედ ინგუშებისგან შეეთვისებინათ.

998 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, პირადი არივი (ხელნაწერი), 1937, 167, 170.

999 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზეთი „ივერია", 1888, №185.

ფშავშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.[1000] ამას ფშავლები „სისხლის პატიებას“ უწოდებდნენ.[1001] აღნიშნულს უფრო შესაძლოა შემთხვევითი მკვლელობისას ჰქონოდა ადგილი.[1002] ო. ზოიძის მიხედვით ამის მიზეზი შემდეგი ფაქტორები იყო: შურისძიების ადათის შესუსტება, დამნაშავის დასჯა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, დამნაშავე მხარის მორიდებული ქცევა დაზარალებულთა მიმართ, მკვლელის ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირე.[1003] ეს ფაქტორები არა მარტო ფშავში, არამედ სხვა კუთხეებშიც განაპირობებდა სისხლის საზღაურის მიღებაზე უარს, ან მის შემცირებას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, სხვადასხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლით შესაბამისი საკითხების განხილვისას. ამდენად, ო. ზოიძის მოყვანილი ფშავში თავსისხლის მიღებაზე უარის განმაპირობებელი ფაქტორები ეჭვს არ იწვევს.

XX საუკუნის დასასრულის მონაცემების მიხედვით, თუშეთში მკვლელობისას ხალხური წესით შერიგებისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდა აღარ ხდებოდა.[1004] ამ მონაცემებს თუ ვერწმუნებით, გამოდის, რომ თუ XIX საუკუნეში, XX საუკუნის პირველ მეოთხედში თუშეთში სისხლის ფასი არსებობდა და მკვლელობისას ხალხური წესით შერიგებას ქონებრივი საზღაურის გადახდა მოჰყვებოდა ხოლმე, შემდგომ პერიოდში ჩვეულებითი სამართლის გავლენის შემცირების კვალობაზე თანდათანაობით სისხლის ფასის გამოყენებაც შეწყდა.

ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, თუ ერთი პიროვნება განმეორებით ჩაიდენდა მკვლელობას, მკვლელს და მის ოჯახს სოფელი გააძევებდა.[1005] ასეთი რამ სავარაუდოდ სოფლის შიგნით მკვლელობების შემთხვევაში მოხდებოდა. როგორც ჩანს, საზოგადოება ერთი პიროვნების მიერ თანასოფლელის არაერთგზის მკვლელობის ჩადენას უკვე მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვამდა, რადგანაც არაერთგზის მკვლელობის ჩამდენის სახით საზოგადოების სიმშვიდის და უსაფრთხოების საშიშროებას ხედავდა.

ფშავში შერიგებისას მოკლულის ნათესავები მკვლელს თავსისხლის საფასურის გარდა გამოართმევდნენ საჩუქარსაც, კერძოდ, იმ ნივთს, რომელიც მათ მოეწონებოდათ და დამნაშავეს მის მიცემაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი“ ქვია. ალმანიად ერთი თემი მეორეს მამულსაც წაართმევდა. ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ერთ თემს მეორის სისხლი ემართა. ზოგიერთი სახელოვანი იარაღი, რომელმაც პატრონი ლაშქრობაში ასახელა, გათავისუფლებული იყო ალმანიისაგან. „ხევისბერი დაჰლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა“ იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა, ანუ „ყისტად მოუდებდა" მის მექონეს ამ დალოცვლს იარაღს.“[1006]

1000 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 3-4.

1001 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“, II ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, თბ., 1991, 45.

1002 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 81.

1003 ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 128.

1004 გ. დავითაშვილი, ჯ. მერაბიშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992, 3

1005 იქვე, 4-5.

1006 ვაჟა-ფშაველა, „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72-73.

დაზარალებულ მხარეს რომ შეეძლო ალმანიის სახით აეღო მკვლელისაგან იარაღი, რომელიც მოეწონებოდა რ. ერისთავთანაც დასტურდება.[1007]

ფშავში ფიქსირდება რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მკვლელობისათვის მიწის გადაცემა მოხდა. მაგალითად, შუაფხოელმა კაცმა მოკლა გოგოლაური, სოფელ ჯიგრაულთაში მცხოვრები კაცი, ამაზე შუაფხოველებს მოედავა გოგოლაურთა მთელი თემი. მათ წაურთმევია შუაფხოელებისათვის ადგილი „ხადო". აქ ხუთი-ექვსი კომლის საკმარისი სამოსახლო ადგილი ყოფილა. მიწა შუაფხოელებს თემმა წაართვა, მაგრამ აქ მხოლოდ ისინი დასახლდნენ, ვისი კაციც იყო მოკლული.[1008] კიდევ ერთ შემთხვევაში შუაფხოელმა კაცმა მოკლა აფშოელი კაცი მჭედლურთა გვარისა. შუაფხოელებს შედავებია სოფლის ყველა გვარი აფშოდან და მათთვის წაურთმევიათ ადგილი ქუთხი, შუაფხოდან სამხრეთ მხარეს. აქ აფშოველებმა დაასახელეს მჭედლურთა გვარის კაცი, როგორც მოკლულის გვარისა.[1009] საინტერესოა, რომ შუაფხოელთა და გოგოლაურთა დაპირისპირებას, გოგოლაურთა მიერ შუაფხოს თემის მიწის „ხადოს" დაუფლებას იხსენებს XX საუკუნის დასასრულის ერთი ფშაველი ინფორმატორი.[1010] ო. ზოიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს მიწა დაზარალებულმა მხარემ სწორედ „ალმანიაში" აიღო. მამულის ალმანიაში მიცემა რომ ხდებოდა ამას ხომ ვაჟაც ადასტურებს. მოყვანილი მაგალითი კი ესადაგება ვაჟას ნათქვამს.[1011] ჩვენ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. ვაჟა გარკვევით წერს, რომ ალმანიაში მამულს თემი ართმევდა თემს და არა კერძო პირი (დაზარალებული) მკვლელს. ზემოთ მოყვანილ ორ შემთხვევაშიც მკვლელობის გამო სწორედ მოკლულის თემმა წაართვა მამული მკვლელის თემს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიწის მფლობელი თვით თემი კი არ ხდებოდა, არამედ უშუალოდ დაზარალებული გვარის წარმომადგენელი.

თუშეთშიც სისხლის ფასის გარდა მკვლელს მოკლულისათვის გარკვეული საჩუქარი უნდა მიეცა. კერძოდ, მკვლელს დაზარალებულისთვის უნდა მიერთმია შეკაზმული ცხენი, რომელზედაც ჩამოკიდებული იქნებოდა საუკეთესო თოფი და ხანჯალი.[1012] შეკაზმულ ცხენს მოკლულის მხარეს მკვლელი ფშავშიც მიუყვანდა.[1013] შეკაზმული ცხენის გადაცემის ვალდებულება მიცვალებულთა სამყაროს შესახებ წარმოდგენებიდან უნდა მომდინარეობდეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული წარმოდგენით მიცვალებულს იმქვეყანაზე შეკაზმული ცხენი ჭირდებოდა. ხევსურეთში ვაჟის დაკრძალვისას (არა აქვს მნიშვნელობა იგი მოკლული იყო თუ არა) მიცვალებულს დაბანდნენ, ახალ ტანსაცმელს აცმევდნენ, გულზე აბჯარს დაუწყობდნენ, მიცვალებულთან და-

---

1007 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 92.

1008 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, №1, 1988, 191.

1009 იქვე.

1010 იხ, ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 3-4.

1011 ო. ზოიძე, სასჯელები, (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, თბ., 1991, 128.

1012 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

1013 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 4.

აყენებდნენ ცხენს, რომელსაც დასაფლავებამდე უკურთხებდნენ, შეკაზმავდნენ, ხურჯინს გადაჰკიდებდნენ, რომელშიც პურებს ჩააწყობდნენ. მიცვალებულის ცოლი, ან დედა ცხენს სამჯერ მათრახს დაარტყამდა და იტყოდა: „შენიმც სახმარი ას, შენამც გემსახურების..."[1014] აქ კარგად ჩანს, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ადგილობრივ მთიელთა წარმოდგენით მიცვალებულისათვის შეკაზმულ ცხენს. ასეთი შეხედულება განაპირობებდა მკვლელობისას დაზარალებულისათვის ცხენის მიყვანის ვალდებულებას.

ფშავში კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელობა შესაძლოა საჯარო ხასიათის დანაშაულად ყოფილიყო ჩათვლილი და მკვლელის მიმართ ასეთივე ხასიათის სასჯელის გამოყენება მომხდარიყო. მხედველობაშია დედის მიერ უკანონოდ შობილი ჩვილის მკვლელობა, რაც ქალის მხრიდან უკანონო სქესობრივი კავშირის გაუმჟღავნებლობის მიზნით შეიძლება მომხდარიყო. ასეთი დანაშაულის ჩამდენ ქალს მოიკვეთდნენ, ან გააძევებდნენ. ფშავში კონკრეტული შემთხვევაც ფიქსირდება, როდესაც უკანონო შვილის გამჩენი ქალი, რომელმაც ჩვილი მოკლა, სოფლიდან გააძევეს.[1015] გამომდინარე იქედან, რომ ახლადდაბადებული ჩვილის მკვლელობის მიზეზი, დედის მიერ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ჩადენა იყო, სრულიად შესაძლებელია, ქალის მიმართ გამოყენებული საჯარო ხასიათის მძიმე სასჯელი არა მარტო ჩვილის მკვლელობით, არამედ, იმ დანაშაულითაც იყოს განპირობებული, რომლის დაფარვის გამოც მოხდა მკვლელობა.

ფშავსა და თუშეთში შერიგება ჩვეულებრივ დაპირისპირებული მხარეების პურობით სრულდებოდა.[1016]

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მკვლელობისათვის გარკვეული საზღაურის გადახდა ფიქსირდება არაგვის ხეობაში მცხოვრებ მთიულებშიც. სპეციალური კვლევა ჩვეულებითი სამართლის შესწავლის თვალსაზრისით XX საუკუნის სამოციან წლებში მთიულეთში (არაგვის ხეობა) ჩაატარა ი. ფუტკარაძემ. მის მიერ საველე გზით დაფიქსირებულ მონაცემებში ჩანს, რომ მთიულეთში ადგილი ჰქონდა სისხლის ფასის გადახდას. ი. ფუტკარაძე ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ მთიულეთში მკვლელობისას შერიგება საკმაოდ რთული აქტია. მასში მონაწილეობენ მკვლელისა და მოკლულის ოჯახის წევრები, მათი განაყრები, ბიძაშვილები და სხვა. მკვლელს ევალებოდა გაეკეთებინა „პურ-შეაჭამანდი", რომელსაც ი. ფუტკარაძე ხევსურული „რიგის ყენების" რთული პროცესის ანარეკლად მიიჩნევს. მთიულურ „პურ-შეჭამანდს" შეადგენდა გარკვეული რაოდენობის საკლავი („ჭედილა"), არაყი, პური და ყველი. ესენი მკვლელს მიჰქონდა მოკლულის სახლში და უმასპინძლდებოდა შერიგებისას შეკრებილ ხალხს. მესისხლეთა შერიგება ზოგჯერ ხდებოდა სისხლის საზღაურის გადახდის გარეშე. „პურ-შაჭამანდის" გარეშე კი მთიულის წარმოდგენით შერიგება შეუძლებელი იყო. ი. ფუტკარაძის აზრით, ეს გარემოება მიუთითებს, რომ „პურ-შაჭამანდი" სიმბოლურად გამოხატავდა მკვლელობის

1014 მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", III, თბ., 1940, 10-12.

1015 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 9.

1016 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარსულიდან, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლები), დ. 299, 140; დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 54.

საზღაურის გადახდის წარსულში არსებულ წესს.[1017] ი. ფუტკარაძის ამ მონაცემიდან ჩანს, რომ მთიულეთში მკვლელობის შემთხვევაში მხარეთა შერიგებისას მკვლელის მხარე ამზადებდა „პურ-შეჭამანდს", რაც შერიგებისათვის აუცილებელი მისატანი იყო და სავარაუდოდ, ძველად მკვლელობისათვის სისხლის ფასის გადასახადის არსებობის გამოვლინებას და დადასტურებას წარმოადგენდა. ი. ფუტკრაძის კვლევა მიუთითებს, რომ მთიულეთში ძველად ადგილი ჰქონდა სისხლის აღების ინსტიტუტსაც და მკვლელობისას სისხლის ფასის გადახდასაც, ხოლო იმ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რომელსაც მეცნიერი ეყრდნობა, მათი ნაშთიღა დასტურდება. მთიულეთში (არაგვის ხეობა) სისხლის აღების არსებობას მიუთითებს ი. ფუტკარაძის მიერ დაფიქსირებული მკვლელის სახლის დარბევის გარკვეული გადმონაშთები. ი. ფუტკარაძის თანახმად, საქართველოს ამ კუთხეში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება, როცა დაზარალებული მხარის წარმომადგენლებმა პურიანი გოდრები გადმოუყარეს მკვლელს, „სახლი გაუკაწრეს". სისხლის აღების წესის არსებობას ასევე მიუთითებს ისიც, რომ მკვლელი შურისძიების ასაცილებლად სამუდამოდ, ან დროებით იმალებოდა.[1018] იგივე ავტორის მითითებით, მთიულეთში ჩაწერილი მასალებით სახელმწიფოს მიერ მკვლელის დასჯა არ გამორიცხავდა ხალხური წესით მხარეთა შერიგების აუცილებლობას, რაც სისხლის აღების თავიდან არიდების საჭიროებით იყო განპირობებული.[1019] მთიულეთში მკვლელობის შემთხვევაში ე. წ. პურ-შეჭამანდის მიტანით შერიგების კონკრეტულ ფაქტს ვხვდებით მ. კედელაძის მასალებში. ინფორმატორის თქმით, მოუპარავთ ხატის კუთვნილი კურატი. ქურდები ძალზედ ავი ხალხი იყო და მათთან შიშით ვერავინ მიდიოდა. ერთ ვაჟკაცს პიროვნებას გაუბედავს და მათთან კურატი მოუკითხავს. ეს ქურდებს შეურაცხყოფად მიუღიათ და უცემიათ ეს პიროვნება. იგი ამის გამო ერთი წლის შემდეგ მომკვდარა. თემს მკვლელობის ჩამდენი ქურდებისთვის სამრისხველო სამანი ჩაუსვამს და დაუწყევლია. ქურდების ოჯახში სიკვდილიანობა დაწყებულა, რაც დაწყევლას და სამნის ჩასმას დაბრალდა. სიკვდილიანობით გამწარებულებმა თემს სამრისხველო სამნის ამოღება თხოვეს, თუმცა მოკლულის ჭირისუფალმა (ადგილობრივმა ხევისბერმა, რომელიც მოკლულის ახლო ნათესავი იყო) ამის პირობად მკვლელობისათვის საზღაურის გადახდა მოითხოვა. მათაც მოიტანეს პურ-შეჭამანდი – ღვინო, ქადა პურები, საკლავი.[1020] ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ პურ-შეჭამანდის მიტანა მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მკვლელობისათვის გათვალისწინებული საზღაურის გარკვეულ სიმბოლურ გამოხატულებად.[1021]

1017 ი. ფუტკარაძე, მთიულთა ჩვეულებითი სასისხლო ნარმოების საკითხები, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", III. თბ., 1971, 186-187.

1018 იქვე, 186, 187.

1019 იქვე, 186.

1020 მ. კედელაძე, ხატის მინები ცხაოტის თემში, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 1/29, 9-11.

1021 მთიულეთში (არაგვის ხეობა) მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავისათვის სამნის ჩასმის სხვა კონკრეტული შემთხვევებიც ფიქსირდება. მაგალითად, მკვლელობისთვის, რომელიც დაახლოებით 1876 წელს მომხდარა, თემს ერთ-ერთ სალოცავში მკვლელებისათვის სამრისხველო სამანი ჩაუსვამს (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", თბ., 1991, 61). მთიულეთში დაფიქსირებული სხვა მონაცემებიც ადასტურებს სამნის ჩასმის შესაძლობლობას მკვლელობის შემთხვევაში (იქვე, 73; ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978, 98) ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც სამრისხველო სამნის ჩასმა ხდებოდა მაშინ, როდესაც მკვლელი (მკვლელები) ცნობილნი იყვნენ და სამნის ჩასმა კონკრეტული პირების დასასჯელად ხორციელდებოდა.

ი. ფუტკარაძის მონაცემებით, თუ მთიულეთში მკვლელობისათვის სისხლის ფასის გადახდის მხოლოდ ნაშთიღა არის შემორჩენილი, სხვა მონაცემებში ვხვდებით კონკრეტულ მაგალითებს მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდისა. მაგალითად, ლ. კაიშაურის „მთიულურ ტექსტებში" აღწერილია მკვლელობის შემთხვევა. მკვლელებს დაზარალებული მხარისათვის შეუთავაზებიათ ოქროს მიცემა შესარიგებლად. დაზარალებულებს უარი უთქვამთ: „ოქროზე კაცს არ გავყიდითო". შემდეგ მოხდა შერიგება, როდესაც დაზარალებულებმა შერიგების ნიშნად ფული არ აიღეს, თუმცა აიღეს მამული, რომლის ოდენობა მონაცემში მითითებული არ არის.[1022] ვ. ბარდაველიძის საარქივო მასალებში მოიპოვება კონკრეტული მონაცემი დაფიქსირებული მთიულეთში, რომლის მიხედვითაც საქართველოს ამ კუთხეში კაცის ფასი იყო სამი დღიური მიწა, რაც ერთი დესეტინის ტოლია. ერთი დღიური მიწა სამ ძროხას უდრიდა, ერთი ძროხა კი 5-6 ცხვარს.[1023]

მ. კედელაძის მასალებში ასევე ვხვდებით მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ სისხლის ფასად სწორედ მიწა გადაიხადა. ერთერთი მთიული ინფორმატორი, გვარად ნარიმანიძე, სოფელ სონჩოდან იხსენებს ამბავს, რომელიც მის მამა-პაპათ გადახდა. მისი წინაპრები ორი ძმა ყოფილან. უფროს ძმას ჩხუბი მოსვლია სოფელ ჟიჟონში მცხოვრებ პიროვნებასთან და გალახულა. ეს სწყენია უმცროს ძმას და მტრობა დაუწყია ძმის მცემელთან. ისინი შეხვედრიან და ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღი უხმარიათ. უმცროს ძმას ჟიჟონელისთვის ხმლის შემოკვრით თავი მოუჭრია. მოჭრილი თავი დაგორებულა და ნარიმანიანთ ყანაში დამდგარა. მკვლელს ის მამული, სადაც მოჭრილი თავი მიგორდა სინჩოს წმინდა გიორგისთვის შეუწირავს და შეხვეწია: „დიდებულო წმინდაო გიორგიო, ამ შარს გადამარჩინე და აი, ეს მამული შენთვის შამამიწირავსო". მკვლელი მლეთაში გადასახლებულა საცხოვრებლად, გვარი შეუცვლია ნაზღაიძედ, ხოლო მოკლულის სისხლი მიწით აუნაზღაურებია, კერძოდ, მოკლულის მხარისთვის ხუთი-ექვსი დღის სახნავი მამული „აფორიანი" (ადგილის სახელია) მიუცია.[1024]

მ. კედელაძის კიდევ ერთი ინფორმატორის თქმით, მას გადმოცემით („ანდაზად") გაუგონია, რომ მკვლელს მამული და მთა (სათიბი) უნდა მიეცა მოკლულის მხარისთვის და შესარიგებლად ცხვარი და არაყი მიერთმია. შემდეგ იგი იხსენებს მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც შესარიგებლად მკვლელის მხარემ გამოხადა ორი ქვაბი არაყი, წაიყვანა ორი ჭედილა. ინფორმატორის განმარტებით, მკვლელი ციხეში იჯდა, თუმცა შესარიგებელი მაინც გადაიხადა, რადგანაც საპასუხო მკვლელობა აერიდებინა თავიდან.[1025]

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ მთიულეთში (არაგვის ხეობა) მკვლელობას შესაძლოა სისხლის აღება მოჰყოლოდა. როგორც დავინახეთ, პირველ შემთხვევაში მკვლელი იძულებული გახდა გადასახლებულიყო სხვაგან და გვარიც კი შეეცვალა. ეს, ცხადია, სისხლის აღების თავიდან აცილების მიზნით მოხდა. ასევე, ეს მაგალითები ცალსახად ადასტურებს, რომ მთიულეთში (არაგვის ხეო-

1022 ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978, 98.

1023 ე. ბარდაველიძე, ვ. ბარდაველიძის 1945 წლის მთიულეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ვ. ბ. 55/2, 9.

1024 მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, II, 1949, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 3/22, 292-295.

1025 მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 1/33, 93[3].

ბა) სისხლის ფასის გადახდა მკვლელობისათვის ჩვეულებრივ ხდებოდა და მისი ოდენობა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო (ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით 3 დღიური მინიდან 5-6 დღიურ მინამდე). პირველი შემთხვევა XX საუკუნის შუა ხანებში მცხოვრები მთიული ინფორმატორის მონაყოლია და დაახლოებით XIX საუკუნის II ნახევრის ამბავს უნდა ასახავდეს. როგორც ჩანს ამ პერიოდში სისხლის ფასის გადახდა მთიულეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. სისხლის ფასის გადახდა კი, როგორც ჩანს, ძირითადად მინით ხდებოდა. მეორე ინფორმატორს გადმოცემით გაუგონია მთიულეთში სისხლის ფასის არსებობის შესახებ სწორედ მამულის სახით. მის მიერ აღწერილი შემთხვევა კი ჩაწერილია 1945 წელს და ინფორმატორი თვითონ შესწრებია ამ მკვლელობის გამო შერიგებას. ეს მიუთითებს, რომ შედარებით გვიანდელ პერიოდში სისხლის ფასის გადახდას მკვლელობის გამო მთიულეთში ძველი სახით (მინით, სათიბით) ადგილი აღარ ჰქონდა და დამნაშავე პურ-შეჭამანდის მიტანით შემოიფარგლებოდა.

§5. მკვლელობის ინსტიტუტი და მისთვის პასუხისმგებლობა აჭარის, ხევის და რაჭის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

მკვლელობის ინსტიტუტის და ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტების ერთობლივი განხილვა ამ სამი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განპირობებულია იმით, რომ საკვლევ პერიოდში ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამ კუთხეებში მკვლელობისას ჩვეულებითი სამართლის მოქმედება დაახლოებით ერთგვარი ინტენსიობის იყო. აღნიშნული ინტენსიობა შედარებით ნაკლები იყო ვიდრე მაგალითად, სვანეთსა და ხევსურეთში და უფრო მეტი, ვიდრე მაგალითად, საქართველოს ბარის რაიონებში. კერძოდ, აქ საკვლევ პერიოდში სამივე კუთხეში გვხვდება სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება, თუმცა არა ისეთი მკაცრი სახით, როგორც ხევსურეთსა და სვანეთში. სამივე ამ კუთხეში ფიქსირდება ის, რომ მკვლელობის საქმის ხალხური სამართლით განხილვა ჩვეულებრივი მოვლენაა საკვლევ პერიოდში, მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მკვლელთა დასჯისა. საბჭოთა პერიოდშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო, როგორც წესი, სჯიდა მკვლელს, ხალხური წესით მხარეების შერიგებას მაინც ჰქონდა ადგილი. სამივე კუთხეში საკვლევ პერიოდში ასევე ჩვეულებრივი მოვლენა იყო მკვლელისათვის ქონებრივი საზღაურის დაკისრება, თუმცა ხევსურეთის, სვანეთის, თუშეთის, ფშავისა და მთიულეთისაგან განსხვავებით ამ სამ კუთხეში არ გვხვდება წინასწარ დადგენილი სისხლის ფასი. ამ კუთხეებში მკვლელობისათვის სისხლის საფასურის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდებოდა სხვადასხვა, მათ შორის სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. ცხადია, ძველად ამ კუთხეებში იარსებებდა წინასწარ დადგენილი სისხლის ფასი და მისი აღარ არსებობა ამ კუთხეებში ხალხური სამართლის გავლენის მეტ შემცირებაზე მეტყველებს, ვიდრე იქ, სადაც სისხლის ფასი (ან დაჭრა-დასახიჩრებისას წინასწარ დადგენილი საზღაურები) შენარჩუნებულ იქნა.

ხევსურული სისხლ-მესისხლეობისა და ჭრა-ჭრილობის წესებსა და ხევში შესაბამის წესებს შორის განსხვავებას კარგად წარმოაჩენს მ. კეკელიას ერთი

მოხევე ინფორმატორი. მისი თქმით: ხევსურებსა და ხევს შორის სისხლის აღების საქმეში შემდეგი განსხვავებაა: „მანდ კაცის თავი შეფასებული აქვთ, ასევე ჭრილობაც. მათ მდევარი იციან, რომელსაც საკლავს მიაგებებენ, ჩვენთან ასეთი არ არის. იქ უფრო მონდომებით სძებნიან სისხლს."[1026] აქ კარგად ჩანს, რომ ხევში ხევსურეთისგან განსხვავებით სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება ნაკლებად ინტენსიური იყო. სისხლის ფასის წინასწარ დაუდგენლობა ხევში ასევე მაჩვენებელია იმისა, რომ აქ ჩვეულებითი სამართლის გავლენა უფრო ადრე დაკნინებულა, ვიდრე ხევსურეთში. ეს დასკვნები შესაძლოა გავავრცელოთ აჭარასა და რაჭაზეც, სადაც სისხლის აღების, მკვლელობისას შერიგების და შესაბამისი საზღაურის გადახდის თვალსაზრისით, დაახლოებით ისეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე საკვლევ პერიოდში, როგორიც ფიქსირდება ხევში.

ახლა განვიხილოთ მკვლელობის ინსტიტუტი ხალხური სამართლის მიხედვით ამ სამი კუთხის მიხედვით.

აჭარაში ჩაწერილი ჩვენს ხელთ არსებული მასალა ცალსახად მიუთითებს, რომ აქ სისხლის აღების ინსტოტუტი საკმაოდ დიდხანს შემორჩა. ეს XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ჩაწერილ მონაცემებშიც ნათლად ჩანს. ერთერთი აჭარელი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ მკვლელობისას იშვიათი იყო სისხლის აუღებლობა, თუმცა მას ახსენდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც შერიგება პირველივე მკვლელობას მოჰყვა.[1027] აჭარელი ინფორმატორი სისხლის აღების სავალდებულობას მიუთითებს,[1028] თუმცა არიან ინფორმატორებიც, რომელთა მითითებითაც სისხლის აღება სავალდებულო არ ყოფილა.[1029] ბუნებრივია, დროთა განმავლობაში სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება შენელდა და ცალკეულ ინფორმატორთა ასეთი დამოკიდებულება ამ ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აჭარის სხვადასხვა რაიონში სისხლის აღების ინსტიტუტის შემონახულება და მისი მოქმედების სიმწვავე, შესაძლოა ერთგვაროვანი არ ყოფილა. მაგალითად, მთიან აჭარაში უფრო მწვავე იყო, ვიდრე სხვაგან. ასევე ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის აღების განხორციელებაზე გავლენას ახდენდა დაზარალებული მხარის წარმომადგენელთა პიროვნული თვისებებიც.

იგივე ითქმის ხევთან მიმართებაში. აქაც XX საუკუნის 80-იან წლებში მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში თვალნათლივ ჩანს სისხლის აღების ადათის შემონახულობა იმ პერიოდში, რომელსაც ამ დროის ინფორმატორთა მეხსიერება წვდება. მათ კონკრეტული შემთხვევებიც ახსოვთ.[1030]

სისხლის აღების შემონახულობის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ აჭარაში ხშირი შემთხვევა იყო მკვლელის, მისი ოჯახის, უახლოესი ნათესავების საკუთარი საცხოვრისიდან აყრა და სხვაგან გადასახლება, მკვლელის ყაჩაღად გავარდნა. ინფორმატორები არაერთ შესაბამის კონკრეტულ ფაქტს იხსენებენ.[1031] მაგალითად, ერთ შემთხვევაში მკვლელებს ისე შეშინებიათ მო-

1026 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1984, №1, 86.

1027 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, 22.

1028 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, 6.

1029 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, 1.

1030 მაგალითად, იხ. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1984, №1, 83.

1031 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, 20; მ.

კლულის ნათესავების, რომ სამი მკვლელი ძმა თურქეთში გადახვეწილა.[1032] გადახვეწილები, თუ შერიგება აღარ ხდებოდა, თავის სახლ-კარს როგორც წესი, ბიძაშვილებს მიჰყიდდნენ ხოლმე. ეს კონკრეტული ფაქტითაც დასტურდება. ერთ შემთხვევაში მკვლელი ოჯახით სხვა სოფელში ჩასახლდა, სახლ-კარი კი ბიძაშვილს მიჰყიდა.[1033] ჩვეულებითი სამართლით მიწის გაყიდვისას მოქმედებდა მოგვარეების, ბიძაშვილების მხრიდან უპირატესი შესყიდვის უფლების წესი და ამდენად გაყიდული მიწა ძირითადად გვარის შიგნით რჩებოდა. შესაძლებელია, საჭიროებისას დაზარალებული მხარის გვარს თვითონ მოეთხოვა მოკლულის გვარისათვის მკვლელის და მისი ოჯახის სოფლიდან წასვლა, საპასუხო მკვლელობის თავიდან ასარიდებლად.[1034] მოხევე ინფორმატორებიც იხსენებენ კონკრეტულ ფაქტებს მკვლელის, მისი ოჯახის წევრების, ძმების სოფლიდან გადახვეწისა.[1035] ერთ შემთხვევაში მკვლელი და მისი ორი ძმა გაეცალა სოფელს. დაზარალებულმა მხარემ კატეგორიული უარი თქვა მკვლელის შემორიგებაზე. მ. კეკელიას მოხევე ინფორმატორი (მონაცემი ჩაწერილია 1984 წელს) ძალზედ შენუხებული აღნიშნავს, რომ ახლაც სამი ოჯახია სოფელში დაკეტილი.[1036] კიდევ ერთი ინფორმატორი კი იხსენებს მამამისის მიერ მკვლელობის ჩადენის ფაქტს. თავიდან ისინი (მკვლელის ოჯახი) საკუთარ სოფელში დარჩნენ, თუმცა მუდმივ შიშში იყვნენ და ბოლოს და ბოლოს მკვლელის და მისი ძმის ოჯახი ჩრდილოეთ ოსეთში გადაიხვეწნენ.[1037]

აჭარაში მკვლელის ახლო ნათესავები საერთოდ ერიდებოდნენ საზოგადოებაში გამოჩენას, რაც დაზარალებული ოჯახის (გვარის) წევრების მიმართ ანგარიშის გაწევით, დაფასებით იყო გამოწვეული.[1038] ხევშიც შერიგების შემდეგაც კი მკვლელის მხარე მოწიწებით, ხათრით ექცეოდა დაზარალებული მხარის წარმომადგენლებს, ერიდებოდა მათ. მაგალითად, დაზარალებული მხარის წარმომადგენელთან შეხვედრისას მკვლელი ცხენიდან უნდა ჩამოქვეითებულიყო და ისე ჩაეარა მისთვის.[1039] მოხევე ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მკვლელის ბიძაშვილი მოკლულის ნათესავს შეხვდა, თავი დახარა და უთხრა: რაც გინდა მიყავიო. პასუხად კი მიიღო: „რა უნდა გიყო, წადიო“.[1040]

მკვლელის გახიზვნა, ძირითადად, აღარ იწვევდა სისხლის აღებას, რამდენადაც ეს მორიდების, მორჩილების, მონანიების გამოხატულება იყო. გახიზნული მკვლელი თავს იკავებდა ხოლმე სოფელში დაბრუნებისაგან, რადგანაც ესმოდა, რომ ამ შემთხვევაში მოკლულის ნათესავებს გააღიზიანებდა და შესაძლოა ამას

კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10, 25-26, 49.

1032 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3.

1033 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 21; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22.

1034 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22.

1035 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 18, 29, 83; №3, 9.

1036 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 37-38.

1037 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 7-8.

1038 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 30.

1039 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 30; №2, 24.

1040 იქვე, №1, 70-71.

მტრობის განახლება გამოეწვია. ერთ კონკრეტულ მკვლელობას მკვლელის გადასახლება მოჰყვა სხვა სოფელში. მოკლულს ორი შვილი დარჩა, რომელთაც სისხლი არ აუღიათ. გარკვეული დროის შემდეგ მკვლელმა მილიციაში დაიწყო მუშაობა. მას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება მოუწია საკუთარ სოფელთან დაკავშირებით. იგი ისე მისულა საჭირო ადგილას, რომ სოფელში არ შესულა: „მოკლულის შვილი გაიგებს, რომ მე სოფელში გავიარე. ეწყინება და მტრობა განახლდებაო."[1041]

გახიზვნის ფაქტი აჭარაში შერიგების საფუძველიც გამხდარა. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში (XX საუკუნის 20-იან წლებში) მკვლელი შვიდი წლის განმავლობაში ყოფილა გახიზნული. შემდეგ ე. წ. „წინაიკაცები" გაუგზავნია დაზარალებულებისათვის შერიგების თხოვნით. მოკლულის მამა ადვილად დათანხმებია შერიგებას და შეუთვლია მკვლელისათვის: „რაკი შენ შვიდი წელიწადი ქალაქში არ ჩამოხვედი და არ დამენახე, გპატიობო."[1042] როგორც ვხედავთ, მკვლელის გახიზვნა არა მარტო უსაფრთხოების მიზნით ხდებოდა, არამედ შესაძლოა დანაშაულის მონანიების, ჭირისუფლის მიმართ თავის დახრის აქტადაც აღთქმულიყო. ამ შემთხვევაში მკვლელის საკმაო ხნის განმავლობაში გახიზვნის ფაქტმა დაზარალებულში შურისძიების წყურვილი გაანელა და შესარიგებლად განაწყო.

აჭარაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მკვლელი არ გახიზნულა სხვაგან. ამას ინფორმატორები იმით ხსნიან, რომ მოკლულს ნათესავი არავინ დარჩენია და ამდენად, სისხლის ამღები არავინ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის აღებისკენ მიმართულ მოქმედებებს აუცილებლად ექნებოდა ადგილი.[1043] შესაძლოა გადახვეწა იმიტომაც არ მომხდარიყო, რომ მოკლულის ნათესავები, ძმები არ იყვნენ ვაჟკაცები და სისხლის აღების უნარი არ ჰქონდათ. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს მისი ბიძის მიერ ჩადენილი მკვლელობის ფაქტს და აღნიშნავს, რომ ბიძამისს არ მიუტოვებია სახლ-კარი სწორედ იმიტომ, რომ მოკლულის ძმების არ ეშინოდა, რადგანაც ისინი იმის კაცები არ იყვნენ, რომ შური ეძიათ. ისინი ვაჟკაცები რომ ყოფილიყვნენ, მკვლელს ყაჩაღად გასვლა მოუწევდა.[1044] ეს მონაცემი მიუთითებს, რომ სისხლის აღების აქტის განხორციელება ბევრნილად მოკლულის ნათესავების შესაძლებლობაზე, უნარზე იყო დამოკიდებული. ამდენად, მკვლელობისას სისხლის აღებას აჭარაში ყოველთვის არ ჰქონია ადგილი. როდესაც მოკლულის ოჯახი, ძმები, უახლოესი ნათესავები ძლიერები იყვნენ და სისხლის აღების უნარი გააჩნდათ, ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ სისხლი აეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამისგან თავიც შეეკავებინათ.

რაჭაშიც 1951 წელს დაფიქსირებული მასალების მიხედვით, ჩვეულებრივ მოვლენად ჩანს სისხლის აღების ინსტიტუტის შემონახულობა და მკვლელის, მისი ოჯახის გადახვეწა, შურისძიებისგან თავის დასაღწევად.[1045] მაგალითად, ერთ შემთხვევაში პავლე გოგრიჭიანმა ჩხუბისას მოკლა ალექსი ბოხაშვილი.

1041 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 17.

1042 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22.

1043 იქვე, 47.

1044 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15-16.

1045 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 18; მ. კ. 6/9, 6.

ბოხაშვილები გაერიდნენ გოგრიჭიანებს და სხვა სოფელში გადასახლდნენ. სამი წელი იქ ცხოვრობდნენ, შემდეგ კი დიდი ძალისხმევით შერიგების პროცესის დაწყება გახდა შესაძლებელი.[1046] სხვა შემთხვევაში კი მკვლელის დაპატიმრების მიუხედავად, მისი ოჯახი და ძმები მაინც გაერიდნენ დაზარალებულ მხარეს და სხვა სოფელში (ღებიდან გლოლაში) გადასახლდნენ, რადგანაც მოკლულის ძმებისგან შურისძიებას ელოდნენ.[1047]

რაჭაშიც გვხვდება შემთხვევები მკვლელის სახლის გადაწვის,[1048] მტრობის რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელების.[1049] მკვლელის სახლის გადაწვა, როგორც სისხლის აღების ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი მოვლენა აჭარაშიც გვხვდება.[1050]

როგორც აღინიშნა, ამ კუთხეებში სისხლის ფასი წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. აქ მკვლელობისათვის გადასახადის დაკისრება ხდებოდა არა მედიატორების, სამოსამართლეო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, არამედ მხარეების მომრიგებელი შუაკაცების მიერ. სწორედ დამნაშავე მხარის მიერ გაგზავნილი შუაკაცები ახდენდნენ დაზარალებული მხარის დათანხმებას შერიგებაზე. ამის უზრუნველსაყოფად კი ამ კუთხეებში საკვლევ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენად ჩანს განზრახი მკვლელობისას (ზოგჯერ შემთხვევითი მკვლელობის დროსაც) დაზარალებული მხარისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდა.

შუაკაცებად გვევლინებოდნენ სოფლის, თემის ავტორიტეტული, ჭკვიანი ხალხი, რომელთაც ყველა ანგარიშს უწევდა. რაჭაში ხშირად შუაკაცები დაზარალებულთა მოკეთეებს დაიხმარდნენ ხოლმე, რათა დაზარალებულებთან საუბარი გამარტივებულიყო.[1051] აჭარაში შუაკაცის ფუნქციებს ასრულებდნენ სოფლის თავკაცები – „წინაიკაცები" – პატიოსანი, წესიერი, გონიერი, ავტორიტეტული, მოუსყიდველი ხალხი. მათ გარეშე ძალზედ იშვიათად ხდებოდა მოსისხლეთა „დარიგება" (შერიგება).

შუაკაცებს ხშირად საკმაოდ დიდხანს უხდებოდათ დაზარალებული მხარის დათანხმება შერიგებაზე.[1052] შუაკაცების ხვეწნა-მუდარა შესაძლოა რამოდენიმე წელსაც კი გაგრძელებულიყო. მაგალითად, ერთ-ერთი მკვლელობისას რაჭაში შუაკაცებს ერთი წელი დაჭირდათ დაზარალებული მხარის შერიგებაზე დასათანხმებლად.[1053] იყო შემთხვევები, როდესაც შერიგებაზე დათანხმება იოლად ხდებოდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ დაზარალებული ოჯახი და მისი ნათესავები, როგორც ადგილობრივი ინფორმატორი იძახის: ძალიან „ლოჩო", ე. ი. ჭკვიანი, კეთილშობილი, უვნებელი ხალხი იყო,[1054] ან მოკლულს თანამდგომი, გულშემატკივარი ნაკლებად ყავდა, ან არ ყავდა.[1055]

1046 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 5-6.

1047 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 29.

1048 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 5.

1049 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 16.

1050 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 5.

1051 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 24.

1052 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 2.

1053 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 18.

1054 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, 6/9, 33.

1055 იქვე, 25.

აჭარაში განზრახი მკვლელობისას, თუ სისხლის აღება არ მოხდებოდა და „სისხლი არ იყო გასწორებული" შერიგება ძალზედ გართულებული იყო, ამ დროს შერიგებაზე დათანხმება დიდ სირცხვილად ითვლებოდა, თუმცა შუაკაცები არც თუ იშვიათად მაინც ახერხებდნენ დაზარალებული მხარის დაყოლიებას შერიგებაზე და ეს შესაძლოა გარკვეული წლების შემდეგ მომხდარიყო. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „წინაიკაცების" ავტორიტეტს და დაზარალებული მხარის უნარს და ხასიათს.[1056] განზრახი მკვლელობისას დაუყოვნებლივ შერიგებაზე ლაპარაკი მიუღებლად ითვლებოდა. ეს დაზარალებულის შეურაცხყოფად აღიქმებოდა. მკვლელობიდან გარკვეული დრო უნდა გასულიყო დაზარალებულ მხარესთან შერიგებაზე მოლაპარაკების დასაწყებად.[1057] ყეზად მკვლელობისას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შერიგება გაიოლებული იყო.

ხევშიც მკვლელობისას მხარეთა შერიგების თავისებური წესები არსებობდა. უძველესი დროიდან მოსისხლეთა შესარიგებლად იღწვოდნენ თემის ბჭეები ხევის გაგას ხელმძღვანელობით, სოფლის კაცები. ვალ. ითონიშვილის თანახმად, ხევის გაგა სათათბიროდ მხოლოდ მაშინ დაჯდებოდა, როდესაც ორივე დაპირისპირებულ მხარეს თანაბარი რაოდენობის მსხვერპლი ექნებოდა გაღებული.[1058] მ. კეკელიას, რ. ხარაძის მონაცემებით, რომელიც XX საუკუნის მოვლენებს ეხება, ხევში მოსისხლეთა შერიგების წესები საკმაოდ სრულყოფილი სახით იყო შემორჩენილი. შერიგება ორ ეტაპად ხდებოდა. ჯერ გვარის შერიგებას ჰქონდა ადგილი, როდესაც მოკლულის ოჯახს და გვარს მკვლელის გვარი ურიგდებოდა, გარდა მკვლელისა და მისი ოჯახისა. ამ დროს მკვლელობისათვის დადგენილი საზღაურის გადახდას ადგილი არ ჰქონია. მკვლელის გვარი შერიგების ნიშნად დაზარალებულთან მიდიოდა საკლავით, პურმარილით, სასმელით. ამ დროს მკვლელის გვარი მოკლულის გვარსაც ურიგდებოდა და მის ოჯახსაც. შერიგებაში მხოლოდ მკვლელი და მისი ოჯახი არ მონაწილეობდა.[1059] ზოგიერთი მონაცემით, ფულის გადახდა შეიძლება მომხდარიყო გვარის შერიგების დროსაც, თუმცა თანხის ოდენობაზე მონაცემებში საუბარია არაა. მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ თანხას მკვლელის გვარი აგროვებდა მკვლელის ოჯახის წევრების და მისი ძმების მონაწილეობის გარეშე. აღნიშნული თანხა კი გადაეცემოდა არა მოკლულის გვარს, არამედ მის ოჯახს.[1060]

მ. კეკელიას მონაცემებით, გვარის შერიგებაში მკვლელის ძმებიც არ მონაწილეობდნენ. ისინიც მკვლელის მსგავსად იხიზნებოდნენ და მათი შერიგება მკვლელთან ერთად ხდებოდა. ინფორმატორებს შესაბამისი კონკრეტული შემთხვევებიც მოყავთ.[1061] ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი თანდათანობით

1056 ამ საკითხებზე იხ. გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 74-75; იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 47.

1057 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 2-3, 9; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 2, 88.

1058 ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი" ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957, 166-167.

1059 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №3, 31.

1060 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №2, 80-81; №3, 9-10.

1061 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 37, 41.

შემოდის წესი გვარის და მკვლელის ერთად შერიგებისა.[1062] შესაძლებელი იყო დაზარალებული მხარე გვართან შერიგებულიყო, მკვლელთან და მისი ოჯახის წევრებთან კი არა.[1063]

უშუალოდ მკვლელთან შერიგებაზე დაზარალებული მხარის დათანხმება კი ხშირად ძალზედ რთულდებოდა. თუ გვართან შერიგება შეიძლება მოკლულის დასაფლავებამდეც მომხდარიყო, მკვლელის შერიგება დაზარალებულ მხარესთან ბევრ შემთხვევაში ვერც ხერხდებოდა. XX საუკუნის მასალებით მკვლელი მოკლულის ოჯახს შერიგებაზე დასათანხმებლად უგზავნიდა ე. წ. თემის კაცებს – ხევში სამართლიანობით, პატიოსნებით გამორჩეულ ავტორიტეტულ პირებს, რომლებსაც თვითონ შეარჩევდა. შესაძლოა საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულიყო თემის კაცების თხოვნა დაზარალებული მხარის შერიგებაზე დასათანხმებლად. მაგალითად, რ. ხარაძის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელის მიერ გაგზავნილ შუაკაცებს სამი კვირის განმავლობაში ყოველდღიურ რეჟიმში მოუხდათ მოკლულის ოჯახში სიარული და თხოვნა, რომ შერიგებაზე დათანხმებულიყვნენ.[1064] როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ძალისხმევა შესაძლოა უშედეგოდაც დასრულებულიყო. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გვარის შერიგების შემდეგ დაიწყო ზრუნვა მკვლელის შერიგებაზეც, რომელიც დაპატიმრებული იყო, თუმცა არაფერი გამოვიდა.[1065] საბჭოთა პერიოდში მკვლელს ძირითადად ხელისუფლება აპატიმრებდა და შესაბამის სასჯელს (რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთას) მიუსჯიდა ხოლმე. მკვლელი როდესაც ციხეში იყო მისი შერიგება დაზარალებულ მხარესთან, როგორც წესი, არ ხდებოდა. ამდენად, ხშირად, დაზარალებულ მხარესთან მკვლელის ხალხური სამართლით შერიგების საკითხი დგებოდა მკვლელის პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ. ეს შესაძლოა მკვლელობიდან 10 წლის შემდეგაც მომხდარიყო.[1066] ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც შერიგება მკვლელობიდან 9 წლის შემდეგ[1067] და სულაც 40 წლის შემდეგ მომხდარა.[1068]

მკვლელის შერიგების პირობა იყო მოკლულის სასაფლაოზე მისვლა. მკვლელის შერიგების შემთხვევაშიც აუცილებელი იყო საკლავის მიყვანა, პურმარილისა და სასმლის მიტანა. საკლავში მოიაზრებოდა, როგორც მსხვილფეხა პირუტყვი (ხარი, მოზვერი), ისე ცხვრები (ყოჩები). ხშირად ცხვრებს უკან აბრუნებდნენ ხოლმე.[1069] ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლელმა (ინფორმატორის მამამ) მოკლულის ოჯახს შესარიგებლად გაუგზავნა პური, ყველი, სასმელი, 8 თუ 9 ყოჩი და ხარი. ხარი იყო წითელი, რადგან წესი ყოფილა ასეთი – წითელი ხარი უნდა მიეყვანათ. დასაკლავი ყველაფერი დაკლეს, გარდა რამდენიმე ყო-

1062 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №2, 34.

1063 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 34-35, 82.

1064 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში (1948 და 1950 წწ. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 169.

1065 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 56-57.

1066 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 44-45; №2, 28.

1067 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №3, 10-11..

1068 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №2, 59.

1069 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 20, 46-47, 62; №2, 63, 65.

ჩისა, რომელიც უკან გამოაბრუნეს.[1070] საინტერესოა, რომ კიდევ ერთი მოხევე ინფორმატორი აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პურის, ყველის, სასმელის (5 სათლი), ორი ცხვრის გარდა სწორედ წითელი ხარი გადასცა მკვლელმა მოკლულს.[1071] როგორც ჩანს, უცილობლად წითელი ხარის მიყვანა ამ დროს ხევში მიღებული წესი იყო.

ახლა განვსაზღვროთ, თუ რა სახის და ოდენობის ქონებრივ საზღაურს აკისრებდნენ შუაკაცები ამ კუთხეებში მკვლელობის ჩამდენს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით.

რაჭაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, შესაძლოა მსჯელობა საზღაურის ოდენობაზე მთელის ღამის განმავლობაში გაგრძელებულიყო. მათ იმდენი გადასახადი უნდა დაეკისრებინათ დამნაშავისათვის, რომ დაზარალებული დაკმაყოფილებულიყო. თუ დაზარალებული არ დათანხმდებოდა საზღაურის ოდენობას, მაშინ შუაკაცები იმდენს შეეხვეწებოდნენ, სანამ მას არ დაითანხმებდნენ.[1072] თუ რომელიმე მხარე შუაკაცების გადაწყვეტილებას არ დაეთანხმებოდა, მაშინ შერიგება ჩაიშლებოდა და უკვე სხვა შუაკაცები შეეცდებოდნენ მხარეების შერიგებას.[1073]

მთის რაჭაში მ. კედელაძის მიერ დაფიქსირებული განზრახ მკვლელობის თითქმის ყველა შემთხვევაში გვხვდება მკვლელისათვის შუაკაცების მიერ ქონებრივი საზღაურის დაკისრება. ერთ-ერთი ინფორმატორი განმარტავს, რომ მკვლელობას რაჭაში შესაძლოა მოჰყოლოდა: 1. დაზარალებულის მიერ სისხლის აღება, 2. დაზარალებულისათვის ყანის (მამულის) გადაცემა, 3. ფულის, ან სხვა რამის მიცემა.[1074] ამ ინფორმატორისვე მიხედვით, რაჭაში მკვლელობისათვის გადასახადი იხსენიება როგორც „კაცისთავი". იგი იხსენებს მკვლელობის შემთხვევას, როდესაც მკვლელის მხარემ დაზარალებულებს შერიგება შესთავაზა შუაკაცების მეშვეობით. დაზარალებულებმა კი არ შეიწყნარეს ეს თხოვნა, ხოლო შერიგების პირობად „კაცისთავი" მოითხოვეს.[1075]

ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდის. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მკვლელს დაზარალებულ მხარეს შესარიგებლად სამი ნაჭერი მამული, 60 წერისა მიუცია.[1076] მეორე შემთხვევაში კი მკვლელის მხარეს მოუწია ორი ჰექტარი მიწის გადაცემა დაზარალებულისათვის. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მკვლელის ვინაობა მისი გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რის გამოც მკვლელის და მოკლულის შთამომავლობა (ორი მამიშვილობა) მტრად მოეკიდა ერთმანეთს. დაზარალებულებმა ადამიანის სისხლში სწორედ მიწა მოითხოვეს და მკვლელის შთამომავალ ოთხ ოჯახს მოუხდა აღნიშნული ოდენობის მიწის გადახდა.[1077] კიდევ ერთ შემთხვე-

1070 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 12-13.

1071 იქვე, 21.

1072 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 26.

1073 იქვე, 8, 27.

1074 იქვე, 2.

1075 იქვე.

1076 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 2.

1077 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 8-10.

ვაში მკვლელს 30 წერის ყანის გადახდა დააკისრეს.[1078]

გვხვდება კონკრეტული მაგალითები სისხლის ფასში ფულის დაკისრებისა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ექვსმა შუაკაცმა მკვლელს დაზარალებული მხარის სასარგებლოდ დააკისრა 100 თუმანი, ორი საკლავი (ცხვრები) და ერთი საპალნე ღვინო. საკლავები და ღვინო „სისხლის პურისჭამისთვის" იყო განკუთვნილი. მკვლელ მხარეს უთხოვია შუაკაცების პირით, რომ ფულს სამ-ოთხ თვეში გადაიხდიდა, თუმცა უარი მიიღო და მოუწია ფულის შოვნა სისხლის საზღაურის გადასახდელად.[1079] კიდევ ერთ შემთხვევაში შუაკაცებმა მკვლელს 600 მანეთის ღირებულების სხვადასხვა ნივთების გადახდა დააკისრეს.[1080] ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ 200 მანეთი ოქროთი გადაახდევინეს, გარდა „სისხლის პურისჭამის" ხარჯისა.[1081] რაჭველი ინფორმატორის განმარტებით, კაცის სისხლში 20 თუმანი ოქროთი მაინც უნდა დაეკისრათ მკვლელისათვის, თუ მეტი არა.[1082]

ხევში მკვლელობისათვის გათვალისწინებულ საზღაურს მტრების შემრიგებელი თემის კაცები ადგენდნენ.[1083] როგორც ინფორმატორები აღნიშნავენ ისინი ამ საქმეს უხსოვარი დროიდან აკეთებდნენ.[1084] არაერთი მოხევე ინფორმატორი ადასტურებს, რომ ხევში სისხლის ფასი წინასწარ დადგენილი არ ყოფილა და თემის კაცები მკვლელობის საზღაურს კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ადგენდნენ.[1085] როდესაც გადაწყვეტდნენ რომ მკვლელისათვის გარკვეული საზღაური უნდა დაეკისრებინათ, ისინი განმარტოვდებოდნენ და ამ საკითხზე იმსჯელებდნენ.[1086] ისინი შესაძლოა სადმე ველზეც შეკრებილიყვნენ მკვლელისათვის დასაკისრებელი საზღაურის ოდენობის განსასაზღვრად.[1087]

მასალების მიხედვით სისხლის საზღაურის სახით ძირითადად ხდებოდა ფულის, პირუტყვის, ასევე მამულის დაკისრება. მამულის გადაცემა მაშინ ხდებოდა, როდესაც მკვლელი და მოკლული თანასოფლელები იყვნენ.[1088] აღნიშნულს უფრო ძველად ჰქონდა ადგილი.[1089] ინფორმატორის განმარტებით, მკვლელობისათვის დადგენილ საზღაურს ხევში „შერიგების ფასს" უწოდებდნენ.[1090] ზოგიერთი მონაცემით, მკვლელობისათვის დაკისრებული საზღაურის გადახდას „კაცის თავის გადახდად" მოიხსენიებდა.[1091] დასტურდება საზღაურად ფულის

1078 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 7.

1079 მ..კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/4, 6-7.

1080 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 16-17.

1081 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 33.

1082 იქვე, 25.

1083 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 17,

1084 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 33.

1085 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 31, 46, 72; №2, 28-29, 39, 58, 83-84; №3, 25, 26.

1086 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 25, 28.

1087 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში (1948 და 1950 წწ. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 169.

1088 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 2, 6.

1089 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 90.

1090 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 80.

1091 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 18.

გადაცემა.[1092] თემის კაცები გამოაცხადებდნენ, რომ მკვლელის ოჯახი ამდენი და ამდენი თანხით ეხმარება დაზარალებულ ოჯახს.[1093] თუ მკვლელის ოჯახი არ იყო შეძლებული და უჭირდა სისხლის საზღაურის და სხვა ხარჯის გაღება, მას გვარის წევრები ეხმარებოდნენ.[1094]

ზოგიერთ მოხევე ინფორმატორს გადმოცემით გაუგია, რომ ძველად ხევში არსებობდა წინასწარ დადგენილი სისხლის ფასი. კაცის თავი შეფასებული ყოფილა ფულით და საქონლითაც, თუმცა ეს დიდი ხნის წინ ყოფილა და შემდეგ მოშლილა.[1095] ერთ მათგანს გადმოცემით გაუგია, რომ ძველად შერიგებისას 100 ძროხას იხდიდნენ, მეორე აღნიშნავს, რომ „კაცის თავი" 200 ცხვრად იყო შეფასებული.[1096] ეს, ცხადია, რიცხობრივი თვალსაზრისით ზუსტი მონაცემები არ უნდა იყოს, თუმცა თავისთავად საინტერესოა, რომ XX საუკუნის დასასრულის მოხევე ინფორმატორებს გადმოცემით გაუგიათ, რომ მათ კუთხეში ძველად წინასწარ დადგენილი სისხლის ფასი არსებობდა.

გაზეთ „ივერიაში" 1888 წელს დაფიქსირებული მონაცემის მიხედვით, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ დროს ხევში წინასწარ დადგენილი სისხლის ფასი აღარ არსებობდა. აღნიშნული მონაცემის მიხედვით მკვლელს ამ პერიოდისთვის ახდევინებდნენ დაახლოებით 100-დან 200 მანეთამდე. ამ პერიოდშიც შესარიგებლად მკვლელს უნდა გაეგზავნა მოკლულის ოჯახისათვის ხარი და სასმელი.[1097] იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე XX საუკუნის პირველ მეოთხედში დაფიქსირებულ მონაცემშიც. კონკრეტული მკვლელობის საქმეზე თემის კაცებმა დაადგინეს, თუ რა თანხა უნდა გადაეხადა მკვლელს და ასევე მას დაეკისრა ოთხი წლის ხარი, სამი კარგი საკლავი და თორმეტი ვედრო არაყი.[1098]

ხევში შემთხვევითი მკვლელობის დროსაც ფიქსირდება ქონებრივი საზღაურის გადახდა. ერთ-ერთი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ უნებური მკვლელობაც კაცის მოკვლაა და მკვლელმა პასუხი უნდა აგოს.[1099] მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი შემთხვევითი მკვლელობის გამო დამნაშავემ დაზარალებულ მხარეს სისხლის საზღაურად გადასცა ორი ნაჭერი მიწის ნაკვეთი, თითო ასი მეათედი. მკვლელი და მოკლულის თანასოფლელები იყვნენ.[1100] მეორე ასეთივე შემთხვევაში მკვლელის მხარემ მოკლულის ოჯახში პური, სასმელი და ხარი მიიყვანა და თემის კაცების მიერ განსაზღვრული 2 000 ათასი მანეთი გადასცა მოკლულის ოჯახის უფროსს, თუმცა ამ უკანასკნელმა ეს თანხა არ აიღო და განაცხადა, რომ თემის ხალხს პატიობდა ამ ფულს.[1101]

მ. კეკელიას მიერ ხევში ჩაწერილ მასალაში არის რამოდენიმე ცნობა, რომელიც ეხება მკვლელობისას მოხევეებსა და არამოხევეებს შორის შერიგების პრინციპებს. მაგალითად, სოფელ კარკუჩაში მცხოვრები ინფორმატორი აღ-

1092 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 23.

1093 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 65.

1094 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 97.

1095 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 21.

1096 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 87, №3, 19.

1097 გაზეთი „ივერია", 1888, 28 ივნისი, №134.

1098 ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 36-37.

1099 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 75.

1100 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 2-3.

1101 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 35-36.

ნიშნავს, რომ მათ სოფელთან ახლოს ცხოვრობენ ხევსურები (სოფელი ჯუთა). მათ წინასწარ აქვთ განსაზღვრული ჭრილობისა და კაცის მოკვლის ფასი. თუ ჩვენ მოვკალით მათი კაცი, მაშინ მათი წესების გათვალისწინებით შევრიგდებით. მათი შერიგების წესები ჩვენც ვიცით. ჩვენი კაცი თუ მოკლეს ისინი შეგვიძლია შევირიგოთ ჩვენი წესებით.[1102] ასევე, ხევში აქტუალური იყო მკვლელობისას ოსებთან შერიგება. ერთ შემთხვევაში სოფელ კობის (ყაზბეგის რაიონის ოსებით დასახლებული სოფელი) მცხოვრებს შემთხვევით მოუკლავს მოხევე. შერიგების ნიშნად მკვლელს შუაკაცები (თემის კაცები) გაუგზავნია მოკლულის ოჯახში და გაუტანებია წითელი ხარი (რაც ხევში ასეთ დროს იყო მიღებული), არაყი, ღვინო, ერთი ტომარა პურის ფქვილი (ასე ოსური წესით ყოფილა) და თან გადაუცია 1500 მანეთი ფული.[1103] ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, შერიგება მოხდა როგორც ოსური, ისე მოხევური წესების გათვალისწინებით.

აჭარაში ასევე ცალსახად დასტურდება ქონებრივი საზღაურის დაკისრება მკვლელობისათვის დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად. სისხლის ფასის გადახდის აუცილებელი პირობა იყო დაზარალებულის უარი სისხლის აღებაზე, ან შურისძიების მიზნის მიუღწევლობა და მისი თანხმობა შერიგებაზე. ხევსა და რაჭაშიც სისხლის ფასის დაკისრების იგივე წინაპირობები არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე აჭარაში ჩაწერილ მასალებში გვხვდება არაერთი მონაცემი, რომლის მიხედვითაც, მკვლელობისათვის რაიმე გადასახადის შესახებ მათ არაფერი გაუგიათ, არ ახსოვთ ამის შესახებ, რომ მკვლელობისათვის გადასახადი არ არსებობდა. მოკლულის მხარე მკვლელისგან არაფერს ითხოვდა, რადგანაც სირცხვილად ითვლებოდა, „სისხლი გაყიდაო" მასზე იტყოდნენ. ინფორმატორის თქმით, ვინც სისხლში ფულს აიღებდა ფულის კაცი, ლაჩარი, სისხლის გამყიდველი იყო.[1104] ქობულეთელი ინფორმატორი ამბობს, რომ ქობულეთში მოსისხლეთა შერიგებისას ფულზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, რადგანაც ფულის აღება სირცხვილი იყო, თუმცა აჭარაში კი ხდებოდა სისხლში ფულის აღება.[1105]

მართლაც არსებობს აჭარაში დაფიქსირებული არცთუ ცოტა მონაცემი, რომლის თანახმადაც მკვლელობის დროს მტრების შერიგებისას ხდებოდა დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდა. ინფორმატორები ერთხმად ადასტურებენ, რომ აჭარაში მკვლელობისათვის წინასწარ დადგენილი გადასახადი არ არსებობდა და მას წინაიკაცები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავდნენ.[1106] იბ. აბაშიძის მიხედვით, მკვლელის ოჯახი ვალდებულია სისხლის საზღაური გაიღოს დაზარალებული ოჯახის სასარგებლოდ, რომლის სახესა (ფული, საქონელი, მიწა) და ოდენობას ადგენენ შემრიგებლები (დამრიგებლები).[1107] აქ კარგად ჩანს, რომ აჭარაში სისხლის ფასი

1102 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 26.

1103 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 24-26.

1104 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 2, 7; 1989, 43; 1989-1990, 1, 12; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2, 23, 32-33.

1105 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29.

1106 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6, 56–57.

1107 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა–ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 50.

შესაძლოა გადახდილიყო ფულით, საქონლით და მიწით. ოდენობა კი კონკრეტული მკვლელობის გარემოებების გათვალისწინებით დგინდებოდა.

მკვლელობისათვის გადასახადს აჭარაში „სისხლის ფარას" უწოდებდნენ.[1108] იბ. აბაშიძის მასალაში ვხვდებით ცნობას, რომ სისხლის საზღაურის აღსანიშნავად აჭარაში გამოიყენებოდა არაბული ტერმინი „დიეთი".[1109] აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოს აჭარაში ჩაწერილ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ეს ტერმინი არ გვხვდება. სისხლის საზღაურის შესატყვისი ტერმინი – სისხლის ფარა, ადასტურებს მკვლელობისათვის გათვალიწინებული სისხლის ფასის არსებობას აჭარაში.

აღსანიშნავია, რომ მონაცემები „სისხლის ფარის" გადახდის შესახებ XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მონაცემებშიც ფიქსირდება.[1110] ინფორმატორები კონკრეტულ შემთხვევებსაც იხსენებდნენ მკვლელობისას ქონებრივი საზღაურის გადაცემისა. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას ვინმე გობრონიძის მიერ ინაშვილის მკვლელობისა. ამ მკვლელობისათვის ინაშვილის ოჯახმა მიიღო მდინარე კინტრიშის ნაპირზე მდებარე ერთი დესეტინა მიწა[1111] მკვლელობისათვის მიწის გადაცემის ფაქტებს სხვა ინფორმატორებიც იხსენებენ.[1112] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რაკი მკვლელობისას ფულის აღება სამარცხვინოდ იყო მიჩნეული, ამიტომ, სისხლის ფასში უფრო მიწის გადაცემა იყო მიღებული. იქვე ეს ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ფულის აღება მაინც ხდებოდა, თუმცა შედარებით იშვიათად და ფარულად.[1113] მიუხედავად მკვლელობისას ფულის აღებისადმი ასეთი დამოკიდებულებისა ინფორმატორები შესაბამის შემთხვევებს იხსენებენ: ერთ-ერთი მკვლელობის შემდეგ წინაიკაცებმა შეარიგეს მხარეები და მკვლელის მხარეს დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდა დაავალეს. მკვლელის მხარემ სახლ-კარი გაყიდა და ეს თანხა დაზარალებულ მხარეს გადაუხადა.[1114] კიდევ ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ბიძამისმა ჩადენილი მკვლელობისათვის მტერთან შერიგების შემდეგ ფულადი თანხა გადაიხადა, კერძოდ, 400 მანეთი ოქროთი მოკლულის ობლებს მისცა, 400 მანეთი მოკლულის ძმებს, 100 მანეთი მისცა იმათ, ვინც „დარიგებაში" მიიღო მონაწილეობა, 100 მანეთი ფული კიდევ პურ-მარილში დაიხარჯა.[1115] სხვა კონკრეტული ფაქტიც ფიქსირდება ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მკვლელობისას ფულის გადაცემისა.[1116]

აჭარაში სისხლის ფასის გადახდა სავალდებულოდ ჩანს ყეზად მკვლელობის

1108 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 7, 36; გ. ირემაძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6.

1109 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 61.

1110 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 52; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 77; 1989-1990, 32-33; 1991, 15.; გ. დავითაშვილი, მასალები ღაზურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 16.

1111 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9-10.

1112 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 36-37; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6.

1113 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9-10.

1114 იქვე, 3-4..

1115 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14-15.

1116 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 7-8.

დროსაც. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მოგვეპოვება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც გაუფრთხილებელი მკვლელობისას (მეგობარმა მოკლა ინფორმატორის მამა) მოხდა მკვლელისათვის წინაიკაცების მიერ ერთი უღელი ხარის, ხალიჩის და ორი ქვეშაგებელის დაკისრება.[1117] ყეზად მკვლელობის მეორე შემთხვევაშიც (სურმანიძემ მოკლა მახარაძე) წინაიკაცებმა მკვლელს მოკლულის ობლების სასარგებლოდ დააკისრეს უღელი ხარის, ხალიჩის და წყვილი ლოგინის გადახდა.[1118] ორ სხვადასხვა შემთხვევაში ყეზად მკვლელობისათვის დაახლოებით ერთგვაროვანი საზღაურის დაკისრება მკვლელისათვის მიანიშნებს იმას, რომ შესაძლოა „ყეზად" მკვლელობისას აჭარაში მიღებული იყო მკვლელისათვის წინაიკაცების მიერ მეტ-ნაკლებად ცნობილი სახეობისა და ოდენობის საზღაურის დაკისრება. ამ გარემოებას მიანიშნებს ერთ-ერთი ინფორმატორის მონაცემი, რომლის თანახმადაც, ყეზად მკვლელობის დროს მოკლულის ოჯახმა მოითხოვა გარკვეული თანხის გადახდა, „როგორც ეს ყეზად მკვლელობისას ხდებოდა."[1119] როგორც ზემოთ აღინიშნა, გვხვდება შემთხვევები ყეზად მკვლელობისას სისხლის საზღაურის გარეშე შერიგებისაც.[1120]

როგორც ვხედავთ, აჭარაში სისხლის ფასში მიწისა და ფულის გარდა გარკვეული ნივთებისა (ხალიჩების, ქვეშაგებლების) და პირუტყვის გადახდაც შეიძლება მომხდარიყო.

იბ. აბაშიძის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, აჭარაში სისხლის ფასის გადახდა წესად იყო და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრებოდა. ამას ის გარემოება მიუთითებს, რომ იბ. აბაშიძე საუბრობს მკვლელის ოჯახის ვალდებულებაზე დაზარალებულ მხარეს გადაუხადოს სისხლის საზღაური. XX საუკუნის 80-90-იან წლებში ჩაწერილი მასალების თანახმად კი ერთმანეთისგან განსხვავებული მონაცემებია. ზოგიერთი მონაცემით სისხლის ფასის გადახდა არ ხდებოდა, ზოგიერთი მონაცემით კი პირიქით, ხდებოდა და ეს გარემოება კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება. ის რომ, აჭარაში სისხლის ფასის გადახდა XX საუკუნეშიც შემორჩა, დაფიქსირებულ კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებით ეჭვს არ იწვევს. სანინააღმდეგო მონაცემები ჩვენი ვარაუდით იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ შედარებით გვიანდელ ეტაპზე მკვლელობის შემთხვევაში შერიგებისას სისხლის ფასის გადახდა აჭარის გარკვეულ რაიონებში, საზოგადოებებში უკვე წესად აღარ ითვლებოდა და ამას ადგილი აღარ ჰქონდა, „ამაზე ლაპარაკიც არ იყო". ზოგან კი, მაგალითად, უფრო მთიან რაიონებში, ზემო აჭარაში სისხლის ფასის გადახდა უფრო დიდხანს შემორჩა და შესაბამისად XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორებსაც ახსოვთ მის შესახებ. აჭარის ამ რეგიონებში სისხლის საზღაურის არსებობა ჩვეულებითი სამართლით იყო განმტკიცებული და მის გადახდას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. ო. ზოიძის მონაცემის თანახმად, ზოგადად, სისხლის საზღაურის არსებობის სიმყარეს განაპირობებდა სისხლის აღებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებიც. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ერთ-ერთი ინფორმატორის მონათხრობი. მისი განმარტებით, მკვლელს მკვდრის სისხლი ედება და როგორც

1117 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 51.

1118 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 68..

1119 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 51.

1120 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 10.

აჭარაში იტყვიან, იმქვეყნადაც კი ედავება სისხლსო. კაცი კაცს რომ ურიგდება, სისხლის ფარა უნდა მისცეს, რომ იმქვეყნად არ შეედავოს.[1121] ამ მონათხრობიდან გამომდინარეობს, რომ სასისხლო დავას სპობს არა უბრალო შერიგება, არამედ მხოლოდ მკვლელისათვის დაკისრებული სისხლის საზღაურის გადახდა. როგორც ვხედავთ, სისხლის ფასის გადახდის სავალდებულობა იმქვეყნიურ სამყაროზე რელიგიური რწმენა-წარმოდგენებითაც იყო განმტკიცებული.

სისხლის საზღაური ძირითადად მოკლულის ოჯახს რჩებოდა.[1122] თუმცა როგორც ერთ ზემოთმოყვანილ ცნობაში გამოჩნდა, მკვლელმა გარკვეული საზღაური მოკლულის ობლების გარდა, მის ძმებსაც გადასცა. ამ ცნობაში არ ჩანს, მოკლული და მისი ძმები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, თუ გაყოფილები იყვნენ. თუ ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სისხლის საზღაური მთლიანად ოჯახს დარჩა. თუ გაყოფილები იყვნენ, ეს ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის საზღაურის ნაწილი შესაძლებელია მოკლულის ძმებსაც მიეღოთ. აღნიშნული სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რადგანაც მკვლელობისას სისხლის აღების ვალდებულება პირველ რიგში მოკლულის ძმებს ჰქონდათ, მითუმეტეს, თუ მისი შვილები მცირეწლოვნები იყვნენ. რამდენადაც სისხლის საზღაურის გადახდა ხდებოდა იმიტომ რომ შურისძიება ყოფილიყო თავიდან აცილებული, ამიტომ, მოკლულის ძმების დაკმაყოფილება, მათი დამშვიდება ამ მიზნის მისაღწევად ძალზედ მნიშვნელოვანი იყო და ამის ერთ-ერთი საშუალება მათთვის სისხლის საზღაურის გარკვეული ნაწილის გადაცემა იყო. ჩვენი ვარაუდით, სრულიად შესაძლებელია შედარებით ძველ პერიოდში, როდესაც სისხლის აღება აჭარაში სრული ძალით მოქმედებდა, მტრების შერიგებისას მოკლულის ძმებისთვის სისხლის საზღაურის ნაწილის გადაცემა მათ დასაშოშმინებლად, თუნდაც საჭიროების შემთხვევაში მიღებული მოვლენა ყოფილიყო.

მკვლელობისათვის გათვალისწინებული სისხლის ფასის გარდა აჭარაში მკვლელს შესაძლოა დაზარალებულისათვის გარკვეული საჩუქრები მიეცა. იბ. აბაშიძის მიხედვით ჩანს, რომ საჩუქრების გადაცემა მკვლელის ნათესავების მიერ დაზარალებული ოჯახისათვის დადგენილი წესი არ ყოფილა და დამნაშავე მხარის ნათესავების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული თუ რა სახის და ოდენობის საჩუქარს გაიღებდნენ.[1123] საჩუქრების მიცემის შესაძლებლობას ცალკეული ინფორმატორებიც ადასტურებენ.[1124] ასევე ფიქსირდება მკვლელის მხარის მიერ დაზარალებული მხარისადმი მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების გაღებაში თანადგომის გაწევა.[1125] იბ. აბაშიძის მიხედვით, მკვლელის ნათესავების მიერ მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების გაღება აჭარაში გამონაკლის შემთხვევაში ხდებოდა. ეს დაზარალებული ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასა და დაზარალებული ოჯახის უფროსის „ხასიათობრივ თვისებებზე" იყო დამოკიდებული.[1126] ოჯახის მარჩენალის მკვლელობის შემთხვევაში

1121 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, №2, 1.

1122 იქვე, 2.

1123 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 50.

1124 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44.

1125 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

1126 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭა-

კი შესაძლოა სოფელს დაევალდებულებინა მკვლელის ოჯახი ერჩინა მოკლულის ოჯახი.[1127] სამწუხაროდ, სხვა, უფრო დეტალური მონაცემები მკვლელის მხარის მიერ გასაღებ ამ შესაძლო ხარჯებზე არ გაგვაჩნია.

სრულიად შესაძლებელი იყო დაზარალებულ მხარეს აღნიშნულ კუთხეებში უარი ეთქვა შუაკაცების მიერ დადგენილი გადასახადის მიღებაზე. მ. კედელაძის რაჭველი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მოკლულის ბიძამ, რომელიც მოკლულის ცოლ-შვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, განაცხადა, რომ საკუთარი ძმის სისხლს არ გაყიდდა და თუ სისხლს ვერ აიღებდა აპატიებდა მკვლელს. გარკვეული დროის შემდეგ იგი შერიგებაზე იმ პირობით დათანხმდა, რომ კაცის სისხლში საზღაურს არ აიღებდა.[1128] განზრახი მკვლელობისას საზღაურის აღებაზე უარი აჭარაშიც ფიქსირდება.[1129] მასალები გვიჩვენებს, რომ ამას ბევრწილად განაპირობებდა დაზარალებული ოჯახის უფროსის თვისებები და მისი დამოკიდებულება სისხლის ფასისადმი. ხალხში არსებული შეხედულება, რომ სისხლის ფასის აღება სამარცხვინო საქციელია და ეს სისხლის გაყიდვის ტოლფასია, ცხადია, გავლენას ახდენდა დაზარალებული მხარის გადაწყვეტილებაზე აეღო თუ არა სისხლის ფასი. როგორც ჩანს, აჭარაში ზოგ შემთხვევაში ხდებოდა მხარეთა შემრიგებელი წინაიკაცების მსჯელობა სისხლის საზღაურზე, მის ოდენობაზე და მათ მიერ დაკისრებული სისხლის ფასის გადახდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში სისხლის საზღაურის მიღებაზე უარის თქმას ჰქონდა ადგილი, რადგანაც ამის გაკეთება დამამცირებლად ითვლებოდა. ამის მიზეზი ასევე შეიძლება ყოფილიყო დამნაშავის ხელმოკლეობა, მხარეთა შერიგებისას დამოყვრება და სხვა.

ხევში ჩვეულებრივ, გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა მკვლელობისათვის თემის კაცების მიერ დაწესებულ საზღაურზე ან მის ნაწილზე უარის თქმა, რაც ვაჟკაცურ საქციელად ფასდებოდა. დაზარალებული მხარე იტყოდა: „ვაპატიებთ თემს". თემში იგულისხმებოდა არა დამნაშავის, ან დაზარალებულის თემი, არამედ მთელი თემი, ხალხი, რომელშიც ცხოვრება უხდება როგორც დამნაშავეს, ისე დაზარალებულს.[1130] ერთ-ერთი ინფორმატორი აღწერით, დამნაშავე თემის კაცების მიერ დადგენილ საზღაურს, ვთქვათ ფულად თანხას აძლევდა ერთ-ერთ თემის კაცს, რომელიც თავის მხრივ ამ თანხას დაზარალებულის ოჯახის უფროსს გადასცემდა. ეს უკანასკნელი იტყოდა: „ამდენი მიპატიებია თემის ხალხისთვის, ამდენი სოფლისთვის, ამდენი ქალ-დისწულისათვის". ფულის ასეთი პატიება შეიძლება მომხდარიყო ასევე, ვინმე პატიმრის, ან დავრდომილის ხათრით, ან იმის ხათრით, ვინც დამნაშავის მხრიდან ყველაზე ხათრიანად იქცეოდა.[1131] ხან მეტ თანხას იტყოდა, ხან ნაკლებს. რაც დარჩებოდა თავისთვის დაიტოვებდა, დანარჩენს კი დამნაშავე მხარეს უბრუნებდა.[1132] ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულმა მხარემ გამოაცხადა, რომ თემის კაცების მიერ დადგენილი თანხიდან ამდენს და ამდენს პატიობდა მკვლელის ოჯახს, რადგა-

---

რის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 58.

1127 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 24.

1128 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, 1951, მ. კ. 6/4, 18-20.

1129 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 4.

1130 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 32; №2, 95.

1131 იქვე, №1, 60-61.

1132 იქვე, 17-18.

ნაც ძალიან მორიდებულად ეჭირათ თავიო, ამდენს და ამდენს მკვლელის ძმებს, ასევე მორიდებულობისათვის, ამდენს და ამდენს თემის კაცებს, რომელთაც თავი შეინუხეს და იღვაწეს შერიგებისათვის, ასევე გარკვეული თანხა აპატიეს მკვლელის ბიძაშვილებს. ეს თანხა მათ შორის განაწილდა.[1133] კიდევ ერთ შემთხვევაში დაზარალებულმა მხარემ აპატია თემს, თემის არჩეულ კაცებს, სოფელს, გვარს და სხვა.[1134] ასეთი სახის პატიება XIX საუკუნის ბოლოდროინდელ გაზეთ „ივერიას" კორესპონდენციაშიც ჩანს.[1135] აღნიშნული მიუთითებს, რომ ეს წესი საკმაოდ ძველი უნდა იყოს და არა XX საუკუნეში წარმოშობილი.

ასეთი პატიება ხევში ჩამოყალიბებულ ნორმად ჩანს და როგორც წესი დაზარალებული მხარე თემის კაცების მიერ დადგენილ საზღაურს აუცილებლად აპატიებდა ვინმეს. შესაძლოა დაზარალებულ მხარეს საერთოდ არ აელო ფული, რადგანაც საერთოდ ფულის აღება არ ითვლებოდა მიზანშეწონილად, საქებარ საქმედ.[1136] ერთ შემთხვევაში თემის კაცებს მკვლელისათვის 60 ათასი მანეთის (საბჭოთა ფული ე. წ. ძველი კურსით) გადახდა დაუკისრებიათ მკვლელისათვის. მკვლელმაც გადასცა ეს ფული თემის კაცებს, თუმცა მოკლულის შვილს განუცხადებია, რომ იგი მამამისის სისხლს სისხლში არ გარევდა და უარი თქვა ამ ფულის აღებაზე.[1137] 1948 წელს რ. ხარაძის მიერ უშუალო დაკვირვებით ჩაწერილ შემთხვევაშიც, რომელიც მესისხლეთა შერიგებას აღწერს, თემის კაცებმა მკვლელს 50 ათასი მანეთი დააკისრეს (ასევე ძველი კურსით) და დაზარალებულმა მხარემ უარი თქვა მის მიღებაზე.[1138] „ქართულ დიალექტოლოგიაში" გადმოცემულ შემთხვევაშიც დაზარალებულმა მხარემ (მოკლულის დედამ) უარი თქვა თემის კაცების მიერ დაკისრებული საზღაურის მიღებაზე: „ჩემს შვილსაო ფულზე ვერ შავაფასებო".[1139] ამ შემთხვევაში განზრახი მკვლელობა რომ ყოფილიყო დაახლოებით თორმეტი მილიონი მანეთის გადახდა დაეკისრებოდა დამნაშავეს. ეს ფულის გაუფასურების პერიოდია (XX საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნა). მთხრობლის თქმით, ამ ფულით ორი ურემი პური თუ მოგივიდოდა.[1140]

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ხევში მ. კეკელიას მიერ მასალების ჩაწერის პერიოდისთვის (1984 წ.) სისხლის საზღაურის აღების ინტენსივობა შემცირებული ჩანს. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, ფულის აღება ადრე უფრო ხდებოდა.[1141] მეორის მიხედვით, კი „უფრო ხშირად ჩვენს დროში ფულს არ იღებენ."[1142]

1133 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 15.

1134 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში (1948 და 1950 წწ. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 171.

1135 გაზეთი „ივერია", 1888, 28 ივნისი, №134.

1136 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 23, 45-46; №2, 58.

1137 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 14.

1138 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში (1948 და 1950 წწ. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 171.

1139 ო. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, 36.

1140 იქვე.

1141 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 58.

1142 იქვე, 81.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მკვლელის მხარეს მოკლულის მხარისთვის ფული არ მიუტანია. ინფორმატორი ამას იმით ხსნის, რომ ახალი წესით, ფულის მიტანა აღარ ხდება.[1143] ამ ტენდენციას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ხალხში ნეგატიური განწყობა ჩამოყალიბდა მკვლელობისას საზღაურის აღებისადმი. ერთ შემთხვევაში თურმე მოკლულის ოჯახს თანხა აუღია, თუმცა მათ წამოაძახეს: „თქვენ რა ხალხი ხართ, ფულში გაყიდეთ მკვდარიო.“[1144] ასეთი დამოკიდებულება განაპირობებდა, რომ ხალხი ერიდებოდა სისხლის საზღაურის აღებას.[1145] ერთგვარად შემაჯამებელი მნიშვნელობა შეიძლება მივცეთ სოფელ სნოს მცხოვრები იორამ ღუდუშაურის ნათქვამს, რომ ახლა შერიგების დროს ფული თითქმის აღარ მიაქვთ. არის ოჯახი, რომელიც ფულს არ იღებს, მაგრამ თუ მოხდება ფულის აღება ეს უფრო დაზარალებული ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობით იქნება განპირობებული.[1146]

მასალების მიხედვით ჩანს, რომ რაჭაში მკვლელობისას მხარეთა შერიგების აუცილებელი პირობა იყო ე. წ. „სისხლის პურისჭამა“, რომელიც მოკლულის მხარეს უნდა გადაეხადა საკუთარი ხარჯით. ეს სუფრა დაზარალებულის ოჯახში იშლებოდა და მკვლელის მხარე ვალდებული იყო „სისხლის პურისჭამისთვის“ საჭირო ღვინო და ხორაგი (პური, ცხვრები და სხვა) დაზარალებულის სახლში მიეტანა.[1147] შერიგებაზე თანხმობის მიღების შემდეგ მკვლელი და მისი ოჯახი საკუთარ სახლ-კარს უბრუნდებოდა.[1148] მკვლელის ხარჯზე სუფრის გაშლა შერიგებისას ხევისთვისაც იყო დამახასიათებელი.[1149] შერიგებისას პურმარილის გამართვა მხარეთა შერიგების განმტკიცებას ხელს უწყობდა აჭარაშიც.[1150]

შერიგების განმტკიცება ხდებოდა მხარეთა დამოყვრების გზითაც. მაგალითად, რაჭაში მკვლელმა საკუთარი ქალიშვილი მოკლულის ძმას მიათხოვა, რამაც მათ ოჯახებს შორის საბოლოო მშვიდობა დაამკვიდრა.[1151] აჭარაშიც მოსისხლეთა მტრობის შეწყვეტის ყველაზე საიმედო საშუალება მხარეთა დამოყვრება იყო, მაგალითად, მკვლელისა და მოკლულის შვილების დაქორწინება, თუ არ ყავდათ, ძმისშვილების, ან შვილისა და ძმისშვილების და სხვა.[1152] აჭარის სინამდვილიდან მოგვეპოვება არაერთი კონკრეტული შემთხვევა მხარეთა დამოყვრებისა. ერთ შემთხვევაში, თანასოფლელებს შორის მკვლელობისას მოკლულის ვაჟს ცოლად შერთეს მკვლელის ქალიშვილი.[1153] მეორე შემთხვევაში

1143 იქვე, 86-87.

1144 იქვე, 91.

1145 იქვე.

1146 იქვე, 95.

1147 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 20; მ. კ. 6/9, 25-26.

1148 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 31.

1149 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში (1948 და 1950 წწ. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 171; მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1984, №1, 20-22.

1150 იხ. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 4-5; იხ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ., 57.

1151 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 17.

1152 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 49-50.

1153 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 7.

მხარეთა შესარიგებლად მოკლულის შვილიშვილს ცოლად შერთეს ამ მკვლელობისათვის საპასუხოდ მოკლულის ძმისშვილი.[1154] მესამე შემთხვევაში კი მკვლელის ძმისშვილი ცოლად გააყოლეს მოკლულის შვილს.[1155] იგივე მიზანს ემსახურებოდა შვილად აყვანაც. იბ. აბაშიძის მიხედვით, მოკლულის შვილად აყვანა აჭარაში შედარებით იშვიათად ხდებოდა, ისიც ყეზად მკვლელობისას შერიგების მიღწევის შემდეგ. მაგალითად, ქობულეთის რაიონის მცხოვრებმა მურად ქათამაძემ თავისი შვილის მკვლელის მამას შერიგებისას უთხრა, რომ შენი შვილი ანი ჩემი შვილის მაგიერია და წაიყვანა ის საკუთარ ოჯახში.[1156] ანალოგიური რამ სხვა კონკრეტულ შემთხვევაშიც ფიქსირდება.[1157]

ხევშიც გვხვდება მოკლულის დედის მიერ მკვლელისადმი ძუძუს მოწოვება და შვილად აყვანა,[1158] დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების დაქორწინება,[1159] რაც განამტკიცებდა შერიგებას. ხევში ერთ შემთხვევაში მკვლელის შვილს მოანათვლინეს მოკლულის შვილიშვილი.[1160]

გამომდინარე იქედან, რომ ამ კუთხეებში სისხლის ფასი წინასწარ განსაზღვრული არ იყო, შუაკაცები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის ფასის დადგენისას მკვლელობასთან დაკავშირებულ გარკვეულ სუბიექტურ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ: კერძოდ, დანაშაულის მიზეზს, მოტივს, რა გარემოებაში იქნა ჩადენილი მკვლელობა, მკვლელობა ჩადენილია განხრახ, თუ განზრახვის გარეშე, მოკლულის შესაძლო მაპროვოცირებელ როლს მკვლელობის ჩადენაში, მკვლელის ციხეში ყოფნას და სხვა. აჭარელი წინაიკაცები ამ ფაქტორების გარდა სისხლის საზღაურის დადგენისას ითვალისწინებდნენ მკვლელობა ჩადენილია მიპარვით თუ პირდაპირ,[1161] ასევე, დამნაშავის გადახდისუნარიანობასაც.[1162] თუ დაზარალებულ მხარეს ეცოტავებოდა მკვლელისათვის გათვალისწინებული საზღაური შუაკაცები აუხსნიდნენ მათ თუ რატომ დააკისრეს ამდენი და არა მეტი. ხევში ასეთი ახსნა საკმარისი იყო იმისათვის, რომ დაზარალებულებს სისხლის საზღაურის ოდენობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოეთქვათ. ეს ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ჩანს ძალიან კარგად.[1163]

რაჭაში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც შუაკაცებმა მკვლელის ოჯახს მხოლოდ რვა თუმნის გადახდა დააკისრეს, რაც მიღებულზე შედარებით დაბალ საზღაურს წარმოადგენდა. ამის მიზეზი ინფორმატორის თანახმად იყო ის გარემოება, რომ მკვლელი ციხეში დაიღუპა. შუაკაცებმა ეს ფაქტორი გაითვალისწინეს და შეამცირეს გადასახადი ამ კონკრეტული მკვლელობისათვის. იგივე ინფორმატორის განმარტებით მკვლელი მოკლულის რომე-

1154 იქვე, 4.

1155 იქვე, 55-56.

1156 იბ. აბაშიძე, სისხლის ალება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 52,

1157 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 2.

1158 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 75; №2, 37, 76, 97.

1159 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 83-84.

1160 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 15.

1161 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 3.

1162 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 15.

1163 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 14-15.

ლიმე ნათესავს რომ მოეკლა, გადასახადის დაკისრებას საერთოდ არ ექნებოდა ადგილი.[1164] ხევშიც მკვლელის ციხეში გარდაცვალება აადვილებდა შერიგებას.[1165]

აჭარაში ჩაწერილ მასალებში გვხვდება ცნობები, რომლებშიც საუბარია შერიგების შემდეგ მკვლელობის შედეგებზე. შერიგების შემდეგ მკვლელობას ძირითადად მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც შერიგება მოხდებოდა სისხლის აღების გარეშე და დაზარალებული მხარე მაინც გარკვეულწილად დაჩაგრულად თვლიდა თავს. შერიგების შემდეგ მკვლელობა აჭარაში ღალატით მკვლელობად ითვლებოდა.[1166] ზოგიერთი მონაცემით, აჭარაში წინაიკაცები მათ მიერ მიღწეული შეთანხმების გარანტებადაც ითვლებოდნენ. ისინი სრულად აგებდნენ პასუხს რომელიმე მხარის მიერ შერიგების დარღვევის შემთხვევაში.[1167] თუ შერიგების შემდგომ რომელიმე მხარე შეთანხმებას დაარღვევდა, პირს გატეხდა და მოკლავდა შემორიგებულ მტერს, ეს მოღალატე შერიგების მონაწილე წინაიკაცს უნდა მოეკლა. ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად უნდა ეკისრა ეს საქმე. დაზარალებული მხარე ეტყოდა: „თუ არ გქონდა იმედი, რაიზე დამარიგეო?“[1168] შესაძლოა ისედაც მომხდარიყო, რომ პასუხი წინაიკაცებისაგანაც მოეთხოვათ. მასალებში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც შერიგების პირობის დარღვევის შემდეგ დაზარალებული მხარის წარმომადგენელი მიუვარდა ერთ-ერთ შემრიგებელ წინაიკაცს და მოკლა კიდეც იგი.[1169] აღსანიშნავია, რომ ამის საპირისპირო მაგალითებიც არსებობს, როდესაც შერიგების შემდეგ მკვლელობისას შემრიგებელს პასუხი არ უგია.[1170]

მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ შერიგების შემდეგ მკვლელობის შედეგად წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად უკვე შემრიგებელი წინაიკაცებიც გვევლინებიან, შესაბამისი ვალდებულებით – პირადად გაუსწორდნენ პირის გამტეხს, შერიგების დამრღვევს., ანუ მკვლელობისათვის შურისძიების ვალდებულება წინაიკაცს ეკისრებოდა. რომელი წინაიკაცი აიღებდა საკუთარ თავზე ამ ვალდებულების შესრულებას, სავარაუდოდ, არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. როგორც გამოჩნდა, შერიგების დარღვევას შესაძლოა შერიგების დარღვევის შედეგად დაზარალებულის მხრიდან ერთ-ერთი შემრიგებელი შუაკაცის მკვლელობაც კი მოჰყოლოდა, ანუ იგი სისხლის აღების ობიექტიც ყოფილიყო. მოტანილი კონკრეტული ფაქტი მიუთითებს იმას, რომ საზოგადოებრივი თვალთახედვით წინაიკაცები მათ მიერ მოსისხლეებს შორის მიღწეული შერიგების თავმდებნი, გარანტორები უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ ამის გამო, თუ შერიგების დარღვევას ექნებოდა ადგილი რომელიმე მხარის წარმომადგენლის მკვლელობის გამო, მკვლელის დასჯა სწორედ ერთ-ერთი წინაიკაცის ვალდებულებად აღიქმებოდა.

1164 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 30-31.

1165 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 71.

1166 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15.

1167 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 49.

1168 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29; იხ. აგრეთვე: ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 27.

1169 იქვე.

1170 ამ საკითხზე იხ. ო. ზოიძე, შერიგების პროცესი აჭარაში, ხელნაწერი., 1988, 41–42.

სხვა მონაცემით ფიქსირდება ღალატით მკვლელობის ჩამდენის მიმართ სხვაგვარი სასჯელის გამოყენებაც. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ვინმე კონცელიძემ შერიგების შემდეგ მოკლა თავისი მტერი. რაკი ღალატით მკვლელობას ჰქონდა ადგილი გვარმა თავისი მოღალატე მოგვარე გვარიდან განდევნა და მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. მოღალატეს გვარიც „შეუცვალეს" და „ღალატოღლი" დაარქვეს.[1171] აქ ჩანს, რომ შერიგების შემდეგ ღალატით მკვლელის მიმართ საკუთარი გვარის წევრების დამოკიდებულებაც კი ძალზედ ნეგატიური იყო.

სავარაუდოდ, სხვადასხვა მონაცემში გადმოცემული ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შერიგების შემდეგ მკვლელობისადმი განპირობებული უნდა იყოს აჭარის სხვადასხვა რაიონსა თუ საზოგადოებაში, სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში ამ საკითხისადმი (საერთოდ, სისხლის აღებისადმი) განსხვავებული მიდგომით, თუმცა მორალური თვალსაზრისით დამოკიდებულება ყველგან და ყოველთვის ერთგვარი იყო და ასეთი ადამიანი მოღალატედ ითვლებოდა.

ხევში შესაძლოა მკვლელის მიმართ საჯარო ხასიათის სასჯელიც ყოფილიყო გამოყენებული. ასეთ რამეს უფრო მაშინ უნდა ჰქონოდა ადგილი, როდესაც ხევში თემური ურთიერთობები ძალზედ მტკიცე იყო და რეალური ძალაუფლება თემის ყრილობას და სათემო საბჭოს ჰქონდა, რომელიც თემის ყრილობის მიერ არჩეული წევრებისაგან შედგებოდა. ამ ორგანოებს სასამართლო ფუნქციებიც გააჩნდა.[1172] ალ. ყაზბეგის ერთ-ერთ ნაწარმოებში („მოძღვარი") საუბარია თემის ყრილობის მიერ სასამართლო ფუნქციის განხორციელებაზე. აქ ჩანს, რომ თემის ყრილობა ასამართლებს ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს – გელას, რომელმაც თანამოძმე მოკლა. თემის ყრილობის გადაწყვეტილებით, დამნაშავე თემიდან იქნა მოკვეთილი და განდევნილი.[1173] აქ კარგად ჩანს, რომ თანამოძმის მკვლელობისათვის თემის ყრილობას საჯარო ხასიათის სასჯელი გამოაქვს მკვლელის მიმართ. ასეთი რამ ძველად შესაძლოა რეალურ ცხოვრებაშიც მომხდარიყო. დროთა განმავლობაში ხევში რუსულმა მმართველობამ თავისი წესები და კანონები დაამკვიდრა, რამაც თემური მმართველობა შეასუსტა, რაც თემის ყრილობის საქმიანობასა და მის სასამართლო ფუნქციებზე აისახა. ამდენად, მის მიერ მკვლელობის საქმეების განხილვაც და მისთვის საჯარო ხასიათის სასჯელების დაკისრება აღარ გვხვდება.

1171 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44.

1172 ამ საკითხზე იხ. გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 161-165.

1173 ალ. ყაზბეგი, თზხულებანი, ტ. II, თბ., 1948, 424.

§6. მკვლელობის ინსტიტუტი და მისთვის პასუხისმგებლობა საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

საკვლევ პერიოდში მკვლელობის საქმეების განხილვა საქართველოს სხვა რეგიონებში ძირითადად სახელმწიფო ორგანოების მიერ ხდებოდა, თუმცა მოგვეპოვება გარკვეული მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, ქართლში, მესხეთში, ლეჩხუმში, მთიულეთში (ქსნის ხეობა) XIX-XX საუკუნეებშიც შესაძლოა მკვლელობის შემთხვევაში ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბებული მექანიმზმი ამოქმედებულიყო და საქმე მის საფუძველზე გადაწყვეტილიყო.

ეს კუთხეები ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მკვლელობის ინსტიტუტის განსახილველად გავაერთიანეთ იმის გამო, რომ აქ მკვლელობათა საქმეზე ჩვეულებითი სამართალის მოქმედება საკვლევ პერიოდში შედარებით ნაკლებინტენსიური იყო, ვიდრე ზემოთგანხილულ კუთხეებში, სისხლის აღების ინსტიტუტი მხოლოდ ნაშთის, ან ცალკეული შემთხვევების სახითაა შემორჩენილი, არ გვხვდება მკვლელობისათვის სისხლის ფასის წინასწარ განსაზღვრული ოდენობა და მისი დაკისრების შესახებ ცნობები შედარებით მცირეა, ან ეხება პერიოდს, რომელსაც XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორები პირადად არ მოსწრებიან. საერთოდაც მონაცემები მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდის შესახებ უმეტეს დასახელებულ კუთხეებში თითქმის არ შემორჩენილა, ან შედარებით ძველ პერიოდს უკავშირდება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების დიდი ნაწილი ამ კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მკვლელობის ინსტიტუტის თაობაზე ძირითადად XX საუკუნის 80-იან წლებშია ჩაწერილი მ. კეკელიასა და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ. ასევე ამ საკითხს ეხება გ. ჟორდანიას მონაცემები (ქართლი), და ზოგიერთი სხვა.

უპირველეს ყოვლისა მასალების მიხედვით თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ბევრი ინფორმატორი ვერ იხსენებს რაიმე შემთხვევას, როდესაც მკვლელობის საქმე ჩვეულებითი სამართლის მიხედვით იქნა განხილული. ისინი არც თვითონ შესწრებიან და არც წინაპრებისგან გადმოცემით გაუგიათ, რომ მკვლელობის საქმე სოფლის მიერ არჩეულ ხალხს, ან მედიატორებს განეხილოთ ხალხური წესით, ან დაზარალებულის სასარგებლოდ დამნაშავეს ფული გადაეხადა, ან სისხლის აღებას ჰქონოდა ადგილი. ისინი მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევებს იხსენებენ და ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მოცემული საქმეების განხილვა არა ხალხური წესით მოხდა, არამედ სახელმწიფო ორგანოების მიერ. მათი განმარტებით, მკვლელობის საქმეს სწორედ სახელმწიფო ორგანოები აწარმოებდნენ.[1174] ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ

1174 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1986, 4, 7, 8, 25, 30, 32, 44, 49, 56-57; ეთნოგრაფიული რეეული №2, 1986, 11-12, 25, 71; დ. ჯალაბაძე მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, 1986, 11.; მ. კეკელია, მასალების სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეელი 1988, 4, 45, მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 1, 29, 38, 39; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 35, 42; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 68, 82-83, 83; მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 2; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 7; დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 21, 43-44; გ. დავითაშეილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 1, 21; მ.

საერთოდ მათში მკვლელობა ძალიან იშვიათი იყო და მაშინაც საქმე სისხლის აღებამდე, შურისძიებამდე არ მიდიოდა. მისი თქმით, ასეთი წესები მეზობელ სვანებს ჰქონდათ და არა მათ.[1175]

ეს მონაცემები გვიჩვენებს ძირითად ტენდენციას ამ კუთხეებში მკვლელობის საქმეებზე ჩვეულებითი სამართლის მოქმედებისა. მიუხედავად ამისა გვხვდება გარკვეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ცალკეულ შემთხვევებში ამ კუთხეებშიც ფიქსირდება მკვლელობის საქმის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე განხილვის ფაქტები.

გვხვდება მონაცემები სახელმწიფო ორგანოების მიერ მკვლელის დასჯის მიუხედავად, ამავე დანაშაულისათვის პარალელურად ჩვეულებით-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისაც.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ ამ კუთხეში დაფიქსირებულ მასალებშიც გვხვდება მონაცემები, როდესაც მკვლელობისას მკვლელის მხრიდან ადგილი აქვს მოქმედებებს, რომლებიც დამახასიათებელია იმ საზოგადოებებისათვის, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტი მოქმედებს. მხედველობაში გვაქვს მკვლელის ოჯახიანად აყრა და გადახვეწა. ცხადია, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო დაზარალებულ მხარეს შური ეძია და მკვლელი მოეკლა. ამ კუთხეების წარმომადგენელი ინფორმატორები ზოგადად მიუთითებენ, რომ მკვლელობის შემთხვევაში მკვლელი ოჯახიანად აიყრებოდა და სხვაგან გადასახლდებოდა, რადგანაც მკვლელის და მოკლულის ოჯახებს შორის მტრობა ჩამოვარდებოდა და მკვლელის ოჯახს საფრთხე ემუქრებოდა. მკვლელს მტრობდნენ მოკლულის ახლობლები, უფრო კი ძმები.[1176] ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორის მითითებით, მას მამისგან გაუგია, რომ თუ ვინმე კაცს მოკლავდა, მას „ადგილი უნდა მოეცვალა“ – ოჯახიანად უნდა გადასახლებულიყო სხვაგან. გვარის შეცვლაც შეიძლება მომხარიყო. ადგილი რომ არ ეცვალათ სისხლს აიღებდნენ.[1177] მთიული ინფორმატორიც (ქსნის ხეობიდან) მიუთითებს, რომ მკვლელის ოჯახი აიყრებოდა, თუ იგი მოკლულის ოჯახთან ახლოს ცხოვრობდა.[1178] ქსნის ხეობაში მოკლულის ძმები და ნათესავები იშვიათად აპატიებდნენ მკვლელს, ამიტომ თუ დაზარალებული მხარე არ თანხმდებოდა შერიგებაზე, მკვლელის ოჯახი გაყიდდა თუ გააჩუქებდა თავის ქონებას და შორს გადასახლდებოდა. გადასახლება კი იმიტომ იყო საჭირო, რომ მტრობა განელებულიყო.[1179]

ინფორმატორები კონკრეტულ მაგალითებსაც იხსენებენ. გურული ინფორმატორის ცნობით, მოხდა ბიძაშვილის მკვლელობა. მკვლელი თავის დასთან გადასახლდა საცხოვრებლად შურისძიების შიშით.[1180] გურიის სინამდვი-

---

კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 16, 17, 23, 30, 37.

1175 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 30.

1176 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 51; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნიოგრაფიული რეული №2, 25; გ. დაეითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 30; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 22, 37.

1177 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 48.

1178 მ. კეკელია, მასალები მითიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 17.

1179 იქვე, 2, 37, 42.

1180 გ. დაეითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1989, 10.

ლიდან სხვა შემთხვევებიც ფიქსირდება მკვლელის სხვაგან გადასახლების.[1181] სამეგრელოში მომხდარა ბავშვის მიერ ბავშვის შემთხვევითი მკვლელობა (XX საუკუნის 80-იან წლებში). მკვლელის ოჯახმა დატოვა სოფელი და სხვაგან გადასახლდა. ინფორმატორი მიუთითებს, რომ ოჯახი არ გაუძევებიათ, თვითონ დატოვა სახლ-კარი.[1182] სამეგრელოშივე დაახლოებით 1918-1920 წლებში მოკლეს ადვოკატი ლემონჯავა. მკვლელმა იგი ტყეში მიატოვა მკვდარი, თვითონ კი ოჯახიანად აფხაზეთის სვანეთში გადასახლდა. მკვლელმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ მოკლულის ძმებისგან შურისძიების შეეშინდა. ინფორმატორის განმარტებით, სამეგრელოში იყო შემორჩენილი შურისძიების ელემენტები.[1183] იმერეთში ქორწილში მოუკლავთ სიძე. ინფორმატორის თქმით, ეს მისი მულის ქორწილში მომხდარა. მკვლელი მაშინვე ოჯახიანად გადასახლებულა კახეთში.[1184] იმერეთში ჩაწერილ კიდევ ერთ შემთხვევაში გვხვდება მკვლელის მიერ ოჯახის მიტოვება. ინფორმატორი ამას იმით ხსნის, რომ მკვლელს ჩადენილ დანაშაულს არც თავისიანები აპატიებდნენ, რადგანაც არავის სურდა გვარში მკვლელი ჰყოლოდა და არც მოკლულის ნათესავები. თანაც, ინფორმატორის განმარტებით, მკვლელი თუ გადაიხვეწებოდა, მაშინ დანაშაული არც ისე ისჯებოდა. სხვაგან გადახვენა თითქმის პატიება იყო. მკვლელი მოკლულის ახლობლებს არ უნდა დანახვოდა, თუ არა და მოკლავდნენ.[1185] შესაბამისი კონკრეტული ფაქტი ფიქსირდება ქსნის ხეობაშიც.[1186] მკვლელობის მიზეზებზე საუბრისას ჩვენ შევეხეთ ქსნის ხეობაში მომხდარ შემთხვევას, როდესაც ძმებმა ნარიმანიძეებმა მათზე თავდასასხმელად წამოსული შვიდი ძმა დახოცეს. ამ შემთხვევაში მკვლელებმა მიატოვეს სახლ-კარი და ქართლში გადასახლდნენ, ცხადია, შურისძიების თავიდან ასაცილებლად.[1187] ქსნის ხეობელი ინფორმატორების მიხედვით, გადასახლებული მკვლელის მკვლელობა აღარ ხდებოდა.[1188]

სამეგრელოში ფიქსირდება მონაცემები, რომლებშიც ასახულია მკვლელობის შემთხვევაში მკვლელის სახლის გადაწვა. ესეც დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, სადაც სისხლის აღების ინსტუტუტი მოქმედებს. ინფორმატორის თქმით, სახლკარის გადაწვა მოხდებოდა ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენისას, მაგალითად, მკვლელობის დროს, როცა მოკლულის მხარე მიუვარდებოდა მკვლელის ოჯახს და ცეცხლს მისცემდა მის სახლ-კარს.[1189] ერთ-ერთი ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს: XX საუკუნის 60-იან წლებში სიმთვრალის ნიადაგზე მოხდა მეზობლის მკვლელობა. მკვლელი სახლში დაი-

1181 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 56; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 21; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 39.

1182 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 4.

1183 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18.

1184 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 4.

1185 იქვე, 25.

1186 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 12-13, 43-44.

1187 იქვე, 8.

1188 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 18.

1189 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 45.

მალა. მიუხადავად სახელმწიფო ორგანოების (მილიცია) მიერ მიღებული ზომებისა, მოკლულის ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა მკვლელის სახლი გადაწვეს. ამაში მოკლულის ყველა ნათესავმა მიიღო მონაწილეობა. მკვლელი ოჯახიანად აფხაზეთში გადასახლდა.[1190] მეორე ცნობით, 1952 წელს მოკლულის ნათესავებმა ასევე გადაწვეს მკვლელის სახლი. ინფორმატორი თქმით, ეს ძველი წესების ნაშთია.[1191] მასალებში კიდევ ერთი კონკრეტული შემთხვევა ფიქსირდება 1959 წელს მომხდარი, როდესაც მოკლულის ნათესავებმა ასევე გადაწვეს მკვლელის სახლი.[1192] გვხვდება მასალები უშუალოდ შურისძიების აქტის განხორციელებისა. მაგალითად, გურიაში მკვლელმა მოიხადა სახელმწიფოს მიერ მისჯილი სასჯელი, თუმცა შემდეგ მოკლულის ძმამ მოკლა იგი.[1193] სისხლის აღების თუ მისი მცდელობის ფაქტები სხვა დასახელებულ კუთხეებშიც ფიქსირდება.[1194]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ დასახელებულ კუთხეებშიც საკვლევ პერიოდში ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტის გარკვეული გამოძახილი, ნაშთი. იმერეთის, გურიის, ქსნის ხეობის და განსაკუთრებით სამეგრელოს სინამდვილეში, საკვლევ პერიოდში ეს ნაშთი გარკვეულ შემთხვევებში საკმაოდ თვალნათლივ ვლინდება. აღსანიშნავია, რომ იმერეთში სისხლის აღების ინსტიტუტის უცილობელ არსებობას ადასტურებს XIX საუკუნის ბოლოს დაფიქსირებული მონაცემი, რომლის თანახმადაც ამ პერიოდისთვის საქართველოს ამ კუთხეში შენარჩუნებული იყო პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობების ელემენტები, მათ შორის სისხლის აღების კვალი, რაც ავტორის თქმით, იმ პერიოდშიც იმერეთის ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი იყო. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ძველი ჩვეულებები დაახლოებით 20-30 წლის წინ (ანუ დაალოებით XIX საუკუნის 60-70-იან წლებში) იმერეთში ცხოვრებისეულ საფუძველს წარმოადგენდა, თუმცა იმ ადგილებში, რომლებიც ახლოსაა კულტურულ ცენტრებთან, თანდათან მნიშვნელობა დაკარგეს, მაგრამ სოფლებში, რომლებიც შორსაა ქალაქებიდან, ევროპული განათლებიდან, ეს ჩვეულებები ძალას ინარჩუნებენ, თუმცა ნელ-ნელა ამ ჩვეულებებს მაინც ახალი ურთიერთობები ცვლის.[1195] ეს მონაცემი ცალსახად ადასტურებს, რომ სისხლის აღების ინსტიტუტი მოქმედებდა ისეთ კუთხეშიც კი, როგორიც იმერეთია და ამას ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარშიც ჰქონდა ადგილი. იგივე მონაცემით ირკვევა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ამ პერიოდისათვის თანდათანობით ძალას კარგავს, ჯერ ქალაქებთან, კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრებთან ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებში და შემდგომ მათგან მოშორებულ ადგილებშიც. შესაბამისად, XX საუკუნის ბოლოს იმერეთში ჩაწერილ მოსალებში სისხლის აღების ნაშთიღაა შემორჩენილი.

მასალების მიხედვით, შურისძიება და მისი თანმდევი მოვლენები განსახილველ რეგიონებში ნაკლებ ინტენსიური იყო, ვიდრე საქართველოს ზოგიერთ

1190 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 23.

1191 იქვე, 70.

1192 იქვე, 40-41.

1193 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

1194 იხ. მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 51-53; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32-33 და სხვა.

1195 М. Сагарадзе, Обычай и верования в Имеретии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 26, отдел I, 1899, 42.

მთის რეგიონში და ცალსახად გამოხატულ ვალდებულებას არ წარმოადგენდა. მკვლელობის გამო გადამტერება, დამნაშავის დევნა, უპირატესად დამოკიდებული იყო დაზარალებული მხარის შესაძლებლობაზე, მკვლელობის მიმართ დაზარალებული მხარის ემოციურ დამოკიდებულებაზე. თანაც დამნაშავის გადახვეწა აქ არ იწვევდა მის ისეთ დევნას როგორც ეს მაგალითად, ხევსურეთსა თუ სვანეთში გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ეს აქ მოტანილი მონაცემებით გამოჩნდა, სხვაგან გადასახლებულ მკვლელს და მის ოჯახს აღარ დევნიდნენ. ეს იშვიათად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდებოდა, რაც სისხლის აღების ინსტიტუტის დაკნინების მაჩვენებელია. შედარებით ძველ პერიოდში, როგორც ჩანს, სისხლის აღების ინსტიტუტი ამ კუთხეებშიც ჩვეულებრივ მოქმედებდა, მაგრამ შედარებით ადრე დაკნინდა, ვიდრე ზემოთგანხილულ კუთხეებში.

ამ მონაცემების ფონზე დასახელებულ კუთხეებშიც საკმაოდ აქტუალური ჩანს მკვლელობისას მხარეების შერიგების საკითხი. შესაბამისი მონაცემებიც მოგვეპოვება ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში. მათ მიხედვით პრიორიტეტს სწორედ შერიგება წარმოადგენდა და არა მტრობა, შურისძიება. ამ სულისკვეთებას კარგად გამოხატავს იმერელი ინფორმატორი: „ჩვენთან იტყვიან: „სისხლი სისხლით არ განიბანებაო“. რაც არ უნდა მძიმე საქმე ჩაიდინოს კაცმა, უმჯობესია დათმობა და გართულების თავიდან აცილება.“[1196] იგივე ფრაზას სხვა კუთხის წარმომადგენლებთანაც ვხვდებით.[1197] ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ მათთან მკვლელობისას სისხლის აღება იმ ფორმით, რაც საქართველოს მთიანეთში იყო, მათთან არც მომხდარა და არც მამა-პაპათგან გაუგონია. მხარეებს მკვლელობისას „მაშვლები“ არიგებდნენ.[1198] გურული ინფორმატორის თანახმად კი თუ მკვლელობა მოხდებოდა, შერიგების გადავადება არ იცოდნენ. იგივე თაობაში რიგდებოდნენ, რომ შთამომავლობას გულში არ ჩარჩენოდა ეს დანაშაული და შუღლი არ გაგრძელებულიყო.[1199] შურისძიების თავიდან აცილებისთვის შერიგების აუცილებლობაზე საუბრობს მეგრელი ინფორმატორიც[1200] აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ მ. კეკელიას მიერ ქსნის ხეობაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, მთიულ ინფორმატორთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათთან სისხლის აღება ადრე იყო და დიდი ხანია ეს აღარ ხდება და თვითონ არ მოსწრებიან.[1201]

მასალების მიხედვით, არაერთი მკვლელობის დროს ვხვდებით საზოგადოების, კერძოდ, თემის, სოფლის თავკაცების ჩარევას და მხარეების ხალხური წესით შერიგებას. უფრო ხშირად სწორედ შერიგებას ჰქონდა ადგილი და არა შურისძიებას. თანაც, უმრავლეს შემთხვევაში არ ფიქსირდება დაზარალებულისათვის რაიმე საზღაურის გადახდა ფულადი თუ ნატურალური სახით.

1196 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 38.

1197 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 44; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 33.

1198 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 33.

1199 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2.

1200 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

1201 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 10, 14, 16, 29, 35, 65, 75, 78.

კონკრეტული შემთხვევების აღწერაც ადასტურებს ამას.[1202] შესაძლოა, მხარეები არ შერიგებულიყვნენ, თუმცა მათ შორის მტრობასაც არ ჰქონოდა ადგილი და მათ ერთმანეთის გვერდით ეცხოვრათ. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ასე მომხდარა, თუმცა მხარეები ცხოვრების ბოლომდე არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.[1203]

მხარეთა შესარიგებლად დასახელებულ კუთხეებში სხვადასხვა ხასიათის მოქმედებების განხორციელებას ვხვდებით. მაგალითად, იმერელი ინფორმატორი იხსენებს ასეთ შემთხვევას: მკვლელი სახელმწიფო ორგანოებმა დააპატიმრეს და მას შესაბამისი სასჯელი მიესაჯა. მკვლელისა და მოკლულის ოჯახებს შორის დაპირისპირება და დავა არ მომხდარა. მხოლოდ მკვლელის ძმამ მოკლულის მცირეწლოვანი შვილები გაზარდა და ეს გახდა შერიგების საფუძველი.[1204] იმერეთშივე პიროვნებას ძმა შემოაკვდა შემთხვევით. ხუთწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ მკვლელმა თვითონ გაზარდა თავისი ობოლი ძმისშვილები და დაავაჟკაცა ისინი და მათ შორის მამაშვილური ურთიერთობები ჩამოყალიბდა.[1205]

ხშირად გვხვდება მკვლელის მიერ მოკლულის დაკრძალვის ხარჯების გადახდა. ერთ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობა უნებლიედ მოხდა, დამნაშავე მხარემ თვითონ იკისრა მოკლულის დაკრძალვის ხარჯები. მხარეებს შორის მკვლელობის შემთხვევითობის გამო უკმაყოფილება არ ჩამოვარდნილა.[1206] მკვლელის მიერ დაკრძალვის ხარჯების დაკისრება წესად იყო მიღებული გურიაში.[1207] ქსნის ხეობაში მომხდარა შემთხვევა, როდესაც ქონებრივი დავის ნიადაგზე ქართველმა მთიელმა მოკლა ოსი ეროვნების პიროვნება. მკვლელს დაეკისრა მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების გასტუმრება, ანუ ქელეხის გადახდა ოსური წესით. გარდა ამისა მკვლელს დააკისრეს გადაეხადა ერთი ცხენი შეკაზმული თავისი უნაგირით და ორი ხარი.[1208]

ხშირად ხდებოდა შერიგების ნიშნად მხარეების დანათესავება, დამოყვრება, ნათლიაობის მოწყობა, მაგალითად, მკვლელის მიერ მოკლულის შვილის მონათვლა, მკვლელის დის მოკლულის ძმისათვის მითხოვება, მოკლულის დედის ძუძუზე მკვლელის მიერ კბილის დადებინება, რაც მის შვილად აყვანას ნიშნავდა. ასეთი მოქმედებები კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება.[1209] მკვლე-

---

1202 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10, 29; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2, გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 9, 40; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 44; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986, 78-79; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986, 1; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 11, 31; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 10, 16, 18, 22, 36.

1203 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22.

1204 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 74.

1205 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 42.

1206 ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15.

1207 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 41.

1208 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 76-77.

1209 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31-32; ჯ.

ლის მიერ მოკლულის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებაც და მისი შვილის მონათვლაც ერთდროულად ჩვეულებრივი მოვლენა იყო.[1210]

ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო შემთხვევა ფიქსირდება ქართლის სინამდვილეში გ. ჟორდანიას მიერ. 1906 წელს მოხდა მკვლელობა ჩხუბის დროს. გ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ რაკი რევოლუციური დრო იყო მიყრუებულ სოფლებში ხელისუფლება არ ჩანდა და ამდენად შესაძლებელი იყო დანაშაულის დამალვა. ამ საქმეზე ხალხური წესი მოხდა სამედიატორო სასამართლოს არჩევა, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1. მკვლელს თავისი ხარჯით უნდა დაეკრძალა მოკლული და წლის განმავლობაში მისთვის უნდა გადაეხადა ხალხური წესით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სუფრა, 2. 17 წლამდე უზრუნველეყო მოკლულის მცირეწლოვანი შვილი საჭმელით, სასმელით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხოლო როცა შეუსრულდებოდა 17 წელი უნდა გადაეცა მისთვის საკუთრებაში ერთი დესეტინა სახნავი მიწა, სადაც ის მოითხოვდა, 3. კვირაში ორი დღე უნდა ემუშავა მოკლულის ქვრივისათვის, მის გარდაცვალებამდე ან ხელმეორე გათხოვებამდე.[1211] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქართლში XX საუკუნის დასაწყისში მკვლელობისათვის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი, რომელიც მიმართულია მხარეთა შესარიგებლად, შეიძლება შეიცავდეს ისეთი მოქმედებების განხორციელების დავალდებულებას მკვლელისადმი, როგორიცაა მიცვალებულის დაკრძალვის და სავალდებულო სუფრების გადახდის ხარჯების გაღება, მოკლულის მცირეწლოვანი შვილის გაზრდა და სრული მატერიალური უზრუნველყოფა, მოკლულის ქვრივისათვის სამეურნეო ხასიათის დახმარების გაწევა: კვირაში ორი დღე მის სასარგებლოდ მუშაობა. ეს უმეტესად ის მოქმედებებია, რომლებიც სხვა კუთხეებშიც გვხვდება მკვლელობისას შერიგების პირობად. აქ მხოლოდ მოკლულის ქვრივის სასარგებლოდ მუშაობის ვალდებულებაა ისეთი მოქმედება, რომელიც სხვა კუთხეებში არ გვხვდება ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, თუმცა არ გამოერიცხავთ ასეთი მოქმედების ვალდებულება სხვა დასახელებულ კუთხეებშიც დაკისრებოდა მკვლელს, რადგანაც ამგვარი მოქმედების საჭიროება მკვლელობისას კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შესაძლოა სხვა კუთხეებშიც დამდგარიყო. ასევე, ამ განაჩენში გამოჩნდა, რომ მკვლელისთვის შესაძლოა ქონებრივი საზღაურის დაკისრებაც მომხდარიყო. მოკლულის შვილისთვის, როდესაც იგი 17 წლისა გახდებოდა, ერთი დესეტინა მიწის გადაცემა მკვლელობისათვის ქონებრივ საზღაურად შეიძლება განვიხილოთ.

მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 39; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 11; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 65-66; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 37, 61; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1986, 2-3, 11, 28; ვ. ბარდაველიძე, ე. ბარდაველიძის მიერ შესრულებული ამონაწერები ხელოვნური ნათესაობის შესახებ და საველე მასალა ამავე საკითხზე ჩანერილი ვერა ბარდაველიძის თხოვნით სხვადასხვა პირთა მიერ 1943-1944 წელს სხვადასხვა რეგიონში, ხელოვნური ნათესაობა გურიაში, პირადი არქივი, ვ. ბ. 571, 5.

1210 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 9..

1211 გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813. ამ შემთხვევის შესახებ იხ. გ. დაითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 33-35.

მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის დაკისრება მხოლოდ ამ კუთხეში საკვლევ პერიოდში გამონაკლისი არ ყოფილა. მასალებში გვხვდება რამოდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ დასახელებულ კუთხეში მკვლელისა და მოკლულის ოჯახების შერიგება ხალხური წესით განხორციელდა, მოხდა შესარიგებლად დამნაშავე მხარის მიერ დაზარალებულისათვის გარკვეული საზღაურის გადახდა, როგორც ფულით, ისე საქონლით. მაგალითად, რამდენიმე ასეთი ფაქტი ფიქსირდება ლეჩხუმში. ინფორმატორები ზოგადად საუბრობენ საზღაურის გადახდაზე, თუმცა კონკრტულად არ მიუთითებენ მის ოდენობას.[1212] ყველაზე მეტი მონაცემი დასახელებული კუთხეებიდან მკვლელობისას საზღაურის გადახდის შესახებ გვხვდება მესხეთსა და ქსნის ხეობაში. მესხი ინფორმატორები მიუთითებენ, რომ მკვლელობა მესხეთში იშვიათად ხდებოდა, განსაკუთრებით ქართველ მოსახლეობას შორის. ამ დროს შერიგებას ჰქონდა ადგილი. ინფორმატორთა თქმით, იშვიათად, მკვლელობის დროს შერიგებისას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა გარკვეულ ქონებრივ ანაზღაურებას (ფულით ან ნატურით). მკვლელობისას ქონებრივი საზღაურის ოდენობა არ იყო წინასწარ დადგენილი და მას შუამავლები, შემრიგებლები განსაზღვრავდნენ საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, ითვალისწინებდნენ დანაშაულის სიმძიმეს, განზრახაა მკვლელობა ჩადენილი თუ განზრახვის გარეშე, მკვლელობის ჩადენის მოტივს და მიზეზს, მკვლელის ქონებრივ შესაძლებლობას.[1213] ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც ვინმე თურქმა ვაჭარმა მოკლა ინფორმატორის ძმა. მორიგება ფულის აღებით მომხდარა.[1214] ქსნის ხეობაში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, მკვლელობისათვის გარკვეული ქონებრივი საზღაურის გადახდა მოხდა. ინფორმატორების მითითებით მკვლელს დაზარალებული მხარისათვის შესაძლოა გადაეცა ხარები, ძროხები, ყველაფერი რაც ებადა პირუტყვის სახით, ასევე რაიმე ნივთები, მაგალითად, ამ დროს მიღებული იყო სპილენძის ქვაბების გადაცემა, ასევე ფულის. სისხლის ფასში მიწის გადაცემას ინფორმატორები უარყოფენ.[1215] ინფორმატორთა განმარტებით, მკვლელობისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა წინასწარ განსაზღვრული არც აქ ყოფილა. ბევრ მათგანს არც ახსოვს ზუსტად, თუ რის მიხედვით ხდებოდა ამ გადასახადის ოდენობის განსაზღვრა. მხოლოდ ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ითვალისწინებდნენ დამნაშავე მხარის მატერიალურ შესაძლებლობას. ინფორმატორები ასევე მიუთითებდნენ, რომ მკვლელობისათვის გადასახადის გადახდა ადრე ხდებოდა. ახლა ეს წესი აღარ არსებობს და ისინი მას არ მოსწრებიან.[1216] ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს, შემთხვევას, როდესაც დაზარალებულ ოჯახს მკვლელისგან ფული მიუღია, რაც დაუგმია ხალხს: „მკვდარი გაყიდაო". ამით ინფორმატორი მიანიშნებს, რომ

1212 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 21-22; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 10.

1213 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 3, 34; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 8, 9, 58.

1214 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 9.

1215 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 12, 16-17, 37, 42.

1216 იქვე, 17, 37, 72.

მათში მკვლელისგან ფულის აღება მიუღებელი და მორალურად დასაგმობი იყო და ასეთი რამ არ ხდებოდა. ხოლო მის მიერ მოყვანილი ფაქტი გამონაკლისს წარმოადგენდა, რაც საზოგადოებამ არ მოიწონა. თუმცა იგივე ინფორმატორი უშვებს, რომ ადრე შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მკვლელის მიერ ფულის გადახდას.[1217] ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ქსნის ხეობაში მცხოვრებ მთიულებში XX საუკუნის 80-იანი წლების ინფორმატორები არ მოსწრებიან მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის დაკისრებას, თუმცა გადმოცემით გაუგია ზოგიერთს, რომ ადრე ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა.

ამრიგად, მოტანილი მონაცემების მიხედვით, დასახელებულ კუთხეებში მკვლელობისათვის დაკისრებული სასჯელი ძირითადად ქონებრივი პასუხისმგებლობის ხასიათს ატარებს. მხედველობაშია დაკრძალვისა და წლის განმავლობაში მიცვალებულის სავალდებულო სუფრების ხარჯები, მოკლულის არასრულწლოვანის შვილის (შვილების) რჩენა. ფიქსირდება გარკვეული შრომითი მოვალეობების შესრულების დაკისრება მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ. ცალკეულ შემთხვევაში დასახელებულ კუთხეთაგან ზოგიერთში ასევე გვხვდება ქონებრივი გადასახადის დაკისრება უშუალოდ მკვლელობისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ დასახელებულ კუთხეებში მკვლელობას უპირატესად მაინც კერძო სამართალდარღვევად აღიქვამდნენ. მკვლელობისათვის გადასახადის ოდენობა აღნიშნულ კუთხეებში საკვლევ პერიოდში წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. მისი დაკისრება კი ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შედარებით იშვიათად გვხვდება, ან მისი არსებობის შესახებ ინფორმატორებს მხოლოდ გადმოცემით გაუგიათ.

შერიგების აუცილებლობა დასახელებულ კუთხეებში მხოლოდ იმით არ იყო განპირობებული, რომ სისხლის აღების თავიდან აცილება იყო საჭირო. როგორც გამოჩნდა, ხშირ შემთხვევაში დაზარალებული მხარე არც დევნიდა და მტრობდა მკვლელს, მის მიმართ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სასჯელით კმაყოფილდებოდა. მიუხედავად ამისა, როცა მკვლელი მოკლულის ოჯახის სიახლოვეს ცხოვრობდა ყოველთვის იყო საშიშროება მკვლელის და მოკლულის ოჯახის წევრთა შეხვედრის, რასაც შესაძლოა მათ შორის კონფლიქტის განახლება და ერთმანეთისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენება გამოეწვია. ამიტომ, მკვლელის და მისი ოჯახის გადასახლება შესაძლოა თავის დაზღვევის მიზნითაც მომხდარიყო, მომავალი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად და არა იმიტომ რომ მკვლელს ამ მომენტში რაიმე მყისიერი საფრთხე ემუქრებოდა. როგორც დავინახეთ, გადასახლებულ მკვლელს არავინ მისდევდა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და მკვლელის გადასახლების ფაქტი უმეტესად შერიგების საწინდარს წარმოადგენდა.

აღნიშნულ კუთხეებში დაფიქსირებულ მასალაში გვხვდება მონაცემები მკვლელობისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრების შესახებაც. მასალების მიხედვით, სოფელში მომხდარი მკვლელობა შესაძლებელია გამხდარიყო ხალხური წესით საზოგადოების განხილვის ობიექტი. ლეჩხუმელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ თუ სოფელში განზრახ მკვლელობა მოხდებოდა, სოფლის ხალხი საკითხის გასარკვევად თათბირს მოაწყობდა.[1218] ამ კუთხეების

1217 იქვე, 22-23.

1218 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 28-29.

ნარმომადგენელი რამდენიმე ინფორმატორის განმარტებით სოფლის საზოგადოებას შესაძლოა მკვლელისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა, ან გაძევება მიესაჯა.[1219] ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი იხსენებს, რომ „ძველთაგან, მამა-პაპათაგან ასე ყოფილა, რომ თუ კაცი კაცს მოკლავდა, იმას სოფელი ასახლებდა.“[1220] გურული ინფორმატორი იხსენებს, რომ ძველად მის სოფელში (ზემო ხეთი) იყო სოფლის თავკაცი, რომელიც დანაშაულის ჩადენისას შეკრებდა სოფლის მოსახლეობას და ხალხი დამნაშავეს, მათ შორის მკვლელს გამოუცხადებდა ბოიკოტს, ან თემიდან განდევნიდა.[1221] სხვა გურული ინფორმატორის ცნობით კი მკვლელობისათვის ბოიკოტი იყო გარკვეული ვადით: 5, 20, ან 25 წლით.[1222] ასეთი დიდი ხნით ბოიკოტის გამოცხადებას, სავარაუდოდ, მხოლოდ მკვლელობის შემთხვევაში ექნებოდა ადგილი.

ქსნის ხეობაში ფიქსირდება ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქალმა თავის საყვარელს მოაკლევინა საკუთარი ქმარი. სოფელმა ამისათვის ამ ქალს „საქოლავი ციხე“ აუგო. მთელმა სოფელმა როგორც ამ დროს ხდება თითო ქვა მიაგდო ამ ციხეზე დამნაშავის წყევლით. ყოველი გამვლელი შემდეგ ამ „საქოლავ ციხეზე“ ქვას მიაგდებდა და დამნაშავეს დაწყევლიდა.[1223] ეს საჯარო ხასიათის გამანბილებელი სასჯელი იყო და დამნაშავის სიმბოლურ ჩაქოლვას წარმოადგენდა. მისი გამოყენება ძირითადად ხდებოდა უზნეო საქციელის ჩადენისას.[1224] ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი როგორც ჩანს, აღნიშნული სასჯელის გამოყენება მკვლელის და მკვლელობის ნამქეზებლის მიმართ მოხდა. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მკვლელობის მოტივი ქალის უზნეო საქციელით იყო განპირობებული.

მკვლელობას ამ კუთხეებში შესაძლოა სიკვდილით დასჯა, ან დამასახიჩრებელი სასჯელები მოჰყოლოდა. ეს უკანასკნელები გვხვდება სამეგრელოში, თუმცა არა საკვლევ პერიოდში, XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის მონაცემებში. მის მიხედვით, მკვლელებს ხელს ჭრიან, მაგრამ თუ მკვლელი მეტად გაბოროტებულია და მრავალი ადამიანის მკვლელობა ჩაუდენია, თვალებს დაწვავენ.[1225] საკვლევ პერიოდში ფიქსირდება ცალკეულ შემთხვევებში საზოგადოების მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე მკვლელის სიკვდილით დასჯა.

გურიაში (შუა სურები) ცხოვრობდა ვინმე შათირიშვილი, რომელმაც მოკლა მცირეწლოვანი (ეს მოხდა XX საუკუნის 10-იან წლებში). შეიკრიბა სოფელი და

1219 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10, ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 23; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 40; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 30; მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, თბ., 1991, 73.

1220 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 19.

1221 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

1222 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 38.

1223 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 69-70.

1224 „საქოლოავი ციხის“ აგების შესახებ იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 464-465.

1225 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 74.

გადაუწყვიტეს ტერორი, რაც დაავალეს მეორე შათირიშვილს, რომელმაც კრებაზევე დანა გაურჭო და მოკლა იგი.[1226] გურიაში ჩაწერილი კიდევ ერთი შემთხვევა ასეთია: დაახლოებით 1917-1918 წლებში მამამ მოკლა შვილი მის კუთვნილ ხეზე მსხლის მოკრეფისათვის. .ინფორმატორის განმარტებით, საქმე სოფლის მედიატორებმა გაარჩიეს და მათ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს: მიუსაჯეს მკვლელ მამას სიკვდილით დასჯა, მისცეს დანა, რათა თავად მას მოეკლა თავი. ამაზე სიკვდილმისჯილმა უარი თქვა. შემდეგ გაათხრევინეს საფლავი საკუთარი ხელით, დააყენეს საფლავის წინ, შემდეგ აიღეს ათი თოფი, მალულად გატენეს. მხოლოდ ერთში იყო ტყვია, დანარჩენში მხოლოდ წამალი. არც ერთმა მსროლელმა არ იცოდა, თუ რომელში იდო ტყვია. ასე იმიტომ გააკეთეს, რომ შემდეგ შუღლი არ ჩამოვარდნილიყო, ან არავის წამოეძახებინა – შენ კაცი მოკალიო. ეს გაამწვავებდა ურთიერთობებს. ხალხმა მოკლულს ქვები დააყარა, შემდეგ მიწა მიაყარეს და მოასწორეს. არავითარი ქვა არ დაუდიათ იმის ნიშნად, რომ აქ ვიღაც მარხია.[1227] იგივე ამბავს სხვა ინფორმატორებიც ყვებიან. ერთერთი მათგანის თქმით, შვილის მკვლელს კუბოც არ აღირსეს და ყუთით დამარხეს.[1228] სამეგრელოშიც გვხვდება შემთხვევა, როდესაც მკვლელი მოკლულ იქნა საზოგადოების გადაწყვეტილებით. ხალხმა ყაჩაღად გავარდნილ მკვლელს სიკვდილი მიუსაჯა და იგი დაქირავებულ მკვლელს მოაკლევინა.[1229]

გ. ჟორდანია ქართლის მაგალითზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მის მიერ ქართლში მასალების შეგროვების მომენტისთვის (XX საუკუნის დასაწყისი) ზოგიერთ ადგილას, არა ყველგან, გვხვდება შემთხვევები, როდესაც მკვლელობა ადგილობრივ მცხოვრებთა თვალთახედვით საჯარო სამართალდარღვევად ყალიბდება. მას მოჰყავს რამდენიმე ფაქტი კახეთის სინამდვილიდან. ერთ-ერთი შემთხვევა ასეთია: შვილიშვილმა მოკლა პაპა ფულის გამო და გვამი გადამალა. თანასოფლელებმა გვამი აღმოაჩინეს და მკვლელი მდინარის პირას ქვებით ჩაქოლეს.[1230] გ. ჟორდანიას მითითებით, მის მიერ მოყვანილი მაგალითები კახეთის სინამდვილიდანაა, თუმცა ქართლშიც იგივე ვითარებას ჰქონდა იმდროისათვის ადგილი.[1231]

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ამ რეგიონებში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, მესხეთი, ლეჩხუმი, ქართლ-კახეთი, ქსნის ხეობა) ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისისთვის, მკვლელობისას, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი იყო ხალხურის წესით საჯარო ხასიათის სასჯელების შეფარდება, როგორიცაა ბოიკოტის გამოცხადება, გაძევება, ასევე სიკვდილით დასჯაც. ამ ხასითის სასჯელების შეფარდება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მკვლელიც და მოკლულიც ერთი სოფლის თუ თემის მცხოვრებნი იქნებოდნენ და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ხალხური თვითმმართველობის ინსტიტუტის იურისდიქციაში

1226 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1989,

1227 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1989, 1-2.

1228 იქვე, 13, 15; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 12.

1229 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 6-7.

1230 გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

1231 იქვე.

იქნებოდა ამ საქმეების ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე განხილვა. რაც შეეხება დარისხებას, მისი გამოყენება მკვლელობის შემთხვევაში, შესაძლოა მაშინაც მოეხდინა თემს, საზოგადოებას, როდესაც მკვლელი სხვა, უცხო თემის, სოფლის მცხოვრები იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოტანილი მაგალითების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მკვლელობის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზეც. ჩვენს მიერ მოტანილ ორ შემთხვევაში საზოგადოებამ მკვლელი სიკვდილით დასაჯა, როდესაც ადგილი ჰქონდა ახლო ნათესავის მკვლელობას, თანაც ნაკლებადმნიშვნელოვანი მიზეზით. ერთ შემთხვევაში შვილიშვილმა მოკლა პაპა ფულის გამო, მეორე შემთხვევაში კი მამამ შვილი მის ხეზე მსხლის დაკრეფის გამო. ამდენად, ამ მაგალითების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოცემულ საზოგადოებაში მკვლელობის შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ახლო ნათესავის მკვლელობა, თუ ეს მოხდებოდა რაიმე ნაკლებადმნიშვნელოვანი მიზეზით, ან სრულიად უმიზეზოდ. ცხადია, თუ მკვლელობა მოხდებოდა მსხვერპლის მხრიდან რაიმე ძალადობის, უზნეო საქციელის ჩადენის გამო, საზოგადოება მკვლელს ასე მკაცრად აღარ დასჯიდა და შესაძლოა პასუხისმგებლობაც არ დაეკისრებინა მისთვის.

თავი მეორე

სხეულის დაზიანება – დაჭრა-დასახიჩრება და ცემა – ქართულ ჩვეულებით სამართალში

შესავალი

მკვლელობასთან ერთად ქართულ ჩვეულებით სამართალს მნიშვნელოვანი ყურადღება მიუქცევია სხეულის დაზიანებისთვისაც, განსაკუთრებით, დაჭრა-დასახიჩრებისათვის. უპირატესად, ეს მთის რეგიონებს ეხება, სადაც საკმაოდ ხშირად ჰქონია ადგილი ადამიანის სხეულის დაზიანებას, რამაც განაპირობა ამ დანაშაულის სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა.

დაჭრა-დასახიჩრებისათვის გარკვეული ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საზოგადოების განვითარების უძველესი ეტაპიდან ყალიბდება, სავარაუდოდ უკვე კომპოზიციათა სისტემის შემოღების დროიდან. დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების სისტემას ფაქტიურად ყველა ხალხის დაწერილ თუ დაუწერელ სამართალში ვხვდებით. გამონაკლისი არც საქართველოა. ამ სისტემის საფუძვლად აღებული იქნა მკვლელობისათვის გათვალისწინებული სრული სისხლი. დაჭრა-დასახიჩრებისათვის სრულ სისხლზე მეტი გადასახადის დაკისრებას რასაკვირველია არსად ჰქონდა ადგილი. სხვადასხვა ხასიათის თუ სიმძიმის ჭრილობისათვის გათვალისწინებული საზღაურის გამოთვლა სწორედ მოცემულ საზოგადოებაში დაწესებული სრული სისხლიდან გამომდინარე ხდებოდა, მაგალითად, ამა თუ იმ ჭრილობისათვის საზღაური იყო სრული სისხლის ნახევარი, ან სრული სისხლის მესამედი და ა. შ. ჭრილობის საზღაურად თუ კონკრეტული გადასახადი იყო დადგენილი (არა სრული სისხლიდან გამომდინარე, მაგალითად, 5 ძროხა, 15 ძროხა და ა. შ.), იგი მაინც განისაზღვრებოდა სრული სისხლის ოდენობის გათვალისწინებით.

დაჭრა-დასახჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურის ოდენობა თავდაპირველად, საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ნაკლებად დიფერენცირებული იყო და მისი განვითარების კვალობაზე ხდება დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურთა სისტემის გართულება და გამრავალფეროვნება, ასევე სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს გვთავაზობს მ. კოსვენი. იგი გადმოგვცემს ერთ-ერთ კუნძულზე მცხოვრები, განვითარების პრიმიტიულ დონეზე მცხოვრები ზანგი ტომის ჩვეულებას: განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენებული მძიმე ჭრილობის შემთხვევაში დამნაშავეს, ან მის ნათესავს იჭერენ და მიყავთ დაზარალებულის ქოხში. ის ვალდებულია უმკურნალოს ავადმყოფს და მზრუნველობა გაუწიოს მას. მკურნალობის შედეგი წყვეტდა ბრალდებულის ბედს. თუ დაჭრილი გარდაიცვალა, დატყვევებულზე შურს იძიებენ, თუ გამოჯამრთელდა ათავისუფლებენ. მხოლოდ სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილის, ორგანოს დაკარგვის შემთხვევაში გათავისუფლებამდე უნდა გადაიხადოს ჯარიმა.[1232] აქ ჩანს, რომ ადრეულ ეტაპზე დელიქტის შედეგად

1232 М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе. М., 1925, 101.

თუ არ არის სახეზე გარეგნულად გამოხატული ადამიანის შრომისუნარიანობის რეალური ზიანი, საერთოდ არ არის ანაზღაურება.[1233]

მსგავს ჩვეულებას ვხვდებით ერთ-ერთი სამხრეთ-აფრიკული ტომის, ოვამბოს სინამდვილეშიც. აქაც დაჭრილი გადაეცემა სამკურნალოდ თვითონ ბრალდებულს ან მის ახლობელს. თუ დაჭრილი გამოჯანმრთელდა, არ იხდიან არაფერს, თუ მოკვდება – გადახდება სრული სისხლი, როგორც მკვლელობისათვის.[1234] მ. კოსვენის განმარტებით, ზუსტად ასევეა სხვა სამართლებრივი სისტემებითაც – მცირე ჭრილობებისათვის გადასახადი არაა. ასე იყო ზანგების ზოგიერთ ტომში, ტუნგუზებში, ბურიატებში, ყირგიზებში, ზოგიერთ დაღესტნის ხალხებში. ბევრი ნახევრადკულტურული ტომების ჩვეულებით სამართალში, მსუბუქი ჭრილობები საერთოდ არ არის ტაქსირებული.[1235]

ამ მონაცემებით კარგად ჩანს, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე, პასუხისმგებლობა დაჭრისათვის ძირითადად გამოიხატებოდა დამნაშავის მიერ დაზარალებულის მკურნალობის და მოვლის ხარჯების გაწევაში. მხოლოდ მძიმე დაჭრა, დასახიჩრება, რასაც მოჰყვა დაზარალებულის შრომის უნარისათვის ზიანის მიყენება, იწვევდა დამატებით გარკვეული საზღაურის გადახდას.

საზოგადოების განვითარების კვალობაზე ხდებოდა დაჭრა-დასახიჩრებისათვის დადგენილი გადასახადების თანდათანობითი დიფერენციცია. მ. კოსვენის განმარტებით, შედარებით პრიმიტიულ დონეზე ადგილი ჰქონდა დასახიჩრების გათანაბრებას მკვლელობასთან, რადგანაც ადამიანს განიხილავდნენ როგორც შრომის ერთეულს, ხოლო დასახიჩრება, რითაც ხდებოდა მისი შრომისუნარიანობის შეზღუდვა, მისი, როგორც სამეურნეო ერთეულის განადგურებად აღიქმებოდა. მაგ., მაზაელებთან ფეხი სრულ კომპოზიციას უდრიდა, ზანგურ სუახელის ტომში დასახიჩრება და მკვლელობა თანაბრად იყო შეფასებული. შემდეგ ეტაპზე ხდებოდა დასახიჩრების მკვლელობისაგან განსხვავებული შეფასება, კერძოდ, მრავალი ხალხის სამართალში გავრცელებული იყო ნორმა, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი დასახიჩრება შეფასებული იყო სრული სისხლის ნახევრად. შემდეგ, ხდებოდა უმნიშვნელოვანესი ორგანოების (ხელი, ფეხი, ყური, ცხვირი, ენა) სრული მოკვეთისათვის ნახევარი სისხლის დადგენა. ცხადია, სხვადასხვა ხალხში განსხვავებულ შეფასებასაც ჰქონდა ადგილი, თუმცა ყველგან ეს ტაქსაცია, ძირითადად, მექანიკური იყო.[1236] მ. კოსვენის განმარტებით, წმინდა მექანიკური შეფასებიდან გადახვევას ადგილი ჰქონდა იშვიათად, და მას მაგალითად, ფრიზულ კოდექსებთან ერთად, მოჰყავს ქართული კოდექსებიც, რომელთა მიხედვითაც, მარჯვენა ხელი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე მარცხენა, ხოლო ხევსურული სამართლით, მარჯვენა თვალი უფრო მეტად, ვიდრე მარცხენა.[1237]

დროთა განმავლობაში დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული ტარიფები კიდევ უფრო დიფერენცირებული ხდება. გარკვეულ პრობლემას, მ.

1233 იქვე.

1234 იქვე, 102.

1235 იქვე.

1236 იქვე, 103-104.

1237 იქვე, 106.

კოსვენის მოხედვით ქმნიდა შემთხვევა, როდესაც ხდებოდა არა ამა თუ იმ ორგანოს სრული დაკარგვა, არამედ მხოლოდ დაზიანება, ან მისი ფუნქციის არასრული მოშლა. აქ კანონი ერთგვარად მერყეობდა ზარალის დადგენის სირთულის გამო მყარი განაკვეთის დადგენისაგან.[1238] გერმანული სამართლის შედარებით გვიანდელმა ძეგლებმა, როგორც მ. კოსვენი ამბობს, უარი თქვეს ასეთ მერყეობაზე და დაადგინეს პრინციპი: ორგანო, რომელიც არ არის განადგურებული, არაა მოკვეთილი, მოგლეჯილი, არამედ დატოვებულია ადგილზე ფასდება ნახევარი ღირებულებით ამ ორგანოს მთლიანი განადგურებისა.[1239]

საინტერესოა, რომ მ. კოსვენს დაჭრა-დასახიჩრებისათვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი საზღაურების სისტემის შემდგომი განვითარების მაგალითად მოჰყავს ქართული სამართლის ძეგლი. ეს განვითარება კი გამოიხატება იმაში, რომ ჭრილობის შეფასების ფიქსაციის სირთულის გამო სამართალი დაინტერესებულ მხარეებს აგზავნის მესამე პირებთან სამედიციოდ. ასეთია მაგალითად, ბექა-აღბუღას სამართლის პოზიცია.[1240]

ბუნებრივია, რომ დაჭრა-დასახიჩრებისათვის დაწესებულ გადასახადს ემატებოდა მკურნალობის ხარჯი.

ჩვენი ინტერესის საგანი ცხადია არის ის თუ აღნიშნული თვალსაზრისით რა ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენს ხელთ არსებული XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ მასალების თანახმად, საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში XIX-XX საუკუნეებშიც შემორჩა ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით დადგენილი გადასახადების სისტემა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებისათვის. მხედველობაში გვაქვს სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი. საქართველოს ყველა ამ კუთხეში ფიქსირდება კონკრეტული, ფიქსირებული გადასახადი მკვლელობისათვის. დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების დადგენა კი მისი ოდენობის გათვალისწინებით ხდებოდა, ცხადია, მასზე ნაკლები ოდენობით და მიყენებული ზიანის ხარისხის გათვალისწინებით.

მასალების მიხედვით, ამ კუთხეებში გვხვდება სხეულის ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული ფიქსირებული გადასახადი, კერძოდ, მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის ნახევარი (ძირითადად სვანეთში, ასევე ხევსურეთში), ასევე გვხვდება შედარებით ნაკლები ხარისხის სახიჩრობისთვის (ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის არასრული მოშლისთვის) სრულ სახიჩრობასთან შედარებით ნაკლები გადასახადის განსაზღვრა. დაჭრის შემთხვევაში კი ფიქსირდება გადასახადის დადგენა მედიატორების, შუაკაცების მიერ გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული შუალედის ფარგლებში, ჭრილობის სიმძიმის გათვალისწინებით, ასევე კონკრეტულ ადგილას მიყენებული, განსაზღვრული ხასიათის ჭრილობისათვის წინასწარ დადგენილი გადასახადი.

საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში (აჭარა, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, მესხეთი, ხევი, ქსნის ხეობა) ჩაწერილი აღნიშნული პერიოდის მასალების მიხედვით, აღარ ფიქსირდება ადგილობრივი ჩვეუ-

1238 იქვე.

1239 იქვე, 107.

1240 იქვე, 109.

ლებითი სამართლით გათვალისწინებული კონკრეტული, წინასწარ დადგენილი გადასახადები დაჭრა-დასახიჩრებისათვის. ამ რეგიონების უმრავლესობაში დაჭრა-დასახიჩრება, როგორც დანაშაული, განსახილველ პერიოდში, ძირითადად, სახელმწიფო სამართლის მოქმედების არეალში იყო მოქცეული, ამდენად, მისთვის ჩვეულებითი სამართლით დაწესებული გადასახადების სისტემა უკვე აღარ მოქმედებდა და არც ინფორმატორთა მეხსიერებას იყო შემორჩენილი. თუ ამ კუთხეებში დაჭრა-დასახიჩრებისას მაინც ექნებოდა ადგილი მხარეთა მორიგებას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე (რასაც გარკვეულ სიტუაციებში განსახილველ პერიოდში ჰქონდა ადგილი, ზოგ აღნიშნულ რეგიონში უფრო ნაკლები, ზოგან კი უფრო მეტი ინტენსიობით) გადასახადის ოდენობას (თუ მისი გადახდა გახდებოდა საჭირო) კონკრეტული ზიანის გათვალისწინებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგენდნენ შუაკაცები, რომლებიც მხარეთა შერიგებას ახორციელებდნენ. რა უნდა გამხდარიყო დაჭრა-დასახიჩრების ხალხური წესით განხილვის მიზეზი იმ რეგიონებში, სადაც აღნიშნული დანაშაული ძირითადად სახელმწიფო სამართლის გავლენას ექვემდებარებოდა და სახელმწიფო ორგანოების განხილვის ობიექტს წარმოადგენდა? თვით მასალებში არის გარკვეული მინიშნებები ამის თაობაზე. კერძოდ, ზოგიერთი ინფორმატორი მიუთითებს იმას, რომ დამნაშავე შუაკაცს მიუგზავნიდა დაზარალებულს და შერიგებას შეეცდებოდა, იმიტომ რომ, ამ უკანასკნელს არ ეჩივლა სახელმწიფო ორგანოებში და სახელმწიფოს მხრიდან სასჯელს გადარჩენილიყო. შერიგების ნიშნად გარკვეული ქონებრივი საზღაურის გადახდა (ფულის, საქონლის, თუ მიწის სახით), ან მხარეებს შორის დამოყვრება, „ნათლიობა“ ხდებოდა საწინდარი იმისა, რომ დაზარალებული აღარ ჩიოდა და დავა ჩვეულებითი სამართლის სფეროს არ სცილდებოდა.[1241] შესაძლოა, დაზარალებულის ინტერესშიც ყოფილიყო სახელმწიფო სტრუქტურების გარეშე საქმის მოგვარება. ამ თვალსაზრისით საინტერესი მაგალითს ვხვდებით მ. კედელაძის მიერ რაჭაში ჩაწერილ მასალებში. ინფორმატორი ყვება: „მენშევიკების დროს ვალიკო ალექსის ძე რეხვიაშვილს თავისდაუნებურად თოფი გაუვარდა და მსუბუქად დაჭრა გიორგი თაზოს ძე რეხვიაშვილი და მძიმედ დაჭრა პავლე მამუკას ძე რეხვიაშვილი. მათ შორის წარმოიშვა უკმაყოფილება და დაზარალებულმა ვალიკოს მოსთხოვა იმ ზარალის ანაზღაურება, რაც დაჭრის შედეგად განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანონი იმ დროს სრულებით მოქმედებდა, პავლემ ვალიკოს თავისი ზარალი იურიდიული სამართლით კი არ მოსთხოვა, არამედ შუაკაცებით. ე. ი. ხალხური სამართლით. შუაკაცად მე თვითონაც ვიყავი. იმ პირობით მოვარიგეთ, რომ, ვალიკოს პავლესთვის უნდა გადაეხადა 370 თუ 400 მანეთი.“[1242] ინფორმატორისავე განმარტებით, დაზარალებულმა იმიტომ არ მიმართა სახელმწიფო ორგანოებს და ხალხური სამართლით გადაწყვიტა საქმის მოგვარება, რომ არ სურდა საქმის გამწვავება, რადგანაც დამნაშავის დაჭერას შესაძლოა მოჰყოლოდა მტრობა, უსიამოვნება.[1243] როგორც ვხედავთ, აქ თვით რაჭველი ინფორმატორის მიერაა ხაზგასმული, თუ რატომ ამჯობინა დაზარალებულმა მიემართა ხალხური სამართლისათვის და არა სახელმწიფო ორ-

1241 იხ. გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 36.

1242 მ. კედელაძე რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 14-15.

1243 იქვე.

განოსთვის. ასეთი დამოკიდებულება დაზარალებულებს ყველა შემთხვევაში, ცხადია, არ ექნებოდათ, თუმცა კონკრეტული სიტუაციიდან გამოდინარე სრულიად შესაძლებელია დაჭრა-დასახიჩრების საქმის გადაწყვეტა სწორედ აღნიშნული მოტივაციით დაზარალებულს სრულიად შეგნებულად მიენდო ჩვეულებითი, ხალხური სამართლისათვის და არა სახელმწიფო ორგანოებისათვის.

ზოგიერთ კუთხეში, სადაც დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების წინასწარ დადგენილი სისტემა არ არსებობდა, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ნაკლებად იზღუდებოდა სახელმწიფო სამართლის მხრიდან (ეს ძირითადად მთის რეგიონებს ეხება) და დაჭრა-დასახიჩრების დროსაც კონფილიქტის დარეგულირება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შედარებით ხშირად ხდებოდა, ვიდრე იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო სამართლის მოქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავდა ჩვეულებით სამართალს.

გამომდინარე იქედან რომ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ფიქსირდება დაჭრა-დასახიჩრებისათვის წინასწარ დადგენილი გადასახადების სისტემა, ლოგიკური იქნება თუ ჩვენ თავდაპირველად განვიხილავთ დაჭრა-დასახიჩრებას, როგორც დანაშაულს სწორედ ამ კუთხეების მიხედვით, ხოლო შემდეგ, შედარებით მოკლედ შევეხებით ამ ინსტიტუტს იმ კუთხეებში, რომლებშიც დაჭრა-დასახიჩრებისათვის წინასწარ დადგენილი გადასახადები არ გვხვდება.

ჩვენი კვლევის ძირითადი ობიექტი, ცხადია, სწორედ ის კუთხეები იქნება, სადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დაჭრა-დასახიჩრებისათვის წინასწარ დადგენილი გადასახადების სისტემა ფიქსირდება. ჩვენ შევეხებით დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადებს ადამიანის სხეულის ცალკეული ორგანოების მიხედვით და სხეულის დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად სხვადასხვა ავტორთა თუ ადგილობრივ ინფორმატორთა მონაცემები გადასახადების ოდენობის შესახებ ერთგვაროვან დაზიანებებთან დაკავშირებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განპირობებული უნდა იყოს ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მიზეზებით, რაც მისი ნაკლებრეგლამენტულობიდან გამომდინარეობს. ეს მიზეზებია „ალაგისა და გვარის წესი," რაც გულისხმობს რომ ერთი კუთხის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში, თემსა თუ სოფელში შესაძლოა სხეულის ერთგვაროვანი დაზიანებისას განსხვავებული ოდენობის გადასახადები ყოფილიყო. ასევე შესაძლოა ამ განსხვავების მიზეზი ყოფილიყო ის, რომ გადასახადთა განსხვავებული ოდენობები სხვადასხვა პერიოდში იყო დაფიქსირებული. ჩვეულებითი სამართლის კონსერვატიული ბუნების მიუხედავად სრულიად შესაძლებელი იყო გადასახადების ოდენობა დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით შეცვლილიყო, თუნდაც გაცვლის ძირითადი ეკვივალენტის კურსის ცვალებადობის გამო, ასევე, სხვა რაიმე გარემოებაც შესაძლოა გამხდარიყო აღნიშნული განსხვავებულობის მიზეზი. არაა გამორიცხული ცალკეული ავტორი თუ ადგილობრივი ინფორმატორი მცდარ ინფორმაციასაც გვანვდის და ესეც განაპირობებს მონაცემების განსხვავებულობას. ჩვენ შევეცდებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ავხსნათ ამ განსხვავებათა მიზეზები.

ყველაზე სრულყოფილი მონაცემები დაჭრა-დასახიჩრების შესახებ, ისე როგორც ჩვეულებითი სამართლის სხვა საკითხებზე, გვხვდება სვანეთსა და

ხევსურეთში. დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების სისტემა ყველაზე უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი სახით XX საუკუნის განმავლობაშიც კი შემორჩა ხევსურეთში.

აღსანიშნავია რომ, ხევსურეთში არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ამ გადასახადების სისტემის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეუტანია თვით ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს. აღნიშნულ გადმოცემას ალ. ოჩიაური მასალებში ვხვდებით: „ჭრილობების რჯული დაადგინეს მეფე ერეკლემ და როშკელმა მამუკა ბახალიშვილმა. მამუკა ბახალიშვილი იყო სახელგანთქმული ხევსური და მუდამ ცხოვრობდა მეფე ერეკლეს კარზე. ირაკლის ბახალიშვილი ძალიან უყვარდა, რადგან ის მჭერვმეტყველი კაცი იყო და ხევსურეთში დიდი ავტორიტეტი ქონდა და საჭირო დროს ირაკლი აქაც იყენებდა მას. ამ დროს ხევსურეთში ძალმომრეობა და ჭრა-ჭრილობა იყო და ამის გასარჩევად კანონი არ არსებობდა. მერე ერეკლე მეფემ და ბახალიშვილმა ყველა ასო შეაფასეს ადამიანისა, ჭრილობა ყველა ადგილზე, ჭრილობის სიგრძე, სიღრმე, ძვალი და სხვა. ამ რჯულის შეფასება-დადგენაზე ბევრი იმუშავეს და ბოლოს, ხევსურეთში ცხოვრებაში გაატარეს დადგენილი რჯული. მეფე ირაკლი ხევსურებს ღვთაებრივად მიაჩნდა და ბახალიშვილი მისი მხლებელიც გავლენიანი კაცი იყო ხევსურეთში და მათი დადგენილი რჯული ხევსურებმა მტკიცედ მიიღეს და შესწორება აღარ შეუტანიათ ამ რჯულში."[1244] ალ. ოჩიაურის სხვა ინფორმატორი იგივე შინაარსის გადმოცემას შედარებით კორექტირებული სახით გვაწვდის. მის მიხედვით, ერეკლე II-მ დაავალა ბახალიშვილს დაედგინა არა მარტო დაჭრა-დასახიჩრებისათვის განსაზღვრული გადასახადების სისტემა, არამედ მამკალ-მამკვდრობის წესებიც. ბახალიშვილს ეს გაუკეთებია ერთ ცოდნით სახელგანთქმულ ქისტთან ერთად. მათ შეუფასებიათ ხელის, ფეხის, თავის, თვალის, ცხვირის, ყურის და სხვა დაზიანება და წარუდგენიათ მეფისთვის. მეფეს მოუწონებია მათ მიერ დადგენილი რჯული და ნება დაურთია ცხოვრებაში გასატარებლად."[1245] როგორც ჩანს, პირველი ინფორმაციით, მეფეს უშუალო მონაწილეობა მიუღია ხევსურული ჭრა-ჭრილობის რჯულის დადგენაში მამუკა ბახალიშვილთან ერთად, მეორე ინფორმაციით კი მას დაუვალებია ამის გაკეთება ბახალიშვილისთვის და მის მიერ ჩამოყალიბებული სამართლის ნორმების სანქციონირება მოუხდენია. ჩვენი მიზანი არ არის დავადგინოთ, თუ რამდენად რეალურია აღნიშნული გადმოცემა. მხოლოდ ვიტყვით, რომ საკმაოდ საეჭვოდ გვეჩვენება ალ. ოჩიაურის ინფორმატორის ნათქვამი ერეკლე II-ის მიერ ხევსური რჯულის, კერძოდ, ჭრა-ჭრილობის რჯულის შექმნის, ან მის მიერ სანქციონირების შესახებ. ამას ადასტურებს ის, რომ თვით ალ. ოჩიაურის მასალებში არის გარკვეული მონაცემები ხევსური სამართლის, რჯულის ნორმების სხვაგვარი გზით დადგენის შესახებ, კერძოდ, ჯვარ-სალოცავებში შეკრებილი ხევსურეთის მოწინავე ხალხის მონაწილეობით, თუ ქადაგის მეშვეობით.[1246]

ამასთან, არსებობს ალ. ოჩიაურის სხვა ინფორმატორების მნიშვნელოვნად განსხვავებული ნაამბობი ერეკლე II-ისა და მამუკა ბახალიშვილის ურთიერ-

1244 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 3–4.

1245 ალ. ოჩიაური, მასალები სამამო მინისმფლობელობის შესაზებ ხევსურეთში, 1953, პირადი არქივი, რვეული №11, ამონყვეტილი გვარები (მამები) ხევსურეთში, 124.

1246 იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 22-25.

თობის შესახებ ხევსურულ რჯულთან დაკავშირებით. ალ. ოჩიაურის მიხედვით, ზოგიერთი ხევსური კი უკავშირებს ხევსურული რჯულის შექმნას ერეკლე II-სა და ბახალიშვილს, თუმცა არიან ხევსურები რომელთა მონაყოლის მიხედვით:„ბახალიშვილი იყო მცოდნე კაცი, იმან კარგად იცოდა ხევსურეთის რჯული და ირაკლი მეფესთანაც კარგი განწყობილება ქონდაო. ირაკლი რომ ხევსურეთში ამოვიდოდა ბევრი გასარჩევი საქმეები დახვდებოდა. იმასთან ჩიოდნენ როგორც მეფესთან. რადგან ირაკლი მათ იახლოვებდა რიდი არ ქონდა ხევსურებს და ირაკლიც მათი დაახლოების მიზნით არჩევდა მათს საქმეს და ამ დროს გამოუძახებდა ბახალიშვილს როგორც რჯულის მცოდნეს, ეკითხებოდა რჯულის წესებს და ასე არჩევდა ხევსურების საქმეებს, ყველას კი არა, რა თქმა უნდა მძიმე საქმეს.“[1247] ცნობილია, რომ ერეკლე II მთელი სამეფოს მასშტაბით საკმაოდ აქტიურად მოსამართლეობდა და ამალაში ყოველთვის ახლდა თან რომელიმე მდივანბეგი, რომელიც მას სამოსამართლეო ფუნქციების განხორციელებაში ეხმარებოდა. როგორც ჩანს ამ მხრივ გამონაკლისი არც ხევსურეთი იყო და მეფე აქაც ეხმაურებოდა ხოლმე ადგილობრივთა თხოვნას გაერჩია მათი სადავო საქმეები. ბუნებრივია ერეკლე ამას ადგილობრივი რჯულის მიხედვით ახორციელებდა და მდივანბეგის დამხმარე როლს ხევსურეთში სწორედ მამუკა ბახალიშვილი ასრულებდა, როგორც მეფესთან დაახლოებული პირი და ხევსური რჯულის საუკეთესო მცოდნე. ეს უკანასკნელი გადმოცემა ერეკლე II-სა და მამუკა ბახალიშვილს ხევსურული ჭრა-ჭრილობის რჯულის შემოქმედებად ან სანქციონირების მიმცემებად კი არ წარმოაჩენს, არამედ გვიჩვენებს, რომ ერეკლე II-ის დროს ხევსურული რჯული, მათ შორის ჭრა-ჭრილობის რჯული უკვე არსებულა და მეფე ბახალიშვილის დახმარებით კონკრეტულ ურთიერთობებს უფარდებდა მის ნორმებს. ჩვენ ეს მეორე გადმოცემა უფრო რეალურად გვეჩვენება, რომელიც შედარებით ზუსტად უნდა ასახავდეს ერეკლე II-ის დამოკიდებულებას ხევსურული რჯულისადმი. მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებისა, როგორც ჩანს, ხევსურეთში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო თავდაპირველად მოყვანილი გადმოცემაც. ხევსურეთში ერეკლე II-ის უდიდესი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის რწმენა რომ ხევსური სამართლის ნორმების შემუშავებაში გარკვეული წვლილი ერეკლე II-ს შეუტანია და ისინი მისი ხელდასმითაა მოქმედებაში შესული, თუნდაც ეს არ იყოს რეალურად მომხდარი ფაქტი, უაღრესად შეუწყობდა ხელს ხევსურეთში ამ ნორმებისადმი პატივისცემას, მათი შესრულების უზრუნველყოფას და სიმყარეს.

1. სხეულის დაზიანებასთან, როგორც დანაშაულთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები

1.1. დაჭრა-დასახიჩრების როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება. დაჭრა-დასახიჩრების, როგორც დანაშაულის ხელყოფის ობიექტი იყო ადამინის ჯანმრთელობა. ჯ. მერაბიშვილი ფშაურ სამართალზე საუბრისას მართებულად აღნიშნავს, რომ „ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩვეულებით სამართალში საბოლოოდ ორ სახემდე დაიყვანება და გამოიხატება

[1247] იქვე, 20-21.

დაჭრითა და დასახიჩრებით."[1248] ეს თეზისი შესაძლოა მთელ ქართულ ჩვეულებით სამართალზე გავრცელდეს. მასალების მიხედვით, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კონტექსტში ძირითადად სწორედ დაჭრასა და დასახიჩრებაზე შეგვიძლია საუბარი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მონაცემს ცემის შესახებ. ცემასაც შესაძლოა გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის გარკვეული ხარისხით დაზიანება თუ დაზარალებულისათვის ტკივილის მიყენება. ჩვენ უპირატესად დაჭრა-დასახიჩრებაზე გვექნება საუბარი, რადგანაც ძირითადი ცნობები მის შესახებ მოგვეპოვება.

ცხადია, დასახიჩრება უფრო მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა, ვიდრე დაჭრა. მასალების მიხედვით, პირველი დაკავშირებულია ადამიანის რომელიმე ორგანოს ისეთ დაზიანებასთან, რომელიც იწვევს მის მოკვეთას (სრულად ან ნაწილობრივ), თუ მისი ფუნქციის სრულ ან ნაწილობრივ მოშლას მუდმივად ან ხანგრძლივი დროის მანძილზე. დაჭრა კი გულისხმობს ადამიანის კანის ქსოვილის მთლიანობის დარღვევას, დაზიანებას, იარის მიყენებას, რომელიც განკურნებადია და არ იწვევს სხეულის ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციის რაიმე ხასიათის მოშლას. ჯ. მერაბიშვილი მიუთითებს რომ დაჭრამ შეიძლება ჯანმრთელობის მხოლოდ დროებითი მოშლა გამოიწვიოს და საჩინარიც იყოს (მაგალითად, სახეზე მიყენებული ჭრილობა) ან ნარუშლელი კვალიც დატოვის ნაიარევის სახით.[1249]

მასალების ანალიზის საფუძველზე ერთ-ერთ ჩვენს ნაშრომში დავადგინეთ, რომ დაჭრა-დასახიჩრება ქართულ ჩვეულებით სამართალში ცალსახად კერძო სამართლებრივ დანაშაულად გვევლინება. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებით სამართალში.[1250] როდესაც დაჭრა-დასახიჩრების საქმე ჩვეულებითი სამართლით ირჩეოდა დამნაშავე დაკისრებულ საზღაურს, როგორც წესი, დაზარალებულს უხდიდა და არავითარი სხვა პასუხისმგებლობა მას არ ეკისრებოდა. გამონაკლისი არსებობდა ე. წ. საბატონო სვანეთში. აქ დაჭრა-დასახიჩრების საქმეები ჩვეულებრივ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მედიატორების მიერ განიხილებოდა. თავადი, როგორც მკვლელობისას ამის საშუალებას იძლეოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც დამნაშავედ ცნობილი პირისგან იგი ჯარიმას იღებდა. დაჭრა-დასახიჩრებისას ჯარიმის ოდენობა 100 მანეთი იყო.[1251] ამდენად, სათავადო სვანეთში თავადის ძალაუფლების არსებობისას დაჭრა-დასახიჩრებაც კერძო ხასიათის გადასახადდთან ერთად საჯარო ხასიათის სახდელსაც ითვალისწინებდა.

კონკრეტულად დაჭრა-დასახიჩრების, როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათების ასპექტში მასალები საშუალებას გვაძლევს მოკლედ შევეხებით მას დანაშაულის სუბიექტური მხარის, თანამონაწილების, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების თვალსაზრისით.

მასალების მიხედვით კარგად ჩანს დაჭრა-დასახიჩრებასთან მიმართებით სუბიექტური შერაცხვის ელემენტები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა სვანური ჩვეულებითი სამართალი. სვანური მასალების მიხედვით აშკარად ჩანს,

1248 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 52.

1249 იქვე.

1250 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 28.

1251 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 19.

რომ უნებლიე დაჭრისთვის პასუხისმგებლობა არსებითადაა შემცირებული, რაც სვანური ჩვეულებითი სამართლის მიერ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინების კიდევ ერთი მინიშნებაა. მ. კეკელიას არაერთი სვანი ინფორმატორი მიუთითებს, რომ არაგანზრახი დაჭრა უფრო მსუბუქად ისჯებოდა, ვიდრე განზრახი.[1252] მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ხელის და ფეხის გაუფრთხილებლობით გაფუჭებისთვის შესაძლოა საქმე მხოლოდ დაზარალებულისათვის საჩუქრების მიტანით დასრულებულიყო.[1253] საერთოდ კი უნებლიე დაჭრა განზრახი დაჭრის ნახევრად ფასობდა. ინფორმატორს კონკრეტული მაგალითიც მოყავს, რომლის მიხედვითაც, ერთმა ბავშვმა მეორეს შემთხვევით თვალი დაუზიანა. ამისათვის დაზარალებულს გადაუხადეს ორი ნალჯომი მიწა, მაშინ როდესაც იგივე დანაშაულის განზრახ ჩადენისათვის დამნაშავეს 4 ნალჯომს დააკისრებდნენ.[1254] 1963 წელს მომხდარ ერთ დაჭრასთან დაკავშირებით მორევებმა დამნაშავის ფიცის საფუძველზე ჩათვალეს რომ, დანაშაული მოხდა შეცდომით, განზრახვის გარეშე და დამნაშავეს დააკისრეს 26 000 მანეთი (ე. წ. ძველი კურსით) და არა 50 000 მანეთი, როგორც ეს განზრახი დაჭრისას იქნებოდა.[1255]

არაგანზრახი, იშობრივ ჩადენილი დაჭრა-დასახიჩრებისას პასუხისმგებლობის შემცირება ფიქსირდება ხევსურეთშიც, კერძოდ, მ. კეკელიას მიერ შექმნილი „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ 1988 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით. კერძოდ, ამ პერიოდის ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი აღნიშნავს, რომ იშობრად დაჭრისას გადასახადი ნახევრდება.[1256] თინა ოჩიაურის 1980 წელს ჩაწერილ მასალაში ასევე ვხვდებით დადასტურებას იმისას, რომ სხეულის არაგანზრახი დაზიანებისათვის, კერძოდ, იშობრად გახაიბრებისათვის გადასახადი ნახევარი „სახაიბროა". ეს მონაცემი ფიქსირდება კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში, როდესაც შუღლში მეშვლობისას ერთ-ერთ არხოტელ (ამღელ) პიროვნებას ხელი გაუხაიბრეს. ამ საქმეზე რამდენჯერმე გაიმართა რჯული, რომლებზეც ვერ შეთანხმდნენ იშობარი გახაიბრებისას სრულად უნდა აენაზღაურებინა სახაიბრო დაზარალებულისათვის, თუ სანახევროდ. ბოლოს ამ საკითხზე აზრი კითხეს სოფელ ჩირდილში მცხოვრებ მოხუცს – აპარეკათ მამუკას – ხევსურული რჯულის კარგად მცოდნეს. სწორედ მან დაადასტურა რომ იშობრად ჩადენილი გახაიბრებისთვის ნახევარი „სახაიბრო" უნდა გადახდილიყო და არა სრული.[1257] აღსანიშნავია, რომ ხევსურეული რჯულით, არაგანზრახი დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადის განახევრება ჩვენს ხელთ არსებული მხოლოდ ამ მასალებით ფიქსირდება. შედარებით ადრინდელ მასალებში (მაგალითად, რ. ხარაძის, ალ. ოჩიაურის და სხვა) ასეთი რამ არ გვხვდება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ფრაზა ალ. ოჩიაურის მასალებიდან: „მნიშვნელობა არ ჰქონდა

1252 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1967. 25, 58.

1253 იქვე, 34.

1254 იქვე, 56.

1255 იქვე, ეთნოგრაფიული რეეული №3, 1968, 69-70.

1256 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 18-19, 61; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 54.

1257 თ. ოჩიაური, ერწო-თიანეთის ექსპედიციის მასალები (საველე დღიური), 1980, პირადი არქივი, თ. ო. 55, 8-10.

შუღლში ვისი ბრალი იყო. რჯული მაინც თავის წესით გარჯულავდა ჭრილობის მიხედვით."[1258] ცნობილია რომ ობიექტური შერაცხვის ელემენტები ყველაზე მეტად ხევსურულ რჯულს შემორჩა, მაგრამ, როგორც ჩანს, XX საუკუნის ბოლო პერიოდში ხევსურული რჯულით დაჭრა-დასახიჩრებისას უკვე ითვალისწინებდნენ გარკვეულ სუბიექტურ ფაქტორებს.[1259]

მ. კეკელიას სვანეთში ჩაწერილ მასალებში ასევე მოიპოვება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც დაჭრა-დასახიჩრებისას ზოგადად ანგარიში ეწეოდა სუბიექტურ ფაქტორებს და არა მხოლოდ იმას, დანაშაული განზრახ იყო ჩადენილი თუ უნებლიედ. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მან როგორც მორევმა (მედიატორმა) დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას გაითვალისწინა ის გარემოება რომ დამნაშავემ დაზარალებული უმიზეზოდ სცემა და დაჭრა, ასევე ისიც რომ პირველი დარტყმის შემდეგ დაზარალებულმა გონება დაკარგა და გონებადაკარგულს დამნაშავემ კიდევ ორჯერ დაარტყა.[1260] მორვების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გათვალისწინება სხეულის დაზიანების შემთხვევაშიც ჩანს.

ამ მონაცემებით დაჭრა-დასახიჩრებასთან დაკავშირებითაც დასტურდება რომ მ. კეკელიას მიერ მასალების ჩაწერისას სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება ბალს ზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალში მყარად იყო დამკვიდრებული, განსხვავებით შედარებით ადრინდელი პერიოდისაგან.

განზრახვის გარეშე დაჭრა-დასახიჩრებისას პასუხისმგებლობის შემცირება, ასევე, პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გათვალისწინება აჭარაში, ხევში, ფშავში, ქართლში და სხვა რეგიონებში ჩაწერილ მასალებშიც ფიქსირდება.[1261]

გარკვეული მონაცემები მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში გვხვდება სხეულის დაზიანებისას თანამონაწილის პასუხისმგებლობის შესახებ. ეს პასუხისმგებლობა იმაში გამოიხატებოდა რომ, ჯგუფური დაჭრის თუ ცემის შემთხვევაში, შერიგებისას სხეულის უშუალო დამზიანებელი ჩვეულებრივ აგებდა პასუხს და სრულად იხდიდა გადასახადს, ხოლო თანმხლებს, მის თანამონაწილეს, თანაამსრულებელსაც გარკვეულ გადასახადს ახდევინებდნენ, კერძოდ, არაუმეტეს იმის მესამედს, რასაც აკისრებდნენ ჭრილობის უშუალოდ მიმყენებელს, ან ნაკლებს, როგორც ჯგუფური მკვლელობის შემთხვევაში.[1262] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ ორი ამხანაგიდან ერთი დააკავებდა მოწინააღმდეგეს, მეორე კი დაჭრიდა, დაჭრისათვის გათვალისწინებულ გადასახადს ორივეს თანაბრად აზღვევინებდნენ.[1263] ასევე, დაჭრა-დასახიჩრების მაპროვოცირებლის პასუხისმგებლობაც ფიქსირდება სვანურ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის მაპროვოცირებლის ანალოგიურად.[1264] ამ დანაშაუ-

1258 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1, 5.

1259 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 122-123.

1260 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 26-27.

1261 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 130-135.

1262 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 43-44.

1263 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 43..

1264 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 160-164.

ლის შემთხვევაშიც სვანური სამართალი პასუხისმგებლობას არ აკისრებს დანაშაულის წამქეზებელს.[1265] დანაშაულის მაპროვოცირებლის გარკვეულ პასუხისმგებლობას ვხვდებით ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც.[1266]

სხეულის დაზიანების ჩადენა სიმთვრალეში ითვლებოდა თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად დამოკიდებული იყო ამ დანაშაულის შედეგზე. ინფორმატორთა მონაცემებით სიმთვრალეში მძიმე დაჭრისადმი ისეთივე დამოკიდებულება არსებობდა, როგორც სიმთვრალეში მკვლელობისადმი – პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ადგილი არ ჰქონდა.[1267] ასეთი მძიმე დანაშაულებისათვის სვანეთში რაიმე შეღავათს ვერავის გაუწევდნენ. სხეულის მსუბუქი დაზიანებისას კი სიმთვრალე შესაძლებელია გამხდარიყო პასუხიმგებლობის შემამცირებელი ფაქტორი.[1268] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი პირდაპირ საუბრობს რომ მკვლელობისა და მძიმე დაჭრისაგან განსხვავებით, სიმთვრალეში მსუბუქი დაჭრისას თუ მშრალი გარტყმისას ვცდილობთ დაზარალებულის თვალში შევამსუბუქოთ და დავაკნინოთ დამნაშავის მოქმედება, ვეუბნებით: რა მოხდა მერე სიმთვრალეში ჩაიდინა თქო.[1269]

ზოგიერთი მონაცემით, ხევსურეთში გარკვეულწილად პასუხისმგებლობის დამძიმებას ჰქონდა ადგილი, როდესაც დამჭრელი დაჭრილს ჭრილობის მიყენებისას შეწირავდა საკუთარ მიცვალებულს. ამ დროს დამჭრელი იტყოდა: „უნცროსიმცა ხარ მამიჩემისაო," ე. ი. მას საიქიოში ემსახურეო. ამ დროს ერთი ზედმეტი საკლავი უნდა გადაეხადა დამნაშავეს.[1270]

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ფაქტორს დაჭრა-დასახიჩრებისას წარმოადგენდა სხეულის დაზიანების მიყენება ჩადენილი სალოცავში, მის ტერიტორიაზე. ამ საკითხზე ჩვენ სხვა ნაშრომში გვქონდა საუბარი, სადაც აღვნიშნეთ, რომ ამ ტერიტორიაზე ჩადენილი სხეულის დაზიანება აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებული საზღაურის გარდა ითვალისწინებდა ჯვარში საკლავის მიყვანას.[1271] ამ საკლავის დაკვლა ხდებოდა ჯვარის კარის და დროშათ სანათლავად. ჯვრის დროშა საკლავის დაკვლამდე ჯვრის კარზე რჩებოდა გადმოკიდებული ჯარიმის არგადამხდელის სამრისხველოდ.[1272]

ხევსურეთში, ისე როგორც საქართველოს მთის სხვა რეგიონებში, მთიელთა რაინდული ბუნებიდან გამომდინარე მიუღებელი და საძრახისი იყო, რომ დაეჭრათ მცირეწლოვანი, ქალი, მოხუცი.

დაჭრისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას ხევსურეთში წარმოადგენდა ასევე, უიარაღო, „იარაღაყრილი" კაცისათვის სხეულის დაზიანების მიყენება. ხევსურეთში იარაღაყრილად ითვლებოდა 60 წელს გადაცილებული კაცი, რომელიც ასაკის გამო იარაღს – ხანჯალს და ფარ-ხმალს აღარ ატარებს და ამიტომ ითვლება იარაღაყრილად. თუ მოხდებოდა უიარაღოსათ-

1265 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1967, 39.

1266 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 152-160.

1267 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1967, 58; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №5, 1968-1969. 45.

1268 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1967, 58

1269 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №5, 1968-1969, 45.

1270 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1271 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 198-200.

1272 გ. დავითაშვილი, იქვე, 380, ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, 46.

ვის სხეულის დაზიანების მიყენება, დამჭრელს დაზარალებულისათვის გარდა ჭრილობისათვის გათვალისწინებული დრამისა დამატებით უნდა გადაეხადა 5 ხელითი ძროხა, ან მიეყვანა და დაეკლა ერთი საკლავი და შერიგებისას სახლში საკლავითა და სასმლით მისვლა იყო აუცილებელი.[1273]

საქართველოს მთის რეგიონებში თანაბრად ფასდებოდა ქალისა და კაცის დაჭრა-დასახიჩრება. ამის დამადასტურებელი ცნობები ხევსურეთთან დაკავშირებითაც გვხვდება. კერძოდ, ნ. ხიზანაშვილი და ს. მაკალათია მიუთითებენ რომ ხევსურული სამართალი ერთნაირად სჯის ქალისა და კაცის დაჭრასა და გახაიბრებას.[1274]

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა ქალისათვის სხეულის დაზიანების მიყენება მამაკაცის მხრიდან, გაუფრთხილებლობის და შემთხვევითობის შედეგად იშვიათად ამასაც ჰქონდა ადგილი (მაგალითად, იარაღით მოშუღლარი მამაკაცების გაშველებისას). ბ. გოგოჭურის მონაცემით, ქალის ტანსა და სხეულზე მიყენებული ჭრილობა ისევე იანგარიშება და ფასდება, როგორც მამაკაცის სხეულზე მიყენებული, მხოლოდ არ იანგარიშება და არ ფასდება პურისა და ქერის მარცვლების დადებით ქალისათვის სახეზე მიყენებული ჭრილობა, ხოლო შერიგებისას აუცილებელია დაზარალებულის ოჯახში მისვლა საკლავითა და სასმელით.[1275] ბ. გოგოჭური ქალისთვის მიყენებულ ჭრილობაზე საუბრის ბოლოს მიუთითებს, რომ მისთვის მიყენებული ჭრილობისათვის ხელითი დრამა უდრის 5 ხელით ძროხას, მიუხედავად ჭრილობების სიმძიმის ხარისხისა[1276]

აქ გარკვეულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. მანამდე აღნიშნულია, რომ ქალის ჭრილობა გარდა სახეზე მიყენებულისა, ისევე ფასდება როგორც მამაკაცის სხეულზე მიყენებული. ქალის სხეულზე მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა (გარდა სახეზე მიყენებულისა), თუ ისე შეფასდა როგორც მამაკაცის დაჭრის შემთხვევაში, მაშინ ყველა ჭრილობა, ცხადია, 5 ძროხის ღირებულების ვერ იქნებოდა. თანაც თუ ქალისათვის მიყენებული ყველა ხასიათის ჭრილობა 5 ძროხა ღირდა, მაშინ რა აზრი ჰქონდა საუბარს იმაზე, რომ ქალის ჭრილობა მიყენებული სხეულზე ისევე ფასდებოდა როგორც მამაკაცისთვის მიყენებული, ხოლო სახის ჭრილობა განსხვავებულად? შესაბამისად, ქალის ყველა ჭრილობის ხუთ ძროხად შეფასება მცდარი მონაცემი უნდა იყოს. ბ. გოგოჭურის საარქივო, სამუშაო ჩანაწერების ნახვამ ფაქტიურად დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე. ბ. გოგოჭურის დასაბეჭდად გათვალისწინებულ ხელნაწერში ცალსახად ჩანს, რომ 5 ძროხად ფასდებოდა მხოლოდ ქალის სახეზე მიყენებული ჭრილობა და არა ქალისათვის მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა[1277]. თუ 5 ძროხად ფასდება ქალისათვის მხოლოდ სახის არეში მიყენებული ჭრილობა, როგორც ამ მონაცემით გამოჩნდა და არა ნებისმიერი, მაშინ აღნიშნული წინააღმდეგობა მოხსნილია, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია ქალისათვის მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა, სახეზე მიყენებულის გარდა, ისევე ფასდებოდეს,

1273 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 19-20.

1274 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 53; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 53.

1275 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 44.

1276 ბ. გოგოჭური, იქვე.

1277 ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეეული: „ჭრა-ჭრილობა", 48.

როგორც მამაკაცისათვის მიყენებული.

პურისა და ქერის მარცვლების დადებით ხევსურეთში სახეზე მიყენებული ჭრილობის სიმძიმე და შესაბამისად მისთვის საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა ჭრილობის სიგრძის მიხედვით – რაც მეტი მარცვალი დაეტეოდა სახეზე მიყენებულ ჭრილობაზე, მით მეტი იქნებოდა გადასახადიც. ბ. გოგოჭურის მიხედვით კი ქალის სახეზე მიყენებული ჭრილობა ამ წესით არ ფასდებოდა და ქალის სახის არეში მიყენებული ნებისმიერი ჭრილობისათვის გადასახადი 5 ძროხის ოდენობის იყო. საპირისპირო მონაცემს ვხედებით მ. ბალიაურთან. მის მიხედვით, ქალისათვის პირისახეზე მიყენებული ჭრილობა ისევე ფასდებოდა, როგორც მამაკაცის სახეზე მიყენებული. დაჭრილისაგან დაზარალებულს უნდა მიეღო საუკეთესო ხარისხის „საქონი“ (სპილენძის იარაღი და სხვა). თუ არ მოეწონებოდა დაჭრილს ეს „საქონი“, ის უკან დაუბრუნებდა დამნაშავეს და ეს უკანასკნელი იძულებული იყო ყველაზე საუკეთესო „საქონი“ გაეგზავნა დაზარალებულისთვის.[1278]

როგორც ვხედავთ, ბ. გოგოჭურის მონაცემით, ქალისთვის სახის არეში მიყენებული ჭრილობა მამაკაცისაგან განსხვავებულად ფასდებოდა, მ. ბალიაურის თანახმად, კი ქალის სახის ჭრილობის შეფასების წესი ისეთივე იყო როგორც მამაკაცის ჭრილობისა, თუმცა ქალის დაჭრისათვის განსაზღვრული დრამა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის „საქონისგან“ უნდა ყოფილიყო შემდგარი (წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს მისი უკან დაბრუნება შეეძლო), რაც არ ხდებოდა მამაკაცის დაჭრის შემთხვევაში. ქალისთვის მის გარეგნულ სახეს, სილამაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. შესაბამისად, ქალისთვის სახეზე მიყენებული ჭრილობა, მითუმეტეს წარუხოცელი იარა, უფრო მგრძნობიარე და მნიშვნელოვანი ზიანი იყო, ვიდრე მამაკაცისთვის. შესაძლოა, ამის გამო უნდა მომხდარიყო მისი სახის ჭრილობისათვის საზღაურის გადახდა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის დრამით, ან სახის ჭრილობის შეფასება მამაკაცისგან განსხვავებულად (ყველაზე უფრო მსუბუქი ჭრილობისაც 5 ძროხად), როგორც ამას ბ. გოგოჭურის მონაცემებში ვხვდებით.

ბ. გოგოჭურის და მ. ბალიაურის განსხვავებული მონაცემი ქალის სახის ჭრილობის შეფასებასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ შეიძლება აიხსნას ხევსურეთის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული წესის არსებობით (მაგალითად, მ. ბალიაურის მონაცემები მეტწილად არხოტის თემს ეხება). ბ. გოგოჭურისგან განსხვავებულ მონაცემს აფიქსირებენ ნ. ხიზანაშვილი და ს. მაკალათიაც. მათი ცნობა, რომ ხევსურული რჯული ერთგვაროვნად სჯის ქალისა და კაცის დაჭრა-დასახიჩრებას, სახის ჭრილობაზეც ვრცელდება. ამდენად, ბ. გოგოჭურის მონაცემი ქალის სახის ჭრილობის შეფასების წესის შესახებ, სხვა მონაცემებისაგან განსხვავებულია.[1279] ტარიელ და იოსებ არაბულები ადასტურებენ ბ.

1278 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 319.

1279 ამ საკითხზე საუბრისას უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალის სახის არეში დაჭრა ხევსურეთში შესაძლოა მომხდარიყო ცოლის მიერ ქმრის დანუნების თუ ღალატისას. ცოლის მიერ ქმრის დანუნების შემთხვევაში მას ქმრისათვის უნდა გადაეხადა გარკვეული რაოდენობის გადასახადი, ე. წ. „სამწუნობრო“. ქმრის მიერ მისი დამწუნებელი ცოლის სახის არეშის დაჭრის შემთხვევაში, თუ მხარეების შერიგებას ექნებოდა ადგილი, მაშინ რჯულის კაცები (მედიატორები) ქალისთვის მიყენებულ ჭრილობას, როგორც ნესი, „სამწუნობროში“ გაბრიდნენ და ქალს აღარაფრის გადახდა აღარ მოუწევდა (ამ საკითხზე უფრო სრულად საუბარი გვექნება მეხუთე თავის მესამე ნაწილში). როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში ქალის სახის არეში მიყენებული ჭრილობის გაზომვა მარცვლებით არ ხდებოდა და ქალისათვის მიყენებული ჭრი-

გოგოჭურის ამ მონაცემს. მათი განმარტებით, ქალისათვის სახეზე მიყენებული ჭრილობა არ იზომება და 5 ხელითი ძროხა ღირს, დამატებით შერიგებისას კი მოითხოვს „სისხლიან" ანუ ცოცხალ საკლავს და სასმელს, რაც ასევე 5 ძროხას უდრის.[1280]

ხევსურეთში მცირეწლოვნად და არასრულწლოვნად ითვლებოდა მოზარდი 15-16 წლის ასაკამდე, რის შემდეგაც ის იარაღს აისხამს და სრულწლოვან მამაკაცად ითვლება. მიუხედავად ამისა, მოზარდისა და არასრულწლოვანისათვის მიყენებული სხეულის დაზიანება ისევე განიხილება და იანგარიშება, ფასდება დრამით, როგორც სრულწლოვანისათვის მიყენებული სხეულის დაზიანება. შერიგება ხდება დაჭრილი მცირეწლოვნის, თუ არასრულწლოვნის მშობლებთან და უფროს წარმომადგენლებთან ერთად.[1281]

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება პასუხისმგებლობის დაკისრება ნათესავის დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში. ნათესავის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ სხვა ნაშრომში[1282], ვრცელდება სხეულის დაზიანების შემთხვევებზეც. ამჯერად, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ნათესავის სხეულის დაზიანება ძირითადად პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, სვანეთში გვარის (სამხუბის) შიგნით მძიმე დაჭრის შემთხვევაში სისხლის აღება არ ხდებოდა და დამნაშავეს გადასახადი უნახევრდებოდა.[1283] მისი ცნობიდან, რომ გვარის შიგნით მკვლელობის, მძიმე დაჭრის და ცოლის წაგვრის გარდა ყველაფერს შეუნდობენ,[1284] გამომდინარეობს, რომ სხეულის სხვა, შედარებით მსუბუქი დაზიანება გვარის შიგნით პასუხისმგებლობას საერთოდ არ იწვევდა. მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ნათესავის დაჭრისას, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა საერთოდ ეპატიებინათ დამნაშავისათვის.[1285] აღსანიშნავია ისიც, რომ ახლო ნათესავის, ოჯახის წევრის დაჭრა-დასახიჩრების დროს პასუხისმგებლობაზე გავლენას ახდენდა დამჭრელისა და დაჭრილის ერთად, გაუყოფლად ცხოვრების ფაქტორი. მაგალითად, სვანი ინფორმატორების მიხედვით, ქმარი ცოლის დაჭრისას პასუხს არ აგებდა თუ ცოლი აგრძელებდა მასთან ცხოვრებას. მხოლოდ თუ ცოლი დაჭრის შემდეგ წავიდოდა ქმრისგან, ან ქმარი გაუშვებდა მას, თუნდაც დაჭრიდან მრავალი წლის შემდეგ, ცოლს შეეძლო დაჭრისთვის საზღაურის მოთხოვნა.[1286] მსგავსი ცნობა ხევსურეთთან დაკავშირებითაც გვხვდება. ნ. ხიზანაშვილის მიხედვით:

ლობა „სამწუნობროს" ღირებულებად ფასდებოდა. სრულიად შესაძლებელია, რომ როდესაც ბ. გოგოჭური საუბრობს ქალის სახის არეში მიყენებული ჭრილობის შეფასებისას მისი ქერისა და პურის მარცვლებით გაზომვის არ გამოყენებაზე, იგი ასეთ შემთხვევასაც გულისხმობს.

1280 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 7-8. ტარიელ არაბულმა ეს მონაცემი მომაწოდა მამის – ხეთისო ივანეს ძე არაბულის და ივანე მამუკას ძე წიკლაურის ხევსურული რჯულის შესახებ ჩანაწერების საფუძველზე. სავარაუდოდ ბ. გოგოჭური განსახილველ საკითხზე სწორედ ამ მონაცემს დაეყრდნო.

1281 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 43.

1282 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 212-221.

1283 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 107.

1284 იქვე.

1285 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 36.

1286 იქვე, 56-57.

„ცოლის გახაიბრებაც სისხლს თხოულობს, თუ ცოლი ქმრის სახლში არა სცხოვრობს, თუ მამასთან, ძმასთან ან ახლო ნათესავთან არის შეხიზნული.“[1287] ხევსურეთში ძმის დაჭრისათვის პასუხისმგებლობას ს. მაკალათია ასევე უკავშირებს მათ ერთად ცხოვრებას. მისი განმარტებით, ძმებმა ერთმანეთი გაყრამდე თუ დაჭრეს ხევსურული რჯულით დრამა არ დაეკისრებათ. გაყრის შემდეგ კი დამჭრელი ჩვეულებრივ იხდის დადგენილ გადასახადს.[1288]

განსხვავებულ მონაცემს გვაწვდის ბ. გოგოჭური, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების მიყენება ოჯახის წევრისა და სხვა ძმა-ბიძაშვილებისათვის, მიუხედავად დაზიანების სიმძიმისა, არ ექვემდებარება შურისძიებას და არ ითვალისწინებს დრამის გადახდას.[1289] აღნიშნული ახლო ნათესავის სხეულის დაზიანებისას შურისძიება სხვა მასალებშიც არ ფიქსირდება. ოჯახის წევრის და სხვა ახლობელი ძმა-ბიძაშვილების სხეულის დაზიანებისას ბ. გოგოჭურის მონაცემით დრამის გადაუხდელად შერიგება შეიძლება იყოს გამოელენა ახლო ნათესავებს შორის დანაშაულის ჩადენისას პასუხისმგებლობის შერბილების თუ გაუქმების, დამნაშავის პატიების ტენდენციისა, რაც მაგალითად, ახლო ნათესავის მკვლელობასთან დაკავშირებით აღინიშნა შედარებით გვიან დაფიქსირებულ მასალაში.

სვანეთის მსგავსად ნათესავის დაჭრისას, დამნაშავის სრულ პატიებას ხევსურეთში დაფიქსირებულ მონაცემებშიც ვხვდებით. შესაბამისი ცნობები 1988 წელს ჩაწერილ მასალაში მოიპოვება. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს მისი რამდენჯერმე დაჭრის ფაქტს. ერთ შემთხვევაში მას კეჭნაობისას, შემთხვევით, ისე რომ არ უნდოდა თითი მოაჭრა მისმა ცოლის ძმამ. ინფორმატორი ამბობს, რომ „რადგან ჩემი ცოლის ძმა იყო და შემთხვევით მოუხდა არაფერი გადავახდევინე – „ჩვენ წეს ეგეა.“[1290] იგივე ინფორმატორის თქმით, ის კიდევ ერთხელ, ამჯერად შუბლში დაჭრა ასევე ნათესავმა (ცოლის ძმის ბიძაშვილმა). ჭრილობაზე 5-6 მარცვალი დაეტია, თუმცა დაზარალებულმა შესაბამისი საზღაურის მიღებაზე უარი თქვა, რადგანაც დამჭრელი მისი ნათესავი იყო და ჭრილობის მიყენება შემთხვევით მოხდა.[1291] ეს კონკრეტული შემთხვევები გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში XX საუკუნის II ნახევარში (როცა აღნიშნულ დაჭრებს ჰქონდა ადგილი) დაზარალებულს მართლაც შესაძლოა სრულად ეპატიებინა დამჭრელისათვის, თუ იგი ნათესავი იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევებში მოხდა პატიება არასისხლით ნათესავისა (ცოლის ძმა, მისი ბიძაშვილი) და მიუთიმეტეს იგივე უფრო რეალური იქნებოდა სისხლით ნათესავის, ახლო ბიძაშვილის სხეულის დაზიანებისას. მოყვანილ მაგალითებში დაზარალებულის ამ გადაწყეტილების განმაპირობებელი ფაქტორი დამჭრელის ნათესაობის გარდა იყო ასევე დაჭრის შემთხვევითი ხასიათი. დაზარალებულის ნათქვამი, რომ არაფერი გადაახდევინა, რაკი დამჭრელი ნათესავი იყო და შემთხვევით მოუხდა და ეს წესადაა, მიუთითებს, რომ დაზარალებულის ეს გადაწყვეტილება ხევსურეთში დამკვიდრებულ წესებს ეფუძნებოდა და მხოლოდ მისი სუბიექტუ-

1287 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 53.

1288 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1289 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 45.

1290 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 71-72.

1291 იქვე, 72-73.

რი დამოკიდებულების გამოხატულება არ იყო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, XX საუკუნის II ნახევრისათვის პიროვნების დაჭრა ნათესავის მიერ შესაძლოა დაზარალებულის მიერ დამნაშავის სრული პატიების, დრამის გარეშე შერიგების საფუძველი გამხდარიყო, რისი წესად ჩამოყალიბების გარკვეული ნიშნებიც ფიქსირდება. აღნიშნული გარემოება კი ასახულია ბ. გოგოჭურის ზემოთმოტანილ მონაცემში, რომლის მიხედვითაც ოჯახის წევრისა და ახლო ძმა-ბიძაშვილის სხეულის დაზიანებისას შერიგება დრამის გადახდის გარეშე ხდება.

მკვლელობის მსგავსად დაჭრა-დასახიჩრების დროსაც პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველასათვის თანასწორი იყო და რაიმე პრივილეგიით არავინ სარგებლობდა. ბალსზემო სვანეთში კი ვარგის სხეულის დაზიანების შემთხვევაშიც ვარგის მკვლელობის მსგავსად ორმაგი გადასახადი იყო დადგენილი.[1292]

სხეულის დაზიანებისას, როგორც წესი, დამნაშავისადმი ქონებრივი საზღაურის დაკისრებას ჰქონდა ადგილი. მ. კეკელიას მასალებით ჩანს, რომ სხეულის დაზიანებისათვის მისჯილი ნორის ანაზღაურება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლოა მომხდარიყო გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულების დაკისრებით. მ. კეკელიას ერთ-ერთ ინფორმატორს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ხელში მძიმედ დაჭრისას მორევებმა დამნაშავეს დააკისრეს ნახევარი წორი. რადგანაც დაზარალებული ამ დროს სახლს აშენებდა და ხელის დაზიანებამ მას მშენებლობის გაგრძელების საშუალება აღარ მისცა, მორევებმა გადაწყვიტეს დამნაშავეს დაკისრებოდა დაზარალებულის სახლის მშენებლობის გაგრძელება საკუთარი მასალით და მუშახელით. მშენებლობის დასრულების შემდეგ მორევები ისევ უნდა შეკრებილიყვნენ და შეემოწმებინათ შესრულებული სამუშაო. თუ მისი ღირებულება ნახევარ წორზე მეტი იქნებოდა, დაზარალებულს უნდა დაებრუნებინა ეს ზედმეტობა, თუ პირიქით, დააკლდებოდა დაკისრებული გადასახადის ოდენობას, დამნაშავეს უნდა დაემატებინა საზღაური.[1293] ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულისათვის უფრო აქტუალური სახლის მშენებლობის დასრულება იყო, რაც გაითვალისწინეს მორევებმა და დამნაშავეს დაკისრებული წორის ანაზღაურება შესაბამისი სამუშაოს შესრულებით მოსთხოვეს. ასეთი რამ სრულიად თავსებადია ჩვეულებითი სამართლის პრინციპებისადმი. ჩვეულებითი სამართალი თავისი ნაკლებად რეგლამენტურობიდან გამომდინარე საშუალებას აძლევს მისი ნორმების შემფარდებლებს მოქნილნი, არაორდინალურნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღებისას და იგი შეძლებისდაგარად შეუთავსონ კონკრეტულ სიტუაციას, მაქსიმალურად გაითვალისწინონ დაზარალებულის ინტერესი.

1.2. ტერმინების შესახებ. სხეულის ამა თუ იმ ორგანოს სახიჩრობა ქართული სამართლის ძეგლებით ძირითადად გამოიხატება ტერმინით – დაშავება.[1294] ჯ. მერაბიშვილის მიხედვით ეს ტერმინი იგივე მნიშვნელობით ფშაური რჯულისთვისაც არის ცნობილი.[1295] მისივე განმარტებით, დასახიჩრების პარალე-

1292 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 26..

1293 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 27-29.

1294 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 416, 428, 493, 494.

1295 ჯ. მერაბიშვილი, დასახ. ნაშრ., 60.

ლურად საქართველოს მთიანეთსა და ბარის რიგ რეგიონებში გამოიყენება ასევე ტერმინი – გახეიბრება, გახაიბრება.[1296] სვანეთში დასახიჩრება ადგილობრივი ინფორმატორების მიხედვით გამოიხატება ტერმინით – გაფუჭება (ცხადია, სვანურიდან პირდაპირი ნათარგმნის სახით). ინფორმატორის თქმით, ხელის გაფუჭება, ფეხის გაფუჭება გულისხმობს ხელის და ფეხის დასახიჩრებას, მის მოკვეთას, ფუნქციის სრულ მოშლას.[1297]

ხევსურეთთან დაკავშირებულ მასალაში გვხვდება დასახიჩრების აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი. კერძოდ, ხშირად გვხვდება ტერმინი გახაიბრება,[1298] გახმობა,[1299] გაუხმარება,[1300] შედარებით იშვიათად გაფუჭება,[1301] გამკლევება[1302], ასევე, თვითონ დასახიჩრება.[1303] გახმობიდან, გაუხმარებიდან არის ტერმინი „საუხმრე," „საუხმრე დრამა", ანუ გადასახადი დასახიჩრებისათვის, რომელიც შედარებით დიდი ოდენობისა იყო.[1304] იგივე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი – „სახაიბრო".[1305] ხევსურულ მასალებში ხშირად შეხვდებით ფრაზებს: „ხელი გაუხმო", „ხელი გამკლევდა", „გაახეიბრა", „გახეიბრებული" და სხვა.

დაჭრის აღსანიშნავად ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ხშირად გვხვდება საკუთრივ ტერმინი „დაჭრა", ასევე „დაკეჭნა."[1306]

ფშავ-ხევსურეთში დაჭრა და დასახიჩრება გამოიხატება ერთი ტერმინით – ჭრა-ჭრილობა. ჯ. მერაბიშვილის მიხედვით ჭრა-ჭრილობის რჯული მოიცავს მთელ პროცესს – შებრძოლებას, დაჭრას, მკურნალობას, ჭრილობის შეფასებას, საზღაურის გადახდას, მხარეთა შერიგებას და სხვა.[1307] ჭრილობას ეძახიან ასევე „ნაჭრევს", დაჭრილს ეწოდება „ნაჭრევიანი". დამჭრელს „მენაჭრეე," ხოლო მათი საქმე „ჭრა-ჭრილობად" იწოდება.[1308] თავში მიყენებულ ჭრილობას

1296 იქვე. მაგალითად, ტერმინი გახაიბრება, „გასახაიბრებელი" გვხვდება ვახტანგის სამართლის წიგნის 251-ე მუხლში (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 544).

1297 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 26, 34.

1298 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 62, 64; №4, 3; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/6, 68; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172, 173; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95; ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52, 53.

1299 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 64; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9, 10, 45, 81; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 41; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172, 173; ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელინდეული", 1923-1924, 141.

1300 იხ. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1, 5, ა. ო. 6/2, 18; ა. ო. 6/3, 31.

1301 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1302 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 45.

1303 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 6, რვეული №3, 41; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1304 იხ. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა, ო. 6/5, 54; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

1305 თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 13.

1306 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, გვ. 172; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1307 ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 52.

1308 ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 164; ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელინდეული", 1923-1924, 141; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

ეწოდება „თავის ნაჭრევი“, ხელ-ფეხზე მიყენებულ ჭრილობას კი „ჴელ-ფეჴის ნაჭრევი,“ სახეზე მიყენებულ ჭრილობას კი „პირისახის ნაჭრევი“ და სხვა.[1309]

1.3. დაჭრა-დასახიჩრების გავრცელებულობა. შუღლის, კეჭნაობის თავისებურებანი საქართველოს მთიანეთში. საქართველოს მთის რეგიონებში დაჭრა-დასახიჩრება უაღრესად გავრცელებული მოვლენა იყო, რის გამოც ადგილობრივმა ჩვეულებითმა სამართალმა მას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. დაჭრა-დასახიჩრება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ძირითადად შუღლს, კეჭნაობას მოჰყვებოდა ხოლმე და სწორედ ამ მოვლენასთან ასოცირდებოდა. როგორც ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი ამბობს: „შუღლიც, ჭრა-ჭრილობაც ხევსურეთის მიწა-წყალს მაუდის.“[1310] შუღლი, კეჭნაობა მთიელი ვაჟკაცის მუდმივად თანმდევი მოვლენა იყო და რაინდული სულის ჩამოყალიბებას, მის მეომრად ფორმირებას უწყობდა ხელს. კარგი მოშუღლარები სახელგანთქმულ ვაჟკაცებად ითვლებოდნენ. შუღლის, კეჭნაობის გავრცელებულობა სახელის ძიების ფაქტორითაც იყო განპირობებული. ალ. ოჩიაურთან ასეთ ჩანაწერს ვხედავთ: „...მაშუღლარი (მოჩხუბარი) კაცი სახელოვან კაცად ითვლებოდა – „ხელ გამოტანილი კაცი“, მაგას ერთ კაც ვერ დახკრავს, ხუთთ ჭრისად – ხუთით უფასებს, ერთ მგელ ვერ შაშჭამს, სიწითეს ვერავინ გამაართომს (ვერავინ დაასისხლიანებს), ეგეთ შვილი უნდა გაზარდოს დედამ ..... ხშირად ისიც ყვებოდა ქებას და ამაყობდა ..... ასეთი ახალგაზრდა ქალებსაც მოსწონდა, საქებ ლექსებსაც ეუბნებოდნენ.“[1311] ზუსტად იგივეს ადასტურებს ს. მაკალათიაც: „კეჭნაობა ვაჟკაცობად ითვლება და ქალებში კარგი მოკეჭნავე დიდ მოწონებაშია: „ქალისპირა ბიჭს უფრო მაუდის ჩხუბი და კეჭნა ქალების სათვალფროდ“-ო. ვინც კეჭნაობას გაურბის, მას ზრახავენ, ბეჩავი და მხდალიო....“[1312] გ. თედორაძის განმარტებით ხევსურები ხშირად იწვევდნენ ერთმანეთს კეჭნაობაში და როგორც წესი სხვა გვარის წარმომადგენლებს. მოგვარეები იშვიათად იშუღლებდნენ. იგულისხმება ახლო მოგვარეები, თორემ შორეული მოგვარეებში ჩვეულებრივ ადგილი ჰქონდა დაჭრა-დასახიჩრებას.[1313] სავარაუდოდ, ახლო მოგვარეებში ავტორი ერთი მამიშვილობის წევრებს გულისხმობს, ხოლო შორეულ მოგვარეებში ამ გვარის სხვა მამიშვილობის წევრებს.

ხევსურეთში შუღლი ჩვეულებრივი და გავრცელებული მოვლენა რომ იყო ამას ისიც ადასტურებს, რომ იშვიათობას წარმოადგენდა ხევსური, რომელიც არ იყო დაჭრილი სახეზე, თავში, ხელში, ან სხვა არ ჰყავდა დაკეჭნილი.[1314] ალ. ოჩიაური ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ხევსურს ვერ ნახავთ ან ხელით არ იყვეს დასახიჩრებული, ან ფეხით, ან თვალით, პირისახე და თავი ხომ სულ დაჩეხილი აქვს ყველას. ზოგიერთს, რომელიც უფრო მამაცობით არის ქებული, თავზე თითი არ დაედებოდა, რომ ჭრილობა არ ჰქონოდა მიყენებული. ისეთი გმირი წინათ სახელქებული იყო, ვინც ბევრს დასჭრიდა და ბევრს დაეჭრევინე-

---

1309 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/16, 180.

1310 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 155.

1311 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 1.

1312 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 93.

1313 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 110.

1314 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, გვ. 151; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 49.

ბოდა.[1315] ვაჟა იხსენებს რომ, მას უნახავს ზოგიერთი ხევსური, რომლის თავზე 50 „ნაჭრევი“ დაუთვლია, ზოგი მსუბუქი, ზოგი კი ისეთიც, რომელშიც ცერიც კი ჩაჯდებოდა.[1316]

შუღლი შესაბამისი იარაღით ხდებოდა, კერძოდ, ფარ-ხმლით, ხანჯლით. შუღლში წარმატებული იყო ის ვინც იარაღის ხმარებაში მარდი, სწრაფი და მოხერხებული იქნებოდა. ზოგი მათგანი ისეთი მარდი და გაწვრთნილი გახლდათ, რომ ერთ ჭრილობასაც არ მიიღებდა, ხოლო მოწინააღმდეგეს რამდენიმე ჭრილობას მიაყენებდა.[1317] როგორც ალ. ოჩიაურის ჩანაწერშიც გამოჩნდა სწორედ ასეთი შესაძლებლობების მქონე მოშუღლარი იხვეჭდა სახელს. ხევსურები ბავშვობიდანვე გულმოდგინედ სწავლობდნენ კეჭნაობას, იწვრთნებოდნენ დაშნის, ფარის ხმარებაში. თავდაპირველად ხის დაშნითა და ფარით იწყებდნენ, შემდეგ კი ნამდვილ ხმალსა და ფარზე გადადიოდნენ.[1318] ასეთი სამხედრო აღზრდა, ცხადია, ხელს უწყობდა კეჭნაობის გავრცელებულობას. კარგ მოშუღლარს, ბუნებრივია, შესაბამისი იარაღიც – კარგი ხმალი უნდა ჰქონოდა. ხევსურები უპირატესად ხმარობდნენ ხევსურულ სწორ ხმალს – ფრანგულს და რკინის ფარს, დიდად ფასობდა ხმალი, ე. წ. „დავით ფერული“. მოშუღლარს ხშირად თითზე წამოცმული ჰქონდა დაკბილული რკინის „ღაჯია“[1319]. იარაღის გარეშე ხევსური არასდროს დადიოდა, რადგანაც ყველას მტერი ყავდა, რომელსაც ნებისმიერ დროს შეიძლება შეხვედროდა.[1320] ხმალს, ფარს და ღაჯიას უფრო პირაქეთ ხევსურეთში იყენებდნენ, პირიქით ხევსურეთში კი უპირატესად ხანჯალს.[1321] ვაჟას მოსწრებული შენიშვნით ხევსური უიარაღოდ ისეა როგორც თევზი უწყლოდ.[1322] ღაჯიით (სათითით) დაჭრა ნაკლებად სასახელოდ ითვლებოდა, ვიდრე ხმლით თუ ხანჯლით. ჯოხით და ქვით ჩხუბი კი ხევსურეთში სირცხვილი იყო. ასევე, თოფითაც არ შუღლობდნენ, თუ სისხლი არ ჰქონდათ ასაღები. თოფით მაშუღლარს დასცინოდნენ, იარაღით ახლო მოსვლა ვერ გაბედა და შორიდან თოფით მოერიაო.[1323] სათითით დაკაწვრა მხოლოდ უბრალო საქმეზე ხდებოდა, როდესაც წინანდელი მტრები არ იყვნენ. მტრობის გამწვავების შემთხვევაში სათითით ჩხუბს აღარ ჰქონდა ადგილი და ხმლითა და ხანჯლით ეშუღლებოდნენ ერთმანეთს.[1324]

ხევსურეთში დიდ სირცხილად ითვლებოდა შუღლისას მძიმე ჭრილობის მიყენება, რადგანაც ეს დამჭრელის სილაჩრეზე მიუთითებდა – „ტრელ (მშიშარა) ყოფილას“, იტყვის ხევსური: შაშინებულს ველარ გაუგავ, ხმალ როგორ

1315 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 185.

1316 ვაჟა-ფშაველა, ხევსურის თავი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 284.

1317 გ. თედორაძე, იქვე.

1318 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 49; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 92.

1319 ღაჯია – მეტალის ორი ან სამი რგოლისაგან შეკრული, მაღალი, ხერხისებურკბილებიანი, ცერა თითზე წამოსაცმელი, სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად გაკეთებული მეტალის რგოლი (ბ. გოგოჭური, დასახ. ნაშრ., 18).

1320 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 93; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 111

1321 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 185.

1322 ვაჟა-ფშაველა, იქვე, 285.

1323 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 1.

1324 იქვე, 1-2.

მოუქნევავისო,"[1325] ან იტყოდნენ, „ეგ რა კაცია, იარაღის ხმარება არ იცისო,"[1326] ან „სულ-მდაბალი და მხდალიაო; თავი ვერ შეიმაგრა, მკლავი ვერ დაიმორჩილა, მეშუღლეც იმიტომ „გასნირაო", მძიმედ დაკეჭნაო."[1327] სასახელოდ ითვლებოდა ხმლითა და ხანჯლით მსუბუქად დაჭრა, როდესაც მხოლოდ სისხლს გამოადენდნენ დაჭრილს. ამას ხელს უწყობდა დამჭრელის სათანადო მომზადება. კერძოდ, კარგად გავარჯიშებული ხელი მას საშუალებას აძლევდა ხმლის თუ ხანჯლის მაჯიდან მოქნევისა.[1328] გ. თედორაძე შემდეგნაირად აღწერს მსუბუქი ჭრილობის მიყენების ტექნიკას: „ხევსურულ კეჭნაობას საზოგადოდ არ ახასიათებს საბედისწერო სისხლი ღვრა, არამედ, დიდი ხნის შეჩვევა-გაწვრთნის გამო ჭრილობა უმრავლეს შემთხვევაში არის მსუბუქი, პატარა და უხიფათო. ფრიად საგულისხმოა, რომ ხმლისა ან ხანჯლის მოქნევა ჭრა-ჭრილობის დროს გარკვეული ხასიათისაა. ხმლიანი ხელის მოქნევის მომენტში მხრისა და იდაყვის სახსრები არ მონაწილეობს, არც მკლავის მამოძრავებელი კუნთები, ამ შემთხვევისათვის აამუშავებენ ხოლმე ზედმიწევნით გაავარჯიშებულ მაჯის სახსრებს და მის მომხრელს კუნთებს. ხმლის დარტყმა რომ მკლავის სრული მოქნევის ძალით ხდებოდეს, მაშინ ყოველი მოქნევა უთუოდ საბედისწერო იქნებოდა. მოქნევის დროს მაჯის მიხერა-მოხვრაც ფრიად ზომიერია."[1329]

ალ. ოჩიაურის მასალებში აღწერილია შემთხვევა, როდესაც ვინმე მიხიელ არაბულმა სოფელ წინახადუდან, რომელსაც ავტორი ახასიათებს ამაყ და მამაც პიროვნებად, სიმთვრალეში შარი აუტეხა და დაჭრა ახალა გიგაური სოფელ ბლოდან. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ მიხიელმა მსუბუქი ჭრილობა მიაყენა ახალას და ამას იმით ხსნის, რომ იგი მამაცი ადამიანი იყო, იარაღის ხმარებაში გამოცდილი და ამიტომ კაცს მძიმედ არ დაჭრიდა.[1330] როგორც ვხედავთ, მსუბუქი ჭრილობის მიყენება ხევსურეთში აღიქმებოდა იარაღის მარჯვედ ხმარების და სიმამაცის გამოვლინებად. ასეთი დამოკიდებულება მსუბუქი დაჭრის მიმართ საქართველოს სხვა მთის კუთხეებშიც ფიქსირდება და არა მარტო ხევსურეთის მეზობელ რეგიონებში, მაგალითად, ლეჩხუმში. ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი, რომელიც 1989 წელს, მასალის ჩაწერის მომენტში 95 წლისა იყო იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას: „ჩიჩინო ახვლედიანი დაჭრა ალექსი ახვლედიანმა..... ჩიჩინომ მოიგონა სიკვდილი და დაწვა ლოგინში. მისიანები მივიდნენ ალექსისთან და უთხრეს, რომ ჩიჩინო კვდება და უნდა შეურიგდე, სხვანირად არ შეიძლებაო. ალექსი მართლაც მივიდა. ჩიჩინოს ლოგინში ხანჯალი ქონდა დამალული, როცა მიუახლოვდა ალექსი, ჩიჩინომ ხანჯალი ცხვირზე ჩამოკრა და მცირე ჭრილობა მიაყენა."[1331] შემდეგ ინფორმატორი განმარტავს, რომ მცირე ჭრილობის მიყენება არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ასეთი ჭრილობის მიყენება სასახელოდ ითვლებოდა. იარაღის კარგი მხმარებელი დიდ ჭრილობას არ

1325 ვაჟა-ფშაველა, იქვე, 285.

1326 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 1.

1327 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 49-50.

1328 ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 285; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 92; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 49.

1329 გ. თედორაძე, იქვე, 111.

1330 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში ,პირადი არქივი, 6/3, 25.

1331 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3.

მიაყენებდა.[1332] კიდევ ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი გვიყვება კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც სოფელ ორბელში ჩასულმა მაყრებმა მოინდომეს ერთი ადგილობრივი ახალგაზრდის დაჭრა, ამ უკანასკნელმა კი თვითონ დაჭრა ისინი, მხოლოდ მსუბუქად. ინფორმატორის თქმით, ადრე მსუბუქი დაჭრა სასახელოდ ითვლებოდა.[1333] როგორც ვხედავთ, ლეჩხუმში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მცხოვრებ ინფორმატორებსაც ჰქონიათ გაგებული რომ, აქაც ძველად მსუბუქი დაჭრა ვაჟკაცობის გამოვლინებად აღიქმებოდა.

აღსანიშნავია რომ, ამ საკითხისადმი შედარებით განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს პირიქით ხევსურეთში, კერძოდ, შატილში. ალ. ოჩიაურის განმარტებით, თუ პირაქეთელი ხევსურები ცდილობდნენ მსუბუქი ჭრილობის მიყენებას და იტყოდნენ: „კაცი ისე რად უნდა აჩქარდეს და შეშინდეს, რომ იარაღი მაგრა დაჰკრასო," პირიქითელები ამბობდნენ: „თუ ამოვიღებ, ისე დავკრავ, რო კიდეც ეტყობოდესო."[1334] შატილელი ხევსურის დამოკიდებულება შემდეგ ნათქვამში კარგად ჩანს: „კაცს ისით უნდა გაზდოსა, რო ჯღნიან ფეჴ შიგ ჩადიოდასო". ე. ი. ისე მაგრად უნდა დაარტყას, რომ ჯღანიანი ფეხი ჭრილობაში მოთავსდესო. ისინი პირაქეთელებს დასცინიან: ციცასავით კანვრა იციანო."[1335] ასევე არხოტელებმაც იცოდნენ ხშირ შემთხვევაში ქისტების მსგავსად ხანჯლის წვერით მძიმე ჭრილობის მიყენება. ბუდე ხევსურები არხოტივნებს დასცინოდნენ კიდეც: „ხანჯარს წვერით ხმარობენ, როგორც ქისტებიო, იარაღის ხმარება არ იციანო."[1336]

შუღლისას მსუბუქად დაჭრის მისწრაფებას ისიც განაპირობებდა, რომ დამჭრელს მცირედი გადასახადის გადახდა დასჭირვებოდა. მისი მიზანი იყო ისეთი ჭრილობა მიეყენებინა მოწინააღმდეგისთვის, რომ თან სისხლიც გამოედინა და არც დრამის გადახდა დაკისრებოდა (მხოლოდ ე. წ. „საფათვლეს" გადახდით დასრულებულიყო საქმე). მძიმედ დაჭრის შემთხვევაში კი, ცხადია დიდი დრამის გადახდა მოუწევდა. გადასახადის ოდენობა კი ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ზარალის გამომწვევი ყოფილიყო, მისი ეკონომიკური განადგურება გამოეწვია. ეს ეხებოდა საშუალო და შეძლებულ ოჯახებსაც კი. ამდენად, მძიმე ჭრილობას ყველა ერიდებოდა და მსუბუქი ჭრილობის მიყენებას ცდილობდა.[1337] ამდენად, მოშუღლარს მოწინააღმდეგისათვის ჭრილობის მიყენებისას თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებაც უხდებოდა. ს. მაკალათიას მითითებით, ღარიბი ხევსური შუღლისგან თავს იკავებდა, შეძლებული კი სახელს ეძებდა, ხშირად შარზე იყო და შედარებით თამამად შუღლობდა.[1338] უნდა ითქვას რომ შარიანობა, სახელის ძიება მხოლოდ ქონებრივ შეძლებაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ხევსურეთში ყოვლთვის იყვნენ ამაყი, თავმომწონე ხალხი, რომლებიც არავის არაფრად აგდებდნენ და სულ შუღლისკენ მიილტვოდნენ, მიუხედავად მათი

1332 იქვე.

1333 იქვე, 26.

1334 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 185.

1335 იქვე, 186.

1336 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 23.

1337 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 93; გ. თედორაძე, იქვე, 113.

1338 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 93.

ქონებრივი მდგომარეობისა. სწორედ ასეთ შარიან, ამაყ, მოშუღლარ ხალხს აქებდნენ ძველ დროში. ასეთი ადამიანები ხშირად იწვევდნენ სხვებს შუღლში, რაც ბუნებრივია ხელს უწყობდა დაჭრა-დასახიჩრებათა რიცხვის ზრდას. არსებობდნენ ასევე ადამიანები, რომლებიც საშუალო კაცობის და სახელის მქონეებად ითვლებოდნენ. ეს იყო მშვიდი ხალხი, რომელთაც არ უყვარდა შუღლი და ამით სახელის მოხვეჭა. თვითონ შარს არავის აუტეხდნენ, თუმცა, როგორც წესი, არც სხვებს აჩაგვრინებდნენ თავს.[1339]

მიუხედავად მნიშვნელოვანი გადასახადისა, ხევსურეთში მძიმე ჭრილობის მიყენებას მაინც არც თუ იშვიათად ჰქონდა ადგილი. ხდებოდა რომ, მოშუღლარი ვერ მოზომავდა ხმლის თუ ხანჯლის დარტყმისას და შესაძლოა დაესახიჩრებინა და მძიმედ დაეზიანებინა მოწინააღმდეგე. ამის მიზეზი ძირითადად გადამეტებული სიმთვრალე იყო, რომელიც მოშუღლარებს ზედმეტად აღაგზნებდა და სიფრთხილეს აკარგვინებდა, ასევე მოწინააღმდეგის მხრიდან ჭრილობის მიყენება, საკუთარი სისხლის დანახვა, რაც მოშუღლარს გონებას უბინდავდა და ძალზედ აგრესიულად განაწყობდა. გ. თედორაძე აღნიშნავს, რომ გამოფხიზლების შემდეგ მოშუღლარები ძალზედ ნანობდნენ მომხდარს – დამჭრელი იმიტომ რომ მნიშვნელოვანი ხარჯი უნდა გაეღო მკურნალობის ხარჯისა და დრამის სახით, დაზარალებული კი უაღრესად წუხდა მის დასახიჩრებას, ხოლო სახიჩრობით გამოწვეული „განახევრებული ფიზიკური სიცოცხლე“ მძიმე ემოციურ განცდებს აღძრავდა მასში.[1340] დამჭრელი ცდილობდა ენუგეშებინა დაზარალებული და ასე ეტყოდა: „თეთრი ოქროთი აგილესავ მაგ ჭრილობას“, ან „ბაჯაღლო ოქროთი შეგიმკობ მაგ ჭრილობასო.“[1341] თითოეულმა ხევსურმა კარგად იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის მიერ ჭრილობის მიყენებას, თუმცა კეჭნაობა მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ამიტომაც მრავალჭრილობიანი ხევსური ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.[1342]

შუღლი, კეჭნაობა ხშირად ხდებოდა დღეობებზე, ხატობაში, ქორწილებში, ქეიფისას. ბ. გაბუურის თქმით: „ხევსურეთ ბევრჯელ მახჯდების შუღლი, უფრო ჯორწილებში და დღეობებში დასჭრიან ერთუცს.“[1343] შუღლს ვინც შეესწრებოდა, ვალდებული იყო გაეშველებინა მოშუღლარები, „გვერდის ავლა სირცხვილია.“[1344] თუ გამშველებელი დაიჭრებოდა, პასუხს ზიანის უშუალო მიმყენებელი აგებდა.[1345] ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვინ იყო შუღლის დამწყები.

განსაკუთრებული როლი გაშველებისას ჰქონდა ქალებს, რადგანაც მამაკაცებს ქალის მიმართ ხათრი ჰქონდათ. ქალი მოშუღლართა გაშველებას შემდეგნაირად ახდენდა: მას შეეძლო ერთ-ერთი მოშუღლარისთვის გასაშველებლად ხელი მოეკიდა. ეს უკანასკნელი მაშინვე გაჩერდებოდა და მოწინააღმდეგეს ეტყოდა: „მოიცა ქალის ხელში ვარ და როცა მამაკაცი დამიჭერს, მაშინ გიჩვე-

1339 იხ. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 21.

1340 გ. თედორაძე, იქვე, 111.

1341 გ. თედორაძე. იქვე, 112; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 93.

1342 გ. თედორაძე, იქვე, 112.

1343 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, 1923-1924, 141.

1344 ს. მაკალათია, იქვე, 93.

1345 იქვე.

ნებ სეირსო," ანდა ქალი ორ მოჩხუბარს შუაში მანდილს გაუშლიდა. მანდილის პატივისცემით მოშუღლარები გაჩერდებოდნენ, ხმლებს ქარქაშში ჩააგებდნენ და ერთმანეთს ეტყოდნენ: „ახლა ამ მანდილოსნის ხათრი იყოს და მეორედ რომ შევიყრებით, მაშინ ვცადოთ ერთმანეთიო."[1346] ამ შემთხვევაში ქალის უპატივცემლობა სირცხვილად ითვლებოდა.[1347] თუმცა ქალი ყოველთვის არ იყო შუღლის შემსწრე. მაგალითად, როდესაც შუღლი ხატობისას ჯვარში იმართებოდა, იქ ქალებს მისვლის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ ვერც გაშველებაში მიიღებდნენ მონაწილეობას. კაცები ერთმანეთს ექომაგებოდნენ, გამშველებელი ცოტა რჩებოდა და ხალხი ხანჯლებით ჩეხავდა ერთმანეთს.[1348] თუ გამშველებელი არ შეესწრებოდა შუღლს, როდესაც მოშუღლარები დაიღლებოდნენ, თვითონ იტყოდნენ: გვეყოფაო, დაყრიდნენ იარაღს, ერთმანეთს შეუხვევდნენ ჭრილობებს და გაშორდებოდნენ.[1349]

ამავე დროს ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მტერთან შუღლისას იმდენად გამოსულან წყობიდან მონინააღმდეგეები, ქალის მანდილიც კი არაფრად ჩაუგდიათ. მაგალითად, ზემოთაღწერილი ჩხუბის შედეგად მტრობა ჩამოვარდა მიხიელ არაბულსა და ბლოელებს შორის. რამდენიმე თვე ისინი ერთმანეთს მუქარას უთვლიდნენ. ერთხელ მიხიელი თურმე დედამისთან ერთად მიდიოდა ნათესავებთან და იმავე ბილიკზე შეხვდა ბლოელი აბიკა, ვაჟკაცობით ცნობილი კაცი. ორივემ ხანჯლები ამოიღო ერთმანეთის დასარტყამად, თუმცა მათ შუაში გაიშალა მიხიელის დედის, ლელას მანდილი. ლელა პატივცემული ქალი ყოფილა ხევსურეთში და ვინც იცნობდა ყველა პატივს სცემდა. მანდილის გაშლის გამო აბიკა შეჩერდა და მიხიელს, ლელას შვილს უთხრა: ხათრ აი-ე ლელას მანდილისა, თორემ ვერ ნახვიდოდი მშვიდობით." მაგრამ მიხიელს უპასუხია: „მე მანდილი ფეხებზე მკიდავ" – ამოკრა ხანჯლის წვერი საკუთარი დედის მანდილს და გზის ზემოთ შეაგდო და აბიკას თავში მიაყენა ჭრილობა. ლელამ მეშვლობა სცადა, აბიკამ კიდევ არ იხმარა ხანჯალი, სანამ მიხიელმა მას კიდევ სამი ჭრილობა არ მიაყენა. მერე როდესაც სისხლი წამოუვიდა და სახე სისხლით შეეღება, გაბრაზებული წყობიდან გამოვიდა და არ ახსოვდა რას აკეთებდა. გონს რომ მოვიდა მიხიელი გზის ზემოთ იყო დაცემული და იმასაც სისხლით ჰქონდა შეღებილი სახეც და ტანსაცმელიც. აღმოჩნდა რომ, ძალზედ მძიმედ იყო დაჭრილი.[1350]

ქალის მეშვლობის, მისი მანდილის იგნორირების შემთხვევები მაინც იშვიათად ხდებოდა. ხევსურები ძირითადად პატივს მიაგებდნენ ქალის მანდილს და შუღლში ქალის მეშვლობის შემთხვევაში ჩხუბის გაგრძელებისგან თავს იკავებდნენ. საერთოდ, ქალის მანდილის უგულვებელყოფა საზოგადოების თვალში ვაჟკაცის ღირსებას ლახავდა.[1351] მოყვანილი მაგალითი გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. თან აქაც გამოჩნდა რომ ერთი მოშუღლარი მანდილის დანახვაზე

1346 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 185. იგივეს იმეორებს გ. თედორაძე (იხ. გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ., 110-111).

1347 ს. მაკალათია, იქვე, 93.

1348 ალ. ოჩიაური, იქვე, 185.

1349 ს. მაკალათია, იქვე, 93.

1350 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 6/3, 25-27.

1351 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 8.

არც აპირებდა შუღლს, მხოლოდ მეორე მოშუღლარის მიერ მანდილის არაფრად ჩაგდების გამო მოუწია საპასუხო დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგისადმი. საინტერესოა, რომ ალ. ოჩიაური მიხიელის ქმედებაშიც კი ვერ ხედავს მანდილის სრულ უპატივცემლობას. მისი განმარტებით, რაკი მიხიელმა დედამისის მანდილი გზის თავში შეაგდო და არა გზის ძირში და ზედ არ გადაუარა, ამით მანდილის მიმართ გარკვეული დოზით პატივისცემა მაინც გამოხატა.[1352] აქვე აღსანიშნავია, რომ ქალი მხოლოდ მაშინ იტვირთავდა გამშველებლის როლს, როდესაც შუღლი ძალზედ სერიოზულ და საშიშ ხასიათს იღებდა და მოშუღლართა შესაჩერებლად სხვა საშუალება არ იყო. უბრალო საქმეზე ქალი თავს არ გამოიდებდა და მანდილის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა.[1353] ქალი სვანეთშიც ხშირად აჩერებდა სისხლიან დაპირისპირებას.[1354]

რაკი შუღლი ხშირად ხალხის თავშეყრის ადგილას იმართებოდა, მას არაერთხელ მიუღია მასობრივი ხასიათი. ორ მოშუღლარს თავისიანები მიეხმარებოდნენ და ორი გვარი ჩაებმებოდა ჩხუბში. თუ სხვადასხვა სოფლელები იყვნენ შესაძლოა ორივე სოფლის მამაკაცებს მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში. სიმთვრალე თავისას შვებოდა და მრავალჯერ მომხდარა ჩხუბი, როდესაც ორივე მხრიდან ოცი და მეტი ადამიანი ყოფილა დაჭრილი. მაგალითად, ერთხელ გუდანში არაბულებსა და ჭინჭარაულებს ერთ-ერთ დღეობაზე მოუვიდათ ჩხუბი. ერთი კაცი გარდაიცვალა, სამოცი დაიჭრა, ზოგი დასახიჩრდა: გაუხმა ხელი ან ფეხი.[1355] მასობრივი შუღლი ხევსურეთში საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენდა. ალ. ოჩიაური ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „წელიწადი ისე არ გაეა, რომ ხევსურეთში ხუთ-ექვს ადგილას და მეტიც გვარი გვარს არ დაეჯახოს დღეობაში სიმთვრალის დროს. დღეობის შემდეგ შეხვედრილნი ჰკითხავენ ერთიმეორეს: როგორი დღეობა გქონდათ, ჩხუბი ხომ არაფერი იყოო. ისე როგორ გაიყრება სმა, რომ ჩხუბი არ მოხდეს."[1356] ხევსურეთში ასევე მოშუღლარის დახმარების ვალდებულება ჰქონდა მის ძმობილსაც, ძმადნაფიცსაც, რომელიც მისი სისხლით ნათესავი არ იყო. იგი ძმობილის გულისთვის დაჭრიდა კიდევაც მასთან მოჩხუბარს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჭრილობისათვის პასუხს აგებდა და დაჭრილთან შერიგებისას შესაბამისი დრამის გადახდა მოუწევდა.[1357]

შუღლის დროს მოგვარეთა დახმარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო სვანეთშიც. როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, მოგვარის დახმარება, განსაკუთრებით შუღლისას საღმრთო მოვალეობად ითვლებოდა. ჩხუბის ამტეხი თუ ღარიბი იყო, მას გადასახადის გადახდაში მოგვარეებიც ეხმარებოდნენ.[1358] ჩხუბის დროს პირი ეხმარებოდა მოგვარეს არა თუ გარეშე პირის, თვით უახლოესი ნათესავის

1352 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 6/3, 27.

1353 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 8.

1354 А. Стоянов, Путешествие по Сванетии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книжка X, выпуск второй, Тифлис, 1876, 435.

1355 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 185; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 159.

1356 იქვე, 186.

1357 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 126.

1358 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 106, 107.

წინააღმდეგაც, მაგალითად, დედის ძმებთან, ან მათ შვილებთან, დისწულებთან, სიძეებთან და სხვა. პიროვნება ვალდებული იყო იარაღით დაეცვა თავისი გვარის პატივი და დაპირისპირებოდა საკუთარ ნათესავებსაც კი, რაც ბუნებრივია, საკმაოდ რთული იყო მისთვის.[1359]

შუღლის დროს ოჯახური, გვაროვნული სოლიდარობის ფაქტორს სვანურ სინამდვილეში ხაზს უსვამს ა. დავითიანიც. მისი განმარტებით, სვანს საერთოდ ახასიათებდა შუღლის დროს თავისიანის გვერდში დგომა. ძმას ძმა რომ თავს შესწირავდა ამას არავინ გაიკვირებდა. არც ის მიაჩნდათ გასაკვირად, რომ ოჯახი მთლიანად თავს გადადებდა ჩხუბის დროს შერცხვენის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში მამაკაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა ჩაებმებოდა მოწინააღმდეგესთან საჩხუბრად. იარაღად ყველაფერს იყენებდნენ: ქვას, ჯოხს, კეტს, დანას, ხანჯალს და რა თქმა უნდა თოფსაც, თუ ჩხუბი ამას მოითხოვდა. მარცხი და სირცხვილი არავის უნდოდა. ოჯახის ჩხუბი ხშირად საძმოთა დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, რაც მდგომარეობას უფრო აუარესებდა. აღელვებულ კაცს, მით უმეტეს მთვრალს ვერაფერი აკავებდა, სანამ მოწინააღმდეგეს არ დაასისხლიანებდა ან თვითონ არ დასისხლიანდებოდა იმდენად, რომ ბრძოლის უნარს არ დაკარგავდა. ქალები მამაკაცებს არ ჩამორჩებოდნენ. მართალია მათ თოფი და ხანჯალი არ ჰქონდათ, სამაგიეროდ ყველაფერს იყენებდნენ, რაც კი საბრძოლოდ ვარგისი იყო. მათ მიერ ხშირად მამაკაცებიც სისხლიანდებოდნენ. მამაკაცი დედაკაცს პირიქით, იშვიათად შეუტევდა დასასისხლიანებლად. ქალს კიდეც რომ დაესისხლიანებინა მამაკაცი, ეს უკანასკნელი მისიან მამაკაცს შეუტევდა.[1360] ასეთ ჩხუბებს ხშირად მოჰყვებოდა ორივე მხრიდან არაერთი ადამიანის დაჭრა-დასახიჩრება, სხეულის დაზიანება, დასისხლიანება, არც თუ იშვიათად მკვლელობაც.

ხევსურეთში იცოდნენ მტრობის შეთვლა. ალ. ოჩიაურთან ვკითხულობთ: „ერთიმეორისაგან რომ ცუდს რამეს გაიგონებდნენ, მაგ. ცუდ ნათქვამს, დიაცის გალანძღვას და სხვა მრავალ ასეთს, მაშინ მტრობას დაუბარებდნენ: მტერი ვარ, სადაც შეგხვდები მზას იყავი, სუდრი უბათ ზიდე (ატარე)....“[1361] როდესაც ზემოთნახსენებმა წინახადუელმა მიხეილმა დაჭრა ბლოელი, შედარებით ასაკიანი კაცი, ბლოელმა ახალგაზრდებმა იწყინეს მათი უფროსი კაცის შუღლში გამონვევა და დაჭრა და მტრობა შეუთვალეს მიხეილს: „ჩვენ ყველა მტერი ორთ, ამ სოფლის ახალგაზრდების, ჩვენის უფროსებისად იარაღის ქნევას არ შეგარჩენთ. იარაღის ქნევა ეგრ არ უნდა რომ ჩვენებს უფროსებს უქნი. შენის კბილი-

---

1359 იქვე, 107. ბ. ნიჟარაძის თანახმად სვანეთში ერთი გვარეულობის წევრნი ყველგან და ყოველთვის, რაც არ უნდა გამრაელებულიყვნენ, იცავდენ, ინახავდენ ურთიერთშორის მჭიდრო კავშირს. მაგალითად, სადაც დიანო სვანეთში ლაშხეთის საზოგადოებაში რვა, ერთი მეორისგან დაშორებულ სოფელში ცხოვრობს ერთი გვარეულობა – „ონიანი,“ 60 კომლამდე. ისინი ერთმანეთს ისე სახვენ, თითქოს ძალზედ ახლო ნათესავები იყვნენ, თუმცა მათი ერთი მეორისაგან დაშორება შორეულ წარსულში მომხდარა. ონიანები ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან. ლაშხეთელი ჭელიძე ისე ესტუმრება უშგულელს (თავისუფალ სვანეთში) თავის მოგვარეს, თითქოს მათი წინაპრები ახლო განაყოფები იყვნენ. მოგვარეთა მოვალეობად ითვლებოდა გაჭირვების დროს ერთმანეთის შველა, ჩხუბის დროს მიხმარება, საჭიროებისას კომპიზიციის გადახდაში სოლიდარული მონაწილეობა. ჩხუბის დროს პიროვნება საკუთარ მოგვარეს უნდა დახმარებოდა და არა გარეშე პირს, არამოგვარეს, თუნდაც იგი უახლოესი ნათესავი ყოფილიყო. მაგალითად, პიროვნების მოგვარეს ჩხუბი მოუვიდა მის დედის ძმებთან, მათ შვილებთან, დისწულებთან და სხვა. პიროვნება ვალდებული იყო ამ შემთხვევაში თავის მოგვარეს (თუნდაც შორეულს) დახმარებოდა და საკუთარ უახლოეს ნათესავებთან ეჩხუბა (ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 106-107).

1360 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 76.

1361 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 2.

სა (შენი ტოლი) ვინ შეგხვდებით, მაშინ დაგჭირდების მაგრად დადგომა, ჩვენ გასწავლით იარაღის ქნევას." მიხიელმაც დაუბარა: „მე გიორგით მიხიელი ორ, შუღლს ფასით ვყიდულობ (მითომც, ვშუღლობ და დრამა გამაქვს), რასაც ვინც შემეყრებიო, მაშინ თქვენც გაიგებდათ – კაცნიც გაიგებენ, ვინ ვის ასწავლის იარაღის ქნევას და ვინ დადგების მაგრადა და ვინ ვერ დადგების. მე სრუ მზას ორ საშუღლარად, დიდხანს მზადება არ მჭირდების, თქვენ იდინეთ მზას, თორე მიხიელი მოუმზადებელი არ დაგხვდებისო."[1362] ასეთი დამოკიდებულების გამოვლენა, ცხადია, ამწვავებდა ურთიერთობას დაპირისპირებულ მხარეებს შორის და მათი შეხვედრა უპირატესად სისხლისმღვრელი შუღლით სრულდებოდა.

ხშირად შუღლის შედეგად ორმხრივი ზიანის მიყენებას ჰქონდა ხოლმე ადგილი. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ გაბრას მიმართავდნენ. შესაბამისი მაგალითები საკმაოდ ბევრია.[1363] ხევსურული რჯულით, სხეულის დაზიანებისას შუღლის ინიციატორს, წამომწყებს, რაიმე დამატებითი დრამა არ გადახდებოდა. მხოლოდ ურთიერთდაჭრისას მხარეთა შერიგების ინიციატორი უნდა ყოფილიყო შუღლის დამწყები, თუ თანაბარი ჭრილობები იქნებოდა, ხოლო ერთ-ერთი მხარე მეორესთან შედარებით უფრო მძიმედ არის დაჭრილი, ასეთ შემთხვევაში უფრო მსუბუქად დაჭრილია ვალდებული პირველმა გადადგას ნაბიჯი შერიგებისკენ.[1364]

ხევსური შუღლისას ყოველთვის დაჩაგრულის, თავმოყვარეობაშელახული ადამიანის გვერდით იდგა, რადგანაც მას კარგად ჰქონდა გათავისებული პიროვნების ღირსების მნიშვნელობა.[1365] შუღლისას ხევსურები გარკვეულ ზნეობრივ წესებს იცავდნენ. მაგალითად, ისინი ხანშიშესულ კაცს, მითუმეტეს მცირეწლოვანს თუ ქალს, უიარაღოს – არ ეშუღლებოდნენ, რამდენადაც ეს საძრახისად იყო მიჩნეული[1366]. ახალგაზრდები ყოველთვის ერიდებოდნენ უფროს კაცთან შუღლს, რამდენადაც ეს სამარცხვინო იყო, თუმცა ხდებოდა გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ინფორმატორი აღწერს არაბულებისა და ჭინჭარაულების შუღლს, რომელიც მასობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა და იმდენად გამწვავდა რომ, უფროს-უმცროსობის წესებს არავინ დაგიდევდათ. შედეგად დაიჭრა ოთხი ხნიერი კაცი, რომელთაც თვითონაც დაჭრეს სხვები, კერძოდ, „ერთი 80 წლის დაიჭრა ბუბუჩელათ გაგა, სოფელ ძეძეურიდან, მეორე..... 75 წლის სოფელ გუდანიდან. ესენი ორივე ჭინჭარაულები. არაბულების გვარში სოფელ ბაცალიგოდან დაიჭრა 81 წლის კაცი გადუა ალუდიათ მამისა და მეოთხე 79 წლისა მამუკათ ბაბუა, ბულნიურთ მამიდან. 31 წლის კაცმა გადუამ მძიმედ დაჭრა გუდანელი გაგათ წიქა. ის თვითონაც დაიჭრა წიქასგან."[1367] ეს სწორედ ისეთი შემთხვევა იყო როდესაც, სიმთვრალისა და ჭრილობის მიღების გამო აღგზნებული მოშუღლარები თავს კონტროლს [illegible] და ყველას უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. აქვე აღსანიშნავია,

---

[illegible] ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/3, 25-26.

[illegible] ერთ ოჯახის წარმომადგენლებს შორის: ვინმე ბათურასა და იმედას შორის მოხდა შუღლი. რჯულის [illegible] ბათურას 30 ძროხად, იმედას ჭრილობები 20 ძროხად. რჯულმა ოც-ოცი [illegible] 10 ძროხა ერგო (იხ. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, [illegible]

[illegible] ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული-სამართალი, თბ., 2012, 23.

[illegible]

1366 ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული-სამართალი, თბ., 2012, 19.

1367 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/5, 53-54.

რომ ასეთი შემთხვევები ხევსურეთში მაინც იშვიათი იყო იმ ზნეობრივი პრინციპებიდან და ხანშიშესული ადამიანისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რაც აქ იყო დამკვიდრებული.

ხევსურეთში შუღლისას ზნეობრივი პრინციპების დაცვა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა უიარაღო მოწინააღმდეგის დაჭრა შემთხვევით, უმიზეზოდ – „უვალ-უბრალოდ“ ან უმნიშვნელო საბაბით, დამჭრელი თავისი რაინდული ბუნებიდან და მიღებული წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, თავის იარაღს ნებაყოფლობით გადასცემდა მის მიერ დაჭრილ უიარაღო მოწინააღმდეგეს და ეტყოდა, რომ მანაც, მის მიერ მიცემული იარაღით მიაყენოს მას საპასუხო ჭრილობა. დაჭრილი ეცდებოდა იმავე ზომის და სიმძიმის საპასუხო ჭრილობა მიეყენებინა დამჭრელისათვის, რაც თავად მიიღო. ურთიერთდაჭრის შედეგად ისინი დაზავდებოდნენ და ერთმანეთს ექიმთან წაიყვანდნენ. ასევე, ხევსურების რაინდული ბუნებიდან გამომდინარე, მიღებული და დაკანონებული იყო, რომ მოწინააღმდეგეებს თანაბარი იარაღით – „სწორ-სწორი“ იარაღით უნდა ეჩხუბათ.[1368]

ანალოგიური ზნეობრივი წესების დაცვა შუღლისას სვანებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მიუღებელ საქციელად ითვლებოდა უშუალოდ ჩხუბისას, დაპირისპირებისას დამნაშავის მხრიდან არაეაჟკაცური საქციელის ჩადენა. მაგალითად, ჩხუბისას უფროს კაცზე ხელის აწევა, რაც არაკაცურ საქციელად ითვლებოდა, ასევე, შუღლისას ერთი მხარის მიერ იარაღის გამოყენება, მაშინ როდესაც მეორე მხარე იარაღს არ იყენებდა. ეს არ ითვლებოდა ვაჟკაცურ საქციელად, რადგანაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მხარეებს.[1369]

შუღლს ხევსურეთში სეზონური ხასიათიც კი ჰქონია, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ვაჟა-ფშაველა. მისი განმარტებით, კეჭნაობა და შესაბამისად დაჭრა-დასახიჩრება ხევსურეთში წლის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული ინტენსივობით ხდებოდა. იგი ამას შემდეგი გარემოებით ხსნის: „კეჭნაობის სეზონად ჩაითვლება გაზაფხული, ზაფხულის ზოგიერთი დღეები, როცა ხატობებია, და ზამთარი. ამ დროს ხევსური მოცლილი არის, ქეიფისა და ლოთობისათვის აქვს თავისუფალი დრო; როცა „მუშაობა ამოდგება“, ე. ი. დადგება თიბვისა და მკის დრო – მკათათვე, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, კეჭნაობა თავისთავად ისპობა, შურსა და მტრობას სძინავს.“[1370] ვაჟა შუღლის და კეჭნაობის სიხშირეს ხევსურეთში მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად მიიჩნევს. მისი გაგებით ეს შედეგია იმისა, რომ მაშინდელი ხევსურეთი ჩამორჩა იმ პერიოდისთვის თანამედროვე რეალიებს და მხოლოდ ძველის ამარაღა დარჩა. ვაჟა წერს: „...თავისუფალ დროს ხევსური ლოთობას ანდომებს და მის წყალობით ერთმანეთის დასახიჩრებას. საბრალო ხევსური, ცარიელ ალაგს თავის ცხოვრებისასა რომ ნაყოფიერი შრომით ვერ ავსებს, თანამოძმის სისხლითა პრწყავს. ვინ არის დამნაშავე? ხევსური? არა, რა მიგვიცია, რა უნდა მოვსთხოვოთ? რაც უანდერძებია მამა-პაპას, მარტოოდენ ისაა იმისი სწავლა-განათლება და იმას ებღაუჭება ორივე ხელით. სწავლა-განათლებით იმას სხვა მოთხოვნილება არა აქვს შე-

1368 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 18-19.

1369 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 203; 133, 214-215. იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 279, 349-350.

1370 ვაჟა-ფშაველა, იქვე, 285.

ბენილი. აბალია დროისა იმას არაფერი ესმის რადგან არავის რა უსწავლებია ნარატორი. ამიტომ იგი ძველებურად ფიქრობს..... მთელს ხევსურეთს არ მოეპოვება ერთი განათლებული კაცი, ინტელიგენტი, მთელ ხევსურეთში არ არის არავინ სკოლა."[1371] ცხადია, ვაჟას შემდეგ ხევსურეთში დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა, თუმცა შუღლი (მათ შორის მასობრივი) აქ XX საუკუნის განმავლობაშიც არ იყო იშვიათი.

1.4 დაჭრა-დასახიჩრების მიზეზები. დაჭრა-დასახიჩრება დაახლოებით იგივე მიზეზებით ხდებოდა რისთვისაც მკვლელობა. ხშირად შესაძლოა მკვლელობის მიზნით ზიანის მიყენება დაჭრით თუ დასახიჩრებით დასრულებულიყო, თუმცა შეიძლება გამოვყოთ ის მიზეზებიც, რაც უფრო ხშირად სწორედ დაჭრა-დასახიჩრებას განაპირობებდა. უპირატესად ეს მთის რეგიონებს ეხება, სადაც დაჭრა-დასახიჩრება ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედების არეალში საკმაოდ დიდხანს შემორჩა.

მთის რეგიონებში დაჭრა-დასახიჩრება მრავალი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მომხდარიყო. მაგალითად, ადრე მიყენებული ჭრილობისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით. თუ დაჭრისას შერიგება ვერ იქნებოდა მიღწეული დაზარალებული შეეცდებოდა დამჭრელისათვის სამაგიერო გადაეხადა და საპასუხო ჭრილობა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის, მითუმეტეს მაშინ, თუ დამჭრელი დაზარალებულს ექიმს არ დააყენებდა, პატივს არ გაუგზავნიდა, რაც შეურაცხყოფად ითვლებოდა. შესაძლოა ეს დაპირისპირება ძალზედ ფიცხ ბრძოლაში გადაზრდილიყო და მკვლელობითაც დასრულებულიყო, თუმცა დაზარალებული უპირატესად მოწინააღმდეგის დაჭრას ცდილობდა და არა მკვლელობას, რომ მესისხლეობის ობიექტად არ ქცეულიყო, აქედან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით. ამიტომ დაჭრის საპასუხოდ უპირატესად დაჭრასვე ჰქონდა ხოლმე ადგილი. ერთ-ერთ ხევსურ ინფორმატორს მოჰყავს ვინმე ჩალხა გოგოჭურის ნათქვამი: „ისინი მჭრიდნენ და მე ქვებს ხომ არ ვკოცნიდიო. ეს მაშინ თქვა, როდესაც იჩხუბა და დაჭრა მოწინააღმდეგე."[1372]

მკვლელობის მსგავსად ძალზედ ხშირი იყო დაჭრა შუღლის შედეგად, რომელიც შესაძლოა სპონტანურად წარმოშობილიყო სრულიად უმნიშვნელო მიზეზით. ასეთი რამ განსაკუთრებით ხშირი იყო სმის ნიადაგზე, მათ შორის რელიგიური დღესასწაულების დროს, როდესაც ბევრი ხალხი იკრიბებოდა. საკმაოდ ბევრი მასალაა ამასთან დაკავშირებით ხევსურული სინამდვილიდან. ალ. ოჩიაური ამის შესახებ აღნიშნავს: „სიმთვრალე იციან ხევსურებში მეტისმეტი, რადგან ერთიმეორეს პირში ძალად ასხამაე სასმელს, დაათრობენ და მერე, რა თქმა უნდა, შეგნებული კაციც გაგიჟდება."[1373] ვაჟაც უზომო სმას აბრალებს ჩხუბს და დაჭრას. მისი თქმით, დაჭრა ბევრ შემთხვევაში სრულიად „უბრალო" მიზეზით ხდება და „ეს მიზეზი ხშირად ლოთობაა, რასაც ფართო ასპარეზი აქვს მოპოვებული ხევსურეთში, უზომოდ ლუდის და არყის სმას; პირველი ისე არ

1371 იქვე.

1372 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 74.

1373 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 186; ამასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანაწერს ვხვდებით „ხევსურულ ტექსტებში": ხევსური იხსენებს, თუ ერთ-ერთ სოფელში ყოფნისას როგორ დაათვრეს იგი: „არაყ შასვიო" – მითხრეს და „არ შავსვამო", – მე უთხარ, „როგორ თუ არ შასვამო შენო არაყსო, მაინც შასვიო" – მითხრ, „არ ჩადის მუცელჩიო" – უთხარ და მაინც დამიწყო იმან, რო „შასვიო"..... ამას მოჰყვა შუღლი და მთხრობლის თავის გატეხვა (გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 65).

ათრობს, როგორც არაყი, მაგრამ არევით სმა მსმელებს ნამდვილ ცოფიანებად ხდის."[1374] ანალოგიური ჩანაწერები სვანეთთან დაკავშირებითაც გვხვდება. ნ. ჩიმაკაძე წერს: „სვანი ..... ხშირად ქორწილში ან ტირილში როცა დათვრება, ეძებს მიზეზს და თუ ვისმე აუტეხა ჩხუბი, მაშინვე ხანჯალს ჩაკრავს ან სახეში, ან მუცელში ..... აქ ბევრს ნახავთ, ან სახე აქვს დაჩეხილი ცულით, ან ყური აქვს მოჭრილი, ან ხელი ან ცხვირი და სხვა. ზოგს ჭრილობის გამო ფეხი ან ხელი აქვს გაჩერებული."[1375]

ხევსურეთში ჩაწერილ მასალაში მოიპოვება არაერთი კონკრეტული შემთხვევის აღწერა, როდესაც სიმთვრალის ნიადაგზე სრულიად უმიზეზოდ თუ უმნიშვნელო მიზეზით მომხდარა დაჭრა. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს, რომ იგი სრულიად ახალგაზრდა მგზავრად მიდიოდა თიანეთში. გზად შემოხვდა სოფელ დათვისის მცხოვრები მთვრალი მინდია არაბული, რომელმაც სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი დალაპარაკების გარეშე დაარტყა მას ხმალი და ჭრილობა მიაყენა შუბლისა და წარბის არეში.[1376] იგივე ინფორმატორი იხსენებს, რომ ახმეტიდან მომავალს მას გზად შეხვდა მთვრალი კაცი, რომელმაც ჰკითხა თუ ვისი შვილი იყო (ინფორმატორი ამ დროს 17 წლის ყოფილა). მან პასუხი გასცა. ამ მთვრალმა კი შარი მოსდო, თითქოს მას სადღაც ჭრილობა მიუყენებია მისთვის და შუღლი დაუწყო. მათ ერთმანეთს რამოდენიმე ჭრილობა მიაყენეს. შემდეგ კიდევ სამი კაცი ჩაერთო შუღლში და კიდევ ორი ჭრილობა დაუმატეს ინფორმატორს. შემდეგ ყველაფერი გაირკვა და ინფორმატორის მამას შუაკაცი გაუგზავნა შუღლის დამწყებმა და შერიგება სთხოვა, ექიმის დაყენებას და პატივის გადახდას დაპირდა.[1377]

მსგავსი შემთხვევები ძალზედ ბევრია ალ. ოჩიაურის მასალებში. აქ ხშირად ვხვდებით ამაყ, თავმომწონე ხევსურებს, რომლებიც შუღლით იხვეჭდნენ სახელს და სრულიად უმიზეზოდ ახდენდნენ შუღლის პროვიცირებას. ასეთი იყო მაგალითად, სოფელ ამღაში (არხოტის თემი) მცხოვრები აბიკათ გიგია, გვარად წიკლაური. იგი ოციოდე წლის ყოფილა, როდესაც ამღაში სმის დროს შარი აუტეხა ორმოც წელს გადაცილებულ კაცს – უთურგათ დავითს. ამ უკანასკნელმა ვეღარ მოითბინა და პირველმა სილის გარტყმით და ხანჯლის თავში დარტყმით დაიწყო შუღლი. გიგიამაც უპასუხა და თავში დაარტყა, ასევე ბარძაყში ხანჯლის წვერით მიაყენა მძიმე ჭრილობა. შედეგად დავითს სისხლის დაკარგვის გამო გული წაუვიდა.[1378] თავხედ და შუღლისმოყვარულ ადამიანად ახასიათებს ალ. ოჩიაური ვინმე ბერდია ცისკარაულს. იგი თურმე წელწადის (ახალი წლის) დღეობაზე ჯვარში ყველას ეშარებოდა, მიუხედავად იმისა რომ ხალხი საკმაოდ მთვრალი იყო ჯვარის ხათრით ყურადღებას არავინ აქცევდა. მეორე დღესაც ანალოგიური გაიმეორა და ერთმა უფროსმა კაცმა სთხოვა ნორმალურად მოქცეულიყო. ეს იუკადრისა ბერდიამ და ამ უკანასკნელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც მან ვერ მოითბინა და ძალზედ სწრაფად ორი ჭრილობა მიაყენა

1374 ვაჟა-ფშაველა, ხევსურის თაეი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 285.

1375 ნიკო ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, „ძველი საქართველო," საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი II, ტფ., 1913, 6.

1376 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1,58–59.

1377 იქვე, 52-53.

1378 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/3, 21-22.

ბერდიას. ბერდიამ საპასუხოდ ვერაფერი მოასწრო, რადგანაც „მეშვლებმა“ არ მისცეს ამის საშუალება, იგი დაიჭირეს და შემდეგ სახლში წაიყვანეს.[1379] კიდევ ერთი პიროვნება, სახელად ბიძურა სიმთვრალეში ხან ვის ეშარებოდა და ხან ვის. როცა არავინ აჰყვა ერთ-ერთ მათგანს, თოთიას სრულიად უმიზეზოდ სილა გაარტყა. ეს უკანასკნელიც არ იყო ფხიზელი და ბიძურას ხანჯალი გაუქანა, თუმცა ააცილა და დაჭრა ბარძაყში ძალზედ მძიმედ სხვა პიროვნება.[1380]

სულ უბრალო საქმეზე რომ შეიძლება მომხდარიყო შუღლი ჩანს ალ. ოჩიაურის კიდევ ერთ ნაამბობში, როდესაც გუდანელმა სულხანაურმა (არაბული) გუდანის ჯვარში ერთ-ერთი დღეობისას იშუღლა ნიქა ჭინჭარაულთან საპაპიროსე ქაღალდის გამო. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მათი შელაპარაკების შინაარსს: „ნიქამ სულხანაურს მოსთხოვა საპაპიროზე ქაღალდი, ერთ პაპიროზს გავაკეთებ, ცოტა ქაღალდი მომეციო. სულხანაურმა არ მისცა, საპაპიროზე ქაღალდი თავისი იქონიეო, უთხრა სულხანაურმა. რა დიდ საქმე არის ერთი პაპიროზის გამომავალი ქაღლადი, – უთხრა ნიქამ. ძვირფასი რომ გქონდეს რამე და კაცმა გთხოვას, რაღას იტყვიო. შეყვნენ ამ ლაპარაკს, იშიშვლეს ხანჯლები და მიაცვითეს ერთიმეორეს. ნიქა რომ სისხლიანი დაინახა, მას მიეშველა ბუბუჩელათ ხთისა, სოფელ ბეძეურთიდა, ნიქას შორეული მეგვარე, ესეც დაჭრა სულხანაურმა და ახლე მიეშველა გუდანელი ომათ ნიქა. ეს უფრო ახლობელი სახლისკაცი იყო გაგათ ნიქასი. სულხანაური ძალიან გამოცდილი იყო შუღლში და იარაღის ხმარებაში, ამასაც სამი ნაჭრევი დამართა. ესეც რომ დამარცხდა ამათ მიეშველა გუდანელი ქარჩელათ ხვთისო და ესეც დაიჭრა. თუმცა სულხანაურსაც ბევრი ნაჭრევები ემართებოდა, მაგრამ ერთი ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. გაგათ ნიქა და სულხანაური ერთმანეთს მოაშორეს. მაგრამ ერთ ადგილზე სულხანაური შუღლობდა, თითოობით მიდიოდნენ ჭინჭარაულები და ყველას პასუხს აძლევდა. მეორე ადგილზე გაგათ ნიქა შუღლობდა. არაბულების გვარიდან, ხან ვინ შევარდებოდა იმასთან, ხან ვინ. ნიქა და სულხანაური ორივენი სისხლში იყვნენ შეღებილნი, მაგრამ მაინც მოწინააღმდეგეს უჭრელს არ უშვებდნენ. სულხანაურს პირველს მიშველებაზე არაბულთა გვარიდან მიეშველნენ, ჯერ თავისი ძმა ბეწი, მერე სოფელ ბაცალიგოდანვე არაბული ბათურა – არა ახლობელი სახლისკაცი. ისინიც ორივენი სისხლში შეღებილნი დადიოდნენ და შუღლობდნენ. ამათ გარდა მთელი გვარები ჩაერივნენ შუღლში, არაბული ჭინჭარაულს ეძებდა და ჭინჭარაული არაბულს. ვინც ვის შეხვდებოდა და ერთი მეორეს აცვეთდნენ იარაღს.“[1381] შედეგად, ჩხუბში ასზე მეტი კაცი ჩაერია და ჭრილობა იყო ორასი.[1382] როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით სრულიად უწყინარ შელაპარაკებას რაღაც უმნიშვნელო თემაზე შესაძლოა მოჰყოლოდა ძალზედ მძიმე შედეგი – გვარებს შორის მასობრივი ჩხუბი, უამრავი დაჭრილ-დასახიჩრებულით.

სიმთვრალეში შარის ატეხვისა და უბრალო შელაპარაკებისათვის დაჭრა-დასახიჩრება ალ. ოჩიაურის სხვა მასალებშიც გვხვდება.[1383] საკმაოდ მრავლა-

1379 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/4, 37–40.

1380 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/6, 69.

1381 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/5, 52–53.

1382 იქვე, 53.

1383 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/4, 45–47; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა

დაა ანალოგიური კონკრეტული ფაქტები მ. კეკელიას მიერ სვანეთში ჩაწერილ მასალებშიც. მაგალითად, „ივლია პაკელიანმა დაჭრა დაუ ანსიანი, ამბაკო გერლიანის ცოლი. დაჭრის მიზეზი იყო ივლია პაკელიანსა და ამბაკო გერლიანს შორის სიმთვრალეში ერთმანეთის წყენინება, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ პაკელიანმა ესროლა გერლიანს, რომელსაც აცდა ტყვია, მაგრამ ყბაში გაუარა იქვე მდგომ მის ცოლს დაუ ანსიანს."[1384] მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი მედიატორი ყოფილა საქმეზე, როდესაც ჩხოროწყუში სამუშაოდ ერთად წასულმა სვანებმა სიმთვრალეში იჩხუბეს. ჩხუბი უბრალო წალაპარაკებას, შემდეგ დავას და გინებას მოჰყოლია და ერთ პიროვნებას მეორე სამართებლის დანით დაუჭრია თვალის ქვემოთ. დაზარალებულს ამ ჭრილობამ იარა დაუტოვა. დამჭრელს დაუდასტურებია, რომ დაჭრის მიზეზი რაიმე პირადი ინტერესი არ ყოფილა და იგი მხოლოდ სიმთვარალით იყო გამოწვეული. ასე ხსნიდა დაჭრას დაზარალებულიც.[1385] ერთ-ერთი ინფორმატორი კი იხსენებს XX საუკუნის 20-იან წლებში მომხდარ შემთხვევას, როდესაც დაჭრა მოხდა ქელეხში ასევე სიმთვრალის ნიადაგზე.[1386]

უწყინარ ხუმრობასაც შეეძლო საკმაოდ დრამატული შედეგები გამოეწვია. მ. კეკელიას ინფორმატორი ყვება, რომ პურის ჭამის დროს ჯობე ავალიანს მასხრობით მიბაძვა დაუწყია ამირან ავალიანის დედისათვის თუ როგორ ეძახის იგი სახელებს ქმარს და შვილებს, რასთან დაკავშირებითაც იქ მყოფ პირთ ბევრი უცინიათ. ამირან ავალიანს ძალზედ სწყენია ეს ამბავი და სადილის შემდეგ საყვედური უთქვამს ჯობესთვის: „დღეს ნამეტანი მოგვიდა ხუმრობაო." ჯობესაც პასუხი გაუცია, რაც ველარ მოუთბენია ამირანს და დაწყებული ჩხუბი, რომელშიც კიდევ ოთხი კაცი ჩაბმულა. შედეგად, ერთი ხელში დაიჭრა, მეორე ზურგში, ერთ-ერთი კი მძიმე ჭრილობის გამო ძლივს გადაარჩინეს.[1387] ხელის შემორტყმა გამხდარა მიზეზი გირგვლიანის მიერ კვანჭიანის ყურის არეში თოფით დაჭრისა.[1388] კალაში დალევის გამო ურთიერთშელაპარაკებამ საკმაოდ მძიმე დაზიანება გამოიწვია ამ ამბიდან გარკვეული დროის შემდეგ. ამ შელაპარაკების მონაწილეები დიდი ხნის შემდეგ შეხვედრიან ერთმანეთს, რაც იმით დასრულებულა რომ ძმებმა სულავებმა ძმებ ხვისტანებს ჯამში ოცზე მეტი ჭრილობა მიაყენეს, რამაც ამ უკანასკნელთა სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა.[1389]

პირადი შეურაცხყოფა, შეგინება, ხელის შემორტყმა, რასაც შარის ამტეხი მიმართავდა, ყველაზე უფრო წყნარი და უკონფლიქტო მთიელისთვისაც, მითუმეტეს სიმთვრალეში, ძნელი ასატანი იყო და ამიტომ აღნიშნული ფაქტორები ხშირად იწვევდა შუღლს, მისგან გამომდინარე მძიმე შედეგებით.

თავმომწონე მთიელები, ცხადია, ხშირად შუღლობდნენ ქალის გამო, ქალისათვის თავის მოსაწონად.[1390] ქალის გამო კონკურენციისას ახალგაზრდებს

ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/6, 66-67.

1384 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 88-89.

1385 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 8-12.

1386 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1.

1387 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 2-4.

1388 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 65.

1389 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 58-59.

1390 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 7/1, 1.

შორის უპირატესობის დამტკიცების საუკეთესო საშუალებად სწორედ შუღლში, კეჭნაობაში თავის გამოჩენა იყო. შუღლის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ქალის გალანძღვა, ქალის მეშვლობაში დაჭრა და სხვა.[1391] სვანეთში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორე დაჭრა იმიტომ რომ, ამ უკანასკნელმა მას ბიძაშვილი არ მისცა ცოლად.[1392]

განსაკუთრებულ მტრობას და შედეგად დაჭრა-დასახიჩრებას და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მკვლელობასაც კი იწვევდა ცოლის ან დანიშნულის მოტაცება, რაც ხშირად ქალის მხრიდან ქმრის ან საქმროს დაწუნების გამო ხდებოდა. მთიელისთვის ცოლის (საცოლის) წაგვრა უდიდეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა და ამას უპასუხოდ არავინ დატოვებდა. ალ. ოჩიაურთან ცოლის წაგერის გამო დაჭრის კონკრეტული მაგალითიც გვხვდება.[1393]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქმრის მიერ ცოლის დაჭრა-დასახიჩრების მიზეზი იყო ცოლის ღალატი (ხევსურეთში ქმრის დაუკითხავად ცოლის მიერ ქმრის მიტოვება). ეს საკითხი ჩვენ განხილული გვაქვს სასჯელის ინსტიტუტთან დაკავშირებით[1394] და ასევე შევეხებით წინამდებარე ნაშრომის სხვა თავში.[1395]

შუღლი და შესაბამისად დაჭრა-დასახიჩრება გვხვდება ასევე მიუღებელი ხასიათის ქორწინების გამო. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, გარკვეული ახლობელი გვარების წარმომადგენლებს, ერთმანეთის დისწული და ყოფილი ცოლი ცოლად არ მოჰყავდათ, არც ქვრივი და არც გაცილებული. ამ წესის დარღვევას შესაძლოა შუღლი და დაჭრა მოჰყოლოდა. მაგალითად, ასეთი გვარები ყოფილან ოჩიაურები და ცისკარაულები. ერთ-ერთ ოჩიაურს გაუშვია ცოლი, რომელიც შემდეგ ცოლად მოიყვანა დაქვრივებულმა ცისკარაულმა. მათ შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა რადგანაც, ნათესაობის გამო ერთის ნაცოლარი მეორეს არ უნდა მოეყვანა, თან ისინი მეზობლები იყვნენ, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ამ დაძაბულობას. უბრალო შელაპარაკების გამო მათ იშუღლეს და ერთმანეთი დაჭრეს, თუმცა არა მძიმედ. შემდეგ ამ დაპირისპირებაში ორივე მხრიდან სხვებიც ჩაერთნენ, რასაც მათი დაჭრაც მოჰყვა. მხარეები სოფლის კაცებმა გააშველეს.[1396]

შუღლი შეიძლება გამოეწვია დანაშაულის ტყუილად დაბრალებას, ერთმანეთზე ცუდი რაიმეს თქმას. მაგალითად, ალ. ოჩიაურთან გვხვდება შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ პიროვნებას – ოჩიაურ ალეკას სხვის ოჯახში სტუმრად ყოფნისას მოპარეს თოფი. დამნაშავე ცხელ კვალზე ვერ გამოავლინეს, თუმცა ამ ქურდობას კონკრეტულ პიროვნებას აბრალებდნენ. ეს უკანასკნელი უარყოფდა ამას. რამდენიმე წლის შემდეგ ეს პიროვნება და დაზარალებულის ძმისშვილი შეხვედნენ ერთმანეთს დუქანში და ერთად დალიეს. თოფის ქურდობაზე თავიდან არაფერი უთქვამთ, როდესაც დათვრნენ, ქურდობაში ბრალდებულმა თვითონ კითხა, ქურდობას რატომ მაბრალებთო? იმიტომ რომ შენ მოიპარეო, უპასუხა

1391 იქვე, 2-3.

1392 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 14.

1393 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/7, 74-75.

1394 იხ. გ. დაითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 534-536.

1395 იხ. მეხუთე თავის მესამე და მეექვსე ნაწილი.

1396 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/1, 1.

თოფის პატრონის ძმისშვილმა და ხანჯლის თავში ჩარტყმით მძიმე ჭრილობაც მიაყენა. ამას მოჰყვა საპასუხო მოქმედებაც და შუღლში რამოდენიმე პიროვნების ჩაბმა. შედეგად ამ შემთხვევაშიც რამოდენიმე პიროვნება დაიჭრა საკმაოდ მძიმედ.[1397] გვხვდება შემთხვევები შუღლისა სტუმრის მიმართ უპატივცემლო მოპყრობის მიზეზით, რაც დაჭრით დასრულდა.[1398]

დაჭრა-დასახიჩრება შესაძლოა მოჰყოლოდა რაიმე ქონებრივ დავას, ქონების დაზიანებას. ალ. ოჩიაურის მიხედვით, შუღლი ხდებოდა ადგილ-მამულის საზღვრის გადალახვა-მითვისებისათვის, ჭირნახულის წახდენისათვის და სხვა.[1399] ვაჟაც მიუთითებს ხევსურეთში შუღლის, დაჭრის მიზეზად მამულებისა და საძოვრების გამო დავას.[1400]

მამულის გამო მასობრივი შუღლი და შედეგად არაერთი ადამიანის ცემა და დაჭრა მ. კედელაძის ლეჩხუმურ მასალაშიც გვხვდება. ლეჩხუმელი ინფორმატორის ცნობით სოფელ ზუბს ადგილი უყიდია სოფელ ოყურეშისაგან. თუმცა ოყურეშელებს გაყიდული ადგილის თანდათან მითვისება დაუწყიათ, რის შედეგადაც ამ სოფლების მცხოვრებთა შორის სისხლისმღვრელი შეტაკება მომხდარა, რის გამოც ბევრი ადამიანი უცემიათ და დაუჭრიათ. სადავო ადგილს ამის შემდეგ თურმე „ნაბეგუნევი" უწოდეს.[1401]

მამულისათვის შუღლს, როგორც აღვნიშნეთ, არც თუ იშვიათად, მკვლელობაც მოჰყვებოდა, თუმცა იგი დაჭრა-დასახიჩრების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც იყო. ხშირი იყო მამულის გამო დაპირისპირება ნათესავებს (მათ შორის ახლო ნათესავებს, ძმებს, ბიძაშვილებს) შორის. მამულის გამო დაჭრის კონკრეტული მაგალითები საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება. მაგალითად, იბ. აბაშიძე გვიამბობს, რომ აჭარაში (ხულოს რაიონის სოფელ აგარაში) ჰაიდარ-ალი შავაძემ მიწის ნაკვეთის გამო უფროს ძმას იახია შავაძეს ცულის ყუა შემოჰკრა თავის არეში. იახია ძლივს გადაურჩა სიკვდილს.[1402] რაჭველი ინფორმატორი იხსენებს, რომ მის 45 სულიან ოჯახს, დაჭირდა მეორე სახლის აშენება, რისთვისაც შეიძინეს მიწის ნაკვეთი. ეს ნაკვეთი სხვა მამიშვილობის საკუთრება ყოფილა და ამ მამიშვილობის ნევრმა ინფორმატორს ჩხუბი დაუწყო და თავის არეში დააზიანა, რის გამოც იგი ორი კვირა ავადმყოფობდა.[1403] სვანეთში დაახლოებით XX საუკუნის 30-40-იან წლებში ლატალელ ბესო თამლიანს და მის ძმას სათიბის საზღვართან (სამანთან) დაკავშირებით ჩხუბი მოუვიდა მეზობელ ბათაბ ოვეჩიანთან და მის ძმასთან, რა დროსაც ოვეჩიანების მხრიდან ცელით დაიჭრა ბესო თამლიანის ძმა.[1404]

ერთ-ერთი სპეციფიკური მიზეზი შუღლისა და მის შედეგად დაჭრისა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით კი ხევსურეთში იყო ე. წ. „კეჭნაობის სპეკულაცია," როგორც ამ მოვლენას მოსწრებულად უწოდებს

1397 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 77-79.

1398 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/6, 63-64.

1399 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 1.

1400 ვაჟა-ფშაველა, ხევსურის თავი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 284.

1401 მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 7/7, 2-3.

1402 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება (კან ალამაქ) და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №455, ბათუმი, 1965, 8.

1403 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი, არქივი, 6/8, 22.

1404 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 58.

ვაჟა-ფშაველა.[1405] მისი საფუძველი სხვისი მამულის, ქონების დაუფლება იყო. პიროვნებას, რომელსაც სურდა სხვისი ქონება ხელში ჩაეგდო ცდილობდა სხვა პიროვნება შუღლში გამოეწვია, შუღლის დროს კი თავი დაეჭრევინებინა ისეთ ადგილას, რომელიც მას მნიშვნელოვანი ოდენობის დრამას მოუტანდა და შესაძლოა დამჭრელის მამულისთვისაც კი გამოეკრა ხელი. ვაჟას მიხედვით იყო ხალხი, რომელთაც ეს ხელობად ჰქონდა გადაქცეული. ასეთი ადამიანები შეგნებულად შარს აუტეხდნენ ვინმეს, მოთბინებიდან გამოიყვანდნენ და თავს დააჭრევინებდნენ. „მსხვერპლად" ისინი ირჩევდნენ თავმომწონე პიროვნებას, რომელიც შარის ამტეხს არაფერს დაუთმობდა.[1406] ვაჟა გვაცნობს კიდევაც ერთ ასეთ „კეჭნაობის სპეკულიანტს," ვინმე ბათირა არაბულს, რომელსაც ერთგვარი „აღსარება" ჩაუბარებია ვაჟა-ფშაველასთვის. ამ პიროვნებამ მას საკუთარი თავი აჩვენა, რომელზედაც ვაჟამ 46 ჭრილობა დაითვალა, ხოლო შემდეგ განუმარტა თუ რატომ მიჰყო ხელი ასეთ საქმიანობას. მისი თქმით იგი კარგად ხედავდა, რომ დამჭრელი ხშირად მთელ თავის სარჩო-საბადებელს დაჭრილს აძლევდა. ამის შემხედვარემ სიღარიბის გამო გადაწყვიტა თვითონაც ამით ეშოვნა ქონება, ჩათვალა რა რომ მისი თავი აიტანდა მრავალ ჭრილობას, რომელიც ადრე თუ გვიან გამთელდებოდა და ისიც ჩვეულებრივ ცხოვრებას გააგრძელებდა, დრამას კი დიდი ოდენობით მიიღებდა. მან შარის ატეხვა დაუწყო თავმომწონე ადამიანებს, რომლებსაც დაეჭრევინებოდა და შემდეგ მათგან ჭრილობის შესაბამის გადასახადს იღებდა დრამის სახით. რამდენიმე წელინადში ბათირამ ოჯახი თავისი საქმიანობით სარჩოთი აავსო: ქვაბებით, ფარდაგებით, ხალიჩებით, იარაღით, სხვადასხვა საქონლით. ბოლოს ხალხი მიუხვდა მას და აღარავინ ჭრიდა. ბოლოს თვითონაც შერცხვა და ამ საქმიანობას თავი დაანება.[1407]

ე. წ. „კეჭნაობის სპეკულაციას" მიმართავდნენ ხოლმე გაღარიბებული, მცირემიწიანი, კაცრიელი ხალხი უკაცურთა წინააღმდეგ, რომელთაც შედარებით ბევრი მიწები ჰქონდათ, ძირითადად მათი მამულების ხელში ჩაგდების მიზნით. ამიტომ ისინი ცდილობდნენ თავი დაეჭრევინებინათ ისეთ ადგილას, რომ მამულის მიცემა გამხდარიყო საჭირო. უკაცური კაციც გაფრთხილებული იყო და ცდილობდა შარის ამტეხისთვის იარაღი ისეთ ადგილას დაერტყა რომ დრამის გადახდა არ დასჭირვებოდა, ხოლო თუ მაინც მოუხდებოდა დრამის გადახდა, ყველანაირად ცდილობდა მამული არ დაეთმო. საერთოდ, ხევსურეთში მამულის გაღება სირცხვილად ითვლებოდა. ხევსურები იტყოდნენ: „სამამულედ გაუხდა საქმე, სხვა ვერაფერი მისცაო." მხოლოდ დამჭრელი ვერაფერს გახდებოდა თუ მას ხევსურული წესით ალვანიის[1408] გადახდა მოუწევდა. ამ შემთხვე-

1405 ვაჟა-ფშაველა, ხევსურის თავი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 286.

1406 იქვე.

1407 იქვე.

1408 ალვანია – ხევსურეთში დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურის ნაწილი. დაჭრილს ალვანიის მიღების უფლება ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის ჭრილობა ტეინამდე იყო დასული, ხელის ან ფეხის დასახიჩრებისას, თვალის გამოთხრისას, ყურის მოჭრისას, გულ-მკერდისა და მუცლის არეში შემავალი ჭრილობისას, სახის არეში მიყენებული ზოგიერთი ჭრილობისას და სხვა. ალ. ოჩიაურის მონაცემებით, ალვანიის გადახდა 5 ძროხის ღირებულების ანგარიშში ხდებოდა. ალვანიის საგანი დამოკიდებული იყო დაზარალებულის სურვილზე. ეს შეიძლება ყოფილიყო იარაღი, პირუტყვი, ან მამული. დამჭრელი ვალდებული იყო დაჭრილისთვის ალვანიად მიეცა ის რასაც ის მოსთხოვდა, მათ შორის მამულიც. შედარებით გვიანდელი მონაცემებით ალვანიის ანგარიშში გაზრდილი ოდენობის საზღაურის გადახდა ფიქსირდება. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალაში ვხვდებით განსხვაებულ ცნობებს ალვანიის შესახებ. ძირითადად ეს ალვანიის ოდენობას ეხება.. მონაცემების მიხედვით, ალვანია მისი

ეაში, თუ დაზარალებული მას მამულს მოსთხოვდა დამჭრელი ვალდებული იყო შესაბამისი მოცულობის (5 წერის)[1409] მამული გადაეცა დაჭრილისთვის, რა შემთხვევაშიც ეს უკანასკნელი სასურველ შედეგს მიაღწევდა.[1410]

ალ. ოჩიაური ასევე ჩერდება კონკრეტულ მაგალითებზე. კერძოდ, სოფელ ზეისტეჩოში (ბაცალიგოს თემი) ცხოვრობდა დევათ ფიცხელა. იგი სახალხოდ გალესავდა თავის დაშნას, მერე ჩუმად ქვაზე წაუსვამდა და გალესილობას დააჩლუნგებდა. შემდეგ „აუტეხდა შარს მქონებელ კაცს, მიაცვეთდა თავის დაშნას, რომელიც დაჩლუნგებული იყო და არ ჭრიდა. მოპირდაპირეს კი ეგონებოდა დამჭრაო და დაჭრითვე უპასუხებდა. ფიცხელა მისგან მოქნეულ იარაღს პირი-სახეს შეაგებებდა და სადრამე ადგილას დაეჭრევინებოდა, მერე გადაახდევინებდა სათანადო დრამას, იტყოდნენ: ფიცხელას თავსა და პირი სახეს თითი არსად დაედება, რომ ნაჭრევი არ სჭირდესო."[1411] სახის არეში მიყენებული ჭრილობა ძვირად ფასობდა და ამიტომაც ფიცხელა პირ-სახეს უშვერდა მოწინააღმდეგეს. ალ. ოჩიაურის მეორე მაგალითი ეხება დაჭრევინებას სწორედ მამულის ხელში ჩაგდების მიზნით. ხომიზურთ მინდიას, რომელიც კაცრიელი კაცი იყო და უკაცურ კაცს გარსიათ ივანეურს ერთმანეთის გვერდით ჰქონდა მამულები ე. წ. ზედველაში, რომელიც ახიელში (არხოტის თემი) საუკეთესო მამულებად ითვლებოდა სოფლის სამხრეთით. მინდია ცდილობდა ივანეურისათვის წაერთმია ეს მამული და თავის მამულისთვის მიეერთებინა. ამისათვის მან შუღლი დაუწყო ივანეურს, ამ უკანასკნელმა კი დაშნა დაარტყა სახის არეში. მინდიას იმედი ჰქონდა რომ ამით ივანეურის მამულს ჩაიგდებდა ხელში, თუმცა ივანეურმა მამული არ მისცა და სხვა საშუალებით გაისტუმრა გადასახადი.[1412]

ალ. ოჩიაურის მასალებში კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი გვხვდება, რომელიც სოფელ ხადუში მცხოვრები შიშიას და მის თანასოფლელ ყუდიას ურთიერთობას ეხება. ყუდია საკმაოდ ცნობილი კაცი ყოფილა, ხევსურული რჯულის კარგად მცოდნე, თუმცა ერთი უარყოფითი თვისება ჰქონდა, სხვის მამულს ეტანებოდა. „მიწით გაუმაძღარიაო" – ასეთ ადამიანზე იტყოდნენ ხევსურები. შიშიას ბევრი მამული ჰქონდა და აქირავდებდა კიდეც მათ. ერთი კარგი მამული კი ყუდიას მამულის თავზე ჰქონდა. ყუდია ყოველწლიურად მიიწევდა

გადახდის საეალდებულობისას რჯულის კაცების მიერ დადგენილი გადასახადის დაახლოებით მესამედი უნდა ყოფილიყო (ალვანიის შესახებ დეტალურად იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 402-407). ბ. გოგოჭურის მონაცემების მიხედვით ალვანია თითოეულ მძიმე ჭრილობაზე იანგარიშება 12 ძროხის ღირებულებიდან 16 ძროხის ღირებულებამდე. დრამის ნაწილის ალვანიით აღებისას ერთი ხელითი ძროხის ღირებულება 4 კილოგრამი სპილენძის ნაცვლად იანგარიშება 5 კილოგრამი სპილენძით (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 26). ეს მონაცემიც მიუთითებს, რომ ალვანიის ოდენობა ალ. ოჩიაურისაგან განსხვავებული და გადიდებულია. ბ. გოგოჭურს მოჰყავს კონკრეტული მაგალითებიც. კერძოდ, ამ ავტორის ცნობით, ხვთისო არაბულმა ფეხზე მიყენებული ჭრილობისათვის ალვანიის სახით ბიძურათ მინდიას გამოართვა ერთი ხარი, ხოლო თვითონ შეკაზმული ცხენის მიცემა მოუნია ალვანიად ასევე ფეხზე მიყენებული ჭრილობისათვის (ბ. გოგოჭური, იქვე, 29).

1409 5 წერი მამული 5 ძროხის ღირებულების შესატყვისი იყო. ერთი წერის ყანა კრავდა 63 ძნას. ერთი წერი კი 3 ნერილას უდრიდა. ნერილა მოიცავდა 21 ძნას. ერთი წერის ყანა გალეწვის შემდეგ იძლევა დაახლოებით 150, ან 200 კილოგრამ ქერს ან ხორბალს, მოსავლიანობის მიხედვით (იხ. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 115; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 30, №6, 27; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 15).

1410 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," №1, თბ., 1988, 187.

1411 იქვე, 187.

1412 იქვე.

ზევით შიშიას მამულისკენ. სამნებს გადმოყრიდა და თითო კვალს ზევით მისნევდა. ამ ნიადაგზე მათ იშუღლეს. შიშიამ ხანჯალი თავში დაარტყა მსუბუქად. ალ. ოჩიაურის თქმით, ყუდია გაეშმაკებული კაცი იყო, იშუღლებდა, იარაღს დაარტყმევინებდა სხვას და მერე დრამას იღებდა. შიშიასთანაც ეს უნდოდა, რადგან იგი იყო ობოლი და ღარიბი, დრამა არ ქონდა მისაცემი, ამიტომ ყუდია ფიქრობდა: შიშიას დავეჭრევინები, ის დრამას ვერ იშოვნის და ამ მამულს ჩემს მამულს გადავაბავო, ე. ი. ამ სადაო მამულს სულ წავართმევო. ყუდიას ეშმაკობა შიშიამაც იცოდა და ამიტომ მსუბუქად დაარტყა, რომ სადრამე არ ყოფილიყო. ყუდიამ გაიგო რომ, შიშიასგან დრამა არ ერგებოდა, ექიმი მოისყიდა და დარიშკანა[1413] დააყრევინა. ეს ამბავი ექიმისთვისაც სახეირო იყო, რადგანაც დრამის პროცენტს იღებდა „სააქიმოდ." თუ ჭრილობა სადრამე არ იყო, ექიმსაც ბევრი არაფერი ერგებოდა. დარიშკანას დაყრის შედეგად ყუდიას სულ პატარა ნაჭრევი გაურთულადა, თავში ჩირქი ჩაუდგა და გარდაიცვალა.[1414]

ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილი ამ მაგალითებით კარგად გამოჩნდა, რომ ვაჟას მიერ „კეჭნაობის სპეკულაციად" წოდებული მოვლენა სწორედ დაჭრის პროვოცირებისკენ იყო მიმართული საკმაოდ ხშირად იწვევდა შუღლს და დაჭრა-დასახიჩრებას ხევსურეთში.

დაჭრა ხევსურეთში შესაძლოა სხვა მრავალ მიზეზს გამოეწვია, მათ შორის უცნაურსაც, კერძოდ, ნაკურთხი ცხენის მიყიდვას. ხევსურეთში იყო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, კარგ ცხენს მიცვალებულის სულისთვის აკურთხებდნენ. ასეთ ცხენს კი არავინ ყიდულობდა, ან თუ იყიდდა, ნახევარ ფასად. სხვისი სულისთვის ნაკურთხი ცხენი არავის უნდოდა, მას ვერც სხვა მიცვალებულის „დასაკურთად" გამოიყენებდნენ. ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით კონკრეტულ ფაქტს, როდესაც ერთმა ხევსურმა მეორეს ნაკლებ ფასში მიჰყიდა ძალიან კარგი ცხენი, ისე რომ არ უთხრა, რომ ეს ცხენი ნაკურთხი იყო. მყიდველს ეჭვი შეეპარა, რომ შემცირებული ფასი ცხენის ნაკურთხობით იყო გამოწვეული, რაც დადასტურდა კიდეც. მყიდველმა გამყიდველს შეუთვალა ცხენის საფასურად გადახდილი საქონელი დაებრუნებინა მისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭრით დაემუქრა. ამაზე უარი მიიღო და შეხვედრისას მათ მართლაც იშუღლეს და დაჭრეს ერთმანეთი.[1415]

ამ შემთხვევაში ცხენის მყიდველმა მოტყუების გამო შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რისთვისაც გამყიდველს დაჭრით დაემუქრა. ამდენად, ეს მაგალითი გვიჩვენებს ნაკურთხი ცხენის მიყიდვით შეურაცხყოფილი პირის სწრაფვას სწორედ დაჭრას ცხენის გამყიდველი, ანუ აღნიშნული ფაქტი დაჭრის მიზეზად შეიძლება იყოს მოაზრებული.

1.5. პასუხისმგებლობა პირუტყვის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანებისათვის. პირუტყვის მიერ ადამიანისათვის მიყენებული ზიანისათვის პაუხის-

1413 „დარიშკანა" – რაღაც წამალი, რომელიც ჰქონდა ხევსურ „აქიმებს". მისი მეშვეობით შესაძლებელი იყო თავის ჭრილობის გართულება, რაც ხდებოდა საზღაურის გაზრდის მიზნით. ეს „აქიმსაც" ანყობდა, რადგანაც მისი გასამრჯელო გადასახადის ოდენობიდან გამოითვლებოდა. „დარიშკანა" ძვალს სულ ჭამდა, ხევსური „აქიმი" ამ წამლისგან დაზიანებულ ძვალს ხევნის მეშვეობით ამოტებდა და იტყოდა, რომ თითქოს ძვალი ხმალმა დაზიანა (იხ. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 159).

1414 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 157-159.

1415 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 123-124; მისივე, მიცვალებულის კულტი რომკასა და უკანახადუს თემში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის," III, 1940, 74-75.

მგებლობა სვანეთსა და ხევსურეთში მის პატრონს ეკისრებოდა, ისე როგორც პირუტყვის მიერ სხვისი სიცოცხლის მოსპობისას. პასუხისმგებლობის პრინციპებიც ანალოგიური იყო. ჩვენ პირუტყვის მიერ ადამიანისათვის სხეულის დაზიანების საკითხი განვიხილეთ პირუტყვის მიერ ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საკითხის განხილვასთან ერთად.

აქ მხოლოდ გვინდა შევეხოთ სვანურ ჩვეულებით სამართალში ძაღლის კბენის შედეგად მიყენებული დაზიანების შესახებ პასუხისმგებლობის საკითხს. სხვა ნაშრომში ჩვენ მოვიყვანეთ ეგ. გაბლიანის მონაცემი, რომლის თანახმადაც, ძაღლის კბენა სვანეთში უაღრესად მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა და მას შესაძლოა შურისძიება და სისხლის ღერა მოჰყოლოდა.[1416] ამ საკითხზე საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა 2015 წელს ჩაწერილ მასალაში, რომელიც ავსებს აღნიშნულ ინფორმაციას. თანამედროვე ინფორმატორთა მონაცემებით, ძაღლის კბენა მისი პატრონის ეზოში უფრო მსუბუქად ითვლებოდა, ვიდრე გარეთ. პატრონის ეზოში ძაღლის კბენას რაიმე პასუხისმგებლობა არ უნდა გამოეწვია, ხოლო ქუჩაში კბენა შესაძლოა დიდი უკმაყოფილების და ჩხუბის მიზეზი გამხდარიყო. ასეთ ჩხუბს სვანეთში მკვლელობაც კი მოჰყოლია.[1417] ძაღლის კბენა ეზოს გარეთ პასუხისმგებლობას იწვევდა იმიტომ, რომ ძაღლი ქუჩაში არ უნდა ყოფილიყო, ხოლო მისმა პატრონმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და მას სათანადოდ ვერ მოუარა. ეზოში კბენა კი პასუხისმგებლობის გამომწვევი არ იყო, რადგანაც ინფორმატორის განმარტებით, ძაღლს იმიტომ ინახავს პატრონი, რომ სახლი დაიცვას. თუ ეზოში შესვლა უნდა ვინმეს, სახლის პატრონს ეზოს გარედან უნდა დაუძახოს.[1418]

საერთოდ მასალებით ჩანს, რომ წესად იყო პატრონს მოეკლა ის ძაღლი, რომელიც ეზოს გარეთ ვინმეს უკბენდა. თუ თავად პატრონი არ მოკლავდა ასეთ ძაღლს დაზარალებულის დასაშოშმინებლად, შესაძლოა დაზარალებულს თვითონ მოეკლა ეს ძაღლი. ძაღლის მკვლელობა კი უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა და სვანეთში კაცის კლასთან იყო გათანაბრებული და შესაბამისი მტრობის გამომწვევი.[1419]

ეცერელი ინფორმატორი იხსენებს მათ სოფელში მომხდარ შემთხვევას: ასაკოვან კაცს ძაღლმა უკბინა პირდაპირ გზაზე. მან პატრონს უთხრა: „მოკალიო". პატრონმა არ მოკლა. დაზარალებულმა აიღო თოფი და ძაღლი ეზოში მოკლა. მერე ამას მოჰყვა კამათი, მოსისინე ხალხიც დაემატა: „როგორო, კაცო, ძაღლი მოგიკლეს, რატო პატიობთო." ძაღლის პატრონის დედა შევიდა შვილთან, ტყვიები დაუყარა: „ან შენ მოკალი, ან მე მოვკლავო." ისიც წავიდა და იმ კაცის მაგივრად მისი შვილი მოკლა. შემდეგ ეს მკვლელი გავარდა ტყეში და იმალებოდა. მაშინ მოკლულის მამამ, რაკი ვერ მოიხელთა თავისი შვილის მკვლელი, სახლში შეუვარდა მტერს და ქალი მოკლა – მკვლელის დედა. შემდეგ ეს კაცი დაიჭირეს, დაიჭირეს მისი შვილის მკვლელიც. ბოლოს მხარეები შერიგდნენ 24

1416 ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, 135.

1417 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 177, 237; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 317, 369.

1418 იქვე, 233, 256.

1419 იქვე, 219.

მორევისაგან შემდგარი სასამართლოს მეშვეობით.[1420] აი, ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სვანეთში ძაღლის კბენას.

ნორმები, რომლებიც სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პირუტყვის მიერ ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს არეგულირებს, დღესაც მოქმედია და პრაქტიკული გამოყენება აქვს.

2. სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია მისი სიმძიმის მიხედვით

2.1 სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია სვანურ ჩვეულებით სამართალში. სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია ყველაზე სრულყოფილი სახით სვანურ ჩვეულებით სამართალში იკვეთება. ასეთი კლასიფიკაცია რამოდენიმე ავტორთან ჩანს. ბ. ნიჟარაძის მიხედვით: 1. ადამიანის რომელიმე ორგანოს, მაგალითად, ხელის, ფეხის, თვალის, ცხვირის, ყურის და სხვა გაფუჭება, გახმობა, დაშავება. ასეთი ჭრილობა ითვლებოდა მძიმე ჭრილობად და შეფასებული იყო ნახევარ სისხლად, ანუ, ენგურის ხეობაში უდრიდა წორის ნახევარს – 3 ნალჯომ მიწას, ხოლო ცხენისწყლის ხეობაში 200 მანეთს. 2. სხვა ყოველგვარი ჭრილობა (მძიმეც და მსუბუქიც), რომელიც არ იწვევდა სხეულის რომელიმე ორგანოს გაფუჭებას. სიმძიმის მიხედვით ასეთი ჭრილობა შეფასებული იყო 2 აცსიშიდან 30 აცსიშამდე. 3. ზიანის მიყენება მსუბუქად გარტყმის შედეგად: ხელით – ერთი აცსიში, ჯოხით, ქვით – ორი აცსიშიდან სამამდე.[1421] ბ. ნიჟარაძის განმარტებით, მსუბუქად გარტყმას სვანურ ჩვეულებით სამართალში საკუთარი ტერმინი გააჩნია, კერძოდ, „კადარდ ფუკვიდ"!, რაც ქართულად ნიშნავს გარტყმას „მშრალად", ე. ი. უსისხლოდ. თუ გარტყმას შედეგად ჭრილობა მოყვა, მაშინ ხალხი ეძახის გარტყმა „მუჟირად", ანუ გარტყმა „სოველი ან სისხლიანი".[1422]

ეგ. გაბლიანის მიხედვით, სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია ასე გამოიყურება: 1. ფურა – „გახმობა ჭრილობისაგან". ესაა მძიმე ჭრილობა, რომელიც გამოიწვევს დაჭრილის რომელიმე სხეულის ნაწილის, მაგალითად, ხელის, ფეხის და სხვა გახმობას, ასევე ყურის, ცხვირის მოჭრას, პირისახის ჭრილობისაგან დადაღვას. ასეთი ჭრილობა ნახევარ წორად ფასდება. 2. „ქაჩობ" (დასისხლიანება). მსუბუქ ჭრილობას სვანები ეძახიან „ჰაშიდ ქაჩას" – მსუბუქად დაჭრას და ამ შემთხვევაში თუ ჭრილობისაგან დიდი დაღი არ დარჩება. ჭრილობა ფასობს 6 აცსიშიდან (36 მანეთი) 40 აცსიშამდე (240 მანეთი). 3. „ფუკვიდ" ანუ „კადარდ ნაყირვ". „ფუკვიდ" ანუ „კადარდ ნაყირე" ნიშნავს მშრალად ანუ მსუბუქად დარტყმას და ფასობს 2 აცსიშიდან (12 მანეთი) 10 აცსიშამდე (60 მანეთი).[1423]

სხეულის დაზიანების სიმძიმის მიხედვით ეგ. გაბლიანის მსგავსი კლასიფიკაცია გვხვდება ასევე დ. დავითულიანთან. მის მიხედვით, სვანური ადათი განასხვავებს სხეულის დაზიანების შემდეგ სახეებს: ა. ქაჩობ, იგივე სხეულის მძიმე დაზიანება, მძიმე დაჭრა; ბ. ცემის დროს დასისხლიანება, იგივე სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, გ. ცემა მშრალად ანუ სხეულის მსუბუქად დაზია-

1420 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 186; იხ. ს. ონიანი, გ. დაითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 325.

1421 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

1422 იქვე.

1423 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111-112.

ნებას. მისი განმარტებით, ადათი სხეულის მძიმე დაზიანების ქვეშ გულისხმობს ისეთ ჭრილობას, რომლის შედეგადაც ადამიანმა მიიღო რომელიმე ორგანოს ფუნქციონალური მოშლა, თვალის, ყურის, ზედა და ქვედა კიდურების დაკარგვა, სახის წარუხოცელი დამახინჯება და ა. შ. ქაჩობზე, ე. ი. სხეულის მძიმე დაზიანებაზე ადათი ნახევარ წორს ითვალისწინებდა.[1424]

ამ სამი ავტორის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სვანური ადათობრივი სამართალი სიმძიმის მიხედვით სხეულის სამი სახის დაზიანებას გამოყოფს. პირველი ესაა მძიმე დაჭრა. ამ კატეგორიაში სამივე ავტორის მიხედვით ერთიანდება სხეულის დაზიანება რომელმაც გამოიწვია ადამიანის დასახიჩრება, მისი რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა, დაკარგვა. სხეულის დაზიანების ამავე კატეგორიას სამივე ავტორი მიაკუთვნებს სახის წარუხოცელ დამახინჯებას. ეს მიუთითებს, რომ სვანეთში სხეულის დაზიანების სიმძიმის განმაპირობებელი იყო არა მარტო ის თუ რა ზიანი მიაყენა ჭრილობამ ადამინის ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციონირებას, შრომის უნარს, არამედ ჭრილობის მიყენების ადგილსაც. სწორედ სახეზე და არა სხვა, ტანსაცმლით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა ითვლებოდა მძიმედ და იწვევდა შესაბამის დიდ პასუხიმგებლობას.[1425] ანალოგიური სურათია ქართული სამართლის ძეგლებშიც. კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებიდან ჩანს, რომ ჭრილობა მიყენებული თვალსაჩინო ადგილას, რომელიც თუნდაც არ იწვევდა ადამიანის დაშავებას სამჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე ტანსაცმლით დაფარულ ადგილას მიყენებული.[1426]

სხეულის მეორე სახის დაზიანება, როგორც ეს ბ. ნიჟარაძესთანაა განმარტებული გულისხმობს ყველა სხვაგვარ ჭრილობას, რომელსაც არ გამოუწვევია პირველი სახის დაზიანებისათვის დამახასიათებელი შედეგი – სხეულის ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრება და სახის წარუხოცელი დამახინჯება. სხეულის ამ კატეგორიის დაზიანება აუცილებლად გულისხმობს დაზარალებულის დასისხლიანებას. ეგ. გაბლიანთან და დ. დავითულიანთან ეს პირდაპირაა მინიშნებული. ბ. ნიჟარაძის თანახმად კი ჭრილობის მიყენება თავისთავად დასისხლიანებას ითვალისწინებს. ეს შეიძლება ყოფილიყო შედარებით მძიმე ჭრილობაც და მსუბუქიც. ცხადია, ეს ჭრილობა ნებისმიერ შემთხვევაში უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე სხეულის პირველი სახის დაზიანება. დ. დავითულიანი მას სხეულის ნაკლებადმძიმე დაზიანებად მოიხსენიებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთად მხოლოდ ცემის შედეგად მიყენებული დაზიანება არ უნდა ითვლებოდეს, როგორც ეს ამ ავტორთან ჩანს. პიროვნების დასისხლიანება შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ბასრი იარაღით დაჭრამაც. ბ. ნიჟარაძე და ეგ. გაბლიანი არ მიუთითებენ რომ მეორე სახის სხეულის დაზიანება მაინცდამაინც ცემით შეიძლება იყოს მიყენებული. ამ კატეგორიის ჭრილობისათვის გადასახადი არ იყო ზუსტად ფიქსირებული, როგორც ეს სხეულის პირველი სახის დაზიანების შემთხვევაში ვლინდება. ამ გადასახადის ოდენობის შესახებ განსხვავებული მონაცემები ბ. ნიჟარაძესთან (2-30 აცსიში) და ეგ. გაბლიანთან (6-40 აცსიში), შესაძლოა განპირობებული იყოს მონაცემების დაფიქსირების სხვადასხვა პერიოდით. აღნიშნული

1424 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-75, 178-179.

1425 ერთ-ერთი სვანი ინფორმატორის მითითებით, სახეზე მიყენებული, თვალსაჩინო ჭრილობა ტანზე, ტანსაცმლით დაფარულ ადგილას მიყენებულ ორ ჭრილობას უდრის (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრადიული რეული №2, 1968, 103).

1426 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963, 416, 417.

შუალედის ფარგლებში გადასახადის დაკისრება მოხდებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ჭრილობის სიმძიმის მიხედვით, მორვების მიერ.

სხეულის მესამე სახის დაზიანება კი ყველაზე მსუბუქი ხასიათისაა და სამივე ავტორის მიხედვით გულისხმობს ზიანის მიყენებას გარტყმის, ცემის შედეგად, რასაც არ მოჰყოლია სისხლის გამოდენა. ამიტომ იწოდება ასეთი გარტყმა მშრალ, უსისხლო გარტყმად. ამ შემთხვევაში, ცხადია, მსუბუქ გარტყმასთან გვაქვს საქმე, რომელიც, როგორც ბ. ნიჟარაძესთან გამოჩნდა, შესაძლოა მომხდარიყო როგორც ხელით, ისე ჯოხით და ქვით. ხელით „მშრალი" გარტყმა შედარებით ნაკლებად ფასობდა, ვიდრე ანალოგიური გარტყმა ჯოხით ან ქვით.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, ბ. ნიჟარაძე გარტყმას „მშრალად", უსისხლოდ, უპირისპირებს „სველ" ანუ „სისხლიან" გარტყმას. რამდენია გადასახადი ასეთი დარტყმისთვის ბ. ნიჟარაძე არ საუბრობს. ჩვენი აზრით, ეს მიუთითებს რომ ბ. ნიჟარაძე „სველ" ანუ „სისხლიან" გარტყმას სხეულის დაზიანების ცალკე სახედ არ გამოყოფს და ასეთ გარტყმას სხეულის დაზიანების მეორე სახეს მიაკუთვნებს. ეგ. გაბლიანი და დ. დავითულიანი სხეულის დაზიანების მეორე სახის მახასიათებლად სწორედ დაზარალებულის დასისხლიანებას მიუთითებენ. ეგ. გაბლიანი მას პირდაპირ დასისხლიანებად – „ქაჩობ" მოიხსენიებს. დ. დავითულიანის მიხედვით კი დაზიანების ეს სახე ცემის დროს დასისხლიანებას გულისხმობს. როგორც ჩანს, ბ. ნიჟარაძისთვის ცემა სისხლის გამოდენით გულისხმობს დაზარალებულისათვის ჭრილობის მიყენებას, რაც მის მიხედვით სხეულის დაზიანების მეორე სახეს ესადაგება, რადგანაც სახეზეა ჭრილობა, რომელსაც არ ახლავს მინიშნება სახიჩრობაზე. ამდენად, მეორე სახის სხეულის დაზიანება შესაძლოა მიყენებულიყო როგორც იარაღით დაჭრის შედეგად, ისე ცემით (ხელით, ქვით, ჯოხით).

სხეულის დაზიანების პირველ სახესთან დაკავშირებით სვანურ ჩვეულებით სამართალში დასამატებელი ბევრი არაფერია. ასეთი დაზიანების მიყენებისათვის გადასახადი დადგენილია ძირითადად ნახევარი წორის ოდენობით. მიუხედავად ამისა ჩვენ სხეულის ცალკეული ორგანოების დაზიანების შესახებ საუბრისას შევეხებით სვანეთში მათ დასახიჩრებასაც აქ მოტანილ მასალებთან შედარებით უფრო გვიანდელი მონაცემების მოხმობითაც.

ქვემოთ ცალკე შევეხებით ასევე ცემასაც. მასთან მთლიანად დაკავშირებულია სხეულის დაზიანების მესამე სახე და ნაწილობრივ მეორეც.

რაც შეეხება დაჭრას, რომელსაც თან არ ახლავს დასახიჩრება და სახის წარუხოცელი დამახინჯება (იგულისხმება სხეულის მეორე სახის დაზიანება) მის შესახებ გვსურს დამატებით აქვე ვისაუბროთ, ძირითადად მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით.

ამ სახის ჭრილობები მ. კეკელიას ინფორმატორთა მიხედვით შესაძლოა ყოფილიყო მძიმეც და მსუბუქიც, როგორც ამას ბ. ნიჟარაძე მიუთითებს. ცხადია, ხალხური სამართლის დამოკიდებულება მათ მიმართ განსხვავებული იყო.

მძიმე ჭრილობა დაზარალებულის დასახიჩრების გარეშე, ანუ რომელიც არ მიეკუთვნებოდა სხეულის დაზიანების პირველ კატეგორიას, მ. კეკელიას ინფორმატორთა თანახმად საკმაოდ დიდ გადასახადს მოითხოვდა. ზოგიერთი მონაცემით ეს გადასახადი შესაძლოა ნახევარი წორიც კი ყოფილიყო, თუ განზრახი „სასიკვდილო ჭრილობა" იქნებოდა, როდესაც პიროვნება იმდენად

მძიმედ იყო დაჭრილი, რომ სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა მაინც გადარჩებოდა.[1427] სხვა ინფორმატორებთან ასეთი მძიმე ჭრილობისათვის შედარებით ნაკლებ გადასახადსაც ვხვდებით.

მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთმა პიროვნებამ მეორეს ჯოხით თავის არეში მიაყენა ძალზედ მძიმე დაზიანება. დაზარალებული დიდხანს მკურნალობდა სავადმყოფოში, სადაც ექიმებს მისთვის უთქვამთ: „შენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდიაო“. გამოჯამრთელების შემდეგ დაზარალებული აფხაზეთში ნასულა დამნაშავის მოსაძებნად და თოფით მოუკლავს იგი. მორვებს მკვლელობა ცხადია სრულ წორად შეუფასებიათ, თუმცა ამისთვის გამოუკლიათ მოკლულის მიერ თავის არეში მიყენებული ჭრილობის ღირებულება – 15 ძროხა.[1428] როგორც ვხედავთ, თავის არეში მიყენებული ე. წ. სასიკვდილო ჭრილობა მორვებს სისხლის მეოთხედად, 15 ძროხად შეუფასებიათ. აღნიშნული შემთხვევა ბალს ქვემო სვანეთში მოხდა, სადაც მ. კეკელიას ინფორმატორების მიხედვით სრული წორი 60 ძროხად ფასობდა. სავარაუდოდ, რაკი ჭრილობას არ მოჰყვა დაზარალებულის დასახიჩრება, მიუხედავად ჭრილობის სიმძიმისა, მორვებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად მისი ნახევარ წორად შეფასება. კიდევ ერთი შემთხვევის მიხედვით, უკვე XX საუკუნის 50-იან წლებში, ერთმა პიროვნებამ, მეორეს გულმკერდის არეში მიაყენა, ინფორმატორის შეფასებით მძიმე ჭრილობა. მორვებმა დამნაშავეს 7 ძროხის გადახდა დააკისრეს.[1429] ამ უკანასკნელ შემთხვევას მულახში ჰქონდა ადგილი უკვე საბჭოთა პერიოდში, სადაც ამ დროს წორის ოდენობის საქონელში გამოხატულება შედარებით ნაკლები იყო (ხალხს საქონელი ნაკლებად ჰყავდა) და ამდენად 7 ძროხა მცირე ოდენობის გადასახადი არ იყო. ერთი წვირმელი ინფორმატორის ცნობით კი მძიმე დაჭრა 5 ძროხამდე ადიოდა.[1430] იგივე ლოგიკით მცირე გადასახადად არც ეს უნდა ჩათვლილიყო.

მ. კეკელიას ინფორმატორები საუბრობენ დაჭრისათვის მიწის გადახდის შესახებ. ისინი მძიმე ჭრილობისათვის ასახელებენ სამიდან ექვსამდე ნალჯომ მიწას.[1431] თუ გავითვალისწინებთ, რომ მ. კეკელიას ინფორმატორები ბალსზემო სვანეთიდან (ლატალ-ლენჯერის გარდა) სრულ წორს 12 ნალჯომად აფასებდნენ, მძიმე დაჭრისთვის გადასახადის ოდენობა სხვადასხვა ინფორმატორთა მონაცემებით დაახლოებით მეოთხედი წორიდან ნახევარ წორამდე მერყეობს. ერთი ინფორმატორი კონკრეტულ ფაქტსაც ისხენებს, როდესაც მესტიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოხდა დანით კისერში დაჭრა. მორვებმა დამნაშავეს სამი ნალჯომი მიწის გადახდა დააკისრეს.[1432] ზოგიერთი ინფორმატორი კი დაჭრისთვის გადასახადის ოდენობას აცსიშით გამოხატავს, მაგალითად, მულახელი ინფორმატორი აცხადებს რომ, მძიმე დაჭრისთვის გადასახადი 6-10 აცსიში იყო.[1433] ეს სრულ წორთან მიმართებაში დაახლოებით იგივე თანა-

1427 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 27, 83; №6, 1.

1428 იქვე, №1, 92-96.

1429 იქვე, №6, 41-45.

1430 იქვე, №3, 42.

1431 იქვე, №5, 51, 69; №6, 24;

1432 იქვე, №5, 55-58.

1433 იქვე, №5, 11, 37.

ფარდობაა, რაც ჭრილობის საფასურის მიწით გადახდისას. ინფორმატორები გადასახადს ფულადი გამოხატულებაშიც ასახელებენ. მაგალითად, ერთ-ერთ ინფორმატორს ახსოვდა რომ, მძიმე ჭრლობისათვის გადასახადი მეფის რუსეთის პერიოდში 50 ან 30 მანეთი იყო ნიკოლოზის დროინდელი ფულით.[1434]

საბჭოთა პერიოდში კი დაჭრისას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დაკისრებული გადასახადის გადახდა ხშირად საბჭოთა მანეთით ხდებოდა ამ ფულის კურსის შესატყვისი ნიხრის მიხედვით. არაერთი სვანი ინფორმატორი საუბრობს დაჭრისას საბჭოთა მანეთით დაკისრებული გადასახადის ოდენობაზე. მაგალითად, რამოდენიმე მიუთითებს 20 000-30 000 მანეთამდე (ძველი კურსით) გადასახადს მძიმე დაჭრისთვის. ერთი მათგანის თქმით კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე შესაძლოა უფრო ნაკლები, ვთქვათ 18 ათასი მანეთის დაკისრება მომხდარიყო.[1435] ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, კი თუ ერთი სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას ქონდა ადგილი (ინფორმატორი ასეთ ჭრილობას „მაგარ ჭრილობას" უწოდებს), მაშინ გადასახადი 20 ათასი მანეთი იყო, თუ რამოდენიმე ასეთ ჭრილობას მიაყენებდა, მაშინ გადასახადი შესაძლოა 40-50 ათას მანეთამდე ასულიყო.[1436] კიდევ რამდენიმე ინფორმატორთან ვხვდებით, რომ მძიმე დაჭრისთვის გადასახადი 40-50 ათასი მანეთი შეიძლება ყოფილიყო.[1437]

გვხვდება კონკრტული შემთხვევები როდესაც დაჭრისთვის გადასახადს მედიატორები დამნაშავეს სწორედ საბჭოთა ფულით აკისრებდნენ. ერთ შემთხვევაში, რომელიც 1967 წელს მოხდა, ადგილი ჰქონდა შვიდი ჭრილობის მიყენებას (სამი ჭრილობა მკვლავში, სამი მუცელში, ერთი მუხლზე). დამნაშავეს მედიატორებმა, რომელთა შორის ინფორმატორიც იყო, 30 ათასი მანეთი დააკისრეს. ინფორმატორი იქვე განმარტავს, რომ ასეთი დაზიანებისათვის 40 ათასი მანეთი უნდა დაეკისრებინათ, მაგრამ რაკი შუღლის წამომწყები დაზარალებული იყო, გადასახადი შეამცირეს.[1438] 1949 თუ 1950 წელს ქორწილში მუცლის არეში დაიჭრა ვინმე ნარიმან პირველი (იფარიდან). დამნაშავეს მორვებმა 18 ათასი მანეთის (ძველი კურსით) გადახდა დააკისრეს.[1439]

ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ მრავალრიცხოვანი ჭრილობის მიყენებას საკმაოდ დიდ ოდენობის გადასახადის დაკისრება მოჰყვა მორვების მხრიდან. ინფორმატორი, გვიყვება 1967 წელს მომხდარ დაჭრის ფაქტს. მისი თქმით მოხდა შელაპარაკება ავთანდილ სულავასა და მიშა ხვისტანს შორის. ამ შელაპარაკებიდან გარკვეული ხნის შემდეგ მიშა ხვისტანს და მის ძმას გიორგის ღამე შემთხვევით შეხვედრილი სულავა სოფლის მოშორებით ნაუყვანიათ საცემად. უცემია მხოლოდ მიშას. სულავას ძმებს ეჭვი გასჩენიათ ხომ არაფერი შეემთხვაო და დაუწყიათ მისი ძებნა. ერთ-ერთი ძმა ვარლამი თავზე წადგომია ძმებ ხვისტანებს. რომ დაუნახავს მის ძმას ცემდნენ, დანით ეცა მათ და 12 ჭრილობა მიაყენა მიშას და 11 გიორგის. ამაში მის ძმასაც მიუღია

1434 იქვე, №2, 68.

1435 იქვე, №1, 55; №4, 8; №5, 41; №6, 51.

1436 იქვე, რვეული №1, 103.

1437 იქვე, რვეული №3, 66; №4, 35.

1438 იქვე, რვეული №2, 89, 96.

1439 იქვე, რვეული №4, 9.

მონაწილეობა. ძმებ ხვისტანებს, განსაკუთრებით კი მიშას მძიმე ჭრილობები აღმოაჩნდათ. ორი წლის შემდეგ ხვისტანები დათანხმებულან შერიგებაზე. მორვებმა სულავებს ძმები ხვისტანების დაჭრისთვის დააკისრეს სრული წორის გადახდა 60 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ თითოეული ძმისათვის მრავალრიცხოვანი მძიმე ჭრილობის მიყენება ფაქტიურად ნახევარ-ნახევარ წორად შეფასდა. ინფორმატორი, რომელიც მორევი იყო ამ საქმეზე აღნიშნავს რომ სულავების მიერ ძმები ხვისტანების დაჭრა უდრიდა ერთი კაცის სიკვდილს და რომ არა ექიმები, ისინი ცოცხლები ვერ გადარჩებოდნენ. მორვებმა ამ გადასახადს გამოაკლეს იმ ზიანის ღირებულება, რომელიც თავის მხრივ ხვისტანებმა მიაყენეს სულავებს და საბოლოოდ მათ 45 000 მანეთის გადახდა მოუწია.[1440]

ნაკლებად მძიმე ჭრილობისათვის გადასახადიც შესაბამისად მცირდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით შეიძლება ყოფილიყო 5, 10 თუ 15 ათასი, ჭრილობის ხასიათიდან გამომდინარე.[1441] მსუბუქი, მცირედი ჭრილობისათვის კი გადასახადი შესაძლოა ათას მანეთზე მეტი არ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში გადახდა მორვების გარეშეც ხდებოდა.[1442] მ. კეკელიას ინფორმატორთა მონაცემების მიხედვით, მსუბუქი ჭრილობა ერთი ხარი ან ძროხა, ან ხარი და ძროხა ღირდა. არის მონაცემი, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მხუბუქი ჭრილობისათვის ნახევარი ძროხის ღირებულების გადახდა დაკისრებოდა დამნაშავეს.[1443] გვხვდება მონაცემი, რომლის მიხედვითაც მსუბუქი ჭრილობა 4-5 აცსიში, თუ ერთი ნალჯომის მიწა ღირდა.[1444] საილუსტრაციოდ კონკრეტულ შემთხვევას მოვიყვანთ: 1940 წელს სოფ. წვირმის მცხოვრებმა ფირცხელანმა ხანჯლით დაჭრა თამლიანი. ჭრილობა ხელზე ჰქონდა დაზარალებულს, რომელიც მალე შეუხორცდა. რადგანაც მსუბუქი ჭრილობა იყო, დამნაშავეს ერთი ხარის ღირებულება გადაახდევინეს.[1445]

XX საუკუნის 60-70-იანის წლების სვანი ინფორმატორების მიხედვით, მსუბუქი ჭრილობისათვის შესაძლოა გადასახადის გადახდას საერთოდ არც ჰქონოდა ადგილი დამნაშავის მხრიდან გარკვული პირობების შესრულების შემთხვევაში. მაგალითად, ასეთი იყო დამნაშავის მიერ ტოლობის ფიცის დადება, რითაც იგი დაადასტურებდა რომ მსგავს შემთხვევაში ისიც ანალოგიურად შეურიგდებოდა დამნაშავეს. თუ დამნაშავე ამაზე უარს იტყოდა, მაშინ მხარეებს მედიატორები მოარიგებდნენ და შესაძლოა დამნაშავისთვის დაახლოებით 150 მანეთის (საუბარია საბჭოთა ფულზე ე. წ. ახალი კურსით) საჩუქრების გადახდის დაკისრებით დაკმაყოფილებულიყვნენ.[1446] მცირედი დაჭრისას შერიგება ბოდიშის მოხდითაც მომხდარა. ამას უფრო მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც ზიანის მიყენება რაიმე სერიოზული მიზეზით არ იყო გამოწვეული, ან არაგანზრახი ქმედებით.[1447] ასევე, გადასახადის გარეშე, ბოდიშის მოხდით შერიგებას

1440 იქვე, რვეული №6, 58-61, 70-72.

1441 იქვე, რვეული №5, 41.

1442 იქვე, რვეული №3, 66; №4, 34.

1443 იქვე, №3, 42; №5, 12, 69;

1444 იქვე, №5, 37; №6, 24.

1445 იქვე, №4, 11-12.

1446 იქვე, №1, 57-58.

1447 იქვე, №1, 64.

ხელს უწყობდა ის რომ შუღლის მიზეზი რამაც დაჭრა გამოიწვია დაზარალებულის მიერ იყო პროვოცირებული, ან დამჭრელსა და დაჭრილს შორის იყო კარგი ურთიერთგანწყობა, ნათესაური კავშირი და სხვა.[1448] ამ დროს დამნაშავე მხარე სხვა პირების თანხლებით არაყით მივიდოდა დაზარალებულის ოჯახში და ბოდიშს მოუხდიდა მას.[1449] დაჭრისას შერიგების პირობა შესაძლოა გამხდარიყო დამჭრელის და მისი გვარის დაზარალებულის კერიის ქვეშ გაძრომა, ან კერიაზე ხელის მოკიდება, რაც უფრო ადვილად შესასრულებელი იყო. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ლატალში ვინმე კვანჭიანმა ხელი შემოარტყა გირგვლიანს, რომელმაც პასუხად თოფი ესროლა და ყურში დაჭრა. დაზარალებული მხარე შერიგებაზე იმ პირობით დათანხმდა, თუ კვანჭიანების მთელი გვარი მისი კერიის ქვეშ გაძვრებოდა. დამნაშავე მხარემ მიიღო ასეთი პირობა და მთელი გვარი (სულ 8 ოჯახი იყო), მივიდა გირგვლიანების ოჯახში პირობის შესასრულებლად, მაგრამ დაზარალებულმა აპატია და მხოლოდ კერიაზე ხელის მოკიდებით დაკმაყოფილდა.[1450]

მ. კეკელიას ინფორმატორთა მონაცემები ადასტურებს, რომ სხეულის დაზიანების მეორე კატეგორია მოიცავს საკმაოდ განსხვავებული სიმძიმის ჭრილობებს. მათთვის წინასწარ დადგენილი გადასახადი არ არსებობდა და მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, განსაზღვრავდნენ მედიატორები. ისინი ამ დროს ითვალისწინებდნენ მიყენებული ჭრილობის სიმძიმეს, თუ რა ზიანი მიაყენა მან დაზარალებულის ჯანმრთელობას, მის შრომის უნარს, რამდენად საშიში იყო იგი სიცოცხლისათვის, ასევე, სხეულის რა ადგილასაა მიყენებული ჭრილობა, თვალსაჩინო თუ დაფარულ ადგილას, გამოიწვია თუ არა დაზრალებულის დამახინჯება და სხვა.[1451] როგორც ნებისმიერი სხვა დანაშაულის დროს ამგვარი დაჭრის დროსაც ითვალისწინებდნენ მისი ჩადენის მიზეზს თუ მოტივს, განზრახაა ჩადენილი თუ უნებლიედ და სხვა ფაქტორებს.[1452]

მ. კეკელიას მონაცემებით ასევე ჩანს, რომ სახეში მიყენებული მხოლოდ ის ჭრილობა იყო წინასწარ შეფასებული ნახევარ წორად (შესაძლოა უფრო ნაკლებადაც), რომელიც სახის წარუხოცელ დამახინჯებას იწვევდა. მასალების მიხედვით, თუ ჭრილობა არ ამახინჯებდა დაზარალებულს, მაშინ გადასახადი

1448 იქვე №5, 48.

1449 იქვე, №5, 48-49.

1450 იქვე, №1, 65.

1451 იქვე, №5, 41-45; მ. კეკელიას მასალებში დაჭრის არაერთი კონკრეტული შემთხვევაა აღწერილი, სადაც კარგად ჩანს, რომ მორევები თვითონ განსაზღვრავენ თითოეული ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობას გარკვეულ ფარგლებში, მათი სიმძიმის გათვალისწინებით. მაგალითად, იფარელი ინფორმატორი ყვება 1968 წელს მომხდარ ურთიერთდაჭრის საქმეზე მან როგორც მორევმა სხვა მორევმა ერთად რა განაჩენი გამოიტანა და რისი გათვალისწინებით. იგი მიუთითებს რომ ერთი ჭრილობა მათ შეაფასეს 4000 მანეთად (ე. წ. ახალი კურსით), საპასუხოდ დამჭრელის ძმისთვის შუბლის არეში მიყენებული ჭრილობა 800 მანეთად, მისი ძმისშვილისთვის ქვით მიყენებული ჭრილობა 500 მანეთად, იყო სხვა ჭრილობებიც რომელთათვისაც გადასახადი მედიატორებმა განსაზღვრეს და საბოლოოდ ერთ-ერთ მხარეს 1500 მანეთის გადახდა დააკისრეს. ამ მაგალითის მიხედვით არცერთი დაზიანება არ იყო ისეთი, რომლისთვისაც გადასახადი წინასწარ იყო დადგენილი, ამიტომ თითოეული მათგანი მორევებმა ცალ-ცალკე შეაფასეს მისი სიმძიმის მიხედვით, გაითვალისწინეს შუღლის გამომწვევი მიზეზები და ამის მიხედვით გამოიტანეს საბოლოო განაჩენი.(მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №4, 1968, 20-21, 26-29).

1452 იქვე, №6, 1, 24.

ნაკლები იყო[1453] და მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მორვები ადგენდნენ ჭრილობის სიმძიმიდან გამომდინარე. მაგალითად, მ. კეკელიას მასალებში აღწერილია შემთხვევა, როდესაც თოფით ნასროლმა ტყვიამ ყბაში გაუარა დაზარალებულს. მორვებმა დამნაშავეს დააკისრეს 5 ძროხის გადახდა, რაც მაშინდელი კურსით ხუთი ათას მანეთს უდრიდა.[1454] როგორც ჩანს ეს ჭრილობა არ აღმოჩნდა სახის დამასახიჩრებელი ჭრილობა. სრული წორი ამ ინფორმატორის მიხედვით (რომელიც ბალსქვემო სვანეთიდანაა) 60 ძროხაა და ამდენად 5 ძროხა, რომელიც მორვებმა დაადგინეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე, არც თუ მძიმე ჭრილობისათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

აღსანიშნავია რომ დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადის წინასწარ განსაზღვრული ოდენობა თანამედროვე სვანურ ჩვეულებით სამართალში ისტორიას ჩაბარდა. ახლა დაჭრა-დასახიჩრებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შერიგებას ტოლობის ფიცის გამოყენებით, ქონებრივი საზღაურის დაკისრების გარეშე, ან საზღაურის დაკისრებას მხოლოდ არა წინასწარ განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად (ან მის ფარგლებში), არამედ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ანალოგიური პრეცედენტის გათვალისწინებით.[1455]

2.2. სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. სიმძიმის მიხედვით სხეულის დაზიანების სვანეთის მსგავსად ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით არ გეხვდება. სხეულის დაზიანების გარკვეულ თავისებურ კლასიფიკაციას ხევსურეთის მაგალითზე ვხვდებით მელანია ბალიაურის მასალებში. მისი განმარტებით არსებობს შემდეგი სახის ჭრილობები: 1. ჭრილობა, რომელსაც არა აქვს სიღრმე და სიგრძეზეა გაჭრილი. ასეთ ჭრილობას ეძახიან „ნაჭრევს". მისი განკურნება არ არის ძნელი და აქიმიც ადვილად ჰკიდებს ხელს; 2. „ნაწვერწაღმართალი" ჭრილობა. ეს ჭრილობა ორი სახისაა: ა) თუ დამჭრელმა ხანჯალი ზემოდან ჩასცა და სიღრმეში გაუშვა ხანჯლის წვერი; ბ) „ნაწვერწაღმართალი ორპირიანი ნაჭრევი", როდესაც დამჭრელი ხანჯალს პირდაპირ წვერით ჰკრავს და ისე გაჭრის, რომ მეორე ადგილას გამოჩნდება წვერი. ასეთი ჭრილობის მიყენება, როდესაც ნაწვერწაღმართალი ჭრილობა გვერდიდან გვერდამდეა გასული ხანჯლის წვერით, ავტორის თანახმად, უფრო ფეხში ხდება, ვიდრე ტანში. ტანზე ასეთი ჭრილობის მიყენება ძალიან იშვიათია, ფეხში კი საკმაოდ ხშირი შემთხვევაა.[1456] აღნიშნული კლასიფიკაცია გაკეთებულია ჭრილობის სიმძიმის და მიყენების ხერხის მიხედვით.

ავტორი პირველ რიგში ასახელებს შედარებით მსუბუქ ჭრილობას, რომელიც მხოლოდ სიგრძეზეა მიყენებული და არავითარი სიღრმე არ გააჩნია. ასეთი ჭრილობის მიყენება ძირითადად ხდება ხანჯლის პირით. იგი შეიძლება წვერითაც მიყენებულიყო, თუმცა წვერის არა სიღრმისკენ მიმართვით. აღნიშნული

1453 იქვე, №6, 2.

1454 იქვე, №1, 88-89.

1455 იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 112.

1456 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/22, 252-253, 259.

ჭრილობა ცხადია უფრო მსუბუქია, ვიდრე ჭრილობის მეორე სახეობა.

მ. ბალიაურის მიერ მოყვანილი მეორე სახის ჭრილობა კი პირველისგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ ხანჯლის წვერით შეიძლება იყოს მიყენებული და სიღრმისკენ წასული. „ნაწვერწაღმართალი" ჭრილობის ორი სახეა გამოყოფილი. ისინი ერთმანეთისგან ძირითადად ჭრილობის მიყენების ხერხით განსხვავდებიან. ერთი ჭრილობის ხანჯლის წვერით ზემოდან ქვემოთ მიყენებას გულისხმობს, მეორე კი ხანჯლის წვერის პირდაპირ შესვლას სხეულის სიღრმეში, ისე რომ იგი სხვა ადგილას გამოდის. ჭრილობის სიმძიმის თვალსაზრისით ნაწვერწაღმართალი ჭრილობის ეს ორი სახე, ჩვენი ვარაუდით, არ უნდა იყოს გამიჯნული. ორივე ხერხით შესაძლებელია ერთნაირად მძიმე ჭრილობის მიყენება. ამდენად, ავტორი სიმძიმის ხარისხის მიხედვით ფაქტიურად გამოყოფს ორი სახის ჭრილობას: მსუბუქს და მძიმეს, რომელთაგან პირველს სიღრმე არ გააჩნია და მხოლოდ სიგრძეზეა მიყენებული, მეორე კი ხანჯლის წვერით მიყენებისა და სიღრმის ქონის გამო უფრო მძიმედ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული კლასიფიკაცია არ არის ყველა შესაძლო ჭრილობის მომცველი. მაგალითად, იგი არ ითვალისწინებს ჭრილობას, რომელსაც შესაძლოა სიღრმე ჰქონდეს, თუმცა მაინცდამაინც წვერით არ იყოს მიყენებული. მაგალითად, თავში ხანჯლის პირით მიყენებული ღრმა ჭრილობა. ასევე, ეს კლასიფიკაცია ჭრილობის სიმძიმის ხარისხის განმაპირობებელ კრიტერიუმად მიუთითებს მხოლოდ იმას, ჭრილობა სიგრძეზეა მიყენებული, თუ ღრმაა. ჭრილობის სიმძიმის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი სვანური ხალხური სამართლის მიხედვით, როგორც გამოჩნდა, არის იგი სახიჩრობის გამომწვევია თუ არა. პასუხისმგებლობის დაკისრებისას ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც. შესაბამისად, იგი სიმძიმის მიხედვით სხეულის დაზიანების მნიშვნელოვან კლასიფიკატორსაც წარმოადგენდა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე, ჭრილობის სიმძიმის თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი კლასიფიკაციის ჩამოყალიბებაც შეიძლება.

უპირველეს ყოვლისა ხევსურულ რჯულში შეიძლება გამოიყოს სხეულის მსუბუქი დაზიანება, ე. წ. „საფათვლე" ჭრილობა, რომელსაც ქვემოთ დავახასიათებთ.

ხევსურეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვით, შესაძლოა საუბარი სხეულის მძიმე დაზიანებაზე, მძიმე დაჭრაზე. ხევსურები სვანების მსგავსად მძიმე დაჭრად განიხილავდნენ დაზიანებას, რომელსაც სხეულის ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრება მოჰყვა. მაგალითად, ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ხევსურეთში მძიმე ჭრილობად ითვლებოდა გახაიბრება, ანუ ასოს მოკვეთა და დასახიჩრება.[1457] ასევე ალ. ოჩიაური საუბრობს მძიმე დაჭრაზე და მას ერთგვარად სხეულის დაზიანების ცალკე კატეგორიად გამოყოფს. მისი განმარტებით, თუ პიროვნება მძიმედ იყო დაჭრილი საჭირო იყო დაზარალებულისათვის

1457 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

სისხლიანი საკლავ-პატივის[1458] გაგზავნა[1459] ალ. ოჩიაურის თანახმადაც „გახაიბრება“ მძიმე ჭრილობად ითვლებოდა.[1460] მის მიხედვით გამოდის, რომ მძიმე ჭრილობად შესაძლოა მივიჩნიოთ ისინი, რომლებიც სისხლიან საკლავ-პატივს მოითხოვენ. სხეულის სხვადასხვა ორგანოს (ხელის, ფეხის, თვალის, ცხვირის, ყურის) „გახაიბრების“ გარდა მათ მიეკუთვნება, მაგალითად, სახის არეში მიყენებული ჭრილობა,[1461] (კერძოდ, სახის არეში პირველად მიყენებული ჭრილობა – ე. წ. „პირის სერის შერევა“, სახის წარუხოცელი ჭრილობა), თავში მიყენებული ქვედა ძვლამდე და ტვინამდე დასული ჭრილობა,[1462] ბეჭისა და მხრის არეში მიყენებული მძიმე ჭრილობა, რომელიც ხელს უშლის ბეჭისა და მხრის ნორმალურ მოძრაობას,[1463] „საუნამუსოე“ ჭრილობა,[1464] ასევე ე. წ. „სასიკვდილო ჭრილობა“.[1465] სასიკვდილო, „სამთელმკვდრო“ ჭრილობად ითვლება ის, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. მათ შორისაა უკვე ნახსენები თავში მიყენებული ქვედა ძვლამდე და ტვინამდე დასული ჭრილობა, გულმკერდისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები, ე. წ. „ნაწვერწაღმართალი“ ჭრილობა, თოფის ტყვიით მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა, ხანჯლის ყელში გამოსმა და სხვა.[1466] შეიძლება ითქვას რომ ასეთი ჭრილობები ხევსურეთში მძიმე

1458 „პატივი“ – ხევსურეთში დაჭრა-დასახიჩრებისას მხარეთა საბოლოო შერიგებამდე, რაც ძირითადად სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა საკმაო დროის შემდეგ, შურისძიების თაეიდან ასაცილებლად საჭირო იყო მხარეების დაუყოვნებელი წინასწარი შერიგება. ამის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ე. წ. „პატივის დადება“. დამნაშავე „პატივს“ დასდებდა დაზარალებულს, ურთიერთდაჭრისას კი ორივე მხარე ერთმანეთს პატივს უგზავნიდა შუკაცების ხელით. საერთო წესით „პატივის“ გაგზავნა ნიშნავდა, რომ დამჭრელი ინანიებს დანაშაულს, პატიებას ითხოვს, თავს იხრის დაზარალებულის წინაშე.. პატივი დამჭრელს სწრაფად უნდა გაეგზავნა. ხშირად შუაკაცები აჩქარებდნენ დამნაშავეს. „პატივის დადება“ დაჭრის საღამოსაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. პატივის გაგზავნა ამშვიდებდა დაჭრილს და დამნაშავეს თუ სადმე შეხვდებოდა აღარ ეშურღებოდა მას. ხოლო თუ დამჭრელი პატივს არ დასდებდა დაზარალებულს, ეს ნიშნავდა ქედმაღლობას, კაცის აბუჩად აგდებას, რის გამოც დაჭრილი ძალიან ბრაზდებოდა და ეძებდა დროს სამაგიეროს გადასახდელად. შესაძლოა დაზარალებულს უარი ეთქვა პატივის მიღებაზე (როგორც წესი მძიმე დაჭრისას). ეს ნიშნავდა, რომ დაზარალებული უარს იძახდა შერიგებაზე, რაც მტრობის გაგრძელების მანიშნებელი იყო (ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 161-162; მისივე, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 41; მისივე, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/5, 53; ა. ო. 6/1, 81). თუ რა სახის „პატივი“ უნდა გაეგზავნა დამჭრელს დამოკიდებული იყო ჭრილობის ხასიათზე. პატივი ორის სახის იყო: **ხმელი პატივი** და **საკლავ-პატივი**. საკლავ-პატივი იყო: **ხმელი საკლავ-პატივი** და **სისხლიანი საკლავ-პატივი** (იგივე სისხლიანი პატივი). ხმელი პატივი ითვალისწინებდა მხოლოდ ერთი აბაზის გაგზავნას დაჭრილისათვის, რაც მსუბუქი ჭრილობისას ხდებოდა. საკლავ-პატივის მიტანა, ცხადია, შედარებით მძიმე ჭრილობების დროს იყო გათვალისწინებული. სისხლიანი საკლავ-პატივი ითვალისწინებდა ერთი აბაზისა და საკლავის გაგზავნას. ამ შემთხვევაში საკლავში იგულისხმებოდა ცოცხალი (ხევსურულად „სისხლიანი“) საკლავი, კერძოდ, ცხვარი, ბატკანი, ხბო, ხმელი საკლავ-პატივი გულისხმობდა ექვსი აბაზი ვერცხლის ფულის გაგზავნას (ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 162; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 253; მისივე, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/5, 53; ა. ო. 6/6, 67).

1459 ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 41

1460 ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 162.

1461 სახის არეში მიყენებულ ჭრილობას ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მძიმე ჭრილობად მოიხსენიებს ნ. ხიზანაშვილიც (იხ. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 51).

1462 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 28

1463 იქვე, 37.

1464 „საუნამუსოედ“ ითვლებოდა ჭრილობა მუხლს ზემოთ ორი ხელის დადების ზომის ადგილიდან (ეს დაახლოებით ბარკლის შუა ადგილია), სარტყლამდე, რომლის მკურნალობისთვის დაზარალებულს შარვლის გახდა უწევდა. (ამ ჭრილობისა და მისთვის გადასახადის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

1465 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 1954, ა. ო. 6/2, 22; იქვე, 6/5, 55; 6/6, 64; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 2-3, 61.

1466 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 21.

ჭრილობათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თავში მიყენებულ ტვინამდე დასულ ჭრილობას, ასევე ვენებში (ხევსურულად – „სტარებში"), მიყენებულს მძიმე ჭრილობად იხსენიებს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი.[1467] ჩვენი ამ კლასიფიკაციით გამოდის, რომ მ. ბალიაურის მიერ დასახელებული ნაწვერწაღმართალი ჭრილობის ორივე სახეობა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

მძიმე და საფათვლე ჭრილობებს გარდა შესაძლოა გამოვყოთ ასევე სხეულის დაზიანება, ჭრილობა, რომელიც არცერთ ამ კატეგორიას არ მიეკუთვნება: არც მძიმე ჭრილობაა და არც „საფათვლე". მას შესაძლოა პირობითად ვუწოდოთ სხეულის ნაკლებად მძიმე, ან საშუალო ხასიათის დაზიანება. ასეთ დაზიანებას უნდა გულისხმობდეს ალ. ოჩიაური რომელზედაც ამბობს, რომ პიროვნება „ძალიან მძიმედ არ არის დაჭრილი". ასეთი ჭრილობისას, მისი თქმით, ხმელი საკლავ-პატივი იყო მისატანი დაზარალებულისათვის.[1468] ხმელი საკლავ-პატივის მიტანა კი საჭირო იყო ისეთი ჭრილობებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნება იმათ რომლებიც სისხლიან საკლავ-პატივს საჭიროებენ და ზემოთ ჩამოვთვალეთ, ასევე არ ითვალისწინებდა მის გაგზავნას „საფათვლე" ჭრილობა. მაგალითად, ასეთია თავის ჭრილობა, რომელიც არ არის „საფათვლე" და არ არის დაყვანილი თავის ქალის ქვედა ძვლამდე და ტვინამდე.

ამდენად, ესაა ჭრილობა, რომელიც თავისი სიმძიმით ერთგვარად შუალედურია მძიმე (დამასახიჩრებელ, სასიკვდილო და სხვა) ჭრილობასა და მსუბუქ („საფათვლე") ჭრილობას შორის.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებიდან გამომდინარე შესაძლებელია სხეულის დაზიანება დავყოთ: 1. მძიმე ჭრილობად, 2. ნაკლებად მძიმე, საშუალო სიმძიმის ჭრილობად და 3. მსუბუქ, „საფათვლე" ჭრილობად. ასეთი დაყოფა ძალზედ ზოგადი და პირობითია. წინასწარ დადგენილი ზუსტი მიჯნა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ სხეულის დაზიანების სახეებს შორის არ არსებობდა. ესა თუ ის ჭრილობა რომელ კატეგორიას ეკუთვნის ამის დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გასარკვევად, თუ რა სახის პატივი უნდა გაეგზავნა დამნაშავეს დაზარალებულისათვის. ხშირად, დაზიანების სიმძიმეს კონკრეტული დაზიანებიდან გამომდინარე ადგენდნენ. სამი სახის პატივი სხეულის დაზიანების სამი ხარისხის შესატყვისად შეიძლება განვიხილოთ. . .

ჩვენ საკმაოდ ხშირად ვახსენებთ **ე. წ. „საფათვლე" ჭრილობას.** გვინდა ზოგადად დავახასიათოთ იგი.

„საფათვლედ", „საფათვლე ნაჭრევად" იწოდებოდა მსუბუქი, პატარა ჭრილობა. რაკი მსუბუქად დაჭრა ვაჟკაცობად ითვლებოდა, „საფათვლე ნაჭრევის" მიყენებას ხშირად ჰქონდა ადგილი. ჯერ გავარკვიოთ თუ საიდან მომდინარეობს ამ ჭრილობის სახელწოდება. ალ. ოჩიაური ასე განმარტავს ამ ჭრილობის არსს: „საფათვლე ნაჭრევი ეწოდებოდა პატარა ნაჭრევს, რომელსაც წამალი და შეხვევა არ სჭირდებოდა, მარტო ბალახის ფოთოლს დააკრავდნენ – ცხრაძარღვას ან სხვა ამის მსგავსს. თამბაქოს ფოთოლიც იცოდნენ."[1469] ნ. ხიზანაშვილიც იგივეს ადასტურებს: „საფოთლე" ისაა, რომ ექიმი დაჭრილობას ფოთლით სწა-

1467 იხ. ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1988, 100.

1468 ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 41

1469 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/7, პირადი არქივი, 83.

მლობს, ფოთოლს ადებს წყლულს."[1470] საფათვლე კარგად ახსოვთ XX საუკუნის 70-80-იან წლებში გამოკითხულ ხევსურ ინფორმატორებსაც, რომლებიც ასევე აცხადებენ, რომ საფათვლე ქვია ამ ჭრილობას იმიტომ რომ მისი მკურნალობა სიმსუბუქის გამო ხდება მხოლოდ ფოთლებით – ცხრაძარღვა, მრავალძარღვა.[1471] ამრიგად, ამ ჭრილობის მკურნალობის მეთოდმა (მკურნალობა ფოთლებით: ცხრაძარღვა, მარავალძარღვა, ჭრილობის გადახვევის, წამლის გამოყენების გარეშე), რაც მისი სიმსუბუქით იყო გამოწვეული, მისი სახელწოდებაც განაპირობა.

საფათვლე ჭრილობა შესაძლოა მიყენებულიყო სხეულის ნებისმიერ ადგილას. მაგალითად, თავში მიყენებული ჭრილობა საფათვლე იყო, თუ მხოლოდ თავის კანი გაიჭრებოდა და სკა (თხელი გარსი, აპკი თავის კანსა და თავის ქალის ძვალს შორის) გამოჩნდებოდა, ჭრილობა არ იყო ძვლამდე დასული.[1472] ზოგადად მხოლოდ კანის, ტყავის გაჭრა საფათვლე ჭრილობას წარმოადგენდა. მასალების მიხედვით, ტანზე, ხელსა და ფეხზე მიყენებული ჭრილობა, თუ იგი არ ინვევდა პიროვნების დაშავებას, დასახიჩრებას, საფათვლე ჭრილობის კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

საფათვლე ნაჭრევისათვის გადასახადი, რომელიც მასალებში ასევე „საფათვლედ" მოიხსენიება, ჭრილობის სიმსუბუქიდან გამომდინარე მცირე ოდენობისა იყო. ალ. ოჩიაურის მიხედვით, ასეთი ჭრილობისათვის დრამა არ იყო დაწესებული, საკმარისი იყო ხმელი პატივი და არყით შერიგება.[1473] ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც თავში მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის (ჭრილობა არ იყო დასული ძვლამდე, ანუ „საფათვლე ნაჭრევს" წარმოადგენდა) არ მოხდა დრამის დაკისრება – „ნაჭრევი სადრამე არ იყო" და დაზარალებულის ოჯახში დამნაშავის არყით მისვლა საკმარისად ჩაითვალა შერიგებისათვის.[1474] საერთოდ, წვრილმან საკითხებზე რჯულის ჩატარების საჭიროებაც არ იყო, ხდებოდა მხოლოდ არყის მიტანა, პატიების თხოვნა და შერიგება.[1475] კერძოდ, მსუბუქი დაჭრისას პირდაპირ შუაკაცს აგზავნიდნენ დაზარალებულთან, თუ პირისერის შერევა, ან საუნამუსოე ჭრილობა არ იყო სახეზე.[1476] მსუბუქი ჭრილობისათვის დრამის გადახდა რომ არ იყო დაწესებული და პატივით და არყით მისვლა საკმარისი, სხვა ავტორებთანაც ჩანს.[1477] უმეტესი მონაცემით, საფათვლე ნაჭრევი ხევსურეთში დრამას არ მოითხოვდა,

1470 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52.

1471 იხ. ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1, 1988, 101; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 35; იქვე, №5, 21, 42; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 81.

1472 ო. ზოიძე, იქვე, 100-101; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 45; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რეული №3, 40; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 171; ბ. გაბაური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 141; ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

1473 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 83.

1474 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 21; იქვე, 6/4, 48.

1475 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რეული №3, 42.

1476 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ. 2005, 773. „პირისერის შერევასა" და საუნამუსოე" ჭრილობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

1477 ბ. გაბაური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 141-142; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ, 1930, 113; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნანერები, თბ. 1940, 52; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1985, 94-95.

მისთვის „სისხლი" არ იყო გაჩენილი და ფასობდა მხოლოდ ერთ ცხვრად.[1478] ს. მაკალათია საფათვლე ჭრილობაზე საუბრისას აღნიშნავს: „.....ასეთი დაკეჭნაც შერიგებით თავდება და დამკეჭნავსაც დრამა არ გადახდება. ის მხოლოდ მისცემს საფოთვლეს ერთ ცხვარს. მიუტანს ცოტა არაყს....."[1479] ზოგიერთი ცნობით, საფათვლე შესაძლოა 3 ცხვარამდე და მეტამდეც ავიდეს.[1480] ამ მონაცემებიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მსუბუქი ჭრილობისათვის, საფათვლე ნაჭრევისათვის, დრამის დაკისრება არ იყო დაწესებული, უნდა გადაეხადა მხოლოდ „საფათვლე", რომელიც მონაცემთა უმრავლესობით ერთი ცხვარის ღირებულებისა იყო, თუმცა ზოგი ცნობით სამ და მეტ ცხვარმდეც შეიძლება მიეღწია, სავარაუდოდ, ჭრილობის ხასიათიდან გამომდინარე. ასევე გათვალისწინებული იყო დაზარალებულისათვის გარკვეული პატივის მიტანა და დაზარალებულის ოჯახში არყით მისვლა შესარიგებლად.

აღსანიშნავია რომ, ზოგიერთი მონაცემით, ყველა სახის მსუბუქი ჭრილობა არ ითვლებოდა „საფათვლე ნაჭრევად". მაგალითად, მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, „საუხმრეში" მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის „საფათვლეს" გადახდა არ ხდებოდა. „საფათვლე", მისი თქმით, ისეთი ჭრილობა იყო, რომელიც გახაიბრების საფრთხეს არ ქმნიდა."[1481] აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საფათვლე ნაჭრევი არა მარტო დასახიჩრებას არ უნდა იწვევდეს, არამედ დასახიჩრების საფრთხესაც არ უნდა ქმნიდეს. თუ იგი დასახიჩრების საფრთხეს ქმნიდა (ე. ი. მიყენებული იყო ისეთ ადგილას, სადაც ჭრილობის მიყენებას შესაძლოა დასახიჩრება გამოეწვია – ე. წ. – საუხმროში), მაგრამ დასახიჩრება არ მოჰყვა და მსუბუქი ხასიათისა იყო, არ ითვლებოდა საფათვლე ნაჭრევად. ამ შემთხვევაში, ცხადია, საფათვლეს გადახდა არ ხდებოდა და საზღაური მეტი იყო.

ხევსურეთში მსუბუქ ჭრილობად ითვლებოდა ასევე ღაჯიით მიყენებული ჭრილობა. „ღაჯია" – ცერა თითზე წამოსაცმელი, დაკბილული იარაღია. ხევსური ინფორმატორის განმარტებით, თუ ღაჯიას დაარტყამდი, არავითარ დრამას არ გადაიხდიდი, რადგანაც მომაკვდინებელი არ იყო, მხოლოდ სისხლი წამოედინებოდა და სხვა არაფერი.[1482] ამ მონაცემს ალ. ოჩიაურიც ადასტურებს: „საითითი დაჭრილზე არც გადასახადი რამე იყო, მარტო არყით მივიდოდა და დამნაშავე შეირიგებდა ნაცემს."[1483]

1478 იხ. ნ. ხიზანაშვილი, იქვე; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1988, 45, 74; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, №1, 1988, 100-101.

1479 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1985, 94-95.

1480 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №4, 36; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რევეული, 1988, 81; რ. ხარაძის ინფორმატორის მიხედვითაც, თავში მიყენებული საფათვლე ნაჭრევისთვის 3 ხელითი ცხვარია (რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171).

1481 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1977, №1, 67-68.

1482 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, №2, 1988, 6-7.

1483 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/1, 1.

3. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორები

სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია მისი სიმძიმის მიხედვით საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თუ რა ფაქტორებით იყო განპირობებული ჭრილობის სიმძიმის ხარისხი ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით და შესაბამისად ჭრილობის მიყენებისთვის დაკისრებული საზღაურის ოდენობა. ხევსურულ ჩვეულებით სამართალში რ. ხარაძის მიხედვით დაჭრისთვის გადასახდელი საზღაური დიფერენცირებულია ნაჭრევის ადგილის, სიგრძის და სიღრმის მიხედვით.[1484] გ. თედორაძეც აქცენტს ჭრილობის ადგილმდებარეობაზე („სხეულის რომელ ნაწილზეა იგი") და აგრეთვე მის მიერ მიყენებული ზიანის სიდიდეზე აკეთებს.[1485] ნ. ხიზანაშვილის მიხედვითაც ხევსურული სამართალი სხვა ფაქტორებთან ერთად ყურადღებას აქცევს ჭრილობის ადგილმდებარეობას და იმას თუ რა ზიანი მიაყენა მან ადამიანის ჯანმრთელობას. აგრეთვე მის მიხედვით, სახის არეში მიყენებული ჭრილობისას ყურადღება ექცევა იგი შიშველ ადგილასაა მიყენებული (ეს ითვლება მძიმე ჭრილობად), თუ წვერით დაფარულ ადგილას.[1486] დაახლოებით იგივე ფაქტორები განსაზღვრავდა ჭრილობის სიმძიმეს სვანეთსა (რაც ზემოთაც გამოჩნდა) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების (ფშავი, თუშეთი) ჩვეულებით სამართალშიც. ფშავთან დაკავშირებით აღნიშნულ საკითხს ეხებიან ჯ. მერაბიშვილი და დ. ჯალაბაძე. მათი განმარტებით, ფშაურ ჩვეულებით სამართლაშიც ჭრილობის სიმძიმის ხარისხი განისაზღვრებოდა ჭრილობის ადგილმდებარეობით, სიცოცხლისათვის რამდენად საშიშ ადგილასაა მიყენებული, მისი ზომით, სიღრმით, რამდენად საშიშია იგი ჯანმრთელობისთვის.[1487] როგორც ზემოთ გამოჩნდა, სვანურ ჩვეულებით სამართალშიც ჭრილობის სიმძიმეს განაპირობებდა მისი ადგილმდებარეობა და ჯანმრთელობისათვის მიყენებლი ზიანის ხარისხი.

მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ჭრილობის სიმძიმის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები: 1. ჭრილობის ადგილმდებარეობა, თუ სად იყო იგი მიყენებული – სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას (მაგალითად, გულ-მკერდის, მუცლის არეში და სხვა), თვალსაჩინო ადგილას, ტანსაცმლით დაფარულ ადგილას, წვერით დაფარულ ადგილას თუ არა. მაგალითად, თვალსაჩინო ადგილას, კერძოდ, სახეზე მიყენებული ჭრილობა უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე ტანსაცმლით დაფარულ ადგილას მიყენებული ანალოგიური ჭრილობა, ასევე სახის შიშველ ადგილას მიყენებული ჭრილობა უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა (ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ხევსურულ ჩვეულებით სამართალში). 2. ჭრილობის სიდიდე, მისი ზომა. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახეზე მიყენებული ჭრილობა ქერისა და პურის მარცვლებით

1484 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1947, 170.

1485 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 112.

1486 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 51.

1487 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 53; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 108-109.

იზომებოდა მისი სიგრძის დასადგენად. ცხადია, რაც უფრო დიდი ზომის აღმოჩნდებოდა ჭრილობა გადასახადიც მეტი იქნებოდა. 3. ჭრილობის სიღრმე. მაგალითად, ხევსურეთში თავის არეში მიყენებული ჭრილობის სიმძიმე მისი სიღრმით განისაზღვრებოდა: შედარებით ღრმად ჩასული ჭრილობა მეტ გადასახადს ითვალისწინებდა. ასევე არის გარკვეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შემავალი, ღრმა ჭრილობა (მაგალითად, ხანჯლის თუ ხმლის წვერით მიყენებული) უფრო მძიმედ ითვლებოდა და მეტ გადასახადს ითვალისწინებდა, ვიდრე ჭრილობა, რომელიც არ იყო შემავალი (მაგალითად, ხანჯლის თუ ხმლის პირით მიყენებული). ბუნებრივია რაც უფრო ღრმა იქნებოდა ჭრილობა, ადამიანის ჯანმრთელობას უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნიდა. ჭრილობის სიღრმე მისი სიმძიმის მნიშვნელოვნად განმაპირობებელი ფაქტორი იყო. 4. იარაღის სახეობა, რითაც მიყენებული იყო ჭრილობა. ეს ფაქტორი სვანურ ჩვეულებით სამართალში გვხვდება ცალკეული მონაცემების მიხედვით. მაგალითად, მ. კოვალევსკი მიუთითებს, რომ თოფით ჭრილობა სვანეთში ყველაზე მძიმედ ითვლებოდა და უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე ხანჯლით მიყენებული ჭრილობა.[1488] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორიც ბალსზემო სვანეთიდან, კერძოდ იფარიდან, ადასტურებს ამ გარემოებას. მისი თქმით ტყვიით დაჭრა ხანჯლით დაჭრაზე უფრო მძიმედ მიიღება.[1489] იგივე შინაარსის ცნობა გვხვდება ინფორმატორთან ბალს ქვემო სვანეთიდან. მისი განმარტებით, თოფის სროლით მიყენებული მსუბუქი ჭრილობა 10 ძროხამდე ფასობდა, ხოლო დანით დაჭრა მასზე უფრო ნაკლებად.[1490] ხევსურეთში თოფით მიყენებული ნებისმიერი სიმძიმის ჭრილობა ითვლებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველად. თოფის ტყვიით მიყენებული ჭრილობა, თუნდაც მსუბუქი, დიდ გადასახადს მოითხოვდა. ანალოგიური სიმძიმის ჭრილობა სხვა იარაღით – ხმლით, ხანჯლით მიყენებული, ნაკლებად ფასობდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ თოფით ჭრილობის მიყენება მომეტებული საფრთხის მატარებელი იყო. აღნიშნულ საკითხზე უფრო კონკრეტული მონაცემები არ გაგვაჩნია, თუმცა მიგვაჩნია, რომ მოყვანილი ცნობებიც საკმარისია იმისათვის, რომ იარაღის სახეობა, რითაც ჭრილობაა მიყენებული ჭრილობის სიმძიმის განმაპირობებელ ფაქტორად მივიჩნიოთ. 5. მიყენებული ჭრილობით გამოწვეული ჯანმრთელობის ზიანის ხარისხი. ეს ფაქტორიც ძირითადად სვანეთში და ხევსურეთში ფიქსირდება. მასალების მიხედვით, ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას, სვანი მედიატორები და ხევსური რჯულის კაცები ჭრილობის ადგილმდებარეობის გარდა ითვალისწინებდნენ იმას, თუ რამდენად გამოიწვია ამ ჭრილობამ, „ჯანის დაკლება", შრომისუნარიანობის შეზღუდვა თუ საერთოდ დაკარგვა.[1491] სვანეთში არადამასახიჩრებელი ჭრილობის მიყენებისას, როგორც დავინახეთ, თვითონ მედიატორები განსაზღვრავდნენ გარკვეულ ფარგლებში გადასახადის ოდენობას. ამ დროს ისინი სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებდნენ, თუ რა ზიანი მიაყენა დაზარალებულის ჯანმრთელობას ჭრილობამ, რამდენად შეზღუდა

1488 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37.

1489 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 51.

1490 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 105.

1491 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 37, 41; მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 264.

მისი შრომის უნარი. ე. წ. სასიკვდილო ჭრილობა სწორედ ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანების შედეგი იყო და მედიატორები ასეთი ჭრილობისათვის საკმაოდ დიდ გადასახადს სწორედ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით განსაზღვრავდნენ. იგივე ითქმის ე. წ. სასიკვდილო ჭრილობაზე ხევსურეთშიც. 6. ჭრილობის მიყენება ხანჯლის, ხმლის წვერით („ნაწვერწაღმართალი" ჭრილობა). ხევსურეთში ფიქსირდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, იარაღის – ხანჯლის, ხმლის წვერით ტანის არეში თუნდაც მხუბუქი ჭრილობის მიყენება, რადგანაც სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი იყო, ითვალისწინებდა გადიდებულ გადასახადს. მაგალითად, მ. კეკელიას მონაცემებით ხანჯლის წვერით, სხეულის კონკრეტულ ადგილას მიყენებული თუნდაც მსუბუქი ჭრილობა, კერძოდ, „სარტყლის ზემოთ" – გულმკერდის, მუცლის არეში (ფერდში, ნაწლავებში და სხვა), რადგანაც სიცოცხლისათვის საშიში იყო, 30 ძროხის (ნახევარი სისხლის) გადახდას ითვალისწინებდა.[1492] ბ. გოგოჭურის მონაცემით, „ნაწვერწაღმართალი ნაჭრევი", ანუ ხანჯლის, ხმლის წვერით მიყენებული, ითვალისწინებს 5-დან 30 ძროხამდე ხელითი ძროხის გადახდას.[1493] ამდენად, ხევსურეთში ჭრილობისათვის (თუნდაც მსუბუქი, არა ღრმა ჭრილობისათვის) ასეთ მაღალ გადასახადს განაპირობებდა ის, რომ იგი ხანჯლის, ხმლის წვერით იყო მიყენებული.

შესაძლოა ჭრილობის სიმძიმის განმაპირობებელი არაერთი ფაქტორი ყოფილიყო ერთობლივად სახეზე. მაგალითად, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას, ხანჯლის წვერით მიყენებული, ამავე დროს ღრმა, შემავალი ჭრილობა ხშირად ე. წ. „სასიკვდილო ჭრილობის" გამომწვევი იყო და ჯანმრთელობის არსებით ზიანს და შრომის უნარის ხანგრძლივ მოშლას უკავშირდებოდა. ბუნებრივია, ასეთი ჭრილობისათვის პასუხისმგებლობა იზრდებოდა. ხევსურეთში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები როდესაც პიროვნებას ღრმა, შემავალი ჭრილობა მიაყენეს ხანჯლის წვერით სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას (ერთ შემთხვევაში ფერდში, მეორე შემთხვევაში ფილტვში). დაზარალებული ორივე შემთხვევაში ძლივს გადარჩა სიკვდილს. მედიატორებმა ორივე ეს ჭრილობა „სასიკვდილო ჭრილობად" ჩათვალეს, რის გამოც მისთვის საკმაოდ დიდი გადასახადი დააკისრეს დამჭრელს.[1494]

ცემისას სხეულის დაზიანების სიმძიმის განმაპირობებელი ფაქტორი სვანეთში, როგორც აქ მოყვანილი ცნობების მიხედვით გამოჩნდა, ასევე იყო ცემის შედეგად დაზარალებულის დასისხლიანება-არადასისხლიანება. ბუნებრივია, თუ ცემა დაზარალებულის დასისხლიანებას გამოიწვევდა ეს უფრო მძიმე დაზიანებად ითვლებოდა, ვიდრე დაზიანება „მშრალად" ანუ დასისხლიანების გარეშე.

დასახიჩრებისას საზღაურის ოდენობა სხეულის თითოეული ორგანოსთვის წინასწარ იყო განსაზღვრული, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შესაძლებელია საუბარი სხეულის ამა

1492 მ. კეკელია, მასალები ხევრურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №1, 57; №2, 62; №5, 42.

1493 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 24.

1494 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №1, 52-56; იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №6, 20.

თუ იმ ორგანოს სახიჩრობის ხარისხის შესახებ, ანუ იმაზე, თუ რამდენად მძიმედაა დასახიჩრებული ეს თუ ის ორგანო. სახიჩრობის სიმძიმის განმაპირობებელი კი იყო ის, თუ რამდენადაა მოშლილი დასახიჩრებული ორგანოს ფუნქცია – სრულად თუ ნაწილობრივ. დასახიჩრებული ორგანოს ფუნქციის სრული მოშლის, ამ ორგანოს სრული მოკვეთისას გადასახადი, როგორც წესი, წინასწარ იყო დადგენილი, ხოლო, როდესაც ადგილი ჰქონდა ორგანოს ფუნქციის არასრულ, ნაწილობრივ მოშლას, მაშინ გადასახადი სრული სახიჩრობისთვის დაწესებულ გადასახადზე ნაკლები იქნებოდა სახიჩრობის ხარისხის შესაბამისად, რასაც მედიატორები განსაზღვრავდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სახიჩრობის სიმძიმის განმაპირობებელი იყო ის, თუ სხეულის რომელ მხარესაა დასახიჩრებული ორგანო – მარჯვნივ, თუ მარცხნივ, გამომდინარე იქედან, რომ ვთქვათ, მარჯვენა თვალის, თუ ხელის ფუნქციური მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე მარცხენასი. შესაბამისად მარჯვენისათვის გადასახადიც მეტი იყო. უნდა ითქვას, რომ ამ შინაარსის მონაცემები ძირითადად გამონაკლისია. უმრავლესი მონაცემით სახიჩრობის სიმძიმე და შესაბამისად გადასახადის ოდენობა არ იყო დამოკიდებულო იმაზე, დასახიჩრებული ორგანო მარჯვენაა, თუ მარცხენა. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ფაქტორი, როგორც წესი, სახიჩრობის სიმძიმის განმაპირობებელი იყო. აღნიშნულ საკითხს ჩვენ შესაბამისი ორგანოების დაზიანების შესახებ საუბრისას დაწვრილებით შევეხებით.

4. სხეულის ცალკეული ნაწილების დაჭრა-დასახიჩრებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა სვანურ, ხევსურულ, ფშაურ და თუშურ ჩვეულებით სამართალში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით სხეულის ცალკეული ორგანოების დაზიანებისათვის კონკრეტული საზღაურები მეტ-ნაკლები ინტენსიობით ფიქსირდება მხოლოდ აღნიშნულ კუთხეებში. ყველაზე უფრო სრულყოფილად სხეულის ცალკეული ნაწილების დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების სისტემა ხევსურულ რჯულში ვლინდება. ცალკეული ორგანოების დასახიჩრებისათვის გადასახადების შესახებ მონაცემები სვანურმა სამართალმაც შემოგვინახა. ფშავსა და თუშეთში კი შესაბამისი მონაცემები შედარებით ნაკლებია.

4.1. თავში მიყენებული ჭრილობა. თავში მიყენებული ჭრილობის შესახებ ყველაზე სრულყოფილი მონაცემები ხევსურეთში ფიქსირდება. ხევსურულმა რჯულმა შემოგვინახა თავში მიყენებული ჭრილობისათვის დიფერენცირებული გადასახადი მისი სიღრმიდან გამომდინარე. მასალების მიხედვით, ხევსური რჯული განასხვავებს სახეზე მიყენებული ჭრილობისა და თავში მიყენებული ჭრილობის შეფასების წესს. სახის ჭრილობას ზომავდნენ მარცვლებით და ამით ადგენდნენ გადასახადის ოდენობას. თავში მიყენებულ ჭრილობას კი, როგორც აღვნიშნეთ, მისი სიღრმით აფასებდნენ. ინფორმატორთა განმარტებით, თუ ჭრილობა მიყენებული იყო შუბლის „სამი ნაოჭის ქვემოთ“, ხდებოდა

მისი მარცვლებით გაზომვა, ხოლო თუ მიყენებული იყო შუბლის „სამი ნაოჭის ზემოთ", მაშინ ჭრილობის მარცვლებით გაზომვას აღარ ჰქონდა ადგილი და დამნაშავისათვის შესაბამისი საზღაურის დაკისრების მიზნით მის სიღრმეს განსაზღვრავდნენ.[1495] ამრიგად, შუბლის „სამი ნაოჭის ქვემოთ" მიყენებული ჭრილობის შესაფასებლად გამოიყენებოდა მარცვლებით გაზომვის წესი, ხოლო ზემოთ მიყენებული ჭრილობისათვის, თავის ჭრილობის შეფასების წესი.

შუბლის სამი ნაოჭის ზემოთ მიყენებული ჭრილობის შეფასების წესის განსხვავება მის ქვემოთ მიყენებულის შეფასების წესისგან განპირობებული იყო იმით, რომ დაახლოებით შუბლის სამი ნაოჭის ზემო ადგილს ფარავდა თმა თუ ქუდი, რაც აქ მიყენებულ ჭრილობას თვალისგან უხილავად აქცევდა, განსხვავებით, შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ მიყენებული ჭრილობისაგან. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით: „არ იზომებოდა ..... თავში, თმაში მიყენებული ჭრილობა. ..... შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ იზომება, ზევით არ იზომება, ეს იმიტომ, რომ ზევით ჭრილობებს ქუდი დაფარავს."[1496] სხვა ხევსური ინფორმატორის თქმით კი, „შუბლზე სამი ნაოჭის ზემოთ თუ არის ჭრილობა, მას მარცვალი არ ეწყობა, რადგან მას თმა ფარავს. ნაოჭებს ქვემოთ მარცვლები ეწყობა."[1497] ამჯერად, განვიხილავთ ჭრილობებს, მიყენებულს „შუბლის სამი ნაოჭის ზემოთ", რომელთა სიმძიმის ძირითადი განმსაზღვრელი ჭრილობის სიღრმე იყო.

ხევსურული რჯული თავში მიყენებული ჭრილობის გადასახადის ოდენობას საფუძვლად უდებს თავის ანატომიურ აგებულებას. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი, რომელიც ადგილობრივი დასტაქარი იყო და კარგად ერკვეოდა თავში მიყენებული ჭრილობების შეფასებაში, განმარტავს: თავის კანის ქვემოთ ძვალია, კანსა და ძვალს შორის არის თხელი გარსი, აპკი, ძვლის ზედა ზედაპირი, რომელსაც ხევსურები უწოდებენ სკას.[1498] ამ ძვლის ქვემოთ კიდევ მეორე ძვალია, ხოლო ამ ორ ძვალს შორის ე. წ. ჩხიმი[1499]. ქვედა ძვლის ქვემოთ კი ტვინია.[1500] ალ. ოჩიაურის თქმით, თავის ჭრილობა განისაზღვრებოდა ძვალის მიხედვით. მისი განმარტებით, „ძვალი იყოფა სამად: ზეთა ძვალი, ჩხიმიანი, და ქვეთა ძვალი"[1501]. ამდენად, ხევსურები ანსხვავებდნენ ზედა და ქვედა ძვალს. ზედა ძვალში იგულისხმებოდა თავის ქალის ძვალი (ან როგორც ალ. ოჩიაური განმარტავს: თავის ქალის ძვლის ზედა პირი), ქვედა ძვალში კი მაგარი გარსი.[1502] ხე-

---

1495 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 29; იქვე, №5, 29; იქვე, №6, 41; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 38; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 39-40.

1496 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 29.

1497 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 38.

1498 ზოგადად სკას ხევსურები უწოდებენ ძალზედ თხელ კანს, აპკს, რომელიც აკრავს სხადასხვა შიგნითა ორგანოს (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 816).

1499 ჩხიმი – თავის ქალის ზედა და ქვედა ძვლებს შორის მდებარე ხრტილოვანი ნივთიერება – დიპლოე (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 1021; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 27).

1500 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 100.

1501 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40.

1502 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 171; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1, 9.

ვსურული რჯულით, თავში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი სწორედ იმის მიხედვით განისაზღვრებოდა თუ სადამდე იყო დაყვანილი მიყენებული ჭრილობა: სკამდე, პირველ ძვლამდე, ჩხიმამდე, ქვედა ძვლამდე თუ ტვინამდე. რაც უფრო ღრმად იყო ჭრილობა ჩასული თავის არეში, მით მეტი გადასახადი დაეკისრებოდა დამნაშავეს.

თავის ჭრილობის სიმძიმეს განსაზღვრავდა დაჭრილის მკურნალი ექიმი, ადგილობრივი დასტაქარი. სასამართლო პროცესზე, რჯულის კაცები სწორედ მას ჰკითხავდნენ: „რომელი ძვალი ამოვიდა, ზეთა ძვალი, ჩხიმიანი, თუ ქვეთა ძვალი?"[1503] „ძვალის ამოსვლა" ნიშნავდა იმას რომ, ჭრილობა ძვლამდე დავიდა, ძვალია სამკურნალო, ძვალი დაიმტვრა (ან ზედა, ან ჩხიმიანი, ან ქვედა) და მისმა ნამსხვრევებმა დაიწყო მაღლა ამოსვლა, რაც დასტაქრის ძალისხმევით ხდებოდა. თუ რომელი „ძვალი ამოვიდა", ამით ზუსტად განისაზღვრებოდა ჭრილობის სიღრმე და სიმძიმე, რის საფუძველზეც რჯულის კაცები ადგენდნენ გადასახადის ოდენობას. მ. ბალიაურის მიხედვით, თავში მიყენებული ჭრილობა მსუბუქია თუ მძიმე სისხლითაც იცნობოდა. თუ სისხლი „შავნა" მოდიოდა, იტყოდნენ, არ არის ჭრილობა ღრმა, „მსუბუქად სჭირსო" და თუ მოთეთრო ფერის სისხლი მოდიოდა ჭრილობიდან, მაშინ იტყოდნენ: „ჩხიმის სისხლი მოდისო". ეს კი დიდი და ღრმა ჭრილობის ნიშანი იყო.[1504]

ჭრილობის სიღრმის გაზომვისათვის, თუ სადამდეა დაყვანილი ჭრილობა, ადგილობრივი დასტაქარი იყენებდა თავის ინსტრუმენტებს: ხმალიკას – ბრტყლად გათლილ პატარა ჩხირს და ე. წ. ხვეწს – რკინის ან ფოლადის პირიან საფხეკს. ეს სწორედ რომელიმე ძვალის გატეხვისას ხდებოდა.[1505] რ. ხარაძის და მისი ინფორმატორის მიხედვით, დასტაქარი „გათლის ხის პატარა ხმალიკას. ხმალიკას საშუალებით ნაჭრევს გასინჯავს, რა სიღრმემდეა ჭრილობა ჩასული."[1506] ამისათვის კი ხმალიკას მეშვეობით დასტაქარი ჭრილობის ნაპირებს აქეთ-იქით გადასწევდა და ხოწის (ხვეწის)[1507] მეშვეობით დაზიანებულ ძვალს მოფხეკდა.[1508] დამსხვრეული ძვლის ნატეხების ამოღება, საჭირო იყო არა მარტო ჭრილობის სიმძიმის დასადგენად, არამედ უპირველეს ყოვლისა დაჭრილის განსაკურნებლად. ძვლის მცირედი ნამსხვრევიც რომ დარჩენილიყო, ჭრილობა დაჩირქდებოდა და შესაძლოა ამას დაზარალებულისათვის სასიკვდილო შედეგიც მოჰყოლოდა. ალ. ოჩიაური ჭრილობის გასინჯვის, მკურნალობის და ამავდროულად მისი სიძმიმის დადგენის პროცესს შემდეგნაირად აღწერს: „აქიმი ხმალიკაით შეუბრალებლად მისწევდა ჭრილობებს, სინჯავდა, ძვალთ იყო გაჭრილი თუ არა. თუ ძვალი გაჭრილი იქნებოდა საშიში იყო ჭრილობა და გაკურნვის საშუალებას არ მისცემდნენ მანამ გატეხილი ძვალი არ ამოვიდოდა. თუ ძვალი გაჭრილი და გატეხილი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ჭრილობას ადრე განკურნავდნენ. აქიმს ჰქონდა სხვადასხვა ბალახებისაგან დამზადებული წამლები. დაცდილი ქონდა სად რა ადგილზე და როგორ ჭრილობაზე რომელი წამალი უფრო კარგად იმოქმედებდა და ამის მიხედვით ხმარობდა წამლებს."[1509] ერთ-ერთი კონკრე-

1503 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/1, 5.

1504 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 320.

1505 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1506 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171.

1507 არხოტში „ხვეწი" ერქვა, ხოლო ბუდე ხევსურეთში „ხონი".

1508 რ. ხარაძე, იქვე.

1509 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 6/1, 9.

ტული შულლის შედეგად რამდენიმე დაპირისპირებულ პირს აღმოაჩნდა თავის ჭრილობა. ალ. ოჩიაური საინტერესოდ აღწერს ადგილობრივი დასტაქრის, „აქიმის" მოქმედებას დამსხვრეული ძვლის ნატეხების ამოღების, მათი „ამოსვლის" მიზნით: „აქიმმა კარგა ხანს, თითქმის ორ-სამ კვირამდინ არ მისცა გაკურნვის საშუალება თავში მიყენებულ ჭრილობებს. ყოველ დღე სინჯავდა ხვეწის პირით და ხმალიკაით. ძვალი ამოვიდოდა თუ არა? გაჭრილ-გატეხილი იყო თუ არა? ამის შემდეგ გატეხილმა ძვლებმა იწყო ამოსვლა პატარ-პატარა ნაჭრებად..... აქიმი ამბობდა: გატეხილი ძვალი, რომელიც უნდა ამოვიდეს – ძირზე ხორცი გაუჩნდება, ზევით ამოსწევს მიზეზიან ძვალს და ბოლოს ამოვარდება, ხოლო ყოველ დღე უნდა მოედო ხვეწის პირი ან ხმალიკა, გატეხილი ძვალისთვის და ოდნავ ამოეწია ზევით. ასე ამ შულლში დაჭრილი ნაჭრევებიდან ზოგიერთებს ამოუვიდა ზეთა ძვალი, ხოლო თუშის და მარტიაის ნაჭრევებიდან ორივემ (ერთიმეორე დაჭრეს მათ) ამოიყოლა ჩხიმი."[1510] ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ თავში მიყენებული ჭრილობის სიმძიმის განსაზღვრა ყველაზე ზუსტად დაჭრილის მკურნალ დასტაქარს შეეძლო და ამიტომ მის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რჯულის კაცების მიერ თავში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობის დადგენისას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჭრილობის დამძიმების მიზნით მასზე ექიმის მიერ ე. წ. „დარიშკანას" დაყრა სწორედ თავში მიყენებული ჭრილობისას ხდებოდა,[1511] რაც რჯულის კაცებმა კარგად იცოდნენ და ამ გარემოებას ყოველთვის ითვალისწინებდნენ.

ახლა კონკრეტულად განვიხილოთ, თუ რამდენი იყო გადასახადი თავში მიყენებული ჭრილობებისათვის, მათი სიღრმიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ძირითადად გადასახადის წინასწარ განსაზღვრულ ოდენობებთან გვაქვს საქმე.

ა. მსუბუქი, „საფათვლე" ჭრილობა. ყველაზე მცირე გადასახადი დადგენილი იყო თავში მიყენებული მსუბუქი, ე. წ. საფათვლე ჭრილობისათვის. ავტორთა და ინფორმატორთა უმრავლესობის განმარტებით, ასეთ ჭრილობად ითვლებოდა თავში მიყენებული ჭრილობა, რომელიც არ აზიანებდა ძვალს. რ. ხარაძის ინფორმატორი მიუთითებს: „თუ თავის ნაჭრევი ძვლამდეა დაყვანილი და ძვალი არ არის გაჭრილი, მაშინ დამნაშავე იხდის სამ ცხვარს. ამის შესახებ გუდანელი აქიმი მგელა ჭინჭარაული ამბობს: „საფათვლე ნაჭრევი, ასევ ვეძახით, თუ ძვალ არაა გაჭრილი, მაშინ დამნაშავე იხდის 3 ჩარექ სპილენძს, ან 3 ხელით ცხვარს, აქიმს უხდის ერთ ხელით ცხვარს და აქიმთან დაჭრილის ჭამა-სმაც იმის ხარჯითაა. ძვლამდე დაყვანაში ხევსურები ძვლის ზედა კანის გაჭრას გულისხმობენ, რომლის მნიშვნელობა მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული."[1512] აღნიშნული ალ. ოჩიაურთანაც დასტურდება. მისი თქმით, თავის ჭრილობა თუ ძვლამდე არ და-

---

1510 იქვე, 10. გატეხილი ძვლის ამოსვლას რომ ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დაჭრილის განკურნებაში, ჩანს ალ. ოჩიაურის მიერ აღწერილი დაჭრის კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში. მისი მონაყოლის მიხედვით, თავში დაჭრილი ეინმე გიგია სამი-ოთხი თვე იყო ლოგინად ჩავარდნილი. „თურმე ძვალი ქონდა ხანჯლით გაჭრილი თავში და ძელის ნატეხები ტვინის სკას აწეებოდა ..... აქიმმა ჩაბრუნებული ძვალი ხვეწით ამოსწია, ძირზე მას ხორცი გაუჩნდა და ძვალი ტვინის გარსის ზევით ამოვარდა ..... ძვალი რომ ამოეიდა აეადმყოფი კარგად გახდა. მანამდინ მხედველობაც დაკლებული პქონდა და ძვალის მოცილების შემდეგ საღი მხედველობა დაუბრუნდა." (ალ. ოჩიაური, იქვე, 3–4).

1511 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 343.

1512 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171.

ვიდა, საფათელეა და ღირს სამი ცხვარი.[1513] ნ. ხიზანაშვილის და ს. მაკალათიას მიხედვითაც, თუ თავში მიყენებული ჭრილობა ძვალს არ აზიანებს, დამნაშავეს დრამა არ გადახდება, იგი მხოლოდ საფათელეს იხდის, თუმცა ერთ ცხვარს[1514] და არა სამს, როგორც ეს რ. ხარაძესთან და ალ. ოჩიაურთან გვხვდება. მ. კეკელიას და „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან ჩაწერილი მასალების მიხედვითაც ფაქტიურად იგივე სურათი იკვეთება. მათი ცნობებითაც, საფათელე ჭრილობაა, რომელიც ძვალს არ აზიანებს და ზოგიერთი მონაცემით სამი ცხვარი ღირს, ზოგიერთი მონაცემით კი მხოლოდ ერთი.[1515]

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს ყველა ავტორი და ხევსური ინფორმატორი თანხმდება, თუ თავში მიყენებული რომელი ჭრილობაა მსუბუქი. ესაა საფათელე ჭრილობა – ის, რომელიც არ იწვევს ძვალის დაზიანებას, გატეხვას. თუმცა გარკვეული განსხვავებაა ამ ჭრილობისათვის დადგენილ გადასახადის ოდენობასთან დაკავშირებით – ზოგ მონაცემში სამი ცხვარია მითითებული, ზოგში მხოლოდ ერთი.

ჩვენი ვარაუდით, ამ განსხვავების მიზეზი უნდა იყოს ის, რომ საფათელე ჭრილობაც კი შესაძლოა განსხვავებული ხასიათის ყოფილიყო და ამის მიხედვით დამჭრელს გადაეხადა ან ერთი ცხვარი, ან სამი. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ზოგიერთი ხევსური ინფორმატორის მონაცემი, რომლებიც განასხვავებენ საფათელე ჭრილობებს იმისდა მიხედვით, თავის კანია მხოლოდ დაზიანებული თუ სკაც. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ თუ მხოლოდ თავის ტყავი გაიჭრა უმნიშვნელო გადასახადია, ხოლო „უბრალოდ რომ მოგეფხიკება ხორცი, სამი ცხვარი არის."[1516] პირველ შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ ჭრილობა უმნიშვნელოა, მხოლოდ თავის კანი იჭრება და სკა არ არის დაზიანებული, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ძვალი არ ზიანდება, მაგრამ მასზე ხორცის მოფხეკა ხდება საჭირო. ეს კი სწორედ სკის დაზიანებას უნდა ნიშნავდეს, რადგანაც სკა ძვლის ზედა ზედაპირზე არსებული გარსია, რომლის მოფხეკაზეც უნდა იყოს აქ საუბარი. მეორე ინფორმატორთანაც ჩანს იგივე ტენდენცია. მისი მითითებით, თუ სკა გამოჩნდება უფრო ნაკლები გადასახადია, ხოლო თუ ძვალი გამოჩნდება შედარებით მეტი.[1517] აქ პირველ შემთხვევაში იგულისხმება რომ, ჭრილობის შედეგად თავის კანი გაიჭრა და სკა გამოჩნდა, თუმცა არ დაზიანებულა, მეორე შემთხვევაში კი ძვალი გამოჩნდა, რაც სკის დაზიანების გარეშე შეუძლებელია. ამდენად, აღნიშნული მონაცემები ადასტურებს თავში მიყენებული საფათელე ჭრილობის დიფერენციაციას – მხოლოდ თავის კანის გაჭრისას გადასახადი შედარებით ნაკლებია, ხოლო სკის გაჭრის შემთხვევაში კი მეტი.

გამოცდილი ხევსური დასტაქარი, ბაბუცა ალუდაური ამ საკითხს ყვე-

1513 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 39-40.

1514 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94.

1515 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 22, 40; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12, 38; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 45.

1516 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 22.

1517 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

ლაზე უფრო ნათლად განმარტავს: „კანი რომ გაიჭრების და სკა გამოჩნდება, ეს საფათვლე ჭრილობაა, ის ერთი ცხვარი ღირს ..... სკაც რომ გაიჭრება და ძვალს არაფერი მოუვა, ეს იყო სკაზედამდე მიყენებული ჭრილობა, ღირდა 3 ცხვარი."[1518] აღნიშნული მონაცემით, კარგად ჩანს, რომ ერთი ცხვარი ღირდა თავის ჭრილობა, რომელიც სკას არ დააზიანებდა და მხოლოდ თავის კანს გაჭრიდა, ხოლო 3 ცხვარი ღირდა „სკაზედამდე" მიყენებული ჭრილობა, რომელიც სკას გაჭრიდა, თუმცა ძვალს არ დააზიანებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას თავში მიყენებული საფათვლე ჭრილობის ღირებულების შესახებ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მონაცემები.

ბ. ზედა ძვლის დაზიანება. ზედა ძვლის „ამოსვლა". მონაცემთა დიდი უმრავლესობის მიხედვით ზედა ძვლის „ამოსვლა" ღირდა 5 ძროხა.[1519] ჩვენს მიერ ნახსენები ხევსური დასტაქარი მიუთითებს: „ძვალი რომ გაიჭრებოდა და ჩხიმი გამოჩნდებოდა, ეს 5 ძროხა იყო."[1520] ბ. გაბუურიც იგივეს მიუთითებს: „თუ თავში დაჭრილს ამაუვიდა საზეო ძვალი, ხუთი ძროხაი-ას, ხუთ ძროხა უნდა მისცას დამჭრელმ დაჭრილს."[1521] ალ. ოჩიაურის მონაცემებითაც: „თუ ზეთა ძვალს ამოიღებდა, ხუთი ძროხა იყო დრამა."[1522] მასალებში აღწერილი კონკრეტული შემთხვევებიც მიუთითებს, რომ ზედა ძვლის „ამოსვლა" რჯულის კაცებმა 5 ძროხად შეაფასეს.[1523] ერთ-ერთ შუღლთან დაკავშირებით ალ. ოჩიაური მიუთითებს: „ორივე მხარემ იცოდა, რომ ზეთა ძვალს ამოსვლა ღირდა ხუთი ძროხის დრამა."[1524] ამ მონაცემებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია, რომ 5 ძროხას იხდიდნენ ზედა ძვლის „ამოსვლისას", დამტერევისას, როდესაც ჩხიმი გამოჩნდებოდა, მაგრამ არ დაზიანდებოდა, ჭრილობა არ იქნებოდა დასული ჩხიმამდე. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ძვლის „ამოსვლა", დამტვრევა იყო მაქსიმალურად მძიმე დაზიანება, რომელიც შესაძლოა ამა თუ იმ ძვალს მისდგომოდა.

არსებობს ზოგიერთი განსხვავებული მონაცემიც. მაგალითად, ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს, რომ თუ ზედა ძვალი გაიჭრებოდა გადასახადი იქნებოდა 5 ძროხა, მაგრამ შეიძლება 3 ძროხაც ყოფილიყო.[1525] ზედა ძვლის შედარებით მცირე დაზიანების შემთხვევაში, როდესაც ეს ძვალი არ „ამოვიდოდა" და მხოლოდ გაიჭრებოდა, შესაძლოა დამნაშავისთვის კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ 3 ძროხა დაეკისრებინათ. ძვლის ანალოგიური დაზიანება უნდა ჰქონდეს მხედველობაში ნ. ხუდადოვს, როდესაც მიუთითებს, რომ ძვლის მცირე გაბზარვა და

1518 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, №1, 100-101.

1519 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 42; იქვე, №6, 22; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38; თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1520 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, №1, 101.

1521 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნელიწდეული", 1923-1924, 141. იგივეს იმეორებს ს. მაკალათიაც (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94).

1522 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 158.

1523 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 56-57, 62; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 23.

1524 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/4, 44.

1525 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52.

არა გატეხვა იწვევდა 3 ძროხის გადახდას.[1526]

რ. ხარაძის და მისი ინფორმატორის მიხედვით კი: „თუ თავის ნაჭრევი ძვლის ნახევრამდეა დაყვანილი, დამნაშავე იხდის 5 ძროხას. როდესაც ნაჭრევი იმდენად ღრმა არის, რომ ზეთა ძვალი სულ დაიმშხვრევა, მაშინ დამნაშავე იხდის 8 ხელით ძროხას. მგელა ჯინჭარაული ასე აგვიწერს ამ მომენტს: „ზეთა ძვალ რო ამოვასა და ჩხიმზე ჩავა, მაშინისა 8 ხელით ძროხას უნდ გადახდა."[1527] რ. ხარაძის ეს ცნობა გარკვეულ კომენტარს საჭიროებს. მისგან გამომდინარეობს რომ, 5 ძროხის დაკისრება ხდება, თუ ზედა ძვლის ნაჭრევი მის ნახევრამდეა დასული, ხოლო თუ ეს ძვალი იმსხვრევა, მაშინ გადასახადია 8 ძროხა. რ. ხარაძის ეს განმარტება არ შეესაბამება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს. როგორც დავინახეთ, მონაცემთა უმრავლესობის მიხედვით, ზედა ძვლის „ამოსვლისას" 5 ძროხაა და არა 8. ქვემოთ ვნახავთ, რომ მონაცემთა უმრავლესობის მიხედვით, 8 ძროხა გათვალისწინებულია, თუ ჭრილობა ჩხიმამდეა დასული და მას აზიანებს. ამ შეუსაბამობის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ რ. ხარაძის ინფორმატორის, მგელა ჭინჭარაულის განმარტება რ. ხარაძის მიერ არაზუსტადაა ინტერპრეტირებული. ჩვენი დაკვირვებით, მგელა ჭინჭარაული ამ შემთხვევაში არ საუბრობს ცალკე ზედა ძვლის „ამოსვლაზე", არამედ ზედა ძვლის „ამოსვლას" უკავშირებს ჭრილობის ჩხიმამდე დასვლას, ჩხიმის დაზიანებას. ფრაზა – „ზეთა ძვალ რო ამოვასა და ჩხიმზე ჩავა", სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს. საერთოდ, ჭრილობის ჩხიმამდე „ჩასვლა" შეუძლებელია ზედა ძვლის „ამოსვლის" გარეშე და ჩხიმის დამაზიანებელ ჭრილობაზე საუბრისას ზედა ძვლის „ამოსვლის" აღნიშვნა სრულიად ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, მგელა ჭინჭარაული 8 ძროხის გადახდას პირველ რიგში უკავშირებს ჩხიმის დაზიანებას. თუ მგელა ჭინჭარაულის მონაცემის ჩვენეულ ინტეპრეტაციას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ იგი არ იქნება წინააღმდეგობაში ჩვენს მიერ მოტანილ სხვა მონაცემებთან. მათ მიხედვითაც ხომ ჭრილობის ჩხიმამდე ჩასვლისთვის ასევე 8 ძროხაა გათვალისწინებული. რ. ხარაძე კი როდესაც საუბრობს ზედა ძვლის დამსხვრევისათვის 8 ძროხის დაკისრებაზე, არაფერს ამბობს ამ შემთხვევაში ჭრილობის ჩხიმამდე დაყვანაზე. ამ უკანასკნელი ფაქტორის გამორიცხვა კი ჩვენი აზრით, მგელა ჭინჭარაულის განმარტების არაზუსტ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. თან აღსანიშნავია ისიც, რომ რ. ხარაძე, რომელიც დეტალურად აღწერს გადასახადების სისტემას თავში მიყენებული ჭრილობებისათვის, ცალკე არ გამოყოფს გადასახადს ჩხიმის დაზიანებისათვის. იგი ზედა ძვლის დამსხვრევისათვის გადასახადზე საუბრიდან პირდაპირ გადადის ქვედა ძვლის დაზიანებაზე, რაც გარკვეული ხარვეზია. სავარაუდოდ, რ. ხარაძის მხრიდან ჩხიმის დაზიანებისათვის გადასახადის მოუხსენებლობა, მისი გამოტოვება, სწორედ მგელა ჭინჭარაულის განმარტების არაზუსტი გაგების შედეგი უნდა იყოს. ხევსური ინფორმატორის ცნობა ჩხიმის დაზიანებისათვის გადასახადის ოდენობის შესახებ, რ. ხარაძემ ზედა ძვლის დამსხვრევისათვის გადასახადის ოდენობად ჩათვალა და ამიტომ ჩხიმის დაზიანებისათვის გადასახადი საერთოდ გამოტოვა.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალე-

1526 Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 17.

1527 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171.

ბის მიხედვით, ხევსურული რჯულით, თავის ზედა ძვლის დაზიანება, მისი დამტვრევა, „ზედა ძვლის ამოსვლა“ შეფასებულია 5 ძროხად, რაც კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება. ჩვენი მოსაზრებით, ზედა ძვლის დამსხვრევის შემთხვევაშიც კი, თუ ჩხიმი არ არის დაზიანებული, 5 ძროხაზე მეტი გადასახადი არ უნდა ყოფილიყო დაწესებული. ძვლის შედარებით მსუბუქი დაზიანება (მაგალითად, როდესაც ძვალი გაჭრილია, მაგრამ არ ხდება მისი დამტვრევა, „ამოსვლა“), შესაძლოა, შეფასებულიყო შედარებით ნაკლებად.[1528]

გ. ჩხიმის დაზიანება. ჩხიმის ძვალის „ამოსვლა“. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების აბსოლუტური უმრავლესობის მიხედვით, ჩხიმის დაზიანება, ჩხიმიანი ძვლის „ამოსვლა“ შეფასებული იყო 8 ძროხად.[1529] ბ. გაბუური 7 ძროხას ასახელებს: „თუ ჩხიმი ამოხყვა, მაშინ შვიდ ძროხა უნდა მისცას.“[1530] ჩხიმის ძვლის ამოსვლისათვის გადასახადის სახით შვიდი თუ რვა ძროხის დაკისრება დანაშაულის სიმძიმის ერთგვაროვან შეფასებას გულისხმობს და გადასახადის ოდენობის ასეთი უმნიშვნელო განსხვავება ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე არაარსებითია. შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში ჩხიმის ძვლის ამოსვლისას რჯულის კაცებს მართლაც შვიდი ძროხა დაეკისრებინათ დამნაშავისათვის, როგორც ეს ბ. გაბუურთანაა ასახული. ძირითადად კი რვა ძროხას ვხვდებით. ალ. ოჩიაურს მოპყავს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ჩხიმის ძვლის ამოსვლისათვის რჯულის კაცების მიერ სწორედ რვა ძროხის დაკისრება ხდება. მაგალითად, ერთ-ერთი შუღლის შედეგად ვინმე გარსიას ერთ-ერთი ნაჭრევიდან ჩხიმიანის ძვალი ამოუვიდა. რჯულის კაცებმა ამისათვის დამნაშავეს რვა ძროხის გადახდა დააკისრეს.[1531] უთურგათ დავითისა და აბიკათ გიგიაის შუღლის დროს აბიკათ გიგიას თავში ჩხიმიანი ძვალი ამოუვიდა. რჯულის კაცებმა ამისათვის ასევე რვა ძროხა გადაუწყვიტეს გადასახდელად დამნაშავეს.[1532] კონკრეტული შემთხვევები ყველაზე უკეთ გვიჩვენებს რეალობას და ალ. ოჩიაურის მიერ დაფიქსირებული მაგალითები, სხვა ზოგად ინფორმაციასთან ერთად, ცალსახად მიუთითებს რომ, ჩხიმიანი ძვლის ამოსვლისათვის გადასახადის სახით ხევსურული რჯულით დაწესებული იყო რვა ძროხა. იგივე მონაცემს ვხვდებით ბ. გოგოჭურთანაც. მისი მონაცემით, თუ თავის ქალაზე იარაღით, ან სხვა საგნით მიყენებული დაზიანება, როდესაც თავის ქალის რბილ ქსოვილთან და ზედა ძვალთან ერთად ბოლომდე გაჭრილი და დაზიანებულია შუა ფენა – „ჩხიმი“ და იარაღოს კვალი –„ნაფხევი“ ეტყობა ქვედა ძვლის ზედაპირს, გადასახადი 8 ძროხას შეადგენს.[1533]

1528 აღსანიშნავია, რომ ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც „ჩხიმამდე“ – თავის ქალის ზედა და ქვედა ძვლებს შორის არსებულ შუა ფენამდე დაყვანილი ჭრილობა, „ჩხიმის“ დაუზიანებლად ხევსურული სამართლით 5 ძროხად იყო შეფასებული (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 27).

1529 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 38; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რეეული №3, 40; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 158; თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1530 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, 1923-1924, 141. იგივეს იმეორებს ს. მაკალათიაც (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94). სავარაუდოდ, ს. მაკალათია ბ. გაბუურის ინფორმაციას ეყრდნობა.

1531 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 1954, 6/2, 17-18.

1532 იქვე, 23-24.

1533 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 28.

ზედა ძვლის ამოსვლასთან დაკავშირებით საუბრისას ჩვენ მოვიყვანეთ რ. ხარაძის მონაცემი, რომლის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ რ. ხარაძის ინფორმატორი, როდესაც ამბობს: „ზეთა ძვალ რო ამოვასა და ჩხიმზე ჩავა, მაშინისა 8 ხელით ძროხას უნდ გადახდა", სწორედ ჩხიმის დაზიანებისთვის დანესებულ გადასახადზე საუბრობს და არა ზედა ძვლის ამოსვლისათვის დადგენილზე, როგორც ამას რ. ხარაძე განმარტავს. ჩხიმის დაზიანებასთან დაკავშირებით აქ მოყვანილი მონაცემები და მათ შორის კონკრეტული ფაქტები ჩვენს ამ ვარაუდს განამტკიცებს. ამ მონაცემებით ხომ ცალსახად ჩანს, რომ ჩხიმის ძვლის ამოსვლა ნამდვილად რვა ძროხა ღირდა და ზედა ძვლის ამოსვლა მისი ანალოგიური ღირებულება ვერაფრით იქნებოდა.

დ. ქვედა ძვლის დაზიანება. ქვედა ძვლის „ამოსვლა". ქვედა ძვლის დაზიანებისათვის გადასახადის ოდენობა განპირობებული იყო დაზიანების ხარისხით.

რ. ხარაძის ცნობით, თუ ქვედა ძვალი ნახევრად გატყდა, დამნაშავე იხდის 12 ძროხას.[1534] ასევე მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ თავის ნაჭრევი ქვედა ძვლამდეა, რაც იწყება ჩხიმის გათავების შემდეგ და ძვალი დაზიანდა, 12 ძროხა მოუდიოდა.[1535] იგივეს ადასტურებს კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორი.[1536] ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ქვედა ძვლის დაზიანება, როდესაც იგი სანახევროდ გატყდა და არა სრულად, ანუ სრულად არ დამსხვრეულა, არ ამოსულა, შეფასებული იყო 12 ძროხად.

ყველა ეს ავტორი და ინფორმატორი საუბრობს ქვედა ძვლის კიდევ უფრო მძიმე ჭრილობაზე, რაც დაკავშირებული იყო ამ ძვლის დამსხვრევასთან, მის „ამოსვლასთან". ეს ითვლებოდა თავში მიყენებულ ყველაზე მძიმე ჭრილობად. ამ დროს ქვედა ძვალი სრულად იჭრებოდა, ჭრილობა დადიოდა ტვინამდე (უფრო სწორად, ტვინზე გადაფარებულ თხელ აპკამდე, რომელსაც ხევსურები ტვინის სკას[1537] ეძახდნენ) და აბსოლუტურად ყველა ავტორისა და ინფორმატორის ცნობით, შეფასებული იყო 16 ძროხად.[1538] რ. ხარაძის ინფორმატორი ასე აღწერს ამ ჭრილობას: „ქვეთა ძვალ რო გაიჭრების და ტვინ ამოჩნდების, მაშინისავ 16 ხელით ძროხას უნდა გადახდა."[1539] რ. ხარაძის ინფორმატორის მსგავსად, ბევრი სხვაც აღნიშნულ ჭრილობას ტვინის, ტვინის სკის გამოჩენას უკავშირებს. ამ დროს ხდებოდა „ტვინზეით ძვალის ამოსვლა,"[1540] ანუ ქვედა ძვლის „ამოსვლა".

1534 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171.

1535 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 63.

1536 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 12.

1537 ხევსურები ტვინის სკას უწოდებენ ტვინზე გადაფარებულ ელასტიურ აპკს, რომელიც ძვალსა და ტვინს შუაა (მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 324).

1538 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 63; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 42; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №6, 22, 40; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, №1, 101; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 12, 38; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 45; ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 158; ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული სალითმეცნიერო საზოგადოების ნელინდეული", 1923-1924, 141; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31; თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1539 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 171.

1540 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/5, 57

რ. ხარაძის ინფორმატორის ცნობით, ჭრილობას, რომელსაც ტვინის სკის გამოჩენა მოჰყვებოდა, „იმას შარს ვეტყვით“.[1541] „შარი“ ტვინისა და თავის ქალის საშუალია.[1542] ალ ოჩიაურის ინფორმატორი ბათირა არაბული ბაცალიგოდან განმარტავს: „შარი, თავშარი, ტვინზეით ძვალის ამოსვლა. ეს ერთი და იგივე არის. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ხევსური სოფლის აქიმები ძვალს ამოაცლიდნენ თუ ის გაჭრილი ან გატეხილი იყო. ძვალის ძირზე და ტვინის თავზე აქვს გადაკრული ქაღალდის სისხო, რომელსაც ხევსურები ტვინის სკას ეძახიან, მარტო ეს სკა ფარავდა ტვინს. ჭრილობა რომ განიკურნებოდა, მაშინაც ისევ ეტყობოდა ტვინის მოძრაობა. სწორედ ასეთი ჭრილობა იყო შეფასებული თექვსმეტ ძროხად.“[1543] ალ. ოჩიაურის კიდევ ერთი განმარტებით: „თავშარს ეძახდნენ ტვინს ზევით ძვალის ამოღებას და ტვინის ამოჩენას, რომელსაც მარტოლა ტვინის აპკი ფარავდა.“[1544] ამ ცნობებში კარგად ჩანს, რომ თავში მიყენებული ყველაზე მძიმე ჭრილობას, რომელიც ტვინამდე იყო დასული ხევსურები უწოდებდნენ „ტვინზეით ძვალის ამოსვლას“, „თავშარს“, „შარს“. ჩანს მისი მახასიათებლებიც: ქვედა ძვლის სრული ამოღება, „ამოსვლა“ და ტვინის სკის გამოჩენა. ასეთი ჭრილობა, ცხადია, სიცოცხლისათვის საშიში იყო. ხევსური დასტაქარი ბაბუცა ალუდაური განმარტავს, რომ შარის ფესვი მიბმულია თავის ქალაზე და თუ ის ჩავარდა, ადამიანიც მოკვდება.[1545] მ. ბალიაურის მიხედვით, თავის ჭრილობებიდან ყველაზე საშიში იყო და სასიკვდილე ჭრილობად ითვლებოდა, როდესაც ხანჯალი შარის ბოძს[1546] მოხვდებოდა და იგი გაიჭრებოდა, მას არაფერი ეშველებოდა, ადამიანის მორჩენა უკვე შეუძლებელი იყო. თუ შარის ბოძი არ იყო გაჭრილი, ან ტვინის სკა არ იყო დაზიანებული, თავის ყველა დანარჩენი ჭრილობა მკურნალობას ექვემდებარებოდა.[1547] ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც, თუ თავის ქალაზე მიყენებული ჭრილობის შედეგად მთლიანად გაიჭრებოდა ქვედა ძვალიც ტვინის სკამდე, გადასახადი 16 ძროხას შეადგენდა.[1548]

აღნიშნული ზოგადი მონაცემების უტყუარად დადასტურების საუკეთესო საშუალება კონკრეტული მაგალითებია. თავში მიყენებული, ტვინამდე დასული ჭრილობის რამდენიმე შემთხვევას აღწერს ალ. ოჩიაური.

გუდანის ჯვარში მომხდარი არაბულებისა და ჭინჭარაულების მასობრივი შუღლის დროს (ასზე მეტი კაცი იღებდა შუღლში მონაწილეობას) ვინმე გიგიამ (არაბულმა) თავში დაჭრა ხნიერი კაცი ქარჩაული (ჭინჭარაული). ალ. ოჩიაური ასე აღწერს ამ დაჭრას: „ხმალმა ძვალიც გასჭრა და ტვინის სკაზედამდინ დავიდა. ბოლოს ძვალი ტვინს ზემოდან სულ ამოვიდა. ტვინზე გადაკრული აპკი კი სულ ფეთქავდა, რომელსაც ხევსურები ტვინის სკას ეძახდნენ. როცა საქმე დამშვიდდა და ნაჭრევებიც გაიკურნა გიგიამ და ქარჩაულმაც ირჯულეს ..... რჯულმა თექვსმეტი ძროხა დაადო თავშარისა, გიგიასაგან ქარჩაულისათვის

1541 რ. ხარაძე, იქვე.

1542 ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 967.

1543 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 1954, 6/5, 57

1544 იქვე, 55.

1545 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 101.

1546 შარის ბოძი – ტვინის მაგარი გარსის თანაშეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 968).

1547 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/29, 341, 10/30, 349.

1548 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 28.

მისაცემი."[1549] მეორე შემთხვევაში თავში მიყენებულ ჭრილობას განიხილავენ რჯულის კაცები: „ჭრილობას ეტყობოდა, რომ ძვალი ტვინზეით სულ ამოსული იყო. მარტო ტვინის სკა იყო დამრჩალი. ტვინის მოძრაობა ჭრილობას ეტყობოდა. აქიმმაც დაამტკიცა, რომ ძვალი ტვინზეით ამოვიდა ..... როგორც ტვინზეით ამოსული ძვალი ..... გადასწყვიტეს თექვსმეტი ძროხის დრამა."[1550] ამ კონკრეტულ მაგალითებში კარგად ჩანს რომ, 16 ძროხად შეფასებული იყო ჭრილობა, რომლის შემთხვევაშიც ძვალი ტვინს ზემოთ მთლიანად ამოვიდოდა და ტვინის სკა გამოჩნდებოდა. ალ. ოჩიაურის აღწერილ კიდევ ერთ შემთხვევაში პიროვნებას ასეთი ორი ჭრილობა მიაყენეს. რჯულის კაცებმა წესის მიხედვით დამნაშავეს ორმაგი გადასახადი დააკისრეს: „თავში იყო მიყენებული ორივე ჭრილობა. ..... აქიმმა სულ ამოიღო ორივე ჭრილობის ძვლები. ტვინიდან ორივე ჭრილობაში შარი აჩნდა ..... რჯულში ორი შარის დრამა, ორჯერ 16, ე. ი. 32 ძროხა დააფასა და თოთიამ (დამჭრელმა – გ.დ.) გადაუხადა ნახევარი ფეხითი, ნახევარი ხელითი."[1551]

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები: ხევსურული რჯულის მიხედვით, თავში მიყენებული ჭრილობის შეფასებისათვის წინასწარ იყო განსაზღვრული თუ რა სიმძიმის (სიღრმის) ჭრილობა რამდენად იყო შეფასებული, კერძოდ: 1. თავის კანის გაჭრა (სკის დაზიანების გარეშე) – 1 ცხვარი; 2. სკის დაზიანება (ზედა ძვლის დაუზიანებლად) – 3 ცხვარი; 3. ზედა ძვლის დამტვრევა, „ამოსვლა" – 5 ძროხა (შესაძლოა ზედა ძვლის დაზიანება, მისი დამსხვრევის, „ამოსვლის" გარეშე ნაკლებადაც შეფასებულიყო); 4. ჩხიმის დაზიანება, ჩხიმიანი ძვლის „ამოსვლა" – 8 ძროხა; 5. ქვედა ძვლის დაზიანება, როდესაც ძვლის სრული დამტვრევა, „ამოსვლა" არ ხდება – 12 ძროხა; 6. ქვედა ძვლის სრული დამტვრევა, „ტვინზეით ამოსვლა", როდესაც ტვინის სკა ჩნდება – 16 ძროხა.

საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში თავის ჭრილობის შეფასების მსგავსი დეტალური სისტემა ეთნოგრაფიული მონაცემებს არ შემოუნახავს. ჩრდილო კავკასიის მთიელთა ჩვეულებით სამართალში კი ასეთი სისტემა კარგადაა ცნობილი. სამაგალითოდ მოვიყვანთ თ. ლეონტოვიჩის ცნობას ინგუშთა ჩვეულებითი სამართლიდან. ხევსურეთის მსგავსად, აქაც თავის ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობა მისი სიღრმით იყო განპირობებული: 1. თუ ჭრილობა მიყენებულია თავში, კანის მცირედი გაჭრით, ძვლის დაუზიანებლად (ისე რომ ძვალი არ ჩანს), ჩვეულებით საკმარისია შესარიგებელი გამასპინძლება: ცხვრით და არაყი ქვაბით; 2. თუ არის ჭრილობა თავის ქალაზე ნაფხაჭნით და მოითხოვს დანით გაწმენდას, საჭიროებს 3 ძროხის გადახდას, ხოლო გამასპინძლებისათვის საკმარისია მცირე ცხვარი და 4 ქვაბი არაყი; 3. ჭრილობა თავის ქალის გაჩეხვით მეორე, ადგილობრივთა თქმით, რბილ ძვლამდე, ტვინის მყარ გარსამდე, ღირს 6 ძროხა. გამასპინძლებისათვის საჭიროა დიდი ცხვარი და 6 ან 4 ქვაბი არაყი; 4. ჭრილობა თავის ქალის გაჩეხვით, ჩასული ტვინამდე (რომელიც ჯერ არ ჩანს) – 8 ძროხა, გამასპინძლებისათვის – დიდი ცხვარი და 6 ქვაბი არაყი; 5. ჭრილობა თავის ქალის გახლეჩვით, ადგილობრივთა თქმით, თუ ტვინი გამოჩნ-

1549 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/5, 55.

1550 იქვე, 6/1, 5.

1551 იქვე, 6/7, 74.

და, ღირს 10 ძროხა და ერთი ხარი ქსოვილის ნაჭერით, 3 მანეთის ღირებულების, რაც შეადგენს 12 ძროხას. გამასპინძლებისათვის საჭიროა დიდი ცხვარი და 6 ქვაბი არაყი.[1552]

აღნიშნული მონაცემები აშკარად ხევსურულის მსგავსია. აქაც უმნიშვნელო, მსუბუქ ჭრილობად ითვლება ის, რომელიც არ აზიანებს თავის ძვალს და კანის გაჭრასთან არის დაკავშირებული. თვითონ თავის ქალის დაზიანებისათვის გადასახადის განსაზღვრის კრიტერიუმი ფაქტიურად ხევსურეთის ანალოგიურია. აქაც განმსაზღვრელია ის, თუ თავის ქალის რომელ ფენამდეა ჩასული ჭრილობა, რომელი ძვალია დაზიანებული, ჩანს თუ არა ტვინი.[1553] თავის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ხევსურული და ინგუშური მონაცემების ურთიერთშედარება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა და ქართველ მთიელთა (განსაკუთრებით ხევსურთა) ჩვეულებითი სამართალი საერთო პრინციპებზეა დაფუძნებული.

თავში მიყენებული ჭრილობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეული მონაცემები სვანურ ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. აქ თავის ჭრილობის სიმძიმის ხარისხი განისაზღვრებოდა იმით, ჰქონდა თუ არა ადგილი დაჭრის შედეგად თავის ქალის ძვლის დაზიანებას, დამტვრევას. თუ ადგილობრივ ექიმს, რომელიც დაჭრილს უმკურნალებდა, მოუწევდა თავის ჭრილობიდან ძვლის ამოღება (დაჭრის შედეგად თავის ქალის ძვლის დაზიანების, დამტვრევის გამო), გადასახადის ოდენობა თავში მიყენებული ჭრილობისათვის იზრდებოდა. კერძოდ, ამ შემთხვევაში გადასახადი ნახევარ წორამდე ადიოდა.[1554] სვანეთში ადგილობრივი ექიმები თავის ჭრილობის შემთხვევაში საჭიროებისას თავის ტრეპანაციას მიმართავდნენ. თუ ჭრილობა ღრმა იყო და ძვალი გატეხილი, ძვლის ნამსხვრევები წამლების საშუალებით ამოჰქონდათ, ხოლო ამოტეხილი ძვლის ადგილზე ძვლის ნაკლოვანების დასაფარად სპილენძის ფირფიტას დგამდნენ. ასეთ თავს „ნაჩიარე" ე. ი. სპილენძშედუღებული ერქვა.[1555]

ამრიგად, სვანეთში თავის ძვლის გატეხვის შემთხვევაში ჭრილობის სა-

---

1552 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев. Т.2, Одесса, 1882, 162.

1553 რ. ხარაძეს მოპყავს გველესიანის მიერ ანდიის ოლქის მხარეებში დადასტურებული ცნობები თავის ჭრილობებისათვის გადასახადების შესახებ: „დიდოელებში: თავის ჭრილობისათვის, რომელიც არაა ჩასული ძვლამდე 1 მანეთი და 40 კაპიკია; ძვლამდე თუა – 2 მანეთია, ხოლო თუ ტვინამდეა ჩასული 8 მანეთი; ნინდალის ადათების აღწერილობაში ეკითხულობთ: ჭრილობისათვის, რომელიც არაა ძვლამდე ჩასული დამნაშავე იხდის 1 მანეთს და 40 კაპიკს, თავის ჭრილობისათვის ძვლამდე დამნაშავე იხდის 2 მანეთს, თუ თავის ქალის ძვლის ზედა ნაწილია დაზიანებული – 4 მანეთს, ჭრილობის ტვინამდე ჩასვლისათვის – 8 მანეთს; უნკრატჩამალალის ადათების მიხედვით, ტვინამდე ჩასული ჭრილობისათვის ხდება 30 მანეთის გადახდა, ექიმს კი შეთანხმებისამებრ უხდიან. თუ თავში ჭრილობის შედეგად მხოლოდ კანი გაიჭრა, დამნაშავე დაზარალებულს უხდის ერთ მანეთს, ძვლამდე ჭრილობისათვის – 4 მანეთს; თუ ძვლის ზედა ფენა გაიჭრა, მაშინ 10 მანეთს, მეორე ფენის გაჭრისათვის 15 მანეთს; კარატინის ადათებში: თუ ჭრილობა ჩავა ტვინამდე – 25 მანეთია, თუ თავის კანი გაიჭრა, მაგრამ ძვალი არ გამოჩნდა, გადაიხდება 1 მანეთი და 40 კაპიკი. თუ გამოჩნდება – 2 მან და 40 კაპ. თუ თავის ქალის ძვლის ზედა ნაწილია გაჭრილი – 15 მანეთია, თუ ძვლის მოჭრილი ნაწილი მოცილდა – 17 მანეთი." (რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 175). ამ მონაცემებშიც კარგად ჩანს, რომ თაეის ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობა მის სიღრმეზე იყო დამოკიდებული. აქაც ხევსურეთის მსგავსად, თავის ჭრილობის სიმძიმეს განსაზღვრავდნენ იმის მიხედვით ჭრილობამ მხოლოდ კანი გაჭრა, ძვლამდე დავიდა, ძვალი დაზიანა, თუ ტვინამდე დავიდა.

1554 იხ. მ. ბურდული, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში, სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახალციხე, 2010, 16; ს. გულედანი, ძველი ადათ-ზნე ჩვეულებები ზემო სვანეთში, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი, 65.

1555 იხ. მ. ბურდული, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში, სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახალციხე, 2010, 27; ს. გულედანი, ძველი ადათ-ზნე ჩვეულებები ზემო სვანეთში, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი, 67.

ზღაური ნახევარ წორს შეადგენდა, რაც მიუთითებს, რომ ეს ჭრილობა ყველაზე უფრო მძიმე ჭრილობათა კატეგორიას მიეკუთვნება და მას დასახიჩრების სიმძიმის დაზიანებად წარმოაჩენს. თუ თავში მიყენებულ ჭრილობას თავის ქალის ძვლის დაზიანება არ მოჰყვებოდა, მაშინ გადასახადი, ცხადია, უფრო მცირე იქნებოდა. მონაცემები თავის არეში მიყენებული ჭრილობისათვის უფრო დიფერენცირებული პასუხისმგებლობის შესახებ სვანურ ჩვეულებით სამართალში, არ მოგვეპოვება.

4.2. სახის ჭრილობა. სახის ჭრილობა თავში მიყენებულ ჭრილობასთან შედარებით უფრო მძიმედ ითვლებოდა მისი თვალხილულობიდან გამომდინარე. მის შედეგად შესაძლოა ადამიანს სახის წარუხოცელი დამახინჯება მიეღო, რომელიც თავის ჭრილობისაგან განსხვავებით ვერც თმით დაიფარებოდა და ვერც ქუდით. ეს უპირველეს ყოვლისა სახის შიშველ ადგილას მიყენებულ ჭრილობაზე ითქმის. თუ სხეულის სხვა ნაწილში მიყენებულ უმნიშვნელო ჭრილობას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას და შეიძლება არაფრადაც ჩაეგდოთ, სახეზე მიყენებული ანალოგიური ჭრილობა უკვე მნიშვნელოვან ჭრილობად აღიქმებოდა და საკმაო ოდენობის გადასახადსაც მოითხოვდა. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ ხევსურეთში სახის არეში მიყენებული ჭრილობა მძიმე ჭრილობათა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა არა „ბეწვით" დაფარულ, არამედ მხოლოდ შიშველ ადგილას მიყენებული. მისი თქმით, „ხევსური თავის სახეს ბევრს არას დასდევს ..... მაგრამ როცა დაჭრილობაზედ მივარდება საქმე, ის პირისახეს მეტად ეკეკლუცება და თავ-მოწონებით დიდ სისხლს თხოულობს."[1556]

სახის ჭრილობის შესახებ გარკვეული კონკრეტული მონაცემები გაგვაჩნია ფშავ-ხევსურულ, თუშურ და სვანურ ჩვეულებით სამართალთან მიმართებაში.

4.2.1 სახის ჭრილობისათვის პასუხისმგებლობა სვანეთში. სვანური ჩვეულებითი სამართალი სახის არეში მიყენებულ ჭრილობას მძიმე დანაშაულად განიხილავს. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება სახის ჭრილობას, რომელმაც მისი წარუხოცელი დამახინჯება გამოიწვია. ეგ. გაბლიანის მიხედვით, „პირისახის ჭრილობისაგან დადაღვა ნახევარ წორად ფასდება."[1557] ნახევარი წორი, როგორც აღინიშნა, ზოგადად სხეულის ამა თუ იმ ორგანოს სახიჩრობისათვის დაწესებული გადასახადი იყო სვანეთში, რაც, როგორც ჩანს, სახის წარუხოცელ დამახინჯებაზეც ვრცელდებოდა.

საინტერესო მონაცემებს ვხვდებით სახის წარუხოცელი დამახინჯების შესახებ მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში. არაერთი სვანი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მძიმედ ითვლება სახის დამამახინჯებელი ჭრილობა და ამისთვის საკმაოდ დიდი გადასახადია დაწესებული, თუმცა კონკრეტულ საზღაურს არ უთითებს,[1558] მხოლოდ ზოგადად წარმოაჩენს ასეთი ჭრილობის მნიშვნელობას. ის ინფორმატორები კი რომლებიც კონკრეტულად საუბრობენ ასეთი ჭრილობისათვის დაწესებულ საზღაურზე, ასევე ხაზს უსვამენ ამ ჭრილობის სიმძიმეს, თუმცა ხელის ან ფეხის დასახიჩრების ტოლ დაზიანებად, განსხვა-

1556 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 51.

1557 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111.

1558 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №1, 1967, 26, 34; №3, 83.

ვებით ეგ. გაბლიანისაგან, არ განიხილავენ. კალელი ინფორმატორი აღნიშნავს: „თუ სახის არეშია განზრახ მიყენებული ისეთი ჭრილობა, რაც ამახინჯებს კაცს, მაშინ წორის მესამედამდე ადის გადასახდელი, ხოლო თუ არ ამახინჯებს იგი, უფრო ნაკლებ ფასდება.“[1559] წვირმელი ინფორმატორიც ადასტურებს რომ, სახეზე მიყენებული დამამახინჯებელი ჭრილობისათვის დამნაშავეს წორის მესამედი მაინც გადახდებოდა.[1560] კიდევ ერთი ინფორმატორი ანალოგიური ჭრილობისათვის ასევე წორის მესამედის გადახდაზე საუბრობს, მაშინ როცა ხელის და ფეხის დასახიჩრებისათვის გადასახადად ნახევარ წორს ასახელებს.[1561] ზოგიერთი მონაცემით ასეთი ჭრილობისთვის კიდევ უფრო მცირე გადასახადიც არის გათვალისწინებული. მაგალითად, ინფორმატორი ბალს ქვემო სვანეთიდან (ეცერი) მიუთითებს, რომ სახის დამამახინჯებელი ჭრილობა 10-15 ძროხადაა შეფასებული.[1562] წორის ნახევრად (30 ძროხა) იგი აფასებს ხელის და ფეხის დასახიჩრებას,[1563] ანუ სახის დამამახინჯებელი ჭრილობა მისი მონაცემებიდან გამომდინარე დაახლოებით წორის მეოთხედია. ხელის და ფეხის ჭრილობის ნახევრად აფასებს სახის ჭრილობას ერთ-ერთი ლატალელი ინფორმატორიც.[1564] არის სხვა მონაცემებიც სახის დამამახინჯებელი ჭრილობის მესამედ წორზე ნაკლებად შეფასებისა.[1565]

მ. კეკელიას მასალებში მოიპოვება ცნობები სახის წარუხოცელი დამახინჯების კონკრეტული შემთხვევებისა და ჭრილობის საბჭოთა ფულით ანაზღაურების თაობაზე. მაგალითად, ერთ-ერთი წვირმელი ინფორმატორი ყვება რომ, ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა თანასოფლელმა მეორეს სახის არეში მიაყენა დამასახიჩრებელი ჭრილობა. საქმე მორვებმა გაარჩიეს და დამნაშავეს 3500 მანეთის გადახდა მიუსაჯეს დაზარალებულის სასარგებლოდ.[1566]

კალელი ინფორმატორის ცნობითაც სახის არეში ჯვარედინად მიყენებული რამდენიმე ჭრილობისათვის მორვებმა დამჭრელს ასევე 35 000 მანეთის (ძველი კურსით, ანუ 3500 მანეთი ახალი კურსით) გადახდა დააკისრეს.[1567]

თუ გავითვალიწინებთ რომ საბჭოთა პერიოდში, ბალსზემო სვანეთის ზოგიერთ თემში წორი შეფასებული იყო დაახლოებით 10 000 საბჭოთა მანეთად,[1568] 3500 მანეთი დაახლოებით წორის მესამედი გამოდის.

კიდევ ერთი კონკრეტული შემთხვევა აღწერილია უშგულის სინამდვილიდან, როდესაც ვინმე კაკრიაშვილმა სახის არეში (თვალის ქვეშ) ჭრილობა მიაყენა ნიჟარაძეს. ინფორმატორი აღნიშნავს რომ ნაიარევი ნიჟარაძეს ახლაც ატყვია. გაიმართა სამერდიატორო სასამართლო და დამნაშავეს მიუსაჯეს 1000 საბჭოთა მანეთის გადახდა (ე. წ. ახალი კურსით). დაზარალებულის წარმომადგენლებს მოუთხოვიათ კიდევ 1000 მანეთის დამატება, მაგრამ რაკი დამნაშავე

1559 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 2.

1560 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 66.

1561 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 77.

1562 იქვე, 105.

1563 იქვე.

1564 იქვე, 56.

1565 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 8.

1566 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 42.

1567 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 64, 66-67.

1568 იგულისხმება ე. წ. ახალი კურსით, ანუ 100 000 მანეთად ე. წ. ძველი კურსით.

ორი წელი ციხეში იჯდა ამიტომ მორვებმა ეს 1000 მანეთი აღარ დააკისრეს დამნაშავეს.[1569] როგორც ვხედავთ, ამ დანაშაულისათვის ციხეში ორი წლის გატარება, მორვებმა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნიეს და დამნაშავეს 2000 მანეთის ნაცვლად, 1000 მანეთის გადახდა დააკისრეს. სავარაუდოდ, ციხეში ყოფნას რომ არ ჰქონოდა ადგილი მორვები დამნაშავეს 2000 მანეთის გადახდას მიუსჯიდნენ. აღნიშნული თანხა კი უშგულელი ინფორმატორების მონაცემების გათვალისწინებით იმდროისათვის (XX საუკუნის შუა წლები) დაახლოებით წორის მეოთხედს (ან ცოტა მეტს) უდრიდა. კიდევ ერთი ინფორმატორის (კალადან) ცნობითაც სახის დამამახინჯებელი ჭრილობისათვის გადასახადი 2-3 ათას მანეთამდე (ახალი კურსით) ადიოდა.[1570]

აღნიშნული მონაცემები მართლაც ადასტურებს, რომ სახის დამამახინჯებელი ჭრილობა სვანურ ჩვეულებით სამართალში მძიმე ჭრილობად ითვლებოდა. როგორც ჩანს, შედარებით ძველ პერიოდში, კერძოდ, XX საუკუნის დასაწყისის მონაცემით, ასეთი ჭრილობა ფაქტიურად გათანაბრებული იყო სხვადახვა ორგანოს (მაგალითად, ხელის, ფეხის) დასახიჩრებასთან და შესაბამისად შეფასებული იყო ნახევარ წორად. თუმცა, როგორც მ. კეკელიას მასალების მიხედვით ჩანს, საბჭოთა პერიოდში სახის დამამახინჯებელი ჭრილობისათვის გადასახადი წორთან მიმართებაში შედარებით შემცირებულია, კერძოდ, დაახლოებით წორის მესამედ-მეოთხედამდე. დღეს უკვე საკმაოდ რთულია საბჭოთა ფულის ოდენობის მიხედვით ზუსტად დადგინდეს თუ წორის რა ნაწილი იყო გათვალისწინებული სვანეთში სახის ჭრილობისათვის, თვით წორის ოდენობის შესახებ არაერგვაროვანი მონაცემების გამო. როგორც ჩანს, სახის დამამახინჯებელი ჭრილობის აღთქმა ხელის, ფეხის თუ თვალის დამასახიჩრებული ჭრილობის ტოლად, მ. კეკელიას მასალების მიხედვით სვანეთში არ ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ სახის დამამახინჯებელი ჭრილობისათვის გადასახადი წორთან, თუ ხელ-ფეხის სახიჩრობის გადასახადთან მიმართებაში მ. კეკელიას მასალების მიხედვით შემცირებულია, აღნიშნული ჭრილობა მაინც მძიმე ჭრილობათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისთვის გადასახადი მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ოდენობისაა.

აქ მოტანილი მასალების მიხედვით, ისიც უნდა ითქვას რომ სახის დამამახინჯებელი ჭრილობისათვის აღნიშნული გადასახადის დაკისრება მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ის განზრახ იქნებოდა მიყენებული, რაც დაჭრა-დასახიჩრების საქმეზე სვანურ ჩვეულებით სამართალში სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინების დამადასტურებელია. თუ სახის ჭრილობა არ გამოიწვევდა მის წარუხოცელ დამახინჯებას, ბუნებრივია გადასახადი ნაკლები იქნებოდა ჭრილობის სიმძიმიდან გამომდინარე.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სვანურ ჩვეულებით სამართალში დაფიქსირებული სახის დამამახინჯებელი ჭრილობისათვის გათვალისწინებული გადასახადების შედარება ანალოგიური ჭრილობისათვის ქართული სამართლის ძეგლებით გათვალიწინებულ გადასახადებთან. გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით, „ვისცა პირსა ზედა გერში აჩნდეს სადაღედ" გადასახადი სისხლის

1569 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 8, 16.

1570 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 12.

მეხუთედია.[1571] ამ ძეგლის მიხედვით ჩანს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სახის წარუხოცელი დამახინჯება შედარებით ნაკლებადაა შეფასებული, ვიდრე თვალის, ფეხის დასახიჩრება (სისხლის მოეთხედი) და ხელის დასახიჩრება (მარჯვენა ხელის დასახიჩრება – სისხლის მესამედი).[1572] როგორც დავინახეთ ასეთივე ტენდენცია გამოჩნდა სახის წარუხოცელ დამახინჯებასთან დაკავშირებით მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებული მასალების მიხედვითაც.

ანალოგიური ჭრილობა უფრო მძიმედ ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით. კერძოდ, ამ ძეგლის 48 მუხლის მიხედვით: „წარბს ქუეით' და ყელს ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დააჩინოს, რომე ძალიანად მოეკუეთინოს, იმ ნაკვეთს ნეკი გამოეველებოდეს, ან სახიჩრად სახედველად დაღრეჯილიყოს და ნაეჴდინოს....." ხელის სისხლი ანუ სისხლის მესამედია გათვალისწინებული.[1573] როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, სახის წარუხოცელი დამახინჯება განხილულია ხელის (ასევე თვალის, ფეხის) სახიჩრობის თანაბარ ჭრილობად, რაც მის ყველაზე უფრო მძიმე ჭრილობათა კატეგორიისათვის მიკუთვნებას გულისხმობს, სწორედ ისე როგორც ეს ეგ. გაბლიანის მიხედვითაა სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. რა თქმა უნდა, ამის განმსაზღვრელი ფაქტორი ასეთი ჭრილობის შედეგად ადამიანის ხილული დამახინჯებაა, თორემ ბუნებრივია, რომ ფუნქციური დანაკარგის თვალსაზრისით ეს ჭრილობა ვერ შეედრება ადამიანისათვის ფეხის, ხელის თუ თვალის დაკარგვას.

4.2.2. სახის ჭრილობა ხევსურეთში, თუშეთსა და ფშავში. სახის არეში მიყენებული ჭრილობისათვის ხევსურეთში, თუშეთში და ფშავში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა როგორც ჭრილობის გაზომვას და ამის მეოხებით მოცემული ჭრილობისათვის საზღაურის დადგენას, ისე წინასწარ განსაზღვრული გადასახადის დაკისრებას.

4.2..2.1. სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვა. ხევსურულ, თუშურ და ფშაურ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება სახის ჭრილობის სიმძიმის განსაზღვრის წესი მისი სიდიდის, სიგრძის მიხედვით. მხედველობაში გვაქვს ჭრილობის სიგრძის გაზომვა მარცვლების მეშვეობით და შესაბამისი საზღაურის დაკისრება სწორედ ჭრილობაზე დატეული მარცვლების რაოდენობის შესაბამისად.

აღნიშნული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა განხილული. არაერთი ავტორი საუბრობს მის შესახებ საკმაოდ სრულყოფილად. თავდაპირველად რ. ხარაძისა და მისი ხევსური ინფორმატორების ცნობებს მოვიყვანთ ხევსურეთში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესის შესახებ: „პირისახის შაშლაში მარცვალი ეწყობა" (უკან ხადუ, უნცრუა ქერაული). ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დასახიჩრებულია სახის ის ნაწილი, რომელიც ქუდით არ დაიფარება, უკანასკნელს შუბლის სამი ზედა ნაკეცის ქვემოთ ანგარიშობენ. პირისახის შაშლაში დრამის გამოანგარიშება შემდეგი წესით ხდება: იმის შემდეგ, რაც ჭრილობა შეხორცდება, ნაჭრევს ჩალის ღეროს – ჭყუმს დააზომავენ. ქვაზე ნაჭრევის გამოხატულების მიხედვით იფქლისა[1574] და ქერის მარცვალს ერთმანეთში არევით დაალაგებენ, იფქლს სიგრძეზე და-

1571 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 416.

1572 იქვე.

1573 იქვე, 494.

1574 იფქალი – მთის ჯიშის ხორბალია, რომელიც ხევსურეთში გაზაფხულზე ითესება.

აწყობენ, ქერს სიგანეზე. ამას თვითონ შემდეგნაირად აღწერენ: „თუ სახეზე, სადაც თმა არ მოჩნდების, იქა სჭირს ნაჭრევი, დავზომთ იმას ჩალის ჭყუმით, მერე იმას ქვაზე დავზდებთ. ქვაზე ქვითავ დავსწერთ, გამოვხატავთ ნაჭრევს. მერე მარცვალს მოვიღებთ ნახევარს იფქლს, ნახევარს ქერს, ერთსა კუდით დავაწყობთ, მეორეს გარდიგარდმო". (უკან ხადუ, უნცრუა ქერაული). მგელა ჭინჭარაულის აღწერით: თუ სახეზე, შუბლის სამი ნაოჭის ქვეით სჭირს ნაჭრევი, მაშინ ..... „ნაჭრევს გალით[1575] გაზომენ, ნახშირით გამოსწერენ იმას სიპზე. მემრ იმას მარცვლებს დაასხმენ იფქლისას სიგრძეზე, ქერისას მიდამოღმ. მემრ დაზომენ, რამთვენ მარცვალ დაიდოს, ხუთ დაიდოს, შვიდ დაიდოს, მემრ იმთენსა ძროხასა უნდ მიცემა, რამდენსაც მარცვალს დაიდებს" (სოფ. გუდანი). როდესაც გამოთვლიან, რამდენი მარცვალი დაეტია ნაჭრევზე, მარცვლის საერთო რაოდენობას ორს გამოაკლებენ და იმდენ ხელით ძროხას გადაახდევინებენ დამნაშავეს. ასე მაგალითად, თუ ათი მარცვალი დაეტია, ორს გამოაკლავენ და რვა ხელით ძროხას გადაახდევინებენ, რადგანაც ჭრილობა მორჩენის შემდეგ შემოკლდებაო."[1576] ამ მონაცემში კარგად ჩანს, თუ რა შემთხვევაში ხდებოდა ხევსურეთში ჭრილობის სიგრძის მარცვლებით გაზომვა და რა წესით. თავის არეში მიყენებული ჭრილობების შესახებ საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჭრილობა იზომებოდა თუ ის მიყენებული იყო შუბლის „სამი ნაოჭის ქვემოთ," ანუ მხედველობაშია ის ადგილი, რომელიც არ იფარება თმით თუ ქუდით და ხილულია. ამას ადასტურებენ მ. კეკელიას ინფორმატორებიც.[1577] გ. თედორაძე კიდევ უფრო აზუსტებს სახის იმ არეალს, სადაც ხდებოდა ჭრილობის მარცვლებით გაზომვა. მისი განმარტებით: „თუ ჭრილობა სახეზეა მიყენებული, მაშინ გამოანგარიშება ხდება მარცვლების დადებით. სახეო, რომ ვამბობთ, იგულისხმება შემდეგი ფარგლები: ზევიდან შუბლის სამი ნაოჭი, ქვევიდან ნიკაპი და გვერდებიდან ყურის ძირები. ამ ფარგლებში მიყენებულ ჭრილობას სახის ჭრილობა ჰქვია..."[1578]

როგორც ვხედავთ, რ. ხარაძის ინფორმატორები დეტალურად აღწერენ სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესს, მიუხედავად მისი საკმაო სიძველისა.

ხევსურეთში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი რ. ხარაძის გარდა არაერთ ავტორთან (ვაჟა-ფშაველა, ნ. ხიზანაშვილი, რ. ერისთავი, ს. მაკალათია, ალ. ყამარაული, მ. კოვალევსკი, გ. თედორაძე, ბ. გაბუური, ალ. ოჩიაური, მ. ბალიაური) გვხვდება. თითოეული მათგანი ფაქტიურად ისევე აღწერს ამ წესს, როგორც რ. ხარაძის ინფორმატორები. მაგალითად, საუბრობენ ჭრილობის შეხორცების შემდეგ გაზომვაზე, მარცვლების გარდიგარდმო დალაგებაზე და გასაზომად იფქლის (ხორბლისა) და ქერის მარცვლების გამოყენებაზე, ჭრილობის ზომის ქვაზე გადატანაზე და სხვა.[1579] ცალკეული ნიუანსი განსხვავებულა-

1575 გალი – შტოებგაცლილი, ან ბუნებრივი უტოტო ხის ნაჭერი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 158).

1576 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172.

1577 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩეეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 62; №4, 29; №6, 22.

1578 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 112.

1579 იხ. ვაჟა-ფშაველა, ხევსურის თავი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 1964, 284; ნ. ხიზა-

დაც არის გადმოცემული. მაგალითად, ზოგიერთი ცნობით ჭრილობის ზომის აღება შეიძლება მომხდარიყო არა ჩალის ღეროთი (ჭყუმით), არამედ ძაფით,[1580] ხოლო ჭრილობის ზომის გადატანა არა სიპ ქვაზე, არამედ ფიცარზე,[1581] ან ქაღალდზე.[1582]

სახის ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვის წესის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასევე ალ. ოჩიაურის ცნობასაც, რომელიც სახეზე ჭრილობის მიყენების კონკრეტულ შემთხვევას აღწერს: „ნაჭრევი ძაფით დაზომეს, ძაფი სიპ ქვაზე დადვეს და იმის სიგრძე ხაზი გაავლეს. მიიტანეს ქერის და პურის მარცვლები და ხაზზე დააწყვეს. თითო მარცვალი სიგრძეზე და თითო გარდი-გაღმე. თითო მარცვალი პურისა და თითო ქერისა. სულ დაეტია თორმეტი მარცვალი (კილონი გადაყარნეს), ორი მარცვალი ნაპირებიდან გადააგდეს და დარჩა ათი მარცვალი."[1583] როგორც ვხედავათ, ხევსურეთში ორი კიდურა მარცვლის გამოკლებას „კილონის[1584] გადაყრას" უწოდებენ. ზოგან „კილოთ გადაყრა გვხვდება."[1585]

აღსანიშნავია, რომ სახის ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვის წესი საკმაოდ სრულყოფილი სახით ფიქსირდება მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში ხევსურეთში ჩაწერილ მასალაშიც. ეს მიუთითებს, რომ აღნიშნული წესის მოქმედება ხევსურეთში საკმაოდ დიდხანს შემორჩა და XX საუკუნის განმავლობაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამ მასალებით ფაქტიურად დასტურდება სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესის ყველა ის ნიუანსი, რომელსაც ზემოთნახსენებ ავტორებთან ვხვდებით.

მაგალითად, მ. კეკელიას ერთ-ერთი არხოტელი ინფორმატორი აღწერს მისთვის მიყენებული ჭრილობის გაზომვის პერიპეტიებს: „ჭყუმით (ბალახის ღეროთი) გაზომეს ჭრილობა. ეს ზომა გადაიტანეს სიპზე, გაუხაზეს ბოლოები და დააწყვეს ზედ იფქლის ..... და ქერის მარცვლები. დააწყვეს ასე: ჯერ ქერი იბტყივ (განით), მერე იფქალი – სიგრძით, შემდეგ ქერი სიგრძით, იფქალით იბტყივ და ასე დაეწყო მი და მოღმა, სულ 9 მარცვალი დაეტია."[1586] ასეთივე აღწერას სხვა ხევსურ ინფორმატორებთანაც ვხვდებით.[1587] იგივე მასალებით ასევე დასტურდება, რომ, ჭრილობის მარცვლებით გაზომვა ხდებოდა მისი შეხორცე-

---

ნაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 51; გ. თედორაძე, იქვე, 113; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 39 და სხვა.

1580 ალ. ოჩიაური, იქვე; გ. თედორაძე, იქვე; ს. მაკალათია, იქვე; ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

1581 გ. თედორაძე, იქვე.

1582 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

1583 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 11. აღნიშნული წესის ანალოგიურ აღწერას ვხვდებით ალ. ოჩიაურის სხვა მონაცემებშიც (იხ. იქვე, 6/6, 65; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 39–40).

1584 კილონი – „ნაპირის მარცვლები" (ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/3, 31).

1585 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40.

1586 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 60-61.

1587 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5. 29, 42; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

ბის შემდეგ.[1588] ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესში XX საუკუნის II ნახევარშიც არაფერი შეცვლილა და ამ დროისთვისაც ძველი, ტრადიციული სახით ტარდებოდა.

არის რამოდენიმე ავტორის ცნობა, რომლის მიხედვითაც ჭრილობის სიგრძეზე დატეული მარცვლების რაოდენობას აკლდება არა ორი კიდურა მარცვალი, როგორც ეს რ. ხარაძის თუ ალ. ოჩიაურის ინფორმაციაში გამოჩნდა, არამედ მარცვლების 1/3. ამის შესახებ საუბრობს ნ. ხიზანაშვილი: მარცვლების „მესამედი ნაწილი გადავარდება და ორ ნაწილში იმდენი ძროხა მიეცემა, რამდენიც მარცვალია."[1589] იგივეს ადასტურებს ს. მაკალათიაც (სავარაუდოდ, ნ. ხიზანაშვილის გავლენით). მისი თქმით, თუ მაგალითად, ჭრილობის სიგრძეზე დაეტია 9 მარცვალი, სამ ცალს გამოაკლებენ და დარჩენილი 6 მარცვლის კვალობაზე 6 ძროხას ანგარიშობენ.[1590] იგივე მონაცემი ფიქსირდება მ. კოვალევსკისთანაც და ნ. ხუდადოვთანაც.[1591] სახის ჭრილობის საზღაურის გამოანგარიშებისას მარცვლების 1/3-ის გამოკლება ეწინააღმდეგება არა მარტო რ. ხარაძის და ალ. ოჩიაურის, არამედ სხვა ავტორების მონაცემებსაც. მათი უმრავლესობა ადასტურებს მხოლოდ ორი კიდურა მარცვლის გადაგდებას.[1592] ჩვენი აზრით, ნ. ხიზანაშვილის, ს. მაკალათიას და მ. კოვალევსკის მონაცემი არაზუსტია. ავტორთა უმრავლესობა ორი კიდურა მარცვლის გამოკლებას აფიქსირებს და არა მესამედის და რაც მთავარია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებშია დაფიქსირებული, მოხდა სწორედ ორი კიდურა მარცვლის გამოკლება. ალ. ოჩიაურს აქ მოტანილის გარდა მოჰყავს სხვა კონკრეტული შემთხვევებიც სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვისა. მაგალითად, ალ. ოჩიაური აღწერს ოჩიაურთ გარსიას და მანგიანთ აპარეკას შუღლს, რასაც შედეგად მოჰყვა თოთიასთვის სახის ჭრილობის მიყენება. „თოთიას პირისახეზე ათის ძროხის დრამა დადგა. თორმეტ მარცვალი დაედვად, კილონ გადაიყარნეს,"[1593] ანუ ჭრილობაზე თორმეტი მარცვალი დაეტია, თუმცა ორი გამოაკლეს და დამნაშავეს ათი ძროხის დრამა დააკისრეს. იგივე დასტურდება XX საუკუნის 70-80-იანი წლების მასალებითაც. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ორი კიდურა მარცვალი უნდა ჩამოცილდეს და ამას „კილოთ გადაყრას ეძახიან."[1594] არაერთი სხვა ინფორმატორიც ადასტურებს, რომ უნდა გადაყრილიყო სწორედ ორი კიდურა მარცვალი[1595] და არა მესამედი. ბ. გოგოჭურის მონაცემშიც იგივე ჩანს.[1596] ყოველივე ეს (კონკრეტუ-

1588 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10;

1589 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

1590 ს. მაკალათია, იქვე.

1591 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 119; Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 17.

1592 იხ. ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109; ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საეთნათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 141; გ. თედორაძე, იქვე.

1593 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 81.

1594 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60.

1595 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 29, 42; №6, 22, 40; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41.

1596 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 30.

ლი მაგალითების ჩათვლით) მიუთითებს რომ ხევსურეთში ჩვეულებრივ მიღებული იყო ორი კიდურა მარცვლის გამოკლება ჭრილობის სიგრძეზე დატეული მარცვლების საერთო რაოდენობიდან და არა მისი მესამედის. შესაბამისად, ნ. ხიზანაშვილის, მ. კოვალევსკის, ნ. ხუდადოვის ცნობა მცდარ მონაცემს ეფუძნება, თან სრულიად შესაძლებელია ეს ავტორები ერთმანეთის ცნობებს ეყრდნობოდნენ.[1597]

თუ სახის არეში რამოდენიმე ჭრილობა იქნებოდა მიყენებული, ისინი ცალ-ცალკე გაიზომებოდა, განისაზღვრებოდა თუ თითოეულზე რამდენი მარცვალი ეწყობა და ყოველი ჭრილობის ზომაზე დაწყობილ მარცვლებს გამოაკლდებოდა ორ-ორი კიდურა მარცვალი, დარჩენილი მარცვლები შეჯამდებოდა. გ. თედორაძის მითითებით, „მაგალითად, სამ ჭრილში მოთავსდა 30 მარცვალი. უკვე აღნიშნულ დაზომვის წესით ოცდაათს უნდა გამოვაკლოთ ექვსი მარცვალი ..... დარჩება 24, მაშასადამე დამჭრელმა უნდა ზღოს ოცდაოთხი დრამა,"[1598] ანუ სახეზე მიყენებული ყველა ჭრილობის სიგრძეზე დაწყობილი მარცვლების საერთო რაოდენობას უნდა გამოაკლდეს ჭრილობათა რაოდენობის ორზე ნამრავლი.

გ. თედორაძესთან ორი კიდურა მარცვლის გამოკლების რ. ხარაძისაგან განსხვავებულ მიზეზს ვხვდებით. მისი თქმით, თუ რატომ აცლიან პირველსა და უკანასკნელ მარცვალს, ამაზე მან ადგილობრივებისაგან გარკვეული პასუხი ვერ მიიღო, თუმცა როგორც მათ პასუხებში შეამჩია, მარცვლების გამოკლება ერთგვარი პატიების ნიშანი უნდა იყოს.[1599] აღნიშნული არგუმენტი ორი კიდურა მარცვლის გამოკლებისა საყურადღებოა, თუმცა მიგვაჩნია, რომ რ. ხარაძის მოსაზრება, რომ ჭრილობა მორჩენის შემდეგ კიდევ შემოკლდება, უფრო ახლოსაა სინამდვილესთან. ამ მოსაზრებას ძალზედ არგუმენტირებულად ასაბუთებს ჯ. მერაბიშვილი: „მართალია, აზომვა ..... ჭრილობის მორჩენის შემდეგ ხდებოდა და თითქოს სადავოც აღარაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხევსურული რჯული ითვალისწინებდა იმას, რომ მომავალში ჭრილობა უფრო დამოკლდებოდა, შეხორცდებოდა ქსოვილების აღდგენის გამო."[1600] იგივეს ადასტურებს მ. ბალიაურიც. მისი განმარტებით, რადგან ჭრილობის ბოლოები რამდენიმე ხნის შემდეგ შემოკლდებოდა, ამიტომაც ორი მარცვლის გამოკლება მოხდებოდა.

1597 ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ რადგანაც ამ ავტორთა მონაცემები XIX საუკუნის II ნახევარშია დაფიქსირებული, შედარებით ძველ პერიოდში, ხევსურეთში (ან მის რომელიმე ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულში) მარცვლების მესამედის გადაყრა იყო მიღებული, თუმცა გარკვეულ ეტაპზე ამ წესის მოქმედება შეწყდა და ორი კიდურა მარცვლის გადაყრა საყოველთაო წესად დამკვიდრდა. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ვარაუდის საფუძვლიანობას ეჭქვეშ აყენებს ის გარემოება, რომ ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის, ბ. გაბუურის, მ. კეკელიას და XX საუკუნის სხვა სანდო მონაცემებში არავითარი ცნობა არ გვხვდება იმის შესახებ, რომ სახის ჭრილობის გაზომვისას ძველ პერიოდში მარცვლების მესამედის გადაყრა იყო მიღებული წესი. ასე რომ ყოფილიყო ამ მონაცემებში ერთი მინიშნება მაინც იქნებოდა ამის შესახებ. მითუმეტეს ალ. ოჩიაურის მონაცემებში ზოგიერთ სხვა საკითხზე პირდაპირ არის მითითებები, თუ ძველად არსებული წესი როგორი იყო და რა წესით მოხდა მისი შეცვლა, რასაც მარცვლების გაზომვის წესთან დაკავშირებით ვერ ვხვდებით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მოიპოვება, ორი კიდურა მარცვლის გადაყრა მოხდა. სწორედ აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ავტორთა მონაცემები სახის ჭრილობის გაზომვისას მარცვლების მესამედის გადაყრის შესახებ არაზუსტი უნდა იყოს.

1598 გ. თედორაძე, იქვე, 113.

1599 იქვე.

1600 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 56.

საერთოდაც, დამჭრელი ცდილობდა რჯულის (სამედიატორო სასამართლოს) გახანგრძლივებას, რადგანაც „პირნი შამოკლდებიან" – ჭრილობის სიგრძე შემოკლდებოდა და ჭრილობაზე ნაკლები მარცვლები დაეტეოდა, შესაბამისად დამნაშავეს ნაკლები საფასურის გადახდა მოუწევდა.[1601]

გარკვეულ შემთხვევებში კიდურა მარცვლების გამოკლება არ ხდებოდა. ასეთი წესი მოქმედებდა მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა ე. წ. „პირის სერის შერევას", ანუ პიროვნებისთვის სახის არეში ცხოვრებაში პირველი ჭრილობის მიყენებას. ალ. ოჩიაური განმარტავს: „პირისერზე (პირისახეზე) თუ პირველად სჭირს ნაიარაღალი, აქამდინ არ ხქონდა პირისერი შერეული, მაშინ კილონ არ გადაიყრებიან, თუ პირისერ წინავაც ხქონდა შარეული, მაშინ კილონ გადაიყრებიან....." [1602] ამ განმარტებას იგი იქვე აზუსტებს: „პირველად შერეულ პირისერზე კილონი არ გადაიყრებოდნენ, რამდენი მარცვალიც დაეტეოდა მთლიანად ითვლებოდა. თუ მეორედ ან უფრო მეტჯერ იყო სახეზე დაჭრილი, მაშინ კილონი, ე. ი. ნაპირებიდან ორი მარცვალი გადავარდებოდა და ნაჭრევის სიგრძის ოდენობას ორ ძროხის ანგარიშით აკლდებოდა დრამა და რაც დარჩებოდა დამნაშავე დაზარალებულს უხდიდა იმდენ ძროხას."[1603] ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა შატილელ ინფორმატორზე დაყრდნობით, რომელიც ვინმე ხთისოს და ლევანის შუღლს ეხება: ხთისოს სახის ჭრილობაზე დატეულა თექვსმეტი მარცვალი და რაკი „პირისახე პირველად შაერია" კილონის გადაყრა არ მოხდა და ლევანს ხთისოს სასარგებლოდ დაეკისრა 16 ძროხის (ნახევარი ხელითის და ნახევარი ფეხითის, როგორც ეს შატილში იყო მიღებული) გადახდა.[1604] ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ კონკრეტრულ შემთხვევაშიც, ჭრილობაზე დატეულ 12 მარცვალს ალ. ოჩიაურის განმარტებით, ორი მოაკლეს იმიტომ რომ „წინაწინ შარეულ არ იყვ ამის პირისერი."[1605] აღნიშნულს ს. მაკალათიაც ადასტურებს, მისი განმარტებითაც: „ვისაც პირის სახეზე ჭრილობა არ ჰქონია და პირველად დაიჭრა, მას მარცვალი არ გამოაკლდება და სრულად იანგარიშება."[1606] ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი ცნობა გვხვდება XX საუკუნის 70-80-იანი წლების მასალებში. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს რომ სახის პირველ ჭრილობას ეძახიან „პირის სერის შერევას" და ამ დროს რამდენი მარცვალიც დაეტეოდა ჭრილობაზე იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა დამნაშავეს.[1607] კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორი იგივეს აცხადებს: „თუ ჭრილობა პირველადაა მიყენებული სახეზე, მაშინ იმდენ ძროხას გადაახდევინებენ, რამდენი მარცვალიც დაეტევა. ნაპირები არ ჩამოიჭრება, ხოლო თუ ჭრილობა პირველი არაა, მაშინ „კილონი", ე. ი. ნაპირებიდან თითო მარცვალი გადაიყრება."[1608] მ. კეკელიას

1601 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 317.

1602 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/6, 65.

1603 იქვე.

1604 იქვე.

1605 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 81.

1606 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94.

1607 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 40. სახის პირველ ჭრილობას „პირის სერის შერევას" სხვა ინფორმატორებიც უწოდებენ (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63 და სხვა).

1608 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11.

ინფორმატორის ზემოთმოყვანილი მონაყოლიც მისი ჭრილობის მარცვლებით გაზომვის შესახებ ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას. როგორც გამოჩნდა მის ჭრილობის სიგრძეზე 9 მარცვალი დაეტია, მაგრამ როგორც ინფორმატორი ყვება, მას რომ სახის არეში ადრე ჰქონოდა მიყენებული ჭრილობა, მაშინ კიდურა მარცვლებს გადაყრიდნენ და ასე იანგარიშებდნენ გადასახადს, მაგრამ რაკი პირველი ჭრილობა იყო (მთხრობელი მისი დაჭრისას 16 წლის ყოფილა), მარცვლები არ გადაყარეს და დამნაშავეს 9 ძროხის გადახდა დააკისრეს.[1609] იგივე დასტურდება სხვა ინფორმატორებთანაც.[1610] აქ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხევსურული რჯული სახის არეში პირველად მიყენებულ ჭრილობას პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად თვლის და მისთვის უფრო მეტ საზღაურ აწესებს, ვიდრე ყოველი შემდგომი (მეორე, მესამე და ა. შ.) ჭრილობისათვის. ასევე, კიდურა მარცვლების გამოკლებას ადგილი არ ჰქონდა მაშინაც, როცა ჭრილობა მიყენებული იყო ცხვირის არეში (ცხვირის არეში მიყენებული ჭრილობის მარცვლებით გაზომეის შემთხვევაში) და თვალის ძირში (თუ ჭრილობა წვერით დაფარულ ადგილზე არ იყო).[1611] აქ მაკვალიფიცირებელ ფაქტორად ითვლებოდა ჭრილობის მიყენების ადგილი, რადგანაც ასეთ ჭრილობას შეეძლო მხედველობის დაკარგვის საფრთხე შეექმნა.

სახის არეში მიყენებული ჭრილობის მარცვლებით გაზომვისას მნიშვნელობა ჰქონდა ჭრილობა შიშველ ადგილზე იყო მიყენებული თუ წვერით დაფარულ ადგილზე. ჭრილობის მარცვლებით გაზომვის განხილული წესი ვრცელდებოდა სახის იმ ნაწილზე მიყენებული ჭრილობის შემთხვევაში, რომელიც არ იყო დაფარული წვერით. წვერით დაფარულ არეში მიყენებული სახის ჭრილობისას ასევე ხდებოდა მისი მარცვლებით გაზომვა, თუმცა საზღაურის გამოანგარიშების განსხვავებული წესი არსებობდა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალებში ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე უფრო სრულყოფილი მონაცემები მოგვეპოვება.

მასალების მიხედვით, სახის არეში მიყენებულ ჭრილობას, რომელსაც თმა (წვერი) არ ფარავს – „თმაშიშველ ნაჭრევს" ეძახდნენ, ხოლო რომელიც „ყბით", ანუ წვერით დაფარულ ადგილზეა მიყენებული – „სასაფრე ნაჭრევს.[1612]

მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ სახის ჭრილობა შუბლიდან მთელს სახეზე, თუ ბალნითაა დაფარული ნახევრად იანგარიშება.[1613] ინფორმატორი აქ გულისხმობს, რომ სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობისათვის პასუხისმგებლობის განსასაზღვრად, მის ზომაზე დატეული მარცვლების მხოლოდ ნახევარი იანგარიშება. სხვა ინფორმატორებიც ადასტურებენ, რომ წვერით დაფარულ სახის ჭრილობაზე დალაგებული მარცვლებიდან ნახევარი გადავარდება, ხოლო დარჩენილი ნახევარი იანგარი-

1609 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 61.

1610 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; №5, 29; №6, 22.

1611 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 172; ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 317.

1612 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 62; №2, 85.

1613 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60.

შება, თან არ ჰქონდა მნიშნელობა ეს სახის არეში მიყენებული პირველი ჭრილობა იქნებოდა, თუ მეორე, მესამე და ა. შ.[1614] ამრიგად, სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა ასევე მარცვლებით იზომებოდა, თუმცა განსხვავებით სახის შიშველ ადგილას მიყენებული ჭრილობისაგან, მის ზომაზე დატეული მარცვლების მხოლოდ ნახევარი იანგარიშებოდა გადასახადის ოდენობის დასადგენად, ნებისმიერ შემთხვევაში (როგორც პირველი, ისე შემდგომი ჭრილობების მიყენებისას). ცხადია, სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა იმიტომ ფასობდა შიშველ ადგილას მიყენებულ ჭრილობასთან შედარებით მცირედ (მაგალითად, პირველი ჭრილობისას მის ნახევრად), რომ იგი ნაკლებად თვალსაჩინო იყო.

სახის წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა რომ განსხვავებულად ფასდებოდა, შედარებით ძველი პერიოდის ზოგიერთ ავტორთანაც ფიქსირდება. მაგალითად, ბ. გაბუური მიუთითებს სახის არეში მიყენებულ ჭრილობის შესახებ: „თუ ლაშყბათ[1615] სჭირს, ნახევარ მარცვალ გადვარდების და ნახევრის მარცვლის საქონს აიღებს დაჭრილი.“[1616] (ლაშყბაში წვერით დაფარული ადგილი იგულისხმება). ალ. ოჩიაურთანაც არის მინიშნება რომ სახის „ყბით“ დაფარული ჭრილობა განსხვავებულად ფასდება, ვიდრე „თმაშიშველი“ ჭრილობა.[1617]

ბ. გოგოჭურის მონაცემით კი სახის თმა-წვერით დაფარულ არეში მარცვლების 1/3 აკლდება და არა ნახევარი.[1618] განსხვავება მონაცემებში შესაძლოა ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ალაგის წესის მოქმედებით აიხსნას და ხევსურეთის სხვადასხვა თემ-სოფელში განსხვავებული წესის მოქმედებით იყოს განპირობებული.[1619]

შესაძლოა, სახის ჭრილობა ნაწილობრივ წვერით დაფარულ ადგილას ყოფილიყო განთავსებული და ნაწილობრივ შიშველ ადგილას. ამ დროს ჭრილობის წვერით დაფარულ ადგილზე დატეულ მარცვლებს გაანახევრებდნენ (ან გაამესამედებდნენ), ხოლო ჭრილობის შიშველ ადგილას განთავსებულ მარცვლებს ან უცვლელად იანგარიშებდნენ (თუ „პირის სერის შერევას“ ჰქონდა ადგილი), ან ორ კიდურა მარცვალს გამოაკლებდნენ (თუ ეს არ იქნებოდა სახეზე მიყენებული პირველი ჭრილობა). ასეთი სახით ჭრილობის შიშველ და წვერით დაფარულ ადგილას განთავსებულ ნაწილებზე ცალ-ცალკე ნაანგარიშებ მარცვლებს შეკრებდნენ და რამდენი მარცვალიც დარჩებოდა იმდენი ძროხის დრამა გადახ-

---

1614 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11.

1615 ლაშყბა – ყბები (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 505).

1616 ბ. გაბუური, იქვე.

1617 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/3, 31.

1618 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 31.

1619 აღსანიშნავია რომ ბ. გოგოჭურის ჩანაწერებში გვხვდება ხევსური ინფორმატორის – თათარა ნიკლაურის მონაცემი, რომლის თანახმადაც თმა-წვერით დაფარულ არეში მიყენებული, ე. წ. „სასაფრე ჭრილობისას“ მასზე დატეული მარცვლები ნახევრდება და ხდება დარჩენილი მარცვლების ოდენობის შესაბამისი ძროხის ღირებულების ხელითი დრამის გადახდა. (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №4, 3). აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ბ. გოგოჭურის მიერ ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლის შესახებ ჩაწერილ მასალაში გვხვდება მონაცემი, რომლის მიხედვითაც, წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობისას შეიძლება მომხდარიყო მარცვლების არა მესამედის, არამედ ნახევრის მოკლება, რაც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ სხვა მონაცემებშიც ფიქსირდება და ადასტურებს მათ რეალობას.

დებოდა დამნაშავეს.[1620]

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ხევსურეთში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესთან დაკავშირებით შესაძლოა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ჭრილობის გაზომვა ხდება მას შემდეგ, რაც იგი შეხორცდება; 2. უშუალოდ ჭრილობას ზომავენ ჭყუმით, ანუ ჩალის, ბალახის ღეროს მეოხებით (შესაძლოა ჭრილობის გაზომვა მომხდარიყო ძაფით). 3. ჩალის ღეროთი (ძაფით) აღებული ზომა გადააქვთ სიპ ქვაზე (ფიცარზე, ქაღალდზე) და ქვითვე (ნახშირით) მონიშნავენ ჭრილობის სიგრძეს (ჭრილობის სიგრძის ხაზს გაავლებდნენ); 4. ქვაზე მონიშნული ჭრილობის სიგრძის ზომაზე აწყობენ მარცვლებს; 5. ჭრილობის ზომის გასაზომად იყენებენ იფქლისა და ქერის მარცვლებს, რომელიც ერთმანეთში აღრევით ეწყობა ქვაზე; 6. მარცვლები ეწყობა გარდიგარდმო: იფქლის მარცვლებს სიგრძეზე დებენ, ქერის მარცვლებს სიგანეზე, რიგ-რიგობით; 7. განსაზღვრავენ ჭრილობის სიგრძეზე დატეული მარცვლების რაოდენობას. 8. სახის შიშველ ადგილას მიყენებული ჭრილობის შემთხვევაში ორ კიდურა მარცვალს გადააგდებენ და რამდენიც დარჩება იმდენი ძროხის დრამა უნდა გადაუხადოს დამნაშავემ დაზარალებულს; 9. კიდურა მარცვლების გადაყრა ხდება იმიტომ რომ, ჭრილობა საბოლოო მორჩენის შემდეგ პატარავდება (შესაძლოა აქ გარკვეული პატიების ელემენტიც იგულისხმებოდეს); 10. სახის შიშველ ადგილას პირველად მიყენებული ჭრილობისას ანუ „პირის სერის შერევისას" კიდურა მარცვლების გამოკლება არ ხდება; იგივე ხდება, თუ არაპირველი ჭრილობა მიყენებულია ცხვირსა და თვალის ძირში. 11. სახის წვერით დაფარულ ადგილზე მიყენებული ჭრილობა ასევე მარცვლებით იზომება; 12. სახის წვერით დაფარულ ადგილზე მიყენებული ჭრილობის ზომაზე დატეულ მარცვლებს ნახევარი (ან მესამედი) აკლდება, მიუხედავად იმისა ეს სახეზე მიყენებული პირველი ჭრილობაა თუ არაპირველი და რამდენი მარცვალიც დარჩება იმდენი ძროხის დრამა უნდა გადახდეს დამნაშავეს.

სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის ფაქტიურად ანალოგიური წესი ფიქსირდება ფშავსა და თუშეთში.

ფშავში აღნიშნული წესი სრულყოფილად შესწავლილი აქვს ჯ. მერაბიშვილს. მისი განმარტებით, ფშავში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვა ხევსურეთში მოქმედი წესის ანალოგიურად ხდებოდა. კერძოდ, ფშავში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ჭრილობას ჯერ თოკით (საბლით, ბალახის ღეროთი და სხვა) გაზომავდნენ, შემდეგ ამ ანაზომ თოკს ფიცარზე (ქვაზე, მიწაზე) დადებდნენ, დაალაგებდნენ ჭრილობის სიგრძეზე ხორბლის მარცვლებს და რამდენი მარცვალიც დაეტეოდა იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა დამჭრელს.[1621] ასეთივე წესს ვხვდებით ვაჟა-ფშაველასთან, ს. მაკალათიასთან. მათ მიხედვითაც ფშავში სახის ჭრილობას მარცვლებით ზომავდნენ და ერთს სიგრძეზე დებდნენ, ხოლო მეორეს სიგანეზე. სამართლებრივი შედეგი იგივე იყო.[1622] ხევსურეთში მო-

1620 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №6, 22.

1621 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნანილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 55-56.

1622 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომაც, ტ. IX, თბ., 1964, 72; ს. მაკალათია, ფშაელი, თბ., 1985, 79

ქმედ წესთან მსგავსება აშკარაა, თუმცა ჯ. მერაბიშვილი მიუთითებს რომ მისი მოქმედება ფშავში თითქმის უკვე გამქრალია, ხოლო ხევსურეთში XX საუკუნის ბოლოსაც ჩვეულებრივ გრძელდება. ამავე დროს ფშაური სამართალი ხევსურულისაგან განსხვავებით ვერ მიჯნავდა იმ საზღვრებს, რომლის მიხედვითაც სახეზე მიყენებული ჭრილობა უფრო დამძიმდებოდა ან უფრო შემსუბუქდებოდა. კერძოდ, ფშავში ხევსურეთისაგან განსხვავებით არ ფიქსირდება ორი კიდურა მარცვლის გამოკლების წესი და „პირის სერის შერევისას" შედარებით მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრება დამნაშავისათვის, ასევე სახის წვერით დაფარულ ადგილზე მიყენებული ჭრილობის შედარებით მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.[1623]

თუშეთში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესის მოქმედებას ადასტურებს ალ. ხახანაშვილი. მისი განმარტებით, „ჭრილობა სახეზე გაიზომებოდა ქერის მარცვლებით, რამდენიც მარცვალი ჭრილობაზედ დაეწყობოდა, იქიდგან ორს გადააგდებდნენ და დანარჩენს თითო მარცვალზედ უნდა გადაეხადათ თითო ძროხა....."[1624] თუშეთში ამ წესის არსებობის შესახებ საუბრობს ვ. ლაგაზიძეც.[1625]

აქ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში სახის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი სახითაა შემორჩენილი. ფშავსა და თუშეთში აღარ ფიქსირდება ამ წესის ისეთი ელემენტები, რომლებიც ხევსურულ მასალებში გვხვდება. ამის განმაპირობებელი ფაქტორი, ცხადია, სხვადასხვა მიზეზთა გამო ხევსურული რჯულის ნორმების უფრო დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ სრულყოფილი სახით შემონახულობა იყო, ფშაურ და თუშურ ჩვეულებით სამართალთან შედარებით.[1626]

ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი ძველ საქართველოშიც საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, იგი დამახასიათებელი იყო არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებისათვის, არამედ ბარშიც კარგად ცნობილ წესს წარმოადგენდა. გასაკვირი არაა რომ ეს რეალობა აისახა ვახტანგის სამართლის წიგნშიც, სადაც, როგორც ჩანს, ჩვეულებითი სამართლის ნორმის სახით მოქმედი ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესის სანქციონირება მოხდა. ვახტანგის სამართლის წიგნის 49-ე მუხლში ვკითხულობთ: „ტანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ და წვივზედ თუ რასაც ალაგს კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისათვის ხომ დაგვიწერია, ის ჭრილობა ქერის მარცვლით გაზომონ, რამთენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა არის. ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების. მსახურის

1623 იქვე, 56–57.

1624 ალ. ხახანაშვილი, მგზაერის დღიურიდამ, „ივერია", 1888, №185.

1625 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ეთნოგრაფიულ-ისტორიული ნარსულიდან, თბ. 1966, დ. 299 (ხელნაწერის უფლებით, საკანდიდატო დისერტაცია), 146.

1626 საინტერესოა რომ ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვის შესახებ ერთი ზოგადი ცნობა გვხვდება მესხეთში ჩაწერილ მასალაშიც (იხ. დავით ჯალაბაძე, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 20). რეგიონის არცერთი სხვა ინფორმატორი მსგავსი წესის არსებობას არ ადასტურებს. არ გამოირიცხავთ, რომ ეს ერთი ინფორმატორი ზოგადი ცოდნის საფუძველზე საუბრობს ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვის შესახებ და არა რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით. ძნელი წარმოსადგენია აღნიშნულ რეგიონში, სადაც ინფორმატორებს იშვიათად სმენოდათ რაიმე დაჭრა-დასახიჩრებისას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საქმის განხილვაზე, რომელიმე ინფორმატორს რეალური ცნობა ჰქონოდა მესხეთში ჭრილობის ქერის მარცვლებით გაზომვის შესახებ.

ქერის მარცვლის ჭრილობაზედ – ოთხი მინალთუნი: ცალმოგეს აზნაურზედ – რვა მინალთუნი, შუას აზნაურზედ – თექუსმეტი მინალთუნი, დიდს აზნაურიშვილზედ – სამი თუმანი და ორი მინალთუნი; დაბალს თავადზედ – თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ – ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

მაგრამე, თუ ან თოფით, ან ისრით, ან შუბით, ან ჯიქურად დაჭრილი არის, რა ერთიც სანახავი რკინა ჩავა ან ფილთს უსაქმია, ის უნდა ქერის მარცვლით გაზომონ და იმ სხვას ჭრილობაზედ ერთიორად გააჩინონ, ამიტრმ რომე ამგვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაირჯებოდა და ბევრს ჭირს ნახევდა.

თოფისა კიდევ უფრო მეტი გაჩნდების, მაგრამე იმასაც გასინჯვა უნდა, თუ რას ალაგს აქვს გავარდნილი."[1627]

როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართლის წიგნით, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა, ქერის მარცვლებით ხდებოდა არა სახეზე, არამედ ტანზე, ფეხზე და მკლავზე მიყენებული ჭრილობის გაზომვა. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხევსურული რჯულით (ასვე ფშაური სამართლით) აღნიშნულ ადგილებში მიყენებული ჭრილობის შეფასების განსხვავებული წესები ჩამოყალიბდა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. კიდევ ერთი არსებითი განსხვავება ვახტანგის სამართლის წიგნში გადმოცემული წესისა ხევსურულ რჯულთან გამოიხატება იმაში, რომ ვახტანგის სამართლით ქერის მარცვლებით იზომებოდა შემავალი ჭრილობაც, კერძოდ, თოფით, ისრით, შუბით მიყენებული. ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი XVIII საუკუნის ქართულ სასამართლო (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს) განაჩენებშიც[1628] გვხვდება, რაც ამ პერიოდში მისი პრაქტიკული გამოყენების უტყუარი ნიშანია.

ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი ქართველ მთიელთა ჩვეულებითი სამართლის გარდა სხვა ხალხის ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთი დაღესტნელი ხალხის უნკრატ-ჩამალალის ადათებში აღნიშნულია: სახეში მიყენებული ჭრილობისას, თუ დარჩება იარა, დამნაშავე იხდის 4 მანეთს ამ ჭრილობაზე დატეული თითოეული მარცვლისათვის.[1629] ჭრილობის მარცვლებით გაზომვა ფიქსირდება ოსურ ჩეეუელებით სამართალშიც. ჭრილობის სიმძიმის დადგენის ამ წესს მ. კოვალევსკი არქაულს უწოდებს. მისი თქმით, ჭრილობაზე დატეული თითოეული ქერის მარცვლისათვის დამნაშავეს უნდა გადაეხადა ერთი ძროხა, თუმცა 12 ძროხის ზევით გადახდა არ შეიძლებოდა.[1630] მ. კოვალევსკის მიხედვით, აღნიშნული წესი მხოლოდ კავკასიონის სამხრეთში მცხოვრებ ოსებში იყო გავრცელებული, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყვნენ და ამიტომ ოსებში ამ წესის საფუძველი ქართულ სამართალში უნდა ვეძიოთ.[1631]

მ. კოვალევსკი ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესის სიძველეს ასაბუთებს იმით, რომ ჭრილობის სიმძიმის დადგენა მისი სიდიდით, უძველეს სამართალში გვხვდება. კერძოდ, გერმანული, მათ შორის სკანდინავიური სამართლი-

1627 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 494-495.

1628 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. VI, თბ., 1977, 137, 138.

1629 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 176.

1630 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 139.

1631 იქვე, 140.

დან, მსგავსი წესი მხოლოდ ფრიზების სამართალში ფიქსირდება. სწორედ ამ სამართლის მიხედვით, ჭრილობა ფასდებოდა სიდიდის მიხედვით. ყოველგვარი ჭრილობა 1 სოლიდი ღირდა. თუ ჭრილობა მოიცავდა პირველ და მეორე თითს შორის მანძილს, გადასახადი იზრდებოდა 4 სოლიდამდე. ჭრილობა მაჯიდან შუა თითის წვერამდე სიგრძის ღირდა 24 სოლიდამდე, რაც ყველაზე დიდი გადასახადი იყო.[1632]

ძველ ქართულ სამართალში არსებული ჭრილობის მარცვლებით გაზომვის წესი, კოვალევსკის დაკვირვებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, მართლაც უძველესია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებით სამართალს (სრულყოფილი სახით ხევსურეთში) XX საუკუნეშიც შემორჩა.

4.2.2.2. სახის ჭრილობა, რომელიც მარცვლებით არ იზომება. სახის არეში მიყენებული ზოგიერთი ჭრილობა არ იზომებოდა და წინასწარ დადგენილი გადასახადით ხდებოდა დაზარალებულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთ ჭრილობათა რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად, წარბის, ტუჩის თუ ულვაშის არეში მიყენებული ჭრილობა.

მასალებში ცალსახად ჩანს, რომ წარბის არეში მიყენებული ჭრილობა არ იზომებოდა და შეფასებული იყო 5 ძროხად.[1633] თუ ჭრილობა წარბს გასცდებოდა, მაშინ ეს გაცდენილი ნაწილი გაიზომებოდა, ხოლო თვით წარბი კი არა, „გინდ გატყდეს, გინდა განგან გაიჭრას.“[1634] ბ. გოგოჭურის მონაცემითაც წარბებზე მიყენებული ნაჭრევი, თუნდაც მსუბუქი ხასიათის, არის მომეტებული საფრთხის მატარებელი მხედველობის დაკარგვა-დაქვეითებისათვის, მაგრამ არ იზომება მარცვლებით და ითვალისწინებს 5 ძროხის დრამას.[1635] იგივე ჩანს თ. ოჩიაურთან.[1636]

ულვაშთან და ტუჩთან დაკავშირებით ალ. ოჩიაური აღნიშნავს: „ულვაში თუ ასწვადა (ააგლიჯა) თითო ბეწვი, თითო ცხვარი ღირდა. გადაიხდიდა დრამით ულვაშის ამწვდელი. ულვაში თუ ერთ მხარეს ასწვავდა, მეორე მხარეს დასთვლიდნენ ბეწვებს და რამდენიც გამოვიდოდა, იმდენ ცხვარს ახდევინებდნენ.“[1637] მისივე განმარტებით, ულვაშსა და ქვედა ბაგეზე მიყენებული ჭრილობა შეფასებული იყო 5 ძროხად.[1638] როგორც ჩანს, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ულვაშის ხელით აგლეჯვისა და ულვაშის არეში იარაღით ჭრილობის მიყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის განსხვავებული წესი არსებობდა. ულვაშის ხელით აგლეჯვისათვის საზღაურის გამოთვლა აგლეჯილი ბეწვების რაოდენობის მიხედვით (თითო ბეწვისთვის თითო ცხვარი), შემდგომდროინდელ მასალებში აღარ გვხვდება. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი პირ-

---

1632 მ. კოვალევსკი, იქვე, 139-140. ჭრილობის თითებით გაზომვის წესი ერთ-ერთი დაღესტნელი ხალხის ადათებშიც გვხდება, რომლის მიხედვითაც, ჭრილობაში თითებს დებენ და რამდენი თითიც დაეტევა, იმდენ 3 მანეთს იხდიან (რ. ხარაძე, იქვე).

1633 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 63; №2, 62; №4, 30; №6, 23;

1634 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 40.

1635 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 32.

1636 თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1637 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 6.

1638 იქვე, 40.

დაპირ მიუთითებს, რომ ადრე ულვაშის აგლეჯვისას რამდენი ბეწვიც გაყოლებაზე დაითვლებოდა, იმდენი ცხვარი უნდა გადაეხადათ, თუმცა ეს წესი აღარ მოქმედებს.[1639] ზოგიერთი სხვა ინფორმატორიც ასევე უარყოფს ასეთი წესის გამოყენებას.[1640] სავარაუდოდ, აღნიშნული წესის მოქმედება გარკვეულ ეტაპზე შეწყდა.

XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ულვაშისა და ტუჩის არეში მიყენებული ჭრილობების საზღაურის ოდენობის შესახებ განსხვავებული მონაცემები გვხვდება. ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, ულვაში თუ გაიჭრა ეძახიან „საწვერეს" და ღირს 9 ცხვარი.[1641] მეორე ინფორმატორი მიუთითებს რომ საწვერე (საულვაშე) თუ გაიჭრება, თუნდაც ჰქონდეს ულვაში, თუნდაც არა – 3 ცხვრად არის შეფასებული. თუ ულვაში „ამოსწვადა" – ე. ი. ხელით ააგლიჯა – სამჯერ მეტია, ე. ი. 9 ცხვარი.[1642] ზოგიერთი მონაცემით კი გადასახადი მეტია. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, არც ულვაში იზომება და მისი გაჭრისთვის 5 ძროხაა.[1643] იგივე ფიქსირდება თ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილ მონაცემშიც.[1644] საინტერესოა, რომ ალ ოჩიაურის მონაცემების მსგავსად ამ მასალებითაც განსხვავებაა ულვაშის ხელით აგლეჯვისა და ულვაშის არეში დაჭრის მიმართ მიდგომას შორის. პირველი უფრო მძიმედ ითვლება, რადგანაც შეურაცხმყოფელია დაზარალებულისათვის. თუმცა, როგორც ვხედავთ, ჭრილობის შეფასების განსხვავებული წესია და აგლეჯილი ბეწვების რაოდენობაზე არაა დამოკიდებული. ულვაშის არეში ჭრილობის მიყენებისას კი, სხვადასხვა გადასახადი ჩანს, კერძოდ, 3 ცხვარი, 9 ცხვარი, 5 ძროხა (ეს უკანასკნელი ალ. ოჩიაურთანაც ფიქსირდება). ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც, საწვერეზე – საულვაშეზე მიყენებული ჭრილობა, თუნდაც მსუბუქი ხასიათის, რადგანაც მომეტებული საფრთხის მატარებელია სახის იერის შეცვლის და კბილების ჩამტვრევისათვის, არ იზომება მარცვლებით და ითვალისწინებს 5 ძროხის ხელით დრამას.[1645] ამ მონაცემების შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში საულვაშეზე მიყენებული ჭრილობა მაინც 5 ძროხად იყო შეფასებული, რადაგანც უმეტესი მონაცემი (ალ. ოჩიაური, ბ. გოგოჭური, მ. კეკელიას რამდენიმე ინფორმატორი), სწორედ ამას მიუთითებს. აქვე არაა გამორიცხული კონკრეტულ შემთხვევაში, გარკვეულ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულში ნაკლები გადასახადიც დაეკისრათ დამნაშავისთვის.[1646]

1639 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 61.

1640 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85; №6, 23.

1641 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85.

1642 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

1643 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 40.

1644 თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1645 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 31.

1646 განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი. მისი განმარტებით: „ულვაშის ჭრილობას გააჩნია: თუ ტუჩიც მოყვა 5 ძროხა არის, არის სამი ძროხაც. თუ მხოლოდ საულვაშე აქვს, თმიანობა ზღუდავს და უფრო ნაკლებია გადასახადი. იმიტომ რომ თმიანობა შესახედად არ ამახინჯებს, ფარავს ჭრილობას." (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 23). სრულიად შესაძლებელია ხევსურეთის რომელიმე რეგიონში ასეთი მიდგომაც ყოფილიყო, მითუმეტეს იგი გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება და პასუხის-

საინტერესოა, რომ XX საუკუნის 70-80-იანი წლების ზოგიერთი მონაცემით ტუჩის არეში მიყენებული ჭრილობა შესაძლოა მარცვლებითაც გაზომილიყო და არა წინასწარ განსაზღვრული გადასახადით შეფასებულიყო, განსხვავებით ალ. ოჩიაურის ზემოთმოყვანილი ცნობისაგან, რომლის მიხედვითაც ქვედა ტუჩზე მიყენებული ჭრილობა საულვაშეზე მიყენებული ჭრილობის მსგავსად არ იზომებოდა და 5 ძროხად იყო შეფასებული. მაგალითად, ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ტუჩი თუ გაიჭრა, მარცვლებით იზომება.[1647] დაფიქსირებულია ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც „ჭრილობის შეფასებისას გაზომეს მხოლოდ ქვედა ტუჩი, ზედა არ გაზომეს, რადგან მას ულვაში ფარავდა.“ ეს ცნობა უშუალოდ დაზარალებულის მიერაა მოწოდებული.[1648] ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ხევსურული რჯულით, ქვედა ტუჩი შესაძლოა გაზომილიყო. კონკრეტული ფაქტი თვით დაზარალებულის მოყოლილი, ამის უტყუარი დადასტურებაა. ზედა ტუჩი კი ულვაშის დაფარვის ზონაში მოყოლის გამო.აღარ გაზომილა, რაც ადასუტტურებს, რომ საულვაშეზე ჭრილობა არ იზომება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ყამარაულის მონაცემით, ხევსურეთში სახის არეში მიყენებული ჭრილობა მარცვლებით გაიზომებოდა მხოლოდ მაშინ თუ იგი ძვლამდე არ იყო მიღწეული.[1649] ავტორის განმარტებით, თუ ადგილი ექნებოდა სახის ძვლების დაზიანებას, ანუ ჭრილობა ჩააღწევდა სახის ძვლებამდე, გადასახადი იქნებოდა 16 ძროხა.[1650] ეს ნიშნავს, რომ ალ. ყამარაულის მიხედვით, სახის ძვლის დაზიანებისას (დამტვრევისას, გატეხვისას) ჭრილობის გაზომვა კი არ მოხდებოდა, არამედ წინასწარ დადგენილი გადასახადის – 16 ძროხის დაკისრება. ბ. გოგოჭურის მიხედვითაც, სახის არეში (ავტორი თმა-წვერით დაფარულ არეზე საუბრობს) მიყენებული ჭრილობა მარცვლებით იზომება, თუ ყბის ძვალი გაჭრილი არ არის.[1651] სამწუხაროდ, ბ. გოგოჭურის მონაცემებში არ არის მითითებული, თუ ყბის დაზიანების შემთხვევაში რა ოდენობის გადასახადი გადახდებოდა დამნაშავეს. ყამარაულის მონაცემის გარდა, სხვა რაიმე მონაცემი, სადაც განხილული იქნებოდა უშუალოდ სახის ძვლების დაზიანებისას პასუხისმგებლობის საკითხი, ჩვენ არ გაგვაჩნია, ამდენად, გაგვიჭირდება ცალსახად ვთქვათ თუ რამდენად რეალურია ალ. ყამარაულის ეს ცნობა. სავარაუდოდ, ასეთ დანაშაულებრივ შედეგს ხშირად არ ჰქონია ადგილი, ამიტომ, სხვადასხვა ავტორი თუ ხევსური ინფორმატორი არ ამახვილებს მასზე ყურადღებას. თუ ალ. ყამარაულის ცნობა რეალობას ეფუძნება, მაინც ძნელი სათქმელია, ეს მონაცემი ხევსურეთის ერთ რომელიმე კონკრეტულ რეგიონში დაფიქსირებული შემთხვევის ასახვაა, თუ ზოგადხევსურული ნორმა.

4.3. თვალის დაზიანება. ქართული ჩვეულებითი სამართალის მასალების მიხედვით თვალის სახიჩრობა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება, რაც

მგებლობის დაკისრებას ულვაშის და ტუჩის არეში მიყენებული ჭრილობის სიდიდეს და სიმძიმეს უკავშირებს, თუმცა ასეთი მხოლოდ ერთი მონაცემი მოგვეპოვება და მის საფუძველზე კატეგორიული მსჯელობა მიზანშეუწონელია..

1647 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 29.

1648 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 65.

1649 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109.

1650 იქვე.

1651 ბ. გოგოჭური, ხევსურულ რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 30.

საკმაოდ დიდი ოდენობის გადასახადს ითვალისწინებს.

ხევსურული რჯულით, თვალის დაზიანება რაც პიროვნების დაბრმავებას იწვევდა შეფასებული იყო 30 ძროხად, ანუ სისხლის ნახევრად. სხვადასხვა ავტორები და ხევსური ინფორმატორები იშვიათი ერთსულოვნებით ასახელებენ სწორედ ამ გადასახადს.[1652] თვალის გამოთხრისათვის 30 ძროხას ასახელებს ალ. ოჩიაურიც.[1653] ბ. გოგოჭურის მონაცემების მიხედვით კი დაზუსტებულია, რომ 30 ძროხის გადახდა დაწესებულია მაშინ, როდესაც დაზიანების შედეგად თვალი ბუდედან ამოვარდა (ანუ მოხდა თვალის „გამოთხრა", როგორც ალ. ოჩიაურის, ან მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორი უსვამს ხაზს), ხოლო როდესაც ცალ თვალში მხედველობა მთლიანად დაკარგულია, თუმცა თვალი ბუდიდან არ ამოვარდნილა, მაშინ 20, ან 25 ძროხის ღირებულების დრამის გადახდა მოხდებოდა.[1654] ორივე თვალის ამოთხრა ადამიანის სიკვდილთან იყო გათანაბრებული და 60 ძროხას უდრიდა.[1655] ანალოგიურ მონაცემებს ვხვდებით სვანურ ჩვეულებით სამართალშიც. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, თვალის გამოთხრა ნახევარ ნორს უდრიდა, სხეულის სხვა ნაწილების დასახიჩრების მსგავსად.[1656] იგივეს ადასტურებს მ. კეკელიას ყველა სვანი ინფორმატორი, რომელიც თვალის დასახიჩრების საკითხს ეხება. მათივე განმარტებით, ორივე თვალის დასახიჩრება ერთი ნორი, ანუ სრული სისხლი ღირდა.[1657]

ფშაურ ჩვეულებით სამართალში თვალის ამოგდება, დასახიჩრება ასევე ნახევარ სისხლად (30 ძროხად), „ნახევრად სიკვდილად" ფასდებოდა, ხოლო ორივე თვალის ამოთხრა სრულ სისხლად (60 ძროხად).[1658] ერთ-ერთი ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც მას ჯოხის დარტყმით

1652 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 63; №2, 60; №4, 30; №5, 29, 42. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 10, 71; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 172; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 113; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1932, 109; რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯალოგნიშვილმა, თბ., 1986, 93; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 32; თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21. არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში, ს–პ, 1879 (რუსულ ენაზე), 225; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе. Т. 2, М. 1890, 119; Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 17.

1653 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რეული №3, 40.

1654 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 32.

1655 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 52; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 71. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ხევსურეთში ორივე თვალის ამოთხრა არასდროს მომხდარა და ამიტომ არც მისი რჯულია დადგენილი, თუმცა იქვე მიუთითებს: „ის კაცი ხომ მკვდარია ორივე თვალს რომ ნამოსთხრიან" (დ. ჯალაბაძე, იქვე, 10). როგორც ვხედავთ, ეს ინფორმატორიც, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში ორივე თვალის ამოთხრისათვის დაწესებული გადასახადის არსებობას უარყოფს, იმის გამო, რომ ასეთი კაზუსი ხევსურეთში არ მომხდარა და ამიტომ შესაბამისი დადგენილებაც არ არსებობს, ორივე თვალის ამოთხრას მაინც ადამიანის სიკვდილთან აიგივებს. რადგანაც ხევსურეთში ორივე თვალის სახიჩრობა ნებისმიერ შემთხვევაში (ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი თუ არა) ადამიანის სიკვდილად აღიქმებოდა, მისთვის 60 ძროხის გადახდის შესახებ ცნობა ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

1656 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

1657 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1, 1967, 34, 77, 105; №2, 103; №3, 66; №4, 8; №6, 93.

1658 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 17, 98; დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 79.

თვალი გაუფუჭეს და მედიატორებმა დამნაშავეს სწორედ 30 ძროხის გადახდა მიუსაჯეს.[1659] აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მონაცემები დაფიქსირებულია „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომლების მიერ XX საუკუნის ბოლოს პანკისის ხეობაში მცხოვრები ფშაველებისაგან. როგორც აღმოჩნდა ამ პერიოდისათვის, უშუალოდ ფშავში მცხოვრებ ფშაველებს საერთოდ არ ახსოვდათ სხვადასხვა ორგანოს სახიჩრობისათვის დადგენილი გადასახადის ოდენობა. XIX საუკუნის დასასრულის ზოგიერთი ავტორის მონაცემებით კი გადასახადი ფშავში თვალის სახიჩრობისთვის ნაკლებია. მაგალითად, ალ. ხახანაშვილის მიხედვით, თვალის გაფუჭება ღირდა 16 ძროხა.[1660] მ. კოვალევსკის თანახმად კი, ყველა სახის დასახიჩრებისათვის გადასახადი 16 ძროხაა.[1661] სავარაუდოდ ეს თვალსაც ეხება. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ფშავის ჩვეულებითი სამართლის შესახებ მასალაში განსხვავებული მონაცემებია XIX საუკუნის დასასრულის ლიტერატურასა და XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაფიქსირებულ „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" ცნობებში სხვადასხვა ორგანოთა დასახიჩრებისათვის საზღაურის ოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, XIX საუკუნის დასასრულის მასალებით გადასახადები მცირეა, რაც თვალთან მიმართებაშიც კარგად გამოჩნდა. ამ განსხვავების ძირითადი მიზეზების შესახებ უფრო დეტალურად ჩვენ ხელ-ფეხის სახიჩრობის განხილვისას ვისაუბრებთ, აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ აღნიშნული განსხვავებები სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შორის ახსნილია როგორც „ალაგისა და გვარის წესის" არსებობის გამოხატულება.[1662] ასევე შესაძლოა გადასახადების ოდენობა დროთა განმავლობაშიც შეცვლილიყო.

ხევსური ინფორმატორები თვალის სახიჩრობას, ადამიანის დაბრმავებას თვალის „კილოს"[1663] გაწყვეტას უკავშირებენ.[1664] თუ თვალის დაზიანება არ გამოიწვევდა თვალის სახიჩრობას, დაბრმავებას, მაშინ გადასახადი ბუნებრივია ნაკლები იქნებოდა, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში რჯულის კაცები დაადგენდნენ. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მიხედვით, 30 ძროხა ღირს თვალის გამოთხრა, ხოლო ცოტათი დაზიანება – ხუთი ძროხა. კერძოდ, ხუთი ძროხაა, თუ მარტო თვალის კანი დაზიანდებოდა.[1665] ერთერთი ხევსური ინფორმატორის ცნობით კი „თვალის კილო" და თვალი თუ არ დაზიანდა, გადასახადი 9 ცხვარია.[1666] როგორც ვხედავთ, თვალის დაზიანება მისი სახიჩრობის გარეშე არსებითად ნაკლებ გადასახადს მოითხოვდა (ინფორმატორთა მიერ აღნიშნულ ფარგლებში), ვიდრე მისი დასახიჩრების შემთხვევაში. ბ. გოგოჭურის მონაცემითაც დასტურდება თვალის დაზიანების ხარისხის მიხედვით დიფერენცირებული გადასახადების არსებობა ხევსურული რჯულით.

1659 მ. კეკელია, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 25.

1660 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია", 1888, №185.

1661 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 218.

1662 ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 132-133; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 111.

1663 თვალის კილო – თვალის შიდა, გვერდითი კუთხე, საიდანაც ცრემლი დის (ალ. ჭინჭარაული, ხევსური ლექსიკონი, თბ., 2005, 412).

1664 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 63; №2, 85.

1665 ალ. ოჩიაური, იქვე, 40.

1666 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85.

გარკვეული მონაცემებით, ხევსურეთში მარჯვენა თვალის დაზიანება მეტად ფასობდა, ვიდრე მარცხენა თვალის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნ. ხიზანაშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც, მარცხენა თვალის ამოთხრა 30 ძროხაა, მარჯვენისა კი ხუთი ძროხით მეტია, რადგანაც მარჯვენა „მეთოფე თვალია" და თოფი ხომ ხევსურის რკინის ძმაა.[1667] მარჯვენა თვალის ამოთხრისათვის მეტი გადასახადის მოტივაცია ნ. ხიზანაშვილის მიხედვით ნათელია – მარჯვენა თვალით ხდება თოფის დამიზნება და ამდენად მისი ფუნქციონალური მნიშვნელობა მეტია, ვიდრე მარცხენა თვალისა. ანალოგიური მონაცემი მეორდება ბ. გოგოჭურთან.[1668] სხვა ასეთი ცნობა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ მოგვეპოვება,[1669] არც ერთ ავტორთან (მათ შორის ბ. გაბუურთან, ალ. ოჩიაურთან, რ. ხარაძესთან, – ხევსურული რჯულის შესახებ ყველაზე უფრო სრული და ღირებული ინფორმაციის მომწოდებლებთან) არ გვხვდება და არც მ. კეკელიას და „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალებში ფიქსირდება. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი შესაბამის კითხვაზე პასუხისას პირდაპირ მიუთითებს, რომ თვალის ამოთხრა 30 ძროხაა, სულ ერთია მარჯვენა იქნება თუ მარცხენა.[1670] სრულიად შესაძლებელია, რომ შედარებით ძველ პერიოდში (XX საუკუნემდე), ხევსურეთში თუ მის კონკრეტულ ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულში, მარჯვენა თვალის ამოგდება ხუთი ძროხით მეტად ფასობდა, ვიდრე მარცხენა თვალის, სწორედ იმ მიზეზით, რასაც ნ. ხიზანაშვილი უთითებს. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ XX საუკუნის უმეტეს მასალაში ასეთი მონაცემის არარსებობა და ზოგიერთ შემთხვევაში მისი პირდაპირი უარყოფა მიუთითებს, რომ თვალის დაზიანებისას ხევსურული რჯული XX საუკუნეში ძირითადად მაინც არ განასხვავებდა მარჯვენა და მარცხენა თვალის გამოთხრისათვის პასუხისმგებლობას.[1671]

1667 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 52. ზუსტად იგივეს იმეორებს ს. მაკალათია, სავარაუდოდ, ნ. ხიზანაშვილზე დაყრდნობით, თუმცა ავტორის მიუთითებლად (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95).

1668 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 33.

1669 ს. მაკალათიას ცნობა ნ. ხიზანაშვილისას იმეორებს და ამდენად მას მეორე ცნობად არ განვიხილავთ.

1670 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეგული, 1977, №2, 85.

1671 გამონაკლისი ბ. გოგოჭურის მონაცემია. ჩვენ ბ. გოგოჭურის მონაცემებს დიდი სანდოობით ვეკიდებით, თუმცა სამწუხაროდ, მკვლევარი საერთოდ არ უთითებს თავისი მონაცემის შესაბამის წყაროს, რაც მისი ცნობების სრულფასოვან გამოყენებას ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში ართულებს. ბ. გოგოჭურის მონაცემებით, როგორც ზემოთ გამოჩნდა, თუ მოხდება თვალის დაზიანებით მხედველობის დაკარგვა, ისე რომ თვალი ბუდიდან არ ამოვარდება, გადასახადი 20 ან 25 ძროხაა, თუმცა მონაცემის მიხედვით, ეს განსხვავება არაა დაკავშირებული იმასთან, თუ რომელი თვალია – მარცხენა თუ მარჯვენა (თუ მარჯვენა თვალის გამოთხრისას გადასახადი აღემატება მარცხენა თვალის გამოთხრისთვის გადასახადს იმის გამო, რომ მარჯვენა თვალი „სათოფე თვალია", დაბრმავებისას თვალის ბუდიდან ამოგდების გარეშეც ხომ იგივე უნდა იყოს. თუ დაზიანების შედეგად ადამიანი დაბრმავდა, რა მნიშვნელობა აქვს მას თვალი ბუდიდან ამოუვარდა თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში მარჯვენა თვალს „სათოფედ" ვეღარ გამოიყენებს.). შემდეგ ბ. გოგოჭურის მონაცემში საუბარია თვალის ბუდიდან ამოგდებაზე, რისთვისაც 30 ძროხაა დადგენილი. აქაც მკვლევარი არ საუბრობს, რომ იგულისხმება მარცხენა თვალი, იმის გათვალისწინებით, რომ ამის შემდეგ მიუთითებს მარჯვენა თვალის გამოთხრისას 5 ძროხით მეტის გადასახადზე. თუ მარჯვენა თვალისთვის გადასახადი მეტია, ვიდრე მარცხენისთვის ამ ორივე შემთხვევაში ამაზე მითითება უნდა ყოფილიყო, თუმცა ამას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, ბ. გოგოჭურის მონაცემში ზიანის მიყენებით თვალის დაბრმავებასთან დაკავშირებით, თავდაპირველად არავითარი მითითება არ არის, რომ მარჯვენა თვალის დაბრმავებისთვის მეტი გადასახადია, ვიდრე მარცხენა თვალის. მხოლოდ ამ მონაცემის შემდეგ არის საუბარი იმაზე, რომ მარჯვენა თვალის სრულიად ამოთხრისას დამნაშავეს მოუწევს 35 და არა 30 ძროხის გადახდა. თანაც ამ შემთხვევაში ბ. გოგოჭურის მონაცემი ფაქტიურად ნ. ხიზანაშვილის ცნობის იდენტურია., იმეორებს მას. დიდი ალბათობით, ეს ბოლო მონაცემი თვალის გამოთხრასთან დაკავშირებით ბ. გოგოჭურმა სწორედ ნ. ხიზანაშვილისგან აიღო. შესაბამისად, ჩვენი აზრით, ბ. გოგოჭურის მონაცემი, რომ მარჯვენა თვალის

ანალოგიურ ინფორმაციას ნ. ხიზანაშვილი გვაწვდის ხელთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ხევსურეთში მარჯვენა ხელის დასახიჩრებისათვის ორი-სამი ძროხით მეტი იყო გადასახადი, ვიდრე მარცხენა ხელის ანალოგიური დაზიანებისათვის.[1672] ავტორი ვისთანაც ასეთი მონაცემი დასტურდება არის რ. ერისთავი. მისი თქმით, ხევსურეთში მარჯვენა ხელის დაშავებისთვის გადასახადი იყო 25 ძროხა, ხოლო მარცხენისათვის 22.[1673] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ავტორი არ ადასტურებს ანალოგიურ მიდგომას თვალთან მიმართებაში. მასთანაც თვალის დაზიანება, მიუხედავად იმისა მარჯვენაა თუ მარცხენა, 30 ძროხას ითვალისწინებს.[1674] სხვა ავტორებთან და „ქართული ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ გამოკითხულ ხევსურ ინფორმატორებთან მარჯვენა ხელის დასახიჩრებისათვის მარცხენასთან შედარებით მეტი გადასახადი არ დასტურდება. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, მიუთითებს, რომ ხევსურეთში უმთავრესად მარჯვენა და მარცხენა ხელის სახიჩრობა თანაბრად იყო შეფასებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ბ. გაბუურთან, ალ. ოჩიაურთან რაიმე მინიშნება მაინც იქნებოდა, რომ მარჯვენა ხელის სახიჩრობისთვის მეტი გადასახადი იყო დაწესებული. ამას ადასტურებს რ. ხარაძეც, რომელიც კატეგორიულად მიუთითებს რომ, ხევსურული რჯულის მიხედვით, მარჯვენა და მარცხენა ხელის ღირებულება არ განსხვავდება.[1675] რჩება შთაბეჭდილება რომ ამ საკითხს რ. ხარაძე ასე ხაზგასმით იმიტომ გამოყოფს, რომ თითქოს ეხმაურება იმ ავტორებს, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. გ. დოლიძის „ხევსურულ ტექსტებშიც“ მარჯვენა და მარცხენა ხელის დასახიჩრება ერთგვაროვნად ფასდება და ეს გარემოებაც აქ ხევსური ინფორმატორის მიერ ხაზგასმულია.[1676]

სხეულის მარჯვენა ორგანოს დაზიანებისას მეტი გადასახადის შესახებ

გამოთხრისათვის საზღაური 35 ძროხაა, ხოლო მარცხენისთვის 30 ძროხა, არ ეფუძნება ნ. ხიზანაშვილის მონაცემის გარდა რომელიმე სხვას. ჩვენი ეს ვარაუდი დადასტურდა მას შემდეგ რაც საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ბ. გოგოჭურის ხელნაწერებს. საინტერესოა, რომ მისი ნაშრომის ხელნაწერში, თვალის დაზიანებასთან დაკავშირებულ მონაკვეთში საერთოდ არაფერი წერია მარჯვენა თვალის გამოთხრისათვის უფრო მეტი გადასახადის შესახებ მარცხენასთან შედარებით (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, რვეული: „ჭრა-ჭრილობა“, 8, 22). მარჯვენა და მარცხენა თვალის გამოთხრისათვის განსხვავებული საზღაურის შესახებ მონაცემს, ბ. გოგოჭურის ხელნაწერებში ეხვდებით მხოლოდ ს. მაკალათიას ნაშრომებიდან გაკეთებულ ამონაწერებში. სწორედ აქ არის მითითებული, რომ მარჯვენა თვალის ამოთხრისათვის გადასახადი 35 ძროხაა (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები“, 55). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბ. გოგოჭურის ნიგნში მითითება, რომ მარჯვენა თვალის ამოთხრისათვის გადასახადი 35 ძროხაა და არა 30, ავტორს აღებული აქვს ს. მაკალათიას ნაშრომიდან – „ხევსურეთი“ (იხ. ს. მაკალათია, „ხევრურეთი“, თბ., 1984, 95), ხოლო ს. მაკალათიას, როგორც აღინიშნა, თავის მხრივ, ეს მონაცემი ნ. ხიზანაშვილისგან აქვს ნასესხები და ფაქტიურად იმეორებს მას. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ბ. გოგოჭურის მონაცემი მარჯვენა თვალის ამოთხრისათვის 35 ძროხის გადახდის შესახებ ნ. ხიზანაშვილის ცნობიდან მომდინარეობს. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნ. ხიზანაშვილის აღნიშნული მონაცემი, თუ ის რეალურია, შესაძლოა მხოლოდ შედარებით ძველი პერიოდისთვის დამახასიათებელი წესი ყოფილიყო, ხოლო უფრო გვიანდელ პერიოდში (მაგალითად XX საუკუნეში) კი მარჯვენა და მარცხენა თვალის ამოთხრისათვის პასუხისმგებლობა განსხვავებული არ არის, ძალაში რჩება.

1672 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

1673 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93; ზუსტად ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ალ. ყამარაულიც (იხ. ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109). ჩვენი ვარაუდით, ალ. ყამარაული ამ მონაცემის მოტანისას რ. ერისთავს ეყრდნობა. ამას მიუთითებს, ისიც, რომ ალ. ყამარაულის მიერ მოტანილი ზოგიერთი სხვა მონაცემი ზუსტად იმეორებს რ. ერისთავის მონაცემს.

1674 რ. ერისთავი, იქვე. ზუსტად იგივე მონაცემი გვხვდება ალ. ყამარაულთან.

1675 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 176.

1676 გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 64.

მარცხენასთან შედარებით მიუთითებს ივ. ცისკარიშვილი თუშეთთან დაკავშირებით.[1677] სამწუხაროდ, ეს მონაცემი მეტ კონკრეტიკას არ შეიცავს და არ აზუსტებს თუ რამდენია გადასახადი მარჯვენა თუ მარცხენა ორგანოს დაზიანებისათვის და საერთოდ რომელ ორგანოებს ეხება იგი. სავარაუდოდ, აქ თვალი და ხელი უცილობლად უნდა იგულისხმებოდეს, რადგანაც სწორედ ამ ორგანოების ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარეა შესაძლებელი მარჯვენა ხელს ან თვალს მიენიჭოს უპირატესობა მარცხენასთან შედარებით. ივ. ცისკარიშვილის ცნობის დადასტურებას ვხვდებით არნ. ზისერმანთანაც. ავტორი თუშეთთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ მარჯვენა კიდურისათვის უფრო მეტი გადასახადი იყო, ვიდრე მარცხენისთვის.[1678] არც ეს ავტორი მიუთითებს, თუ კონკრეტულად რამდენად იყო შეფასებული თითოეული კიდური. არ გამოვრიცხავთ ამის მიზეზი ყოფილიყო არნ. ზისერმანის მიერ აღნიშნული ცნობის ივ. ცისკარიშვილისგან აღება. სრულიად შესაძლებელია XIX საუკუნის შუა ხანებში თუშეთში სხეულის მარჯვენა ორგანოების სახიჩრობა მართლაც მეტად ფასობდა, ვიდრე მარცხენა ორგანოების, თუმცა შემდგომდროინდელი მასალებით ეს აღარ დასტურდება.

როგორც ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გარკვეული მონაცემების მიხედვით ფიქსირდება ცნობები, რომელთა მიხედვითაც მარჯვენა თვალის თუ ხელის სახიჩრობა მეტად ფასობს, ვიდრე მარცხენასი. თუმცა საქმე გვაქვს ცალკეულ მონაცემებთან – ხევსურეთთან დაკავშირებით ესაა ნ. ხიზანაშვილის და რ. ერისთავის ცნობა (ამ უკანასკნელის მხოლოდ ხელთან მიმართებაში და არა თვალთან), თუშეთთან დაკავშირებით ივ. ცისკარიშვილის და არნ. ზისერმანის. თან ეს უკანასკნელი ორი ძალზედ ზოგადია და კონკრეტიკას მოკლებული. მიუხედავად ამისა აღნიშნული ინფორმაციის იგნორირება არ შეიძლება, რადგანაც ნ. ხიზანაშვილის და ივ. ცისკარიშვილის ცნობები შესაბამისად ხევსურეთისა და თუშეთის ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა, თან გასათვალისწინებელია ისიც რომ მსგავსი შინაარსის ცნობა აღმოსავლეთ საქართველოს ორ სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება, რაც გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია და შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამდენად, არაა გამორიცხული, ხევსურეთსა და თუშეთში (ან ხევსურეთის თუ თუშეთის მხოლოდ კონკრეტული, ლოკალური რეგიონის რეალობაში), გარკვეულ ეტაპზე მართლაც ჰქონოდა ადგილი მარჯვენა თვალისა თუ ხელის სახიჩრობისას მარცხენასთან შედარებით მეტი გადასახადის არსებობას. რაც აისახა კიდეც ნ. ხიზანაშვილთან, ივ. ცისკარაშვილთან და სხვა ავტორებთან.

აღსანიშნავია რომ, მ. კეკელიას ერთ-ერთი ფშაველი ინფორმატორიც აცხადებს: „ჩემის აზრით, მძიმედ ითვლებოდა მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა, ძვირად ფასობდა მარჯვენა თვალი, რადგან თოფის დასამიზნებელად გამოიყენებოდა. კონკრეტულად რომელი ორგანო როგორ ფასობდა არ მახსოვს.[1679] ასეთი ცნობა ფშავთან დაკავშირებით სხვა არცერთ ავტორთან და ფშავ ინფორმატორთან არ ფიქსირდება. ო. ზოიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფშავში ყურადღება არ ექცეოდა მარჯვენა თვალი თუ ხელი იყო დაზიანებული თუ

1677 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

1678 არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში, ს-პ., (რუსულ ენაზე), 1879, 250.

1679 მ. კეკელია, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 4.

მარცხენა. მისი განმარტებით, ასეთ რამეს რომ ჰქონოდა ადგილი სამეცნიერო ლიტერატურაში უცილობლად იქნებოდა მითითებული ამის შესახებ. ხოლო ერთი ინფორმატორის ცნობა რომ თითქოს ფშავში გათვალისწინებული იყო აღნიშნული გარემოება, ღირებული არ არის და მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. ჯერ ერთი იმიტომ რომ, ინფორმატორი თვითონაა დაეჭვებული მის ცნობაში და ამბობს, „ჩემი აზრით" ასე იყოო. მას არც ის ახსოვს „კონკრეტულად რომელი ორგანო როგორ ფასობდა;" მეორეც, არც ერთი ავტორი (მ. კოვალევსკი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ხახანაშვილი, რ. ერისთავი) არ გამოყოფს ფშავში ცალკე მარცხენა და მარჯვენა თვალის თუ ხელის სახიჩრობის საზღაურს.[1680] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მ. კეკელიას ინფორმატორის ცნობა ფშავში მარჯვენა და მარცხენა თვალის თუ ხელის განსხვავებული შეფასების შესახებ ნამდვილად საეჭვოა და სხვა მონაცემებით არ დასტურდება.

სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ მ. კეკელიამ ფშავ ინფორმატორს თვითონ დაუსვა კითხვა მარჯვენა და მარცხენა თვალის (ხელის) დაზიანებისათვის განსხვავებული გადასახადის სავარაუდო მინიშნებით (თუნდაც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც მარჯვენა და მარცხენა ხელის დასახიჩრებისათვის განსხვავებული გადასახადია).[1681] ცხადია, მ. კეკელიამ ძალიან კარგად იცოდა გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების და თუნდაც ნ. ხიზანაშვილის ხევსურეთთან დაკავშირებული შესაბამისი მონაცემები. აქედან გამომდინარე იგი სრულიად ბუნებრივად დაუსვამდა კითხვას ფშავ ინფორმატორს მარჯვენა თვალის თუ ხელის მარცხენასთან შედარებით მეტად დაფასების შესაძლებლობის შესახებ.[1682] აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ინფორმატორი უშუალოდ ფშავის მკვიდრია, ხოლო ფშავში რაიმე კონკრეტული მონაცემი სხეულის რომელიმე ორგანოს დასახიჩრებისათვის გადასახადის თაობაზე „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ არ დაფიქსირებულა. ინფორმატორებს XX საუკუნის ბოლოსთვის ეს აღარ ახსოვდათ. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მ. კეკელიას დაჭირდა შესაძლო პასუხის შემცველი კითხვების დასმა უშუალოდ ფშავში მცხოვრები ინფორმატორებისათვის, თუნდაც რაიმე სახის ინფორმაციის მიღების მიზნით. აღნიშნული ინფორმატორის პასუხიც სწორედ ასეთმა შეკითხვამ განაპირობა. ინფორმატორი რომელსაც საერთოდ არ ახსოვს როგორ იყო შეფასებული ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრება ფშაური ჩვეულებითი სამართლით, ცხადია, თავისი ინიციატივით არ დაიწყებდა საუბარს, თანაც ორჭოფულს იმაზე, რომ მარჯვენა თვალი თუ ხელი, მისი აზრით, მეტად ფასდება, ვიდრე მარცხენა. რომ არა მ. კეკელიას შესაბამისი, სავარაუდო პასუხის შემცველი კითხვა, მას ამ მიმართულებით მსჯელობა, დიდი ალბათობით, არც მოაფიქრდებოდა.

გამომდინარე იქედან რომ, ხევსურეთისა და თუშეთის სინამდვილეში ჩანს მარჯვენა თვალის თუ ხელის დასახიჩრებისათვის მარცხენასთან შედარებით მეტი გადასახადის დაკისრება, თეორიულად არსებობს ალბათობა, რომ ამას

1680 ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის –„ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 134.

1681 იხ. მუხ. 33, 34 (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963, 416)

1682 მაგალითად, ხომ არ გაგიგიათ, რომ მარჯვენა თვალის ან ხელის დაზიანებისათვის მეტი გადასახადი იყო დაწესებული, ვიდრე მარცხენისათვის?

ფშავშიც ჰქონოდა ადგილი, თუნდაც ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულში, თუმცა მ. კეკელიას ინფორმატორის მონაცემი ამის დასადასტურებლად არ გამოდგება, ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო. ამჯერად, რაიმე რეალური კონკრეტული მონაცემი ფშავში აღნიშნული წესის გამოყენების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

4.4. ყურის დაზიანება. ყურის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის ზომის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი, თუმცა გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი მასალა მოგვეპოვება ხევსურულ ჩვეულებით სამრთალში.

მაგალითად, წინააღმდეგობრივია ალ. ოჩიაურისა და რ. ხარაძის მონაცემი. ალ. ოჩიაურის მიხედვით: „ყური თუ ცოტათი გაიჭრა, ღირს ცხრა ცხვარი; თუ ორად გაიჭრა ხუთი ძროხა და თუ სულ მოეჭრა თექვსმეტი ძროხა."[1683] რ. ხარაძის ცნობით კი „ყურზე მიყენებული ნაჭრევის გამოანგარიშებისას შემდეგ მომენტებს ვარაუდობენ: ა) თუ ყური მთლიანად არის ჩამოთლილი, დამნაშავემ 5 ძროხა უნდა გადაიხადოს. ბ) თუ ცომაა (ყურის ბიბილო) მოგლეჯილი, დამნაშავე იხდის 5 ცხვარს."[1684] ყურის დაზიანებისათვის დიფერენცირებულ მიდგომას ვხვდებით ბ. გოგოჭურის მასალაში. ყურის ნიჟარის მოცილება, ყურის ჩამოთლა ამ მონაცემით შეფასებულია 5-დან 12 ძროხამდე ხელით ძროხად. ყურის ნიჟარაზე მიყენებული ჭრილობა, რომლითაც ყურის ბიბილო შუაზე იქნა გაჭრილი, ითვალისწინებს 5 ძროხის ღირებულების ხელითი დრამის გადახდას, ხოლო ჭრილობა რომლითაც ყურის ბიბილო იქნა გაჭრილი, ითვალისწინებს 3 ცხვრის ღირებულების ხელითი დრამის გადახდას, ბიბილოს მოჭრა კი – 5 ცხვრის ღირებულების ხელით დრამას.[1685] XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I ნახევრის ზოგიერთ ავტორთა (ნ. ხიზანაშვილი, ს. მაკალათია, გ. თედორაძე) მონაცემებით ყურის დაჭრისათვის გადასახადი ძირითადად 5 ძროხაა.[1686] ნ. ხიზანაშვილის მითითებით, „ბედენა არაა" მარჯვენა იქნება თუ მარცხენა.[1687] როგორც ვხედავთ, ალ. ოჩიაური და რ. ხარაძე ყურის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობას დიფერენცირებული სახით წარმოაჩენენ, დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით. კერძოდ, ალ. ოჩიაური განასხვავებს: 1. ყურის მსუბუქ, უმნიშვნელო ჭრილობას, 2. ყურის შედარებით მძიმე ჭრილობას, როდესაც იგი ორად გაიჭრება, თუმცა მის მოკვეთას არა აქვს ადგილი და 3. ყურის მთლიან მოკვეთას. რ. ხარაძე კი მიჯნავს ყურის ბიბილოს მოჭრას და თვით ყურის მთლიან მოჭრას. ბ. გოგოჭურის მონაცემებით კი ყურის დაზიანების შემდეგი კატეგორიებია წარმოჩენილი: 1. ყურის მთლიანი მოკვეთა, 2. ყურის დაზიანება, შუაზე გაჭრა, 3. ყურის ბიბილოს დაზიანება. ეს უკანასკნელი გულისხმობს: ა. ყურის ბიბილოს მთლიან მოჭრას და ბ. ყურის ბიბილოს გაჭრას (არა მოკვეთას). თითოეულ ამ კლასიფიკაციაში ყურის მოკვეთის განსხვავებული კატეგირიებიცაა დასახელებული და ერთგვაროვანიც.

სხვა ნახსენები ავტორები, ყურის დაზიანებისათვის ერთგვაროვან პასუხის-

1683 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რეული №3, 40.

1684 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172.

1685 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 34-35.

1686 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, გე. 52; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გე. 95; გ. თედორაძე, ხუთი ნელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 111.

1687 ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

მგებლობას გვთავაზობენ – 5 ძროხას, ისე რომ არ მიუთითებენ ყურის რა ხარისხის დაზიანებისთვისაა გათვალისწინებული აღნიშნული გადასახადი. სავარაუდოდ, ისინი ყურის მოჭრასაც და დაჭრასაც ერთგვაროვნად არ შეაფასებდნენ. ხევსურული რჯული სხვა ორგანოების დაზიანებისას დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს და ყური ამ მხრივ გამონაკლისი არ უნდა იყოს. ყურის რა სიმძიმის დაზიანებისთვის ასახელებენ ისინი 5 ძროხას, ცალსახად ძნელი სათქმელია. ნ. ხიზანაშვილის მითითებით აღნიშნული საზღაური დამნაშავეს უნდა გადაეხადა ყურის „დაჭრისათვის." ს. მაკალათია სხეულის ორგანოების დაზიანებისათვის პასუხისმგებლობაზე საუბრისას, ძირითადად, ნ. ხიზანაშვილის მონაცემებს ეყრდნობა და სავარაუდოდ, ყურის დაზიანებისათვის საზღაურიც მისგან აიღო. სიტყვა „დაჭრაში" ნ. ხიზანაშვილი სავარაუდოდ, ყურის ჭრილობის მიყენებას და არა ყურის მთლიან მოკვეთას უნდა გულისხმობდეს (შესაბამისად, ს. მაკალათიაც). იგივე უნდა იგულისხმებოდეს გ. თედორაძესთანაც, თუმცა ამის ცალსახა მტკიცება ძნელია. არის სხვა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც 5 ძროხად სწორედ ყურის დაჭრა იყო შეფასებული და არა მისი მოკვეთა. მაგალითად, როგორც ზემით დავინახეთ, ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ალ. ოჩიაური, რომლის მიხედვითაც, ყურის ჭრილობისათვის, თუ ის უმნიშვნელო არაა, მისი გაჭრისათვის მოკვეთის გარეშე 5 ძროხაა დაწესებული. აღნიშნულ მოსაზრებას განამტკიცებს XX საუკუნის დასასრულის არაერთი ხევსური ინფორმატორიც. მათ მიხედვითაც, ყურის ჭრილობა მარცვლებით არ იზომება და 5 ძროხადაა შეფასებული.[1688] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით კი, თუ ყურის დაჭრისას მიწაზე ერთი წვეთი სისხლი დაეცა 5 ძროხა ღირს.[1689] კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით კი ყურის ნაწილობრივი მოჭრაც 5 ძროხაა.[1690] ამათ გარდა არსებობს სხვა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, 5 ძროხა გათვალისწინებული იყო არა ყურზე ჭრილობის მიყენებისათვის, არამედ ყურის მთლიანად მოკვეთისათვის. მხედველობაში გვაქვს რ. ხარაძის ცნობა. ეს ავტორი ყურის სრული მოკვეთისათვის სახდელად უალტერნატივოდ 5 ძროხას ასახელებს. საინტერესოა, რომ მ. კეკელიას კითხვაზე თუ რამდენად შეესაბამება რეალობას რ. ხარაძის მონაცემები ჭრა-ჭრილობისათვის სხვადასხვა საზღაურების შესახებ, ხევსურული რჯულის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ხევსური (ციცქა ჯაბუშანური) მიუთითებს, რომ ყურის მთლიანად ჩამოთლაზე 5 ძროხა ცოტაა. მან გაიხსენა რომ მას ერთ-ერთმა პიროვნებამ ყური გაუჭრა (არ მოუკვეთია) და ამისათვის რჯულის კაცებმა დამნაშავეს სწორედ 5 ძროხა დააკისრეს.[1691] მეორე ავტორი, რომლის მონაცემებშიც ფიქსირდება, რომ ყურის მოკვეთისათვის გადასახადი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 5 ძროხა, ბ. გოგოჭურია, თუმცა მისი ცნობით ეს მინიმალური გადასახადია ამ დანაშაულისათვის და ყურის მოკვეთისათვის საზღაური შესაძლოა იყოს 5-დან 12 ძროხა-

1688 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 63; №2, 60; №4, 29; №5, 29, 41; №6, 23, 40-41.

1689 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 23.

1690 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85.

1691 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 64.

მდე. XX საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორიც ამბობს, რომ ყურის მოკვეთისათვის მხოლოდ 5 ძროხა იყო გათვალისწინებული.[1692] ასე რომ, სხვა მონაცემებთან შეჯერებით იმის გადაჭრით დადგენა ნ. ხიზანაშვილის, ს. მაკალათიას, გ. თედორაძის ცნობა ყურის დაზიანებისათვის 5 ძროხის გადასახადის შესახებ შესაძლოა ეხებოდეს ყურის დაჭრას თუ მის მოკვეთას, ფაქტიურად შეუძლებელია. არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც ყურის მოკვეთა 5 ძროხად ფასდება და არის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, 5 ძროხა სახდელია ყურის გაჭრისათვის და არა მოკვეთისათვის. უკანასკნელი მონაცემი შესაბამისი კონკრეტული მაგალითითაც დასტურდება და ლოგიკას მოკლებული არაა მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორის მოსაზრება, რომ არ შეიძლება ყურის გაჭრისათვის და მისი სრული მოკვეთისათვის გადასახადი ერთგვაროვანი იყოს.

სხვა მონაცემებით ყურის სრული მოკვეთისათვის მაქსიმალურ საზღაურად გვხვდება 16 ძროხა – მაგალითად, ალ. ოჩიაურთან, ასევე მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ დაფიქსირებულ ცნობებშიც გვხვდება მონაცემი ყურის მთლიანად მოკვეთის სწორედ 16 ძროხის დრამად შეფასების შესახებ.[1693]

მოტანილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ 5 ძროხა არ არის მინიმალური გადასახადი ყურის დაზიანებისათვის. როგორც დავინახეთ, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ყურის მსუბუქი, მცირედი დაზიანებისათვის მხოლოდ 9 ცხვარია გათვალისწინებული. დ. ცისკარაულის მიხედვითაც ყურის დაზიანება 9 ცხვრად არის შეფასებული.[1694] ავტორი არ აკონკრეტებს თუ ყურის რა ხარისხის დაზიანებისათვის არის გათვალისწინებული საზღაურის აღნიშნული ოდენობა. სხვა მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, 9 ცხვარის გადახდა მხოლოდ ყურის მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში იქნებოდა დაწესებული.

ზოგიერთი მონაცემით, ცალკეა განხილული ყურის „ცომას“ ანუ ბიბილოს დაზიანება. ეს გამოკვეთილია ჩვენს მიერ მოტანილ რ. ხარაძის ცნობაში, რომლის მიხედვითაც, ყურის ბიბილოს მოგლეჯვა 5 ცხვარია. მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორის ცნობით კი, ყურის ცომას (ბიბილოს) გაჭრა (სისხლის გამოდენა) 3 ცხვარია, ისე როგორც ბიბილოს სრულად მოჭრა.[1695] მისივე თქმით, ყურის სხვა ნაწილის მოჭრა (არა მთლიანად ყურის) ფასდება 5 ძროხად,[1696] ანუ ყურის ბიბილოს მოჭრაზე არსებითად მეტად. ბ. გოგოჭურის ზემოთმოყვანილი ცნობის თანახმად კი ყურის ბიბილოს გაჭრა 3 ცხვარია, ხოლო ბიბილოს მოჭრა – 5 ცხვარი.

ამ ცნობების მიხედვით, ყურის ბიბილოს დაზიანება, თუნდაც მისი სრულად მოკვეთა პასუხისმგებლობის ზომიდან გამომდინარე ყურის მსუბუქ ჭრილობა-

1692 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37.

1693 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 23; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

1694 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 32.

1695 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 85.

1696 იქვე.

თა კატეგორიას მიეკუთვნება. როგორც გამოჩნდა, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ყურის მსუბუქი დაზიანება 9 ცხვარად იყო შეფასებული, თუმცა იგულისხმება თუ არა ამაში ყურის ბიბილოს დაზიანებაც, არ ჩანს. ალ. ოჩიაური ყურის ბიბილოს დაზიანებას რ. ხარაძისაგან განსხვავებით ცალკე არ გამოყოფს.

ამდენად, რ. ხარაძის, ბ. გოგოჭურის, ასევე, კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორის (მხედველობაშია: ბაბო არაბული, ბაცალიგოდან, ხევსურული რჯულის კარგი მცოდნე, ხშირად რჯულის კაცად ნამყოფი) მონაცემები ადასტურებს, რომ ყურის ბიბილოს დაზიანება შედარებით მსუბუქად ისჯებოდა ყურის სხვა ნაწილთან შედარებით, დაახლოებით 3-5 ცხვრის ფარგლებში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურის დაზიანებისათვის მისი ხარისხის გათვალისწინებით ხევსურული რჯულის მიხედვით შემდეგი პასუხისმგებლობა იკვეთება:

1. ყურის მსუბუქი, უმნიშვნელო ჭრილობა – 9 ცხვარი. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ყურის ცომას (ბიბილოს) დაზიანება, რაც რ. ხარაძის და მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით 3 ან 5 ცხვრის ღირებულებისაა. ბ. გოგოჭურის მონაცემი აზუსტებს საზღაურს ყურის ბიბილოს დაზიანებისათვის: მისი გაჭრისათვის – 3 ცხვარი, ბიბილოს მოჭრისათვის – 5 ცხვარი.

2. ყურის არეში ჭრილობის მიყენება მისი მოკვეთის გარეშე – 5 ძროხა. აქ იგულისხმება ყურის შედარებით მნიშვნელოვანი, არაუმნიშვნელო დაზიანება, მათ შორის ყურის ორ ნაწილად გაჭრა და სხვა.

3. ყურის მოკვეთა – მინიმალურ სახდელად ჩანს 5 ძროხა, მაქსიმალურად კი 16. სწორედ ამ ფარგლებში უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლობა ყურის მოკვეთისათვის ხევსურული რჯულით. 16 ძროხა ფიქსირდება ყურის სრული მოკვეთისათვის. 5 ძროხა კი ზოგიერთი მონაცემით გავთალისწინებულია ყურის არა სრული, არამედ ნაწილობრივი მოკვეთისათვის. ბ. გოგოჭურის მონაცემი, რომ ყურის მოკვეთისათვის 5-დან 12 ძროხამდეა გადასახადი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მონაცემებს, რომლებსაც აღნიშნული მკვლევარი ეყრდნობა, მოიცავდა სხვადასხვა ცნობებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ყურის მოკვეთისათვის სხვადასხვა გადასახადს, მინიმუმ 5 ძროხას და მაქსიმუმ 12-ს. ასეთი სხვაობა, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბ. გოგოჭურის მონაცემებში, ხევსურეთის სხვადასხვა ლოკალურ რეგიონში ყურის მოკვეთისათვის განსხვავებული ქონებრივი საზღაური ფიქსირდება (რ. ხარაძის მონაცემიც კონკრეტული ლოკალური რეგიონისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი), ან ყურის მოკვეთაც სხვადასხვა ხარისხის შეიძლება ყოფილიყო – სრული, ნაწილობრივი და გადასახადიც ამის მიხედვით ყოფილიყო განსხვავებული, კერძოდ, სრული მოკვეთისათვის 16 ძროხა, როგორც ეს ალ. ოჩიაურთან ფიქსირდება (თან იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ 16 ძროხა სწორედ სრული მოკვეთისთვისაა), ან 12, როგორც ეს ბ. გოგოჭურთან გვხვდება. ყურის ნაწილობრივი მოკვეთისთვის კი შესაძლოა 5 ძროხაც ყოფილიყო გადასახადი, ან ცოტა მეტი, კონკრეტული დაზიანების გათვალისწინებით. ჩვენი მოსაზრებით, ყურის მოკვეთისათვის საზღაურის ოდენობა დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო ერთდროულად როგორც ტერიოტორიული, ისე დაზიანების სიმძიმის ფაქტორის გათვალისწინებით.

სვანეთში, ყურის მოკვეთისათვის, ისევე როგორც სხვა ორგანოს დასახი-

ჩრებისათვის წორის ნახევარი იყო განსაზღვრული.[1697] ფშავში კი ალ. ხახანაშვილის მიხედვით, ყურის მოჭრისთვის 8 ძროხაა.[1698] უფრო სრულყოფილი ცნობები ყურის დაზიანებასთან დაკავშირებით ხევსურთის გარდა სხვა რეგიონების ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით არ მოგვეპოვება.

4.5. ცხვირის დაზიანება. ცხვირის დაზიანებისათვის კონკრეტული პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემები გვხვდება ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებში. მათ მიხედვით ცხვირის არეში მიყენებული ჭრილობის შეფასების ორი წესი ვლინდება: 1. ცხვირის ჭრილობის მარცვლებით გაზომვა და 2. წინასწარ დადგენილი გადასახადი. საერთოდ ცხვირზე მიყენებული ჭრილობა მძიმედ ითვლებოდა. XIX საუკუნის ბოლოდროინდელი და XX საუკუნის პირველი ნახევრის მონაცემებით ცხვირის ჭრილობის სიმძიმის დასადგენად უპირატესად მარცვლებით გაზომვას მიმართავდნენ. ბ. გაბუურის განმარტებით: „თუ ცხირზე სჭირს ნაჭრევი, იმასაც მარცვალი უნდა დაეწყვას.“[1699] ნ. ხიზანაშვილის, ს. მაკალათიას, ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის მიხედვითაც, ცხვირის ჭრილობა მძიმედ ითვლება და მარცვლებით უნდა გაიზომოს.[1700] როგორც ვხედავთ, აღნიშნული პერიოდის ავტორები ფაქტობრივად ერთ პოზიციას აფიქსირებენ განსახილველ საკითხზე და ცხვირის ჭრილობას სახის ჭრილობის კონტექსტში განიხილავენ. იგივე პოზიცია ფიქსირდება ბ. გოგოჭურის მონაცემითაც.[1701]

განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში დაფიქსირებულ მასალებში. ხევსურ ინფორმატორთა ნაწილი კატეგორიულად აცხადებს, რომ ცხვირზე მიყენებული ჭრილობის გაზომვა არ ხდებოდა.[1702] ერთ-ერთ მათგანს, ხევსურული რჯულის საუკეთესო მცოდნეს (ციცქა ჯაბუშანურს, არხოტიდან, სოფ. ამღა) მ. კეკელიამ წაუკითხა ბ. გაბუურის მონაცემები ხევსურეთში დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადების შესახებ. ხევსურმა ინფორმატორმა ბ. გაბუურის ერთ-ერთ მცდარ მონაცემად ჩათვალა სწორედ ცხვირის ჭრილობის მარცვლებით გაზომვის შესახებ ცნობა. მისი თქმით: „არ არის სწორი რომ თითქოს ცხვირზე ნაჭრევს მარცვალი უნდა დაეწყოს.“[1703] რამოდენიმე ინფორმატორი კი პირიქით, ცხვირზე ჭრილობის შეფასების საშუალებად მისი მარცვლებით გაზომვას მიიჩნევს.[1704] ერთ-ერთი მათგანი აღწერს კონკრეტულ შემთხვევას მისივე დაჭრისა ცხვირის არეში. როდესაც ჭრილობა მოურჩა მასთან მივიდა დამჭრელის მიერ გამოგზავნილი კაცი,

---

1697 იხ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 111; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 27; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 179.

1698 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია“, 1888, №185.

1699 ბ. გაბუური, დასახ. ნაშრ., 141.

1700 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, გვ. 51; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, იე. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172.

1701 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 33.

1702 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 63; №5, 29; №6, 23, 40.

1703 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 63.

1704 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, გვ. 11; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 65.

რომელმაც დაზარალებულს გადასცა მისი დახაბარები, რომ ძაბად იყო ძიყენებული ზიანი აენაზღაურებინა. მანვე გაზომა ჭრილობა ხორბლისა და ქერის მარცვლებით (ჩვეულებრივი წესით). ჭრილობაზე დაეტია ათი მარცვალი და ამდენად დამჭრელს ათი ხელითი ძროხის გადახდა დაეკისრა.[1705] თ. ოჩიაურის მონაცემით ცხვირის დაჭრისთვის 5 ძროხა იყო დაწესებული.[1706]

არიან ხევსური ინფორმატორები, რომლებიც ცხვირის ჭრილობისას შესაძლებლად მიიჩნევენ როგორც ჭრილობის მარცვლებით გაზომვას, ისე წინასწარ დადგენილი საზღაურის გადახდას. ერთ-ერთი მათგანი მიუთითებს, რომ „წინათ ცხვირზე თუ იქნებოდა ჭრილობა 5 ძროხა ყოფილა, ახლა კი მასაც მარცვლებით ზომავენ"[1707] ხევსურეთში ცხვირის ჭრილობის მარცვლებით გაზომვა მისი სიმძიმის დადგენის საკმაოდ ძველი საშუალება იყო და როგორც ზემოთ გამოჩნდა XIX საუკუნის მასალაშიც ფიქსირდება, ამდენად, მისი სიახლედ წარმოჩენა ინფორმატორის შეცდომაა. მის ცნობაში საინტერესო ისაა, რომ იგი ცხვირის ჭრილობის შეფასების ორივე წესს შესაძლებლად წარმოაჩენს. კიდევ ერთი ინფორმატორის (ნადირა ლიქოკელი, სოფელ აჭედან) მიხედვით კი, ცხვირის ჭრილობა მარცვლებით გაიზომოს თუ წინასწარ დადგენილი გადასახადის (5 ძროხა) გადახდა მოხდეს დამოკიდებული იყო დაზარალებულის ნებაზე. თუ ჭრილობის მარცვლებით გაზომვით 5 ძროხაზე მეტი საზღაურის მიღების მოლოდინი იყო, იგი ჭრილობის შეფასების ამ მეთოდს მოითხოვდა, თუ არადა წინასწარ დადგენილ გადასახადს.[1708]

მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურეთში ცხვირზე მიყენებული ჭრილობისას ძირითადად ხდებოდა მისი მარცვლებით გაზომვა, თუმცა შესაძლოა, წინასწარ დადგენილი გადასახადის გადახდასაც ჰქონოდა ადგილი. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I ნახევრის, ასევე ბ. გოგოჭურის მონაცემებით ცხვირის ჭრილობა ჩვეულებრივ იზომებოდა მარცვლებით და ამის მეოხებით დგინდებოდა გადასახადი. „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ ჩაწერილი მონაცემების მიხედვით, ასევე თ. ოჩიაურის თანახმად კი აშკარად ფიქსირდება ცხვირზე მიყენებული ჭრილობისას წინასწარ დადგენილი გადასახადის გადახდაც. სავარაუდოდ, ამა თუ იმ წესის გამოყენება „ალაგისა და გვარის წესით" იყო განპირობებული. ჩვენს ხელთ არსებული XX საუკუნის დასასრულის მასალით, ცხვირის ჭრილობის გაზომვასთან ერთად მისი წინასწარ განსაზღვრული ოდენობით ანაზღაურებაც ფიქსირდება. ამ პერიოდის მასალის თანახმად, შესაძლებელია ამ ორი წესის ალტერნატიული სახით არსებობა და როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, ამ ორიდან ერთ-ერთი წესის დაზარალებულის ნების საფუძველზე გამოყენება.

ცხვირის არეში მიყენებული ჭრილობის მარცვლებით გაზომვისას, კიდურა მარცვლების გადაყრა არ ხდებოდა, როგორც „პირის სერის შერევისას". ამას არაერთი ავტორი ადასტურებს.[1709] აღნიშნული ბ. გოგოჭურის მონაცემებშიც

1705 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 65.

1706 თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1707 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60.

1708 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 29.

1709 იხ. ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 51; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94; ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172.

ფიქსირდება.[1710]

თუ ცხვირის ჭრილობისას მარცვლებით გაზომვა არ ხდება, გადასახადის წინასწარ განსაზღვრული ოდენობა ინფორმატორთა დიდი უმრავლესობის მიხედვით 5 ძროხაა, მიუხედავად ჭრილობის სიმძიმისა.[1711]

ბევრად უფრო მეტი საზღაური ჩანს დაწესებული ცხვირის დასახიჩრებისთვის, კერძოდ, მისი მოკვეთისათვის. ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, ცხვირის მოჭრა დიდი დანაშაულია და შეფასებულია 30 ძროხად. იგივეს ადასტურებს ს. მაკალათიაც და მ. კოვალევსკი.[1712] ბ. გოგოჭურის მიხედვითაც, ცხვირის მთლიანად მოჭრის შემთხვევაში 30 ძროხის ღირებულების დრამას გადახდაა დაწესებული ხევსურული რჯულით.[1713] არნ. ზისერმანის მიხედვით კი ცხვირის მოჭრისთვის გადასახადი 24 ძროხაა.[1714] ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრების, მოკვეთისათვის 30 ძროხა დამახასიათებელია ხევსურული ჩვეულებითი სამართლისათვის და ცხვირის მოკვეთისათვის ამ ოდენობის საზღაური სრულიად ბუნებრივია. არნ. ზისერმანის მონაცემიც საკმაოდ სოლიდურია და შესაძლოა XIX საუკუნის II ნახევარში ხევსურეთის რომელიმე რეგიონში, კონკრეტულ შემთხვევაში მას ცხვირის მოკვეთისათვის საზღაურის აღნიშნული ოდენობის დაფიქსირების საფუძველი ჰქონოდა.

გარკვეული მონაცემები ცხვირის დაზიანებისას პასუხისმგებლობის ზომის შესახებ სხვა კუთხეების ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ცხვირის (ისევე როგორც სხვა ორგანოების) დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული იყო წორის ნახევარი, რაც რამდენიმე ავტორთან დასტურდება.[1715] თუშეთში ალ. ხახანაშვილის მიხედვით, ცხვირის მოჭრისათვის დაწესებული იყო 16 ძროხა.[1716]

4.6. კბილების სახიჩრობა. კბილების სახიჩრობისთვის პასუხისმგებლობის საკითხი საკმაოდ სრულყოფილადაა განხილული ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ძველ პერიოდში კბილის დაზიანება, მისი დაკარგვა, ცხადია, აღდგენას არ ექვემდებარებოდა, ამდენად, უშუალოდ კბილის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება საკმაოდ აქტუალური იყო, მათ შორის პრევენტული თვალსაზრისით, ამიტომ ძველ ქართულ სამართალს ეს საკითხი თვალთახედვიდან არ გამორჩენია.

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით საკითხისადმი ორგვარი მიდგომა იკვეთება. პირველი მოცემულია ბექა-აღბუღას სამართალში, სადაც ვკითხულობთ: „თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებს.“[1717] აქ გადასახადი ერთი კბილის ჩამოგდებისათვის თითის სახიჩრო-

1710 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 33.

1711 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 29; №2, 60, 63; №5, 29, 41; №6, 40.

1712 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 52; ს. მაკალათია, იქვე, 95; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 119.

1713 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 33.

1714 არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში, სანქტ-პეტერბურგი, (რუსულ ენაზე), 1879, 225.

1715 იხ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 119; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 27.

1716 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია“, 1888, №185.

1717 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963, ტ. 1, 428.

ბისთვის დაწესებული გადასახადის ტოლია და არ განსხვავდება იმის მიხედვით, წინა კბილია, თუ უკანა. ამის მიზეზიც ნათლადაა ახსნილი: წინა კბილის დაკარგვა თვალსაჩინოა და დაზარალებულის დამახინჯებას იწვევს, ხოლო უკანა კბილისა საკვების მიღების (ღეჭვის) პრობლემას ქმნის. ამდენად, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, წინა და უკანა კბილების ფუნქციონალური მნიშვნელობა გათანაბრებულია და იდენტური პასუხისმგებლობაა დაწესებული მათი დაკარგვისათვის.

განსხვავებულ მიდგომას ვხედებით გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით, რომლის მიხედვითაც: „კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქუემოთ საჩინოთა კბილთა ჩაყრევინებისათჳს თჳთოს კბილისათჳს ორ-ოლი უარზანგობა[1718] დაიურვოს თავის წესსა და გუარსა ზედა." „ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყრევინებისათჳს თჳთოს კბილისათჳს თჳთო უარზანგობა დაიურვოს".[1719] აქ პირიქით, წინა რვა (ოთხი ზედა და ოთხი ქვედა) კბილის ჩამოგდებისათვის ორჯერ მეტი პასუხისმგებლობაა დაწესებული, ვიდრე ყველა დანარჩენი კბილის დაზიანებისათვის, რადგანაც წინა კბილები თვალსაჩინოა და ამ ფაქტორს ძეგლისდება მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

საინტერესოა, რომ ვახტანგის საკანონმდებლო კომისიამ, რომელსაც ორივე ზემოთაღნიშნული ძეგლი ხელთ ჰქონდა და კარგად იცოდა მათი შინაარსი, უპირატესობა ბექა-აღბუღას სამართლისეულ მიდგომას მიანიჭა: „წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივ სწორე არის, ამიტომ რომ წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების. ამად, ერთს კბილს ერთის ჴელის თითის სისხლი გაუჩინეთ, რამდენიც კბილი ჩავარდების, ამ კუალად გაჩნდების."[1720] ეს მუხლი ფაქტობრივად იმეორებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შესაბამის მუხლს. აქაც, როგორც ვხედავთ, ყველა კბილი თანაბრადაა შეფასებული, ამის ახსნაც იდენტურია და თითოეული კბილის დაზიანებისათვის გადასახადი ასევე ხელის თითის გადასახადის ტოლია.

ახლა ვნახოთ რა მონაცემებია ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებიით. ხევსურეთში მონაცემთა უმრავლესობის მიხედვით კბილის ღირებულება 5 ძროხაა. ეს ჩანს ალ. ოჩიაურთან[1721] და ასევე მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორებიც (ყველა ვინც ამ საკითხს ეხება) ადასტურებს ამას,[1722] თუმცა ზოგიერთის

1718 სპარსულად არზანიგ-ი, არძანიგ-ი, არძანგ-ი, ნიშნავს ღირსებას. ქართული პრეფიქსი „უ" მიუთითებს ღირსების არარსებობას. აქედან მოდის ქართულში უარზანგობა, ანუ უღირსობა, უპატიობა, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავდა როგორც შეურაცხყოფას, ასევე ანაზღაურებას უპატიობისათვის, უპატიობის ფასს. ძეგლისდების მიხედვით ტერმინი უარზანგობა ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაა ნახმარი (იხ. ძეგლის დადება გიორგო V-ის ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1988, 147). ძეგლისდება, უარზანგობის, როგორც გადასახადის ოდენობასაც მიუთითებს დაზარალებულთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, ძეგლის 31-ე მუხლის მიხედვით, ვისი სისხლიც 12 ათას თეთრადაა შეფასებული, მისი ერთი უარზანგობა სამასი თეთრია, აზნაურთა და ხევისბერთა 150 თეთრი, ჰეროვანთა – 30 (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, 1963, 415). აქედან გამომდინარე, თუ ვინმე მაგალითად, ხევისბერს დაუზიანებდა წინა კბილს ძეგლისდებით უნდა გადაეხადა ორი უარზანგობა, ანუ 300 თეთრი, თუ ჰეროვანს – 60 თეთრი. უკანა კბილებისათვის კი თითო უარზანგობა იყო საკმარისი, შესაბამისად, ხევისბერის შემთხვევაში 150 თეთრი, ხოლო ჰეროვანისა – 30.

1719 ქართულის სამართლის ძეგლები, იქვე, 417.

1720 იქვე, 494.

1721 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 40.

1722 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 61; იქვე, №4, 30; იქვე, №6, 31, 41.

მიხედვით, წინა და უკანა კბილები თანასწორი ღირებულებისაა,[1723] ზოგიერთის მიხედვით კი წინა კბილები მეტი ღირს უკანაზე, დაახლოებით ორჯერ. ერთი უთითებს, რომ წინა კბილი 5 ძროხაა, უკანა ამის ნახევარი,[1724] მეორე ინფორმატორის თანახმად, კი წინა ასევე 5 ძროხაა, ხოლო უკანა 3.[1725] ზოგიერთი ავტორის მონაცემით კი კბილის ღირებულება უფრო ნაკლებია. კერძოდ, რ. ხარაძის ინფორმატორის განმარტებით, „კბილის ჩამტვრევის შემთხვევაში ერთ ან ორ ძროხას ახდევინებენ. „თუ კბილი დაიძრ, ორ ძროხაი" (მგელა ჭინჭარაული)".[1726] რ. ერისთავის და ალ. ყამარაულის მიხედვით, კბილის დაზიანებისათვის გადასახადი ერთო ძროხაა.[1727] საინტერესოა რომ, ალ. ხახანაშვილიც ფშავში კბილის დაზიანების ფასად ასევე ერთ ძროხას ასახელებს.[1728] საინტერესო და ზოგიერთ ასპექტში სხვებისგან განსხვავებულ ცნობებს კბილის ჩამტვრევასთან დაკავშირებით გვაწვდის ბ. გოგოჭური. მისი განმარტებით, იარაღით ან სხვა საგნით მიყენებული დაზიანების შედეგად წინა ერთი კბილის მოტეხა ითვალისწინებს 5 ხელითი ძროხის გადახდას. წინა კბილის პირველად მოტეხვის შემთხვევაში კი ხდება 8 ხელითი ძროხის გადახდა. გვერდითი კბილის მოტეხვა კი ითვალისწინებს 10 ცხვრის (ანუ ორნახევარი ძროხის) ღირებულების ხელითი დრამის გადახდას.[1729]

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურული რჯულით, გადასახადი კბილის ჩამოგდებისთვის, მოტეხვისთვის იყო 5 ძროხა. ბ. გოგოჭურის და მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორის მონაცემით, კბილის ჩამომტვრევა ფასდება ასევე 5 ძროხად, მხოლოდ ეს ეხება წინა კბილს (სავარაუდოდ წინა კბილში იგულისხმება იგივე კბილები რაც ასეთად ითვლება გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადებით – ზედა ოთხი და ქვედა ოთხი წინა კბილი). გვერდითი კბილის ჩამომტვრევისათვის კი გადასახადი ბ. გოგოჭურის მიხედვით მხოლოდ 10 ცხვარია, ფაქტიურად იგივე ორი-ორნახევარი ძროხა, ანუ წინა კბილის დაახლოებით ნახევარი ფასი. მ. კეკელიას ინფორმატორებიც, რომელნიც საუბრობენ წინა და უკანა კბილების დაზიანებისათვის განსხვავებულ გადასახადზე, უკანა კბილების დაზიანებისათვის დაახლოებით იგივე საზღაურს მიუთითებენ – 2, 3 ძროხა. ამდენად, ბ. გოგოჭურის და მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორის მონაცემებით ჩანს, რომ ხევსურეთში კბილის ჩამომტვრევის შემთხვევაში მოქმედებს იგივე პრინციპი, რაც გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადებაში გვხვდება – წინა კბილების დაზიანებისათვის ფასი დაახლოებით ორჯერ აღემატება უკანა კბილებისათვის გადასახადს. წინა კბილის დაზიანებისათვის მეტი გადასახადი მისი თვალსაჩინოობით განისაზღვრება.

1723 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 21, №6, 41.

1724 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 61.

1725 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 31.

1726 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

1727 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1930, 109.

1728 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „იერია", 1888, №185.

1729 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 34.

ასეთი წესის მოქმედება შესაბამისი მონაცემების სანდოობიდან გამომდინარე ხევსურეთში ეჭვს არ იწვევს, თუმცა როგორც ჩანს, განსხვავებული წესიც მოქმედებდა, სავარაუდოდ, ხევსურეთის კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც წინა და უკანა კბილის დაზიანება ერთგვაროვნად ფასდება. ეს ჩანს ასევე ძალიან სანდო მასალაში, კერძოდ, ალ. ოჩიაურთან, მ. კეკელიას ინფორმატორებთან, რომლებიც ხევსურული რჯულის უაღრესად კარგი მცოდნენი არიან.

ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან მხოლოდ ბ. გოგოჭურის მონაცემში გვხვდება წინა კბილის პირველად ჩამომტვრევის შემთხვევაში მომეტებული გადასახადის – 8 ძროხის ხელითი დრამის არსებობა. პირველად მიყენებული ზიანისათვის (მაგალითად, სახის არეში) მომეტებული გადასახადი დამახასიათებელია ხევსურული რჯულისათვის და ამდენად, კბილის ჩამომტვრევასთან დაკავშირებით ასეთი წესის არსებობა (თუნდაც ხევსურეთის გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში) საეჭვო არ უნდა იყოს.

რაც შეეხება რ. ხარაძის ინფორმატორისა და ალ. ყამარაულის მონაცემს, არ გამოვრიცხავთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ასევე, ხევსურეთის გარკვეულ ტერიტორიულ-ერთეულში, კბილის დაზიანებისათვის უფრო მცირე გადასახადის გადახდაც ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა, ჩვენი აზრით, უმრავლესი, საკმაოდ სანდო მონაცემით, მაინც უფრო მეტი ოდენობის გადასახადი ფიქსირდება და შესაბამისად ძირითადად კბილის დაზიანებისათვის ხევსურული რჯულით იმ ოდენობის გადასახადები მოქმედებდა, რომლებიც ალ. ოჩიაურის, მ. კეკელიას და ბ. გოგოჭურის მონაცემებში გვხვდება.

ფშაეში კბილის დაზიანებისათვის გადასახადის შესახებ ალ. ხახანაშვილის ცნობის გარდა სხვა რაიმე მონაცემი არ გაგვაჩნია და შესაბამისად ამ საკითხზე აღნიშნული რეგიონის ჩვეულებით სამართალთან მიმართებაში დამატებით ვერაფერს ვიტყვით.

საკმაოდ მწირი მონაცემები გვაქვს კბილის დაზიანების გამო პასუხისმგებლობის ოდენობაზე სვანეთში. მხოლოდ მ. კეკელიას ორიოდე ინფორმატორი გვაწვდის ცნობებს ამ საკითხზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ბალსქვემო სვანეთიდანაა (ეცერის თემი) მიუთითებს: „ერთი კბილის ჩაგდება 5 ძროხად ფასობს, ორი კბილის ჩაგდება ათად და ა. შ.“[1730] კალელი (ბალსზემო სვანეთი) ინფორმატორის განამრტებით კი კბილების ჩალეწვა ნახევარ წორამდე ადის.[1731] სხვა ცნობების უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული მონაცემების მთელს ზემო სვანეთზე განვრცობა. მათ მიხედვით კი საფიქრებელია, რომ ზემო სვანეთში კბილის დაზიანებისათვის დაახლოებით ისეთივე პასუხისმგებლობა იყო როგორც ხევსურეთში. საინტერესოა რომ, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ცნობით, ერთობლივად ყველა კბილის დაზიანებისათვის, ისეთივე პასუხისმგებლობა არსებობდა, როგორც ორი ფეხის, ორი ხელის თუ ორი თვალის დასახიჩრებისათვის.[1732]

4.7. ტანის არეში მიყენებული ჭრილობა. ხევსურეთში ტანში მიყენებული ჭრილობა, თუ იგი კონკრეტულ, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებს არ აზია-

1730 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967 105.

1731 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩველებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 12.

1732 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 35.

ნებდა, არ იყო ღრმა, მსუბუქ, საფათვლე ჭრილობად განიხილებოდა, შესაბამისი მცირე გადასახადით. ტანში მიყენებულ საფათვლე ჭრილობას სხვადასხვა ავტორი ეხება. რ. ხარაძე მიუთითებს: „ტანზე მიყენებული ყველა ჭრილობა საფათვლედ ითვლება. საფათვლე ჭრილობის შეფასებისას ბჭენი უმთავრესად დროს დაკარგვას ანგარიშობენ. ლოგინში წოლით საქმის გაცდენის გამო.“[1733] რ. ხარაძის ეს განმარტება ზუსტი არ არის. ცხადია, ტანის ღრმა ჭრილობა, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას მიყენებული, საფათვლე ჭრილობად ვერაფრით ჩაითვლება. საინტერესოა რომ, თვით რ. ხარაძე ტანის კონკრეტულ ადგილებში მიყენებულ ჭრილობებს საფათვლეზე მძიმედ განიხილავს, და მათთვის შედარებით მეტ გადასახადს მიუთითებს. უფრო ზუსტია ნ. ხიზანაშვილი. მისი განმარტებით, „ტანში დაჭრისათვის ჯარიმა არაა დადებული. ტანზედ ხევსური დაკეჭნე რამდენიც გნებავს, ოღონდ კი ნუ დააშავებ, – არა გადაგხდება-რა, „საფოთლეს“ მეტი.“[1734] აქაც ჩანს, რომ ტანის არეში მიყენებული ჭრილობებისათვის საფათვლეა გათვალისწინებული, თუმცა მაშინ, როდესაც ასეთი ჭრილობა დააშავებს დაზარალებულს, ეს საფათვლე ჭრილობად არ ჩაითვლება. სწორედ შენიშნავს ს. მაკალათია: „ტანის ჭრილობას ექიმი სინჯავს და თუ ჭრილობა მსუბუქია, დამჭრელი იხდის „საფოთლეს“ ერთ ცხვარს....“[1735] ბ. გოგოჭურის მონაცემით, ტანზე მიყენებული მსუბუქი, საფათვლე ჭრილობა ითვალისწინებს 3 ცხვრის ხელითი დრამის გადახდას.[1736]

ამრიგად, ტანის ყოველგვარი ჭრილობის „საფათვლე“ ნაჭრევად განხილვა არ არის სწორი, ასეთად შეიძლება მხოლოდ ტანის ისეთი ჭრილობა ჩაითვალოს, რომელიც არ იწვევს დაშავებას. ასეთი ჭრილობისათვის საზღაურს, როგორც დავინახეთ, რჯულის კაცები განაცდურის მიხედვით განსაზღვრავდნენ. მ. ბალიაური კი აღნიშნავს, რომ სხეულზე მიყენებული ჭრილობისას, რომელსაც იგი „საფათვლედ“ განიხილავს, რჯულის კაცები საზღაურის ოდენობის დადგენისას, ყურადღებას აქცევდნენ: ჭრილობის სიღრმეს, დიდხანს იყო წყლული, თუ მალე განიკურნა და სხვა.[1737] როგორც ვხედავთ, მ. ბალიაურიც ტანზე მიყენებული საფათვლე ჭრილობის შეფასებისას მისი განკურნების დროს უთითებს, რაც ფაქტიურად განაცდურის გათვალისწინებას ნიშნავს.

ხევსურული რჯულის მიხედვით ტანის მსუბუქი ჭრილობისთვის (რომელიც არ აშავებს ადამიანს, არ არის ღრმა, შემავალი ჭრილობა), მცირე გადასახადის დაწესება განპირობებული იყო იმითაც, რომ ასეთი ჭრილობა თვალსაჩინო არაა და მას ტანსაცმელი ფარავს. თუშური ჩვეულებითი სამართლითაც იგივე ტენდენცია ფიქსირდება: მსუბუქი ჭრილობა, რომელიც თვალსაჩინო არაა, აქ მხოლოდ მკურნალობის და განაცდურის ხარჯის ანაზღაურებას გამოიწვევდა.[1738]

საინტერესოა, რომ ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ქართული სამართლის ძეგლების მიხედვითაც. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდების 38-ე

1733 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

1734 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52.

1735 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94.

1736 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 38.

1737 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 266.

1738 ვასილ ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარსულიდან, თბ. 1966, დ. 299 (ხელნაწერის უფლებით, საკანდიდატო დისერტაცია), 148.

მუხლის მიხედვით: „სადაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომე არა ჩნდეს ტანისამოსისაგან, არცა რა დაუშავდეს, თუთოს დაკოდილობისათჳს თუთო უარზანგობით დაიურვოს თავის გუარსა ზედა, და დასტაქართა წამლის ფასი რაც გასვლოდეს, ისიც მისცეს."[1739] აღსანიშნავია, რომ იმავე ძეგლის მიხედვით, თუ ჭრილობა თვალსაჩინო ადგილასაა მიყენებული და არ აშავებს ადამიანს შეფასებულია სამ უარზანგობად (მუხ. 32).[1740] აქ კარგად ჩანს, რომ დაფარულ ადგილას მიყენებული მსუბუქი ჭრილობა, რომელიც არ აშავებს ადამიანს სამჯერ ნაკლებადაა შეფასებული, ვიდრე ისეთივე სიმძიმის ჭრილობა თვალსაჩინო ადგილას.

ხევსურული რჯულით, ტანის გარკვეულ კონკრეტრულ ადგილებში მიყენებული მსუბუქი ჭრილობებიც არ ითვალისწინებდა „საფათვლეს" გადახდას და მათთვის შედარებით მეტი გადასახადი იყო დაწესებული.[1741] ახლა განვიხილავთ ტანის არეში მიყენებულ ჭრილობებს, რომელთაც ხევსურული რჯული და ზოგიერთი სხვა კუთხის ჩვეულებითი სამართალი ცალკე გამოყოფს.

4.7.1. გულ-მკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობა. საგულე. ხევსურეთში გულ-მკერდის არეში მიყენებულ ჭრილობას ერქვა – „საგულე". მისი ცალკე გამოყოფა განპირობებული იყო ასეთი ჭრილობის სიცოცხლისათვის საშიში ადგილმდებარეობით. იგივე ითქმის მუცლის არეში მიყენებულ ჭრილობაზეც. ზოგიერთი ავტორი გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებულ ჭრილობას ერთობლიობაში განიხილავს, ხოლო ნ. ხიზანაშვილი „საგულეს" უწოდებს როგორც გულმკერდში, ისე საერთოდ, სარტყლის ზემოთ მიყენებულ ჭრილობას, მათ შორის მუცლის არეშიც, რბილშიც, მაგალითად, ფერდში მიყენებულს.[1742]

საგულე და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობებისათვის გადასახადის ოდენობის შესახებ განსხვავებული მონაცემებია.

ს. მაკალათიას თქმით, გულზე ჭრილობის მიყენებისათვის ხდება 4-5 ძროხა საგულეს გადახდა.[1743] რ. ხარაძის მიხედვით, საგულე ჭრილობისათვის გადასახადი 5 ძროხაა. მისი ინფორმატორი განმარტავს: „თუ გულისპირზე სჭირს ნაჭრევი და ერთი წვეთი სისხლიც თუ ჩავარდა, 5 ძროხა უნდ".[1744] „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ გამოკითხული ზოგიერთი ხევსური ინფორმატორიც საუბრობს საგულეს შესახებ. ერთ-ერთი მათგანის მიხედვითაც საგულე 5 ძროხაა.[1745] კიდევ რამოდენიმე ინფორმატორი კი საგულე ჭრილობისათვის დაწესებულ გადასახადს მის სიმძიმეს უკავშირებს. ერთ-ერთის თქმით: „გულთან ახლოს მიყენებულ ჭრილობას საგულე ჰქვიან, პატარა ჭრილობა სამ ძროხამდეა, უფრო მძიმე 5 ძროხა."[1746] ბ. გოგოჭურის მონაცემით, გულმკერდის არეში მიყენებული თუნდაც მსუბუქი ჭრილობა არის „საგულე ჭრილობა" და მომეტებული საფრთხის

1739 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 417.

1740 იქვე, 416.

1741 მაგალითად, „საუპატიურო ადგილას", ბეჭის, ან მხრის არეში და სხვა ადგილებში მიყენებული ჭრილობები (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 38).

1742 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 41.

1743 ს. მაკალათია, იქვე.

1744 რ. ხარაძე, იქვე.

1745 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81.

1746 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24.

გამო ითვალისწინებს დამატებით 5 ხელითი ძროხის გადახდას.[1747] „დამატებით" 5 ძროხა უნდა ნიშნავდეს იმას, რომ გულის არეში მიყენებული ნებისმიერი სიმძიმის ჭრილობა, რომელიც ზოგადად რაღაც გარკვეულ ღირებულებად ფასდება, დამატებით 5 ძროხის გადახდას ითვალისწინებს, ჭრილობის ადგილმდებარეობის და მისი მომეტებული საფრთხის გამო. შესაბამისად, რაც არ უნდა მსუბუქი ჭრილობა იყოს გულმკერდის არეში მიყენებული, ბ. გოგოჭურის მონაცემების თანახმად, 5 ძროხაზე ნაკლები არ ეღირება. შედარებით მძიმე ჭრილობისათვის გადასახადი გარკვეული ოდენობის დრამა იქნებოდა, თუმცა ეს 5 ძროხა ისევ და ისევ ჭრილობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ჭრილობის საზღაურს დაემატებოდა. ამდენად, ბ. გოგოჭურის მიხედვით გამოდის, რომ საგულე ჭრილობა (მსუბუქი ხასიათის) მინიმუმ ხუთ ძროხად უნდა ყოფილიყო დაფასებული, მძიმე ხასიათის ჭრილობისათვის კი გადასახადის ოდენობა გაიზრდებოდა.

საგულესათვის (სარტყლის ზემოთ) ჭრილობის სიმძიმის მიხედვით დიფერენცირებულ გადასახადს, ეხვდებით ნ. ხიზანაშვილთან. იგი წერს: „საგულე" ..... შეიძლება მძიმე დაჭრილობა იყოს, იმიტომ, რომ „საგულე" საშიში ადგილია. მარცვლით საგულე არ იზომება, ექიმმა უნდა გასინჯოს და დაასკვნას – ძნელად არის კაცი დაჭრილი, თუ არა, იარაღის წვერი აქვს ნაძგერები, თუ პირით არის დაკრული. რასაც ექიმი იტყვის, იმას სამართალი სჯერდება, „საგულესათვის" დადებულია 5-16 ძროხამდე; ხუთ ძროხაზედ ნაკლები არ შეიძლება."[1748] ნ. ხიზანაშვილის თანახმადაც გულმკერდის (ასევე მუცლის) არეში მიყენებული ჭრილობა მინიმუმ ხუთი ძროხაა (მსუბუქი ხასიათის) და სიმძიმის კვალობაზე კი შესაძლოა 16 ძროხამდეც ასულიყო. ალ. ოჩიაურის განმარტებით, ჭრილობა „ხმელ გულმუცლით"[1749] შეფასებულია 9 ცხვრად „თუ ჭრილობა ღრუვში არ არის ჩახედნებული".[1750] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი, საგულეში მიყენებული მძიმე ჭრილობა ღირდა 12 ძროხა, მეორეს მიხედვით, ადიოდა 16 ძროხამდე.[1751] ჩვენი რესპონდენტის, პეტრე გოგოჭურის განმარტებით კი საგულე ღირდა ხუთი ძროხა, ხოლო მუცლის არეში მიყენებული მსუბუქი ჭრილობა მხოლოდ სამი ცხვრის ხელითი დრამა.[1752]

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ავტორთა და ინფორმატორთა უმრავლესობა საგულე ჭრილობისათვის გადასახადად 5 ძროხას ასახელებს. აქედან გამომდინარე შესაძლოა ვიფიქროთ, რომ გადასახადი საგულეში მიყენებული ჭრილობისათვის ძირითადად იყო 5 ძროხა, თუმცა როგორც ამას არაერთი სანდო მონაცემი (ნ. ხიზანაშვილის, ბ. გოგოჭურის და სხვა) გვიჩვენებს, ეს ძირითადად უნდა ყოფილიყო მინიმალური სახდელი გულმკერდის არეში მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის, როდესაც, ასე ვთქვათ, დაჭრის შედეგად ერთი წვეთი სისხლი მაინც გამოედინებოდა, ან როგორც ბ. გოგოჭურის მონაცემებში ჩანს

1747 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 35.

1748 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 52.

1749 „გულმუცელი" – გულმკერდი; ხმელი გულმუცელი – მკერდი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 237, 1157).

1750 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 7.

1751 იქვე.

1752 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 17.

„დამატებითი" გადასახადია მისთვის. ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მონაცემით, საგულე ჭრილობის ნაკლები გადასახადიც გვხვდება.[1753] სრულიად შესაძლებელია, რომ გულის არეში მიყენებული ყველაზე უფრო მსუბუქი ჭრილობა, ხევსურეთის გარკვეულ ლოკალურ ერთეულში, მართლაც 5 ძროხაზე ნაკლები ღირდა და 9 ცხვარს შეადგენდა, როგორც ეს ალ. ოჩიაურთან და მ. კეკელიას ორიოდე ინფორმატორთან ჩანს. აქაც გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობისათვის მინიმალურ გადასახადზე უნდა იყოს საუბარი.

მუცლის არეში მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის მინიმალურ გადასახადს ნ. ხიზანაშვილი გულის არეში მიყენებული ჭრილობის გადასახადთან აიგივებს, თუმცა სხვა მონაცემით, მუცლის არეში მიყენებული მსუბუქი ჭრილობა ბევრად უფრო მსუბუქად შეიძლება შეფასებულიყო, კერძოდ, სამ ხელით ცხვრად. ჩვენი რესპონდენტის – პ. გოგოჭურის მონაცემი, მუცლის არეში მიყენებული ჭრილობის სამ ხელით ცხვრად შეფასების შესახებ, მიუთითებს, რომ ასეთი ჭრილობა მისი შეფასების თვალსაზრისით ფაქტიურად გაიგივებულია ტანის არეში მიყენებულ საფათვლე ჭრილობასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ბ. გოგოჭურის მონაცემით, ტანის არეში მიყენებული ნაწვერწაღმართალი ჭრილობა მინიმუმ 5 ხელითი ძროხის ოდენობის დრამის გადახდას მოითხოვდა.[1754] ეს მონაცემი მუცლის არეში მიყენებულ ჭრილობასაც ეხება. ამ მონაცემთა შეჯერებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მუცელში მიყენებული თუნდაც შედარებით მსუბუქი ჭრილობისათვის მინიმუმ 5 ძროხის გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც ჭრილობა „ნაწვერწაღმართალი" იყო, რაც ნ. ხიზანაშვილის მონაცემში მითითებული არ არის (ნ. ხიზანაშვილის მონაცემით გამოდის, რომ მინიმუმ ხუთი ძროხის გადახდა იარაღის პირით მიყენებულ მსუბუქ ჭრილობასაც ეხება). მუცლის არეში მიყენებული ჭრილობის შეფასება ნაკლებად, მაგალითად, 3 ცხვრის დრამად, როგორც ამას პ. გოგოჭური მიუთითებს, ბ. გოგოჭურის მონაცემიდან გამომდინარე, შესაძლოა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ჭრილობა მიყენებული იყო ხანჯლის, ხმლის პირით და არა წვერით. ეს მიუთითებს, რომ ასეთი ჭრილობისათვის მინიმალურ გადასახადად 5 ძროხა არ ყოფილა დადგენილი, ხოლო ნ. ხიზანაშვილის მონაცემი, რომლის მიხედვითაც მუცლის არეში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი 5 ძროხაზე ნაკლები არ იყო, სავარაუდოდ, ძველი პერიოდისათვის შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი, ან ზუსტი არ არის და მუცელში მიყენებულ ყველაზე მსუბუქ (იარაღის პირით მიყენებულ საფათვლე) ჭრილობას არ ითვალისწინებს.

როდესაც მასალებში საუბარია გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობისათვის მინიმალურზე მეტი გადასახადის გადახდაზე, უნდა იგულისხმებოდეს რომ საქმე გვაქვს არა მსუბუქ, თუნდაც უმნიშვნელო, არამედ შედარებით მძიმე ხასიათის ჭრილობასთან და ცხადია გადასახადი ჭრილობისათვის დიფერენცირებულია ჭრილობის სიმძიმის მიხედვით. ნ. ხიზანაშვილი, როგორც დავინახეთ, საგულეში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობის განსხვავებას (5-დან 16 ძროხამდე) უკავშირებს ჭრილობის სიმძიმეს,

1753 მაგალითად, მ. კეკელიას ორი ინფორმატორი მიუთითებს, რომ საგულე ჭრილობა, რომელიც არავითარ საფრთხეს არ ნარმოადგენს, 9 ცხვრად იყო შეფასებული (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 68, 85). როგორც ზემოთ გამოჩნდა, ალ. ოჩიაურთანაც იგივე საზღაური გვხვდება.

1754 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 24.

რასაც ბევრწილად განაპირობებს ის, თუ ჭრილობა როგორაა მიყენებული: იარაღის (ხანჯლის) წვერით თუ პირით. მ. კეკელიას ინფორმატორის მიხედვითაც საგულეში მიყენებული ჭრილობა 16 ძროხამდე მაშინ ადის, თუ ჭრილობა ხანჯლის წვერითაა მიყენებული.[1755] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ჭრილობისას არსებითად მეტის გადახდა ხდებოდა თუ იგი იარაღის წვერით იყო მიყენებული, რაც მის სიღრმეს ზრდიდა და მას მნიშვნელოვნად მძიმე და საშიშ ჭრილობად აქცევდა, ვიდრე იარაღის პირით მიყენებული ჭრილობისას. ნ. ხიზანაშვილის მონაცემი, როგორც აღვნიშნეთ, მუცელში მიყენებულ ჭრილობასაც მოიცავს და აღნიშნული მოსაზრება შესაძლოა ამ სახის ჭრილობაზეც განვავრცოთ. ასევე, ალ. ოჩიაურთანაც გამოჩნდა, რომ გულმკერდში მიყენებული ჭრილობისათვის 9 ცხვარის გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც იგი არ იყო ღრმა, „ღრუვში არ არის ჩახედნებული." ჩვენი აზრით, ალ. ოჩიაური მიანიშნებს სწორედ ისეთ ჭრილობას, რომელიც შედარებით მსუბუქია და „ღრუვში ჩახედნებული" იმიტომ არაა, რომ ხანჯლის წვერით არ არის მიყენებული. „ღრუვში ჩახედნებული" იქნებოდა იარაღის წვერით მიყენებული, ღრმა ჭრილობა, რომლისთვისაც, ცხადია გადასახადიც მეტი დაეკისრებოდა დამნაშავეს. ჩვენი აზრით, ალ. ოჩიაურის მონაცემიდანაც გამომდინარეობს, რომ ჭრილობის იარაღის წვერით მიყენებას, „ღრუვში ჩახედნებას" მისი სიღრმიდან გამომდინარე გადასახადის გაზრდა უნდა მოჰყოლოდა.

ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობებიც ცხადია, სიღრმისა და შესაბამისად სიმძიმის მიხედვით ნებისმიერ შემთხვევაში ერთგვაროვანი არ იქნებოდა. მ. ბალიაურის მიხედვით, მაგალითად, მუცლის არეში ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობა ხევსურთა აღთქმით ორგვარია: მსუბუქი და მძიმე, თუმცა ორივე ძნელად მოსარჩენია. მსუბუქ ჭრილობად ითვლება, როდესაც მსუბუქად ნაკრავი ხანჯალი მუცელში ღრმად არ შედის, იჭრება მხოლოდ მუცლის კანი და ცოტაოდენი მუცლის ქონიც. მძიმედ კი, როდესაც ხანჯალი მუცელში ღრმად შედის, იჭრება კანიც, მუცლის ქონიც და მუცლის „სკაც". ამ შემთხვევაში ნაწლავები გარეთ გამოდის.[1756] ამდენად, მუცლის არეში ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობა შესაძლოა განსხვავებული სიმძიმის ყოფილიყო, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც განსხვავებული დადგებოდა. მ. კეკელიას ინფორმატორის ცნობა რომ, წვერით მიყენებული საგულე ჭრილობისათვის გადასახადი 16 ძროხამდე ადიოდა, გულისხმობს ასეთი ჭრილობის სიმძიმის ხარისხის (სიღრმის) გათვალისწინებით შედარებით მცირე გადასახადის დადგენასაც, ანუ წვერით მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი შეიძლება შედარებით ნაკლებიც ყოფილიყო. ნ. ხიზანაშვილი კი პირდაპირ მიუთითებს შუალედს 5-დან 16 ძროხამდე, რაც ნიშნავს, რომ ხანჯლის წვერით მიყენებული უფრო მსუბუქი ჭრილობისათვის შედარებით ნაკლები გადასახადი იქნებოდა დამჭრელისთვის დაკისრებული, ასეთი სახის უფრო მძიმე ჭრილობისათვის კი შედარებით მეტი, ცხადია, აღნიშნულ ფარგლებში. ამ მონაცემების მიხედვით, ხანჯლის წვერით მიყენებული მძიმე, ღრმა ჭრილობა 16 ძროხას, ან გადასახადის მასთან მიახლოებულ ოდენობას მოითხოვდა. ბ. გოგოჭურის მონაცემით კი ტანის არეში, მათ შორის გულმკერდსა და მუცლის არეში ხანჯლის, ხმლის წვერით მიყე-

1755 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩეეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №2, 68..

1756 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/25, 297-298.

ნებული, ანუ „ნაწვერწაღმართალი" ჭრილობა კიდევ უფრო მეტად – 5-დან 30 ძროხამდე ღირებულების ხელით დრამად ფასობდა.[1757] 30 ძროხის ხელითი დრამა მაქსიმუმი იყო გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული „ნაწვერწაღმართალი" ჭრილობისათვის და ცხადია ყველაზე უფრო მძიმე, ღრმად შესული ჭრილობისათვის დაეკისრებოდა დამნაშავეს. პეტრე გოგოჭურიც ადასტურებს, რომ როდესაც ჭრილობა ღრუვში იყო შესული ნაწლავებსა და მკერდში, გადასახადი 30 ძროხამდე ადიოდა.[1758] ბ. გოგოჭური ასეთ ჭრილობას, თუნდაც მსუბუქს, „სამთელმკვდრო" ჭრილობად[1759] იხსენიებს. აღსანიშნავია, რომ ტანში მიყენებულ ჭრილობასთან დაკავშირებით, მ. კეკელიასა და მისი დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში ასევე ჩანს, რომ ტანის არეში, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას (გულმკერდისა და მუცლის არეში) იარაღის წვერით მიყენებული ჭრილობა ასევე „სამთელმკვდროდ" ითვლებოდა ჭრილობის სიმძიმის მიუხედავად და მისთვის შესაძლოა „სამთელმკვდრო" დრამად 30 ძროხის გადახდა მომხდარიყო. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, „საშიში იყო ხოკერტანს (სარტყლიდან მკერდამდე წინამხარე) მიყენებული ჭრილობა. ..... თუ ერთი თითის სიღრმეზე იყო მიყენებული ჭრილობა, უნდა გადაეხადა სამთელმკვდრო, ე. ი. ხოკერიტანში მიყენებული ჭრილობა ითვლებოდა ყველაზე საშიშრად. აქ იმყოფებიან სასიცოცხლო ორგანოები. ამდენად გადასახადიც მეტი იყო, ვინაიდან შეიძლებოდა მცირე ზომის მიყენებულ ჭრილობასაც თუნდაც მომავალში სიკვდილი გამოეწვია."[1760] იგივე ინფორმატორი იხსენებს მის თავს გადამხდარ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მას ბიძაშვილმა მკერდზე მიაყენა არც თუ მძიმე ჭრილობა: „.....ხატში იყო რჯული და რჯულის კაცებმა მომაკუთვნეს სამთელმკვდრო 30 ძროხა. თუმცა ჭრილობა არ იყო დიდი, მაგრამ რჯულის კაცებმა ასე განსაჯეს, რად არტყამდა მკერდში, ხომ შეიძლება სასიკვდილოდ დაეჭრაო. მაგრამ ვინაიდან ბიძაშვილი ჩემი მოგვარე იყო 5 ძროხა გადავახდევინე, დანარჩენი ვაპატიე."[1761] ამ კონკრეტულ მონაცემებში კარგად ჩანს, რომ გულ-მკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა, არ ქონდა მნიშვნელობა დიდი იყო თუ მცირე, საშიში იყო სიცოცხლისათვის თუ არა, ითვლებოდა სამთელმკვდრო ჭრილობად, რაბგანაც ამ ადგილას იმყოფება სასიცოცხლო ორგანოები და მა-

1757 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 24.

1758 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 17.

1759 „სამთელმკვდროდ" ხევსურეთში ითვლებოდა ჭრილობა, რომელიც სიმძიმის გამო სიცოცხლისათვის იყო საშიში (მათ შორის გულ-მკერდისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები, თოფის ტყვიით მიყენებული ნებისმიერი ჭრილობა), ან მიყენებული იყო სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას. „სამთელმკვდრო" დრამას კი როგორც ზემოთ მკვლელობის მცდელობის შესახებ საუბრისას აღინიშნა, წარმოადგენდა საზღაური სიცოცხლისათვის საშიში სხეულის დაზიანებისათვის, ან მკვლელობის მცდელობისათვის, როდესაც ერთი პიროვნების მოქმედების შედეგად მეორეს სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, თუმცა სასიკვდილო შედეგი არ დამდგარა. (იხ. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 54-55; გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 410). „სამთელმკვდრო" ძირითადად 30 ძროხას უდრიდა (გ. დავითაშვილი, იქვე, 411, 416). ბ. გოგოჭურის თანახმად კი „სამთელმკვდრო" ღირდა 5-დან 30 ძროხამდე (ბ. გოგოჭური, იქვე, 54)

1760 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 42.

1761 იქვე.

თი ნებისმიერი დაზიანება შეიძლება სიცოცხლისათვის საშიში გამხდარიყო. გულ-მკერდისა და მუცლის არეში (ნაწლავებში) იარაღის წვერით მიყენებული ჭრილობისათვის სამთელმკვდრო დრამის (30 ძროხა) გადახდა რომ შეიძლება მომხდარიყო, არაერთი სხვა ინფორმატორიც ადასტურებს.[1762]

მოყვანილ ცნობებში გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობისათვის მაქსიმალური გადასახადის ოდენობას შორის განსხვავება (16 და 30 ძროხა) ჩვეულებრივ განპირობებული უნდა იყოს ხევსურეთის სხვადასხვა მხარეში, თემში განსხვავებული მიდგომით, თუ სხვადასხვა დროს არაერთგვაროვანი წესების მოქმედებით[1763]. ჭრილობის სიმძიმის და აქედან გამომდინარე გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ექიმის შეფასებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევსურეთში გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობებისათვის ავტორთა და ხევსურ ინფორმატორთა მიერ მოყვანილი გადასახადების განსხვავებული ოდენობა შეიძლება განპირობებული იყოს მიყენებული ჭრილობის სიმძიმის სხვადასხვა ხარისხით, მაგალითად, ჭრილობის სიღრმით (ხანჯლის, ხმლის წვერით მიყენებული ჭრილობა მეტად ფასობს, ვიდრე პირით მიყენებული), ასევე, სხვადასხვა პერიოდში თუ ხევსურეთის სხვადასხვა თემში შესაბამის კონკრეტულ შემთხვევებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული პრაქტიკით.

თუშეთის ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც ფიქსირდება, რომ ჭრილობის მიყენება იარაღის პირით უფრო ნაკლებად ფასდება, ვიდრე იარაღის წვერით. ალ. ხახანაშვილის მითითებით, პირველ შემთხვევაში გადასახადი 5 ძროხაა, მეორე შემთხვევაში კი 15.[1764] ცხადია, აქაც პასუხისმგებლობის გაზრდა იარაღის წვერით მიყენებული ჭრილობისათვის იარაღის პირით მიყენებულ ჭრილობასთან შედარებით მისი მძიმე შედეგითაა განპირობებული.

გულ-მკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობა მძიმედ ითვლებოდა ფშავშიც. აქ დაფიქსირებული მასალების მიხედვით გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობისას ყურადღება ექცეოდა, თუ სხეულის რომელ ნაწილში იყო იგი მიყენებული. ჯ. მერაბიშვილი ფშავში ჩაწერილ მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მარცხენა მხარეს დაჭრა დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა, განსაკუთრებით მაშინ თუ ის იღლიაში იყო მიყენებული და ამდენად გულთან ახლოს.[1765] ფშაველი ინფორმატორები იღლიაში ჭრილობის მიყენებას პიროვნების სასიკვდილოდ გაწირვად მიიჩნევდნენ. იგივე შეიძლება

1762 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72.

1763 მაგალითად, ნ. ხიზანაშვილის მონაცემი, რომლის მიხედვითაც, მაქსიმალური გადასახადი გულმკერდისა და მუცლის არეში მიყენებული ჭრილობისათვის 16 ძროხას შეადგენს, დაფიქსირებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ბ. გოგოჭურისა და მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მუცლისა და გულმკერდის არეში მიყენებული „ნაწეერწაღმართალი" ჭრილობისათვის მაქსიმალური გადასახადი 30 ძროხაა, ჩაწერილია XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში და შესაბამისად უფრო გვიანდელ პერიოდს ეხება, ვიდრე ნ. ხიზანაშვილის მონაცემი..

1764 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია", 1888, №185.

1765 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 57.

ითქვას მუცლის არეში მიყენებულ მძიმე ჭრილობაზეც.[1766] ფშაველი ინფორმატორები ვერ იხსენებენ ამ ჭრილობებისათვის დაწესებული გადასახადების ოდენობას. სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას (გულ-მკერდში, განსაკუთრებით მარცხენა მხარეს, მუცლის არეში) მიყენებული ჭრილობის აღთქმა ფაქტიურად მკვლელობის მცდელობად, სუბიექტური ფაქტორის განვითარების გარკვეულ გამოვლინებას წარმოადგენს, თუმცა სამწუხაროა, რომ მასალებში არ ჩანს რამდენად იყო ეს დამოკიდებულება ასახული სასჯელის ზომაზე, კონკრეტული გადასახადის ოდენობაზე.

4.7.2. კისერში მიყენებული ჭრილობა. საუბედოე. ხევსურულ რჯულს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია კისერში მიყენებული ჭრილობისათვის. ხევსური ინფორმატორების მიხედვით, კისერში მიყენებული ჭრილობა მძიმედ ითვლებოდა, თუ სახეზე იყო ე. წ. საუბედოე, საუბედოო ჭრილობა. სახელწოდება მომდინარეობს კისრის არეში მდებარე საუბედოე ძარღვიდან, რომლის გაჭრა, ხევსურთა რწმენით მამაკაცს შვილიერების უნარს უკარგავდა.[1767] სწორედ იმიტომ რომ ე. წ. საუბედოე ძარღვის ჭრილობა ხევსურთა რწმენით ასეთ სავალალო შედეგს იწვევდა, ითვლებოდა მძიმე ჭრილობად და მას შესაბამისი სახელწოდებაც ჰქონდა – საუბედოე, საუბედოო, ანუ უბედობის, უბედურების მომტანი.[1768] ბ. გოგოჭურის მონაცემით მას ერქვა – „საბედო ძარღვი"[1769]. თუ რომელია საუბედოე თუ საბედო ძარღვი, ხევსურები სცნობდნენ.[1770] ეს იყო კისრის არეში განლაგებული მყესები.[1771] პეტრე გოგოჭურის მითითებით საუბედოე ზურგის ტვინთან ახლოს მდებარეობს.[1772]

საუბედოე ძარღვის გაჭრისათვის დრამის ოდენობაზე განსხვავებული მონაცემებია. რ. ხარაძის ინფორმატორის თქმით, „საუბედოს ძარღვი რო გაიჭრას გადახდა უნდა 20-25 ძროხამდე (გუდანი, მგელა ჭინჭარაული)."[1773] ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით კი დრამა 8-12 ძროხას არ აღემატებოდა.[1774] უმეტესი მონაცემით კი საუბედოე ძარღვის გაჭრისთვის გადასახადი 30 ძროხა იყო. კერძოდ ამას ადასტურებს ალ. ოჩიაური[1775], ასევე ზოგიერთი სხვა ხევსური ინ-

---

1766 იქვე, 57-58.

1767 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 86; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72;

1768 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172. რ. ხარაძე აღნიშნულ ძარღვს საუბედუე ძარღვად იხსენიებს (იქვე). მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორი ციცქა ჯაბუშანური არხოტის ხეობიდან, აღნიშნავს, რომ არასწორია ტერმინი „საუბელუე" და უნდა იყოს „საუბედოე" (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 67).

1769 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 34.

1770 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 6.

1771 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 35.

1772 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 16.

1773 რ. ხარაძე, იქვე.

1774 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72.

1775 ალ. ოჩიაური იქვე.

ფორმატორი.[1776] რამდენადაც მონაცემთა უმრავლესობა მიუთითებს საუბედოე დრამის ერთი და იგივე ოდენობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შეესაბამება რეალობას და 30 ძროხის ანუ სისხლის ნახევრის ტოლია. ამას გვაფიქრებინებს ასევე აღნიშნული მონაცემების სანდოობაც – ალ. ოჩიაურის და ხევსურული სამართლის კარგად მცოდნე მ. კეკელიას ინფორმატორთა ცნობები ეჭვს არ იწვევს. იგივე დასტურდება ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც.[1777] ამ ავტორის მონაცემით, სამოც წელს გადაცილებულ კაცს „საბედო ძარღვის" გაჭრისას 30 ძროხის ღირებულების დრამას აღარ უხდიდნენ.[1778] ეს ბუნებრივია, რადგანაც 60 წელს გადაცილებულ პიროვნებას ხევსურთა წარმოდგენით შვილიერების უნარი უკვე დაკარგული უნდა ჰქონოდა და ამიტომ აღნიშნული ძარღვის გაწვეტა მისთვის ისეთივე ტრაგიკული შედეგის მომტანი არ იქნებოდა, როგორც უფრო ახალგაზრდისთვის. სამწუხაროდ, ავტორი არაფერს ამბობს, თუ რამდენი იქნებოდა ამ შემთხვევაში გადასახადი კისრის მყესების დაზიანებისათვის. სავარაუდოდ, იმდენივე, რაც გათვალისწინებული იყო კისრის არეში არსებული სხვა ძარღვების (არა საუბედოე ძარღვის) გაჭრისათვის.

საუბედოე დრამის განსხვავებულ ოდენობას მხოლოდ რამოდენიმე ინფორმატორი ასახელებს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მხოლოდ რ. ხარაძის ინფორმატორის თანახმადაა საუბედოე დრამა 20-25 ძროხა, ხოლო 8 ძროხა და 8-12 ძროხა თითო ინფორმატორის თანახმად. რ. ხარაძის ინფორმატორის მონაცემი საკმაოდ ახლოსაა 30 ძროხასთან. ამდენად, მან კარგად იცის, რომ საუბედოე დრამა საკმაოდ დიდი ოდენობისაა და ესმის ამის მიზეზიც. თუ რატომ ასახელებს საუბედოე დრამად 20-დან 25 ძროხამდე და არა 30 ძროხას, როგორც ინფორმატორთა უმრავლესობა, ამის თქმა ძნელია. შესაძლოა ამ ინფორმატორს, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურული რჯულის კარგი მცოდნეა, მისი ეს ნიუანსი კარგად არ ახსოვს, ან არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვეულებითი სამართლის ნაკლებრეგლამენტირებულობიდან და პარტიკულარიზმიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევებში თუ ხევსურეთის რომელიმე ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულში ადგილი ჰქონოდა საუბედოე დრამად არა 30, არამედ 20-25 ძროხის გადახდას და რ. ხარაძის ინფორმატორი სწორედ ამაზე დაყრდნობით საუბრობს.

რაც შეეხება იმ ორ ინფორმატორს, რომელიც საუბედოე დრამის შედარებით მცირე ოდენობას ასახელებს, მათი მონაცემი საკმაოდ შორსაა რეალობასთან, რადგანაც ზიანი, რომელიც ხევსურთა წარმოდგენით შვილიერების უნარის დაკარგვას იწვევს, უძმიმესია. კისერში მიყენებული საუბედოე ძარღვის ჭრილობა შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო პირდაპირი მნიშვნელობით მძიმე, მაგრამ რაკი ხევსურთა წარმოდგენით იგი სწორედ შვილიერების უნარის დაკარგვასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ნახევარ სიკვდილს უდრიდა და როგორც მონაცემთა უმრავლესობა ადასტურებს 30 ძროხად იყო შეფასებული.[1779]

1776 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 86; იქვე, №4, 30; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13. იგივე დაადასტურა პეტრე გოგოჭურმა (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 16).

1777 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 35.

1778 იქვე.

1779 თუ საუბედოე ძარღვის გაჭრა 30 ძროხად ფასდებოდა, მაშინ რატომ არის, რომ აღნიშნული ინფორმა-

ახლა განვიხილოთ ჩვენს ხელთ არსებული სხვა მონაცემები კისერში მიყენებული ჭრილობების შესახებ. ერთ-ერთი ინფორმატორის მითითებით, კისერში მიყენებული ჭრილობა, მიუხედავად იმისა იგი მძიმე იყო თუ მსუბუქი მაინც მძიმე ჭრილობად ითვლებოდა.[1780] ეს მიდგომა სწორია კისერში მიყენებული ჭრილობის მიმართ, თუ ადგილი ჰქონდა საუბედოე ძარღვის გაჭრას, წინააღმდეგ შემთხვევაში არა. მ. კეკელიას ინფორმატორის განმარტებით, კისერში მიყენებული მსუბუქი ჭრილობა, თუ რა თქმა უნდა, საუბედოე ძარღვი არ იყო გაჭრილი, ითვლებოდა „საფათვლე" ჭრილობად და გადასახადი 3 ან 5 ცხვარს უდრიდა.[1781] იგივე ინფორმატორის მიხედვით, კისერზე მიყენებული ჭრილობის გაზომვა მარცვლებით არ ხდებოდა.[1782] საინტერესო ცნობას კისრის ჭრილობასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დაკავშირებული საუბედოე ძარღვის გაწყვეტასთან, გვაწვდის რ. ხარაძის ინფორმატორი. მისი თქმით: „თუ ნაჭრევით კისრის ჩხიმი გაიჭრა, დამნაშავე იხდის 9 ცხვარს.[1783]

ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: ხევსურული რჯული კისრის არეში მიყენებული ჭრილობებიდან გამოარჩევს საუბედოე ჭრილობას, რომელიც დაკავშირებულია კისრის არეში მდებარე საუბედოე ძარღვის გაჭრასთან და რისთვისაც დრამად გათვალისწინებულია 30 ძროხა, ხოლო კისრის არეში მიყენებული ჭრილობებისათვის, რომლებიც არაა დაკავშირებული საუბედოე ძარღვის გაჭრასთან, მნიშვნელოვნად ნაკლებ გადასახადს აწესებს. კერძოდ, კისრის მსუბუქი, „საფათვლე" ჭრილობა (იგი, როგორც წესი, მხოლოდ კანის გაჭრას გულისხმობდა) ამ სახის ჭრილობებისათვის დამახასიათებელ მცირე გადასახადდთან (3-5 ცხვარი) იყო დაკავშირებული. „საფათვლესთან" შედარებით უფრო მძიმე ჭრილობა, რომელიც გულისხმობდა კისრის ჩხიმის

ტორები საუბედოე დრამად 8-12 ძროხას ასახელებენ? ჩვენი აზრით, აქ მათი მხრიდან გარკვეულ უზუსტობას აქვს ადგილი. ისინი კისრის ყოველგვარ ჭრილობას ზოგადად საუბედოედ იხსენიებენ და არ აკონკრეტებენ, რომ საუბედოე დრამა მხოლოდ კონკრეტული საუბედოე ძარღვის გაჭრის შემთხვევაში გადახდება დამნაშავეს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ „კისერზე მიყენებულ ჭრილობას საუბედო ჰქვიან და იზრდება 8-დან-12-მდე. გააჩნია ძარღვები არის თუ არა გადაჭრილი და რამდენი ძარღვია დაზიანებული. საუბედო იმიტომ ქვიან, რომ დაკავშირებულია შვილის ყოლასთან." (იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24). აქ კარგად ჩანს, რომ ამ ინფორმატორისათვის კისრის ნებისმიერი ძარღვის (არა მხოლოდ საუბედოე ძარღვის) დაზიანება საუბედოე ჭრილობაა, და თითოეულის გაჭრა შვილიერების პრობლემას უქმნის დაზარალებულს, რაც წარმოადგენს კიდეც უზუსტობას. საუბედოე ჭრილობად, როგორც აღვნიშნეთ, ხევსურთა ნარმოდგენით ითვლებოდა მხოლოდ კონკრეტული საუბედოე ძარღვის გაჭრა და მხოლოდ მისი დაზიანება ქმნიდა შვილიერების პრობლემას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 8-12 ძროხა ეს არ არის საუბედოე დრამის ოდენობა, ხოლო აღნიშნული ინფორმატორები კისერში მიყენებულ ნებისმიერ ჭრილობას მცდარად უწოდებენ საუბედოეს. მაგრამ, ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი ხევსურული რჯულის საკმაოდ კარგი მცოდნენი არიან, (ერთი მათგანი ცნობილი რჯულის კაცის (მოსამართლის) შვილიც ყოფილა და თვითონაც რჯულის კაცი) და ამიტომ კისრის ჭრილობისათვის აღნიშნული გადასახადი მათი მხრიდან შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო დასახელებული. შესაძლოა, ისინი თვითონაც შესწრებიან კონკრეტულ ფაქტს, როდესაც კისერში მიყენებული ჭრილობისათვის რჯულის კაცებს გადაუხდევინებიათ დამჭრელისათვის 8 ძროხა, ან 8-დან 12 ძროხამდე. რაკი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გადასახადი არ ყოფილა საუბედოე ძარღვის გაჭრისათვის გათვალისწინებული დრამის ოდენობა, ხოლო აღნიშნული ინფორმატორები მას უკავშირებენ კისერში მიყენებულ ჭრილობას, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო გადასახადი კისერში მიყენებული მნიშვნელოვანი ჭრილობისათვის, რომელიც არასაუბედოე ძარღვის თუ ძარღვების გადაჭრასთან იქნებოდა დაკავშირებული.

1780 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 41.

1781 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 30.

1782 იქვე.

1783 რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ. იქვე.

გაჭრას, რ. ხარაძის გუდანელი ინფორმატორის მიხედვით ითვალისწინებდა 9 ცხვრის გადახდას. ამ სახის ჭრილობის შესახებ სხვა ინფორმაცია ჩვენ არ მოგვეპოვება. არა გვგონია ხევსურეთის სხვა თემებში კისრის ჩხიმის გაჭრისთვის არსებითად განსხვავებული პასუხისმგებლობა ყოფილიყო დაწესებული.

4.7.3. ბეჭში მიყენებული ჭრილობა. საბეჭე. მხრის დაზიანება. ბეჭში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი – საბეჭე – ხევსურული რჯულით არ იყო დიდი. კერძოდ, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ჭრილობა ბეჭში, ღირს ცხრა ცხვარი.[1784] „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ გამოკითხული რამოდენიმე ხევსური ინფორმატორიც ადასტურებს, რომ ბეჭის ჭრილობა, საბეჭე – სწორედ 9 ცხვარია.[1785] დაახლოებით იგივე ოდენობის გადასახადს ბეჭზე მიყენებული ჭრილობისათვის, კერძოდ, 10 ცხვარს ვხვდებით რ. ხარაძესთან.[1786] ს. მაკალათიას მიხედვით კი აღნიშნული ჭრილობისათვის გადასახადი 3 ძროხაა.[1787] ჩვენ ვთვლით, რომ რადგანაც უმრავლესი სხვადასხვა სანდო წყაროს მიხედვით, კერძოდ, ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის და ჩვენს მიერ მოყვანილი რამოდენიმე ხევსური ინფორმატორის მონაცემებით, ბეჭში მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი ძირითადად იდენტურია (რ. ხარაძის მონაცემში უმნიშვნელო განსხვავება არ არის მხედველობაში მისაღები), შეგვიძლია ვთქვათ: ხევსურული რჯულით „საბეჭე" სწორედ იმ ოდენობისაა რაც ამ მონაცემებშია მოყვანილი.[1788] მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გადასახადის ეს ოდენობა დაწესებულია ბეჭში მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის. ბ. გოგოჭურის მონაცემებით, ბეჭში მიყენებული სწორედ მსუბუქი ჭრილობა იყო შეფასებული 9 ცხვარად. იგივე ღირდა მხარის არეში მიყენებულ მსუბუქი ჭრილობაც.[1789]

ხევსურეთში ბეჭში მიყენებულ ჭრილობას (ცხადია მხედველობაში არა გვაქვს ღრმა ჭრილობა), რომ არ აღიქვამდნენ მძიმე, საშიშ მოვლენად ერთი კონკრეტული შემთხვევიდან ჩანს, რომელიც მ. კეკელიას ინფორმატორს გადახდა თავს. მისი მონაყოლით ქორწილში მოხდა ჩხუბი და იგი ბეჭში ჯიბის დანით დაჭრა 12-13 წლის ბიჭმა. დაჭრილი მალე განიკურნა. რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან სახლში მივიდა იმ ბიჭოს მამა, რომელსაც მოყვა ერთი კაცი და მიიტანა 5-6 ლიტრა არაყი. მან დაზარალებულს უთხრა: „ეს ჩემმა ბავშვმა რომ დაგჭრა ბოდიშს ვიხდი, არც კაცი მინდა, არც შუაკაცი, რამდენსაც ითხოვ იმის ორ ზომად მოგცემო." დაზარალებულმა კი უპასუხა, რომ რადგან იგი მოვიდა

1784 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 7.

1785 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 86; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13; იქვე, 81.

1786 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 172.

1787 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94.

1788 როგორც ვხედავთ, ს. მაკალათიას მონაცემი ოდნავ განსხვავებულია. იგი აღემატება 9-10 ცხვარს, თუმცა ბევრით არა (ხევსურეთში 3 ძროხა 12 ცხვრის ტოლია) და არ არის საერთო ტენდენციიდან ამოვარდნილი. ასეთი მცირედი ცდომილება ჩვეულებრივია ჩვეულებითი სამართლის მონაცემებისათვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, რომლებიც გადასახადების ოდენობას ეხება. რადგანაც მხოლოდ ს. მაკალათიასთან ვხვდებით სხვათაგან მცირეოდენ განსხვავებულ მონაცემს, ამიტომ სხვა, ძირითადად ერთმანეთის იდენტური მონაცემები მივიჩნიეთ ბეჭში მიყენებული ჭრილობისაითვის ხევსურული რჯულით განსაზღვრული გადასახადის უფრო ზუსტ ოდენობად.

1789 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 37.

ბოდიშის მოხდით, მას აღარაფერი უნდოდა. მათ ერთად დალიეს არაყი და ასე დაასრულეს ეს საქმე.[1790] აქ ჩანს, რომ ბეჭის არაღრმა ჭრილობისათვის, რომელიც ადვილად განიკურნა, დაზარალებულმა საერთოდ არ მოსთხოვა დამნაშავე მხარეს დრამის ის ოდენობა, რაც ეკუთვნოდა და ფაქტიურად აპატია იგი. ამაზე, ცხადია, გავლენა მოახდინა დამნაშავის მხრიდან დანაშაულის მონანიებამ და მზადყოფნამ აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი, თუმცა ცხადია, მძიმე ჭრილობის შემთხვევაში ის ასე არ მოიქცეოდა.

ცხადია, ბეჭში მიყენებული ღრმა, მძიმე ჭრილობისათვის აღნიშნული არც თუ დიდი გადასახადი საკმარისი არ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო მინიშნებას ვხვდებით ალ. ოჩიაურთან, რომლის მიხედვითაც საბეჭე 9 ცხვარი იყო, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ იგი გულმკერდსა და მუცელში მიყენებული ჭრილობის მსგავსად „ღრუვში არ არის ჩახედნებული.“[1791] თუმცა რამდენია ბეჭში მიყენებული ღრმა ჭრილობისათვის გადასახადი, როდესაც ჭრილობა „ღრუვშია ჩახედნებული“ ალ. ოჩიაურის მასალებში ვერ მივაკვლიეთ. სავარაუდოდ აქაც დაახლოებით ისეთი გადასახადი იქნებოდა, როგორც გულმკერდსა და მუცლის არეში მიყენებული ღრმა, იარაღის წვერით მიყენებული ჭრილობისას.[1792]

ბეჭსა და მხარში მიყენებული შედარებით მძიმე ჭრილობისათვის გადასახადის შესახებ ცნობას ვხვდებით ბ. გოგოჭურთან. ბეჭისა და მხრის არეში მიყენებული ჭრილობისათვის, რომელიც უშლის ბეჭისა და მხრის ნორმალურ მოძრაობას, ჭრილობის სიმძიმის ხარისხის მიხედვით ცალ-ცალკე ითვალისწინებს 8-დან 12 ძროხამდე ხელითი დრამის გადახდას.[1793] ბუნებრივია, ჭრილობა, რომელიც ბეჭისა და მხრის ნორმალურ მოძრაობას ხელს უშლის მსუბუქ ჭრილობად აღარ ჩაითვლება და შესაბამისად, არც თუ მცირე ოდენობის დრამას მოითხოვს. რ. ხარაძის მიხედვით, მხარის გახმობისათვის 20 ძროხა იყო გადასახადი: „თუ მხარი გაუხმ, მაშინისა 20 ძროხა უნდა.“[1794] „მხარის გახმობა“ მხარში დაჭრის შედეგად მიყენებული ჭრილობის მაქსიმალურად მძიმე შედეგს გულისხმობს და რ. ხარაძე სწორედ ასეთი დაზიანებისათვის გათვალისწინებულ სახდელს მიუთითებს. როგორც დავინახეთ, ბ. გოგოჭურთან მაქსიმალური სახდელი მხრის დაზიანებისათვის 12 ძროხაა. ამ მონაცემთა არაერთგვაროვნების ახსნა შესაძლოა „ალაგისა და გვარის წესით“, ან რ. ხარაძისა და ბ. გოგოჭურის მონაცემების სხვადასხვა პერიოდში დაფიქსირებით, კერძოდ, ბ. გოგოჭურის მონაცემები შედარებით გვიან პერიოდშია დაფიქსირებული და შესაძლებელია მხრის დაზიანებისათვის მაქსიმალური გადასახადი დროთა განმავლობა-

1790 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 66.

1791 ალ. ოჩიაური, იქვე.

1792 მ. კეკელიას მასალებში გვხვდება ბეჭის არეში იარაღის წვერით მიყენებული ჭრილობის განხილვა „სამთელმკვდრო“ ჭრილობად, მკვლელობის მცდელობად. მ. კეკელიას ინფორმატორების განმარტებით, ბეჭში მიყენებული ასეთი ჭრილობისათვის დამჭრელს უნდა გადაეხადა „სამთელმკვდრო“ დრამა 30 ძროხის ოდენობით (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; იქვე, 82). ხევსური ინფორმატორების ეს ცნობა მიუთითებს, რომ შესაძლოა ხევსურ რჯულის კაცებს ბეჭში იარაღის წვერით ჭრილობის მიყენება აღექვათ გულ-მკერდში თუ მუცელში მიყენებული შემავალი ჭრილობის მსგავსად, სიცოცხლისათვის საშიშად, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილზე მიყენებულად (თუნდაც გულთან სიახლოვის გამო) და დამნაშაეისთვის დაეკისრებინათ 30 ძროხის ოდენობის სამთელმკვდრო დრამის გადახდა.

1793 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 37.

1794 რ. ხარაძე, იქვე, 172.

ში შემცირდა. თან აღსანიშნავია, რომ რ. ხარაძე მხოლოდ მხრის მაქსიმალური დაზიანებისთვის გათვალისწინებულ სახდელს უთითებს და მხრის გახმობაზე ნაკლები დაზიანების შესახებ გადასახადზე არაფერს გვეუბნება, რაც ცხადია 20 ძროხაზე ნაკლები უნდა ყოფილიყო. მხრის ასეთი ჭრილობისათვის სახდელი კი ბ. გოგოჭურის მასალაში ჩანს.

4.8. ხელ-ფეხის დაზიანება. ხელისა და ფეხის მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, მათი სახიჩრობა ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით მძიმე ხასიათის დაზიანებად ითვლებოდა. ამ თვალსაზრისით იდენტური დამოკიდებულება ჩანს ძველი ქართული სამართლის ძირითადი ძეგლების მიხედვითაც. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდებით: „მარჯუენა ჴელი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესამედით დაიურვოს." (მუხ. 33). ცაცია ადამიანთან მიმართებაში კი აღნიშნულია: „კაცსა, თუ ლაყოჩა იყოს და მარცხენას ჴელს მარჯუენად იჴმარებოდეს, მარჯუენის ჴელის სისხლი დაეურვოს."[1795] (მუხ. 34). თუ ვინმეს „ფერჴი დაუშავდეს, ანუ მოეკუეთოს, სისხლის მეოთხედი დაეურვოს."[1796] ორივე ხელისა და ფეხის დაშავებისათვის კი ნახევარი სისხლია გათვალისწინებული.[1797] (მუხ. 36). როგორც ვხედავთ, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება ხელის დასახიჩრებას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ფეხის. ასევე, მარჯვენა ხელისთვის მეტ გადასახადს აწესებს, ვიდრე მარცხენისთვის, ცხადია მისი უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე. თან აღსანიშნავია, რომ ცაცია ადამიანისათვის მარცხენა ხელის სახიჩრობას ძეგლი მარჯვენის თანაბრად განიხილავს. სამწუხაროდ, ძეგლისდებაში არაფერია ნათქვამი მარცხენა (შესაბამისად, ცაცია ადამიანისათვის მარჯვენა) ხელის სახიჩრობისათვის საზღაურის ოდენობის შესახებ, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ძეგლი ჩვენამდე გარკვეული ხარვეზებით არის მოღწეული. ბექა-აღბუღას სამართალი ფეხისა და ხელის სახიჩრობას ძეგლისდებისაგან განსხვავებით, თანაბრად აფასებს: „ჴელი თუ ანუ ფეჴი მოეკუეთოს ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს."[1798] ბექა-აღბუღას სამართლის დებულებას ფაქტიურად იმეორებს ვახტანგის სამართალიც: „ ..... ცალი ჴელი ასრე დაუშავდეს, რომე არცერთი თითი საჴმარად აღარ მოურჩეს, და ან ცალი ფეჴი ასრე დაუშავდეს, რომ საჴმარად აღარა ქონდის, – ამაებისთვის მესამედი სისხლი მიეცემის, რასაც გვარისა იყოს."[1799] „ორივ ჴელი, ან ორივ ფეჴი კაცმან კაცს ასრე დაუშაჳოს და ასრე წაუჴდინოს, რომ ..... არცე[რ]თი ჴელი აღარად საჴმარ იყოს, არცე[რ]თი ფეჴი აღარად საჴმარ ქონდეს ..... იმ კაცის სიკუდილი არის და ..... მთელი სისხლი....."[1800]

ქართული სამართლის ძეგლებში ხელ-ფეხის სახიჩრობის შეფასება სისხლის მესამედად (თუნდაც „ძეგლისდებით" ფეხის სახიჩრობის შეფასება სისხლის მეოთხედად, რაც გამონაკლისია) მიუთითებს, რომ ძველი ქართული სამართალი აღნიშნულ ქმედებას მძიმე დანაშაულად მიიჩნევს. გამომდინარე იქედან რომ ამ ძეგლების ძირითადი წყარო ჩვეულებითი სამართალია, აღნიშნული ტენ-

1795 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 416.

1796 იქვე.

1797 იქვე.

1798 იქვე, 428.

1799 იქვე, 494.

1800 იქვე, 493.

დენცია სწორედ ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარე უნდა იყოს. ვახტანგის სამართლის წიგნით ორივე ხელის და ფეხის ერთდროული სახიჩრობის გათანაბრება ადამიანის სიკვდილთან და სრულ სისხლად შეფასება ასევე მეტყველებს თუ რაოდენ მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა ეს ქმედება. საგულისხმოა, რომ ვახტანგის მიერ შექმნილმა საკანონმდებლო კომისიამ არ გაიზიარა გიორგი ბრწყინვალის დამოკიდებულება ორივე კიდურის სახიჩრობისთვის მხოლოდ სისხლის ნახევრის დაკისრების შესახებ და ამ ქმედებისათვის სრული სისხლი დააწესა (ვახტანგის კომისიას ცხადია ხელთ ჰქონდა გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდება და წყაროდაც იყენებდა მას). შეინიშნება გარკვეული დაუსრებელი პოლემიკაც კი ვახტანგის კომისიისა ძეგლისდების ავტორებთან. კერძოდ, არაა გამორიცხული რომ ვახტანგის სამართალში გამოხატული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ორივე ხელ-ფეხის სახიჩრობა „კაცის სიკუდილი არის," ძეგლისდების ნორმის პასუხადაა მოყვანილი და არ იზიარებს მის პოზიციას, რომ ასეთი ქმედებისთვის მხოლოდ სისხლის ნახევარი უნდა ყოფილიყო დამნაშავისთვის დაკისრებული.

ძეგლების მიხედვით, თანაბრადაა შეფასებული ხელ-ფეხის მოკვეთა და სახიჩრობა, როდესაც ხელფეხის მოკვეთას ადგილი არ ჰქონია. კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებაში ნახსენები „მოეკუეთოს" და „დაუშავდეს[1801] დაკოდილობითა" შესაბამისად გულისხმობს – პირველი, ხელ-ფეხის სრულ მოკვეთას და მეორე, დასახიჩრებას (ფუნქციის სრულ მოშლას) მოკვეთის გარეშე. იგივეა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში მოცემული „მოეკუეთოს" და „ერთობ დაუშავდეს." ხელ-ფეხის დაშავება, სახიჩრობა (როდესაც მათ მოკვეთას არა აქვს ადგილი) იმიტომაა გათანაბრებული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მოკვეთასთან, რომ იგი დაკავშირებულია კიდურების ფუნქციის სრულ მოშლასთან და ამდენად, ასეთი დაშავების შედეგი ხელ-ფეხის გამოყენებადობის მხრივ არ განსხვავედება მათი მოკვეთისაგან. ვახტანგის სამართლის წიგნით „დაუშავოს" დასახიჩრებას გულისხმობს, ხოლო „წაუჭდინოს" დაზიანებას, როდესაც დაზარალებულს აღარ შეუძლია ხელ-ფეხის გამოყენება, ვერ ხმარობს ვერცერთ თითს.

მძიმე დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ხელ-ფეხის დასახიჩრება ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც. მაგალითად, ოსურ ჩვეულებით სამართალში ხელ-ფეხის დასახიჩრება ნახევარ სისხლადაა შეფასებული.[1802] ინგუშური სამართლის მიხედვით, კი ხელის მოკვეთისათვის მხრიდან და იდაყვიდან, ასევე, მტევნის მოკვეთისათვის გადაიხდებოდა 70 ძროხა და დამატებით „ბარჩი" (საპატიო გადასახადი, ღირსების შეურაცხყოფისათვის) არა ნაკლებ 40 მანეთისა. ასევე აუცილებელი იყო გამასპინძლება საღამოს ორი დიდი ცხვრით, ხოლო დილით ერთი ცხვრით, 10 ან 8 ქვაბი არყით.[1803] თუ გავითვალისწინებთ რომ ინგუშეთში სრული სისხლი 130 ძროხად იყო შეფასებული, ხელის მოკვეთისათვის გათვალისწინებული 70 ძროხა სისხლის ნახევარზე ოდნავ მეტს უდრის. თუ ხელის დასახიჩრება (თ. ლეონტოვიჩის განმარტებით, მისი მოძრაობის შეუძლებლობა)

1801 როგორც ზემოთ აღინიშნა, „დაშავება" ქართული სამართლის ძეგლებში დასახიჩრების მნიშვნელობით იხმარება.

1802 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 137.

1803 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1882, 165.

მოჰყვებოდა მხრის არეში მიყენებულ ჭრილობას, გადასახადი ასევე 70 ძროხა იყო, თუმცა ბარჩის, ორი დიდი ცხვრის და 8 ქვაბი არაყის გარეშე.[1804] როგორც ვხედავთ, ქართული სამართლის ძეგლების მსგავსად, ინგუშურ სამართალშიც ხელის მოკვეთისათვის იგივე სახდელია დაწესებული, რაც მისი დასახიჩრებისათვის, როდესაც მოკვეთას არა აქვს ადგილი, თუმცა ხელის ფუნქციონირება სრულიად მოშლილია – ორივე შემთხვევაში 70 ძროხა. მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებითი გადასახადის (ბარჩი, ორი ცხვარი, არაყი) დაკისრებას ადგილი აღარ ჰქონდა. ფეხის მოკვეთისათვის ბარძაყიდან ან მუხლიდან და ტერფის მოკვეთისათვის გადაიხდება 70 ძროხა და ბარჩის სახით ცხენი,[1805] ანუ ხელის მოკვეთის მსგავსად სისხლის ნახევარზე ცოტათი მეტი.

ახლა განვიხილოთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები ხელ-ფეხის სახიჩრობის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში. თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ხელ-ფეხის დასახიჩრებას (გაუხმაროებას) იწვევდა ჭრილობის მიყენება ისეთ ადგილას, სადაც ძარღვებია ერთად თავმოყრილი და ჭრილობა ამ ძარღვს გადაჭრის. ამის გარდა ხელ-ფეხი მაშინ გაუხმაროვდებოდა, როდესაც, როგორც ხევსურეთში იტყვიან, „დაბაყლდებოდა“, ანუ დაჩირქდებოდა, ჩირქი დახეთქავდა ძარღვებს და გაწყვეტდა. შედეგად ხელს თუ ფეხს მოძრაობის უნარი დაეკარგებოდა.[1806] ჭრილობის დაჩირქების და შედეგად ხელ-ფეხის გაუხმარობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო არა მძიმე ჭრილობა, არამედ მსუბუქი ჭრილობის სათანადოდ მოუვლელობა, ან ადგილობრივი დასტაქრის მხრიდან არასწორი მკურნალობა, ჰიგიენური პირობების დაუცველობა.[1807]

სვანურ ჩვეულებით სამართალში ხელ-ფეხის დაზიანება თვალის დაზიანების მსგავსად ნახევარ წორად იყო შეფასებული. მ. კეკელიას ყველა სვანი ინფორმატორი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, სწორედ ამას ადასტურებს.[1808] აღსანიშნავია რომ იგივეს მიუთითებენ ინფორმატორები ბალს ქვემო სვანეთიდან.[1809]

მ. კეკელიას მონაცემებში ასევე ჩანს სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება ხელ-ფეხის სახიჩრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას. ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით, ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის ნახევარი წორი დამნაშავეს ეკისრებოდა მხოლოდ დანაშაულის განზრახ ჩადენის შემთხვევაში.[1810] ერთ-ერთი მათგანის თქმით კი გაუფრთხილებლობისას ნაკლებ გადასახადს აკისრებდნენ და შესაძლოა მხოლოდ საჩუქრების მიტანით დასრულებულიყო საქმე, ანუ წორის გადახდის გარეშეც.[1811]

1804 იქვე.

1805 იქვე, 167.

1806 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/21, 250.

1807 იქვე, 10/18, 214.

1808 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 26, 55; №2, 1968, 68, 103; №3, 1968, 12, 42, 83; №4, 1968, 8, 57; №5, 1968-1969, 12, 37, 51, 79; №6, 1969, 93. მხოლოდ ერთადერთი ინფორმატორი აცხადებს, რომ ფეხის სახიჩრობა ფასდებოდა სისხლის მესამედად (იქვე, №2, 55), რაც მოცემული მრავალრიცხოვანი განსხვავებული მონაცემის ფონზე, რომელთა მიხედვითაც ფეხის სახიჩრობა ნახევარი წორია, უზუსტობა უნდა იყოს.

1809 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 77, 105.

1810 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 34; №2, 1968, 68.

1811 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 34.

სხვადასხვა პერიოდის ავტორთა (ბ. ნიჟარაძე, მ. კოვალევსკი, ეგ. გაბლიანი, დ. დავითულიანი) მონაცემებითაც, ხელ-ფეხის სახიჩრობისთვის ასევე ნახევარი წორი იყო გათვალისწინებული.[1812] აღნიშნული მიუთითებს, რომ ხელ-ფეხის დასახიჩრებისათვის პასუხისმგებლობა დროთა განმავლობაში არ შეცვლილა და საკმაოდ დიდ ანაზღაურებას გულისხმობდა – სრულ სისხლთან მიმართებაში უფრო მეტს, ვიდრე ეს ძირითადი ქართული სამართლის ძეგლებით იყო გათვალისწინებული.

ხელ-ფეხის დასახიჩრებისათვის სისხლის ნახევარი ჩანს თუშეთის ჩვეულებით სამართალშიც.[1813] იგივე ფიქსირდება ფშავშიც, მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.[1814] თუ ერთი ხელის ან ფეხის დასახიჩრება „ნახევარ სიკვდილად" ფასობდა, ერთდროულად ორივე ხელის თუ ფეხის, შესაბამისად, სრულ სისხლად, ე. ი. 60 ძროხად.[1815] აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ლიტერატურაში (ძირითადად XIX საუკუნის დასასრულის) განსხვავებული მონაცემებია გადმოცემული. ვაჟას მიხედვით, ფშავში მთელი ხელი შეფასებული იყო 15 ძროხად.[1816] იგივე მონაცემს ასახელებს ს. მაკალათია.[1817] მ. კოვალევსკისა და რ. ერისთავის მიხედვით, სახიჩრობის ყოველი სახე (მათ შორის ხელ-ფეხის სახიჩრობა) 16 ძროხად იყო შეფასებული.[1818]

როგორც ვხედავთ, ფშავში ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის საზღაურის ოდენობის შესახებაც თვალის სახიჩრობის მსგავსად არსებითად განსხვავებული მონაცემებია. კერძოდ, თუ XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორების ცნობით ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გადასახადი ნახევარი სისხლია, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I ნახევარის უმეტეს ავტორთა მიხედვით, დაახლოებით ამის ნახევარი: 15, 16 ძროხაა. ამ პერიოდის მასალებიდან შედარებით განსხვავებული ცნობა ალ. ხახანაშვილს ეკუთვნის, რომლის მიხედვით გადასახადი აღნიშნულ ოდენობას აღემატება. ამასთან ეს ავტორი განასხვავებს გადასახადს ხელისა და ფეხის სახიჩრობისათვის. მისი განმარტებით, ხელის მოჭრა 24 ძროხად ფასდებოდა, ფეხისა – 40 ძროხად.[1819] ასევე, ფეხის სრული მოკვეთისაგან განასხვავებს ფეხის ისეთ გაფუჭებას, რაც კაცის დაკოჭლებას („გახაიბრებას") იწვევს. ამ უკანასკნელისათვის გადასახადად 16 ძროხას მიუთითებს.[1820] თუ გავითვალისწინებთ, რომ ალ. ხახანაშვილის მიხედ-

---

1812 იხ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 179.

1813 И. Цискаров, Заметки о Тушетии. «Кавказ», 1849, №11; სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, 1937, ხელნაწერი, პირადი არქივი, 171.

1814 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, თბ., 17, 98; მ. კეკელია, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 25.

1815 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 79.

1816 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 72.

1817 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 79.

1818 М. Ковалевский, Пшавы, юридический вестник. Т. 7, 1888, 218; რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93.

1819 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „იერია", 1888, №185.

1820 იქვე.

ვით, ფშავში სრული სისხლი 80 ძროხა იყო, ფეხის მოკვეთისათვის გათვალისწინებული 40 ძროხა, სისხლის ნახევარი გამოდის.

როგორც თვალის სახიჩრობასთან დაკავშირებით აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი განსხვავებული მონაცემები ტრადიციულად ახსნილია იმით, რომ ერთი რეგიონის სხვადასხვა თემშიც კი შესაძლოა განსხვავებული წესები არსებობდეს, ანუ „ალაგისა და გვარის წესით."[1821] სხეულის ორგანოების (თვალის, ხელ-ფეხის) სახიჩრობასთან დაკავშირებულ მონაცემთა შორის განსხვავებას დ. ჯალაბაძე იმითაც ხსნის, რომ, შესაძლოა, ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გათვალისწინებული საზღაურის ოდენობის გაზრდა 15-16-დან 30 ძროხამდე (რაც XX საუკუნის დასასრულის ეთნოგრაფიული მონაცემებით ფიქსირდება), განპირობებული იყო ფშაველთა შედარებითი მატერიალურ-ეკონომიკური მომძლავრებით.[1822] ო. ზოიძე განსხვავებულად უყურებს აღნიშნულ პრობლემას. მისი განმარტებით, XX საუკუნის დასასრულის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სახიჩრობის საზღაურზე არსებული ყველა მონაცემი ჩაწერილია პანკისის ხეობაში მცხოვრებ ფშაველთაგან. საკუთრივ ფშავის რეგიონში ფშავლებს სახიჩრობის რჯული არ ახსოვთ. არაა გამორიცხული პანკისელი ფშავლების სამართლებრივ ჩვეულებებზე ქისტური ჩვეულებითი სამართლის ზეგავლენა, რომლის მიხედვითაც სახიჩრობის საზღაური ნახევარი სისხლია, ანუ 30 ძროხა. XIX საუკუნის დასასრულის ავტორები კი სახიჩრობის საზღაურების დასახელებისას საკუთრივ ფშავში შეკრებილ მასალებს ეყრდნობიან (მათ შორის გარკვეულ განსხვავებას ო. ზოიძე „ალაგისა და გვარის წესის" გამოვლინებად მიიჩნევს). აქედან გამომდინარე ო. ზოიძე დაასკვნის, რომ ფშავში არსებული სახიჩრობის საზღაურების ოდენობას უფრო რეალურად ასახავს XIX საუკუნის დასასრულის ლიტერატურა და არა XX საუკუნის დასასრულის ეთნოგრაფიული მასალა.[1823] უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ავტორები საერთოდ არ განიხილავენ ალ. ხახანაშვილის სწორედ XIX საუკუნის დასასრულის მონაცემს, რომლის მიხედვითაც ფეხის მოჭრისათვის გადასახადი 40 ძროხაა.

ვაჟას მონაცემის სანდოობა ეჭვს არ იწვევს და ამდენად მისი ცნობა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს უტყუარი. საფიქრებელია რომ, XIX საუკუნის დასასრულისთვის და XX საუკუნის დასაწყისისთვის ფშავში ხელის სახიჩრობისათვის გადასახადი სწორედ 15-16 ძროხა უნდა ყოფილიყო, რასაც ვაჟას გარდა ადასტურებენ მ. კოვალევსკი, რ. ერისთავი, ს. მაკალათია. იგივე მონაცემია ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით. ამდენად, ჩვენ ვიზიარებთ ო. ზოიძის მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში ასახული მონაცემების რეალურობის შესახებ. რაც შეეხება ალ. ხახანაშვილის განსხვავებულ მონაცემებს ხელ-ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით, ისინი მართლაც შეიძლება აიხსნას „ალაგისა და გვარის წესით". კერძოდ, სრულიად შესაძლებელია ფშავის რომელიმე თემში ხელის სახიჩრობისათვის გადასახადი ყოფილიყო არა 15-16 ძროხა, არამედ 24, როგორც ეს მითითებულია ალ. ხახანაშვილთან.[1824] აღსა-

1821 იხ. დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 111; ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის –„ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 132-133.

1822 დ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., 110-111.

1823 ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 133-134.

1824 როგორც ზემოთ გამოჩნდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედ-

ნიშნავია, რომ ეს ავტორი ფეხის „გახაიბრებისათვის" საზღაურს ამ პერიოდის სხვა ავტორთა მიერ მითითებულ ფარგლებში ასახელებს, კერძოდ, 16 ძროხას. მხოლოდ ძალზედ განსხვავებულია ალ. ხახანაშვილის მონაცემი ფეხის მოკვეთასთან დაკავშირებით – 40 ძროხა. ის რომ ალ. ხახანაშვილი განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდის ფეხის სრულად მოკვეთისათვის და დაკოჭლებისთვის (როდესაც ფეხის მოკვეთა არ ხდება, ანუ შედარებით ნაკლები ხარისხის სახიჩრობისათვის, რაც არ არის დაკავშირებული ფეხის ფუნქციის სრულ მოშლასთან) დაწესებული გადასახადების შესახებ, სავსებით ლოგიკურია. სხვადასხვა ხარისხის სახიჩრობისთვის განსხვავებული საზღაური სრულიად ბუნებრივია (მეზობელ ხევსურეთში, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო) და გასაკვირი არაა ფშაეშიც ჰქონოდა ამას ადგილი.[1825] სრულიად შესაძლებელია, ფეხის მოკვეთისათვის, შედარებით მძიმე ხარისხის დასახიჩრებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადი მეტი ყოფილიყო, ვიდრე 15 ან 16 ძროხაა, რაც აისახა კიდეც ალ. ხახანაშვილთან.[1826]

ამრიგად, გამოდის რომ ალ. ხახანაშვილის მიხედვით, ფეხის „გახაიბრებისათვის" (როდესაც ფეხის სრულ მოკვეთას არ აქვს ადგილი) გადასახადი დაახლოებით იმდენივეა, რაც დაფიქსირებულია ვაჟა-ფშაველასთან, მ. კოვალევსკისთან და სხვებთან. ამ ავტორებისგან განსხვავებული მონაცემი ალ. ხახანაშვილს მოყვანილი აქვს მხოლოდ ხელ-ფეხის სრულ მოკვეთასთან მიმართებაში. ჩვენი ვარაუდით, ამ ავტორთან გადმოცემული ზოგადი პრინციპი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ხარისხის სახიჩრობისას განსხვავებულ გადასახადს, სრულიად შესაძლებელია ფშავისთვისაც ყოფილიყო დამახასიათებელი, თუნდაც მისი რომელიმე თემისთვის, ან შედარებით ადრეულ ეტაპზე. ვარაუდის სახით არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ვაჟა-ფშაველას, მ. კოვალევსკის, რ. ერისთავის, ს. მაკალათიას ცნობა ზოგადი მონაცემია, რომელიც ასახავს ყველაზე უფრო გავრცელებულ საზღაურს ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის და არ ითვალისწინებს დიფერენცირებულ გადასახადს მათი სხვადასხვა ხარისხის სახიჩრობისათვის, რასაც ალ. ხახანაშვილის ცნობის გათვალისწინებით შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ფშავში, კერძოდ, ხელ-ფეხის სრული მოკვეთისათვის მეტი გადასახადი ყოფილიყო, ვიდრე სახიჩრობისათვის, როდესაც მათ მოკვეთას არ ჰქონდა ადგილი.

ვითაც, ალ. ხახანაშვილის ცნობა ფშავში სისხლის ფასის შესახებ (80 ძროხა) შედარებით ძველ პერიოდს ეხება. დროთა განმავლობაში კი სისხლის ფასი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე 60 ძროხამდე ჩამოემცირა (იხ. ო. ზოიძე, დასახ, ნაშრ., 124-126). ხელის სახიჩრობის გადასახადს ალ. ხახანაშვილი უშუალოდ სისხლის ფასზე საუბრის შემდეგ ეხება. არაა გამორიცხული სისხლის ფასის ანალოგიურად, ხელის სახიჩრობის, მისი სრული მოკვეთისათვის გადასახადი ასევე შედარებით ძველი პერიოდისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი და შემდეგ პერიოდში შემცირებულიყო.

1825 მხოლოდ ასეთი დიდი გადასახადი ფეხის მოკვეთისათვის (40 ძროხა) არათუ ფშავის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალებშიც კი არსად ფიქსირდება. საფიქრებელია რომ, ასეთ გადასახადს ფშავში აღნიშნული დანაშაულისათვის შედარებით ადრეულ პერიოდში ჰქონოდა ადგილი და შემდეგ სისხლის ფასის ოდენობასთან ერთად შემცირებულიყო. აქედან გამომდინარე, თუ ვივარაუდებთ, რომ ფეხის სრული მოკვეთისათვის ალ. ხახანაშვილი სისხლის ნახევარს გულისხმობდა, სისხლის ფასის 80-დან 60 ძროხამდე შემცირების შესაბამისად ფეხის მოკვეთის საზღაურიც 40 ძროხიდან 30 ძროხამდე უნდა შემცირებულიყო.

1826 ალ. ხახანაშვილის მასალების მიხედვით ამ თვალსაზრით ეერაფერს ვიტყვით ხელის სახიჩრობასთან დაკავშირებით. იგი გვაწვდის მონაცემს ხელის სრული მოკვეთის შემთხვევაში გადასახადის შესახებ (24 ძროხა), თუმცა ფეხისგან განსხვავებით ცალკე არ გამოყოფს საზღაურს ხელის სახიჩრობისათვის, თუ მის სრულ მოკვეთას არ ექნებოდა ადგილი. ამის მიზეზის დადგენა დღეს ძნელია და ამიტომ აღნიშნულ საკითხზე ვარაუდების გამოთქმისაგან თავს შევიკავებთ.

ახლა რაც შეეხება XX საუკუნის დასასრულის ეთნოგრაფიულ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გადასახადი 30 ძროხაა. როგორც დავინახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს აღიქმება საზღაურის ზრდად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მონაცემებით გათვალისწინებულ გადასახადის ოდენობასთან შედარებით. დროთა განმავლობაში გადასახადის კორექტირება ჩვეულებით სამართალში ბუნებრივი მოვლენაა და თუ ფშავში ხელ-ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით ამას ჰქონდა ადგილი, გასაკვირი არ უნდა იყოს. ამის მიზეზი კი სრულიად შესაძლებელია ყოფილიყო ფშაველთა მატერიალური მოძლიერება, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ასახული. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის 30 ძროხა მეტია ვაჟა-ფშაველას, მ. კოვალევსკის, რ. ერისთავის და ს. მაკალათიას მონაცემებთან შედარებით. ალ. ხახანაშვილის მონაცემზე კი, რომლის მიხედვითაც, ფეხის მოკვეთისათვის გადასახადის ოდენობა 40 ძროხაა, ნაკლებიც კი არის. ალ. ხახანაშვილის მონაცემის იგნორირება დაუშვებელია, ამდენად არ შეიძლება ცალსახად საუბარი იმაზე, რომ XX საუკუნის ბოლოს ეთნოგრაფიულ მასალებში დაფიქსირებული ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გადასახადი – 30 ძროხა გაზრდილი მონაცემია XIX საუკუნის ბოლოდროინდელ ლიტერატურაში გადმოცემულ ყველა მონაცემთან შედარებით. თუ ფშავში ფეხის სრული მოკვეთისათვის XIX საუკუნეში საზღაური იყო 40 (თუნდაც 30) ძროხა, როგორც ეს ალ. ხახანაშვილთან ჩანს, მაშინ XX საუკუნის დასასრულის ეთნოგრაფიულ მონაცემებში დაფიქსირებული 30 ძროხა არსებითად განსხვავებულ მონაცემად ვერ ჩაითვლება. თან აღსანიშნავია ისიც, რომ ფშაველ ინფორმატორთა ცნობით 30 ძროხა არის გადასახადი სწორედ ფეხის მოჭრისათვის (იგივეა ხელთან დაკავშირებითაც).[1827] ზემოთმოყვანილ ვარაუდს თუ მივყვებით, არაა გამორიცხული, რომ XX საუკუნის დასასრულის ფშაველი ინფორმატორებიც გვაწვდიან ზოგად მონაცემს, რომელიც არ ითვალისწინებს დიფერენცირებულ გადასახადს ხელ-ფეხის სხვადასხვა ხარისხის სახიჩრობისთვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ მაგალითად, ფეხის სახიჩრობისთვის, რომელმაც მისი ფუნქციის შედარებით ნაკლები ხარისხის მოშლა გამოიწვია, გადასახადი იგივე 30 ძროხა ყოფილიყო, როგორც ფეხის სრული მოკვეთისას. აღნიშნული ფაქტორი კი XX საუკუნის დასასრულის ფშაველი ინფორმატორების მონაცემებში არ ფიქსირდება.

სრულიად შესაძლებელია ფშავში ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის დადგენილ გადასახადს დროთა განმავლობაში კორექტირება განეცადა, ან სხვადასხვა თემში გადასახადის განსხვავებული ოდენობა ყოფილიყო, მაგრამ ვთვლით რომ სხვადასხვა ავტორებთან, ფშაველ ინფორმატორებთან განსხვავებული მონაცემების არსებითი მიზეზი ამის გარდა არის ის, რომ მათი ცნობები არ ითვალისწინებს ხელ-ფეხის სახიჩრობის განსხვავებული ხარისხის გამო გადასახადის ოდენობისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. ასეთი მიდგომა გამოხატულია მხოლოდ და მხოლოდ ალ. ხახანაშვილთან, ისიც ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით, რაც სწორი ტენდენციის ასახვა უნდა იყოს და აქედან გამომდინარე დასაშვებია, რომ ხელ-ფეხის მაქსიმალური ხასიათის დაზიანებისათვის

1827 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 1987, 17, 98.

ყოფილიყო შედარებით დიდი გადასახადი (მაგალითად, 24, 30 ძროხა, ან მეტი), ხოლო უფრო ნაკლები ხარისხის დაზიანებისათვის შედარებით მცირე.

ხელ-ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მონაცემები ფიქსირდება ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც.

ამ საკითხზე უპირველეს ყოვლისა ცალკეულ ავტორთა მონაცემებს მოვიყვანთ. ხევსურული რჯულის უბადლო მცოდნე, თავად რჯულის კაცი ბ. გაბუური XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა: „თუ ხელს სჭირს ნაჭრევი და ხელი სრულად გაუხმა, მაშინ ოცდაათი ძროხა უნდა აიღას დაჭრილმ.....კიდევ თუ ფეხით დაკოჭლდა, მაშინაც ოცდაათს ძროხას აიღებს."[1828] ხელის და ფეხის მთლიანად დასახიჩრებისათვის 30 ძროხის გადახდას ვხედავთ მ. კოვალევსკისთან და გ. თედორაძესთანაც.[1829] ფეხითი დაკოჭლებისთვის 30 ძროხის გადასახადს ვხვდებით თ. ოჩიაურთანაც.[1830] ნ. ხიზანაშვილის მიხედვით კი ფეხის დასახიჩრება უფრო მეტად ფასდებოდა, ვიდრე ხელისა: „თუ კაცი დაჭრილობისაგან დაკოჭლდა, 30-35 ძროხა ერგება ხაიბრობისა-გვარად, ხელის დაშავებისათვის დადებულია 16-20 ძროხა. ამ შემთხვევაში მარჯვენა ასოს უფრო მეტი ეძლევა, ვიდრე მარცხენას ორი-სამის ძროხით.....მუხლის დაჭრა და გახაიბრება 30-35 ძროხად ჰღირს,"[1831] ხელ-ფეხის სახიჩრობისთვის განსხვავებულ მონაცემს გვაწვდის რ. ერისთავიც, რომლის მიხედვითაც, ფეხის დასახიჩრება 24 ძროხა ღირდა, მარჯვენა ხელის – 25, მარცხენა ხელის – 22.[1832] ნ. ხუდადოვის თანახმად კი ხელის და ფეხის დაზიანება 16 ძროხას მოითხოვდა.[1833] იგივე მონაცემი ფიქსირდება გ. დოლიძის „ხევსურულ ტექსტებში" ხევსური ინფორმატორის მიერაც.[1834]

ალ. ოჩიაურის ერთი ინფორმატორის მონაცემებით ხელისა და ფეხის სრული დასახიჩრება 16 ძროხად ფასდებოდა.[1835] საინტერესოა, რომ ალ. ოჩიაურის იმავე მასალაში ვხვდებით მონაცემს, რომლის მიხედვითაც, ფეხის მთლიანი გახმობა, ანუ დასახიჩრება შეფასებული იყო 30 ძროხად.[1836] ამდენად, ალ. ოჩიაურის ერთსა და იმავე მასალაში ფეხის სრული დასახიჩრებისათვის ორ განსხვავებულ საზღაურს ვხვდებით. ალ. ოჩიაური რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევაშიც ეხება ხელ-ფეხის სახიჩრობისთვის საზღაურის დაკისრებას. მაგალითად, ერთ-ერთი შუღლის შედეგად ხელის არეში, კერძოდ, იდაყვში მძიმედ დაჭრილს (სახელად ბაბოს) ხელი დარჩა გაშლილი, ვეღარ ღუნავდა და რჯულის

1828 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საეკლესიო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 141-142.

1829 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе. Т. 2, М. 1890, 119.; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 113.

1830 თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, თ. ო. 48, 21.

1831 ნ. ხიზანაშვილი, უთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52-53. ფაქტიურად იგივეს იმეორებს ს. მაკალათიაც (იხ. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95).

1832 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, ვამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93; ზუსტად იგივე მონაცემს ვხვდებით ალ. ყამარაულთან (ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109).

1833 Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887, 17.

1834 გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 64.

1835 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 6.

1836 იქვე, რვეული №3, 41.

კაცებმა ხელის „გაუხმარება“ 16 ძროხად შეაფასეს.[1837] მეორე შემთხვევა ფეხის „გახაიბრებას“ ეხება, როდესაც ვინმე აბიკათ გიგიამ ხანჯლის წვერით ბარძაყში დაჭრა უთურგათ დავითი. მოქნეული ხანჯალი მეორე ფეხის ბარძაყში სანახევროდ შევიდა. დაჭრის შედეგად ეს „გახერეტილი“ ფეხი დასახიჩრდა, რადგან ძარღვები იყო დაჭრილი და იგი მუხლიდან ვეღარ იღუნებოდა. ფეხის ასეთი სახიჩრობა რჯულის კაცებმა 16 ძროხად შეაფასეს. მეორე ბარძაყის ჭრილობა კი სადრამე არ აღმოჩნდა.[1838] კიდევ ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხელში (მკლავში) დაჭრას. აღნიშნული ჭრილობა დაჩირქდა და დაჭრილი სიკვდილს ძლივს გადაურჩა. დამჭრელმა დაჭრილს „საუხმრო“ გადაუხადა, რადგანაც ხელის გახმობას ჰქონდა ადგილი. რჯულის კაცებმა ასეთი ჭრილობა 25 ძროხად შეაფასეს.[1839] ალ. ოჩიაურს აღწერილი აქვს ფაქტი, როდესაც ხელის სახიჩრობისათვის რჯულის კაცებმა დამჭრელს დააკისრეს მხოლოდ 9 ძროხა. ასეთი მცირე გადასახადის მიზეზად ავტორი ასახელებს იმას რომ, ხელი ნახევრად იყო გახაიბრებული.[1840]

ხელ-ფეხის არეში სახიჩრობისათვის საზღაურის ოდენობის შესახებ საკმაოდ მრავალფეროვან მონაცემებს გვანდის რ. ხარაძე. მისი განმარტებით: „თუ ნაჭრევისაგან მთელი ხელი გახმა მაშინაც საუხმაროე დრამაა გადასახდელი და დამნაშავე იხდის 30 ძროხას. თუ იდაყვშია ჭრილობა მიყენებული, მაშინ დამნაშავე იხდის 12 ძროხას. თუ ხელი საზალტეში (მაჯაში) გაფუჭდა, მაშინ დამნაშავე იხდის 12 ძროხას.“[1841] მთელი ფეხის „გახმობა,“ რ. ხარაძის თანახმად, ხელის მსგავსად 30 ძროხად ფასდებოდა. მუხლის ჭრილობაც საუხმაროე დრამის – 30 ძროხის გადახდას მოითხოვდა, ხოლო საბაწრეზე (კოჭში) მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი 8-10 ძროხამდე ადიოდა.[1842] მ. ბალიაურის მიერ არხოტში ჩაწერილი მონაცემით, თუ ადგილი ჰქონდა ხელ-ფეხის გაფუჭების შედეგად შრომის უნარის დაკარგვას (ეს უდრის სხვა ავტორების მიხედვით ხელ-ფეხის სრულ, მთლიან გახმობას), მაშინ დამნაშავეს უნდა გადაეხადა 30 ძროხა. ხელ-ფეხის გაფუჭების შემთხვევაში (სავარაუდოდ, ავტორი გულისხმობს ჭრილობის მიყენებას, რომელმაც ხელ-ფეხის არასრული სახიჩრობა, შრომის უნარის არასრული მოშლა გამოიწვია) ქონებრივი საზღაურის ოდენობას დაჭრილის მკურნალი აქიმის მონაწილეობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრადვნენ ჭრილობის სიმძიმის მიხედვით. აქიმის მონაწილეობა აუცილებელი იყო, რადგანაც მას უნდა დაემოწმებინა რჯულის კაცებისათვის ჭრილობის რაობის შესახებ.[1843]

ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის საზღაურის ოდენობის შესახებ არაერთგვა-

---

1837 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 18.

1838 იქვე, 23-24.

1839 იქვე, ა. ო. 6/5, 54.

1840 იქვე, ა. ო. 6/6, 68.

1841 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173. ტერმინი „გაფუჭება“ სახიჩრობას უნდა მიუთითებდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხელის მაჯაში „გაფუჭება“ უნდა გულისხმობდეს ისეთ ჭრილობას, რომელმაც ხელის ფუნქციის გარკვეული არასრული მოშლა, ნაწილობრივი სახიჩრობა გამოიწვია. იგივე უნდა იგულისხმებოდეს იდაყვში მიყენებულ ჭრილობასთან დაკავშირებითაც.

1842 რ. ხარაძე, იქვე, 173.

1843 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 264.

როვანი ცნობები გვხვდება მ. კეკელიასა და მისი დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც.

რამოდენიმე ხევსური ინფორმატორი ცალსახად მიუთითებს რომ ხელის და ფეხის დასახიჩრებისთვის, გახმობისთვის გადასახადი იყო 30 ძროხა.[1844] ერთი ინფორმატორის ცნობით კი გადასახადი მხოლოდ 16 ძროხაა.[1845]

საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ხევსურეთში ხელ-ფეხის სახიჩრობის შესახებ ბ. გოგოჭურის მონაცემებში. მისი განმარტებით ფეხზე მიყენებული ჭრილობა, რამაც განკურნების შემდეგ გამოიწვია კაცის გახაიბრება-დაკოჭლება, ფეხის მოჭრა ითვალისწინებს 30 ძროხის ღირებულების დრამის გადახდას. შედარებით ნაკლები ღირს ფეხის გახაიბრება კოჭიდან და მუხლიდან, კერძოდ, ფეხის გახაიბრების ხარისხის მიხედვით 8, 12, 16, ან 20-25 ძროხის ღირებულების დრამის გადახდა. ხელის სრული გახაიბრება მხრის სახსრიდან ითვალისწინებს 20-დან-30 ძროხის ღირებულების ხელითი დრამის გადახდას. ხელის ნაწილობრივი გახაიბრებისათვის კი გადასახადი ნაკლებია. კერძოდ, ხელის გახაიბრება მაჯიდან ითვალისწინებს 12-დან 16-მდე ძროხის ღირებულებამდე დრამის გადახდას. იდაყვიდან ხელის გახაიბრება კი 16-დან 20-მდე ძროხის ხელითი დრამის გადახდას.[1846] დ. ცისკარაულის თანახმად კი, ხელის დაზიანების შემთხვევაში, თუ დაზარალებულს სრულიად არ შეუძლია ცელის და ცულის ხმარება დამნაშავეს 20 ძროხა გადახდება, ფეხის დაზიანების შემთხვევაში კი გადასახადი 12-დან 20 ძროხამდეა, თუ დაზარალებულს დაჭირდება ყავარჯენი და თუ კოჭლობს და ჯოხის გარეშე გადაადგილება შეუძლია, მაშინ გადასახადს დააკისრებენ შეხედულების მიხედვით.[1847]

ორივე ხელის თუ ფეხის სრული სახიჩრობა ხევსურეთშიც სრულ სისხლად იყო შეფასებული. ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს, „რომ, მაგ., ორივე ხელის მოჭრა და კაცის მოკვლა ერთი და იგივეა."[1848]

როგორც ვხედავთ, არაერთი ავტორისა და ხევსური ინფორმატორის მიხედვით, ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გადასახადი მის ხარისხზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ბ. გაბუური ხელის სახიჩრობისათვის 30 ძროხის გადახდას ხელის „სრულად გახმობას" უკავშირებს. იგივე ითქმის მ. კოვალევსკისა და გ. თედორაძეზე. რ. ხარაძის მიხედვითაც 30 ძროხად შეფასებულია ხელ-ფეხის სწორედ სრული, „მთელი გახმობა," ასევე ფეხის მთლიანი გახმობა ალ. ოჩიაურთან, მ. ბალიაურთან და ბ. გოგოჭურთან.

აქ მოტანილი მასალების მიხედვით, შეიძლება ითქვას რომ, ხელის და ფეხის სრული, მთლიანი სახიჩრობისთვის, „გახმობისთვის", ანუ ხელ-ფეხის მაქსიმალური ხარისხის დასახიჩრებისათვის, როდესაც ხდებოდა ხელ-ფეხის ფუნქციის მთლიანი მოშლა, გადასახადი ხევსურეთში ძირითადად იყო 30 ძროხა.[1849]

1844 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 42; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9, 10, 45, 81.

1845 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71.

1846 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 35-36, 37-38.

1847 დ. ცისკარაული, ხევსურეთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31-32.

1848 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 52. ზუსტად იგივეს მიუთითებს ს. მაკალათიაც (იხ. ს. მაკალათია, იქვე).

1849 ქართული სამართლის ძეგლების მსგავსად ხელ-ფეხის სრული სახიჩრობა, რაც მათი ფუნქციის სრულ მოშლას ინეევს, გათანაბრებული უნდა ყოფილიყო ხელის თუ ფეხის მოკვეთასთან. ეს კარგად ჩანს რ. ხარა-

დასახელებული ყველაზე უფრო სანდო ავტორების ამ მონაცემს განამტკიცებს XX საუკუნის II ნახევრის არაერთი ხევსური ინფორმატორი.

ამავე დროს, ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხევსურეთის რომელიმე რეგიონში ხელ-ფეხის სრული სახიჩრობისათვის გადასახადი ყოფილიყო 30 ძროხისგან განსხვავებული გადასახადი, რაც შესაძლოა აისახა კიდეც ცალკეული ავტორისა თუ ხევსური ინფორმატორის მონაცემში.[1850]

მაგალითად, როგორც დავინახეთ, ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, ფეხის სახიჩრობისთვის გადასახადი 30-დან 35 ძროხამდე შეიძლება ყოფილიყო, სწორედ სახიჩრობის ხარისხის გათვალისწინებით. მინიმალური გადასახადი – 30 ძროხა, აქაც ემთხვევა უმრავლეს მონაცემს, თუმცა ასეთი დიდი მაქსიმალური გადასახადი ფეხის დასახიჩრებისათვის სხვა არცერთ ავტორთან თუ ხევსურ ინფორმატორთან არ გვხვდება. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში „ალაგისა და გვარის წესის“ გამოვლინებასთან უნდა გვქონდეს საქმე. სრულიად შესაძლებელია, ასეთ გადასახადს ხევსურეთის ამა თუ იმ რეგიონში, რომელიმე ეტაპზე ჰქონოდა ადგილი. იგივე შეიძლება ითქვას ნ. ხიზანაშვილის მონაცემზე ხელის სახიჩრობასთან დაკავშირებით (16-20 ძროხა), ასევე რ. ერისთავის, ალ. ოჩიაურის ერთი

ძესთან. იგივე ნაშრომში, ცოტა ქვემოთ, რ. ხარაძე მიუთითებს: უკვე დავინახეთ რომ ხელის მოჭრისათვის გადასახადი თავ-სისხლის ნახევრად, ანუ 30 ძროხად არის შეფასებულიო (იხ. რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 176). აქ აშკარად ჩანს, რომ როდესაც აღნიშნული ავტორი საუბრობს ხელის სრული სახიჩრობისათვის, გახმობისათვის 30 ძროხის გადახდაზე, გულისხმობს ხელის მოკვეთასაც. აღსანიშნავია, რომ რ. ხარაძის მიხედვით, ხევსურეთში განსაკუთრებით მძიმედ ფასდებოდა ხელის მოკვეთა ქალისთვის. ამ დანაშაულისათვის გადასახადიც კი არ იყო დანესებული და უპირობო სისხლის აღებას ინვეედა (რ. ხარაძე, იქვე). მ. ბალიაურის თანახმადაც ქალის ხელი ხევსურეთში დიდად ფასობდა, „თითქმის დაუფასებელი იყო“. როდესაც მამაკაცს მოაჭრიდნენ ხელს, ან თითს, მათი ფასი გარკვეული იყო, თუ რამდენი ძროხა ღირდა, ქალის ხელი კი დიდად ფასობდა (ბ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/4, 152). ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ქალისთვის ხელს განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. ხევსური ქალის ძირითადი ფუნქცია ოჯახში საქმიანობა იყო. ქალი თავისი მშრომელობით, ხელსაქმით ფასდებოდა.. ხელის გარეშე, „გამხმარი“ ხელით კი ამ ფუნქციის შესრულება შეუძლებელი იყო და ასეთ ქალს გათხოვების პერსპექტივა ეკარგებოდა. ამ საკითხის დაზუსტებას შეეცადეთ ტარიელ და იოსებ არაბულებთან, ასევე პეტრე გოგოჭურთან. მათ დაადასტურეს, რომ ქალის ხელის სახიჩრობა უფრო მძიმედ ითვლებოდა, თუმცა რამდენად მეტად იყო შეფასებული ვერ დააზუსტეს. პეტრე გოგოჭურმა განმარტა, რომ ხევსურეთში ყველანაირ ხელსაქმეს ქალის ხელი აკეთებს. მაგალითად, ტანსაცმლის შეკერვა ნინდით დაწყებული ხელთათმანით დამთავრებული ქალის გასაკეთებელი იყო. ჩაცმა კი მთელ ოჯახს ჭირდებოდა. ცხვრის გაპარსვაც კი ქალის გასაკეთებელი იყო, ასევე მატყლის გაჩეჩვა, რთვა, ძაფის დამზადება, მოქარგვა, ტანსაცმლის შეკერვა, შეღებვა. ქალის საქმე იყო ასევე ძროხის მონველა (ხევსურეთში ძროხას კაცი არ მიეკარებოდა), საჭმლის მომზადება და სხვა. თუ ქალი მშრომელი არ იყო, ეს ხევსურეთში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ ქალის ხელი დიდად ფასობდა (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, ქ. დუშეთი, 2016, 4, 9-10). პეტრე გოგოჭურმა გაიხსენა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ქალს მამაკაცმა ხელი მაჯაში მოკვეთა. ეს მთიან ინგუშეთში მოხდა, როდესაც ხევსურების ნაწილი იქ იყო გადასახლებული. დამჭრელი და დაჭრილი ბიძაშვილები იყვნენ, გვარად ნიკლაურები. კაცს მოუთხოვია ქალისთვის სამარცხვინო ქცეევის შეწყეეტა, ქალს კი ამაზე უკმეხი პასუხი გაუცია, რაზედაც გამწარებულა მამაკაცი და დაუჭრია ქალი, უმტევნოდ დაუტოვებია იგი. ამ საქმეზე შერიგება ძალზედ გართულებულა. საპასუხოდ ქალის ძმა სახლში შევარდნია ქალის დამჭრელს და მძიმედ დაუჭრია იგი. შედეგად, ქალის დამჭრელს ორივე ხელი გაუხმა, ასევე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული ბეჭსა და მხარში. საბოლოო ჯამში კაცისთვის მიყენებული ყველა ეს ჭრილობა გაიბრა ქალის ხელის მტევნის სახიჩრობაში (გ. დავითაშვილი, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, ქ. დუშეთი, 2016, 9-11). როგორც ვხედავთ ქალის ხელის დასახიჩრება მაჯიდან ისევე შეფასდა როგორც მამაკაცის ორივე ხელის დასახიჩრება და ბეჭისა და მხარის არეში მიყენებული ჭრილობა. ეს კონკრეტული შემთხვევა კარგად აჩვენებს ქალის ხელის სახიჩრობისათვის გადიდებულ პასუხისმგებლობას ხევსურეთში.

1850 აღნიშნული გარემოება შესაძლოა გაერცელდეს ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში დასახელებულ საზღაურთა ოდენობაზე. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევები, როდესაც საუბარია ხელ-ფეხის მნიშვნელოვან დასახიჩრებაზე, მათ „გაუხმრობაზე,“ „გახმობაზე,“ ასევე „საუხმრო“ გადასახადის გადახდაზე.

ინფორმატორის და XX საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ცნობაზე, რომელთა მიხედვითაც გადასახადი ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის 30 ძროხისაგან განსხვავებულია, ასევე ბ. გოგოჭურის მონაცემზე, რომლის მიხედვითაც, ხელის სრული სახიჩრობისათვის 30 ძროხა მაქსიმალური სახდელია, თუმცა ამ დანაშაულისათვის შესაძლოა ნაკლები გადასახადის დაკისრებასაც ჰქონოდა ადგილი, კერძოდ, 20-დან 30 ხელით ძროხამდე. როგორც ჩანს, მონაცემებით, რომლებსაც ბ. გოგოჭური ეყრდნობა, სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში ხელის სრული სახიჩრობისათვის განსხვავებული ოდენობის საზღაურის დაკისრება ხდებოდა, აღნიშნულ ფარგლებში. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია დ. ცისკარაულის ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც, თუ პიროვნებას არ შეუძლია მისთვის მიყენებული ხელის ჭრილობის გამო ცელის და ცულის ხმარება 20 ძროხის გადახდას ექნება ადგილი. ხელის ასეთი დაზიანება შეიძლება ხელის ისეთ დასახიჩრებად განვიხილოთ, რომელიც ფაქტიურად სრულად იწვევს ხელის ფუნქციის მოშლას. ფეხის ანალოგიური დაზიანებისათვის გადასახადი კი 12-20 ძროხის ფარგლებში აქვს მოცემული. ამ მონაცემების მიხედვითაც ჩანს, რომ ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის ხევსურეთში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა 30 ძროხაზე ნაკლების დაკისრებას.

ხელ-ფეხის სახიჩრობის ხარისხს რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რჯულის კაცების მიერ გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას კარგად ჩანს ალ. ოჩიაურის, რ. ხარაძის, ბ. გოგოჭურის და დ. ცისკარაულის ზემოთმოყვანილ მონაცემებში. ალ. ოჩიაური ფეხის სახიჩრობასთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითებს, რომ 30 ძროხა ეს იყო მაქსიმალური გადასახადი ფეხის სრული „გახმობისათვის“, ხოლო ნაკლები დასახიჩრებისათვის გადასახადი შემცირდებოდა რჯულის კაცების შეხედულებიდან გამომდინარე.[1851] აღნიშნული გარემოება, ცხადია, შესაძლებელია ხელის სახიჩრობაზეც გავავრცელოთ. ფაქტიურად იგივე ჩანს მ. ბალიაურთან. ეს ნიშნავს, რომ თუ ხელ-ფეხის სახიჩრობა არ იქნებოდა სრული, რჯულის კაცები სახიჩრობის ხარისხის მიხედვით, თვითონ განსაზღვრავდნენ თუ რამდენი უნდა ყოფილიყო გადასახადი მოცემულ შემთხვევაში, რამდენად ნაკლებს დაადგენდნენ საზღაურს ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ გადასახადთან შედარებით. ამდენად, თუ რჯულის კაცები ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის კონკრეტულ შემთხვევაში დაადგენდნენ გადასახადის რაღაც ოდენობას, არ ნიშნავს რომ ეს გადასახადის ზოგადი ოდენობა იყო ამ დანაშაულისათვის.

რჯულის კაცები საკმაოდ დეტალურად ათვალიერებდნენ დაზიანებულ ხელს ან ფეხს მისი სახიჩრობის ხარისხის განსასაზღვრად. მაგალითად, ალ. ოჩიაურის აღწერით, ერთ შემთხვევაში „რჯულის კაცები შეუდგნენ ჯერ დაჭრილის ხელის შემოწმებას. ნახეს ჭრილობა, გასინჯეს დასახიჩრება, ხელი იდაყვიდან აღარ იღუნებოდა მთლიანად და ნაწილობრივ თითებსაც აკლებდა. ხელს ისეც ეტყობოდა გალეული, გაწვრილებული და გაყვითლებული იყო.“[1852] ნ. ბალიაურის თანახმად კი, რჯულის კაცები გასინჯავდნენ, თუ როგორია და სად არის ჭრილობა მიყენებული, შემდეგ კი განსაზღვრავდნენ, თუ რამდე-

1851 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №3, 41.

1852 იქვე, 6/3, 31.

ნად გაფუჭებულია ხელი, ან ფეხი.[1853] როგორც ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებში გამოჩნდა რჯულის კაცებმა ერთ შემთხვევაში ხელის დასახიჩრებისათვის დამნაშავეს დააკისრეს მხოლოდ ცხრა ძროხა, ხოლო სხვა შემთხვევაში 25, რადგანაც ხელის განსხვავებული ხარისხის სახიჩრობას ჰქონდა ადგილი – პირველ შემთხვევაში ხელი ნახევრად იყო „გახაიბრებული", მეორე შემთხვევაში კი ბევრად უფრო მძიმე სახიჩრობას ჰქონდა ადგილი – დაზარალებული დაჭრილი მკლავის დაჩირქების გამო სიკვდილს ძლივს გადარჩა და ხელიც „გაუხმა". კიდევ ორ შემთხვევაში რჯულის კაცებმა გაითვალისწინეს, რომ ჭრილობის შედეგად დაზარალებული ხელს იდაყვში (ერთ შემთხვევაში) და ფეხს მუხლში (მეორე შემთხვევაში) ვეღარ ხრიდა და დამნაშავეს 16 ძროხა დააკისრეს. ეს კონკრეტული მაგალითები თვალნათლივ მიუთუთებს, რომ ხელის თუ ფეხის სახიჩრობის საზღაურის დადგენისას რჯულის კაცები განსაზღვრავდნენ სახიჩრობის ხარისხს (მაგალითად, როგორც დავინახეთ, შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ხელ-ფეხის სრულ ან ნახევრად გახაიბრებას) და ამის მიხედვით აკისრებდნენ დამნაშავეს პასუხისმგებლობას. ეს განაპირობებდა იმას რომ ხელის თუ ფეხის სახიჩრობისთვის შესაძლოა განსხვავებული საზღაურები დაწესებულიყო კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ალ. ოჩიაურის მონაცემების მსგავსად რ. ხარაძის მიხედვითაც, ხელის და ფეხის არეში სახიჩრობისათვის გადასახადის ოდენობა დაზიანების ხარისხზე იყო დამოკიდებული. მის მასალებში ჩანს რომ, ხელის და ფეხის სრული გახმობა მეტად ფასობდა (30 ძროხა), ვიდრე ხელის იდაყვის თუ მაჯის არეში მიყენებული ჭრილობით გამოწვეული დასახიჩრება, „გაფუჭება" (12 ძროხა), კოჭში მიყენებული ჭრილობა (8-10 ძროხა). ბ. გოგოჭურის მიხედვითაც ხელის სახიჩრობის ხარისხის დამოკიდებული იყო: 1. ხელი მაჯიდან გახაიბრდა, 2. იდაყვიდან, თუ 3. მხრიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელის სრული გახაიბრება იგულისხმება. პირველ შემთხვევაში სახდელი 12-16 ძროხა იყო, მეორე შემთხვევაში კი 16-20. ფეხის დასახიჩრების ხარისხი კი განისაზღვრებოდა იმისად მიხედვით ფეხი კოჭიდან იყო დასახიჩრებული თუ მუხლიდან. ეს ნაწილობრივ გახაიბრებად ითვლებოდა და შესაბამისი ხარისხის სახიჩრობის მიხედვით გადასახადი 30 ძროხაზე (სრული სახიჩრობის, დაკოჭლებისათვის, ფეხის მოკვეთისათვის გადასახადზე) ნაკლები იყო, კერძოდ, 8, 12, 16, თუ 20-25 ძროხა, გააჩნია კონკრეტული სახიჩრობის ხარისხს. დ. ცისკარაულიც ფეხის დასახიჩრებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ასევე უკავშირებს სახიჩრობის ხასიათს. იგი გამოყოფს ფეხის სახიჩრობის ორ სახეს: 1. როდესაც ფეხი იმდენად დასახიჩრებულია, როდესაც დაზარალებულს გადაადგილებისათვის ჭირდება ყავარჯენი, 2. როდესაც დაზარალებული დაკოჭლდება, თუმცა სიარულისთვის ჯოხი არ ჭირდება. პირველი შემთხვევა, ცხადია, უფრო მძიმე ხასიათის სახიჩრობას გულისხმობს და მისთვის გადასახადი 12-დან 20 ძროხამდეა. როგორც ჩანს, გათვალისწინებულია, რომ ყავარჯნის საჭიროება შესაძლოა წარმოშობილიყო ფეხის განსხვავებული ხარისხის დაზიანების შემთხვევაში და რჯულის კაცები ამას მხედველობაში იღებდნენ და დამნაშავეს გადასახადს 12-20 ძროხის ფარგლებში აკისრებდნენ. მეორე შემთხვევაში, ბუნებრივია გადასახადი ნაკლები იქნებოდა, თუმცა მის ოდენობას, ასევე ფეხის დაზიანების ხარისხის მიხედვით,

1853 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 264-265.

თვით რჯულის კაცები განსაზღვრავდნენ.

XX საუკუნის 70-80-იანი წლების ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი ასევე საზღაურის ოდენობას უკავშირებს იმას თუ ხელის თუ ფეხის კონკრეტულად რა ადგილას მიყენებულმა ჭრილობამ გამოიწვია სახიჩრობა. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, თუ ხელი მხრიდან გახმა უფრო მძიმედ ითვლებოდა, თუ იდაყვიდან გახმა, მაშინ გადასახადი ნაკლები იყო – 16 ძროხა. ღვინჭების ზემოთ (მტევნის ზემოთ) ჭრილობისათვის 5 ძროხაა.[1854] ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი კი აზუსტებს რ. ხარაძის მონაცემს კოჭში მიყენებულ ჭრილობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ჭრილობა საბაწრეზე (იქ სადაც ქალამნების ბაწრებს იხვევდნენ კოჭზე) 8-10 ძროხა ღირდა მაშინ, თუ იგი ძარღვების გადაჭრას იწვევდა და დაზარალებული ფეხს კოჭში ველარ ამოძრავებდა.[1855] როგორც ჩანს, კოჭის არეში მიყენებული ჭრილობისას 8-10 ძროხის გადახდას მაშინ ჰქონდა ადგილი როდესაც, დაზარალებულს დაჭრის შედეგად კოჭში ფეხის მოძრაობა ეზღუდებოდა.

ხევსური ინფორმატორების მიერ აღწერილი ზოგიერთი კონკრეტული შემთხვევაც ადასტურებს რომ ხელის „გახაიბრების" ხარისხი შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო და სახიჩრობის საზღაურის ოდენობის დადგენაც ამ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, მ. კეკელიას ინფორმატორი ყვება რომ, ერთ-ერთი შუღლისას იგი მარჯვენა ხელში დაიჭრა. მას ხელი მთლიანად არ გახმობია და ჭრილობა 20 ძროხად შეფასდა.[1856] სრულად გახმობისას ბუნებრივია გადასახადი მეტი იქნებოდა. კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით კი მისმა ნაჭრევმა ვინმე პეტრეს ხელი ნაწილობრივ გაუხეიბრა. შუღლის დროს თვითონაც დაიჭრა და მისი ხელიც ნაწილობრივ გახაიბრდა, ისე რომ კარგად ვერ ხმარობს მარცხენა ხელს.[1857] აქაც კარგად ჩანს, რომ ხელის-ფეხის გახაიბრება შესაძლოა ყოფილიყო სრულიც და ნაწილობრივიც და ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზღაურის ოდენობის განსაზღვრისას XX საუკუნის II ნახევარშიც.

ყველა მოყვანილი მონაცემის მიხედვით, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ იმის გარდა, რომ ხელ-ფეხის სრული სახიჩრობისათვის, გახმობისათვის ხევსურეთში გადასახადი ძირითადად 30 ძროხა იყო, შედარებით მცირე ხარისხის (არასრული, ნაწილობრივი) სახიჩრობა ნაკლებ გადასახადს იწვევდა, რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახიჩრობის ხარისხის გათვალისწინებით რჯულის კაცები ადგენდნენ. სახიჩრობის ხარისხი კი დამოკიდებული იყო ხელ-ფეხის ფუნქციის მოშლის ხარისხზე, რასაც გარკვეულწილად განაპირობებდა ის თუ ხელ-ფეხის რა ადგილას მიყენებული დაზიანება გამოიწვევდა დასახიჩრებას. შედარებით მცირე იყო გადასახადი ხელის მტევნიდან, მაჯიდან გახაიბრებისათვის, შედარებით მეტი კი იდაყვიდან გახაიბრებისას (დაახლოებით 12-20 ძროხა). ფეხის ნაწილობრივი გახაიბრებისას კი ყურადღება ექცეოდა გახაიბრება კოჭიდან მოხდა, თუ მუხლიდან (ამ დროს გადასახადი ფიქსირდება 8-დან 25 ძროხამდე).

1854 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81.

1855 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 64.

1856 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №4, 31.

1857 იქვე, №2, 64.

ხელ-ფეხის ისეთი ჭრილობისათვის, რომელიც არ გამოიწვევდა მათი ფუნქციის რაიმე ხარისხით მოშლას, მთლიან თუ ნაწილობრივ სახიჩრობას, გადასახადი, ცხადია ბევრად მცირე იყო, ვიდრე სახიჩრობის შემთხვევაში. რ. ხარაძე აღნიშნავს: „თუ ხელ-ფეხის ჭრილობით ადამიანი არ სახიჩრდება, ე. ი. ხელისა და ფეხის ხმარება არ ეკვეთება, მაშინ დამნაშავე იხდის საფათელეს, ხოლო დასახიჩრებისას – გახეიბრებისას საუხმაროეს, რომელიც შედარებით დიდი რაოდენობის საურავია.“[1858] მაგალითად, რ. ხარაძის მონაცემებში მითითებულია, რომ წვივზე და „ფეხის სავარცხელზე“[1859] მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადი 5 ცხვარი იყო.[1860] ბუნებრივია, ასეთი მცირე ოდენობის გადასახადი შეესაძლოა მოჰყოლოდა მხოლოდ ისეთ ჭრილობას, რომელიც ფეხის სახიჩრობას არ გამოიწვევდა. ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაშიც გამოჩნდა, რომ ფეხში (კერძოდ, ბარძაყის არეში) მიყენებულ შემავალ ჭრილობას არ მოჰყოლია მისი სახიჩრობა და ამიტომ იგი არ ჩაითვალა სადრამე ჭრილობად.[1861] სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს „საფათელეს“ გადახდა მოუწევდა. მ. ბალიაურის მიხედვითაც ხელ-ფეხის ჭრილობა, რომელიც არ იწვევს დასახიჩრებას, მას „საფათელე ნაჭრევს“ უწოდებენ, რაც ძვირი არ ღირს. ასეთი ჭრილობის დროს დამჭრელს „სააქიმოს“ გადაახდევინებდნენ, ხოლო ჭრილობისათვის საზღაურის ოდენობას რჯულის კაცები განსაზღვრავდნენ. აქ ისინი ინგარიშებდნენ, თუ რამდენ ხანს იწვა ლოგინში, საქმეს რამდენ ხანს მოცდა და სხვა.[1862]

ამდენად, ხევსურეთში ხელ-ფეხის სახიჩრობისას გადასახადი დიფერენცირებული იყო მისი ფუნქციის მოშლის ხარისხის მიხედვით და საკმაოდ მნიშვნელოვან ოდენობამდე ადიოდა ხელ-ფეხის მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე. ხელ-ფეხის ჭრილობა კი რომელიც მათ სახიჩრობას არ იწვევდა, გადასახადი არსებითად ნაკლები იყო და ძირითადად „საფათელეს“ ფარგლებში მოიაზრებოდა.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის მონაცემების მიხედვით საქართველოს ზოგიერთი მთის კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხელ-ფეხის სახიჩრობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპები დაახლოებით ისეთივე დარჩა, როგორიც ქართული სამართლის ძირითადი ძეგლების მიხედვით ფიქსირდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ორივე ხელის თუ ორივე ფეხის სრული დასახიჩრების, მოკვეთისას, როდესაც სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში ვახტანგის სამართლის წიგნის მსგავსად სრული სისხლის გადახდა ფიქსირდება. ხელის თუ ფეხის სრული სახიჩრობა კი ამ კუთხეებში საკმაოდ დიდ გადასახადს მოითხოვდა – ყველა დასახელებულ კუთხეში ფიქსირდება ამისათვის გადასახადი ნახევარი სისხლი, რაც აღემატება ქართულის სამართლის ძეგლებით გათვალისწინებულ გადასახადს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეული ავტორები თუ ადგილობრივი ინფორმატო-

1858 რ. ხარაძე. დასახ. ნაშრ., 173.

1859 სავარცხალი – ფეხის (ხელის) ზურგი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 734).

1860 რ. ხარაძე, იქვე.

1861 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/2, 23-24.

1862 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 265-266.

რები გადასახადის განსხვავებულ ოდენობასაც ასახელებენ, რაც ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია და ძირითადად „ალაგისა და გვარის წესის" გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხევსურულ სამართალში (შედარებით მკრთალად ფშავში, მხოლოდ ერთეული მონაცემის სახით) ფიქსირდება ხელ-ფეხის დაზიანებისათვის დიფერენცირებული გადასახადის დაკისრება სახიჩრობის ხარისხის გათვალისწინებით. ჩრდილო კავკასიური, კერძოდ, ინგუშური სამართლის მსგავსად ხევსურეთშიც პასუხისმგებლობის დაკისრებისას ვხედავთ მიყენებული ჭრილობის ადგილის (იდაყვი, მაჯა, მტევანი და სხვა) გათვალისწინებას, რაც მიუთითებს რომ, ქართველ მთიელთა ჩვეულებით სამართალს ბევრი ჰქონდა საერთო ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალთან.

4.9. თითების სახიჩრობა, მოკვეთა. ცნობილია რომ, ძველმა ქართულმა სამართალმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია თითების სახიჩრობის საკითხს. ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, ხელის თითების სახიჩრობის გადასახადი ხელის სისხლის მიხედვით განისაზღვრება. მაგალითად, ბექას სამართლით, თუ ხელის მოკვეთისა და დაშავებისათვის სისხლის მესამედია, ხელის თითის მოკვეთისათვის გათვალისწინებულია ხელის სისხლის მეხუთედი.[1863] როგორც ვხედავთ ბექას სამართალი ხელის ყველა თითს თანაბრად აფასებს. განსხვავებული მიდგომა აქვს გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდებას. იგი სხვა თითებიდან გამოარჩევს ცერა თითს, სავარაუდოდ სხვა თითებთან შედარებით მეტი გამოყენებითი მნიშვნელობის გამო და მისი მოკვეთა-დაშავებისთვის ხელის სისხლის ნახევარს აწესებს, ხოლო სხვა თითების ანალოგიური დაზიანებისათვის ხელის სისხლის მესამედს, იმისდა მიხედვით, ხელი მარჯვენაა თუ მარცხენა.[1864] ვახტანგ VI-ის სამართალს თითების სახიჩრობასთან დაკავშირებით ბექა-აღბულას სამართლის პოზიცია გაუზიარებია და ხელის თითების დაშავებისათვის ხელის სისხლის მეხუთედი დაუდგენია.[1865] აღსანიშნავია რომ, ვახტანგის სამართალმა ყურადღება ფეხის თითებსაც მიაქცია და ფეხის თითი ხელის თითის ნახევრად შეაფასა. ამას კანონმდებელი იმით ხსნის, რომ ჯერერთი, ფეხის თითებს ხელის თითების „ოდენი საჭმრობა" არ შეუძლია, მეორეც, ფეხის თითების სახიჩრობა ხელის თითების სახიჩრობისგან განსხვავებით ხილული არაა.[1866]

თითების სახიჩრობისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობას ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც ვხვდებით, ძირითადად, ხევსურეთსა და ფშავში. მათ მიხედვით გამოკვეთილია საერთო ტენდენცია – თითოეული თითისთვის პასუხისმგებლობა განსხვავებულია მისი გამოყენებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგალითად, ხევსურუთში, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ხელის თითების დასახიჩრებისათვის, მოკვეთისათვის შემდეგი სახდელებია დადგენილი: „ნეკა თითი (ნიკორა თითი) ერთი ძროხა, უსახელო თითო ორი ძროხაა, შუალა თითი სამი ძროხა, (სალოკა) მაჩვენებელი თითი ოთხი ძროხა, ცერი (ბერა) თი-

1863 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 428.

1864 იქვე, 417.

1865 იქვე, 493.

1866 იქვე, 494.

თი ხუთი ძროხა."[1867] აბსოლუტურად იგივე მონაცემებს ვხვდებით სხვა ავტორებთანაც, არა მარტო ხევსურეთთან, არამედ ფშავთან მიმართებაშიც. მხედველობაში გვაქვს, ნ. ხიზანაშვილი,[1868] ბ. გაბუური,[1869] მ. კოვალევსკი,[1870] არნ. ზისერმანი,[1871] რ. ერისთავი,[1872] ს. მაკალათია,[1873] რ. ხარაძე,[1874] გ. თედორაძე,[1875] ალ. ყამარაული[1876] ვაჟა-ფშაველა,[1877] ალ. ხახანაშვილი[1878], დ. ცისკარაული[1879], ნ. ხუდადოვი[1880] და სხვა. აღსანიშნავია, რომ იგივეს ადასტურებს „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში გამოკითხული არაერთი ხევსური ინფორმატორი,[1881] რაც მიუთითებს, რომ ხელის თითების დასახიჩრებისათვის დადგენილი გადასახადები XX საუკუნის ბოლოსთვისაც იგივე დარჩა, რაც ძველად იყო.

როგორც ვხედავთ, ფშავ-ხევსურეთში ხელის თითების სახიჩრობისთვის პასუხისმგებლობა ნეკა თითისთვის ყველაზე მცირე, ერთი ძროხაა, და თითო ძროხით იზრდება ყოველი შემდეგისათვის და ბოლოს ცერისთვის 5 ძროხას აღწევს. ცხადია, ეს განპირობებულია იმით, რომ ფშავ-ხევსურეთში თითების სახმარ (ფუნქციონალურ) მნიშვნელობას, მის „საჭმრობას" სწორედ აღნიშნული თანმიმდევრობით აფასებდნენ. როგორც ვხედავთ, ფშავ-ხევსურეთში ცერა თითთან მიმართებაში, იგივე დამოკიდებულებაა, რაც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით – ეს თითი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ყველა სხვა. განსხვავება კი ისაა, რომ ფშავ-ხევსურული სამართლით სხვა თითების დასახიჩრებისთვის პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია, ძეგლისდებით კი არა – ყველა დანარჩენი თითი ერთნაირადაა შეფასებული.

სავარაუდოდ ფშავ-ხევსურეთის მსგავსი სურათი უნდა იყოს სვანურ ჩვეუ-

---

1867 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 7.

1868 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 52-53.

1869 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 142.

1870 М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе. Т. 2, М. 1890, 119.

1871 არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კაუკასიაში, ს-პ, 1879, 225 (რუსულ ენაზე).

1872 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93.

1873 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95; მისივე, ფშავი, თბ., 1985, 75

1874 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

1875 გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 113.

1876 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109.

1877 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 79. ფშაველი ვაჟას მითითებით, „ნეკი ღირდა ერთი ძროხა, იმისი მოყოლება იყო ორი ძროხა, საშუალო თითი სამი ძროხა, მაჩვენებელი – ოთხი, ცერი ხუთი ძროხა".

1878 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „ივერია", 1888, №185.

1879 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 32.

1880 Н. Худадов, Заметки о Хевсурстии, Тифлис, 1887, 17.

1881 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, 13. დაფიქსირებულია კონკრეტული შემთხვევაც, როდესაც ცერა თითის დაზიანებისათვის დამნაშაულეს სწორედ 5 ძროხა დაეკისრა. მაგრამ რადგან მისთვის მიყენებული ჭრილობაც 5 ძროხად შეფასდა „ჭრილობები ერთმანეთში გაიბრა" (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 62).

ლებით სამართალშიც, თუმცა ისეთი მრავალრიცხოვანი და ცალსახად გამოკვეთილი მონაცემები, როგორიც ამ საკითხზე ფშავ-ხევსურეთთან დაკავშირებით მოგვეპოვება, სვანურ მასალებში არ გვხვდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით თითების სახიჩრობის საკითხს დ. დავითულიანი ეხება. მისი განმარტებით, სვანური სამართლით თითების სახიჩრობასთან მიმართებაში იგივე დამოკიდებულებაა, რაც ფშავ-ხევსურეთში, კერძოდ, „ცერა თითის დაზიანება მეტად იყო შეფასებული, ვიდრე საჩვენებლის, საჩვენებელის მეტად, ვიდრე შუათანას, შუათანა არათითზე მეტად, და ა. შ."[1882] კონკრეტული გადასახადი სხვადასხვა თითის სახიჩრობისთვის მითითებული არაა. ბუნებრივია, იგი ხელის დასახიჩრების ღირებულებიდან გამომდინარე იქნებოდა დადგენილი.

შედარებით მწირი მონაცემები გვაქვს ფეხის თითების სახიჩრობასთან დაკავშირებით. დ. დავითულიანი უბრალოდ აღნიშნავს, რომ სვანეთში ფეხის თითების სახიჩრობისთვის გადასახადი ნაკლები იყო, ვიდრე ხელის თითებისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელნი „გამოსაჩენ ადგილასაა".[1883] ხევსურულ სამართალში ფეხის თითების სახიჩრობის საკითხს ეხება ნ. ხიზანაშვილი: „სამართალს ფეხის თითები კი სრულიად დაუჩაგრავს. ამ თითებს ჯარიმა არ ეძლევათ, რადა როცა ფეხმაგარის ხევსურისათვის ფეხის თითებიც საჭიროა და ვახტანგის სამართალიც პატივს სცემს მათ. საბრალო ფეხის თითების უფასოდ დატოვება მით უფრო დიდი შეცდომაა, რომ ფეხს და მუხლს საკმაო სისხლი აქვთ გაჩენილი."[1884] ფაქტიურად იგივეს იმეორებს ს. მაკალათიაც.[1885] „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ გამოკითხული რამდენიმე ინფორმატორი აცხადებს, რომ მან არ იცის რამდენადაა შეფასებული ხევსურული რჯულით ფეხის თითები.[1886] ამ საერთო ტენდენციიდან გამონაკლისია მხოლოდ ერთი ინფორმატორის მონაცემი, რომლის თქმითაც, ფეხის ცერი შეფასებულია 7 ცხვრად, ხოლო ფეხის სხვა თითების ღირებულება მან არ იცის.[1887]

როგორც ვხედავთ, ნ. ხიზანაშვილი საკმაოდ დარწმუნებით ამბობს, რომ ხევსურული რჯული ფეხის თითების სახიჩრობისთვის პასუხისმგებლობას საერთოდ არ აწესებს და გაკვირვებას გამოთქვამს ამის გამო. „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა გამოკითხულ ინფორმატორებსაც რომ არ გაუგიათ ფეხის თითების სახიჩრობისთვის დადგენილი გადასახადი (მაშინ როდესაც იგივე ინფორმატორებმა კარგად იციან ხელის თითოეული თითის ღირებულება და ბევრი სხვა საკითხი დაკავშირებული ჭრა-ჭრილობასთან), ჩვენი აზრით, განამტკიცებს ნ. ხიზანაშვილის ცნობას ფეხის თითების საერთოდ შეუფასებლობის შესახებ.[1888]

1882 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, გვ. 178-179.

1883 იქვე, 173.

1884 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 53.

1885 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

1886 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, 81.

1887 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13.

1888 მხოლოდ ერთი ინფორმატორის გამონაკლისი ცნობა ფეხის მხოლოდ ერთი, ცერა თითის 7 ცხვრად შეფასების შესახებ, ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება. თუ ფეხის ერთი თითი იყო შეფასებული, ლოგიკურად სხვა თითების ღირებულების განსაზღვრაც უნდა მომხდარიყო და აღნიშნულ ინფორმატორს წესით ესეც უნდა

რატომ უნდა ყოფილიყო ფეხის თითები ასე „დაჩაგრული“ ხელის თითებთან შედარებით, რატომაა სვანეთში ფეხის თითები ხელის თითებთან შეადარებით ნაკლებად შეფასებული? ამას იგივე აბსნა აქვს, რაც ვახტანგის სამართლის წიგნშია მოცემული, კერძოდ, ხელის თითები ფუნქციონალური დატვირთვით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ფეხის, თან ხილულია, ფეხის თითებისაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელ მიზეზს, როგორც ზემოთ დავინახეთ, დ. დავითულიანიც მიუთითებს.

ფეხის თითები ხელის თითებზე ნაკლებად რომ იყოს შეფასებული, ამის მიზეზები გასაგებია და ბუნებრივი, თან ვახტანგის სამართლის წიგნშიცაა ასახული, მაგრამ რატომ უნდა დაეტოვებინა ხევსურულ რჯულს ისინი საერთოდ შეფასების გარეშე, როგორც ამას ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს? ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ხევსურეთში შუღლის შედეგად ფეხის თითების მოკვეთა, როგორც წესი არ ხდებოდა. ჩვენ ხელთ არსებულ მასალებში (განსაკუთრებით ალ. ოჩიაურის), არის მრავალი კონკრეტული შემთხვევა შუღლისა, მათ შორის მასობრივის, რამდენიმე ათეული პირის მონაწილეობით; დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა სხვადასხვა სახის დაჭრა-დასახიჩრების, მათ შორის ხელის თითების, თუმცა ფეხის თითების დაჭრა-დასახიჩრების შესახებ არავითარი ფაქტი არაა მითითებული. თუ არ მოხდებოდა კონკრეტული ფაქტი ფეხის თითების „გახაიბრების“, ჩვეულებითი სამართლის პრეცედენტური ბუნებიდან გამომდინარე არც დადგებოდა მათი შეფასების საკითხი. ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხევსურული რჯულის კარგად მცოდნე ინფორმატორებს არაფერი გაუგიათ ფეხის თითების ღირებულების შესახებ.

4.10. საუპატიურე. საუნამუსოე. საუნამუსოე (საუპატიურე) ჭრილობა. საუნამუსოე, საუპატიურე არის საკმაოდ ორიგინალური ხასიათის გადასახადი გარკვეული სახის, კერძოდ საუნამუსოე (საუპატიურე) ჭრილობისათვის, რომელიც მხოლოდ ხევსურეთში ფიქსირდება. „საუპატიურე“ და „საუნამუსოე“ ერთი და იგივე გადასახადის აღმნიშვნელი ორი ტერმინია. ზოგი ავტორი თუ ხევსური ინფორმატორი ერთ ტერმინს ხმარობს, ზოგი მეორეს. მ. კეკელიას ერთერთი ინფორმატორის თქმით, საუპატიურე იგივე საუნამუსოეა, მხოლოდ ჩვენ საუპატიურეს ვეძახითო.[1889]

გადასახადის ამ სახის განხილვისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ ადამიანის სხეულის რა ადგილზე მიყენებული ჭრილობისათვის ხდებოდა მისი დაკისრება, ანუ რომელი ჭრილობა ითვლებოდა „საუნამუსოე ჭრილობად“? ბ. გაბუურის განმარტებით, „თუ ხანჯრით ბარკალში დაშჭრა“ ეძახიან „საუნამუსოეს.“[1890] გ. თედორაძის მიხედვით კი ხევსურები „საუპატიო“ ად-

სცოდნოდა. თუმცა მისთვის ფეხის სხვა თითების ღირებულება უცნობია. შესაბამისად, მის მიერ ცერა თითის ღირებულების შესახებ ცნობაც სანდო არ უნდა იყოს. ფეხის თითების სახიჩრობის ღირებულება განსაზღვრული რომ ყოფილიყო ამის შესახებ რაიმე მიახლოებითი ცნობა ექნებოდა ზოგიერთ სხვა ინფორმატორსაც და ნ. ხიზანაშვილიც ასე დარწმუნებით არ ისაუბრებდა ხევსურულ სამართალში ფეხის თითების შეუფასებლობის შესახებ. ამ მოსაზრების ალტერნატივად შესაძლოა ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ ფეხის ცერა თითის დაზიანებისათვის შვიდი ცხვრის საზღაურის დაკისრება დამნაშავისათვის ხევსურეთის მხოლოდ ერთი რომელიმე ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულში იყო დადგენილი და ამას აფიქსირებს აღნიშნული ხევსური ინფორმატორი, ხოლო სხვა ინფორმატორებს ფეხის თითების სახიჩრობასთან შეხება არ ჰქონიათ და ამიტომ მათთვის შესაბამისი საზღაური უცნობია.

1889 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №6, 24.

1890 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელინდეული“, 1923-1924, 142.

გილზე დაჭრას ეძახიან მენჯის არეში დაჭრას.[1891] რამოდენიმე ხევსური ინფორმატორის მონაცემი შესაძლებლობას იძლევა დავაზუსტოთ ეს ადგილი. მათი თქმით, საუპატიურეს გადახდა ხდება ჭრილობისათვის მუხლს ზემოთ და სარტყელს ქვემოთ.[1892] კიდევ უფრო აზუსტებენ საუნამუსოე (საუპატიურე) ჭრილობის ადგილმდებარეობას სხვა ავტორები. ს. მაკალათიას მიხედვით, საუპატიურე გადახდება დამნაშავეს თუ ჭრილობას მიაყენებს „წელქვემო ..... ნახევარ ბარკლის ზენაობა და საწელის ქვენაობის არეში"[1893] ანუ წელის, სარტყლის ქვემოთ, ბარკლის შუამდე. ალ. ოჩიაურის მონაცემით კი „თუ მუხლს ზევით ორ ხელს დაადებენ და იმის ზევით არის დაჭრილი" წელამდე, მოხდება „საუპატიოს" გადახდა.[1894] ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუპატიუროს (საუნამუსოს) გადახდა მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ჭრილობა მიყენებული იქნებოდა მუხლს ზემოთ ორი ხელის დადების ზომის ადგილიდან (ეს დაახლოებით ბარკლის შუა ადგილია, როგორც ამას ს. მაკალათია მიუთითებს) სარტყლამდე[1895], წელამდე. სწორედ ამ არეალში მიყენებული ჭრილობა ითვლებოდა საუნამუსოე (საუპატიურე) ჭრილობად. ბარკალში (ბ. გაბუურის მიხედვით), მენჯის ძვლის არეში (გ. თედორაძის მიხედვით) ჭრილობა, ცხადია, იწვევდა საუპატიუროს გადახდას, თუმცა ეს მონაცემები, როგორც ვნახეთ, ზუსტად არ მიუთითებს საუნამუსოე ჭრილობის ადგილს. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი ხსნის, თუ როგორ ხდებოდა საუპატიურეს გადახდის საჭიროების დასადგენად, მუხლს ზემოთ ორი ხელის ზომის განსაზღვრა. მისი თქმით, მუხლს ზემოთ „ჯიგვიან ხელს"[1896] დადებენ. ეს კი ასე კეთდება: მუხლზე დაადებ 5 თითს და აღმა ააბრუნებ, ე. ი. სულ 10 თითის ზომა გამოდის.[1897]

საინტერესოა, რატომ გამოყოფს ცალკე ხევსურული რჯული საუნამუსოე//საუპატიურე ჭრილობას და საერთოდ რატომ იწოდება იგი ასე? ამას განაპირობებდა სწორედ აღნიშნული ჭრილობის ადგილმდებარეობა. მ. კეკელიას ინფორმატორი მიუთითებს საუპატიურე ჭრილობის შესახებ: „ჩვენთან საუპატიუროს იტყვიან. ამას იმიტომ ქვიან ასე, რომ ისეთ ადგილზე იჭრება კაცი, რომ არ შეიძლება აქ იარაღი დაარტყა. ამასთან გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული, უნდა გაიხადო შარვალი, ეჩვენო შიშველი ექიმს და ა. შ."[1898] ბ. გაბუური და ალ. ოჩიაურიც ხაზს უსვამენ ამ ჭრილობასთან დაკავშირებულ უხერხულობებს – შარვლის, ტანსაცმლის გახდა, შიშველი სახით ექიმის წინაშე წარდგომა.[1899] ალ. ოჩიაურის განმარტებით, საუნამუსოე ჭრილობა მსუბუქიც რომ ყოფილიყო, დამნაშავეს მაინც ხუთი ძროხა უნდა გადაეხადა, რადგანაც

1891 გიორგი თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 113.

1892 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24; იქვე, №5, 42; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, 13.

1893 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 94-95.

1894 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, ხელნაწერი, პირადი არქივი, რვეული №1, 6, იქვე, რვეული №3, 42.

1895 ხევსური ინფორმატორის განმარტებით, ხევსურები სარტყელს ჭიპთან იკრავდნენ (იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72)

1896 ჯიგვიანი ხელი – ზომის ერთეული: ხელის თითები ცერიანად (იხ. ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 1172).

1897 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24.

1898 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 24.

1899 ბ. გაბუური, იქვე; ალ. ოჩიაური, იქვე.

ასეთი ჭრილობა სირცხვილად ითელებოდა.[1900] ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსუბუქი ჭრილობებისას დამნაშავეს შეეძლო დაზარალებულისათვის პირდაპირ გაეგზავნა შუაკაცი შერიგების მიზნით. გამონაკლისი იყო სწორედ საუნამუსოე//საუპატიურე ჭრილობა (სახეზე მიყენებულ პირველ ჭრილობასთან ერთად),[1901] ცხადია, აღნიშნული ჭრილობის ხასიათიდან გამომდინარე.

ამრიგად, ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუპატიურე//საუნამუსოე ჭრილობის ხასიათს, მნიშვნელობას, დამოუკიდებელი სახით არსებობას, მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, განაპირობებდა ის, რომ მისი მკურნალობის, გადახვევისათვის დაჭრილი ხევსური იძულებული იყო გაეხადა შარვალი, საცვლები და ასე გაშიშვლებული ჩვენებოდა ექიმს, რაც უპატიურობად აღიქმებოდა (ამას უკავშირდება სახელწოდება „საუპატიურე“) და სამარცხვინოდ ითვლებოდა.

ახლა განვსაზღვროთ, თუ რა ოდენობისაა საუპატიურე//საუნამუსოე. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ეს 5 ძროხაა. ამას ადასტურებს ალ. ოჩიაური[1902], გ. თედორაძე[1903], ს. მაკალათია[1904], რ. ხარაძე[1905], მ. ბალიაური,[1906] ბ გოგოჭური,[1907] ასევე „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ მიერ გამოკითხული ყველა ხევსური ინფორმატორი, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეეხო.[1908]

განსხვავებულ მონაცემს ვხვდებით ბ. გაბუურთან, რომლის მიხედვითაც, საუნამუსოე 9 ცხვარია.[1909] მისი სანდოობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბ. გაბუურის ეპოქაში საუპატიურე//საუნამუსოე მართლაც 9 ცხვარი იყო[1910], თუმცა შემდეგ პერიოდში რომ 5 ძროხა გახდა ეს ეჭვს არ იწვევს, რადგანაც ამას იშვიათი ერთსულოვნებით ადასტურებს სხვადასხვა ზემოთნახსენები ავტორი და არაერთი ხევსური ინფორმატორი.

ცხადია, თუ საუპატიურე//საუნამუსოე ჭრილობა მძიმე, ღრმა იქნებოდა, მითუმეტეს გამოიწვევდა დაზარალებულის ფეხის დასახიჩრებას, გადასახადი 5 ძროხით არ შემოიფარგლებოდა და მიყენებული ზიანის ადეკვატური იქნებოდა,[1911] ანუ „საუნამუსოესაც“ გადაიხდიდა და „საუჭმროსაც“ (გადასა-

1900 ალ. ოჩიაური, იქვე.

1901 იხ. ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ. 2005, 773.

1902 ალ. ოჩიაური, იქვე.

1903 გ. თედორაძე, იქვე.

1904 ს. მაკალათია, იქვე.

1905 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 173.

1906 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 265.

1907 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 39.

1908 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 60; იქვე, 86; იქვე, №5, 42; იქვე, №6, 24; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, 13; იქვე, 81.

1909 ბ. გაბუური, იქვე.

1910 მითუმეტეს იგივე მონაცემს ვხვდებით დ. ცისკარაულთანაც (დ. ცისკარაული, ხევსურეთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2817, 32).

1911 მაგალითად, გ. თედორაძის მითითებით საუპატიო ადგილას მიყენებული ჭრილობისთვის გადასახადი კი იყო 5 ძროხა, მაგრამ თუ მძიმე ჭრილობას ექნებოდა ადგილი, გადასახადიც გაიზრდებოდა (გ. თედორაძე, იქვე). ასევე, დ. ცისკარაულის მიხედვით, „საუნამუსოეს“ გადახდა ხდებოდა ჭრილობის ღირებულების გარდა (დ. ცისკარაული, ხევსურეთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2817, 32). ასეთ მძიმე ჭრილობად შეიძლება ჩაითვალოს მამაკაცის სასქესო ორგანოებზე მიყენებული დაზიანება,

ხადს სახიჩრობისათვის).[1912]

დამჭრელისათვის სამარცხვინოდ, ქალურ საქციელად ითვლებოდა წელს ქვემოთ ჭრილობის მიყენება ფშავშიც.[1913] ჯ. მერაბიშვილი მთიელებში სარტყლის ქვემოთ ჭრილობის მიყენებას იოლი გამარჯვების მოპოვების საშუალებად განიხილავს, რაც გამარჯვებულის ღირსებას ამცირებდა.[1914]

4.11. სახსრებზე, იოგისთავებზე მიყენებული ჭრილობა. ბ. გოგოჭურის თანახმად, ტანზე, ხელის ან ფეხის სახსრებზე, იოგისთავებზე[1915] მიყენებული თუნდაც მსუბუქი „საფათვლე" ჭრილობა არის ჯანმრთელობისა და გახაიბრებისათვის მომატებელი საფრთხის მქონე, რის გამოც ითვალისწინებს 5 ძროხის გადახდას.[1916] ბ. გოგოჭურის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი ბ. არაბული, სახსრებზე მიყენებულ ნებისმიერ ჭრილობას (მათ შორის მსუბუქს) „საუჴმროდ" იხსენიებს. ამის გამო დამჭრელი უნდა გაფრთხილდეს, რომ სახსრებზე არ მიაყენოს ჭრილობა, რადგანაც ამან შესაძლოა გახაიბრება და შესაბამისად მნიშვნელოვანი ოდენობის გადასახადი გამოიწვიოს.[1917]

4.12. სალოგინე. სალოგინე ხევსურეთში წარმოადგენდა დამატებით გადასახადს დაჭრა-დასახიჩრებისას. ამ გადასახადის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ მას იხდიდა დამნაშავე თუ დაჭრილი ლოგინად ჩავარდებოდა და დაჭრის შედეგად მიყენებული დაზიანებების გამო ფეხის ალაგას, საპირფარეშოში გასვლას დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა. თუ საპირფარეშოში დამოუკიდებლად გასვლა შეეძლო, მაშინ სალოგინეს გადახდა არ ხდებოდა.[1918] ამ შემთხვევაში დაჭრილს მოუწევდა სარგებლობა სანატეხრეთი. ეს იყო ხის გაპობილი მორი, ორივე მხარეს ამოჭრილი, რომელსაც იყენებდნენ ღამის ქოთნის მაგივრად.[1919] ასეთ ჭრილობას ბ. გოგოჭური „სალოგინე ჭრილობას" უწოდებს, სწორედ იმიტომ რომ ამ ჭრილობის შემდეგ დაზარალებული ლოგინადაა ჩავარდნილი და მას ხელით აჭმევენ, ხოლო გადასახადს, რომელსაც აკისრებენ დამნაშავეს დაჭრილის ლოგინად ჩავარდნისათვის, უწოდებს „სამჭმელოს".[1920] „სალოგინე" და „სამჭმელო" იდენტურ გადასახადად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც სხვადასხვა ხევსურული ინფორმატორი განსხვავებულად მოიხსენიებს.

ჩვენი მონაცემებით, სალოგინე 5 ძროხის ოდენობისაა.[1921] აღნიშნული

რაც მამაკაცის სქესობრივი განაყოფიერების შესაძლებლობას სპობს. ბ. გოგოჭურის მიერ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, იგი ითვალისწინებდა 60 ძროხის ღირებულების დრამის გადახდას (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეეული: „ჭრა-ჭრილობა", 44).

1912 მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/23, 265.

1913 ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 58.

1914 იქვე.

1915 იოგი – სახსარი, იოგისთავი – სახსრის თავი (აღ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 439).

1916 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 38.

1917 ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეეული: „პირველადი ჩანაწერები", 108.

1918 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამრთალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №6, 20; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხეესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 25.

1919 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1977, №2, 86. აღსანიშნავია რომ, ერთ-ერთი ინფორმატორი განსახილველ გადასახადს „სანატეხრეს" უწოდებს (იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 72-73).

1920 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 39.

1921 ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 25;

კონკრეტული შემთხვევითაც ფიქსირდება, როდესაც რჯულის კაცებმა დამჭრელს სალოგინეს გადახდა დააკისრეს. ინფორმატორი გვიამბობს, რომ იგი მძიმე დაჭრის საქმეზე მონაწილეობას იღებდა როგორც რჯულის კაცი. ჭრილობა ფილტვებში იყო მიყენებული და დაზარალებული ძლივს გადარჩა. რჯულის კაცებმა დამნაშავეს გადაუწყვიტეს 35 ძროხის გადახდა. აქედან 30 ძროხა დააკისრეს ფილტვებში მიყენებული მძიმე, სასიკვდილო ჭრილობისათვის და კიდევ 5 ძროხა „სალოგინე", რაკი დაზარალებული ამ ჭრილობის გამო ლოგინად იყო ჩავარდნილი და გარეთ, საპირფარეშოში დამოუკიდებლად გასვლის უნარი არ ჰქონდა.[1922] ეს მაგალითი არა მარტო „სალოგინეს", როგორც გადასახადის ოდენობას გვიჩვენებს (5 ძროხა), არამედ იმასაც, რომ „სალოგინე" დამატებითი გადასახადი იყო და ძირითად სახდელთან ერთად ეკისრებოდა დამნაშავეს, მხოლოდ კონკრეტული, ზემოთაღნიშნული პირობის არსებობისას. ბ. გოგოჭურის მონაცემებითაც განსახილველი გადასახადი 5 ძროხის ოდენობისაა და თან ამის გარდა მოითხოვს ერთი კილოგრამი ერბოს გადახდას დაზარალებულისათვის, სანამ ის ლოგინადაა ჩავარდნილი.[1923]

5. დაჭრა-დასახიჩრება სხვა კუთხეებში

დაჭრა-დასახიჩრების შესახებ გარკვეული მონაცემები სვანეთის, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის გარდა სხვა კუთხეების ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება, კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებულ ხევის, ლეჩხუმის, რაჭის, სამეგრელოს, მესხეთის, იმერეთის, გურიის, აჭარის, ქსნის ხეობის შესახებ მასალებში. ეს მასალები ძირითადად დაფიქსირებულია გასული საუკუნის 80-იანი წლებში მ. კეკელიასა და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ. ცალკეულ მონაცემებს აღნიშნულ საკუთხზე ვხვდებით იბ. აბაშიძის (აჭარა), მიხ. კედელაძის (რაჭა) მასალებში, რომლებიც ჩაწერილია XX საუკუნის 50-60-იან წლებში. უფრო ადრეული მასალები ამ კუთხეებში დაჭრა-დასახიჩრებისას შერიგების ხალხური წესების გამოყენების შესახებ არ მოგვეპოვება, რამაც ბუნებრივია გავლენა მოახდინა მასალის შინაარსზე და სრულყოფილებაზე.

XX საუკუნის II ნახევარში, განსაკუთრებით კი 80-იან წლებში მცხოვრებ ინფორმატორებს ხშირად არ ახსოვთ ან ნაკლებად გაუგონიათ განსახილველი საკითხის შესახებ. მაგალითად, არაერთი ინფორმატორი ამ კუთხეებიდან მიუთითებს რომ მათ საერთოდ არაფერი გაუგიათ დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესის თანახმად მორიგების და გადასახადის გადახდის შესახებ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის განმარტებით, ასეთ დროს საქმეში ერეოდნენ სახელმწიფო სტრუქტურები – პროკურატურა, სასამართლო. ასეთი მონაცემები უფრო გვხვდება მესხეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და ქსნის ხეობაში ჩაწერილ მასალებში.[1924]

1922 იხ. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამრთალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 20

1923 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 39.

1924 იხ. მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 4, 7, 8, 25, 30, 32, 44; №2, 11; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 71; მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიუ-

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ კუთხეებში დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით შერიგების გარკვეული გამოვლინებანი არ გვხვდება. ზოგიერთი ინფორმატორი აფიქსირებს, რომ დაჭრა-დასახიჩრებისას ადგილი ჰქონდა შუაკაცების მიერ მხარეების შერიგებას. მათ შორის ზოგიერთს გადმოცემით გაუგია წარსულში დაჭრა-დასახიჩრებისას გარკვეული გადასახადის გადახდის შესახებ, თუმცა რამდენი იყო ეს გადასახადი, რაზე იყო მისი ოდენობა დამოკიდებული არ ახსოვთ. მაგალითად, ინფორმატორები ქსნის ხეობიდან მიუთითებენ, რომ როდესაც მეზობლებში ადგილი ექნებოდა დაჭრას სოფლის ავტორიტეტული, ჭკვიანი კაცები მივიდოდნენ დაზარალებულთან შერიგების მისაღწევად, კონფლიქტის აღმოსაფხვრელად და რომ ამ დროს შესაძლოა ადგილი ჰქონოდა რაღაც გარკვეული თანხის თუ საქონლის გადახდას კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.[1925] ერთ-ერთი ინფორმატორის თანახმად, დამნაშავეს დააკისრებდნენ გადასახადს როგორც დაზარალებულის, ისე ხალხის სასარგებლოდ, თუმცა რამდენი იყო ეს გადასახადი მას არ ახსოვს.[1926] ზოგიერთ სხვა ინფორმატორსაც გაუგია რომ, ხალხური წესით შერიგებისას დამჭრელი გარკვეულ საზღაურს იხდიდა, თუმცა არ ახსოვს რამდენს.[1927] ინფორმატორები მიუთითებენ რომ, გადასახადის გადახდა ადრე ხდებოდა, თუმცა მასალის ჩაწერის დროს ამას აღარ ჰქონდა ადგილი და აღნიშნული დავიწყებას მიეცა.[1928] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მესხი ინფორმატორიც კი ამ კუთხის ბევრი სხვა წარმომადგენლისაგან განსხვავებით აფიქსირებს დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით გადასახადის გადახდას. ამ ინფორმატორთა განმარტებით, გადასახადის ოდენობა წინასწარ არ იყო დადგენილი და განპირობებული იყო კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის ხარისხით და მნიშვნელობით.[1929] რამდენიმე მათგანი მიუთითებს რომ ამის გარდა შუაკაცების მიერ გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ დამნაშავის თუ დაზარალებულის ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას.[1930] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორიც აღნიშნავს, რომ დაჭრისათვის გადასახადი წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული.[1931] დაჭრისას გადასახადის გადახდის შესახებ ცნობას სამეგრელოში ჩაწერილ მასალაში ვხვდებით. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ცულით დაჭრის შემთხვევას, რასაც დამნაშავის მხრიდან დაზარალებულისათვის გარკვეული გადასახადის გადახდა მოჰყვა.[1932]

ლი რვეული, 1985, 37; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 69; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 43.

1925 მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 58, 65-66,

1926 იქვე, 66.

1927 იქვე, 21, 37, 72.

1928 იქვე, 37, 72.

1929 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 3, 34-35; მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 41.

1930 მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 61; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 35.

1931 მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6.

1932 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 33.

მასალების მიხედვით გვხვდება აგრეთვე ცნობები, რომელთა მიხედვითაც არაერთი ინფორმატორი აფიქსირებს ამ კუთხეებში (სამეგრელო, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა, ქსნის ხეობა) დაჭრა-დასახიჩრებისას მხარეების შერიგებას ხალხური წესით, თუმცა ამ დროს რაიმე გადასახადის გადახდას უარყოფს.[1933] ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს მამამისის მიერ მოყოლილ კონკრეტულ ფაქტს, როდესაც ყურის მოთლას ჰქონდა ადგილი. მხარეები შერიგდნენ გადასახადის გადახდის გარეშე.[1934] ზოგიერთი აჭარელი ინფორმატორიც მიუთითებს, რომ რაიმე გადასახადის გადახდას ადგილი არ ჰქონია. კონფლიქტი მხარეების დამოყვრებით მთავრდებოდა.[1935] ერთ-ერთი ინფორმატორი ქსნის ხეობიდანაც ადასტურებს მხარეების ხშირად შერიგებას ისე რომ, რაიმეს გადახდაზე ლაპარაკიც არ იყო.[1936] ზოგიერთი ინფორმატორი გადასახადის გადაუხდელობის მიზეზსაც ასახელებს. ერთ-ერთი მესხი ინფორმატორის განმარტებით დაჭრის შემთხვევაში დაზარალებული დამნაშავეს არაფერს ახდევინებდა, რადგანაც სირცხვილად ითვლებოდა საკუთარი სისხლის რაიმეში გაცვლა.[1937] იგივეს აფიქსირებს ინფორმატორი იმერეთიდანაც. მისი თქმით, დაჭრის ფულით გამოსყიდვა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა.[1938]

განსახილველი კუთხეებიდან დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით შერიგების შესახებ შედარებით უფრო მეტი და სრულყოფილი მონაცემები გვხვდება ხევსა და ლეჩხუმში. ამ კუთხეების XX საუკუნის 80-იანი წლების ინფორმატორებსაც კარგად ახსოვთ დაჭრა-დასახიჩრებისას გადასახადის გადახდის თაობაზე, და თვითონაც კი მიუღიათ ასეთ საქმეში მონაწილება. ასეთი მონაცემი რაჭის სინამდვილიდანაც გვხვდება. ეს გარემოება, ცხადია, ამ კუთხეებში ჩვეულებითი სამართლის უფრო ხანგრძლივი შემონახულობით და საკვლევ პერიოდში შედარებით ინტენსიური გამოყენებით იყო განპირობებული. ამ კუთხეებში ამა თუ იმ ხასიათის დაჭრა-დასახიჩრებისათვის ხალხური წესით წინასწარ დაწესებული კონკრეტული ოდენობის გადასახადები არ გვხვდება. როგორც ჩანს, მასალების დაფიქსირების პერიოდში ისინი უკვე დავიწყებას იყო მიცემული და ხალხური წესით მხარეთა შერიგებას შუაკაცები კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე ახდენდნენ. კერძოდ, ზემოთგანხილული კუთხეების მსგავსად ხევშიც შუაკაცები (თემის კაცები) დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას სხეულის დაზიანების ხარისხს ითვალისწინებდნენ. მ. კეკელიას მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, მოხევე ინფორმატორები ერთხმად მიუთითებენ რომ ხევში სხეულის ცალკეული ნაწილებისათვის წინასწარ დადგენილი კონკრეტული გადასახადი

1933 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 35, 48; გ. დაითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 2, მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 45; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 43.

1934 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 48;

1935 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 23.

1936 იქვე, 21.

1937 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 62.

1938 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 38.

არ არსებობდა.[1939] ერთ-ერთი მათგანი მიუთითებს რომ არ გვაქვს განსაზღვრული, თუ რა ფასი ღირს ხელი, ფეხი, ან სხვა.[1940]

ხევსა და ლეჩხუმში ჩაწერილ მასალებში გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც დაჭრა-დასახიჩრებისას გადასახადის გადახდას ჰქონდა ადგილი. ამ მონაცემების მიხედვით არ ჩანს რომ მათი ოდენობა წინასწარ იყო განსაზღვრული. მაგალითად, ერთ-ერთი მოხევე ინფორმატორი იხსენებს რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ვინმე სუჯაშვილს ბუჩუკურმა დაუზიანა ხელი, რომელიც ჭრილობის შედეგად „გახმა". თემის კაცებმა, როგორც მომრიგებლებმა დამნაშავეს დააკისრეს 70 ცხვრის მიცემა დაზარალებულისათვის და თან ფულის დამატება, რომლის ოდენობაც ინფორმატორს არ ახსოვს.[1941] სხვა მოხევე ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც თემის კაცი იყო ფეხის დაზიანების საქმეზე და გარკვეული თანხის გადახდა დააკისრა დაზარალებულს. მისივე მითითებით, ისე როგორც მკვლელობისას, დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაშიც დაზარალებული, როგორც წესი, მიღებულ თანხას მთლიანად არ იტოვებდა და აპატიებდა დამნაშავეს თემის კაცების, შუამავლების და სხვათა ხათრით.[1942]

დაჭრა-დასახიჩრებისას გადასახადის გადახდის არაერთი კონკრეტული შემთხვევა გვხვდება ლეჩხუმში ჩაწერილ მასალაში. მათ მიხედვით, გადახდა ხდებოდა როგორც საქონლით, ისე ფულით.[1943] მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს რომ ვინმე ქვარიანი დაჭრა ალავიძემ, რის გამოც 7000 მანეთი გადაახდევინა დაზარალებულმა დამჭრელს. ინფორმატორის განმარტებით, რომ არ გადაეხადა, შესაძლოა ქვარიანს სამაგიერო მიეზღო, რადგანაც იგი ძლიერი კაცი იყო და არ აპატიებდა.[1944] მეორე ინფორმატორი კი გვიამბობს შემთხვევას, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორეს დაუსახიჩრა ხელები. შერიგების ნიშნად კი მიწის ნაკვეთი გადასცა, რომელზედაც მოდიოდა 6 ძარი (ერთი ძარი – 200-300 კგ.) სიმინდი. ეს გააკეთა იმ მიზნით რომ დაზარალებულს არ ეჩივლა. მიწის მიღების შემდეგ დაზარალებულს, მიუხედავად იმისა რომ მძიმე დაზიანება მიიღო, არ უჩივლია.[1945] კიდევ ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი იხსენებს: „ჩემმა ბიჭმა გალახა და დაჭრა..... ვალიკო ლომთაძე. იგი სასიკვდილოდ იყო. მე წავიყვანე საავადმყოფოში, ვუვლიდი, საჭმელ-სასმელი მიმქონდა. ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი შერიგებაზე. მივეცი ექიმის ფული და შესარიგებელი 200 მანეთი. შემდეგ მე მივიყვანე ჩემი და მისი ნათესაობა, გადავიხადე პურ-მარილი და ავიყვანე შვილად. პურ-მარილის დროს ვუთხარი მას, რომ მიგიღებ მეხუთე შვილად."[1946] ამ უკანასკნელ მაგალითში კარგად ჩანს, რომ დაზარალებულისათვის გადახდილ გადასახადს შესაძლოა მოეცვა როგორც დაზარალებულის სააქიმო ხარჯი, ისე გადასახადი, როგორც ჭრილობის საფასური.

1939 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 30, 49, 82; №2, 39.

1940 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 72.

1941 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 16-17.

1942 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 60-61.

1943 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10.

1944 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმურ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3-4.

1945 იქვე, 36.

1946 იქვე, 4.

იგივეს მიუთითებს ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი.[1947] მასალების მიხედვით ჩანს, რომ ლეჩხუმშიც წინასწარ არ ყოფილა დადგენილი გადასახადი ოდენობა და მისი განსაზღვრა შუაკაცების მიერ ხდებოდა ჭრილობის სიმძიმიდან გამომდინარე. ცხადია, სასიკვდილო ჭრილობისას გადასახადი მეტი იქნებოდა, ვიდრე შედარებით მსუბუქი ჭრილობისას.[1948] შესაძლებელია დაზარალებულს გადასახადი საერთოდ არ აეღო, იმ მოტივით, რომ „სისხლს არ გავყიდიო" და მხოლოდ ბოდიშის მოხდით დაკმაყოფილებულიყო.[1949]

თითქმის ყველა განსახილველ კუთხეში ფიქსირდება ასევე არაერთი ინფორმატორის ცნობა, რომლის მიხედვითაც დაჭრისას დამნაშავე იხდის მხოლოდ მკურნალობის ხარჯს, განაცდურს. მაგალითად, შესაბამის ცნობას ვხვდებით ქსნის ხეობელ ინფორმატორთან. მისი განმარტებით, ზოგჯერ მოილაპარაკებდნენ ერთმანეთში შუაკაცები და „რაღაც მცირედ თანხას, სამკურნალოდ, ჯანი რომ დაკარგა და საქმეს მოცდა, მიაცემინებდნენ დამჭრელს დაჭრილისათვის. ყველაფერი ეს კეთდებოდა შინაურულად ორი-სამი სოფლის კაცის მონდომებით."[1950] იგივეს ვხვდებით მესხ ინფორმატორთანაც: „თუ დაზარალებულს მკურნალობაში ნასვლია დიდი თანხა, ან შრომის უნარი დაკარგვია, აი, ამ დროს მიაღებინებდნენ რაღაცას დამჭრელისაგან დაჭრილს."[1951] სხვა მესხი ინფორმატორებიც მიუთითებენ, რომ მათ დაჭრა-დასახიჩრებისას სამკურნალო ხარჯის და განაცდურის გადახდა გაუგიათ და არა სხვა რაიმე გადასახადის.[1952] იგივეს აფიქსირებს ზოგიერთი მოხევე, აჭარელი, იმერელი, თუ ლეჩხუმელი ინფორმატორი.[1953] იბ. აბაშიძის განმარტებით: „აჭარაში ადგილობრივი ადათით მიღებული იყო შერიგების მიღწევის შემდეგ სამკურნალო ხარჯის გაღება, მაშინ როცა სასიკვდილოდ გამეტებული პირი მხოლოდ და მხოლოდ დაიჭრებოდა."[1954]

მასალებში გვხვდება დაჭრა-დასახიჩრებისას მკურნალობის ხარჯის და განაცდურის გადახდის კონკრეტული შემთხვევები. კერძოდ, ერთ-ერთი რაჭეელი ინფორმატორი იხსენებს მენშევიკური მმართველობის დროინდელ ფაქტს, როდესაც ერთ პიროვნებას შემთხვევით გაუვარდა თოფი და მსუბუქად დაჭრა მეორე პიროვნება. მათ შორის წარმოიშვა უკმაყოფილება. დაზარალებულმა დამჭრელს მოსთხოვა იმ ზარალის ანაზღაურება რაც მან დაჭრის შედეგად განიცადა. შუაკაცებმა, რომელთა შორის ინფორმატორიც ყოფილა, დამნაშავეს დააკისრეს 370 თუ 400 მანეთი.[1955] ლეჩხუმელი ინფორმატორი კი გადმოგვ-

---

1947 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 34.

1948 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმურ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

1949 იქვე, 4-5.

1950 მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 44.

1951 მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 44-45.

1952 მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 67. 79, 86; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 11.

1953 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 76; გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 16; მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 50; მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 12.

1954 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება (კან ალამაქ) და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ბათუმი, 1965, 57-58.

1955 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/7, 14-15.

ცემს მეფის რუსეთის, კერძოდ, ხიკოლოზ II დროიხდელ ძეძთხევევას, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორე სიმთვრალეში დაჭრა მძიმედ. სოფლის თავკაცებმა შეარიგეს მხარეები და დამჭრელს დააკისრეს ერთი ხარის გადახდა, რადგანაც დაჭრილმა დიდხანს ვერ იმუშავა.[1956]

მოყვანილი მონაცემები გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ცალსახად ჩანს რომ საკვლევ პერიოდში იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, ხევში, მესხეთში, ქსნის ხეობაში, რაჭასა და ლეჩხუმში ფიქსირდება დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში ხალხური წესით შერიგება და გარკვეული საზღაურის გადახდა. ცხადია, გარკვეული განსხვავებები კუთხეების მიხედვით ვლინდება. ზოგ კუთხეში სახელმწიფოს იურისდიქციას საკვლევ პერიოდში ძირითადად განუდევნია დაჭრა-დასახიჩრებისას მხარეთა ხალხური წესით მორიგების და გადასახადის დაკისრების წესები. ზოგან ეს იმდენად დიდი ხნის წინ მომხდარა რომ ინფორმატორთა მნიშვნელოვან ნაწილს არც ახსოვთ რომ დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით გადასახადის გადახდას ჰქონდა ადგილი და ასეთი მძიმე დანაშაულისას საკითხების გადაწყვეტას მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას უკავშირებენ (მაგალითად, მესხეთი), ან გადმოცემით გაუგიათ რომ გადასახადის გადახდა ადრე ხდებოდა, მაგრამ XX საუკუნის დასასრულს მცხოვრები ხანშიშესული ინფორმატორები ამას არ მოსწრებიან (მაგალითად, ქსნის ხეობა). ეს არ ნიშნავს რომ ამ კუთხეებში დაჭრა-დასახიჩრებისას მხარეთა მორიგების ხალხური წესის გამოყენება არ ყოფილა. გარკვეული გადასახადის გადახდას ზოგიერთი ინფორმატორი აქაც მიუთითებს, რაც ნიშნავს აღნიშნული დანაშაულისას შერიგების ხალხური წესის გამოყენების შესაძლებლობას. ზოგიერთ კუთხეში კი საკვლევ პერიოდში დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით შერიგება და გადასახადის დაკისრება შედარებით ხშირად ხდებოდა და უფრო დიდხანს შემორჩა, რის გამოც XX საუკუნის II ნახევრის (მათ შორის 80-იანი წლების) ინფორმატორები თავადაც გამხდარან შემსწრენი ამისა (ეს ყველაზე თვალსაჩინოდ აღნიშნული კუთხეებიდან ხევსა და რაჭა-ლეჩხუმში ფიქსირდება).

ყველა განსახილველ კუთხეში დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით შერიგების არსებობის საუკეთესო დასტურია დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის მკურნალობის ხარჯისა და განაცდურის ანაზღაურების ფიქსაცია, მათ შორის მესხეთსა და ქსნის ხეობაში. ვხვდებით მხოლოდ მკურნალობის ხარჯისა და განაცდურის ანაზღაურებით შერიგებას და ასევე მის გარდა გარკვეული საზღაურის დაკისრებასაც. როდესაც ხდებოდა მხოლოდ მკურნალობის ხარჯისა და განაცდურის გადახდა შერიგების ნიშნად, ადგილი ჰქონდა მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო მეორე შემთხვევაში უკვე ხდებოდა არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურება, არამედ საზღაურის დაკისრება სწორედ სხეულის დაზიანებისათვის.

როგორც დავინახეთ, გვხვდება ცნობები დაჭრა-დასახიჩრებისას ხალხური წესით შერიგებისა ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო სხეულის შედარებით მსუბუქი დაზიანება, რაც დაზარალებულისთვის არსებითი ხარჯის, მნიშვნელოვანი მიუღებელი შემოსავლის მიზეზი ვერ იქნებოდა და ამიტომ დაზარალებული კმაყოფილდებოდა დამნაშავის მონანიე-

1956 ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმურ ჩვულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

ბით, ბოდიშის მოხდით, მასთან დამოყვრებით, ან შესაბამისი კუთხის კონკრეტულ რეგიონში დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადის გადახდა მიღებული არ იყო, შესაძლოა იმ მოტივით, რომ სისხლის გაყიდვა შეურაცხმყოფელია.

აღნიშნულ კუთხეებში სხეულის დაზიანებისას გადასახადის დაკისრებისთვის დამახასიათებელი იყო ის რომ, არ უკავშირდებოდა წინასწარ განსაზღვრული გადასახადის ოდენობას. დაზიანების ხარისხი და მხარეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინება იყო კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადის ოდენობის განმაპირობებელი, თუ გადასახადის გადახდას ჰქონდა ადგილი.

6. ცემა

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დანაშაულად ითვლებოდა ცემაც. ცემას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ხელ-ფეხითაც და რაიმე სხვა საშუალებითაც, მაგალითად, ჯოხით, შოლტით, მათრახით და სხვა. ცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. შედარებით მეტი მონაცემი სვანეთში დაფიქსირებულ მასალაში გვხვდება.

სვანურ ჩვეულებით სამართალში ცემისთვის პასუხისმგებლობის არსებობა კარგად ჩანს მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში საველე-ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ყოფნისას ერთ-ერთ ოჯახში მოძიებული დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც ასახულია ცემის შედეგად დაზარალებული პიროვნების წერილობითი პირობა, რომ ცემისათვის მიღებული საზღაურის და შერიგების გამო იგი აღარ იჩიველებს ამ საქმეზე და მეორე მხარის მიმართ მტრობა აღარ ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს გარკვეული პირგასამტეხლო. ამ დოკუმენტს სრულად მოვიყვანთ: „1884 წლის თებერვლის 15-სა რიცხვსა; მე ქვემორე ამის ხელის მომწერნი იფარში მცხოვრები, გლეხი გუა ჯავახის ძე პირველი, გაძლევ ამა გარიგებითი წერილს, შენ იფარში მცხოვრებს გიერგ ბექმურზას-ძეს პირველს, მას შინა რომელ ჩვენ ვიყავით ურთიერთშორის ნაჩხუბარი და გავრიგდით ეხლა ჩვენის თანხმობით ასე რომ, მე მოგინათლე შვილი და მივიღე თქვენგან რაიცა მერგებოდა გალახვის საუპატიო. ესე იგი, ერთი პატარა ხბო, ღირებულებით ხუთ თუმნად და ერთ ხარის ტყავი, რომელზედაც ვარ კმაყოფილი. გაძლევ ახლა ამ გარიგებას, ასე, რომ ამ საგანზე თქვენზე არავითარი საჩივარი არ გამოაცხადო, და ვიქმნეთ ურთიერთ შორის ერთგული, როგორც მკვიდრი ძმები, და უკეთუ რომელიმე მიზეზით ამა საგანზე საჩივარი დავიწყო და ჩემი ერთგულება არ აღმოვაჩინო, მაშინ მე შტრაფი გადავიხადო ოცდახუთი მანეთი, სასარგებლოდ თქვენდა.."[1957] როგორც ვხედავთ, დოკუმენტი XIX საუკუნის 80-იან წლებში მომხდარ ფაქტს ასახავს, რომლის მიხედვით ცემის შედეგად ადგილი ჰქონდა: 1. საზღაურის გადახდას, კერძოდ, ხუთ თუმნად ღირებული პატარა ხბოს და ერთი ხარის ტყავის და 2. მხარეთა დამოყვრებას, კერძოდ, დაზარალებულის მიერ დამნაშავის შვილის მონათვლას. ამ დოკუმენტის მიხედვით, არ ჩანს, თუ ცემის შედეგად რა სახის დაზიანება მიადგა დაზარალებულს. სავარაუდოდ, ეს არ უნდა ყოფილიყო მძიმე ხასიათის დაზია-

1957 იხ. დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №1, თბ., 1988, 160.

ნება საზღაურის მცირე ოდენობიდან გამომდინარე. ამას ისიც მიუთითებს, რომ დოკუმენტში გადასახადი ცემისათვის „საუპატიოდ" არის მოხსენიებული, რაც ნიშნავს, რომ საზღაურის გადახდა ძირითადად ცემის შედეგად მიყენებული უპატიობით იყო განპირობებული.

ცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეულ ზოგად მონაცემებს ვხვდებით XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის ავტორთა მონაცემებში. ჩვენ ისინი განვიხილეთ სხეულის დაზიანების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. მათ მიხედვით ჩანს რომ, ცემისათვის პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია ცემის შედეგად მიყენებული ზიანის მიხედვით. მაგალითად, ბ. ნიჟარაძის თანახმად არსებობს 1. „კადარდ ფუკვიდ", ანუ გარტყმა მშრალი, უსისხლო, 2. გარტყმა „მუჟირად", ანუ გარტყმა სველი, სისხლიანი.[1958] მსუბუქი, ანუ „მშრალად" გარტყმა თუ ხელით მოხდებოდა ითვალისწინებდა ერთი აცსიშის გადახდას, ხოლო ჯოხით თუ ქვით ორი აცსიშიდან სამ აცსიშამდე.[1959] ჯოხით, ქვით ცემა, დარტყმა შედარებით მძიმე დაზიანების გამომწვევი უნდა ყოფილიყო და ამდენად, პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც მეტი გადასახადს ითვალისწინებდა, ვიდრე ხელით დარტყმის შემთხვევაში. მ. კოვალევსკის მითითებითაც ცემა შედარებით მცირე გადასახადს ითვალისწინებდა და ერთი, მაქსიმუმ ორი აცსიშის, ე. ი. 6 ან 12 მანეთის გადახდას გულისხმობდა.[1960] დ. დავითულიანიც ცემის როგორც დანაშაულის ფაქტობრივად ისეთივე კლასიფიკაციას იძლევა, როგორსაც ბ. ნიჟარაძე. მისი განმარტებით, არსებობს ცემა მშრალად, ანუ სხეულის მსუბუქი დაზიანება და ცემა რომელსაც მოჰყვება დასისხლიანება.[1961]

მშრალად დარტყმისთვის შედარებით მეტ გადასახადს ვხვდებით ეგ. გაბლიანთან. მის მიხედვით, „ფუკვიდ" ანუ „კადარდ ნაყირე" ნიშნავს მშრალად ანუ მსუბუქად დარტყმას და ფასობს 2 ათსიშიდან (12 მ) 10 ათსიშამდე (60 მ)."[1962] თუ მშრალად დარტყმისთვის მ. კოვალევსკისა და ბ. ნიჟარაძის მიხედვით გადასახადი 2-3 აცსიშს არ სცილდება, ეგ. გაბლიანის მიხედვით კი, მაქსიმალური გადასახადი 10 აცსიშამდე ადის. ეს, ჩვენი ვარაუდით, განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ გადასახადის თანხობრივი გამოხატულება დროთა განმავლობაში გაიზარდა.

რაც შეეხება „სველ", „სისხლიან" გარტყმას, როგორც სხეულის დაზიანების კლასიფიკაციის შესახებ საუბრისას აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, მას მოიცავს სხეულის დაზიანების მეორე კატეგორია მისი შესატყვისი გადასახადით.

მოყვანილი მონაცემების განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში ცემა სხეულის დაზიანების გამომწვევ დანაშაულთა რიგს მიეკუთვნება. როდესაც სხეულის დაზიანებისას ადგილი არა აქვს დასისხლიანებას, ეს ცემის შედეგი უნდა იყოს. მშრალი გარტყმისთვის დაწესებული გადასახადი, უშუალოდ ცემისთვის განსაზღვრული გადასახადია. მაგრამ შესაძლოა ცემას (ხელით, ჯოხით თუ სხვა) გამოეწვია შედარებით მძიმე დაზიანება, კერძოდ, დაზარალებულის დასისხლიანება, მისთვის გარკვეული ჭრილობის მიყენება, მათ

1958 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

1959 იქვე.

1960 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37.

1961 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974-1975, ხელნაწერი, 179.

1962 ეგ. გაბლიანი, თავისუფალის სვანეთი, ტფ., 1927, 112.

შორის მძიმე ხასიათის. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დამნაშავეს დაეკისრებოდა იმ შედეგისათვის რაც ცემამ გამოიწვია, ანუ შესაბამისი კატეგორიის სხეულის დაზიანებისათვის. ცემით კაცის მოკვლის შემთხვევაში კი ცხადია პასუხს მკვლელობისთვის აგებდა. ამდენად, სხეულის დაზიანების დროს პასუხიმგებლობის დაკისრებისას არ ჰქონდა მნიშვნელობა იგი ცემას მოჰყვა თუ იარაღით დაჭრას, მთავარი იყო დამდგარი შედეგი. სვანური ჩვეულებითი სამართალი ცალკე გამოყოფს ცემას, რომელსაც არ მოჰყოლია დაზარალებულის დასისხლიანება, ჭრილობის მიყენება, როგორც სხეულის დაზიანების ცალკე კატეგორიას და მისთვის კონკრეტულ გადასახადს აწესებს, შედარებით მცირეს, ვიდრე სხეულის დაზიანების სხვა სახეებისათვის, რომლებიც შესაძლოა ცემითაც იყოს მიყენებული.

ცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეული მონაცემები გვხვდება მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილ მასალაში. ამ მონაცემებშიც ფიგურირებს ცემა, გარტყმა უსისხლოდ, მშრალად და გარტყმა სისხლიანი. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც პიროვნება სასიკვდილოდ დაჭრეს, თან ამას ახლდა დაზარალებულის ცემა მკვლელის ცოლის მიერ ჯოხით „მშრალად“, „უსისხლოდ.“[1963] მასალებში საუბარია ცემისთვის კონკრეტულ გადასახადზეც. ერთ-ერთი ინფორმატორი თვითონ ყოფილა მედიატორი ცემის საქმესთან დაკავშირებით და დამნაშავეს დააკისრა გადასახადი 300 მანეთის (მხედველობაშია საბჭოთა მანეთი ე. წ. ახალი კურსით). მისი განმარტებით, თუ ცემა ხდება უმიზეზოდ და უსისხლოდ, 300 მანეთია.[1964] მ. კეკელიას მასალებში ასევე ჩანს, რომ მშრალად, უსისხლოდ ცემა ხშირად მორვების გარეშე წყდებოდა, ბოდიშის მოხდით და ტოლობის ფიცის მოშველიებით. ამ დროს ხდებოდა საჩუქრების მიტანა დაზარალებულისათვის. რამოდენიმე სვანი ინფორმატორის მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ როდესაც ადგილი ექნებოდა მშრალად გარტყმას, გარტყმით დაჟეჟილობის მიყენებას, დამნაშავე თავის ახლობლებთან ერთად მივიდოდა დაზარალებულთან, სთხოვდა პატიებას, მიიყვანდა საჩუქრის სახით ძროხას, ან ხარს, ხანდახან შერიგების ნიშნად ნათლიაობასაც ჰქონდა ადგილი. შერიგების მიზნით შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ტოლობის ფიცსაც – დამნაშავე ხატის წინაშე დაიფიცებდა: „შენს ადგილას მე რომ ვყოფილიყავი გაპატიებდიო“.[1965] ერთ-ერთი უშგულელი ინფორმატორის ცნობით კი მშრალად გარტყმისას შინაურულად არიგებდნენ 10-12 მანეთით (მხედველობაშია ნოკოლოზის დროინდელი ფული).[1966]

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ მსუბუქი ზიანის მიყენება, თუნდაც მშრალი გარტყმის სახით, თუ ამას ადგილი ექნებოდა საჯაროდ – ქორწილში, ქელეხში, სოფლის ყრილობაზე და სხვა ამძიმებდა დანაშაულს და ასეთ შემთხვევაში მხარეების მოსარიგებლად მორვების ჩარევა ხდებოდა საჭირო.[1967] მ. კეკელიას მასალებშიც ჩანს რომ, ცემა, რომელსაც თუნდაც მცირედი დასისხლიანება

1963 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 39-40.

1964 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 27.

1965 იხ. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 57, №4, 1968, 35; №5, 1968-1969, 12, 37.

1966 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 72.

1967 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., ხელნაწერი, 1974-1975, 179.

მოსდევდა უფრო მძიმე ითვლებოდა და მეტ გადასახადს ითხოვდა, ვიდრე ცემა უსისხლოდ.[1968] ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით კი ჯოხის თითოეული დარტყმა ცალ-ცალკე ფასდებოდა გარკვეული ოდენობის გადასახადით. ასევე, უფრო მძიმედ და შეურაცხმყოფლად ითვლებოდა როდესაც ცემდნენ პიროვნების ცოლს ან შვილს და არა თვით მას.[1969]

სვანეთში განსაკუთრებით მძიმედ ითვლებოდა ქალის ცემა. აღნიშნული ქმედება არსებითად ამძიმებდა პასუხისმგებლობას. კერძოდ, ქალის ცემისთვის სასჯელი ექვსი ძროხა მაინც უნდა ყოფილიყო.[1970]

ცემის, როგორც დანაშაულის და მისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ძალზედ მწირი მონაცემებია სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. მაგალითად, ამ საკითხზე ხევსურულ ჩვეულებით სამართალში გვხვდება რ. ერისთავის და ალ. ყამარაულის ცნობა, რომლის მიხედვითაც ქალის ცემა 11 ძროხადაა შეფასებული და არნ. ზისერმანის და რ. ერისთავის ცნობა, რომლის თანახმადაც ცემისთვის პასუხისმგებლობა 5-დან 20 ძროხამდეა, გააჩნია რა ძალით და რა იარაღით მოხდა ეს.[1971] აღსანიშნავია რომ გადასახადის ეს ოდენობები საკმაოდ დიდია ხევსურეთის სინამდვილიდან გამომდინარე და ზოგიერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ჭრილობისათვის განსაზღვრული გადასახადის ოდენობასაც კი აღემატება. როგორც ვნახეთ, ზოგიერთი მონაცემით, მაგალითად, ხელის დასახიჩრებაც კი შეიძლება 16 ძროხად შეფასებულიყო, აქ კი ცემისათვის 20 ძროხის დაკისრების შესაძლებლობაზეა ლაპარაკი. თუ დავუშვებთ რომ არნ. ზისერმანის მონაცემები სინამდვილეს შეესაბამება, ან თუნდაც უახლოვდება მას, ეს ნიშნავს, რომ სვანეთის მსგავსად ხევსურეთშიც ცემისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ითვალისწინებდნენ მის გამო დამდგარ შედეგს და აქ მოყვანილი საკმაოდ დიდი გადასახადების დაკისრებას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ ცემით მიყენებული დაზიანება ისეთივე იქნებოდა, როგორიც, ვთქვათ, მძიმე დაჭრის შედეგად. აღნიშნული გარემოება დასტურდება ბ. გოგოჭურის ჩანაწერებით. მათ მიხედვით, ცემის შედეგად მიყენებული ზიანი ფასდება შედეგის მიხედვით. მძიმე ზიანის დადგომას უფრო მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ ცემა მოხდებოდა რაიმე საგნის (ჯოხის, ქვის და სხვა) გამოყენებით.[1972] თუ ცემის გამო არაარსებითი ზიანი იქნებოდა მიყენებული, მსუბუქი ჭრილობის შემთხვევის მსგავსად, დამნაშავის დაზარალებულთან არყით მისვლა და შერიგების თხოვნა იქნებოდა საკმარისი. აღნიშნული გარემოება დასტურდება ბ. გოგოჭურის მონაცემით. მისი ცნობით, ხელით, ფეხით, თავით,

---

1968 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 1969, 26.

1969 იქვე.

1970 მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, 138-139.

1971 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნერილები, გამოსაცემად მოამზადა, ნინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93; А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879, 225; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1930, 109.

1972 მაგალითად, ბ. გოგოჭურის ხევსური ინფორმატორის, გიორგი ყუდიას ძე ნიკლაურის ცნობით: ჯოხით, ქვით მიყენებული ჭრილობები შედეგების მიხედვით ფასდება, როგორც ხმალ-ხანჯლით მიყენებული ჭრილობა. ჯოხით გახაიბრებული ისევე აგებდა პასუხს, როგორც ხანჯლით გახაიბრებული (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო", 30.). ბ. გოგოჭურის კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორი – ბეწინურ არაბული, აღნიშნავს, რომ ქვით ან ჯოხით მიყენებული სხეულის დაზიანება ისევე განიხილება, როგორც ნაიარაღალი (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები", 68).

ან რაიმე სხვა საგნით, თუნდაც სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად გაკეთებული მეტალის „ღაჯიათი" კაცის ცემა, თუ ცემის შედეგად მან არ მიიღო კბილის, ხელ-ფეხის მოტეხილობა, ან სხვა ისეთი სახისა და სიმძიმის სხეულის დაზიანება, რომელსაც „დრამა" ეკუთვნის, ითვალისწინებს ნაცემის სახლში სასმლით მისვლას, ბოდიშის მოხდას და შერიგებას.[1973]

სვანეთის მსგავსად ხევსურეთშიც შედარებით მძიმე და მიუღებელ ქმედებად ითვლებოდა ქალის ცემა, რაც ძალზედ იშვიათად თუ მოხდებოდა. ქალისთვის ხელის სახეში ერთხელ შემორტყმაც შერიგების დროს მოითხოვდა ქალის მამის (პატრონის) სახლში საკლავის მიყვანას და დაკვლას, ბოდიშის მოხდას და სასმლით შერიგებას.[1974] როგორც ვხედავთ, ქალის ცემის შემთხვევაში მხოლოდ არყის მიტანა შესარიგებლად საკმარისი არ იყო და საკლავის დაკვლასაც მოითხოვდა ბოდიშთან ერთად. ეს კი იგივე ხუთ ძროხას უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ ვრცელდებოდა ქმრის მიერ ცოლისათვის ხელის შემორტყმაზე. ამისათვის ქმარი პასუხს არ აგებდა.[1975]

ბ. გოგოჭურის მასალაში ცალკეა გამოყოფილი „ლესულათი"[1976] ცემა. მისით მიყენებული მსუბუქი ჭრილობაც კი განიხილება როგორც „ნახანჯრალი" – ხანჯლის პირით მიყენებული ჭრილობა, რომელიც მოითხოვს დრამას.[1977]

პიროვნების მძიმე ფორმით ცემას აჭარაში ჩაწერილი მონაცემით შესაძლოა საპასუხოდ მკვლელობაც კი მოჰყოლოდა.[1978] რაჭაში დაფიქსირებულია შემთხვევა ცემის გამო (პიროვნება ჯოხით ცემეს და ამიტომ ორი კვირა ავად იყო) საპასუხო ქმედების თავიდან ასაცილებლად შუაკაცების ძალისხმევისა დაეთანხმებინათ დაზარალებული შერიგებაზე. შერიგებისას დამნაშავეს ცხვრის დაკვლა და დაზარალებულის ღვინით გამასპინძლება მოუწია, თან რვა მანეთი გადაუხადა.[1979] აღნიშნული თანხა წინასწარ დადგენილი საზღაური არ ყოფილა, შერიგებისას თანხის გადახდა დამნაშავის შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა. როგორც ვხედავთ, ცემას მძიმე ფორმით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესაძლოა მოჰყოლოდა შურისძიება, რომლის თავიდან აცილებისათვის ხდებოდა შერიგება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დამკვიდრებული წესების მიხედვით. ფიქსირდება ამისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდაც.

1973 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 16.

1974 იქვე, 17.

1975 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 4.

1976 ლესულა – მეტალის ორი ფირფიტისაგან შეკრული, მჭრელი პირების მქონე, ცერა თითზე წამოსაცმელი. სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად გაკეთებული რგოლი (ბ. გოგოჭური, იქვე, 18); ცერზე წამოსაცმელი მჭრელი იარაღი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 508).

1977 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 17.

1978 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

1979 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/8, 23-24.

თავი მესამე

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ ჩვეულებით სამართალში

შესავალი

ამ თავში განვიხილავთ ქართული ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებულ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულს. მასალების მიხედვით ჩანს რომ ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით ისჯებოდა არა მარტო ცალკეული გვარის, გვარის განშტოების, ცალკეული ოჯახის და პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებები, არამედ გარკვეული დანაშაულებიც, რომლებიც კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის (მაგალითად, თემის, სოფლის) მცხოვრებთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად აღიქმებოდა.

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ხელყოფის მთავარი ობიექტი საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესია. ეს შესაძლოა ყოფილიყო ნებისმიერი ინტერესი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო. ამდენად, გასაკვირი არაა რომ სხვადასხვა ინფორმატორები ზოგადად საუბრობენ საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენებაზე საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისათვის. მაგალითად, მესხი ინფორმატორების თქმით სოფლის ინტერესების დამრღვევის თუ სოფლის საზიანო მოქმედების ჩამდენის მიმართ საჯარო სასჯელის დაკისრება ხდებოდა.[1980] სვანეთშიც სოფლის საერთო ინტერესის შემბღალავს ჰიბარი უნდა გადაეხადა.[1981] როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, თემის ყრილობა მავნე პირთ საზოგადოებიდან განდევნიდა, გადაწვავდა მის სახლ-კარს.[1982] ხევსურეთში ჩაწერილი მონაცემებით კი საზოგადოების ინტერესის დამრღვევი, საერთო წესების ხელმყოფი, ამ წესების საწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი, შესაძლოა ჩაექოლათ, ან მოეკვეთათ, ან დაერისხებინათ სამანის ჩასმით.[1983] ინფორმატორები ხევიდან კი მიუთითებენ, რომ ხალხისთვის, სოფლისთვის თავისი მოქმედებით აუტანელ კაცს, ცუდი საქმის გამკეთებელს რისხვის სამანს ჩაუსვამდნენ, რაც მძიმე სასჯელად ითვლებოდა.[1984]

საქართველოს მთიანეთში საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მაგალითად, საზოგადოების ღალატი) შესაძლოა მიმართული ყოფილიყო როგორც მთელი ხეობის, ისე ლოკალური ტერიტორიული ერთეულების ინტერესთა წინააღმდეგ. კერძოდ, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული და-

1980 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №2, 13; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 69.

1981 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974–1975, 188.

1982 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 85; ჯერ კიდევ სვანურ საისტორიო ძეგლებში ჩანს, რომ „ერთობილი სვანეთის" და ცალკეული ლოკალური ერთეულის ინტერესის ღალატი მძიმე სასჯელით, კერძოდ, სიკვდილით შეიძლება დასჯილიყო.

1983 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/6, 3; ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, 1990, 175, ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 17.

1984 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1, 1984, 78; №3, 1984, 20.

ნაშაული შესაძლოა ჩადენილიყო როგორც მთელი ბალსზემო სვანეთის (ბალსზემო სვანეთის ყველა თემის), მთელი ხევსურეთის თუ ფშავის ხევის თორმეტივე თემის წინააღმდეგ, ისე ამ კუთხეების ცალკეული თემებისა თუ სოფლების წინააღმდეგაც. ამ თვალსაზრისით მ. კედელაძის ჩანაწერს დავესესხებით. მისი განმარტებით ხევსურეთში სამანს უსვამდნენ: 1. ხევსურეთის მოღალატეს; 2. თემის მოღალატეს; 3. სოფლის მოღალატეს.[1985]

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის უმძიმესად საზოგადოების – თემის, სოფლის ღალატი ითვლებოდა. საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში თემის ღალატის გაგება განსხვავებულია სხვა კუთხეებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია თემის ღალატის მნიშვნელობა ფშაურ ჩვეულებით სამართალში. ეს საკითხი საფუძვლიანად აქვს შესწავლილი დ. ჯალაბაძეს. ფშავში აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება იწოდებოდა თემისა და ხატის ღალატად. ამ დანაშაულის შემადგენლობა კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს მოიცავდა. დ. ჯალაბაძის განმარტებით, თემის ღალატად ფართე გაგებით „შეიძლება ჩაითვალოს ყოველი ქცევა, რომელიც არღვევს საზოგადოებისათვის დოგმამდე ამაღლებულ ტრადიციას, ჩვეულებას"[1986] ასეთი ქცევა კი შეიძლება გამოხატულიყო ხატის გაძარცვაში, მაბეზღრობაში, მაყვედრობაში, თემის ხატის შეურაცხყოფაში და სხვა შეუფერებელ საქციელში.[1987] დ. ჯალაბაძე აღნიშნავს რომ თვით ფშაველი რჯულისმცოდნენიც კი ამომწურავად ვერ ჩამოთვლიან თუ კონკრეტულად რა ქმედებები მიიჩნეოდა თემის ღალატად და მხოლოდ მათთვის ცნობილ (გაგონილ ან ნანახ) ფაქტებზე მითითებით შემოიფარგლებიან. მისი განმარტებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ამა თუ იმ ქმედების თემის (ხატის) ღალატად ცნობა ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებიდან გამომდინარე ხდებოდა.[1988] შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით დ. ჯალაბაძეს მიაწოდა სოფელ მაღაროსკარის მცხოვრებმა, ადგილობრივმა მასწავლებელმა ივანე ქართველიშვილმა. მისი განმარტებით: „ხატის და თემის ღალატად ითვლებოდა თას-განძის მოპარვა და მისი თუნდაც სხვისთვის ჩვენება..... სასჯელად ამ შემთხვევისთვისაც სოფლიდან მოკვეთაა გათვალისწინებული. გაბიჭიანებაც თემისა და ხატის ღალატად ითვლებოდა („გაბიჭიანება" – აკრძალული სქესობრივი კავშირი, რასაც შედეგად ორსულობა მოჰყვა – დ. ჯ.), რისთვისაც ორივე მხარეს ჩაქოლვით სჯიდნენ, ე. ი. თემისა და ხატის ღალატში შედიოდა შემდეგი დანაშაულები: ქურდობა, აკრძალული სქესობრივი კავშირი, თემის საიდუმლოების გაცემა, ხატის ტყის გაჩეხვა, ხატის მიწების მითვისება, თემის დავალების შეუსრულებლობა, თუკი ვინმე საერთო საქმეს გამოაკლდებოდა, მაგ., ომის დროს ან ციხეების, გოდოლების აგებისას და სხვა საქმეებში, – ამაზე იტყოდნენ, ხატის პირის გამტეხიაო და ძირითადად სათემო ხატში კურატის დაკვლით გაუსწორდებოდნენ, ანდა სათემოდ გამოირეკავდნენ მის საქონელს."[1989] დ. ჯალაბაძე სამართლიანად შენიშნა-

---

1985 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/18, 1.

1986 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 36.

1987 იქვე, 37.

1988 იქვე.

1989 იქვე.

ვს რომ მოყვანილი მასალის მიხედვით, ჩვეულებითი სამართლის თანახმად, თემის ღალატში იგულისხმება არა მხოლოდ ღალატი ვიწრო გაგებით, არამედ ის მოქმედებებიც, რომლებიც გარეგნულად არ შეიცავს ღალატის ნიშნებს, მაგრამ განსაკუთრებულ ზიანს აყენებს თემის (საზოგადოების) საერთო ინტერესს.[1990]

ამრიგად, გამოდის რომ ფშაურ ჩვეულებით სამართალში თემის (ხატის) ღალატი გულისხმობდა ღალატს არა მარტო ვიწრო გაგებით (ღალატს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), არამედ ფართე გაგებით მოიცავდა ფაქტიურად ყველა ქმედებას მიმართულს საზოგადოების (თემის, სოფლის) არსებითი ინტერესის წინააღმდეგ. ამ ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალის არ არსებობა ასევე არ არის გასაკვირი ჩვეულებითი სამართლის კაზუისტური ხასიათიდან გამომდინარე. სრულიად შესაძლებელი იყო რაიმე ახალი შემთხვევა თემის, სოფლის მცხოვრებლებს საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩაეთვალათ და შესაბამისი სასჯელი დაეკისრებინათ დამნაშავისათვის. ამდენად, ყველა ქმედება, რომელიც შესაძლოა შეფასებულიყო თემის (ხატის) ღალატად, წინასწარ განსაზღვრული არ შეიძლება ყოფილიყო. რასაკვირველია არსებობდა კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ძირითადად აღიქმებოდა თემის (ხატის) ღალატად და ფშაველი ინფორმატორები სწორედ მათზე ამახვილებენ ყურადღებას.

თემისა და ხატის ღალატი შეიძლება გამოხატულიყო აქტიურ მოქმედებაშიც (მაგალითად, ხატის გაძარცვა) და უმოქმედებაშიც (მაგალითად, „ხატის წესით დაკლება“).[1991]

მთიულეთშიც თემის ღალატი ხატის წინააღმდეგ მოქმედებებსაც გულისხმობდა. მაგალითად, ხანდოელებს თემის ღალატად მიუჩნევიათ თემის სალოცავის – „ყოვლადწმინდის“ კუთვნილი ვენახიდან კულუხის მიუტანლობა.[1992] იგივეს თქმა შეიძლება ხევსურეთთან დაკავშირებითაც. აქ ჩაწერილ მასალაშიც გვხვდება მონაცემი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული გარკვეული ქმედება მოიხსენიება თემისა და ხატის ღალატად.[1993]

თემის ღალატის ამავდროულად ხატის ღალატად აღქმა ფშაურ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების ჩვეულებით სამართალში, გასაკვირი არ არის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის თვალსაზრისით განმსაზღვრელ და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ადგილობრივი სალოცავები – ჯვარ-ხატები. ერთნი თემურ ორგანიზაციათა მფარველები იყვნენ, მეორენი – ტერიტორიულ-ეთნიკური ჯგუფების (ფშავ-ხევსურების, თუშების, მოხევეების, მთიულგუდამაყრელების).[1994] საზოგადოების ორგანიზაცია სწორედ ჯვარ-ხატების ირგვლივ ხდებოდა. აქ უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჯვარისყმობის, ხატისყმობის ინსტიტუტი. თითოეული ტერიტორიული ერთეულის მფარველი ღვთაება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ბატონად ითვლე-

1990 იქვე, 37-38.

1991 იქვე, 38.

1992 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006. 118.

1993 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 79.

1994 იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი (პანთეონის შემადგენლობა, ღვთაებათა იერარქია და მათი ბუნება), „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, X, 1959, 158.

ბოდა. თემი მისი მფარველი ღვთაების საყმოდ, ხოლო თითოეული მეთემე მამაკაცი თავისი ჯვარ-ხატის ყმად ითვლებოდა.[1995] ჯვარ-ხატის საყმოს განსახლების ტერიტორია ჯვარ-ხატის საკუთრებად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე თემის, სოფლის, ზოგადად საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამავე დროს მოცემული საზოგადოების ბატონის – ჯვარ-ხატის წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებად განიხილებოდა.

ჩვენ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებსაც ფშავში თემისა და ხატის ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს ძირითადად საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულების სახით განვიხილავთ, რადგანაც საქართველოს უმეტესი კუთხეების ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ისინი დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედებებად განიხილებიან.

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მნიშვნელოვანი ნაწილის სუბიექტი შესაძლოა მხოლოდ მოცემული საზოგადოების წევრი ყოფილიყო. მაგალითად, თემისა და ხატის ღალატი შესაძლოა მოცემული თემის წევრს და ხატის ყმას ჩაედინა, ასევე საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, საერთო საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა, უქმის გატეხვა და სხვა. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულთა სუბიექტი კი შესაძლოა ყოფილიყო უცხოც, არა მოცემული საზოგადოების წევრი (მაგალითად, ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გამძარცვავი, საზოგადოების საერთო ქონების ხელმყოფი და სხვა).

1. საზოგადოების ღალატი

ძველი ქართული სამართალი კარგად იცნობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ივ. ჯავახიშვილი ამ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს „განდგომას“, ღალატს“, „ორგულობას“, რომელთაც საკმაოდ ხშირად ჰქონია ადგილი ქართულ სინამდვილეში, ასევე მეფის შეურაცხყოფას.[1996] ივ. ჯავახიშვილის კვლევა ძველ ქართულ სისხლის სამართალში XIV საუკუნემდე მიდის. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შემდგომი პერიოდის ძველი ქართული სისხლის სამართლის ძეგლებში გვხვდება. სამაგალითოდ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს მივმართავთ. ამ ძეგლის 222-ე მუხლით უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს ქვეყნისა და რჯულის ღალატი, რომლის ჩამდენის მიმართ „ყოველი ავი ..... მართებული არის.“[1997] აღნიშნული ზოგადი სანქცია ყოველგვარი სასჯელის, მათ შორის სიკვდილით დასჯის გამოყენების შესაძლებლობასაც უნდა გულისხმობდეს, რაც ამ დანაშაულის განსაკუთრებულ სიმძიმეს მიუთითებს. 220-ე მუხლი ითვალისწინებს დამასახიჩრებელ სას-

1995 ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 1952.

1996 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ., 1984, 210, 217.

1997 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 539.

ჯელს ომის დროს მტრის მხარეზე გადასვლისათვის, ხოლო 221-ე მუხლი ციხის საიდუმლოს გაცემისათვის, რასაც მტრის ლაშქრის თავდასხმა მოჰყვა.[1998] ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის ასევე ზოგადი სასჯელია გათვალისწინებული – „რაც გარდაჭდება, სამართლით იქნება."[1999] ეს სანქციაც შესაძლოა ასევე ითვალისწინებდეს სიკვდილით დასჯას. თუ გავითვალისწინებთ რომ ვახტანგის სამართლის წიგნში პირდაპირ არ არის მითითებული სიკვდილით დასჯა და დამასახიჩრებელი სასჯელებიც ძალზედ იშვიათად გვხვდება, აღნიშნული დანაშაულები ამ ძეგლით გათვალისწინებულ უმძიმეს დანაშაულთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ. ქვეყნის ღალატი, რაც გულისხმობს უშუალოდ მეფის საწინააღმდეგო ქმედებას, ამბოხს მის წინააღმდეგ, მისი დამხობის მცდელობას, მტრის მხარეზე გადასვლა, ციხის საიდუმლოს გაცემა სახელმწიფოს ღალატის, როგორც დანაშაულის, შემადგენლობის ელემენტებია. მისი ხელყოფის ობიექტი სახელმწიფოს წყობილება, მისი ერთიანობა, უსაფრთხოებაა და ამდენად საჯარო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს.

სახელმწიფოს ღალატი სამეგრელოს სამთავროშიც უძმიმეს დანაშაულად ითვლებოდა. მაგალითად, დონ ქრისტეფორე დე კასტელი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს სამთავროში სიკვდილით დასჯას იშვიათად მიმართავდნენ. ეს სასჯელი აქ ჩვეულებად არ იყო და მას ეკლესიის გაძარცვის გარდა მხოლოდ მთავრის მკვლელობის, ან სახელმწიფოს დამხობის მცდელობის შემთხვევაში იყენებდნენ.[2000] უმძიმეს დამასახიჩრებელ სასჯელებს აქ იყენებდნენ ასევე მეამბოხეების წინააღმდეგაც, კერძოდ, თვალების დაწვას და ხელის და ფეხის მოკვეთას.[2001] ეს მონაცემები გვიჩვენებს რომ მთავრის მკვლელობა თუ მისი მცდელობა საჯარო დანაშაული იყო და სახელმწიფოს ღალატთან გათანაბრებული.

სვანური საისტორიო ძეგლებით (XIV-XV საუკუნეები) საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი, „ხეობის გამტეხი" ასევე შესაძლოა სიკვდილით დასჯილიყო. აღნიშნულ ძეგლებში ასევე ჩანს, რომ ასეთ მოქმედებად აქ ითვლებოდა სამხედრო მოვალეობის შეუსრულებლობა, საზოგადოების საწინააღმდეგო დანაშაულის არა მარტო ჩადენა, არამედ განუცხადებლობა.[2002]

ახლა განვიხილოთ საზოგადოების ღალატი, როგორც დანაშაული ქართული ხალხური (ჩვეულებითი) სამართლის მიხედვით საკვლევ პერიოდში. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება მონაცემები, რომლებიც საზოგადოების ღალატს ძალზედ მძიმე დანაშაულად წარმოაჩენენ.

საქართველოს მთის რეგიონებში საზოგადოების ღალატი შესაძლოა მიმართული ყოფილიყო როგორც მთელი კუთხის, ხეობის, ისე ცალკეული თემის თუ სოფლის ინტერესების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ საზოგადოების ღალატს განვიხილავთ ვიწრო გაგებით, რაც მოიცავს მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული წეს-წყობილების, მართლწესრიგის, თავისუფლების ხელყოფისაკენ მიმართულ ქმედებებს, უცხოთა

1998 იქვე, 538-539.

1999 იქვე, 539.

2000 დონ ქრისტეფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, 46.

2001 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 74.

2002 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 5, 43.

დახმარებას საზოგადოების თავისუფლების და ქონების ხელყოფის საქმეში და სხვა. აქ იგულისხმება დაახლოებით ის ქმედებები, რომლებიც ძველ ქართულ სამართალში სახელმწიფოს ღალატად მოიაზრებოდა, მხოლოდ ჩვეულებითი სამართალი სჯიდა ასეთ ქმედებებს მიმართულს გარკვეული ტერიტორიული ერთეულის – თემთაშორისი გაერთიანების, თემის თუ სოფლის მცხოვრები ხალხის, საზოგადოების – საერთო ინტერესების წინააღმდეგ.

ხალხური (ჩვეულებითი) სამართალი სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმების პარალელურად მოქმედებდა, ხოლო საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში XIX-XX საუკუნის განმავლობაშიც კი ხალხური სამართლის დომინაციას ქონდა ადგილი სახელმწოფოს მიერ დადგენილ სამართალთან მიმართებაში. ჩვეულებითი სამართლით ქმედება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულად, საზოგადოების ღალატად ითვლებოდა იმდენად, რამდენადაც ეს საზოგადოება თვლიდა მას ასეთად და არა სახელმწიფო ხელისუფლება და მის მიერ დადგენილი სამართალი. საზოგადოება სწორედ ჩვეულებით სამართალში ასახავდა ხოლმე თავის ამ დამოკიდებულებას დაჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმით სჯიდა მის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებას.

სვანეთში, ხევსურეთში, მთიულეთში თემის, სოფლის ღალატი „თემის, სოფლის გატეხვადაც" მოიხსენიება.[2003]

საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც საზოგადოების ღალატი ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ფიქსირდება როგორც დანაშაული, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მძიმე დანაშაულებრივ ქმედებად აღიქმებოდა. ეს კარგად ჩანს ამ კუთხეებში დაფიქსირებულ ზოგად ცნობებში. მაგალითად, სოფლის მოღალატის ჩაქოლვა, მოკვეთა ფიქსირდება მესხეთში, ხევში, ფშავში, მთიულეთში, ხევსურეთში.[2004] სოფლის ღალატისათვის გაძევებას ვხვდებით აჭარაშიც.[2005] სვანეთში თემის მოღალატეებს ნაკურთ მიწაშიც კი არ მარხავდნენ.[2006] საქართველოს მთის რეგიონებში გავრცელებული იყო თემის, სოფლის გამტეხების, მოღალატეების დარისხება. მაგალითად, შატილში ხუცესი დაარისხებდა მოღალატეებს და იტყოდა: „გაუწყრას მოღალატეს და სოფლის პირის გამტეხს..."[2007] მოკვეთასთან ერთად დარისხებას და ჯარიმის დაკისრებას ვხვდებით მთიულეთში (არაგვის ხეობა). მაგალითად, ხადის ხეობაში როდესაც პიროვნება „სოფელს გატეხდა", მასზე იტყოდნენ: „სოფლის ჯურუმი აძევსო". ასეთ შემთხვევაში სოფლის კაცები, არანაკლებ 12 კაცი, მოვიდოდნენ ხატში, დეკანოზი გამოაბრძანებდა ბოვრაყს (ხატს) და დამნაშავეს დაარისხებდა – ყალანს, ანუ ჯურუმს დაადებდა. მოსახლეობა ხატის მიდამოში

2003 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74; ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 70; ვ. ბარდაველიძე, მასალა სისხლ-მესისხლეობაზე (ხევსურეთი, მთიულეთი), 1945, პირადი არქივი, ვ. ბ., 56, 1.

2004 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №1, 69; მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1984, 51; ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 71; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 76, 92; რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006. 118; ალ. ოჩიაური, რელიგია ბაცალიგოში, პირადი არქივი, ა. ო. 3/32, 528.

2005 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14.

2006 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 107.

2007 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობათა კალენდარი, თბ., 1988, 74; მისივე, ქართული ხალხური დღეობათა კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 251, 290.

მიწას გათხრიდა და შიგ სამანს ჩასვამდა. დეკანოზი სამანს ზემოდან ბოვრაყის ტარს[2008] დააყუდებდა, შეანძრევდა მას რამდენჯერმე და დაარისხებდა დამნაშავეს. შემდეგ ხალხი სათითაოდ მივიდოდა ბოვრაყთან, ხელს მოჰკიდებდა მას, დააზანზარებდა და ხმამაღლა წარმოთქვამდა: „გაუწყრეს, გაუწყრესო“. ყალანს დაადებდნენ დანაშაულის შესაბამისად: ერთი-ორი წლიდან შვიდ-რვა წლამდე. ამ ხნის განმავლობაში დამნაშავეს მოიკვეთდნენ, მას არავინ არაფერში დაეხმარებოდა, ხმასაც კი არ გასცემდა, ხატში არ მიუშვებდა, სახალხო საქმეებში არ ჩარევდა. დამნაშავეს სოფელში აღარ დაედგომებოდა თუ იგი ყალანს არ გადაიყრიდა და ხალხს არ შემოირიგებდა. ამისათვის მას მიჰქონდა „თავსახსნელო“: საკლავი (ყოჩი, ჭედილა, ბატკანი), არაყი, ღვინო, პურ-შაჭამანდი და სხვა ხალხის გასამასპინძლებლად. თუ ხალხი თანახმა იქნებოდა „თავსახსნელო“ მიეღო და დამნაშავისთვის დანაშაული ეპატიებინა, მაშინ სამანს საბელს შეაბავდნენ არანაკლებ 12 კაცისა ამ საბელს ხელს შეავლებდნენ და სამანს ამოაგდებდნენ. ყალანის დადება და დარისხება სამნის ჩაგდებით, მეტად სამძიმოდ ითვლებოდა და ამ საქმეს ხალხი იშვიათად თუ მიმართავდა ხოლმე.[2009] როგორც ვხედავთ მთიულეთში (ხადის ხეობა) „სოფლის გამტეხს“, მოღალატეს ეკისრებოდა ყალანის, ანუ ჯურუმის დადება. როგორც მოტანილი მონაცემიდან გამოჩნდა ეს საწყევარი, სარისხები იყო. დამნაშავეს დეკანოზი და ხალხი დაწყევლიდა. ყალანის, ანუ ჯურუმის დადება სწორედ დამნაშავის სახელზე საწყევრის თქმას გულისხმობდა, რასაც თან ახლდა საწყევარი სამნის ჩასმა, რაც უაღრესად სამძიმოდ ითვლებოდა. ამ სახით დაწყევლილ დამნაშავეს მოიკვეთდნენ კიდეც გარკვეული ვადით, კონკრეტული დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად. ფიქსირდება ასევე ე. წ. „თავსასხნელო“, რომელიც ხალხის შემოსარიგებლად უნდა გადაეხადა დამნაშავეს. იგი გულისხმობდა ხალხის გამასპინძლებას დანაშაულის პატიების ნიშნად. ხალხთან დამნაშავის შერიგება მოიცავდა მის მიმართ მოკვეთის გაუქმებას და მის საწყევრად ჩასმული სამნის ამოგდებას ხალხის მიერ.[2010]

საზოგადოების ღალატისას გამოყენებული გაძევება, მოკვეთა, დარისხება ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული უმძიმესი სასჯელებია, რაც მიუთითებს ამ დანაშაულის განსაკუთრებულ სიმძიმეს ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად.

2008 ბოვრაყს ჰქონდა ფიჭვის ხის ტარი, თავზე ვერცხლის ჯვარი.

2009 ვ. ბარდაველიძე, მასალა სისხლ-მესისხლეობაზე (ხევსურეთი, მთიულეთი), 1945, პირადი არქივი, ვ. ბ., 56, 1-2, 4.

2010 ვ. ბარდაველიძის მასალებში გვხვდება სხვა საინტერესო მონაცემები მთიულეთში (ერთ-ერთი სოფლის მაგალითზე) მოკვეთის, მოკვეთილის შემორიგების და სხვა საკითხების შესახებ. ამ მონაცემით, მთიულეთში მოკვეთა ხდებოდა: სიტყვიერად და ჭკდის ამოგდებით (ჯოხს გათლიდა დეკანოზი დაახლოებით ათი სანტიმეტრი სიგრძის, პირველად თვითონ დეკანოზი ამოაგდებდა ერთ ჭკდეს და იტყოდა: „მოკვეთილ იქნას ჩემგნით“, მერე ასევე გააკეთებენ – მაიაზმე (მისი მოვალეობა იყო იაზმით განათვლა, როცა დეკანოზი ხატს მოაბრძანებდა) და სოფლის უფროსი კაცები, თითო თითოეული ოჯახიდან. ჭკდეს ხატში შეინახავდნენ. მოკვეთილი სხვა სოფლიდან მიუგზავნიდა შუაკაცებს და მოხდებოდა შერიგება. შესაძლოა გადასახადი დაედოთ: 2-3 თუნგი არაყი, სამხთოს გაკეთება (საკუთარ სახლში ხალხის მიყვანა). გადასახადს ხატში მიიტანდა. შერიგებისას დეკანოზი გამოიტანდა ჭკდეს (ჭკდის ამოკვეთით მოკვეთისას), გათლიდა, გატეხდა და გადააგდებდა.. სამნის ჩასმა ხდებოდა შემდეგნაირად: პირველად დეკანოზი დაარტყამდა ქარჩს მინას, მერე ყველა მეკომური ამოაგდებდა მინას ფეხით, ან ქარჩით. შემდეგ დეკანოზი ორმოში ჩააგდებდა სამანს, მიაყრიდა მინას და იტყოდა: „გაუწყრეს იმის ნილ-ბოლო, ამოსწყვიტოს ღმერთმა და ჩვენმა სალოცაემა, ... ვინც იმეზობლოს და მას დაელაპარაკოსო. სხვები დაიძახებდნენ: „ამინ“. სამნის ამოღება შემდეგნაირად ხდებოდა: ქარჩს ჯერ დეკანოზი დაარტყამდა მინას და ამოთხრიდა, შემდეგ სხვები ამოთხრიდნენ. ბოლოს როდესაც ქვას ძირი გამოუჩნდებოდა, მას დეკანოზი ბაწარს მოაბაედა, ყველა გამოსწევდა ამ ბაწარს და ქვას ამოაგდებდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1945 წლის მთიულეთი-გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 55/5, 2).

მასალების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ რა კონკრეტული ქმედებები ითვლებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოების (თემთაშორისი გაერთიანების, თემის, სოფლის) ღალატად.

საქართველოს მთიანეთში (სვანეთში, ფშავ-ხევურეთში, ხევში და სხვა) თითოეულ თემს სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა და გააჩნდა მმართველობის საკუთარი ორგანოები. საქართველოს მთიანეთის თემები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკუთარ თავისუფლებას და იცავდნენ მას. ეგ. გაბლიანთან ვხვდებით შემთხვევას როდესაც უშგულელი ჯამაგა ჭელიძე ორ ამხანაგთან ერთად XIX საუკუნის შუახანებში ჩავიდა ნალჩიკში კავკასიის მთავარმართებელთან, რომელსაც თავი წარუდგინეს როგორც უშგულის თემის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა. მათ მისთვის უშგულის რუსეთის ქვეშერდომობაში მიღება უთხოვიათ. უშგულელებმა ეს შეიტყვეს და ამ უდიდესი ღალატისათვის მის ჩამდენთა სასტიკად დასჯა გადაწყვიტეს. დამნაშავეებმა მხოლოდ მონანიებისა და პატიების თხოვნის წყალობით გადაირჩინეს თავი.[2011] საკუთარი თემის თავისუფლების ხელყოფა სვანეთში ყველაზე დიდ ღალატად ითვლებოდა და მაქსიმალურად მძიმე სასჯელი იყო ამისათვის გათვალისწინებული.

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, საზოგადოების ყრილობა სიკვდილით სჯიდა „ერი მუქდენის" – ქვეყნის მოღალატეს, კერძოდ, საზოგადოების წევრს თუ იგი ცდილობდა საზოგადოება რომელიმე თავადიშვილის ხელში ჩაეგდო საყმოდ კერძო ინტერესებისათვის. მხოლოდ თუ რაიმე პატივსადები საბუთი ექნებოდა დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მისი და მისი ოჯახის თემიდან გაძევებით შეიცვლებოდა.[2012] ამ დანაშაულის მაგალითად ავტორს მოყავს იფარის საზოგადოებაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებ გივო გულბანს შემოუხიზნია აზნაური გელა დევდორიანი, რომელსაც იფარლების ბატონობა სდომებია. გივო გულბანის ბოროტი განზრავხა საზოგადოებას გაუგია, იგი წვეტიან ანძაზე ჩამოუცვია და ისე მოუკლავს.[2013] ამ შემთხვევის უფრო დეტალურ აღწერას ვხვდებით ს. გულედანის მასალებში. აღნიშნული ავტორი ზოგადად ხსნის, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ამ დანაშაულის შინაარსი და რა ყოფით ფაქტორებთან იყო დაკავშირებული იგი. მისი განმარტებით, თუ სოფელში გამოჩნდებოდა ვინმე ავყია გლეხი, რომელსაც ყველასთვის მოძულებული ჰქონდა თავი, სოფელი ამის გამო მას ჩაგრავდა, ტოლად არ თვლიდა და აბუჩად იგდებდა. ასეთი გლეხი წავიდოდა იმ სოფელში, სადაც აზნაურები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ აზნაურს გამოართმევდა ბავშვს (ვაჟს), გაზრდიდა და შემდეგ იგი იმ სოფლის ბატონიც ხდებოდა. სოფელ იფარში თურმე იყო ერთი ავყია გლეხი გიო გულბანი, რომელიც იფარლების საწინააღმდეგოდ წასულა სოფელ მულახში და იქიდან ერთ-ერთი აზნაურის, ქურდიანის მცირეწლოვანი ვაჟი წამოუყვანია თავის სახლში, გაუზრდია და შემდეგ იფარის ბატონად გაუხდია. ამ ქურდიანს მკაცრი ბატონობა დაუწყია და თურმე ძალზე ავიწროვებდა იფარლებს. ბოლოს მოთბინებიდან გამოსულ იფარლებს გიო გულბანი სარ-

2011 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 48.

2012 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 85.

2013 იქვე, 86.

ზე ჩამოუცვამთ და ისე მოუკლავთ ქურდიანის მოყვანისათვის, ხოლო ღამით თურმე მიესიენ ქურდიანის ოჯახს, დაარბიეს და ამოწყვიტეს ყველა, გარდა ერთი ბავშვისა, რომელიც შემთხვევით გადარჩენილა. ამით ქურდიანთა ბატონობა იფარში დასრულებულა.[2014] როგორც ვხვედავთ, ს. გულედანის ცნობის მიხედვით, განსხვავებით ბ. ნიჟარაძის მონაცემისა, ვინმე გიო გულბანს იფარლებზე გასაბატონებლად მოუყვანია ქურდიანი (არა დევდარიანი), ხოლო მისი ბატონობა შემდგარი ფაქტია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ის გარემოებაა, რომ საზოგადოებამ გიო გულბანი სიკვდილით დასაჯა იმიტომ, რომ იგი, როგორც იფარის თემის წევრი, საკუთარი თემის საწინააღმდეგოდ წავიდა და მასზე გასაბატონებლად აზნაურის გვარის პირი შემოიყვანა (ეს დევდარიანი იყო, თუ ქურდიანი ამას სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს), რაც სვანეთში უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. ამ აზნაურის ოჯახის ამოწყვეტა სვანეთში გლეხების მიერ ვარგების ამოწყვეტის მორიგ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ს. გულედანის მონაცემი საინტერესოა იმით, რომ იგი ზუსტად აღწერს განსახილველი დანაშაულის ჩადენის მექანიზმს: გლეხი, რომელიც თავისი ქცევით მიუღებელია სოფლისთვის და საზოგადოება მას უდიერად ექცევა, მიდის ვარგებით დასახლებულ სოფელში, საიდანაც მოჰყავს შესაბამისი გვარის ბავშვი, ზრდის მას და ხელს უწყობს მის თემზე გაბატონებას.[2015]

საზოგადოების ღალატად ითვლებოდა უცხო ქვეყნის და მოდგმის ხალხის საკუთარი თემის, სოფლის წინააღმდეგ სამტროდ დახმარება, მტრის შემოშვება საკუთარი თემ-სოფლის ასაკლებად.[2016] ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ ვაჟას ცნობილი ნაწარმოები „მოკვეთილი", სადაც ჩონთას პირადი მტრობის გამო ბახა ფშავში ქისტებს შემოუძღვა და ააკლებინა. ამ ღალატისთვის ხალხმა ბახას ჩაქოლვა მოითხოვა, თუმცა ხევისბერმა ჭუჭამ თემს სასჯელი შეაცვლევინა და დამნაშავე მოკვეთეს.[2017]

თემის ღალატის კლასიკურ მაგალითს ვხვდებით ხევში ჩაწერილ მასალაში. რ. ხარაძის ინფორმატორი იხსენებს: „აღულა ჩქარეული შეუერთდა ლეკებს. ლაშქარი მოუდიოდა თავის სამშობლოში, არბევდა თავის სოფლებს და ხოცა-

2014 ს. გულედანი, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები ფეოდალური ხანისა, პირადი არქივი, 1942-1943, 4.

2015 ს. გულედანის მასალაში გვხვდება კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა: მას შემდეგ რაც მესტიის გლეხობამ ამოწყვიტა ჯაფარიანები (ჯაფარიძეები) მესტიელებმა გაიყვეს ჯაფარიძეების ქონება. ჯაფარიძეების ამოწყვეტაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ხერგიანმა, რომელმაც ჯაფარიძეების ადგილების უმრავლესობა მიითვისა. ეს იწყინა ჩართოლანების უფროსმა, მესტიელებმა კი მხარი ხერგიანს დაუჭირეს. ამით გამწარებულმა ჩართოლანმა მესტიელებს უთხრა: „მე თქვენ ძაღლად არ ჩამაგდეთ, ხერგიანს მიემხრეთ და მას მიეცით ჯაფარიანების ქონების ნახევარი. იმისთანას მოვიყვან რომ სიცოცხლეს იწყევლებოდეთო". მან იცოდა, რომ ჯაფარიძის ერთადერთი გადარჩენილი შვილი წავიდა საცხოვრებლად რაჭაში. ჩართოლანი მივიდა მასთან და ერთი მცირენლოვანი ვაჟი სთხოვა აღსაზრდელად, რომ შემდგომში შური ეძია მესტიელებზე. ბავშვი ჩასვა გუდაში, წამოიყვანა მესტიაში, გაზარდა და დაასახლა ერთ-ერთ სოფელში, სადაც ის გამრავლდა და დაიწყო მესტიელების ბაბუაზე მეტად შევიწროება და ანიოკება. მესტიელებმა კვლავ მოუწყვეს შეთქმულება და ამოჟლიტეს ჯაფარიანები, გარდა ერთი ბავშვისა, რომელიც შემთხვევით გადარჩა (ს. გულედანი, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები ფეოდალური ხანისა, პირადი არქივი, 1942-1943, 17-18). აქაც კარგად ჩანს, რომ საკუთარ თემზე გასაბატონებლად პიროვნებას მოჰყავს ვარგის მცირენლოვანი ვაჟი და ზრდის მას. სამწუხაროდ, აქ არ ჩანს, თუ რა სასჯელი გამოიყენა თემმა ჩართოლანის მიმართ, რომელმაც ხელი შეუწყო ჯაფარიანის გაბატონებას უშგულელებზე.

2016 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 65; ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 79.

2017 ვაჟა-ფშაველა, მოკვეთილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, თბ., 1964, 293.

ვდა ხალხს. თემმა ყველა სოფელში ჩაუდგა საწყევარი სამანი...."[2018] მტრის შემომძღოლი და მტერთან ერთად საკუთარი სოფლების დამარბეველი, თანამოძმეთა მკვლელი ხევის მთელმა საზოგადოებამ მოღალატედ ჩათვალა და დაარისხა.

ხევში თემის მოღალატისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება კარგად ჩანს ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებში. ეს ნაწარმოებები ჩვენთვის თუნდაც იმიტომაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს თუ რა ქმედებები ითვლებოდა საზოგადოების ღალატად საქართველოს ამ კუთხეში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ხევისბერი გოჩა". აქ გამარჯვებით დასრულებული ბრძოლის შემდეგ შეკრებილი თემი ხევისბერის მეთაურობით განიხილავს რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას. უპირველეს ყოვლისა ასამართლებენ ორ ოსს, რომლებმაც ხევს შეაფარეს თავი თავის ქვეყანაში მკვლელობისათვის შურისძიების შიშით. ხევის თემმაც მიიღო ისინი, ექვსი წლის განმავლობაში მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მისცა, თუმცა ომის დროს მათ უღალატეს მოხევეებს და მტერს ბილიკები უჩვენეს და მოხევეთა ჯარს მოულოდნელად დააყენეს ისინი თავზე, რამაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი გამოიწვია მოხევეთა შორის. ამ ორი ოსის მიერ ჩადენილი თემის ღალატი აშკარა იყო და ხევისბერმა მათ ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანა, რასაც ხალხიც დაეთანხმა.[2019] თემმა გადაწყვიდა ასევე ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – გუგუას – გაძევებაც, რადგანაც მას მტრის შემოძღოლას აბრალებდნენ. მხოლოდ ონისეს აღიარების შედეგად მოეხსნა მას ეს ბრალი. ონისემ ხალხს აუხსნა რომ თავი დაკარგა და მტერი მას გამოეპარა.[2020] თემის ღალტად აფასებს საზოგადოება ალ. ყაზბეგის კიდევ ერთი ნაწარმოების – „ელგუჯას" – პესონაჟის, გაგის საქციელს, რომელმაც საკუთარი თანამოძმის, ელგუჯას წინააღმდეგ დასახმარებლად რუსებს მიმართა.[2021]

ხევსურეთში დაფიქსირებული მონაცემით საზოგადოების ღალატად ითვლებოდა ასევე ლაშქარში შეშინება და ბრძოლიდან გამოქცევა, რასაც შესაძალოა „სამძახის დაკვეთა" მოჰყოლოდა, რადგანაც ეს უაღრესად სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა.[2022]

საზოგადოების ღალატად ითვლებოდა სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობაც. თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში, რომელიც ძირითადად ნადავლის მოსაპოვებლად იყო მიმართული, ან თემის მტრისაგან თავდაცვაში. რ. ერისთავის მიხედვით, ვინც არ გამოცხადდებოდა სალაშქროდ, მას საკმაოდ დიდი ჯარიმა უნდა გადაეხადა, იგი სძულს თანამოძმეებს და ხატის რისხვა ელოდება მას.[2023]

კონკრეტული მონაცემები ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სოფლის ღალატისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სამეგრელოშიც გვხვდება. აქ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ თემის ღალატი გულისხმობდა

2018 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკე. 2, 1959, 172.

2019 იხ. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 308-309.

2020 იქვე, 312-313.

2021 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948, 27, 34.

2022 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, 1990, 179.

2023 Р. Эристов, О тушино-пшаво-хевсурском округе, Записки Императорского Русского Географического Общества, Т.3, Тифлис, 1855, 137-138.

სამხედრო ხასიათის საიდუმლოების გაცემას მტრისათვის. მაგალითად, „საზოგადოში კათუამ" (საზოგადოების ყრილობამ) ერთი ადგილობრივი მკვიდრი ლაყორიას ციხის საიდუმლოების გაცემის გამო ცოცხლად დამარხვის წესით დასაჯა, რაც უაღრესად დამამიცირებელ გამაწბილებელ სასჯელს წარმოადგენდა და შემდეგ „თემიდან მოჭკირუ" (თემიდან მოიკვეთა).[2024] სამეგრელოში საზოგადოებიდან გაუძევებიათ ვინმე რუხაია, რომელსაც „სხუნუს" (საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო) გადაწყვეტილება ადგილობრივი მოურავისთვის უცნობებია.[2025]

როგორც ვხედავთ, საზოგადოების ღალატი შესაძლოა სხვადასხვაგვარ დანაშაულებრივ ქმედებებში გამოხატულიყო. ძირითადად იგი მაინც მოცემული საზოგადოების წევრის მიერ მტრის, უცხოს დამხარებაში გამოიხატებოდა საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ, კერძოდ, საზოგადოების მოღალატეები თავიანთი ქმედებით ხელს უწყობდნენ უცხოს, მტერს გაბატონებულიყვნენ მის თემში, სოფელში, ეხმარებოდნენ მტერს საკუთარ საზოგადოებაზე (თემზე, სოფელზე) თავდასხმის განხორციელებაში გზის, ბილიკის ჩვენებით, ციხის და საერთოდ სამხედრო ხასიათის საიდუმლოს გაცემით, მტერთან ერთად საკუთარ საზოგადოებაზე თავდასხმაში უშუალო მონაწილეობით და სხვა. ასევე საზოგადოების ღალატი შესაძლოა გამოხატულიყო სამხედრო მოვალეობის შეუსრულებლობაში, მტერთან ბრძოლისას საზოგადოების დავალების შეუსრულებლობაში, ბრძოლის ველიდან გამოქცევაში, თანამოძმის წინააღმდეგ დახმარებისთვის უცხოსადმი მიმართვაში და სხვა. აღნიშნული ქმედებები შესაძლოა ჩადენილიყო როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით (მაგალითად, სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობა).

საზოგადოების ღალატის ჩადენას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძალზედ იშვიათად ჰქონდა ადგილი, ამისათვის ძალზედ მძიმე სასჯელის შესაძლო დაკისრების გამო. თუ ასეთ დანაშაულს მაინც ექნებოდა ადგილი, ეს ძირითადად ხდებოდა რაიმე პრეროგატივის მოპოვების, მატერიალური დაინტერესების მოტივით, თუნდაც ქრთამის აღებით.[2026]

2. ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვა

ძველი ქართული სამართალი ეკლესიის გატეხვას, გაძარცვას უმძიმეს დანაშაულად განახილავდა. საილუსტრაციოდ ცნობილი საეკლესიო ძეგლის, „კათალისკოსთა სამართლის" მეორე მუხლის მოყვანაც საკმარისია, რომლის თანახმადაც: „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცვოს უკანონოდ, ძელსა მიეცეს".[2027] „ძელსა მიეცეს" ძეგლის მიხედვით სიკვდილით დასჯას, ჩამოხრჩობას გულისხმობს. იტალიელი მისიონერები ადასტურებენ ეკლესიის გატეხვისათვის სიკვდილით დასჯას სამეგრელოს სამთავროშიც, მაშინ როდესაც ამ

2024 გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სამეგრელოში, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლები დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, გეგჭკორი, 1981, 66.

2025 იქვე, 70.

2026 იქვე, 70; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 5.

2027 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 294.

უმძიმესი სასჯელის გამოყენება სხვა შემთხვევაში ფაქტიურად არ ხდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთავრის მკვლელობას და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობას.[2028] ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვანვდის ა. ლამბერტი. იტალიელი მისიონერის მიხედვით სამეგრელოს თავადს ჩვეულებად არ ჰქონია სიკვდილით დასჯა არც ერთი დანაშაულისათვის, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო იგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი ვეზირის საქმეს. მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰქონდა დაწესებული სიკვდილით დასჯა, სახელდობრ ეკლესიის გატეხვისათვის. სხვა ყოველი დანაშაული შეიძლება მთავარმა აპატიოს დამნაშავეს ფულის გადახდევინებით, ან ვინმეს მფარველობის გამო, მხოლოდ ეკლესიის გამტეხი, ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ სიკვდილით უნდა დაისაჯოს. სხვადასხვა ეკლესიაში მოიპარეს რამდენიმე ოქროს და აგრეთვე სხვა ძვირფასი ნივთი. ბევრი მცდელობის მიუხედავად ქურდები დიდხანს ვერ იპოვეს. ბოლოს ავაზაკები ხელში ჩაიგდეს, თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაული ჩაიდინეს.[2029] ეკლესიის გატეხვისათვის სიკვდილით დასჯა სვანურ საისტორიო ძეგლებშიც გვხდება. მაგალითად, მე-14-მე-15 საუკუნის პირველი ნახევრის სრულიად სვანეთის ხევის დადგენილებაში მითითებულია, რომ ეკლესიის გამტეხი, ისე როგორც ზოგიერთი სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.[2030] აღნიშნული ტენდენცია საკვლევი პერიოდის ქართულ ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება.

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვასთან დაკავშირებით ცნობები ძირითადად სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალებში გვხდება.

ბალსზემო სვანეთში ასამდე დიდი და პატარა ეკლესიაა, რომელთა ხელყოფისაგან დაცვაზე ადგილობრივ ჩვეულებით სამართლსაც უზრუნია. სვანური ჩვეულებითი სამართლის თანახმად ეკლესიის გატეხვა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და გასაკვირი არაა, რომ ბ. ნიჟარაძე მას ქვეყნის ღალატთან ერთად განიხილავს და ამ ორივე დანაშაულისათვის ერთგვაროვანი სასჯელის გამოყენებას ადასტურებს, კერძოდ, სიკვდილით დასჯას, ხოლო რაიმე პატივსადები და შესაწყნარებელი საბუთის არსებობისას შესაძლოა სიკვდილით დასჯა შეცვლილიყო ოჯახიანად აყრით და გაძევებით.[2031] საილუსტრაციოდ მას მოჰყავს უშგულის საზოგადოების ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ძველი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ორი ძმა რატიანი ადგილობრივი ეკლესიის გაძარცვისათვის საზოგადოებას სიკვდილით დაუსჯია, კერძოდ, ეკლესიიდან მათ მიერ გამოტანილი შუბებით ორივესთვის მუცელი გამოუფატრავთ.[2032] ეკლესიის გატეხვისა და იქედან საეკლესიო სიმდიდრის გატაცებისათვის სიკვდილით დასჯა ფიქსირდება ეგ. გაბლიანთანაც.[2033] დ. დავითუ-

2028 დონ ქრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, 74.

2029 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73.

2030 იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთის მეორე, თბ., 1941, 5.

2031 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 85.

2032 იქვე, 86.

2033 ეგ. გაბლიანი, თაეისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 65.

ლიანის მიხედვითაც, ეკლესიის ხელყოფისათვის გათვალისწინებული იყო: 1. სიკვდილით დასჯა ჩაქოლვით და 2. ხევიდან აყრა-გადასახლება.[2034] ეკლესიის გატეხვისათვის ჩაქოლვას ადასურებს მ. კოვალევსკიც.[2035]

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით უმრავლეს კონკრეტულ შემთხვევაში ეკლესიის გატეხვისათვის სიკვდილით დასჯა სწორედ ჩაქოლვით ხორციელდებოდა.

XIX საუკუნეში ეკლესიის გატეხვის ძალზედ საინტერესო ფაქტის შესახებ მოგვითხრობს ეგ. გაბლიანი: ბალყარეთის ბატონი დევეთგერ მურზაყულოვი და მისი ბიძა ქურდულად შეიპარნენ სვანეთში და განიზრახეს უშგულის წმინდა ბარბალეს და კალის წმინდა კვირიკეს ეკლესიების გაძარცვა. დევეთგერმა გატეხა უშგულის წმინდა ბარბარეს ეკლესიის კარები, რაც რამ იყო გამოიტანა და წაიღო. ხოლო კალის ეკლესიის გაძარცვა მის ბიძას ვერ მოუხერხებია. მეორე დღეს უშგულელები დევეთგერს დაედევნენ, მაგრამ მას ვერ დაეწიენ, თუმცა ტყვედ ჩაუვარდათ თავის ამალითურთ მისი ბიძა. ერთი დაჭერილთაგანი უშგულელებმა გააგზავნეს დევეთგერთან: „თუ მოკლე ხანში ჩვენს ეკლესიის ქონებას არ დაგვიბრუნებთ, ბიძაშენსა და მის მხლებლებს დავხოცავთო". დევეთგერმა საკუთარი ხელით მოიტანა ეკლესიიდან მოპარული ნივთები., მაგრამ მას აკლდა ერთი მძივი, რომელიც თავის საყვარელისთვის ეჩუქა. მას იგი არ დაუბრუნებია და ამიტომ უშგულელებს დევეთგერი მოუკლავთ, ეკლესიის გალავანთან იმ ქვებზე, რომლებსაც დღემდე შერჩენიათ სახელად „დევეთგერი ნადგარ ბაჩაო" – დევეთგერის დანაკლავი ქვები. დიდხანს ბალყარეთის ბატონები არ ურიგდებოდნენ უშგულს, მაგრამ შემდეგ დაყაბულდნენ შერიგებაზე. გაუშვეს 12 კაცი მსაჯულ-მედიატორად. მისი ჭირისუფალი სისხლის საფასურად თხოულობდა 15 გლეხკაცის „წორს" – სისხლის ფასს, რადგანაც ბალყარეთში მათი მოკვლა ამდენად ფასობდა. მედიატორებმა უშგულულებს მიუსაჯეს 200 ხარის გადახდა. ამ 200 ხარიდან ეკლესიის გაძარცვისათვის უშგულელებს მიაკუთვნეს 100 ხარი, ხოლო დანარჩენი 100 ხარი უნდა მიეცათ მურზაყულოვებისათვის. უშგულელებმა გაჰყიდეს საეკლესიო მინები, 70 ხარი მაშინვე მისცეს, ხოლო 30 ხარი შემდეგ.[2036]

იგივე შემთხვევას მცირეოდენ განსხვავებულად გვიყვება დ. დავითულიანი: „ზეპირსიტყვაობის მიხედვით, XIX საუკუნეში ვინმე ბალყარელ თავადს დევლეთგერ მურზალოვს და მის ორ თანმხლებ პირს ღამით გაუძარცვავთ უშგულის წმ. ბარბარეს ეკლესია. მძარცველებს ვერ მოუსწრიათ უშგულიდან გასვლა და გათენებისას სოფელს ისინი შეუპყრია. მოუწვევიათ თემის ყრილობა. ყრილობას მძარცველებისთვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანია. სოფლის შესასვლელში ახლაც ქვებითაა შემორაგული გზის ნაპირი, სადაც სამივე მძარცველი ჩაუქოლიათ. მას „სავიარე ლაშთხვაალს" (ოსების სასაფლაოს) ეძახიან."[2037] ამ ერთი შემთხვევის ორივე ვარიანტში, მიუხედავად მათ შორის გარკვეული განსხვავებისა, საერთო არის ის რომ ეკლესიის გამტეხნი (ორივე ვარიანტში ფიგურირებს უშგულის წმინდა ბარბარეს ეკლესიის გაძარცვა) საზოგადოების მიერ სიკვდილით ისჯებიან და როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა დამნაშავეთა ჩაქოლვას.

2034 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974–1975, 100.

2035 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 35.

2036 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 24.

2037 დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 107.

საინტერესოა, რომ ბალსზემო სვანეთში ეკლესიის გამტეხთა მიმართ საზოგადოების მიერ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სიკვდილით დასჯის გამოყენება XX საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც გვხვდება. დ. დავითულიანს აქვს დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც 1937 წელს კალაში დამნაშავეემა გაძარცვეს კალის წმინდა კვირიკეს ეკლესია. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მეორე დღესვე შეიპყრეს დამნაშავეები და ჩაქოლეს.[2038] მ. კეკელიას კალელი ინფორმატორიც იხსენებს 1937 წელს წმინდა კვირიკეს ეკლესიის გატეხვის ფაქტს. დიდი ალბათობით დ. დავითულიანი და მ. კეკელიას კალელი ინფორმატორი (გრიშა ხარძიანი) ერთიდაიგივე შემთხვევას აღწერენ. მ. კეკელიას ინფორმატორი შედარებით სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის ამ ფაქტთან დაკავშირებით. მისი მონათხრობიდან ირკვევა, რომ ეკლესიის გატეხვაში მონაწილეობას იღებდა სამი პიროვნება: ორი „ქალაქელი სტუდენტი" და ერთი ადგილობრივი მცხოვრები – გალაქტიონ ჩ. ორ ქალაქელს საზოგადოება გაუსწორდა ჩაქოლვით. იგივეს აპირებდნენ გალაქტიონ ჩ-ს მიმართაც, თუმცა მისმა სახლიკაცებმა თხოვეს საზოგადოებას არ გაეკეთებინა ეს და ისინი თვითონ გააძევებდნენ დამნაშავე ნათესავს. საბოლოო ჯამში გალაქტიონ ჩ-ს გაძევება აკმარეს, ხოლო ამის შემდეგ მისი ახლობლები კვირიკობის დღესასწაულზე, რომელიც მთელ სვანეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო, აღარასოდეს მისულან.[2039] ინფორმატორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ გაძევებული დამნაშავე მაინც მოუკლავთ, სრულიად სხვა საქმესთან დაკავშირებით.[2040] როგორც ვხედავთ, ადგილობრივი დამნაშავის მიმართ საზოგადოებამ სულგრძელობა გამოიჩინა, მისი ახლობლების თხოვნა გაითვალისწინა, სიკვდილით არ დასჯა და მისი გაძევება იკმარა. მ. კეკელიას იგივე ინფორმატორი ასევე იხსენებს კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევას უშგულის სინამდვილიდან. კერძოდ, ვინმე გეგი ჩ-ს გაუტეხავს უშგულის წმინდა ბარბალეს ეკლესია, რის გამოც დამნაშავე გაუძევებიათ და იგი ამის მერე აღარ დაბრუნებულა.[2041] სამწუხაროდ, ამ მონათხრობში არ ჩანს თუ რა მიზეზით მოხდა ეკლესიის გამტეხის არა სიკვდილით დასჯა, არამედ გაძევება. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც დამნაშავის ახლობლების თხოვნა იყო გათვალისწინებული. ვ. ბარდაველიძის მონაცემით, სვანეთში ეკლესიის გამტეხს სიკვდილით დასჯა ელოდა, თუმცა დამნაშავის ბევრი ნათესავის ხათრით, შესაძლოა იგი სიკვდილით არ დაესაჯათ და მისთვის ჰიბარის გადახდა დაეკისრებინათ დიდი ოდენობით.[2042] ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლით, ეკლესიის გატეხვა სიკვდილით ისჯებოდა, თუმცა დამნაშავის ახლობლების ჩარევის და თხოვნის შედეგად, შესაძლოა მისთვის სიკვდილით დასჯა გაძევებით, ან დიდი რაოდენობის ჰიბარის გადახდით შეეცვალათ.

2038 იქვე, 110.

2039 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 80. საინატერესოა, რომ აღნიშნული ფაქტი 2015 წელსაც იქნა დაფიქსირებული ერთ-ერთი თანამედროვე სვანი ინფორმატორის მიერ (ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 115-116 აღნიშნული მასალები იხ. ს. ონიანი, გ. დაითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 263-264).

2040 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1068-1969, 80,

2041 იქვე.

2042 ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), პირადი არქივი, ე. ბ. 293/4, 1.

ეკლესიის გამტეხის ვერ აღმოჩენის შემთხვევაში, ისე როგორც სხვა დანაშაულების დროს დამნაშავის გამოუმჟღავნებლობისას, ადგილი ჰქონდა დამნაშავის (დამნაშავეების) დაწყევლას, დარისხებას, რაც ხალხის რწმენით აუცილებლად გამოიწვევდა დამნაშავეთა უბედურებას. გასული საუკუნის 30-იან წლებში გაუტეხავთ ეცერის ეკლესია. ვერც ხალხს და სამართალდამცავ ორგანოებს ვერ დაუდგენია დამნაშავეთა ვინაობა. არსებობდა მხოლოდ ეჭვი გარკვეულ პიროვნებებზე. საზოგადოებამ დანაშაულის ჩამდენნი ერთობლივად დაწყევლა. ძალიან მალე ეჭვმიტანილნი სხვა საქმეზე დააკავეს და დახვრიტეს, ძალიან მაღლე კი მიყოლებით გარდაიცვალა ეჭვმიტანილის რამდენიმე და-ძმა, შემდეგ კი მათი შვილებიც, ისე, რომ არც ერთ ოჯახში მამაკაცი არ დარჩენილა. „ღვთიურმა სასჯელმა" საზოგადოებისათვის ცხადი გახადა დამნაშავის ვინაობა.[2043]

2015 წელს ჩაწერილი მასალა გვიჩვენებს, რომ ბალსზემო სვანეთში დამოკიდებულება ეკლესიის გატეხვის, როგორც დანაშაულის მიმართ, დროთა განმავლობაში არ შეცვლილა და ამ დანაშაულისათვის ხალხური სამართლის საფუძველზე დამნაშავის მიმართ უმკაცრესი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება თანამედროვე ეპოქაშიც არაა გამორიცხული.[2044] დღევანდელი მდგომარეობით ინფორმატორები საზოგადოების ღალატად სწორედ ეკლესიის ქონების ხელყოფას მიიჩნევენ.[2045]

ახლა შევეხოთ ჯვარ-ხატის გაძარცვის საკითხს ფშავ-ხევსურეთში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ფშავ-ხევსურეთში ჯვარ-ხატის გაძარცვა თემის (ჯვარ-ხატის) ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობაში მოიაზრება და ამდენად საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიეკუთვნება.

ცნობილია, რომ ჯვარ-ხატს ფშავ-ხევსურეთში საკუთარი თას-განძი გააჩნდა. ჯვარ-ხატი ფშავ-ხევსურეთში ფლობდა დიდი ოდენობით განძეულს (ოქროვერცხლი, ჯვრები, სპილენძეული, ძვირფასი სამსახურებელი ჭურჭელი, ქამარ-ხანჯალი), რომელიც ჩაბარებული ჰქონდა სპეციალურ პირს – მაგანძურს (ფშავში – „მეთასურს").[2046] რაკი ჯვარ-ხატის საყმოს განსახლების ტერიტორია ჯვარ-ხატის საკუთრებად ითვლებოდა, ამდენად ამ ტერიტორიაზე არსებული განძიც მის საკუთრებას წარმოადგენდა. ყმას ეკრძალებოდა განძეულობის გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რადგანაც განძეული მხოლოდ ჯვარში უნდა ყოფილიყო შენახული და ჯვარის სამსახურს მოხმარებული.[2047] ჯვარ-ხატის თას-განძის ადგილმდებარეობა საიდუმლო იყო, რაც განაპირობებდა მისი სამალავების არსებობას, რომელიც ცნობილი იყო პირთა შეზღუდული წრისთვის, კერძოდ, ორიოდე მაგანძურისთვის. განძი უნდა ყოფილიყო

2043 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 109.

2044 იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 93.

2045 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 116; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 265.

2046 იხ. ჟ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები და მოსახლეობის უძველესი სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982, 107-108.

2047 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996, 104.

საიმედოდ დაცული და დაფარული.[2048] მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდა ხოლმე ადგილი ჯვარ-ხატის თას-განძის ხელყოფას.

ღ. ჯალაბაძეს მოჰყავს ფშაველი, კერძოდ, მაღაროსკარელი ივანე ქართველიშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც, „ხატის და თემის ღალატად ითვლებოდა თას-განძის მოპარვა და მისი თუნდაც სხვისთვის ჩვენება. მაგალითად, თუ დასტურმა ვინმეს მიუთითა თას-განძის სამყოფელზე და მოიპარეს, – ისიც პასუხს აგებს გაქურდვისათვის." სასჯელად კი ამ დანაშაულისათვის მოკვეთა იყო გათვალისწინებული.[2049] ალ რაზიკაშვილი კი ფშავში ხატის გატეხვისათვის ჩაქოლვით დასჯაზე მიუთუთებს.[2050]

ჯვარის თას-განძის ხელყოფისათვის მძიმე სასჯელების დაკისრების შესახებ მონაცემები გვხვდება XX საუკუნის 80-90-იანი წლების ხევსურულ მასალებშიც. მაგალითად, როშკელი გიორგი წიკლაური მიუთითებს, რომ ხატიდან ქურდობა ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და ამის გამკეთებელს ხატში აღარ მიუშვებდნენ და გააძევებდნენ.[2051] კიდევ ერთი ინფორმატორის მიხედვით, ხატიდან რაიმეს მოპარვის შემთხვევაში სასჯელად იყო „სამძახის დაკვეთა".[2052] მოკვეთის ამ ნაირსახეობის გამოყენება ხევსურეთში სწორედ ყველაზე მძიმე შემთხვევაში იცოდნენ.[2053] კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორის მიხედვით, კი ჯვარ-ხატის განძეულის გაძარცვა იწვევდა სიკვდილით დასჯას, კერძოდ, ჩაქოლვას.[2054] ნ. ჯალაბაძეს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევაც, რომლის მიხდევითაც ხევსურეთში სიმამაცით განთქმულ ბღარიკათ გიორგის ერთ სხვა პიროვნებასთან ერთად გაუტეხავს ჯვარი და თას-განძი წაუღია. სოფელმა შეიტყო ქურდის ვინაობა და დამნაშავეს ჩაქოლვა მიუსაჯა. იგი თითქოს პატიების მიზნით მიიტყუეს ჯვარში, მისმა ბიძაშვილმა მოსაკლავად ხელკეტიც დაარტყა, თუმცა გიორგიმ იმარჯვა და გაიქცა.[2055] ჯვარ-ხატის გამტეხს, ცხადია ნაქურდალიც უნდა აენაზღაურებინა.[2056]

ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება არაერთი ძველი გადმოცემა ჩრდილოკავკასიელი მთიელების მიერ ხევსურული ჯვრების თას-განძის გატაცებისა. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის მიხედვით, არჭილოს და ხახაბოს შუა ადგილას იყო მაღალი მთა – ხოლიგის წვერი, სადაც ძველად მდიდარი სალოცავი ყოფილა ოქრო-ვერცხლის განძით. ამის შესახებ სცოდნიათ ლეკეთშიც. ლეკები

2048 იქვე, 105.

2049 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 37.

2050 ალ. რაზიკაშვილი, არ დავინყება ძველისა, თბ., 1984, 15.

2051 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 52.

2052 იქვე, 67.

2053 „სამძახის დაკვეთის" შესახებ იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 305-307.

2054 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 17.

2055 ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1987, თბ., 1990, 169.

2056 ბ. გოგოჭურის საარქივო ჩანაწერებში გვხვდება მონაცემი, რომლის თანახმადაც ჯვარ-ჯვარისკარში ქურდობისათვის გათვალისწინებული იყო მოკვეთა და ასევე ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული: „პირველად ჩანაწერები", 4). ჯვარის თას-განძის მოპარვისათვის ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურების შესახებ სხვა მონაცემი ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ მოგვეპოვება, შესაბამისად, ამ წესის უდავოდ არსებობის შესახებ მტკიცება არ იქნება სწორი, თუმცა თუ ხევსურეთში კერძო პირის ქონების ქურდობისათვის ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურება იყო დადგენილი, გამორიცხული არაა იგიეს ჰქონოდა ადგილი ჯვრის თას-განძის ქურდობის შემთხვევაშიც.

დასცემიან ამ სალოცავს, დაულეწავთ კარები და წაუღიათ ყველაფერი რაც იქ ყოფილა, მათ შორის ერთი ლამაზად მორთული ოქროს ჯვარი. ხთიშვილიც ამ განძს ლეკეთში გაჰყოლია. ჯვარს თურმე არ სურდა ქრისტიანული სალოცავი ლეკეთში ყოფილიყო, გამწყრალა ლეკებზე, რასაც მათი ავადმყოფობა და უამრავი ადამიანის გარდაცვალება მოჰყოლია. სიკვდილიანობა მხოლოდ მაშინ შეწყვეტილა, როდესაც მკითხავის რჩევით ქისტებს ჯვარი კახეთში ერთ მაღალ მთაზე დაუსვენებიათ.[2057] მეორე შემთხვევაში წყაროთგორიდან, სადაც ძალიან დიდი სიმდიდრე ყოფილა, ქისტებს წაუღიათ ოქრო-ვერცხლი. თას-განძი ისე გაუტანიათ რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არაფერი გაუგიათ. ამ დროს ცხვარში ყოფილა მარგოშვილი ლაგაზი, რომელიც ხანდახან მკითხაობდა და ქადაგობდა კიდეც. ჯვარი რომ გატეხილა და თას-განძი ქისტებს წაუღიათ, ლაგაზი გაქადაგებულა, ცხვრისთვის თავი დაუნებებია და ქადაგობით გაქცეულა ხაბოელთა მთებისკენ. მისგან ხალხს გაუგია თუ რა მოხდა. ისინი მოკლე გზით წასულან და ქისტის ლაშქრისთვის გზა შეუკრავთ. წაურთმევიათ თას-განძი და ქისტებიც დაუხოცავთ. თას-განძი უკან წამოუღიათ, მხოლოდ სხვა სამალავი გაუჩენიათ მისთვის.[2058] ალ. ოჩიაურს კიდევ ერთი შემთხვევა მოჰყავს, როდესაც ერთ ქისტს ჯვარისთვის შეწირული თოფი მოუპარავს. ერთ-ერთ ხევსურს ამის შესახებ სალოცავის მეშვეობით გაუგია. იგი სათიბიდან გამოქცეულა და წამოსწევია ამ ქისტს. რაკი ღამე იყო კარგად ვერ არჩევდა და ჯვარს დახმარება სთხოვა. უცებ განათებულა იქაურობა და ხევსურს ქისტი დაუჭრია და მისთვის მოპარული თოფი წაურთმევია. დაჭრილი ქისტი გაუშვია, რაკი ნაცნობი აღმოჩნდა, უკან დაბრუნებულს კი ჯვარისთვის ვერძი შეუწირავს მადლიერების ნიშნად.[2059]

ამ გადმოცემებში კარგად ჩანს, თუ ხალხის რწმენით როგორ იცავს თვით ჯვარ-ხატი საკუთარ განძს. იგი ან ავადმყოფობას და სიკვდილიანობას უვლენს თას-განძის გამტაცებლებს, ასევე, თას-განძის ხელყოფის შესახებ ამცნობს თავის რომელიმე ყმას და შემდეგ მას ხელს უწყობს დამნაშავესთან ბრძოლასა და განძეულის დაბრუნებაში. ფშავლებსაც ასეთი შეხედულებები ჰქონდათ. როგორც ს. მაკალათია გადმოგვცემს, ხალხის რწმენით: „სამალევის (იგულისხმება ხატის თას-განძის სამალავი – გ. დ.) ახდა არ შეიძლება და ვინც ამას ჩაიდენს, ის კვდება, ან გიჟდებაო. სამალევიდან წაღებულ ნივთს ხატები უკანვე მიატანინებენო და დამნაშავეს ხატების სიზმარში სცემენო..... ამის შიშით ფშაველი სამალევს ხელს ვერ ახლებს.....“[2060] გამომდინარე იქედან, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის შეხედულებით თვით ჯვარ-ხატი საკუთარ განძს და როგორ სჯიდა მის მიმტაცებელს, არაა გასაკვირი, რომ ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი ჯვარ-ხატის განძეულის ხელყოფას თემის, ჯვარ-ხატის ღალატად განიხილავს და მისი ჩადენისათვის მძიმე სასჯელს ითვალისწინებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯვარ-ხატის თას-განძის დაცვაში მნიშვნელოვან როლს თვით ხალხის რწმენა-შეხედულებები ასრულებდა, თუმცა ამ დაცულობის უფრო სრულყოფილი უზრუნველყოფისათვის ჩვეულებითი სამართალიც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს.

2057 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მილმახევი), თბ., 2005, 338-339.

2058 იქვე, 339-340.

2059 იქვე, 340.

2060 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1984, 193

მოტანილი მონაცემებით ჩანს, რომ ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვა სვანური და ფშავ-ხევსურული ჩვეულებითი სამართლის თანახმად ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას, ასევე, საზოგადოებიდან გაძევებას და მოკვეთას. კონკრეტულ შემთხვევებში აღნიშნული დანაშაულისათვის უმეტესად გვხვდება სიკვდილით დასჯა. სვანეთში, როგორც დავინახეთ, ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ეკლესიის გატეხვისათვის ძირითადი სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო, თუმცა „რაიმე პატივსადები და შესაწყნარებელი საბუთის“ არსებობისას შესაძლოა იგი საზოგადოებიდან გაძევებით დასრულებულიყო. კონკრეტულად პატივსადებ და შესაწყნარებელ საბუთში რას გულისხმობს ბ. ნიჟარაძე არ ჩანს. სავარაუდოდ, ასეთ საბუთად ჩაითვლებოდა დანაშაულის ჩადენის რაიმე კონკრეტული მოტივი ან მიზეზი, რომელსაც საზოგადოების ყრილობა (ამ შემთხვევაში როგორც სასამართლო ორგანო) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევდა. ერთ კონკრეტულ ზემოთმოყვანილ მაგალითში გამოჩნდა, რომ საზოგადოებამ ეკლესიის ერთ-ერთი გამტეხი სიკვდილით არ დასაჯა, რადგანაც დამნაშავის ახლობლების თხოვნა გაითვალისწინა. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ეს გარემოება საზოგადოების მიერ ანგარიშგასაწევ ფაქტორად იქნა მიჩნეული და დამნაშავეს საზოგადოებიდან სამუდამო გაძევება აკმარეს. როგორც ჩანს, საზოგადოება ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე წყვეტდა ეკლესიის გამტეხის მიმართ სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა, თუ საზოგადოებიდან გაეძევა.

ხევსურეთშიც ჯვარ-ხატის გატეხვისათვის ასევე ფიქსირდება სიკვდილით დასჯა, თუმცა გაძევება, ან მოკვეთაც გვხვდება. სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ აქაც დაახლოებით იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე, რაც ბალსზემო სვანეთში, ანუ ჯვარ-ხატის თას-განძის ხელმყოფს სიკვდილით სჯიდნენ, რაც ერთ ზემოთმოტანილ მაგალითშიც გამოჩნდა, თუმცა შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში შედარებით მსუბუქი სასჯელი გამოეყენებინათ. სრულიად შესაძლებელია აღნიშნული დანაშაულისათვის არა სიკვდილით დასჯის, არამედ შედარებით მსუბუქი სასჯელის დაფიქსირება განპირობებული იყო შედარებით გვიანდელ პერიოდში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შემსუბუქების ტენდენციით.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ ჯვარ-ხატის თას-განძის ხელყოფა ფშავ-ხევსურეთში თემისა და ხატის ღალატად, ამ დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად განიხილებოდა, უნდა გავითვალისწინოთ რომ ამას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ მაშინ თუ დამნაშავე იქნებოდა მოცემული საზოგადოების (თემის, სოფლის) მცხოვრები, „გატეხილი“ ჯვარ-ხატის ყმა. უცხო პირის (არა მოცემული ჯვარ-ხატის ყმის) მიერ ამ დანაშაულის ჩადენა თემისა და ხატის ღალატად ვერ ჩაითვლებოდა, რადგანაც უცხო არ შეიძლება ყოფილიყო ამ დანაშაულის სუბიექტი. ასეთ შემთხვევაში ჯვარ-ხატის თას-განძის ქურდობა ფშავ-ხევსურეთშიც დამოუკიდებელ დანაშაულად უნდა განვიხილოთ. უცხო პირის მიერ ეკლესიის, ან ჯვარ-ხატის გატეხვისას ვერ მოხდებოდა მისი დასჯა გაძევებით, ან მოკვეთით, რადგანაც საზოგადოებას ამ სასჯელების დაკისრება მათი ბუნებიდან გამომდინარე შეეძლო მხოლოდ საკუთარი წევრის მიმართ.

ნებისმიერი საზოგადოება ეკლესიისა თუ ჯვარ-ხატის გატეხვას უმძიმეს დანაშაულად თვლიდა, რაზეც მისთვის გათვალისწინებული სასჯელების სი-

მძიმეც მეტყველებს, თუმცა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდა საკუთარი წევრის მიერ ამ დანაშაულის ჩადენას. შემთხვევითი არაა, რომ სვანეთში ეს დანაშაული ფაქტიურად გათანაბრებული იყო ქვეყნის ღალატთან, ხოლო ფშავ-ხევსურეთში საერთოდ საზოგადოების ღალატად მოიაზრებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გატეხვა უცხოს მიერ რაიმე შეღავათს ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში დამნაშავის დასჯა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ თუ დაზარალებულს საზოგადოება ხელში ჩაიგდებდა. მასალების მიხედვით, ამ დანაშაულის ჩამდენ უცხოთა მიმართ ძირითადად სიკვდილით დასჯა ფიქსირდება. მ. კეკელიას ინფორმატორის ცნობის მიხედვით, როგორც დავინახეთ, ეკლესიის გამტეხი თანასოფლელი გააძევეს, ხოლო მისი თანამონაწილე ორი „ქალაქელი სტუდენტი", ანუ არა ამ საზოგადოების მკვიდრი, სიკვდილით დასაჯეს. სიკვდილით დაუსჯიათ ასევე XIX საუკუნეში უშგულის ეკლესიის გამტეხი ბალყარელი თავადი და მისი თანმხლები პირები თემის ყრილობის გადაწყვეტილებით. სრულიად შესაძლებელი უცხო პირის სიკვდილით დასჯას შურისძიების აქტი მოჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ბალყარელებისათვის ეს ჩაქოლვა ჩვეულებრივი მკვლელობა იყო და ისინი დიდი ხნის განმავლობაში უშგულელებს არ ურიგდებოდნენ, რაც ნიშნავს, რომ შურისძიებას აპირებდნენ. ბოლოს დათანხმდნენ შესაბამისი სისხლის ფასის გადახდის პირობით. როგორც ეგ. გაბლიანის მონათხრობში გამოჩნდა, მედიატორებს უშგულელებისათვის 200 ხარის გადახდა მიუსჯიათ ბალყარელი თავადის მკვლელობისათვის, თუმცა 100 ხარი ეკლესიის გატეხვისათვის გამოუქვითავთ და გადასახადი 100 ხარი დარჩენილა. ეკლესიის მძარცველი უშგულის თემის წევრი რომ ყოფილიყო, მისი გვარი, ცხადია, ვერ დაუპირისპირდებოდა უშგულის თემს და ვერ მოითხოვდა კომპოზიციის გადახდას, როგორც ეს ბალყარელებმა გააკეთეს. თემის ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო თემის წევრისთვის და თითოეული უნდა დამორჩილებოდა მას. საკარაუდოდ, სვანეთის სხვა თემის წარმომადგენლებიც არ გამოესარჩლებოდნენ სხვა თემში ეკლესიის გამტეხ მის წევრს, რადგანაც ყველას გაცნობიერებული ჰქონდა თუ რაოდენ დიდი დანაშაული იყო ეკლესიის გაძარცვა. რაც შეეხება ბალყარელი თავადის ოჯახს, საგვარეულოს, ისინი სვანური ეკლესიების სიწმინდეს არაფრად აგდებდნენ, ამასთან საკმაო ძალაც გააჩნდათ და მათთან მტრობის შეწყვეტა, ცხადია, შედიოდა უშგულელთა ინტერესებში. ამიტომ უშგულის საზოგადოება დათანხმდა შერიგების მიზნით სამედიატორო სასამართლოს ჩატარებას და დაკისრებული კომპოზიციაც სრულად გადაიხადა.

ეკლესიისა და ჯვარ-ხატის „გატეხვაში" იგულისხმება ეკლესიაში განთავსებული განძეულის და ჯვარ-ხატის თას-განძის ხელყოფა. ტერმინი „გატეხვა" ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მაინცდამაინც აშკარა მოქმედებას, კონკრეტული პირების მიმართ ძალადობას. ეკლესიიდან, სალოცავიდან განძეულის გამოსატანად ხდებოდა მისი კარების გატეხვა, დანაშაულის ჩადენა კი ძირითადად ფარულად ხორციელდებოდა. ეკლესიის, ან ჯვარ-ხატის ქონების ხელყოფის აღსანიშნავად მასალებში ხშირად ვხვდებით ტერმინს – „გაძარცვა". ამ ტერმინის გამოყენება არ იყო განპირობებული იმით, რომ ავტორებს, ან ადგილობრივ ინფორმატორებს მხედველობაში ჰქონდათ ეკლესიისა და ჯვარ-ხატის განძეულის განძრახ აშკარა, სხვათათვის თვალნათელი მოქმედებით დაუფლება,

ანუ ძარცვა თანამედროვე სისხლის სამართლებრივი გაგებით. როგორც ჩანს, ეკლესიიდან თუ ჯვარ-ხატიდან ქონების მოტაცების აღსანიშნავად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მიღებული იყო ტერმინ ძარცვის ხმარება, მიუხედავად იმისა ეს ფარულად განხორციელდა თუ აშკარად.

ჩვენს მიერ მოტანილი კონკრეტული მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ განძის ხელყოფა ფარულად ხდებოდა. ეს საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ბალყარელი თავადის მიერ უშგულის ერთ-ერთი ეკლესიის გატეხვის ფაქტის აღწერაში. იგი და მისი მხლებლები ჩუმად შესულან სვანეთში და ეკლესია ღამით გაუტეხავთ. სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში ეკლესიისა და ჯვარ-ხატის განძის აშკარა, ღია ხელყოფა, ვინმეს თვალწინ, უაღრესად საშიში იყო და ამიტომ, როგორც წესი, ამ დანაშაულის ჩადენის ფარულ გზას მიმართავდნენ ხოლმე.

სუბიექტურად აღნიშნული დანაშაულის ჩადენა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ განზრახვით, ხოლო ობიქტური მხარის თვალსაზრისით მოქმედებით. როგორც ფშაველი ინფორმატორის ცნობაში გამოჩნდა, პიროვნება, რომელიც მიუთითებდა ხატის თას-განძის ადგილმდებარეობას სხვა პირს, ხოლო თვითონ უშუალოდ თას-განძის გატაცებაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ჩაითვლებოდა დანაშაულის თანამონაწილედ და ისეთივე სასჯელს იმსახურებდა, როგორსაც დანაშაულის ამსრულებელი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამხმარესთან, როგორც დანაშაულის თანამონაწილესთან.

ეკლესიის და ხატის გაძარცვა მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა მთიულეთშიც. მ. კედელაძის მიერ მთიულეთში 1948 წელს ჩაწერილი მონაცემით (102 წლის ინფორმატორისაგან) დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისში მთიულეთის რამდენიმე ხატი გაუძარცვავთ ქურდებს და მათი ქონება (ოქრო-ვერცხლი) მოუპარავთ. ამის გამო მთელი მთიულეთი შეძრულა. მეორე დღეს ხალხი შეკრებილა და სამნის ჩასმა მოუთხოვია დამნაშავეთა დასარისხებლად. უფროს კაცებს კი უთქვამთ, რომ სამნის ჩასმა არას გვიშველისო და დახმარების მიზნით ხელისუფლებისთვის მიუმართავთ. ხელისუფლებას ქურდები დაუჭერია და წაღებული ქონება უკან დაუბრუნებია.[2061] აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მთიულეთში XX საუკუნის დასაწყისისთვის საზოგადოება უკვე ნაკლებად ენდობა ჩვეულებით სამართლებრივ ინსტრუმენტებს და დამნაშავის გამოსავლენად სახელმწიფო ორგანოებს მიმართავს. ეს იქედან ჩანს, რომ საზოგადოებამ უარი თქვა დარისხების გზით დამნაშავეთა გამოვლენაზე და ამ მიზნით ხელისუფლებას მიმართა. შესაბამისად, დამნაშავეები სახელმწიფომ დასაჯა და ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ მიმართ არ მომხდარა.

3. საერთო (სასოფლო-სათემო) და ჯვარ-ხატების ქონების ხელყოფა

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული საზოგადოების საერთო ქონების ხელყოფაც. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს სათემო, სასოფლო საკუთრებაში არსებული როგორც უძრავი

2061 მ. კედელაძე, ხატის მინები ცხაოტის თემში (მთიულეთში), I, 1940, 1942, 1947, 1948, პირადი არქივი, მ. კ. 1/6, 75-81.

(ნებისმიერ თემს, თუ სოფელს ჰქონდა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მინა. ეს შეიძლება ყოფილიყო სახნავი მიწები, სათიბი, საძოვარი, ტყე), ისე მოძრავი ქონების ხელყოფა, ასევე საზოგადოების (სოფლის, თემის) წინაშე არსებული ქონებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობა. აქვე განვიხილავთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული ჯვარ-ხატების (სალოცავების) საკუთრებაში არსებული ქონების ხელყოფის საკითხსაც. აქ მხედველობაში არ გვაქვს ჯვარ-ხატების თას-განძი, რომლის ხელყოფის საკითხსაც უკვე შევეხეთ. ცნობილია რომ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატებს თავისი მამულები გააჩნდა, მათ შორის სახნავი მიწები, ასევე ტყეები და სხვა. ჯვარ-ხატებს შეიძლება საქონელიც ჰყოლოდა (კურატები, ცხვარი), რომლის მოვლა ხატის მიერ არჩეული, ან თემის მიერ დანიშნულ მწყემსს ებარა.[2062] მაგალითად, გუდანში არსებული მამულები თითქმის მთლიანად გუდანის ჯვრის საკუთრებას წარმოადგენდა. გუდანელები სანახევროდ, საღალედ ხნავდნენ ამ მიწებს, მათ საკუთარი სახნავ-სათესი არ ჰქონდათ. გუდანის ჯვარს სოფლის პირდაპირ სამხრეთით ტყეც ჰქონდა და საკუთარი კურატებიც გააჩნდა.[2063] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ჯვარ-ხატს ბარშიც ჰქონდა სახნავი მიწები და ვენახები. მაგალითად, ფშავში არსებულ გოგოლაურთა წმინდა გიორგის ხატს ზემო ხოდაშენში ჰქონდა 8-9 დესეტინა ვენახი და 15 დღის სახნავი მინა.[2064] ამ მამულებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად ჯვარ-ხატის დღეობებს ხმარდებოდა. ჯვარ-ხატის მამულებს სოფლის მოსახლეობა ამუშავებდა. ყველა ოჯახი თავის ხვედრ მამულს მოხნავდა, დათესავდა (თესლი სახატე პურიდან უნდა ყოფილიყო), მოყვანილ მოსავალს კი ხატის კალოზე მიიტანდა. მიტანილ ძნებს დასტურები გალეწავდნენ და ხატის ბეღელში ჩაყრიდნენ. ზოგან შესაძლოა თანასოფლელებს „საჯვარო ყანა" ერთობლივად მოეხნათ.[2065] ჯვარ-ხატის მამულების ნაწილი კი საღალედ გადაეცემოდა ოჯახებს. ჯვარ-ხატის მამულის სარგებლობისათვის მოსარგებლე ოჯახი ჯვარ-ხატს ნატურალურ გადასახადს უხდიდა.[2066]

ამ მიწების მითვისება, მათი უკანონო ექსპლოატაცია და კერძო ინტერესისთვის გამოყენება (მაგალითად, მიწების მოხვნა-დამუშავება, ტყის გაჩეხვა პირადი სარგებლობის მიზნით), აქ მოყვანილი მოსავლის მოპარვა, ამ მიწებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის გადაუხდელობა, მოძრავი ქონების ხელყოფა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოების მხრიდან გარკვეული სასჯელის დაკისრებას იწვევდა. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში მოიპოვება შესაბამისი მონაცემები.

2062 ო. ზოიძე, საკუთრების სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე ნაწილი, II თავი), კრებული. „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, თბ., 1993, 53.

2063 ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 231-232.

2064 იხ. ო. ზოიძე, მინა-ნყლის სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე ნაწილი, III თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, თბ., 1993, 73.

2065 იხ. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 5.

2066 გადასახადის ოდენობა სხვადასხვა თემში სხვადასხვა იყო. მაგალითად, ფშავში, გოგოლაურთას თემში გადასახადი წინასწარ დადგენილი ყოფილა და იგი ხუთ ლიტრა მარცვალს შეადგენდა. მოსაელის ოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. იახსარის მამულით მოსარგებლეს კი ხატისათვის მოსავლის ნაწილი უნდა ჩაებარებინა (იხ. ო. ზოიძე, მინა-ნყლის სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე ნაწილი, III თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, თბ., 1993, 73).

მესხეთში ჩაწერილი ერთ-ერთი ცნობის მიხედვით (ცნობა ჩაწერილია ადიგენის რაიონის სოფელ არალში) სოფლის მცხოვრებმა საერთო სასოფლო მიწა, კერძოდ, საძოვარი, მოხნა და დაამუშავა, რის გამოც სოფელი შეიკრიბა და გადაუწყვიტა „სასოფლო მუშტის დარტყმა"[2067], რაც მესხეთში საკმაოდ გავრცელებულ საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა. იგივე სასჯელით დაუსჯიათ მესხეთში ვინმე პეტრე ჩ., რადგან ძველად სოფელ არალის კუთვნილი ჭალა სამ ფუთად მიჰყიდა სხვა სოფელში მცხოვრებ თათარ ბეგს.[2068] საზოგადოებრივი ნაკვეთის დაუფლება ქართლში იწვევდა საჯარო სასჯელს და უკანონოდ დათესილის მოწამლვას.[2069] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხალხის რწმენით, ჯვარ-ხატის კუთვნილი ქონების ხელმყოფს, მისი თას-განძის მომტაცებლის მსგავსად, თვით სალოცავი უსწორდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო გადმოცემას ვხვდებით ხევსურეთში, რომლის თანახმადაც მთლიანად ამოწყვეტილა კიმკაზაურების გვარი, ხევსურთა რწმენით იმიტომ, რომ მათ მოინდომეს გუდანის ჯვრის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ხელყოფა. ამ გვარის სამ ძმას თურმე სახნავი მიწები არ ყოფნიდა და უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. ისინი ძალიან ამაყები ყოფილან და გადაუწყვეტიათ სწორედ გუდანის ჯვრის მიწის ნაკვეთი მოეხნათ. წაიყვანეს ხარები და დაიწყეს ხვნა. ერთი კვალი რომ გაავლეს, მიწიდან ამოვიდა გველი და ხარებს უღელზე დაეხვია, მეორეჯერ რომ კვალი გაავლეს, ისევ გამეორდა ეს ამბავი და გველი ხანჯლით დასჭრეს. მესამედაც რომ ამოვიდა გველი და დასჭრეს ხარები გაიბერენ და გასკდნენ. ძმები წამოვიდნენ სახლში, მაგრამ გზაზე ისინიც დაიხოცნენ. გაჯავრებულმა გუდანის ჯვარმა მათი გვარი სულ ამოწყვიტა, გაუჩინა ისეთი ავადმყოფობა, რომ დიდი და პატარა სულ ამოიხოცა. რასაკვირველია მაშინდელმა ხევსურებმა ეს გუდანის ჯვარს და მისი კუთვნილი მიწის მოხვნას დააბრალეს.[2070] ეს გადმოცემა კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მძიმე დანაშაულად აღიქვამდა თვით ჯვარ-ხატი მისი ქონების ხელყოფას (ანალოგიურად მისი თას-განძის ხელყოფისა). ცხადია, ასეთი დამოკიდებულება მის საყმოზეც გავრცელდებოდა და აქედან გამომდინარე ჯვარ-ხატის ქონების ხელყოფისთვის მძიმე სასჯელის არსებობა გასაკვირი არ უნდა იყოს.

მასალებში საკმაოდ ხშირად გვხვდება საერთო ტყის, ასევე, ე. წ. სახატო ტყის გაჩეხვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. მაგალითად, ქართლში საერთო ტყის გაჩეხვისათვის ფიქსირდება გარკვეული საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრება,[2071] არაერთ კუთხეში ვხვდებით ტყის შემდგომი გაჩეხვის შესაჩერებლად საზოგადოების წევრების მიერ ტყის გამჩეხველის დარისხებას. მაგალითად, ხევში სოფელ სიონში ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით არის ხატის ტყე, ხატის ტყის ირგვლივ კი სასოფლო ტყე, რომელიც თურმე უმოწყალოდ ნადგურდებოდა. საკმაოდ დიდი ხნის წინ სოფლის მცხოვრებლები შეკრებილან და მღვდლის თაოსნობით დაურისხებიათ

2067 ვ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №2, 12.

2068 იქვე, 22.

2069 Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №257.

2070 ალ. ოჩიაური, სახატო მიწები ხევსურეთში, პირადი არქივი, 134.

2071 Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №257.

ტყის გამჩეხველი, რის შემდეგაც ეს ტყე გაიზარდა და დამშვენდა.[2072] აჭარაში, კერძოდ, შუახევის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ყოფილა ტყე, რომელიც სოფელს ზვავებისაგან იცავდა. ხალხის დადგენილებით, ამ ტყეში ხის მოჭრა აიკრძალა. ხალხის რწმენით ვინც ამ აკრძალვას დაარვევედა დიდი ცოდვის მსხვერპლი შეიქმნებოდა. ამიტომ ამ ტყეში ხეს არავინ ჭრიდა.[2073]

აღსანიშნავია, რომ ხატის ტყის გაჩეხვა ღვთის განსაკუთრებული რისხვის გამომწვევად ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით აჭარაშიც ითვლებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში საყდართან ახლოს ყოფილა ტყე, რომელსაც ხალხი ხატის ტყეს ეძახდა. საყდრის მიდამოებში ხის მოჭრა და ნადირობა აკრძალული იყო, ცოდვად ითვლებოდა (იქ დღესაც არავინ ჭრის ხეებს). სოფელში შემორჩა ძველი თქმულება: ერთმა კაცმა თურმე იმ საყდრის ხეზე მოკლა გვრიტი, მაგრამ მოკლული ჩიტი ხის ტოტებზე შერჩენილა. მონადირე ჩიტის ჩამოსაღებად ასულა ხეზე, მაგრამ უცბად მკლავის სისქე ტოტი მოსტეხია და ჩამოვარდნილა, რის შედეგადაც იქვე მომკვდარა. ამის გამო ხალხს უთქვამს, რომ ეს კაცი ცოდვამ მოკლაო.[2074]

ხევსურეთში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, ჯვრის, თუ საზოგადოების (სოფლის) საკუთრებაში არსებობდა ხილის ხეებიც. მაგალითად, შატილის ტერიტორიაზე იდგა პანტის, მაჟალოს და ტყემლის ხეები. ერთ დღეს დანიშნავდნენ, ყველანი წავიდოდნენ და ერთბაშად დაბერტყავდნენ. მიღებულ მოსავალს სოფელში კომლებზე გადაანაწილებდნენ.[2075] ხილს თურმე არც თუ იშვიათად იპარავდნენ კიდეც. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალებშია მოტანილი ანატორის ჯვრის ხუცესის ჯვარზე წარმოთქმული სიტყვები: „წელს ხილებს ესხ კარგად სოფელმ ბევრ არა ისარგებლა. თითო ოროლა კაც მიდიოდა ქურდულად მახქონდ შინ სხალ-ვაშლუა-დ ტყემალიც, ზოგ დიაც-ყმაწვილ იყვად, ზოგ დიდი..... ნულარავინ აიღებს ხილს, აღებულიც იქავ დაყარეთ, დალპას ხის ძირში. თუ წამაიღოთ, შინ ნუ ვინ მიიტანთ, საფეხვნოში ხალხ არ გამოილევისად იქ მიიტანეთ, ყმაწვილმაც რომ მაიტანას, დედ-მამა გაუჯავრდით, მიტანილი საფეხვნოში წაიღით.“[2076] მასალებში კარგად ჩანს, რომ ხილის ქურდობისათვის ჯვრის მესვეურები დამნაშავეს ჯარიმას აკისრებდნენ. მაგალითად, ანატორის ჯვარის მესვეურებმა ჯარიმა – ორი გვერდი[2077] ქერი დააკისრეს ერთ ადგილობრივ პიროვნებას ხილის მოპარვისათვის.ანატორის ჯვრის სასარგებლოდ.[2078]

გარკვეული საჯარო სასჯელები დაწესებული იყო ჯვარ-ხატის, თუ თემ-სოფლის ჭირნახულის განადგურებისათვის. იგივე ანატორის ჯვრის ხუცესი საჯაროდ აცხადებდა იმ პირებს, რომელთა საქონელმა ანატორის ჯვრის ჭირნახული გაანადგურა. ჯვრის ჭირნახულის „დამლევი“ (ჭირნახულის წამხდენი)

2072 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 50.

2073 ლ. დავითაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები (ჩაწერილია 1981 წელს), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №827, 4.

2074 ა. ქათამაძე, მოგონებები და ზღაპრები, 1958, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №250, 119.

2075 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 251.

2076 იქვე, 271-272.

2077 გვერდი – ნახევარი ფუთი.

2078 ალ. ოჩიაური, იქვე, 272.

ჯვრის მესვეურების მიერ ასევე ჯარიმდებოდა.[2079]

მასალების მიხედვით, ასევე საერთო (სათემო-სასოფლო) ქონების ხელყოფად ითვლებოდა საზოგადოების საერთო სახსრების მითვისება-გაფლანგვაც. შესაბამისი მაგალითი ფიქსირდება ხევის სინამდვილეში. სოფელ გერგეტში მოუკვეთავთ ვინმე გოგია წიკლაური, რომელმაც „სოფელს მთებში საბალახეს ფული შეუჭამა".[2080]

განსახილველი კატეგორიის დანაშაულს უნდა მივაკუთვნოთ ასევე საზოგადოების (სოფლის, თემის) წინაშე ქონებრივი ვალდებულების შეუსრულებლობა, კერძოდ, ბეგარის, კულუხის გადაუხდელობა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საკმაოდ ხშირი იყო ცალკეული ოჯახების მიერ საღალედ, საკულუხედ ჯვარ-ხატის მამულების დამუშავება. ბუნებრივია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის გარკვეული სასჯელი იქნებოდა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო მაგალითები გვხვდება მთიულეთ-გუდამაყრის სინამდვილიდან. ხანდოელთა თემის სალოცავს – „ყოვლადწმინდას" ბარის სოფელ არაგვისპირში ჰქონდა ვენახი. ამ ვენახს უვლიდა ხანდოდან გადასახლებული ქაშიაშვილების (ძირად დავითურების) გვარი, რომლებსაც სახატო დღეობებისათვის ბარიდან კულუხად ღვინო მიჰქონდათ. კოლექტივიზაციის პერიოდში ქაშიაშვილებს ღვინის (კულუხის) მიტანა შეუწყვეტიათ, რადგან ხატის ვენახი მათ ხელისუფლებამ ჩამოართვა. ეს გარემოება სრულიადაც არ გაუთვალისწინებიათ ხანდოელებს და ბარში ოდესღაც გადასახლებული მეთემეები დაუწყვეტიათ – სამანი ჩაუსვამთ დავითურების ხატში: „აღარც ღვინო გვინდა მათი, აღარც ის მამულები და აღარც ის ხალხიო".[2081] აქ კარგად ჩანს, რომ საზოგადოებამ არ გაითვალისწინა კულუხის მიუტანლობის მიზეზი და საერთო ქონების ხელმყოფი დარისხებით და მოკვეთით დასაჯა. მთიულეთში კულუხისა და ბეგარის გადაუხდელობისათვის დამნაშავის მოკვეთა სხვა მონაცემშიც ჩანს.[2082] მეკულუხეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოკვეთა ფიქსირდება ასევე რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის ნაშრომში მოტანილ შემთხვევებშიც.[2083] მთიულეთში დაფიქსირებულ მასალაში დანაშაულად ითვლებოდა ასევე არასათანადო ხარისხის კულუხის, ბეგარის გადახდა. მაგალითად, მისატანი არაყი და სხვა უნდა ყოფილიყო სათანადო ხარისხის.[2084] ცუდი, არასათანადო ხარისხის კულუხის მიტანის პირველ შემთხვევაში სასჯელი საზოგადოების მხრიდან შედარებით მსუბუქი იქნებოდა და მცირეოდენ ჯარიმას აკმარებდა დანაშაულის ჩამდენს. განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა იზრდებოდა და ბოლოს უმაღლესი სასჯელი იქნებოდა დამნაშავისთვის სამნის ჩასმა და თემიდან გა-

2079 ალ. ოჩიაური, იქვე, 272.

2080 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II, 1959, 172.

2081 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006, 118.

2082 მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი II), პირადი არქივი, მ. კ. 1/13, 209-210.

2083 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64.

2084 მაგალითად, არაყი უნდა ყოფილიყო ე. წ. „თითზე ნანთები". „თითზე ნანთები" არაყი ნიშნავს, რომ არაყს ყანწში ჩაასხამდნენ, შიგ ორ თითს ჩაუშვებდნენ – სალოკს და შუას, სწრაფად ამოიღებდნენ არყიდან თითებს და ანთებულ ცეცხლში მიიტანდნენ, მხოლოდ სწრაფად უკანვე გამოიღებდნენ. თუ არყით დასველებულ თითებს ცეცხლი მოეკიდებოდა, მაშინ არაყი კარგია, ანუ „თითზე ნანთებია" (მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I), პირადი არქივი, მ. კ. 1/11, 167-168.

ძევება. მამულს კი რომელიც ამ პიროვნებას საკულუხედ ჰქონდა, სხვა ვინმეს გადასცემდნენ.[2085]

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილიყო როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედებით (მაგალითად, კულუხის გადაუხდელობა) და უცილობლად განზრახ. აქვე ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზე რომ, როდესაც ვსაუბრობთ საერთო (სათემო-სასოფლო) თუ სახატო-საჯვარო ქონების რაიმე სახით ხელყოფის შესახებ, მხედველობაში გვაქვს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული დამნაშავის მხრიდან საზოგადოებაში რაიმე პრეროგატივის, უპირატესობის მოპოვების მცდელობასთან.

4. საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. თემის, სოფლის „პირის გატეხვა"

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, საზოგადოების წევრთა საერთო შეთანხმების, პირობის დარღვევა ანუ როგორც საქართველოს მთიანეთში იტყოდნენ თემის თუ სოფლის „პირის გატეხვა". საზოგადოების (სოფლის, თემის) გადაწყვეტილება, შეთანხმება შესაძლოა სხვადასხვა, თვისობრივად განსხვავებულ საკითხთან დაკავშირებით ყოფილიყო მიღებული. როდესაც სოფლის და თემის საზოგადოება ერთად იკრიბება და რაიმე საკითხზე თანხმდება, გადაწყვეტილებას იღებს, ნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხი მოცემული საზოგადოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ამდენად ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესის ხელყოფად აღიქმება ამ საზოგადოების მიერ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ მასალებში ვხვდებით ზოგად მონაცემებს საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. მაგალითად, ფშავხევსურეთსა და მთიულეთში სხვადასხვა ავტორის ცნობით საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, თემის პირის გატეხვა მოკვეთას გამოიწვევდა.[2086] ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, ხუცესი სოფლის პირის გამტეხს დაარისხებდა და მოიკვეთდა. იგი საჯაროდ გამოაცხადებდა: „ესად ეს კაცი სოფლის პირის ჩაშლაზე მაკვეთილი ას სოფლისაგან".[2087] ერთ-ერთი გურული ინფორმატორი მიუთითებს, რომ ყველა ერიდებოდა სოფლის აზრის წინააღმდეგ მოქმედებას შერცხვენის, სასჯელის შიშით.[2088] თემისა და სოფლის პირის

2085 მ. კედელაძე, ხატის მინები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I), პირადი არქივი, მ. კ. 1/11, 169-170.

2086 იხ. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 93; ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62; ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №2, თბ., 1990, 176; მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 57.

2087 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 184.

2088 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 24.

გამტეხს მოიკვეთდნენ ხევშიც.[2089] ალ. ყაზბეგის მიხედვით კი, ხევში ძველად ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა თემის ყრილობის მიერ. მოხევისათვის შეუძლებელი იყო არ დამორჩილებოდა ხალხის ასეთ გადაწყვეტილებას.[2090] სვანური საზოგადოებაც აფრთხილებდა მის წევრს არ დაეშვა საზოგადოების პირის გატეხვა.[2091] ამ მონაცემიდან გამომდინარეობს, რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში დამნაშავეს ცხადია მძიმე სასჯელი დაეკისრებოდა იგივე ხალხის მხრიდან.

ცნობილი ფაქტია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადასტურება სამნის ჩასმით ხდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში სამნის ჩასმას თან სდევდა დაწყევლა იმისა, ვინც მხარეთა შეთანხმების გარეშე გაბედავდა სამნის ამოგდებას: „გაუწყრეს ამ სამანის მადლი, ღვთის მადლი, ოჯახი დაექცეს, ცოლ-შვილი დაეხოცოს...“ სამნის გადმოგდება მთელი ნათესაობის ამოწყვეტის მომასწავებლად ითვლებოდა. პირის გამტეხის დარისხება ჩეჩნურებრივ ჯვარში იცოდნენ.[2092] სამნის ამოგდება, ცხადია, ნიშნავდა მისი ამომგდებლის მიერ საზოგადოების შეთანხმების დარღვევას, თემის თუ სოფლის პირის გატეხვას.

საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, თემის, სოფლის პირის გატეხვა კონკრეტული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე სხვადასხვა ხასიათის დანაშაულებრივ ქმედებაში შეიძლება გამოხატულიყო. ამ გადაწყვეტილებას კი შესაძლოა ჰქონოდა როგორც ზოგადი ხასიათის ქცევის წესის, ანუ საკანონმდებლო დადგენილების, ისე ინდივიდუალური ხასიათის დადგენილების სახე. ახლა განვიხილავთ აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა შესახებაც საუბრის საშუალებას ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვაძლევს.

4.1. საზოგადოების მიერ მიღებული კანონების შეუსრულებლობა. საზოგადოების წევრთა შეთანხმებით დადგენილი ზოგადი ხასიათის ქცევის წესის უგულებელყოფა. საზოგადოების წევრთა მიერ, მაგალითად, სახალხო კრებაზე ურთიერთთანხმობით მიღებული ზოგადი ხასიათის ქცევის წესი, თუ წესები, ცხადია, მოცემული საზოგადოების წევრთათვის სავალდებულო იყო შესასრულებლად. აღნიშნული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის საჯარო ხასიათის სასჯელი იყო გათვალისწინებული. ვალ. ითონიშვილი ხევთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ თემის მიერ შემუშავებული და მოხევეთა ყოფა-ცხოვრებაში ადათად განმტკიცებული კანონების დარღვევა მომაკვდინებელ ცოდვად და შეუწყნარებელ დანაშაულად იყო მიჩნეული.[2093] თემში აქ მთელი ხევის საზოგადოების მიერ მიღებული კანონი იგულისხმება, რომლის შეუსრულებლობა, როგორც ჩანს, ხევში უმძიმეს დანაშაულად იყო მიჩნეული. ვალ.

2089 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, 172.

2090 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1950, 32.

2091 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 88.

2092 მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 49-50; მისივე, ხეეისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVIII, 1975, 117; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 99.

2093 ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი“ ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957, 166.

ითონიშვილი ამ დანაშაულისათვის რაიმე კონკრეტულ სასჯელზე არაფერს ამბობს. თემის მიერ მიღებული კანონის უგულვებელყოფა საჯარო ხასიათის დანაშაული უნდა ყოფილიყო და მისთვის, ცხადია, საჯარო სასჯელის გამოყენება უნდა მომხდარიყო. იგივე ითქმის სვანეთთან დაკავშირებითაც. ა. დავითიანის მონაცემების მიხედვით, მულახში წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა თითო კაცი ყველა სოფლიდან, სადაც ხდებოდა კანონების დადგენა. შემდეგ ეს კანონები გადაჰქონდათ თავიანთ სოფლებში ზევით უშგულამდე და ქვევით ლახამულამდე. ამ ტერიტორიაზე აღნიშნული კანონები სავალდებულო იყო შესასრულებლად და დამრღვევი სათანადოდ დაისჯებოდა.[2094] მ. კედელაძის ცნობით, უკანა ფშავის 12 თემს წინასწარ გამაფრთხილებელი სამანი ჰქონდა ჩასმული იმათ მიმართ, ვინც ერთობლივად დადგენილ წესებს დაარღვევდა. ძველად ასეთი ქმედების ჩამდენთა ჩაქოლვა ხდებოდა. საერთოდ სცოდნიათ ასევე მოკვეთა, ან სოფლიდან გაძევება.[2095] ხევსურეთშიც თემი რომ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, მის დამრღვევს მოიკვეთდნენ და სამანს ჩაუდგამდნენ. შემორიგება ხდებოდა ჯურუმის დადებით, ლუდის დულების და ხარის და საკლავის დაკვლით.[2096]

განსახილველი დანაშაულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ხევსურეთში, კერძოდ, არხოტის თემის საზოგადოების მიერ მიღებულ დადგენილებას სასისხლო საქმის წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ დადგენილების განსამტკიცებლად არხოტის ჯვარში მოხდა სამნის ჩასმა. აღნიშნული დადგენილების დარღვევა თემის პირის გატეხვად იქნებოდა განხილული და სამნის ჩასმისას ნარმოთქმული შერისხვა დამნაშავესა და მის ოჯახზე გავრცელდებოდა.[2097] ეს ეხებოდა ამ საზოგადოების ყველა წევრს, რომელსაც შეხება ექნებოდა აღნიშნულ ნორმებთან მხარის, მოსამართლის თუ შუამავლის სახით. ამდენად, დანაშაულად ითვლებოდა ამ დადგენილებით განსაზღვრული ნორმებით დარეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარება აღნიშნული ცვლილებების გაუთვალისწინებლად, მათი უგულვებელყოფით, რაც ავტომატურად დამნაშავის დარისხებას იწვევდა. მასალების მიხედვით, დარისხების მსხვერპლი შეიქმნებოდა ასევე გუდანის ჯვარში დადგენილი რჯულის დამრღვეველიც.[2098] ამ თვალსაზრისით საინტერესო ზოგად მონაცემს ვხვდებით ნ. ხიზანაშვილთან. ის აღნიშნავს, რომ ხევსურეთში ყველა უნდა ემორჩილებოდეს სათემო რჯულს, რადგანაც თემის თითოეული წევრი თემს ეკუთვნის. ვინც უარყოფდა ამ სათემო რჯულს იგი მოკვეთილი იქნებოდა.[2099] ამ მონაცემის მიხედვით ჩანს, რომ თითოეული ხევსური უნდა მოქცეულიყო ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედების არეალში და ამ სივრციდან გასვლა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რაც მოკვეთას იწვევდა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე თემის, სოფლის პირის გატეხვად საქართველოს მთიანეთში შესაძლოა განხვიხილოთ ასევე მხარეებს შორის არსე-

2094 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, პირადი არქივი, ა. დ., 16/3, 258.

2095 მ. კედელაძე, ფშაური მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 4/14, 18.

2096 მ. კედელაძე, ხევსურული მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/10, 1.

2097 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 99.

2098 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 213-214.

2099 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 35.

ბული ნებისმიერი, მათ შორის სასისხლო დავების გადასაწყვეტად ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის უგულვებელყოფა და ამ დავის გატანა ადგილობრივი სამართლებრივი სისტემის გარეთ, მაგალითად, მიმართვა სახელმწიფო სასამართლოს ან მოსამართლის ფუნქციით აღჭურვილი თანამდებობის პირისადმი. განსაკუთრებით მტკივნეულად ხდებოდა ამის აღთქმა როდესაც ხდებოდა დავის გადასაწყვეტად რუსული მმართველობისადმი მიმართვა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მონაცემის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, ბარისახოელმა ბათაკო ჭინჭარაულის მამამ მოკლა ხევსური. სხვადასხვა სოფლებიდან შეკრებილმა ხევსურებმა ბათაკოსგან 40 ძროხა მოითხოვეს. ამ საქმეზე ბათაკო პირადად ხლებია საქართველოს მთავარმართებელს განმარტებისათვის და გარანტია მიუღია შინ დაბრუნებისა და უსაფრთხოების თაობაზე, მაგრამ შინ დაბრუნებულისათვის ხევსურეთის ყველა საზოგადოებას ერთსულოვნად განუმარტავს მისთვის, რომ მან დაარღვია ხევსურთა უძველესი კანონი და საქმის გარჩევა რუსებთან გადაიტანა, ამის შემდეგ სოფ. ბარისახოს მკვიდრმა ჭინჭარაულმა დაჭრა ბათაკა თოფიდან გასროლით, მარცხენა ბეჭში.[2100] ამ საკითხს ხევსურულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველაც გამოეხმაურა. მისი განმარტებით მთის ხალხის ჩვეულებით სამართალსა და რუსულ კანონებს შორის დიდი შეუსაბამობა იყო, კერძოდ, ბევრი დანაშაულისათვის (მაგალითად, შურისძიების გამო მკვლელობა), რაც ფშავ-ხევსურეთში ჩვეულებას წარმოადგენდა, რუსული კანონით გაციმბირება იყო განსაზღვრული. ამან ათქმევინა ვაჟას: „ხევსურების ყველა საქმეები რომ ახალ კანონს ჩაეგდო ხელში, აქამდის ხევსურეთი კამჩატკაში დაარსდებოდა."[2101] ხევსურეთში თუ ვინმე მედიატორთა გადაწყვეტილებას არ დათანხმდებოდა და ხელისუფლებასთან გაემგზავრებოდა საჩივლელად, მთელი სოფელი და თემი დაუხვდებოდა და უკან დააბრუნებდა: „სირცხვილ არა იც, რად გვყრი სხვის ხელადაო?"[2102] იგივე შეიძლება ითქვას სვანეთთან მიმართებაშიც. აქაც ადგილობრივი ხალხური სამართალი, სასამართლო, საპროცესო ნორმები შესისხლხორცებული ჰქონდა ხალხს და სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარების სხვა მექანიზმი მისთვის მიუღებელი იყო. რუსული მმართველობა ცდილობდა აეკრძალა სვანებისათვის ადგილობრივი სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით სასისხლო საქმეების განხილვა, თუმცა უშედეგოდ. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ სვანეთში რუსეთის მეფის სასამართლო მოხელე წელიწადში მხოლოდ ორი თვით მიდიოდა და ცდილობდა მკვლელობის საქმეების გამოძიებას. როდესაც რუსული ხელისუფლების მიერ გაგზავნილი გამომძიებელი დაიბარებდა მომჩივან-მოპასუხეს და მოწმეებს, ყველა დამნაშავის სასარგებლოდ აძლევდა ჩვენებას, რათა რუსული კანონით არ დასჯილიყო დამნაშავე და დავა სვანური წესებით მოგვარებულიყო.[2103] მთიულ-გუდამაყრელებიც არიდებდნენ თავს მართლმსაჯულების სახელმწიფო ორგანოებს, რის გამოც მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ანანურის სამაზრო სასამართლო გააუქმა.[2104]

ამ უკანასკნელ მონაცემებში პირდაპირ არაა საუბარი იმ სამართლებრივ

2100 მ. კანდელაკი, სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლები), თბ., 1995, 284.

2101 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 46.

2102 იქვე, 45.

2103 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 91-94.

2104 Акты Кавказской археографической комиссии (АКАК), Т. V, Тифлис, 1873, 261, 263.

შედეგზე, რაც შეიძლება მოჰყოლოდა სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვას, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება აღნიშნული ქმედების ჩამდენს მოექცეოდა ისევე, როგორც ექცეობდა თემის, სოფლის „პირის გამტეხს", რადგანაც ასეთი ქმედება საზოგადოების მიერ ურთიერთთანხმობით დადგენილი წესების დარღვევას წარმოადგენდა და ასეთ ქმედებას ქართველი მთიელები ზოგადად სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ.

ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის უალტერნატივობა ქართველი მთიელებისათვის რუსული მმართველობის დამყარებამდე, ქართველი მეფეების პირობებშიც არსებობდა. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ს. მაკალათიას მიერ მოტანილი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ფშავის ორ თემს – გაბიდაურებს და წიჩოელებს დავა ჰქონდათ მამულზე. წიჩოელებს მიუმართავთ მეფის სასამართლოსათვის. მეფე ერეკლეს გადაწყვეტილებით ორივე თემს უნდა დაეფიცა სადავო მამულზე, მაგრამ არა ფშაური ჩვეულებითი სამართლის თანახმად ხელში თასითა და დროშით, არამედ ქრისტიანული წესით: სახარებითა და ხატით. წიჩოელებს სწორედ ასე დაუფიციათ, გაბიდაურებს კი უარი უთქვამთ ამაზე და არ დაურღვევიათ ხალხური სამართლის მოთხოვნა. თანაც გაბიდაურებს სამნის ჩასმით დაურისხებიათ ისინი, ვინც წიჩოელებივით მოიქცეოდა და „ლაშარის გორს იქით" სამართალს ეძიებდა[2105]

მოტანილი მონაცემები ცალსახად მიუთითებს ქართველი მთიელების დამოკიდებულებას ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის გვერდის ავლით სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტისა თუ ამის მცდელობისა. მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედება მყარად შემორჩა, XVIII-XIX საუკუნეშიც კი სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვა ადგილობრივი ხალხური სამართლის უგულვებელყოფით არა მარტო მორალურ, არამედ სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იწვევდა და შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რაც ფაქტიურად გამოიხატება საზოგადოების მიერ დადგენილი კანონების უგულვებელყოფაში, მათ შეუსრულებლობაში.

4.2. სასამართლოს მიერ დაკისრებული საჯარო სასჯელის აღსრულების წესების შეუსრულებლობა. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. მასალების მიხედვით საზოგადოების, თემის, სოფლის პირის გატეხვად შეიძლება განვიხილოთ საზოგადოების თუ საზოგადოების მიერ არჩეული სასამართლო ფუნქციის მატარებელი პირების მიერ დამნაშავისათვის დაკისრებული საჯარო ხასიათის სასჯელის აღსრულების წესების შეუსრულებლობა. მხედველობაში გვაქვს მოკვეთის, ბოიკოტის, გაძევების წესების დარღვევა. ამ სასჯელთა არსის შესახებ აქ არ ვისაუბრებთ, რადგანაც ისინი დეტალურად გვაქვს განხილული სხვა ნაშრომში.[2106] მხოლოდ ვიტყვით, რომ ყოველგვარი ურთიერთობა ბოიკოტგამოცხადებულთან, მოკვეთილთან თუ გაძევებულთან დასჯადი ქმედება იყო. გურიაში ჩაწერილ მასალებში ჩანს, რომ თუ ვინმე ბოიკოტის წესებს დაარღვევდა, მაგალითად, ბოიკოტგამოცხადებულ კაცს ან მის ოჯახის წე-

2105 იხ. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 81-91.

2106 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 264-348.

ერს დაელაპარაკებოდა თუ მასთან რაიმე საქმეს დაიჭერდა, ისიც ხალხის მიერ ბოიკოტით ისჯებოდა.[2107] გურული ინფორმატორი ერთ საინტერესო შემთხვევას იხსენებს: „გიორგი გუბელიძეს კაცის გალახვისათვის გამოცხადებული ჰქონდა ბოიკოტი. იგი ერთ დღეს თურმე კოპიტს ჭრიდა. გაუვლია შორიახლო რაჟდენ ბერაიას, მიუხედ-მოუხედავს, რაკი არავინ იყო იქ, მიესალმა გიორგის. გუბელიძემ იწყინა, რას ბედავ შენ, სოფლის გადაწყვეტილებას რატომ არ ასრულებო. ბოიკოტს ვინც დაარღვევდა სოფელი მას სოფლის სასარგებლოდ რაიმე საქმის გაკეთებას დაავალდებულებდა."[2108] როგორც ვხედავთ, ბოიკოტგამოცხადებულთან საუბარი, მასთან მისალმებაც კი ბოიკოტის წესების დარღვევად ითვლებოდა, რაც ამ ქმედების ჩამდენის მიმართ გარკვეულ სასჯელს ითვალისწინებდა. იმერეთში ჩაწერილი ცნობით, გაძევების წესების დარღვევაც, კერძოდ, გაძევებულის საკუთარ სახლში მიღება საზოგადოების მხრიდან ასევე დასჯად ქმედებას წარმოადგენდა.[2109] ხევშიც თემის ყრილობის მიერ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ წასვლას ვერავინ გაბედავდა, რადგანაც ეს ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას გულისხმობდა.[2110] აქაც მოკვეთის წესების დამრღვევის მიმართ საჯარო სასჯელის გამოყენება ხდებოდა. საინტერესოა რომ ეს ჩანს ალ. ყაზბეგის ერთ-ერთ ნაწარმოებშიც – „ციცია". აქ ერთი პერსონაჟი თემის ღალატისთვის მოიკვეთეს. საზოგადოების ამ გადაწყვეტილებას თან ახლდა წყევლა: „ვინც ჩვენში გატეხოს თემის პირი, ვინც ჩვენში ამ გადაწყვეტილებას გადავიდეს, წყეული იყოს!".[2111] ალ. ყაზბეგის კიდევ ერთი ნაწარმოების – „მოძღვარის" მოკვეთილი პერსონაჟი ამბობს: „..... სამანი ჩამისვეს... დამწყევლეს, დამკრულეს მეცა და ისიც, ვინც ხელს მომაწვდის...."[2112] ცნობილია რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთის (გაძევების) ცერემონიალს წინ უძღვოდა დარისხება, დაწყევლა, რომლის ტექსტსაც კულტის მსახური წარმოთქვამდა, ხოლო შეკრებილი ხალხი „ამინით" უდასტურებდა. დაწყევლის ფორმულაში ყოველთვის ჩადებული იყო იმ პირის დაწყევლა, რომელიც მოკვეთის (გაძევების) წესებს დაარღვევდა. ამდენად, მოკვეთის წესების დარღვევა ქართული ხალხური სამართლით ავტომატურად იწვევდა დამნაშავის დარისხებას, რაც მძიმე სასჯელად ითვლებოდა. მოკვეთის წესების დამრღვევის მოკვეთა ხევსურეთშიც ფიქსირდება.[2113] აქ ვინც მოკვეთილს რამეში დაეხმარებოდა და ამით სოფლის პირს გატეხდა.[2114]

ამ დანაშაულის სუბიექტად გვევლინება არა ის პირი (პირები) რომლის მიმართაც საზოგადოების მიერ აღნიშნული სასჯელები იყო გამოყენებული, არამედ იმ საზოგადოების (თემის, სოფლის) წევრი, რომელმაც ეს სასჯელი დააკისრა დამნაშავეს.

2107 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15. 23; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 6.

2108 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 3.

2109 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 44.

2110 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, 27.

2111 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 141-142.

2112 იქვე, 348.

2113 იხ. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 273.

2114 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, 1990, 175.

გურიაში დაფიქსირებული მასალების მიხედვით დანაშაულად ითვლებოდა ასევე კონკრეტულ საქმეზე საზოგადოების, კერძოდ, სოფლის მიერ არჩეული სასამართლო ფუნქციით აღჭურვილი პირების, ე. წ. მედიატორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ. აღნიშნული მედიატორები ძირითადად სამოქალაქო ხასიათის დავებს განიხილავდნენ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. მონაცემების მიხედვით, ვინც მედიატორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა, მას საზოგადოება (სოფელი) ბოიკოტით დასჯიდა.[2115] მედიატორების გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ემორჩილებოდნენ, მაგრამ თუ ვინმე ამას არ გააკეთებდა, მეზობლებთან დავას გააგრძელებდა, პირის გამტეხად ჩაითვლებოდა და შესაბამისად დაისჯებოდა.[2116] მიუხედავად იმისა, რომ აქ საუბარია ძირითადად კერძოსამართლებრივ დავებზე გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე, მისადმი დაუმორჩილებლობა მაინც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სავარაუდოდ, აღნიშნული ქმედება საზოგადოებაში, სოფელში გარკვეული არეულობის გამომწვევად ითვლებოდა, რითაც საჯარო ინტერესის ხელყოფა ხდებოდა. თანაც გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ჩვენ განვიხილავთ არა მხარეების მიერ არჩეული მედიატორ-მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობას, არამედ საზოგადოების მიერ არჩეულ მედიატორთა მიერ გამოტანილის. მათ ფაქტიურად გადაწყვეტილება საზოგადოების სახელით გამოჰქონდათ და თუნდაც ამიტომ მათი შეუსრულებლობა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმებოდა, რის გამოც მას მძიმე საჯარო ხასიათის სასჯელი – ბოიკოტის გამოცხადება მოჰყვებოდა.

საზოგადოების მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის საჯარო სასჯელის დაკისრება საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. მაგალითად, ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „მოძღვარის" ერთ-ერთი პერსონაჟი თემის ყრილობის სასამართლო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, რაც თემის პირის გატეხვად შეფასდა, ხევიდან საერთოდ გაძევებულ იქნა.[2117] ხევსურეთშიც თუ ვინმე საზოგადოების მიერ მოკვეთილს დაეხმარებოდა, ზოგადად, მოკვეთის წესებს დაარღვევდა, ისიც მოიკვეთებოდა.[2118]

ხევსურეთში გარკვეული დანაშაულების ჩადენისას ჯვარის მესვეურთა მიერ გამოტანილი სასამართლო ხასიათის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ასევე დანაშაულად ითვლებოდა და საჯარო ხასიათის სასჯელს იწვევდა. თუ დამნაშავე უარს იტყოდა ჯვარის მესვეურთა მიერ დაკისრებული „ჯურუმის" გადახდაზე, მაშინ ჯვარის მესვეურნი აღარავითარ წესს არ შეასრულებდნენ. ეს ხდებოდა ურჩი პიროვნების სამრისხველოდ, რის ნიშნადაც ჯარიმის გადახდამდე ჯვრის დროშა იქნებოდა გადმოყუდებული. ხალხის რწმენით ეს ნიშნავდა გვარის და ოჯახის ძირფესვიან ამოწყვეტას. ამიტომაც დამნაშავეს საკუთარი

2115 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 5.

2116 გ. დავითაშვილი, იქვე, 7.

2117 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 424.

2118 მ. კედელაძე, ხევსურული მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/10, 2.

გვარი არ მისცემდა ურჩობის უფლებას და თუ ეს მოხდებოდა და გაჯიუტდებოდა ვინმე, მაშინ გვარი თვითონ აგებდა პასუხს: მოიყვანდა ჯვარში „საჯურუმო“ საკლავს ან კურატს. შემდეგ თავის მოგვარე ურჩი პიროვნების მიმართ მიიღებდნენ ზომებს: ჯერ გვარი შეიკრიბებოდა და ურჩევდნენ რომ გადაეხადა „ჯურუმი“, ბოლოს კი მოკვეთამდეც შეიძლება მისულიყო საქმე. ამის თავიდან ასაცილებლად ჯვარის წესებს და „სოფლის პირს“ ყველა ემორჩილებოდა.[2119] ჯვარის მესვეურთა მიერ „ჯურუმის“ დაკისრება და საერთოდ სასამართლო ხასიათის გადაწყვეტილების გამოტანა თვით ჯვარის სახელით ხდებოდა და მისი შეუსრულებლობა ჯვარის წინააღმდეგ მიმართულ, ანუ საჯარო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენდა, რასაც ხალხის რწმენით უცილობლად ჯვარის რისხვა მოჰყვებოდა შესაბამისი უძმიმესი შედეგებით – გვარის, ოჯახის ამოწყვეტა.

4.3. საზოგადოების მიერ საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრების ცერემონიალში მონაწილეობის მიუღებლობა. მასალების მიხედვით, დანაშაულად ითვლებოდა ასევე საზოგადოების მიერ დამნაშავის მოკვეთის თუ გაძევების ცერემონიალში მონაწილეობის მიუღებლობა. ეს ნიშნავდა, რომ პიროვნება, ოჯახი, რომელმაც არ მიიღო მოკვეთის ცერემონიალში მონაწილეობა დამნაშავის მომხრე იყო და ამდენად მასაც შესაბამისი სასჯელით დასჯიდნენ. მაგალითად, მთიულეთში საზოგადოების მიერ დამნაშავისთვის მოკვეთის მისჯაში მონაწილეობის მიღება საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა დაედასტურებინა ჯოხზე ჭდის ამოგდებით. თუ რომელიმე ოჯახი ამ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად თავის წარმომადგენელს არ გამოგზავნიდა და ჭდეს არ დააჭდევდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისიც მოკვეთილის მომხრე იყო და მასაც მოიკვეთდნენ.[2120]

როგორც ჩანს, დამნაშავის მოკვეთის ცერემონიალში მონაწილეობის მიუღებლობა აღიქმებოდა როგორც საზოგადოების საერთო გადაწყვეტილების მიუღებლობა. ამდენად, ეს ქმედება შესაძლოა განსახილველ დანაშაულად, საზოგადოების პირის გატეხვად მივიჩნიოთ.

4.4. საზოგადოების მიერ მტრულად განწყობილ მხარეთათვის შერიგების მოთხოვნის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. საქართველოს მთიანეთში არც თუ იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც თემი ატარებს ღონისძიებებს მტრების შესარიგებლად და თემში, საზოგადოებაში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით იღებს გადაწყვეტილებას გვარებს შორის მტრობის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ორივე მხარე უნდა დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩობის გამომჩენ მხარეს საჯარო ხასიათის სასჯელი ეკისრება თემის მხრიდან. აღნიშნული მიზნით, შესაძლოა თემს დაედგინა როგორც ზოგადი ხასიათის ქცევის წესი და განევრცო ეს დადგენილება ყველა შემთხვევაზე, რომელსაც მომავალში შესაძლოა ჰქონოდა ადგილი, ისე მიეღო ინდივიდუალური ხასიათის გადაწყვეტილება ერთ კონკრეტულ, უკვე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტს ვხვდებით ჯერ კიდევ სვანურ საისტორიო ძეგლებში. აღნიშნული დოკუმენტი XIV-XV საუკუნეებს მიეკუთვნება და სრუ-

2119 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 301.

2120 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 63.

ლიად სვანეთის ხევის საკანონმდებლო დადგენილებას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც დაპირისპირებული, მტრობის მდგომარეობაში მყოფი მხარეები თემის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შერიგებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადაეხადათ ათასი თეთრი საზოგადოების სასარგებლოდ.[2121] თემის მსგავს გადაწყვეტილებას ვხვდებით ხევსურეთშიც, მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. მ. კედელაძის ინფორმატორის ცნობით, სოფელ კარნაულის მცხოვრებმა აბიკა ლიქოკელმა შემთხვევით მოკლა სოფელ ბაჩქვილის მცხოვრები სუმბათა ლიქოკელი. ბაჩქვილველებმა სისხლის აღების მიზნით თვით აბიკა მოკლეს. საქმის დასრულებას ბოლო არ უჩანდა, მოსალოდნელი იყო განმეორებითი მკვლელობა. ამიტომ შეიყარნენ კარატის ჯვრის ყმები კარატის ჯვარში და მთლიანად თემმა სამანი ჩადგა იმ მოწინააღმდეგე მხარის სამრისხველოდ (სანყევრად), რომელიც არ დაასრულებდა შუღლს და არ შეურიგდებოდა მეორე მხარეს. ამავე დროს თემმა ორივე მხარე გააფრთხილა: „თუ კიდევ ასეთი რაიმე მოგიხდათ, იცოდეთ მაგიკეთთ, არ მაგიშვებთ ჯვარჩი და ხალხჩი.“[2122] ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ თემში სიმშვიდის დამყარების მიზნით და შემდგომი სისხლისღვრის აღსაკვეთად, თემმა მისი ორი სოფლის წარმომადგენლებს მტრობის შეწყვეტა მოსთხოვა და ამ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებელი მხარე დაარისხა ჯვარში სამანის ჩასმით. იგივეს განმეორების შემთხვევაში კი დამნაშავე მხარეს მოკვეთით დაემუქრა. თემის მიერ მიღებული მტრობის შეწყვეტის მოთხოვნის შეუსრულებლობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ხელყოფის ობიექტი იყო მშვიდობა თემის შიგნით, რაც არსებით საჯარო ინტერესს წარმოადგენდა. ამიტომ ამ დანაშაულის ჩამდენი ხევსურული რჯულით საჯარო ხასიათის სასჯელით ისჯებოდა.

4.5. საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა. საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ საზოგადოების წევრი შეგნებულად იტყოდა უარს საზოგადოების საერთო ინტერესებისათვის აუცილებელ საქმეში მონაწილეობაზე, რისი ვალდებულებაც მას საზოგადოების წევრთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ჰქონდა.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში მოიპოვება არაერთი კონკრეტული ფაქტი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისა. საზოგადოებრივ საქმეს სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული შინაარსი შეიძლება ჰქონოდა, თუმცა ყოველთვის მასში მონაწილეობის მიუღებლობა საზოგადოების მიერ დანაშაულად აღიქმებოდა და მისთვის პასუხისმგებლობა გარდაუვლად დგებოდა.

საქართველოს არაერთ კუთხეში ჩაწერილ მასალაში გვხვდება საზოგადოების მიერ პიროვნების დასჯა საერთო საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობის მიუღებლობისათვის. როდესაც მთელი სოფელი გადაწყვეტდა გარკვეული საერთო სასოფლო სამუშაოს შესრულებას, ინფორმატორთა თქმით, სოფლის თითოეული წევრი ვალდებული იყო ამ სამუშაოში მონაწილეობა მიეღო. თუ ვინმე შეგნებულად არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგალითად, გზის მშენებლობა-შეკეთებაში, წისქვილის, ხიდის მშენებლობაში, ან სხვა საზოგადოებრივ საქმეში, მის მიმართ სხვადასხვა სახის სასჯელი გამოიყენებოდა.

2121 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნეკეთი მეორე, თბ., 1941, 5.

2122 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/23, 12.

კერძოდ, გვხვდება ქონებრივი საზღაურის დაკისრება ჯარიმის სახით, ასევე დამნაშავისთვის საზოგადოების წევრების მიერ იძულებით პირუტყვის (ხარის, დეკეულის, ცხვრის, ღორის და სხვა), ღვინის თუ სხვა პროდუქტების წართმევა, ნისქვილში დაფქვის უფლების ჩამორთმევა, იძულებითი სამუშაოების დაკისრება (მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, პირი რომელიც საზოგადოებრივ სამუშაოს თავს აარიდებდა, აიძულებდნენ ერთი დღის მაგივრად რამოდენიმე დღე ემუშავა).[2123]

განსაკუთრებით ხშირად მიუთითებენ ინფორმატორები სასოფლო გზის მშენებლობის თუ შეკეთებისას ცალკეული პირების მხრიდან საერთო სამუშაოებისათვის თავის არიდებაზე და ამისთვის სასჯელის დაკისრებაზე. მოვიყვანთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებულ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს. რაჭველი ინფორმატორი იხსენებს, რომ სოფელ ღარში ხალხი აფართოებდა საურმე გზას. სოფლის გადაწყვეტილებით ყველა მამაკაცი მუშახელი უნდა გამოსულიყო ამ საერთო საქმის გასაკეთებლად, ან გზის შემკეთებლებს სანოვაგით გამასპინძლებოდა. სოფლის მცხოვრებთა ეს გადაწყვეტილება არაფრად ჩააგდო ვინმე ჭუჭულა ბაქრაძემ და არცერთი მოვალეობა არ შეასრულა. ამის გამო სამუშაოს დასრულების შემდეგ ხალხი მივიდა მასთან და ძალით ორი ფუთი ღვინო წაართვა.[2124] რაჭის სხვა სოფელში საზოგადოების გადაწყვეტილებით ყველა მამაკაცს დაევალა მონაწილეობა მიეღო სასოფლო გზის შეკეთებაში, რაც ერთდღიან საქმეს წარმოადგენდა. ამ საერთო საქმეს გამოაკლდა დომენტი ჭელიძე, რომელიც გაფრთხილებული იყო აღნიშნულ სამუშაოში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. გზის შეკეთების შემდეგ სოფლის მცხოვრებლებმა დომენტის ჯარიმის გადახდა მოსთხოვეს, რაზედაც მან უარი განუცხადა. ამის შემდეგ სოფლის მცხოვრებლებმა იგი საკუთარ სახლში დაამწყვდიეს და მისი მარნიდან ღვინო გამოიტანეს.[2125] ინფორმატორი ქსნის ხეობიდან (მასალის ჩაწერისას 82 წლის) იხსენებს ასევე კონკრეტულ შემთხვევას: მის ბავშვობაში სასოფლო გზის შეკეთებაში მონაწილეობა არ მიუღია ვინმე ზაქარია ბერიანიძეს. ამის გამო სოფელმა გადაწყვიტა მისი დარბევა ერთი ფუტკრის სკის წართმევით, რისთვისაც გააგზავნეს რამდენიმე პირი, რომლებმაც ეს სკა მოიტანეს. შესვენების დროს ხალხმა თაფლი მიირთვა.[2126] გურიის ერთ-ერთ სოფელში კი სასოფლო გზის გაყვანის სამუშაოში მონაწილეობა არ მიუღია ვინმე ივანე ძნელაძეს, რომელსაც სოფელმა ამის გამო ბოიკოტი გამოუცხადა.[2127] იმერეთის ერთ-ერთ სოფელში კი მომხდარა ასეთი ამბავი: სოფლის გზის გასაყვანად სოფლის მცხოვრებლებს ფული შეუკრიბავთ და ყველა სამუშაოდ გასულა. მხოლოდ ორ პიროვნებას აურიდებია თავი ამ საზოგადობრივი საქმი-

2123 იხ. ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 44; ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 19; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 22; Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Картлинии. «Закавказье», 1911, №257; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/5, 9; ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 18, 68.

2124 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/5, 12.

2125 იქვე, 10-11.

2126 მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 67-68.

2127 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 9.

სადმი. სოფელმა საერთოდ აუკრძალა მათ ამ გზაზე სიარული, რის შემდეგაც ისინი იძულებულნი გახდნენ სამუშაოებში ჩართულიყვნენ.[2128]

ხევსურეთში გვხვდება სოფლების გაერთიანება თემებად გარკვეული საერთო სამეურნეო მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ბაცალიგო, გუდანი, ზენუბანი და სხვა ერთ თემად იყვნენ გაერთიანებულნი. მათ თივის სათრევად საერთო გზა ჰქონდათ – ერთი გზა ვიდრე თავ-თავის სოფელთან მივიდოდნენ. ამ გზას თემის წევრები ერთად აკეთებდნენ. ზოგჯერ თუ შენიშნავდნენ, რომ რომელიმე სოფელი ამ საერთო სამუშაოს თავს აარიდებდა, თემი მას ცალკე გამოუყოფდა თავის წილ გასაკეთებელ გზას. თუ ამ გზის ნაწილს სოფელი მაინც არ გააკეთებდა, მაშინ თემი ამ სოფლის მცხოვრებთ საერთო გზაზე აღარ გაუშვებდა და ამ გზით თივას არ გამოატანინებდა. სოფელს ამ შემთხვევაში თავისთვის სხვა გზა უნდა გაეკეთებინა. გზის გამოყენების უფლების ჩამორთმევის გარდა თემი სასჯელის სახით ურჩ სოფელს საერთო სალოცავში მოიკვეთდა, რის შემდგომ სალოცავის ხუცესი მოკვეთილი სოფლის მოსახლეობას არც ჯვარში მიუშვებდა და არც საკლავს დაუკლავდა, ვიდრე მოკვეთილი სოფელი აღნიშნულ ჯვარში არ მიიყვანდა საკლავს და თემს არ შეეხვეწებოდა შერიგების შესახებ.[2129] ყველაზე დიდ თემურ გაერთიანებას ხევსურეთის საერთო გზა იწვევდა. ამ საერთო გზას მთელი ხევსურეთი აკეთებდა. თითოეულ სოფელს თავისი წილი გზა უნდა გაეკეთებინა, რომელიც ამ სოფლის მახლობლად მდებარეობდა. თუ რომელიმე სოფელი გაჯიუტდებოდა და თავის წილ გზას არ შეაკეთებდა, მას გუდანის ჯვარში მოიკვეთდნენ. გაფუჭებული იყო ღულის ჭალის გზა და ხახმატელებმა თავისი წილი გზის შეკეთება არ მოინდომეს. ამის გამო ხახმატელებს მთელი ხევსურეთი დაემუქრა – მოგიკვეთავთ, საერთო სალოცავში, საღმრთო გუდანის ჯვარში არ შეგიშვებთ, თუ ამ გზას არ შეაკეთებთო. ხახმატელები შეშინებულან და იძულებულნი გამხდარან გზა შეეკეთებინათ.[2130]

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა შესაძლოა გამოხატულიყო არა მარტო საერთო სასოფლო სამუშაოებში მონაწილეობის მიუღებლობაში, არამედ, ზოგადად ისეთ საქმეშიც, რომელიც საზოგადოების საერთო ინტერესის დასაცავად იქნებოდა მიმართული, მაგალითად, საერთო მტერთან ბრძოლაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის. რაჭაში დაფიქსირებულ ერთ-ერთი მონაცემის მიხედვით ოსებს მიზნად დაუსახავთ სოფელ ღარის მცხოვრებლებისათვის წაერთმიათ საძოვარი და სათიბი, დაიკავეს ეს ადგილები და ღარელებს, მათ პირუტყვს იქ აღარ უშვებდნენ. ხალხმა გადაწყვიტა ოსების წინააღმდეგ საბრძოლველად წასულიყვნენ. ოსები შეშინდნენ და გაიქცნენ, ხოლო აღნიშნული მიწა ისევ ღარელებს დარჩა. ამ სოფლის მცხოვრებმა, ვინმე მიხეილ ორდენიძემ მონაწილეობა არ მიიღო აღნიშნულ საერთო საზოგადოებრივ საქმეში. ინფორმატორი ხაზგასმით აღნიშნავს რომ მან ეს განგებ გააკეთა. უკან დაბრუნებულმა ხალხმა მიხეილ ორდენიძის ოჯახიდან გამოიყვანა ხარი და დაკლა, სწორედ იმიტომ, რომ

2128 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 28.

2129 ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ (ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 10951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული), პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 140.

2130 იქვე, 141.

მან შეგნებულად არ მიიღო მონაწილება საერთო საქმეში.[2131]

ამ დანაშაულის სუბიექტი მასალების მიხედვით შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ მოცემული საზოგადოების (სოფლის, თემის) წევრი სრულწლოვანი მამაკაცი, რომელსაც შესწევდა უნარი შეესრულებინა საერთო საზოგადოებრივი საქმე, რომელსაც საზოგადოება გადაწყვეტდა. ასევე, ხევსურეთთან დაკავშირებით მოტანილ მასალაში განსახილველი დანაშაულის სუბიექტად გვევლინება არა მხოლოდ ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი სოფელიც, როდესაც იგი საერთო სათემო საქმეს (საერთო-სათემო გზის შეკეთებას) აარიდებს თავს. სოფლის გაერთიანება თემში სხვა სოფლებთან ერთად გარკვეული მიზნით ხდებოდა და ეს გაერთიანება ამ სოფლებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა. ვალდებულების შეუსრულებლობას კი სათანადო სასჯელი მოჰყვებოდა.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში საკმაოდ გავრცელებულ სასჯელს „დარბევა" წარმოადგენდა,[2132] რაც დამნაშავის დაჯარიმების სპეციფიკურ ფორმას გულისხმობს. დამნაშავისათვის პირუტყვის – ხარის, ძროხის, დეკეულის, ცხვრის, ასევე ღვინის, არყის, თაფლის და სხვა პროდუქტების იძულებით წართმევა სწორედ „დარბევას" გულისხმობდა. ვხვდებით ასევე დამნაშავისათვის ჩვეულებრივი ჯარიმის დაკისრებას. შესაძლოა „დარბევას" მაშინ ჰქონოდა ადგილი როდესაც დამნაშავე დაკისრებულ ჯარიმას ნებაყოფლობით არ გადაიხდიდა,[2133] თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში პირდაპირ „დარბევაც" ფიქსირდება.[2134] ჯარიმის ოდენობა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საზოგადოების წევრების მიერ განისაზღვრებოდა და დამოკიდებული იყო საერთო საზოგადოებრივი საქმის მნიშვნელობაზე, რომელსაც დამნაშავემ თავი აარიდა.[2135]

ზოგიერთი მონაცემით აღნიშნული დანაშაულის ჩამდენისათვის შესაძლოა გარკვეული უფლების ჩამორთმევა მიესაჯათ. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით დასტურდება დამნაშავისათვის (ცალკეული პირისთვის, სოფლისთვის) წისქვილში დაფქვის უფლების ჩამორთმევა (წისქვილის შეკეთება-მშენებლობაში მონაწილეობის მიუღებლობისას) და ასევე იმ გზაზე გავლის უფლების ჩამორთმევა, რომლის გაყვანა-შეკეთებაში მონაწილეობასაც დამნაშავემ თავი აარიდა. როგორც დავინახეთ, ფიქსირდება ასევე დამნაშავისთვის ბოიკოტის გამოცხადება და იძულებით საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოების დაკისრება, ხევსურეთში კი საერთო საქმისათვის თავის ამრიდებელი სოფლის მოკვეთა საერთო სათემო სალოცავიდან, რაც გამოიხატებოდა აღნიშნული სოფლის მოსახლეობის ხატში შეუშვებლობაში და იქ შესაბამისი რიტუალების ჩატარების აღკვეთაში. ეს სოფლის მოსახლეობისათვის საკმაოდ მძიმე სასჯელს წარმოადგენდა და ამიტომაც ხახმატელებისათვის თემის ერთი გაფრთხილება საკმარისი აღმოჩნდა, რომ მასზე დაკისრებული ვალდებულება შეესრულებინათ.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გვხვდება ერთი კონკრეტული შემთხვევა,

---

2131 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/5, 9-10.

2132 „დარბევის", როგორც სასჯელის შესახებ დაწერილებით იხ. – გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 390-395.

2133 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/5, 9, 10.

2134 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, 6/5, 12; მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1985, 67-68.

2135 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, 6/5, 9.

როდესაც სოფელმა პიროვნება საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის სისტემატურად მიუღებლობისათვის სოფლიდან გააძევა. გურიაში, კერძოდ, შუა სურებში ყოფილა ერთი პიროვნება, გვარად შათირიშვილი, რომელიც უსაქმურობდა და საერთო საქმეებში მონაწილეობას არ იღებდა. ამის გამო სახალხო კრებამ მას სოფლიდან გაძევება მიუსაჯა.[2136] აღნიშნული მონაცემი მიუთითებს, რომ განსახილველი დანაშაულის არაერთგზის ჩადენა, შესაძლოა გამხდარიყო მისთვის შედარებით მძიმე სასჯელის დაკისრების საფუძველი. ცხადია, სოფლიდან გაძევება უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობისთვის გათვალისიწინებული სხვა სასჯელები, მაგალითად, „დარბევა“, ან თუნდაც ბოიკოტის გამოცხადება, რომელიც სწორედ გურიაში გვხვდება. ეს მაგალითი მიუთითებს, რომ სოფლის საზოგადოებამ საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა არაერთგზის, ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა და დამნაშავეს ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმძიმესი სასჯელი დააკისრა. ამ ერთი მაგალითის მიხედვით რთულია დაბეჯითებით მსჯელობა იმაზე, აღნიშნული დანაშაულის სისტემატური ჩადენა წარმოადგენდა თუ არა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე ეს სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რადგანაც საჯარო ხასიათის დანაშაულის ჩადენა არაერთგზის, ქართულ ჩვეულებით სამართლში, ძირითადად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.

ჩვენს მიერ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა, როგორც საჯარო ხასიათის დანაშაული, შესაძლოა ჩადენილიყო მხოლოდ უმოქმედებით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დამნაშავე არ ასრულებდა იმ ვალდებულებას, რომელიც საზოგადოების გადაწყვეტილებით დაეკისრა საზოგადოების თითოეულ წევრს, ან მთლიანად სოფელს.

მოცემული დანაშაული შესაძლოა ჩადენილიყო მხოლოდ განზრახ. ზოგიერთ მონაცემში პირდაპირ გამოჩნდა, რომ დამნაშავემ შეგნებულად, განგებ არ მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეში და სწორედ ამიტომ იყო დასჯილი. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობისთვის პასუხისმგებლობა შესაძლოა დაკისრებოდა პიროვნებას, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მას ევალებოდა საერთო საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიღება, ჰქონდა ამის უნარი (არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რაც მას არ მისცემდა იმის საშუალებას რომ მონაწილეობა მიეღო აღნიშნული საქმის განხორციელებაში – არ იყო ავადმყოფი, დაუძლურებული, ზოგადად შრომისუუნარო), მაგრამ მაინც უარს იტყოდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე.

4.6. საზოგადოების დავალების, მოთხოვნის შეუსრულებლობა. საზოგადოების წევრთა საერთო გადაწყვეტილებით შესაძლოა საზოგადოების წევრისთვის, ან წევრებისთვის რაღაც საზოგადო მნიშვნელობის საქმე დაევალებინათ. საზოგადოების დავალება, მოთხოვნა ამ საზოგადოების წევრისთვის ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, ამ დავალების შეუსრულებლობა საზოგა-

2136 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 9.

დების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა და საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებდა. მაგალითად, ს. მაკალათიას ფშაველი ინფორმატორი იხსენებს: „მამაჩემს დაავალეს ქისტებს დაუდეგ გზაში, სოფელში არ შემოვიდნენო. მამაჩემმა უპასუხა: „არა მცალიაო“..... როცა მამაჩემმა არ დაუჯერა მათ, ჩვენთან მოვიდა 5-6 კაცი და უთხრეს მამას – „დარბეული ხარო“ და წაართვეს სამი ჭედილა, რომელიც დაკლეს და ხალხმა შეჭამა.“[2137] სოფლის მიერ მიცემული წინადადების, ანუ გარკვეული დავალების, მოთხოვნის შეუსრულებლობას შესაძლოა მოკვეთაც კი მოჰყოლოდა, მითუმეტეს თუ მას რამდენჯერმე გააფრთხილებდნენ ამ დავალების შესრულების მოთხოვნით.[2138] აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება, ცხადია, შესაძლოა მხოლოდ უმოქმედებით ყოფილიყო ჩადენილი.

4.7. ამანათისთვის დახმარების გაუწევლობა. ამანათისთვის დახმარების გაუწევლობაზე, როგორც დანაშაულებრივ ქმედებაზე საუბარი შესაძლებელია ხევსურული მასალების საფუძველზე. როდესაც საზოგადოება – თემი, სოფელი ამანათს მიიღებდა, ტარდებოდა შესაბამისი ცერემონიალი. მ. კანდელაკი მიუთითებს: „ამანათად მიღების ცერემონიალისას ხუცესი ახვეწებდა სოფელში ამანათის დამხმარეთ. საკლავის მოკვდინების შემდეგ, სოფელი ხუცესთან ერთად დაამწყალობებდა ამანათს და იმის ხელშემწყობ თანასოფლელს, დაარისხებდა მოღალატეს, რომელიც მას მტრისგან არ დაიცავს, ძმობას არ გაუწევს, ამის მერე იმართებოდა დღეობის წესი, სადაც ამანათი უკვე სოფლის წევრის როლში გამოდიოდა.“[2139] ალ. ოჩიაურთანაც კარგად ჩანს, რომ მას ვინც ამანათს არ შეინახავს, არ დაიცავს და დაეხმარება დაარისხებდნენ.[2140] ამ მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ამანათის დახმარება, ხელშეწყობა, დაცვა იმ საზოგადოების ვალდებულებას წარმოადგენდა, რომელიც მას მიიღებდა და შეიფარებდა. ამ ვალდებულებას განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ მთაში მთელი სოფლის თუ თემის სირცხვილად ითვლებოდა ამანათის დაუცველობა და სათანადო დახმარების გაუწევლობა.

ამანათის მიღების ცერემონიალისას საზოგადოება ერთობლივ პირობას დებდა, რომ ამანათს დაიცავდა და ხელს შეუწყობდა, ამდენად, აღნიშნული ვალდებულება საზოგადოების წევრთა უერთიერთთანხმობის შედეგი იყო და მისი შეუსრულებლობა თემის, სოფლის პირის გატეხვას, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა. როგორც დავინახეთ, პირის ამანათად მიღების ცერემონიალის ნაწილი იყო იმ პირების დარისხება, რომლებიც ამანათს სათანადო დახმარებას არ გაუწევდნენ. აქედან გამოდინარე ამანათის დახმარების გაუწევლობა მისი ჩამდენის დარისხებას იწვევდა, შესაბამისი შედეგებით.

4.8. სოფლის საიდუმლოს გარეთ გატანა. ალ. ოჩიაურის ხევსურული მასალების მიხედვით, სოფლის საზოგადოება საკმაოდ მტკივნეულად განიცდიდა სოფლის საიდუმლოს ნებისმიერი სოფლის მცხოვრების მიერ გარეთ გატა-

2137 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 138.

2138 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 366-367.

2139 მ. კანდელაკი, ქართველო მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი), თბ., 2001, 9.

2140 ალ. ოჩიაური, სახატო მიწები ხევსურეთში, არხოტი, 1938, პირადი არქივი, ა. ო. 10/3, 30.

ნას და ამას საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვამდა. ალ. ოჩიაურის მასალებში ვკითხულობთ: „სოფელში მომხდარი ამბავი არც გაქონდა სხვაგან. არისხებდნენ ცუდის ენის კაცს, რომელიც თავის სოფლის მომხდარ არდასაშვებ ამბავს სხვაგან გაიტანდა. ამ დარისხების შიშით სოფელში ბევრი ამბავი ისე იფარებოდა, რომ თემი არ გაიგებდა ..... აქ გადაწყვეტილს ვეღარავინ დაარღვევდა."[2141] ალ. ოჩიაური მიუთითებს, რომ დარისხების შიშით სოფლის წვრილმან საიდუმლოსაც ინახავდნენ და სხვაგან არ გაიტანდნენ. ხევსურეთში თვლიდნენ რომ უფრო ზოგიერთი ამანათის „ცოლ-ქალები იყო ენის გამტან-გამომტანი და სოფლის ამრევი. ზოგიერთ ამანათს სოფლის საიდუმლო გაჰქონდა თემში....."[2142] ამ მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ სოფლის საიდუმლოს გარეთ გატანა, თუნდაც იმ თემის სხვა სოფლებში, რომელსაც მოცემული სოფელი მიეკუთვნებოდა, დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა და საიდუმლოს გამტანის დარისხებას იწვევდა. საიდუმლოს არ გატანის მოთხოვნა სოფლის მცხოვრებთა ურთიერთშეთანხმებას ეფუძნებოდა. ამიტომ, საზოგადოება ამ ქმედებას სოფლის პირის გატეხვად თვლიდა და დამნაშავეს შესაბამისად სჯიდა.

მასალების მიხედვით ზუსტად არ ჩანს თუ კონკრეტულად რა ითვლებოდა ისეთ საიდუმლოდ, რომლის სოფლის გარეთ გატანა დანაშაულად ითვლებოდა. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელში მომხდარი ნებისმიერი მიუღებელი, უზნეო საქციელი სოფლიდან არგასატან ამბად ითვლებოდა, რითაც სოფელი საკუთარ ავტორიტეტს უფრთხილდებოდა, რის გამოც ასეთი ამბავი სოფლის გარეთ არ უნდა გასულიყო და თუ ეს მოხდებოდა ამით სოფლის საჯარო ინტერესის ხელყოფა მოხდებოდა.

4.9. საზოგადოების მიერ გარკვეული კონკრეტული ქმედების განხორციელების აკრძალვის დარღვევა. საზოგადოების წევრები ხშირად თანხმდებოდნენ გარკვეული კონკრეტული ქმედების განხორციელების აკრძალვებზე, რაც სავალდებულო ხასიათს იძენდა. ასეთი აკრძალვა უკავშირდებოდა მოცემული საზოგადოებისათვის სპეციფიკურ საკითხს, რაც სხვა საზოგადოებისათვის სრულიად არააქტუალური შეიძლება ყოფილიყო.

მაგალითად, მ. კეკელიას მიერ ხევში 1984 წელს ჩაწერილ მასალაში ვხვდებით რამდენიმე ასეთ მონაცემს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი მასალის ჩაწერის წინა წელს მომხდარა. ინფორმატორის გადმოცემით, სოფელ სიონში ერთ-ერთი მთის კალთაზე ხდებოდა პირუტყვის მიერ სათიბისა და ფიჭვის ახალგაზრდა ნარგავების განადგურება. ამ საქმეს არაფერმა უშველა. ამის გამო სოფელი შეყრილა იქვე პატარა მინდორზე, გამოუყვანიათ დეკანოზი დ. დ., რომელსაც დაურისხებია: ვინც ამ ადგილებში საქონელი გაუშვას, იმ საქონლის პატრონს არ ასცდეს სიკვდილი და ამოწყვეტაო. ხალხმა „ამინ", „ამინ" დაიძახა რამდენჯერმე. ამის შემდეგ შეწყდა ამ მთის კალთაზე სათიბის და ნარგავების გაფუჭება."[2143] ხევის მეორე სოფელ კარკუჩაში სოფლის კრებაზე მიუღიათ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამ სოფლის მცხოვრებთ აეკრძალათ ღო-

2141 ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №2, თბ., 1990, 174-175.

2142 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, ამანათი და აპარეკი, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 175; მისივე, ქართული ხალხური დღეობათა კალენდარი, თბ., 1988, 75.

2143 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, 1984, №2, 48-49.

რის ყოლა და ღორის ხორცის ჭამა. ამ გადაწყვეტილების განმტკიცება სამნის ჩასმით და შესაბამისი წყევლით მომხდარა.[2144] ცხადია, აღნიშნული შეთანხმების დარღვევა საზოგადოების პირის გატეხვად ჩაითვლებოდა, ხოლო დამრღვევზე საჯარო სასჯელის სახით გავრცელდებოდა ის დარისხება რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული აკრძალვების დადგენისას.

ხევის მოსახლეობას XIX საუკუნის II ნახევარში ასევე მიუღია გადაწყვეტილება, რომ ქალის ურვადი არ ყოფილიყო 50 მანეთზე მეტი. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია სოფელ სნოში მცხოვრებ ღუდუშაურებს, რომლებიც აზნაურის ღირსების მატარებელნი იყვნენ. იმის გამო რომ ღუდუშაურებმა თავი არ გაუყადრეს დანარჩენ ხალხს, თემმა აკრძალა ღუდუშაურის ქალის ცოლად შერთვა და ღუდუშაურისათვის ქალის მითხოვება. ერთმა შეძლებულმა მოხევემ თურმე დაარღვია აღნიშნული აკრძალვა და ღუდუშაურის ქალზე დაინიშნა. ხევის ერთობლივად დადებული პირობის გატეხვისათვის 1867 თუ 1868 წელს ხალხმა იგი მოიკვეთა, რის აღსანიშნავად მოხდა სამნის ჩასმა.[2145]

შატილში კი დადგენილი იყო ასეთი წესი: როდესაც შატილელი მიღმახეველზე ათხოვებდა ქალს ურვადი უნდა აეღო, ხოლო თუ პირიქით შატილელს მოჰყავდა მიღმახეველი ქალი ცოლად, ურვადი არ უნდა გადაეხადა. ერთ შატილელ პიროვნებას მიღმახეველი ქალი მოუყვანია და სოფლისგან საიდუმლოდ ურვადი გადაუხდია, რაც გამჟღავნებულა. ეს შეფასდა სოფლის პირის გატეხვად და ანატორის ჯვარის დარბაზში მიღებული გადაწყვეტილებით დამნაშავეს დაეკისრა ჯარიმის სახით ჯვარში სამი წლის კურატის მიყვანა, ასევე გადახდილი ურვადის უკან გამორთმევა, ან წამოყვანილი ქალის დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელი მას მოიკვეთდა.[2146] როგორც ვხედავთ, დამნაშავეს მიეცა უფლება მდგომარეობის გამოსწორების – ურვადის ან ქალის უკან დაბრუნების, რითაც დანაშაულის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა მოხდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი მოკვეთილი იქნებოდა სოფლის პირის გატეხვისათვის.

სვანეთში სოფლის გადაწყვეტილების დამრღვევს ძირითადად ჰიბარს აკისრებდნენ. მაგალითად, სოფლის ყრილობამ გადაწყვიტა, რომ მშობიარე ქალი მშობიარობის შემდეგ ორი თვის განმავლობაში სოფელში არ უნდა გამოსულიყო. თუ რომელიმე ოჯახი ამ დადგენილებას არ დაემორჩილებოდა, ამისათვის მას გადაახდევინებდნენ ხარს, ან ძროხას. ხერსთავები მიუვარდებოდნენ სახლში, წამოიყვანდნენ მის რომელიმე პირუტყვს და სოფელს გაუნაწილებდნენ.[2147]

საზოგადოების (თემის, სოფლის) პირის გატეხვა შესაძლოა სხვა ქმედებებშიც გამოხატულიყო, რომელთა შესახებაც მონაცემები ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ გვხვდება. აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებს აერთიანებს ის რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით გულისხმობდნენ რაიმე საკითხზე საზოგადოების გადაწყვეტილების, მიცემული საერთო პირობის შეუსრულებლობას,

2144 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, 1984, №3, 20.

2145 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკეთი II, 1959, 175.

2146 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 273.

2147 ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), პირადი არქივი, ვ. ბ. 293/4, 1-2

ანუ პირის გატეხვას, რაც შეიძლება გამოხატულიყო მოქმედებაში, სუბიექტური თვალსაზრისით კი მხოლოდ განზრახვაში. ამ დანაშაულებრივი ქმედებების ხელყოფის ზოგად, საერთო ობიექტს წარმოადგენდა საზოგადოების (სოფლის, თემის) ერთიანობის, საერთო სულისკვეთების ხელყოფა, რაზედაც დაფუძნებული იყო სათემო თუ სასოფლო წესრიგი, მშვიდობა, რაც მნიშვნელოვან სიკეთედ ითვლებოდა. შესაბამისად მისი ხელყოფა საჯარო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენდა.

აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახით კი, როგორც გამოჩნდა გვხვდება ქართულ ჩვეულებით სამართალში საკმაოდ გავრცელებული საჯარო ხასიათის სასჯელები: ძირითადად მოკვეთა-გაძევება, ბოიკოტი, დარისხება, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ქონებრივი საზღაურიც.

5. საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა. „გაბუდაყება“

საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც არ იყო ბატონი, წოდებრივ-უფლებრივი განსხვავება (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ბალსზემო, თავისუფალი სვანეთი), საზოგადოება უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამდა საზოგადოების ამა თუ იმ წევრის მისწრაფებას თანამოთემეებთან შედარებით რაიმე პრივილეგიის, უპირატესობის (როგორც უფლებრივის, ისე ქონებრივის) მოპოვებისკენ. ასეთი ქმედება აღნიშნულ რეგიონებში საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა და საკმაოდ მძიმე სასჯელს ითვალისწინებდა.

ამ დანაშაულს, მისი ჩადენის მიზეზებსა და მოტივებს ეხება ვახ. ითონიშვილი. იგი მთიულეთსა და გუდამაყარზე საუბრისას აღნიშნავს: „თემი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ არ დაეშვა ერთთა სოციალური აღზევება, მეორეთა დამორჩილება-დაყმევების ხარჯზე და დროულად მოეკვეთა ის ურჩი მეთემეები, რომლებიც ბატონის (უპირატესად მეფის) სამსახურში დაწინაურების ან სხვა უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ხალხის ინტერესებს და აშკარა ძალმომრეობასაც არ ერიდებოდნენ. ძალმომრეობაში ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ისეთ ვითარებას ვგულისხმობთ, როდესაც ესა თუ ის მეთემე უნებართვოდ, ხშირად ძალის გამოყენებით დაიჩემებდა სათემო (სასოფლო) მიწებს და ამ გზით ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასეთ თავგასულ და ძალმომრე კაცზე მთიულები იტყოდნენ ხოლმე: „გაბუდაყდა და არც ვის არაფრად არ აგდებსო“.[2148] ტერმინი „გაბუდაყება“ მთიულეთ-გუდამაყარში ფიქსირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განმარტებულია როგორც თემის წევრის ისეთი მოქმედება, რომელიც ქონების დაგროვებისკენ იყო მიმართული და თემიდან გამოცალკევებას ისახავდა მიზნად,[2149] ანუ გაბუდაყებულად ითვლებოდა თემის წევრი, რომელიც თავისი ურჩობით, თვითნებობით საზოგადოებაში და მის ხარჯზე გარკვეული პრეროგატივის მოხვეჭას ცდილობდა. „გაბუდაყებულის“

2148 ვახ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1983, №4, 112-113.

2149 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64.

და „გაბუდაყების“ გაგება ძალზედ სრულყოფილად აქვს გადმოცემული ზ. კიკნაძეს. მისი განმარტებით „გაბუდაყებულია“ ის მეთემე, რომელიც „ცდილობს ქონებრივი უპირატესობა სოციალურ ..... უპირატესობაში გადაზარდოს, ანუ ქონებრივი დოვლათით გამოწვეული პრესტიჟი აქციოს პატივად და საყმოსგან ზედმეტი პატივი მოითხოვოს.“[2150] „გაბუდაყება“ კი გულისხმობს საქციელს, რომელიც გამოიხატება სიმდიდრის ნიშნით საზოგადოებისგან, საყმოსგან გამოცალკევების ტენდენციაში.[2151]

„გაბუდაყების“, როგორც დანაშაულის არსის გასარკვევად ძალზედ დაგვეხმარება კონკრეტული მაგალითები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშია მოყვანილი.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონია მთიულეთის სინამდვილეში: „სოფელ გვიდაქვეში შვიდი დღის ხატის მამული..... წინათ ო.....იანთ ქონდათ საკულუხედ მიცემული. მეკულუხენი 9 თუნგ არაყს, ერთ საკლავს და ერთ ჩარექ სანთელს იხდიდნენ. ყველაფერი ეს ხატში ქაშვეთობას უნდა მიეტანათ (თიბათვის ნახევარში მოდიოდა ეს დღესასწაული), საკულუხე ცხვარი ჭედილა უნდა ყოფილიყო და წონით არა ნაკლებ ორი ფუთისა. ოჯახს, რომელიც ამ კულუხს იხდიდა, 12 კაცი მთიბავი ჰყავდა. ხატის მამულებიდან და მთიდან მათ კარგი შემოსავალი მოსდიოდათ. მიუხედავად ამისა, მეკულუხე ოჯახმა აღარ მოინდომა კულუხის დაწესებული რაოდენობით გადახდა და დააკლო მოტანილი კულუხის რაოდენობას. მაშინ თემმა სთხოვა მათ დაებრუნებინათ თემისათვის ეს მამული – სხვა დაიჭერს ამ მინას და დათქმულ კულუხსაც გადაიხდისო, მაგრამ მეკულუხე ოჯახმა მამულის სხვისათვის გადაცემაზე უარი თქვა. როცა ხალხმა დაინახა, რომ ეს ოჯახი „გაბუდაყდა“, გადაწყვიტა მისი მოკვეთა.“[2152] აღნიშნული ფაქტი დეტალურად აღწერილი აქვს მ. კედელაძის მთიულ ინფორმატორს – გაგა ბუჩუკურს. ამ მონაცემიდან ვიგებთ, რომ მეკულუხე ოჯახი ისე გამრავლდა, რომ მთელი სოფლის ოდენა გახდნენ და აღნიშნული მამულის გამო სოფელს რუსულ სასამართლოშიც კი დაუპირისპირდნენ და მოსამართლის მოქრთამვის წყალობით საქმეც კი მოიგეს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა სოფელმა „გაბუდაყებული“ ოჯახის მოკვეთა. საბოლოოდ ეს ოჯახი სოფელს შეურიგდა ხატში ხარის და ცხვრის დაკვლით. სადაო მამული ამ ოჯახს დარჩა, მხოლოდ კულუხს ხატის შიშით იხდიდნენ.[2153]

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში, რომელიც მთიულეთს ეხება, გვხვდება ძველი გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც ცალკეული ოჯახების, ნათესაური ჯგუფების საზოგადოების სხვა წევრებზე გაბატონება და პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა კიდევ უფრო მძაფრ ფორმებს იღებდა და პერმანენტულ ძალმომრეობაში გამოიხატებოდა, რაც საბოლოოდ ამ ოჯახისა თუ ნათესაური ჯგუფის დარისხებით თუ ამოწყვეტით დასრულდა. მაგალითად, მ. კედელაძის მონაცემით, მთიულეთის ერთ-ერთ სოფელში ძველად თურმე ცხოვრობდნენ ციხისთვიანნი (მამიშვილობა). ისინი ამ ავტორის დახასიათებით სწორედ „ძალმომრე“ ხალხი ყოფილა: ვისი საქონელი, ან სხვა რაიმე მოეწონებოდათ პატრონის

2150 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, 1996, 172.

2151 იქვე.

2152 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62-63.

2153 მ. კედელაძე, სახატო მინები მთიულეთში, II, 1949, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 3/27, 342-347.

უკითხავად სახლში წაიყვანდნენ თუ წაიღებდნენ, ვისი ქალ-რძალიც მოეწონებოდათ ასევე ითავისებდნენ და სხვა.[2154] იგივე ავტორის ცნობით ძველად მთიულეთში, სოფელ ნადიბანში უცხოვრიათ დარბულიძეებს, რომლებსაც ასევე თუ რაიმე მოეწონებოდათ, უკითხავად მიჰქონდათ და მიჰყავდათ. კარგ მიწას რომ ნახავდნენ, იტყოდნენ: „ჩვენ უნდა მოვხნათო" და ხნავდნენ კიდეც. ამით არ უშვებდნენ, რომ ვინმე გამდიდრებულიყო და მათთვის ეჯობნა. ხალხი სასაცილოდ ჰყავდათ აგდებული. ყველა აღელვებული იყო მათი მოქმედებით, თუმცა არავინ გამოჩნდა, რომ დარბულიძეებისათვის რაიმე დაეშავა.[2155] ამ ორივე შემთხვევაში აშკარად ჩანს გარკვეული ნათესაური ჯგუფის მისწრაფება საზოგადოების სხვა წევრებზე გაბატონების. მათ მიერ განხორციელებული პერმანენტული ძალადობა, თვითნებობა სწორედ საზოგადოების სხვა წევრების მიმართ უპირატესი მდგომარეობის მოპოვების მიზნით ხორციელდებოდა. დარბულიძეების მხრიდან საუკეთესო მიწების მოხვნის სხვებისთვის აკრძალვის ახსნა იმით, რომ მათ გარდა ვინმე არ გამდიდრებულიყო, ამის საუკეთესო დადასტურებაა. აღნიშნული პერმანენტული ძალადობა ხელყოფდა არა ცალკეული კერძო პირების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესს, ზოგადად მის სიმშვიდეს და უსაფრთხოებას, მათ შორის საზოგადოების იმ წევრთა ინტერესსაც, რომლებიც ძალმომრეობის უშუალო მსხვერპლნი არც ყოფილან, რადგანაც მათაც მუდმივად ჰქონდათ მათზე ძალმომრეობის განხორციელების შიში.

მოყვანილ ორივე შემთხვევაში ძალმომრეობის შეწყვეტა მოხერხდა მხოლოდ გარკვეული ოჯახების ძალისხმევით. პირველ შემთხვევაში ციხისთვიანთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ ოჯახის მსხვერპლი გახდა, რომელსაც ახლად მოყვანილ რძალთან სქესობრივი კავშირის დამყარება მოსთხოვა. მისი მკვლელობის მეორე დღეს ამ ოჯახის წარმომადგენლებს ხალხი შეუყრიათ და ყველაფერი უთქვამთ. ხალხს განუსჯია ეს საქმე და მკვლელები გაუმართლებლია, ხოლო მოძალადეებისთვის (ციხისთვიანთათვის) სამანი ჩაუსვამთ. ამის შემდეგ ციხისთვიანთ შთამომავლობა ძალზედ შემცირებულა და დაღუპვის გზაზე დამდგარა.[2156] სხვის ახლადმოყვანილ ცოლთან სქესობრივი აქტის მოთხოვნა პატარძლის ქმრისა და მისი ძმებისთვის, ცხადია, ღირსების შემლახავი იყო და ასეთი შეურაცხყოფისათვის მკვლელობა საზოგადოებამ მართლზომიერ ქმედებად მიიჩნია. ციხისთვიანთ კი ძალმომრეობითი საქმიანობის გამო სამანი (საჯარაუდოდ სამრისხველო) ჩაუსვა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ საქმე საბოლოოდ განიხილა საზოგადოების კრებამ და ციხისთვიანნი დასაჯა არა მარტო ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, არამედ, ზოგადად მათ მიერ საზოგადოების მიმართ განხორციელებული პერმანენტული ძალმომრეობისა და გაბუდაყებისათვის. ამ კონკრეტულმა შემთხვევამ, საზოგადოებას საშუალება მისცა აღეკვეთა ციხისთვიანთა ძალმომრეობა.

მეორე შემთხვევაში დარბულიძეების საზოგადოების მიმართ პერმანენტული ძალადობის აღკვეთა მოხერხდა მაშინ, როდესაც გამოჩნდა სხვა ძლიერი გვარი – დარბულიძეებივით დიდი არა, მაგრამ მაინც ძლიერი – ანგურაიძეები.

2154 მ. კედელაძე, სახატო მინები მთიულეთში, 1949, ნაწილი I, პირადი არქივი, მ. კ. 3/3, 75.

2155 მ. კედელაძე, ხატის მინები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I), პირადი არქივი, მ. კ. 1/6, 58-59.

2156 მ. კედელაძე, სახატო მინები მთიულეთში, 1949, ნაწილი I, პირადი არქივი, მ. კ. 3/3, 76-79.

მათ დარბულიძეების ჯავრი ჰქონდათ და მათი ამოწყვეტა გადაწყვიტეს, თუმცა ამ მიზნის განსახორციელებლად თემისგან „პირი აიღეს". მათ გადაწყვიტეს, რომ დარბულიძეების სახლი დაეწვათ მაშინ, როდესაც ისინი ყველანი სახლში იქნებოდნენ. დარბულიძეები ძალიან დიდი ოჯახი ყოფილა, მხოლოდ ცხრა მღვდელი და დიაკონი ჰყოლიათ, ზოგი მწყემსად იყო წასული, ზოგი სხვა საქმეზე, მღვდლებიც სხვადასხვა ადგილას იყვნენ. ანგურაიძეებს დარბულიძეების მოჯამაგირე მოუსყიდიათ, რომ მას გაეგო როდის იქნებოდნენ დარბულიძეები ერთად. მასაც შეუტყვია, რომ ეს ერთ-ერთი დღესასწაულის დროს ხდებოდა, როცა ყველა ერთად იკრიბებოდა და ქეიფობდა. როდესაც დარბულიძეები დათვრნენ, მოსყიდულმა მოჯამაგირემ ნიშანი მისცა და ანგურაიძეებმა დარბულიძეების სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ყველა დაიღუპა გარდა ერთი ორსული რძლისა, რომელიც გაიქცა და მამის სახლს შეაფარა თავი. მას ვაჟი შეეძინა. როდესაც იგი წამოიზარდა გაიგო თუ მის მამა-ბიძებს რა შეემთხვა და დედას ათქმევინა თუ ვინ იყვნენ მკვლელები. ის მისულა ანგურაიძეებთან და მათთან მოჯამაგირედ დამდგარა. შემდეგ ერთ-ერთი ანგურაიძე მშვილდით მოუკლავს, მისი მშვილდ-ისარი წაუღია და წმინდა გიორგის ციხეში შეუფარებია თავი. აქედან დაუწყია მდევრებთან ბრძოლა. იგი შეხვეწნია ნაღორევის წმინდა გიორგის: რამდენ მტერსაც მომაკლევინებ, იმდენ დღიურ მიწას შეგწირავო. შვიდი ანგურაიძე მოუკლავს, მას კი ვერაფერი დააკლეს. იგი გამოვიდა და თან წმინდა გიორგის ხატის თასები გამოიტანა, ერთი თავზე ედო და ამიტომ ვერაფერი მოუხერხეს, ვერ ესროლეს. საბოლოოდ დაზავდნენ, ხოლო დანაპირები შვიდი დღის სახნავი მიწა მან წმინდა გიორგის ხატს მართლაც შესწირა.[2157] ამ შემთხვევაში ძალმომრეობის ჩამდენთა, გაბუდაყებულთა ამოწყვეტა ფაქტიურად საზოგადოების გადაწყვეტილებით მოხდა. ეს იქიდან ვლინდება, რომ სწორედ საზოგადოების თანხმობით ამოწყვიტეს ანგურაიძეებმა დარბულიძეები. ამდენად, აქაც ჩანს, რომ დარბულიძეების პერმანენტული ძალმომრეობა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვალა და ანგურაიძეების მოქმედება მათ ამოსაწყვეტად მართლზომიერ ქმედებად იქნა მიჩნეული სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების მიერ იყო სანქცირებული. რაც შეეხება დარბულიძეების გადარჩენილი წევრის მიერ სამაგიეროს გადახდას, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც მისი პირადი ინიციატივა და მამა-ბიძების მკვლელების მიმართ შურისძიების აქტი, რაც მთიულეთში სისხლის აღების ადათის დამადასტურებელი ფაქტია.

ხალხური რწმენით „გაბუდაყება" ჯვრის დამგმობ მოქმედებასაც წარმოადგენდა. ზ. კიკნაძის განმარტებით, სიმდიდრით „გაბუდაყებული", საყმოსგან დამოუკიდებლად გრძნობს თავს და ჯვარსაც უარყოფს, როგორც ღვთიურ პატრონს.[2158] მას მოჰყავს მთიულური და ფშაური ანდრეზები, რომელთა მიხედვითაც „გაბუდაყებული" ოჯახები სოფლის ხარჯზე იფართოვებენ თავიანთ ტერიტორიას, რითაც განუდგებიან თემსაც და ჯვარსაც. ცდილობენ შეადგინონ საკუთარი, ჯვრისაგან დამოუკიდებელი „საყმო", გაუთანაბრდნენ ჯვარს. ამის გამო ჯვარი ასეთ ოჯახებს საშინელ რისხვას ატეხს და სრულიად გაწყვეტს.

2157 მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I), პირადი არქივი, მ. კ. I/6, 59-69.

2158 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, 1996, 174.

ავტორს მოჰყავს ასევე ფშაური გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც სიმდიდრით გაბუდაყებულების მკვლელობაში მთელი სოფელი ერთობლივად იღებს მონაწილეობას.[2159]

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს რომ მთიულეთ-გუდამაყარში საზოგადოების წევრის პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვის, „გაბუდაყების", როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი იყო დამნაშავის მოტივაცია თავისი ქმედებით საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით გარკვეული პრეროგატივის მოპოვებისა. ამ ფაქტორის გარეშე საზოგადოების წევრის გარკვეული ქმედება აღნიშნულ დანაშაულად არ დაკვალიფიცირდებოდა. მოტანილ მონაცემებში გამოჩნდა, რომ საზოგადოების წევრი პრეროგატივის მოპოვების მიზნით ძალით ეუფლება სათემო, სასოფლო მიწებს, კულუხის ოდენობას თვითნებურად ამცირებს, შემდეგ კი არ ემორჩილება საზოგადოების მოთხოვნას, კერძოდ, საკულუხე მიწის თემისთვის დაბრუნების შესახებ, ასევე გარკვეული ნათესაური ჯგუფი ახორციელებს კონკრეტულ ოჯახებზე პერმანენტულ ძალადობას, რაც ძირითადად, სხვისი ქონების ხელყოფაში (სხვისი მიწის მიტაცება, პირუტყვის თუ ნივთების უკითხავად წაღება), სხვისი ქალ-რძალის მოტაცებაში, საზოგადოების წევრების შეურაცხყოფაში, აბუჩად აგდებაში გამოიხატებოდა. ყველა ეს ქმედება – სათემო მიწის უნებართვო მითვისება, კულუხის ოდენობის თვითნებური შემცირება, თუნდაც მისი საერთოდ გადაუხდელობა, თემის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, სხვისი მიწის, პირუტყვის თუ ნივთების უნებართვოდ მითვისება, სხვისი ქალ-რძლის მოტაცება, საზოგადოების წევრების შეურაცხყოფა – სრულიად შესაძლებელია დამოუკიდებელ დანაშაულადაც განხილულიყო, მაგრამ როდესაც ეს კეთდებოდა სწორედ საზოგადოების წევრებთან შედარებით გარკვეული უპირატესობის მოპოვების მიზნით, მაშინ ასეთი ქმედება ჩაითვლებოდა საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვად, „გაბუდაყებად", რაც მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა. აღნიშნულ ქმედებებს შესაძლოა პერმანენტული, განგრძობადი ხასიათი ჰქონოდა და გარკვეული ხნის მანძილზე პასუხგაუცემელიც კი დარჩენილიყო ძალადობის განმახორციელებელი სუბიექტის მიმართ შიშის გამო. როგორც დავინახეთ პერმანენტული ძალადობა შესაძლოა სხვადასხვა სახის ძალადობრივ, დანაშაულებრივ ქმედებებში გამოხატულიყო. ყველა ეს დანაშაულებრივი ქმედება ერთობლიობაში ქმნიდა განგრძობადი დანაშაულის შემადგენლობას – საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვას.

პრეროგატივა რისკენაც ისწრაფვოდა „გაბუდაყებული" კონკრეტულად გამოიხატებოდა თემის სხვა წევრებთან შედარებით მეტი უფლებების, პატივის ქონაში, საზოგადოებისგან, თემისგან გამოცალკევებაში, რაც უპირველეს ყოვლისა თემის გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობის შესაძლებლობას გულისხმობდა, ასევე თემის სხვა წევრებზე გაბატონებაში, ზოგადად სოციალური უპირატესობის მოპოვებაში. ამისკენ მისწრაფებას ბედავდნენ ის პირები, რომლებიც საზოგადოებაში ქონებრივი მდგომარეობით გამოირჩეოდნენ და ამის გამო შესაძლებლად მიაჩნდათ თემისგან დამოუკიდებლები ყოფილიყვნენ. XVIII საუკუნის მთიულებში კი, როგორც ვახ. ითონიშვილთან გამოჩნდა, ასეთი მისწრაფება ასევე შესაძლოა ჰქონოდათ მეფის მიერ თანამდებობრივად

2159 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, 1996, 175, 177, 181.

დანინაურებულ პირებს. ასეთი პრეროგატივის მოპოვებისკენ მისწრაფება, კონკრეტულ, მათ შორის ზემოთაღნიშნულ მოქმედებებში გამოხატული, ჩვენი დაკვირვებით, უკვე დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენდა. როგორც მონაცემების მიხედვით ჩანს, ხშირად თემი არ აძლევდა საშუალებას საკუთარ წევრს სისრულეში მოეყვანა თავისი ზრახვები გარკვეული პრეროგატივების მოპოვების თვალსაზრისით. როდესაც თემი დაინახავდა, რომ მისი წევრი „გაბუდაყდა", თემს არაფრად აგდებს, მის გადაწყვეტილებებს არ ემორჩილება, ჩვეულებრივ აქვს გადაქცეული ძალადობის განხორციელება, სხვების ჩაგვრა, სხვისი ქონების ხელყოფა და სხვა, თემის მხრიდან უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა და ადრე თუ გვიან ხალხის მხრიდან რისხვას და შესაბამის სასჯელს დაიმსახურებდა. როგორც დავინახეთ, შესაძლოა „გაბუდაყებას", როგორც დანაშაულს, მთიულეთში მოკვეთა გამოეწვია. ზემოთმოყვანილ ერთ-ერთ მაგალითში გამოჩნდა რომ სოფელმა „გაბუდაყებული" ოჯახი მოიკვეთა და შვიდი დღის საკულუხე მამული ჩამოართვა. შემდეგ ეს მამული საკულუხედ ერთ ოჯახს აღარ გადასცა, რომ „გაბუდაყების" საშუალება არავის მისცემოდა. საკულუხე მიწა სოფლის კომლთა რაოდენობაზე გაყვეს, მაგრამ რადგანაც ყველამ არ ინდომა ამ ნაკვეთების დამუშავება, ვინც შედარებით მცირე მიწის პატრონი და გაჭირვებული იყო, იმათ დაურიგეს, ისინი ინაწილებდნენ ამ მამულს და კულუხს იხდიდნენ.[2160] როგორც ჩანს, მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სოფლის საზოგადოებამ ისე გაანაწილა მიწა საკულუხედ, რომ ვინმეს „გაბუდაყება" გამორიცხულიყო, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის „გაბუდაყებული" ოჯახი.

„გაბუდაყებისათვის" ისეთი მძიმე სასჯელის გამოყენება, როგორიცაა მოკვეთა მიზნად ისახავდა „გაბუდაყებული" ოჯახის გამოსწორებას. კერძოდ, მოკვეთილი ოჯახი ისევ რჩებოდა თავის სამოსახლოში, არ იყო გაძევებული და საზოგადოებისგან სრულიად იზოლირებულს და მიტოვებულს ბოლომდე უნდა შეეგრძნო თემის ერთობლიობის ძალა, მის გარეშე ცხოვრების შეუძლებლობა. საზოგადოებაც მხოლოდ მაშინ აპატიებდა „გაბუდაყების" გამო მოკვეთილს, როდესაც დარწმუნდებოდა რომ მან დანაშაული შეიგნო და მოინანია. მინიმუმ სამი წელი „გაბუდაყებული" ოჯახი მოკვეთილი იქნებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი მისი შემორიგება დანაშაულის სათანადოდ მონანიების და თემისთვის პატიების თხოვნის შემდეგ.[2161] „გაბუდაყებულის" მოკვეთას პრევენტული მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგანაც თემის ყველა წევრს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ თემი ყველანაირად ცდილობდა თითოეული მეთემის მორჩილებაში ყოფნას და თემისადმი დაუმორჩილებლობა, პრეროგატივისადმი სწრაფვა მის სრულ იზოლაციას განაპირობებდა. ამდენად, როგორც ვახ. ითონიშვილი აღნიშნავს, ჭკუათმყოფელი მთიელი ისე წარმართავდა თავის საქმიანობას, რომ საზოგადოებას არ დაპირისპირებოდა და მოკვეთის ობიექტი არ გამხდარიყო. ამდენად, „გაბუდაყებას" იშვიათად ჰქონდა ადგილი.[2162]

როგორც გამოჩნდა, მთიულეთსა და ფშავში გაბუდაყებას შესაძლოა სასიკვ-

---

2160 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64.

2161 იქვე, 64-65.

2162 ვახ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე," 1983, №4, 113-114.

დილო განაჩენი, თუ მთელი ნათესაური ჯგუფის ამოწყვეტაც კი მოჰყოლოდა. ეს უკიდირესი ღონისძიება განსაკუთრებულ, პერმანენტულ ძალმომრეობაზე პასუხი უნდა ყოფილიყო. მასალების მიხედვით ჩანს, რომ ოჯახის თუ ნათესაური ჯგუფის მისწრაფება პრეროგატივის მოპოვებისკენ შესაძლოა სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის ქმედებებში გამოხატულიყო, მაგალითად, ან პერმანენტულ ძალადობაში, ან მხოლოდ კულუხის გადაუხდელობაში, შედარებით მსუბუქი ხასიათის ქმედებებში, რაც საზოგადოების მხრიდან გაბუდაყებულის მიმართ განსხვავებული სიმძიმის პასუხისმგებლობის დაკისრებას იწვევდა. მაგალითად, მთიულეთში „გაბუდაყებისათვის" შესაძლოა გამოყენებულიყო დარისხება მოკვეთის გარეშე, რაც შედარებით მსუბუქ შემთხვევაში ხდებოდა.[2163] როგორც ჩანს, აქ იგულისხმება „გაბუდაყების" ისეთი შემთხვევა, როდესაც თემის წევრის „გაბუდაყება" თემისთვის შედარებით ნაკლებად საზიანო მოქმედებებში გამოიხატა და მოკვეთა, მითუმეტეს სიკვდილით დასჯა არ იქნა თემის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული.

საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვის, როგორც დანაშაულის შესახებ გარკვეული მონაცემები ფიქსირდება ხევის ჩვეულებით სამართალშიც. აქ განსაკუთრებით მიუღებელი იყო რომელიმე პიროვნების გააზნაურება და საერთოდ სოციალური უთანასწორობისკენ მისწრაფების რაიმე გამოვლინება. ძველი გადმოცემის მიხედვით, ვინც ხევში გააზნაურდებოდა ხევში არ გააჩერებდნენ. რ. ხარაძის მოხევე ინფორმატორი აღნიშნავს, რომ „უწინ ჩვენს ხევს ისეთი პირობა ქონდა, რო ვინც ჩვენს ხევში აზნაური გახდებოდა, ის ხევს ერთის პირითა უნდა მოეკლა."[2164] რ. ხარაძის მონაცემებით, გადმოცემის თანახმად, ხევში იყვნენ თავისი ვაჟკაცობით სახელგანთქმული, ქართველი მეფეების გამოჩენილი სარდლები: კარკუჩელი გიორგი მარსაგიშვილი და გლახა ყამარაული, ქოსელი ღურბელაი, ქუშეთ ნინიაი და სხვა. როდესაც საქართველოს თათრის ჯარი შემოსევია გიორგისა და გლახას ომში თავი უსახელებიათ. მეფეს მათთვის აზნაურობა უბოძებია, მაგრამ მათ აზნაურობაზე უარი უთქვამთ, – ხევის პირობას ვერ გავტეხთო. ამის შემდეგ საქართველოს კიდევ დასცემია მტერი და ამ შემთხვევაში თავი ღურბელას გამოუჩენია. მასაც უბოძეს აზნაურობა, მაგრამ იმანაც ხევის პირობა შეასრულა და აზნაურობაზე უარი განაცხადა.[2165] ამ პიროვნებებმა ცხადია კარგად იცოდნენ ხევის საზოგადოების დამოკიდებულება აზნაურობის მიღებასთან დაკავშირებით და ამის გათვალისწინებით მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. მათგან განსხვავებულად მოქცეულა შიოლა ღუდუშაური (XVII საუკუნე), რომელსაც ლეკებთან წინააღმდეგ ბრძოლაში გაუთქვია სახელი. მას მიუღია მეფისგან აზნაურობა და სოფელი აჩხოტი და ხევზე გაბატონება გადაუწყვეტია. ამასთან დაკავშირებით შეკრებილა თემობა და შიოლასთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია.[2166] ეს მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თემს უფლებრივი უთანასწორობის დამკვიდრების მცდელობის მიმართ.

2163 იხ. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

2164 რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 2, 1959, 176.

2165 იქვე, 177.

2166 იქვე.

ხევში პრეროგატივის მოპოვებას გარკვეული გვარების წარმომადგენლებიც ცდილობდნენ ხოლმე, რაც მთელი თემის მხრიდან ძალზედ მკაცრ რეაგირებას იწვევდა. მაგალითად, საგვარო პრეროგატივის მოპოვებას ცდილობდნენ სოფელ სნოში მცხოვრები ღუდუშაურები. ისინი სისხლ-მესისხლეობისას ითხოვდნენ ე. წ. „საგორმეტო ხარს" და ქალის გათხოვებისას ორმაგი ურვადის გადახდას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხევის თემის წევრებს საერთო პირობა ჰქონდათ დადებული, რომ ურვადი 50 მანეთზე მეტი ოდენობის არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ღუდუშაურებს არ ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული აღნიშნული პირობის დადებაში, რითაც თემისგან განკერძოებულობას იჩენდნენ და აღნიშნული დადგენილებისაგან განსხვავებული (ორმაგი ოდენობის) ურვადს ითხოვდნენ ქალის გათხოვებისას. თემი ეწინააღმდეგებოდა ღუდუშაურების ამ საგვარო პრეროგატივებს. კერძოდ, ეს იმით გამოიხატა რომ თემის დადგენილებით რაკი ღუდუშაურები თავს არ უყადრებდნენ დანარჩენ ხალხს, ყველას აეკრძალა როგორც ღუდუშაურთა გვარის ქალის ცოლად შერთვა, ასევე ქალის მითხოვება ღუდუშაურთა გვარის წარმომადგენლისათვის.[2167]

საგვარო პრეროგატივისკენ მისწრაფება ფიქსირდება სოფელ სტეფანწმინდაში ყაზბეგების საგვარეულოს წარმომადგენლების მხრიდანაც XIX საუკუნის დასასრულისთვის. გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, ყაზბეგების გვარის წამომადგენლებმა მოისურვეს სტეფანწმინდის მიწების დაუფლება და ეს მიწები თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს, რადგანც თავის თავს აზნაურებად თვლიდნენ. ადგილობრივ გლეხებს ყაზბეგების პრეტენზიები უსაფუძვლოდ ჩაუთვლიათ, რადგანაც მათ ბატონი არასდროს ყოლიათ, ხოლო ყაზბეგებს არც ქართველი მეფეების რაიმე საბუთი ჰქონიათ აზნაურობის დამადასტურებელი, თან რუსეთს მხოლოდ გაბრიელ ყაზბეგისთვის უბოძებია აზნაურობა და არა ამ გვარის ყველა წარმომადგენლისათვის. ყაზბეგებს სასამართლოს გზით მოუსურვებიათ აღნიშნულ მიწებზე უფლების მოპოვება და საოლქო სასამართლოსთვის მიუმართავთ, სადაც გამტყუნებულან, შემდეგ ეს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში გაუსაჩივრებიათ. ყოველივე ამით თავმობეზრებულ ადგილობრივ გლეხებს გადაუწყვეტია მოეკვეთათ ყაზბეგები გარდა გენერალ გიორგი ყაზბეგისა, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა მიწების დასაკუთრებისათვის ყაზბეგების ბრძოლაში.[2168]

რ. თოფჩიშვილი აფიქსირებს ხევის სინამდვილეში საგვარო პრეროგატივის მოპოვების, აღზევების მცდელობისათვის თემის გადაწყვეტილებით გვარის თუ გვარის დანაყოფის მთლიანად ამოწყვეტის შესაძლებლობას. იგი ასეთ ამოწყვეტილ გვარებს შორის ასახელებს სოფელ გერგეტში მცხოვრებ ირჯიაულთა გვარს.[2169]

თემში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა უაღრესად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ბალსზემო სვანეთშიც. თემი ვერ ურიგდებოდა თემზე გაბატონების ნებისმიერ მცდელობას. ცნობილია რომ სხვადასხვა დროს ამ მიზეზით მარტო უშგულში მოკლეს ექვსი თავადი: ყვარყვარე და ფუთა დადეშქელიანები,

2167 იქვე, 174, 176.

2168 გაზ. „ივერია", 1898, №228.

2169 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006, 119.

სურამ გარდაფხაძე, ბეჟან ყიფიანი, ქაეშებ დევდარიანი და ყიფიან ყიფიანი.[2170] აქ კარგად ჩანს თუ როგორ პასუხობდა თემი თემზე გაბატონების გარედან მომდინარე საფრთხეს. მითუმეტეს სასტიკად დაისჯებოდა მსგავსი პრეროგატივის მოპოვების მცდელობა თემის წევრის მხრიდან. რ. თოფჩიშვილის თანახმად, სვანეთში დადასტურებულია თემში აღზევების მცდელობისა და ამის გამო თემთან დაპირისპირების გამო დიდი ოჯახის კოშკში ამოწვის არაერთი ფაქტი.[2171] საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვის გამო ოჯახის ხალხური სამართლით დასჯის ფაქტებს ვხვდებით ა. დავითიანის მასალებშიც. მაგალითად, გადმოცემის მიხედვით, სოფელ ლახამულაში იყო ერთი ოჯახი, რომლის წევრებიც სხვა ოჯახებზე თვითნებობდნენ, ძალადობდნენ, ამცირებდნენ და ავიწროვებდნენ ადგილობრივებს, მათ ვერ აიტანეს დღენიადაგ დამცირება და მოციქულები გაუგზავნეს თანასწორობის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვეთით დაემუქრნენ. უმცროსი ძმები დათანხმებულან, უფროსს კი მასხრად აუგდია ხალხი და ძმებისთვის უთქვამს: ღარიბ-ღატაკებს ერთ ხარს დავუკლავ, გავაძღობ და ვერაფერს გაგვიბედავენო. სხვა ოჯახებს ძალზედ სწყენია ეს და დაუფიციათ: სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამოეყოთ ეს ოჯახი და გაჭირვების დროს ცეცხლი არ მიეწოდებინათ.[2172] ეს მაგალითი თვალნათელი ნიმუშია სოფელში ერთი ოჯახის სხვებზე სოციალური უპირატესობის მოპოვებისკენ, გაბატონებისკენ, საზოგადოებისგან გამოცალკევებისკენ სწრაფვის, რასაც მთიულეთში „გაბუდაყებას" უწოდებენ. სოფელი ამ ოჯახისგან თანასწორობას ითხოვს და მხოლოდ შეურაცხმყოფელი ფორმით უარის მიღების შემდეგ მოიკვეთს მას. სხვა გადმოცემით, იგივე სოფლის ზემოთ ცხოვრობდა ერთი მძლავრი ოჯახი, რომლის წევრებიც ლახამულელებს საქონელს ართმევდნენ, მწყემსებს ატყვევებდნენ და მხოლოდ სახსრით ათავისუფლებდნენ. ბოლოს სოფელმა ჩაგვრა ვერ აიტანა და გადაწყვიტა საერთო ძალებით შებრძოლებოდა ამ ოჯახს. სოფელმა მოიწვია კრება, რომელზეც დაადგინეს ამ ოჯახზე თავდასხმა, ისე რომ მათ ეჭვი არ შეეტანათ. თავისი გადაწყვეტილება სოფელმა ფიცით დაადასტურა. ა. დავითიანი დეტალურად აღწერს ამ ოჯახის ამოწყვეტას, რაც ერთერთ რელიგიურ დღესასწაულზე მომხდარა.[2173] ა. დავითიანი მიუთითებს, რომ ბალსქვემო სვანეთში გვხვდება მთელი რიგი გვარები, რომლებიც გამაგრებული იყვნენ ცალკეულ ტერიტორიებზე და დანარჩენ მოსახლეობაზე ძალადობდნენ. ისინი არავითარ წესებს არ ემორჩილებოდნენ და თვითნებურ სამართალს აჩენდნენ. შესაბამისად, ხშირი იყო თავდასხმები, ამოწყვეტა და სხვა.[2174]

ნიშანდობლივია, რომ სვანეთში ძველად საზოგადოება საკუთარი თემის აზნაურებსაც არ პატიობდა გლეხებთან ურთიერთობაში ზღვარს გადასვლას და დამატებითი პრეროგატივის მოპოვების მცდელობას. ზეპირსიტყიერებაში შემორჩენილია შორეული წარსულის გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც თემის წევრები ვერ ეგუებიან საკუთარი თემის აზნაურების თავგასულობას და გლეხების აბუჩად აგდებას. ამის გამო გლეხებს მთლიანად ამოუხოცავთ მესტიაში

2170 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1974–1975, ხელნაწერი, 106.

2171 რ. თოფჩიშვილი, იქვე.

2172 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, ა. დ. 16/8, 700.

2173 ა. დავითიანი, სვანეთის საისტორიო ამბები, პირადი არქივი, ა. დ. 14, 45–46.

2174 იქვე, 50.

ჯაფარიძეთა საგვარეულო. სადადიანო სვანეთში კი, ჩოლურის თემში გარდაფხაძეების საგვარეულო.[2175]

ეს მონაცემები კარგად გვიჩვენებს, რომ საზოგადოების წევრის მიერ თემში პრეროგატივის მოპოვების, გაბატონების მცდელობა, მთიულეთ-გუდამაყრის მსგავსად ხევსა და ბალსზემო სვანეთში საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. ამ დანაშაულის ჩადენის გამო კი როგორც დავინახეთ, სასიკვდილო განაჩენის გამოტანაც კი იყო შესაძლებელი. ფიქსირდება ასევე ამ დანაშაულისთვის ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ისეთი მძიმე სასჯელის გამოყენება, როგორიც იყო მოკვეთა.

6. უქმის გატეხვა

ცნობილია რომ, ქრისტიანული სარწმუნოება უქმის გატეხვას ცოდვად, ღვთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად განიხილავს. უქმე დღე თვით უფლის მიერაა დაწესებული, როდესაც მან ექვსი დღის განმავლობაში შექმნა სამყარო, ადამიანი, მეშვიდე დღეს, შაბათს დაისვენა და ადამიანს დაუდგინა რომ ექვსი დღე ეშრომა, ხოლო მეშვიდე დღე კი უფლისთვის მიეძღვნა. ქრისტიანთათვის ეს დღე არის კვირა, რადგანაც ძველი აღთქმის შაბათს ახალი აღთქმის კვირა შეესაბამება. ამდენად, მუშაობა კვირა დღეს და საუფლო დღესასწაულების დღეებში უქმის გატეხვად ითვლება.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, უქმის გატეხვა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა. გვხვდება გარკვეული მონაცემები, დაფიქსირებული ძირითადად მთის რეგიონებში, სადაც უქმის გამტეხი საზოგადოების მიერ ისჯებოდა. საქართველოს მთის რეგიონებშიც უქმის გატეხვა ასევე ითვლებოდა ღვთის, მათი სალოცავის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. ხალხის რწმენით უქმის გამტეხს აუცილებლად

2175 იქვე. ვარგების ამონყვეტის ფაქტების საკმაოდ დეტალურ აღწერას ეხედებით ს. გულედანის მასალებში. მაგალითად, დევდარიანების ამონყვეტა მულახის თემის სოფელ ჭოლაშში, ჯაფარიძეების ამონყვეტა მესტიის გლეხობის მიერ, ჩარკეიანების ამონყვეტა ლატალელების მიერ, ბეჩოლების მიერ დადეშქელიანების დახოცვა, დადეშქელიანების ბრძოლები უშგულზე და საერთოდ, ბალსზემო სვანეთზე გასაბატონებლად და სხვა (ს. გულედანი, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები ფეოდალური ხანისა, პირადი არქივი, 1942-1943). თავადების ამონყვეტის ფაქტები ქვემო სვანეთშიც ფიქსირდება, მაგალითად, გარდაფხაძეებისა. არსენ ონიანი აღწერს სხვადასხვა დროს გარდაფხაძეების სამჯერ ამონყვეტის შემთხვევას. ბოლოს ეს 1918 წელს მომდხარა (ა. ონიანი, ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის ბატონები ძველად, პირადი არქივი, 1930, 13, 15 – ა. ონიანის ეს მასალა მოთავსებულია ს. გულედანის მასალებთან ერთად, ერთ საქაღალდეში). დარისპან მარგიანი კი გარდაფხაძეების მესამე ამონყვეტის ფაქტს დეტალურად აღწერს და ამას ჩოლურში რევოლუციურ მოძრაობაში ჩართულ ახალგაზრდობას უკავშირებს. მათ განგებ მოახდინეს სოფლის კანცელარიასთან ხალხის შეკრება და იქ იხმეს ყველა გარდაფხაძე, თითქოს მოსალაპარაკებლად, სადაო მიწებთან დაკავშირებით. ამასობაში 12 შეიარაღებული ახალგაზრდა ჩაუსაფრდა გარდაფხაძეებს გზისპირას, მოსახერხებელ ადგილას. უშედეგო კრების შემდეგ გარდაფხაძეებმა გასწიეს თავისი სოფლისკენ. ამ დროს გავარდა ერთდროულად თოფები და 12 ვაჟკაცი უსულოდ დაეცა გზაზე. გარდაფხაძეები დარჩნენ ოთხი მოზარდი ბიჭი. იმათაც ისე მოუხერხეს რომ ოთხივე გადაასახლეს ციმბირში. იქ ერთი მოკვდა, სამი დაბრუნდა. შემდეგ ავტორი აღწერს გარდაფხაძეების ჩოლურში ერთ-ერთი წინა ამონყვეტას: აღდგომის ცისკარზე ხალხმა ცხრა გარდაფხაძე ეკლესიის გალავანში ერთდროულად გამოასალმა სიცოცხლეს, ამ დროს კი გარდაფხაძეების მოურავმა, რომელიც ასევე მონაწილეობდა შეთქმულებაში, გარდაფხაძეთა „მახეშს“ სამართებლით გამოჭრა ყელი მისთვის წვერის პარსვის დროს. ამ უბედურებას გადაურჩა მხოლოდ ერთი გარდაფხაძე (ჩვილი ბავშვი), რომელიც ზურებიანებთან იზრდებოდა. ძიძის ქმარმა იგი ყაბარდოში გადაიყვანა და ყაბარდოს თავადს შეახვენა. მანაც იგი პატივით გაზარდა და როდესაც იგი დავაჟკაცდა თავის გამზრდელს სთხოვა ლაშქარი, რომლის დახმარებით ჩოლური კვლავ დაიმორჩილა და იქ ბატონყმური წესები აღადგინა (დ. მარგიანი, ქვემო სვანეთი, პირადი არქივი, დ. მ. 2/2, 30-34).

ღმერთი, ჯვარი გაუწყრებოდა, დასჯიდა. უქმის გატეხვისადმი ასეთი დამოკიდებულება უძველესი დროიდან მომდინარეობს. აჭარაში დაფიქსირებულია მონაცემი, რომლის თანახმადაც, აქ უკანასკნელ დრომდე (მონაცემი დაფიქსირებულია 1983 წელს) აღნიშნავდნენ წარმართული პერიოდის აგრარულ დღესასწაულს – „ქაშატობას“.[2176] ეს იმდენად დიდ უქმედ ითვლებოდა, რომ ამ დღეს ყოველგვარი სამუშაო და ხელსაქმეც კი აკრძალული იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ლეგენდა ს. ჯიხათში ჩაწერილი: ერთი ქალი ამ დღეს აკვანთან იჯდა და კერავდა. იგი გააფრთხილეს, რომ ამ დღეს კერვა არ შეიძლებოდა. ქალს სასაცილოდ არ ეყო ასეთი დარიგება და გააგრძელა დაწყებული საქმე. უცებ გასკდა მიწა და ეს ურჩი ქალი თავისი ბავშვით და აკვნით ჩაიტანა მიწაში.[2177] ამ მონაცემის მიხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან უქმის გატეხვა ღვთის გმობად აღიქმებოდა და ღვთიური სასჯელის გარდაუვლობის რწმენას განაპირობებდა. ასეთ რწმენა-შეხედულებებს საქართველოს სხვა კუთხეებშიც ვხვდებით. მაგალითად, სამეგრელოში უქმე დღეების გამტეხავს თუ რაიმე დაემართებოდა იტყოდნენ ღმერთმა დასაჯაო.[2178] ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორის თქმით, მის სოფელში არსებობდა ე. წ. „კოხობის დღე“ (ქარისა და სეტყვის დღე). ამ დღეს მიწაზე მუშაობა არ შეიძლებოდა. თუ იმუშავებდი ქარი და სეტყვა იქნებოდა. ინფორმატორი იხსენებს, რომ ერთ-ერთ ასეთ დღეს, 1988 წელს, მან ამ დღეს მაინც იმუშავა. მართლაც მოვიდა სეტყვა და ქარი. მეზობლები სწორედ მას აბრალებდნენ უქმის გატეხვის გამო მათი ნათესების გაფუჭებას.[2179] ხევსურეთში კი განსაკუთრებული სიფრთხილით უქმის შენახვას ქალები ეკიდებოდნენ. ქალი ყოველთვის ხელსაქმეს მისდევდა და ამ საქმიანობაში გართულს უქმე რომ არ გაეტეხა სულ კითხულობდა, თუ რომელიც უქმი როდის დგება – ეშინოდა, რომ უქმის გატეხვით ზიანი არ მიეყენებინა თავისი ქმარშვილისთვის, პირუტყვისთვის, ჭირნახულისთვის, ქალის ნახელავისთვის, საქონლის ნაწველ-ნადღვებისთვის (კარაქის, ერბოს, ყველისთვის). შესაბამისად ხევსურთა წარმოდგენით არსებობდა სხვადასხვა სახის უქმეები: ზოგიერთის გატეხვა მამაკაცებს აყენებდა ზიანს, ზოგი საქონელს, საქონლის ნაწველ-ნადღვებს. იყო უქმეები, რომელსაც მხოლოდ ქმარშვილიანი ქალი იცავდა, ხოლო უშვილო ქალი, არა. უქმეების დროს ხელსაქმე – მაგალითად, სამეურნეო იარაღის კეთება, მამაკაცებსაც ეკრძალებოდა. განსაზღვრული იყო, თუ რომელი უქმე წლის რომელ დროს რა საქმიანობას კრძალავდა. მაგალითად, ზაფხულში თიბა-მკას კრძალავდა. ის უქმეები, რომლებიც თიბა-მკას კრძალავდა ქალს და მამაკაცს ხელსაქმეს არ უკრძალავდა. თუ ვინმე თიბა-მკის ამკრძალველ უქმეებს სწორედ თიბვით და მკით გატეხდა, მაშინ ხალხის რწმე-

2176 ვ. შამილაძის მიერ დაფიქსირებული ცნობების მიხედვით, ქაშატობა აჭარაში თითოეული სოფლის მიერ შერჩეულ ერთი თვის ერთი დღეს იყო. ამ დღეს სოფელში ხარს არავინ შეაბამდა ჯილღაში და არ მოხნავდა. იტყოდნენ, ვინც ამ დღეს ხარებს შეაბავს და მოხნავს, მაშინ მოვა სეტყვა – ნიაღვარი და მის დათესილ ყანას სულ მოსპობსო (ვ. შამილაძე, ჩანაწერები მესაქონლეობაზე (ხულოსა და შუახევის რაიონებში), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №479, 1963, 166.

2177 მ. ერისთავი, რელიგიური ელემენტების გადმონაშთები ადრესამინათმოქმედო ყოფაში, ხელნაწერი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1983, ფონდი №902 (ჩართული ფურცელი დაუნომრავი).

2178 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 43.

2179 იქვე, 65.

ნით, უქმის გამტეხის ჭირნახული „სულ ქარ-წყალს მიეცემოდა“.[2180]

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში კვირისა და რელიგიური დღესასწაულების გარდა უქმედ კვირის სხვა დღეებსაც აწესებდნენ და უფალს, ჯვარ-ხატს უძღვნიდნენ. თემი, სოფელი უქმე დღეს იმიტრომ აწესებდა, რომ ყანა სეტყვას, გვალვას და ნიაღვარს არ გაეფუჭებინა.[2181] სვანეთში თითოეულ თემს თავისი საკუთარი უქმეები ჰქონდა, რაც სხვაგან არ იყო.[2182] უქმის გატეხვისას ღვთიური სასჯელის გარდაუვლობის რწმენის მიუხედავად, ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოება უქმის გამტეხს ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებულ სასჯელსაც აკისრებდა.

მაგალითად, ალ. ოჩიაურის ხევსურულ მასალებში ვხვდებით კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც პარასკევი და შაბათი გატეხეს გიგია და გიორგი ოჩიაურებმა. ისინი სათიბად წავიდნენ ტანიეში, თუმცა თიბვა დროულად ვერ დაასრულეს და უქმე დღეებიც მიაყოლეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით შეიკრიბა სოფელი და უქმის გამტეხნი მოიკვეთეს. ისინი ერთი ზაფხული ყოფილან მოკვეთილები და შემდეგ შუაკაცების მეოხებით შერიგებულან სოფელთან. მოკვეთილობის დროს გიგია ავად გახდა და ბოდვაში ამბობდა: „პარასკევი მკლავსო.“ ხალხი ამას პარასკევ დღეს უქმის გატეხვას აბრალებდა. ამის გამო ერთი „სამანანულო“ საკლავი დააკლევინეს მკითხავებმა გიგიას.[2183] ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ უქმის გატეხვა ხევსურული რჯულის მიხედვით საზოგადოების მიერ დანაშაულად აღიქმებოდა და საჯარო ხასიათის სასჯელის, კერძოდ, მოკვეთის მისჯას ითვალისწინებდა. ამავე დროს ამ მონაცემით კარგად გამოჩნდა, რომ უქმის გატეხვა ხალხის რწმენით ხატ-ჯვრის განყრომის გამომწვევი იყო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ერთ-ერთი მოკვეთილის ავადმყოფობას იგიც და ხალხიც სწორედ უქმის გატეხვის გამო ღვთის რისხვას უკავშირებს.

უქმის გატეხვისათვის მოკვეთა ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით ფიქსირდება როგორც პირიქითა, ისე ბუდე ხევსურეთშიც.[2184] უქმის გატეხვისათვის მოკვეთა 1988 წელს ხევსურეთში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება.[2185] უქმის გატეხვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მოკვეთასთან ერთად ადგილი ჰქონოდა დამნაშავეთა დარისხებასაც.[2186] ასევე ფიქსირდება მხოლოდ დარისხება

2180 ნ. ბალიაური, მ. ბალიაური, უქმეები ხევსურეთსა (პირიქით და პირაქეთ ხევსურეთში) და ფშავში, 1950, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 14/1, 1-2.

2181 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, გვ. 182; აჭარაში ზემოთნახსენები ქაშატობისას რკინეულს – თოხს, ცულს, სახნისს და სხვა სახნავ მიწაზე არ გაატარებდნენ, დაჭედილ ხარებსაც არ გაიყვანდნენ, რათა ნიაღვარს ყანები არ წაელეკა. გვალვისას აჭარლები სხვა რიტუალს მიმართავდნენ (მ. სიორიძე, 1981 წელს შეგროვილი ფოლკლორული მასალები, ხელნაწერი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1981, ფონდი №831, 8).

2182 ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალები სხვადასხვა კუთხიდან, პირადი არქივი, ვ. ბ. 339, 95 (ჩანერილია ფარის თემში, 1931).

2183 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 180.

2184 იხ. ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, გვ. 176; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 183; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71.

2185 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

2186 ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 374/5, 56.

მოკვეთის გარეშე.[2187]

ალ. ოჩიაურის მასალებით ჩანს, რომ უქმე დღეების განსაზღვრა საზოგადოების მიერ ხდებოდა. კერძოდ, არხოტში ხალარჯობის მეორე-მესამე დღეს ხუცესი მოიწვევდა სოფლის კრებას და სხვა საკითხებთან ერთად ამ კრებაზე წყდებოდა „უქმის დაყენების საქმეც". ზაფხულში ხევსურები ზოგადად არსებული უქმე დღეების გარდა აწესებდნენ სხვა უქმე დღეებსაც. კვირაში გამოდიოდა ოთხი უქმე დღე: პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათი. დანარჩენი დღეები იყო მხოლოდ სამუშაო.[2188] ამდენი უქმეების არსებობას ხევსურები ხსნიდნენ როგორც რელიგიური, ისე ყოფითი ფაქტორებით. ალ. ოჩიაურის თანახმად, ხევსურების თქმით პარასკევი „მთავარანგელოზისთვის გვაქვს ნაპატივარიო", შაბათი, კვირა და ორშაბათი კი უქმეებად გვჭირდებაო, სამგზავროდ და მუშის შესაყრელად. საქმის დღეს ვერც სამგზავროზე წავიდოდნენ და ვერც მუშას შეყრიდნენ, რადგანაც ამ დღეს ყველა თავისი საქმით იქნებოდა დაკავებული. უქმე დღეს კი შეიძლებოდა მუშის შეყრა.[2189]

აღსანიშნავია, რომ ხევსურეთში უქმის გატეხვისთვის ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დადგებოდა ორ შემთხვევაში: 1. თუ პიროვნება „უქმეს განათლავდა" საკლავის დაკვლით; 2. „უქმის ნათვლის" გარეშე, თუ ვინმეს სოფლის საზოგადოება სასოფლო საქმეზე გააგზავნიდა.

პირველ შემთხვევაში უქმის განმნათვლელ საზოგადოების წევრს ჰქონდა უფლება უქმე დღეს მუშაობის, მუშის შეყრის.[2190] „უქმის ნათვლა" პარასკევს, შაბათს და ორშაბათს ხდებოდა თიკნით. ერთ დღეს ერთი ოჯახი დაკლავდა თიკანს და მას ორი უქმე ეკუთვნოდა. ის კიდევ ერთს ჩაიამხანაგებდა და ორი კომლი შეყრიდა თიბის ან მკის მუშას, მერე შემდეგი ორი კომლი რომელიმე უქმე დღეს დაკლავდა თიკანს. თუ თიბვის მუშა იყო, ნათიბი რომ გაშრებოდა და ასახვეტი იქნებოდა, მისი ახვეტაც უქმე დღეს შეიძლებოდა. თუ ვინმე თოხლს დაკლავდა უქმის სანათლავად, მაშინ შეეძლო სამი უქმე დღე ემუშავა, ან სამ ოჯახს ემუშავა ერთ დღეს. თუ ცხვარს დაკლავდა, ოთხი უქმე დღე იმუშავებდა, ან ოთხ კომლს ერთ დღეს. კვირა დღე ციკნით არ ინათლებოდა, ე. ი. ციკნის დაკვლა კვირა დღეს სამუშაო დღედ ვერ აქცევდა. კვირას მუშის შესაყრელად ოჯახს აუცილებლად უნდა დაეკლა თხა, ან ცხვარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცხვრისა თუ თიკნის დამკვლელი კომლის წევრები არავითარი პრივილეგიით არ სარგებლობდნენ და სხვა კომლთა მსგავსად იმუშავებდნენ.[2191] თიკანის ან სხვა საკლავის შეწირვა ღვთაებისადმი, „უქმის ნათვლა", შესაბამისი რიტუალის დაცვით უნდა ჩატარებულიყო. ეს ხორციელდებოდა ღვთაებრივი რისხვით მოელენილი უბედურების თავიდან ასაცილებლად. „უქმის ნათვლა" უქმე დღეებში მუშაობის ნებართვის მისაღებად განპირობებული იყო ზაფხულის თვეებში გადაუდებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით.

2187 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 71.

2188 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 169.

2189 იქვე.

2190 იქვე.

2191 მ. კანდელაკი, ხევსურეთის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი სოციალური ასპექტი, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", 1987, თბ., 1990, 146-147; ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 374/5, 54-55.

მეორე შემთხვევაში სოფელი შეიკრიბებოდა და საერთო საჭიროებიდან გამომდინარე მის მცხოვრებს ეტყოდა: თუ ამა და ამ საქმეზე წახვალ და შეგვისრულებ, ერთი ან რამდენიმე უქმე დღე იმუშავეო. ამ დროს სანათლავი საკლავის დაკვლის ვალდებულება მას არ ჰქონდა. იგი ამ უქმე დღეებში ან თვითონ იმუშავებდა, ან მუშას შეყრიდა. იმუშავებდა იმდენ დღეს, რამდენიც მას სოფელმა მისცა.[2192] საზოგადოება იმიტომ უშვებდა ამ უკანასკნელ გამონაკლისს, რომ სოფლის საქმეზე სხვაგან არაუქმე დღეებში არავინ გაემგზავრებოდა, მითუმეტეს მკა-თიბვის პერიოდში, რადგანაც საქმეს მოსცდებოდა. სასოფლო საქმეზე გაგზავნილ პიროვნებას კი, მისი დაინტერესებისათვის ერთ ან რამდენიმე უქმე დღეს მუშაობის უფლებას აძლევდნენ.

ფშავში თემი და სოფელი ჯეჯილის ამოსვლის შემდეგ აწესებდა „ნაკვეთ დღეს". ასეთ დღედ ფშავში დაწესებული იყო ორშაბათი, პარასკევი და შაბათი. თითოეულ თემს შეეძლო ერთი ამ დღეთაგანი ნაკვეთ დღედ აერჩია. ამისათვის სოფელი იკრიბებოდა კვირიას ან ადგილის დედის ხატთან, სადაც ხევისბერი დაილოცებოდა და ნაკვეთ დღესაც დააწესებდა. ხევისბერი ყველას გააფრთხილებდა, რომ ეს დღე ჭირნახულის აღებამდე წმინდად შეენახათ, რათა ხატს სოფელი არ დაემიზეზებინა და ჭირნახული არ განადგურებულიყო. ამის შემდეგ თუ ვინმე ამ „ნაკვეთ დღეს" გატეხდა და იმუშავებდა, მას ხევისბერი ხატში დააჩრისხებდა.[2193] როგორც ვხედავთ უქმე დღეს საზოგადოება ფშავში ხევსურეთის მსგავსად აწესებდა მხოლოდ წლის გარკვეულ მონაკვეთში, კერძოდ, ჯეჯილის ამოსვლიდან მოსავლის აღებამდე პერიოდში. უქმის გატეხვისათვის დარისხება ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გვხვდება მთიულეთშიც[2194] და ქსნის ხეობაშიც. მაგალითად, ერთ-ერთი ადგილობრივი ინფორმატორი ქსნის ხეობიდან იხსენებს შემთხვევას, როდესაც დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოს ვინმე ვანო ბერონიძემ უქმე დღეს გათიბა. ამ მიზეზით სოფლის თავკაცებმა ვანოს „დარბევა" გადაწყვიტეს, რაც სოფლის მცხოვრები სამი პირის მიერ აღსრულებულ იქნა.[2195] ინფორმატორის ცნობით სამეგრელოში უქმის გამტეხს საზოგადოება გაკიცხავდა.[2196]

ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ უქმის გატეხვა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა.

იგივე ფიქსირდება სვანურ ჩვეულებით სამართალშიც. ბალსზემო სვანეთში დაფიქსირებული ცნობებით ასევე ირკვევა, რომ უქმის გატეხვა, როგორც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საჯარო ხასიათის სასჯელს, კერძოდ, ჰიბარის გადახდას ითვალისწინებდა.

ეგ. გაბლიანის მონაცემებით, ბალსზემო სვანეთში თემის გადაწყვეტილებით, შაბათს და პარასკევს, ზაფხულში კი ორშაბათობით მუშაობისათვის დამ-

---

2192 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 169-170; მ. კანდელაკი, ხევსურეთის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი სოციალური ასპექტი, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", 1987, თბ., 1990, 147-148.

2193 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 182-183.

2194 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

2195 მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 66-67.

2196 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 65.

ნაშავეს „ჰიბარი" უნდა გადაეხადა.[2197] დ. დავითულიანის მიხედვით კი ჯარიმის გადახდას იწვევდა, როგორც უქმე დღეების გატეხვა, ასევე, სამუშაოდ გასვლა ისეთ დღეებში, როდესაც რაიმე რელიგიური რიტუალი ტარდებოდა, ანდა კვირა დღეებში მუშაობა.[2198] ბ. ნიჟარაძე ასევე აღნიშნავს, რომ უქმის გამტეხი ჰიბარს იხდიდა.[2199] რ. ხარაძეც ეხება უქმის გატეხვისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. მას მოჰყავს უშგულის თემში დადებული ერთობლივი ფიცის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, თემს უნდა დაეცვა ერთგულება და არ ჩაედინა ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა დანაშაული, სამართალდარღვევა და მათ შორის არ გაეტეხა უქმე, კერძოდ, არ ემუშავა კვირაში სამ დღეს: პარასკევს, შაბათს და კვირას.[2200] დაფიცებას უქმის გამტეხთა გამოსავლენად ვხვდებით ეცერში ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მონაცემებში. ვ. ბარდაველიძის მონაცემების მიხედვით, ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის მეორე დღეს შეგროვდებოდა ოჯახიდან თითო კაცი, გამოიტანდნენ ეკლესიიდან ხატს, დადიოდნენ კომლ-კომლად და ხალხს აფიცებდნენ უქმის გატეხვასთან დაკავშირებით. უქმის გამტეხთან მიდიოდა მოხუცი ხალხი და ჯარიმას (ჰიბარს) ახდევინებდა. შეგროვილ ჯარიმას რელიგიურ დღესასწაულს ახმარდნენ. თითო პარასკევის გამტეხს გარკვეული რაოდენობის არაყს ახდევინებდნენ, პარასკევ-შაბათის გამტეხს კი გარკვეული რაოდენობის ფქვილს.[2201] ეს მონაცემი ადასტურებს სვანეთში უქმის გატეხვისათვის ჯარიმის გადახდის ვალდებულებას.

რ. ხარაძის განმარტებით, ჰიბარის ოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა ხასიათის დანაშაული იყო ჩადენილი. მძიმე დანაშაულისათვის ოჯახს ერთი მანეთის ღირებულების ნატურალური გადასახადი უნდა გადაეხადა, შედარებით მცირე დანაშაულისას, მაგალითად, უფრო პატარა უქმის გატეხვის შემთხვევაში სათემო გადაწყვეტილების დამრღვევი ოჯახი იხდიდა „მანეთის ნახევარს".[2202] ეს მონაცემი უშგულშია დაფიქსირებული, სავარაუდოდ, ბალსზემო სვანეთის სხვა კუთხეებშიც უქმის გატეხვისათვის ჰიბარის გადახდა დაახლოებით ისეთივე პრინციპების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ამ მონაცემიდან ჩანს, რომ უქმე დღეებს შორის მნიშვნელობის მიხედვით გარკვეული განსხვავება არსებობდა. ამაზე მეტყველებს ე. წ. „პატარა უქმის" გატეხვისათვის შედარებით ნაკლები ოდენობის ჰიბარის გადახდა. აქედან გამომდინარე შედარებით მნიშვნელოვანი უქმეების გატეხვა უფრო მეტ გადასახადს მოითხოვდა.

აღსანიშნავია რომ საზოგადოების მიერ გარკვეულ დღეებში სამუშაოს აკრძალვას ვხვდებით სვანეთის საისტორიო ძეგლებშიც. XIV-XV საუკუნის ერთერთი მინანერის მიხედვით, დადგენილ უქმე დღეებში მუშაობისათვის შეჩვენებაა გათვალისწინებული.[2203] უქმის გატეხვისთვის შეჩვენება უშგულში ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მონაცემებშიც გვხვდება. აქ უფროსი კაცები შეიკრიბებოდნენ

2197 ეგ. გაბლიანი, თაეისუფალის სვანეთი, თბ., 1927, 69.

2198 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, (ხელნაწერი), თბ., 1974-1975, 187.

2199 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88.

2200 რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953, 193-194.

2201 ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალა, 1931, პირადი არქივი, ვ. ბ. 109, 138-140.

2202 რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953, 194.

2203 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 73.

და დაწყევლიდნენ იმათ ვინც მომავალში უქმეს გატეხდა. უქმის გამტეხს ასევე „ჰიბარს" ახდევინებდნენ.[2204]

სვანეთშიც ფიქსირდება უქმე დღეს მუშაობის შესაძლებლობა, როდესაც პიროვნებას ექნებოდა დიდი საჭიროება ამ დღეს მუშაობის, მაგალითად, სახლის აგების ჟამს. მას უნდა მოეწვია ნადი და მისთვის ნებადართული იქნებოდა მუშაობა უქმე დღეს. მას მხოლოდ ჯარიმა უნდა გადაეხადა ნატურით – არაყის სახით სოფლის სასარგებლოდ და ცოდვა ჩადენილი უქმე დღე მუშაობით მას ეპატიებოდა.[2205] ეს მონაცემი მიუთითებს, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში უქმის გატეხვა დანაშაულად ითვლებოდა, თუ პიროვნება უქმეს საზოგადოების ნებართვის გარეშე გატეხდა.

აქ მოყვანილი მონაცემების მიხედვით უქმის გატეხვა ყველა შემთხვევაში საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა და უცილობლად განაპირობებდა საზოგადოების მხრიდან სამართლებრივ რეაგირებას, რაც ამ დანაშაულისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებას გულისხმობდა. მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, ხევსურეთში ეს სასჯელი მოკვეთაა, სვანეთში საჯარო ხასიათის ქონებრივი საზღაურის – ჰიბარის გადახდა, ხოლო ქსნის ხეობაში ასევე დაჯარიმება დარბევის სახით. მთიულეთსა და ფშავში – დარისხება, სამეგრელოში – საჯარო შერცხვენა.

სავარაუდოდ, საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლითაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული უქმე დღეების გატეხვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

ჩვენი მოსაზრებით, სასჯელების სიმძიმიდან გამომდინარე უქმის გატეხვა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მძიმე დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს. უქმის გატეხვისათვის გვხვდება ქონებრივი ხასიათის არცთუ მძიმე სასჯელები, რომლებიც განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონებრივ დანაკარგთან არ იყო დაკავშირებული. ხევსურეთში კი ფიქსირდება უქმის გატეხვისათვის ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სასჯელი – მოკვეთა, თუმცა როგორც ჩვენს მიერ მოტანილ კონკრეტულ მაგალითში გამოჩნდა დამნაშავეები სოფელმა მოკვეთიდან მხოლოდ ერთ წელინადში შემოირიგა. ასევე, უქმის გატეხვა ხევსურეთში მხოლოდ მოკვეთას ითვალისწინებდა და მისთვის გაძევება არ ხდებოდა, რაც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ შედარებით მსუბუქი დანაშაულებისას ხდებოდა. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულისას მოკვეთილის ასე მოკლე ვადაში შემორიგება, როგორც წესი, არ ხდებოდა და დამნაშავეს მოკვეთასთან ერთად საზოგადოებიდან აძევებდნენ კიდეც. საკმაოდ მძიმე, მაგრამ მოკვეთა-გაძევებასთან შედარებით მსუბუქ სასჯელად ითვლებოდა დარისხებაც, როდესაც იგი დამოუკიდებელ სასჯელად გამოიყენებოდა და წინ არ უძღვოდა მოკვეთა-გაძევებას, სწორედ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უქმის გატეხვისას ფშავსა და მთიულეთში დაფიქსირებულ მონაცემში.

უქმის გატეხვა, როგორც დანაშაული, საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გულისხმობდა საზოგადოების მიერ უქმედ დაწესებულ დღეებში საზოგადოების ნებართვის გარეშე მუშაობას – თიბვას,

2204 ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), პირადი არქივი, ვ. ბ. 293/2, 1.

2205 არსენ ონიანი, ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1941, პირადი არქივი, 5,

მკას და სხვა. მასალების მიხედვით, უქმე დღეებს საზოგადოება აწესებდა, ხევსურეთთან დაკავშირებული მონაცემის მიხედვით, კულტის მსახურის ინიციატივით და მონაწილეობით. რელიგიური დღესასწაულების დღე ისედაც უქმი იყო. ნებისმიერ ამ დღეს მუშაობა ერთნაირად განიხილებოდა უქმის გატეხვად და შესაბამისად დანაშაულად.

როგორც აღვნიშნეთ, უქმე დღეებში მუშაობა დანაშაულად ითვლებოდა, თუ ეს მოხდებოდა საზოგადოების ნებართვის გარეშე. ამ დანაშაულის შემადგენლობის ეს ფაქტორი ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით დასტურდება მხოლოდ ხევსურულ და სავნურ ჩვეულებით სამართლში, თუმცა გამორიცხული არაა ამას სხვა კუთხეებშიც ჰქონოდა ადგილი. როდესაც საზოგადოება თვით ადგენს, თუ რომელი დღეები ჩაითვალოს უქმედ, სავსებით შესაძლებელია მანვე ნებართვა მისცეს საზოგადოების რომელიმე წევრს უქმე დღეს მუშაობის, მისთვის პასუხისმგებლობის არ დაკისრების პირობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხევსურეთში ეს ხდებოდა მაშინ, თუ საზოგადოება თვითონ დაავალებდა საკუთარ წევრს საერთო სასოფლო საქმის გაკეთებას. ასევე, უქმე დღეს მუშაობის, მუშის შეყრის ნებართვას საზოგადოების წევრი იძენდა „უქმის ნათელის" შემთხვევაშიც.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უქმის გატეხვა საკვლევ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებითი სამართლით დანაშაულად ითვლებოდა და ყველგან საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებდა.

7. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

ქართული ჩვეულებითი სამართლით ისჯებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც შესაძლოა განხორციელებულიყო სხვადასხვა ფორმით.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა საქართველოს არაერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით საჯარო ხასიათის სამართალდარღვევას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ სვანურ საისტორიო ძეგლებში მოცემულ ერთ-ერთ დოკუმენტში (№122) ვხვდებით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, კერძოდ, თემის წევრთა შორის ჩხუბისათვის სახლის დაწვა იყო გათვალისწინებული.[2206] ასევე ქართლის ჩვეულებით სამართალზე საუბრისას გ. ჟორდანია განიხილავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას როგორც დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო საჯარო სასჯელი – „დარბევა".[2207]

თუ რაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა კარგად ჩანს მ. კეკელიას ერთ-ერთი მესხი ინფორმატორის მონათხრობში: „ჩემს ხსოვნაში დაახლოებით 1917-1919 წლებში სასოფლო მუშტი დაარტყეს პეტრე კაჭკაჭიშვილს, სიმონ აფრიამაშვილს, თომა თათეშვილს. მათ სასოფლო მუშტი თავშეყრის ადგილზე წესრიგის დარღვევისათვის მიიღეს. ..... პეტრე მთვრალი იყო და აყალმაყალი ატეხა, იგინებოდა, ილანძღებოდა, მყუდროებას არღვევდა,

2206 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკეთი მეორე, თბ., 1941, 110.

2207 გ. ჟორდანია, სახალხო სისხლის-სამართლებრივი სასამართლოები ქართლში, „ზაკავკაზიე" (რუსულ ენაზე), 1911, №257.

რისთვისაც მიიღო კიდეც სასოფლო მუშტი."[2208] გურული ინფორმატორის ცნობით, სოფელი ამა თუ იმ პიროვნებას მოსთხოვდა თავი შეეკავებინა ჩხუბისგან, აყალ-მაყალისგან, სხვა ცუდი საქმეებისგან. თუ მოთხოვნას არ შეასრულებდა ვინმე, მას მთელი სოფელი ბოიკოტს გამოუცხადებდა.[2209] გურიაში ჩაწერილი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ბოიკოტის გამოცხადებას საზოგადოებრივი წესრიგის არაერთგზისი დარღვევა იწვევდა. პირველ შემთხვევაში გაფრთხილებით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ როდესაც პიროვნება სისტემატურად ტეხდა საზოგადოებაში აყალმაყალს, ილანძღებოდა, ჩხუბობდა, მას ბოიკოტს უცხადებდნენ.[2210] ანალოგიურ მონაცემებს ვხვდებით სამეგრელოშიც.[2211] ფიქსირდება კონკრეტული ფაქტიც, როდესაც ერთ-ერთ პიროვნებას, რომელიც ხშირად ჩხუბობდა და ამით საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა, სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა.[2212]

საზოგადოებაში ჩხუბის ატეხვა საჯარო ხასიათის სასჯელს იწვევდა იმერეთშიც. მაგალითად, ვინმე ლექტოროს კუტივაძეს სმის დროს თურმე ჩხუბი უყვარდა. ერთხელ მან ჩხუბი და აყალმაყალი ატეხა ხალხში და ბევრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამის გამო შეიკრიბა სოფლის ყრილობა და ხალხმა მას 300 კვადრატული მეტრი გზის მოპირკეთება მიუსაჯა და ერთი კვირა იგი ამ საქმეს აკეთებდა.[2213] მესხი ინფორმატორის ცნობით კი, სოფელში ჩხუბი, გინება საზოგადოების მხრიდან ჯარიმის დაკისრებას იწვევდა.[2214]

სამეგრელოში ფიქსირდება საზოგადოების ყრილობის – „ცხოდის" – მიერ პიროვნების გაძევება საზოგადოების უპატივცემლობისა და აბუჩად აგდებისათვის.[2215] „სოფლის მრეველის" დასჯას ეხვდებით ხევსურეთში.[2216] საინტერესოა რომ აქ განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევებს ქალების მხრიდან. მაგალითად, ალ. ოჩიაური მიხედვით, ანატორის ჯვარში ხუცესი „ქალების ჩხუბზე იტყოდა: „შატილს არ მაუდის დიაცის შუღლიდ ჭყივილ-კივილი ..... ზოგებ დიაცები კაცთ ხალხად აღარ ყრიანა, ჯვართ ჯვარად, რაიც სწადის იმას სჩადიან, ილაძღვებიან, შუღლობენ, იწყევლებიან ..... დაასახელებდა მოჩხუბარ ქალებს. გამოაცხადებდა მათზე დაკისრებულ ჯურუმს და იტყოდა: დღეს და ხვალ ჯურუმის საკლავები მაიყვანეთ, თუ არ იქნება, მაშინ დროშა გარეთ დარჩება დამნაშავეთა სამრისხველოდაო."[2217] ალ. ოჩიაური ამ ჯარიმის ოდენობას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ხარისხს უკავშირებს. მისი განმარტებით, სოფელში მო-

---

2208 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №2, 70.

2209 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რველი, №1, 1989, 2.

2210 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 20.

2211 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 25-26.

2212 იქვე, 50.

2213 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 79.

2214 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 65.

2215 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 37.

2216 ალ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევურეთი, შატილ--ჭილმახევი), თბ., 2005, 251.

2217 იქვე, 272.

ჩხუბარ და ხმამაღლა მოლაპარაკე ქალებს ხუცესი დაარისხებდა და ჯარიმასაც დააკისრებდა: „მაგ ორი ქალი წაიჩხუბება, ერთმა მეტი დანაშაული ჩაიდინა, რომ ხმამაღლადაც ჭყიოდა და მეორე ქალს ხელიც გაარტყა საცემლად, ამ მეტ დამნაშავეს დაადებდნენ „წელ გამავალ“ საკლავს და ერთის წლის ცხვარს, მის მოპირდაპირე ნაკლებ დამნაშავეს დააკისრებდნენ ბატკანს ან თუ უფრო ნაკლები იქნება ორ აბაზ ფულს და სხვა.“[2218] აქ კარგად ჩანს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა სხვადასხვა ხასიათის შესაძლოა ყოფილიყო, ან მეტი, ან ნაკლები სიმძიმის და ჯარიმის ოდენობაც ამის შესაბამისად განისაზღვრებოდა.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უმეტესწილად, ცხადია, მამკაცთა შუღლი იწვევდა, რაც განსაკუთრებით ხშირად ჯვარში დღეობისას ხდებოდა. ჩხუბი ჯვარიონთაგან აკრძალული იყო და ამიტომ ამას „სარბევის“[2219] შიშით ერიდებოდნენ.[2220] ჯვარში იარაღის მიტანა და ჩხუბი სასტიკად იკრძალებოდა. თუ შუღლს მაინც ექნებოდა ადგილი მოჩხუბარზე დაწესებული იყო ჯურუმი, ცხვრიდან კურატამდე.[2221] ჯვარში მოშუღლარებს ხუცესი უცხადებდა ჯურუმს.[2222] ამ დროს ხდებოდა „საჯურუმო დროშის“ გამოტანა, რომელიც მანამ არ „ჩამობრძანდებოდა“, სანამ „ჯურუმის“ გადახდა არ მოხდებოდა.[2223] როგორც აღვნიშნეთ, „ჯურუმის“ გადაუხდელობა დამნაშავის დარისხებას იწვევდა და ამის თავიდან ასაცილებლად მისი ნათესავები დაეხმარებოდნენ ხოლმე მას ამაში.[2224]

თუ ჯვარში სხეულის დაზიანება, ან მკვლელობა მოხდებოდა, რასაც ძირითადად შუღლის შედეგად ჰქონდა ადგილი, დამნაშავეს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა, თუმცა ამასთან ერთად აღნიშნული „ჯურუმის“ გადახდაც ევალებოდა. ჯვარში შუღლი, მის შედეგად ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა „ჯურუმს“ ითვალისწინებდა.

მ. კედელაძის მთიულურ მასალებში დაფიქსირებულია კონკრეტული შემთხვევა, როდესაც სოფელს პიროვნება დაუსჯია სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის. კერძოდ, სხვადასხვა დღესასწაულებისას, ქორწილებისას იგი თავშეყრილ ხალხს ამწარებდა, სულ ჩხუბობდა. ამის გამო სოფლის საზოგადოებამ გადაწყვიტა მისი მოკვეთა, თუმცა მისი ძმა შეხვეწნია სოფელს და სოფელმაც გადაუწყვიტა ერთი თუნგი არაყის მიტანა წელიწადში ერთხელ რელიგიურ დღესასწაულზე.[2225]

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა უმეტესად გამოიხატებოდა საზოგადოებრივ ადგილებში (ძირითადად ჯვარ-ხატში, ქორწილში) შუღლში, ჩხუბში, ხელის გარტყმაში, ასევე ყვირილში, აყალ-მაყალის ატეხ-

---

2218 იქვე, 251.

2219 სარბევი – იგივეა რაც ჯურუმი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, 764.

2220 ალ. ოჩიაური, იქვე, 251; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 171.

2221 ალ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მილმახევი), თბ., 2005, 301.

2222 იქვე, 272.

2223 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი II,, ხევსურეთი, თბ., 1982, 105.

2224 ალ. ოჩიაური ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მილმახევი), თბ., 2005, 256.

2225 მ. კედელაძე, სახატო მინები მთიულეთში, 1949, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 3/26, 339-340.

ვაში, ლანძღვაში და საზოგადოების სხვაგვარად უპატივცემლობაში. აღნიშნული დანაშულისათვის პასუხისმგებლობა პიროვნებას ეკისრებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

8. პასუხისმგებლობა ენის მიტანისა და საზოგადოებისათვის მიუღებელი ზოგიერთი სხვა საქციელისთვის

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების თანახმად საზოგადოება დანაშაულად აღიქვამდა მისი წევრების მხრიდან ენის მიტან-მოტანას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ეს სოფელში ერთმანეთთან დაპირისპირებას, გადაკიდებას გამოიწვევდა და ამისათვის საჯარო ხასიათის სასჯელიც იყო გათვალისწინებული. ეს განპირობებული იყო იმით რომ ენის მიტანა საზოგადოებრივ მშვიდობას ხელყოფდა და სოფელში გარკვეული არეულობის გამომწვევი შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება შეგვიძლია საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულთა რიგს მივაკუთნოთ. მაგალითად, ენის მიტანისათვის (ანუ როგორც ადგილობრივები უწოდებენ – „მუზობისათვის") გაძევება ფიქსირდება აჭარული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.[2226] „ენა-ტანიობისათვის", რასაც შეიძლება ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება მოჰყოლოდა, პასუხისმგებლობის დაკისრებას „სასოფლო მუშტის დარტყმის" სახით ვხვდებით მესხეთში ჩაწერილ მასალაში, ხოლო ფშავში მოენეობის გამომჟღავნებისათვის მოკვეთას.[2227] ხევსურეთში კი ხუცესი სხვებთან ერთად არისხებდა ცუდი ენის კაცს.[2228] ენის მიმტანისთვის შესაძლოა ბოიკოტი გამოეცხადებინათ გურიაშიც.[2229] მასალების მიხედვით ჩანს, რომ ენის მიტანა, ძირითადად დამთავრებულად ითვლებოდა ენის მიტანის მომენტიდან. მისი საზოგადოებისათვის გამჟღავნების შემთხვევაში ენის მიმტანი ზემოთაღნიშნუ-

---

2226 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989-1990, 25.

2227 იხ. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩეეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №2, 13. ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15. ფშავში ფიქსირდება ენის მიმტანის ხელშეწყობით გამოწვეული მკელელობისათვის მისი ოჯახის მოკვეთის ფაქტი. გოგოლაურებს მოუკლავთ ჭიჩოელთა კაცი. ჭიჩოელებს გადაუწყვეტიათ სამაგიეროდ მოეკლათ საუკეთესო პიროვნება – მებაკური. მათ გოგოლაურებში ქალი პყავდა გათხოვილი. ქალმა ჭიჩოელებს შეატყობინა, რომ მებაკური ახალი წლის დილას დილაადრიან ხატის წყალზე ჩავიდოდა ტანის დასაბანად. ჭიჩოელებმა ამ ინფორმაციის გამოყენებით მოკლეს მებაკური. ხალხმა გაარკვია, რომ „დედაკაცის ენა ურევია მკელელობაში". ამის გამო სოფელს ნშინდა გიორგის ეკლესიაში კუნაშვილისთვის (ქმრისთვის) სანაკეთო ქვა დაუდვია. მთელი ოჯახი (ქმარი, ცოლი და სამი შვილი) გადასახლებულა თუშეთში. ეს საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო და მთელი მისი ქონება სოფელს დარჩა. გარკეეული დროის შემდეგ სამივე შვილი გოგოლაურთაში დაბრუნდა. ხევისბერმა უთხრა რომ მათ არ დახოცავდნენ, რადგანაც მათმა მამამ იმდენი ქონება დატოვა, რომ მებაკურის თავ-სისხლი აანაზღაურაო. მხოლოდ კუნაშვილებს დაეკისრათ ყოველწლიურად ერთი საკლავის (ცხვრის) დაკვლა მებაკურის სანათლავად, სამი საკლავი და ერთი კურეტი წმინდა გიორგის დღესასნაულზე ხატისთვის და ხალხისთვის (მ. კედელაძე, ფშაური მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 4/6, 6-13). ეს შემთხეევა გვიჩვენებს, რომ სოფლის საზოგადოებამ სწორედ ენის მიტანისთვის, რასაც უშუალოდ მოჰყვა მკელელობა, დასაჯა ქალი და მისი ოჯახი მკაცრი სასჯელით – მოკეეთა-გაძეებით. სასჯელის საჯარო ხასიათი მიუთითებს, რომ საზოგადოებამ ქალის ასეთი ქმედება საზოგადოებისათვის საწინააღმდეგოდ მიიჩნია. ბუნებრივია საზოგადოება უპასუხოდ ვერ დატოეებდა საკუთარი წეერის მკვლელობაში მისი სხეა წეერის „ენის ჩარეევას." ასეთ ქმედებებს საზოგადოების შიგნით დიდი არეულობა და დაპირისპირება შეიძლება მოჰყოლოდა და მძიმე სასჯელის გამოყენებას პრეეენტული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

2228 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74.

2229 გ. დავითაშვილი მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, №2, 9.

ლი საჯარო სასჯელებით დაისჯებოდა. თუ ენის მიტანა ერთმანეთთან გადაკიდებას, მტრობას გამოიწვევდა, ეს ენის მიმტანის ბრალეულობას საყარაულოდ დაამძიმებდა.

ენის მიმტანის პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემები მხოლოდ ზემოთნახსენებ კუთხეებთან დაკავშირებით გვხვდება და ამდენად, ჩვენი დასკვნები და ვარაუდები მხოლოდ მათზე შეიძლება გავავრცელოთ.

ენის მიტანას შესაძლოა მძიმე დანაშაული, მაგალითად, მკვლელობა და სხვა მოჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ენის მიმტანს გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა, თუმცა პირდაპირი მონაცემები ამის შესახებ ნაკლებად მოგვეპოვება. ამ თვალსაზრისით სრულყოფილი საუბარი შესაძლებელია ხევსურეთთან დაკავშირებით, სადაც ენის მიმტანს არბითი უნდა გადაეხადა.[2230] არბითი არ წარმოადგენდა საჯარო ხასიათის სასჯელს და მისი გადახდა მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ ენის მიტანას მკვლელობა მოჰყვებოდა. ამდენად, ხევსურეთში ენის მიტანა დამოუკიდებელ დანაშაულად ასეთ შემთხვევაში არც განიხილებოდა. როგორც დავინახეთ, ხევსურეთში არისხებდნენ, „ცუდი ენის კაცს", ანუ ისეთ ადამიანს, რომელიც არაერთხელ იქნებოდა შემჩნეული ენის მიტანაში, ცუდის თქმაში, რითაც საზოგადოებრივ მშვიდობას უქმნიდა საფრთხეს.

ენის მიტანაზე, როგორც საჯარო ხასიათის დანაშაულებრივ ქმედებაზე შესაძლოა ვისაუბროთ აჭარის, მესხეთის, ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ამ კუთხეებში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. სამწუხაროდ ეს მონაცემები საკმაოდ მწირია და ზუსტი და ყოვლისმომცველი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ენის მიტანის გარდა საზოგადოება საკუთარ წევრს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სჯიდა საზოგადოებისათვის მიუღებელი სხვა ქცევისთვის. იგი შეიძლება გამოხატულიყო უზნეო, ამორალურ, სამარცხვინო, ტრადიციებისადმი შეუფერებელ საქციელში. ბ. გოგოჭურის მიხედვით, ასეთი ქმედების ჩადენა სახელს და ღირსებას ულახავდა არა მარტო თვით ამ საქციელის ჩამდენს, არამედ მთელ მის ოჯახს, გვარს, სოფელს და თემს, რის გამოც ასეთი უღირსი, ამორალური და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი „საყვედურს" – საძრახის აუგს სდებს, როგორც თავის თავს, ისე მის აღნიშნულ გარემოცვას.[2231] ასეთი ქცევა შესაძლოა მრავალგვარი ყოფილიყო, სხვადასხვა კონკრეტული ქმედებების სახით. საქართველოს მთაში გავრცელებული მოვლენა იყო სამრისხველო სამნის ჩასმა ისეთი ადამიანისათვის, რომელიც მთიელთა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს შელახავდა და უღირსად მოიქცეოდა, სამარცხვინო საქციელს ჩაიდენდა. ასეთი პირების მიმართ შესაძლოა ძაღლის დაკლით მოკვეთაც მომხდარიყო.[2232] სოფელში თავშერცხვენილ კაცს „სასოფლო მუშტს დაარტყამდნენ" მესხეთში.[2233] სამეგრელოში უწესო საქციელის ჩადენისას სოფელი შეიყრებოდა და აფრთხილებდა დამნაშავეს აღარ

2230 ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2011, 152-160.

2231 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 14.

2232 მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 57; ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, 1990, 176.

2233 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №2, 12.

ჩაედინა მსგავსი რამ, ხოლო ჩადენის შემთხვევაში ბოიკოტს უცხადებდა მას.[2234]

ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებზე კონკრეტული მონაცემები მწირია, თუმცა მასალების მიხედვით მათი მოყვანა შესაძლებელია. მაგალითად, გურიაში ჩაწერილი მონაცემის მიხედვით ვინმე კირილე სანიკიძემ ხელი შემოარტყა მოხუც მამას – სოლომონ სანიკიძეს, რაც გაიგო სოფელმა. აღნიშნული პიროვნება სოფლის ცენტრში მიიყვანეს და ბოიკოტი გამოუცხადეს.[2235] სოფელმა ეს ქმედება უღირს საქციელად ჩათვალა და მის ჩამდენს საკმაოდ მძიმე სასჯელი დააკისრა. მთიულეთში პიროვნებას უცემია მამისა და დედისთვის. ამის გამო შეკრებილა სოფელი. სოფლის თავკაცს მოუთხოვია მშობლების მცემელის გაძევება სოფლიდან. მან ეს მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ თუ დღეს მაგან გააკეთა ეს საქმე, ხვალ სხვები გააკეთებენ და ეს უსამართლო ამბავი ყველას კარზე მოგვადგებაო. ხალხი ერთხმად დაეთანხმა. ამან დამნაშავე ძალზედ დააფრთხო, იგი მუხლებზე დამდგარი ხალხს პატიებას თხოვდა და ირწმუნებოდა, რომ ერთხელ შეცდა და მეორედ აღარ გაიმეორებს. ხალხმა მართლაც აპატია და ამის შემდეგ ამ სოფელში ასეთი რამ აღარ მომხდარა.[2236] ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ სრულიად შესაძლებელი იყო მშობლების მიმართ უღირს საქციელს (მათ ცემას) მთიულეთში სოფლიდან გაძევებაც კი გამოეწვია.

განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ალ. ოჩიაურის ხევსურული მასალების მიხედვით, სადაც ვკითხულობთ: თუ „.....ქალი იქნებოდა ვინმე დედამთილ-მამამთილთან და ქმარ-შვილთან ანჩხლი და არაწესიერი, ან ვაჟი იქნებოდა მშობლებთან და ცოლშვილთან უწესო მოჩხუბარი. ამას ხუცესი ყველას პირში ეტყოდა და გააფრთხილებდა – თუ წესზე არ მოიქცევი, ვეტყვი და სოფელი მოგიკვეთსო..... თუ ვინმე ქალი სოფელში მეზობელთან ანჩხლობდა, იმასაც უფროსი კაცები შეარცხვენდნენ და შემდეგისთვის გააფრთხილებდნენ.[2237] როგორც ვხედავთ, უზნეო, უღირს, ტრადიციის საწინააღმდეგო ქმედებებად საზოგადოება განიხილავდა ტრადიციული ოჯახური ურთიერთობების დარღვევას, კერძოდ, ქალის და ვაჟის არასათანადო, უწესო ქცევას – ანჩხლობას, ჩხუბს, უპატივცემლობას – ჩამოთვლილ ოჯახის წევრებთან, ასევე ქალის ანჩხლობას მეზობლებთან მიმართებაში, რაც საზოგადოებაში მიუღებელ საქციელად ითვლებოდა. აღნიშნულ ქმედებებს, კერძოდ, უზნეო, ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევას ოჯახში გაფრთხილება, შერცხვენა მოჰყვებოდა, რაც, როგორც წესი საჯარო ხასიათს ატარებდა ხოლმე. ასეთი საქციელის განმეორების შემდეგ შესაძლოა უფრო მძიმე სასჯელის გამოყენებაც მომხდარიყო.

ხევსურეთში ასევე ჩანს სამარცხვინო საქციელის გამო პიროვნებისათვის ისეთი გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება, როგორიცაა „კალთაის მოჭრა“ და „თასის ჩამაყრა“. მაგალითად, სამარცხვინოდ ითვლებოდა მამაკაცის საქციელი, რომელსაც ცოლი ჩაგრავდა (ასეთ მამაკაცებს ცოლის ცოლებად იხსენიებდნენ ხევსურეთში, რომლებმაც „დიაცები ხელჩი ველარ დაიჭი-

2234 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1988, 42.

2235 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1989, 14.

2236 მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, 1949, ნაწილი II, პირადი არქივი, მ. კ. 3/15, 219-221.

2237 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მილმახევი), თბ., 2005, 328.

რეს"), ასევე მამაკაცის მიერ ოჯახის სათანადოდ ვერ გაძღოლა, ქალთან მიუღებელი ურთიერთობა, რაშიც ბრალდებისაგან იგი თავს ვერ იმართლებდა. ასეთი ქცევები ფასდებოდა ხევსურეთში დამკვიდრებული მამა-პაპური წესების დარღვევად, სილაჩრის გამოჩენად. ასეთი ქმედებებისათვის ხევსურეთში მიმართავდნენ „კალთაის მოჭრას".[2238] ასეთივე სასჯელი, ისე როგორც „თასის ჩამაყრა" გამოიყენებოდა ხევსურეთში მშობლებისა და ცოლ-შვილის მიმართ ცუდად მოქცევისათვის.[2239] ალ. ოჩიაურს შესაბამისი კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს: ახიელში ჩაბაკაურთ გაგა თურმე კარგად ვერ უვლიდა ღრმად მოხუცებულ დედას, საჭმელ-სასმელს დროზე არ აძლევდა, რასაც მისცემდა იმასაც საყვედურით. ამის გამო სოფელმა მას „თასის ჩამაყრა" მიუსაჯა.[2240]

ერთ-ერთი გურული ინფორმატორის თქმით კი სოფელი ბოიკოტს გამოუცხადებდა ზარმაც, სოფლის შემარცხვენელ კაცს.[2241] სოფლის შემარცხვენელი საქციელი შესაძლოა მრავალგვარი უზნეო, ტრადიციების საწინააღმდეგო ქმედება ყოფილიყო, მაგრამ აქ (და საერთოდ განსახილველ დანაშაულთან მიმართებაში) მხედველობაში არაა სქესობრივი ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართული დანაშაულები, რომლებიც ჩვეულებითი სამართლის მიხედვით უფრო მძიმე დანაშაულებად ითვლებოდა და მათ ჩვენ დანაშაულთა ცალკე კატეგორიად განვიხილავთ. ალ. ოჩიაურის მითითებით, მის მასალებში ჩამოთვლილი სამარცხვინო ქმედებები, რომლებზეც იგი საუბრობს, თავისი ხასიათით არ იყო იმ სიმძიმის, რომ მოკვეთა, ან რაიმე მძიმე შედეგი გამოეწვია და ამდენად, შედარებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა.[2242] მაგალითად, ალ. ოჩიაური სამარცხვინო ქცევად მიიჩნევს ქალთან მიუღებელ ურთიერთობას, რაიმე ცუდ საქციელს, თუმცა აქ ის არ გულისხმობს ისეთ ურთიერთობას, რომელსაც შესაძლოა მოკვეთა, მკვლელობა, ან დაჭრა-დასახიჩრება მოჰყოლოდა.[2243] იქვე აღნიშნული ავტორი მიუთითებს, რომ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების განმეორების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია შედარებით მძიმე სასჯელის, კერძოდ კი, მოკვეთის გამოყენება.[2244] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით კი სამეგრელოში სირცხვილად ითვლებოდა ტირილში დათრობაც კი.[2245]

მამა-პაპური ტრადიციების დარღვევა დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. აქ ტრადიციების დარღვევა საზოგადოებაში აშლილობისა და ქაოსის გამომწვევად აღიქმებოდა, რასაც შესაძლოა ხალხის რწმენით ღვთის რისხვა გამოეწვია. ამიტომ ასეთი ქმედება

2238 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, 1990, 178; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევურეთი, შატილ–მიღმახევი), თბ., 2005, 272.

2239 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 367.

2240 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, 1990, 179; ბ. გოგოჭურის ხელნაწერებშიც ფიქსირდება „თასის ჩამყრის" კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც ეს გამანბილებელი სასჯელი გამოიყენეს ერთ-ერთი პიროვნების მიმართ დედასთან ცუდად მოპყრობის გამო (ბ გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეგიონი: „არხილო", 8).

2241 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეგიონი, 1989, №1, 9.

2242 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, 1990, 178.

2243 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 367.

2244 იქვე, 367.

2245 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეგიონი, 1988, 42.

დამნაშავის მხრიდან ჰიბარის გადახდას იწვევდა.[2246] მამა-პაპური წესისა და რიგის დარღვევის მაგალითად ბ. ნიჟარაძეს მოჰყავს მშობიარე ქალის დანესებულ ვადაზე ადრე გარეთ გამოსვლა, რისთვისაც ჰიბარი იყო გათვალისწინებული.[2247] ეგ. გაბლიანის დაზუსტებული მონაცემით, აღნიშნული „დაწესებული ვადა“ იყო ერთი თვე. სწორედ ერთი თვის განმავლობაში იყო აკრძალული მშობიარობის შემდეგ ქალის გარეთ გამოშვება. ასევე ჯარიმით დაისჯებოდა ის ოჯახიც, რომელიც ქალს მენსტრუალური ციკლის („თვიური ავადმყოფობის“) შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ქალს ოჯახში სხვებთან ერთად ამყოფებდა.[2248] ასეთი ქმედებებისთვის სასჯელი, ცხადია, განპირობებული იყო უძველეს პერიოდში ქალისადმი დამოკიდებულებით მშობიარობისას და მენსტრუალური ციკლისას, რაც საქართველოს მთიანეთში XX საუკუნეშიც კი შემორჩა. სვანეთში საბჭოთა პერიოდში, უღირს, სამარცხვინო საქციელად ასევე ჩათვალეს უსახელო, ე. წ. ანონიმური წერილების წერაც. სვანი ინფორმატორის ცნობით ყოველწლიურად ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე არისხებდნენ სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენთ, ხოლო ბოლო პერიოდში (მასალა ჩაწერილია XX საუკუნის 60-იან წლებში – გ. დ.) დაიწყეს აღნიშნული საქციელის ჩამდენის დარისხებაც.[2249] ასეთ საქციელს ადგილობრივი მცხოვრებნი უღირსად, სამარცხვინოდ თელიდნენ და როგორც ჩანს, მის გახშირებას ჩვეულებითი სამართლის მეშვეობით, კერძოდ, დარისხებით დაუპირისპირდნენ.

2246 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 109.

2247 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88.

2248 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 69..

2249 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №5, 1968–1969, 91-92

თავი მეოთხე

საკუთარების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართულ ჩვეულებით სამართალში

შესავალი

სხვისი საკუთრების ხელყოფა უძველესი პერიოდიდან საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ არასაზოგადოებრივი, განკერძოებული (გვარის, ოჯახის, კერძო პირის), მოძრავი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.[2250]

მ. კოსვენის მიხედვით, საზოგადოებრივი განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე ზიანის მიყენების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამეურნეო წონასწორობის პრიმიტიულ სისტემას, რაც გულისხმობდა ზიანის მომყენებლისთვის კონტრ-ზიანის მიყენებას. თუმცა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე ყალიბდება მიყენებული ზიანის რეალური ანაზღაურების იდეა ბრალეული მხარის ხარჯზე, რაც ხდებოდა ნატურალური ფორმით. ეს ხორციელდებოდა შემდეგნაირად: დაზარალებული მხარე თვითნებურად, ძალადობრივად ართმევდა დამნაშავეს იმ სიკეთეს, რაც აუცილებელი იყო მიყენებული ზიანის დასაფარად, თუმცა სწორედ იმ ზომით, რაც შეესაბამებოდა ამ ზიანის მოცულობას, ან იგივე შედეგი შესაძლოა მოჰყოლოდა მხარეებს შორის ნებაყოფლობით შეთანხმებასაც.[2251] მ. კოსვენის მიხედვით, დაზარალებული მხარის მისწრაფება ძალის გამოყენებით მიაღწიოს დაკარგული სიკეთის კომპენსაციას ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. ამ წესს ძირითადად ვხვდებით ნახევრადკულტურულ, განსაკუთრებით კი ისტორიულ ხალხებში, გადმონაშთის სახით, ისიც ქონებრივ დანაშაულებთან მიმართებაში[2252].

აღსანიშნავია, რომ ქონებრივი შურისძიება XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც ფიქსირდება. მაგალითად, XX საუკუნის დასასრულის საქართველოს ზოგიერთი კუთხის

2250 განკერძოებული, არასაზოგადოებრივი უძრავი ქონების ხელყოფისათვის პასუხიმგებლობის შესახებ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მასალები მცირე ოდენობით მოგვეპოვება.. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში სხვისი კერძო მამულის ხელყოფა ძირითადად საპასუხო რეაქციას, შურისგებას იწვევდა და მკვლელობის თუ სხეულის დაზიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. სხვისი განკერძოებული უძრავი ქონების ხელყოფისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებას ვხვდებით მთიულეთში, კერძოდ, ცხაოტის ხევში ჩაწერილ მასალაში: ერთი გვარის წარმომადგენლებს მოუხნავთ მეორე გვარის მინდორი. ხვნის დროს დაზარალებული მხარის ერთ წევრს მათთვის ხარ-გუთანი გადმოუყრია. გიორგობის დღეობაზე შეკრებილა თემის ყრილობა და დაზარალებულ გვარს მოუთხოვია დამნაშავე გვარის მოკვეთა. თემს უარყვია ეს წინადადება – დამნაშავე ერთი კომლია და მთელ სოფელს, გვარს მათ გამო ვერ მოვიკვეთთო. თემს გადაუწყვეტია დამნაშავე კომლის დაჯარიმება საკლავით და ეერცხლის პატარა თასით (ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, პირადი არქივი, ვ. ბ. 383, 44; მასალა ჩაწერილია 1947 წელს, სოფელ ნადიბანში, მთიულეთი, ცხაოტი). ეს მონაცემი მიუთითებს მთიულეთში, ცხაოტის თემში განკერძოებული უძრავი ქონების (მინის) ხელყოფისათვის თემის ყრილობის მიერ დამნაშავისთვის საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრების შესაძლებლობას.. ცხაოტის თემის რამოდენიმე სოფლის გაერთიანებას წარმოადგენდა და როგორც ჩანს, საზოგადოება სხვისი ქონების ხელოფას საჯარო ინტერესის სანინააღმდეგო ქმედებად აღიქვამდა, საყარაუდოდ, იმის გამო რომ ასეთი ქმედება გამომწვევი იყო სხვადასხვა გვარ-სოფლებს შორის დაპირისპირების და თემში არეულობის შექმნის.

2251 М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 68, 69.

2252 იქვე, 69.

ინფორმატორებს გაუგიათ ქონებრივი შურისძიების შესახებ ქურდობის საპასუხოდ.[2253] შედარებით სრულყოფილი მონაცემები ქონებრივი შურისძიების შესახებ მთის რეგიონებში გვხვდება. მ. კოვალევსკი საუბრობს ამ ინსტიტუტის არსებობის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.[2254] საინტერესოა, რომ გადმონაშთის სახით ეს ინსტიტუტი XX საუკუნის მასალებშიც კი ფიქსირდება, მათ შორის კონკრეტული ფაქტების სახით.[2255] ქონებრივი შურისძიების საკითხს ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ შურისძიების ინსტიტუტის სრულფასოვანი შესწავლისას და აქ მხოლოდ ამ ინსტიტუტის არსებობის დაფიქსირებით დავკმაყოფილდებით.

ძველ პერიოდში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ძირითადად ქურდობის ცნება მოიცავდა. მ. კოვალევსკი აღნიშნავს რომ საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ქურდობის შემთხვევაში ხდებოდა მხოლოდ ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანის ეკვივალენტური სიკეთის ანაზღაურება – ან ნაქურდალის დაბრუნება, ან მისი ღირებულების (რაზედაც საუბრობს მ. კოსვენი), ქურდობა განიხილებოდა არა დანაშაულად, არამედ სამოქალაქო სამართალდარღვევად.[2256] ეს გასაგებია, რადგანაც ამ დროს ქურდი არაფერს კარგავდა, აბრუნებდა მხოლოდ იმას, რაც მოიპარა, ანუ მხოლოდ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებდა. ქურდობის დანაშაულად განხილვა მას შემდეგ იწყება, როდესაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდა დამნაშავე იწყებს დამატებითი ჯარიმის გადახდას, ან მას რაიმე სხვა სახის სასჯელი ეკისრება. თავდაპირველად ქურდობის აღქმა დანაშაულად ხდება თავისიანებში (საკუთარ გვარში, სოფელში, თემში) ქურდობისას. მ. კოვალევსკი ოსური ჩვეულებითი სამართლის შესწავლისას ასკვნის, რომ იგი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ქურდობის დანაშაულად ჩამოყალიბების პროცესს. ქურდობა, რომელიც თავიდან არ ითვლებოდა დანაშაულად, თანდათან ჩამოყალიბდა ასეთად. უპირველეს ყოვლისა, დანაშაულად ჩაითვალა მიტაცება განხორციელებული ნათესავთან, რაც გამოიხატა გადასახადის გაზრდაში და ასევე საჯარო ჯარიმის დაკისრებაში.[2257] სხვაგან ქურდობა კი მხოლოდ ნაქურდალის ჩამორთმევას იწვევდა და ამდენად დანაშაულად არც ითვლებოდა. მაგალითად, მ. კოვალევსკი მიუთითებს, რომ 1836 წლის ოსური ადათთა კრებულის მიხედვით, ხდებოდა მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურება და ისე როგორც რესპუბლიკის პერიოდის რომის სამართალში, ქურდობა სამოქალაქო სამართლის სფეროში მოიაზრებოდა, ოსეთშიც მისი განხილვა შესაძლოა მომხდარიყო ვალდებულებითი სამართლის ნაწილში.[2258] მ. კოვალევსკი იქვე მიუთითებს, რომ უკვე სალიკურ სამართალში და ძველ რუსულ სამართალში აღარ გვხდება განსხვავება ქურ-

---

2253 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 43; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №2, 36.

2254 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М. 1888, 69-70.

2255 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 20-22; ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 6/6, 60-61; ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988, 195; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/5, 7-8.

2256 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон. Т. 2. М., 1886, 159.

2257 იქვე, 162.

2258 იქვე, 156-157.

დობისა ნათესავთან და უცხოსთან.[2259] როდესაც ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, იგი ძირითადად ერთგვაროვნად განიხილავს ქურდობის საკითხს მისი გავლენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სხვადასხვა გვარებს, სოფლებს, თემებს. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის აბსოლუტურად სულერთია პიროვნებამ ქურდობა ჩაიდინა თავისიანებში – საკუთარ გვარში, სოფელში, თემში, თუ სხვაგან. ნებისმიერ შემთხვევაში იგი მას ერთგვაროვნად სჯის. როგორც ჩანს, სახელმწიფო ორგანოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების თანდათანობით ხელში აღების კვალობაზე თავისიანებსა და სხვაგან ქურდობისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი ხდება. სალიკური სამართლისა თუ რუსკაია პრავდას დამოკიდებულება ქურდობისადმი სწორედ ასეთი ვითარების გამოხატულება უნდა იყოს. ჩრდილოკავკასიელ მთიელებში კი თავისიანებში და სხვაგან ქურდობისათვის ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობა XIX საუკუნის ავტორთა (მაგალითად, მ. კოვალევსკი, თ. ლეონტოვიჩი) მონაცემების მიხედვით განსხვავებული ჩანს. თავისიანებში, ქურდობის ჩადენას საზოგადოება შედარებით მძიმე დანაშაულად აღიქვამდა, რადგანაც ეს საფრთხეს უქმნიდა გვარის, სოფლის, თემის შინაგან მშვიდობას და ასევე, მორალური თვალსაზრისით უფრო მიუღებლად ითვლებოდა, ვიდრე სხვაგან ქურდობა, რაც პასუხისმგებლობის ზომაზეც აისახებოდა. ეს დამახასიათებელი იყო საზოგადოებებისათვის სადაც გვაროვნულ-თემური ელემენტები მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი და ადგილი ჰქონდა ჩვეულებითი სამართლის მოქმედებას.

სხვაგან ქურდობისას მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურებას რომ ჰქონდა ადგილი, ხოლო თავისიანებში ქურდობა შედარებით მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა, აღნიშნულის გარდა, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას ჩვეულებითი სამართლის გარკვეული თავისებურებებითაც. ჩვეულებითი სამართალი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ლოკალური გავრცელებისაა. თუ ქურდობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდება ერთგვაროვნად, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრება მისი გავრცელების ფარგლებში შეიძლება მოხდეს, კერძოდ, კონკრეტული სოფლის, თემის, თემთაშორისი გაერთიანების ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ქურდობა, მისი სახალხო თვითმმართველობის ორგანოების თუ თანამდებობის პირების, სოფლის თავკაცების სახით, საკუთარ წევრზე უფრო მიუწვდებოდა ხელი სამართლებრივი ხასიათის რეაგირებისათვის, ვიდრე უცხოზე. თავისი წევრის მიერ საკუთარ საზოგადოებაში ქურდობის ჩადენისათვის საზოგადოებას შეეძლო დაედგინა ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, მათ შორის საზოგადოების სასარგებლოდ, ასევე, დამატებით გარკვეული საჯარო ხასიათის არაქონებრივი სასჯელი (მაგალითად, საზოგადოებიდან გარიყვა, გაძევება და სხვა). უცხო ქურდის მიმართ ასეთი სასჯელების დაწესების შესაძლებლობას საზოგადოება, ცხადია, მოკლებული იყო. საზოგადოებას ობიექტურად არ შეეძლო არა თავისი წევრი ქურდი დაესაჯა, მაგალითად, ბოიკოტით, მოკვეთით, გაძევებით, აეძულებინა იგი საზოგადოების სასარგებლოდ გადაეხადა

2259 იქვე, 162.

გადასახადი. როგორც აღვნიშნეთ, ეს აიხსნება ჩვეულებითი სამართლის პრინციპებით და ხალხური თვითმმართველობის ორგანოების გავლენის შეზღუდულობით. ასეთი დამსჯელი ღონისძიება საზოგადოებას (სოფელს, სახალხო თვითმმართველობის საერთო ორგანოების მქონე ტერიტორიულ გაერთიანებას – თემს, თემების გაერთიანებას) შესაძლოა განეხორციელებინა მხოლოდ საკუთარი წევრის მიმართ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ უცხო საზოგადოებაში ჩადენილი ქურდობა ზიანს აყენებდა ამ საზოგადოებას, მის წევრს, თუ წევრებს და ამდენად, საკუთარი საზოგადოება თავისი წევრის სხვაგან ჩადენილ ქურდობას მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად არ აღიქვამდა, ამდენად, როგორც წესი, მას ამისათვის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აკისრებდა.

როგორც დავინახეთ, კონკრეტული საზოგადოების ტერიტორიაზე სხვა საზოგადოების წევრის მიერ ჩადენილი ქურდობისას ჩრდილოკავკასიელ მთიელებში, დაზარალებული კმაყოფილდებოდა ნაქურდალის ანაზღაურებით.[2260] უცხო პირის ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული იყო მის საზოგადოებასთან (გვართან, სოფელთან, თემთან) შეთანხმებაზე. სხვადასხვა საზოგადოებები არ იყვნენ დაინტერესებულნი ერთმანეთთან მტრობით და ამიტომ, დამნაშავე მხარის საზოგადოება უზრუნველყოფდა ხოლმე ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, მხოლოდ ნაქურდალის, ან მისი ღირებულების ანაზღაურება ხდებოდა. თუ ნებაყოფლობით ანაზღაურებას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ ქონებრივ შურისძიებას მიმართავდნენ ქურდის საზოგადოების მიმართ. ამ შემთხვევაში ძირითადად ხდებოდა ნაქურდალის ღირებულების ეკვივალენტური ზიანის მიყენება.

საინტერესოა, რომ ძველი ქართული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ასევე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა პიროვნებამ ქურდობა საკუთარ საზოგადოებაში, თავისიანებში ჩაიდინა თუ უცხო საზოგადოებაში. სხვაგვარი ვითარება გვხვდება, როდესაც ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებშიც ჩანს რომ ამ შემთხვევაში საკუთარ სოფელში, თემში ჩადენილი ქურდობისათვის სახალხო თვითმმართველობის ორგანოები, თუ თანამდებობის პირები, დამნაშავეს არა მარტო ნაქურდალის ღირებულებას ახდევინებდნენ, არამედ, დამატებითი გადასახადს თუ საჯარო ხასიათის სასჯელსაც აკისრებდნენ (არა მარტო ქონებრივი ხასიათის). სხვა საზოგადოებაში ქურდობისას კი ძირითადად ნაქურდალის ანაზღაურება გვხვდება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როდესაც ერთი კუთხის წარმომადგენლები მიიტაცებდნენ მეორე კუთხის წარმომადგენელთა ქონებას, ან ჩრდილოეთკავკასიელი მთიელები ქართველი მთიელებისას თუ პირიქით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქონების ხელყოფით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ქონებრივი შურისძიებისადმი მიმართვაც არ ყოფილა უცხო.

2260 ბუნებრივია, ჩვენ არ ვგულისხმობთ დამნაშავის ქურდობის ადგილზე ნასწრების, მისი შეპყრობის შემთხვევას, რასაც შესაძლოა დაზარალებულის მხრიდან საკმაოდ მძიმე სადამსჯელო ღონისძიება მოჰყოლოდა.

ძველი ქართული კანონმდებლობა ქურდობას და ზოგადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს, როგორც წესი, საჯარო ხასიათის სამართალდარღვევად განიხილავს. ქურდობისათვის პასუხისმგებლობა დაკავშირებული იყო არა მარტო ნაქურდალის ან მისი ეკვივალენტის დაბრუნებასთან, არამედ ნაქურდალის რამდენიმემაგ ანაზღაურებასთან, რომლის გარკვეული ნაწილი საჯარო ხასიათს ატარებდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მეფე სვიმონ პირველის 1590 წლის სიგელი, რომლის თანახმადაც ვინც გორისციხის აღებამდე რაიმე მოიპარა, მას ნაქურდალის სამმაგი ოდენობა უნდა გადაეხადა, საიდანაც ერთი წილი პატრონისათვის უნდა გადაეცათ, ერთნახევარი წილი მეფისთვის და ნახევარი წილი მეკობრეთმძებნელისთვის. თუ ქურდობა სხვის „უმტეროს თემში" მოხდებოდა დამნაშავეს ნაქურდალი ხუთმაგად უნდა აენაზღაურებინა, საიდანაც ორი წილი პატრონს გადაეცემოდა, ორი მეფეს და ერთი მეკობრეთმძებნელს. მეფის საბატონოს შიგნით ქურდობა კი ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას იწვევდა, რომლის ორ ნაწილს პატრონი მიიღებდა, ოთხ ნაწილს მეფე და ერთს მეკობრეთმძებნელი.[2261] ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებასთან, ე. წ. „შვიდეულთან" გვაქვს საქმე დასტურლამალისა და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაც. დასტურლამალში შემავალი თრიალეთის დებულების მიხედვით, შვიდეულის ორი წილი უნდა გადახდომოდა პატრონს, მეფეს ოთხი წილი, ხოლო ხევისთავს ერთი.[2262] ქურდობისათვის შვიდეულს, რომელიც საჯარო ხასიათის ელემენტს შეიცავდა, გვხვდება დასტურლამალში შემავალ გიორგი XI-ის მიერ დადგენილ „ყაიყულის სამოურავოს გარიგებაშიც".[2263] დასტურლამალის თავში, რომელიც ეხება ხევისთავის ფუნქციებს სოფელში მომხდარ ქურდობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ თუ საქონელს მოპარავდნენ თავადიშვილს ან აზნაურიშვილს შვიდეულის ექვსი ნაწილი პატრონს გადახდებოდა, ხოლო ერთი წილი ხევისთავს. გლეხის გაქურდვისას შვიდეულის მხოლოდ ორი ნაწილი გადაეცემოდა გლეხს, მეფეს ოთხი ნაწილი და ხევისთავს ერთი.[2264] აქ კარგად ჩანს თავადიშვილთა და აზნაურთა პრივილეგირებული მდგომარეობა გლეხებთან შედარებით, თუმცა ორივე შემთხვევაში შვიდეული საჯარო ელემენტს მოიცავს. საინტერესოა, რომ მსგავს დებულებას ვხვდებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. ამ ძეგლითაც, ქურდობა ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას იწვევს. 154-ე მუხლის თანახმად, თუ თავადიშვილს ან აზნაურიშვილს მოპარავდნენ რაიმეს შვიდივე ნაწილი დაზარალებულს გარდახდებოდა, ხოლო გლეხის გაქურდვის შემთხვევაში დაზარალებული გლეხი მხოლოდ შვიდეულის ორმაგ წილს მიიღებდა და დანარჩენი ხუთი ნაწილის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო.[2265] აქაც თავადიშვილთა და აზნაურიშვილთა პრივილეგირებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მათი გაქურდვისას გადასახდელი შვიდეული საჯარო ელემენტის შემცველი საერთოდ არ იყო და საზღაური მთლიანად დაზარალებულს გადახდებოდა, ხოლო გლეხის გაქურდვისას შვიდეულის ხუთი ნაწილი სწორედ ამ საზღაურის

2261 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1965, 204.

2262 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, 619.

2263 იქვე, 611.

2264 იქვე, 697.

2265 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ. 1963, 519.

საჯარო ელემენტს წარმოადგენდა. სამეგრელოს სამთავროში ქურდობისათვის ნაქურდალის თხუთმეტმაგი ანაზღაურება ფიქსირდება, საიდანაც ხუთი ნაწილი ერგებოდა პატრონს, ხუთი ხაზინას და ხუთიც მიდიოდა იმ მოხელეთა გასამრჯელოდ, ვინც სასჯელს დაადებდა დამნაშავეს.[2266] ასეთივე წესი სვანეთის საისტორიო ძეგლებითაც დასტურდება. გ. გასვიანის თანახმად ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ქურდობისათვის საზღაურის გარკვეული ნაწილი გადაეცემოდა დაზარალებულს, ხოლო დანარჩენს თემი და მპარავთმძებნელი ინაწილებდნენ.[2267] ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ქურდობისთვის რამდენიმემაგი საზღაური უმრავლეს შემთხვევაში საჯარო ელემენტს შეიცავდა, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ამ დანაშაულის საჯარო-სამართლებრივ ბუნებას.

ძველ ქართულ იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში ქურდობისათვის გვხვდება არაქონებრივი საჯარო ხასიათის სასჯელებიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი ბოძებული შიომღვიმის მონასტრისადმი, რომლის თანახმადაც ქურდის მიმართ შესაძლოა გამოყენებულიყო ჩამოხრჩობა ან დამასახიჩრებელი სასჯელი.[2268] როგორც ჩანს, ძველი ქართული სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფ დანაშაულებს იმდენად მძიმე და სახელმწიფოსთვის საშიშ დანაშაულად თვლიდა, რომ შესაძლოა ამ ქმედების ჩამდენის მიმართ სასიკვდილო განაჩენიც კი დამდგარიყო. ნიშანდობლივია რომ თამარის დროს, როგორც მისი მეორე ისტორიკოსი (ბასილი ეზოსმოძღვარი) მიუთითებს, სიკვდილით დასჯა, კერძოდ კი, „ძელსა ზედა ჩამორჩობა," ძველი წესის თანახმად გამოიყენებოდა სწორედ სხვისი საკუთრების ხელმყოფთა – ავაზაკთა მიმართ.[2269] საკმაოდ მძიმე სასჯელები ქურდობისათვის ფიქსირდება სამეგრელოს სამთავროში. XVII საუკუნის ზოგიერთი იტალიელი მისიონერის მონაცემით სამეგრელოში ქურდების მიმართ უმძიმეს დამასახიჩრებელ სასჯელებს იყენებდნენ.[2270]

გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის თანახმად, საქართველოში უკვე მაშინ არსებობდა ე. წ. „სამართალი სამპავარავთმეძებლოჲ", რომლის ძირითადი ფუნქცია იყო მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა, გასამართლება, რასაც ახორციელებდნენ „მპარავთ-მეძებელნი" და მათადმი დაქვემდებარებული „ჩენილნი".[2271] აღნიშნული გარემოება საინტერესოა იმით რომ, საქართველოში ჯერ კიდევ იმ პერიოდში არსებობდა სპეციალიზირებული სახელმწიფო ორგანო, რომლის ფუნქცია იყო ქურდობის (საერთოდ სხვისი საკუთრების ხელმყოფთა) წინააღმეგ ბრძოლა, ქურდის გამოვლენა და სხვა. სეიმონ მეფის 1590 წლის სიგელში ნახსენები მეკობრეთმძებნელი და დასტურლამალში ნახსენები ხევისთავი,

---

2266 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 74.

2267 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 189.

2268 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1965, 22.

2269 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, 141.

2270 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, 88; ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73-74.

2271 ივ. ჯავახიშვილი, ქართულ სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 343-344.

ასევე სამეგრელოს სამთავროში ა. ლამბერტის მიერ მოხსენიებული ქურდისთვის სასჯელის დამდები, აღნიშნული ფუნქციების მატარებელნი იყვნენ.[2272] საქართველოში ქურდობის და ზოგადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების არსებობა მიუთითებს, რომ სახელმწიფო აღნიშნულ დანაშაულებს მის წინააღმდეგ მიმართულ, საჯარო სამართალდარღვევებად აღიქვამს და ინსტიტუციურად ებრძვის მათ.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საჯარო სამართალდარღვევას წარმოადგენდა თუ კერძო სამართალდარღვევას, განპირობებული იყო იმით, პიროვნება საკუთარი საზოგადოების ტერიტორიაზე ჩაიდენდა შესაბამის დანაშაულს თუ სხვაგან. ქურდობა საჯარო სამართალდარღვევად ითვლებოდა ძირითადად საკუთარი სოფლის, ან სახალხო თვითმმართველობის საერთო ორგანოების მქონე ტერიტორიული გაერთიანებების (თემის, თემთაშორისი გაერთიანების) შიგნით ჩადენისას. საკუთარ სოფელსა თუ თემში ჩადენილ ქურდობას ძირითადად საჯარო ხასიათის სასჯელი მოჰყვებოდა, რაც მიუთითებს, რომ ასეთი ქმედება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულად აღიქმებოდა, რაც ადასტურებს მის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც საკუთარ საზოგადოებაში ქურდობას მხოლოდ კერძო ხასიათის სასჯელი მოჰყვა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მაინც საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებას ჰქონდა ადგილი. ერთმნიშვნელოვნად საჯარო სამართალდარღვევას წარმოადგენდა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკუთარ საზოგადოებაში ქურდობის განმეორებითი ჩადენა. გამომდინარე იქედან, რომ სხვა საზოგადოებაში (თემში ან სოფელში) ჩადენილი ქურდობა მხოლოდ ნაქურდალის დაბრუნებას ითვალისწინებდა, იგი კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა.[2273]

1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებული ზოგადი ასპექტები

1.1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგადი დახასიათება ქართულ ჩეულებით სამართალში. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან მონაცემები ძირითადად ქურდობის შესახებ გვხვდება. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც საზოგადოებაში სადაც ჩვეულებითი სამართალი არსებით როლს ინარჩუნებს ქურდობის ცნება მოიცავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ფაქტიურად ყველა დანაშაულს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მ. კოვალევსკის დაკვირვება. იგი ოსურ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას

2272 სხვა ფუნქციებთან ერთად ანალოგიური ფუნქცია საკვლევ პერიოდში სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პქონდათ ე. წ. „ხერსთავებს" (იხ. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 184-185; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 80).

2273 ქურდობის, როგორც საჯარო თუ კერძო სამართალდარღვევის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 20-27.

აღნიშნავს, რომ ოსეთში, ისე, როგორც XII ტაბულის კანონების მიხედვით ძველ რომში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გაერთიანებულნი არიან ქურდობის (furtum) ცნების ქვეშ.[2274] ანალოგიური მიდგომა უნდა ყოფილიყო ჩრდილოკავკასიელ სხვა მთიელებშიც. მ. კოვალევსკი ზუსტად იგივეს ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებთან მიმართებაშიც. მისი განმარტებით, დანაშაულები საკუთრების წინააღმდეგ: ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, ყაჩაღობა ხევსურებსა და თუშეთში ერთიანდება ქურდობის ცნების ქვეშ. ზუსტად ისე, როგორც ეს იყო რომში furtum-ის სახით.[2275] აღსანიშნავია, რომ ხევსურული სამართლით, როდესაც პიროვნება იპოვნიდა რაიმე ნივთს და არ გააცხადებდა ამის შესახებ, არამედ მიითვისებდა მას, ესეც ქურდობად ითვლებოდა.[2276] ხევსურული რჯულით ნაპოვნი ნივთის მითვისების ქურდობად განხილვა განამტკიცებს მ. კოვალევსკის მოსაზრებას კავკასიელ მთიელებში ქურდობის furtum-თან იდენტობის შესახებ. მ. კოვალევსკის განმარტებით, განსხვავება ქურდობას, ყაჩაღობასა და ძარცვას შორის სვანეთშიც უცნობია.[2277] ფშაურ ჩვეულებით სამართალში ქურდობის ინსტიტუტის განხილვისას დ. ჯალაბაძე ასევე მიუთითებს, რომ „ფშავში ყველა სახის ქონების გატაცებას ქურდობას უწოდებენ."[2278] აღსანიშნავია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული ფშაური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ქურდობად აღიქმებოდა XX საუკუნის 80-იანი წლების ინფორმატორების მიერაც. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით: „ქურდობები სხვადასხვანაირი იყო, ვისაც რა დაინტერესება ჰქონდა: ყაჩაღობდნენ, იპარავდნენ სახლში."[2279] ამ მო-

2274 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 156.

2275 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 120.

2276 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31. აღნიშნულ გარემოებაზე გარკვეულ მინიშნებას ვხვდებით ალ. ოჩიაურის მასალებშიც, სადაც ვკითხულობთ: „წვრილმანი დანაკარგები თუ რამე იყო სოფელში ამაზე ეტყოდნენ: „მიიტანეთ თუ ვის გაქვთ ესა და ეს დანაკარგი ნაღებული, ან მაჴელილი, ღმალავთ (მაჴელილი: ნაპოვნი) მიიტანეთა-დ გადააგდით ღამით რო არ ვინ გაიგას ვინ მიიტან" – დაუნიშნავდნენ ადგილს სად უნდა გადააგდო. თუ არ გადააგდებდა დანაკარგს, აფრთხილებდნენ, რომ ყოველ დღეობაში დაარისხებდნენ....." (ალ. ოჩიაური, ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 367). ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ დაბრუნების მოთხოვნა ერთგვაროვნად ვრცელდებოდა ნაქურდალ და ნაპოვნ ნივთზე. თუ ეს არ მოხდებოდა პასუხისმგებლობა თანაბრად დაეკისრებოდა ქურდსაც და სხვისი ნივთის მპოვნელსაც, რომელიც არ უბრუნებდა ამ ნივთს თავის პატრონს. აქედან შესაძლოა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნაპოვნი ნივთის მითვისება ხევსურეთში გაიგივებული იყო ქურდობასთან. საინტერესოა, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში, კერძოდ აჭარაში დაფიქსირებულ მონაცემებში, ფიქსირდება ნაპოვნი ნივთის დამბრუნებლის დასაჩუქრების ნესი. ინფორმატორის განმარტებით, ნაპოვნი ნივთის პატრონისათვის დაბრუნების შემთხვევაში ნივთის პატრონს მპოვნელისათვის საჩუქრად უნდა მიეცა ე. წ. „საპოვნელა", ნებისმიერი რაიმე ნივთი (ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989-1990, 43). მეორე აჭარელი ინფორმატორი კი ასეთ საჩუქარს მოიხსენიებს „ბახშიშად" (ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1991, 45). აქ საყურადღებოა პირველი ინფორმატორის მიერ დასახელებული ქართული ტერმინი – „საპოვნელა", რომელიც ზუსტად გამოხატავს დაკარგული ნივთის პოვნისა და დაბრუნებისათვის განსაზღვრული ჯილდოს შინაარსს. მეორე ინფორმატორის მიერ დასახელებული „ბახშიში" კი უბრალოდ თურქულად საჩუქარს ნიშნავს და რაიმე სპეციალური ტერმინის გამომხატველი არ არის. აღსანიშნავია, რომ დასახელებული აჭარელი ინფორმატორი ნაპოვნი ნივთის დაუბრუნებლობას და მითვისებას ქურდობად არ მიიჩნევს, თუმცა უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ ეს მიმთვისებლისთვის ალალი არ იქნებოდა (ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989-1990, 43). როგორც ჩანს ამ აჭარელი ინფორმატორის აღთქმით, ნაპოვნის მითვისება ქურდობად არ ითვლება, თუმცა დასაგმობი საქციელია. ამ საკითხზე სხვა მონაცემი არ გაგვაჩნია და ამდენად, აჭარულ ჩვეულებით სამართალში მხოლოდ ამ ცნობის საფუძველზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება მიზანშეუწონლად მოგვაჩნია.

2277 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 38.

2278 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 139.

2279 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 19.

ნაცემის საფუძველზე დ. ჯალაბაძე სწორად შენიშნავს, რომ ფშავში ხალხური შეხედულებით ქონებრივი ხელყოფისაკენ მიმართული ყოველგვარი მოქმედება (ძალადობით, აშკარად თუ ფარულად ჩადენილი) ქურდობად აღიქმებოდა.[2280] ალ. ოჩიაური ერთ-ერთ მონაცემში საუბრობს ბაცალიგოელებს შორის გავრცელებულ ქურდობაზე და აღნიშნავს რომ აქაური ახალგაზრდები მეზობელ მთიელებშიც კი ქურდობდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პირუტყვს იპარავდნენ, „ეცემოდნენ მცხოვრებლებს და ტეხდნენ სახლებს".[2281] მცხოვრებლებზე დაცემა შესაძლოა აშკარა, ძალადობრივ მოქმედებასაც გულისხმობდეს, ხოლო ავტორი მას ქურდობად განიხილავს. ამ მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის ინტენსიური მოქმედება საკმაოდ დიდხანს შემორჩა, ქურდობა მოიცავდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ფაქტიურად ყველა დანაშაულს. დ. ჯალაბაძის ინფორმატორის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქურდობის ასეთი სახით აღქმა ხალხურ ცნობიერებას XX საუკუნის განმავლობაშიც შემორჩა. დ. ჯალაბაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩვეულებითმა სამართალმა ქონების გატაცების ფორმების გამიჯვნის რაიმე სტაბილური კრიტერიუმი ვერ შეიმუშავა.[2282]

ბ. გოგოჭურის მონაცემით, ხევსურული რჯულით ქურდობის პუნქტები გაერთიანებულია ძარცვის და ყაჩაღობისას ჩადენილი ქონების დატაცების ფაქტებთან. ავტორის აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ 1. სამივე დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავეს აქვს ანალოგიური მიზნები, 2. არც ერთი მათგანი სამაგიეროდ მკვლელობით არ ისჯება, 3. ზარალის ანაზღაურების პირობები სამივე შემთხვევაში ერთნაირია.[2283] ამ მონაცემით გამოდის, რომ ხევსურული რჯულის თანახმად, ნორმები, რომლებიც ქურდობას ეხება, ვრცელდება ძარცვასა და ყაჩაღობაზე და ფაქტიურად ყველა დანაშაულებრივი ქმედება მიმართული სხვისი ქონების ხელყოფისაკენ ერთგვაროვნად, ქურდობის მსგავსად კვალიფიცირდება. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ სხვისი ქონების ხელყოფა, ეს ფარულად მოხდება, აშკარად, თუ ძალადობით საზოგადოებაში ქურდობად აღიქმება და ქურდობის ცნების ქვეშ ერთიანდება.

ასეთივე ტენდენცია ქართულ სამართლის ძეგლებში, კერძოდ, ვახტანგის სამართლის წიგნშიც გვხვდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვახტანგის სამართლის წიგნის 153-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „დედაკაცს რომ ზედ შებმული ან კიდებული იარაღი ან თმა, ან თმის სატანი რაც რამ ფერი სამკაული ზედ შეხსნას, ან შეჭრას, მონაპარევიც შვიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიცა".[2284] დ. ჯალაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ მუხლით ცალსახად საქმე გვაქვს ქალის საკუთრების ძალადობით, აშკარა გატაცებასთან, ანუ ძარცვასთან, თუმცა სამართლის ძეგლით ქურდობადაა განხილული.[2285] ასე რომ ქურდობის ცნების ქვეშ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გაერთიანება ძველი ქართული სამართლისათვის უცხო არ იყო.

2280 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 144.

2281 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/5, 1954, 60.

2282 იქვე, 139.

2283 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 112-113.

2284 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 519.

2285 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 144.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიც ქარავანზე თავდამსხმელს, ანუ ქონების ძალადობით მიმტაცებელს, „ქურდად“ მოიხსენიებს (მუხ. 65).[2286] ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი სხვისი ქონების მიტაცების ფორმების გაუმიჯნაობა კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების მიხედვითაც. 44-ე მუხლის სათაურში საუბარია „სამეკობრო საქმეზე“, ხოლო სხვისი ქონების მიმტაცებელი მოიხსენიება „მეკობრედ“, თუმცა ქმედება, რომელსაც მეკობრე სჩადის იხსენიება „პარვად“, ხოლო მოპარული ქონება „ნაპარევად“.[2287] მეკობრე ბუნებრივია სხვისი ქონების ძალადობრივი გზით მიმტაცებლის ასოციაციას ინვევს და მისი მოქმედების აღსანიშნავად „მოპარვის“ გამოყენება ერთი შეხედვით შეუსაბამო უნდა იყოს, თუმცა თუ გავიხსენებთ რომ მოპარვა, ქურდობა ძველად სხვისი ქონების მიტაცების ყველა ფორმას გამოხატავდა, აღნიშნული „შეუსაბამობა“ გასაკვირი აღარ იქნება.

აღსანიშნავია რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში XX საუკუნის დასასრულის სხვა კუთხეების (მხედველობაშია კუთხეები გარდა სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა) ინფორმატორებთანაც გეხვდება საუბარი დღევანდელი გაგებით ძარცვა-ყაჩაღობაზე, თუმცა მათ მიერ ასეთი ქმედებები ქურდობად მოიხსენიება.[2288] ეს მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ხალხური თვალსაზრისით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული შესაძლოა ქურდობად ყოფილიყო აღქმული, თუმცა მხოლოდ ამ ცალკეული მონაცემების მიხედვით ძნელია დარწმუნებით ვიმსჯელოთ იმაზე ასეთ აღქმას უნივერსალური ხასიათი ჰქონდა თუ არა.

საზოგადოებაში, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის დანაშაული ქურდობის ცნების ქვეშ ერთიანდებოდა, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა საკუთრების ხელყოფის მეთოდს, მაგალითად, იგი განხორციელდა აშკარად, ძალადობრივად, თუ ფარულად. ამდენად, როგორც წესი, ქონების აშკარა, ძალადობრივი ხელყოფა, ქურდობის მაკვალიფიცირებელ ფაქტორს არ წარმოადგენდა – ქურდობის ცნების ქვეშ გაერთიანებული ყველა დანაშაულებრივი ქმედება ერთგვაროვნად ისჯებოდა. თუ ქურდობის პროცესში ადგილი ექნებოდა დაზარალებულისადმი სხვა რაიმე ზიანის მიყენებას, იგი დამოუკიდებელ დანაშაულად იქნებოდა განხილული და მისთვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდა ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობად ჩაითვლებოდა. დროთა განმავლობაში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის დიფერენცირება ხდება და ხალხურ მართლშეგნებაში სხვისი ქონების აშკარა, ძალადობრივი ხელყოფის უფრო მძიმე დანაშაულად აღქმა ყალიბდება, ვიდრე ფარულად ჩადენილის, რაც გარკვეულწილად ჩვენს ხელთ არსებულ მასალებშიც აისახა. მათ მიხედვით, ძირითადად ქურდობა ზოგადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს აღნიშნავს, თუმცა გეხვდება ცალკეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, საკუთრების აშკარად, ძალადობით ხელყოფის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები – „ძარცვა“, „ცარცვა“, „ყაჩაღობა“.

2286 იხ. ქართული სამართლს ძეგლების, ი. დოლიძის რედაქციით, ტ., 1, თბ., 1963, 449.

2287 იქვე, 419.

2288 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63-64; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემი გვხვდება სამეგრელოში. ძველად ყაჩაღობა (გერინაფა) გავრცელებული ყოფილა სამეგრელოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ყაჩაღები (გიმარნაფალეფი) ძალზედ საშიში ბოროტმოქმედები იყვნენ, რომლებიც ძირითადად ტყეს და ტყით დაფარულ ადგილებს აფარებდნენ თავს. ისინი გზად მიმავალ მგზავრს იჭერდნენ, წაართმევდნენ ყველაფერს რაც კი თან გააჩნდა. თუ მგზავრი არ დანებდებოდა, მაშინ მოჰკლავდნენ და იქვე მიატოვებდნენ მას. ყაჩაღები არა მარტო მგზავრებს ესხმოდნენ თავს, არამედ სახლშიც უვარდებოდნენ უბრალო გლეხებსაც და თავადებსაც. მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღებასაც ასწრებდნენ. ყაჩაღების შეპყრობა კი უაღრესად რთულ საქმეს წარმოადგენდა.[2289] ალ. ოჩიაურის მასალებში ჩანს რომ ყაჩაღობებს საქართველოს მთიანეთშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ხევსური ყაჩაღები გზად მიმავალ მგზავრებს, ვაჭრებს ძარცვავდნენ, მათ შორის მეზობელ მთიელებსაც.[2290] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით ხევსურეთში ძირითადად მაინც ქისტები ყაჩაღობდნენ.[2291] ეგ. გაბლიანი მოგვითხრობს ყაჩაღ ჯამაგა ჭელიძეზე, რომელიც თურმე ჭიორელ დეტოს შეუამხანაგდა. ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში ეცემოდნენ ღებ-ჭიორას, ძარცვავდნენ ოსეთიდან ღებ-ჭიორასაკენ მიმავალ მგზავრებს.[2292]

ამ მონაცემების მიხედვით ყაჩაღობა ძველქართული წყაროებით ცნობილი „მეკობრეობის", „ავაზაკობის" იდენტურია, რაც ოდითგანვე უმკაცრესი სასჯელით ისჯებოდა. აქ საქმე გვაქვს შარაგზის ყაჩაღებთან, მძარცველებთან, რომლებიც ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით ახორციელებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც მოიცავდა სისტემატურ ძალადობრივ თავდასხმებს სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით. ყაჩაღები ხშირად ტოვებდნენ საკუთარ საცხოვრისს და თავს აფარებდნენ ტყეებს, მიუვალ ადგილებს და შემდეგ ახორციელებდნენ სისტემატურ თავდასხმებს მგზავრებზე, ასევე სახლებზე ნადავლის დასაუფლებლად. ისინი გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდნენ, არც მკვლელობას, არც სხეულის მნიშვნელოვან დაზიანებას. ამ დანაშაულს ივ. ჯავახიშვილი მიაკუთვნებს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას, რადგანაც იგი უკავშირდება სხვისი ქონების მიტაცების, ანგარების მიზნით პიროვნების მკვლელობას.[2293] ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედითაც ჩანს რომ ყაჩაღების მიერ სხვისი ქონების მიტაცება შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო თავდასხმის ობიექტის მკვლელობასთან, თუ იგი წინააღმდეგობას გაუწევდა მათ, თუმცა ბუნებრივია ყაჩაღური თავდასხმა ყოველთვის მსხვერპლით არ სრულდებოდა.

2289 გ. ვეკუა, სამეგრელოს ჩვეულებითი სამართალი, ზუგდიდი, 2000, 20.

2290 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 195.

2291 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 73. თვით ხევსურთა მონაწილეობით ყაჩაღობას შედარებით იშვიათად უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც აღნიშნული მონაცემითაც დასტურდება. ჩვენი ხევსური რესპონდენტი პეტრე გოგოჭური საერთოდ უარყოფს ხევსურეთში ყაჩაღობას (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 15). როგორც ჩანს, ამ ხევსური რესპონდენტის მეხსიერებას ხევსურეთში ყაჩაღობა არ შემოუნახავს. სავარაუდოდ, ხევსურეთში ყაჩაღობის შესახებ მონაცემები, რომლებსაც ალ. ოჩიაურთან ვხედებით, შედარებით ძველ პერიოდს ეხება და საერთოდ, გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენდა..

2292 ეგ. გაბლიანი, თავისუფალის სვანეთი, თბ., 1927, 117.

2293 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 225.

ამდენად, მასალების მიხედვით, „ყაჩაღობა“ გულისხობს დანაშაულებრივ საქმიანობას სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით სისტემატური თავდასხმების გზით, რაც ხშირად უკავშირდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის განხორციელებას. რაც შეეხება ტერმინ „ძარცვას“ („ცარცვას“) იგი ალ. ოჩიაურის მასალებში ყაჩაღების მიერ სხვისი ქონების აშკარა, ძალადობრივი ხელყოფის გამომხატველად გვხვდება, რაც ნიშნავს, რომ ავტორი ძარცვას ყაჩაღობისაგან განსხვავებულ ქმედებად არ განიხილავს. გამოთქმა „ყაჩაღობენ“, „ყაჩაღობა დაიწყეს“ სხვისი ქონების ძალადობრივი ხელყოფის მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ შემთხვევას არ გულისხმობდა, თუმცა ცხადია ყაჩაღის მიერ განხორციელებული თითოეული ძალადობრივი თავდასხმა სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენდა.

ძველი სამართალი განარჩევს ქურდობის სხვადასხვა სახეებს. მაგალითად, რომში დეცემვირების დროინდელი სამართალი იცნობს ქურდობას, როდესაც ქურდი ნაპოვნი იქნება ნაქურდალით და ნაქურდალის გარეშე. ასევე ცნობილია განსხვავება ქურდობასა ღამით და დღისით. სხვადასხვა ხალხებში ასევე განარჩევდნენ: ქურდობას სახლში და საერთოდ დახურულ შენობაში და ქურდობას ღია მინდორში, ქურდობას პირველად და ქურდობას რეციდივის სახით. ეს ერთი და იმავე დანაშაულის სხვადასხვა სახეებია.[2294] ქურდობის ზოგიერთი ასეთი სახესხვაობა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც ჩანს, კერძოდ, გვხვდება განსხვავება პირველად ჩადენილ ქურდობასა და არაერთგზის ჩადენილ ქურდობას შორის, სახლში ჩადენილ ქურდობასა და სახლის გარეთ ჩადენილ ქურდობას შორის. ქურდობის რეციდივი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა. გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა სახლში შეღწევით ქურდობას ქართულ ჩვეულებით სამართალში, რაც ჩვენი განხილვის ობიექტი იქნება.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით არ დასტურდება რაიმე სახის პასუხისმგებლობა ქურდობის მცდელობისათვის. თუ ქურდობას არაერთი თანაამსრულებელი ჰყავდა, მაშინ ქონებრივი საზღაურის გადახდა სოლიდარულად მოხდებოდა და რაიმე დამატებითი გადასახადის გადახდას ადგილი არ ექნებოდა, ხოლო საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებისას ეს თითოეულ თანაამსრულებელს შეეხებოდა.[2295]

როდესაც ვსაუბრობთ ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება შედარებით ინტენსიური სახით შემორჩა, ქურდობის შემთხვევები ხშირად სწორედ ხალხური სამართლით განისჯებოდა. მთის რეგიონებში საკმაოდ დიდხანს შემორჩა ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურების ძველქართული წესი.[2296] კუთხეების უმრავლე-

2294 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон. Т. 2, М., 1886, 158.

2295 მაგ., იხ. ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 53.

2296 ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება ძველქართულ სამართლის წყაროებში საკმაოდ ძველი პერიოდიდან ფიქსირდება. მაგალითად, 1215 წლის გრიგოლ სურამელის შიომღვიმისადმი შეუვალობის განახლების დანერილში საუბარია ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებაზე (იხ. ქართული სამართლის ძეგლე-

სობაში ქურდობის საკითხი ძირითადად სახელმწიფო ორგანოების მიერ განიხილებოდა, თუმცა არც თუ იშვიათად ქურდის ხალხური წესით დასჯასაც ჰქონდა ხოლმე ადგილი, ძირითადად სოფლის საზოგადოების მიერ საჯარო სასჯელების გამოყენებით. ამ კუთხეებში დაფიქსირებულ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არაერთი კონკრეტული ცნობაა XX საუკუნეშიც ქურდის მიმართ ხალხური სასჯელების გამოყენებისა, რაც ჩვენს მიერ დეტალურად იქნება განხილული.

1. 2. ტერმინების შესახებ. რადგანაც ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ძირითადად ქურდობა მოიაზრება, ამდენად ამ კატეგორიის დანაშაულთა აღმნიშვნელი ტერმინები უმთავრესად ქურდობას უკავშირდება. „ქურდობა", „პარვა", „ქურდი", „მპარავი", „მომპარავი" ინფორმატორების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინებია შესაბამისი დანაშაულის და მისი ჩამდენის აღსანიშნავად. სხვის სახლში შეღწევით ქონების ხელყოფა გამოიხატებოდა ტერმინით – „გატეხვა," რაც სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება, მაგალითად, სვანეთში ამას ეწოდებოდა „სახლის გატეხვა" – „ქორა კვაშა."[2297] ხევსურეთში გვხვდება ტერმინი „მთის გატეხა", რაც ჯოგიდან პირუტყვის გატაცებას, ქურდების მიერ მოპარვას ეწოდება.[2298]

გვხვდება სხვისი ქონების ძალადობით ხელყოფის გამომხატველი ტერმინებიც: „ცარცვა", „ძარცვა", „ყაჩაღობა". როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეგრელოში სწორედ ყაჩაღობის აღმნიშვნელი იყო – „გერინაფა" და ყაჩაღების აღმნიშვნელი – „გიმარნაფალეფი".[2299]

სხვადასხვა კუთხეში სპეციფიკური ტერმინებიც გვხვდება. მაგალითად, გურიაში სხვის ჯიბეში მოფათურე, ქურდობისაკენ მიდრეკილ კაცს ერქვა „ხელწამკრავი კაცი".[2300] სამეგრელოში ქურდის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს „მახინჯი",[2301] რაც კარგად გამოხატავდა მეგრელების დამოკიდებულებას ქურდისადმი. ხევსურეთში კი ქურდს მოიხსენიებდნენ „ცუდის ხელისას", რაც ასევე ქურდისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელია.[2302] აჭარაში გვხვდება ტერმინი „გაქუცვა", რაც ფულის წართმევას გულისხმობდა და ქონების ძალადობრივ ხელყოფასთან იყო დაკავშირებული.[2303]

1. 3. საზოგადოების ქურდობისადმი დამოკიდებულების საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურასა და ეთნოგრაფიულ მონაცემებში არცთუ იშვიათად

ბი, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1965, 38). ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება გვხვდება ასევე შალვა ქვენიფნეველი ერისთავის მიერ 1470 წელს ლარგვისის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში (იხ. იქვე, 142). ნაქურდალის სამმაგ, ხუთმაგ და შვიდმაგ ანაზღაურებას ვხვდებით სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში (იხ. იქვე, 204). ნაქურდალის სამმაგ ანაზღაურებას ეხებით გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963, 419), ორმაგს სამცხეში ბექაალბუღას სამართლის წიგნით (იხ. იქვე, 448), ხოლო ეახტანგის სამართლის წიგნით ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას (იხ, იქვე, 519) და სხვა. (ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურების შესახებ ძველქართულ სამართალში დანვრილებით იხ. გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", №14, ოქტომბერი, 2000, 106-110).

2297 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 112.

2298 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 175

2299 გ. ვეცუა, სამეგრელოს ჩვეულებითი სამართალი, ზუგდიდი, 2000, 20.

2300 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 13, 17.

2301 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 4.

2302 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74.

2303 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 40.

გვხვდება ცნობები, რომელთა მიხედვითაც ქურდობა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, სასახელო საქმედ ითვლებოდა. მაგალითად, აჭარელი ინფორმატორის მითითებით (ცნობა ჩაწერილია 1989 წელს), ძველად, დაახლოებით 100-120 წლის წინათ ქურდობა ვაჟკაცობად ითვლებოდა.[2304] კიდევ ერთი აჭარელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ძველად ქურდობა საკმაოდ გავრცელებული იყო და ქურდი კარგ კაცად ითვლებოდა.[2305] ერთ-ერთი ინფორმატორი კი გარკვეული სიამაყითაც კი იხსენებს თავის ერთ-ერთ წინაპარს (ბაბუის ბაბუას), რომელიც იტაცებდა საქონელს, ბავშვებს და ყიდდა.[2306] საქონლის ქურდობის სიხშირეს აჭარაში, მათ შორის მთაში ყოფნის დროსაც, სხვა მონაცემებიც ადასტურებს.[2307] აჭარელი ინფორმატორები საქონლის ქურდობის გარკვეულ მეთოდებსაც კი იხსენებენ. ქურდობისას მნიშვნელოვანი იყო ძაღლების ნეიტრალიზაცია. ამისათვის ქურდები კალათს, გოდორს, რომელშიც როგორც სატყუარას დებდნენ ხორცს (ლეშს), მას ბაწრით მიაბავდნენ ხის ტოტზე. ძაღლები ჩაძვრებოდნენ კალათში (გოდორში) ხორცის საჭმელად, ქურდი ამ დროს ბაწარს დაანებდა და კალათი (გოდორი) ძაღლებიანად მყისიერად ხეზე აღმოჩნდებოდა. ქურდები კი ამ დროს თავისუფლად იმოქმედებდნენ.[2308]

ქურდობა ვაჟკაცობად და სასახელო საქმედ განსაკუთრებით სამეგრელოში ჩაწერილ მასალებშია წარმოჩენილი. ეს დამოკიდებულება XX საუკუნის დასასრულის მეგრელ ინფორმატორებთანაც იგრძნობა. კერძოდ, მათი განმარტებით, სამეგრელოში ძველად ქურდობა გავრცელებული იყო და სასახელოდ, ვაჟკაცობად ითვლებოდა, განსაკუთრებით კი ცხენის ქურდობა. ძველად კაცს თურმე ქალსაც კი არ გაატანდნენ, ცხენი რომ არ ჰყოლოდა მოპარული.[2309] ინფორმატორის მტკიცებით, სამეგრელოში ქურდობა ერთგვარ ხელობასაც წარმოადგენდა, როგორც დურგალი, მშენებელი და სხვა. ქურდები ყველგან ქურდობდნენ, საკუთარ სოფელშიც კი.[2310] ასეთი ტენდენცია სამეგრელოს სინამდვილისთვის არახალია და ჯერ კიდევ XVII საუკუნის კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ნაწერებში არის საკმაოდ დეტალურად წარმოჩენილი. დამადასტურებლად ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ ა. ლამბერტის წიგნიდან: „ეს საშინელი სენი – ქურდობა ქვეყნიერებაზე ყოველგან გავრცელებულია, მაგრამ განსაკუთრებით სამეგრელოშია გახშირებული, თითქო აქ იპოვა კარგი ნიადაგიო. მეგრელები თითქო ბუნებით არიან ქურდები. ყველანი ცდილობენ თავის წინაპრებს არ ჩამორჩნენ ამ ხელობაში. მთელ კოლხეთში არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომ ოდესმე ამ ხელობაში არ ევარჯიშოს. ღარიბი და მდიდარი, პატარა და დიდი, მაღალი წოდება და დაბალი ხალხი, ერი და ბერი – სულ ქურდები არიან. სასჯელის შიშსაც ვერ შეულაგმავს ისინი და ხშირად შეხვდებით,

---

2304 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

2305 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7.

2306 იქვე, 13.

2307 ვ. შამილაძე, ჩანაწერები მესაქონლეობაზე (ხულოსა და შუახევის რაიონებში), აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №479, 1963, 15, 150.

2308 ვ. შამილაძე, იქვე, 150; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 7.

2309 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 7, 23, 28, 48.

2310 იქვე, 48.

რომ ქურდობისათვის უკვე სასჯელ მოხდილი, როგორც კი შემთხვევას ნახავს, ველარ მოითმენს და ხელახლა ჩაიდენს ქურდობას: მაგალითად, ქურდობისათვის ცალფეხმოჭრილი მიკოჭლობს და მიდის ქურდობაზე; აგრეთვე ცალხელ მოჭრილი ეხმარება თავის ამხანაგებს ქურდობაში, და თვალ-მოთხრილი, სხვაფერ თუ არ შეუძლიან დახმარება, რჩევით მაინც ეხმარება ქურდებს. ქურდებს ვერ აკავებს ვერც ის ზარალი, რომელიც მოსდით მათ, თუ ქურდობაში დაიჭირეს: მათ უნდა გადაიხადონ თხუტმეტჯერ მეტი ფასი ნაქურდალისა; ამას გადაიხდიან და შემდეგ უფრო ეტანებიან ქურდობას, რათა ერთი ორად შეავსონ ის ფული, რაც გადაუხდიათ ხაზინისათვის. ამასთანავე უფრო ფრთხილადაც არიან, რომ მეორედ აღარ დაიჭირონ ქურდობაში. არ აბრკოლებს მათ არც ქურდობის გამოაშკარავებისა და სასჯელის სირცხვილი, რადგან ყველა ქურდია და ქურდობაც მოსაწონ საქმედ მიაჩნიათ, არც ღმერთის ეშინიათ, რადგან ბევრი არა გაეგებათ-რა ღმერთისა. ამ რიგად მეგრელები ვერ შეულაგმავს ვერც სხეულით დასჯის შიშსა, და ვერც ზარალის ზღვევისა, ვერც სირცხვილისა და ვერც ღვთის შიშსა და აღვირახსნილი ეტანებიან სხვა-და-სხვა ქურდობას."[2311] ა. ლამბერტის მტკიცებით, არავინაა რომ ყოველნაირი ქურდობა იცოდეს – ზოგი დაოსტატებულია როგორც სახლის ქურდი, ზოგი როგორც ცხენის ქურდი, ან ხარებისა და ძროხების ქურდი, ან ღორებისა და თხების ქურდი, ან გოჭებისა და თიკნების. ამ უკანასკნელს ყმანვილები მისდევდნენ და ამ პატარა ცხოველების ქურდობით ბავშვობიდან ხელს იწაფავდნენ, რომ როცა გაიზრდებოდნენ უფრო დიდი ცხოველები მოეპარათ. ყველა სპეციალობის ქურდისთვის საერთო იყო ის რომ ქურდობისას ყოფილიყო ბნელი ღამე, ცუდი ამინდი, კერძოდ, ძლიერი ქარი, რომ ხმაური არ ისმოდეს, დიდი წვიმა რომ ქურდის ნაკვალევი წაიშალოს. დიდ თოელს და პატარა წვიმას კი ერიდებოდნენ რადგანაც პატარა წვიმა მიწას არბილებს და ნაკვალევს არ შლის.[2312] ყველა სპეციალიზაციის ქურდს ქურდობის თავისი მეთოდები და ხერხები ჰქონდა. მათ ასევე დეტალურად აღწერს ა. ლამბერტი.[2313]

2311 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 68-69.

2312 იქვე, 69.

2313 ა. ლამბერტი წერს: „ის ქურდები, რომელთაც ხელობით აქვთ სახლების გაქურდვა, ელოდებიან ისეთ დღეს, როცა მასპინძელს დიდი წვეულობა აქვს. ამ დღეს, როცა დაბნელდება, ქურდები შემოდიან ეზოში, მიიპარებიან სახლთან და ჭუჭრუტანებში, რომელიც ხის სახლს რასაკვირველია არ აკლია, უცქერენ თუ რა ხდება შიგ, მაგალითად, სადა დგას ყუთები, სად ინახება ქვაბები, სად ანყობენ სუფრის მონყობილობას და როდის-ღა დალაგდებიან დასაძინებლად. აქ დარაჯობენ იმ დრომდე, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ყველას კარგად დაეძინაო, მაშინ განგებ დამზადებულ რკინებით შეუდგებიან ნელ-ნელა სახლქვეშ მინის თხრას და გათხრიან ისეთ ორმოს, რომ კაცს ადვილად შეეძლოს იმაში ჩასვლა და მერე კარგად დატვირთული გარეთ გამოსვლა, მაშინვე კი არ შედიან სახლში, არამედ მასპინძლებს რომ არ გამოეღვიძოს ნაქურდალის გამოლაგების დროს, მკვდრის ძვალით აჯადოებენ, ამ ძვალით ნრეს შემოაყოლებენ სახლის ირგვლივ, რის შემდეგაც, მათის აზრით, მკვდრად გადაიქცევიან იმ დრომდე, სანამ ქურდები იპარავენ, მაგრამ ამ საშუალებას მთლად მაინც არ ენდობიან და ცდილობენ დარწმუნდნენ, მოჯადოებამ გასჭრა თუ არა. ამისათვის, როცა ორმოს ამოთხრიან, სახლს შემოუვლიან მკვდრის ძვალით და მზათ არიან სახლში შესასვლელად, ოდნავ ხმაურობას ატეხავენ და თუ სახლში მყოფთ გამოიღვიძეს, ქურდობას თავს დაანებებენ და გაიქცევიან, ხოლო თუ სახლში მიუხედავად ამ ხმაურობის მაინც სძინავთ, ქურდები კიდევ ფრთხილად არიან და ამ საშუალებას ცდიან: ჯოხზე ნამოაცმევენ გოგრას, რომელსაც დაახურავენ ქუდს და გათხრილის ხვრელით შეაძვრენენ, სახლში ვითომ კაცი შეგზავნესო. თუ შინაურებმა შენიშნეს იგი და დაინყეს ყვირილი: „ქურდები, ქურდებიო", მაშინ დააგდებენ გოგრას და თავს უშველიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არც ხმაურობაზე და არც გოგრის შეძვრენაზე არავინ არ დაიძრა სახლში, ქურდები მაშინ რწმუნდებიან, რომ ყველა მთვრალია და მაგარ ძილშია, უშიშრდ შედიან სახლში და გამოქცთ რაც მოეწონებათ. აგრე იქცევიან ისინი, ვისაც ხელობად სახლების გაქურდვა აურჩევია, არიან სხვები..... რომლებიც მარტო ცხენებს იპარავენ. ამათ საზოგადოდ არ შეუძლიათ თავისი ხელობა შეასრულონ, თუ შემნედ და პატრონად არ ჰყავთ

სამეგრელოში ქურდობის სეზონი ნოემბერში იწყებოდა და მთელი ზამთარი გრძელდებოდა, ზოგჯერ აპრილამდეც კი. ამ დროს მინდვრის და ბაღის სამუშაოები არ მიმდინარეობს, მდინარეები მცირეწყლიანი ხდება, რაც ხელს უწყობდა ქურდობას და მდინარის კალაპოტით ხორციელდებოდა იმერეთიდან აფხაზეთში ცხენების გაყვანა. ქურდობას სამეგრელოში ასეთი გაქანება ვერ ექნებოდა თავადაზნაურობის ხელშეწყობის გარეშე.[2314] ქურდობის მიმართ დამოკიდებულება სამეგრელოში შემდგომ პერიოდშიც არ შეცვლილა[2315] და როგორც დავინახეთ, XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორების მეხსიერებასაც კი შემორჩა.

გეხვდება მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ქურდობა სასახელო, თავმოსაწონ მოვლენად ითვლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ფშავში.[2316] მასალების მიხედვით, მსგავსი დამოკიდებულება ქურდობისადმი ხევსურეთის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებთან დაკავშირებითაც ვლინდება. მაგალითად, ეს ჩანს ხევსურულ სოფელ მუცოსთან დაკავშირებით. ამ სოფელთან ახლოს ქისტები ცხოვრობდნენ. ალ. ოჩიაურის მონაცემთა

რომელიმე თავადი ან დიდებული კაცი..... თუმცა ყოველგვარ ქურდობაში საჭიროა დიდებულთა შემწეობა, მაგრამ განსაკუთრებით ეს საჭიროა ცხენების ქურდობისათვის, როგორც ცხენების სხვა ქვეყნებში გადაყვანად, ისე მთავრის წინაშე გამოსასარჩლებლად, უკეთუ თავზე ბრალი დაატყდათ. გარდა ამისა ცხენების ქურდებმა უნდა იყოლიონ მომიჯნავე ქვეყნებში თავისი მონაწილეები. მაგალითად, თუ ქურდს უნდა სამეგრელოში კარგად ანარმოვოს თავისი ხელობა, უნდა იყოლიოს იმერეთში, ქართლში, კახეთში, გურიაში, აფხაზეთში და სვანეთში თავისი რწმუნებულნი, რომლებთანაც შეეძლოს საჭიროებისამებრ მოპარული ცხენები უშიშრად გაგზავნოს. ცხენების მოპარეა აქ არც არის ძნელი, რადგან დღე და ღამე ცხენები გაშეებულია საბალახოდ მინდორში. ქურდებს ერთი სიფრთხილე მართებს: რადგან ყველა ცხენი სამეგრელოში დადაღულები არიან, ქურდმა უნდა ამოირჩიოს ისეთი ცხენი, რომლის დაღი ადვილი წასაშლელი იყოს. ამისათვის ქურდებს პყავთ მზვერავები, რომელთაც უნდა გამონახონ პატარა დაღიანი ცხენი, რათა ადვილად შეიძლებოდეს ამ დაღის წაშლა და ან მეორე დაღის მასზე დასმა. ამ შემთხვევაში ქურდებს შიში აღარ აქვთ. ქურდები კიდევ ამ ხერხს ხმარობენ: შეიყრება ღამე სამი თუ ოთხი ამხანაგი; ორი მათგანი თოკს გაჭიმავს და შუაგზაზე დადგება, დანარჩენები კი ცხენებს იმათკენ გამოდენიან. შეშინებული ცხენები გაჭენდებიან და ეცემიან თოკს. ამ ცხენებს ქურდები მაგრად ჩააბამენ თოკს, შემდეგ შესხდებიან და გააჭენებენ საზღაერს იქით. რამდენიმე დღით მალავენ ამ ნაქურდალ ცხენებს და შემდეგ შეარჩევენ დროს და გადასცემენ თავის მონაწილეებს, რომელნიც ან სამაგიერო ცხენებს აძლევდენ ან ფულს, რომელსაც ამოიგებენ იმ მოპარულ ცხენების გაყიდვით. რაც შეეხება ხარებისა, ძროხებისა და ღორების ქურდებს, ამათ გაჭირვების და შეძენის სურვილი როდი ამოქმედებს, არამედ ღორმუცელობა. მართლაც, ძლიერ იშვიათია, რომ ქურდებმა ეს საქონელი შეინახონ. თითქმის ყოველთვის მოპარვის უმალ დაპკლავენ და შესჭამენ. მაგალითად, თავადებისა და დიდებულების ახლაგაზრდა ვაჟებს სირცხვილად არ მიაჩნიათ, რომ როგორც კი შეიტყობენ ამა და ამ ადგილს მსუქანი ძროხა პყავთო, მოიპარონ და მხიარულად შესჭამონ ამხანაგებთან ერთად. ამ პირუტყვების ქურდობის დროს ხმარობენ იმავე ხერხს, რასაც ხმარობენ სახლების გამქურდავები, რადგანაც აქაც საჭიროა მინის გათხრა, სახლში შესვლა, შიგნიდან ჩაკეტილი კარების გაღება და იქედან პირუტყვის გამოყვანა, ხოლო თუ საქონელი დღისით საბალახოზე გაშვებული როგორმე დაიბნა, ქურდი მას ბანრით მიაბამს რომელსამე მიყრუებულ ტყეში და როცა დაღამდება, ნაიყვანს სახლში, დაპკლავს და შესჭამს, შიგნეულობას და ძვლებს მიწაში ჩაფლავს, რათა არავითარი კვალი ნაქურდალისა არა ჩნდეს. მეტი სიფრთხილე მართებს ღორის ქურდს, რადგან ეს პირუტყვი ისეთის ბუნებისაა, რომ, როგორც კი ვინმე ხელს ახლებს, მაშინვე ისეთ ჭყვირილს გაამბამს, რომ ყველა გაიგონებს. ამის წინააღმდეგ აი რა საშუალებას ხმარობენ ქურდები: მიუახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც ღორები ყრიან და წაუგდებენ დიდ ლუქმა ჭადის ცომს, იმ დროს, როცა ღორი ამ ცომის გადაყლაპვას დააპირებს, ქურდები დინგზე სტაცებენ ხელს; უფრო ურჩს თოკით შეუბოჭვენ როგორც დინგს, ისე ფეხებსაც, შიგ გაუყრიან კეტს, რომლის შემწეობითაც ორი მათგანი გაიდებს მხრებზე და გააქანებენ სახლისკენ. როგორც კი მიელენ სახლში, მაშინვე დაპკლავენ და შესჭამენ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 69-71).

2314 К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VII, выпуск I, Тифлис, 1866. 30; ბოროზდინი, ერისთავი, შურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი და წაინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფილისი, 1927, 33.

2315 ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996, 163.

2316 იხ. ბ. აბაშიძე, მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1984, 139.

მიხედვით, ხევსურებსა და ქისტებს შორის ახლო ურთიერთობა, ნათესაობაც ყოფილა. ერთმანეთის ენაც კარგად იცოდნენ. განსაკუთრებით ხევსურებმა ქისტური. მათ ბევრი რამ ქისტებისგან ჰქონდა გადმოღებული: უფროს-უმცროსობა, სტუმრის დაცვა და სხვა. ასევე ქისტების მსგავსად ქურდობაც აუცილებლად მიაჩნდათ. ახალგაზრდა, რომელიც არ იქურდებდა, ის ვაჟკაცად არ ითვლებოდა.[2317] ალ. ოჩიაურის მასალების თანახმად ძველად ძალზედ გავრცელებული ყოფილა ქურდობა არხოტში,[2318] ბაცალიგოში. ალ. ოჩიაურის ინფორმატორის მიხედვით, ბაცალიგოს საბჭოში ბევრი ქურდი იყო, რომლებიც იპარავდნენ ყველა წვრილმანს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. ოჯახიდან იპარავდნენ ნივთებს, ყველს, ერბოს და სხვა.[2319]

ქურდობის ხშირ ჩადენას და გავრცელებულობას სხვა კუთხეების ინფორმატორებიც მიუთითებენ.[2320] ლეჩხუმელი ინფორმატორის მითითებით, მათში ცხენის ქურდობა იყო გავრცელებული და ხშირად კვალის ასარევად მოპარულ ცხენებს ნალებს უკუღმა აჭედებდნენ.[2321]

მოყვანილი მონაცემები არ ნიშნავს, რომ ასეთი დამოკიდებულება ქურდობისადმი საქართველოში საყოველთაო ხასიათს ატარებდა. ეთნოგრაფიულ მონაცემებში გვხვდება ქურდობისადმი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებაც, რაც ყველაზე ერთმნიშვნელოვნად საქართველოს მთის რეგიონებში ვლინდება. ალ. ყაზბეგი მოხევეებთან დაკავშირებულ ნერილში მიუთითებს: „იშვიათი არის მოხევეებისაგან ვინმემ ქურდობა დაიწყოს, რადგანაც ერთმანეთის შველა და შემწეობა თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ და კაცი, ვინც ქურდობას გამოუდგება, თვალის დასანახავად ეჯავრებათ."[2322] მწერალი შემდგომში აგრძელებს იგივე თემას: „საკვირველი ეს არის რომ, თუმცა გარშემო სულ ისეთი ხალხი ახვევიათ, რომლებიც თავის სიცოცხლეს ტაციაობაში და ქურდობაში ატარებენ, იმათი არავითარი გავლენა არ ჰქონიათ მოხევეებზედ, ვერ მოუხდენიათ; ამათ როგორც ტაციაობა, უსამართლობა და ქურდობა, აგრეთვე თვითონ ქურდები თვალის დასანახავათ ეჯავრებათ. კვირის კვირობამდინ მეცხვარის ბარგი ისე უპატრონოდ სადმე მთაში ჰყრია. ზედ ათასჯერ გაივლ-გამოივლიან მწყემსები და სხვა ხალხი, მაგრამ ხელს არავინ ახლებს....."[2323] ს. მაკალათიაც მიუთითებს, რომ ხევში ქურდობა, ყაჩაღობა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.[2324]

ნეგატიური დამოკიდებულება ჩანს ქურდობისადმი ფშავშიც. ფშაველი ინფორმატორის მითითებით ქურდობა განსაკუთრებით დიდი სირცხვილი იყო.[2325] ფშავში ქურდობისადმი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ჩანს ვაჟა-ფშაველას მონათხრობში იმის შესახებ, თუ რა გადმოცემის საფუძველზე შექმ-

2317 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/10, 112.

2318 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/12, 134.

2319 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 6/5, 60.

2320 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22, 36.

2321 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44-45.

2322 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, 29-30.

2323 იქვე, 32.

2324 ს. მაკალათია, ხევი, ტფ. 1934, 104.

2325 იხ. დ. ჯალაბაძე, დანაშაულის და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 142.

ნა მან თავისი ცნობილი ნაწარმოები – „გოგოთურ და აფშინა". ვაჟა წერს, რომ ფშაველ გოგოთურს ხევსურ აფშინასთან არავითარი შეტაკება არ ჰქონია, თუმცა პოეტს ზეპირგადმოცემით გაუგია ერთი შემთხვევა გოგოთურის ხევსურებთან შეტაკებისა. გოგოთურს ქურდობისას დაუჭერია ორი ხევსური, რომლებიც შეკონა და მიიყვანა საკუთარ სახლში. ცოლს ცეცხლზე წყალი დაადგმევინა და ძაღლების სალაფავი გააკეთებინა. შემდეგ ეს სალაფავი ჩაასხა ძაღლის გეჯაში, წინ დაუდგა ხევსურებს და უთხრა: „ცქქლიფეთ ეს ძაღლის სალაფავი, რადგან თქვენ ამის ღირსები ხართო!." ვაჟა ამ ამბავს ასეთ კომენტარს უკეთებს: „ხალხური თქმულება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, გოგოთურს ეჯავრება საშინლად ავაზაკობა, ქურდობა, სხვის დაჩაგვრაო. ეს არის მხოლოდ ხალხის ნათქვამი და აქედან დაიბადა ის „გოგოთური და აფშინა", რომელსაც ჰხედავთ და ჰკითხულობთ წიგნებში.....სასჯელი დანაშაულისათვის ნამდვილი გოგოთურისა, რაც მან ქურდ ხევსურებს მიუსაჯა თავისებურია, დამაფიქრებელი და შემარცხვენელი, გამასწორებელი, სინანულის აღმძრავი – ვფიქრობთ, ამგვარის სასჯელის შემდეგ ქურდმა აღარ უნდა გაბედოს ქურდობა, გოგოთური ხევსურებს არა სცემს, თუმც ესეც შეუძლიან, რადგან ხევსურები იმის ხელში არიან, არცა ჰლანძღავს, მხოლოდ ეუბნება: თქვენ ქურდებო, ღირსი ხართ, როგორც სხვის ოფლის მჭამელნი, სხვის ქონების მიმთვისებელნი, ძაღლის სალაფავს სჭამდეთო."[2326] გოგოთურის დამოკიდებულება ქურდობისადმი სრულიად შესაძლებელია განვაზოგადოთ და ფშაველთა მართლშეგნების გამოხატულებად მივიჩნიოთ. ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა სრულად გამოხატავენ შესაბამისად მოხევეთა და ფშაველთა დამოკიდებულებას ქურდებისა და ქურდობისადმი. ზუსტად ანალოგიური დამოკიდებულება ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კიდევ ერთ კუთხეში, თუშეთში. ამასთან დაკავშირებით ვ. ლაგაზიძე წერს: „ქურდობა მთელ თუშეთში უაღრესად სასირცხვილო და მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ქურდობა თუშეთში გვარისა და თემის აბუჩად აგდებას ნიშნავდა."[2327]

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ რამოდენიმე მონაცემი ხევსურეთის სინამდვილიდან ამ კუთხის ცალკეულ სოფლებში ქურდობისადმი დამოკიდებულების შესახებ. მასალებში გვხვდება საპირისპირო ცნობებიც. ბ. გაბუურის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ხევსურეთში ზოგადად ნეგატიური განწყობა იყო ქურდობის, განსაკუთრებით კი საკუთარ სოფელში ქურდობის მიმართ. პიროვნება თუ საკუთარ სოფელში იქურდებდა საზოგადოება მას დაახლოებით ერთი წელი გარიყავდა, ხოლო ქურდს ეტყოდნენ: „არ გცხვენისაევ, თავის სოფელში კაცმ რაგორ უნდა იქურდას?"[2328] ბ. გოგოჭურის მონაცემით კი ძველად ხევსურეთში ქურდობა ნაკლებად გავრცელებულ დანაშაულად ითვლებოდა და ამიტომ სახლის კარებს თითქმის არავინ კეტავდა.[2329] დ. ცისკარაულის მონაცემითაც ხევსურეთში ქურდები საკმაო რაოდენობით იყვენენ, მაგრამ ისინი გარეშე ხალხისგან ქურდობდნენ, ხოლო თვით ხევსურეთში რამის დაკარგვა იშვიათი მო-

2326 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 367-368.

2327 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966, დ. 299, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, 146.

2328 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნელინდეული", 1923-1924, 139.

2329 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 111-112.

ვლენა იყო, რამდენადაც ეს ქურდს ძვირად უჯდებოდა. ამიტომაც ხევსურეთში კარის დაკეტვის ადათი არ არსებობდა. ხევსურეთში გარე დერეფნებში ჩვეულებრივ ჩამოკიდებული იყო ხალიჩები, ფარდაგები, ქვაბები და სხვა ნივთები, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა მათი წაღება, მაგრამ ეს, როგორც წესი, არ ხდებოდა.[2330]

ხევსურეთში ქურდობისადმი ნეგატიური დამოკიდებულების კონკრეტული მაგალითი ჩანს ალ. ოჩიაურის მასალებში სოფელ ჯუთასთან დაკავშირებით. ალ. ოჩიაურის ინფორმატორის მითითებით აქ ჯუთაში ხალხი „გაქურდებული" იყო. ისინი იპარავდნენ ერთმანეთის ოჯახებიდან ერბოს, ცხვრებს და მრავალ წვრილმანს. ამ სოფელში ცხოვრობდა ვინმე ბაბუკა, რომლის ვაჟიშვილიც მცირე ასაკიდანვე ჩაუთრევიათ წვრილმან ქურდობებში. ბაბუკამ იუკადრისა ეს ამბავი და იფიქრა: „თუ ეს ბავშვი აქედან არ დავაშორე, ეს ხალხნი დამილუპავენო, ქურდობას ასწავლიანო." ბაბუკას დათვისში უყიდია სახლი და იქ გადასახლებულა.[2331] ეს კონკრეტული შემთხვევა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთი ჩვეულებრივი ხევსური თანასოფლელთა მიერ მისი ვაჟის ქურდობაში ჩაბმას უკადრისობს და ეს მოვლენა მისთვის შვილის შესაძლო დაღუპვის ტოლფასია. შვილი რომ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულიყო ქურდად, მან საცხოვრებელი ადგილიც კი შეიცვალა და სხვა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად.

ხევსურეთში ქურდობისადმი დამოკიდებულება ვლინდება ასევე იმაშიც, რომ რელიგიური დღესასწაულის დროს ხატობაზე შეკრებილი ხალხის წინაშე ხუცესი მოღალატესთან, სოფლის გამტეხთან ერთად დაარისხებდა, ე. ი. დაწყველიდა ქურდსაც.[2332] როდესაც ვინმე განაცხადებდა, რომ მას რაღაც მოპარეს, ხუცესი ითხოვდა როგორც ქურდის, ისე მისი დამფარავის დასახელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაარისხებდა მათ.[2333] სოფელში თუ რაიმე დანაკარგები იქნებოდა გამოაცხადებდნენ რომ ნაქურდალი უკან დაებრუნებინათ. არავის რომ გაეგო ვინაა ქურდი, სპეციალურად ადგილს დათქვამდნენ, სადაც ღამით უნდა გადაეგდო ნაქურდალი მომპარავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ დღეობაზე მოხდებოდა ქურდის დარისხება.[2334] ქურდის საჯარო დარისხების წესი, მითუმეტეს საზოგადოების მოღალატესთან ერთად, ძალზედ დამაჯერებელი არგუმენტია ხევსურეთში ქურდობისადმი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულების დასამტკიცებლად.

უაღრესად დასაძრახ მოვლენად ითვლებოდა ქურდობა სვანეთშიც. ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ფიქსირდება (XIII-XVI საუკუნის „სვანეთის საისტორიო ძეგლებში") და XIX-XX საუკუნის მონაცემებითაც დასტურდება. მაგალითად, ერთ-ერთი ძეგლის, კერძოდ, „დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი ერთობილისა ლაჰილისა ჴევისა" შინაარსის მიხედვით, კარგად ჩანს, რომ ქურდობა უაღრესად დასაგმობი საქმე იყო.[2335] ამ დანაშაულისათ-

---

2330 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 30-31.

2331 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/12, 134.

2332 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74.

2333 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მილმახევი, თბ., 2005, 366.

2334 იქვე, 367.

2335 იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 59-60.

ვის აღნიშნული ძეგლების მიხედვით საკმაოდ მძიმე სასჯელები გვხვდება.[2336] ხევსურეთის მსგავსად სვანეთშიც ფიქსირდება რელიგიურ დღესასწაულებზე ქურდების საჯარო დაწყევლა. მ. კეკელიას ინფორმატორი იხსენებს, რომ სამ წელიწადში ერთხელ ბალსზემო სვანეთის მცხოვრებნი კალაში, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში იფიცებდნენ რომ არაფერი მოუპარავთ და არც სხვის მიერ ჩადენილ ქურდობაზე იციან რამე. დაფიცება, როგორც სვანეთში მიღებული წესია, ხდებოდა გარცამის (დაწყეველის) პასუხად. ერთი პირობა იტყოდა, რომ წყეული იყოს ის, ვინც რაიმე იცის ქურდობის შესახებ და არ იტყვისო. ხალხი „ამინ", პასუხობდა."[2337] მეორე ინფორმატორიც მიუთითებს, რომ რელიგიური დღესასწაულისას ხდებოდა სხვა დანაშაულის ჩამდენთა გარდა ქურდის (არა აქვს მნიშვნელობა საქონლის თუ სხვა რამის) სახალხოდ დაწყევლა.[2338] ქურდის (ისე როგორც მომავალში ქურდობის ჩამდენის) საჯარო დაწყეველა კარგად გამოხატავს სვანების ნეგატიურ დამოკიდებულებას ქურდობისადმი. როგორც ვხედავთ, სვანური საზოგადოება გარკვეული პერიოდულობით განსაკუთრებულ ღონისძიებას ატარებდა ქურდობის გამოსავლენად და მის თავიდან ასაცილებლად. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდებოდა მაშინ, როდესაც სვანეთში ძალიან გახშირდებოდა ხოლმე ქურდობა. მაგალითად, ასეთი ვითარება შექმნილა ბალსზემო სვანეთში 1912 წელს. ეგ. გაბლიანი ამას უკავშირებს სახელმწიფო მოხელეების, კერძოდ, ბოქაულების უმოქმედებას, რომლებიც ლოთობას იყვნენ გადაყოლილნი. შედეგად ძალზედ გავრცელდა ქურდობა და ბევრი სვანური ოჯახი დარჩა მარჩენალი ძროხის თუ ხარის გარეშე. ეგ. გაბლიანის თაოსნობით კალის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში შეიკრიბა 15-50 წლის ყველა მამაკაცი, სულ დაახლოებით 3000 კაცი. ეკლესიიდან გამოიტანეს „შალიანის" ხატი (სვანების რწმენით ყველაზე ძლიერი ხატი), რომლის წინაშეც მოხდა დაფიცება. ფიცს ტრადიციულად წინ უძღვოდა წყეველა იმ ქურდებისა, რომლებიც არ აღიარებდნენ თავის ნამოქმედარს. დამფიცებლებმა წყეველის პასუხად წარმოთქვეს „ამინ". შემდეგ დაიწყო ხალხის დაკითხვა და გამოვლენილ იქნა ქურდობის 750 ფაქტი. ამას შედეგად მოყვა ის, რომ თითოეულ თემში შექმნილმა ორ-ორ კაციანმა კომისიამ ქურდებს ჩამოართვა ნაქურდალის ორმაგი ოდენობა და დაზარალებულებს ჩააბარა. ამის შემდეგ ხალხმა დაიფიცა რომ ხუთი წლის განმავლობაში აღარ მოიპარავდა.[2339] ეგ. გაბლიანი ამ ამბის მოყოლისას გახშირებულ ქურდობებს ბოროტებად მოიხსენიებს,[2340] რაც კარგად გამოხატავს დამოკიდებულებას ამ დანაშაულისადმი. ქურდის გამოსავლენად თუ ქურდობის აღმოსაფხვრელად საშინელი წყევლის გამოყენება ცალსახად მიანიშნებს თუ რამდენად დასაგმობი ქმედება იყო სვანეთში ქურდობა. ამ მონაცემიდან ასევე კარგად ჩანს, რომ შესაძლებელია გარკვეულ თემთაშორის გაერთიანებას გაეტარებინა საერთო სადამსჯელო ღონისძიებები ქურდობის წინააღმდეგ. კერძოდ, ბალსზემო სვანეთის თემების საერთო ყრილობას მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით ჩადენილი ქურდობების გამოსავლენად, მიყე-

---

2336 იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 5, 59-60.

2337 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 24-25.

2338 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 91.

2339 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 88-89.

2340 იქვე, 88.

ნებული ზიანის ასანაზღაურებლად და შემდგომში ქურდობების თავიდან ასაცილებლად მიეღო გარკვეული ზომები.

სვანეთში ქურდობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება 2015 წელს ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება.[2341]

ქურდობის მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთი მესხი ინფორმატორის თქმით, მათთან ქურდობა იშვიათად ხდებოდა. მისი განმარტებით, ქურდისთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო ის რომ მას საზოგადოებაში ქურდის სახელი გაუვარდებოდა, რისი მოცილებაც ძნელი იყო. მისი განმარტებით, ქურდის სახელის ქონას სიკვდილი სჯობდა. არავის სურდა ქურდის სახელის მქონე ოჯახიდან ქალის წაყვანა, ან ამ ოჯახის წევრზე ქალის გათხოვება.[2342] აჭარაშია დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც გასული საუკუნის დასაწყისში ვინმე ხასან ინან-ოღლიმ (ფაღავამ) რადგანაც თავის შვილს, მემედს, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა ვერ მოაშლევინა ქურდობა, გაბაწრული ბათუმში წაიყვანა და ადმინისტრაციას ჩააბარა.[2343] ეს საქციელი შეიძლება იმით აიხსნას, რომ შვილის ქურდობა შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი აღმოჩნდა აჭარელისთვის. როგორც ვხედავთ, აჭარაში დაფიქსირებული მასალა არაერთგვაროვან დამოკიდებულებას გვიჩვენებს ქურდობისა და ქურდების მიმართ. სხვა კუთხეების წარმომადგენელი ინფორმატორებიც აცხადებენ რომ მათთან ქურდობები ნაკლებად ხდებოდა (მათ შორის იმ კუთხეებიდანაც, რომელთა სხვა წარმომადგენლები პირიქით, ქურდობის სიხშირეს უსვამენ ხაზს).[2344] ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ერთი კუთხის სხვადასხვა სოფელში, სხვადასხვა პერიოდში ქურდობის სიხშირე შესაძლებელია განსხვავებული ყოფილიყო.

ზოგიერთ კუთხეში იმის გარდა რომ ქურდობა ზოგადად სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა, განსაკუთრებით საძრახისად მიიჩნეოდა ზოგიერთი რამის მოპარვა. მაგალითად, ხევსურეთში ფქვილის,[2345] სვანეთში ეგ. გაბლიანის მიხედვით, ყველისა და კვერცხის.[2346]

საქართველოში ხალხი ქურდის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ტრადიციული იუმორითაც გამოხატავდა. მაგალითად, გურიის სოფელ საჭამიასერში ყოფილა ერთი პიროვნება ვარდენია ზ., რომელიც არაყს იპარავდა. ქურდობის გამო მას სახელმწიფომ თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა. სოფელში დაბრუნების შემდეგ საზოგადოებას მის მიმართ არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია, მხოლოდ ლექსი გამოუთქვეს: „ვარდენია, ვარდენია, შენ რომ ვოტკა

2341 იხ. ს. ონიანი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 56; ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 213-214.

2342 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №1, 79.

2343 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №445, ბათუმი, 1965, 3.

2344 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 70; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 43, 48.

2345 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 6/5, 60.

2346 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 112.

მოგიპარავს, გრადუსობით რამდენია?"[2347] სამტრედიის ერთ-ერთ სოფელში კი ცხოვრობდა ქათმების ქურდი, რომელიც ვერაფრით გამოსწორდა. გარდაცვალების შემდეგ თანასოფლელებმა მიუტანეს ქათმის ბუმბულებით გაკეთებული გვირგვინი.[2348]

როგორც ვხედავთ, საკმაოდ განსხვავებული მონაცემები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქურდობისადმი დამოკიდებულების შესახებ. ქურდობის ვაჟკაცობად, სასახელო საქმედ მოხსენიება გარკვეული მასალების მიხედვით სახეზეა და ამის იგნორირება შეუძლებელია. მაგრამ ძირითადად, ქურდობა ზნეობრივი თვალსაზრისით ნეგატიურად არის შეფასებული და როგორც მოტანილი მონაცემების მიხედვით გამოჩნდა სამარცხვინო, დასაძრახ, დასაგმობ საქმედ არის მიჩნეული. ქურდობის ვაჟკაცობად აღქმა ცალკეული კუთხის, სოფლის თუ ინდივიდისთვის დამახასიათებელ მოვლენად და შესაბამისად საქართველოს მასშტაბით გამონაკლის შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ. უპირატესად კი საქართველოში ქურდობის მიმართ უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება გვხვდება, რაც ჩვენს მიერ მოტანილი მონაცემებითაც ცალსახად დასტურდება.

ქურდობის მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება სამართლებრივი თვალსაზრისითაც ვლინდება. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქურდობა აბსოლუტურად ყველგან, მიუხედავად მის მიმართ ზნეობრივი კუთხით დამოკიდებულებისა, საკმაოდ მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით არაერთგზისი, სისტემატური ქურდობა. ქვემოთ ვნახავთ რომ ქურდობისათვის ქონებრივი საზღაურის გარდა ჩვეულებითი სამართლის თანახმად, შესაძლოა გამოყენებულიყო ისეთი მძიმე სასჯელები, როგორიცაა მოკვეთა (ბოიკოტის გამოცხადება), გაძევება, და სიკვდილით დასჯაც კი. აღნიშნული გარემოება ყველაზე უკეთ წარმოაჩენს საზოგადოების დამოკიდებულებას ქურდობისადმი. სამეგრელოშიც კი, სადაც ყველაზე მეტი მონაცემი გვხვდება ქურდობისადმი ზნეობრივი თვალსაზირისით არც თუ ნეგატიური დამოკიდებულებისა, ქურდობა ერთ-ერთ უძმიმეს დანაშაულად ითვლებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი ცხენის და ხარის ქურდობას მკვლელობისა და გაუპატიურების გვერდზე უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიაკუთვნებს, რასაც ყველაზე მძიმე სასჯელი შეიძლება მოჰყვეს.[2349] სამეგრელოში ქურდობის დიდად გავრცელებულობის გამო, ქურდების მიმართ განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება მძიმე სასჯელთა დაკისრების სახით ჯერ კიდევ სამეგრელოს სამთავროს პირობებში ხდებოდა. მაგალითად, XVII საუკუნის ერთ-ერთი იტალიელი მისიონერი წერს, რომ სამეგრელოში ქურდებს ქონებას ჩამოართმევენ, ცალი ხელით ხეზე კიდებენ, ხელ-ფეხს აჭრიან, თვალებს თხრიან.[2350] იგივე პერიოდის კიდევ ერთი იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ცნობითაც, ქურდს ჩვეულებრივ ხელ-ფეხს მოჭრიდნენ, ხოლო ქონებრივი საზღაურის სახით დამნაშავეს ნაქურდალის თხუთმეტმაგი ოდენობა

2347 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 15.

2348 იქვე, 18.

2349 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

2350 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ნერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, თბ., 1964, 88.

უნდა გადაეხადა.[2351] სამეგრელოს მთავართა მიერ ქურდობისას მძიმე სასჯელების დაკისრება სამთავროს არსებობის ბოლო პერიოდამდე გაგრძელდა. მაგალითად, ძალზედ აქტიურად ებრძოდა ქურდობას დავით დადიანი და გარკვეულ შედეგებს მიაღწია კიდეც.[2352] ბოროზდინის მითითებით, დავით დადიანი თავიდან ძალზედ მკაცრ ღონისძიებებს ატარებდა ქურდების მიმართ: ხუნდებს უყრიდა, სამეგრელოდან აძევებდა, ერთი ქურდისთვის კი ძველი ჩვეულების მიხედვით ხელი მოაკვეთინა. ყოველივე ეს მთავარმართებელ გრაფ ვორონცოვს გაუგია და დიდი საყვედური უთქვამს მისთვის. ამის შემდეგ მთავარს ქურდების დასჯის წესი შეუცვლია, მაგრამ ამას უარესი შედეგიც კი მოჰყოლია. მთავარმა დაჯარიმება შემოიღო და ნაქურდალის ხუთმაგი ანაზღაურება დააწესა.[2353] ამ მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ სამეგრელოში ქურდობის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება არსებობდა და მისი მთავრები ქურდობას ებრძოდნენ როგორც უძმიმეს სენს. ეს მიუთითებს რომ სამეგრელოში ნებისმიერი სახის ქურდობა დანაშაულად, დასჯად ქმედებად ითვლებოდა, რის გამოც შეუძლებელია იგი მისაღებ, წესად ქცეულ მოვლენად ჩათვლილიყო, მიუხედავად მის მიმართ ზემოთმოყვანილი დამოკიდებულებისა. იგივე ითქმის საკვლევ პერიოდში ქურდობისადმი ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის დამოკიდებულებაზეც, რომლის მიხედვითაც, სამეგრელოში ქურდის მიმართ საკმაოდ მძიმე სასჯელების დაკისრება ხდებოდა. საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქურდობისა და ქურდებისადმი სამეგრელოში იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ხალხი ქურდს მოიხსენიებდა სიტყვით – „მახინჯი".[2354]

ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი ქურდობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად იხსენიებს,[2355] რაც კარგად გამოხატავს ამ კუთხის საზოგადოების დამოკიდებულებას ქურდობისადმი.

ინფორმატორები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ეკლესიასთან დაკავშირებული ნივთების მოპარვის საძრახისობაზე და ასეთ შემთხვევებში ქურდის ოჯახზე დამტყდარ უბედურებას სწორედ ეკლესიის ქონების ხელყოფას უკავშირებენ. მაგალითად, ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას მისი მეზობლის მიერ ჯრუჭის მონასტრის ნანგრევებიდან მასალების მოპარვის შესახებ, რასაც მოჰყვა მისი ცოლის და შვილის დაღუპვა. ინფორმატორი იქვე მიუთითებს რომ ეკლესიის ეზოში ახლაც აწყვია იქიდან მოპარული მასალები და სხვადასხვა ნივთები, რაც ღვთის რისხვის შიშით დაუბრუნებიათ უკან ქურდებს.[2356] კიდევ ერთი ინფორმატორის მიხედვით კი მოუპარავთ ეკლე-

2351 ა. ლამბერტი, სამეგრელო აღწერა, თბ., 1938, 73-74.

2352 К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VII, выпуск I, Тифлис, 1866, 31; ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996, 163.

2353 К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VII, выпуск I, Тифлис, 1866, 31; ბოროზდინი, ერისთავი, მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი და წაინასწყვაობა თ. სახოკიასი, ტფილისი, 1927, 34; ამ ღონისძიებამ უარესი შედეგი გამოიღო – ქურდობა კიდევ უფრო გახშირდა. ჩამოყალიბდა კორპორაცია, რომელიც ქურდის დაჭერის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იხდიდა ერთი ცხენისთვის ხუთს და დაუყონებლივ ამ დანაკლისის შესავსებად ახალ ქურდობას მიმართავდა. რადგან პოლიციას ანყობდა ჯარიმის ოდენობის გაზრდა, იგი არასდროს აკეთებდა ქურდობის პრევენციას და მისი ჩადენის შესაძლებლობას იძლეოდა (კ. ბოროზდინი, იქვე).

2354 К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VII, выпуск I, Тифлис, 1866, 33.

2355 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 79.

2356 იქვე, 73-74.

სიის სპილენძის სახურავი, რისგანაც გაუკეთებიათ თუნგი და სხვა ნივთები. ინფორმატორის რწმენით, ღმერთმა დასაჯა ქურდი, რაც მისი ოჯახის ამოწყევეტაში გამოიხატა.[2357]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქურდობისადმი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს მთიანეთში. ჩვენს მიერ მოტანილ მონაცემებში კარგად გამოჩნდა, რომ ქურდობისადმი ასეთი დამოკიდებულება არსებობდა სვანეთშიც და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფაქტიურად ყველა კუთხეში. ფშავში ქურდობის სასახელო საქმედ ჩათვლის შესახებ ბ. აბაშიძის შეხედულების უსაფუძვლობა სათანადოდ დაასაბუთა დ. ჯალაბაძემ.[2358] ხევურეთის სოფელ მუცოში ქურდობის ვაჟკაცობად აღქმა, რაც ალ. ოჩიაურის ზემოთმოყვანილ ცნობაში გამოჩნდა, ქისტური გავლენით არის ახსნილი. როგორც სხვა მონაცემებით გამოჩნდა, ხევსურეთში ძირითადად ისეთივე ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდა ქურდობისადმი, როგორიც ხევში, თუშეთსა, თუ ფშავში.

საქართველოს მთიელებზე ქისტების და ზოგადად ჩრდილოკავკასიელების გარკვეული გავლენა, ცხადია, არსებობდა და ეს შესაძლოა გარკვეულწილად ქურდობისადმი დამოკიდებულებაზეც ასახულიყო.

ჩრდილოკავკასიელ მთიელთა დამოკიდებულება ქურდობის მიმართ სხვადასხვა ავტორთა მიერ ძირითადად ერთგვაროვნადაა წარმოჩენილი. XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი რუსი მეცნიერი თ. ლეონტოვიჩი აღნიშნავს, რომ ქურდობა კავკასიელ მთიელებში აღიქმება ვაჟკაცობად და განდიდებულია სიმღერებში, ლეგენდებში. მასპინძელი სტუმარს პატივისცემის ნიშნად მაქსიმალურ სიამოვნებას მიანიჭებს, თუ მას საქურდლად წაიყვანს, იქნება ქურდის გზამკვლევი, ნაქურდალს დამალავს, თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას სტუმრის ქურდობისათვის.[2359] სხვაგან ჩერქეზებზე საუბრისას იგივე ავტორი მიუთითებს, რომ ქურდობა და მტაცებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთიელთა ცხოვრებაში. მისი განმარტებით, ჩერქეზს სურს მიბაძოს თავის სახალხო ნართებსა და რაინდებს, რომელთა მტაცებლობა ხალხურ სიმღერებშია ასახული. ქურდობა, მტაცებლობა აქ ითვლება საპატიო საქმიანობად. ქურდები პატივცემულნი არიან მთიელთა მიერ, რადგანაც ისინი საზრდოობენ ხალხის საომარი სულით და ავითარებენ ყველა იმ თვისებას, რაც აუცილებელია დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ყველა თხოვნა მთიელებისადმი შეწყვიტონ მტაცებლობა იწვევს პასუხს: რა მოგვივა ჩვენ, როცა შევწყვეტთ მტაცებლობას? ჩვენ მეომრებიდან მწყემსებად ვიქცევით. მტაცებლობას დიდი ადგილი უკავია მთიელთა ცხოვრებაში. ჩერქეზებისათვის მტაცებლობა დღესდღეობით ქონების დაგროვების და კარგი სახელის ქონის ერთადერთი საშუალებაა. ჩერქეზი ბავშვობიდან ეჩვევა იარაღს და ცხენს, 16 წლიდან იწყებს საქურდლად სიარულს. როგორც უმცროსი, იგი ღამე უნდა იცავდეს ცხენებს, იზრუნოს მათ საკვებით მომარაგებაზე, ემსახუროს მტაცებლებს და სხვა. მრავალგზის მონაწილეობას თავდასხმებში და სიმამაცის გამოჩენას ნაქურდალის შენარჩუნებაში ახალგაზრდა მთიელისათვის მოჰქონდა სახელი და პატივისცემა. იწყებენ მის მიწვევას ყველა მტაცებლურ ღონისძიებაში. თავდასხმებში გამორჩეული

2357 ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 61.

2358 იხ. დ. ჯალაბაძე, დაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 142.

2359 Ф. Леонтович. Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 178-179.

თვითონ იწყებს ჯგუფის შეგროვებას. შეგროვილ მონაწილეთა რაოდენობა მისი ღირსების მაჩვენებელია. სირთულე და ხიფათი თავდამსხმელისთვის მეტი დიდების მომტანია. ქორწინების შემდეგ ჩერქეზი აგრძელებს მტაცებლობას. ასე გაივლის მისი საშუალო წლები. იგი ბოლოს და ბოლოს ასრულებს მტაცებლობას და ეკიდება მეურნეობას.[2360] აღსანიშნავია რომ ჩრდილოკავკასიელთა ანალოგიური დამოკიდებულება ქურდობისადმი ალ. ოჩიაურის მასალებში კარგად ჩანს. ერთგან იგი მიუთითებს, რომ ქისტებს „ბუნებრივად თანდაყოლილი ქონდა ქურდობა და ყაჩაღობა. ვისაც ეს არ შეეძლო, იმას კაცად არ სთვლიდნენ და ქალიც კი არ გაყვებოდა ცოლად. ასეთ კაცზე ქისტის ქალი იტყოდა: ისიც ქალია და მეც ქალი ვარ, ვაჟკაცობის თავი მაგას არა აქვს და ცოლად რად გავყვებიო.“[2361] ქისტებში ყველაზე დიდ ავტორიტეტებად სწორედ ქურდები და ყაჩაღები ითვლებოდნენ.[2362]

ამ მონაცემებით კარგად ჩანს, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ქურდობა ვაჟკაცობად ითვლებოდა და ფაქტიურად მათი მეომრული თვისებებისა და სულის ჩამოყალიბების საშუალებას წარმოადგენდა. ქურდობა (მტაცებლობა) აქ მამაკაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახლდათ და სახელისა და ქონების მოპოვების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა.

ამავე დროს უცილებელად უნდა გავითვალისწინოთ რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ასეთი დამოკიდებულება ვრცელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ გვარის, სოფლის, თემის გარეთ, სხვაგან ჩადენილი ქურდობისა და მტაცებლობისადმი (ძარცვა-ყაჩაღობისადმი). ქურდობა საკუთარი გვარის, სოფლისა თუ თემის შიგნით კი პირიქით, უაღრესად ნეგატიურ ქმედებად აღიქმებოდა. თ. ლეონტოვიჩს მოჰყავს ლიულეს დაკვირვება შაფსუღებსა და ნათუხაებში ქურდობის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, ლიულეს შეფასებით, ამ ტომებში ქურდობად ითვლებოდა სხვისი ქონების ხელყოფა, თუ ის ჩადენილი იქნებოდა თავისიანებში. ამაში იგულისხმებოდა როგორც საკუთარ თემში ქურდობის ჩადენა, ასევე სხვა თემებშიც, თუ ამ თემებს შორის დადებული იყო ფიცი ეცხოვრათ კეთილმეზობლურად და თანხმობით. აღნიშნული ურთიერთობა ერთმანეთში ქურდობის აკრძალვასაც გულისხმობდა. ასეთი ვალდებულება დგინდებოდა სხვადასხვა გვარებსა და თემებს (ტომში შემავალ ყველა გვარსა და თემს), თვით ტომებს შორის და მტკიცდებოდა მათი წარმომადგენლების დაფიცებით. ასეთი ვალდებულება არსებობდა შაფსუღებს, ნათუხაელებს და აბაზეხებს შორის. როდესაც ასეთი ვალდებულებები არ შეელოდა მოსახლეობას თავისიანების ძარცვა-გლეჯვისაგან, კერძოდ, ძლიერი გვარებისაგან, ჩერქეზული სამართალი ასეთი შემთხვევისათვის აწესებდა საყოველთაო ფიცს, რომელსაც ახორციელებდნენ საპატიო უხუცესები. ისინი მიდიოდნენ იმ ადგილებში, სადაც მეტი არეულობა იყო, გამოიტანდნენ ყურანს და ყველას აფიცებდნენ. თითოეული სათითაოდ იფიცებდა და იღებდა ვალდებულებას მიეთითებინა არეულობის ყველა გამომწვევი და თვითონაც ელიარებინა საკუთარი დანაშაულები, თან დადგენილი წესები მომავალშიც დაეცვა. ამის საწინააღმდეგოდ, თუ ქურდობა ჩადენილი იქნებოდა სხვაგან (იმ ტომში რომელთანაც ქურდის ტომს

2360 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.1, Одесса, 1882, 169-170.

2361 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/14, 160.

2362 იქვე, 161.

არ ჰქონდა ზემოთაღნიშნული ფიცი დადებული), ამას უყურებდნენ როგორც მოხერხებულობის გამოვლენის საუკეთესო საშუალებას. სხვაგან ქურდობა ვაჟკაცობად ითვლებოდა, სახელს უთქვამდა პიროვნებას (ასეთ პიროვნებებს სიმღერებსაც კი უძღვნიდნენ). ამ შემთხვევაში არავითარი ჯარიმა არ ყოფილა დანესებული და მხოლოდ ნაქურდალის (ან მისი ღირებულების) დაბრუნებას ექნებოდა ადგილი.[2363] იგივე დამოკიდებულება ჩანს მ. კოვალევსკის მიხედვითაც. მისი თქმით, ჩრდილოკავკასიელ მთიელებში არსებობს მკეთრი მიჯნა გვარის შიგნით და გარეთ ჩადენილ ქურდობებს შორის. ეს უკანასკნელი, მაგალითად, ყაბარდოელებსა და ჩეჩნეთში სასახელო იყო. ახალგაზრდა გოგო სიხარულით არ მისთხოვდებოდა ადამიანს, რომელსაც ორი-სამი თავდასხმა მაინც არ ჰქონდა განხორციელებული პირუტყვისა და ცხენების გამოსარეკად. მთიელთა ადათები შორსაა იმ აზრისაგან, რომ ქურდობა უცხო გვარში ჩაითვალოს დანაშაულად. უმრავლეს შემთხვევაში, ქურდის აღმოჩენისას, კმაყოფილდებიან იმით, რომ ხდება მოტაცებულის დაბრუნება, ან მისი ღირებულების ანაზღაურება. სხვა საქმეა, თუ ქურდობა ჩადენილია თანამოგვარის მიმართ. ასეთი ქურდების მიმართ ჩვეულებრივ გამოიყენება ნაპარევის ღირებულების შვიდმაგად და მეტად ანაზღაურება.[2364] საკუთარ ტომში ქურდობისათვის შვიდმაგ ანაზღაურებას ვხვდებით ჩერქეზულ ჩვეულებით სამართალშიც. სხვაგან ქურდობას აქაც ნაქურდალის დაბრუნების გარდა სხვა რაიმე ანაზღაურება არ მოჰყვებოდა.[2365] ოსურ ჩვეულებით სამართალში სხვაგან ქურდობა XIX საუკუნის 30-40-იან წლებშიც კი ასევე არ ინვევდა რაიმე ანაზღაურებას, გარდა ნაქურდალის დაბრუნებისა. თავისიანებში ქურდობა კი ნაქურდალის ხუთმაგი ოდენობის ანაზღაურებით ისჯებოდა.[2366] შაფსუღებშიც მკეთრად განსხვავებული პასუხისმგებლობა ფიქსირდება თავისიანებსა და სხვაგან ქურდობას შორის.[2367]

მოტანილი მონაცემები, რომლებიც ძირითადად XIX საუკუნეშია დაფიქსირებული, გვიჩვენებს, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა წარმოდგენით ქურდობა (მტაცებლობა) სხვაგან (სხვა გვარში, თემში, ტომში) დანაშაულად არ ითვლებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ ქურდის დადგენის შემთხვევაში დამნაშავეს უნდა დაებრუნებინა მხოლოდ ნაქურდალი (ან მისი ღირებულება), ანუ უნდა მომხდარიყო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავისიანებში ქურდობა კი ჩვეულებრივ დანაშაულად ითვლებოდა. ამას მიუთითებს ასეთი ქურდობისათვის გათვალისწინებული საკმაოდ დიდი ქონებრივი საზღაური, ასევე თავისიანებში გახშირებული ქურდობის აღსაკვეთად საზოგადოების მიერ საყოველთაო ფიცის დადება. ზნეობრივი თვალსაზრისით, სხვაგან ქურდობა დადებითად ფასდებოდა, ხოლო თავისიანებში ქურდობა პირიქით, ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა. მ. კოვალევსკის განმარტებით, ასეთი დამოკიდებულება დამახასიათებელია გვროვნულ-თემური წყობილებით მცხოვრები ტომებისათვის და ასეთი შეხედულება მათ უყალიბდებათ ერთმა-

---

2363 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.1, Одесса, 1882, 14-15, 17.

2364 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М., 1888, 41-42.

2365 Тифлисские ведомости, 1829, №25, 3.

2366 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 159; Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.1, Одесса, 1882, 17; Т.2, Одесса, 1883, 5.

2367 კ. ოკუჯავა, შაფსუღური ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2006, 68.

ნეთისაგან დამოუკიდებლად.[2368] მ. კოვალევსკი კარგად ხსნის ასეთი დამოკიდებულების მიზეზებსაც. მისი თქმით, სხვაგან ქურდობა ასეთი ტომებისათვის არაფრით განსხვავდებოდა მტრისათვის ნადავლის წართმევისაგან და ამდენად ითვლებოდა საქებარ მოქმედებად. თუ ქურდობა თავისიანებში ხდებოდა, იგი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არღვევდა შიდა სიმშვიდეს, ამიტომ წარმოადგენდა მოქმედებას, რომელიც საშიშია საზოგადოების სიმშვიდისა და თანხმობისათვის, რის გამოც მის წინააღმდეგ მიღებული უნდა ყოფილიყო მკაცრი ზომები. მთელი რიგი ხალხები, რომელთაც იგივე შეხედულება ქონდათ ქურდობაზე, ქურდს იძულებით აძევებდნენ. სხვაგან, მათ შორის ოსებში, ქურდს აძლევდნენ საშუალებას გამოესყიდა დანაშაული და საზოგადოებრივი დაშინების მიზნით ზრდიდნენ დაზარალებულის სასარგებლო გადასახადს. ამავე დროს ადგილი ჰქონდა გარკვეული ჯარიმის ამოღებას საზოგადოების სასარგებლოდ.[2369]

ჩრდილოკავკასიელი მთიელები ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს ქართველ მთიელებზე, ძირითადად პირუტყვის დაუფლების მიზნით, რასაც ცხადია, წინააღმდეგობა და ერთმანეთისადმი ზიანის მიყენებაც (მკვლელობა, სხეულის დაზიანება) მოჰყვებოდა. არცთუ იშვიათად ქართველი მთიელებიც ესხმოდნენ თავს, როგორც ჩრდილოკავკასიელ, ისე სხვა ქართველ მთიელებს. შედეგად ურთიერთდაბეგვრასაც ჰქონია ადგილი. მაგალითად, ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ფშაველებს მტრობა ჰქონიათ მეზობელ ტომებთან: თუშებთან, ლეკებთან და განსაკუთრებით, ხევსურებთან და ქისტებთან. ფშაველები ვაჟკაცურად უხვდებოდნენ ქისტ მეკობრეებს და თავიანთი ბელადების მეთაურობით ქისტეთში გადადიოდნენ მათი ცხვარ-საქონლის მოსატაცებლად. ფშაველების ეს თარეში აულაგმია ქისტების ბელადს მუცუელ თორღვას, რომელსაც ფშაველებისათვის ბეგარა დაუკისრებია. ფშაველები ამ ბეგარისაგან შეწუხებულებან და ბოლოს ეს თორღვა ფშაველ ბოთას მოუკლავს.[2370] ალ. ოჩიაური ზეისტეჩოელ ახალგაზრდებში ქურდობის გავრცელებულობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ისინი საქურდლად მეზობელ მთიელებშიც კი მიდიოდნენ და იპარავდნენ პირუტყვს, ეცემოდნენ მცხოვრებლებს და ტეხდნენ სახლებს.[2371] ხანდახან ხევსურეთში ქურდებად და ყაჩაღებად გვევლინებოდნენ ყოფილი ამანათები, რომლებიც თავის დროზე ხევსურებმა შეიფარეს. მათ კარგად იცოდნენ გზები და ამას მთიდან ხარ-ცხენის მოსატაცებლად იყენებდნენ.[2372] მაგალითად, ერთმა ქისტურმა ოჯახმა დიდხანს იცხოვრა არხოტში. მათ რამოდენიმე შვილი ჰყავდა და ქართულადაც თავისუფლად საუბრობდნენ. დიდი ხნის შემდეგ აყრილან და ისევ წასულან ქისტეთში. ამ ოჯახის შვილები გამოსულან „ჩვეულებრივ ქისტზე მეტი ქურდები". როგორც ხევსურეთში გაზრდილებმა კარგად იცოდნენ გზები როგორც არხოტში, ასევე, ბუდე ხევსურეთის. დაიწყეს ხევსურეთიდან ხარებისა და ცხენების პარვა. შინაურ საოჯახო ნივთებსაც კი იპარავდნენ.[2373]

2368 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 159.

2369 იქვე, 160-161.

2370 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 94, 95-96.

2371 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 6/5, 60.

2372 ა. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988, №1, 175.

2373 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირად არქივი, 7/8, 85.

ქისტები ცალკეული ოჯახის ქონებასაც იპარავდნენ. როდესაც გაირკვეოდა ქურდობის ამბავი, ქურდ ქისტებს მდევარი დაედევნებოდა.[2374] დარისპან მარგიანის მონაცემების თანახმად, ძველად ჩრდილო კავკასიაში თავდასხმებს ხშირად სვანებიც ახორციელებდნენ, კერძოდ, ყუბანისა და თერგის ოლქებში ჯოგის მოსატაცებლად. მაგალითად, მულახის ზოგიერთ ღრმა მოხუცს ახსოვდა ყაბარდოდან მრავალრიცხოვანი წვრილ და მსხვილფეხა საქონლის მოტაცება 1830-1832 წლებში. ამ ჯოგის მოტაცება მომხდარა ყუბანისა და თერგის ოლქებში მცხოვრები თათრების განზრახვითა და თაოსნობით. თურმე ყაბარდოელები საშინლად აწუხებდნენ მათ ძარცვა-ავაზაკობით. თათრები უძლურნი აღმოჩნდნენ სამაგიერო გადაეხადათ და დახმარებისთვის სვანებს მიმართეს. მათ წარმომაგდენლები გაგზავნეს სვანებთან და მეშველი ლაშქარი უთხოვიათ ყაბარდოელებთან სამტროდ და დიდძალი ალაფის შოვნის იმედით. მულახმესტია-ლენჯერი-ლატალის თემის რჩეულ ვაჟკაცებისაგან შემდგარი ლაშქარი (300-მდე კაცი) თათრების ლაშქარს შეერთებულა, შეურჩევიათ დრო, როდესაც ყაბარდოელთა ვაჟკაცები წასული ყოფილან სათიბად შორს მთებსა და მინდვრებში. ამან თავდამსხმელებს გაუადვილა ყაბარდოელთა ჯოგის მოტაცება. ლაშქრობაში მონაწილეებს ჯოგში შემავალი პირუტყვი თანაბრად გადაუნაწილებიათ და თითოს არანაკლებ 10-12 სული საქონელი შეხვედრია. ძველად სვანები ყოველ მეოთხე-მეხუთე წელს სისტემატურად არბევდნენ თურმე მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ტომებს.[2375]

აღსანიშნავია, რომ ურთიერთთავდასხმები ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც კი ფიქსირდება. ალ. ოჩიაურის მასალებში ჩანს, რომ მენშევიკური მთავრობის დროს ქისტები თურმე აქტიურად თარეშობდნენ ფშავზე, თუშეთსა და ხევსურეთზე. იტაცებდნენ ათასობით ცხვარს, ასობით ცხენს და მსხვილფეხა პირუტყვს. მთავრობას ვერ აულაგმავს ეს თარეში. შეკრებილან ხევსურები, ფშაველები და თუშები და გადაუწყვეტიათ ქისტების დაბეგვრა. თან მთავრობისთვის უთხოვიათ ნებართვა და იარაღით დახმარება. მთავრობა იარაღით დახმარებია და თავისი წარმომადგენლებიც გაუყოლებია. ქართველი მთიელები ჯერ ჯარეგაში ჩასულან და სოფლისთვის ალყა შემოურტყიათ, შემდეგ ხალხი დაუჭერიათ და მათი უძრავ-მოძრავი ქონება ხელში ჩაუგდიათ. პირუტყვს და საოჯახო ნივთებს, რაც მოეწონებოდათ, თავისთან გზავნიდნენ. ლაშქარი სხვა ქისტურ სოფლებზეც თარეშობდა და პირუტყვს იტაცებდა. საბოლოოდ ქართველი მთიელებისთვის ყველაფერი ძალზედ ტრაგიკულად დასრულებულა. მთავრობის წარმომადგენელთა არასწორი ქცევის გამო (მათ შეპყრობილი ქისტები გაუშვიათ) ქისტების საპასუხო მოქმედებას სამოცამდე ქართველი მთიელის დაღუპვა მოჰყოლია. ვინც გადარჩა ცხენებისა და იარაღის გარეშე გაუშვიათ (ალ. ოჩიაური დაწვრილებით აღწერს ამ ამბავს).[2376] ამ დაპირისპირებაში ქისტებს ხელმძღვანელობდა იმ დროს საბელგანთქმული ყაჩაღი – ბაგი. მისი სიტყვა ქისტებისთვის კანონი იყო. მას ასეთი ავტორიტეტი სწორედ ძარცვა-ყაჩაღობით ჰქონდა მოპოვებუ-

2374 ა. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, №1, 189.

2375 დ. მარგიანი, ქვემო სვანეთი, პირადი არქივი, დ. მ. 2/2, 1939, 14-17.

2376 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/14, 160-162.

ლი.[2377]

როგორც ვხედავთ, ჩრდილოკავკასიელი მთიელების მსგავსად ქართველი მთიელებიც აწყობდნენ თავდასხმებს სხვა ქართველ თუ ჩრდილოკავკასიელ მთიელებზე, მათი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით. ცალკეული ავტორების საუბარი იმის შესახებ, რომ ქართველ მთიელებში ქურდობა ვაჟკაცურ და სასახელო საქმედ ითვლებოდა, ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ ლაშქრობებში თავის გამოჩენას უკავშირდება და არა ზოგადად ქურდობას. მ. კოვალევსკი სწორად აღნიშნავს, რომ ასეთი ლაშქრობის შედეგად ხელში ჩადგებული ქონება (პირუტყვი თუ სხვა), აღიქმებოდა მტრისადმი წართმეულ ნადავლად, რაც არა მარტო კავკასიელ მთიელებში, ყველგან სასახელო და ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ არსად არ განიხილებოდა სხვადასხვა ხალხის ქურდობისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელად. საქართველოში ქურდობა ყოველთვის მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგალითად, გიორგი III უმკაცრეს ზომებს იღებდა ქურდებისა და მეკობრეების წინააღმდეგ, თამარის დროს სიკვდილით დასჯა მხოლოდ მეკობრეთა მიმართ შემორჩა, მაგრამ როდესაც ქართული ჯარი განსაკუთრებით თამარის დროს სხვა ქვეყნებში იჭრებოდა და იქიდან ალაფი მოჰქონდა, ეს დასაძრახ და დანაშაულებრივ ქმედებად არ ითვლებოდა, როგორც ანალოგიური რამ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ამდენად, არ მიგვაჩნია სწორად სხვა მთიელებზე ლაშქრობის, თავდასხმის შედეგად ნადავლის, ალაფის მომპოვებლის აღთქმა ვაჟკაცად, ქართველ მთიელებში ქურდობის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელად ჩაითვალოს.

აქ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქურდობისადმი ზნეობრივი დამოკიდებულება საქართველოში, ძირითადად საკმაოდ განსხვავებული ჩანს ჩრდილოკავკასიელი მთიელების დამოკიდებულებისაგან, რაც ქართველ მთიელებზეც შეიძლება გავავრცელოთ. როგორც დავინახეთ ჩრდილოკავკასიაში ყველაზე დიდ ავტორიტეტებად ქურდობით და ყაჩაღობით სახელგანთქმული პირები ითვლებოდნენ და ეს საქმიანობა იქ სახელის და ქონების მოპოვების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. საქართველოში, მათ შორის მთის რეგიონებში კი ასეთი დამოკიდებულება ქურდის მიმართ არ ჩანს. თუ როგორი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება იყო ქურდობისადმი ქართველ მთიელებში კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ არაერთ მონაცემში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში საკუთარ გვარში, სოფელში, თემში ჩადენილი ქურდობა ზნეობრივი თვალსაზრისით უფრო დასაძრახი იყო, ვიდრე სხვაგან ჩადენილი, რაც ყველა სხვა ხალხისთვისაც ჩვეულებრივი მოვლენაა. აღნიშნული კარგად გამოჩნდა ბ. გაბუურის ზემოთ მოყვანილი მონაცემი. ერთ-ერთი გურული ინფორმატორის ცნობით კი გურიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ვინმე დ. ს., რომელიც ცხენებს იპარავდა. იგი თურმე თავის სოფელში ქურდობას ერიდებოდა, სხვაგან დადიოდა. მოპარულ ცხენებს კი ყიდდა. მეზობლებმა იცოდნენ ეს და ყველა ცუდი თვალით უყურებდა. შემდეგში ის მთავრობამ დაიჭირა და გაასამართლა.[2378] ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ პიროვნება საკუთარ სოფელში ქურდობას ერიდება, რაც თავისიანებში ქურდო-

2377 იქვე, 162.

2378 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 21-22.

ბის განსაკუთრებული მიუღებლობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამავე მონაცემში არსებითია ისიც, რომ მიუხედავად საკუთარ სოფელში ქურდობისგან თავის შეკავებისა, თანასოფლელები, მეზობლები მას მაინც ცუდი თვალით უყურებდნენ და მის მიმართ მისი საქმიანობის გამო ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ. ასეთი დამოკიდებულება ქურდისადმი რადიკალურად განსხვავებულია ჩრდილოკავკასიელთა დამოკიდებულებისაგან. ქურდობაში თავის გამოჩენა არავითარი ავტორიტეტის მომტანი პიროვნებისთვის არ არის. ამდენად, აქ კარგად ჩანს, რომ ქურდობას საზოგადოება ზოგადად აღიქვამდა დასაძრახ მოვლენად, მიუხედავად იმისა იგი საკუთარ სოფელში, თემში იყო ჩადენილი, თუ სხვაგან. მხოლოდ საკუთარ გვარში, სოფელსა თუ თემში ჩადენილი ქურდობა უფრო მეტად დასაგმობ საქმედ აღიქმებოდა, ვიდრე სხვაგან.

2. პასუხისმგებლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის

აქ ჩვენ საუბარი გვექნება ქურდობისათვის დაწესებული ქონებრივი საზღაურის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში, ასევე, იმ საჯარო ხასიათის სასჯელებზე, რომლებსაც საზოგადოება (სოფელი, თემი) აკისრებდა ქურდობის ჩამდენს. ასევე ცალკე გამოვყოფთ ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ასპექტს.

ქურდობისათვის პასუხისმგებლობა ქართულ ჩვეულებით სამართალში უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან. ეს შეიძლება ყოფილიყო უშუალოდ ნაქურდალი ქონება (იგივე საგნები, პირუტყვი თუ სხვა), თუ ეს შეუძლებელი იყო, მაშინ აბრუნებდნენ იგივე სახეობის სხვა ქონებას. მაგალითად, ხევსურეთში გვხვდება შემთხვევა, როდესაც მოპარული ორი ცხენის ნაცვლად სხვა ცხენები დააბრუნეს.[2379] ასევე ხდებოდა ნაქურდალის ღირებულების ფულადი სახით ანაზღაურება.[2380] უმეტესი მონაცემების მიხედვით ფიქსირდება ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდა ამ დანაშაულისათვის რაიმე სასჯელის დაკისრება. ძირითადად ეს გამოიხატებოდა ქონებრივი საზღაურის დაკისრებაში, კერძოდ კი, ძველი ქართული სამართლისათვის კარგად ცნობილი ნაქურდალის ღირებულების რამდენიმემაგ ანაზღაურებაში. ასევე გვხვდება ქურდობისათვის გამანბილებელი და სხვა უფრო მძიმე სასჯელების დაკისრებაც. ხალხური სამართლის მიხედვით ქურდობისათვის ამა თუ იმ სასჯელის დაკისრებისას სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული მიდგომა შეიძლება ყოფილიყო. ყველაზე უფრო ხშირად ქონებრივი სასჯელის გამოყენება ფიქსირდება (კუთხეების მიხედვით სხვადასხვა ოდენობის), თუმცა გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქურდობისას ზიანის ანაზღაურების გარდა ქონებრივი სასჯელის დაკისრება არ ხდებოდა

2379 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, №1, 4.

2380 მაგალითად, XX საუკუნის 80-იან წლებში ხევსურეთში ვინმე მამუკა არაბულს მოპარეს ორი დეკეული. დაზარალებულმა ქურდობა გიგია არაბულს დააბარალა, რომელმაც უარყო ეს ბრალდება. მამუკამ ეჭვმიტანილს დაფიცება მოსთხოვა. ხელს მამკიდეებმა (თანამოფიცრებმა) უარი თქვეს დაფიცებაზე. რჯულის კაცებმა მამუკას 600 მანეთის გადახდა დააკისრეს, რასაც იგი დამორჩილდა (ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, №1, 5-6).

და სხვა რაიმე სასჯელის გამოყენებას ჰქონდა ადგილი, ან საერთოდ სასჯელი არ გამოიყენებოდა. სასჯელის სახეობის სიმძიმე კი ქურდობისას ღანაშაულის მაკვალიფიცირებელი ფაქტორებით იყო განპირობებული.

2.1. პასუხისმგებლობა ქურდობის პირველად ჩადენისათვის. როდესაც პიროვნება პირველად ჩაიდენდა ქურდობას, ცხადია, პასუხისმგებლობა შედარებით მსუბუქი იყო, ვიდრე ამ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

XX საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთ კუთხეში ჩაწერილი მასალების მიხედვით გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქურდობისას ნაქურდალის (თუ მისი ღირებულების) ანაზღაურების გარდა ქონებრივი საზღაურის დაკისრებას ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, ლეჩხუმის, მესხეთის, აჭარის ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ძირითადად ნაქურდალის „ერთი ერთზე" ანაზღაურება ფიქსირდება.[2381] ზოგიერთი ინფორმატორი შესაბამის კითხვაზე ხაზგასმით პასუხობს რომ მათ კუთხეში მხოლოდ ნაქურდალს აბრუნებდნენ, თუ უშუალოდ ნაქურდალს ვერ დააბრუნებდნენ, მაშინ მის ღირებულებას იხდიდნენ და ორმაგი და სამმაგი ანაზღაურება არ ყოფილა.[2382] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორის თქმით, ეს წესი საქონლის ქურდობის შემთხვევაზეც ვრცელდებოდა.[2383] ინფორმატორები ამის დამადასტურებელ კონკრეტულ ფაქტებსაც იხსენებენ.[2384] აჭარასა და სამეგრელოში მხოლოდ ორიოდე ინფორმატორის მეხსიერებას თუ შემორჩა ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება.[2385]

მასალებით კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ კუთხეებში XX საუკუნის დასასრულს მცხოვრებ ინფორმატორთა მეხსიერებასაც კი შემორჩა ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხალხური სამართლის მიხედვით. ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება აქ ძირითადად არ შემორჩენილა, თუმცა ნაქურდალის ანაზღაურებასთან ერთად არც თუ იშვიათად რაიმე სხვა სასჯელის დაკისრებას მაინც ჰქონდა ადგილი. ძირითადად ეს გამანბილებელი სასჯელები იყო.[2386]

2381 იხ. ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 45, 74; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 70; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25-26, ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5, 11, 20; დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 10; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 32, 62, 80; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25, 35; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1988, 12; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1989-1990, 28, 36; ჯ. მერაბიშვილი მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 23; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13, 69.

2382 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13, 35; ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 16; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №2, 8, 36; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 33, 37, 90.

2383 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

2384 მ. კეკელია, მასალები მესხურ ჩველებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 10; №2, 37.

2385 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 52, 60; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 4.

2386 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1; ჯ. მერაბიშვილი,

შესაბამისი კონკრეტული მაგალითი არაერთი მოგვეპოვება. მაგალითად, იმერელი ინფორმატორები იხსენებენ ქურდის ნაქურდალით სახალხოდ ჩამოტარების კონკრეტულ ფაქტებს. ერთ-ერთს გადმოცემით გაუგია, რომ ერთმა პიროვნებამ მეზობელს კავი მოპარა, რაც გაუგეს და დამნაშავე კავით ხელში სოფელში ჩამოატარეს, თან საჯაროდ აძახებინეს რომ ქურდია.[2387] ანალოგიურად დასაჯეს ქურდი ჯამის მოპარვისათვის.[2388] იმერეთის ერთ-ერთ სოფელში XX საუკუნის 30-იან წლებში ქალებს მოუპარავთ კოლმეურნეობის ლობიო. სოფლის კრების გადაწყვეტილებით ეს ქალები ზურგზე მოკიდებული ლობიოთი ჩამოატარეს და აძახებინეს ქურდები ვართო.[2389] ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში ჩამოსახლებული ყოფილა ვინმე ვართანუშა, რომელიც შემჩნეული იყო ქათმების მოპარვაში, თუმცა ვერ გამოტეხეს. ამასთან დაკავშირებით სოფლის თავკაცებმა თურმე კაცი მიუჩინეს ვართანუშას, რომელმაც ქურდობის დროს წაასწრო მას. სოფლის თავკაცებმა ვართანუშას მოპარული ქათმები ზურგზე გადაკიდეს და ხარაგაულის ცენტრში ჩამოატარეს.[2390] იმერეთის ერთ-ერთ სოფელში კი მეწისქვილე ჩამოატარეს სოფელში წისქვილიდან სიმინდის მოპარვისათვის.[2391] იმერეთის სოფელ მოხვაში 1905 წელს სამ რაჭველს გაუქურდავს ვინმე პეტრიაშვილის სახლი. ქურდები ჯერ რაჭაში ჩამოუტარებიათ ნაქურდალით, შემდეგ კი მოხვაში გადმოუყვანიათ და იქაც იგივე გაუმეორებიათ. დაზარალებულს ნაქურდალი უკან დაუბრუნებია.[2392] იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ქურდების ქალის საცვლებით ჩამოტარებაც ფიქსირდება. ქურდების ასეთი განსაკუთრებული დამცირება სავარაუდოდ განპირობებული იყო იმით, რომ მათი მხრიდან ფაქტიურად ფულის გამოძალვას ჰქონდა ადგილი. მათ თურმე გუდაძეების ოჯახს შეუთვალეს რომ რაც ფული ქონდათ წისქვილში მოეტანათ. გუდაძეებმა სხვების დახმარებით შეძლეს გამომძალველთა შეპყრობა და შემდეგ საზოგადოებამ მათ ზემოთაღნიშნული გამაწბილებელი სასჯელი დააკისრა.[2393] ამ მონაცემით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იმერელი ინფორმატორი ფულის გამომძალველებს ქურდებად იხსენიებს, რაც ადასტურებს იმას, რომ ხალხური წარმოდგენით სხვისი საკუთრების არა მხოლოდ ფარული ხელყოფა აღიქმებოდა ქურდობად, არამედ სხვისი ქონების ძალადობრივი მითვისების ფორმებიც. მასალების მიხედვით, შესაძლოა იმერეთში ქურდი სოფელში ჩამოეტარებინათ მას შემდეგ რაც მას თმას და წვერს გაპარსავდნენ.[2394] ასევე, ხდებოდა ქურდის სახალხოდ გაკიცხვა, გალანძღვა, თავს ლაფის დასხმა და სხვა.[2395]

მსგავსი შემთხვევები გურიაშიც ფიქსირდება. მაგალითად, ზემო სურებში მომხდარა შემთხვევა, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეზობელს წინდები მოპარა. ნაქურდალი სახლში აღმოუჩინეს და ნაქურდალით ხელში სახალხოდ ჩამოა-

მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 62.

2387 მ. კეკელია, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 4–5.

2388 იქვე, 5.

2389 იქვე, 11.

2390 გ. დავითაშვილი, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 32-33.

2391 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 61-62.

2392 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 53.

2393 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 8.

2394 ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 74.

2395 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 7-8, 70.

ტარეს.[2396] იგივე სასჯელი დააკისრეს ქურდს სოფელ საჭამიასერში. სოფელში ჩამოტარებისას თან აძახებინეს რომ ქურდია.[2397] ხაპის ქურდს კი ეს უკანასკნელი აკიდეს ზურგზე და სოფელში აატარ-ჩამოატარეს.[2398] ერთ-ერთი გურული ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ სოფელი გააფრთხილებდა და ნაქურდალით თემში, სოფელში ჩამოატარებდა სწორედ ქურდობის პირველად ჩამდენს. შემდეგ იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვინმე სპირიდონ რამიშვილმა მეზობელს მოპარა სიმინდი. მოწმეების ჩვენების საფუძველზე მოპარული სიმინდი სპირიდონის საქათმეში იპოვეს. სასჯელად ქურდს მოპარული სიმინდი აკიდეს და სოფელში ჩამოატარეს.[2399] ქურდის სახალხოდ, ნაქურდალით ჩამოტარების ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ სოფელ შემოქმედში მომხდარი შემთხვევა. აქ ერთერთ პიროვნებას მოპარეს ჩახანა (თუჯის ქვაბი). სოფლის მიერ არჩეულმა მოსამართლეებმა ქურდს გადაუწყვიტეს რომ აეკიდებინა ზურგზე ჩახანა, კარდაკარ ჩამოეარა და ყველასთვის ეთქვა თუ რა საქციელი ჩაიდინა.[2400] ქურდის სოფელში ჩამოტარებისას გურიაში ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით მისთვის ლენტის გაკეთებას წარწერით – „ქურდი".[2401] გურიაში ქურდის მიმართ სხვა გამაწბილებელი სასჯელების გამოყენებაც ფიქსირდება. კერძოდ, ქურდის საჯაროდ გაკიცხვა, ლენტის ტარება და სხვა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს რომ ქურდს ნაქურდალს დააბრუნებინებდნენ და ამასთან ერთად სახალხოდ გაკიცხავდნენ.[2402] ჩოხატაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ძროხის ქურდი დაუსვამთ მოპარული ძროხის ტყავზე და სახალხოდ შეურცხვენიათ.[2403] დუქნის ქურდებისათვის კი მიუსჯიათ „ღირსების ახდა", რაც იმაში გამოიხატებოდა რომ ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, თავის აზრს ვერ გამოთქვამდნენ საერთო სასოფლო საქმესთან დაკავშირებით, მოწმედ არ ენდობოდნენ და სხვა.[2404] ერთ პიროვნებას კი მეზობლისთვის მოუპარავს თხა და ქვაბები. თან თურმე ამაყობდა თხის მოპარვით. მას შეაბეს ლენტი, რომელზედაც ეწერა თუ რა დანაშაული ჩაიდინა.[2405] მსგავსი რამ გადახდენია ქალბატონს, რომელმაც მაღაზიიდან მატყლი მოიპარა. მას თურმე ზურგში გაურჭეს ფანერა და ზედ მიაწერეს – „მატყლის ქურდი."[2406] დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც ქურდობა მცირეწლოვანმა ბავშვებმა ჩაიდინეს. საზოგადოებამ კი მათი ბებია-ბაბუა გაკიცხა საჯაროდ: ნაქურდალი

2396 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 2.

2397 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10.

2398 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 38.

2399 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 9-10..

2400 იქვე, 19.

2401 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 32.

2402 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1.

2403 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 24-25.

2404 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 3-4.

2405 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 36.

2406 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 29.

სახლში რომ მიიტანეს, რატომ არფერი თქვითო.[2407] გურიაშიევე მაღაზიის ქურდი ალეაში გატარებით დაუსჯიათ.[2408]

ქურდის ჩამოტარება სახალხოდ კარგად ახსოვთ XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულის მეგრელ ინფორმატორებსაც. ერთი მათგანის განმარტებით, ცხენის ქურდს ცხენს აბრუნებინებდნენ, შემდეგ ხელში დააჭერინებდნენ ცხენის ლაგამს და თემში ჩამოატარებდნენ.[2409] ერთ შემთხვევაში ორმა პიროვნებამ ინდაურები მოიპარა. მათ გააპუტინეს ინდაურები, დააკავებინეს ხელში და სახალხოდ ჩამოატარეს სოფელში და თან აძახებინედნენ მე მოვიპარეო.[2410]

აჭარაში გვხვდება წესი, რომლის მიხედვითაც ქურდს ნაქურდალს ზურგზე აპკიდებდნენ და ისე მიატანინებდნენ დაზარალებულის სახლში. ინფორმატორის თქმით, ეს იყო სასჯელი ქურდობისათვის და სხვაგვარი სასჯელი არ გამოიყენებოდა.[2411] ხანდაზმული ინფორმატორის მონაყოლით, დაახლოებით 50 წლის წინ (ცნობა ჩაწერილია 1991 წელს) მის ოჯახს ნალიიდან მოპარეს სიმინდი. მათ გაიგეს ქურდების ვინაობა და მოსთხოვეს ნაქურდალის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლელობით დაემუქრნენ. ქურდები შეშინდნენ და მათ ნაქურდალი ინფორმატორის ოჯახს საკუთარი ზურგით მოუტანეს უკან. ამას მოჰყვა შერიგება. ინფორმატორის განმარტებით, ქურდებისათვის შემარცხვენელი იყო რომ ნაქურდალი სიმინდი საკუთარი ზურგით დააბრუნეს და მათ ეს სირცხვილი მიიღეს.[2412] შესაძლოა ქურდისათვის ნაქურდალის სოფლის ცენტრში ან ერთი დასახლებული პუქტიდან მეორეში მიტანა დაეკისრებინათ. აჭარელი ინფორამტორი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს: ერთ პიროვნებას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოუპარავს ლოგინი. მას ზურგზე აჰკიდეს ეს ლოგინი და სოფლის ცენტრში მიატანინეს, შემდეგ კი პატრონს დაუბრუნეს.[2413] ქურდის ასეთ დასჯასთან დაკავშირებით საინტერესო შემთხვევას იხსენებს შუახეველი ინფორმატორი. მისი მონაყოლით, დაახლოებით XX საუკუნის 20-30-იან წლებში მან ორი მგზავრი მიიპატიჟა სახლში, რომლებმაც მას გარკვეული ნივთები მოპარეს (ნოხები, ქვეშაგებელი). მილიციის დახმარებით მოხდა ქურდების დაკავება და ისინი ქედას მილიციაში მიიყვანეს. ხულოს მილიციის უფროსმა ქედას მილიციის უფროსს დაურეკა და უთხრა: მაგ ქურდებს ნაქურდალი ზურგზე აკიდე და ფეხით გამომიგზავნეო. მართლაც ქედიდან ხულომდე ქურდებმა ზურგით აიტანეს ნაქურდალი."[2414] როგორც ჩანს ქურდების დასჯის ხალხური წესი კონკრეტულ სიტუაციაში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კი გამოიყენეს. აღნიშნული ჩვეულება საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო. იგი მეფის რუსეთის პერიოდშიც ფიქსირდება. ინფორმატორის თქმით, ნიკოლოზის დროს, სოფელ მეძინაში ერთ გაჭირვებულ კაცს წისქვილიდან სიმინდი მოუპარავს. ხალხს გაუგია ეს. ქურდს ნაქურდალი ზურგ-

2407 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 15-16.

2408 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 16.

2409 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13.

2410 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48.

2411 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8

2412 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 32.

2413 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 37.

2414 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 82.

ზე აჰკიდეს და ასე ჩაიყვანეს ქედაში.[2415]

აჭარაში ქურდის მიმართ სხვა გამაწბილებელი სასჯელით დასჯის მაგალითებიც მოგვეპოვება. მაგალითად, ქობულეთელი ინფორმატორის მამისთვის სიძეს მოუპარავს ხარი. მას დაუჭერია სიძე, ბაგაზე დაუბამს და ჩალა დაუყრია, რითაც დაუმცირებია იგი.[2416]

ქურდის ნაქურდალით ჩამოტარება ქართლში და მესხეთშიც ფიქსირდება. ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ქურდობისას მხოლოდ ნაქურდალს აბრუნებინებდნენ, ან მის ღირებულებას ანაზღაურებინებდნენ, ზედმეტს არაფერს ახდევინებდნენ, სამაგიეროდ გააწბილებდნენ იმით, რომ სახალხოდ შეარცხვენდნენ – ნაქურდალს კისერზე ჩამოკიდებდნენ და შემოატარებდნენ მთელ სოფელს.[2417] მაგალითად, ბატების ქურდს სოფელ თოკში (ასპინძის რაიონი) მოპარული ბატები ჩამოკიდეს კისერზე.[2418] ერთ-ერთი მესხი ინფორმატორის ცნობით, ქურდს როდესაც დაიჭერდნენ, სადმე მიაკრავდნენ და აფურთხებდნენ. შემდეგ იმ პირობით გაუშვებდნენ რომ მეორედ არ იქურდებდა.[2419] ქურდის სახალხი შერცხვენა მესხეთში სხვა მონაცემითაც ფიქსირდება.[2420] გ. ჟორდანია კი ქართლთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ხშირად ხდება ქურდის ჩამოტარება ნაქურდალით ხელში სოფელში, სოფლის ირგვლივ, თანაც ქურდს აიძულებდნენ იყვიროს, რომ ის ქურდია, რომ მან რაღაც მოიპარა, ან ნახშირს უსვამდნენ და ასე ატარებდნენ მთელ სოფელში."[2421] ქართლში საზოგადოების მხრდან ქურდის ე. წ. დარბევის გამოყენებაც ყოფილა მიღებული.[2422]

ნაქურდალის ერთი ერთზე ანაზღაურების გარდა გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება ქურდის მიმართ ლეჩხუმშიც ხდებოდა. აქ უმეტესად გვხვდება დამნაშავის საჯარო გაკიცხვა.[2423]

აღნიშნულ კუთხეებში პირველად ჩადენილი ქურდობისათვის გამაწბილებელი სასჯელების გარდა სხვა სასჯელების გამოყენებაც ჩანს. საკმაოდ ხშირად გვხვდება მასალებში ქურდის ბოიკოტით (უნდობლობით) თუ გაძევებით დასჯა გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, ლეჩხუმში, მესხეთში.[2424] ფი-

---

2415 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 8.

2416 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

2417 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 71.

2418 იქვე, 32.

2419 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 70.

2420 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 37, 62.

2421 გ. ჟორდანია, სახალხო სისხლის-სამართლებრივი სასამართლოები ქართლში, გაზეთი „ზაკავკაზიე", 1911, № 260, რუსულ ენაზე

2422 გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართულ სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, ფ. 1813.

2423 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10, 11,

2424 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7, 11, 23, 24; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 38; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 8, 17; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 17; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11, 25, 39-40; გ. დავითაშვილი, მასალების იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13, 35; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32; 1990-1991, 35; დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2, 11, 16; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით

ქსირდება ქურდის ხატზე გადაცემაც, არა მარტო ქურდის გამოელენის, არამედ დადგენილი ქურდის დასჯის მიზნითაც.[2425]

ცალკეული ქურდობისას განსხვავებულ სასჯელებსაც ვხვდებით, რომელთან გამოყენება ერთეულ შემთხვევებში ფიქსირდება. მაგალითად, აჭარაში ქურდი თანასოფლელებმა ჟოლოს ხეზე მიაბეს და თან წარწერა ჩამოკიდეს: ყველამ მიაფურთხოსო. სამი საათი იყო ასეთ მდგომარეობაში და ყველა აფურთხებდა. შემდეგ გაათავისუფლეს.[2426] მესხეთში კი შესაძლოა ქურდისთვის სოფლის თავკაცს დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეული დროის მანძილზე უფასო სამსახური მიესაჯა.[2427] გურიაში საბჭოთა პერიოდის დამყარებამდე ქურდი ჩაუსვამთ სოფელში ჩამომდინარე ხევის წყალში სამი დღე-ღამის განმავლობაში.[2428]

ამრიგად, საკვლევ პერიოდში აღნიშნულ კუთხეებში, ქურდობისას ნაქურდალის დაბრუნების გარდა სხვა ქონებრივი საზღაურის გადახდას ძირითადად არ ჰქონდა ადგილი და დაზარალებული ნაქურდალს ან მისი ღირებულების ქონებას იბრუნებდა. ეს ფაქტიურად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობდა და არა რაიმე სასჯელის დაკისრებას ქურდისადმი. მხოლოდ ნაქურდალის დაბრუნებას არავითარი პრევენტული დატვირთვა არ შეიძლება ჰქონოდა და ქურდი მისი გამოვლენის შემთხვევაში მხოლოდ მოპარულს (ან მის ღირებულებას) თუ დაკარგავდა. როგორც დავინახეთ, ამ კუთხეებში საკმაოდ ხშირად საზოგადოება არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურებით და ქურდის მიმართ იყენებდა სხვადასხვა სასჯელებს, ძირითადად გამაწბილებელს, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადებას და სხვა. ყველა მათგანი საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა და მას საკმაოდ დიდი პრევენტული მნიშვნელობაც ჰქონდა. ქურდმა იცოდა, რომ ქურდობის განმეორების შემთხვევაში საზოგადოება მის მიმართ მნიშვნელოვნად მძიმე სასჯელს გამოიყენებდა. შესაძლოა კონკრეტულ ვითარებაში მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურებით მომხდარიყო დაკმაყოფილება და ზემოთაღნიშნული საჯარო სასჯელების გამოყენებას ადგილი არ ჰქონოდა. ეს ხდებოდა მაშინ თუ პიროვნება პირველად ჩაიდენდა რაიმე უმნიშვნელო ქურდობას, მითუმეტეს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და ისიც ინანიებდა ამას და პატიებას ითხოვდა. მაგალითად, იმერელი ინფორმატორის განმარტებით, ქურდს ზედმეტს არაფერს გადაახდევინებდნენ, რადგანაც, იმ საწყალს უჭირდა და იმიტომ მოიპარა და ზედმეტი რა უნდა წაერთმიათ.[2429] აჭარაში მომხდარა ასეთი შემთხვევა: პიროვნებას გაჭირვების გამო ბიძისთვის სიმინდის სესხება უთხოვია, თუმცა უარი მიუღია. შემდეგ მისთვის ხარი მოუპარავს და ას მანეთად გაუყიდია. ერთი წლის განმავლობაში ფული დაუგროვებია და ასი მანეთი დედის ხელით გაუგზავნია დაზარალებულისათვის, თან ბოდიში მოუხდია გაჭირვების გამო ვიქურ-

---

სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14, 19-20; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 80.

2425 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44, 49; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3.

2426 წერილობითი მასალა ხულოს რაიონის სოფ. გელაძეების მცხოვრებს ალისულთან ეუბის ძე გელაძის მონამველის შესახებ, საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, ფ. №5, ს. 643.

2427 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 80.

2428 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9.

2429 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44.

დეო.[2430] რაკი ქურდმა ნაქურდალის ღირებულება ნებაყოფლობით გადაიხადა, მოინანია დანაშაული და იგი გაჭირვების გამო ჩაიდინა, მას როგორც ჩანს ეპატია დანაშაულის ჩადენა, რადგანაც ინფორმატორი არაფერს ამბობს ქურდის მიმართ რაიმე სასჯელის დაკისრებაზე.

იგივე შესაძლოა მომხდარიყო იმის გამო, რომ ქურდი (ქურდები) სხვა სოფლიდან, თემიდან იყვნენ. ამ შემთხვევაში, ცხადია, საზოგადოებას, სადაც ცხოვრობდა დაზარალებული, როგორც წესი ხელი არ მიუწვდებოდა დამნაშავის მიმართ საჯარო ხასიათის ხალხური სასჯელის გამოყენებაზე. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი შემთხვევა, როდესაც რაჭველი ქურდები იმერეთის სოფელში ჩამოატარეს, მაინც გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ. სოფლის, თემის მიერ მისი მცხოვრების სხვა სოფელში (თემში) ქურდობის გამო კოლექტიურად პასუხისმგებლობის დროსაც ძირითადად ნაქურდალის ან მისი ღირებულების ანაზღაურებას ჰქონდა ხოლმე ადგილი (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით). დაზარალებულს კონკრეტულ შემთხვევაში, უმნიშვნელო დანაშაულისას შესაძლოა საერთოდ ეპატიებინა ქურდის (ქურდებისათვის) დანაშაულის ჩადენა და ნაქურდალის ანაზღაურებაც კი. მაგალითად, იმერეთში ჩაწერილი გვაქვს შემთხვევა, როდესაც, ინფორმატორის ბაბუას მოპარეს დათესილი მარცვლეული. მან გადაწყვიტა ქურდის გამოვლენის მიზნით მეზობლების დაფიცება. სანამ ეკლესიაში მივიდოდნენ, ზოგიერთი მათგანი გამოუტყდა, რომ მან მხოლოდ ნახევარი კონა მოიპარა, ან ნახევარ კონაზე ნაკლებიც კი. ინფორმატორი იხსენებს, რომ რაკი ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალი უმნიშვნელო იყო და დამნაშავეებმა გულწრფელად აღიარეს მათ მიერ დანაშაულის ჩადენა, ბაბუამისმა ყველას აპატია და არავის არაფერი გადაახდევინა.[2431] ამ შემთხვევაში პატიების ერთ-ერთი საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო ის გარემოება, რომ დამნაშავეები დაზარალებულის მეზობლები იყვნენ. კიდევ ერთი იმერელი ინფორმატორი ყვება რომ მან 13-14 წლის ასაკში მეგობართან ერთად დაბერტყა მეზობლის კაკლის ხე. ხატზე გადაცემის შიშით უღიარებიათ მათ აღნიშნული ფაქტი და რადგანაც აღიარეს დაზარალებულს უპატიებია მათთვის.[2432] მეორე შემთხვევაში ერთ პიროვნებას ქურდობის ადგილზე დაუჭერია ყურძნის ქურდი და სახალხოდ გამოუყვანია. ქურდს ხალხი შემოხვევია. მას ხალხისთვის დაუწყია თხოვნა-მუდარა, ოღონდ მაპატიეთ და მეორედ აღარ გავიმეორებო. ამას გავლენა მოუხდენია ხალხზე და უპატიებიათ დამნაშავისთვის.[2433] ქურდობის პატიებას შესაძლოა მაშინაც ჰქონოდა ადგილი, როდესაც დანაშაულის ჩამდენნი არასრულწლოვანნი იყვნენ.[2434] გურიაში დაფიქსირებულია კონკრეტული შემთხვევა, როდესაც დაახლოებით 1914-1915 წლებში რაფიელ რამიშვილის ოჯახიდან მოიპარეს ქვეშაგებელი, საინები და თხილი. ინფორმატორის მამა ამ დროს ყოფილა სოფლის თავკაცი, რომელსაც ამ ფაქტის გამო მთელი სოფელი შეუკრებია რათა ქურდების გამოსავლენად ღონისძიება გაეტარებინათ. ორი დღის შემდეგ სოფლის თავკაცთან მისულა ქურდების მამა და უღიარებია რომ ეს საქმე მისმა შვილებმა გააკეთეს. ინფორმატორის განმარტებით, ბავშვებს

2430 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 41.

2431 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 63.

2432 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 28.

2433 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 37.

2434 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

თურმე აპატიეს ქურდობა, რადგანაც ისინი უწლოვნები იყვნენ.[2435] ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი იმასაც მიუთითებს, რომ ქურდობის ჩამდენ არასრულწლოვანს სოფელი სასამართლოს არ გადასცემდა და თვითონ იკისრებდა მის აღზრდას.[2436]

საქართველოს სხვა კუთხეებში, კერძოდ კი ზოგიერთ მთის რეგიონში ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება ფიქსირდება. მაგალითად, ბალსზემო სვანეთში გვხვდება ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება, რაც დასტურდება ბ. ნიჟარაძესა და ეგ. გაბლიანთან.[2437] ეს ავტორები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ნაქურდალის ორმაგად ანაზღაურების გარდა (რასაც დამნაშავე დაზარალებულს უხდიდა) დამნაშავე საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმას იხდიდა.[2438] მას შესაბამისი კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს: „1880 წ. კალის საზოგადოებაში ერთმა პირმა – მიქელ მარგველანმა მეზობელს ცხვარი მოჰპარა. როგორც კი საზოგადოების ყურამდე მიაღწია ამ დანაშაულობამ, მაშინვე სოფლის ყრილობა მოხდა, მიადგა ქურდს, წაართვა ერთი ხარი და ორი ცხვარი; ორი ცხვარი მოპარულ ცხვრის პატრონს მისცა ყრილობამ და ხარი თვით მოიხმარა – დაჰკლა და შესჭამა.“[2439] ავტორი იქვე მიუთითებს რომ, ასეთი შემთხვევები სხვა საზოგადოებებშიც ხშირი ყოფილა უკანასკნელ პერიოდში, რაც სახელმწიფო ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა.[2440] ეს მიუთითებს რომ, XIX საუკუნის ბოლოსთვის ქურდის დასჯა საზოგადოების მიერ ბალსზემო სვანეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად. ბ. ნიჟარაძე ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების სასარგებლოდ გადასახადელი ჰიბარის ოდენობაზეც. მის მიერ მოყვანილ შემთხვევაში დამნაშავეს საზოგადოებამ ერთი ხარი ჩამოართვა. ეს არ ნიშნავს რომ ერთი ხარი ასეთ შემთხვევაში დადგენილი გადასახადი იყო. აღნიშნული გადასახადის ოდენობა საზოგადოების შეხედულებაზე ყოფილა დამოკიდებული. იგი ყოველთვის ითვალისწინებდა ქურდის მატერიალურ შეძლებას. შესაძლოა ცხვრის მოპარვისათვის საზოგადოება ერთ ძროხას დასჯერებოდა ჯარიმის სახით, სხვა ანალოგიური ქურდობისას კი დამნაშავისთვის სამი ხარიც ნაერთმია.[2441] აქ კარგად ჩანს, რომ ბალსზემო სვანეთში საკუთარ თემში ჩადენილი ქურდობა ხალხური მართლშეგნებით ერთმნიშვნელოვნად საჯარო სამართალდარღვევად ითვლებოდა.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არაზუსტია მ. კოვალევსკის ცნობა, რომლის მიხედვითაც სვანეთში ქურდობას მოსდევდა მხოლოდ ნაქურდალის ან მისი ღირებულების დაბრუნება.[2442] მ. კოვალევსკი ამას ხსნიდა იმით, რომ სვანები დანაშაულში მხოლოდ მატერიალურ ზიანს ხედავენ და ამდენად, თუ ქურდი ნაქურდალს დააბრუნებდა, იგი ყოველგვარი პა-

2435 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 15.

2436 ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9.

2437 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 112.

2438 ბ. ნიჟარაძე, იქვე; ეგ. გაბლიანი, იქვე, 69.

2439 ბ. ნიჟარაძე, იქვე, 87.

2440 იქვე.

2441 იქვე.

2442 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 38.

სუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა.[2443] როგორც ჩანს, მ. კოვალევსკის ეს შეხედულება არ ასახავდა ზუსტად სვანეთში არსებულ იმდროინდელ ვითარებას და დანაშაულის შემთხვევაში სვანები არა მარტო მატერიალურ ზიანს ხედავდნენ, რაც ობიექტური შერაცხვის პრინციპისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სხვა ფაქტორებსაც. მ. კოვალევსკის მიხედვით, გამონაკლისია საბატონო სვანეთი, სადაც ნაქურდალის ანაზღაურების გარდა, დამნაშავეს ჯარიმა უნდა გადაეხადა თავადისათვის, კერძოდ, 200 მანეთის ოდენობით.[2444]

აღსანიშნავია რომ ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება. ბალსზემო სვანეთის უმრავლეს საზოგადოებებში ნაქურდალის სწორედ ორმაგ ანაზღაურებას ვხვდებით,[2445] ზოგიერთ საზოგადოებაში სამმაგსაც. კერძოდ, კალელი და წვირმელი ინფორმატორები აღნიშნავენ ამას.[2446] ეს მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ ბალსზემო სვანეთში ნაქურდალის რამდენიმემაგი (ძირითადად ორმაგი, ასევე, ზოგიერთი ცნობით სამმაგი) ანაზღაურება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სვანეთში ქურდის მიმართ გამაწბილებელი სასჯელის გამოყენებაც ფიქსირდება ქურდის სოფელში ჩამოტარების სახით.[2447]

ნაქურდალის რამდენიმემაგ ანაზღაურებას ვხვდებით ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. აქ ძველი ქართული სამართლისთვის დამახასიათებელი „შვიდეულიც“ კი გვხვდება. ამის მაგალითია ხევსურეთი და ფშავი. ბ. გაბუური ხევსურეთთან დაკავშირებით მიუთითებს: „რჯული ესე გაათავებს საქმეს: რაც მოპარული აქვს შვიდმაგად უნდა აანაზღაუროს. თუ ერთი ხარი ჰყავს მოპარული შვიდი უნდა გადაახდევინოს, თუ ერთი ფური ჰყავს მოპარული შვიდი უნდა ჩააბაროს, თუ ერთი ცხვარი უნდა ჩააბაროს შვიდი ცხვარი. თუ ერთი თუმანი აქვს მოპარული უნდა ჩააბაროს შვიდი თუმანი.....“[2448] მის მიხედვით, ხალხს ქურდის მიმართ ერთი წლის განმავლობაში რაღაც ბოიკოტის მსგავსი დამოკიდებულება ექნებოდა. ქურდს სოფელი ჯარზე აღარ „გაავლევდა,“ ხალხი გალანძღავდა, ეტყოდნენ: „არ გცხვენისაევ, თავის სოფელში კაცმ რაგორ უნდა იქურდას?.“[2449] ეს გარემოება მიუთითებს რომ ხევსურეთში ქურდობისათვის გათვალისწინებული სასჯელი გარკვეულ საჯარო ელემენტს შეიცავდა. ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას ხევსურეთში სხვა ავტორებიც მიუთითებენ. მაგალითად, რ. ერისთავი,[2450] ალ. ყამარაული,[2451] რაფიელ ერისთავი,[2452]

2443 იქვე, 34.

2444 იქვე, 19.

2445 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულეთბის სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 23, 69, 87; №4, 1968, 75, 83; №5, 1968-1969, 3, 31, 35, 48, 52.

2446 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 81, №6, 1968, 36.

2447 მაგალითად, სვანი ინფორმატორის ცნობით, ხარის ქურდობის შემთხვევაში ხარის ტყავს და ნაწლავებს ჩამოკიდებდნენ კისერზე და ასე ჩამოატარებდნენ სოფელში (ს. ონიანი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 55).

2448 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 139.

2449 იქვე.

2450 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93.

2451 ა. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 109.

2452 რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 93.

ალ. ყაზბეგი,[2453] ს. მაკალათია.[2454] ხევსურეთში ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებაზე საუბრობს მ. კოვალევსკიც. მისი განმარტებით, წიგნები სოფლების სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შეიცავენ ასეთ ჩანაწერებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ჩანაწერის მიხედვით, გადასახადი ნაქურდალის ორმაგ ღირებულებას არ აღემატება.[2455] როგორც ვხედავთ, მ. კოვალევსკი სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით საუბრობს ნაქურდალის როგორც შვიდმაგ, ასევე ორმაგ ანაზღაურებაზე. იგივეს აფიქსირებს იგი ფშაეთან დაკავშირებითაც. მისი განმარტებით, ფშაური ჩვეულება მოითხოვს ნაქურდალის ორმაგ ან შვიდმაგ ანაზღაურებას. ეს დამოკიდებულია იმაზე ქურდობა მინდვრიდან მოხდა, თუ ბინიდან.[2456] აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში (მხედველობაშია გ. დოლიძის „ხევსურული ტექსტებში" მოყვანილი მასალა) ჩანს ასევე ნაქურდალის სამმაგი ანაზღაურების ვალდებულებაც.[2457] ქურდობისათვის რამდენიმემაგი ანაზღაურების შესახებ ცნობებს ვხედებით დ. ცისკარაულთანაც. მისი განმარტებით, საქმის მიხედვით ქურდს ახდევინებდნენ ერთი ორად, ერთი სამად, ერთი ხუთად და ყოფილა შემთხვევები ერთი შვიდად გადახდევინებისა.[2458]

ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება ფშავ-ხევსურეთში XX საუკუნის დასასრულის ადგილობრივი ინფორმატორების მეხსიერებასაც შემორჩა. კერძოდ, ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი ადასტურებს ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებას.[2459] მ. კეკელიას ერთ-ერთი არხოტელი ინფორმატორი კი საუბრობს ნაქურდალის სამმაგ და შვიდმაგ ანაზღაურებაზე.[2460] ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას კიდევ ერთი ხევსური ინფორმატორი აფიქსირებს.[2461] ბ. გოგოჭურის მონაცემების თანახმადაც ქურდს შერიგებისას ნაქურდალი შვიდმაგი ოდენობით უნდა აენაზღაურებინა.[2462] ასევე, ფშაველი ინფორმატორები მიუთითებენ ნაქურდალის ორმაგი, სამმაგი და შვიდმაგი ანაზღაურების შესახებ.[2463] ზოგიერთი ფშაველი ინფორმატორი ქურდობისათვის ქონებრივი საზღაურის გარდა მოკვეთის და დარისხების შესახებ საუბრობს.[2464] ფშავში ქურდის მოკვეთის შესაძლებლობა სხვადასხვა ავტორებთანაც ფიქსირდება.[2465] ფშავში დაფიქსირებული ერთ-ერთი მონაცემის მიხედვით, ფშაური სამართ-

2453 ლ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, 71.

2454 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 100.

2455 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 120.

2456 М. Ковалевский, Пшавы, Юридический вестник, Т. 7, М., 1888, 218-219.

2457 გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

2458 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31.

2459 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 14, 39.

2460 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 74.

2461 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 79.

2462 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 111.

2463 ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის–„ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 136, 138.

2464 იხ. დ. ჯალაბაძე, დანაშაულის და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 140-141.

2465 ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 71; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 93; ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15.

ლით ცხვრის ფარის წაყვანა ისეთივე სიმძიმის დანაშაულად ითვლებოდა, როგორც ადამიანის მკვლელობა.[2466] ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო მეცხვარეობის მნიშვნელობით ფშავისთვის. აქ ცხვრის ძალზედ დიდი ფარები ჰყავდათ (ხშირად ასობით და ათასობით). ამდენად, ცხვრის მთელი ფარის გატაცებით მიყენებული ზიანი მატერიალური თვალსაზრისით მკვლელობისათვის დაწესებულ გადასახადს არ ჩამოუვარდებოდა, თუ უფრო მეტი არ იყო. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ცხვრის მთელი ფარის გატაცება ფაქტიურად მკვლელობას უთანაბრდებოდა.[2467]

მოტანილი მონაცემები ცალსახად მიუთითებს, რომ ხევსურულ და ფშაურ ჩვეულებით სამართალში ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, კერძოდ, ორმაგი, სამმაგი, ხუთმაგი და შვიდმაგი. ხევსურულ სამართალში XIX თუ XX საუკუნის ავტორთა უმრავლესობა ძირითადად ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებაზე საუბრობს. ბ. გაბუურის, ალ. ყაზბეგის, მ. კოვალევსკის, მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორების, ბ. გოგოჭურის მონაცემები მიუთითებს, რომ ხევსურული რჯულით ძირითადად ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება იყო მიღებული. როგორც ჩანს, არ იყო გამორიცხული ნაქურდალის ორმაგ, თუ სამმაგ ანაზღაურებასაც ჰქონოდა ადგილი. სამწუხაროდ, ავტორები და ინფორმატორები, რომლებიც საუბრობენ ხევსურეთში ნაქურდალის ორმაგი თუ სამმაგი ოდენობით ანაზღაურებაზე, არ მიუთითებენ, თუ როდის ხდებოდა ნაქურდალის სწორედ ამ ოდენობით ანაზღაურება და არა შვიდმაგად.

დასაშვებად მიგვაჩნია მ. კოვალევსკის განმარტება ამ საკითხზე ხევსურეთის მეზობელ ფშავთან დაკავშირებით, რომ ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება სახლის გატეხვის შედეგად ქურდობისას ხდებოდა, ხოლო ორმაგისა მინდვრიდან ქურდობისას, ხევსურეთზეც განვავრცოთ. აღნიშნული ფაქტიურად დაგვიდასტურა პეტრე გოგოჭურმა, რომლის თანახმადაც, ხევსურეთში ნაქურდალის შვიდმაგი ოდენობით ანაზღაურება ხდებოდა მაშინ, როდესაც ქურდობა მოხდებოდა სახლიდან, ეზოდან, უფრო ზუსტად კი იმ შემთხვევაში, როდესაც ქურდმა ზუსტად იცოდა, თუ ვინ იყო მოპარული ქონების პატრონი. თუ მოპარვა ხდებოდა მინდვრიდან, მაშინ ნაქურდალის ანაზღაურება მხოლოდ სამმაგი იყო, რადგანაც ქურდმა არ იცოდა, თუ ვის ქონებას ხელყოფდა.[2468] პეტრე გოგოჭური ამ მონაცემით ხსნის მიზეზს იმისას, თუ რა შემთხვევაში მოხდებოდა ნაქურდალის ანაზღურება სამმაგად და რა შემთხვევაში შვიდმაგად. მისი განმარტებით, ეს დამოკიდებული იყო იმაზე, ქურდმა იცოდა თუ არა ვის ქონებას ხელყოფდა. როდესაც ვინმეს ბინიდან, ეზოდან იპარავდა რამეს, ცხადია, ქურდმა ზუსტად იცოდა ვინ იყო მისი მსხვერპლი, მინდვრიდან პირუტყვის მოპარვისას კი არა.

2466 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „იერია", 1888, №185.

2467 აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიელთა ჩვეულებითი სამართალი იცნობს სპეციალურ ნორმებს ცხვრის ფარის და მისი მწყემსის ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მაგალითად, ინგუშური ჩვეულებითი სამართლით, ფარაზე აშკარა თავდასხმისათვის, თუ ქურდები ფარას ადგილიდან დაძრავდნენ, მოპარული პირუტყვის ღირებულების ზემოთ დამნაშავეებს უნდა გადაეხადათ ფარის პატრონის სასარგებლოდ უპატიობისათვის 10 ძროხა, მწყემსისთვის კარგი ცხენი. თუ მწყემსს გაქურდავდნენ და მის მიმართ რაიმე ძალადობას განახორციელებდნენ (შეუკრავდნენ ხელებს, ცემდნენ და სხვა), ბრალეული გადაუხდიდა დაზარალებულს 10 ძროხას (Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 180).

2468 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ქ. დუშეთი, 2016, 9.

იგივე მიზეზით უნდა მომხდარიყო განსხვავება მინდვრიდან და ბინიდან მოპარვისათვის ნაქურდალის ანაზღაურების ოდენობას შორის ფშავშიც. პეტრე გოგოჭურის მიხედვით გამოდის, რომ ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას არა მხოლოდ სახლში შეღწევით ქურდობა იწვევდა – ეზოდან ქურდობაც ხომ ზუსტად მიუთითებდა მსხვერპლის ვინაობას. ჩვენი ვარაუდით, იგივე შესაძლოა ფშავზეც გავრცელდეს.

ბინიდან ქურდობა ყველაზე უფრო აშკარად და უპირობოდ მიუთითებს იმას, რომ ქურდისთვის ცნობილია მსხვერპლის ვინაობა, ამიტომაც, ჩვენი ვარაუდით, მ. კოვალევსკი ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას სწორედ ბინიდან ქურდობას უკავშირებს. ითვლებოდა რომ ქურდის მიერ მსხვერპლის ვინაობის ცოდნა, ამ უკანასკნელის მეტ შეურაცხყოფას, დამცირებას გულისხმობდა, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ შემთხვევაში უფრო გადიდებული პასუხისმგებლობის დადგომისა, ვიდრე ქურდობისას, როდესაც დამნაშავისთვის მსხვერპლის ვინაობა იყო უცნობი.

დ. ჯალაბაძე ფშავთან დაკავშირებით აღნიშნავს რომ აქ ქურდის დასჯა დროთა განმავლობაში შერბილდა და ყურადღება მის მატერიალურ მხარეზე გადავიდა. მისი თქმით, XX საუკუნის 80-იან წლებში მცხოვრები ფშაველები ერთხმად ადასტურებენ რომ ქურდობისათვის მოკვეთა და ხატში დარისხება თითქმის აღარ ხდება და მხოლოდ ქონებრივი ანაზღაურებით კმაყოფილდებიან.[2469]

ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება ხევშიც ფიქსირდება. კერძოდ, მ. კეკელიას 1984 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით, არაერთი მოხევე ინფორმატორი საუბრობს ამის თაობაზე. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით: „ჩვენთან არსებული წესის მიხედვით, თუ ვინმე ერთ ცხვარს მოიპარავდა, მას 7 ცხვარს გადაახდევინებდნენ. ასე იყო ყოველთვის ქურდობის დროს. მიზანი ის იყო, რომ სხვას არ მოეპარა."[2470] სხვა მოხევე ინფორმატორებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეში „შვიდეულის" შესახებ საუბრობენ, მას პირველ რიგში ცხვრის ქურდობას უკავშირებენ.[2471] ეს განპირობებული უნდა იყოს მეცხვარეობის უპირატესი მნიშვნელობით მოხევეთა სამეურნეო ცხოვრებაში.

ხევში ქურდის მიმართ გამაწბილებელი სასჯელის გამოყენებაც არ ყოფილა უცხო. მ. კეკელიას მოხევე ინფორმატორი იხსენებს, რომ მან ბავშვობაში, დაახლოებით ათი წლის ასაკში, თავის ტოლ ბიჭებთან ერთად მოიპარა მზესუმზირა. სოფლის უფროსმა კაცებმა ამ ქურდობის ყველა მონაწილეს კისერზე დაკიდეს მოპარული მზესუმზირა და ასე ჩამოატარეს სოფელში.[2472]

ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების წესი მ. კეკელიამ მთიულეთში, კერძოდ ქსნის ხეობაშიც დააფიქსირა. ხევის მსგავსად ქსნის ხეობაშიც ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება ცხვრის ქურდობასთან მიმართებაში გვხვდება.[2473]

მონაცემები „შვიდეულის" შესახებ გვხვდება თუშეთშიც. მ. კოვალევსკი

2469 დ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., 141.

2470 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1984, 49.

2471 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1984, 31, 81-82; №2, 69; №3, 1984, 16.

2472 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №2, 1984, 68-69.

2473 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 19, 38.

ქურდობის ინსტიტუტს ხევსურეთსა და თუშეთში ერთობლიობაში განიხილავს და ამდენად რასაც ხევსურეთზე საუბრობს თუშეთზეც ავრცელებს. მის მიხედვით გამოდის, რომ თუშეთშიც ნაქურდალი შვიდმაგად და ორმაგად ნაზღაურდება.[2474] ივ. ცისკარიშვილი და ალ. ხახანაშვილიც საუბრობენ თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურების შესახებ.[2475] სხვა მკვლევარები არ ადასტურებენ თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურებას. კერძოდ, სტეფანე მენთეშაშვილი საუბრობს ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებაზე,[2476] ვასილ ლაგაზიძე კი გამორიცხავს თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას.[2477] მისი განმარტებით, თუშური ხალხური სამართლის კვლევის შედეგად, არც ერთი გადმოცემით არ დასტურდება ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება. შესაძლოა ეს ფშავ-ხევსურეთში იყო და თუშეთზეც გაავრცელა მ. კოვალევსკიმ."[2478] ვ. ლაგაზიძის ცნობები საკმაოდ სანდოა და სრულიად შესაძლებელია თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების შესახებ გადმოცემას მან მართლაც ვერ მიაკვლია, თუმცა როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში შემორჩა ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების პრინციპი და მითუმეტეს თუშეთში მის არსებობას ადასტურებს არა მარტო მ. კოვალევსკი, არამედ ივ. ცისკარიშვილი (რომელიც თვითონ თუშეთის მკვიდრი იყო) და ალ. ხახანაშვილი (რომელიც პირადად იმყოფებოდა თუშეთში მასალების მოსაპოვებლად XIX საუკუნის 80-იან წლებში), რომელთა მონაცემების სანდოობაში თუშეთის შესახებ ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების პრინციპის ცალსახა უარყოფა თუშურ ჩვეულებით სამართალში არასწორად მიგვაჩნია. თუ ვ. ლაგაზიძის მიერ XX საუკუნის შუა პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგად არ დაფიქსირდა ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება, ეს ცალსახად არ ადასტურებს იმას, რომ XIX საუკუნის II ნახევარში, ან უფრო ადრე, მისი არსებობა თუშეთში გამორიცხული იყო. შესაძლებელია აქაც ძველად არსებულა ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურების წესი, რაც დასტურდება ივ. ცისკარიშვილის, მ. კოვალევსკის და ალ. ხახანაშვილის მონაცემებით (ისინი XIX საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარს მიეკუთვნება), თუმცა დროთა განმავლობაში ქურდობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების გამო, შედარებით გვიანდელ პერიოდში, ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება აღარ გამოიყენებოდა, რაც დასტურდება სტ. მენთეშაშვილისა და ვ. ლაგაზიძის მონაცემებით და ქურდობისათვის ნაკლები საზღაურის დაკისრება ხდებოდა.

თუშეთში ქურდის მიმართ ბოიკოტის მსგავს ღონისძიებასაც ატარებდნენ. ვ. ლაგაზიძე საუბრობს რა ნაქურდალის ანაზღაურებაზე, მიუთუთებს, რომ ქურდობისას ხდებოდა ე. წ. „სახლის შეკვრა," რაც იმას ნიშნავდა, რომ სოფლის ან თემის ყველა ოჯახი ვალდებული იყო ქურდის მეზობლობაზე ხელი აეღო, არ მიეცა ცეცხლი, არ გაეცა ხმა. სოფლის ნახირში არ უშვებდნენ მის საქონელს

2474 მ. კოვალევსკი, იქვე.

2475 И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. Кавказ, 1849, №11; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია", 1888, №185.

2476 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, პირადი არქივი, ხელნაწერი, 1937, 171.

2477 ვასილ ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, დ. 299, 147.

2478 იქვე.

და სხვა.[2479] ეს მიუთითებს საკუთარ სოფელსა თუ თემში ჩადენილი ქურდობის საჯარო-სამართლებრივ ბუნებას.

ამრიგად, საქართველოში ისტორიულად ცნობილი ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, მათ შორის ქართული სამართლის ძეგლებით ცნობილი „შვიდეული", ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოს მთის რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი) XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეშიც შემორჩა.

ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მაგალითად, ოსური ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ქურდობაში მხილებული ვალდებული იყო ორმაგად აენაზღაურებინა ნაქურდალის ღირებულება გაქურდულისათვის და დამატებით გადაეხადა ჯარიმა თავისი მებატონისთვის.[2480] ორმაგ გადასახადს ვხვდებით ჩეჩნურ ჩვეულებით სამართალში.[2481] ინგუშური ჩვეულებითი სამართლის მონაცემების მიხედვით კი, ჩანს ნაქურდალის ანაზღაურება ორმაგზე ოდნავ ნაკლები ოდენობით. მაგალითად, ცხენის ქურდობისათვის დამნაშავეს უნდა გადაეხადა თვით ნაქურდალის ღირებულება და დამატებით მეორე ღირებულება ღირებულებაზე 10 მანეთით ნაკლები. ხარის ქურდობისათვის უნდა გადაეხადა 20 მანეთი (ნაქურდალის ღირებულება) და დამატებით კიდევ – 15 მანეთი. ძროხის ქურდობისათვის ასევე ნაქურდალის ღირებულება 15 მანეთი და დამატებით – 12 მანეთი, ანუ არასრული ორმაგი გადასახადი. სამივე შემთხვევაში, სავალდებულო იყო ქურდები გამასპინძლებოდნენ საზოგადოებას. თუ რამდენიმე ქურდია, სავალდებულო იყო თითოეულს მოეყვანა ერთი წლის ცხვარი და ორ-ორი ქვაბი არაყი. თუ ქურდი მარტო იყო, მას გასამასპინძლებლად სთხოვდნენ ერთ დიდ ცხვარს და ოთხ ქვაბ არაყს.[2482] როგორც ვხედავთ, ყველა მოტანილი მონაცემის მიხედვით, ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურების გარდა, დამნაშავეს გარკვეული საჯარო ხასიათის სასჯელიც ეკისრებოდა.

მოტანილი მონაცემები ძირითადად ეხება პირუტყვის, საოჯახო ნივთების, ტანსაცმლის, სხვადასხვა სახის პროდუქტების მოპარვას. მეტწილად ისინი ასახავს საკუთარ თემში, სოფელში ქურდობის საკითხებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბ. გაბუურის ცნობაში, სადაც უკიდურესად მიუღებლადაა შეფასებული ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან საკუთარ სოფელში ქურდობა. ბუნებრივია, როდესაც საუბარია ქურდის მიმართ ქონებრივი საზღაურის გარდა საჯარო ხასიათის სასჯელების დაკისრებაზე, ისინი შესაძლოა განხორციელდეს საზოგადოების მხრიდან მხოლოდ საკუთარი წევრის მიმართ.

2.2. ქურდობა სახლში შეღწევით. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გარკვეული მონაცემები მოგვეპოვება სახლში შეღწევით ქურდობასთან დაკავშირებით. ამ მონაცემების მიხედვით, ქურდობისთვის გათვალისწინებული ზოგადი სასჯელის გარდა, სახლში შეღწევით ქურდობისათვის დამნაშავეს დამატებითი საზღაურიც ეკისრებოდა. შესაბამისი ცნობები მხოლოდ ზოგიერთი კუთხის მასალებში თუ შემორჩა. ძირითადად ეს ეხება სვანურ და ხევსურულ მასალებს.

2479 იქვე, 147.

2480 Тифлисские ведомости, Письма из Осетии, письмо VI, 1930. №84

2481 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 136.

2482 იქვე, 182.

სვანურ ჩვეულებით სამართალში სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი საზღაურის შესახებ ცნობები XIX საუკუნის დასასრულს დაფიქსირებულ მონაცემებში გვხვდება. კერძოდ, ბ. ნიჟარაძე ცალკე განიხილავს გადასახადს სახლის გატეხვისათვის: „.....რა გინდ მცირე მოეპარა ქურდს, თუ კი დაკეტილი, ურდულ გაყრილი კარები გააღო, ან კედელი გააღო, ან კედელი შეტეხა, ან ფანჯარაში შეიპარა, თხოულობდა ნაქურდალის დაბრუნებას და გარეშე ამისა კიდევ 12 აცსიშს. ქურდს, თუ სახლის გატეხაზე მოასწრებდენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში.“[2483] სავარაუდოდ, ბ. ნიჟარაძის ამ მონაცემს ეფუძნება მ. კოვალევსკის ცნობა, რომლის თანახმადაც სახლში ჩადენილი ქურდობა უფრო მძიმედ ითვლებოდა და თუ ქურდობა დაკავშირებული იყო სხვის სახლში ძალადობრივ შეჭრასთან, ამას მოსდევდა დამატებით 12 აცსიშის გადახდა.[2484] თუ რით იყო განპირობებული სახლში შეღწევით ქურდობისას უფრო დიდი გადასახადის დაკისრება სვანეთში ახსნილი აქვს ბ. ნიჟარაძეს. მისი თქმით: „სახლის გატეხას რაღაც დიდი დამჩაგვრელი მნიშვნელობა ეძლევა სვანეთში. სახლის ხელ-უხლებლად, შეუბღალავად შენახვა სვანის ზნეობითი მოვალეობა-მოთხოვნილებაა, გატეხა, გაქურდვა კი პირადი პატივის და ღირსების დამცირება და შეურაცხ-ყოფაა.“[2485] ფაქტიურად იგივე დასტურდება ეგ. გაბლიანის მიერაც, რომელიც წერს: „სახლის გატეხა („ქორა კვაშა“) ნიშნავს ურდულ გაყრილი კარები თუ გააღო ქურდმა, ან კედელი გამოანგრია და ან ფანჯრიდან შეძვრა და ისე მოახდინა ქურდობა. ეს ოჯახის დამცირებად, ღირსების ახდად და დიდ შეურაცხყოფად ითვლება. ამ შემთხვევაში ნაქურდალის ერთი ორად გადახდა არ შველის. ქურდმა „ქორა ნაკვშიერ“ – სახლის გატეხვისა და გალანძღვისათვის უნდა გადაიხადოს 12-20 ათსიშამდე (72-120 მან.)“[2486]

ამ მონაცემებში კარგად ჩანს, რომ ქურდობა სხვის სახლში შეღწევით სვანეთში აღიქმება არა მარტო ქონებრივი ზიანის მიყენებად, არამედ დაზარალებული ოჯახის უდიდეს დამცირებად და შეურაცხყოფად. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებდა სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადის გადახდას – 12 აცსიშის ოდენობით ბ. ნიჟარაძის და მ. კოვალევსკის მიხედვით და 12-20 აცსიშის ოდენობით ეგ. გაბლიანის მიხედვით. სამწუხაროდ, ეგ. გაბლიანი არ აზუსტებს, თუ რაზე იყო დამოკიდებული ამ დამატებული გადასახადის ოდენობა 12-20 აცსიშის ფარგლებში. ბ. ნიჟარაძე ასეთ შუალედს არ აფიქსირებს და ნებისმიერ შემთხვევაში სახლში შეღწევით ქურდობისათვის 12 აცსიშის დამატებით გადასახადს მიუთითებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბალსზემო სვანეთის ზოგიერთ თემში 12 აცსიშისაგან განსხვავებული გადასახადი იყო დამატებითი საზღაურის სახით სახლში შეღწევით ქურდობისას და ეს აისახა კიდეც ეგ. გაბლიანის მიერ.

სახლში შეღწევით ქურდობასთან იყო დაკავშირებული კერიის ჯაჭვის მოპარვაც. მ. კოვლევსკის მონაცემით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სვანეთში კერიის ჯაჭვის ქურდობა, აგრეთვე იმ რკინის ოთხფეხისა, რომელზეც პური ცხვება. ანაზღაურება ამ დროს 20 აცსიშამდე (120 მანე-

2483 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 120.

2484 М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 38.

2485 ბ. ნიჟარაძე, იქვე.

2486 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 112.

თამდე) ადიოდა. სვანები ქურდობის გარდა ამაში ოჯახის განსაკუთრებულ შეურაცხყოფას ხედავდნენ.[2487] როგორც ვხედავთ, სვანეთში კერიის ჯაჭვის ქურდობა განსაკუთრებით დამამცირებლად და ოჯახის ღირსების შემლახველად მიაჩნდათ, ცხადია, ოჯახისათვის კერიის მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერიის ხელყოფა ხომ ოჯახის დაქცევის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახლში უკანონო შეღწევას თუ მოჰყვებოდა მისი ქურდობა, გადასახადი 20 აცსიშამდე ადიოდა.

საინტერესოა რომ დაზარალებულის დამცირებით ჩადენილი ქურდობისას დამატებით გადასახადის დაკისრება დამახასიათებელია ძველი ქართული კანონმდებლობისთვისაც. ეს თვალნათლივ ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. ამ ძეგლის მიხედვით ნაქურდალის შვიდმაგი ოდენობის გადახდა იყო გათვალისწინებული. ამავე დროს ძეგლით გათვალისწინებულია რამდენიმე შემთხვევა, რომელთა მიხედვითაც თუ ქურდობა ხორციელდებოდა დაზარალებულისათვის შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ფორმით, დამნაშავეს ნაქურდალის შვიდმაგი ოდენობის გარდა უნდა გადაეხადა კიდევ დამატებითი გადასახადი. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია სწორედ სხვის სახლში უკანონოდ შეღწევით ქურდობასთან. ძეგლის 151-ე მუხლის მიხედვით, თუ ქურდი შეიპარებოდა სხვის სახლში, მაშინ როდესაც იქ ერთად იწვნენ ცოლ-ქმარი და იქიდან წაიღებდა ცოლის ტანსაცმელს თუ სამკაულს, ან ქმრის იარაღსა თუ ტანსაცმელს, ან სხვა რაიმეს, ნაქურდალის შვიდმაგი ოდენობის გარდა უნდა გადაეხადა ცოლ-ქმრის სისხლის ნახევარ-ნახევარი მათი გვარის მიხედვით.[2488] ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ქურდი სახლში შედის საქურდლად დამატებითი გადასახადის (ცოლ-ქმრის ნახევარ-ნახევარი სისხლის ოდენობით) დაკისრების საფუძვლად არ ითვლება. ვახტანგის სამართლის წიგნის 154-ე მუხლით ქურდობისათვის გადასახადი ნაქურდალის შვიდმაგ ოდენობას წარმოადგენდა, მიუხედავად ნაქურდალის ოდენობისა და მისი ჩადენის ადგილისა (შინაა ჩადენილი თუ გარეთ).[2489] ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტორი, რომ ქურდობას ბინაში შეღწევით ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც სახლის პატრონი ცოლ-ქმარი სახლში ერთად მწოლიარენი იყვნენ. კანონმდებელი სწორედ ამ ფაქტორს მიიჩნევს დაზარალებულთათვის შეურაცხმყოფლად, დამამცირებლად და ამის გამო ქურდს ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების გარდა კიდევ დამატებით საზღაურს აკისრებს.

ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების გარდა დაზარალებულის სისხლის ნახევრის დაკისრებას ქურდისთვის ვხვდებით ასევე ვახტანგის სამართლის წიგნის 152-ე მუხლით. ამას ადგილი ექნებოდა, თუ ლაშქრობისას ერთი პიროვნება მეორეს ან ცხენს, ან იარაღს, ან ტანსაცმელს, ჯაჭვს, აბჯარს მოპარავდა. ასეთი ქურდობა დამამცირებელი იყო მეომრისათვის, რომელმაც იარაღი დაკარგა მტერთან შეუბმელად, დაუმარცხებლად, შეუპყრობლად.[2490] ამ შემთხვევაში კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს რომ დაზარალებულის დამცირე-

2487 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 38.

2488 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963, 519.

2489 იქვე.

2490 იქვე.

ბა არის ფაქტორი, რაც განაპირობებს ქურდისათვის დამატებითი გადასახადის დაწესებას დაზარალებულის ნახევარი სისხლის ოდენობით.

ქურდობისას დაზარალებულის დამცირება, შეურაცხყოფა არის იგივე ოდენობის დამატებითი სახდელის დაკისრების მიზეზი ვახტანგის სამართლის წიგნის 153-ე მუხლის მიხედვითაც.[2491]

როგორც ვხედავთ, დაზარალებულის შეურაცხყოფით, დამცირებით ჩადენილი ქურდობისას დამატებითი გადასახადის დაკისრება მხოლოდ სვანური ჩვეულებითი სამართლისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ძველ ქართულ სამართალშიც იყო ცნობილი. მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნისაგან განსხვავებით სვანეთში ქურდობისას სახლში შეღწევის ფაქტორი, ჩვენი აზრით, ქურდობის, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ჩვენ აღნიშნულ საკითხს შევეხეთ სხვა ნაშრომში, როდესაც განვიხილეთ დანაშაულის მცდელობის საკითხი, კერძოდ კი, ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობები" ქართულ ჩვეულებით სამართალში.[2492] აქ ჩვენ აღვნიშნეთ რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში პატრონის უნებართვოდ სხვის სახლში შეღწევა, რაც ძირითადად რაიმე დანაშაულის (ქურდობა, მკვლელობა და სხვა) ჩასადენად ხდება, შეღწევის ხერხის მიუხედავად (შეღწევა ურდულგაყრილი კარის გაღებით, კედლის შენგრევით, ფანჯრიდან შეპარვით) დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა და თუ „სახლის გამტეხი" სხვა დანაშაულსაც ჩაიდენდა (მაგალითად, ქურდობას), პასუხს აგებდა ამ კონკრეტული დანაშაულისათვისაც და უნებართვოდ სახლში შეღწევისთვისაც, ხოლო თუ ჩაფიქრებული დანაშაული (მაგალითად, ქურდობა) ვერ იქნებოდა ბოლომდე მიყვანილი, პასუხისმგებლობა დადგებოდა არა ამ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, ე. ი. დანაშაულის მცდელობისათვის, არამედ „სახლის გატეხვისათვის," როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის.[2493] ამდენად, სვანურ ჩვეულებით სამართალში უნებართვოდ სახლში შეღწევა ქურდობის მაკვალიფიცირებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადი 12 აცსიშის ოდენობით იყო საზღაური არა კვალიფიციური ქურდობისათვის, არამედ სახლში შეღწევისათვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის.

მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილ მასალაში ჩანს, რომ ამ პერიოდის სვან ინფორმატორებსაც გაუგიათ სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადის შესახებ სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ ქურდობისათვის გათვალისწინებული ნაქურდალის ორმაგი გადასახადის გარდა სახლში შეღწევით ქურდობის შემთხვევაში კიდევ დამატებითი გადასახადი იყო გათვალისწინებული, თუმცა რა ოდენობის იყო იგი, მათ არ ახსოვთ.[2494] ზოგიერთი ინფორმატორი კი მიუთითებს ამ დამატებითი გადასახადის ოდენობას. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის, ლატალელი ინფორმატორის განმარტებით, თუ ქურდი სახლში შევიდა (გატეხვით, ან შეპარვით) და იქურდა, ნაქურდალსაც ორმაგად გადავახ-

2491 იქვე.

2492 იხ. გ. დაეითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 166-173.

2493 იქვე, გვ. 169.

2494 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №5, 1968-1969, 31, 35, 52, 71.

დევინებთ და დამატებით ერთი ნალჯომი მიწის გადახდასაც დავაკისრებთ.[2495] იფარელი ინფორმატორი ასევე კონკრეტულად ასახელებს სახლში შეღწევით ქურდობისათვის გათვალისწინებული დამატებითი გადასახადის არსებობას. მისი თქმით: „სახლის გატეხვით ქურდობა უფრო მძიმეა. მხოლოდ იმისათვის რომ ქურდმა სახლი გატეხა ერთი ძროხა უნდა გადაიხადოს, გარდა იმისა, რომ ნაქურდალიც უნდა აანაზღაუროს ორმაგად.“[2496]

მ. კეკელიას აქ მოტანილი მონაცემები ადასტურებს, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადი იყო გათვალისწინებული. სავარაუდოდ, ეს წესი XX საუკუნის შუახნებშიც გამოიყენებოდა, როდესაც ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხალხური წესით ხდებოდა. მ. კეკელიას მონაცემების მიხედვით გამოკვეთილად არ ჩანს ინფორმატორები უნებართვოდ სახლში შეღწევას განიხილავენ თუ არა დამოუკიდებელ დანაშაულად. ერთ-ერთი ინფორმატორის მინიშნება – „მხოლოდ იმისათვის რომ ქურდმა სახლი გატეხა, ერთი ძროხა უნდა გადაიხადოს“ – გარკვეულწილად მიუთითებს, რომ იგი „სახლის გატეხვას“ განიხილავს დამოუკიდებელ დანაშაულად და მიუხედავად იმისა უნებართვოდ სახლში შეღწევას მოყვება თუ არა ქურდობა, დამნაშავემ სახლის „გატეხვისათვის“ გათვალისწინებული გადასახადი უნდა გადაიხადოს. თუ ჩაიდინა ქურდობა, მაშინ ნაქურდალის ორმაგ ღირებულებასაც გადაიხდის და დამატებით სახლში უნებართვოდ შეღწევისათვის გათვალისწინებულ გადასახადსაც.

საინტერესოა, რომ 2015 წელს ჩაწერილი მასალითაც სახლში შეღწევით ქურდობა დამატებით გადასახადს ითვალისწინებდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, ზოგადად ქურდობისათვის ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება ხდებოდა, სახლიდან ქურდობისათვის კი სამმაგი.[2497] სხვა ინფორმატორის მიხედვითაც, სახლიდან ქურდობა უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე მაგალითად, მთიდან პირუტყვის ქურდობა.[2498]

როგორც გამოჩნდა, ძველად სვანეთში სახლში უკანონოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლებოდა და შესაბამისად სახლში შეღწევით ქურდობისათვის დამატებითი გადასახადის გადახდა დამნაშავეს ისედაც უწევდა. შესაბამისად, სახლიდან ქურდობისას პასუხისმგებლობა ზოგადადაც უფრო მეტი იყო, ვიდრე სახლის გარედან ქურდობა. თანამედროვე, 2015 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სახლში შეღწევით ქურდობისას სახლში შეღწევისათვის პასუხისმგებლობა ქურდობის გადიდებულ საზღაურშია ჩადებული და ამდენად, მისთვის მეტი გადასახადია, ვიდრე სახლის გარედან ქურდობისათვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2015 წელს ჩაწერილი მასალების თანახმად, დროთა განმავლობაში სახლის გატეხვით ქურდობა ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩამოყალიბდა.[2499]

სვანეთის მსგავს ვითარებას ვხედებით ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. აქაც სახლში უნებართვოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოად-

2495 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1, 1967, 69.

2496 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №5, 1968-1969, 48.

2497 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 55; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 213.

2498 იქვე, 170.

2499 ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 114.

გენდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა კონკრეტული დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის) ჩასადენად იყო მიმართული.[2500] მაგალითად, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი განმარატავს, რომ თუ ქურდი სახლს გატეხს, კარებს გააღებს და თუნდაც არაფერს მოიპარავს, ხუთი ძროხა უნდა გადაიხადოს. მოპარვის შემთხვევაში კი ნაქურდალიც უნდა აანაზღაუროს სათანადო წესით და დამატებით ხუთი ძროხაც გადაიხადოს სახლის გატეხვისათვის.[2501] იგივე დასტურდება გ. დოლიძის მასალების მიხედვითაც.[2502] ალ. ოჩიაურის მასალებშიც კარგად ჩანს, რომ უნებართვოდ სხვის სახლში მხოლოდ შესვლა ხევსურული რჯულით მართლაც ხუთი ძროხის გადახდას ითვალისწინებდა.[2503] ბ. გოგოჭურის ცნობითაც, ქურდი ბინაში შეღწევით, ლახავს ბინის ხელშეუხებლობას, რის გამოც მარტო ბინაში-სახლში შესვლა, „ბინის გატეხა", ისჯება 5 ძროხით, რასაც ემატება ნაქურდალი ნივთის ღირებულების შვიდმაგი ანაზღაურება.[2504] იგივეს ადასტურებს დ. ცისკარაულიც.[2505]

ეს მონაცემებიც გვიჩვენებს, რომ სახლში შეღწევა სვანეთის მსგავსად ხევსურეთშიც ქურდობის მაკვალიფიცირებელ ფაქტორს არ წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ხევსურეთსა და სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით არ ჰქონდა მნიშვნელობა პასუხისმგებლობის ზომის თვალსაზრისით ქურდობის მიზნით სახლში შეღწევა ფარულად მოხდა, თუ ძალადობით, აშკარად. რამდენადაც აქ სახლში შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა, თვით სახლში შეღწევის მეთოდი (ძალადობრივი თუ ფარული) ქურდობისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, კონკრეტული მონაცემის თანახმად, ხევსურეთში ქურდობა მსხვერპლის ვინაობის ცოდნით, მათ შორის სახლში შეღწევით, ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას იწვევდა. დამატებით ხუთი ძროხის გაღება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქურდმა არა მარტო იცოდა მსხვერპლის ვინაობა, არამედ ქურდობა უშუალოდ მის ბინაში შეღწევით განახორციელა.

სახლში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადის არსებობა ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც ფიქსირდება. ამისათვის აქაც ქურდობისათვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი გადასახადის გარდა დამნაშავე იხდიდა დამატებით გადასახადს სახლის შეურაცხყოფისათვის. ამის მიზეზი იყო ის, რომ სახლიდან ქურდობა გულისხმობდა სხვის სახლში უნებართვოდ შესვლას, რაც აკრძალული იყო და უკავშირდებოდა კერიის შეურაცხყოფას. ქურდობისათვის გათვალისწინებული გადასახადის ზემოთ არსებული გადასახადი სწორედ ამ შეურაცხყოფისათვის გადახდებოდა დამნაშავეს.[2506] მ. კოვალევსკის მითითებით ოსეთში ქურდობა სახლში შეღწევით უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე მინდორში, ანუ ღია გზაზე, არა იმიტომ რომ იგი ყოველთვის დაკავშირებული იყო ბოროტი ნების მეტ დაძაბვასთან, ან გატეხვასთან, არამედ კიდევ სხვა და-

2500 გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 171.

2501 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 73.

2502 გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

2503 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 6.

2504 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 112.

2505 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31.

2506 Ф. Леонтович. Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 180; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М.,. 1890, 42.

ნაშაულთან, კერძოდ, თვითნებურად სხვის საცხოვრისში შეღწევასთან, რისთვისაც ქურდი დამატებით იხდიდა.[2507] იგივე დასტურდება ჩეჩნურ და ინგუშურ ჩვეულებით სამართალშიც.[2508] ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელებში სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა სვანეთისა და ხევსურეთის მსგავსად ითვლებოდა დიდ შეურაცხყოფად და წარმოადგენდა დამოუკიდებელ დანაშაულს, რაც დამატებით გადასახადს მოითხოვდა. ზოგიერთი მონაცემით ამ გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სახლის რა ადგილიდან იყო ქურდობა ჩადენილი. თ. ლეონტოვიჩის მასალების თანახმად ინგუშეთში განსხვავდებოდა პასუხისმგებლობა ქურდობისათვის სახლის შუაში მდგომი ბოძიდან გასასვლელ კარებამდე, ანუ როგორც ადგილობრივები იტყვიან „ბოძის ქვემოთ“ (შედარებით ნაკლებად ფასობდა) და ბოძიდან ფანჯრისკენ, ანუ „ბოძის ზემოთ" (ფასობდა შედარებით მეტად).[2509] ფაქტიურად ანალოგიურ მონაცემს ვხვდებით ჩეჩნეთშიც, კერძოდ, აუხოელებთან და იჩკერიელებთან ქურდობა ჩადენილი გასასვლელი კარიდან შუა ბოძამდე ნაკლებად ფასობდა, რადგანაც აღნიშნული ადგილი განიხილებოდა როგორც ეზო. სალატაელებთან ასეთ განსხვავებას არ ჰქონია ადგილი. სახლის ნებისმიერი ადგილიდან ჩადენილი ქურდობა ერთგვაროვნად ფასდებოდა და უფრო მნიშვნელოვნად ითვლება, ვიდრე ეზოდან, ან მინდვრიდან ქურდობა.[2510]

ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალებში ჩანს, რომ ქურდობისათვის გათვალისწინებული საზღაურის გარდა გარკვეული დამატებითი გადასახადის გადახდა წისქვილში ქურდობის დროსაც ხდებოდა. როშკელი ინფორმატორი იხსენებს ერთ შემთხვევას: „ჩვენ სოფელში მომხდარა ასეთი ამბავი: ხახმატელ ალუდაურს ჩაუვლია ხახაბოში, რომელიც შესულა წისქვილში და უნახავს, რომ ხორბალი იფქვის: „დაუხვეტია წისქვილი“, აუკიდია ჯორზე და გადასულა. დილით ჯორის ნაკვალევით მისულან ქურდის ოჯახში. მასაც უღიარებია დანაშაული. იქვე დამჯდარან რჯულის კაცები და ასე გაურჯულავთ – პატრონებს ფქვილი, შესვლა – 9 ცხვარი.“[2511] ამ კონკრეტულ მაგალითში კარგად ჩანს, რომ ნაქურდალის ანაზღაურების გარდა დამატებით 9 ცხვრის დაკისრება რჯულის კაცებს გადაუწყვეტიათ ქურდის წისქვილში შესვლის ფაქტის გამო. სრულიად შესაძლებელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში რჯულის კაცებმა გაითვალისწინეს რომ სოფელ როშკას წისქვილში შევიდა უცხო სოფლელი, ხახმატელი პიროვნება და ამდენად მას არ ჰქონდა იქ უნებართვოდ შესვლის უფლება. ამ ერთი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ძნელი სათქმელია ხევსურული რჯულით წისქვილში უნებართვოდ შესვლა (ვთქვათ უცხო სოფლელის) ითვლებოდა თუ არა დამთავრებულ დანაშაულად სახლში უნებართვოდ შეღწევის მსგავსად.

სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მასალებში კონკრეტული ცნობები სახლში შეღწევით ქურდობის შესახებ, ამ დროს სახლის გარეთ ჩადენილი ქურდობისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობის თაობაზე არ მოგვეპოვება. გამონაკლისია მ. კოვალევსკის ფშავთან დაკავშირებული ზემოთმოყვანილი

2507 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 158.

2508 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 137, 173.

2509 იქვე, 180-181.

2510 იქვე, 137.

2511 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 57.

მონაცემი, რომლის მიხდევითაც ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება სახლში შეღწევით ქურდობისას ეკისრებოდა დამნაშავეს, მაშინ როცა მინდვრიდან ქურდობა მხოლოდ ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებას იწვევდა[2512] და ორიოდე მეგრელი ინფორმატორი, რომელთაც თავისი წინაპრებისგან (ერთს ბაბუამისისგან, მეორეს მამისგან) ჰქონია გაგებული, რომ სახლის გატეხვით ქურდობისათვის ქურდს მძიმე სასჯელს აკისრებდნენ. პირველის განმარტებით ყურებს აჭრიდნენ, ცხადია, ნაქურდალის ანაზღაურების გარდა,[2513] მეორე ინფორმატორის თანახმად კი როზგავდნენ.[2514] ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სახლში შეღწევით ქურდობის შემთხვევაში უფრო მძიმე პასუხისმგებლობა იყო გათვალისწინებული, ვიდრე საერთოდ ქურდობისათვის. როგორც ვხედავთ, მეგრელი ინფორმატორების თანახმად სახლში შესვლა ქურდობის მიზნით ამძიმებდა პასუხისმგებლობას ქურდობისათვის და ნაქურდალის დაბრუნებასთან ერთად დამასახიჩრებელი თუ გვემითი სასჯელის გამოყენებასაც ითვალისწინებდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხზე სამეგრელოსთან დაკავშირებით სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია. მოტანილი ცნობები კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სამეგრელოს ჩვეულებით სამართალში, ძველ პერიოდში (ინფორმატორები შესაბამისად ბაბუამისისგან და მამისგან მიღებულ ცნობას გვაწვდიან) ქურდობის, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ფაქტორად სახლში შეღწევით ქურდობა ითვლებოდა. შემდეგ კი დროთა განმავლობაში ჩვეულებითი სამართლის მოქმედების შეზღუდვის კვალობაზე აღნიშნული გარემოება დავიწყებას მიეცა.

2.3. ქურდობისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი. სამართლის ისტორიისთვის კარგადაა ცნობილი ქურდობისას კოლექტიური ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, უშუალოდ ქურდის მხრიდან ნაქურდალის თუ მისი ეკვივალენტური ქონების დაუბრუნებლობის შემთხვევაში. მხედველობაშია ქურდის ნათესავების, თანასოფლელების თუ თანამოთემეების მიერ ნაქურდალის ან მისი ეკვივალენტური ქონების დაბრუნების ვალდებულება დაზარალებულისათვის. ასევე კოლექტიურად შეიძლება ეგოთ პასუხი სოფლის ან თემის მცხოვრებლებს, სოფლის თუ თემის ტერიტორიაზე მომხდარი ქურდობის შემთხვევაში. ქურდობისას ასეთი პასუხისმგებლობა ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება, თუმცა ძალზედ მცირე მოცულობით, ისიც ძირითადად აჭარაში და აღმოსაველეთ საქართველოს მთიანეთში დაფიქსირებულ მონაცემებში.

ამ თვალსაზრისით ძალზედ სინტერესო ცნობას ვხვდებით მ. კედელაძის ფშაურ მასალებში. ფშაველი ინფორმატორი იხსენებს მამა-პაპათაგან გადმოცემულ ამბავს: ქისტები თურმე „დაუდგომარ“ ქურდობას ეწეოდნენ ფშავლების ცხვარ-ძროხისა და ცხენების. ამის გამო უკანა ფშავლებმა აუკრძალეს ქისტებს ფშავის ჭალაზე სიარული, რის გამოც ქისტებს აღარ შეეძლოთ თიანეთსა და თბილისში სავაჭროდ ჩასვლა. ამიტომ სოფელ მუცოს მცხოვრებმა ქისტებმა ფშაველებს თხოვეს ნება დაერთოთ თიანეთ-თბილისში სიარულის. ამის პასუხად უკანა ფშაველებს მოუთხოვიათ ქისტებისთვის ფიცის დადება, რომ ისინი

2512 М. Ковалевский. Пшавы, Юридический вестник, Т. 7, М., 1888, 218-219.

2513 ო ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 63-64.

2514 იქვე, 62.

ვალდებულნი იყვნენ ფშავლების ინტერესები დაეცვათ: არაფერი მოეპარათ და მოეტაცათ (ცხვარ-ძროხა, ცხენ-ჯორები და სხვა). თუ სხვა რომელიმე სოფლის მცხოვრები ქისტები მოსტაცებდნენ ან მოჰპარავდნენ ფშავლებს, მუცუელებს ფშავლებისთვის შეძლებისდაგვარად დახმარება უნდა გაეწიათ. უკანა ფშაელებიც აძლევდნენ ქისტებს ფიცის აღქმას, რითაც ვალდებულებას იღებდნენ, რომ მუცოელებს თიანეთ-თბილისისკენ გაატარებდნენ. თუ ქისტებს ამ გზაზე რაიმე ზარალი მოუვიდოდათ უკანა ფშაელებს უნდა აენაზღაურებინათ.[2515] აღნიშნული მონაცემი ქურდობისას კოლექტიური პასუხისმგებლობის თვალსაჩინო მაგალითია. აქ კარგად ჩანს, რომ უკანა ფშავის მცხოვრებნი მუცოელ ქისტებს აძლევდნენ უფლებას თიანეთ-თბილისისაკენ მიმავალ გზაზე (ფშავის ჭალაზე) გავლის. აქ ქისტების გაძარცვის შემთხვევაში სწორედ უკანა ფშავის სოფლების მცხოვრებნი კოლექტიურად კისრულობდნენ პასუხისმგებლობას, დაზარალებული ქისტისთვის აენაზღაურებინა ზარალი, ცხადია, თუ ქურდობის უშუალოდ ჩამდენი არ გააკეთებდა ამას. თავის მხრივ მუცუელი ქისტებიც იღებდნენ ვალდებულებას ფშავლებისათვის არ მოეპარათ თუ მოეტაცათ პირუტყვი. თუ ამას ადგილი ექნებოდა, სავარაუდოდ, მუცოელ ქისტებს ისეთივე კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ, როგორიც უკანა ფშავლებს, რაც სამწუხაროდ, მ. კედელაძის ცნობაში პირდაპირ არ ჩანს. ეს ცნობა საინტერესოა იმითაც, რომ ითვალისწინებს ქართველი მთიელების (ფშავლების) და ქისტების ურთიერთვალდებულებებს ქურდობისას კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ მათ შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

აჭარულ მასალებში ძირითადად გვხვდება ქურდობისას სოფლის მცხოვრებთა ერთობლივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობით ოლქას (საზოგადოების ყრილობის) საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა. მთელი სოფელი მის ტერიტორიაზე ჩადენილი ქურდობის შემთხვევაში საკუთარ თავს მოვალედ თვლიდა მოეძებნა ქურდი. სოფელი თუ ქურდს ვერ იპოვიდა, თვითონ გადაიხდიდა დაკარგული ნივთისა თუ იარაღის ღირებულებას.[2516] ანალოგიური მონაცემები გვხდება XX საუკუნის 80-90-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც. მაგალითად, ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ თუ მომპარავს ვერ ნახავდნენ სოფელი აანაზღაურებდა ზარალის ოდენობას.[2517] მეორე აჭარელი ინფორმატორის ცნობით, თუ ქურდს ვერ მოძებნიდნენ, სოფელს „გააწევინებდნენ".[2518] ქურდობისას კოლექტიურ პაუხისმგებლობას ადგილი ჰქონდა ზემო აჭარაში, მესაქონლეთა მთაში ყოფნისას, სადაც საქონლის ქურდობა ძველად საკმაოდ ხშირი ყოფილა. ვ. შამილაძის მასალებში ვკითხულობთ: „მთაზე ძველად სახალხო სასამართლოც ეწყობოდა. მაგალითად, თუ ვინმეს საქონელი მოპარეს, მაშინ დაზარალებული მივიდოდა მთაზე მყოფ გავლენიან პირებთან და გაასაჩივრებდა, გამქურდესო. მაშინ ეს გავლენიანი ხალხი შეკრებდა მთაზე მყოფ ყველა კაცებს და გამოუცხადებდა, რომ მოგვეცი ქურდიო. თუ ქურდს არ გასცემდნენ, მაშინ

2515 მ. კედელაძე, ფშაური მასალა, 1951, პირადი არქივი, 4/10, 1-3, იქვე, 4/12, 5-6.

2516 ვლ. მგელაძე, ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში, „ლიტერატურული აჭარა", 1964, №3, 83.

2517 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989-1990, 28.

2518 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 60.

დაიწყებდნენ ფულის შეგროვებას და ფულს დაზარალებულს მისცემდნენ. თუ ქურდი გამოაშკარავდებოდა, მაშინ ქურდს გადაახდევინებდნენ ზარალს და ხალხს ფულს უკან დაუბრუნებდნენ."[2519] აქ კარგად ჩანს ქურდობისას კოლექტიური პასუხისმგებლობის ასპექტი მთაში ქურდის არ გამოვლენის თუ არ გაცემის შემთხვევაში. მთაში მყოფი ყველა პიროვნება ვალდებული იყო დაზარალებულისთვის აენაზღაურებინა ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალი.

ქურდის არ გამოვლენის შემთხვევაში სოფლის მცხოვრებთა (თუ მთაში მყოფ მესაქონლეთა) ვალდებულება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ, როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებული წესი იყო აჭარაში და სოფელში (თუ მთაში) ქურდობის პრევენციის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა. ყველას ესმოდა, რომ ქურდობის შემთხვევაში პასუხისმგებელი შესაძლოა თვითონაც გამხდარიყო და გარკვეული მატერიალური დანაკლისი გაენცადა, ამიტომ, ქურდობის თავიდან აცილება და ქურდობის ჩადენისას ქურდის გამოვლენაც ყველას ინტერესში შედიოდა. ასეთ ვითარებაში ქურდობის გაბედვა, ცხადია, ადვილი არ იქნებოდა.

აჭარაში ფიქსირდება ასევე სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობა თანასოფლელის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის სხვა სოფელში, როდესაც დამტკიცდებოდა რომ ქურდი ნამდვილად მოცემული სოფლიდან იყო. სოფელი ვალდებული იყო უზრუნველეყო ნაქურდალის ან მისი ეკვივალენტი ქონების დაბრუნება დაზარალებულისათვის. თუ ქურდის გამოვლენა ვერ ხდებოდა, ნაქურდალის ღირებულება სოფელს ერთობლივად უნდა აენაზღაურებინა. ქურდის გამოვლენის შემთხვევაში, სოფელი უზრუნველყოფდა რომ აღნიშნული პასუხისმგებლობა უშუალოდ ქურდს ეკისრა. სოფლის ასეთი პასუხისმგებლობა დგებოდა სხვა სოფლიდან ამ სოფლის ტერიტორიამდე ნაქურდალის კვალის მიტანის საფუძველზე.

ო. ზოიძეს დაფიქსირებული აქვს საინტერესო შემთხვევა. ინფორმატორი ყვება: „ბიძაჩემისგან ვიცი: როცა პირუტყვს მოიპარავდნენ, დილას შეიკრიბებოდნენ სოფლის კაცები და ყველა კვალს გაჰყვებოდა. ეს კვალი რომელ სოფელშიც მივიდოდა, ის სოფელი ზღავდა: ან ქურდი უნდა მოეძებნა, ან კვალი უნდა გაეტანა სხვა სოფელში, ან თვითონ გადაეხდიდა სოფელი – ღირებულებას ან თვით ძროხას.. მახვილაურელ დუმბაძე ოსმანს მოპარეს 6 სული ძროხა. შეიყარნენ შარაბიძელები და მახვილაურელები (მეზობელი სოფლებია) და კვალი სოფელ ფერიაში გაიტანეს. ფერიამ კვალი ორთაბათუმში გაიტანა. ორთაბათუმმა – აგარაში. ესენიც კვალის გატანას ბოლომდე მიჰყვებიან. კვალის სიმართლეს მიტანილ სოფელში ამოწმებდნენ. აგარის მოწინავე კაცებმა თქვეს – კვალი მართალია, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, საქონელს მოვძებნით და დაგიბრუნებთ. მეორე დილით პატრონმა ეზოში თავისი საქონელი უკლებლივ ნახა."[2520] ამ მონაცემში გარკვევით ჩანს, რომ თუ ნაქურდალი პირუტყვის კვალი სხვა სოფლამდე მიიყვანდა ქურდის მადევრებს, ეს საფუძველი იყო ამ სოფლისთვის ნაქურდალის ანაზღაურების მოთხოვნისა. თუ ამ სოფლის წარმომადგენლები ნაქურდალის კვალს სოფლის გარეთ არ გაიტანდნენ, იგულისხმებოდა

2519 ვ. შამილაძე, ჩანაწერები მესაქონლეობაზე (ხულოსა და შუახევის რაიონებში), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №479, 1963, 151.

2520 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11-12.

რომ, ქურდი ამ სოფლის მკვიდრია და ამიტომ სოფელს უნდა ეკისრა ნაქურდალის ან მისი ექვივალენტის დაბრუნება. ქურდის ვერ გამოვლენის შემთხვევაში სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა და ნაქურდალის ღირებულებას სოფელი ერთობლივად გადაიხდიდა. მოყვანილ შემთხვევაში გამოჩნდა, რომ კვალი ორი სოფლიდან გატანილ იქნა და მესამე სოფლამდე იქნა მიტანილი. ამ სოფლის (აგარას) წარმომადგენლებმა კვალი თავისი სოფლიდან ვერ გაიტანეს, რის გამოც დამკვიდრებული წესის თანახმად, საკუთარ თავზე აიღეს ნაქურდალი საქონლის უკან დაბრუნების ვალდებულება, რაც აღასრულეს კიდეც. როგორ ჩანს მათ ქურდი გამოავლინეს და დაზარალებულს სწორედ მისი საქონელი დაუბრუნეს უკლებლივ. ეს ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ ქურდის ვინაობა სოფელმა არ გაამჟღავნა. მოყვანილი მაგალითი იმითაცაა საინტერესო, რომ მის მიხედვით სხვაგან (ამ შემთხვევაში სხვა სოფელში) ქურდობას მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურება მოჰყვა, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა დამახასიათებელი იყო ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სხვაგან ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

ნაქურდალი პირუტყვის კვალის მიტანის საფუძველზე სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობა ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება. ხევსური ინფორმატორი გადმოგვცემს: „ვისაც რაიმე დაეკარგებოდა და მის კვალს „მოხელავდა“ შეეძლო კვალი მიეტანა რომელიმე სოფელში. თუ ეს მოხდებოდა, უფლება ჰქონდა სოფლისაგან მოეთხოვა ან ქურდის მოძებნა, ან თვითონ სოფლისაგან ნაქურდალის ანაზღაურება. სოფელს შეეძლო გაეტანა კვალი სოფლიდან და ამ დროს დამკარგავი ამ სოფელს ვერაფერს მოსთხოვდა“.[2521] როგორც ვხედავთ, ხევსურეთში ზუსტად იგივე წესი ფიქსირდება რაც აჭარაში. აქაც ნაქურდალი საქონლის კვალის მიტანა მეზობელ სოფლამდე ნაქურდალის დაბრუნების მოთხოვნის საფუძველი იყო და თანასოფლელის ქურდობისას მთელი სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი, ხვთისო ალუდაური, სოფელ ბარისახოდან კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს: „ჩემმა მოგვარე კაცმა ნიქა ჩალხის ძე ალუდაურმა..... მოკლა გაგუა ფშაველას ძე ჭინჭარაული. გაგუა ცხოვრობდა სოფელ ჭიეში, კარგი ახალგაზრდა იყო, დაოჯახებული. მან ერთ ღამეს ხარი დაკარგა, ხარის კვალმა სოფელ ხახმატში მიიყვანა. გაგუამ ხახმატელებს მოსთხოვა ქურდის გამოაშკარავება, ან ხარის ანაზღაურება.“[2522] გაგუა ჭინჭარაული ამ შემთხვევაში ხევსური ჩვეულების შესაბამისად მოიქცა, მაგრამ სოფელმა არ გასცა ქურდები, თუმცა იცოდა მათი ვინაობა. ამას კი მოჰყვა კონფლიქტი და გაგუას მკვლელობა.[2523] ასეთი წესი ცნობილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარდა ჩრდილოკავკასიელი მთიელებისათვისაც. საინტერესოა, რომ ამ წესის მოქმედებას შესაძლოა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის ურთიერთობაშიც ჰქონოდა ადგილი. ეს ხდებოდა მათ შორის გარიგების, პირობის დადების საფუძველზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ალ. ოჩიაურის ცნობას: „ჯარეგა ქისტის სოფელია და შატილიენებთან ახლოა. ჯარეგიონებსა და შა-

2521 გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 6.

2522 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 78.

2523 იქვე.

ტილივნებს ჰქონდათ ხშირი მიმოსვლა ერთმანეთში და აღებ-მიცემობა. ამ ორ სოფელს, ქისტებს და შატილივნებს, ერთიმეორესთან პირობა ჰქონდათ დადებული: თუ ქისტებს რამე დაეკარგებოდათ, ცხენი და სხვა პირუტყვი და კვალი ხევსურეთისაკენ წამოვიდოდა, მაშინ შატილივნებს უნდა მოეძებნათ მათი დანაკარგი და პირუტყვი. თუ შატილის სოფლის მცხოვრებნი დაკარგავდნენ ხარს, ძროხას ან ცხვარს, ქურდის და პირუტყვის კვალი ქისტეთისაკენ წავიდოდა, მაშინ ჯარეგიონებს უნდა მოეძებნა. თუ ვერ მოუძებნიდნენ, მათ უნდა აენაზღაურებინათ შატილივნების ზარალი. ეს ამბავი სხვა სოფლის ქისტებმაც იცოდნენ და ხევსურებმაც – შატილივნები და ჯარეგივნები რომ თვადებნი იყვნენ ერთიმეორესთან და ამიტომ ამ მიდამოს ქურდობას ერიდებოდნენ.[2524] ამ შემთხვევაშიც „შატილივნებისა" და „ჯარეგივნების" ერთობლივი პასუხისმგებლობის საფუძველი იყო ნაქურდალის კვალი, რომელიც შესაბამისად ქისტეთისკენ ან ხევსურეთისკენ წავიდოდა.

ხევსურეთში სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი სოფლის წევრის ქურდობისას ფიქსირდება მაშინაც, როდესაც ქურდი მზევალს არ აუნაზღაურებდა ნაქურდალს. ხევსურეთში ფიქსირდება მზევლობის ინსტიტუტი. როდესაც დაზარალებული პირუტყვს დაკარგავდა და მისი კვალი სხვა სოფლამდე მიიყვანდა, დაზარალებული ერთ ამ სოფლელ კაცს აიყვანდა მზევლად და სამზევლო თანხას – 6 აბაზს მისცემდა. ხევსურული წესით პიროვნება მზევლობაზე უარს ვერ იტყოდა. მის ფუნქციას წარმოადგენდა ქურდის მოძებნა და ნაქურდალის დაბრუნების უზრუნველყოფა. თუ ქურდი არ გამოტყდებოდა და ნაქურდალ პირუტყვს არ დააბრუნებდა, მზევალი ვალდებული იყო დაზარალებულისთვის თვითონ დაებრუნებინა ნაქურდალი, ხოლო ქურდს მისთვის დანახარჯი ორმაგად უნდა აენაზღაურებინა. თუ ქურდი არ გადაიხდიდა ამ გადასახადს, მაშინ სოფელს უნდა გადაეხადა მისთვის გადასახადი იგივე ოდენობით. ამ შემთხვევაში სოფელი ქურდს მოიკვეთდა.[2525] მზეველის ინსტიტუტის დეტალური შესწავლა ქართულ ჩვეულებით სამართალში ვალდებულებითი სამართლის განხილვისას მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მოტანილი მონაცემი ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ დაზარალებულის მიერ კონკრეტულ სოფელში მზევლის აყვანის საფუძველი იყო სწორედ ამ სოფლამდე ნაქურდალის კვალის მიტანა. და აქაც საბოლოო ჯამში ქურდის მიერ ნაქურდალის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში დგებოდა სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე საინტერესოდ გვეჩვენება ქურდის მოკვეთა სოფლის მიერ ნაქურდალის გადაუხდელობის შემთხვევაში. აქ მოკვეთა, ჩვენი ვარაუდით, განპირობებული იყო არა ქურდობისათვის, მითუმეტეს სხვა სოფელში, არამედ იმიტომ, რომ ქურდის გამო სოფელს მოუწია გარკვეული საზღაურის გადახდა.

კვალის მიტანის საფუძველზე სოფლის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ კავკასიისთვის დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენდა და მრავალი ხალხისთვის ცნობილ ინსტიტუტს წარმოადგენდა. მაგალითად, ფაქტიურად ანალოგიურ წესს ვხვდებით ალბანეთის სამართლის ისტორიაში, კერძოდ, ლეკა

2524 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 193-194.

2525 ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 374/1, 7, 15.

დუკაგინის სამართლის წიგნის 770-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც თუ ნაქურდალის კვალი დამკარგავს რომელიმე სოფლამდე მიიყვანს და ქურდი არ არის ნაპოვნი, დამკარგავმა შესაძლოა მოითხოვოს სოფლისაგან ნაქურდალის ანაზღაურება და სოფელიც ვალდებულია გადაუხადოს.[2526]

სამართალგანვითარების ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელი კოლექტიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ქურდობის შემთხვევაშიც (გარკვეულ ვითარებაში ქურდის ნაცელად მისი თანასოფლელების თუ ნათესავების ქონებრივი პასუხისმგებლობის სახით) გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ნაქურდალის თუ ქურდის კვალის მიტანის საფუძველზე სოფლის კოლექტიური პასუხისმგებლობა ქართულ სინამდვილეში იმდენად დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა, რომ XX საუკუნის ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც კი ფიქსირდება და ზოგიერთ XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორს კონკრეტული შემთხვევაც კი გაუგია.

მასალებში ფიქსირდება ასევე ნაქურდალის კოლექტიური ანაზღაურება ქურდის ნათესავების (მოგვარეების) მიერ, თუ გამოვლენილ ქურდს შესაბამისი სახსრები არ აღმოაჩნდებოდა. ვ. ლაგაზიძე აღნიშნავს, რომ თუშური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დაზარალებულს ქურდის ოჯახიდან შეეძლო იმდენის წაღება, რამდენიც ზარალს აუნაზღაურებდა. თუ ქურდს არ აღმოაჩნდებოდა იმდენი, რომ დაზარალებულის დანაკარგი აენაზღაურებინა, მაშინ საგვარეულო იყო ვალდებული ეს გაეკეთებინა.[2527]

2.4. პასუხისმგებლობა არაერთგზისი და სხვა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად ცალსახად იკვეთება მისი არაერთგზისი ჩადენა. სხვა დამამძიმებელი გარემოებები ძალზედ მკრთალადაა წარმოჩენილი, ან ზოგადი მონაცემის სახითაა მოცემული, რაც მათზე საუბარს საკმაოდ ართულებს. განმეორებითი ქურდობისას პასუხისმგებლობის დამძიმება მისთვის გამოყენებულ საჯარო ხასიათის სასჯელზე აისახება.

არაერთგზისი ქურდობისას პასუხისმგებლობის დამძიმება ფიქსირდება როგორც მთის, ასევე ბარის რეგიონების ჩვეულებით სამართალში. აღნიშნული ძალზედ კარგად ჩანს ხევსურულ მასალებში. როგორც დავინახეთ, ბ. გაბუური საუბრობს რა ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებაზე და ერთი წლის განმავლობაში თანასოფლელთა მხრიდან ქურდის ხალხის თავშეყრის ადგილას მიუშვებლობაზე, პირდაპირ მიუთითებს, რომ ამგვარი სასჯელი მხოლოდ და მხოლოდ პირველად ჩადენილ ქურდობას ეხება. მისი განმარტებით: „თუ მეორე-მესამედ კიდევ მაუხდ ქურდობა, მაშინ სოფელ ჩახქოლავს ქურდს ან უჩივლებენ მთავრობასთან, დააჭერიებენ, ან თაოდ სოფელსოფლის პირით მახკვლენ ამ ქურდს.“[2528] აქ კარგად ჩანს, თუ რა შედეგს იწვევდა ქურდობის რეციდივი ხევსურეთში. როგორც ვხედავთ გამორიცხული ამ შემთხვევაში უმძიმესი სასჯელი – სიკვდილით დასჯაც კი არ იყო. ქურდობის პირველ შემთხვევაში კი ასეთი

2526 Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, М., 1961, 663.

2527 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარსულიდან, თბ., 1966, დ. 299, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, 147.

2528 ბ. გაბუური, დასახ. ნაშრ., 139.

მძიმე სასჯელის გამოყენებას ადგილი არ ექნებოდა. მსგავს მონაცემს თუშეთის შესახებ მასალებშიც ვხვდებით. კერძოდ, ივ. ცისკარიშვილი მიუთუთებს, რომ მრავალგზისი ქურდობისათვის შესაძლებელი იყო დამნაშავის მოკვლა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.[2529] იგივეს თუშეთთან მიმართებით ადასტურებს არ. ზისერმანიც.[2530] განმეორებითი ქურდობისას სოფლის მიერ დამნაშავის სახალხოდ ჩაქოლვის შესაძლებლობა ფშაურ მასალებშიც გვხვდება.[2531] საზოგადოების მიერ გამოუსწორებელი ქურდისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ფაქტი ფიქსირდება ლეჩხუმში. ინფორმატორი იხსენებს, რომ ერთი პიროვნება იპარავდა ყველაფერს – ღვინოს, პურს, ყველს და სხვა. სოფელი შეიკრიბა და გადაუწყვიტა მას დახვრეტა. ხალხისთვის დაუსწრია ხელისუფლებას და დაუპატიმრებია დამნაშავე.[2532] გამოუსწორებელი ქურდის მოკვდინების ფაქტი გურიაშიც ფიქსირდება.[2533] მაგალითად, მენშევიკების მმართველობის ბოლო წლებში გურიის ერთ-ერთ სოფელში მომხდარა ასეთი ამბავი: ქურდი იყო გვარად სანიკიძე, რომელმაც არ მოიშალა ქურდობა. შეიკრიბა სოფელი და მოსთხოვა მას გამოსწორება. მან უთხრა რომ ქურდობას ვერ მოვიშლიო და ამიტომ მას გადაუწყვიტეს „ტერორი". რამდენიმე კაცს დაავალეს მისი მოკვლა. ერთ-ერთ მათგანს მოუკლავს კიდეც სანიკიძე და ამისათვის არავითარი პასუხი არ უგია. ტერორისათვის არჩევდნენ ისეთ ხალხს, რომელთაც შეეძლოთ კაცის მოკვლა.[2534] ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ სოფელმა ქურდის მიმართ უკიდურეს ზომებს მაშინ მიმართა როდესაც მისი გამოსწორების იმედი საბოლოოდ დაკარგა.

განმეორებითი ქურდობისას უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე პირველად ჩადენილის შემთხვევაში, სვანეთშიც ფიქსირდება. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, „სასოფლო ყრილობა თავისი უფლებით სჯიდა ადგილობრივ ქურდებს, ნამეტურ მაშინ, როდესაც ერთი და იგივე პირი რამდენჯერმე იყო ქურდობაში შენიშნული."[2535] აქ კარგად ჩანს, რომ საზოგადოება არაერთგზის ქურდობის ჩადენას უფრო მძიმე დანაშაულად აღიქვამდა, ვიდრე პირველად ჩადენილს. XX საუკუნის 60 – იანი წლების სვანი ინფორმატორის მიხედვითაც ჩანს, რომ თუ პირველი ქურდობა ნაქურდალის ორმაგი ოდენობის გადახდას იწვევდა, მეორედ ჩადენისას ამის გარდა კიდევ ბოიკოტის გამოცხადებასაც ექნებოდა ადგილი.[2536] ქურდობის განმეორების შემთხვევაში დამნაშავისათვის ბოიკოტის გამოცხადება, როდესაც პირველ შემთხვევაში შედარებით მსუბუქი სასჯელის გამოყენებას ჰქონდა ადგილი, სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება.[2537]

განმეორებითი ქურდობისას სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული

2529 И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. Кавказ, 1849, №11.

2530 არნ. ზისერმანი, დასახ. ნაშრ., 250.

2531 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 43.

2532 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

2533 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიულ რვეული, 1989, 29.

2534 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 5.

2535 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, თბ., 1962, 87.

2536 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №4, 1968, 77.

2537 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 34.

ერთ-ერთი უმძიმესი სასჯელის – გაძევების გამოყენება. მაგალითად, მესხეთში ინფორმატორის თქმით, განმეორებითი ქურდობის ჩამდენს სოფელი აძევებდა გარკვეული ვადით, რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით.[2538] ლეჩხუმში ქურდობის გამო გაფრთხილების შემდეგ იგივე პიროვნებას კვლავ ქურდობაზე წაასწრეს. სოფლის საზოგადოებამ მისი გაძევება მოითხოვა.[2539] არაერთი იმერელი ინფორმატორი მიუთითებს რომ განმეორებით, სისტემატურ ქურდობას მოჰყვებოდა გაძევება.[2540] ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, ქურდებს სოფლის თავკაცები აფრთხილებდნენ რომ მეტი აღარ ექურდათ. თუ ქურდი არ გამოსწორდებოდა მოიწვევდნენ სოფლის ყრილობას და მას სოფლიდან გაასახლებდნენ ოჯახთან ერთად.[2541] იმერეთის ერთ სოფელში ორი პიროვნება თურმე სისტემატურად ქურდობდა, რისთვისაც სოფლის ყრილობას მისი სოფლიდან გაძევების გადაწყვეტილება მიუღია.[2542] სისტემატური ქურდობისათვის გაძევებას ეხვდებით სამეგრელოში,[2543] გურიაში[2544] და აჭარაშიც.[2545]

ქურდობის პირველად ჩადენისას პასუხისმგებლობაზე საუბრისას ჩვენ მოვიყვანეთ რამოდენიმე მონაცემი, რომელთა მიხედვითაც შესაბამისი ქონებრივი საზღაურის გარდა ქურდის მიმართ შესაძლებელი იყო ბოიკოტის თუ გაძევების გამოყენება. ჩვეულებითი სამართლის ნაკლებრეგლამენტურობის გამო საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩვეულებით სამართალში ზუსტად არ იყო განსაზღვრული ბოიკოტი და გაძევება უცილობლად განმეორებითი ქურდობისას უნდა ყოფილიყო გამოყენებული თუ პირველი ქურდობის შემდეგ. ყველაფერი დამოკიდებული იყო ქურდობის კონკრეტულ შემთხვევაზე და მისი ჩადენის ადგილზე. მასალების თანახმად უმრავლეს შემთხვევაში ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმძიმესი სასჯელი – გაძევება არაერთგზისი ქურდობის შემთხვევაში გამოიყენებოდა. თუმცა მასალებში გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც პირველი ქურდობაც სწორედ გაძევებას იწვევდა. ჩვენი დაკვირვებით, ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, პირველივე ქურდობისას, მითუმეტეს თუ ეს იქნება რაიმე წვრილმანი ქურდობა, დამნაშავის სოფლიდან გაძევებას, როგორც წესი, ადგილი არ ჰქონდა. პირველივე ქურდობისას გაძევება ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებში მაშინ ფიქსირდება, როდესაც რაიმე მძიმე ხასიათის ქურდობას ექნებოდა ადგილი. ბოიკოტის გამოცხადება კი საკმაოდ გავრცელებული იყო არა მარტო განმეორებითი, არამედ პირველივე ქურდობის შემთხვევაშიც. ბოიკოტს პირველივე ქურდობის შემდეგ ექნებოდა ადგილი, თუ განმეორებითი ქურდობისას,

2538 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1986, 72.

2539 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 23.

2540 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 44; დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 12; ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 45.

2541 ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 19.

2542 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 17-18.

2543 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1988, 23, 34; ო. ზოიძე მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1968, 25-26.

2544 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 11-12.

2545 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატული, 1989, 14, 48, 52.

დამოკიდებული იყო ქურდობის ჩადენის ადგილზე, მის შედეგზე, კონკრეტული შემთხვევის ცალკეულ ფაქტორებზე (ქურდის პიროვნებაზე, ასაკზე და სხვა). როდესაც გამეორებითი ქურდობისას ქურდს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ, ეს ნიშნავდა, რომ პირველი ქურდობისას საზოგადოების მხრიდან მხოლოდ გაფრთხილებას ჰქონდა ადგილი, ან შედარებით მსუბუქი ხასიათის საჯარო სასჯელის დაკისრებას (საჯარო გაკიცხვა და სხვა). პირველი ქურდობის შემდეგ ბოიკოტგამოცხადებული დამნაშავე თუ კიდევ იქურდებდა, მის მიმართ უფრო მძიმე საჯარო სასჯელს გამოიყენებდნენ.

სისტემატური ქურდობისათვის მასალების მიხედვით ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენებოდა თავისუფლების შემზღუდავი თუ გვემითი სასჯელები. მაგალითად, სამეგრელოში გამოუსწორებელ ქურდს სოფლის გადაწყვეტილებით ფეხებზე ბორკილები დაადეს.[2546] ამით ქურდი არა მარტო დასაჯეს, არამედ შემდგომი ქურდობის საშუალებაც მოუსპეს. ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა (მენშევიკური მთავრობისას) როდესაც სისტემატური ქურდობისათვის ორ პიროვნებას მიუსაჯეს ერთმანეთისათვის წნელებით ცემა.[2547]

მოტანილი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ არაერთგზისი ქურდობის შემთხვევაში ქართული ჩვეულებითი სამართალი საკმაოდ მძიმე ხასიათის საჯარო სასჯელებსაც, როგორიცაა სიკვდილით დასჯა, გაძევება, ითვალისწინებდა. საქართველოს ყველა კუთხეში განმეორებითი, არაერთგზისი ქურდობა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა. ნებისმიერ შემთხვევაში განმეორებით ჩადენილი ქურდობისათვის საზოგადოების (სოფლის) მიერ დანიშნული საჯარო სასჯელი უფრო მძიმე ხასიათის იყო, ვიდრე პირველად ჩადენილი ქურდობის გამო.

შედარების თვალსაზრისით აღვნიშნავთ, რომ არაერთგზისი ქურდობა ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მონაცემს ჩეჩნური ჩვეულებითი სამართლიდან. 1862 წლის 25 ოქტომბერს ჩეჩნეთში მიღებულ იქნა სახალხო დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა აქ არსებულ სამიევ სანაიბოში ქურდობისათვის ანაზღაურების წესი. კერძოდ, პირველი ქურდობისათვის განისაზღვრა ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება. მეორედ ჩადენილი ქურდობისათვის ხდებოდა ნაქურდალის ასევე ორმაგი ანაზღაურება, თუმცა დამატებით ქურდს ეკისრებოდა ჯარიმის გადახდა 30 მანეთის ოდენობით და ორთვიანი პატიმრობა. მესამე ქურდობისათვის ნაქურდალის ანაზღაურება და ჯარიმა იგივე იყო, მხოლოდ ამის გარდა დამნაშავეს ასახლებდნენ ერთი წლით რუსეთში.[2548] ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ ყოველი შემდგომი ქურდობა შედარებით მძიმე სასჯელს იწვევდა, რაც გამოიხატებოდა მეორე და მესამე ქურდობისათვის ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებასთან ერთად საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებაში, რასაც პირველი ქურდობისთვის ვერ ვხედავთ. მესამე ქურდობა კი თავის მხრივ უფრო მძიმე საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებდა, ვიდრე მეორე.

არაერთგზის ქურდობის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარე-

2546 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

2547 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15.

2548 Ф. Леонтович. Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 136.

მოებას წარმოადგენდა შაფსუღურ ჩვეულებით სამართალშიც. კერძოდ, პირველად ქურდობისათვის დამნაშავეს უნდა დაებრუნა ზუსტად ის რაც მოიპარა. თუ ამას ვერ შეძლებდა, მაშინ ნაქურდალს შვიდმაგად აანაზღაურებდა. დანაშაულის ჩადენისათვის დამატებით მას უნდა გადაეხადა 9 ხარი. ქურდობის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ეს უკანასკნელი გადასახადი 24 ხარამდე ადიოდა. თუ ქურდი არ გამოსწორდებოდა, მას მოიკვეთდნენ.[2549] ეს უკანასკნელი საჯარო ხასიათის სასჯელი ყველა წინამორბედს აღემატებოდა თავისი სიმძიმით.

პასუხისმგებლობის დამძიმება არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის ზოგადად დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სამართლისათვის. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის თანახმად ქურდის ჩამოხრჩობა ან დამასახიჩრებელი სასჯელით დასჯა სწორედ მრავალგზის ჩადენილი პარვისთვის იყო გათვალისწინებული.[2550]

არაერთგზისად ჩადენის გარდა ქურდობის სხვა დამამძიმებელი გარემოება ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გამოკვეთილი სახით არ არის წარმოჩენილი, თუმცა არის ცალკეული ინფორმატორების მინიშნებანი, რომ გარკვეული განსხვავება პასუხისმგებლობის თვალსაზრისით არსებობდა სხვადასხვა ხასიათის ქურდობისას. კერძოდ, ზოგიერთი ინფორმატორი გამოყოფს ე. წ. დიდ თუ მძიმე ქურდობას, რაც მომეტებულ პასუხისმგებლობას ინვევდა,[2551] ანუ წარმოადგენდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, თუმცა ისინი რას გულისხმობენ „დიდ", „მძიმე" ქურდობაში, კონკრეტულად არ მიუთითებენ, ზოგიერთი ინფორმატორის გარდა.

ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორი აღნიშნავს რომ დიდ ქურდობას წარმოადგენდა ქურდობა ბინის გატეხვით და ქურდობის ადგილზე გაქურდულის ცემით. ასეთ შემთხვევაში, ინფორმატორის განმარტებით, გარკვეული დამასახიჩრებელი სასჯელის გამოყენება ხდებოდა, რაც უფრო მძიმე სასჯელი იყო, ვიდრე სხვა ხასიათის ქურდობებისათვის.[2552] აჭარელი ინფორმატორის განმარტებით კი თუ მძიმე იყო ქურდობა, მაშინ შეიძლებოდა მოეკლათ დამნაშავე, თუმცა ეს უფრო ძარცვის, ან ყაჩაღობის დროს ხდებოდა.[2553]

ამ მონაცემების მიხედვით, „დიდ", „მძიმე" ქურდობად ითვლებოდა: 1. ქურდობა სახლში შეღწევით, 2. ქურდობა ჩადენილი დაზარალებულის ფიზიკური შეურაცხყოფით, მის მიმართ ძალადობის გამოყენებით.

სახლში შეღწევით ქურდობის შესახებ ზემოთ ცალკე გვქონდა საუბარი და აღვნიშნეთ, რომ ასეთი ქურდობისას ხდებოდა დამატებითი გადასახადის გადახდა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართლით, სახლში უნებართვოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულად

2549 კ. ოკუჯავა, შაფსულური ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2006, 67-68.

2550 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1965, 22.

2551 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 25; 1989, ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63-64; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 32; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამარათალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53.

2552 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63-64.

2553 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

ითვლებოდა და სახლში შეღწევით ქურდობა აქ ქურდობის დამამაძიმებელ გარემოებად არ შეიძლება განხილულიყო. სხვა კუთხეებში კი სადაც ფიქსირდება ბინაში შეღწევით ქურდობისას დამატებითი გადასახადის გადახდა, აქ აღნიშნული გარემოება ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს.

დ. ცისკარაულის ცნობით, ხევსურეთში შედარებით მეტად ფასობდა ობლისა და ქვრივის ქონების ხელყოფა.[2554] იგივე ფიქსირდება მთიულეთში ჩაწერილი მასალების მიხედვითაც.[2555] ქვრივ-ობლებს საქართველოში, განსაკუთრებით მთის რეგიონებში, მთელი თემ-სოფელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, დახმარებას უწევდა და ამდენად, მათი ქონების ხელყოფა განსაკუთრებით სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. გასაკვირი არ არის დაზარალებულის ქვრივ-ობლობა მოსამართლეებს გაეთვალისწინებინათ და ეს ფაქტორი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განეხილათ.

როდესაც ინფორმატორები საუბრობენ ქურდობისას დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელ, ძალადობრივ მოქმედებაზე, ჩანს რომ, ისინი ქურდობის ქვეშ გულისხმობენ სხვისი ქონების არა მარტო ფარულ, არამედ აშკარა, ძალადობრივ დაუფლებას, რაც თანამედროვე გაგებით ძარცვის ან ყაჩაღობის ჩადენას უთანაბრდება. ზემოთ დასახელებული აჭარელი ინფორმატორი მძიმე ქურდობას სწორედ ძარცვას ან ყაჩაღობას უკავშირებს. როგორც ვხედავთ, XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვითაც, ცალკეული ინფორმატორები სხვისი ქონების აშკარა, ძალადობით დაუფლებას ქურდობად მოიხსენიებენ, რაც შესაძლოა გადმონაშთი იყოს ძველ პერიოდში ტერმინ ქურდობის უნივერსალური მნიშვნელობისა, როდესაც იგი სხვისი ქონების ყოველგვარი უკანონო დაუფლების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამ მონაცემების მიხედვით სხვისი ქონების დაუფლება აშკარად, ძალადობით, დაზარალებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, უფრო მძიმე ქმედებადაა მიჩნეული, ვიდრე ქონების ფარული დაუფლება და მისთვის შედარებით მძიმე სასჯელია გათვალისწინებული. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არის გარკვული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, სხვისი საკუთრების ხელყოფა, აშკარად, ძალადობით, დაზარალებულისადმი შეურაცხყოფის მიყენებით, ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად აღიქმებოდა და XX საუკუნის დასასრულის ზოგიერთი ინფორმატორის მიერ „დიდი", „მძიმე" ქურდობის კატეგორიაში მოიაზრებოდა.

ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ქურდობის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათებისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებაში, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის დანაშაული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ქურდობის ცნების ქვეშ ერთიანდებოდა, სხვისი ქონების დაუფლება ჩადენილი აშკარად, თუ ძალადობით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, ცალკეული მონაცემი დაფიქსირებული საქართველოს ზოგიერთ კუთხეში განსხვავებულ მონაცემებს შეიცავს. ეს წინააღმდეგობა, ჩვენი აზრით, ახსნას ექვემდებარება.

ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს მთის რეგიონებში დაფიქსირებული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სხვისი ქონების ძალადობრივი ხელყოფა არ

2554 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 31.

2555 ვ. ბარდაველიძე, 1945 წლის მთიულეთ-გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 55/5, 2.

ინვევდა უფრო მძიმე პასუხისმგებლობას, ვიდრე სხვის ქონების ფარული მითვისება.

მაგალითად, სხვისი ქონების ძალადობრივი გზით ხელყოფასთან უნდა იყოს დაკავშირებული მ. კოვალევსკის მიერ მოხსენიებული „ქურდობა ჩადენილი დიდ გზაზე." ცნობილი მეცნიერი აღნიშნავს, რომ სვანეთში დიდ გზაზე ჩადენილი ქურდობა უფრო მსუბუქად ითვლება, ვიდრე სახლში.[2556] ჩვენი აზრით, დიდ გზაზე ქურდობაში სწორედ ძარცვა-ყაჩაღობა უნდა იგულისხმებოდეს. დიდი გზა უნდა იყოს ძირითადი გზა, რომელიც ერთმანეთთან სხვადასხვა კუთხეებს, თემებს აკავშირებს. ასეთი გზები გამოიყენებოდა სწორედ ვაჭრობისათვის და ყაჩაღებისთვის ძალზედ მიმზიდველი გახლდათ თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად. ასეთ გზაზე მიმავალი პიროვნების ქონების ხელყოფა ფარული ვერ იქნებოდა და ქონების მიმტაცებლის მხრიდან აშკარა, ძალადობრივ მოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული. ეს რომ ასე იყო კარგად ჩანს, მ. კოვალევსკის მსგავს ცნობაში ოსეთთან დაკავშირებით. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ოსური ჩვეულებითი სამართლით ქურდობა საცხოვრებელში უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე ქურდობა მინდორში, ღია გზაზე, თუნდაც დაკავშირებული ძალადობრივ თავდასხმასთან, ყაჩაღობასთან.[2557]

ამ მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, რომ სხვისი ქონების ძალადობრივი ხელყოფა ქურდობის ცნების ქვეშ მოიაზრებოდა. მ. კოვალევსკის მიხედვით, გამოდის რომ ძალადობრივი გზით ჩადენილი ქონების ქურდობა უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე სახლში შეღწევით ქურდობა, თუნდაც ეს უკანასკნელი ფარულად მომხდარიყო. სვანეთში რა დამატებითი სახდელი იყო გათვალისწინებული სახლში შეღწევით ქურდობისას ზემოთ უკვე გექონდა საუბარი. ე. ი. „დიდ გზაზე" ქურდობისათვის გადასახადი უნდა ყოფილიყო იმდენი, რაც სახლში შეღწევის გარეშე ქურდობას მოსდევდა. ამ მონაცემის მიხევდით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქონების ხელყოფა აშკარად, ძალადობრივად და ფარულად ერთგვაროვნად ისჯებოდა.

ალ. ოჩიაურის მასალებშიც არის ცნობა, რომლის თანახმადაც ხევსურების მიერ გზებზე მგზავრების, ვაჭრების (მათ შორის მოხევეების) ძარცვისას დაზარალებულები მხოლოდ საკუთრების უფლების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურებით კმაყოფილდებოდნენ. საკუთრების უფლების ფარული ხელყოფის შემთხვევაშიც იგივე სამართლებრივი შედეგი დადგებოდა. აღნიშნული მონაცემი იმითაცაა საინტერესო, რომ ცხადყოფს სხვაგან, უცხოს მიმართ ჩადენილი ქურდობისას მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურების ფაქტს.[2558]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის I ნახევრის მასალებითაც დასტურდება საქართველოს მთის ზოგიერთი რეგიონის ჩვეულებით სამართალში, სხვისი ქონების ფარულად თუ ძალადობით ხელყოფის ერთგვაროვნად დასჯის შესაძლებლობა, რაც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის, სადაც ქურდობის ცნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ყველა სახის ქმედებას მოიცავს და ქურდობა ჩადენილი აშკარად, თუ

2556 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 38.

2557 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 158-159.

2558 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებულ „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 195.

ძალადობით ფარულად ჩადენილზე მძიმე პასუხისმგებლობას არ იწვევს. განსხვავებული მონაცემები, რომლებიც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ფიქსირდება აჩვენებს ტენდენციას, რომ ხალხურ ცნობიერებაში ყალიბდება შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქონების ხელყოფა ჩადენილი აშკარად, ძალადობით, უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ფარულად ჩადენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმატორები როგორც ფარულად, ისე ძალადობით ჩადენილ სხვისი ქონების ხელყოფას ქურდობის კატეგორიას აკუთვნებენ, ფაქტობრივად გამოდის, რომ მათთვის სხვისი ქონების ხელყოფა ძალადობით, აშკარად, მაინც ქურდობის მაკვალიფიცირებელი ფაქტორია. საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ისეთი ინტენსიური არაა, როგორიც საკვლევ პერიოდში მთის ზოგიერთ კუთხეში გვხვდება, ასეთი ტენდენცია სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია. საზოგადოებრივი მართლშეგნება, ცხადია, დროთა განმავლობაში იცვლება და სხვისი ქონების ხელყოფის სხვადასხვა ხერხებისადმი (ჩადენილია აშკარად, ძალადობით თუ ფარულად) თანდათანობით დიფერენცირებული მიდგომა ყალიბდება, რაც ასახულია ჩვენს მიერ მოყვანილ ზოგიერთ კუთხეში დაფიქსირებულ მონაცემში. მათ მიხედვით, სხვისი ქონების ძალადობრივი ხელყოფისათვის ძალზედ მძიმე სასჯელების გამოყენება ხდებოდა. მაგალითად, გურული ინფორმატორი მიუთითებს, რომ ქურდობისათვის სახლზე დაცემით, ძარცვით (სხვა მძიმე დანაშაულების მსგავსად) სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული.[2559] ზემოთნახსენები აჭარელი ინფორმატორიც ქურდობის ძალადობით განხორციელებისათვის სწორედ სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას მიუთითებს.[2560] აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ ამ ინფორმატორთა თანახმად, სხვისი ქონების ძალადობრივი ხელყოფა უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ვიდრე ფარული.

2.5. პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგადი დახასიათებისას ჩვენ მასალებიდან გამომდინარე ცალკე განვიხილეთ ყაჩაღობა როგორც დანაშაულებრივი საქმიანობა მიმართული სხვისი ქონების მისატაცებლად, დაკავშირებული სისტემატურ თავდასხმებთან. როდესაც საუბარია სამართლებრივ რეაგირებაზე ყაჩაღის მხრიდან ცალკეული თავდასხმის შედეგად ქონების ხელყოფისათვის, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობა მას ზუსტად ისე ეკისრება, როგორც ეს ზოგადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაშია. მაგალითად, ალ ოჩიაურის მასალების მიხედვით, ხანდახან ხევსურები ყაჩაღობას იწყებდნენ და გზებზე მგზავრების, ვაჭრების ძარცვას ეწეოდნენ. დაზარალებულებს შორის იყვნენ მოხევეებიც. ხევსურებს მოხევეებთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე ცხოვრება ურთულდებოდათ, რადგან იქიდან ოჯახისათვის აუცილებელი ბევრი რამ მოჰქონდათ. როცა ყაჩაღები მოხევეებს გაძარცვავდნენ, ისინი ხევში დაბრუნებულნი წართმეული ქონების დაბრუნების მიზნით ქონებრივ შურისძიებას მიმართავდნენ, კერძოდ, ხევში ჩასულ ნებისმიერ ხევსურს ცხენ-ჯორებს და ბარგს წაართმევდნენ და ეტყოდნენ: „ჩვენ თქვენმა ხევსურებმა გაგვცარცვეს და ისინი აღმოაჩინეთ, ჩვენი საქონელი დაგვიბრუნეთ და თქვენი მიიღეთო.“ მერე მთელი გვარი ეძებდა ხევსურ დამ-

2559 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14.

2560 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25.

ნაშავეს. აუცილებლად აღმოაჩენდნენ და აბრუნებდნენ ნაძარცვ საქონელს. მოხევეები თავისი ქონების დაბრუნების შემდეგ, ხევსურებსაც უბრუნებდნენ ჩამორთმეულ ცხენ-ჯორებს და ბარგს.[256] ამ შემთხვევაში ჩანს, რომ ყაჩაღების მიერ ქონების მიტაცების კონკრეტულ შემთხვევას შესაძლოა მოჰყოლოდა ქონებრივი შურისძიება, ხოლო ქონების ხელყოფისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ დაზარალებულები მხოლოდ საკუთრების უფლების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურებით კმაყოფილდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლების ფარული ხელყოფის შემთხვევაშიც იგივე სამართლებრივი შედეგი დადგებოდა. აღნიშნული მონაცემი იმითაცაა საინტერესო, რომ ცხადყოფს სხვაგან, უცხოს მიმართ ჩადენილი ქონების ხელყოფისას მხოლოდ ხელყოფილი ქონების (ან მისი ღირებულების) დაბრუნების ფაქტს.

როდესაც ყაჩაღის თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვებოდა, ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე დადგებოდა როგორც განზრახ მკვლელობისათვის, ისე ქონების ხელყოფისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყაჩაღის მიერ ანგარებით ჩადენილი მკვლელობა გამოიწვევდა ისეთივე რეაგირებას რაც საერთოდ ნებისმიერ მკვლელობას მოჰყვებოდა. დაზარალებული მხარე დაიწყებდა მკვლელის დევნას სისხლის აღების მიზნით. თუ შერიგებაზე მიდგებოდა საქმე, მაშინ ცხადია ჩვეულებითი სამართლით მკვლელობისათვის დადგენილი კომპოზიციის გადახდას ექნებოდა ადგილი და ასევე თავდასხმის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. იგივე ითქმის თავდასხმისას სხეულის დაზიანების შემთხვევაზეც. თუ თავდასხმისას თავდასხმის ობიექტის მკვლელობას ან სხეულის რაიმე სახის დაზიანებას არ ექნებოდა ადგილი, მაშინ მხოლოდ ქონების ხელყოფისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დადგებოდა.

საერთოდ, ყაჩაღების მიმართ რაიმე სახის სადამსჯელო ღონისძიების განახორციელება, მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ სამეგრელოს სინამდვილიდან ყაჩაღობასთან დაკავშირებით მოყვანილ მონაცემში გამოჩნდა, ისინი უაღრესად საშიშ პიროვნებებს წარმოადგენდნენ, მიუდგომელ ადგილებს აფარებდნენ თავს და ამდენად ძნელად მოსახელთებელნი იყვნენ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც უჭირდათ. საქართველოს მთიანეთში კი ყაჩაღების წინააღმდეგ ზომებს ძირითადად საზოგადოება იღებდა, ან ყაჩაღების მიერ დაზარალებული პირები და მათი ახლობლები (ეს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისსაც ეხება). აქაც ძალზედ რთული იყო ყაჩაღების მოხელთება და მათთვის პასუხიმგებლობის დაკისრება. ალ. ოჩიაურის მონაცემშიც გამოჩნდა რომ დაზარალებული მოხევეები უშუალოდ მათი ქონების ხელმყოფი ხევსურების მიმართ კი არ ახორციელებდნენ ქონებრივ შურისძიებას საკუთარი ქონების დაბრუნების მიზნით, არამედ, ხევში ჩასული ნებისმიერი სხვა ხევსურის მიმართ. ასეთი საშუალება ყაჩაღობის შედეგად წართმეული ქონების დაბრუნებისა, როგორიც მოხევეებს ჰქონდათ ხევსურების მიმართ, ყო-

256 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 195.

ველთვის არ არსებობდა. განსაკუთრებით რთულდებოდა ვითარება როდესაც ყაჩაღობას ქისტები ახორციელებდნენ. ამდენად, ყაჩაღები ხშირად მიუწვდომელნი იყვნენ და მათ მიმართ რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრება (მხედველობაშია სასჯელები, რომლებსაც ზოგადად იყენებდნენ სხვისი ქონების ხელმყოფთა, ქურდების მიმართ, როგორიცაა მოკვეთა, გაძევება, მიტაცებული ქონების რამდენიმემაგი ანაზღაურება და სხვა) ფაქტიურად შეუძლებელი ხდებოდა.

ასეთ შემთხვევაში ყაჩაღებისგან უაღრესად შევიწროებულ და შეწუხებულ საზოგადოებას ერთადერთ გამოსავლად ამ ყაჩაღების ფიზიკური განადგურება რჩებოდა. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალებში მოიპოვება ცნობა, რომლის თანახმადაც, ხევსურეთში გაჩენილან ყაჩაღები, რომლებსაც ძალზედ შეუწუხებია ხალხი. ხევსურებს სურდათ ამ ყაჩაღების მოსპობა, მაგრამ შიშით ვერ ბედავდნენ ამას. შეკრებილა ხევსურეთის ყრილობა, რომელსაც გადაუწყვეტია რომ ვინც მოსპობდა, დახრცავდა ამ ყაჩაღებს ხევსურეთის საჯოგო ადგილი როშკა იმისი იქნებოდა.[2562] ამ მონაცემში ნიშანდობლივია ის ფაქტორი, რომ ყაჩაღებს დაშინებული ჰყავდათ მოსახლეობა და მათ მიმართ ვერანაირი ღონისძიების გატარებას ვერ ბედავდნენ. ყაჩაღებისგან თავის დასაღწევად და საზოგადოებისაგან ზომების მისაღებად საჭირო გახდა ხევსურეთის ყრილობის მოწვევა და მის მიერ შესაბამისი გადაწყეტილების მიღება. როგორც გამოჩნდა, ხევსურეთის საზოგადოებამ ყაჩაღების ფიზიკური განადგურებისათვის გარკვეული ჯილდოც კი დააწესა. მსგავსი მონაცემები არა მარტო მთის რეგიონებთან დაკავშირებით გვხვდება. სამეგრელოში ჩაწერილი ცნობის მიხედვით, ყაჩაღად გავარდნილი პირის მოსაკლავად საზოგადოების წევრებმა მკვლელი დაიქირავეს, რომელმაც დამნაშავე მოწამლა.[2563]

მოუკლავთ ასევე ზემოთ ნახსენები ყაჩაღი ჯამაგა ჭელიძე. ეს ასე მომხდარა: მას თურმე ორმოცამდე კაცი შეუკრებია უშგულში და წაუყვანია ღებელების ასანიოკებლად. ერთ მონადირეს თურმე შეუნიშნავს ისინი და ღებელებს ალყა შემოურტყამთ მომხდურთათვის. დაჭრილი ჯამაგა ტყვედ ჩაუგდიათ ღებელებს. ჯერ ცხენზე უკუღმა დაუკრავთ, შემდეგ ჯვარის ყანაში ფიცარზე მიუკრავთ, ბოლოს კი ერთ-ერთ ღებელს მოუკლავს იგი.[2564] აი, ასე დასაჯეს ღებელებმა მრავალი ადამიანის ამწიოკებელი ყაჩაღი. ინფორმატორის განმარტებით, გურიაში საზოგადოება ტერორს უნიშნავდა სოფლის მუდმივად ამრევ და ამწიოკებელ ყაჩაღს.[2565]

ასეთი ღონისძიების გატარება საზოგადოებას უხდებოდა მაშინ, როდესაც საქმე ჰქონდა ყაჩაღობასთან, როგორც მოვლენასთან, ყაჩაღების მხრიდან სისტემატურ თავდასხმებთან, მთელი საზოგადოების აწიოკებასთან და არა ერთეულ თავდასხმასთან სხვისი ქონების დაუფლების მიზნით.

2.6. დაზარალებულის მიერ ქურდის მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. სრულიად შესაძლებელია ადგი-

2562 ალ. ოჩიაური, მასალები სამამო მინისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში. 1953, პირადი არქივი, რვეული №10, 110.

2563 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებითი სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67.

2564 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 117.

2565 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 6.

ლი ჰქონოდა ქურდის მიმართ თვითგასწორებას უშუალოდ დაზარალებულის მხრიდან. ძველი ქართული სამართალის ძეგლებში გვხვდება ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლებრივ შედეგებს დაზარალებულის მიერ ქურდის მკვლელობის შემთხვევაში. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მეათე პუნქტის მიხედვით, დაზარალებული თუ მოკლავს მის სახლში შეპარულ ქურდს, პასუხს მკვლელობისათვის არ აგებს.[2566] გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების 44-ე მუხლის თანახმად თუ ქურდს, რომელმაც მოიპარა ცხენი, ცხვარი, ძროხა, ან სხვა საქონელი, ასევე გატეხა სახლი და რაიმე წაიღო, დაზარალებული გამოედევნება, წამოეწევა და მოკლავს (თუნდაც არაერთ ქურდს) მკვლელობისათვის პასუხს არ აგებს.[2567] როგორც ჩანს, ძველი ქართული სამართლით ქურდის მკვლელობა (ლოგიკის მიხედვით დაჭრა-დასახიჩრებაც) პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემები საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება. მაგალითად, სამეგრელოში ფიქსირდება ცნობა, რომლის მიხდევითაც, სახლში შესული ქურდისთვის ყურის მოჭრა პასუხისმგებლობას არ იწვევდა.[2568] საკმაოდ საინტერესო მონაცემებია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აჭარული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ ქურდს დანაშაულზე წაასწრებდნენ და მოკლავდნენ, ამას შურისძიება არ მოჰყვებოდა.[2569] ეს გარემოება კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება. ხანდაზმული აჭარელი ინფორმატორის მონაყოლით, XX საუკუნის 20-იან წლებში ერთი პიროვნება თურმე მინდვრებში ნალიებიდან სიმინდს სისტემატურად იპარავდა. სხვა პიროვნება ჩაუსაფრდა ქურდს და ნალიიდან სიმინდის მოპარვისას მოკლა იგი. ამ მკვლელობას შურისძიება არ მოჰყოლია სწორედ იმის გამო, რომ მსხვერპლის ქურდობის მიზეზით მოხდა.[2570] კიდევ ერთი შემთხვევა შედარებით გვიანდელია. მთაში ყოფნისას ერთ პიროვნებას მეორესთვის ცხვარი მოუპარავს. დაზარალებულს ქურდის ფარაში უნახავს საკუთარი ცხვარი და უკან დაბრუნება მოუთხოვია. ქურდს კი ამ მოთხოვნის საპასუხოდ ძაღლები მიუსევია მისთვის. დაზარალებულს თოფით მოუკლავს ქურდი, რისთვისაც სახელმწიფოს დაუსჯია ცხრაწლიანი თავისუფლების აღკვეთით. მოკლულის ძმას კი სისხლის აღებაზე უარი განუცხადებია და უთქვამს: „ჩემი ძმა მოსაკლავი იყოო".[2571] მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, რომ აჭარული ჩვეულებითი სამართლის თანახმად ქურდის მკვლელობა მკვლელს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა და მის მიმართ მოკლულის ნათესაობა სისხლის ძიებას არ დაიწყებდა.

როგორც ვხედავთ, ძველი ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ქურდის მკვლელობა თუ სხეულის დაზიანება პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელ გარემოებას წარმოადგენდა, ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართულ ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება გარკვეუ-

2566 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 493.

2567 იქვე, 419.

2568 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

2569 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რვალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №445, ბათუმი, 1965, 10.

2570 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 32.

2571 იქვე, 45.

ლი ფორმით, თუმცა არა უნივერსალური სახით. ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ იმ კუთხეების მიხედვით, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საკვლევ პერიოდში შედარებით ინტენსიური სახით შემორჩა. ქურდის მკვლელობა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ცალსახად მხოლოდ აჭარის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დასტურდება.

ხევსურული რჯულით განსხვავებული სურათი იხატება. გ. დოლიძის „ხევსურული ტექსტების" მიხედვით თითქოს გამოდის, რომ ქურდისათვის სხეულის დაზიანება დამჭრელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას იწვევს. ხევსური ინფორმატორი განმარტავს: „ქურდს რო მავხელავთ, ჩვენ დამტკიცებულად გავიგებთ, რო ნამდვილად ისი-ას ჩვენი მამპარველი, ისი რომ გზაჩი შაგვეყარასავ ხელს მავშჭრით, თუ ფეხს, ამაზედ არაფერ გადაგვხდება."[2572] ამდენად, ამ მონაცემით გამოდის, რომ, თუ დაზარალებული ნამდვილად დაადგენდა ქურდის ვინაობას, გზაში შეხვედრისას შეეძლო ხელი ან ფეხი მოეკვეთა მისთვის და ამისათვის პასუხს არ აგებდა. თუმცა იქვე მითითებულია, რომ ქურდის დაჭრის შემთხვევაში ქურდობისათვის გათვალისწინებული საზღაური ბათილდებოდა, ანუ დაზარალებული კარგავდა ქურდობისათვის გათვალსიწინებული ქონებრივი საზღაურის მოთხოვნის უფლებას. იმავე ინფორმატორის განმარტებით: „მემრ რო შაფასდას, რაც რო დანაკარგი, სამკეცად უნდა გადახდას, თუ დავჭერით, ბარიბარში გადის მაშინ."[2573] ფაქტიურად გამოდის, რომ დაზარალებული გზად შეხვედრილ ქურდს თუ დაჭრიდა, ეს შურისძიების, სამაგიეროს მიზღვევის გამოვლინებად ჩაითვლებიდა, თუმცა ქურდობისათვის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ფაქტიურად ბათილდებოდა. ქურდის დაჭრის შემთხვევაში ქურდობისათვის გათვალისწინებული საზღაურის არ მიღება ნიშნავს, რომ ქურდის დაჭრა ხევსურული რჯულით პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენდა. კი ქურდის დამჭრელი დაზარალებული დაჭრისათვის პირდაპირი მნიშვნელობით პაუხს არ აგებდა, შესაბამის დრამას არ იხდიდა, მაგრამ ქურდობისათვის პასუხისმგებლობა ბათილდებოდა. ეს დაჭრისათვის პასუხისმგებლობის გამომახატველია და მის გამორიცხვას არ გულისხმობს. ასეთი სურათი ისახება გ. დოლიძის „ხევსურული ტექსტებიდან" მოტანილი მონაკვეთის მიხედვით.

აღნიშნულ საკითხზე უფრო დაზუსტებულ და სანდო ცნობას ვხვდებით ბ. გოგოჭურის მასალებში. ამ ავტორის მონაცემის მიხედვით, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ნაქურდალი შვიდმაგად ნაზღაურდება. დაზარალებულის მიერ ქურდისთვის სხეულის დაზიანების შემთხვევაში, იგი სრულად აგებდა პასუხს. ქურდთან შერიგებისას სრულად იანგარიშებოდა დაჭრისათვის გათვალისწინებული საზღაური, მიყენებული ჭრილობების (ჭრილობის) დრამა, რაც ქურდის გადასახდელ საზღაურთან გაიბრებოდა.[2574] ეს მონაცემი ცალსახად ადასტურებს, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ქურდისათვის სხეულის დაზიანება პასუხისმგებლობის გამომრიხველ თუ შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. მითუმეტეს იგივე ითქმის ქურდის მკვლელობაზეც. ბ. გო-

2572 გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

2573 იქვე.

2574 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 40.

გოჭურის მონაცემის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში ქურდობა მიუღებელ და მორალურად გასაკიცხ ქმედებად ითვლებოდა, ხევსურული რჯულით ქურდის სიცოცხლე მაინც დაცულია, რის გამოც ქურდობის ჩამდენის მკვლელობისათვის, ქურდობის ნებისმიერ სტადიაზე (ქურდობის მცდელობისას, მაგალითად, სხვის სახლში შეპარული ქურდის მკვლელობისას თუ დამთავრებული ქურდობისას), მიუხედავად ნაქურდალის ღირებულების ოდენობისა, ქურდის მკვლელს სრული პასუხისმგებლობა და თავ-სისხლი ედება. ქურდის ახლობლებს, „ჭირის პატრონებს" სრული უფლება აქვთ სისხლის აღების ნიადაგზე მოკლან ქურდის მკვლელი ან მისი საძმოგაუყრელი მოგვარე ბიძაშვილი. ასეთ შემთხვევაში ორივე მოკლულის თავ-სისხლი ერთმანეთში გაიბრება მოსისხლეთა შერიგებისას, მაგრამ მოკლული ქურდის მხარეს დააკისრებენ და გადაახდევინებენ ნაქურდალი ნივთის ღირებულებას შვიდმაგად და სახლის გატეხის (თუ ამას ადგილი ექნებოდა) დრამას 5 ძროხის ოდენობით. ორივე მოკლულის დედულები მიიღებდნენ „სადედო რიგს".[2575] აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუ ქურდის მკვლელობის შემთხვევაში საპასუხო მკვლელობას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ მხარეების შერიგებისას მკვლელობისათვის და ამ კონკრეტული ქურდობისათვის გათვალისწინებული საზღაური ერთმანეთში გაიბრებოდა, მეტს გამოაკლდებოდა ნაკლები და ანაზღაურება მის მიხედვით მოხდებოდა.

საინტერესოა, რატომაა რომ ქართული სამართლის XIV და XVIII საუკუნის დასაწყისის ძეგლები ქურდის მკვლელობას დაზარალებულის მიერ სრულიად გამორიცხავდნენ პასუხისმგებლობას, ხოლო ხევსურული ჩვეულებითი სამართალი, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, არა? ამის მიზეზი ჩვენის აზრით უნდა იყოს ის, რომ ძველი ქართული სამართალი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან სუბიექტური შერაცხვის პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რაც აისახა კიდევაც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებასა და მითუმეტეს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. ხევსურულ ჩვეულებით სამართალში კი, რომელიც ხევსურეთის ტერიტორიული განკერძოებულობის გამო მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ვითარდებოდა, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დიდხანს შემორჩა ობიექტური შერაცხვის პრინციპების გავლენა, განსაკუთრებით მკვლელობასთან მიმართებაში,[2576] რამაც სავარაუდოდ განაპირობა, რომ ქურდის მკვლელობა ხევსურეთში პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად არ ჩამოყალიბდა.

სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც, განსხვავებით მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნისგან, სახლში შესული ქურდის მკვლელობისა თუ დაჭრა-დასახიჩრებისას სახლის პატრონი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდებოდა, რაც კარგად ჩანს ბ. ნიჟარაძის ცნობის მიხედვით: „ჩვეულებითი მართლიერება არ აძლევს უფლებას სვანს მოჰკლას, ან მძიმედ დასჭრას ქურდი, რა გინდ ქურდობაზე მოასწროს; თუ მოჰკლავდა, ქურდის ჭირისუფალი ეძიებდა „სისხლს", აგრეთვე მძიმე დაჭრასაც ეძიებდა. ორივეს შემთხვევაში 12 აცსი-ში გამოირიცხებოდა „წორი"-საგანაც და ნახევარის „წორი"-საგანაც სასარგე-

2575 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 58.

2576 ამ საკითხზე იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 89-94..

ბლოდ გატეხილის სახლის პატრონისა."[2577] ამ მონაცემით, ცალსახად ჩანს, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლით (ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის დასასრულისთვის) ქურდის მკვლელობა თუ მძიმე დაჭრა-დასახიჩრება პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ქურდის მკვლელი თუ დამჭრელი ჩვეულებრივ აგებდა პასუხს და მხოლოდ სახლში უნებართვოდ შესვლისთვის (რაც დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა) დაწესებული გადასახადი დააკლდებოდა მკვლელობისათვის და დაჭრა-დასახიჩრებისათვის დაწესებულ გადასახადს – შესაბამისად სრულ ან ნახევარ წორს. საინტერესოა, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც, კერძოდ, ოსურ ჩვეულებით სამართლში ქურდის მკვლელობა და დაჭრა-დასახიჩრება ასევე არ წარმოადგენდა პასუხისმგებლობის გამაქარწყლებელ, თუ შემამსუბუქებელ გარემოებას. აქ თუ ქურდს წაასწრებდნენ ქურდობისას, შეიძლებოდა მისი ცემა, მაგრამ ქურდის მკვლელობა (თუნდაც ცემის შედეგად) ან დასახიჩრება ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა – შურისძიებას, ან სისხლის შესაბამისი ფასის გადახდას.[2578] ანლოგია სვანურ ჩვეულებით სამართალთან თვალნათელია – ორივეგან ადგილზე წასწრებული ქურდის მკვლელობა, თუ დასახიჩრება, მძიმე დაჭრა (სვანეთში მძიმე დაჭრა უპირველეს ყოვლისა დასახიჩრებას გულისხმობდა) ერთგვაროვან სამართლებრივ შედეგს იწვევდა. ოსეთში, როგორც დავინახეთ, დასაშვები იყო ქურდის ცემა, რაც ბუნებრივია გარკვეული ზიანის მიყენებასთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა ამას არ უნდა გამოეწვია ქურდის სიკვდილი და დასახიჩრება. ჩვენი აზრით, ბ. ნიჟარაძის სვანეთთან დაკავშირებული მონაცემიც დაახლოებით იგივეს უნდა გულისხმობდეს. როგორც დავინახეთ, ბ. ნიჟარაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ დაუშვებელი იყო ქურდის მოკვლა და მძიმე დაჭრა. აქედან ლოგიკურად უნდა იგულისხმებოდეს, რომ შედარებით ნაკლები ზიანის მიყენება, მაგალითად, ცემა რომელსაც არ მოჰყვა ქურდის მკვლელობა, ან მძიმე დაჭრა (დასახიჩრება), ოსეთის მსგავსად, შესაძლოა სვანეთშიც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება ყოფილიყო.

მკვლელობისას ობიექტური შერაცხვის ელემენტები საკვლევ პერიოდში ხევსურეთის მსგავსად ბალსზემო სვანეთსაც შემორჩა, XIX საუკუნის ბოლოსთვის მაინც[2579] და ჩვენი აზრით, ამ პერიოდისთვის აქაც ეს მიზეზი განაპირობებდა, რომ ქურდის მკვლელობისას (ის რიგორც მძიმე დაჭრისას) პასუხისმგებლობის გამორიცხვას ადგილი არ ჰქონდა.[2580]

2577 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 120.

2578 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 5; М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 94, 157.

2579 გ დავითაშვილი, იქვე, 98-105.

2580 ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები უშგულელი ყაჩაღის ჯამაგა ჭელიძის მკვლელობის გამო მისმა ნათესავებმა ზემო რაჭაში მოკლეს ორი პიროვნება რითაც ისისხლეს ჯამაგა (იხ. ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 117). ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სვანებმა სისხლი აიღეს იმის მიუხედავად, რომ მათი ნათესავი იყო ყაჩაღი, უამრავი ადამიანის ამწიოკებელი და სწორედ თავდასხმის შემდეგ მოკლული. ეს მაგალითი ადასტურებს, რომ ქურდის, ყაჩაღის მკვლელობა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ბალსზემო სვანეთში არ აღიქმებოდა და ჩვეულებრივ სისხლის აღებას იწვევდა. საინტერესოა რომ, „სვანეთის საისტორიო ძეგლების" ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით, ქურდისათვის ნებისმიერი ზიანის მიყენება, მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა. მაგალითად, ლაჩილის ხევის ერთ-ერთი აქტის მიხედვით, რომელიც თარიღდება XIV-XV საუკუნეებით, თუ ლაჩილელი კაცი მოკლავს, სხეულს დაუზიანებს, ან რასაც არ უნდა უზამს ქურდს (შინაურს თუ უცხოს),

2.7. ფაქტორები რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქურდობისათვის პასუხისმგებლობას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. როდესაც საკვლევ პერიოდში ქურდობის ჩადენისას პასუხისმგებლობის დაკისრება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა, ქურდის მიერ ქონებრივი საზღაურის გადახდას ძირითადად უზრუნველყოფდა იგივე ფაქტორები, რომლებიც ზოგადად ჩვეულებითი სამართლის მოქმედების პირობებში უზრუნველყოფდნენ პასუხისმგებლობას.

საკუთარ სოფელში, თემში ჩადენილი ქურდობისას ამ სოფლის და თემის საზოგადოება, საზოგადოების ყრილობის თუ თავკაცების სახით, იღებდა ზომებს ქურდის გამოსავლენად, საჯარო ხასიათის სასჯელს აკისრებდა მას და უზრუნველყოფდა მისი მიერ ქონებრივი საზღაურის გადახდას. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მონაცემებში, მაგალითად, აჭარის სინამდვილიდან, სადაც ოლქა იღებდა ზომებს ქურდის გამოსაელენად და დასასჯელად. ბ. ნიჟარაძესთანაც დაფიქსირდა, რომ ქურდობის კონკრეტული შემთხვევისას უშუალოდ თემის საზოგადოებამ უზრუნველყო დამნაშავის მიერ ქონებრივი საზღაურის გადახდა. საზოგადოების არსებით ზემოქმედებას ქურდზე ვხვდებით ბ. გაბუურის მონაცემებში ხევსურეთთან დაკავშირებით.

ქურდის მიერ ქონებრივი საზღაურის გადახდას უზრუნველყოფდა ასევე შურისგების, საპასუხო მოქმედების შიში. ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი იხსენებს, რომ მის ოჯახს სიმინდი მოპარეს. მათ გაარკვიეს ვინ იქურდა და ქურდებს შეუთვალეს სიმინდი დაებრუნებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდენენ. ქურდებს შეეშინდათ ამ მუქარის და თურმე საკუთარი ზურგით

„მისი სისხლი არაი იყოს", თან იგი თავისუფლდება ქურდობისათვის გათვალისწინებული საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული გადასახადისაგან (პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II, თბ., 1941, 60). კიდევ ერთი შედარებით გვიანდელი (XVII-XVIII საუკუნე) დოკუმენტის მიხედვით, თუ ვინმე ნაასწრებდა პიროვნებას ყანაში ქურდობისას და მოკლავდა პასუხს არ აგებდა (იქვე, 110) შუა საუკუნეების ამ დოკუმენტების მიხედვით ჩანს ტენდენცია იმისა, რომ ქურდის მკვლელობა თუ სხვა სახის ზიანის მიყენება პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ფაქტორს წარმოადგენს, რაც აშკარად განსხვავდება იმისგან, რაც ფიქსირდება XIX საუკუნის ბოლოსთვის ბ. ნიჟარაძისა და მ. კოვალევსკის მიერ. როგორც ჩანს, შუა საუკუნეების მონაცემები მიუთითებს სუბიექტური შერაცხვის ელემენტის არსებობას სვანეთში, რაც უფრო მაღალგანვითარებული სამართლისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე ის რაც ფიქსირდება ბ. ნიჟარაძესთან და მ. კოვალევსკისთან XIX საუკუნის ბოლოსთვის. აღნიშნული გარემოება გარკვეული რეგრესის მაჩვენებელია, რისი მიზეზიც მასალების სიმწირის გამო რთული დასადგენია. შესაძლოა გვეფიქრა, რომ ქურდის მკვლელობისას პასუხისმგებლობის გამორიცხვა შუა საუკუნეების ბალსზემო სვანეთში გარკვეული ლოკალური ტერიტორიული ერთეულისთვის იყო დამახასიათებელი (შესაბამისი დოკუმენტები სწორედ გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს ეხება) და არ იყო უნივერსალური ნორმა დამახასიათებელი მთელი ბალსზემო სვანეთისათვის. თუმცა ის გარემოება რომ კონკრეტული საზოგადოების წევრები ქურდის მკვლელს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებენ, იმ მართლშეგნების გამომხატველია, რომელიც ზოგადად იმდროინდელი საზოგადოებისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და მაშინდელი ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელი. ამის გამო სრულიად შესაძლებელია ასეთივე მიდგომა ქურდის მკვლელობისადმი არა მარტო იმ საზოგადოებაში ყოფილიყო, სადაც ჩვენამდე მოღწეული შესაბამისი დოკუმენტი იქნა მიღებული, არამედ, სხვა საზოგადოებებშიც. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ დროთა განმავლობაში ბალსზემო სვანეთში უფრო დაბალგანვითარებული სამართლისათვის დამახასიათებელი ტენდენცია დამკვიდრდა, ვიდრე ეს შუასაუკუნეებში გვხვდება „სვანური საისტორიო ძეგლების" მიხედვით. ამის მიზეზი საკარაუდოდ შესაძლოა ყოფილიყო ის, რომ ბალსზემო სვანეთში შუასაუკუნეებში არსებული საზოგადებრივი ნყობილება, საკმაოდ განვითარებული ბატონყმური ურთიერთობები (ისეთივე როგორიც დანარჩენ საქართველოში იყო) გარკვეული მიზეზების გამო შეირყა, რამაც გარკვეულწილად ნეგატიურად იმოქმედა ამ რეგიონში როგორც სახელმწიფოებრივი, ისე სამართლებრივი ინსტიტუციების განვითარებაზე და დროთა განმავლობაში გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში შედარებით მაღალგანვითარებული სამართლისადმი დამახასიათებელი ტენდენციების განვითარება შეაფერხა, რაც განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოვლინდა XIX საუკუნის II ნახევრის მონაცემების მიხედვით.

მიიტანეს სიმინდი დაზარალებულის ოჯახში.[2581] ალ. ოჩიაურის მასალებშიც ფიქსირდება ნაქურდალის უკან დაბრუნების მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მტრობის მუქარა. სოფელ ზეისტეჩოში ცხოვრობდა თურმე ერთი გაუთხოვარი ქალი, სახელად ძილუკა. მის ოჯახში ყველა გარდაცვლილიყო და იგი მარტო, ხევსურული საზომით ძალზედ შეძლებულად ცხოვრობდა. მას ძროხები ყავდა და ყოველწლიურად ერბო მიქონდა თბილისში გასაყიდად, იქიდან კი მოქონდა ნოხები (ხალიჩები), ქვაბები და სხვა, რასაც ხევსური ქურდები ეტანებოდნენ და პარავდნენ. ერთხელ ძილუკას მოპარეს სამი ფუთი ერბო. ეჭვი ვინმე ბაცალიგოელ ბითურაზე მიიტანეს, რომელიც უარყოფდა ქურდობას და ერბოს არ აბრუნებდა. ძილუკას ახლობელი ყოფილა იმედა, რომელიც სოფელ ჯუთაში ცხოვრობდა. იმედას შეუთვლია ბითურასთვის: „ეგ ერბო მიუტანე, უზღე ძილუკას, თორემ მე შენი მტერი ვიქნებიო და იცოდე არ შეგარჩენო".[2582] ასეთი მუქარა ხშირად ჭრიდა და აიძულებდა ქურდებს აენაზღაურებინათ მიყენებული ზარალი.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გვხვდება არაერთი მონაცემი ქურდობის გამო თვითგასწორებისა, რასაც დამნაშავის მკვლელობა, დაჭრა, მხარეებს შორის შუღლი, მტრობა მოჰყოლია. მაგალითად, ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითი აჭარის სინამდვილიდან, როდესაც დაზარალებულმა ცხვრის მოპარვის გამო მოკლა ქურდი, რის გამოც ცხრა წელი ციხეში გაატარა.[2583] გურული ინფორმატორი ადასტურებს, რომ შესაძლოა ქურდობას მკვლელობა მოჰყოლოდა. იგი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს. სოფელ ზემოსურებში ყოფილა თურმე ქურდი ი. ტ. სოფლის კრებაზე არაერთხელ გაუფრთხილებიათ შეეწყვიტა ეს საქმიანობა, თუმცა უშედეგოდ. მორიგი ქურდობის შემდეგ იგი დაზარალებულს მოუკლავს, რომელიც დაუჭერიათ.[2584] ლანჩხუთში ერთ პიროვნებას საქონელი მოუპარავს და სადღაც ტყეში დაუბია. პატრონს უპოვია საკუთარი საქონელი და დადარაჯებია თუ ვინ მივიდოდა წასაყვანად, მოსული ქურდი კი მოუკლავს.[2585] მ. კედელაძეს საინტერესო შემთხვევა აქვს დაფიქსირებული რაჭაში, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარა. ინფორმატორი (პაველ არჩვაძე) იხსენებს მისი ოჯახისათვის ხარის მოპარვის შემთხვევას. დაზარალებულები მიჰყვნენ ნაკვალევს და საქონელი დაბორკილი იპოვეს ტყეში. ქურდის ვინაობის გარკვევას მოჰყვა მტრობა. დაზარალებული ოჯახის წევრებმა ბევრი სდიეს ქურდს სამაგიეროს გადახდის მიზნით, თუმცა ვერ ჩაიგდეს ხელში. მტრობა დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს კი დაზარალებულებმა შეუთვალეს ქურდს შუამავლების პირით: „ჩვენ არაფერს გეტყვით, მხოლოდ წადი დაიკარგე აქედან, რომ ჩვენმა მომავალმა ახალგაზრდებმა სამაგიერო არ გადაგიხადონ." ამის შემდეგ ქურდი თავისი სოფლიდან წასულა.[2586] ალ. ოჩიაურსაც მოჰყავს რამოდენიმე ფაქტი ქურდობის შედეგად შუღლისა ხევსურული სინამდვილიდან, როდესაც ქურდობაში ეჭვმიტანილი უარს ამბობდა ნაქურდალის

2581 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1991, 32.

2582 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/5, 60; 6/6, 61.

2583 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1991, 45.

2584 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 29.

2585 იქვე, 35.

2586 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, 6/5, 6-7.

დაბრუნებაზე.[2587] ამ მაგალითებით კარგად ჩანს, რომ ქურდობას შესაძლოა დაზარალებული მხარისგან საკმაოდ მძიმე რეაქცია მოჰყოლოდა, რაც ქურდს ძალიან კარგად ესმოდა. გამოვლენილ ქურდს დაზარალებულ მხარესთან დაპირისპირებას, საკმაოდ მძიმე შუღლს, რომელიც შესაძლოა მკვლელობით თუ დაჭრით დასრულებულიყო, ძირითადად ერჩივნა დაებრუნებინა ნაქურდალი.

ნაქურდალის დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა ქონებრივი შურისძიება. თუ ქურდი არ ანაზღაურებდა ზარალს, მისთვის წართმეული ქონება შესაძლოა გამხდარიყო ნაქურდალის დაბრუნების უზრუნველმყოფი. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში შესაბამისი კონკრეტული მონაცემებიც გვხვდება.[2588]

საკვლევ პერიოდში ქურდის იძულებას აენაზღაურებინა ზარალი იწვევდა ასევე შესაბამის სახელმწიფო ორგანოში დაზარალებულის მხრიდან მიმართვის მუქარა. მაგალითად, აჭარელი ინფორმატორის მითითებით, თუ ქურდი არ იხდიდა შესაბამის საზღაურს, შესაძლოა მთავრობისთვის მიემართათ.[2589] ქურდის, განსაკუთრებით გამოუსწორებლის სახელმწიფო ორგანოებისადმი გადაცემის შესაძლებლობას მიუთითებს იმერელი ინფორმატორიც,[2590] და ბ. გაბუურიც ხევსურეთთან დაკავშირებით.[2591] საქმის სახელმწიფო სტრუქტურებში გადატანა დამნაშავის ინტერესებში არ შედიოდა. მას ერჩივნა ხალხური წესით მოეხდინა ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რაც ძირითადად ქონებრივი საზღაურის გადახდაში გამოიხატებოდა. სახელმწიფო სტრუქტურებში საქმის გადატანის შემთხვევაში კი იგი შესაძლოა ქონებრივი საზღაურის გადახდის გარდა რამდენიმეწლიანი თავისუფლების აღკვეთით დასჯილიყო. ამდენად, ქურდობისათვის ქონებრივი საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში დაზარალებულის მხრიდან ქურდის სახელმწიფოსადმი გადაცემის მუქარა საკმაოდ ეფექტური საშუალება უნდა ყოფილიყო ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. არაერთგზისი ქურდობის შემთხვევაში ქურდის სახელმწიფოსადმი გადაცემის შესაძლებლობა, არსებით პრევენტულ ფაქტორსაც წარმოადგენდა და ხელს უწყობდა კონკრეტული პიროვნების მხრიდან ქურდობის რეციდივის თავიდან აცილებას.

2587 იხ. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 6/6, 61-62; იქვე, 78-79.

2588 იხ. ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 195.

2589 ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 16.

2590 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 37.

2591 ბ. გაბუური დასახ. ნაშრ., 139.

თავი მეხუთე

ზნეობისა და პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

შესავალი

ნაშრომის ამ თავში ჩვენ განვიხილავთ დანაშაულებს, რომელთა ხელყოფის ძირითადი ობიექტი ადამიანის პატივი და ღირსებაა. აქვე ვეხებით დანაშაულობებს, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობის დამრღვევ ქმედებებს, რომელთათვისაც საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ჩვეულებითი სამართლით გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული. აღნიშნულ დანაშაულებს შორისაა უკანონო ქორწინება, უკანონო სქესობრივი კავშირი, გაუპატიურება და სხვა. ამ დანაშაულთა ხელყოფის ძირითად ობიექტს საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი კატეგორიები, ნორმები წარმოადგენდა. მაგალითად, ნათესავებს შორის ქორწინება საზოგადოებრივი, ქრისტიანული ზნეობისა და მორალისადმი სრულიად შეუსაბამო მოქმედება იყო და ქართული ხალხური სამართალი ამისთვის საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობას აწესებდა. აღსანიშნავია რომ ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები იმის გარდა რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობას ხელყოფდნენ, ამავე დროს, ხშირ შემთხვევაში გარკვეული პირების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებსაც წარმოადგენდნენ. იგივე უკანონო ქორწინება საზოგადოებრივი ზნეობის გარდა უკანონოდ დაქორწინებულთა ოჯახის წევრების, ნათესაობის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ქმედება იყო.

ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის გვხვდება სქესობრივი ზნეობის ხელმყოფი დანაშაულები: გაუპატიურება, არაძალადობრივი უკანონო სქესობრივი კავშირი და სხვა. სქესობრივი ზნეობის ხელყოფა გულისხმობს საზოგადოებისათვის მიუღებელ, მორალურად და სამართლებრივად დასაგმობ სქესობრივ კავშირს.[2592] ივ. ჯავახიშვილი სქესობრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ძველ ქართულ სამართალში დანაშაულთა დამოუკიდებელ კატეგორიად განიხილავს და კანონიკური სჯულის კვალობაზე ბუნებით (სიძვა, მრუშობა) და ბუნების გარეშე დანაშაულებად ყოფს.[2593] ცხადია, ბუნების გარეშე დანაშაულები: ნათესავთა შორის სისხლის აღრევა, უასაკოს გახრწნა, მამათმავლობა და სხვა უმძიმეს შეცოდებებად განიხილებოდა და მათთვის მძიმე საეკლესიო სასჯელი იყო გათვალისწინებული.[2594] აღსანიშნავია, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალიც იმ ქმედებებისთვის, რომლებიც კანონიკური სჯულის მიხედვით ბუნების საწინააღმდეგო დანაშაულებად ითვლებოდა, ასევე ძალზედ მძიმე სასჯელს აწესებდა.

სქესობრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ერთმანეთში და სხვა ხასიათის დანაშაულებში მჭიდროდაა გადახლართული და ხშირად

2592 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 123.

2593 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 217-221.

2594 იქვე, 220.

ერთმანეთის შემადგენლობას მოიცავს. მაგალითად, უკანონო სქესობრივი კავშირი, უკანონო შვილის გაჩენა, გაუპატიურება და სხვა ერთმანეთთან დაკავშირებული დანაშაულებია და მათ შორის მიჯნის გავლება ხშირად რთულდება. გაუპატიურება ამავე დროს უკანონო სქესობრივი კავშირია, უკანონო შვილის გაჩენაც უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგია. ჩვენ თითოეულ ამ დანაშაულებრივ ქმედებას ცალ-ცალკე განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს, კერძოდ, ნებისმიერ ძალადობრივ სქესობრივ კავშირს, ჩვენ განვიხილავთ როგორც გაუპატიურებას, უკანონო შვილის გაჩენას კი უკანონო სქესობრივი კავშირისგან დამოუკიდებლად, რადგანაც ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი ამ დანაშაულს აღიქვამს როგორც უკანონო შვილის გაჩენას, რომელიც ამ შემთხვევაში მოიცავს უკანონო სქესობრივ კავშირს. უკანონო სქესობრივ კავშირს ასევე დამოუკიდებელ დანაშაულად განვიხილავთ, როდესაც იგი არაა დაკავშირებული ძალადობასთან და უკანონო შვილის გაჩენასთან.

ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული დანაშაულებია უკანონო ქორწინება და ქალის მოტაცება მასთან დაქორწინების მიზნით, რადგანაც ქალის მოტაცება ხშირად უკანონო ქორწინების მიზნით ხდებოდა. როდესაც ქალის გატაცება მისი ცოლად მოყვანის მიზნით უკავშირდება უკანონო ქორწინებას, ჩვენ ამ ქმედებას უკანონო ქორწინების თვალსაზრისით განვიხილავთ. თუ მამაკაცი იტაცებს ქალს, რომელთან დაქორწინების უფლება ზოგადად აქვს, მაშინ ქმედებას განვიხილავთ ქალის მოტაცების, როგორც დანაშაულის თვალსაზრისით.

ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული იყო წაწლობისა და სწორფრობის ინსტიტუტები, რომლის წესების დარღვევა გულისხმობდა წაწლებსა და სწორფრებს შორის უკანონო ქორწინებას და უკანონო სქესობრივ კავშირს. ჩვენ მოცემულ შემთხვევაში ამ დანაშაულებრივ ქმედებებს წაწლობისა და სწორფრობის წესების დარღვევის, როგორც დანაშაულის, კომპონენტებად განვიხილავთ.

ამ თავში განსახილველი დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივი ზნეობის ნორმებს, შესაძლებელი იყო განგვეხილა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში, თუმცა იმის გამო რომ ისინი არა მარტო საზოგადოების ინტერესს ხელყოფდნენ, არამედ კერძო პირთა ინტერესსაც, კერძოდ, ადამიანის პატივსა და ღირსებას და ამიტომ ხშირ შემთხვევაში კერძო-სამართლებრივ რეაგირებასაც იწვევდნენ, მათი განხილვა სწორედ ამ თავში მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ერთად.

1. პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

ძველი ქართული სამართლის წყაროების მიხედვით პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები შეისწავლა გ. ნადარეიშვილმა[2595], რითაც გარკვეულწილად შეავსო ის ხარვეზი, რაც ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით იდგა ძველ ქართულ სამართალში. ამდენად, ჩვენ აღარ შევეხე-

2595 იხ. გ, ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", ოქტომბერი 2000, №14, 52-68.

ბით აღნიშნულ საკითხს ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით.

პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ჩვენ განვიხილავთ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას.

1. 1. შეურაცხყოფა. ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების ადრულ ეტაპზე ნებისმიერი დანაშაული აღიქმებოდა შეურაცხყოფად. საქართველოს რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საკმაოდ სრულყოფილი სახით XX საუკუნეშიც კი შემორჩა მკვლელობას, დაჭრა-დასახიჩრებას, ქონების ხელყოფას და სხვა ასევე შეურაცხყოფად აფასებდნენ. ამ შემთხვევებში პასუხიმგებლობა ამ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ფიზიკური და მატერიალური ხასიათის ზიანისათვის დგებოდა, ამ ზიანის სიმძიმის გათვალისწინებით. ჩვენ კი აქ განვიხილავთ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა მხოლოდ შეურაცხყოფისათვის შეიძლება დამდგარიყო წმინდა სახით, მორალური ზიანისათვის და არა სხვა რაიმე ფიზიკური თუ მატერიალური ზიანისათვის.

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით სხვადასხვა კუთხეში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის და აგრეთვე სხვა პირის მიმართ გარკვეული მოქმედებების ჩადენისათვის, რომლებიც საზოგადოების თვალში შეურაცხმყოფელად ითვლება.

თვადაპირველად სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობას შევეხებით. სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოიხატებოდა სხვა პირის ლანძღვა-გინებაში, მიუღებელი და უზრდელური სიტყვებითა თუ ფრაზებით მისი პატივისა და ღირსების დამცირებაში. საინტერესოა, რომ მ. კოვალევსკი საერთოდ უარყოფს სვანეთში სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობას. მისი განმარტებით, სვანები დანაშაულში ხედავენ მხოლოდ მატერიალურ ზიანს, რაც ამცირებს დასჯად ქმედებათა სფეროს იმ ქმედებებით, რომელთა შედეგადაც ზიანი მართლაც დადგა. ამიტომ სვანეთში არ ისჯება სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაკი მას არ მოსდევს მატერიალური ზიანი.[2596] შეიძლება ითქვას, რომ მ. კოვალევსკის ეს დასკვნა არის ცალსახად მცდარი. როგორც ჩანს, მ. კოვალევსკიმ ავტომატურად ჩათვალა, რომ სვანური ჩვეულებითი სამართალი მთლიანად დაფუძნებული იყო ობიექტური შერაცხვის პრინციპებზე, მიიჩნია რა, რომ იგი განვითარების ამ დონის შესაბამისი იყო. ეს დამოკიდებულება კი მან სიტყვიერ შეურაცხყოფასაც მიუსადაგა. მ. კოვალევსკის საწინააღმდეგოდ ვიტყვით, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობა სვანეთში ჯერ კიდევ სვანურ საისტორიო ძეგლებში ფიქსირდება, კერძოდ, ერთ-ერთ XV-XVI საუკუნის ძეგლში.[2597] ასევე ბ. ნიჟარაძე, რომელიც იმავე პერიოდის ვითარებას აღწერს, რომელსაც მ. კოვალევსკი, პირდაპირ მიუთითებს, რომ სვანეთში სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გადასახადი 4 აცსიშიდან 30 აცსიშამდე იყო.[2598] მოგვეპოვება კონკრეტული ფაქტიც სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო პასუხისმგებლო-

2596 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 34.

2597 იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი, მეორე, თბ., 1941, 38.

2598 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

ბის თაობაზე. მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში მოძიებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, სადაც ადგილობრივ მედიატორთა განაჩენია გადმოცემული, მითითებულია, რომ მედიატორებმა საქმესთან დაკავშირებულ სხვა ეპიზოდებთან ერთად განიხილეს ჯერ კიდევ ბავშვობაში წერედიანების (საქმე ძირითადად წერედიანის მკვლელობას ეხებოდა) მიერ მ-ას და მისი დის გალანძღვის ფაქტი და დამნაშავეს მიუსაჯეს ამისათვის ათასი მანეთის გადახდა.[2599] მოტანილი მონაცემები მიუთითებს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა სვანეთში გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. იგივე ქმედების დასჯადობას ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სხვა კუთხეებში მცხოვრები ინფორმატორებიც ადასტურებენ. მაგალითად, იმერელი ინფორმატორი მიუთითებს გინებისათვის გარკვეული სასჯელის შესახებ (თუმცა მასალაში სასჯელის სახე და ზომა მითითებული არ არის).[2600] მესხი ინფორმატორის ცნობით კი შეურაცხყოფის მიმყენებლისათვის შესაძლოა სასოფლო მუშტი დაერტყათ.[2601] აჭარაში ცოლის, მშობლის შეგინებას შესაძლოა ძალზედ მძიმე შედეგი, მათ შორის მკვლელობაც კი მოჰყოლოდა.[2602] ხევსურეთში სიტყვიერ შეურაცხყოფას, გინებას გართულება, შუღლი რომ არ მოჰყოლოდა თანმდევი შედეგებით, შეურაცხმყოფელი უნდა მისულიყო დაზარალებულთან შესარიგებლად ღვინო-არაყის მიტანით და ბოდიშის მოხდით.[2603] როგორც ჩანს, ხევსურეთში სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის კონკრეტული დრამა არ იყო დაწესებული, თუმცა შეურაცმხყოფელის მხრიდან შესარიგებლად მისვლა შესაბამისი ხარჯის გაწევით აუცილებლობას წარმოადგენდა. საკმაოდ მწირი მონაცემები მოგვეპოვება სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ფშავში. ეს საკითხი შესწავლილი აქვს დ. ჯალაბაძეს. მისი ინფორმატორის მიხედვით: „თუ კაცი კაცს აგინებდა, შეურაცხყოფას მიაყენებდა, ამას ჩხუბი მოჰყვებოდა, – შეიძლებოდა დედის გინებას მკვლელობაც მოჰყოლოდა. ხოლო ასეთ უბრალო (მხედველობაშია შეურაცხყოფა) საქმეში თემი და ხევისბერი არ ერეოდა, ასეთი არც მინახავს, არც გამიგია. მხარეები თვითონ უსწორდებოდნენ ერთმანეთს.[2604] გამომდინარე იქიდან, რომ შეურაცხყოფა დიდ გულისწყრომას იწვევდა და საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება გამოეწვია, ფშავში ამას ყველა ერიდებოდა.[2605] ეს დამოკიდებულება შესაძლოა საქართველოს სხვა კუთხეებზეც გავავრცელოთ.

დ. ჯალაბაძის მიხედვით ფშავში პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელ მოქმედებას წარმოადგენდა ე. წ. „მაყვედრობა“.[2606] ვაჟა-ფშაველა მაყვედრობას ასახელებს იმ დანაშაულთა შორის, რომელთათვისაც სასჯელად

2599 დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, 1991, 187.

2600 ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 74.

2601 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 69.

2602 მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

2603 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 74. ბ. გოგოჭურის მასალების მიხედვითაც, დავის, კამათის, ჩხუბის დროს, მონინააღმდეგე კაცისა და ქალისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, კერძოდ, უდიერი და უნმანური სიტყვებით ლანძღვა-გინება ითვალისწინებს გალანძღულთან და მის მშობლებთან ბოდიშის მოხდას და ერთი ბოთლი სასმლით შერიგებას (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 14.).

2604 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 121.

2605 იქვე, 122.

2606 იქვე.

მოკვეთა გამოიყენებოდა.[2607] სამწუხაროდ, ვაჟა არ ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას. დ. ჯალაბაძე შეეცადა მისი მნიშვნელობა ფშაველებს შორის დაედგინა. მათი განმარტებით, მაყვედრობას ადგილი ჰქონდა, როდესაც ერთი პიროვნება მეორეს შეახსენებდა, დააყვედრებდა რაიმე დანაშაულის ჩადენას. ინფორმატორთა განმარტებით თუკი ადგილი ექნებოდა მძიმე დანაშაულის დაყვედრებას, ამას შესაძლოა მკვლელობა ან დაჭრა მოჰყოლოდა.[2608] ფშაველი ინფორმატორის ცნობით, მაყვედრობა უბრალო საქმედ ითვლებოდა და მასზე თემი არ შეიყრებოდა, თვითონ მხარეები მორიგდებოდნენ, ხოლო თუ მაყვედრობას მკვლელობა მოჰყვებოდა, საქმე ჩვეულებრივი წესით განიხილებოდა.[2609] ეს მონაცემები გვიჩვენებს რომ, მაყვედრობა უნდა ყოფილიყო პიროვნებისათვის მის მიერ რაიმე დანაშაულის გახსენება, წამოძახება, დაყვედრება, შესაძლოა იგულისხმებოდეს ასევე დანაშაულში პიროვნების პირდაპირი მხილება. ეს დაყვედრებულის მიერ როგორც ჩანს შეურაცხყოფად აღიქმებოდა, გარკვეულ შემთხვევაში საკმაოდ მძიმე შეურაცხყოფადაც და შედეგად მაყვედრობა შესაძლოა მძიმე დანაშაულის – მკვლელობის, დაჭრა-დასახიჩრების მიზეზიც გამხდარიყო.

იგივეს ხევსურეთშიც ვხედებით. აქ იცოდნენ ე. წ. „საყვედურის ძახება." მოწინააღმდეგე მხარეთა დავა-კამათის, თუ ჩხუბის დროს მხარეების ერთმანეთისთვის სახალხოდ შეურაცხყოფის მიყენებისას ხმამაღლა ეუბნებოდნენ რაც წარსულში სასაყვედურო, უღირსი, ამორალური და დანაშაულებრივი ქმედებები აქვს ჩადენილი მოწინააღმდეგე მოდავეს, ან მის ახლობლებს, მაგალითად: „დედას გიტირებთავ თქვე სტუმრის მოღალატენო", ან „მექალზლენო" და სხვა. თუ ეს ქმედება რასაც საყვედურად წასძახებდნენ მის ადრესატს ჩადენილი ჰქონდა, ეს დამატებით დრამას არ ითვალისწინებდა.[2610]

საქართველოს მთის რეგიონებში უაღრესად სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა მამაკაცის მიერ ქალისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, რაც ძალზედ იშვიათად ხდებოდა.[2611]

მასალებში გვხდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სიტყვიერი შეურაცხყოფის გარკვეული შინაარსი არსებითად ზრდიდა დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვის ხარისხს.

ხევსურეთში შეურაცხყოფის ხარისხი განსაკუთრებით იზრდებოდა როდესაც ადგილი ჰქონდა დაჭრის შემდეგ დაჭრილის მიცვალებულისადმი შეწირვას, კერძოდ თუ შუღლის დროს მოშუღლარი მოწინააღმდეგეს სისხლს გამოადენდა, დამჭრელი დაჭრილს თავის მკვდართ შესწირავდა და ეტყოდა: „უნცროსიმც ხარ (სახელს იტყოდა მკვდრისას), თუ რა ჩემის ხელს გჭირს, – საიქიმოსაც ეუნცროსები, იმის ხელქვეითიმც ხარ: წყალსამც უზიდავ, ჯღანსამც უბანდავ, ცხენსამც უკაზმავ, იარაღთამც უწმედ. ძაღლი (სახელს ეტყოდა), არა ხარა კი ღირსი უნცროსობისა, იმის ხელქვეითიმც ხარ".[2612] ხევსური ინფორმატორის

2607 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 71.

2608 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 40-41.

2609 იქვე, 40.

2610 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 14-15.

2611 იქვე, 14.

2612 ნ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, 56; ანალოგიურ ფორმულას ვხედებით ბ. გაბუურთან (იხ. ბ. გაბუური, ხევსურული

განმარტებით, თუ ამას ადგილი ექნებოდა იმის გამო, რომ დაჭრილი მკვლელის ბიძაშვილი, მისი გვარის განშტოების (მამიშვილობის) წევრი იყო და „პატივი" სათანადოდ არ მიაგო მოკლულის ბიძაშვილს, მაშინ რაიმე გადასახადის გადახდას ადგილი არ ექნებოდა, ხოლო თუ ამას არ ექნებოდა ადგილი და ისე მოხდებოდა მიცვალებულისადმი შეწირვა, ამ შემთხვევაში შემწირველს 5 ძროხის დრამა უნდა გადაეხადა.[2613] საბოლოო შერიგების, „თავის გათავების" შემდეგ მამკვდრის პატრონს არ ჰქონდა უფლება თავისი მკვდრისათვის შეეწირა მკვლელი – ე. ი. ხანჯალი დაერტყა, სისხლი გამოედინა და ეთქვა: „უნცროსიც ხარ ჩემი მკვდრისადო". ამ შემთხვევაში მოკლულის მხარეს უნდა გადაეხადა 5 ძროხის დრამა.[2614] მიცვალებულისადმი შეწირვა შემწირველის მიცვალებული ნათესავისადმი შეწირულის იმ ქვეყნად მომსახურებას გულისხმობდა, რაც უკიდურესად დამამცირებელი იყო და უდიდეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა. ამ სირცხვილის ჩამორეცხვა საპასუხო ქმედებით ხდებოდა, ხოლო შერიგების შემთხვევაში, როგორც ვნახეთ ამ შეურაცხყოფის საფასური 5 ძროხა დრამა შეიძლება ყოფილიყო.

უაღრესად დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა მიცვალებულის აუგად მოხსენიება, ზოგადად წინაპრების გინება, მოკლულის შეურაცხყოფა. აღნიშნული კარგად ჩანს აჭარაში დაფიქსირებულ მასალაში. ეს რიგ შემთხვევაში ფიზიკურ შეხებას, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში ადამიანის სიკვდილსაც იწვევდა, თუკი ასეთ საქმეში სოფლის მოხუცი კაცები არ ჩაერეოდნენ და მხრეებს არ „დაარიგებდენ."[2615] რ. ხარაძის მიხედვით, სვანური ხალხური სამართლის მიხედვითაც მიცვალებულის შეურაცხყოფა დიდი დანაშაული იყო, რის შედეგადაც წორის რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა.[2616] რ. ხარაძე ამ შემთხვევაში გულისხმობს მოკლულის შეურაცხყოფას მკვლელის მხრიდან, რაც ამძიმებდა მკვლელობისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მკვლელობისათვის დადგენილ წორს შეურაცხყოფისათვის განსაზღვრული გადასახადი ემატებოდა. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს რ. ხარაძე წორის რაოდენობის გაზრდაში მოკლულის შეურაცხყოფისას.

წინაპრების, მიცვალებულების შეურაცხყოფა ხევსურეთშიც ძალზედ მძიმედ აღიქმებოდა. ჩხუბის დროს თუ მოჩხუბარს დიდი ჯავრი სჭირს მოწინააღმდეგისა, ის მოჩხუბარს „მკვდართ სახელობით უწირავს" – მიცვალებულის სახელს ახსენებს და ლანძღავს: „ძაღლი, ვირი და ცხენი იყვას თქვენის მკვდრისად და ჩაგიდნასთავ სხვათ მოკლულს, უძებარს, ბოზ-ქურდთ, მამასავ ან ძმასავ". ეს მოჩხუბრის და მიცვალებულის სულის მძიმე შეურაცხყოფას წარმოადგენდა.[2617] ბ. გოგოჭურის მონაცემით, თუ მოსისხლეთა საბოლოო შერიგების, „თავის გათავების" შემდეგ სწორედ მკვლელის მხარის წარმომადგენელი

მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, 1923-1924, 137).

2613 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81.

2614 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 55.

2615 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 1; იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 455, ბათუმი, 1965, 33.

2616 რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1947, 168.

2617 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 15-16.

ჩხუბის დროს ასეთი სახის შეურაცხყოფას მიაყენებდა მოკლულის მხარის წარმომადგენელს, ეს, როგორც ხევსურული რჯულით მკვლელობის ინსტიტუტის განხილვისას აღინიშნა, მტრობის განახლების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ამით მოსისხლეთა შერიგებისკენ მიმართული უზარმაზარი, მრავალწლიანი ძალისხმევა წყალში ჩაიყრებოდა, რადგანაც ასეთი სახის შეურაცხყოფას, შესაძლოა გამოეწვია საპასუხო მკვლელობა. თუ საპასუხო მკვლელობა ამ შემთხვევაშიც ვერ მოხდებოდა, მაშინ ხელახლა შერიგების დროს მკვლელობის ჩამდენი მხარე, მხოლოდ „მკვდრისად შეწირვისათვის" დაზარალებულ მხარეს გადაუხდიდა 16 ძროხის ღირებულების დრამას.[2618]

საქართველოში მასპინძლის უდიდესი სირცხვილი იყო სტუმრის შეურაცხყოფა. ერთი აჭარელი ინფორმატორის განმარტებით ქორწილში მოსულ სტუმარს სოფელში რაც არ უნდა დაეშავებინა, სიფლის არცერთი მცხოვრები არაფერს ეტყოდა. სტუმრის შეურაცხყოფას მასპინძელი საკუთარი თავისთვის მიყენებულ შეურაცხყოფად აღიქვამდა.[2619] სტუმრისათვის ვინმეს ცუდი სიტყვა რომ ეთქვა ან გაელანძღა, ან ეცემა ეს მასპინძლის სირცხვილი იყო და მას უნდა მოეკითხა პასუხი სტუმრის შეურაცხყოფისათვის.[2620] ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა სვანეთშიც. ეგ. გაბლიანის განმარტებით: „სვანს თავისი სტუმრის გალანძღვა, არამც თუ მაშინ, როცა ის მის ოჯახში იმყოფება, არამედ ოჯახიდან გასვლის შემდეგაც, დიდი სირცხვილია და თავის შეურაცხყოფად მიაჩნია. შეიძლება ამას მკვლელობა მოყვეს."[2621]

სტუმრის შეურაცხყოფა დიდ დანაშაულად ითვლებოდა ჩრილოკავკასიელ მთიელებშიც. მაგალითად, 1844 წელს შეკრებილ ოსურ ადათთა კრებულში აღნიშნულია, რომ თუ ვინმე გაბედავს შეურაცხყოს მოსული სტუმარი, მან უნდა გადაუხადოს მას ვისთანაც სტუმარი მივიდა, ცხენი უნაგირით, თოფი და 18 ძროხა. ეს გადასახადი ეკისრება უპატიობისათვის, რაც მიყენებულია სახლისთვის და ეკუთვნის პატრონს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მის მიერ მიღებულ ანაზღაურებას გადასცემს ამ სტუმარს.[2622] როგორც ვხედავთ ოსური ჩვეულებითი სამართალი სტუმრის შეურაცხყოფისათვის საკმაოდ დიდ გადასახადს ითვალისწინებს. შაფსუღებშიც სტუმრის წყენინებისთვის დამნაშავე მასპინძელს გარკვეული ოდენობის საზღაურს უხდიდა.[2623] კავკასიაში, საქართველოში სტუმრის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მისი შეურაცხყოფის შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმეზეც ახდენდა გავლენას.

თავის მხრივ სოფლის სტუმარიც სათანადოდ უნდა მოქცეულიყო და სოფლისთვის, რომელშიც შევიდოდა, სათანადო პატივი მიეგო. კერძოდ, ხევსურეთში არსებული წესის მიხედვით, როდესაც სტუმარი სოფელს მიუახლოვდებოდა, სოფლის პირას ცხენიდან უნდა ჩამოქვეითებულიყო და სოფელში ქვეითად შესულიყო. ასევე მგზავრსაც თუ უხდებოდა იმ გზაზე გავლა, რომელიც

2618 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 92.

2619 თ. აჩუგბას 1983 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №125, 30.

2620 იქვე, 27.

2621 ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, 148.

2622 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 142.

2623 კ. ოკუჯავა, შაფსუღური ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2006, 42.

სოფლის ნაპირზე გადიოდა, ან შუა სოფელზე, მაშინაც ცხენიდან უნდა ჩამოსულიყო და ასე გაევლო, სანამ სოფელს არ გასცდებოდა. ასევე, მგზავრს არ ჰქონდა უფლება სოფელზე და მის მახლობლად გაევლო სიმღერით, თუ ვინმე იმ სოფლელი თან არ ახლდა, ან ჩიბუხის, თუ პაპიროსის მოწევით. ასე თუ არ მოიქცეოდა, ეს ნიშნავდა უხეშობას და შეურაცხყოფას. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, რაც თავხედობად აღიქმებოდა, იგი შეიძლება ეცემათ.[2624] როგორც ვხედავთ, სოფელში სტუმრად მისულ პირს, ან სოფლის გზაზე გამავალ მგზავრს გარკვეული წესები უნდა დაეცვა, რომელთა დაუცველობა სოფლის შეურაცხყოფად ითვლებიდა, რასაც სოფლის მხრიდან შესაძლოა სათანადო რეაგირება მოჰყოლოდა და დამრღვევის ცემით დასრულებულიყო.

შეურაცხყოფის თავისებურ ფორმას ვხედებით ხევსურეთში. აქ საკმაოდ ხშირად ხდებოდა, როდესაც ვინმეს ზალს, დანიშნულს ხევსურეთში საკუთარ დანიშნულზე გულს აცრუებინებდნენ, ქალის თვალში მას ამცირებდნენ და მოუწოდებდნენ უარი ეთქვა დანიშნულზე. აღნიშნულ ქმედებას **„ზლისად გულის მცვლელობა", „ცოლის ცვლა"** ერქვა. საქმროს მხარე ასეთ ქმედებას ხევსურეთში უდიდეს შეურაცხყოფად, დანაშაულად აღიქვამდა და გამჟღავნების შემთხვევაში ამას საკმაოდ მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა.

ასეთი ქმედება რომ ზოგადად დანაშაულად ითვლებოდა ხევსური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით თუნდაც იქედან ჩანს, რომ მასალების თანახმად სხვა დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენთან ერთად, ხუცესი დღეობისას არისხებდა „ზლისად გულის მცვლელს" ანუ პიროვნებას, რომელიც ქალს ან რძალს ქმარზე (საქმროზე) ცუდს ეუბნება და გულს აცრუებინებს.[2625] ასეთ დროს „ზლისად გულის მცვლელი" დარისხების ობიექტი ხდებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც როდესაც ეს ქმედება საქმროსთვის ცნობილი არ გახდებოდა.

ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, დანიშნულ ქალს, მით უმეტეს თუ ის „კარგი ქალი იყო" და არაერთს უნდოდა თავისთვის, ბევრი „გულის მტეხელი" მოსაუბრე გამოუჩნდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით სწორფერთა შორის. ისინი ხშირ შემთხვევაში ქალს საქმროს დაუცინებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ ბეჩავია, არ ვარგა, მამაცი ვერ არის, დაიჭერენ და ტანისამოსს სულ გახდიან, ცემენ, დაჭრიან, დააშინებენ, გააქცევენ და სხვა.[2626] „ზლისად გულის მცვლელობა", იგივე „ცოლის ცვლა" იმდენად დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა, რომ „სასიკვდილო ამბავი" იყო და თუ ქალის საქმრო გაიგებდა აღნიშნულის შესახებ ამას უცილობლად მოჰყვებოდა ჭრა-ჭრილობა ან მკვლელობა.[2627] ალ. ოჩიაურთან ვხვდებით ერთ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც მტრობა სწორედ „ცოლის ცვლას" მოჰყვა: ერთი ლამაზი ქალი, სახელად მზექალა დანიშნული იყო ვინმე კინწათ გიორგიზე. მზექალა სილამაზით, საქმით, ჭკუა-გონებით და ნამუსიანობით სახელგანთქმული ქალი იყო და ბევრს სურდა გიორგის მასზე ხელი აეღო და სხვას წაეყვანა, მაგრამ კინწათ შიშით ხმას ვერ იღებდა. ჩუმად

2624 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 66.

2625 იხ. მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975, 119.

2626 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 151-152.

2627 იქვე.

კი მზექალას ქმარზე „გულის მტეხელი“ მრავლად ჰყავდა. ამ გულის მტეხვლების რიცხვს ეკუთვნოდა დამწვარათ ხთისოც. მას კინწათ მიმართ კარგი დამოკიდებულება არ ქონდა და ამიტომ მზექალას ეუბნებოდა: „გაეყარე მაგ ქმარს, ეგ საშენო ვერ არის და სხვა კარგ ვაშკაცზე გაგათხოვებო.“ კინწათ ყურამდე მიაღწია, რომ დამწვარათ ხთისო „ჩვენს ცოლს სცვლისო, ე. ი. ჩვენზე „გულს უცვლისო.“[2628] ქალმა საბოლოო ჯამში უარყო თავისი საქმრო და ცოლად სხვა პიროვნებას გაჰყვა. მის მიმართ დამწვარათ არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ, რადგანაც თვითონაც უარი ჰქონდათ ნათქვამი ამ ქალზე, თუმცა დამწვარათ ხთისოს ემუქრებოდნენ, როგორც ქალის „გულის მცვლელს“. გარკვეული დროის შემდეგ, გიორგი და ხთისო ერთმანეთს ქორწილში შეხვდნენ და თავიდანვე შეკამათდნენ. კამათი შუღლში გადაიზარდა. გიორგიმ ხვთისოს უთხრა, რომ იგი მისთვის ცუდი საქმის გამკეთებელია და მის გვერდით არ უნდა იყოს. ხთისომ გიორგის შეურაცხყოფას უხეშად უპასუხა და სილაც გაარტყა. გიორგიმ ხანჯალი მოუქნია, თუმცა მეშვლებმა დროულად დაიჭირეს და ხანჯლით ვეღარ მიწვდა. საბოლოოდ ეს დაპირისპირება გიორგის მიერ ხთისოს მკვლელობით დასრულდა.[2629]

ამ შემთხვევის მიხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ შუღლი გიორგისა და ხთისოს შორის მოხდა ხთისოს მიერ გიორგის დანიშნული საცოლისათვის „გულის ცვლის“ მიზეზით. ხთისოს გიორგის ყოფილი საცოლე თვითონ არ წაუყვანია, იგი მხოლოდ საქმროზე გულს უცრუებდა მას საკუთარი საუბრით, ამცირებდა და ნეგატიურად განაწყობდა მის მიმართ, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გიორგის შეხვედრისას ხანჯალი მოექნია მისთვის და ფაქტიურად სასიკვდილოდ გაეწირა.

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს რომ, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „ცოლის ცვლა“, „ზლისად გულის მცვლელობა“, როგორც დანაშაული უკიდურესად ხელყოფდა საქმროს პატივსა და ღირსებას, რის გამოც მკვლელობა და დაჭრა-დასახიჩრებაც კი შეიძლება გამოეწვია. ამ დანაშაულის კვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავდა პიროვნება, როდესაც ქალს დანიშნულ საქმროზე გულს უცრუებდა, მისი დაწუნებისკენ უბიძგებდა – მას თვითონ უნდოდა ამ ქალის მოყვანა, სხვისთვის უნდოდა იგი, საქმროს მიმართ ნეგატიური განწყობის გამო მხოლოდ ქალის მიერ საქმროს დაწუნების სურვილი ამოძრავებდა და რომელიმე კონკრეტული პიროვნება არ ჰყავდა ქალისათვის შეგულვებული, თუ სხვა. ასევე, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმასაც „ზლისად გულის მცვლელი“ მიაღწევდა დასახულ მიზანს, ქალის მიერ საქმროს დაწუნებას, თუ არა – „ცოლის ცვლის“, „ზლისად გულის მცვლელობის“ ფაქტი თავისთავად დანაშაულად ითვლებოდა.

როგორც ზემოთ ითქვა შეურაცხყოფად ითვლებოდა გარკვეული შეურაცხმყოფელი მოქმედებების განხორციელებაც სხვა პიროვნების მიმართ. მასალების მიხედვით, შეურაცხყოფად აღიქმებოდა მაგალითად, ფიზიკური შეურაცხყოფა, დარტყმა, ადამიანის გალახვა.[2630] ადამიანის ცემა, როგორც დანაშაული ჩვენ განვიხილეთ თავში, რომელიც სხეულის დაზიანებას ეხება.

2628 იქვე.

2629 იქვე, 153-155.

2630 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 1.

სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ შესაბამისი ზიანის ხარისხის მიხედვით დგებოდა, თუმცა ამავე დროს გალახვა (განსაკუთრებით ქალის), დარტყმა, შეურაცხყოფადაც აღიქმებოდა და დაზარალებულს საპასუხო ქმედებებისათვის განაწყობდა. თანაც გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დარტყმას, გალახვას სხეულის დაზიანება შესაძლოა საერთოდ არ მოჰყოლოდა. მაგალითად, სილის განენა, თავში წამოთაქება, დარტყმის შედეგად ქუდის ჩამოგდება, როგორც წესი, სხეულის არანაირ დაზიანებას არ იწვევდა და ასეთ ქმედებებს შესაძლოა პასუხისმგებლობა სწორედ შეურაცხყოფისათვის მოჰყოლოდა.

სვანეთში დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა **ცხენიდან მათრახის გადაჭირება.** ამისათვის, სვანი ინფორმატორის განმარტებით, შესარიგებლად სახეზე მიყენებული ჭრილობისათვის გათვალისწინებული გადასახადის ტოლი ქონებრივი საზღაურის გადახდა გახდებოდა საჭირო.[2631] მათრახის გადაჭირებას შესაძლოა მოჰყოლოდა რაიმე სახის სხეულის დაზიანება და შესაძლოა არა. მათრახის გადაჭირებით მიყენებული ზიანი სახეზე მიყენებული ჭრილობის თანაბარი, როგორც წესი, ვერ იქნებოდა, მაგრამ გადასახადის იდენტობა სწორედ ამ ქმედების უაღრესად შეურაცხმყოფელი ხასიათით იყო განპირობებული.

პატივისა და ღირსების უკიდურესად შემლახავი იყო ქალის მიმართ განხორციელებული შეურაცხმყოფელი ქმედებები. მაგალითად, ბ. ნიჟარაძის თანახმად მამაკაცის უდიდეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა **ქალისათვის**, განსაკუთრებით **ცოლისათვის ლეჩაქის ჩამოხდა და ნაწნავის მოჭრა**. აღნიშნული ქმედება 24 აცსიშად იყო შეფასებული,[2632] რაც საკმაოდ დიდ გადასახადს წარმოადგენდა. გადასახადის გადახდა შესაძლოა მაშინ მომხდარიყო, როდესაც შერიგებაზე მიდგებოდა საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ქმედებას შესაძლოა მკვლელობაც მოჰყოლოდა. აღნიშნული ქმედება შედარებით გვიანდელ პერიოდშიც უდიდეს შეურაცხყოფად აღიქმებოდა და შესაძლოა ანალოგიური რეაქცია მოჰყოლოდა. მ. კეკელიას შესაბამისი კონკრეტული მაგალითი აქვს დაფიქსირებული: „დაახლოებით 1957 წელს ბალსქვემო სვანეთში, სოფელ ჭუბერში, წალაპარაკების ნიადაგზე მთვარალმა ი. ჭ-ამ სატირალში სახალხოდ მოხადა თავსაფარი ლ-ს ცოლს. აღნიშნულმა ისე ააღელვა ქმარი, რომ მოსაკლავად დაედევნა ჭ-ს. შუაში ჩადგა ხალხი, მაგრამ ქმარმა მორიგებაზე უარი განაცხადა ..... მანამდე ვიდრე თავისი კერიის („კერაის“) ქვეშ არ გააძვრინა იგი.“[2633] ასეთი ქმედება სვანეთში უაღრესად დამამცირებელი იყო და ამიტომ დაკმაყოფილდა ამით უკიდურესად შეურაცხყოფილი ქმარი. შედარების სახით საინტერესო უნდა იყოს რომ ჩრდილოეთ კავკასიაშიც, მაგალითად, ჩეჩნეთში ძალზედ მძიმე შეურაცხყოფას წარმოადგენდა ქალის მიმართ უპატიურო საქციელი, ვთქვათ, თავსაბურავის ჩამოხსნა ქალისთვის, მისი კოცნა, მოხვევა, ქალითშვილთან თუ ქვრივთან მიკარებაც კი.[2634]

სვანეთსა და ხევსურეთში უაღრესად შეურაცხმყოფელ ქმედებად ითვლებოდა **სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა**. გვინდა მოკლედ შევეხოთ ამ და-

2631 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №3, 1968, 12.

2632 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 111, 120.

2633 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №3, 1968, 24-25.

2634 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 140.

ნაშაულს. სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ცალსახად ჩანს, რომ სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა. ამ საკითხს ჩვენ უკვე შევეხეთ ამ ნაშრომში სახლში შეღწევით ქურდობაზე საუბრისას. ამიტომ მასთან დაკავშირებულ დეტალურ მონაცემებს აღარ შევეხებით. აქ მხოლოდ მოკლედ გავიმეორებთ, რომ სვანეთშიც და ხევსურეთშიც სხვის სახლში უნებაროვოდ შეღწევის მხოლოდ ფაქტი, მიუხედავად შეღწევის მოტივისა, საშუალებისა ითვლებოდა დამთავრებულ დანაშაულად. ხევსურეთში ეს დანაშაული ითვალისწინებდა 5 ძროხის გადახდას, ხოლო სვანეთში 12 აცსიშის (72 მანეთი). უნებართვიდ სხვის სახლში შესულს შესაძალოა ჩაედინა მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ცემა, ქურდობა, სქესობრივი ძალადობა, დაემყარებინა უკანონო სქესობრივი კავშირი, თუნდაც არაძალადობრივი, ასევე ოჯახისთვის მიეყენებინა მატერილური ზარალი, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა. მას შესაძლოა დასახული მიზნისთვის ვერც მიეღწია, მაგალითად, ვერაფერი მოეპარა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი მხოლოდ სახლში უნებართვოდ შეღწევისთვის დადგენილ გადასახადს გადაიხდიდა. რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი სხვის სახლში უკანონოდ შეღწევისათვის დადგენილი გადასახადის გარდა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელიც დაეკისრებოდა. მაგალითად, ხევსურეთში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა მტრის სახლში მივარდნა და „შინ შეტანება." ამის ჩამდენს მხოლოდ სახლში შეჭრისათვის დააკისრებდნენ 5 ხელითი ძროხის გადახდას, ხოლო თუ იგი სახლის პატრონს ჭრილობებსაც მიაყენებდა, ამისათვის მას ცალკე შესაბამისი დრამა დაეკისრებოდა.[2635]

სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა ოჯახის ღირსებისა და პატივის უდიდეს შეურაცხყოფას, სახლის ხელშეუხებლობის შელახვას წარმოადგენდა, რითაც უმნიშვნელოვანეს სიკეთეს ხელყოფდა.

აქ ჩვენ მხოლოდ დამოუკიდებელი სახით გამოვყავით სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევის, როგორც დანაშაულის არსებობა სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. დამატებით მხოლოდ ვიტყვით, რომ ხევსურეთში სახლში შესვლად ითვლებოდა ე. წ. სანაწვეთოს[2636] გადალახვა, ხოლო სახლში ბანის სარკმლიდან ჩასვლისას ზევიდან ქვევით კიბის მესამე საფეხურის ჩაცდენა.[2637]. მხოლოდ სანაწვეთოს გადალახვის შემთხვევაში გადაიხდიდა სახლში უნებართვოდ შესული დადგენილ 5 ძროხას. .ალ. ოჩიაურის თანახმად, „სანაწვეთოს გადახდომა შინ შატანებას (სახლში შევარდნას) უდრის. სახლში შატანებაზედ ხუთს ძროხას ახდევინებდნენ."[2638] მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორიც იგივეს ადასტურებს: „მაგ. ვჩხუბობთ, მაგრამ გავიქეცი. დამედევნდა. შევასწარ

2635 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 20-21.

2636 სანაწვეთო – ხევსურული სახლის კედლის გაყოლებით დაწყობილი ფიქალი ქვები, რომელზედაც მიწური სახლის ბანიდან, მისი სანაპიროდან ჩამოდის წვიმის წვეთები თუ დამდნარი თოვლი. ხევსურული სახლი ორსართულიანია, ორბანიანია. ქვემო სართულს ეწოდება ბოსელი, ზემო სართულს ჭერხო. ზედა სართულის ნაპირზე ანყეია სიპები, საიდანაც ჩამოდიოდა წყალი.

2637 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 6; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 6; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1938, 23. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 20-21.

2638 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 6; დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 2.

ჩემს სახლში, გადავაბიჯე კარის ზღურბლს – მაგრამ შემომყვა სახლში და დამჭრა. ამ დროს წინასწარვეა გადანეტილი 5 ხელითი ძროხა. ძროხა უნდა გადაიხადოს სახლში შემოყოლისათვის."[2639] აქ კარგად ჩანს, რომ 5 ძროხის გადახდა სწორედ სახლში შეღწევისთვის იყო დაწესებული.

სვანეთისა და ხევსურეთის მსგავსად სხვის სახლში უნებართვოდ შესვლა დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც, მაგალითად, ოსურ ჩვეულებით სამართალში. ეს ქმედება აქ უფრო მძიმე შეურაცხყოფას წარმოადგენდა, ვიდრე სტუმრის შეურაცხყოფა.[2640] .

მასალების მიხედვით უკიდურესად შეურაცხმყოფელ მოქმედებად ითვლებოდა ასევე **კერიის შეურაცხყოფა**. სახლში შეღწევით ქურდობაზე საუბრისას ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი კერიის ხელყოფის შესახებ, სადაც აღვნიშნეთ, რომ კერიის ხელყოფა განსაკუთრებით დამამცირებლად და ოჯახის ღირსების შემლახველად ითვლებოდა, რადგანაც იგი ოჯახის დაქცევის სიმბოლურ გამოხატულებას ნარმოადგენდა. კერიის მნიშვნელობას სრულყოფილად აღწერს ზ. კიკნაძე: „საკიდელი განასახიერებს სახლის სიწმინდეს და შუაგულს კერიასთან ერთად, მისი ჩამოხსნა და წამოღება მტრის სახლიდან გამარჯვების ნიშანია. კერიის ცეცხლის ჩაქრობა და საკიდლის ჩამოგლეჯა თანაბარი მნიშვნელობის მოქმედებებია რომლებიც მოასწავებს მტრის საბოლოო განადგურებას. ასევე კერის თავზე სახლის ჭერიდან – „ციდან" არის ჩამოკიდებული კერიის ჯაჭვი ანუ საკიდელი. ის თითქოს აერთებს კერას, დედრულ საწყისს, ცასთან – მამრულ საწყისთან. ..... მაგრამ საკიდელი წარმოუდგენელია კერის გარეშე და მათი ერთიანობა გამოხატავს დედრულ-მამრულის ერთიანობას; ამ დროს საკიდელი მამრული ბუნების არის. ამიტომაც, ხალხური წარმოდგენით, საკიდლის ჩამოვარდნა მამაკაცის, ხოლო კერის დანგრევა დედაკაცის სიკვდილის მომასწავებელია.[2641] კერიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება განაპირობებდა ზოგადად კერიის ხელყოფის, როგორც დანაშაულის სიმძიმეს. მის შესახებ მონაცემები სვანური ჩვეულებითი სამართლიდან მოგვეპოვება. ამ საკითხზე ცნობები სრულყოფილად წარმოჩენილი აქვს მ. ჩართოლანს. ჩვენ სწორედ მათ დავეყრდნობით.

მ. ჩართოლანი გამოყოფს კერიის შეურაცხყოფისკენ მიმართულ რამდენიმე სახის დანაშაულებრივ ქმედებას:

1. კერიისათვის ფეხის კვრა, 2. კერიის წაქცევა, 3. კერიას ცეცხლზე წაქის დასხმა, 4. კერიის გარეთ გამოთრევა.

კერიის ამ სხვადასხვა სახით შეურაცხყოფას ძირითადად ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც შერცხვენილი, შეურაცხყოფამიყენებული პიროვნება ცდილობდა ამ სირცხვილის ჩამორეცხვას და ამისთვის ყველაზე უპრიანად სწორედ მისი შემარცხვენელის ოჯახის კერიის შეურაცხყოფა მიაჩნდა.

მ. ჩართოლანს მოჰყავს შესაბამისი მაგალითები. სვანი ინფორმატორი ყვება: „ვარლამ გ-ნმა კოსტა ა-ის კერაის წიხლი ჰკრა, ვერ წააქცია, მაგრამ ფიქალი ქვა გატეხა. როგორ თუ წიხლი ჰკრა კერიასო, ქალებმა ამოაქციეს ძირს კერასთან, ხანჯალი მოგლიჯეს ყვერებში დავკლავთო. მაგრამ მე მივუსწარი,

---

2639 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 41.

2640 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 142-143.

2641 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, 1996, 100.

არ დავანებე."[2642] ვარლამს ეს გაუკეთებია მისი დის მოტაცების გამო, ამიტომაც შერიგებისას მისთვის არაფერი გადაუხდევინებიათ.[2643] მეორე შემთხვევაში ფანი სახლში მიუხტა მისი მამის გამლახველს და კერას ფეხი კრა, რითაც სირცხვილი ჩამოიშორა. ამას საბოლოოდ შერიგება მოჰყვა.[2644] მ. ჩართოლანს მოჰყავს კერიის ნაქცევის მაგალითებიც. კერძოდ, ბეჩოელმა კ-ნმა, კერა წაუქცია ლუჰაში (ს. ფარი) თ. ც-ნს, რაც მთელი ხევის სირცხვილი იყო. კ-ნს ეს გაუკეთებია მისი ნათესავი ქალის – ა. კ-ნს ცემისათვის. შერიგების დროს ერთმანეთს გაუთანაბრეს ქალის (ა. კ-ნის) გალახვა და კერის ნაქცევა.[2645] მ. ჩართოლანს ასევე მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა კერიის ნაქცევისა ქალის მოტაცების გამო. ამ შემთხვევაშიც შერიგებისას არცერთ მხარეს არაფერი გადაუხდია. ეს ორი დანაშაული ერთმანეთს გაუთანაბრეს.[2646]

მ. ჩართოლანის თანახმად, კერიის ფეხის კვრა პიროვნების უსისხლო ცემასთან იყო გათანაბრებული და ასევე ქალის მოტაცებასთან. ამ დანაშაულებისათვის კი შერიგების ხარჯების გარდა უღელი ხარის გადახდა მაინც იყო დადგენილი. მ. ჩართოლანის დაკვირვებით კერიის ნაქცევა უფრო მძიმე ქმედებად ითვლებოდა ვიდრე კერიისთვის ფეხის კვრა. კერიის ნაქცევა ფაქტიურად გათანაბრებული იყო ქალის ცემასთან (6 ძროხა), თუმცა შესაძლებელია ქალის მოტაცებასთანაც გათანაბრებულიყო კონკრეტულ ვითარებაში.[2647] კიდევ უფრო მძიმე ქმედებად ითვლებოდა კერიის ცეცხლზე წაქის დასხმა, რაც სიმბოლურად ოჯახის განადგურებად იყო მიჩნეული, მითუმეტეს თუ ეს კერიის ნაქცევას მოჰყვებოდა. იგი სახლის დაქცევას უდრიდა. შერიგების დროს ამგვარი მოქმედებისათვის დამნაშავეს ათი ძროხა მაინც გადახდებოდა დაზარალებულის სასარგებლოდ.[2648]

კერიის შეურაცხყოფის ყველაზე მძიმე ფორმას მისი გარეთ გამოთრევა წარმოადგენდა. მ. ჩართოლანს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც გალახვის გამო დაზარალებული თავს დაესხა გამლახველის სახლს. სახლში მხოლოდ ქალები იყვნენ. ჩაუმტვრია კარ-ფანჯარა, მოუშალა სახურავი და კერა გამოათრია სახლიდან. ამ დროს მოუსწრეს მამაკაცებმა და ამ შემთხვევის მომყოლმა ნაჯახი ჩაარტყა თავდამსხმელს, რითაც უმძიმესი დაზიანება მიაყენა მას. მედიატორებმა ამ შემთხვევაში კერიის გარეთ გამოთრევა, რასაც წინ უსწრებდა კარ-ფანჯრის ჩამტვრევა და სახურავის მოშლა, თითქმის გაათანაბრეს სხეულის მძიმე დაზიანებასთან. ინფორმატორის მითითებით მისი დაჭრილი ფაქტიურად განახევრდა და რომ არა კერიის გარეთ გამოთრევა, მას ნახევარ წორს დააკისრებდნენ, ისე კი ორი სკის გადახდა დაავალდებულეს.[2649] კიდევ ერთ შემთხვევაში კერიის გარეთ გამოგდება გაათანაბრეს თავის გახეთქვასთან.[2650] კერიაზე

2642 მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, 135.

2643 იქვე.

2644 იქვე, 136.

2645 იქვე.

2646 იქვე

2647 იქვე, 138.

2648 იქვე, 136-137, 139.

2649 იქვე, 137.

2650 იქვე.

წაქის დასხმისა და მისი გარეთ გამოგდებისათვის, რაც პიროვნებას ეჭვიანობის ნიადაგზე გაუკეთებია, მედიატორებმა მას ორი ნალჯომი ყანის გადახდა დააკისრეს.[2651]

მ. ჩართოლანის დასკვნით, კერაში ცეცხლის ჩაქრობა, კარ-ფანჯრის ჩამტვრევა, სახურავის მოშლა და კერიის გარეთ გამოთრევა ყველაზე მძიმე დანაშაულად იყო აღიარებული და იგი მოკლული კაცის ნახევარს უდრიდა. მაგალითებიდან გამოჩნდა, რომ თავის გატეხვა, კაცის დასახიჩრება და კერიის გარეთ გამოგდება თითქმის ერთნაირ დანაშაულად ითვლებოდა. კაცის დასახიჩრება, სველი და მძიმე ჭრილობის მიყენება წორის ნახევარს უდრიდა და დაახლოებით ორმოცი ძროხის საფასურს მოითხოვდა ასანაზღაურებლად.[2652] როგორც ჩანს, სვანეთში კერიის შეურაცხოფის მიზნით ოჯახში მიხდომისას კერიის ცეცხლის ჩაქრობასა და მის გარეთ გათრევასთან ერთად სახლის კარ-ფანჯრის ჩამტვრევა და სახურავის მოშლაც იყო მიღებული. ყველა აღნიშნული ქმედება მ. ჩართოლანს ფაქტიურად ერთიან დანაშაულად აქვს განხილული.

კერიის შეურაცხყოფის მიმართ ჩრდილოეთ კავკასიაშიც ანალოგიური დამოკიდებულება არსებობდა. მაგალითად, ოსურ ჩვეულებით სამართალში იგი წარმოადგენდა ისეთ შეურაცხყოფას, რომლისთვისაც ქონებრივ საზღაურს არ იღებდნენ და მხოლოდ შურისძიებით პასუხობდნენ.[2653]

მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ კერიის შეურაცხყოფა ოჯახის ღირსების უდიდეს დამცირებას წარმოადგენდა. ეს შესაძლოა სხვადასხვა სახით განხორციელებულიყო. სამართლებრივი თვალსაზრისით კერიის შეურაცხყოფის თითოეული სახე, თუნდაც კომბინირებული ფორმით განხორციელებული გარკვეული ქონებრივი საზღაურით ფასდებოდა, რომლის ოდენობა დამოკიდებული იყო კერიის შეურაცხყოფის სახეზე და საკმაოდ მძიმე დანაშაულთათვის გათვალისწინებული ქონებრივ საზღაურთა შესატყვისი იყო, მაგალითად, ადამიანის დასახიჩრების, ქალის ცემის, მოტაცების და სხვა.

კერია სვანურ ჩვეულებით სამართალში შერიგების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტადაც გვევლინება. კერიასთან შეჯედრება სხვადასხვა სახის იყო და კერიის ნაპატიები პიროვნება ხელშეუხებლად ითვლებოდა.[2654] აღნიშნულ საკითხს ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის განხილვისას შევეხებით.

ხევსურული მასალებით აქ შეურაცხმყოფელ და საძრახის ქმედებად ითვლებოდა ჩხუბის დროს მოწინააღმდეგისათვის **იარაღის აყრა-ნართმევა.** ბ. გოგოჭურის მონაცემის თანახმად, თუ ჩხუბისას ადგილი ექნებოდა იარაღის წართმევას (და მითუმეტეს წართმეული იარაღით მოწინააღმდეგის დაჭრას), ეს იწვევდა 5-დან 12 ძროხამდე ღირებულების ხელითი ძროხის გადახდას – მხოლოდ იარაღის წართმევისათვის. იარაღის წართმევა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თუ იარაღის წამრთმევმა წართმეული იარაღი კარის ზღურბლს გადააცილა და სახლში შეიტანა.[2655]

2651 იქვე, 138.

2652 იქვე, 139.

2653 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон. Т. 2. М., 1886, 32.

2654 მ. ჩართოლანი, იქვე, 144.

2655 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 19. ბ. გოგოჭურის ინფორმატორების (მაგ-

სვანეთში უაღრესად შეურაცხმყოფელ მოქმედებად ითვლებოდა **სხვისი ძაღლის მოკვლა**. სვანეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვით, პიროვნების მიერ სხვისი შინაური ცხოველების დაზიანება, მათი მოკვდინება შესაბამისი ზიანის ანაზღაურებას იწვევდა, თუმცა საქართველოს ამ კუთხეში განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა ძაღლის მოკვლის მიმართ. ეს ქმედება ბევრად მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე სხვა შინაური ცხოველის მოკვდინება თუ ზიანის მიყენება და ფაქტიურად კაცის კვლასთან იყო გათანაბრებული, შესაბამისი მტრობის გამოწვევით.[2656] მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი აცხადებს, რომ ძაღლის მოკვლა თითქმის ოჯახის წევრის მოკვლას უდრის და შესაძლოა ამისათვის ვისისხლოთ კიდეც. ძროხის თუ ცხენის მკვლელობისათვის კი მხოლოდ მისი ღირებულების გადახდა ხდება.[2657] სხვა მასალების მიხედვითაც, ნებისმიერი პირუტყვის მოკვლისას უნდა მომხდარიყო მისი ღირებულების გადახდა, მაგალითად, ხარის მკვლელი ხარს იხდიდა. გამონაკლისი იყო ძაღლი, რომლის მოკვლის შემთხვევაში, თუ გადახდამდე მივიდოდა საქმე, ერთი საშუალო ხარის ღირებულება უნდა გადაეხადათ.[2658] ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი, რომელიც ადასტურებს, რომ ძაღლის მოკვლა ოჯახის დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა, იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბაბუამისის ძაღლი ხმლით მოუკლავს ერთ პიროვნებას. მის ამ თავხედობას გაუბრაზებია ინფორმატორის ბაბუა და ხანჯლით წელში დაუჭრია იგი.[2659] კიდევ ერთი სვანი ინფორმატორის მიხედვით კი მის ძმას საკბენად გამოქანებული ძაღლი მოუკლავს თავდაცვის მიზნით. ამას გარკვეული არეულობა გამოუწვევია, მაგრამ ძაღლი მოგვარისა იყო და ამიტომ ძაღლის მკვლელს აპატიეს. გვარის უფროსებმა დაავალეს ინფორმატორის ძმას არყით და ერთი ხარით შესულიყო მის ოჯახში და ეთხოვა შერიგება. მართლაც, ასეც მოიქცა, ერთ დღეს 6 უახლოესი კაცის თანხლებით

ალითად, ბათირა არაბულის) მონაცემებით, იგივე პაუსუხისმგებლობა ჩანს მიცვალებულისათვის იარაღის აყრის შემთხვევაშიც (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეუული: „არხილო", 5, 26; ეთნოგრაფიული რეული №5, 17). აღსანიშნაია, რომ ბ. გოგოჭურის ჩანაწერებში განსხვავებულ მონაცემსაც ვხედებით, რომლის მიხედვითაც, იარაღის აყრა-წართმევისათვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის, პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის დაკავშირებული აყრილი იარაღის სახლში შეტანასთან (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული: „პირველადი ჩანაწერები", 34). ბ. გოგოჭურის ხევსური რესპონდენტები (ტარიელ და იოსებ არაბულები, პეტრე გოგოჭური) ჩემთან საუბარში აღნიშნავენ რომ იარაღის აყრის დანაშაულად ჩასათელელად არ არის აუცილებელი იარაღის ამყრელს იგი საკუთარ სახლში მიეტანა. მათი განმარტებით, თუ ერთი პიროვნება მეორეს იარაღს აჰყრიდა მისიეე სოფელში და სოფლიდან გაიტანდა, ეს უკვე დანაშაულად ითვლებოდა. ამისათვის მას 5 ძროხა უნდა გადაეხადა და სასმლით მისულიყო დაზარალებულთან შესარიგებლად. იარაღი, ცხადია, უნდა დაბრუნებულიყო. აღნიშნული რესპონდენტები იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევას როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორეს იარაღი აჰყარა სოფელ ბლოში და იქვე სოფელში დატოვა მეზობელთან. ამის გამო მხოლოდ სასმლით შერიგება გახდა საჭირო. თუ პიროვნება მეორეს იარაღს აჰყრიდა და იქვე გადააგდებდა, ამისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას აღნიშნული რესპონდენტები არ ადასტურებენ. (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ქ. დუშეთი, 2016, 2-3). ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ იარაღის აყრისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა ფაქტიურად ყველა შემთხვევაში შეიძლება დამდგარიყო (მინიმუმ სასმლით შერიგების ვალდებულება მაინც დაეკისრებოდა იარაღის ამყრელს), გარდა აყრილი იარაღის იქვე გადაგდების შემთხვევისა. მოყვანილი მონაცემები ყურადსაღებია და აღნიშნული საკითხის შემდგომი დაზუსტება მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

2656 ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 72.

2657 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 11.

2658 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 86; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 112.

2659 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 75-76.

ჩავიდა ოჯახში, დაიჩოქა კერიის წინ (სადაც ძაღლი მოკვდა) და პატიება ითხოვა. მასაც აპატიეს.[2660] ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე მშვიდობიანად დასრულდა, რადგანაც გვარის შიგნით ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული. საერთოდ კი, როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, სვანეთში სხვისი ძაღლის მკვლელობა სხვა შინაური ოთხფეხებისგან განსხვავებით მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაღაურებას კი არ იწვევდა, არამედ მას შესაძლოა ძაღლის პატრონის მხრიდან ძაღლის მკვლელის მიმართ გარკვეული შურისძიება მოჰყოლოდა, ხოლო ქონებრივი საზღაურის გადახდისას ძაღლის ღირებულების ნაცვლად ხარის ღირებულების გადახდა ხდებოდა. ეს განპირობებული იყო იმით რომ ძაღლის მკვლელობაში სვანები უპირველეს ყოვლისა შეურაცხყოფას ხედავდნენ და არა მატერიალურ ზიანს. ძაღლის მკვლელობა გამხდარა ერთერთი მიზეზი 1875 წელს სოფელ ხალდეში შეიარაღებული ძალების გაგზავნისა. ამ სოფელში მომხდარა ჩვეულებრივი ამბავი: ვიღაცამ ხარი დაკარგა, რაც ორ ხალდელს დაბრალდა და მათ ჩამოსაყვანად ბეჩოდან ჯარისკაცები გაგზავნეს. ბრალდებულები შინ იყვნენ, როცა ჯარიკაცები სოფელში შევიდნენ. უცნობ ჯარისკაცებს ძაღლმა შეუტია და ერთ ჯარისკაცს უკბინა. დაკბენილმა ძაღლს ესროლა და მოკლა. სვანური წესებით დაუშვებლად ითვლებოდა უბრალო კბენისათვის ძაღლის მოკვლა, მითუმეტეს პატრონის ეზოში. მოსულის კბენისთვის ძაღლი მის პატრონს უნდა მოეკლა და არა გარეშეს.[2661] ძაღლის პატრონმა იწყინა და ძაღლის მკვლელი ჯარისკაცი მოკლა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ საქმე არია. პრისტავმა დანაშაული სოფელს მიაწერა და მთავრობას აცნობა, რომ ხალდე აჯანყებული იყო და ძალები მოითხოვა. მთავრობამ შესაბამისი ზომები მიიღო და სოფელში შეიარაღებული ძალები გაგზავნა.[2662] ეს მაგალითიც ადასტურებს, რომ სვანეთში ძაღლის მკვლელობა განსაკუთრებულ შეურაცხყოფას წარმოადგენდა და იგივე შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, რაც ადამიანის მკვლელობას. ამ შემთხვევაში სვანი არ მოერიდა მისი ძაღლის მკვლელი რუსი ჯარისკაცის მკვლელობასაც კი ძაღლის მკვლელობის საპასუხოდ.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ სვანები მხოლოდ ძაღლის მკვლელობას აღიქვამდნენ შეურაცხყოფად და არა სხვა რომელიმე შინაური ცხოველისა? ამ კითხვაზე პასუხის ძიება შესაძლოა კავკასიელ მთიელთა რელიგიურ შეხედულებებში იყოს უპრიანი.

ძაღლის მკვლელობა უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც, მაგალითად, ჩეჩნებში[2663], ოსებში და სხვა. ოსებში განსაკუთრებულ შეურაცხყოფას წარმოადგენდა თუ ვინმე მოწმეების თანდასწრებით მოკლავდა ძაღლს და იტყოდა, რომ იგი კლავს მას ამა და ამ გვარის მიცვალებულისათვის. ამ შემთხვევაში აკრძალული იყო დამნაშავისაგან გამოსასყიდის მიღება და ეს შეურაცხყოფა მხოლოდ სისხლით შეიძლება ყოფილიყო ჩამორეცხილი.[2664] აღნიშნული აიხსნება კავკასიელი მთიელების დამოკიდებულებით

2660 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 24.

2661 ასეთი წესები 2015 წელს ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება. აქაც ჩანს, რომ სვანეთში ზოგადად წესად იყო ძაღლი, რომელიც სხვას უკბენდა, მის პატრონს მოეკლა (იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 72).

2662 ა. დავითიანი, სვანეთის საისტორიო ამბები, პირადი არქივი, ა. დ. 14, 173-174.

2663 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 5, 140.

2664 Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 5; М. Ковалевский. Современный обычай и древ-

მიცვალებულთა სამყაროსადმი. ძაღლი უწმინდურ არსებად ითვლებოდა და ამდენად მისი მიცვალებულებისადმი შეწირვა უწმინდური მსხვერპლის მიტანას გულისხმობდა. ეს კი ხალხის რწმენით, ხელს შეუშლიდა მიცვალებულთა ნეტარებას იმ ქვეყანაზე.[2665] მიცვალებულის შეურაცხყოფა, მითუმეტეს ასეთი, ცხადია, უპატიებელი არ დარჩებოდა. ძაღლის აღთქმა უწმინდურ არსებად ქართველ მთიელებშიც ფიქსირდება, მაგალითად, როდესაც ხევსური მის მიერ დაჭრილს საკუთარ მიცვალებულს შეწირავდა, შეწირულს პასუხად შესაძლოა ეთქვა: „ვირ იყოს შენის მკვდრის უნცროსი, ძაღლი, ციცაი, ჯორაკაი, ძაღლ არ იქნების შენის მკვდრის უნცროსი, მე კი არ!.....“,[2666] ანდა „ძაღლიმც ას შენის მკვდრის უნცროსი, ციცაი, ცხენ-ჯორები.“[2667] მოშუღლენი ხევსურეთში ერთმანეთის გასაბრაზებლად ხშირად ეუბნებოდნენ: „შე მკვდარ გადაძაღლებულო“ და სხვა.[2668] ხევსურეთში იყო გავრცელებული ასევე მოკვეთა ძაღლის მოკვლით, რაც ხდებოდა ნათესავის ცოლად შერთვისათვის, გვარისადმი დაუმორჩილებლობისათვის, რაიმე უწესობისათვის. ამის საფუძველზე შესაძლოა გვარის, საძმოს გაყრა მომხდარიყო. ამ დროს დამნაშავეს ძაღლს მოუკლავდნენ და საჯაროდ გამოაცხადებდნენ ძმობის გაყრის ამბავს.[2669] ძაღლის შეწირვა მიცვალებულისადმი ხევსურეთში ფიქსირდება ქურდობაში ეჭვმიტანილის მიერ თავის მართლების შემთხვევაშიც. კერძოდ, ქურდობაში ეჭვმიტანილი ძაღლს (ან კატას) დაიჭერდა ხელში და იტყოდა, რომ თუ ის მართალია, რასაც მაბრალებენ, მაშინ ეს ძაღლი ჩემი „მკვდრისად“, თუ ტყუილად მაბრალებს, მაშინ ძაღლი იმის „მკვდრისად“ იყოს. შემდეგ ძაღლს სამჯერ დაარტყამდა ჯოხს.[2670] ძაღლის მიცვალებულისადმი შეწირვა იმდენად დამამცირებლად და მიუღებლად ითვლებოდა, რომ თუ ეჭვმიტანილი თავს იმართლებდა ტყუილად დაფიცების შემთხვევაში ძაღლის მისი მიცვალებულისადმი შეწირვის პირობით, მას პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდნენ. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხევსურეთშიც ძაღლის, ისე როგორც კატის, ჯორის და სხვა უწმინდური ცხოველების მიცვალებულისადმი შეწირვას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ჩრდილოკავკასიელ მთიელებში.

ჩვენი ვარაუდით, სრულიად შესაძლებელია, რომ სვანეთში ძაღლის მოკვლის აღქმას დიდ შეურაცხყოფად მიცვალებულთა სამყაროზე და მიცვალებულისადმი ძაღლის შეწირვაზე მსგავსი შეხედულებები განაპირობებდა. ხსოვნა იმისა, რომ ძაღლის მოკვლა შეურაცხყოფას წარმოადგენდა სვანეთში XX საუკუნის განმავლობაშიც შემორჩა, რაც მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულ მასალებშიც აისახა.

ний закон, Т. 2, М., 1886, 130-131.

2665 М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 131.

2666 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, 1923-1924, 137.

2667 ნ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, 56.

2668 იქვე, 55.

2669 ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 176; ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1987, 75.

2670 ნ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი ხელვსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, 55.

პასუხისმგებლობა სიტყვიერი შეურაცხყოფისას თუ შეურაცხმყოფელი მოქმედებებისათვის შესაძლოა დამძიმებულიყო ამ ქმედებების ჩადენის პირობებისა და ადგილის გათვალისწინებით. კერძოდ, სვანეთში ფიქსირდება მონაცემი, რომლის თანახმადაც, ქორწილში, ქელეხში, სოფლის ყრილობაზე და სხვა საკრებულო ადგილებში ხელის გარტყმა, ქუდის ჩამოგდება, შეურაცხმყოფელი სიტყვით დაყვირება და სხვა სერიოზულ დანაშაულად იყო მიჩნეული და შესარიგებლად უკვე მორვებს მოითხოვდა.[2671] ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ შეურაცხმყოფელი ქმედების მაკვალიფიცირებელი ფაქტორი იყო მისი ჩადენა საზოგადოების თავშეყრის ადგილას. ეს ბუნებრივია, რადგანაც საჯაროდ, მრავალი ადამიანის თანდასწრებით მიყენებული შეურაცხყოფა უფრო მძაფრად აღთქმადია, ვიდრე შედარებით ნაკლები ადამიანის თანდასწრებით თუ სხვების თანდასწრების გარეშე მიყენებული. საქმეში მორვების ჩარევის საჭიროება მოცემული დანაშაულის სერიოზულობის და სიმძიმის მაჩვენებელია. რაკი სწორედ საზოგადოების თავშეყრის ადგილას მიყენებული შეურაცხყოფა მოითხოვდა სავალდებულოდ მორვების მეშვეობით შერიგებას, ადასტურებს ამ გარემოების დამამძიმებელ ხასიათს შეურაცხყოფის მიყენებისას. ჩვენი ვარაუდით, საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლითაც იგივე დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება შეურაცხყოფის აღმნიშვნელი გარკვეული ტერმინები, ასევე მოცემული კუთხისთვის დამახასიათებელი შეურაცხმყოფელი სიტყვები. მაგალითად, მესხეთში შეურაცყოფის აღმნიშვნელად შემორჩენილა ძველი ტერმინი „გაუპატივება“.[2672] სვანეთში სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოიხატება ტერმინით „ლიწრაალ“. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო სვანეთში მიმართვა „ქივაი“, „დულვაი“ ანუ „თაშაი“ – "ყველიპარია". ყველს ვაჟკაცი არამც თუ მოიპარავს, არამედ შეუძლებელია მის შესანახ ჭურჭელს ხელი ახლოს მანამდე, სანამ მას ქალი არ დაჭრის ან ხაჭაპურად გამომცხვარს ან მოხარშულს წინ არ დაუდგამს. ყველის პარია კატასთან გათანაბრებულად ითვლება და ეს შეურაცხყოფაც სვანური სამართლით მძიმედ დაჭრას უდრის ვაჟკაცისათვის და მესამედ წორად მაინც ფასობს. ამაზე ნაკლებ შეურაცხყოფად არც „ლუგროლაი“ – კვერცხის პარაობა ითვლება.[2673] გარკვეული შინაარსის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის წორის მესამედის განსაზღვრა მრავლისმეტყველია და ცალსახად ადასტურებს ამ ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს სვანურ ჩვეულებით სამართალში. ლეჩხუმში შეურაცმყოფელი ტერმინი იყო „ქალამანჭამია“, რაც მექრთამეს ნიშნავდა.[2674]

საქართველოს ამ და სხვა კუთხეებში კიდევ მრავალი შეურაცხმყოფელი სიტყვა მოიპოვება, ასევე სხვა შეურაცხმყოფელ მოქმედებებსაც ექნებოდა ადგილი, თუმცა აქ მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რისი საშუალებაც ჩვენს ხელთ არსებულმა მასალამ მოგვცა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მასალების მიხედვით, ქართული ჩვეულებითი სამართალი იცნობდა პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისათვის, რაც

2671 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974–1975, 179.

2672 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 33.

2673 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 112.

2674 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 22.

საკვლევ პერიოდში სხვადასხვა კუთხეში შემორჩა მეტ-ნაკლები სისრულით. მონაცემები გვიჩვენებს, რომ შეურაცხყოფა შესაძლოა ყოფილიყო სიტყვიერი და ასევე გარკვეული შეურაცხმყოფელი მოქმედებით გამოხატული. სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმეს შეურაცხმყოფელი მიმართვის, სიტყვის თუ ფრაზის შინაარსი განაპირობებდა, მაგალითად, სტუმრის, მიცვალებულის და სხვა მსგავსი შინაარსის შეურაცხყოფა ამძაფრებდა შეურაცხყოფის ხარისხს. სვანეთში როგორც დავინახეთ, გარკვეული შეურაცხმყოფელი სიტყვები (ყველიპარია, კვერცხიპარია) არსებობდა და რომ ამ სიტყვებით მიმართვისას პასუხისმგებლობა იმდენად მატულობდა, რომ მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებულს უთანაბრდებოდა.

შეურაცხმყოფელი მოქმედებებიც მასალების მიხედვით რიგ შემთხვევებსა და გარემოებებში მძიმე დანაშაულთა კატეგორიას ავსებდა. მაგალითად, სვანეთში პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ცხენიდან მათრახის გადაჭერის გათანაბრება სახეზე მიყენებულ ჭრილობასთან, კერიის შეურაცხყოფის ერთერთი სახის გათანაბრება მძიმე ხასიათის დაჭრასთან, არსებითი გადასახადის დაწესება ქალის ლეჩაქის ჩამოხდისა და ნაწნავის მოჭრისათვის მეტყველებს, რომ შეურაცხყოფა, როგორც დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულისათვის მატერიალური ხასიათის ზიანის მიყენებასთან ძირითადად არ იყო დაკავშირებული (ან შედარებით მსუბუქი ზიანი შეიძლება გამოეწვია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ქმედებით იჩრდილებოდა და დამოუკიდებელი სახით დანაშაულად არც აღიქმებოდა), ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით შესაძლოა მძიმე დანაშაულადაც ჩათვლილიყო, რაც სუბიექტური შერაცხვის პრინციპების არსებით გავლენაზე მეტყველებს. ამას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი შემდგეგნაირად ხსნის: ასეთი შეურაცხმყოფელი მოქმედება ნიშნავდა ადამიანის არაფრად ჩაგდებას – „ლინტრაალდ ლიკუაანე," აბუჩად აგდებას – „ლაჯღაავდ ლიკუაანე". აღნიშნული ქმედებების მიუღებლობა და ხალხური სამართლით მძიმე დანაშაულად შეფასება განპირობებული იყო იმით, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ერთი პიროვნების მიერ მეორის ტოლად არ მიღებას, რაც მის უკიდურეს დამცირებაში გამოიხატებოდა.[2675]

როგორც დავინახეთ შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის სიმძიმეს მისი ჩადენის ადგილიც განაპირობებდა, კერძოდ, საზოგადოების თავშეყრის ადგილას მისი ჩადენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ზემოთაღნიშნული შეურაცხმყოფელი მოქმედების დანაშაულებრივად განხილვა მხოლოდ ამა თუ იმ კუთხეში გვხვდება.

აქ მოტანილი მასალების თანახმად ასევე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეურაცხყოფას შესაძლოა მოჰყოლოდა საკმაოდ მძიმე რეაქცია დაზარალებულის მხრიდან მისი პატივისა და ღირსების შელახვისათვის, შერცხვენისათვის. დაზარალებული ვალდებულად თვლიდა თავს სირცხვილი ჩამოერეცხა. როგორც დავინახეთ, შესაძლოა ამ მიზნით დაზარალებულის საპასუხო მოქმედება მკვლელობაში, სხეულის დაზიანებაში, კერიის შეურაცხყოფაში ან სხვა მოქ-

2675 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 203; იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 339-340.

მედებებში გამოხატულიყო, გააჩნია შეურაცხყოფის ხარისხს. ასეთი ქმედების ალტერნატივა იყო მხარეების შერიგება. შერიგების პირობა კი შესაძლოა ყოფილიყო ბოდიშის მოხდა და ღვინო-არყით დაზარალებულთან მისვლა, შეურაცხმყოფელის კერიის ქვეშ გაძვრენა, რაც თავის მხრივ იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ სრულად ჩამორეცხავდა დაზარლებულს სირცხვილს, ასევე ქონებრივი საზღაური, რაც ძირითადად სვანეთში ფიქსირდება და რომლის ოდენობაც შეურაცხყოფის სიმძიმის შესაბამისი იყო.

1. 2. ცილისწამება. ცილისწამება პიროვნების შესახებ წინასწარი განზრახვით ცრუ ინფორმაციის გავრცელება, პიროვნებისათვის ცრუ ბრალდების წაყენებაა, რაც ხელყოფს მის პატივსა და ღირსებას. გ. ნადარეიშვილის განმარტებით, ძველი სამყაროს ძეგლების მიხედვით, არაიშვიათად ცილისმწამებელი იმავე სასჯელით ისჯებოდა, რაც მოელოდა ცილდაწამებულს სასამართლოს მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური ბრალდება ჭეშმარიტებად რომ მიეჩნია.[2676] ასეთ ნორმას იცნობს ძველი ქართული სამართალიც, კერძოდ, ცრუ მთხრობლობასთან დაკავშირებით. მთხრობლობა შესაძლოა ყოფილიყო მართალიც და ცრუც. ცილისწამება სწორედ ცრუ მთხრობლობაში გამოიხატებოდა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ცრუ მთხრობელს იმავე სასჯელით დასჯიდნენ, „რაც იმის ენით მართალს კაცს ედებოდა".[2677] ცრუ მთხრობლობისათვის ანალოგიურ პასუხიმგებლობას ვხვდებით დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 94-ე მუხლის მიხედვითაც, თუმცა აქ ცილისმწამებელს, ცრუ მთხრობელს საზღაურის ნახევარი უნდა გადაეხადა შესმენილისათვის, ნახევარი კი ჯარიმად მეფის სასარგებლოდ.[2678] ვახტანგის სამართლის წიგნი (159-ე მუხლი) ითვალისწინებს ცილისწამების შემთხვევაში აღნიშნული საზღაურის ნახევრის გადახდას, კერძოდ, როდესაც რაიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პიროვნება ფიცით იმართლებდა თავს და თუ ამის შემდეგ აღმოჩნდებოდა ნამდვილი დამნაშავე და მას დაზარალებული საზღაურს გადაახდევინებდა, საზღაურის ნახევარი ცილდაწამებულს ერგებოდა.[2679] ეს უკანასკნელი შემთხვევა ითვალისწინებს ცრუ ბრალდებას არა მთხრობლობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში დამნაშავისაგან მიღებული საზღაურის ნახევრის ცილდაწამებულისათვის გადახდა უნდა მომხდარიყო დაზარალებულის მიერ.

გარკვეული მონაცემები ცილისწამებასთან, როგორც დანაშაულთან დაკავშირებით გვხვდება ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც. სამწუხაროდ, ეს მონაცემები არ არის სრულყოფილი სახით შემორჩენილი და არ იძლევა საკითხის სისტემური განხილვის საშუალებას, თუმცა მათში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცილისწამებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებია მოცემული. მაგალითად, ფშავში თუ ვინმე უდანაშაულოს ცილს დასწამებდა, მას თემი მოიკვეთდა.[2680] ლეჩხუმში, ადგილობრი-

---

2676 გ, ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", №14, ოქტომბერი 2000, 66.

2677 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 542.

2678 სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, 58.

2679 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 521.

2680 ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15.

ვი ინფორმატორის თქმით, ცილისწამებისათვის, როდესაც ვიხმეს ტყუილად დააბრალებდნენ რაიმე დანაშაულის ჩადენას, ხდებოდა ხატზე გადაცემა.[2681] ინფორმატორის მონათხრობის მიხედვით, ერთ პიროვნებას გასაბჭოებამდე დაეწვა საბძელი და ეს ვინმე პეტრე სვანიძეს დააბრალა. ამ უკანასკნელმა დაიფიცა ხატის წინაშე, რომ ის დამნაშავე არ იყო და ცილისმწამებელი ხატზე გადასცა.[2682] სვანეთში ცილისწამებისათვის ფიქსირდება გადასახადი 3-დან 24 აცსიშამდე.[2683] როგორც ჩანს, ცილისწამებისათვის ქონებრივი საზღაურის ოდენობა დამოკიდებული იყო იმ დანაშაულის სიმძიმეზე, რომელსაც პიროვნებას ტყუილად აბრალებდნენ.

აჭარაში გვხვდება მონაცემი მრუშობაში ცილისმწამებლის პასუხისმგებლობის შესახებ, კერძოდ, თუ მრუშობაში ეჭვმიტანილებს არ დაუმტკიცდებოდათ ბრალდება, ბრალდების წამყენებელი ცილისწამებისათვის 80 როზგის დარტყმით ისჯებოდა, თან იმ დღეიდან ერთმეოდა მოწმედ ყოფნის უფლება.[2684] საერთოდ, ქართულ ჩვეულებით სამართალში ნაკლებად გვხვდება გვემითი სასჯელების გამოყენება, მათ შორის აჭარაშიც, თუმცა როგორც ჩანს, მრუშობის ტყუილად დაბრალება მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა და ეს შესაბამის პასუხისმგებლობასაც იწვევდა. მრუშობა უძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და მას შესაძლოა სასიკვდილო შედეგიც კი მოჰყოლოდა, ამდენად, მრუშობის ამბის გახმაურება უაღრესად ფაქიზ და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვდა. ასეთი მძიმე სასჯელის დაწესება მრუშობაში ცილისწამებისათვის უპირატესად მისი პრევენტული მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

მრუშობაში ცილისწამებისათვის საკმაოდ დიდ გადასახადზე საუბრობს ივ. ცისკარიშვილი თუშეთის სინამდვილეში. მისი განმარტებით, თუ ვინმე დააბრალებდა პიროვნებას, რომ მას ცოლი ღალატობს, ეს უკანასკნელი დაკლავდა ბრალმდებლის ძროხას, ხოლო ცოლს გააგზავნიდა მშობლებთან. თუ ცილისმწამებელი უხუცესთა სასამართლოს წინაშე ვერ დაამტკიცებდა თავის ბრალდებას და არც უარყოფდა თავის ნათქვამს, მას 60 ძროხა უნდა გადაეხადა. თუ აღიარებდა, რომ მისი მხრიდან ცრუ ბრალდებას ჰქონდა ადგილი და ამას საჯარო ფიცით დაადასტურებდა, მაშინ ქმარს ცოლი უკან მიჰყავდა და ცილისმწამებელს ძროხის ღირებულებას აუნაზღაურებდა.[2685] ივ. ცისკარიშვილის მიხედვით, 60 ძროხა ნახევარი სისხლის ტოლია. ეს მონაცემი გვიჩვენებს, რომ თუშეთში აჭარის მსგავსად მრუშობაში ცილისწამებისათვის საკმაოდ დიდი სასჯელი იყო გათვალისწინებული.

თ. სახოკიას ცნობით, საკმაოდ დიდი ოდენობის ქონებრივი სასჯელი ეკისრებოდა ქურდობაში ცილისმწამებელს სამეგრელოში. მისი განმარტებით, ქურდობის შედეგად დაზარალებულს, რომელიც ტყუილად დაადებდა ვინმეს ხელს, თანახმად სამეგრელოში დამკვიდრებული ჩვეულებისა, იმდენის გადახდა მოუხდებოდა რომ დანაკარგის ღირებულება ამის მეოცედიც არ იქნებოდა.[2686] მას

2681 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

2682 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 23.

2683 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

2684 იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, ბათუმი, 1965, 42.

2685 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

2686 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 65.

მოჰყავს 1879 წლის დოკუმენტი, რომელიც მისი სიტყვების სისწორეს ადასტურებს. ამ დოკუმენტის მიხედვით, სოფელ ხეთის მცხოვრებ გვარდღაბია კუკავას თანასოფლელი აზნაურის მიქელ კობახიძესათვის დაუწამებია ორი ცხენის მოპარვა. მიქელ კობახიძეს სასწაულმოქმედ წმინდა გიორგის ხატის წინაშე დაუფიცია: „დამნაშავე არა ვარო. თუ დამნაშავე ვიყვე ამაში, რასაც გვარდღაბია კუკავა მეწამება ვთხოვ წმ. გიორგის გამოიჩინოს სასწაული და ერთ დღეში გაგვათაოს მე, ჩემი ცოლი და ერთადერთი შვილი ჩემი ლავრენტი, ხოლო მთელი ჩემი საცხოვრებელი ხატისთვის დარჩესო.“ ყველანი დარწმუნებული იყვნენ რომ ასეთი ფიცის შემდეგ წმინდა გიორგი არ დააყოვნებდა თავის სასწაულის გამოჩენას. თუ დამფიცებელს ვნება არ მიადგებოდა, მაშინ მისი სიმართლე ყველასათვის სარწმუნო გახდებოდა და გვარდღაბია კუკავა ცილისმწამებლად ჩაითვლებოდა. ამ შემთხვევაში ორი ცხენის ქურდობის ტყუილად დაბრალებისთვის გვარდღაბია კუკავას წმინდა გიორგისათვის უნდა ეკისრა: ორი ცხენი, ფულის სახით ერთი თუმანი ოქროთი, ერთი ხარი, ერთი ეაცი. ხუთ-ხუთი მანეთი უნდა მიეცა მღვდლისათვის, დიაკვნისათვის, მეხატულ[2687] კვიკვინა კუკავასათვის. მიქელ კობახიძისათვის უნდა მიეყვანა დაკარგული ცხენების მსგავსი ცხენები, გარდა ამისა, მიქელ კობახიძისთვის, მისი ცოლისა და შვილისთვის უნდა მიეცა თითო თუმანი, ფიცის დამსწრე 14 კაცისთვის თითო მანეთი, ასევე სამი მანეთი დიაკვან თომა კუკავასთვის.[2688] აქ კარგად ჩანს, თუ დანაკარგზე რამდენად მეტი უნდა გადაეხადა ქურდობაში ცილისმწამებელს, რაც მეტყველებს, რომ სამეგრელოს ჩვეულებით სამართალში ქურდობაში ცილისწამება საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

ფიცით, ან მტკიცების სხვა საშუალებით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულისთვის გარკვეული გადასახადის გადახდას ეხედებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. მაგალითად, ხევსურეთში როდესაც დაზარალებული დააბრალებდა პიროვნებას ქურდობას, ხოლო ბრალდებული თავს იმართლებდა ფიცით ან სხვა საშუალებით, ტყუილად ბრალმდებელი ცილისწამებისათვის აგებდა პასუხს (მიუხედავად იმისა ტყუილი ბრალდება მოხდა შეგნებულად თუ შეცდობით) და მას უნდა გადაეხადა ე. წ. „ქურდადგასამხდელო“ 5 ძროხის ოდენობით.[2689] ნამდვილი დამნაშავის გამოვლენის შემთხვევაში, კი ბრალდებულს შეეძლო ტყუილად ბრალმდებელისგან მოეთხოვა „სამამფიცროც“ 5 ძროხის ოდენობით, რადგანაც ჯვარში დაფიცება ხევსურეთში, მითუმეტეს მართალი ადამიანისათვის, სამძიმო საქმედ ითვლებოდა.[2690]

თუშეთში ქურდობაში ეჭვმიტანილი ორდალით, კერძოდ, მდულარეთი თავის მართლების შემთხვევაში ცილისმწამებლისაგან ასევე 5 ძროხას იღებდა.[2691]

მსგავს შემთხვევაში ცილისწამებისათვის გადასახადის გადახდას ხვედებით

2687 მეხატული – ხატის მომსვენებელი

2688 თ. სახოკია, იქვე.

2689 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ნელიწდეული, 1923-1924, 138; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 14, 39, 45; ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 5.

2690 გაბუური, იქვე, 139; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15.

2691 ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966, დ. 299, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, 148.

სვანურ ჩვეულებით სამართალშიც, რაც მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში ფიქსირდება. თუ რაიმე დანაშაულში (მკვლელობა, ქურდობა, დაჭრა და სხვა) ბრალდებული სათანადო წესით, თანამოფიცრებთან ერთად დაიფიცებდა და ამით გამართლდებოდა, ხოლო შემდეგ აღმოჩნდებოდა ნამდვილი დამნაშავე, ვინმე სხვა პირი, მაშინ ბრალმდებელს პასუხი უნდა ეგო ცილისწამებისათვის ყოფილი ეჭვმიტანილის წინაშე. ამ შემთხვევაში გამართლებული ყოფილი ეჭვმიტანილი მიმართავდა მორევებს (ერთი მონაცემით ორი მორევი განიხილავდა ამ საქმეს, სხვა მონაცემით მოცემული ბრალდების განმხილველი იგივე მორევები გააგრძელებდნენ საქმის განხილვას) და სთხოვდა მათ სწორედ ცილისწამების საქმის განხილვას. ისინი ცილისმწამებელს გარკვეული ოდენობის საზღაურის გადახდას აკისრებდნენ. ზოგი მონაცემით, ეს შეიძლება ყოფილიყო იმდენი, რამდენის გადახდაც მოუწევდა ბრალდებულს მისი დამნაშავეობა რომ დამტკიცებულიყო, ან მცირედით ნაკლებს, სხვა მონაცემებით კი მორევები ითვალისწინებდნენ თანამოფიცართა რაოდენობას, რომლებსაც მოუწიათ ცილისწამების გამო დაფიცება. თანამოფიცართა მეტი რაოდენობა ეჭვმიტანილის მეტ ხარჯთან იყო დაკავშირებული და ამიტომ უკვე გამართლებული ეჭვმიტანილი ბუნებრივია ითხოვდა ცილისმწამებლისაგან ამ დანახარჯის ანაზღაურებას. მაგალითად, ინფორმატორის განმარტებით, ყოფილი ეჭვმიტანილი მოითხოვდა თითოეულ თანამოფიცარზე 100-100 მანეთის (ახალი კურსით) გადახდას. ერთერთი ინფორმატორის მიხედვით კი 12 თანამოფიცრის პირობებში ეს საზღაური შესაძლოა ყოფილიყო 6 ძროხა მაინც.[2692] ზოგიერთი მონაცემით კი აღნიშნული გადასახადის ოდენობის დასადგენად შესაძლოა მიემართათ შემდეგი მეთოდისათვის: თვით დაზარალებული, რომელიც უკვე ცილისმწამებლად ითვლებოდა ორ-სამ თანამოფიცართან ერთად ტოლობის ფიცს მისცემდა ყოფილ ეჭვმიტანილს, რომ ამა და ამ ოდენობის გადასახადით დაკმაყოფილდებოდა ეჭვმიტანილის ადგილას რომ ყოფილიყო. ამ საზღაურს მხოლოდ ყოფილი ეჭვმიტანილი იღებდა.[2693] ეს მეთოდი სხვა შემთხვევებშიც გამოიყენებოდა და შედარებით ბოლო პერიოდში გავრცელდა.

ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის სვანეთში დაფიქსირებული წესი ძალზედ გავს ვახტანგის სამართლის წიგნის 159-ე მუხლში მოცემულს. კერძოდ, ორივეგან დაზარალებული ვალდებულია მის მიერ ბრალდებულ პიროვნებას გარკვეული საზღაური გადაუხადოს, თუ 1. იგი ფიცით იმართლებს თავს, 2. ამის შემდეგ აღმოჩნდება ნამდვილი დამნაშავე. ორივე შემთხვევაში დაზარალებული ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ საზღაურის ნახევარს უხდის მის მიერ ცილდანამებულს.

ცილისწამების დადასტურება მხოლოდ ეჭვმიტანილის გამამართლებელი ფიცით არ ხდებოდა. თუ დაზარალებული პიროვნებას ქურდობაში ბრალდებას წაუყენებდა მთხრობლობის საფუძველზე, შესაძლოა საჭირო გამხდარიყო მთხრობელს დაედასტურებინა საკუთარი ბრალდება. თუკი ის ამას ვერ შეძლებდა, ცხადია, იგი ცილისმწამებლად მოგვევლინებოდა და შესაბამისი გადასახადი დაეკისრებოდა. ხევსურეთში ასეთი შემთხვევა იქნა დაფიქსირებული: ჭინ-

2692 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №4, 1968, 40-41; №5, 1968-1969, 3, 82-83; №3, 1968, 49, 68; №1, 1967, 103-104.

2693 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1968-1969, 46; №6, 1969, 10-11.

ჭარაული გიგა ბიძურა ფიცხელაურს აბრალებდა ხარის მოპარვას. ამ ბრალდების ნაყენება მოხდა ვინმე ხვთისო არაბულის მთხრობლობის საფუძველზე. მას უთქვამს, რომ „გიგას ხარი ბიძურამ დაკლა და ამა და ამ ადგილზე რქებიც დაადო ზედაო, ხორცი პურის საცხობში გააშრო. თუ საქმე იქნა მე პირზე დავადგები ფიცხელაურსაო.“ თუმცა საქმის განხილვისას არაბულმა უარი თქვა დაფიცებაზე, არ მილაპარაკიაო. რჯულის კაცებმა ასე დაადგინეს: ხარი 600 მანეთი ღირდა. 300 მანეთის გადახდა დააკისრეს არაბულს. მართალია მას ხარი არ მოუპარავს, მაგრამ თავისი ენით შეეძლო შუღლის ჩამოგდება მხარეებს შორის. მას არ უნდა ეთქვა ის, რისი დამტკიცებაც არ შეეძლო.[2694] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხევსურმა რჯულის კაცებმა პიროვნებას პასუხისმგებლობა დააკისრეს ცილისწამებისათვის, ისეთი რამის თქმისათვის, რისი დამტკიცებაც მას არ შეეძლო. საზღაურის ოდენობა კი იმ ღირებულებულების ნახევარი აღმოჩნდა, რაც უნდა გადაეხადა ბრალდებულს, დამნაშავეობა რომ დამტკიცებოდა. ცნობილია, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, ძველი ქართული სამართალი ცრუ მთხრობელს იგივე საზღაურის გადახდას აკისრებს, რაც მთხრობლის მიერ ნაყენებული ბრალდების დადასტურების შემთხვევაში ბრალდებულს უნდა გადაეხადა. XX საუკუნის ხევსურმა მოსამართლეებმა კი ცრუ მთხრობელს მხოლოდ ამის ნახევარი დააკისრეს. ქურდობაში ცრუ მთხრობლობისათვის რჯულის კაცებმა ნაქურდალის სრული ღირებულების დაკისრება არ ჩათვალეს მიზანშეწონილად, თუმცა გადასახადი ნაქურდალის ღირებულებიდან გამომდინარე განსაზღვრეს – მისი ნახევარი. ეს გარემოება მინიშნება უნდა იყოს იმისა, რომ ძველად ხევსურეთში ცრუ მთხრობლობისათვის პასუხისმგებლობა შესაძლოა ვახტანგის სამართლით გათვალისწინებულის ანალოგიური იყო.

შეურაცხყოფის შესახებ საუბრისას ჩვენ შევეხეთ „მაყვედრობას“, „საყვედურის ძახებას“, რაც დანაშაულის, უზნეო საქციელის დაყვედრებას, შეხსენებას თუ წამოძახებას გულისხმობს. სრულიად შესაძლებელია ერთ პიროვნებას მეორესათვის დაეყვედრებინა ისეთი დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია. ამ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა ცილისწამება. ასეთ მაყვედრობას, როგორც პატივისა და ღირსების შემლახავ ქმედებას ასევე შესაძლოა საპასუხო ქმედება მოჰყოლოდა. ხევსურულ სინმადვილეში ფიქსირდება ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მაგალითი, რომელსაც გ. თედორაძე გვთავაზობს: „სოფ. ბარისახოში ერთი ქვრივი ხევსური დედაკაცი მეორე ქვრივ დედაკაცს სამი წლის განმავლობაში ხშირად აყვედრიდა, რომ ვითომ მეორეს თავის ქმარი ნაქურდალი პერანგით დაემარხოს. ეს უმართებულო **ცილისწამება, დაყვედრება** მართალ მეწყინას (ხევსური ქალის სახელია) ნემსივით გულში ესობოდა და მწარეთ აღონებდა. დროთა სვლაში აშექა მომეტებულად უხშირებდა უსაფუძვლო დაყვედრებას. მეწყინას ხშირი ცილის წამებისაგან აევსო მოთბინების ფიალა და ერთს უქმი დღეს დაუძახა იმ ხევსურს, რომლისათვისაც ვითომ მას პერანგი მოეპაროს მკვდარი ქმრისათვის საფლავში ჩასაყოლებლად, შეჰყარა მთელი სოფელი სასაფლაოზე და მათ წინაშე საყვარელი სამი წლის მკვდარი ქმარი საფლავიდან ამოიღო, ახადა პირს თავის ძვირფას მკვდარს, მიიყვანა მასთან ის ხევსური, რომელსაც პერანგი დაეკარგა, მოჰკიდა ხელი ჯერ კიდევ გაუხრწნელ გულ-მკერდის ნაწილზე ნაჭრელა, მოქარგულ, შალის პერანგს და შეეკითხა მას

2694 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 3–4.

არის თუ არა მისი ის? პასუხად სრული უარი მიიღო და მეწყინამ შეკრებილი ხალხი დაარწმუნა იმაში, რომ თავისი საყვარელი მკვდარი ქმრისათვის თავისივე ხელით ნაჭრელა-მოქსოვილი პერანგი ჩაუყოლებია საფლავში. ამ უცნაური ფაქტის შესახებ, მეწყინა გამართლდა ხალხის წინაშე და აშექა კი გაშავდა. თითქმის მთელი ხევსურეთი აახმაურა, შეაწრიალა ამ სამნუხარო ამბავმა, ჯერ ერთი მიტომ, რომ ქმრის სამარიდან ამოთხრა არ არის წესად ხევსურეთში და მეორეს მხრივ ამ უჩვეულო ამბავმა, როგორც მკდრის ჭირისუფალს, ისე მთელ სოფელს სიმწუხრე განუახლა. მეწყინამ ხელმეორედ ახალი სამოსით დამარხა თავისი საყვარელი ქმარი და ისევ განახლებული სიმწუხრე უეჭვო თავის გამართლებით შეიმსუბუქა. მეორე დღესვე დაინიშნა რჯული, რომელსაც აშექას 16 ძროხა მიუსაჯა საერთო ხევსურული წესის მიხედვით, მაგრამ რჯულმა მიიღო რა მხედველობაში აშექას ობოლ-ქვრივობა დაკისრებული გადასახადი საგრძნობლად შეუმცირეს – ხუთმეტი მანეთის საფასურით ..... მკდრის საფლავზე ერთი საკლავის დაკვლით და უკვე თუ მან გაიმეორა ასეთი ბრიყული ცილისწამება, იმ შემთხვევაში სოფელს ნება მიეცა სრულიად აჰკვეთოს იგი და გააძეონ სოფლიდან.[2695] საინტერესოა რომ ამ ამბავს მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორიც მოგვითხრობს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული შემთხვევა XX საუკუნის 20-იან წლებში მომხდარა.[2696] როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, მაყვედრობა დანაშაულის ჩადენაში შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე წელიც კი გაგრძელებულიყო და დადასტურებულიყო მისი ცილისმწამებლური ხასიათი. როგორც დავინახეთ, მაყვედრობით შეწუხებულმა ქალმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და გარდაცვლილი ქმარი საფლავიდან ამოთხარა და დაამტკიცა, რომ მართალი იყო და მას ცილს სწამებდნენ. ამ ცილისწამებისათვის კი მედიატორებმა 16 ძროხის გადახდა დააკისრეს ცილისმწამებელს, რაც აქ მძიმე დანაშაულისათვის, მაგალითად, თავის ტვინამდე დასული ჭრილობისათვის, იყო გათვალისწინებული. როგორც ჩანს, რჯულის კაცებმა აღნიშნული ცილისწამება უფრო მძიმე ქმედებად მიიჩნიეს, ვიდრე უბრალოდ ქურდობაში ცილისწამება, რისთვისაც 5 ძროხას ახდევინებდნენ, სავარაუდოდ, მისი უაღრესად შეურაცხმყოფელი ხასიათის გამო. სამწლიანი დაყვედრება იმისა, რომ ქალმა ქმარი მოპარული პერანგით დაკრძალა მართლაც პატივისა და ღირსების უკიდურეს დამცირებას წარმოადგენდა.

აღნიშნულ საკითხზე საუბარს ბ. გოგოჭურის მასალაშიც ვხვდებით. მისი მონაცემის მიხედვით, თუ საყვედურის დამძახებელმა ისეთ საქმეზე, დანაშაულზე „უძახა საყვედური", რომელიც მას არ ჩაუდენია, ასეთ შემთხვევაში „უძახებელი საყვედურის" მძახებელს 5 ძროხის ღირებულების „ჴელითი დრამის" გადახდა მოუწევდა იმის სასარგებლოდ, ვისაც საყვედური ტყუილად უძახა.[2697] საინტერესოა, რომ მონაცემის მიხედვით, ერთიდაიგივე „უძახებელის საყვედურის" ძახებისათვის არაერთი პირის მიერ, რჯული ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებდა მხოლოდ საყვედურის პირველად მძახებელს და არა მას, ვინც ტყუილი საყვედური ბოლოს უძახა.[2698] როგორც ჩანს, ასეთი

2695 გ. თედორაძე, ბუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 118-119.

2696 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15-16.

2697 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 15.

2698 იქვე.

ქმედება ჩვეულებრივ ცილისწამებად აღიქმებოდა და დამნაშავეს შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ფიქსირდება ცილისწამებისათვის დაზარალებულის და მთხრობლის, მოწმის პასუხისმგებლობა. დაზარალებულის პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის ძირითადად მაშინ დგებოდა, როდესაც მის მიერ ბრალდებული პირი ფიცით იმართლებდა თავს. მთხრობლის პასუხისმგებლობა კი ცილისწამებისათვის დგებოდა მაშინ, როდესაც იგი ვერ შეძლებდა სათანადო წესით მის მიერ წაყენებული ბრალდების დამტკიცებას. მასალებით ასევე ირკვევა, რომ ცილისწამებისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა დამოკიდებული იყო იმ დანაშაულის სიძმიმეზე, რომლის ჩადენასაც ცილდაწამებულს აბრალებდნენ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანურ მასალებში. რაც უფრო მძიმე იყო ის დანაშაული, რომლის ჩადენასაც ტყუილად აბრალებდნენ პიროვნებას, მით მეტი იყო გადასახადი ცილისწამებისათვის. ამაზე მეტყველებს მონაცემი, რომლის მიხედვითაც ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა 3-დან 24 აცსიშამდე მერყეოდა, ასევე მ. კეკელიას ზოგიერთი მონაცემი, რომელთა თანახმადაც ცილისწამებისათვის გადასახადი დამოკიდებული იყო იმ დანაშაულისათვის დადგენილ საზღაურზე, რომლის ჩადენასაც აბრალებდნენ ცილდაწამებულს.

2. უკანონო ქორწინება

უკანონო ქორწინებაში ვგულისხმობთ ქალ-ვაჟის შეუღლებას ქორწინების ამკრძალავი, დამაბრკოლებელი გარემოებების მიუხედავად. საქართველოში საზოგადოება ძირითადად ჩვეულებითი სამართლით დადგენილ ქორწინების ამკრძალავ გარემოებებს ითვალისწინებდა, რაც ხშირად უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ეკლესიის მიერ დადგენილი. ამჟამად, ჩვენი კვლევის ობიექტი არ არის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების დეტალური შესწავლა, მხოლოდ მათი გაუთვალიწინებლობის სამართლებრივ შედეგებს შევეხებით. საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით ქორწინების ამკრძალავი გარემოებების ჩამოთვლით და მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლებით თ. იველაშვილის ნაშრომის მიხედვით.

ქორწინების ამკრძალავ გარემოებებს საქართველოში ძირითადად წარმოადგენდა ნათესაობა (სისხლიერი, სულიერი, ხელოვნური), რელიგიურ-ეროვნული კუთვნილება, წოდებრივი მდგომარეობა, ტერიტორიული პრინციპი.[2699] ხორციელ ნათესავებს (აღმავალი და დაღმავალი ხაზით „მოდგმა-შთამომავლობას") შორის ქორწინება, როგორც პირდაპირ, ისე გვერდით განშტოებებში შვიდი თაობის განმავლობაში იყო აკრძალული. პრაქტიკულად კი სისხლით ნათესავ გვართა უმრავლესობა ეგზოგამიურობით ხასიათდებოდა.[2700] მიუხედა-

2699 იხ. თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999, 9-36.

2700 იქვე, 9. XIX საუკუნის დასასრულის ავტორის, მ. საღარაძის თანახმად, იმერეთში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი გვარის ყველა წევრი ნათესავია და მათ შორის ქორწინება სრულიად წარმოუდგენელია. მაგალითად, შესაძლოა ერთ სოფელში იყოს ერთი გვარის სამასი ოჯახი და ამ გვარის შორეულ წევრებს შორის სისხლით ნათესაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მიუხედავად ამისა, მათ შორის ქორწინება სისხლის აღრევად

ვად ამისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება გვარის ეგზოგამიურობის დარღვევის, ანუ ერთი გვარის ქალ-ვაჟის ქორწინების ფაქტები, რისი მიზეზიც თ. იველაშვილის თანახმად, გვარის მეტისმეტი სეგმენტაცია და ამის შედეგად მისი გარკვეული ნაწილის მიგრაცია უნდა ყოფილიყო, რამაც გვარის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის მათი შემაკავშირებელი ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვია.[2701] თ. იველაშვილის დაკვირვებით, ეს ფაქტორებიც იყო განმაპირობებელი იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თითოეული გვარი უფრო ვიწრო უჯრედად დაიყო, მაგლითად, „ლანხუბად//სამხუბად" სვანეთში, „ბარგობად" ლეჩხუმში, მამიშვილობად – ხევსურეთში და სხვა.[2702] რ. ხარაძის თანახმად, სვანეთში ქორწინება აკრძალულია სამხუბის და არა გვარის შიგნით, ხოლო ერთი გვარის სხვადასხვა სამხუბის წარმომადგენლებს შორის ქორწინება ხშირად ნებადართულია. სვანეთში გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვაზე საუბარი შესაძლებელია მაშინ, თუ ეს გვარი ერთსამხუბიანია.[2703] თ. იველაშვილის მიხედვით, სამხუბის შიგნით ქორწინების აკრძალვის და გვარის შიგნით ქორწინების დაშვების ეს პრინციპი შესაძლოა გავრცელდეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც დაფიქსირებულ გვარის შიგნით ქორწინებისა და გვარის უფრო ვიწრო, მკაცრად ეგზოგამიური უჯრედის არსებობის მიმართ.[2704]

საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებული ვითარება გვხვდება აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში, სადაც კუზენური ქორწინებაც ფიქსირდება.[2705]

ქორწინება იკრძალებოდა ასევე ნათელ-მირონობით დანათესავებულთა შთამომავლობაშიც.[2706] შვილად აყვანილი კი საქორწინო აკრძალვების თვალსაზრისით განიხილებოდა როგორც მისი შვილად ამყვანების სისხლიერი შვილი. მთის რეგიონებში ხელოვნური ნათესაობის სახე იყო ასევე დაძმობილება სხადასხვა სახით. დაძმობილებულები ერთმანეთში იცავდნენ ქორწინების აკრძალვის პრინციპსაც.[2707] საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ქორწინება იკრძალებოდა ასევე მძახალ-მოყვრობით დანათესავებულთა შორისაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, „ქორწინება იკრძალებოდა არა მარტო ამ ორ ოჯახს შორის, რომელთა შორის მოყვრობითი ნათესაობა არსებობდა, არამედ გარკვეული თაობების გასვლამდე ახლო ნათესავებს შორისაც. მთხრობელთა უმრავლესობის გადმოცემით, არა მარტო დედის, არამედ ბებიის გვარიდანაც არ შეიძლებოდა ქალის რძლად მოყვანა, ან იმ გვარში ქალის გათხოვება.[2708] ხევსურეთში დასაშვები ყოფილა ქალის გათხოვება ბებიის თუ დედის გვარში, მაგრამ სარძლო თუ სასიძო ბებიისა და დედის მამიშვილობისაგან განსხვავებული მამიშვილობის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.[2709] საქართველოს სხ-

ითვლება. ქორწინება მეათე, მეთორმეტე თაობამდეც კი აკრძალულია (М. Сагарадзе, Обычай и верования в Имеретии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 26, отдел I, 1899, 43).

2701 იქვე, 15.

2702 იქვე.

2703 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ. 1939, 17.

2704 თ. იველაშვილი, საქორწინო ნეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999, 15.

2705 იქვე, 10-11.

2706 იქვე, 18.

2707 იქვე, 19.

2708 იქვე, 23-24.

2709 იქვე, 24.

ვა კუთხეებისგან გამონაკლისს წარმოადგენდა აჭარის მოსახლეობა, რადგანაც მათ შორის არა მარტო მძახალ-მოყვრობით დანათესავებული ოჯახების ახლო ნათესავებს, არამედ თვით ოჯახის სხვა წევრებს შორისაც დაქორწინება ნებადართული იყო.[2710] ქალ-ვაჟს შორის დაქორწინების მნიშვნელოვან ამკრძალავ ფაქტორს წარმოადგენდა რელიგიის სხვადასხვაობა, თუნდაც ერთი ეროვნების შიგნით, და სხვადასხვა ერთოვნული კუთვნილება, თუნდაც ერთი სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის.[2711] საქართველოს მთის ზოგიერთ რეგიონში კი ქორწინება იკრძალებოდა ცალკეული ტერიტორიული გაერთიანებების შიგნით, მაგალითად, გარკვეული უბნის. ძველად კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეში (მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, ხევსურეთი) ქორწინება სოფლის შიგნითაც იყო აკრძალული. ფშავში კი ქორწინება იკრძალებოდა თემის შიგნით. საერთოდ, თანასოფლელი ქალ-ვაჟის ერთმანეთზე დაქორწინებას ხელს უშლიდა მათი ერთი ჯვარ//ხატის ყმობაც.[2712]

არსებობდა სხვა აკრძალვებიც, თუმცა დასახელებულთაგან გადახვევებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, უკანა ფშაველს ნება ჰქონდა თავისი თემის წევრის ქვრივთან ქორწინებისა. ხევსურეთის ცალკეულ თემში კი (ხახაბო, მუცო, არდოტი) წესად იყო ერთი ხატის ყმების ერთმანეთში დაქორწინება, თემის შიგნით ქორწინება.[2713]

თ. იველაშვილის მითითებით, დროთა განმავლობაში ქორწინების ამკრძალავი ზოგიერთი დასახელებული ფაქტორი სრულიად გაქრა, ზოგი შეიზღუდა, ზოგი კი კვლავაც აგრძელებს არსებობას.[2714]

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების თანახმად სხვადასხვა ავტორები და ადგილობრივი ინფორმატორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სისხლიერი თუ სულიერი ნათესაობის, ან ტერიტორიული პრინციპის დარღვევით ქორწინებისას პასუხისმგებლობაზე.

2. 1. პასუხისმგებლობა სისხლიერ და სულიერ ნათესავებს შორის ქორწინებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უკანონო ქორწინების, როგორც დანაშაულის, ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოაგდენდა ნათესავებს (მოგვარეებს) შორის ქორწინება. ფაქტიურად საქართველოს ყველა კუთხეში ჩანერილ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სოფლის საზოგადოება სჯის ერთმანეთთან შეულღებულ ნათესავებს. გვხედება კონკრეტული მაგალითებიც. 1989 წელს იმერეთში ჩანერილი ცნობის მიხედვით, დაახლოებით 50 წლის წინათ სოფელ ნუნისში მაღლაკელიძეებმა (გარებიძაშვილებმა) შეიყვარეს ერთმანეთი და იქორწინეს. ინფორმატორის თქმით, ამან აღაშფოთა სოფელი, შეიკრიბა ხალხი და გადაწყვიტა მათი სოფლიდან გაძევება.[2715] მეგრელი ინფორმატორის ცნობითაც მოგვარესთან, ნათესავთან ქორწინების შემთხვევა სოფლის ყრილობის განხილვის ობიექტი იყო. იგი იხსენებს გასული საუკუნის 20-იან წლებში მომხ-

2710 იქვე, 24.

2711 იქვე, 28.

2712 იქვე, 29.

2713 იქვე, 30-31.

2714 იქვე, 32.

2715 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8.

დარ შემთხვევას, როდესაც, ვინმე საჯაიამ ცოლად მოიყვანა ნათესავი ქალი, რის გამოც მას სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა.[2716] თ. სახოკიას განმარტებით, სამეგრელოში ნათესავთა შორის ქორწინება ძველად (მაგალითად, XIX საუკუნის შუახანებში) უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და უცილობლად დაისჯებოდა სიკვდილით – ჩაქოლვით, ან დამნაშავე გაძევებული იქნებოდა გვარიდან, თუმცა დროთა განმავლობაში, „განათლების" შემოსვლის კვალობაზე ასეთი სიმკაცრე სამეგრელოს მივარდნილ კუთხეებში თუ შემორჩა.[2717]

გურიაში ვინც მოგვარეზე დაქორწინდებოდა, მას გვარის შემარცხვენლად იხსენიებდნენ.[2718] გურიაშიც ამისათვის ბოიკოტის გამოცხადებასა და გაძევებას მიმართავდნენ.[2719] ამ გარემოებას კონკრეტული შემთხვევების შესახებ მონაცემებიც ადასტურებენ. კერძოდ, სურებში რამიშვილს ცოლად მოუყვანია თავისი მოგვარის, რამიშვილის ქალი, რისთვისაც იგი სოფელს გაუძევებია.[2720] მომხდარა ასეთი შემთხვევაც: გ. რ-ს მოუკლავს თავისი ნათესავი ფულის გამო და გაქცეულა სოფლიდან შურისძიების შიშით. იგი მისულა იმ სოფელში, სადაც და ჰყავდა გათხოვილი. ადგილობრივებს რომ გაუგიათ, რომ მას მოგვარე ჰყავდა ცოლად, სოფლიდან გაუძევებიათ.[2721]

უკანონო ქორწინება გურიაში იმდენად სამარცხვინო და უზნეო ქმედებას წარმოადგენდა, რომ შესაძლოა შეურაცხყოფილი ქალის ნათესავების მხრიდან ვაჟის მკვლელობით დასრულებულიყო.[2722] მაგალითად, გურული ინფორმატორი იხსენებს, რომ მისმა ბიძამ – კ. რ-მა ცოლად მოიყვანე მოგვარე ქალი. ქალის ბიძაშვილებს იგი მოუკლავთ.[2723] სურებშიც მოგვარის ცოლად მომყვანი ქალის ნათესავებმა მოკლეს. ეს კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ მომხდარა. მკვლელები შემდეგ ხელისუფლებამ დასაჯა.[2724] სოფელ კოხნარში დეიდაშვილს მოუყვანია ცოლად დეიდაშვილი. ქალის მამას და ბიძაშვილებს მათი მოკვლა გადაუწყვეტიათ, თუმცა ცოლ-ქმარი სოფლიდან გაპარულა.[2725]

გურიაში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა ნათელ-მირონის გატეხვისათვის დამნაშავეთა გაძევებისა გარკვეული ვადით. კერძოდ, გურული ინფორმატორის მონაყოლის მიხედვით, ვინმე კოტრიკაძემ თავისი ქვრივი ნათლიდედა შეირთო ცოლად. მისმა სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა და გააძევა სოფლიდან, ზემო სურებიდან. სამი წელი იყო ასე გაძევებული. ცხოვრობდა სოფელ საყვავისტყეში. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა, თუმცა მაინც ბოიკოტის მდგომარეობაში იყო, იმდენად მძიმედ ითვლებოდა ნათელ-მირონის გატეხვა.[2726] ნათესავთა შორის ქორწინება სასტიკად იყო აკრძალული მესხი ინფორმატორების მიხედ-

---

2716 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37-38.

2717 თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912, პირადი არქივი, 23.

2718 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

2719 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 6, 12, 23.

2720 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 18.

2721 იქვე, 10.

2722 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 12.

2723 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 50.

2724 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 17.

2725 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 18.

2726 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29-30.

ვითაც და შვიდი თაობის შემდეგ დაიშვებოდა.[2727]

ნათესავთა (მხედველობაშია სისხლიერი და სულიერი) შორის ქორწინება უმძიმეს დანაშაულად აღიქმებოდა სვანეთშიც. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, აკრძალული იყო და არის ცოლ-ქმრობა ნათესავებს შორის მეათე შტომდე და სახლიკაცებში (ლამხუბ) სრულიად, ნათესაური შტოს მიუხედავად.[2728] ავტორის განმარტებით, აღნიშნულ დანაშაულს საზოგადოების ყრილობა განიხილავდა და ნათესაობის დამრღვევთ სჯიდა ჯარიმით, განსაკუთრებით სასტიკად კი უსწორდებოდა მირონის გამტეხთ.[2729] სამწუხაროდ, ბ. ნიჟარაძე არ აკონკრეტებს, თუ რა ოდენობის ჯარიმას იხდიდა დამნაშავე და ასევე იმას, თუ რაში გამოიხატებოდა მირონის გამტეხთა მიმართ სასტიკად გასწორება. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოება მხოლოდ ჯარიმის გადახდევინებით არ შემოიფარგლებოდა. არსებობს მონაცემი, რომლის მიხედვითაც, სვანეთში აღნიშნული დანაშაულის ჩადენას მოჰყვებოდა საზოგადოების უდიდესი სიძულვილი (ამ ქმედების ჩამდენი მკვლელზე ცოდვილად ითელებიდა) და დამნაშავის მოკვეთა სოფლიდან და გვარიდან და მისი გაძევება სვანეთიდან.[2730] ჩვენი აზრთი, ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორიც უკანონო ქორწინებაა, დამნაშავის მოკვეთა-გაძევება ადეკვატური სასჯელი უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დამნაშავის ოჯახის მიერ საზოგადოების სასარგებლოდ გარკვეული ჯარიმის გადახდას, რაც დამახასიათებელი იყო სვანური ჩვეულებითი სამართლისათვის.

საინტერესო მონაცემები გვხვდება უკანონო ქორწინებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ფშავ-ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. დ. ჯალაბაძის მიხედვით გვარის შიგნით ქორწინებას საზოგადოების უმკაცრესი რეაგირება მოჰყვებოდა ჩაქოლვის თუ მოკვეთის სახით. მას მოჰყავს კონკრეტული ცნობა, რომლის მიხედვითაც სოფელ აფშოში ხალხმა ნათესავთა შორის ქორწინებისათვის დამნაშავეთა ჩაქოლვა გადაწყვიტა.[2731] ერთ-ერთმა ფშაველმა ინფორმატორმა კი გაიხსენა, რომ სოფელ მაღაროში მოგვარეებს შეუყვარდათ ერთმანეთი. თემმა, ცხადია, დაქორწინების უფლება არ მისცა. ამიტომ მათ თავი ჩამოიხრჩვეს, რადგანაც იცოდნენ რომ თემი მაინც დასჯიდა.[2732] მ. კედელაძის ფშაურ მასალებში გვხვდება ასევე შემთხვევა მოგვარეთა შორის ქორწინებისა, რის გამოც საზოგადოებამ მათ სამრისხველო სამანი ჩაუსვა. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ძველად ამ დანაშაულისათვის ჩაქოლვა იცოდნენ.[2733] გვარის შიგნით ქორწინებისათვის სიკვდილით დასჯას ხევსურეთში, კონკრეტულად შატილში, აფიქსირებს ვ. გურკო-კრიაჟინი.[2734]

უკანონო ქორწინებისათვის ხალხური სამართლით პასუხისმგებლობის შესახებ კარგად ახსოვთ XX საუკუნის დასასრულის ხევსურ ინფორმატორებ-

2727 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7, 57.

2728 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88.

2729 იქვე.

2730 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008. 111-112.

2731 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 47-48.

2732 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

2733 მ. კედელაძე, ფშაური მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 4/5, 17.

2734 В. Гурко-Кряжкин, Хевсуры, Москва, 1928, 18.

საც. მათი განმარტებით, საკუთარი მოგვარის, ბიძაშვილის ცოლად შერთვისთვის დაწესებული იყო სამძახისდაკვეთა, მოკვეთა.[2735] მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ იგი გაძევებას არ მოსწრებია, თუმცა მოკვეთას კი და ბიძაშვილმა ბიძაშვილი რომ შეირთოს აუცილებლად მოიკვეთენ.[2736] ალ. ოჩიაურის თანახმადაც ნათესავის, მოგვარის შემრთველი მოიკვეთებოდა. ავტორი ამ შემთხვევაში შესაძლებლად თვლის ძაღლის მოკვლით და მაძახურობით მოკვეთასაც.[2737]

ხევსურეთში ქორწინება იკრძალებოდა მთელი გვარის მასშტაბით, ერთი გვარის სხვადასხვა მამიშვილობების წარმომადგენელთა შორისაც. ალ. ოჩიაურის გადმოცემით ძალიან გამრავლებულან არაბულები და ცოლის მოყვანის პრობლემა შექმნიათ. ერთხელ არხოტელებს მოუწვევიათ კრება და დაუსვამთ საკითხი გვარის დაშლის შესახებ, რომ სხვადასხვა მამიშვილობის, საძმოს არაბულს ერთმანეთთან დაქორწინების უფლება ჰქონოდათ. ერთი მამიშვილობის არაბულებს შორის კი, ბუნებრივია, ქორწინება ისევ აკრძალული უნდა ყოფილიყო. არაბულთა გვარის მოწინავე კაცები ამის წინააღმდეგ წასულან. მათ ჩაუშლიათ ეს განზრახვა. კრებაზე მისულთ ხალხისთვის უთქვამთ: „ჩვენ უცოლობის გულისთვის გვარს და ძმობას ვერ გავხყრით, თავის დას ვინც შეირთავს, ის რა ცოცხლებში უნდა ეთვლებოდისა. ვინც ცოლს ვერ მაიყვანს უცოლო დაბერდას და მაკვდას. ჩვენ იმის რჯულს ვერ დავზდებთ რომ და-ძმებმან იცოლქმრონ.“ ამ სიტყვებს ზოგიერთმა სხვამაც დაუჭირა მხარი და „ჩაიშალა პირი“, ამიტომ დარჩა ისევე როგორც ადრე: არაბული ქალ-ვაჟი კვლავ ერთმანეთის და-ძმად ითვლებოდა და ცოლქმრობის უფლება არ ჰქონდა.[2738] წინააღმდეგ შემთხვევაში ამას ქალის ოჯახის წევრების მიერ ვაჟის მკვლელობაც შეიძლება მოჰყოლოდა.[2739]

ხევსურული მასალებით ჩანს, რომ მოგვარეთა შეუღლებისას დამნაშავეთა (როგორც ვაჟის, ისე ქალის) მოკვეთა ძირითადად მისი მოგვარეების, ძმა-ბიძაშვილების მიერ ხდებოდა. მოკვეთის აღსანიშნავად კი ხდებოდა სამნის ჩასმა.[2740] მ. კედელაძეს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც სოფელ ხახი-

---

2735 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული.რვეული, 1988, 78.

2736 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 39.

2737 ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, რვეული №3, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 176, 178.

2738 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/12, 134. ვ. ბარდაველიძის მასალებშიც კარგად ჩანს, რომ ქორწინება აკრძალული იყო არაბულების არა მარტო საძმოებს შიგნით, არამედ საძმოებს შორისაც. მაგალითად, იკრძალებოდა ქორწინება იმედათ და მარაისძეთ შორის, რომლებიც არაბულთა გვარის სხვადასხვა საძმოებს წარმოადგენდნენ. იგივე ითქმის არაბულების გვარში შემავალ სხვა საძმოებს შორისაც. ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ არაბულებს ერთმანეთის ქალი არ მოგვყავდა. საინტერესოა, რომ ვ. ბარდაველიძე იქვე შენიშვნაში მიუთითებს, რომ კონკრეტული ფაქტები ეწინააღმდეგება ამას. ამ აკრძალვის დარღვევას უკვე ოშვიათად არ აქვს ადგილი და თუ შეიძლება არაბულებს შორის ეგზოგამიაზე საუბარი, ეს მხოლოდ საძმოზე შეიძლება გავრცელდეს. ამას ისიც მიუთითებს, რომ საძმოს გაყრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საძმოს შიგნით ეგზოგამიის დარღვევა იყო (ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ – ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 10951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან: ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული, პირადი არქივი, ვ. ბ. 329, 1-2.

2739 იხ. ალ. ოჩიაური, იქვე, 134-135.

2740 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/18, 1-2.

ტაურებში მცხოვრებმა ხოლიგა ლიქოკელმა ცოლად წაიყვანა სოფელ ბაქცეილოში მცხოვრები სანდუა ლიქოკელი. გვარის გატეხვის გამო თემი შეიკრიბა და მისი გადაწყვეტილებით ორივე მოიკვეთეს და ლიქოკის ხეობის მცხოვრებნი არავინ ელაპარაკებოდა. ხალხის დავალებით ხუცესმა მინდია მგელას ძე ლიქოკელმა ამ გადაწყვეტილების აღსანიშნავად სამანი ჩადგა. დამნაშავეები ორი წლის განმავლობაში კაცთ-შუაკაცთ უგზავნიდნენ თემს შესარიგებლად. ორი წლის შემდეგ ხალხი შერიგებას დათანხმდა იმ პირობით, რომ კარატის ჯვარში ჯურუმის სახით ხუთი საწყაო ლუდი უნდა ედუღებინათ, ხუთი წლის ხარი დაეკლათ, თხუთმეტი მანეთის ვერცხლის თასი და რვალი ე. ი. (სპილენძის ქვაბი) ჯვარისთვის შეეწირათ.[2741] სოფლის, თემის ერთი გვარის ხალხით დასახლების შემთხვევაში, გვარიდან მოკვეთა, ცხადია სოფლიდან, თემიდან მოკვეთასაც ნიშნავდა. როგორც ამ კონკრეტული შემთხვევიდან ჩანს, გვარის გატეხვისათვის მოკვეთილს შეეძლო თხოვნის საფუძველზე ისევ შემორიგებოდა თავის მოგვარეებს გარკვეული ჯარიმის გადახდის პირობით. შერიგებისას ჯარიმის სახით, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოჩნდა, შესაძლოა დამნაშავეს დაეკლა ხარი, საკლავი (ცხვარი) და ლუდი ედუღებინა გარკვეული ოდენობით. ასევე შესაძლოა, ან მხოლოდ ხარი, ან მხოლოდ ცხვარი დაეკლა, ან მხოლოდ ლუდი ედუღებინა. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად „დიდი დანაშაული" ჰქონდა ჩადენილი. ლუდი უნდა ყოფილიყო 3-5-7 საწყაო.[2742] მ. ბალიაურის მიხედვით მოგვარეებს შორის ქორწინება ხევსურეთში ძალზე იშვიათად ხდებოდა.[2743] მისი განმარტებითაც, სოფელი ვაჟს აუცილებლად მოსთხოვდა გადასახადს, რაც სოფელს და ჯვარს ეკუთვნოდა. თუ ვაჟი ამ გადასახადს არ გადაიხდიდა, მას ჯვარში არ მიუშვებდნენ. ვაჟს ჯვარში (ხატში) უნდა დაეკლა ერთი ხარი, არანაკლებ ოთხი წლის, საკლავი, თან ლუდი უნდა ედუღებინა სამი, ან ხუთი „საწყვისა". მხოლოდ სოფლისთვის ხარ-ქვაბის გადახდის შემდეგ ვაჟი თავისუფლად მიეიდოდა ჯვარში. მას სოფელი მიუშვებდა და ის სოფელშიც იცხოვრებდა. ქალი და ვაჟი თავის დედ-მამასაც ამის შემდეგ შეურიგდებოდა.[2744] ეს მონაცემი ადასტურებს მ. კედელაძის მონაცემს ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ მოგვარეთა ქორწინება სოფლის მიერაც მისი ინტერესის ხელყოფად, მის შეურაცხყოფად აღიქმებოდა და ვაჟს ცოლად შერთულ მოგვარესთან ერთად სოფელი დაბრუნების და სოფლის ჯვარში მისვლის უფლებას მხოლოდ მაშინ მისცემდა, როდესაც ვაჟი სოფლისა და ჯვრის სასარგებლოდ გარკვეული რაოდენობის გადასახადს გადაიხდიდა.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან გამოჩნდა, მოგვარის ცოლად მომყვანი შესაძლოა დაზარალებულის (ქალის ძმა-ბიძაშვილების) დეენის ობიექტი

2741 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/23, 14.

2742 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/1, 7.

2743 მ. ბალიაურის მასალებში ეხვდებით პირაქეთ ხევსურეთში მომხდარ კონკრეტულ შემთხვევას: ვაჟს მოუყვანია ცოლად თავისი გვარის ქალი. ორივე ჭინჭარაულები ყოფილან – ვაჟი ბარისახოდან იყო, უჭკუათ სურხანაული, ქალი კი ჯუდანელი – ნასთვლევათა, ორივე ერთი გვარისა. ისინი თურმე ტყეში გარიდებიან მოგვარეთა რისხვას და იქ ცხოერობდნენ. ვაჟის მამას სახლიდან და სოფლიდან ვაჟი გაუდევნია, თუმცა შემდეგ შეირიგა შვილი და შინ შეუშვა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე მისთვის ხმა არ გაუცია. რძალი კი საერთოდ არ ჩვენებია მამამთილს, სულ ემალებოდა (მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/3, 126).

2744 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/3, 127-128.

და მსხვერპლი გამხდარიყო. ამ შემთხვევაში ვაჟის ძმა-ბიძაშვილები, მისი უახლოესი ნათესავებიც მოიკვეთდნენ დამნაშავეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულთა დევნის ობიექტი შესაძლოა ისინიც გამხდარიყვნენ. მოკვეთის შემთხვევაში კი მხოლოდ უშუალოდ დამნაშავეს დაუწყებდნენ დევნას. ამიტომ იყო, რომ დაზარალებულები პირველ რიგში მათგან ითხოვდნენ დამნაშავის მოკვეთას. თუ ისინი უარს იტყოდნენ ამაზე, მაშინ მოხდებოდა მათი, ანუ მთელი ნათესაური ჯგუფის მოკვეთაც, ე. ი. გვარის, ძმობის გაყრა.[2745]

საერთოდ, მოგვარეთა შეუღლებისას გვარი შეიკრიბებოდა და გამოთვლიდნენ ქალ-ვაჟის ოჯახი რამდენად ახლოს იდგა შთამომავლობით ერთმანეთთან. თუ ძალიან ახლოს არ იყვნენ, მამა-პაპანი დაშორებულები იყვნენ, გვარს ერთმანეთთან მხოლოდ „შაბათი" ჰქონდა გასაყრელი, მაშინ გვარი გაიყრებოდა. თუ ქალ-ვაჟი ახლოს იყვნენ, მაშინ მოხდებოდა ძმობის გაყრა: მოკლავდნენ ძაღლს და საქვეყნოდ იტყოდნენ: „ჩვენ ერთუცისებ აღარ ორთ, ყველამ გაიგას, გაიგონას, რომ ჩვენ მამა ძმობა გაყრილ ას." ამის შემდეგ წავიდოდნენ სასაფლაოზე, ვაჟის ახლობელი მიცვალებულის საფლავს ამოთხრიდნენ, წვივის ძვალს ამოიღებდენ და ორად გატეხდნენ. ერთ ნატეხს ერთ მხარეს გადააგდებდნენ, მეორე ნატეხს კი მეორე მხარეს და დაიძახებდნენ: „დღეის ამას იქით ჩვენ გაყრილნი ორთ გვარითაცად, ძვალითაც". შემდეგ სალოცავ ჯვარში ქვის სამანს ჩადგამდნენ და მოხდებოდა ძმობის გაყრა.[2746]

ხევსრეთში მძიმე შედეგი შესაძლოა მოჰყოლოდა მოგვარის დისწულზე ქორწინებასაც. მოგვარე ქალი, თუნდაც შედარებით შორეული ბიძაშვილი ყოფილიყო, დად ითვლებოდა და ცხადია, მის შთამომავალზე ქორწინება მიუღებლად ითვლებოდა. ნ. ბალიაური ყვება შემთხვევას მომხდარს სოფელ ამღაში, ნიკლაურების საგვარეულოში. ეს გვარი იყოფა რამდენიმე ქვეგვარად, ესენია: ბერდიშვილები, ჩინგლანი, ახალანი, გილანი, ქარჩანი, ჭოლიკაურნი, გაჯალანი და სხვა. ყველზე მეტი ყოფილან ბერდიშვილები, რომლებიც თავის მხრივ ასევე იყოფოდნენ ორად: ბერდიშვილები და გიორგანი. მათ ქალ-დისწულნიც საერთო ჰყავდათ. არხოტში იყო ქალ-ვაჟი – ვაჟი გიორგათი იყო, ხოლო ქალი მის დისწულად ითვლებოდა, რომელიც ბერდიშვილებს უფრო ეკუთვნოდა, რადგანაც მისი დედა ბერდიშვილების ქალი იყო. ვაჟს ერქვა ბაბუა, ხოლო ქალს ნანუკა. ნანუკა ახიელელი ქალი იყო, გვარად ნაროზაული. ბაბუას სურდა ნანუკა შეერთო ცოლად, თუმცა სხვა მიზეზებთან ერთად ამას ხელს უშლიდა ისიც, რომ ის ქალი მისი ნათესავი, დისწული იყო. ბაბუამ იცოდა, რომ ამ ქორწინებას სიტუაციის გამწვავება მოჰყვებოდა, კერძოდ, ჩხუბი, დაჭრა და ესეც, რომ არ ყოფილიყო, გვარი გაიყრებოდა, ან მოკვეთა მოხდებოდა როგორც ვაჟისა, ისე ქალისა. ქალმა იცოდა, რომ ბაბუაზე დაქორწინების შემთხვევაში მას მოიკვეთდნენ დედიძმები და შესაძლოა და-ძმებიც. ამიტომ მან გაყოლაზე თავიდან უარი უთხრა, რადგან დედიძმების დაკარგვა ხევსურეთში არც ისე ადვილი საქმე იყო, თუმცა ბოლოს მაინც დათანხმდა და ბაბუამ იგი გაიტაცა. ქალს ჰყავდა ოთხი მკვიდრი დედისძმა, აგრეთვე სხვა ახლობელი დედისძმები (მხდეველობაშია დედის ახლო ბიძაშვილები), რომელნიც ბევრნი იყვნენ. ჰყავდა აგრეთვე

2745 ნათესაობიდან მოკვეთის, ნათესაური ჯგუფის მოკვეთისა და მათ სამართლებრივ შედეგებზე იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 312-323.

2746 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/3, 128.

ორი დეიდა. დედისძმებმა ერთ-ერთი მათგანის სახლში მოიყარეს თავი და დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ვაჟის მოკვლის შემთხვევაში სისხლი დაედებოდათ, მისი მოკვეთა გამოიწვევდა გვარის გაყრას, სამნის ჩადგმას, საუკეთესო ახალგაზრდების ჩამოშორებას, რაც ხევსურეთში ძნელი გასაბედავი იყო. თუ დისწულს მოიკვეთდნენ, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ, თუ მოკვეთილს და-ძმები შეურიგდებოდნენ, არ მოიკვეთდნენ ქალს სამუდამოდ, მაშინ უნდა მოეკვეთათ ქალის და-ძმებიც. ეს არ იყო ლამაზი, რადგან მიცვალებული დაც უნდა მოეკვეთათ (ქალის დედა). ბევრი საუბრის შემდეგ გადაწყვიტეს, ეკითხათ ვაჟის ბიძაშვილებისათვის, იკვეთდნენ თუ არა ისინი ბაბუას და, თუ არ მოკვეთდნენ, რას აპირებდნენ მისი სახლისკაცები – გვარის გაყრას, თუ ისევ ერთად ყოფნას. იგივე კითხეს დისწულ ქალ-ვაჟებს. რადგანაც ქალის დედ-მამა ცოცხალი არ იყო, ამიტომ საქმეს პირდაპირ დისწულებთან იჭერდნენ. დედისძმებიდან ყველაზე მეტად ბათიკა ბრაზობდა და ქალს მოსაკლავად ემუქრებოდა. მან ქალის მამისახლს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა მის მამიშვილობის მამაკაცებს, რომ ქალი მოეკვეთათ და მისი საქციელით გამოწვეული სირცხვილი ჩამოერეცხათ. თან დისშვილის მოკვლით იმუქრებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მისთვის დისწულის მოკვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მის გამო გიორგათ მოკვეთა, რომლებზე ახლობელიც მათ არავინ ჰყავდათ. ნაროზაულებმა, ქალის და-ძმებმა უარი თქვეს ქალის მოკვეთაზე. დედისძმებმა გადაწყვიტეს მოეკვეთათ დისშვილები ძაღლის მოკვლით და გაეყარათ ძმობა გიორგათთან. ბათიკამ დისწულების მოსაკვეთად თოფით მოკლა ძაღლი. მან და მისმა ძმებმა მოკლული ძაღლი გზაჯვარედინზე დააგდეს, რომ ყველას დაენახა. ეს მძიმე მოკვეთა იყო. იმ დღის შემდეგ დისწულები თავის დედისძმებსა და მათ ცოლ-შვილს ხმას ვერ სცემდნენ, ვერც ერთი-მეორის სახლებში დადიოდნენ. შემდეგ ქალის დედისძმებმა საკუთარ სახლიკაცებს შეუთვალეს, რომ ისინი გიორგათ მოკვეთას აპირებენ და თუ მათთან ყოფნა უნდათ, მაშინ გიორგანი მათაც უნდა მოიკვეთონ, თუ უარს იტყვიან, მხოლოდ ისინი მოიკვეთენ გიორგათ და ისინი მათთან ერთად დარჩებიან. ბერდიშვილებმა მათთან ერთად დარჩენა გადაწყვიტეს და გიორგათ შეუთვალეს: თუ თქვენც მოიკვეთთ ბაბუას, მაშინ ისევ ძმებად დაერჩებით, თუ არა და მასთან ერთად თქვენც უნდა მოგიკვეთოთო და ძმობა უნდა გავყაროთო. გიორგათ ძალზედ ემძიმებოდათ ბერდიშვილებთან ძმობის გაყრა, თუნდა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ცოტანი რჩებოდნენ, მაგრამ რაკი ბაბუას მის მიერ მოტაცებული ქალის საქმრო მოსაკლავად დასდევდა, მისი მოკვეთა და მარტო დატოვება ასეთ ვითარებაში სამარცხვინოდ ჩათვალეს: ხალხი იტყოდა შეეშინდათ და იმიტომ მიატოვესო. ამის გათვალისწინებით გიორგათ შეუთვალეს ბერდიშვილებს, რომ მათ არ ახარებთ ბაბუას მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქმე, თუმცა თვლიან, რომ მოკვეთა მათ სირცხვილს ვერ ჩამორეცხს, მტერს კი გაახარებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბერდიშვილებთან ძმობის გარეშე ძალიან გაუჭირდებათ მათ ვერ მოიკვეთენ. ამ პასუხის შემდეგ შეიკრიბნენ ბერდიშვილები და გიორგანი სამნის ჩასმით მოიკვეთეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ძმობა გაყარეს ერთმანეთის დისწულები მაინც არ მოჰყავდათ ცოლად.[2747]

2747 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 90-95. საინტერესოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ქალი და ვაჟი ხუთი თაობით ყოფილან დაშორებულნი ერთმანეთთან და არხოტში ჩასულ მღვდელს უთქვამს, რომ ქრისტიანული კანონით მათი ცოლ-ქმრობის აკრძალვის უფლება არ გაქვთო. თუმცა მისთვის უპასუხიათ: „ჩვენ ჩვენი წესით გავარჩევთო.“ (მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი)

ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალმხრივი შედეგი შესაძლოა მოჰყოლოდა მოგვარის დისწულის ცოლად შერთვას. აქ გამოჩნდა, რომ ასეთ დროს მთავარ დაზარალებულს წარმოადგენდა შუალედური ნათესაური ჯგუფი, რომელიც ქალ-ვაჟის ნათესაობას განაპირობებდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ესენი იყვნენ ქალის დედის ძმები, რომლებიც ამავე დროს ვაჟის ბიძაშვილებს, მისი საძმოს წევრებს წარმოადგენდნენ. ეს ასე იქნებოდა ნებისმიერ მსგავს შემთხვევაშიც. ამიტომ იყო, რომ ამ უკანონო ქორწინებისას ყველაზე შეურაცხყოფილები, აღშფოთებულები და აქტიურები სწორედ ისინი იყვნენ. როგორც გამოჩნდა ასეთი ქორწინების შესაძლო შედეგები იყო: ვაჟის მოკვეთა მისი ბიძაშვილების – ამ შემთხვევაში ბერდიშვილებისა და მისი სახლიკაცების – ამ შემთხვევაში გიორგათ მამის წევრების მიერ, ან წინააღმდეგ შემთხვევაში საძმოს გაყრა – ამ შემთხვევაში ბერდიშვილებსა და გიორგათ შორის; ასევე შესაძლოა მომხდარიყო დედის ძმების მიერ დამნაშავე ქალისა და მისი მშობლების და და-ძმების მოკვეთა, თუ ეს უკანასკნელნი თავის მხრივ ქალს არ მოიკვეთდნენ. გამორიცხული არ იყო ქალის დედისძმების მიერ თავისი ბიძაშვილის მოკვლაც, ან რაიმე ზიანის მიყენება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამისგან თავის შეკავება მოხდა მკვლელობის გამო თავის დადების შიშით.

ხევსურეთში მასალების მიხედვით ჩანს ასევე ახლო მონათესავე დეიდაშვილების ქორწინების აკრძალვაც. ამ შემთხვევაში დედის ძმები, როგორც ქალვაჟს, ისე მათ დედებს მოიკვეთდნენ.[2748]

2. 2. პასუხისმგებლობა მოყვრობითი ნათესაობის პრინციპის დარღვევისათვის. ფშავში აკრძალული იყო საკუთარი მოგვარის, თემის წევრის ქვრივის შერთვა. ამას შესაძლოა თემიდან მოკვეთა მოჰყოლოდა.[2749] იგივე წესი მოქმედებდა ხევსურეთშიც. ალ. ოჩიაურის მონაცემით, სახლიკაცების ნაცოლარის მომყვანს სამუდამოდ მოიკვეთდნენ. ეს აკრძალვა მოგვარის ნაცოლარზეც ვრცელდებოდა, თუნდაც ეს მოგვარე სხვა მამიშვილობის წევრი ყოფილიყო.[2750] მაგალითად, ახიელში (არხოტი) ოჩიაურის გვარის კაცის ყოფილი ცოლი მოიყვანა ცისკარაულმა (ოჩიაურები და ცისკარაულები ერთმანეთის განაყრები იყვნენ). ამას საკმაოდ მძიმე დაჭრა მოყვა.[2751]

გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ვინმე ალექსანდრე ბ-ძემ ცოლად მოიყვანა თავისი გარდაცვლილი ბიძაშვილის ცოლი. ამისათვის მას სოფელმა ერთი წლით ბოიკოტი გამოუცხადა (ეს ამბავი დაახლოებით XX საუკუნის 20-იან წლებში მომხდარა).[2752] გურიის სინამდვილისთვის შედარებით მცირე სასჯელის, კერძოდ, მხოლოდ ერთწლიანი ბოიკოტის გამოცხადება, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქორწინებას არა სისხლით ნათესავთან, არამედ მოყვრობით ქორწინებას ყოფილი ბიძაშვილის ქვრივთან.

უკანონო ქორწინება გამოხატული მოყვრობითი ნათესაობის პრინციპის

ძველად, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/3, 130).

2748 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 98.

2749 იხ. ჯ. მერაბიშვილი, ს. მაკალათია და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", თბ., 1988, 132.

2750 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 185; მისივე, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 7/4, 37.

2751 იქვე.

2752 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 7.

დარღვევაში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მოგვარის, ბიძაშვილის ნაცოლარის, ქვრივის მოყვანაში ვლინდება. სავარაუდოდ ეს ჩვეულებითი სამართლით დასჯად მოყვრობითი ნათესაობის პრინციპის დარღვევის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენდა, რაც ადგილობრივ ინფორმატორთა მონაცემებშიც გამოიხატა. როგორც ჩანს, საქართველოს მთის რეგიონებში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში აღნიშნული დარღვევა მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა, რაზედაც საკმაოდ მძიმე სასჯელი და თუნდაც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ქალის ყოფილი ქმრის ნათესავების მხრიდან მძიმე დაჭრით გამოხატული საპასუხო რეაქცია მეტყველებს. გურიაში კი ასეთივე დარღვევისათვის შედარებით მსუბუქი სასჯელი ფიქსირდება, რაც ამ რეგიონში ასეთი ქმედებას ხალხის მართლშეგნებით ნაკლებადმძიმე დანაშაულად წარმოაჩენს.

ჩვენი ვარაუდით, სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ მოგვარის, ბიძაშვილის ქვრივის ცოლად მოყვანისათვის პასუხისმგებლობის არსებობა XX საუკუნეში დაფიქსირებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით იყოს გამოძახილი „კათალიკოსთა სამართლის" 22-ე მუხლის. ამ ნორმის თანახმად მე-16 საუკუნის შუახნებში შეკრებილი დასავლეთ საქართველოს მღვდელთმთავართა კრებული რძლის ცოლად შერთვისთვის აწესებს სიკვდილით დასჯას, კერძოდ, დაქორწინებულთა დაკირვას.[2753] ჩვენი აზრით, ამ მუხლში შესაძლოა იგულისხმებოდეს სწორედ გარდაცვლილი მოგვარის, ბიძაშვილის ცოლის, ანუ რძლის შერთვა, რაც „კათალიკოსთა სამართალმა" უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიაკუთვნა, მისთვის სიკვდილით დასჯის გამოყენების დაწესებით.

2. 3. პასუხისმგებლობა სხვა სარწმუნოების პირთან დაქორწინებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული რელიგიურ-ეროვნული კუთვნილება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა. მონაცემები სხვა ეროვნებისა თუ სარწმუნოების წარმომადგენელთან ქორწინებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ ჩვეულებითი სამართლის მასალაში ძალზედ მწირია. ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემები გვხვდება მესხეთში ჩაწერილ მასალაში, სადაც გასაგები მიზეზის გამო განსაკუთრებით მძაფრად აღიქმებოდა ქართველი ქრისტიანის ქორწინება სხვა სარწმუნოების და ეროვნების ადამიანთან. მესხი ინფორმატორის განმარტებით, ნათესავთა შორის ქორწინების მსგავსად სასტიკად იკრძალებოდა სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთან ქორწინება.[2754]

ივანე ბაღდოშვილი ადიგენის რაიონის სოფელ ბოკაჯურიდან იხსენებს, რომ იგი მომსწრეა შემთხვევის, როდესაც მის სოფელში პეტრე ს-ს ქალიშვილი ჩუმად გაყვა თათარს. ინფორმატორის განმარტებით ქრისტიანი ქართველები მათთან დამოყვრების წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ, როდესაც მამამ გაიგო ეს ამბავი „გაარისხა" თავისი შვილი, ე. ი. გამოუცხადა რისხვა და ჩათვალა რომ იგი მისთვის და მისი ოჯახისთვის მკვდარია.[2755]

2. 4. პასუხისმგებლობა ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევისათვის ასევე გარკვეული პასუხისმგებლობა იყო

2753 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963, ი. დოლიძის რედაქციით, 397.

2754 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 57.

2755 იქვე, 80.

გათვალისწინებული. ამის შესახებ მონაცემები ფიქსირდება ფშავ-ხევსურეთში. ს. მაკალათიას ცნობით ფშავში არ შეიძლებოდა ერთი თემისა და ხატის ყმა ქალ-ვაჟის ქორწინება. ქალის გათხოვება თავისივე ხატის ყმაზე აქ არგაგონილ დანაშაულად ითვლებოდა. აკრძალული იყო ასევე სხვა თემში გათხოვილი თემის წევრის ქალის რძლად მოყვანა. წესის დამრღვევს თემი მოიკვეთდა და განდევნიდა ფშავის ხევიდან.[2756] ზოგიერთი ეთნოგრაფიული მონაცემის მიხედვით კი მოთემის თუ თანასოფლელის მოყვანისათვის ძველ პერიოდში შესაძლოა ჩაქოლვასაც კი ჰქონოდა ადგილი. დ. ჯალაბაძის ფშაველი ინფორმატორის თანახმად, ფშავში ერთი ხატის ყმებს შორის, თუნდაც სხვადასხვა გვარისანი ყოფილიყვნენ, ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც თემს ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავეთა ჩაქოლვა მოუთხოვია. სოფლის შიგნით ქორწინებაც ჩაქოლვას ან გაძევებას იწვევდა. ინფორმატორს ბიძამისისგან გაუგია, რომ ერთ-ერთ სოფელში თანასოფლელების ქორწინებისათვის ორივე (ქალ-ვაჟი) ჩაუქოლავთ.[2757] თემის შიგნით ქორწინება აკრძალული ყოფილა მთიულეთშიც. ამისათვის აქ თემიდან მოკვეთას ექნებოდა ადგილი.[2758]

მოთემეთა და თანასოფლელთა ქორწინების აკრძალვას და ამ პრინციპის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ვხვდებით ხევსურეთშიც. საკუთარი თემის, სოფლის ქალის ცოლად შერთვა აკრძალული იყო, მაშინაც კი თუ ქალ-ვაჟს ნათესაური კავშირი არ ჰქონდათ. ამის გამო დამნაშავეებს, როგორც მოღალატეებს, მოიკვეთდნენ.[2759]

ხევსურეთში თანასოფლელთა დაქორწინების შესახებ დამოკიდებულებას ხალხი შემდეგნაირად გამოხატავდა: „სოფელში ცოლ-ქმრობა სასაცილოა, ყველასთვის საწყენია, თქვენი ჭირიმეთ, ნუ დაიწყებთ ამისთანობას, ქვეყანაში ნუ შევირცხვენთ თავს! ეგრეთის მქნელს ჩაქოლვა უნდა, რადგანაც სხვა აღარ ჩაიდენს. სოფელში გამოჩენილ კახპას უნდა მოკვეთა და მოშორება!"[2760] აღნიშნული ქმედების სამარცხვინოდ აღქმა და მისთვის მოკვეთა-გაძევება მიუთითებს, რომ თანასოფლელთა ქორწინება საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. დ. ცისკარაული ხევსურეთში თანასოფლელთა ქორწინების აკრძალვის ორ მიზეზს ასახელებს: 1. ერთი სოფლის ქალ-ვაჟი ერთმანეთს და-ძმას უწოდებს, თუნდაც სხვადასხვა ჩამომავლობისა იყვნენ. 2. ხევსურეთში ხშირად ნიშნავდნენ მცირეწლოვნებს და დანიშნულებს ქორწინებამდე ერთმანეთის ნახვა ეკრძალებოდათ. შესაბამისად, თანასოფლელს თუ დანიშნავდნენ, მაშინ იგი ფაქტიურად სახლიდან გარეთ ვერ გამოვიდოდა და საქმეს ვეღარ გააკეთებდა.[2761] მიუხედავად სოფლის აკრძალვისა ქალის გატაცება საკუთარი სოფლიდან მაინც ხდებოდა, მხოლოდ ძალიან იშვიათად და ისიც სხვა გვარის წარმომადგენლის.[2762]

ნ. ბალიაური საკმაოდ დეტალურად აღწერს თუ რა შედეგები მოჰყვებოდა

2756 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 73, 76.

2757 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

2758 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62.

2759 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 40; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 66.

2760 ნ. ბალიაური, სნორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 39.

2761 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 11.

2762 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 131.

აღნიშნულ დანაშაულს: თუ ქალ-ვაჟი ერთი სოფლიდან იყვნენ და სხვადასხვა გვარის, სოფელს და ნათესავებს მაინც გაერიდებიან. მათ წასვლისას არ მიაქვთ არაფერი. ისინი თავს აფარებენ ვინმე შორეულ ნათესავს. სოფელი კი ბრაზობს და ნაწყენია, რადგანაც ფიქრობს, რომ ერთი სოფლის ქალ-ვაჟი ერთმანეთს, როგორც ცოლ-ქმარს არ უნდა უყურებდეს. სოფელი მოიკვეთდა ვაჟის მამას და ძმებს, ახლო ბიძაშვილებს, არ მისცემდა ჯვარში მისვლის უფლებას, მანამ, სანამ მამა შვილს და რძალს არ მოიკვეთდა და არ იტყოდა: „მაგის ჩამდენი შვილი შვილად არ მინდა და რძალი რძლადო." სოფლელები მშობლების ასეთ შეწუხებას მხედველობაში მიიღებდნენ, მაგრამ მაინც დაიწყებენ ჯავრობას, მიუგზავნიან კაცს ვაჟის ოჯახს და შეუთვლიან: „საქონს საქონში ნუ გაღრევთ, ცალკე იყვენით! რახან სოფლელთ ქალ-ზალს არ ინდობთ, ცალკე ჩვენ სოფელი, ცალკე – თქვენ!. არც მკვდრებს დავუმარხავთ, არც ჯვარ-ჯვარისკარში მავუშობთ თქვენებ სახლისკაცებს, არც საქონს გაურევთ იმათას!" ვაჟის ოჯახის წევრები იმავე კაცების პირით შეუთვლიან სოფელს: „თქვენი ჭირიმეთ, კაცებო (შუამავლებს კაცებს ეძახიან), კარგ სიტყვა დახარჯეთ ჩვენ შუაში, უთხარით ჩვენ ნათქვამ ჩვენ სოფლელებს რას გვემართლებითავე მასაკვეთ-მასახლეტსავ? განა ჩვენ ქვე გვიხარიანავ ჩვენის შვილის (ჩვენი ძმის) ცუდად ნაქნარ საქმეივ, მაგრამ რაი ვქნათავ? ჩვენ წინ გიდგეორთავ სრულყვალაშიავ, რასაც შამაგითლითავ, გიკეთებთავ ჯვარსაცავ და სოფელსაცავ". შუაკაცებიც სოფელს ასე ეტყვიან: „არას ამბობენ ურიგოდ, ემდურებიან შვილს, შამაგითვალესთ ჩვენი პირით: წინ გიდგეორთავ სუყველაშიავ რასაც შამაგითვლითავ, უსოფლოდ რა მზე დაგვთბებისავ? ერთი დღესაც არ გვინდავ სიცოცხლეივ უსოფლოდავ! ქუდს იხდიან, – გვცხვენისავ, პირიც გვიწბილდებისავ ქალ-ზალსთანაცავ, სოფლელებსთანაცავ". ამასთან დაკავშირებით სოფელი მისი ერთ-ერთი უფროსი კაცის პირით მოითხოვდა, რომ ქალის ოჯახს დამნაშავე ქალი მოეკვეთა და სახლში არ შეეშვა, ვაჟის ძმებს, სახლიკაცებს კი სოფელთან შემოსარიგებლად ჯვარში უნდა დაეკლათ კურატი, ედუღებინათ გარკვეული რაოდენობის ლუდი (ორი-სამი საწყავის) და სოფლისთვის ტაბლა დაედგათ. ეს უახლოეს დღეობაზე უნდა გაეკეთებინათ, მანამდე კი ცალკე უნდა ყოფილიყვნენ. დღეობისთვის ვაჟის ოჯახი ყველაფერს მოამზადებს, რაც სოფელმა დაავალა. გამოაცხობენ პურს, მიელენ ჯვარში და მიიყვანენ კურატს, რომელსაც დაკლავენ. ტყავს თეით ვაჟის პატრონები ხდიან და ხორცსაც ისინი ხარშავენ. როცა ხორცი მოიხარშება გააკეთებენ ცვილის სანთლებს, ხორცს ნაჭრებად დაჭრიან და პურებზე დაალაგებენ. სანთლებს აანთებენ და ზედ მიაწებებენ. მოიტანენ ლუდს ჩხუტით, რასაც სანთლებს აწებებენ. თასებს ავსებენ ლუდით და სუფრაზე დადგამენ, ნაწილს კი უფროსი კაცები და ჯვარიონნი დაიკავებენ ხელში, მოიყვანენ ხელოსანს, რომელიც იხუცებს, შეავედრებს ხატს სოფლელებს და ვაჟის პატრონებს. შემდეგ ვაჟის მამა და ბიძა სოფელთან მოიბოდიშებენ: „სოფლელებო, მადლობელნი ორთ. ჩვენის მამიშვილობის კაცნი (ახლო გვარის ნათესავები); სოფლელებმ შაგვირიგენით, ჩვენ აღარ გვეგონ, თუ სოფლელებ კიდევ გვიძმობდეს..... გთხოვთ კაცსაცა-ჯვარსაც გვაპატივეთ! დედა ვერ იტყვის იმის დედობას, ძმა-ძმობას, და-დობას. იყვას მაკვეთილ-მასხლეტილი". ასევე ილაპარაკებენ სხვებიც და ბოლოს ხდებოდა ვაჟის ოჯახის, ძმა-სახლიკაცების შემორიგება.[2763] გარკვეუ-

2763 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 36-38.

ლი დროის შემდეგ სოფელი გაქცეულებსაც შემოირიგებდა. ეს ასევე რომელიმე დღეობაზე ხდებოდა. აქაც იტყოდნენ რომ სოფელში ცოლ-ქმრობა სასაცილოა, რომ ამის მქნელი ჩასაქოლია, რადგანაც სხვამ აღარ ჩაიდინოს, თუმცა დამნაშავეებს საბოლოოდ მაინც აპატიებდნენ. მხოლოდ ქალის გვარეულობა გამოხატავდა უკმაყოფილებას და ვაჟი და მისი ოჯახი მათაც უნდა შერიგებოდა.[2764] სოფლის მიერ ქალ-ვაჟის შემორიგება ორი-სამი თვის შემდეგ ხდებოდა. ვაჟი გამოუგზავნიდა შუაკაცებს სოფლელებს და სთხოვდა შერიგებას. ხალხი ამ დროს უკვე მიწყნარებული იქნებოდა და ადვილად შემოირიგებდა ქალ-ვაჟს. შემოსარიგებლად საჭირო იყო ქალის მშობლების და გვარის ნებართვა, ასევე ვაჟის გვარის თანხმობაც. შესაძლოა ისინი წინააღმდეგი ნასულიყვნენ თემ-სოფლის შემარცხვენელის შემორიგებისა. ამდენად, შუაკაცები თხოვდნენ ორივე გვარს ქალ-ვაჟის შემორიგებას და ეტყოდნენ: მართალია ერთად გაზრდილები არინ, ასე არ უნდა ექნათ, ძალიან შეცდნენ და შეარცხვინეს თავისი გვარი, თავისი ჯილაგი, სოფლის პირიც გატეხეს, მაგრამ უნდა ვაპატიოთ, არც ძმა უნდა დავკარგოთ და არც შვილი. თანასოფლელები კი არიან, მაგრამ მოგვარეები ხომ არა. მაგათი შეუღლებით გვარი არ გაიყრება, არც ძმობა. მართალია ერთი ჯვარის ყმები არიან, მაგრამ ამას ჯვარნიც აპატიებენ. როდესაც ორივე გვარი დათანხმდებოდა და სოფელში მოსვლის ნებას მისცემდნენ, მერე ვაჟს შეატყობინებდნენ, რის შემდეგაც ვაჟი სოფელს და ჯვარს შეირიგებდა. პირველ რიგში მას ევალებოდა სოფლისათვის გადაეხადა ხარ-ქვაბი, ე. ი. სამი, ან ხუთი საწყაო ლუდი უნდა ედუღებინა, ერთი მოზვერი დაეკლა ჯვარში და სოფელს გამასპინძლებოდა. ლუდით და ხორცით სოფლის შემორიგების შემდეგ, ვაჟს ცოლეულები (ქალის მშობლები) უნდა შეერიგებინა. სანამ ქალის მშობლებს არ შეირიგებდა, ქალი, რომელიც აქამდე ქმრის სახლში იყო დამალული, გარეთ ვერ გამოვიდოდა. სასიძოს შერიგებამდე ქალს ძმებიც ემტერებოდნენ. სასიძოს და ქალს ქალის მშობლებთან ისევ შუაკაცები შეარიგებდნენ. ვაჟი შესარიგებლად მისვლისას ქალის ოჯახში მიიტანდა არაყს და ორ საკლავს (ორ ცხვარს). არაყს ქალის მშობლების ოჯახში დალევდნენ. ეს უკანასკნელნი შერიგების სუფრაზე მიიწვევდნენ როგორც თავის, ისე ვაჟის მოგვარე მამაკაცებს. ამის შემდეგ შერიგება დასრულებულად ჩაითვლებოდა. ამის შემდეგ ქალი მამის სახლში აღარ რჩებოდა და ქმრის ოჯახში მიდიოდა.[2765]

მ. კედელაძის მასალების მიხედვით ასევე ჩანს, რომ არამოგვარე თანასოფლელთა დაქორწინება (თუნდაც უკანონო შვილის გაჩენის შემდეგ თუ დაქორწინა სოფელმა და თანასოფლელობის გარდა ქორწინების დამაბრკოლებელი სხვა გარემოება არ არსებობდა) იწვევდა დაქორწინებულთა სოფლიდან გაძევებას, თუმცა ორი-სამი წლის შემდეგ მათი შემორიგება სოფელთან შესაძლებელი იყო.[2766] მ. კედელაძის ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს მომხდარ შემთხვევას, როდესაც შატილელებმა მოიკვეთეს მათივე სოფლის მკვიდრი ბაძია მანგიას ძე ჭინჭარაული, იმიტომ რომ თანასოფლელი ქალი, რომელიც მის დედულთ ჰყავდა წაყვანილი, ქმრის

2764 იქვე, 38-40, 50.

2765 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 131, 8/4, 132-135.

2766 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/7, 4-5.

გარდაცვალების შემდეგ, ცოლად მოიყვანა. იმავე ნელს დამნაშავემ სხვა სოფლის კაცების შუამავლობით შერიგება სთხოვა სოფელს. დიდი ხვეწნის შემდეგ დაითანხმეს სოფელი შერიგებაზე. ხალხის გადაწყვეტილებით დამნაშავეს შესარიგებლად ჯარიმა უნდა გადაეხადა: ჯვარში ლუდი ედუღა, ხართან ერთად ცხვარიც დაკლა და ჯვარს რვალი (პატარა ქვაბი) შესწირა. ამის შემდეგ იგი სოფელს შეურიგდა და ცოლიც დარჩა მასთან.[2767]

აკრძალული იყო საკუთარი თანასოფლელის საცოლის თუ ნაცოლარის – ქვრივის, გაცილებულის მოყვანა, მაგალითად, ალ. ოჩიაური ამის შესახებ საუბრობს სოფელ ახიელის (არხოტი) მაგალითზე. ამას დაახლოებით იგივე შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, რაც მოგვარის ნაცოლარის/ცოლის შერთვას.[2768] თანასოფლელის ყოფილი საცოლის ცოლად მოყვანის კონკრეტულ შემთხვევას გვიამბობს ნ. ბალიაური: პირაქეთ ხევსურეთში, სოფელ ხადუში, ერთმა ახალგაზრდამ, ქერაულმა უნცრუამ ითხოვა ბარისახოელი ქალი, სახელად მაია. ქალი დიდხანს ჰყავდა დანიშნული. ერთი ვაჟი იყო მისი სოფლელი – შიშია, რომელიც წესის თანახმად წვებოდა მაიასთან, როგორც სარძლოსთან. მას და მაიას მოეწონათ ერთმანეთი, მაგრამ რაკი სოფლელის საცოლე იყო ცოლად ვერ მოყავდა, ამას შესაძლოა მსხვერპლი მოჰყოლოდა. შიშიამ მაინც დაითანხმა ქალი ცოლობაზე. მანაც დაიწყო უნცრუას დანუნება. ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ ქალი სხვა მამაკაცს მისდევდა და შიშიაზე აიღო ეჭვი. საბოლოოდ უნცრუამ უარი თქვა ქალზე და სხვა მოიყვანა ცოლად. შიშიამ მოიტაცა ქალი და კახეთში წაიყვანა. გარკვეული დროის შემდეგ ისინი ხევსურეთში დაბრუნდნენ. ქალი მამამ და ძმამ არ შეირიგეს, შიშია კი მთელმა სოფელმა მოიკვეთა და მასაც არ შეეძლო იმ სოფელში მისვლა. შიშია გვიან შეურიგდა ცოლეულებს, მაგრამ სოფელში მისვლის ნება კი უფრო გვიან მისცეს, ისიც არა საცხოვრებლად, არამედ ხატში.[2769]

საკმაოდ დრამატული შედეგი მოჰყვა თანასოფლელის ნაცოლარის ცოლად შერთვას ნ. ბალიაურის მიერ გადმოცემულ კიდევ ერთ შემთხვევაში. სოფელ ახიელში ვინმე მამუკა ნაროზაულმა ცოლად მოიყვანა ამღელი ქალი, სახელად მაია. მათ ჯვარი დაიწერეს, თუმცა ამის მიუხედავად, ჯვრისწერის მეორე დღეს ქალი სახლში დაბრუნდა და ქმრის დანუნება დაიწყო, რადგანაც უყვარდა ასევე სოფელ ახიელის მცხოვრები ბასილი ოჩიაური. მამუკამ დიდი დავიდარაბის შემდეგ ცოლს თავი დაანება, რჯულმა კი ამ უკანასკნელს გათხოვება აუკრძალა „გარდა მთასიქითისა". ამის მიუხედავად, ბასილმა გაიტაცა მაია ქისტეთში, მოინათლა იმათ სჯულზე და იქ დაიწყეს ცხოვრება. ეს ამბავი ნაროზაულებმა უდიდეს შეურაცხყოფად მიიღეს და მოკლეს ბასილის ბიძაშვილი. ამის გამო ისინი გაიქცნენ და კახეთში დასახლდნენ. ოჩიაურებმა ბასილი მოიკვეთეს. ბასილი და მაია ათი წლის შემდეგ დაბრუნდნენ ხევსურეთში.[2770]

მასალების მიხედვით ჩანს, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა სასჯელის დაკისრება ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევისათვის. ფშავ-ხევსურეთში დასჯადად ითვლებოდა არა

2767 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/10, 4-5.

2768 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 37.

2769 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 107-109.

2770 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 109-115.

მარტო საკუთარი თანამეთემის, თუ თანასოფლელის შერთვა, არამედ თანასოფლელის ნაცოლარისაც (მისი ქვრივის, ყოფილი ცოლის), ხევსურეთში კი თანასოფლელის ყოფილი დანიშნულისაც, რასაც საკმაოდ მძიმე სამართლებრივი შედეგი შესაძლოა მოჰყოლოდა.

ამრიგად, მასალების მიხედვით, თანასოფლელთა ქორწინებას მათი მოკვეთა და სოფლიდან გაძევება მოჰყვებოდა. ვაჟს დროებით საკუთარი მამაც მოიკვეთდა. ასევე სოფლის მიერ ხდებოდა ვაჟის მამისა და ძმების მოკვეთაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, თუმცა მათი შემორიგება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა და ჩვეულებრივ ხატში გარკვეული ხარჯის გაღებასთან იყო დაკავშირებული. გარკვეული დროის შემდეგ კი დაქორწინებული ქალ-ვაჟის შემორიგებაც მოხდებოდა. ეს ფაქტორები მიუთითებს, რომ ქორწინების ტერიტორიულობის პრინციპის დარღვევა, თუ ამავე დროს ადგილი არ ჰქონდა ქორწინების სხვა დამაბრკოლებელ გარემოებებს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად არ ითვლებიდა. აღნიშნული დანაშაული საზოგადოების (სოფლის) წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა. ეს ქმედება სოფლის პირის გატეხვად ითვლებოდა. დამნაშავეთა სოფლიდან მოკვეთა-გაძევება ამ დანაშაულს სწორედ საჯარო ხასიათის სამართალდარღვევად წარმოაჩენს. ფშავში თანამოთემეთა ქორწინებისათვის მოკვეთა-გაძევების გარდა ჩაქოლვის დაფიქსირება შედარებით ძველი პერიოდის გამოძახილი უნდა იყოს და თანამოთემის ერთი ხატის ყმობით განპირობებული.

ხევსურული მონაცემების თანახმად შედარებით მძიმე პასუხისმგებლობა ჩანს სოფლელის ნაცოლარის/საცოლის შერთვისთვის. მასალების მიხედვით ეს უფრო თანასოფლელის საცოლის თუ ყოფილი საცოლის შერთვისას ვლინდება. სავარაუდოდ ეს აიხსნება იმით, რომ თანასოფლელის საცოლე, თუ ცოლი რძლად ითვლებოდა, მისი ცოლად შერთვა თუნდაც მას შემდეგ რაც საქმრო (ქმარი) მას თავს დაანებებდა, ეს ქალის ყოფილი საქმროსა და მისი სახლიკაცების უდიდეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა, რადგანაც მათ ესმოდათ, რომ ქალმა ყოფილი საქმრო სხვა კაცის გამო დაიწუნა, რასაც ვაჟის მიერ მისთვის თავის დანებება მოჰყვა, ეს კაცი კი ვაჟის თანასოფლელი აღმოჩნდა. ასეთ ქმედებას შესაძლოა მსხვერპლიც მოჰყოლოდა. როგორც ვნახეთ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავე ვაჟის ახლო ბიძაშვილი იქნა მოკლული. ქალის მამიშვილობა ვაჟის მამიშვილობას დევნიდა და თუ ამ უკანასკნელთ სურდათ მათი ნათესავის საქციელის გამო პასუხი არ ეგოთ, ქალის მამიშვილობის მოთხოვნით შესაძლოა დამნაშავე ვაჟი მოეკვეთათ აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. ასეთი საქციელის მიმართ გულგრილი არც სოფელი რჩებოდა. სოფლის მიერ მოხდებოდა დამნაშავეთა მოკვეთა-გაძევება. მაგალითად ერთ ზემოთმოყვანილ შემთხვევაში მოკვეთილ-გაძევებული დამნაშავე სოფლელებმა საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ შემოირიგეს, თუმცა მხოლოდ ხატში მისვლის უფლება მისცეს და არა უშუალოდ სოფელში.

2. 5. პასუხისმგებლობა მტერზე დაქორწინებისათვის. ხევსურული ჩვეულებითი სამართლით იკრძალებოდა ქალის დაქორწინება მტერზე, ანუ იმ გვარის მამიშვილობის წარმომადგენელზე რომლის წევრსაც ქალის მამიშვილობიდან ჰყავდა ვინმე მოკლული, ანუ იკრძალებოდა მოკლულის მამიშვილობის ქალის ქორწინება არა მარტო უშუალოდ მკვლელზე, არამედ მკვლელის მამიშ-

ვილობის ნებისმიერ წევრზე (ყველა მის საძმოგაუყრელ ბიძაშვილზე). ასეთ შემთხვევაში ქალს მისი ძმა-ბიძაშვილები (მამიშვილობა) მოიკვეთდა.[2771]

მ. კეკელიას ინფორმატორი გაბრიელ ოჩიაური (სოფ. ახიელა, არხოტი) იხსენებს, რომ გიგაურის მიერ ოჩიაურის მოკვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ოჩიაურების ქალი გაყვა გიგაურს. ამის გამო გვარის თავკაცების ინიციატივით გვარმა ქალი მოიკვეთა, რადგანაც იგი გაყვა მტერს (არა უშუალოდ მკვლელს, არამედ მკვლელის მამიშვილობის წევრს). ამის გარდა ოჩიაურებმა მათი მოგვარე ქალის ცოლად შემრთავი „მეხელეს დაატანეს".[2772] ეს მონაცემი საინტერესოა იმით, რომ მტერზე გათხოვილი ქალის მოგვარეების მიერ მოკვეთის გარდა შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ასევე ამ ქალის მომყვანის დატანებასაც. ზოგადად „დატანება"[2773] არ შეიძლება სასჯელად ჩაითვალოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში ქალის შემრთავი ქალის მოგვარეების თვალში ასევე აღიქმებოდა დამნაშავედ და გვარის შეურაცხმყოფელად, რის გამოც დაზარალებულის გვარს იგი უნდა დაესაჯა და როგორც ჩანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დასჯის ფორმად სწორედ „დატანება" მიიჩნიეს, რაც მას დისკომფორტს შეუქმნიდა და აიძულებდა ქალის მოგვარეებს დამალვოდა, მორიდებოდა და ისეთივე რეჟიმში ყოფილიყო, როგორშიც მკვლელი.

მოსისხლე მტრების ქალ-ვაჟის შეუღლება ნებადართული იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსისხლე მტრების საბოლოო შერიგების და თავ-სისხლის გათავების შემდეგ.[2774]

ამრიგად, მასალების მიხედვით გამოჩნდა რომ უკანონო ქორწინებისათვის ქართული ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებს ჩაქოლვას, ბოიკოტის გამოცხადებას, გაძევებას, მოკვეთას (სოფლიდან, თემიდან, ნათესაობიდან). აღსანიშნავია, რომ უკანონო ქორწინებისათვის პასუხისმგებლობის ხარისხი საქართველოში დროთა განმავლობაში შემსუბუქების ტენდენციით ხასიათდება. თ. იველაშვილი საქართველოს მთის რეგიონების მაგალითზე აღნიშნავს, რომ ძველად აღნიშნული დანაშაულის ჩამდენთ ხშირად ჩაქოლვით სჯიდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში ეს სასჯელი მოკვეთით და საზოგადოებიდან განდევნით შეიცვალა. შემდეგ გაძევებაც თანდათანობით გამოვიდა გამოყენებიდან და მხოლოდ ბოიკოტს ჰქონდა ადგილი, როდესაც დამნაშავეები სოფელში ცხოვრობდნენ, თუმცა მათთან ყოველგვარი ურთიერთობა მოსახლეობას გაწყვეტილი ჰქონდა.[2775] ეს ტენდენცია, როგორც დავინახეთ, ჩვენს მიერ მოტანილ მასალებშიც კარგად გამოჩნდა.

აღნიშნული მასალები ასევე ცალსახად გვიჩვენებს, რომ უკანონო ქორწინებისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა სახის საქორწინო აკრძალვა იქნა დარღვეული დამნაშავეების მიერ. ჩანს, რომ

2771 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 78.

2772 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 18-19.

2773 ხევსურეთში მოკლულის ოჯახი უშუალო მკვლელს მის ერთ-ერთ ნათესავს „დაატანდა" და მას შემდეგ, რაც შეურიგდებოდა მკვლელის ძმა-ბიძაშვილებს, სისხლის ალების საშიშროების ქვეშ მკვლელთან ერთად „დატანებულიც" რჩებოდა და რომელსაც მოიხელთებდნენ, მას მოკლავდნენ. შერიგების შემთხვევაში „დატანებულს" მკვლელთან ერთად ირიგებდნენ (იხ. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/3, 29).

2774 ბ. გოგოჭური, ხევსური რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 116.

2775 თ. იველაშვილი, საქორწინო ნეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999, 31.

სისხლიერ და სულიერ ნათესავთა შორის ქორწინება უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე მაგალითად, ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევა (მხედველობაშია ის რეგიონები, სადაც ეს პრინციპი მოქმედებდა). მასალებში კარგად გამოჩნდა, რომ მაგალითად, ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დარღვევისას დამნაშავეთა შერიგება უფრო ადვილი იყო, ვიდრე, მოგვარეთა ქორწინებისას. ეს დასტურდება თ. იველაშვილის მიერაც. მის თანახმად, ქორწინების ტერიტორიული პრინციპის დამრღვევები დროებით ტოვებდნენ სოფელს და სხვაგან აფარებდნენ თავს. გარკვეული დროის შემდეგ კი ჯერ მშობლებს და შემდეგ სოფელს ურიგდებოდნენ გარკვეული ხარჯის გაღებით.[2776]

დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენდნენ უკანონო ქორწინების ორივე მონაწილე ქალ-ვაჟი, რომელთა მერ დანაშაულის ჩადენა სუბიექტური მხარის თვალსაზრისით განზრახი ხასიათის შეიძლება ყოფილიყო.

3. მეუღლის მიტოვება საპატიო მიზეზის გარეშე. ცვაროზ

საოჯახო ურთიერთობები საქართველოში ქრისტიანულ მორალს ეფუძნებოდა, რის გამოც განქორწინება უაღრესად გართულებული იყო და ეკლესიის მიერ მხოლოდ განქორწინების პირობების დადგომის შემთხვევაში დაიშვებოდა. ოჯახის ერთობის შენარჩუნებაში ეკლესიას საერო კანონმდებლობაც ეხმარებოდა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ვახტანგის სამართლის წიგნი, რომლის თანახმადაც ცოლ-ქმარს შორის არსებული სიძულვილი, ქმრის მიერ ცოლის დაჭრა, ცემა და პირიქით, უშვილობა განქორწინების საფუძველი ვერ იქნება. კანონმდებელი მიუთითებს: „თუ არ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ გაეყრებიან“ (მუხ. 63, 65[1], 66, 168).[2777] ძველი ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობას ქმრის მიერ ცოლის და ცოლის მიერ ქმრის უმიზეზოდ მიტოვებისათვის. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის 72-ე მუხლის მიხედვით: „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს, და თავისი ზითევი უკლებლივ მისცეს.“[2778] ასევე, ქმრის უმიზეზოდ მიტოვებისთვის ქალმაც ქმარს სრული სისხლი უნდა გადაუხადოს (მუხ. 74).[2779] გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებით კი ქმრის მიერ ცოლის უმიზეზოდ, „უბრალოდ“ „დაგდებისათვის“ ნახევარი სისხლი იყო გათვალისწინებული (მუხ. 21).[2780]

ამ ნორმების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ძველი ქართული კანონმდებლობა მეუღლის უმიზეზოდ მიტოვებას დანაშაულად თვლიდა და მისთვის საკმაოდ დიდ გადასახადს აწესებდა. ამას მიუთითებს პასუხისმგებლობის ის ზომა (სრული სისხლის, თუნდაც ნახევარი სისხლის სახით), რაც გათვალისწინებული იყო აღნიშნული ქმედებისათვის. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით სრული სისხლის გადახდა განზრახ მკვლელობის ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება (მაგალითად, მუხ. 88, მე-3 პუნქტი), ხოლო ისეთი მძიმე დანაშაულებისათვის,

2776 იქვე, 32.

2777 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 498–499, 523.

2778 იქვე, 500.

2779 იქვე.

2780 იქვე, 411.

როგორიცაა ხელის მოკვეთა, ფეხის მოკვეთა, თვალის ამოთხრა, გათვალისწინებული იყო სისხლის მესამედი (მუხ. 45).[2781] ეს მუხლები მიუთითებს, რომ მეუღლის უმიზეზოდ მიტოვება, როგორც დანაშაული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, ხელის, ფეხის, თვალის დასახიჩრებაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც მეუღლის უმიზეზოდ, თუ სათანადო მიზეზის გარეშე მიტოვება ასევე დანაშაულს წარმოადგენდა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და სვანეთში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მეუღლის თუ საცოლის/საქმროს მიმტოვებელს უნდა გადაეხადა გარკვეული საზღაური მიტოვებულისათვის. ფშავში ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „ქმარი თუ დაიწუნებდა ცოლს, არა უნამუსობით, არამედ რომელისამე სხვა მიზეზის გამო, უნდა მიეცა ცოლისათვის ხუთი ძროხა „სამწუნობრო".[2782] ვაჟას ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ „სამწუნობროს" გადახდა ცოლის მიმტოვებელს უწევდა, თუ ის ცოლს გაუშვებდა „არა უნამუსობით", ანუ არა ღალატის გამო, არამედ სხვა რაიმე მიზეზით, რომელიც ცოლის გაშვების საპატიო მიზეზად არ ითვლებოდა. თუშეთშიც ეხვდებით ცოლის გაშვებისათვის „სამწუნობროს" გადახდას (რამდენიმე ძროხა ან ცხვარი). ალ. ხახანაშვილის თანახმად ეს უფრო მაშინ ხდებოდა, როდესაც ქმარი უშვილობის გამო გაუშვებდა ცოლს.[2783] ამ მონაცემის მიხედვით, თუშეთში ქმარს მაშინაც უნდა გადაეხადა „სამწუნობრო" ცოლის გაშვებისათვის, როდესაც იგი უშვილო იყო. ეს მიუთითებს, რომ უშვილობა ცოლის დათხოვნის საპატიო მიზეზს არ მიეკუთვნებოდა და მას შესაბამისი გადასახადის გადახდა მაინც მოუხდებოდა. მითუმეტეს მას მოუწევდა ამის გაკეთება სხვა შემთხვევაშიც, როდესაც იგი შედარებით უმნიშვნელო მიზეზების გამო მიატოვებდა ცოლს. ეს გარკვეულწილად ესადაგება ვახტანგის სამართლის წიგნის ნორმას, რომლის მიხედვითაც ცოლის უშვილობის გამო გაშვებისათვის ქმარს მისთვის სრული სისხლი უნდა გადაეხადა (მუხ. 168),[2784] როგორც ეს ხდებოდა ზოგადად ცოლის უმიზეზოდ მიტოვების შემთხვევაში.

ქსნის ხეობაში ქმარს ასევე შეეძლო მოღალატე ცოლის თავისუფლად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე გაშვება. ინფორმატორის თქმით იგივე მოხდებოდა ცოლის ქურდობის შემთხვევაშიც. ამ დროს განქორწინებასთან დაკავშირებით სოფლის კაცების თავშეყრა არ ხდებოდა.[2785] სავარაუდოდ, სხვა მიზეზით განქორწინებისას საქმე სოფლის კაცებს უნდა განეხილათ. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ გვხვდება მონაცემები ამ რეგიონში მეუღლის უმიზეზოდ მიტოვებისათვის ხდებოდა თუ არა გარკვეული გადასა-

2781 იქვე, 493-494.

2782 ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო ყოფა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 7; ქმრის მიერ უმიზეზოდ გაშვებული ცოლისათვის „სამწუნობროდ" 5 ძროხის გადახდა ფიქსირდება რ. ერისთავთან (რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯაფარიძემ, თბ., 1986, 81).

2783 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „ივერია", 1888, №185.

2784 ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 523.

2785 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1985, 41.

ხადის გადახდა. სოფლის თავკაცების შეკრება განქორწინებისას გვაფიქრებინებს, რომ მეუღლის უმიზეზოდ მიტოვებას შესაძლოა გარკვეული სახდელის დაკისრება გამოეწვია.

ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, ხევსურეთში ქმრის მიერ ცოლის დაწუნება და გაგდება ადვილ საქმედ ითვლებოდა (განსხვავებით ცოლის მიერ ქმრის დაწუნებისა). ხევსური მამაკაცისთვის ქალის დაწუნებისა და მისი გაშვების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ცოლის ღალატი, რაიმე ცუდი საქციელი, მაგალითად, ქურდობა, ასევე, დასნეულება, არამშრომელობა, სხვა ქალის მოწონება და სხვა. ჩამოთვლილთაგან არსებით, სათანადო მიზეზად მხოლოდ ქალის ღალატი ითვლებოდა, დანარჩენი კი მსუბუქ მიზეზად.[2786] ქალის გაშვებისათვის „სამწუნობროდ" 16 ძროხა იყო გათვალისწინებული.[2787] ნ. ხიზანაშვილი „სამწუნობროს" გადახდას სწორედ „მსუბუქი" მიზეზით ქალის გაშვებას უნდა უკავშირებდეს. ცოლის ღალატს და ამის გამო მის გაშვებას სხვა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა და ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნ. ხიზანაშვილის თანახმად, ხევსურეთში უშვილობაც არ მიიჩნეოდა ცოლის გაშვების საპატიო მიზეზად. უშვილო ცოლს მხოლოდ უშვილობისათვის ვერ გაუშვებდნენ და თუ ძალით გააგდებდნენ, მისთვის იგივე 16 ძროხა უნდა გადაეხადათ.[2788]

განსხვავებული მონაცემი გვხვდება მ. ბალიაურთან. მისი განმარტებით, საქართველოს ამ კუთხეში გავრცელებული მოვლენა იყო ბავშვობაში (მათ შორის აკვანში) დანიშვნა. როდესაც დანიშნული ქალ-ვაჟი წამოიზრდებოდა, შესაძლოა გაცნობის შემდეგ არ მოსწონებოდათ ერთმანეთი და დაშორებულიყვნენ. წამოზრდილი ვაჟი როდესაც გაიგებდა საცოლეს ავ-კარგს და თუ არ მოეწონებოდა, ის არავის დაეკითხებოდა და თვითონ დაანებებდა თავს. იგივეს გააკეთებდა, თუ სხვა ქალს შეიგულებდა. მ. ბალიაურის მონაცემით ქმრის/საქმროს მიერ ცოლის/საცოლის დაწუნების შემთხვევაში ქმრის/საქმროს მიერ „სამწუნობროს" გადახდას ადგილი არ ჰქონდა. დაწუნებული ქალის ოჯახი, ქალის მამის სახლი ქმრის მიერ ცოლის დაწუნების შემთხვევაში ქმარს პასუხს არ მოსთხოვდა, არც რჯული მოხდებოდა. ქალი და მისი მშობლები, ცხადია, ნაწყენები იქნებოდნენ, თუმცა ისინი აშკარად არაფერს იტყოდნენ, ხალხს წყენას არ აგრძნობინებდნენ. თუ გულში წყენა ჰქონდათ ვაჟის ოჯახს სამაგიეროს ისე გადაუხდიდნენ, რომ ხალხს არ გაეგო, რომ ეს მათი ქალის დაწუნების გამო მოხდა. მაგალითად, შეიძლება დაეჭრათ კიდეც „ნასიძარი", ან მისი ახლობელი ვინმე (ძმა, ბიძაშვილი). შულლის და დაჭრის მიზეზად კი სხვა რაიმეს გამოუნახავდნენ. ქალის დაწუნებას და თავის დანებებას არც კი ახსენებდნენ. ასეთ დროს ქალის დაწუნების გამო აშკარა მტრობის დაწყება სირცხვილი იყო, რადგან ხალხი იტყოდა: რა აშინებთ, სხვაგან ქალს ქმარს ვეღარ უშოვნიდნენო? ამდენად, მ. ბალიაურის მიხედვით, ქმრის/საქმროს მიერ ქალის დაწუნების და თავის დანებების შემთხვევაში არც „სამწუნობროს" გადახდას ჰქონდა ადგილი, არც ქმრის/საქმროს გამოკიდებას.[2789] მ. ბალიაურის მიხედვით, „სამწუნობროს" მხოლოდ ქალის

2786 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 43–44.

2787 იქვე, 44.

2788 იქვე, 44.

2789 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ.

მხარე იბდიდა ქმრის დაწუნებისათვის.[2790] ბ. გოგოჭური, „სამწუნობროს" გადახდას მხოლოდ ქალის ვალდებულებად თვლის.[2791] ალ. ოჩიაური კი პირდაპირ მიუთითებს: „ქალი თუ ქმარს დაიწუნებდა ..... იღებდა „სამწუნობროს".[2792] ე. ი. ალ. ოჩიაურიც „სამწუნობროს" გადახდას მხოლოდ ცოლის მიერ ქმრის დაწუნების შემთხვევაში თვლის შესაძლებლად. ამდენად, გამონაკლისი მხოლოდ ნ. ხიზანაშვილის მონაცემია. უაღრესად სანდო ავტორთა უმრავლესობის თანახმად, სამწუნობროს გადახდა მხოლოდ ქალის მიერ ქმრის დაწუნებისას ხდებოდა. აღნიშნულ ავტორთა ერთსულოვანი პოზიცია ამ საკითხზე გვარწმუნებს, რომ „სამწუნობროს" გადახდა ცოლის დამწუნებელი ქმრის მიერ, როგორც წესი, არ უნდა ყოფილიყო მიღებული ხევსურული რჯულით. ამ შემთხვევაში ნ. ხიზანაშვილის მონაცემი ან მცდარია, ან გამორიცხული არაა როგორც უფრო ძველად დაფიქსირებული, შედარებით ადრეულ პერიოდს ეხება, ვიდრე ნაბსენები ავტორების შესაბამისი მონაცემები.[2793]

ცოლის გაშვებისათვის მამაკაცი ქალის ოჯახს უხდიდა „ნამაშვრალს". „ნამაშვრალის" გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც ქმარი მასთან შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრებ ცოლს გაუშვებდა და აღნიშნული საზღაური მისი გარჯილობის ანაზღაურებას წარმოადგენდა. კერძოდ, ქმართან ცხოვრების თითოეული წლისათვის ქმარს გაშვებული ცოლისათვის უნდა გადაეხადა თითო ძროხა, ქორწინების პირველი და ბოლო წლების გამოკლებით. მაგალითად, ქმართან რვა წლის განმავლობაში მცხოვრები ცოლი „ნამაშვრალის" სახით 6 ძროხას მიიღებდა.[2794] ასეთი წესით ქალი ნამაშვრალს იღებდა მაქსიმუმ 16 წლამდე თანაცხოვრებისათვის. 16 წელს ზევით ქმართან ცხოვრებისათვის დამატებით ნამაშვრალის აღება აღარ ხდებოდა.[2795]

თუ ქმარი ცოლს შერთვის წლის დამლევს გაუშვებდა, მაშინ „ნამაშვრალის" გადახდა არ ხდებოდა და მისთვის „საუპატიუროს" სახით 3 ძროხა უნდა გადაეხადა და ტალავარი მიეცა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გაშვებული ცოლი ამას მოითხოვდა.[2796]

ქართული ჩვეულებითი სამართლით პასუხისმგებლობას ინვევდა ასევე ცოლის/საცოლის მიერ ქმრის/საქმროს დაწუნებაც. ფშავში დანიშნული ქალი

8/1, 41-42. 8/2, 50-51.

2790 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/2, 50.

2791 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 137.

2792 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 42.

2793 ს. მაკალათიას მიხედვითაც, „სამწუნობროს" ქმრის დამწუნებული ცოლი იბდიდა, თუმცა ამ ავტორთან გამონაკლისსაც ვხედებით. იგი ნ. ხიზანაშვილის მსგავსად მიუთითებს, რომ ცოლის უშვილობის გამო გაშვების შემთხვევაში ქმარს მისთვის „სამწუნობრო" – 16 ძროხა უნდა ვადაეხადა (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 178). არ არის გამორიცხული, რომ ს. მაკალათია ამ შეხედულებაში (ისე როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებით) ნ. ხიზანაშვილს ეყრდნობა და შესაბამისად, „სამწუნობროს" გადახდის ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისს არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში (უშვილობის გამო ცოლის გაშვებისათვის) უნდა ჰქონდეს ადგილი.

2794 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 44; მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 112.

2795 ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 12; მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 113; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 114-115. ბ. გოგოჭურის მიხედვით, ნამაშვრალის პრინციპი ვრცელდებოდა 18 წლამდე თანაცხოვრებისათვის (იქვე, 115)..

2796 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, 44; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 178.

თუ დაინუნებდა საქმროს და მოხდებოდა ნიშნობის შედეგად წარმოშობილი დაქორწინების ვალდებულების შეუსრულებლობა, საქმროს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ამისათვის საუპატიო ჯარიმის გადახდა 15 ძროხის ოდენობით.[2797]

მასალების მიხედვით, ხევსურეთში ეხვდებით საცოლის მიერ საქმროს დაწუნებისათვის გარკვეულ პასუხისმგებლობას.[2798] ამ პასუხისმგებლობას შეიძლება ჰქონოდა ქონებრივი საზღაურის სახე, როდესაც საქმე რჯულით (სამედიატორო სასამართლოს მიერ) წყდებოდა. ხევსურული რჯული საქმროს დამწუნებელ ქალის ოჯახს იმდენს დააკისრებდა, რამდენიც ვაჟს დახარჯული ჰქონდა ქალის დანიშვნასთან თუ მასზე ქორწინებასთან დაკავშირებით.[2799] ეს საკითხი უფრო სრულყოფილად მ. ბალიაურის მონაცემშია განხილული. მისი განმარტებით, თუ ქალი მხოლოდ დანიშნული იყო და საქმროს არაყი ჰქონდა „ნაზიდავი" და „ბედის კვერი"[2800], მაშინ საქმროს რჯული არაფერს აკუთვნებდა. თუ საქმროს ქალისთვის მიტანილი ჰქონდა ტანსაცმელი, ან რაიმე ნივთი, იმ დანახარჯს აუნაზღაურებდა ქალის ოჯახი. თუ საქმროს საკლავი ჰქონდა მიტანილი და დაკლული ქალის ოჯახში, იმის ანაზღაურებაც ხდებოდა. სხვას არაფერს არ მისცემდნენ. საქმროს მიერ ყოველწლიურად მოტანილ არაყს და სუფრისთვის გაწეულ ხარჯს იმიტომ არ აანაზღაურებდნენ, რომ ქალის ოჯახი მოსულებს უმასპინძლდებოდა, ისიც იხარჯებოდა და ორივე მხარის ხარჯი ერთმანეთს აბათილებდა.[2801]

2797 ა. გრიგოლია, ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბ., 2015, 95.

2798 ქალს თუ არ მოეწონებოდა საქმრო, ან სხვის სიტყვას დაიჯერებდა, რომ მისი საქმრო არ ვარგა, ისიც დაინუნებდა საქმროს. ამ დროს ქალი საქმროს ნათესავებს კარგად აღარ მოექცეოდა, მათი თანდასწრებით მანდილს აღარ დაიხურავდა, საქმროს გვარის უფროს მამაკაცებს აღარ დაელაპარაკებოდა, ხალხში საქმროს სალანძღავს ილაპარაკებდა და ბოლოს „ლიშანსაც" (ნიშანს) გამოიტანდა და საქმროს მხარეს შეუთვლიდა: თავი დამანებეთ, მე თქვენთან წამომსვლელი არ ვარ, თქვენ სხვა ქალი მოიძიეთ, მე არც ცოცხალი, არც მკვდარი თქვენი ცოლი არ ვიქნები. საქმროს მხარე რომ გაიგებდა ქალის „ნუნიობას" ძალიან ენყინებოდა და დაიწყებდა იმის გარკვევას, თუ ვის გამო იწუნებს. როდესაც გაარკვევდნენ თუ ვისი მიზეზით დაინუნა ქალმა, მას მტრად გადაეკიდებოდნენ. ქალის ოჯახშიც მივიდოდნენ და ისევ შერიგებას სთხოვდნენ. თუ ქალი მაინც არ ურიგდებოდა, შესაძლოა მოეტაცათ კიდეც, თუმცა შემდეგ ისევ მამის სახლში მიიყვანდნენ. საქმროს დამწუნებელ ქალს დიდი ხანი არ დაანებდნენ თავს, შეიძლება არაერთხელ გაეტაცათ, რამდენჯერმე კაც-შუაკაცით და საკლავით შერიგება ეთხოვათ. თუ ქალი სხვა კაცის მიზეზით ინუნებდა საქმროს, უფრო არ მოუშვებდნენ და აღარ დაანებებდნენ თავს, ხოლო ქალის ოჯახს დაემუქრებოდნენ, რომ ქალს დაჭრიდნენ. ყველაფერს გააკეთებდნენ ქალის შესანარჩუნებლად. ქალი თუ რამდენჯერმე ჰყავდათ შინ ნაყვანილი, ქორწინი გადახდილი, ქალი უკვე მათ ეკუთვნოდა. ამის შემდეგ თუ ქალი მაინც ინუნებდა ქმარს, მაშინ ქმრის ნათესავები დღისით მივიდოდნენ ქალის სოფელში და მამის სახლს არ ჰქონდა უფლება ქალი არ გაეტანა მათთვის. ქალი თუ „თავგადადებით" იწუნებდა ქმარს, მას ამ დროს მოუწევდა ან მეზობლის სახლში თავის შეფარება, ან ტყეში დამალვა და სხვა. ქალის სოფელში მისული საქმროს ნათესავები მტრობით დაემუქრებოდნენ ქალის ოჯახს და ქალის გარეშე სოფლიდან არ წავიდოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ქალს შეეშინდებოდა და წაყვებოდა კიდეც, ხანდახან იმ პირობით, რომ ისევ გამოუშვებდნენ. ძველად ასეთ მწუნობარ ქალს შინ გამოუშვებდნენ მეორე დღესვე. ქალს ქმარი თვითონ გაყვებოდა შუა გზამდე და გაუშვებდა, მისთვის საკმაოდ მძიმე დაზიანების შესაძლო მიყენებით (მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხიტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/1, 41-43; 8/2, 44-47). მ. ბალიაურის ამ მონათხრობში კარგად ჩანს, თუ რა მიზეზით, რა ფორმით ხდებოდა ქალის მიერ საქმროს დანუნება და რა რეაქცია ექნებოდა ამაზე საქმროს და მის ნათესაობას.

2799 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, 1923-1924, 135; ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 114.

2800 ბედისკვერი არის პურის ფქვილისგან გამომცხვარი და ერბოთი გაპოხილი პატარა ხმიადი. ბედისკვერებს ყოველი ახალი წლის ღამეს აცხობენ და მათ შორის დანიშნულ „ზალს" – რძალს უგზავნიდნენ. ასევე რძლის ოჯახს უგზავნიდნენ გარკვეული რაოდენობის არაყს (ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 136-139).

2801 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/2, 48-49.

ს. მაკალათიას მიხედვით თუ ცოლმა ქმარი ჯვრისწერის შემდეგ დაიწუნა და მამის სახლში გაიქცა, მაშინ ქალის მშობლებმა სიძის ოჯახს ქორწილის ხარჯი უნდა აუნაზღაურონ და 16 ძროხა ჯარიმად გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შორის მტრობა ჩამოვარდება. შემდეგ ვინც ამ ქალს შეირთავდა ცოლად, მას უნდა აენაზღაურებინა ეს ჯარიმა და ხარჯი ქალის მშობლებისათვის.[2802] ქორწილით წაყვანილი ქალის მიერ ქმრის დაწუნების შემთხვევაში 16 ძროხა „სამწუნობროს" გადახდა დასტურდება მ. ბალიაურის მონაცემითაც. მისი განმარტებით, როდესაც ქმარს გადახდილი ჰქონდა ქორწილი და ქალის მხარეს არა, ამ შემთხვევაში, ქალის მშობლებს უნდა აენაზღაურებინა ქორწილის ხარჯი (დაკლული საკლავები და სხვა) ქმრის ოჯახისთვის. თუ ორივე მხარეს ჰქონდა ქორწილი გადახდილი, რადგანაც ორივეს ერთნაირი ხარჯი ჰქონდა გაწეული, ქალის მხარე მხოლოდ „სამწუნობროს" გადაიხდიდა. „სამწუნობროს" გარდა ქალის მშობლებს უნდა აენაზღაურებინა ქმრის მიერ ქალისთვის საჩუქრის სახით მიტანილი ტანსაცმელი, სამკაული და სხვა ნივთები[2803], როგორც ეს დანიშნული ქალის მიერ საქმროს დაწუნების შემთხვევაში ხდებოდა. ამდენად, ხევსურული რჯულით ქალის მიერ ქმრის დაწუნებისათვის გათვალისწინებულ სახდელს ერქვა – „სამწუნობრო". ს. მაკალათიას და მ. ბალიაურის დაზუსტებით, მისი გადახდა მოხდებოდა, თუ ქალი საქმროს/ქმარს ქორწილის შემდეგ დაიწუნებდა და არა ქალის დანიშვნის შემდეგ ნებისმიერ პერიოდში (მაგალითად, აკვანში, ბავშვობაში დანიშვნიდან დაწყებული, ქორწინებამდე). ცნობილია, რომ ხევსურეთში ქორწილის შემდეგ გარკვეული ხანი ქალი ისევ მამის სახლში ცხოვრობდა. ამ დროიდან ქალი ქმრის კუთვნილებას წარმოადგენდა და ამდენად, ქორწილის შემდეგ ქალის მამის სახლში ყოფნისას ქმრის დაწუნება ჩვეულებრივ იწვევდა „სამწუნობროს" გადახდას.[2804]

2802 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 177; აღნიშნულის დამადასტურებელ კონკრეტულ შემთხვევას ვხვდებით ბ. გოგოჭურის საარქივო მასალაში, რომლის თანახმადაც ხახმატელი ქალის – ნათია ალუდაურის მიერ, ბაცალოგოელი ვაჟის – ბაჭყურის დაწუნებისათვის, ქალის მხარემ ვაჟის მხარის მოთხოვნით მას 16 ძროხა „სამწუნობრო" გადაუხადა. შემდეგ ეს ქალი ცოლად მოიყვანა ბისოელმა კინწათ ტუჩამ და მან 16 ძროხა გადაუხადა ქალის მშობლებს, რომლებმაც ამ ოდენობის „სამწუნობრო" გადაიხადეს (ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეცეული: „პირველადი ჩანაწერები", 68). მ. ბალიაურის თანახმადაც, ქალის მშობლების მიერ „სამწუნობროს" გადახდის შემდეგ თუ ქალი სხვა მამაკაცზე გათხოვდებოდა, ამ უკანასკნელს უნდა მიეცა ქალის მშობლებისთვის „სამწუნობროს" ოდენობის ნახევარი მაინც, თუ მთელი ოდენობა არა. ოდენობა ქალის ღირსებებზე იყო დამოკიდებული. თუ ქალი კარგი იყო და მშობლებიც კარგი ჰყავდა, მაშინ გადაიხდიდა მამის მიერ გადახდილი „სამწუნობროს" სრულ ოდენობას, თუ არა და ნახევრის გადახდა სავალდებულო იყო. მამა იმასაც იტყოდა, რომ ვინც მის მიერ გაღებულ ხარჯს აუნაზღაურებდა, ქალსაც მას გაატანდა (მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 56). ქმრის დაწუნებისათვის 16 ძროხის გადახდას ნ. ხიზანაშვილთანაც ეხვდებით (იხ. ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., 36). რ. ერისთავის მიხედვით კი ამ შემთხვევაში გადასახადი 80 მანეთია (რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 81). 80 მანეთი კი იგივე 16 ძროხაა, რადგანაც ერთი ძროხა 5 მანეთს უდრიდა (იქვე, 93)

2803 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/2, 49-50.

2804 ტარიელ და იოსებ არაბულებმა ჩემთან საუბრისას არ დაადასტურეს რომ „სამწუნობროს" გადახდა მაინცდამაინც ქალის ქორწილით წაყვანასთან იყო დაკავშირებული. მათი თქმით, ამ სახდელის დაკისრება დანიშნული საცოლის მიერ საქმროს ქორწინებამდე დაწუნების შემთხვევაშიც შეიძლება მომხდარიყო. პეტრე გოგოჭურის თანახმად კი რასაც მ. ბალიაური წერს შესაძლოა არხოტში იყო მიღებული (მ. ბალიაური ხომ სწორედ არხოტის თემში მოქმედ ქორწინების წესებს განიხილავს). მისი განმარტებით, ქალის მხრიდან საქმროს დაწუნებას 16 წლამდე ადგილი არ ექნებოდა და ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა ქალი ქორწილით იყო წაყვანილი თუ არა, მისი მხარე საქმროს მხრის სასარგებლოდ „სამწუნობროს" გადაიხდიდა (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეცეული, ქ. ლუშეთი, 2016, 6-7,

ბ. გოგოჭურის მონაცემებით, „სამწუნობრო“ უდრიდა 8-დან 16 ხელით ძროხას.[2805] ალ. ოჩიაური აზუსტებს „სამწუნობროს“ ოდენობას. მისი განმარტებით, ქალი თუ ქმარს დაინუნებდა ძველად ქმარს უხდიდა თექვსმეტ ძროხას, შემდეგ დავიდა რვა ძროხამდე და ავტორის თანამედროვე პერიოდში ხდებოდა ხუთი ძროხის გადახდა. ზოგიერთი კი აღარაფერს აძლევდა, გააჩნია გადაკიდებას და მოპასუხეს.[2806]

ალ. ოჩიაურის ეს მონაცემი განსახილველი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შემცირების შესახებ, მიუთითებს, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, მეუღლის მიტოვება, როგორც დანაშაული, დროთა განმავლობაში თანდათანობით შედარებით მსუბუქ დანაშაულად აღქმის ტენდენციას ამჟღავნებს. როგორც ჩანს, მეუღლე (საქმრო/საცოლე) მიტოვებას ისე მძიმედ აღარ აღიქვამდა, როგორც ეს ძველად იყო. ამას მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ ალ. ოჩიაურის თანამედროვე პერიოდში შესაძლოა მეუღლის მიმტოვებელს საერთოდ აღარაფერი გადაეხადა, თუ მოპასუხის მხრიდან არ ექნებოდა ადგილი მძაფრ გადაკიდებას, მტრობას. მიუხედავად, ალ. ოჩიაურის მონაცემში გამოხატული ტენდენციისა, გამორიცხული არ იყო, ჩვეულებითი სამართლის ნაკლებრეგლამენტურობიდან გამომდინარე და „ალაგის“ წესის გათვალისწინებით, მითუმეტეს ვაჟის მხრიდან მტრობის, საპასუხო ქმედებების არსებითი საფრთხისას, „სამწუნობროს“ ოდენობა კონკრეტულ შემთხვევებში მაინც იმდენი ყოფილიყო, რაც ბ. გოგოჭურის, ს. მაკალათიას, მ. ბალიაურის და სხვათა მონაცემებში გვხვდება, კერძოდ, 8-16 ძროხა.[2807]

საერთოდ, ქალის მხრიდან ქმრის/საქმროს დაწუნება ხევსურეთში ბევრად მძიმე შედეგს იწვევდა, ვიდრე ვაჟის მიერ ცოლის/საცოლის დაწუნება. ქალის მიერ ქმრის/საქმროს დაწუნებას შეიძლება მოჰყოლოდა გარკვეული ძალადობრივი ქმედებები ქმრის მხრიდან.

ს. მაკალათიას განმარტებით, ძველ პერიოდში ქმრის დაწუნება ქალისათვის უაღრესად სამძიმო საქმე იყო და პატივმოყვარე ხევსური ცოლის გაქცევას დიდ შეურაცხყოფად თვლიდა, სამწუნობროს არ იღებდა და ქალის მშობლებს მტრობდა. ხშირი იყო ცოლის დასახიჩრებაც, კერძოდ, გაქცეულ ცოლს ქმარი ცხვირს მოჰკვეთდა ან ბერა თითს მოჭრიდა, რომ მას ხელსაქმე ვეღარ შესძლებოდა.[2808] ამ უკანასკნელი სასჯელის გამოყენება, როგორც წესი, მოღალატე ცოლის მიმართ ხდებოდა, მაგრამ ხევსურეთში მისი გამოყენება ცოლის მიერ ქმრის უნებართვოდ მიტოვებისთვისაც გვხვდება. აღნიშნულის დადასტურე-

13-14). ამ მონაცემების განსხვავება მ. ბალიაურის მონაცემისაგან ასევე შეიძლება ალაგის წესის მოქმედებით ავხსნათ.

2805 ბ. გოგოჭური, ხევსურეთის რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 137.

2806 ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 42; ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ქმარმა მისი დამწუნებელი ცოლისგან „სამწუნობროდ“ სწორედ ხუთი ძროხა მოითხოვა (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, 7/5, 54-55).

2807 პეტრე გოგოჭური ადასტურებს ბ. გოგოჭურის მონაცემს, რომ „სამწუნობრო“ 8-16 ძროხა იყო. მისი განმარტებით, თუ ქალი სხვა მამაკაცის გამო დაინუნებდა საქმროს/ქმარს, მაშინ „სამწუნობროს“ ოდენობა შესაძლოა 16 ძროხამდეც ასულიყო, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ დაწუნება იშვიათად ხდებოდა და მის მეხსიერებაში არც მომხდარა (გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016, 13-14). როგორც ჩანს, კონკრეტულ შემთხვევაში „სამწუნობროს“ ოდენობა 8-16 ძროხის ფარგლებში, როგორც ეს ბ. გოგოჭურთან გვხვდება, შესაძლოა დამოკიდებული ყოფილიყო იმაზე, ქალი სხვა მამაკაცის გამო დაინუნებდა ქმარს/საქმროს, თუ ამის გარეშე.

2808 ს. მაკალათია, იქვე, 177.

ბას ალ. ოჩიაურის მასალებშიც ვხვდებით. მას კონკრეტული ფაქტიც მოჰყავს, როდესაც ქმარმა მის მიმტოვებელ ცოლს ცხვირზე და ლოყაზე მიაყენა ჭრილობა. ამას ქალის ოჯახის მხრიდან მტრობა მოჰყვა, ბოლოს კი შერიგებით დასრულდა. მიყენებული ჭრილობა სამწუნობროში გაიბრა.[2809] მ. ბალიაურის მასალებითაც დაწუნებული ქმარი/საქმრო ხშირად იმ ზომამდე მიდიოდა, რომ ქალს დაჭრიდა (სახეზე, პირზე).[2810] ეს შეიძლება მომხდარიყო მაშინ, როდესაც ქმარი უამრავი ძალისხმევის მიუხედავად მაინც ვერ შეძლებდა მისი დამწუნებელი ცოლი დაეთანხმებინა მასთან ცხოვრებაზე და სახლში გაუშვებდა მას. დამახინჯებული ქალის ოჯახი საქმროს ოჯახს მტრად გადაეკიდებოდა. შესაძლოა შერიგება დაჭრის შემდეგაც მომხდარიყო და ქალი ისევ ამ ქმარს წაყვებოდა. თუ საქმროს გვარი ძლიერი, დიდი იყო, არა მარტო ქალს დასჭრიდნენ, არამედ ქალის ძმას, მამას, ახლო ნათესავს და იმასაც, ვისზეც ეჭვი ეპარებოდათ, რომ მისი გულისთვის იწუნებდა ქალი საქმროს.[2811] დამწუნებელი ცოლის/საცოლის დაჭრა-დასახიჩრება საქმროს/ქმარს სირცხვილს ჩამორეცხდა, რაც მას ამ დაწუნების გამო მიადგა. მ. ბალიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც არხოტში ჰქონდა ადგილი. ქმარმა ქორწილით ნაყვანილი ქალი მისი სოფლიდან თავისაში ძალით წაათრია და ცოლს ულტიმატუმი წაუყენა: ან ჩემთან დარჩი, ან დაგჭრიო. ქალმა მასთან დარჩენაზე მაინც უარი თქვა. მეორე დღეს ქმარმა ცოლი მამის სახლში წაიყვანა და შუა გზაში უთხრა: ჩემგან თავისუფალი და თავდანებებული ხარო, ქალი გაუშვია, ხოლო თვითონ შინ წასულა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ისევ უკან მობრუნებულა და დაუძახია: მოიცა სახლში ეგრა ვერ გაგიშვებ, „ლიშან უნდა გაგაყოლოო", ანუ სახეზე ნიშანი უნდა დაგადოო. ქალი მიმხვდარა, რომ მისი დაჭრა უნდოდა ვაჟს და ხელები გაუშვერია მისთვის და უთქვამს: მომჭერი ხელებიო. ამაზე ქმარს უთქვამს: ხელის მოჭრას რომ მთხოვ, მერე საქმეს რითი გააკეთებ, ხომ იცი ხელი როგორ არის დაფასებული ხევსურეთშიო. ამიტომ ქალისთვის შუბლზე მიუყენებია ჭრილობა და უთქვამს: არ მინდოდა შენი დაჭრა, მაგრამ ამის არ გაკეთება სირცხვილად ჩამეთვლებაო.[2812] ამ ავტორის მტიცებით, ქმარი/საქმრო დამწუნებელ ცოლს მხოლოდ სახეზე მიაყენებდა ჭრილობას: ცხვირზე, ლოყაზე, შუბლზე. ხელის თუ თითის დასახიჩრება კი არ ხდებოდა. ამას იმით ხსნის, რომ ხევსურეთში ქალის ხელის დასახიჩრებისათვის დიდი საზღაური იყო დაწესებული. როდესაც მამაკაცს მოკვეთდნენ ხელს, ან თითს, მისი ფასი განსაზღვრული იყო. ქალის ხელი კი დიდად ფასობდა. უფრო ხშირად ცხვირის დაჭრა იცოდნენ და არც თუ იშვიათად ლოყაზეც აყენებდნენ ჭრილობას ქალს. ჭრილობას გამოსაჩენ ადგილას აყენებდნენ, რომ ყველასთვის თვალხილული ყოფილიყო. ჭრილობის მისა-

2809 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, 7/5, 54-55.

2810 მ. ბალიაური დაწუნებული საქმროს მიერ საცოლის დასახიჩრების ასეთ კონკრეტულ ფაქტს აღწერს: სოფელ როშკაში მცხოვრებ აგუნდა წიკლაურს დაუწუნია ქმარი, სოფელ ბაკურხევიდან. საქმრო მისულა დამწუნებელი ცოლის სოფელში, დაუნახავს რომ იგი „სამრელოშია" და შესულა მასთან. ქალმა გაიგო რომ საქმრო იყო მოსული და მაშინვე ცხვირზე აიფარა შიშით ხელი. ქმარმა ცხვირზე მოქნეული დანა ლოყაზე გადაუსვა და მთელი ლოყა გადაუჭრა. ძალიან დიდი ჭრილობა მიაყენა, როგორც სიგრძით, ისე სიღრმით (მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 10/27, 312).

2811 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ. 8/1, 41-43; 8/2, 44-49.

2812 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/4, 156-157.

ყენებლად დანას ხმარობდნენ და ხანჯლით თუ სმლით დაჭრა არ ხდებოდა.[2813] მიუხედავად იმისა, რომ მ. ბალიაური გამორიცხავს ქმრის დამწუნებელი ცოლის ხელის დასახიჩრებას, მისივე მასალებშია აღწერილი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ქმარმა დამწუნებელ ცოლს სწორედ ხელი დაუსახიჩრა.[2814] როგორც ჩანს, ძირითადად, ქმრის დამწუნებელ ქალს სახის არეში ჭრიდნენ და თვალსაჩინო ნაიარევს ადებდნენ და ხელზე ჭრილობის მიყენებას ერიდებოდნენ, თუნდაც ქალის ხელისათვის გადიდებული სისხლის ფასის თავიდან ასარიდებლად, თუმცა ასეთ დროს ქალის ხელის თუ ხელის თითის დასახიჩრების ცალკეულ შემთხვევებს, როგორც ჩანს, ჰქონდა ადგილი. მ. ბალიაურის განმარტებითაც, ქმრის მიერ დამწუნებული ცოლის, ან მისი მამის, ძმის, ბიძის, ბიძაშვილის დაჭრის შემთხვევაში, ქალის ოჯახი ქმარს „სამწუნობროს“ აღარ გადაუხდიდა.[2815] ასე რომ, „სამწუნობროს" გადახდა და ამის საფუძველზე მხარეთა შერიგება მაშინ ხდებოდა, როდესაც ქალის დაჭრა-დასახიჩრების და მხარეებს შორის მტრობის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.

ქალის დაჭრა-დასახიჩრების გარდა დაწუნებული ქმრის ძალადობრივი მოქმედება ცოლის მიმართ შეიძლება გამოხატულიყო მის მიერ ქალის მისი სოფლიდან, თავის სოფელში ძალით წათრევაში. როდესაც ქმარს დანიშნული ქალი ქორწილით ჰყავდა წაყვანილი, მისი წართმევის უფლება არავის ჰქონდა. როდესაც ქმარი მიათრევდა დამწუნებელ ცოლს, მისი სოფლიდან თავის სოფლისკენ და თან ცემდა, შეიძლება ქალის ძმებს და მამას ამის ნება არ მიეცა, მაგრამ ხალხი ეტყოდა: რა თქვენი საქმეა, იმის ცოლია, მაგას ცოლის დაწუნების გამო სირცხვილი ედება, ყველა ასე მოიქცეოდაო და საჩხუბრად მომართულ ქალის ნათესავებს სოფელი არ გაუშვებდა.[2816] მ. ბალიაურს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს: არხოტელ ქალს დაუწუნია ქმარი, რომელსაც იგი ქორწილით ჰყავდა წაყვანილი. ვაჟის მთელი სოფელი ჩასულა ქალის სოფელში, დღისით ქალის ძალით წაყვანის მიზნით. ქალს პატარა ძმები ჰყოლია, მამა კი მოხუცი და წინააღმდეგობის გამწევი არავინ ყოფილა. ქალს მოგვარეები აღარ აქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც მას რამდენიმე ქმარი გამოუცვლია და გვარს საქვეყნოდ გამოუცხადებია, რომ მის ბედს არ მოიკითხავდნენ. ქალს არც დამხმარეები ჰყავდა და რაკი ქორწილით იყო წაყვანილი ქმარს ეკუთვნოდა და ქმრეულებს მისიᲩ ძალით წათრევის უფლება ჰქონდათ და მისი დამხმარე მაინც ვერავინ იქნებოდა. ქალს ჯერ ხანჯლით თავის მოკვლა გადაუწყვეტია, თუმცა ხანჯალი ხელიდან წაურთმევიათ. შემდეგ ქმრეულებისთვის უთხოვია თავის დანებება, რადგანაც ამ ქმართან მაინც არ გაჩერდებოდა, ან თავს მოიკლავდა. მიუხედავად ამისა ქალი ქმრეულებს ძალით წაუყვანიათ.[2817]

ამდენად, ცოლის მიერ ქმრის დაწუნებას და უნებართვოდ მიტოვებას მოჰყვებოდა ქალისათვის ხელ-ფეხის გახაიბრება, ცხვირის მოჭრა, სახის დაჭრა,

2813 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/4, 151-152.

2814 იქვე, 153.

2815 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 56-57.

2816 იქვე, 51-52.

2817 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/4, 155-156.

დამახინჯება და სხვა.[2818] ამ შემთხვევაში, როგორც გამოჩნდა, სამწუნობროს გადახდა აღარ უნდა მომხდარიყო. მოხდებოდა დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული სასჯელის გაბრა „სამწუნობროში." ზიანისთვის, რასაც ქმარი/საქმრო, მის დამწუნებელ ცოლს მიაყენებდა, იგი პასუხს აგებდა. დამასახიჩრებელ სასჯელს ასეთ შემთხვევაში, როგორც ს. მაკალათიასთან გამოჩნდა, მის თანამედროვე პერიოდში აღარ ჰქონდა ადგილი. საერთოდ, როგორც მ. ბალიაური აღნიშნავს, ქალის დაჭრა-დასახიჩრება მისი ოჯახისათვის ძალზედ შეურაცხმყოფელი იყო და ქალს თუ კარგი ძმები, მამა ჰყავდა, რომლებსაც ადვილად ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა, მაშინ ქალის ქმარიც ისე ვერ გამოეკიდებოდა ქალს, რომ ის ძალით ეთრია და ძალად წაეყვანა ცოლად. ქმარი ისეთ ქალს დაჭრიდა ადვილად და ძალითაც წაათრევდა, თუ მოხუცი მამა ყავდა, ან დაჩაგრული, ძმები კი პატარები. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ქალს ბიძაშვილები უპატრონებდნენ და არ მისცემდნენ საშუალებას ქალის ძალით წაყვანის, ცემის, ან დაჭრის.[2819] ამდენად, დამწუნებელ ცოლზე ქმრის ძალადობის ხარისხს ბევრნილად ქალის ოჯახის სიმრავლე და სიძლიერე განაპირობებდა. თუ ქალის მხარე უარს იტყოდა „სამწუნობროს" გადახდაზე, ამას შესაძლოა ყოფილ მძახლებს შორის მტრობა მოჰყოლოდა – დაჭრა-დასახიჩრება, მკვლელობა. ასეთ შემთხვევაში დაჭრა-დასახიჩრებისა და მკვლელობის სისხლი არ იკარგებოდა და ვალად ედებოდა შურისმაძიებელ ვაჟის მხარეს.[2820]

ხევსურეთის ანალოგიურად თუშეთშიც ფიქსირდება ცოლის მიერ ქმრის მიტოვების შემთხვევაში (არა მარტო ღალატისას) ქმრის მიერ ცოლის დასახიჩრება.[2821]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი) ჩეულებითი სამართლის მიხედვით ცალსახად ჩანს, რომ მეუღლის უმიზეზოდ, არასათანადო მიზეზით მიტოვება დანაშაულს წარმოადგენდა და მას მტრობა, ან განსაზღვრული გადასახადის გადახდა მოჰყვებოდა ე. წ. „სამწუნობროს" სახით. მოტანილი მასალების მიხედვით, ამ კუთხეებში ცოლის გაშვების სათანადო მიზეზად ძირითადად ითვლებოდა ცოლის ღალატი (ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა ცოლის გაშვების რაიმე სხვა მიზეზიც მიჩნეულიყო საპატიოდ). სხვა, არასათანადო (უმნიშვნელო) მიზეზით ცოლის გაშვებისას ქმარს გადასახადის გადახდა უწევდა, რომლის ოდენობაც დროთა განმავლობაში თანდათანობით შემცირდა.

ხევსურეთში შესაძლებელი იყო ცოლის გაშვების გარეშე მეორე ცოლის მოყვანაც, თუ პირველი ცოლი უშვილო, მხოლოდ გოგოების გამჩენი, ან სნეული იყო. ეს პირველი ცოლის ოჯახის შეურაცხყოფად და დამცირებად ითვლებოდა და ამიტომ მეორე ცოლის მომყვან სიძეს მათთვის 5 ძროხა უნდა გადაეხადა.[2822] ამ გადასახადს „სამეორცოლე", „სამეორედო" ერქვა, ხოლო მისი გადახდა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე ცოლის მოყვანის მიზეზით შეურაცხყო-

2818 ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 6/7, 75.

2819 მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 57.

2820 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 141.

2821 . И. Цискаров, Замстки о Тушстии, «Кавказ», 1849, №11.

2822 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 44; მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 114.

ფილი პირველი ცოლი ქმარს გაეყრებოდა და მამის სახლში წავიდოდა, თან მას ერთი წელი მაინც უნდა ჰქონოდა ნაცხოვრები ქმრის სახლში. „სამეორადოსთან" ერთად ქმარი ქალს „ნამაშვრალსაც" მისცემდა.[2823].ამ შემთხვევაში პირველი ცოლი მიიღებდა ყველაფერ იმას, რაც განქორწინების შემდეგ მამის სახლში დაბრუნებულ ცოლს ზოგადად ერგებოდა.

სვანეთში ასევე იკრძალებოდა მამაკაცის მიერ დანიშნული თუ ჯვარდაწერილი ცოლის მიტოვება, ასევე, ქალის მიერ ქმრის თუ საქმროს მიტოვება. ასეთი ქმედება დანაშაულად ითვლებოდა და მას ერქვა – „ცვარობ". მკვლელობის შემდეგ ეს ყველაზე დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა და ამ სირცხვილის დასაფარად დამნაშავის მოკვლა, დაჭრა უნდა მომხდარიყო. თუ საქმე შერიგებით დასრულდებოდა, მაშინ დამნაშავეს დაზარალებულისათვის ნახევარი წორის ოდენობის გადასახადი უნდა გადაეხადა. ამ გადასახადს „ნაცვრიერი" ეწოდებოდა.[2824] თუ ქალი თავისი ნებით მიატოვებდა ქმარს თუ საქმროს, ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, პასუხს შეურაცხყოფისათვის მის ძმებსა და მამას მოსთხოვდნენ. ქალის სხვა მამაკაცის მიერ მოტაცების შემთხვევაში მათ რიგს ისიც მიემატებოდა და შესაძლოა ქმრის მსხვერპლიც გამხდარიყო. თუკი მამაკაცი გაისტუმრებდა ცოლს თუ საცოლეს, აიძულებდა მას სახლიდან წასულიყო, მაშინ მას მოეთხოვებოდა პასუხი ქალის ძმისა და მამისაგან.[2825] მხარეთა შერიგებას მოციქულები და ბოლოს მორვარები ახდენდნენ.[2826] თუ განქორწინება ქალის და კაცის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო, მაშინ „ნაცვრიერის" გადახდა არ ხდებოდა.[2827]

ბალსზემო სვანეთის მსგავსად „ცვარობ" მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ბალსქვემო სვანეთშიც. ამ საკითხზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ა. დავითიანი. აქაც ქალის მიტოვება და მისი მამის სახლში დაბრუნება მშვიდობიანად არ სრულდებოდა. ქალს მიტოვებულის („მეცვრე") სახელი გაუვრცელდებოდა და მისი ოჯახის წევრები დამნაშავეს სამაგიეროს გადაუხდიდნენ. ქალის ჭირისუფლები აქაც პირველ რიგში ქალის მიმტოვებელს დევნიდნენ, მაგრამ თუ მას რაიმე ნაკლი ჰქონდა, მაშინ „მასზე ხელს არ გაისვრიდნენ" და ქალის რომელიმე ამაყი ჭირისუფალი სამაგიეროს გადაუხდიდა პირველ რიგში იმას, ვინც ქალს ყველაზე მეტს ავიწროებდა და ოჯახში ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. თუ ასეთი ქალი იყო, სვანური წესით მოხდებოდა მისთვის ნაწნავის მოჭრა, სახეზე ჭრილობის მიყენება, ხელის გახმობა და მისთანა, ხოლო თუ თოფის გამოყენება აუცილებელი იქნებოდა, მიტოვებული ქალის ჭირისუფალი მიმტოვე-

2823 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 116-117; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 117, 118. ბ. გოგოჭურის ცნობით, მეორე ცოლის მოყვანა შესაძლოა პირველი ცოლის ინიციატივითაც მომხდარიყო, როდესაც მას შვილები არ ჰყავდა, ან მხოლოდ ქალიშვილებს აჩენდა, ან რაიმე სნეულების გამო ოჯახს სათანადოდ ვეღარ უძღვებოდა, თუმცა შესაძლოა ქმარს მეორე ცოლი პირველ ცოლთან გაყრამდე, მისი ნების საწინააღმდეგოდ მოეყვანა. ამ დროს შეურაცხყოფილი ცოლი თვითონ გაეყრებოდა ქმარს და დაბრუნდებოდა მამის სახლში, მიუხედავად იმისა, ჰყავდა მას შვილები თუ არა (იქვე).

2824 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111; ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1963, 111; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 42–43, 46, 47; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 74; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 23.

2825 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1963, 111; რ, ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 64;

2826 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 52-53.

2827 იქვე, 56.

ბელ ქმარს (უნაკლოს) ან მიტოვებაში დამნაშავე კაცს თოფით დაჭრიდა ბარძაყებში. შერიგების მიღწევას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა, ამიტომ მანამდე რამე იშვიათად არ მოხდებოდა. ქალის ჭირისუფალი ქალი ან კაცი თუ სადმე ხელსაყრელ დროს იხელთებდა, ყოველთვის შეეცდებოდა ევნო შეურაცხმყოფელი ოჯახისათვის. ამისათვის ქალი და კაცი ყველა მზად იყო და არავის დაზოგავდა. მამაკაცები მამაკაცების წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ, დედაკაცები დედაკაცების. ქალის მიმტოვებელმა ოჯახმა იცოდა ეს და ან თავს არიდებდა ან კიდეე თვითონაც მზად იყო შემომტევს დახვედროდა. ბალსქვემო სვანეთშიც მეუღლის მიტოვება ნახევარ წორად (600 მანეთად) იყო შეფასებული. თუ ქალის ჭირისუფალი დამნაშავე მამაკაცს თოფით დაჭრიდა, ესეც ნახევარი წორი ღირდა და ამდენად ცოლის მიტოვება როგორც დანაშაული ამით გაიქვითებოდა. შესაძლოა, შურისძიებით მიყენებული ზიანი ნახევარ წორზე ნაკლები, ან მეტი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მედიატორები ერთ-ერთ მხარეს შესაბამის გადასახადს დააკისრებდნენ და ამით ერთმანეთისათვის მიყენებულ ზიანს გაათანაბრებდნენ. მედიატორები ამ დროს ითვალისწინებდნენ ყოველგვარ ზიანს, რომელსაც ქალის ჭირისუფლები მიაყენებდნენ დამნაშავეს თუ მის ახლობლებს, მაგალითად, დამნაშავის ოჯახის რომელიმე წევრის დასისხლიანებას, ქალის მიერ მოწინააღმდეგე ქალზე ხელის ტაცებით შერცხვენას, სერიოზულ გალანძღვას და ყველაფერ სხვას, რაც ბალსქვემო სვანეთში რაიმე ღირებულებად ფასდებოდა. მედიატორები ქალის მიტოვების გარდა მისთვის მიყენებულ სხვა ზიანსაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ.[2828]

ცოლის მიტოვებისას შესატყვისი შურისგების გარეშე შერიგებაზე დათანხმების გამო დაზარალებულ მხარეს სირცხვილის გრძნობა რომ არ დარჩენოდა, დამნაშავე მხარე ტოლობის ფიცს დებდა. დამნაშავის ოჯახის მამაკაცები დაიფიცებდნენ, რომ მათი ასული ამგვარადვე რომ მიეტოვა დაზარალებულის ოჯახს, თვითონაც შეურიგდებოდნენ იმავე პირობებით, რა პირობებითაც დაზარალებული ურიგდებოდა მათ.[2829] ა. დავითიანის თანახმად, შედარებით მძიმე შედეგი მოყვებოდა ქალის მიერ ქმრის მიტოვებას. ამ შემთხვევაში შეურაცხყოფილი ქმარი მხოლოდ დაჭრას არ დასჯერდებოდა და საქმე შესაძლოა მკვლელობამდეც მისულიყო. შერიგების შემთხვევაში კი „ნაცვრიერის" ოდენობა იგივე ნახევარი წორი იყო.[2830]

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მოიპოვება კონკრეტული ცნობები, როდესაც „ცვაროობს" შურისძიება და მკვლელობა მოჰყოლია. რ. ხარაძეს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორე მოკლა დის მიტოვების გამო. მოკლულის ცოლი ამ დროს ორსულად ყოფილა. მას დაებადა ვაჟიშვილი და როდესაც გამხდარა ოცი წლის მოუკლავს თავისი მამის მკვლელი.[2831] ძალზედ საინტერესო შემთხვევას მოგვითხრობს მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი მესტიიდან ქიშვარდ ჯაფარიძე. მის მიხედვით, ნიკოლოზ II-ის მმართველობის დროს მის მამას მთაში ჩხუბი მოსვლია ვინმე გრიგოლ გულედანთან, რომელსაც უკნიდან მიპარვით მოუკლავს მისი მამა. მორვებს მკვლელისთვის დაუკის-

2828 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულიად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 83, 85.

2829 იქვე, 86.

2830 იქვე, 87.

2831 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 98.

რებიათ ორმაგი წორი – 30 ნალჯომი მიწა და 50 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ორმაგი წორი განპირობებული იყო მოკლულის გვარით). პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ინფორმატორის ძმას მოუკლავს ვლადიმერ გულბანი და ტყეში გასულა ყაჩაღად. მორვარების გადაწყვეტილებით კი ინფორმატორს ერთი წორი დაუბრუნებია გულბანებისთვის. ამის შემდეგ გრიგოლ გულბანს სახლიდან გაუგდია თავისი ცოლი შვილებთან ერთად. მისი ცოლი კი ინფორმატორის დეიდა იყო. ასეთი მოქმედებისათვის ინფორმატორის ძმას სურდა მოეკლა გრიგოლ გულბანი, თოფიც ესროლა მას, მაგრამ მოულოდნელად აეფარა წინ მიხეილ ჯაფარიძე, მას მოხვდა ტყვია და მოკლა. ინფორმატორის ძმა შემდეგ მთავრობამ მოკლა. გავიდა სამი წელი და გრიგოლ ჯაფარიძე თვითონ ინფორმატრის მსხვერპლი შეიქმნა. ბოლოს მხარეები მორვარებმა შეარიგეს. ინფორმატორის განმარტებით, მათ შეეძლოთ „ნაცვრიერი" აეღოთ, ნახევარი წორის ოდენობით, მაგრამ ეს არ ისურვეს და ცოლის მიმტოვებელი მოკლეს.[2832] აქ კარგად ჩანს, რომ ერთ-ერთი მკვლელობა სწორედ ცოლის მიტოვების გამო მოხდა. ინფორმატორის მითითებით მან ეს მკვლელობა სრულიად შეგნებულად ჩაიდინა, რადგანაც მისი დეიდის მიტოვება ქმრის მიერ მძიმე შეურაცხყოფად ჩათვალა. მან „ნაცვრიერის" აღებას ნახევარი წორის ოდენობით, მკვლელობის ჩადენა არჩია. ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ყოფილმა საქმრომ მისი მიმტოვებელი ფეხმძიმე ქალიც მოკლა და მისი ქმარიც ისისხლა (ეს ამბავი 1937 წელს მოხდა). ამისათვის მან სასჯელი ციმბირში მოიხადა.[2833] ეს მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ „ცვარობ" შესაძლოა გამხდარიყო მკვლელობის მიზეზი. შემთხვევითი არაა, რომ რ. ხარაძის თანახმად, ცოლის მიერ ქმრის და ქმრის მიერ ცოლის მიტოვება სვანეთში მკვლელობის ხშირი მიზეზი იყო.[2834] დ. დავითულიანის მიხედვით კი, სვანეთში შურისძიების, მკვლელობის გამომწვევი მიზეზების უმრავლესობა, მორვართა სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, „ცვარობთან" იყრის თავს.[2835]

დ. დავითულიანი განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ნაცვრიერის ოდენობასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ქალის მიერ მამაკაცის მიტოვება უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებიდა, ვიდრე პირიქით. ქმრის მიტოვებისათვის დამნაშავეს უნდა გადაეხადა ნახევარი წორი, ხოლო ქმარს ცოლის მიტოვებისათვის 1/3 წორი.[2836] აღსანიშნავია, რომ სხვა არცერთი მონაცემით „ნაცვრიერის" ოდენობა დიფერენცირებული არ არის იმისდა მიხედვით, ქმარი იხდის მას, თუ ცოლი. მაგალითად, ალი დავითიანი ცალსახად მიუთითებს, რომ მედიატორები ქმრის დატოვებას ცოლის დატოვების თანაბრად აღიარებდნენ და ამ დანაშაულისათვის გადასახადი ნახევარი წორი იყო.[2837] მეუღლის მიტოვებისათვის

2832 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 1968, 31-34.

2833 ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 2015, 169; ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 310-311.

2834 რ, ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 25.

2835 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 185.

2836 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 186. მისივე ცნობით: „ცვარობის" გამო დადგენილი ქონებრივი კომპოზიცია, როგორც წესი, მიწის ზომებით იყო მოწესრიგებული. „ნაცვრიერე ნალჯომ" წორის 1/3-ზე ცოტა მეტს უდრიდა. მაგ., „წორა ნაჯჯელეშ" უდრიდა ერთ ქცევა მიწას, ხოლო „ნაცვრიერე" 2,5 ნალჯომი – ერთ ასეთ ქცევა მიწას. დაახლოებით სვანური „ნაცვრიერის" ღირებულება 10-13 ხარს შეადგენდა (დ. დავითულიანი, იქვე).

2837 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 85-86.

ქმრისა და ცოლის მიერ განსხვავებული გადასახადის გადახდას არც მ. კეკელიას მასალებში ეხვდებით. მისი ინფორმატორების უმრავლესობა მიუთითებს „ნაცვრიერის“ ოდენობად ნახევარ წორს.[2838] აქედან გამომდინარე დ. დავითულიანის მონაცემი უზუსტოდ გვეჩვენება.

აღსანიშნავია, რომ ინფორმატორთა განმარტებით სვანეთში „წორი“ მხოლოდ მკვლელობასთან, დაჭრასთან და „ნაცვრიელთან“ დაკავშირებით იხსენიება.[2839] მ. კეკელიას ინფორმატორები „ცვარობისათვის“ გადასახადს ნალჯომებსა და ფულად თანხაში გამოხატული სახითაც ასახელებენ. მაგალითად, 5-6 ნალჯომი, 9 ნალჯომი, 45 000 მანეთი (ე. წ. ძველი კურსით)[2840] აღნიშნული ოდენობები იმ თემებში საიდანაც ინფორმატორები არიან, დაახლოებით ნახევარი წორის ფარგლებშია.

შესაძლებელია ქმრის მიერ ცოლის მიტოვების საპასუხოდ ცოლს ქმრის სახლი გადაეწვა. ინფორმატორის განმარტებით ამის გაკეთება მხოლოდ ცოლს შეეძლო.[2841] ცოლის ეს ქმედება გაქვითავდა ქმრის მიერ ცოლის მიტოვებისათვის დაწესებულ გადასახადს და ქმარს ნახევარი წორის გადახდა ცოლის მიტოვებისათვის აღარ მოუხდებოდა. ა. დავითიანის მიხედვით, მიტოვებული ცოლი ამას მაშინ ჩაიდენდა, როდესაც ჭირისუფალი, ახლობელი არავინ ჰყავდა (რაც სვანეთში იშვიათობა იყო), რომელიც დამნაშავე ქმარს სამაგიეროს მიუზღვავდა და თვითონ მოუწევდა ამ მისიის საკუთარ თავზე აღება.[2842] მ. კეკელიას ერთ-ერთ ინფორმატორს მის ოჯახში მომხდარი შესაბამისი შემთხვევა მოჰყავს. ინფორმატორის ვაჟს მეუღლისგან ოთხი შვილი ჰყოლია, თუმცა ქალი მენინგიტით დაავადებულა და ქმართან სქესობრივი კავშირი შეუწყვეტია. ამის გამო მის ვაჟს მეორე ცოლი მოუყვანია. ამით განაწყენებულ პირველ ცოლს მთლიანად დაუწვია მათი სახლი. მორვართა გადაწყვეტილებით, ინფორმატორის ოჯახს ქალისათვის „ნაცვრიერის“ სახით უნდა მიეცა 45 000 მანეთი (ე. წ. ძველი კურსით), მაგრამ რაკი რძლის მიერ მათი სახლის გადაწვა ასევე 45 000 მანეთად შეფასდა, ანგარიშები გაიქვითა.[2843] ამ შემთხვევაში მეორე ცოლის მოყვანა პირველის მიტოვებად ჩაითვალა.[2844] ეს მაგალითი თვალნათლივ გვიჩვე-

2838 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 11, 42, 53; რვეული №4, 74; რვეული №6, 1968, 93.

2839 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 11; №3, 1968, 46.

2840 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 11, 11-12; №3, 1968, 55.

2841 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 10;

2842 ა. დავითიანი, დასახ. ნაშრ., 83.

2843 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 54-55.

2844 სვანეთში ძალზედ იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ქმარს პირველი ცოლის გვერდით მეორე მოჰყავდა. ეს დასაშვებად ითვლებოდა მაშინ, როდესაც პირველი ცოლისგან მამაკაცს არ ყავდა შვილი, ან ეყოლებოდა მხოლოდ ქალიშვილები და თან ეს უნდა მომხდარიყო პირველი ცოლის და მისი მშობლების ნებართვით (ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 111). საკარაუდოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ცოლის ასეთი რექაცია გამოიწვია იმან, რომ მეორე ცოლის მოყვანა მოხდა პირველის თანხმობის გარეშე და არა იმ მიზეზით, რისთვისაც სვანეთში დასაშვები იყო მეორე ცოლის მოყვანა. მომხდარა შემთხვევები, როდესაც უშვილო ცოლი თავდაპირველად თანახმა იყო ქმარს მეორე ცოლი მოეყვანა, თუმცა შემდეგ, დროთა განმავლობაში აზრი ეცვლებოდა. ამ დროს იგი გარეგნულად ეგუებოდა მეორე ცოლის არსებობას, თვითონ კი ცდილობდა, რომ იგი არ დაფეხმძიმებულიყო, ანუ ვერ შეესრულებინა ის მისია, რისთვისაც იქნა მოყვანილი. სვანები თვლიდნენ, რომ ზოგიერთ ქალს შეეძლო ქალის შვილიერების უნარის დროებით შეჩერება, ან სამუდამოდ მოშლა. მეორე ცოლის უშვილობის გამო თუ ეჭვს პირველ ცოლზე მიი-

ნებს, რომ მიტოვებული ცოლის მიერ ქმრის სახლის გადაწვისათვის საზღაური „ნაცვრიერთან" იქვითებოდა.

ქმრის მიერ მიტოვებული ცოლი „ნაცვრიერის" გარდა უკან დაიბრუნებდა მზითევს და შესაძლოა ქონების გარკვეული წილიც მიეღო. ბავშვები კი წესისამებრ მამასთან რჩებოდნენ, მხოლოდ ძუძუმწოვარა ბავშვი შეიძლება დარჩენილიყო დედასთან, რაც იშვიათად ხდებოდა. ქალს თუ პირადი ქონება არ ჰქონდა, მის ნაცვლად „ნაცვრიერს" მისი მამა ან ძმები გადაიხდიდნენ.[2845]

მეუღლის მიტოვება სვანეთშიც მაშინ ითვლებოდა დანაშაულად, თუ ეს ტყუილ-უბრალოდ, უმიზეზოდ თუ ნაკლებმნიშვნელოვანი, არასათანადო მიზეზით ხდებოდა. „ნაცვრიერის" გადახდას ამ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი. სხვადასხვა ავტორი თუ სვანი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს ამ გარემოებას.[2846] მორვები საქმის განხილვისას ყოველთვის იღებდნენ მხედველობაში თუ რა მიზეზებმა განაპირობა მეუღლის მიტოვება ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ.[2847] ღალატის გამო ცოლის გაგდების შემთხვევაში ქმარი „ნაცვრიერს" არ გადაიხდიდა.[2848] ინფორმატორების მითითებით, თუ ქმარი ცოლს საყვარელთან წაუსწრებდა ქალი უხმოდ დატოვებდა მეუღლის სახლს, ისე რომ ვერაფერს წაიღებდა, მზითვის ჩათვლით.[2849] იგივე შედეგი მოჰყვებოდა ქალის მიერ ქურდობის თუ სხვა მძიმე საქციელის ჩადენას.[2850]

ცოლის უმიზეზოდ გაშვების შემთხვევაში ქმარს ცხადია „ნაცვრიერის" გადახდა მოუწევდა. ა. დავითიანის მიხედვით, ზოგჯერ ოჯახი თუ ქმარი თვითონ აუკვიატდებოდა ქალს, უმიზეზოდ რამეს დააბრალებდა მას, მის სახელს შეურაცხყოფდა და აიძულებდა ოჯახიდან წასულიყო.[2851] ასეთი ქმედება ცოლის უმიზეზოდ მიტოვებად შეფასდებოდა. სვანური სამართალი ცოლის უმიზეზოდ მიტოვებას კი მკაცრად სჯიდა. სვანეთში ცოლის გაშვების საპატიო მიზეზად არ ითვლებოდა ცოლის ბუნებით თანდაყოლილი ნაკლოვანებები, ფიზიკური ნაკლი, კრეტინიზმი და სხვა, რაც მას ბავშვობიდან მოსდევდა, ასევე ქალის ხასიათი, ხელსაქმის ცოდნა. ეს ფაქტორები ქალის მთხოვნელს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა, მითუმეტეს ქალის თხოვნა ტრადიციულად საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში სრულიად შესაძლებელი იყო ქალის სხვადასხვა საშუალებით შესწავლა.[2852] როდესაც ქალს ქმრის და მისი ოჯახის წევრებისაგან აუტანელი პირობები ჰქონდა შექმნილი, ცემის, დამცი-

ტანდნენ, მას ფიცით და თანამოფიცრებით უნდა ემართლა თავი. თუ ქალი თავს ვერ გაიმართლებდა, ეს შეიძლება სისხლისღვრითაც კი დამთავრებულიყო (ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, ა. დ. 16/6, 553).

2845 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 44, 47, 52-53, 53-54,

2846 იხ. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთების სვანეთში, თბ., 1939, 64; ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 83; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 11; №3, 1968, 10; 53, №5, 1968-1969, 23.

2847 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 43, 47.

2848 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 56.

2849 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 12; №5, 1968-1969, 85.

2850 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 43-44, 46.

2851 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 83.

2852 იქვე, 84.

რების, ან სხვა მიზეზის გამო, რაც მას არ აძლევდა საშუალებას ერთ ჭერქვეშ ეცხოვრა მათთან, მაშინ დაზარალებული მხარე მთელ „ნაცვრიერს“ მოითხოვდა.[2853]

„ნაცვრიერის“ საკითხის გადაწყვეტისას მედიატორებს შესაძლოა გარკვეული გარემოებები მიეღოთ მხედველობაში და შესაბამისად „ნაცვრიერის“ ოდენობა მეტ-ნაკლებად შეემცირებინათ. ქალის მიერ ქმრის მიტოვების შემთხვევაში „ნაცვრიერის“ განსაზღვრისას შემამსუბუქებელ გარემოებად სვანი ინფორმატორის განმარტებით ითვლებოდა ქმრის აუტანელი ხასიათი, ლოთობა, ცოლშვილისათვის ჩაცმა-დახურვისა და კვების არასათანადო უზრუნველყოფა და ცვედანობა. ძირითადად მორვებმაც იცოდნენ ხოლმე ქმრის ზემოთაღნიშნული ბუნება, გარდა ცვედანობისა. როდესაც ქალი ცვედანობის ბრალდებას წაუყენებდა ქმარს და ამით ხსნიდა მის მიტოვებას, ამის დასამტკიცებლად მას უნდა დაეფიცა თავის ნათესავებთან – მამა-ძმებთან და ბიძაშვილებთან ერთად, რომელთა რაოდენობა 6-12 კაცი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ქალის თანამოფიცართა დასახელება არ ხდებოდა და ისინი თვითონ, თავისი ნებით იღებდნენ მონაწილეობას დაფიცების ცერემონიალში. თუ ქალი ფიცით დაამტკიცებდა თავის სიმართლეს, მას ქმარი მოუბოდიშებდა, მისცემდა საჩუქარს, თან გაატანდა მზითვს და გაუშვებდა მამის სახლში. თუ ქალს ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა, მაშინ ქმრის ცვედანობა უფრო რთულად დასამტკიცებელი იყო. ამ დროს ქალს უნდა დაეფიცა 12 თანამოფიცართან ერთად, რომლებსაც ქმარი პერსონალურად დაასახელებდა.[2854]

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვადასხვა გარემოებები შეიძლება გაეთვალისწინებინათ მორვარებს ქმრის მიერ ცოლის მიტოვების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშიც. მ. კეკელიას ინფორმატორი იხსენებს მის მიერ ცოლის გაშვებას უშვილობის მიზეზით ცხრაწლიანი თანაცხოვრების შემდეგ. წესისამებრ ეს საქმე მედიატორებმა განიხილეს და ქმარს დააკისრეს ორი ნალჯომი მიწის გადახდა.[2855] ამ გადასახადის გადახდა ქმარს მოუწია ცოლის მიტოვების გამო, თუმცა ორი ნალჯომი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულ „ნაცვრიერად“, ანუ ნახევარ წორად. სავარაუდოდ, მედიატორებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ქმარმა ცოლი უშვილობის გამო მიატოვა და ეს ფაქტორი არსებით შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნიეს და ცოლის მიმტოვებელ ქმარს მხოლოდ ორი ნალჯომი მიწის გადახდა დააკისრეს და არა ნახევარი წორის.

ამრიგად, მეუღლის მიტოვება როგორც დანაშაული, სახეზე იყო მხოლოდ მაშინ, თუ ეს მოხდებოდა სათანადო მიზეზის გარეშე. ჩვენს მიერ მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს, რომ სვანური ჩვეულებითი სამართალი მეუღლის მიტოვების სათანადო მიზეზად თვლიდა ცოლის ღალატს, ქმრის ცვედანობას, რაც სათანადო წესით უნდა დამტკიცებულიყო, ასევე, ცოლის თუ ქმრის სხვა მძიმე ქცევას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა მეუღლის მიტოვების საპატიო მიზეზად მიეჩნიათ. ამ შემთხვევებში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მეუღლის მიმტოვებელი „ნაცვრიერის“ გადახდისაგან

2853 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 43, 52.

2854 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1967-1968, 88-89; №3, 1968, 43.

2855 იქვე, 70.

თავისუფლდებოდა. ასევე არსებობდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. ასეთად მაგალითად კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე გამოიკვეთა ქალის უშვილობა, ასევე, ქმრის მძიმე ხასიათი, ლოთობა და სხვა. ამ დროს გადასახადის ოდენობა მეტ-ნაკლებად მცირდებოდა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

„ცვარობ" დ. დავითულიანის მიხედვით, სვანეთში უპირველეს ყოვლისა მძიმე შეურაცხყოფას წარმოადგენდა, როგორც მიტოვებული ოჯახისათვის, ისე მისი გვარისათვის. დამნაშავე სწორედ იმიტომ აგებდა პასუხს ამ დანაშაულისათვის, რომ ეს ქმედება შეურაცხყოფა იყო და სხვა არაფერი. დ. დავითულიანი მიიჩნევს, რომ სვანეთში ამ თვალსაზრისით ძველი ქართული სამართლისაგან განსხვავებული მიდგომა ვლინდება. ძველი ქართული სამართალი სჯიდა მეუღლის უმიზეზოდ მიმტოვებელს იმიტომ, რომ ეს ქმედება ოჯახის ერთობის, მისი სიმტკიცის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად მოქმედებდა მშობლებზე, შვილებზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოზეც. სვანური სამართლისთვის კი ამ დანაშაულის სოციალური ფაქტორები ნაკლებმნიშვნელოვანი იყო და მისთვის პასხისმგებლობა იმიტომ დგებოდა, რომ იგი შეურაცხყოფას წარმოადგენდა.[2856] ჩვენი აზრით, ეს მართებული დამოკიდებულებაა აღნიშნული დანაშაულის მიმართ და იგივე შესაძლებლად მიგვაჩნია გავავრცელოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზეც. აქაც მეუღლის უმიზეზოდ მიტოვება უპირველეს ყოვლისა შეურაცხყოფად აღიქმებოდა და ამიტომ იწვევდა შესაბამის მძაფრ რეაქციას. ეს დამოკიდებულება კი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ძველად ქორწინებისას ახალგაზრდების აზრს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა და განმსაზღვრელი აქ ოჯახის, მთელი გვარის ნება-სურვილი იყო. სწორედ ამ ფაქტორის გამოვლინება უნდა იყოს, რომ განსახილველი დანაშაული მძიმე შეურაცხყოფად აღიქმებოდა.[2857]

ცოლის/საცოლის მიერ ქმრის/საქმროს დაწუნება და შემდეგ მიტოვება ხშირად ხდებოდა სხვა კაცის გამო, რაც უმეტესად მის მიერ ქალის მოტაცებით მთავრდებოდა. როდესაც დანიშნულ/გათხოვილ ქალს მისივე ნებით სხვა მამაკაცი მოიტაცებდა, ეს საქმროს/ქმრის დაწუნების ნიადაგზე ხდებოდა და საკუთარი ნებით სხვა მამაკაცს გაყოლა ფაქტიურად ქმრის/საქმროს მიტოვებას წარმოადგენდა, რაც ქალის მოტაცების მსგავსად დანაშაულად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში ქალის მიერ ქმრის/საქმროს მიტოვება და მისი მოტაცება სხვა კაცის მიერ ერთიან აქტს წარმოადგენდა. აქედან გამომადინარე, ქალის მიერ ქმრის/საქმროს მიტოვება და სხვისი დანიშნულის/ცოლის მოტაცება არა იძულებით, არამედ ქალის ნებით, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ფაქტიურად ერთ კონტექსტში განიხილებოდა. აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ქმრის/საქმროს მიტოვებისათვის, როგორც დანაშაულისათვის და სხვისი ცოლის თუ საცოლის მოტაცებისათვის, როგორც დანაშაულისათვის, პასუხისმგებლობა ცალ-ცალკე არ დგებოდა. მიტოვებული საქმრო/ქმარი ამ დროს სასიკვდილოდ დევნიდა მისი ცოლის/საცოლის მომტაცებელს, ხოლო თუ საქმე შერიგებაზე მიდგებოდა, დამნაშავეს დაეკისრებოდა მხოლოდ ერთი გადასახადის გადახდა და არა ცალკე ქალს ქმრის/საქმროს მიტოვებისათვის და

2856 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 184-185.

2857 იქვე, 185.

ცალკე მამაკაცს სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცებისათვის.

ჩვენი ვარაუდით, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ეს შემთხვევა უპირატესად განიხილებოდა როგორც სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცება და არა როგორც ქალის მიერ საქმროს/ქმრის მიტოვება. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ დაზარალებული ამ დროს უპირველეს ყოვლისა დევნიდა და მოსაკლავად დასდევდა მისი საცოლის/ცოლის მომტაცებელს და მის ახლობლებს, ხოლო შერიგებისას გადასახადის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მომტაცებელ მამაკაცს. ამდენად, დამნაშავედ ასეთ შემთხვევაში სწორედ ის განიხილებოდა. მის მიერ დანაშაულის ჩადენა კი, ცხადია, გამოიხატებოდა სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცებაში და არა ქმრის/საქმროს მიტოვებაში. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ როდესაც ქმრის/საქმროს მიტოვება და სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცება ერთობლივად იყო სახეზე, დაზარალებული საქმროს/ქმრის მხრიდან ეს უპირველეს ყოვლისა აღიქმებოდა როგორც მოტაცება, რადგანაც დაზარალებულის რისხვა და პასუხისმგებლობის ტვირთი ქალის მომტაცებელზე მიემართებოდა, ხოლო ქალის მიერ ქმრის/საქმროს მიტოვება ამ შემთხვევაში მეორე პლანზე გადადიოდა. ამის გამო ცოლის/საცოლის მოტაცებას ჩვენ ცალკე განვიხილავთ ქალის მოტაცების, როგორც დანაშაულის განხილვისას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ქმრის/საქმროს მიტოვებას სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცება ერთობლივად ხდებოდა, ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით და მეუღლის მიტოვება, ცხადია, სხვადასხვა დანაშაული იყო და ამიტომ მათ ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ. მეუღლის მიტოვება როგორც დანაშაული გულისხმობდა ქმრის/საქმროს მიერ ცოლის/საცოლის უმიზეზოდ მიტოვებასაც, ხოლო საქმროს/ქმრის მიმტოვებელი ცოლი შესაძლოა არც გამხდარიყო სხვა მამაკაცის მოტაცების ობიექტი და იგი მამის სახლში დაბრუნებულიყო. ამ შემთხვევებში, ცხადია, მეუღლის მიტოვება სრულიად დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედებად აღიქმებოდა. ამ დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენდა ცოლის/საცოლის თუ ქმრის/საქმროს მიმტოვებელი ქალი, ან მამაკაცი, ხოლო მიტოვებული წარმოადგენდა დაზარალებულს. დანაშაული სწორედ მიტოვებული ქმრის/საქმროს, ცოლის/საცოლეს, მისი ოჯახის წევრების პატივსა და ღირსებას ლახავდა.

2015 წელს ჩაწერილ მასალებში ჩანს, რომ თანამედროვე სვან ინფორმატორებს საკმაოდ კარგად ახსოვთ ის სამართლებრივი შედეგი, რაც მოჰყვებოდა ქმრის/საქმროს და ცოლის/საცოლის მიტოვებას. თანამედროვე პირობებში კი აღნიშნულ ქმედებას სვანური ჩვეულებითი სამართალი ასევე დანაშაულად აღიქვამს, მას შესაძლოა დაპირისპირება მოჰყვეს, აქედან გამომდინარე შედეგებით, თუმცა წორის გადახდა ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით ამ დანაშაულისათვის აღარ ხდება. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, შერიგების ის მექანიზმი გამოიყენება, რაც სხვა დანაშაულებისას (მაგალითად, ტოლობის ფიცი).[2858]

საცოლის მიტოვება მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სამეგრელოშიც. აქაც ქალის დანიშვნის შემდეგ, იგი ფაქტიურად დამნიშნავის საკუთრებად ითვლებოდა, თუმცა თუ ვაჟი დანიშნულს მიატოვებდა ეს დიდი უსიამოვნებით დას-

2858 ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 118.

რულდებოდა და შესაძლოა სისხლისღვრაც მომხდარიყო. ეს იმით აიხსნება, რომ ნიშნობა ნახევრად ქორწინებას უდრიდა და ერთხელ დანიშნულ და თავგანებებულ ქალს ახალი საქმროს მოძებნა ძალზედ გაუჭირდებოდა. მხოლოდ თუ საქორწინო ღამეს აღმოჩნდებოდა რომ ქალი „ტახილი" იყო (ქალიშვილი არ ყოფილა) ქორწინება დასრულდებოდა, რადგანაც ქალის უხრწნელობა ქორწინების აუცილებელი პირობა იყო. ასეთ შემთხვევაში ქმარი ვალდებული იყო მოეშორა გახრწნილი ქალი და პატრონისთვის დაებრუნებინა. ასევე, ცხადია, ქმარს სრული უფლება ჰქონდა გაეშვა მოღალატე ცოლი.[2859]

4. ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით

ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით საქართველოში, განსაკუთრებით მთის რეგიონებში საკმაოდ გავრცელებულ და ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე, როგორც დანაშაული, პასუხისმგებლობას იწვევდა.

ალ. ყამარაული ხევსურეთთან დაკავშირებით მიუთითებს რომ, მის თანამედროვე ხევსურეთში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) ჩვეულებად შემორჩენილა ქალის მოტაცება – ვაჟი თავის მეგობრებით თავს ესხმის ქალს და იტაცებს მას. ამას მოჰყვება თოფის სროლა, ჩხუბი და აყალმაყალი, ზოგჯერ საქმე მკვლელობითაც მთავრდება. ქალის გატაცების ჩვეულება ამ ბოლო დროს თანდათან ისპობა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ქალის სოფელში მის მოსატაცებლად მისული ვაჟი ქალის „სამრელოში" ყოფნასაც კი არაფრად ჩააგდებდა და იქიდანაც კი გაიტაცებდა მას. ქალი ხმის ამოუღებლად მიჰყვებოდა გამტაცებელს, რადგანაც ხმაური რომ აეტეხა, მისი ნათესავები და სოფლელები იარაღით შეებრძოლებოდნენ თავზეხელაღებულ სასიძოს და შეიძლება სისხლიც დაღვრილიყო.[2860] ხშირად მოტაცება ხდებოდა ქალის და მისი მშობლების თანხმობით, ქალის პატივის დასადებად.[2861]

ხევსურული მონაცემებით გვხვდება დანიშნული ქალის მოტაცება საქმროს მიერ, როდესაც ქალი თავის საქმროს იწუნებდა, თავისუფალი ქალის მოტაცება დაუნიშნავი ვაჟის მიერ და ქვრივის მოტაცება, რომელიც გარდაცვლილი ქმრის ოჯახმა მამის სახლში დააბრუნა.[2862] ქალის მოტაცების იგივე შემთხვევები ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. ზოგიერთ კუთხეში ქვრივი ქალის ყოფილი ქმრის ოჯახიდან მოტაცების შემთხვევებიც გვხვდება.

ხევსურეთში (კერძოდ, არხოტის თემში) ქალის ცოლად მოყვანის მიზნით მოტაცების შესახებ საკმაოდ სრულყოფილ მონაცემებს ვხვდებით მ. ბალიაურთან. მის მიხედვით, საქმროს მიერ დამწუნებელი ცოლის მოტაცების გარდა თავისუფალი ქალის მოტაცება ხევსურეთში განპირობებული იყო იმით, რომ

2859 თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912, პირადი არქივი, 39, 74, 76.

2860 ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 66.

2861 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 169.

2862 ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1987, თბ., 1990, 77.

ვაჟს არ სურდა საქმის გაჭიანურება, რაც დაკავშირებული იყო ქალის ოჯახში კაც-შუაკაცის გაგზავნასთან, ქალის მშობლების დაყოლიებასთან და მათ მიერ „ლიშნის დაჭერასთან". ამ ხნის განმავლობაში ქალი შესაძლოა სხვას მოეტაცა. მ. ბალიაური ასე აღწერს ქალის მოტაცების პერიპეტიებს: ქალის მოტაცებას ვაჟის ძმა-ბიძაშვილები ახორციელებდნენ (თვითონ საქმრო მიდიოდა მოსატაცებლად, როდესაც საიმედო ახლო ბიძაშვილები არ ჰყავდა). მოსატაცებლად მიდიოდნენ ღამე, ხალხს რომ არ გაეგო. მომტაცებლები ქალის სოფელში ერთ სანდო კაცს გაანდობდნენ თავის განზრახვას და სთხოვდნენ ხელი შეეწყო მათთვის. ეს კაცი გაიგებდა ქალი სად იყო, თან მომტაცებლებს დაარიგებდა, თუ რა ხერხით შეიძლებოდა მოტაცება. ხშირად ქალებს იტაცებდნენ „სამრეწლოობის" დროს (მენსტრუალური ციკლის დროს ქალები ცალკე ქოხში მიდიოდნენ), რადგან ამ დროს ქალი სოფლის განაპირას იყო და ქალის მშობლები და სოფლელები ასე იოლად ვერ გაიგებდნენ მის მოტაცებას. დამხმარე კაცი ისე მოაწყობდა საქმეს, რომ ქალი ადვილად მოეტაცათ. ქალს შეიძლება სცოდნოდა რომ იტაცებდნენ და შეიძლება არა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიფრთხილე იყო საჭირო, განსაკუთრებით ქმრის დამწუნებელი ქალის მოტაცებისას. ასეთი ქალი ძალიან ფრთხილობდა, რომ დაწუნებული საქმროს ძმა-ბიძაშვილებს არ მოეტაცათ, მარტო არ ივლიდა, ღამე მარტო არ დარჩებოდა. მოტაცების დროს ქალი ხმას არ ამოიღებდა, რაც არ უნდა წინააღმდეგი ყოფილიყო, რადგანაც მის ყვირილზე შესაძლოა მთელი სოფელი ფეხზე დამდგარიყო და ყველაფერს გააკეთებდა, რომ ქალი არ გაეტანა და სირცხვილისგან თავი დაეღწია. ქალის მომტაცებლები, ცხადია, წინააღმდეგობას გაუწევდნენ, რადგან დიდი სირცხვილი იყო მომტაცებლებისათვის ქალის წართმევა. ამიტომ მხარეები ერთმანეთს არაფერს დაუთმობდნენ და გამწარებულები ებრძოდნენ ერთმანეთს, რასაც, ცხადია, შესაძლოა დაჭრა-დასახიჩრება, ან მკვლელობა მოჰყოლოდა. ქალს გაცნობიერებული ჰქონდა, თუ მის მიერ ხმის გაღებას რა შედეგი მოჰყვებოდა და ამიტომ იგი ჩუმად იბრძოლებდა, იწევდა, ცდილობდა ხელიდან გასხლტომას, ჩუმად ლანძღავდა, კბენდა მომტაცებლებს. სოფელში მიყვანილი მოტაცებული ქალი თუ საქმროს დამწუნებელი იყო, ის მანდილს არ დაიხურავდა და ყველაფერს გააკეთებდა წასასვლელად, გასაქცევად. ამიტომ მომტაცებლის ოჯახი ქალს ასეთ შემთხვევაში ღამეც კი ყარაულობდა. თუ მოტაცებული ქალი მომტაცებლის მიერ იყო დანიშნული და მას იწუნებდა, ამ შემთხვევაში ვაჟი შეეცდებოდა ქალთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი მის დასაორსულებლად. ასეთ შემთხვევაში ქალის დაორსულება სირცხვილი არ იყო. თუ გატაცებული ქალი არ იყო გამტაცებელზე დანიშნული, მაშინ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება დიდი სირცხვილად ითვლებოდა და ფაქტიურად არც ხდებოდა. ქალი თუ საქმროს დამწუნებელი არ იყო, საქმროს ოჯახში თავდახრილი იქცეოდა, თავზე მანდილს დაიხურავდა, უფროს ქალებს და მამაკაცებს ხათრით მოექცეოდა.[2863]

გვიანდელ პერიოდამდე შემორჩა ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით სვანურ სინამდვილეშიც. ქალის თხოვნაზე ხანგრძლივი უარი შესაძლოა გამხდარიყო მისი მოტაცების მიზეზი. მოტაცებულ ქალს მომტაცებელს უსისხლოდ ვერავინ წაართმევდა. გათხოვებისთვის მომწიფებული ქალის მშო-

2863 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, 8/1, 14-28.

ბლები მას მოტაცების შიშით ოჯახიდან შორს არ უშვებდნენ. ეს მოტაცების მსურველმაც იცოდა და ამიტომ მოხერხებულად იმოქმედებდა. ქალს შეუჩენდნენ სხვა ქალებს და შეეცდებოდნენ სათანადო დროს მის გამოყვანას. როდესაც ქალები გაიყვანდნენ, ოთხი-ხუთი მამაკაცი მას იტაცებდა. ყოველდღიური ცდა როდესღაც მიზანს აღწევდა. მომტაცებლები შეიარაღებულები იყვნენ და წესის მიხედვით ქალისთვის ხელი პირველად საქმროს უნდა მოეკიდა. ამით დასტურდებოდა, რომ ხელშეხებული მისი საცოლე იყო. ამის შემდეგ მომტაცებლები ყველა ზომას მიიღებდნენ ქალის წასაყვანად, რომ ქალის ნათესავ მამაკაცებს არ მოესწროთ. თუ ქალი წინააღმდეგობას გაუწევდა, მას ხელში აიყვანდნენ და ისე წაიყვანდნენ. თუ ქალს ვერც ამით მოუხერხებდნენ რამეს, მაშინ საქმროს რომელიმე ახლო ნათესავი ქალს ხანჯლის წვერს შეახებდა და დაკაწრავდა სიცოცხლისათვის უსაფრთხო ადგილებში. ამით მომტაცებლები ქალს დააშოშმინებდნენ. ქალის მოტაცება სვანეთში ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა. ქალის ოჯახის დასამშვიდებლად ხალხი მივიდოდა. ასევე ულოცავდნენ კიდეც. სვანეთში ითვლებოდა, რომ მოტაცებისას ოჯახი ოჯახს არაფრით არცხვენდა, არც შეურაცხყოფას აყენებდა, პირიქით, ოჯახისათვის სასახელოც კი იყო ისეთი ქალიშვილის ყოლა, რომელსაც სხვა ოჯახი თავგამოდებით გამოუდგებოდა რძლად მოსაყვანად.[2864]

ქალის მოტაცება ხევსურეთში, სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც ეს ჩვეულება შემორჩა საკვლევ პერიოდში, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით დანაშაულად ითვლებოდა და შესაბამის პასუხისმგებლობას იწვევდა. ა. დავითიანი აღნიშნავს, რომ მაგალითად, სვანეთში რაც მთავრობა არსებულა ყველას უცდია ქალის მოტაცების ჩვეულების აღკვეთა, მაგრამ ვერ მიუღწევია ამ მიზნისთვის. რუსეთის მეფის მთავრობაც საკმაოდ აქტიურად იბრძოდა ქალის მოტაცების აღსაკვეთად: მოძალადე მამაკაცებს იჭერდნენ და პასუხისგებაში აძლევდნენ. სვანები ამ წესს არ შეურიგდნენ და ამჯობინებდნენ საქმეს მთავრობამდე არ მიეღწია და ხევს შიგნით მოგვარებულიყო სვანური წესით. თუ რომელიმე ქალი მთავრობას მიმართავდა შესაბამისი საჩივრით, სოფელი შეუჩნდებოდა და საჩივარზე უარს ათქმევინებდნენ. რუსულმა მთავრობამ ვერ მოსპო სვანეთში ქალის გატაცების ჩვეულება. სვანები რასაც შეჩვეულნი იყვნენ, არ დათმეს.[2865]

საქართველოს სხვა კუთხეებშიც ქალის მოტაცება დაახლოებით ისევე ხდებოდა, როგორც ხევსურეთსა და სვანეთში.

4. 1. ქალის მოტაცების, როგორც დანაშაულის ზოგადი დახასიათება და პასუხისმგებლობა მისთვის საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული უკანონო ქორწინება ფაქტიურად ყოველთვის ქალის გატაცების შედეგი იყო. უკანონო ქორწინება ჩვენ განვიხილეთ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგით. ამჯერად, ქალის გატაცებას ცოლად მოყვანის მიზნით ასევე განვიხილავთ როგორც დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედებას. ამისათვის უპრიანი იქნება განვიხილოთ ქალის გატაცება ცოლად მოყვანის მიზნით იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც არ არის დაკავში-

2864 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ. 16/8, 559-564.

2865 იქვე, 577-578.

რებული უკანონო ქორწინებასთან. ამ შემთხვევაში უკეთ გამოიკვეთება ამ დანაშაულის სამართლებრივი ბუნება და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგი.

უკანონო ქორწინებისას, დაზარალებული მხარის – ქალის ოჯახის, ნათესაობის რეაქცია უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო უკანონო ქორწინების და არა ქალის მოტაცების ფაქტით. მათთვის, ისე როგორც საზოგადოებისათვის უფრო მიუღებელი, აღმაშფოთებელი იყო მოგვარის, ნათესავის შერთვა და უკანონო ქორწინება, როგორც დანაშაული, ფაქტიურად გადაფარავდა ხოლმე ქალის მოტაცებას.

ქალის მოტაცებაში ვგულისხმობთ ქალის როგორც ძალით გატაცებას, ისე მის ნებაყოფლობით გაყოლას გამტაცებლისადმი. ქალის წაყვანა, თუნდაც მისი სურვილით, მშობლების თანხმობის გარეშე, მათი ნების საწინააღმდეგოდ, გატაცებად ითვლებოდა. ეს გარემოება კარგად ჩანს ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა მონაცემის მიხედვით. მაგალითად, ხევსურეთში ნ. ხიზანაშვილის თანახმად, ქალის მოტაცება ნებისმიერ შემთხვევაში დანაშაულია და შერიგებას მოითხოვს.[2866] მაშინაც კი, როდესაც გატაცება ქალის თანხმობით ხდებოდა და ქალ-ვაჟს შორის ქორწინების არანაირი დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა, თუ ეს მშობლების დაუკითხავად მოხდებოდა, მათი ნების საწინააღმდეგოდ, მშობელი შვილს არ აპატიებდა და შესაძლოა გარკვეული ფორმით დაესაჯა კიდეც. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალებში ამისათვის მაძახურობით მოკვეთას ვხვდებით. მისი მონაცემების მიხედვით, თუ ისე მწვავედ არ იდგა საკითხი, რომ ძაღლით მოკვეთა მომხდარიყო, მამა ან ბიძა ბანზე მაძახურობას იტყოდა და შვილს, თუ ძმიშვილს „მოიშორებდა". გარკვეული ხანი იგი მოკვეთილი იქნებოდა, თუმცა რაღაც დროის შემდეგ კაც-შუაკაცის მეშვეობით შერიგება მოხდებოდა.[2867]

თუშეთში კი ალ. ხახანაშვილის თანახმად, თუ ქალის გატაცება მისი ნებით ხდებოდა, მაშინ დამნაშავე მამაკაცს ქალის მშობლებისთვის უნდა მიეყვანა ძროხა და ცხვარი. თუ მოტაცება ქალის ნების საწინააღმდეგოდ მოხდებოდა, მაშინ მამაკაცს ქალის მშობლებისათვის უნდა მიეყვანა რვა ძროხა.[2868] სტ. მენთეშაშვილის მიხედვით კი თუ ქალი ნებაყოფლობით გაყვებოდა ვაჟს, ამ უკანასკნელს უნდა მიეტანა ქალის მშობლებისათვის ერთი ქვაბი ლუდი, ერთი საკლავი და 15 გირვანქა ყველი თავისი პურით, ჩაფი არაყი და 50 მანეთი ფული. თუ ძალით მოტაცება მოხდებოდა, ეს ყველაფერი მეტი რაოდენობით გადახდებოდა მას, ხოლო ფული 150 მანეთი.[2869] ეს მონაცემები ადასტურებს, რომ ქალის ნებაყოფლობითი გაყოლა ვაჟისადმი მშობლების უკითხავად გატაცებად აღიქმებოდა და ისევე ითვლებოდა დანაშაულად, როგორც ქალის ძალით გატაცება. როგორც გამოჩნდა, ორივე შემთხვევაში ქალის გამტაცებელი ვაჟისთვის აუცილებელი იყო ქალის მშობლებთან შერიგება გარკვეული გადასახადის გადახდით. ქალის ძალით გატაცება, ცხადია, უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა, რაც გადასახადის გაზრდილ ოდენობაში გამოიხატებოდა. ამ ორ მონაცემში

2866 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1940, 36.

2867 ალ. ოჩიაური, არხოტო, ახიელის ძველი სოფლები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, №2, თბ., 1990, 178.

2868 ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „ივერია", 1886, №185.

2869 სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები II, 1937, პირადი არქივი, ხელნაწერი, 171.

მოტანილი გადასახადის განსხვავებული ოდენობები, სავარაუდოდ, მათი სხვადასხვა პერიოდში დაფიქსირებით უნდა იყოს განპირობებული, თუმცა ორივეგან გამოკვეთილია საერთო ტენდენცია – ძალით გატაცებისას აუცილებელი გადასახადის ოდენობა არსებითად აღემატებოდა ქალის ნებაყოფლობით გაყოლის შემთხვევაში დაწესებულ საზღაურს.

ქალის ნებაყოფლობით გაყოლისას დაზარალებული მხარის შედარებით მსუბუქი რეაქცია სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად, აჭარაში ჩაწერილი მონაცემის თანახმად, ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთ ხელისუფლებისათვის მოუთხოვიათ ქალის გამტაცებლის გათავისუფლება სწორედ იმ მოტივით, რომ ძალით გატაცებას ადგილი არ ჰქონია და ქალი ნებაყოფლობით გაჰყვა ვაჟს.[2870]

მასალების მიხედვით, აჭარაში ქალის გატაცებას ხშირად მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც ქალის ოჯახი სასიძოს სიღარიბის გამო იწუნებდა.[2871] აქაც გვხვდება მხარეთა შერიგებისას გარკვეული საზღაურის გადახდა. მაგალითად, მაჭახლის ხეობაში დაფიქსირებულ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები მას შემდეგ შერიგდნენ რაც ქალის მხარემ გარკვეული თანხა მიიღო.[2872] სავარაუდოდ, გადასახადის ოდენობა ამ შემთხვევისათვის წინასწარ განსაზღვრული არ იყო და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდებოდა. შერიგება ქალის გატაცებისას შესაძლოა ქონებრივი საზღაურის გადახდის გარეშეც მომხდარიყო. მაგალითად, აჭარაში არის დაფიქსირებული ძალზედ საინტერესო შემთხვევა, როდესაც შუახევის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ქალის მოტაცება შერიგებით დასრულდა. შერიგების ნიშნად და მის განსამტკიცებლად მძახლებმა თავიანთი ვაჟებისათვის ქალიშვილები გაცვალეს, კერძოდ, ვაჟს დაუტოვეს მოტაცებული ქალი, ხოლო მომტაცებლის და მის ცოლისძმას გააყოლეს.[2873] შერიგების ასეთი ფორმა აჭარაში იყო შესაძლებელი, მუსლიმ მოსახლეობაში მოქმედი ქორწინების წესებიდან გამომდინარე.

სამეგრელოშიც ქალის გატაცება ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა ქალის მშობლები წინააღმდეგი იყვნენ ქალი მთხოვნელზე გაეთხოვათ. შერიგებისას ქალის წამყვანს მის მშობლებთან მიჰქონდა ხარი, ან ძროხა, ბლომად ღვინო და პური, ტანისამოსი და გაიმართებოდა შესარიგებელი სადილი და მტრობა მოყვრობაში გადაიზრდებოდა.[2874]

ქალის გატაცების გამო გარკვეული საზღაურის გადახდა ქალის მშობლებისადმი ხდებოდა მაშინ, როდესაც საქმე შერიგებამდე მივიდოდა. მანამდე კი ქალის გატაცებას, ძალით თუ ქალის ნებით, შესაძლოა საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყოლოდა ქალის ოჯახის წევრების, მისი ნათესავების მხრიდან. ეს რეაქცია მოტაცების მომენტიდან ვლინდებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო გამტაცებლისადმი მდევრის დადევნება. მაგალითად, ფშაური მასალებით მდევარი აუცილებლად დაარბევდა მომტაცებლის ოჯახს: შევარდებოდნენ სახლში, დასამტვრევს ამტვრევდნენ, საჭმელს აფუჭებდნენ და აოხრებდნენ, საქონელს

2870 იხ. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი P–4 64, ანაწერი №1, საქმე №7, ფ. 45.

2871 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 36; ე. იმნაიშვილი ისტორიული მასალები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №69, ბათუმი, 1946, 47, 62-63.

2872 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 43.

2873 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 91-92.

2874 თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912, პირადი არქივი, 48.

გაიყვანდნენ და ყელს გამოჭრიდნენ. მამაკაცები მიიმალებოდნენ და მდევარს დედაკაცები ებრძოდნენ, მაგრამ ვერას ხდებოდნენ. ძველად ამის თავიდან არიდების ერთადერთი საშუალება იყო მომტაცებლის სახლის კარებთან მდევრებისათვის ხარისა და ცხვრის მიგებება უფროსი კაცის მიერ. იგი მდევრებს ლაშარის ჯვრის სახელით პატიებას თხოვდა. მხოლოდ ლაშარის ჯვრის პატივსაცემად ხარ-ცხვრის მიგებების შემდეგ მდევრებს გამტაცებლის სახლის დარბევა ეკრძალებოდათ, შურისძიება და მკვლელობა აღარ უნდა ჩაედინათ. ამის შემდეგ დაიწყებოდა მოლაპარაკება შერიგებაზე. იმ შემთხვევაში თუ შერიგება მოხდებოდა, მდევარი ხარს საპატარძლოს აჩუქებდა, ცხვარს კი იქვე დაკლავდნენ და შეჭამდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხარი და ცხვარი მდევრებს დარჩებოდა. ამასთანავე, სასიძოს მდევრებისათვის ფულად „საჯარე" უნდა მიეცა. ასევე მომტაცებელს ქალის მშობლებისათვის ერთი წლის განმავლობაში „პატივი" უნდა მიეტანა, რომ მათთან შერიგებულიყო. პატივის აუღებლობა თემში სირცხვილად ითვლებიდა და ასეთ მშობლებს სოფელი დაძრახავდა. პატივის რაოდენობა ქალის მშობლებზე იყო დამოკიდებული. ზოგი ამ საუპატიო ჯარიმაში ფულსაც იღებდა და საქონელსაც. პატივის მიტანამდე ქალის მშობლები ქალ-სიძეს არ შეირიგებენ, ქალის ძმები და ბიძაშვილები სასიძოს მუქარას შეუთვლიდნენ და ბოლოს შესაძლოა შურიც ეძიათ. ამის გარდა მშობლები ქალს სათავნოსა და ტანისამოს-სამკაულსაც დაუკავებდნენ და ოჯახიდან არაფერს მისცემდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ქალ-სიძე შეწუხდებოდა და ქალის მშობლებს საუპატიო ჯარიმას გადაუხდიდნენ, შემდეგ ძღვენით მივიდოდნენ მათთან და ქალის მშობლების ოჯახში გაიმართებოდა წვეულება.[2875] ს. მაკალათიას ამ მონაცემში კარგად ჩანს, თუ რა უძღვოდა წინ საბოლოო შერიგებას. ქალის გატაცებას შესაძლოა მოჰყოლოდა ოჯახის დარბევა გამტაცებლის მდევრების მიერ, შურისძიება ვაჟის მიმართ ქალის ძმა-ბიძაშვილების მხრიდან. შერიგებისათვის კი აუცილებელი იყო ვაჟის მხრიდან გარკვეული ხარჯის გაღება, კერძოდ, მდევრებისაგან ოჯახის დარბევის თავიდან ასაცილებლად მათთვის ხარ-ცხვრის დახვედრება, ასევე მდევრებისათვის ე. წ. „საჯარეს" ფულადი სახით გადახდა, ხოლო ქალის მშობლებისათვის „პატივის" მიტანა, რასაც როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახე შეიძლება ჰქონოდა. გამტაცებლისათვის აქ აღწერილი მდევრის გაყოლა ძალიან გავს ხევსურეთში მოკლულის გვარის ლაშქრობას მკვლელის სოფელში, მისი ოჯახის დასარბევად და სახლის დასაწვავად. ამის თავიდან ასაცილებლად კი სოფლის თავკაცები საკლავით უნდა დახვედროდნენ მათ, როგორც აქ უფროსი კაცი ხარ-ცხვარით ლაშარის ჯვრის პატივსაცემად.

ფშავში ქალის მოტაცებისათვის მდევრების მიერ დამნაშავის ოჯახის დარბევა გვხვდება XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალაშიც. დ. ჯალაბაძეს მოჰყავს ხანდაზმული ფშაველის ნაამბობი: „ქალს რომ მოიტაცებდნენ, მიუხტებოდნენ მომტაცებელს, დაუკლავდნენ ხარს, ცხვარ-ძროხას და ამით იძიებდნენ შურს, ხოლო მომტაცებელი და მისი ოჯახი კი იმალებოდა. შეიძლებოდა ქალიც ნამოეყვანათ უკან, თუ ის დათანხმდებოდა. ბიჭური ბადრიშვილი (შუაფხოს ხევისბერი) გვიყვებოდა, რომ მას ქალი შეურთავს მოტაცებით და – რადგანაც ეს ქალი მე არ მეკუთვნოდა, ამიტომ ქალის ნათესავები მომიხტნენ და დამარბიესო – სა-

2875 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1984, 137-138.

ქონელი დაგვიხოცეს და წავიდნენო, ქალი უკანვე წამართვესო."[2876] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქალის მომტაცებლის დარბევა ქალის ნათესავების მხრიდან XX საუკუნეშიც ფშავში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ამ დანაშაულისათვის სამართლებრივი რეაგირების აქ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა.

ქალის მომტაცებლის დარბევას მდევრების მიერ ადგილი უნდა ჰქონოდა ხევსურეთშიც. აქ მდევრისათვის მომტაცებლის ოჯახს სახლის კარებთან საკლავი უნდა დაეხვედრებინა, რის შემდეგაც ქალის ოჯახი იშვიათად არ დათანხმდებოდა შერიგებას. შერიგება ამით არ სრულდებოდა. ვაჟს ქალის მამის გვარის ხატში საკლავი უნდა დაეკლა, ე. წ. „საგვარო." მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი გვარებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება. თუ ქალი გათხოვების წინააღმდეგი იყო, უფლება ჰქონდა უკან გაჰყოლოდა მდევრებს და მის ნებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.[2877]

ქალის გატაცებისას მხარეთა შერიგების თავისებური წესის აღწერას ვხვდებით ნ. ხიზანაშვილის მონაცემებში. ავტორის მიხედვით, ხევსურეთში მოტაცებული ქალის ნათესავების მხრიდან მომტაცებლის ოჯახზე მიხდომის, მისი დარბევის გარკვეული სიმბოლური გამოხატულება იყო მათი ე. წ. „ბანზე შეხტომა". „ბანზე შეხტომა" მხარეების შერიგებით უნდა დასრულებულიყო. „ბანზე შეხტომის" უფლება ჰქონდა მოტაცებული ქალის ძმას, ბიძაშვილს. მამისათვის ამის გაკეთება კი სირცხვილი იყო. ბანზე შემხტარნი მომტაცებლის სახლის ბანს თავს არ დაანებებდნენ სანამ დამნაშავის ოჯახი მათ არ შეურიგდებოდა ამისათვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდით. შერიგებისათვის დამნაშავეს უნდა დაეკლა საკლავი, ხოლო ბანზე მჯდომიარეებისათვის უნდა მიეცა სამჩარექიანი ქვაბი და წლის, ან ორი წლის კურატი. ამის შემდეგ „ბანზედ შემხტარნი" ჩამოვიდოდნენ ბანიდან და შერიგებაც ამით თავდებოდა. თუ დამნაშავის ოჯახი ბანზე შეხტომილებს არ შეურიგდებოდა, მაშინ ამ უკანასკნელთ ნება ჰქონდათ მოტაცებული ქალი უკან წაეყვანათ. შესაძლოა, ბანზედ შემხტარნი დამნაშავის ოჯახს არ დაეკმაყოფილებინა და არც ქალი გაჰყოლოდა მათ უკან სახლში და თავისიანებისთვის ეთქვა, რომ დარჩენა სურს. ამ შემთხვევაში ქალის ოჯახი („მამის სახლი") მოიკვეთდა მას და ერთი წლის განმავლობაში იგი მამის სახლში ფეხს ვერ დადგამდა. საბოლოოდ საქმე მაინც შერიგებით დასრულდებოდა: მომტაცებელს საკლავი უნდა დაეკლა, ნადიმი გაემართა. ხშირად „ბანზედ შეხტომა" საჭირო არც იყო და საქმე მის გარეშეც სრულდებოდა. როდესაც მოტაცებული ქალის ნათესავები და მეზობლები ბანზე შესახტომლად გაემგზავრებოდნენ და ამას დამნაშავის ოჯახის წევრები შეიტყობდნენ, მათი ბიძაშვილები გზაში დაუხვდებოდნენ ბანზე შესახტომად წამოსულებს და შერიგებას სთხოვდნენ. ამ დროს გზაზე საკლავი უნდა დაეკლათ და კურატი და ქვაბი მიეცათ. ქალის ნათესავები უკან გაბრუნდებოდნენ ხშირად ისე, რომ კურატსა და ქვაბსაც კი არ წაიღებდნენ. მეორე ან მესამე დღეს მომტაცებლის ძმა და სხვა ახლო ნათესავები მოტაცებულ ქალს მამის სახლში მიიყვანდნენ, საკლავს დაკლავდნენ და შერიგდებოდნენ.[2878] მოტაცებული ქალის ნათესავების დამ-

2876 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 137.

2877 ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1987, თბ., 1990, 78.

2878 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1940, 36-37.

ნაშავის სახლის „ბანზე შეხტომა“ მისი სახლის დარბევის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ნამდვილი დარბევა „ბანზე შეხტომის“ ჩვეულებად ტრანსფორმირდა, როდესაც ძალადობრივ მოქმედებებს ადგილი აღარ ჰქონდა. ასეთი სიმბოლური „მიხდომის“ შესაწყვეტად (ისევე როგორც ნამდვილი დარბევის თავიდან ასაცილებლად) კი დამნაშავე მხარეს ქონებრივი საზღაური უნდა გაეღო „ბანზე შემხტომთათვის“, რაც აუცილებელი იყო მხარეთა შერიგებისათვის. ამრიგად, ხევსურეთში ჩამოყალიბებული ჩანს ქალის გატაცებისას მხარეთა შერიგების წესი, რომელიც დარბევის, მიხდომის სიმბოლურ გამოხატულებას – „ბანზე შეხტომას“ – ამ წესის ნაწილად მოიაზრებს. როგორც გამოჩნდა შესაძლებელია შერიგება „ბანზე შეხტომის“ გარეშეც მომხდარიყო „ბანზე შესახტომად“ წამოსულთა გზაში დახდომით და მათთვის საკლავისა, კურატისა და ქვაბის დახვედრებით.

ბ. გოგოჭურის მონაცემითაც გატაცებული ქალის უკან ძალით დაბრუნების მიზნით ვაჟის სოფელში სამტროდ წასულ ქალის შეიარაღებულ ძმა-ბიძაშვილებს, ახლობლებს, ვაჟის ძმა-ბიძაშვილები და შუაკაცები დაახვედრებდნენ საკლავს, აწყნარებდნენ და აუხსნიდნენ, რომ ქალის მიმართ არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ასევე ეტყოდნენ, რომ სურთ მათთან დანათესავება და იმავე დღეს თავისი ნებით დააბრუნებდნენ ქალს სახლში. ამის შემდეგ იქვე ხდება საკლავის დაკვლა, ხოლო მოტაცებული ქალის ახლობლები ბრუნდებიან სახლში.[2879]

მოტანილ ცნობებში კარგად ჩანს, თუ ფშავ-ხევსურულ ხალხურ სამართალს რა მექანიზმი შეუქმნია ქალის გატაცების შემთხვევაში მისი ნათესავების მხრიდან ვაჟის სახლის დარბევის თავიდან ასარიდებლად.

საინტერესო ცნობებს განსახილველ საკითხზე ვხვდებით მ. ბალიაურთან. მის მიხედვით, მეორე დღეს, როდესაც სოფელი გაიგებდა ქალის მოტაცებას, ცხადია, აღშფოთდებოდა, დაიწყებდა გარკვევას, თუ ვინ იყო მომტაცებელი, დამხმარე. ქალის მოტაცება დიდი მტრობის გამომწვევი იყო. მოტაცებაში ხელის შემწყობი თანასოფლელი გაიღანძღებოდა და შეიძლება დაეჭრათ კიდეც. მას გადასახადსაც დააკისრებდნენ. იგი გატაცებული ქალის სახლში უნდა მიეყვანათ შუაკაცებს სასმლით და საკლავით, სადაც პატიებას ითხოვდა და დანაშაულს ინანიებდა. მოყვანილ საკლავს ზოგი დააკლევინებდა, ზოგი არა. არაყს კი უცილობლად დალევდნენ. როდესაც გაარკვევდნენ ქალის მომტაცებლის ვინაობას, ქალის პატრონი (ქალის ძმა, მამა, ბიძაშვილი) წავიდოდა ქალის დასაბრუნებლად. მომტაცებლის სოფელში შესვლისას მათ სოფლის უფროსი კაცები საკლავს (ცხვარს) დაახვედრებდნენ და სთხოვდნენ დაწყნარებას, შერიგებას. საქმროს ოჯახის წევრები არ ჩნდებოდნენ და ემალებოდნენ მოსულს. ქალის ნათესავს გარეშე ხალხი შეხვდებოდა. ქალის პატრონი საკლავს არ დააკლევინებდა და მოითხოვდა ქალის ჩვენებას. მას დაპირდებოდნენ, რომ ქალს აუცილებლად თვითონ მიუყვანდნენ. ქალის პატარონს თუ ეს საქმრო არ უნდოდა, მითუმეტეს ქალისთვის სხვა საქმრო ჰყავდა შერჩეული, დაჟინებით მოითხოდა ქალის ჩვენებას, რის შემდეგაც ქალს აჩვენებდნენ. თუ ქალი წასვლას მოისურვებდა და დაჟინებით მოითხოვდა ამას, ქალს აუცილებლად გაუშვებდნენ. ქალის ასეთი გაშვება სირცხვილად არ ითვლებოდა. თუ ქალი და მისი მშობლები

2879 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 136.

არ იყვნენ წინააღმდეგი სასიძოდ მომტაცებელი ჰყოლოდა, მაშინ ქალი იქ რჩებოდა და მეორე, ან მესამე დღეს მომტაცებლები მას თავად მიიყვანდნენ მამის სახლში. თან მიიტანდნენ არაყს და ერთ საკლავსაც. ქალს მიჰყვებოდა მომტაცებლის მამა, თუ არ ყავდა – დედა, ბიძა და გვარიდან რომელიმე უფროსი კაცი, ან წაიყვანდნენ ერთ ახალგაზრდას: მის ძმას, ან ბიძაშვილს. ქალის სოფელში მისულნი პირდაპირ ქალის ოჯახში არ მივიდოდნენ, არამედ სხვის სახლში – იმ სოფელში მცხოვრებ ნათესავთან, ან სოფლის პატივცემულ კაცთან. ქალი კი წავიდოდა თავის სახლში. ცოტა ხნის შემდეგ კი ქალის მიმყვანები ქალის მამას გაუგზავნიდნენ შუაკაცებს ქალის გარიგებაზე სასაუბროდ. შეიკრიბებოდა ქალის გვარი და მოილაპარაკებდნენ, გაერიგებინათ თუ არა ქალი. აზრს ქალსაც ჰკითხავდნენ. ქალის გატაცება ქალის ოჯახისა და გამტაცებლის ოჯახის მტრად გადაკიდებას იწვევდა და შეხვედრისას ისინი შუღლს ატეხავდნენ. ამიტომაც გამტაცებლები გარიგებამდე ფრთხილობდნენ, რომ ქალის მამა და ძმა-ბიძაშვილები არ შეხვედროდნენ. თუ ქალის მშობლები მომტაცებელს ქალს გაურიგებდნენ, მაშინ მხარეები შერიგებულად ითვლებოდნენ. თუ ქალის გარიგება არ მოხდებოდა, მაშინ მომტაცებელ მხარეს შუღლი რომ აერიდებინა თავიდან ქალის მამის სახლთან უნდა შერიგებულიყვნენ. მათთან შუაკაცების მეშვეობით მივიდოდნენ და თან არაყს მიიტანდნენ. თუ შერიგება არ მოხდებოდა, მაშინ მტრებად დარჩებოდნენ და შეხვედრისას ქალის ნათესავები ვაჟისას არ დაინდობდნენ და შუღლს აუტეხავდნენ.[2880] მ. ბალიაურის ამ ცნობიდან ინტერესს იპყრობს ქალის მოტაცებაში თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც მოტაცებულის თანასოფლელი და მოტაცების ხელშემწყობი იყო. როგორც გამოჩნდა, მოტაცებული ქალის ოჯახთან მტრობის თავიდან ასაცილებლად იგი ცალკე უნდა შერიგებოდა დაზარალებულ ოჯახს. ასევე ჩანს, რომ მოტაცებული ქალისა და მომტაცებლის მხარეებს შორის შერიგება დამოკიდებული იყო იმაზე, მოტაცებული ქალის გვარი თანახმა იყო გარიგებაზე მომტაცებელ ვაჟთან, თუ არა. პირველ შემთხვევაში გარიგებაზე მოტაცებული ქალის გვარის თანხმობა შერიგების ტოლფასი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მომტაცებელს მოუწევდა შესარიგებლად მისვლა მოტაცებულის ოჯახში, არყით და პატიების თხოვნა მტრობის თავიდან ასაცილებლად. ამ მონაცემშიც მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ სამარცხვინოდ ითვლება მოტაცებულ ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

ხევსურეთში შესაძლოა ქალის გატაცებისას მდევრის მოქმედება საკმაოდ აგრესიულიც ყოფილიყო და დამნაშავის მკვლელობითაც დასრულებულიყო, თუ მას ხელში ჩაიგდებდნენ, ან მისი სახლის დარბევით. ასეთი რამ უფრო დანიშნული ქალის არა საქმროს მიერ მოტაცების შემთხვევაში გვხვდება. შეურაცხყოფილი საქმროს ნათესაობა აუცილებლად შეიკრიბებოდა და მდევრად წავიდოდა დამნაშავის მოკვლის მიზნით. ხევსური ინფორმატორი (ღვთისო ალუდაური, ხახმატიდან) იხსენებს შემთხვევას, როდესაც ლიქოკელ კაცს წაუყვანია ვინმე თოთია არაბულის დანიშნული ქალი. ამის გამო მდევრად შეკრებილა არაბულების გვარის ბიჩინაგურთა თემი და წასულა ქალის გამტაცებლის მოსაკლავად. შეგროვილა ეს ხალხი კორშაში. იმდენი ყოფილა, რომ ნაბდები რომ დაკიდეს ტყე დაიჩრდილაო. უკან მათ თოთიას დები მიყვებოდნენ ტირილით,

2880 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, 8/1, 20-34.

მიჰქონდათ სახვეველი და მარილი, თავისი ხალხისათვის ან ამბობდნენ ვინა სთქვა თითქოს ძმა არა ჰყოლოდეს თოთიას, ხედავთ რამდენი ძმა ჰყოლიაო. სოფლის ძირზე რომ მივიდნენ შემოხვდნენ ლიქოკელები და შემოაგებეს საკლავი და კურატი: „დიდება ბიჩინაგურთა და ბიჩინაგურთა დაელათსაო, ნუღარ მაზდითაო, წაიყვანა უკვე ქალი მამის სახლმა შინაო“, დაუკლეს კურატი და ისინიც გამობრუნდნენ უკან. ქალს კი აუკრძალეს ორივეზე გათხოვება. როგორც ჩანს ქალი თავად გაყოლია ლიქოკელს, ვინაიდან როცა მამა მისულა მასთან ქალი სამრელოში დამალულა. კაცს კი არა აქვს სამრელოში შესვლის უფლება, ამიტომ იგი შუბით ჩხვლეტდა და ეუბნებოდა შვილს გამოდი შე ძაღლო შენი გულისთვის გვარმა გვარი უნდა ამოწყვიტოსო. ბოლოს ქალებს გამოუყვანიათ და წაუყვანიათ შინ.[2881] როგორც ვხედავათ აქაც მდევრის შესაჩერებლად მოხდა სოფლის შესასვლელთან საკლავითა და კურატით დახვედრა. წესის მიხედვით, ამას თავიდან უნდა აეცილებინა მდევართა მიერ დამნაშავის სახლზე მიხდომა, მისი დარბევა. ეს კონკრეტული მაგალითიც გვიჩვენებს, თუ რა რეაქცია შეიძლება გამოეწვია ქალის მოტაცებას ხევსურეთში და რა საშუალებით ხდებოდა მდევრის უკან გაბრუნება ჩვეულებითი სამართლით დადგენილი წესის მიხედვით.

მდევრის დადევნებას გამტაცებლისათვის საქართველოს სხვა კუთხეებშიც ვხვდებით. მაგალითად, აჭარაში ჩაწერილ კონკრეტულ შემთხვევებშია აღწერილი, თუ როგორ გამოედევნება მომტაცებელს მდევარი, როგორ უკრავენ გზას და სხვა. დევნას შესაძლოა მკვლელობაც მოჰყოლოდა. ერთი მონაცემით კი გაქცეული ქალ-ვაჟი მდევარს ვაჟის სახლის ქვეშ ემალებოდა თხუთმეტი დღის განმავლობაში და შემდეგ გამოჩნდნენ. დაპირისპირება კი შერიგებით დასრულდა.[2882] სამეგრელოშიც ქალის მოტაცების შემთხვევაში ქალს ნათესავ-მოყვარეები მიეშველებოდნენ და გაიმართებოდა ნამდვილი ომი.[2883] მთიულეთში (არაგვის ხეობა) ფიქსირდება ქალის მომტაცებლის სახლის დაზიანება.[2884]

ქალის მოტაცების საპასუხოდ მომტაცებლისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება გვხვდება რაჭაშიც. მ. კედელაძის რაჭველი ინფორმატორი იხსენებს მის თავს გადამხდარ ამბავს: მის შვილს ცოლად მოყვანის მიზნით მოუტაცია ვინმე ვანო გავაშელის მიერ დანიშნული ქალი – ფანია ლობჟანიძე. ვასილ გავაშელმა (საქმროს მამამ) ცეცხლი მოუკიდა მომტაცებლის ოჯახის 17 ძირ თივას, დაახლოებით 500 ფუთს და დაწვა, როგორც ინფორმატორი აღნიშნავს, შურისძიების მიზნით. თივების დაწვის მეორე დღესვე გამტაცებელს ქალი ჩამოაშორეს და საქმროს დაუბრუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ ისევ ვანომ მოიყვანა იგი ცოლად. ინფორმატორმა გაასაჩივრა 17 ძირი თივის დაწვა, მხოლოდ არა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში (ეს მენშევიკების დრო იყო), არამედ შუაკაცებთან, რადგანაც ხელისუფლების ორგანოებში მიმართვის შემთხვევაში ვასილი შესაძლოა ციხეშიც აღმოჩენილიყო. შუაკაცებმა ვასილს რვა ძირი თივის გადახდა დააკისრეს, რაც ინფორმატორმა მას აპატია და შერიგების მიზნით

2881 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11-12.

2882 ე. იმნაიშვილი, ისტორიული მასალები, აჭარის საბელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №69, ბათუმი, 1946, 47, 62-63.

2883 თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912, პირადი არქივი, 47-48.

2884 ი. ფუტკარაძე, მთიულთა ჩვეულებითი სასისხლო ნარმოების საკითხები, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III. თბ., 1971, 187.

შვილიც მოანათვლინა. შემდეგ ინფორმატორის შვილს ისევ წაუყვანია ეს ქალი, თუმცა შუღლი აღარ განახლებულა.[2885] სავარაუდოდ დანარჩენი ძირი თიევები შუაკაცებმა ქალის გატაცების გამო გამოქვითეს, რადგან აღნიშნული ქმედება დანაშაულად მიიჩნიეს. რაჭაში დაფიქსირებულ კიდევ ერთ შემთხვევაში ქალის მოტაცების საპასუხოდ მომტაცებელს ხარები წაუყვანეს.[2886]

ქალის მოტაცებისათვის ვაჟის მკვლელობა, დაჭრა ქალის ნათესაობის მხრიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამ დანაშაულზე რეაქციის გავრცელებულ ფორმად ფიქსირდება. შესაბამის მონაცემებს სხვადასხვა ავტორებთან, თუ ადგილობრივ ინფორმატორებთან ვხდებით. მაგალითად, რ. ერისთავის მიხედვით, ფშავ-ხევსურეთში ქალის მოტაცებას მოჰყვებოდა მტრობის ჩამოვარდნა, მომტაცებლის მკვლელობა, სისხლის აღება.[2887] იგივეს ადასტურებს XX საუკუნის დასასრულის ფშაველი ინფორმატორიც. მის თანახმად, ქალის მოტაცება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გამოიწვევდა ქალის წართმევას და მტრობის ჩამოვარდნას.[2888] ხევსური ინფორმატორის მითითებით კი ქალის გატაცების შემთხვევაში (თუ ქალს არ უყვარდა) გამტაცებელს ან ხელი უნდა მოაჭრა, ან თავზე ჭრილობა უნდა მიაყენო.[2889] ამ მონაცემებში ჩანს, რომ ქალის ძალით წაყვანა უფრო მძაფრ რეაქციას იწვევდა.

აჭარაში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული ქალის გატაცების შედეგად მკვლელობისა. მაგალითად, ერთ-ერთი გატაცებისას ვითარება ისე გართულებულა, რომ საბოლოო ჯამში ორივე მხრიდან ექვსი კაცის მკვლელობა მოჰყოლია.[2890] ორმხრივი მკვლელობა ქალის გატაცების შედეგად გვხვდება აჭარაში დაფიქსირებულ კიდევ ერთ შემთხვევაში.[2891] ხულოს რაიონში ორ ოჯახს შორის მტრობა ყოფილა. ამ ოჯახების შვილებს შეყვარებიათ ერთმანეთის და ვაჟს ქალი გაუტაცია. ქალის მხარე მივარდნია ვაჟის ოჯახს და ოთხი კაცი მოუკლავთ.[2892] თუ დაზარალებული ვერ შეძლებდა მომტაცებლისთვის სამაგიეროს გადახდას შესაძლოა მისთვის სახლ-კარი გადაეწვა.[2893]

სვანეთში ქალის გატაცების შემთხვევაში დაზარალებულის საპასუხო მოქმედება შესაძლოა გამოხატულიყო გამტაცებლის ოჯახის კერიის შეურაცხყოფაში. მაგალითად, კერიისათვის ნიხლის კვრაში, ან მის ნაქცევაში. შერიგების შემთხვევაში ქალის მოტაცება და კერიის შეურაცხყოფა გაქვითავდა ერთმანეთს, რადგანაც თანაბარმნიშვნელოვან დანაშაულებად ითვლებოდა სვანური

2885 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/9, 34–37.

2886 იქვე, 38.

2887 ჯ. მერაბიშვილი, „სამშობლო ხევსურისას" ავტორი ქართველ მთიელთა სამართლის შესახებ, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 53.

2888 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 9.

2889 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 73.

2890 ი. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №455, ბათუმი, 1965, 6.

2891 ე. იმნაიშვილი, ისტორიული მასალები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №69, ბათუმი, 1946, 47.

2892 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 58.

2893 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 37.

ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.[2894] აღნიშნულ საკითხს კერიის შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის განხილვისას შევეხეთ და აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

ერთ შემთხვევაში სხვა პიროვნებისთვის ცოლის წამრთმევს შურისძიების ეშინოდა და არაერთხელ გაუგზავნა დაზარალებულს შუამავლები შერიგების თხოვნით. დაზარალებული ბოლოსდაბოლოს დათანხმდა შერიგებაზე მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი ყოველგვარ საზღაურზე უარს იძახდა და ითხოვდა, რომ დაზარალებული მისი კერიის ქვეშ გამძვრალიყო, რაც მოხდა კიდევაც.[2895] ამ შემთხვევაში კერიის ქვეშ გაძრომა დაზარალებულმა მისი დაკმაყოფილებისათვის სრულიად საკმარისად მიიჩნია, რადგანაც კერიის ქვეშ გაძრომა ცოლის წართმევის შესატყვის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

ბალსქვემო სვანეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა. დავითიანის მიხედვით, ქალის მოტაცება მისი ოჯახისათვის დიდ სირცხვილად არ აღიქმებოდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აქ ქალის მოტაცება დანაშაულად არ ითვლებოდა და ქალის ოჯახის და ნათესაობის მხრიდან გარკვეულ პასუხს იწვევდა. აღნიშნული ავტორის მიხედვით აქ მაგალითად წესად იყო მოტაცებული ქალის ახლობელი ქალების მომტაცებლის სოფელში წყევლა-კრულვით და ლანძღვა-გინებით მივარდნა. იქამდეც კი მივიდოდნენ, რომ სახლის სახურავს ქვებს დაუშენდნენ, ზოგი კარებისაკენ იქაჩებოდა და მის შემტვრევას ლამობდა, კიოდნენ, აგინებდნენ ოჯახს და სხვა. სოფლის მოსახლეობა ამ დროს სიძის მხარეს იყო, ძალით შემოჭრილებს აკავებდნენ, ამშვიდებდნენ. საპასუხო მოქმედებებს ქალის ნათესავი მამაკაცების მხრიდანაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალის მოტაცება ოჯახის შეურაცხყოფად არ აღიქმებოდა და ქალის მოტაცება ვაჟკაცის მიერ ჩვეულებრივ, ტრადიციულ მოვლენად ითვლებოდა, მაინც ძალადობას ჰქონდა ადგილი და ამდენად, ქალის ოჯახი და ნათესაობა დამცირებულად გრძნობდა თავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომტაცებლის მრავალგზის თხოვნას ქალის მითხოვებაზე ამდენივე უარით უპასუხა. მათ შესაძლოა საპასუხო ზომები მიეღოთ და ამას სისხლისღვრა გამოეწვია. ამის გამო, მოტაცების შემდეგ შურისძიების და ძალადობის თავიდან ასაცილებლად სოფლის თავკაცები მომტაცებლის თხოვნის გარეშე ჩაერეოდნენ საქმეში. შესარიგებლად საუბარი იმდენ ხანს გაგრძელდებოდა, სანამ გადამტერების გუნებაზე მყოფი მოტაცებული ქალიშვილის ოჯახს არ დაითანხმებდნენ. შემდეგ მომტაცებლის ოჯახი გაუგზავნის ქალის ოჯახს შუაკაცებს მის სათხოვად. რა თქმა უნდა მოტაცებული ქალის თხოვნა ქალის წართმევით გაწბილებული ოჯახისათვის განსხვავებულ მიდგომას ითხოვდა. შერიგებისათვის არ იყო გამორიცხული ტოლობის ფიცის დადება მომტაცებელი მხარის მხრიდან. ის დაზარალებული ოჯახის წინაშე დაიფიცებდა, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, თუ მათ ქალიშვილს მოიტაცებდნენ, ისინიც იგივეს გააკეთებდნენ და სოფლის რჩევა-დარიგებას დათანხმდებოდნენ შერიგების თაობაზე. ხშირ შემთხვევაში ქალის მხარე თვითონ ამბობდა უარს მომტაცებელი მხარის დაფიცებაზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალის ოჯახმა იცოდა, რომ მამაკაცს მოტაცებულ ქალს ვერავინ წაართმევდა. მას ქალზე ჯვარი უნდა დაეწერა და მასთან შვილები

2894 მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, 135-136, 138.
2895 იქვე.

ჰყოლოდა. სიძეს რომ ტყუილად დაეფიცა ხალხის რწმენით ეს შვილებზე და შვილიშვილებზე ცუდად იმოქმედებდა და ისე გამოვიდოდა, რომ ქალის მხარე მომავალი სიძისთვის ფიცის მოთხოვნით თავის შთამომავლებს ქალიშვილის მხრიდან საფრთხის წინაშე დააყენებდა. ამის გამო სიძის დაფიცების საკითხი შესაძლოა მოხსნილიყო. შესაბამისად, ფიცის მიღებას ხშირად ადგილი არ ჰქონდა.[2896] როგორც ა. დავითიანის მონაცემიდან ჩანს, ქალის გატაცება ცოლად მოყვანის მიზნით, ბალსქვემო სვანეთში ასევე იწვევდა საპასუხო რეაქციას ქალის ნათესავების მხრიდან, თუმცა ავტორიტეტული ადამიანების ძალისხმევით შერიგების მიღწევა შესაძლებელი ჩანს უფრო ადვილად, ვიდრე ეს ზოგიერთ სხვა კუთხეში. ამის მიზეზად კი ავტორი ასახელებს იმას, რომ აქ ქალის გატაცება ცოლად მოყვანის მიზნით, ტრადიციას წარმოადგენდა, მიღებული მოვლენა იყო, ითვლებოდა კარგი ქალის დასაკუთრებისათვის მიმართულ ქმედებად და უფრო ქალის დაფასებად აღიქმებოდა და შესაბამისად, ოჯახის შეურაცხყოფად საზოგადოება არ თვლიდა. ასევე ა. დავითიანის მიხედვით, ქალის ოჯახს შერიგებისკენ უბიძგებდა ის გარემოებაც, რომ ქალის ოჯახმა იცოდა, რომ ქალის თხოვა ვინც დაიწყო პირველად, მას ვერავინ შეეცილებოდა და ეს ნათხოვი ქალი, ან მას უნდა დარჩენოდა, ან შინ დაბერებულიყო. ქალისათვის ხელის მოკიდება გასატაცებლად, სვანური კანონით, გამტაცებელს უფლებას აძლევდა ქალზე, შინ ნაყვანაც რომ ვერ მოესწრო ამა თუ იმ მიზეზით, მაგალითად, გზაში წართმევის გამო. თვითონ მთავარი დამნაშავე – მომტაცებელი საზოგადოების თვალში მართალი ჩანდა. მოტაცების ხელისშემწყობიც (გატაცებულის ნათესავი, ან კარგი ამხანაგი ქალი, რომელსაც გატაცებულის ნდობა ჰქონდა) უმტკივნეულოდ გადარჩებოდა და დიდ პასუხს არავინ მოთხოვდა, ოღონდ უნდა აეტანა ის თავდასხმები და სიტყვიერი ლანძღვა და გინება, რასაც არ დააკლებდნენ გატაცებული ქალის ახლობელი ქალები. ბოლოს ყველაფერი ჩაწყნარდებოდა და ქალი მომტაცებელს რჩებოდა, თუ ეს უკანასკნელი ქმრის ნებისმიერი ძალადობის მიუხედავად, მასთან მაინც არ იცხოვრებდა და თავის მოკვლით გაითავისუფლებდა მისგან თავს.[2897]

ა. დავითიანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როდესაც ქალის მიმართ იქნებოდა ისეთივე ძალადობა, როგორც მოტაცებისას, თუმცა იგი არ იყო დაკავშირებული მის ცოლად მოყვანასთან, ეს უცილობლად სისხლისღერას გამოიწვევდა. ნებისმიერი თავმოყვარე სვანური ოჯახი შეურაცხყოფას სისხლით უპასუხებდა, ვინმეს დაჭრიდა, ან მოკლავდა კიდეც. არაერთხელ მომხდარა, რომ უბრალო შელაპარაკებას, ქალების ჩხუბს და გინებას სისხლიანი შეტაკება მოჰყოლია.[2898]

ა. დავითიანის მონაცემების მიხედვით, განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა ქალის გატაცებას მისი თანხმობით, მისი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ. სვანური წესით (ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების) ქალი შეიძლება გათხოვილიყო მხოლოდ საკუთარი მშობლების, მისი ახლო ნათესავი მამაკაცების თანხმობით. ე. ი. გასათხოვარი ბრმად უნდა დამორჩილებოდა სხვის ნება-სურვილს. თუ იგი ამ წესს დაარღვევდა, მაშინ მშობელი ქალს ოჯა-

2896 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, ა. დ. 16/6, 563-566.

2897 იქვე, 568, 569.

2898 იქვე, 567.

ხიდან გარიცხავდა. თუ ქალი მშობლის უკითხავად გაჰყვებოდა ქმარს, მას მამის ოჯახი და ნათესაობა ფაქტიურად მოიკვეთდა: ახლოს არ მიიკარებდა და არც მიეკარებოდა. ამავე დროს თვითონ გამტაცებელს არ გადაემტერებოდნენ, მაგრამ ყოველგვარ ნათესაურ ურთიერთობას გაწყვეტდნენ. ასეთი ციცი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებ ხანს გაგრძელდებოდა, ხშირად ქალის მიერ შვილის გაჩენამდეც. ამასობაში სიძის ოჯახი კაცებს მიუგზავნიდა და შერიგებას სთხოვდა, თან ფიცით თუ სხვა ღონისძიებებით შეპირდებოდა მის დაკმაყოფილებას. მშობლების ნების საწინააღმდეგოდ ქალის წამყვანი ვალდებული იყო პატივი ეცა ქალის ოჯახისათვის და არ დაემცირებინა იგი. ქალის ოჯახი შუაკაცებს საბოლოოდ არ გააწბილებდა და შეურიგდებოდა სიძეს. ზოგჯერ ქალის დედა, დები მამისგან ფარულად ადრე ურიგდებოდნენ ხოლმე ცოლ-ქმარს.[2899] ამრიგად, ბალსქვემო სვანეთში ქალის გატაცება მისი თანხმობით, თუმცა მშობლის ნების საწინააღმდეგოდ, ქალის ძალით გატაცებისგან განსხვავებით ქალის ოჯახის მხრიდან რაიმე ძალადობრივ ქმედებებს არ იწვევდა, მხოლოდ მშობლების მხრიდან გარკვეული ხნით ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტას ექნებოდა ადგილი.

ნებისმიერი სახის გატაცების შემთხვევაში ქალი დანიშნულად ითვლებოდა და ნიშნობისათვის საჭირო ყველა ცერემონიალი უქმდებოდა, ხოლო შერიგების შემდეგ ურვადი მაინც გადაიხდებოდა.[2900]

გამტაცებლის მიმართ საპასუხო რეაქციას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მოტაცების პროცესშიც. მაგალითად, დ. ჯალაბაძის ფშაველი ინფორმატორი იხსენებს, შემთხვევას, როდესაც ფშაველი ერთ-ერთ სოფელში ოჯახს თავს დაეცნენ ქალის მოსატაცებლად, თუმცა თვითონ ქალმა ხანჯლით მოკლა მომტაცებელი. ამ ამბავმა ჩაიარა როგორც „თოელის წყალმა“, რადგან ქალის მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვალა.[2901] დ. ჯალაბაძე სწორად შენიშნავს, რომ აქ ქალის ქმედებაში აუცილებელი მოგერიების ელემენტი იკვეთება, რაც შესაძლოა პასუხისმგებლობის გაქარწყლების საფუძველად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული ამ კონკრეტულ შემთხვევაში.[2902]

ქალის მოტაცების შემთხვევაში ქალის ოჯახის მხრიდან ასეთი მძაფრი რეაქცია განპირობებული იყო იმით, რომ ქალის მოტაცება ოჯახისათვის დიდ შეურაცხყოფას და ხალხის თვალში დამცირებას ნიშნავდა. ეს განსაკუთრებით მთის რეგიონებში ვლინდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდს ვხვდებით ალ. ყაზბეგის ცნობილი ნაწარმოების „ელგუჯას“ მიხედვით. ნაწარმოების მთავარი გმირი ელგუჯა ქალს მოიტაცებს გაგის სახლიდან. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გაგისთვის ეს წარმოადგენდა მოუთბენელ სირცხვილს და უპატიურიბას, სახლის შერცხვენას და თავის მოჭრას. ელგუჯას კარგად ესმოდა, რომ ეს საქმე უსისხლოდ არ დასრულდებოდა და გაგი მას ამ სირცხვილს არ აპატიებდა.[2903]

4. 2. პასუხისმგებლობა დანიშნული/გათხოვილი ქალის მოტაცებისათვის. ქალის გატაცება ცოლად მოყვანის მიზნით განსაკუთრებით მძიმედებო-

2899 იქვე, 573.

2900 იქვე, 576.

2901 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 9-10.

2902 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 136.

2903 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, 24.

და, როდესაც ადგილი ჰქონდა დანიშნული თუ გათხოვილი ქალის მოტაცებას, რაც კარგად გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ ზოგიერთ მაგალითშიც. ეს საქმროს/ქმრის, მისი ოჯახის, გვარის უკიდურეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა და მას დაზარალებული მხარის მხრიდან ძალზედ მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ხევსურეთში დაფიქსირებულ ჩვეულებითი სამართლის მასალებში. ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც აღნიშნავს, რომ ხევსურეთში დაუნიშნავი/გაუთხოვარი ქალის მოტაცებას მოჰყვებოდა ხელის მოჭრა ან თავის ჭრილობის მიყენება, მიუთითებს, რომ ცოლის წართმევისას გამტაცებელს ან თოფი უნდა დაარტყა, ან ცოლი წაართვა.[2904] ნ. ხიზანაშვილი ერთმანეთისგან განასხვავებს ქალის „ჩვეულებრივ" მოტაცებას ანუ დაუნიშნავი, უქმრო ქალისა და ქმრიანი/დანიშნული ქალის მოტაცებას, რაც პირველისაგან განსხვავებით დიდი დანაშაულია და ჩვეულების ძალით სიკვდილის გამომწვევია. შეურაცხყოფილი ოჯახი დამნაშავეს ცოცხალს არ ამყოფებდა.[2905] სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცებისას თუ საქმე შერიგებამდე მივიდოდა საზღაურიც მეტი იქნებოდა, ვიდრე „ჩვეულებრივი" მოტაცებისას.[2906]

არაერთი ხევსური ინფორმატორი მიუთითებს, რომ დანიშნული, გათხოვილი ქალის მოტაცებისათვის ხდებოდა დამნაშავის მოკვლა ან დაჭრა, ანდა გამტაცებლისათვის ცოლის წართმევა, ქალის სურვილის მიუხედავად.[2907] ბ. გოგოჭურის მონაცემით, საცოლის/ცოლის „წართმევა", მიუხედავად იმისა ეს ქალის თანხმობით მოხდა, თუ არა, ამ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქმედების საპასუხოდ, ხევსური თავის ძმა-ბიძაშვილებთან ერთად იარაღით ემტერება და კლავს ცოლის წამრთმევს, ან მძიმე დამასახიჩრებელ ჭრილობებს აყენებს მას.[2908]

ს. მაკალათიას მიხედვით, ხევსურეთში მოტაცებული ქალის გაუპატიურება არ ხდებოდა და ამდენად, მოტაცებულ ქალს შეეძლო უკან დაბრუნება.[2909] ხევსურთა დამოკიდებულება ცოლის/საცოლის მოტაცებისადმი კარგად ჩანს ერთ მეფის რუსეთის დროს მომხდარ ამბავში, რომელსაც ხევსური ინფორმატორი (ბერდია ნიკლაური სოფელ როშკადან) მ. კეკელიას მოუყვა: „ერთი ხევსური მისულა პრისტავთან და უთქვამს: „ბატონო სხვისი ცოლის წაგვრისათვის კაცს რა

2904 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 74.

2905 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1940, 36.

2906 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 170.

2907 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 52-53; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53; ნ. ბალიაური, სწორურობა ხევსურეთში, თბ., 1991, 91; ნ. ხუდადოვი ხევსურეთში ყოფნისას შეესწრო ასეთ მოვლენას: ახალგაზრდა ხევსურს მოსტაცეს საცოლე მამის სახლიდან ქალის ნების საწინააღმდეგოდ. ვაჟი ყველა საშუალებით დევნიდა მომტაცებლებს, თოფს ესროდა მათ და სხვა. მომტაცებლები იძულებულნი გახდნენ თიანეთში წასულიყვნენ მოსამართლესთან საჩივლელად. სასამართლოზე ბრალდებულმა არ უარყო ბრალდებები მის მიმართ და ამას მისთვის საცოლის მოტაცებით ამართლებდა: დამიბრუნონ ცოლი და თითს არაფის დავაკარებო. სასამართლომ რაღაც სასჯელი დააკისრა, თუმცა ამან არ უშველა, ხოლო თავდასხმები კიდევ უფრო გახშირდა. საბოლოოდ მაზრის უფროსმა მოაწყო შერიგება. მან ქალი გადასცა მის მამას, რომ მას თავად გადაეწყვიტა, თუ ვისთვის მიეცა ქალი (Н. Худадов. Заметки о Хевсуретии. Тифлис. 1887, 24-25). ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ რუსული სასამართლოს ჩარევის მიუხედავად საცოლეწაგვრილი ხევსური მაინც აგრძელებს მომტაცებლის დევნას, მასზე თავდასხმებს.

2908 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143.

2909 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 169.

ეკუთვნისო?". პრისტავს უპასუხია: „თოფით უნდა მოკლასო". ჰოდა მეც მოვკალიო, უპასუხია ხევსურს. „შემაცდინე შე მამაძაღლოვო". არა „ეს რჯულადაც ესრე ყოფილაო", უპასუხია ხევსურს."[2910]

ხევსურეთში ქალი დანიშვნის შემდეგ საკმაოდ დიდხანს რჩებოდა მშობლების სახლში. ზოგჯერ აკვანში დანიშვნაც ხდებოდა. დანიშვნიდან გათხოვებამდე ქალი ფაქტიურად დანიშნულის ცოლად აღიქმებოდა და მისი სხვის მიერ წაყვანა ისევე იყო დაუშვებელი, როგორც სახლში მიყვანილი ცოლისა. თუ ვინმე გაბედავდა და თუნდაც სიტყვას იტყოდა მისი წაყვანის შესახებ, ის უსიკვდილოდ ვერ გადარჩებოდა ქალის საქმროს და მის გვარს.[2911]

ხევსურეთში მიღებული იყო რომ ქმარს/საქმროს უფლება ქონდა ცოლი არ გაეთავისუფლებინა და სხვაგან გათხოვების ნება არ მიეცა, თუნდაც იგი ისევ მამის სახლში ყოფილიყო. სანამ ქმარი/საქმრო არ იტყოდა: „ხელ ავიღავ, თავ დამინებებავ, ვისაც უნდა იმან წაიყვანოს, ვინაც უნდა იმას წაუვიდას, ნუც მთელი ას ჩემობაზე, ნუც მკვდარი", მანამდე წაყვანის უფლება არაეის ჰქონდა[2912]. წაყვანას კი ქმრის/საქმროს მხრიდან ზემოთაღნიშნული მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა. ძირითადად ეს ქალის სახლში მოყვანამდე ხდებოდა. სახლში მოყვანის შემდეგ კი ქალის სხვისთვის გაყოლა როგორც წესი არ ხდებოდა.[2913]

ხევსურეთში ცოლის მომტაცებლის მკვლელობა თავის დადებას მაინც იწვევდა.[2914] ეს ბ. გოგოჭურის მასალებითაც დასტურდება: საცოლის/ცოლის მომტაცებლის მკვლელობა, ან დაჭრა-დასახიჩრება ამ დანაშაულებისათვის გათვალისწინებულ სრულ პასუხისმგებლობას აკისრებდა მის ჩამდენს.[2915]

როგორც ითქვა, საცოლის/ცოლის მოტაცება ხევსურეთში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა და შურისძიებასაც იწვევდა, მაგრამ თუ საქმე შერიგებამდე მივიდოდა ნ. ხიზანაშვილის მიხედვით გადასახადი 16-30 ძროხის ფარგლებში იყო.[2916] სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცებისათვის 16 ძროხის ოდენობის საზღაურს XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორებიც ადასტურებენ.[2917] იგივეს მიუთითებს დ. ცისკარაულიც.[2918] ბ. გოგოჭურის მონაცემებით კი სხვისი საცოლის/ცოლის მოტაცება დაახლოებით 25 ან 30 ხელითი ძროხის დაკისრებას იწვევდა.[2919] ალ. ოჩიაურის მასალებში აღწერილი ერთი შემთხვევის მიხედვით, მოხდა სხვისი დანიშნული ქალის წაყვანისათვის მკვლელობა. მკვლელის მხარე მოითხოვდა რომ რჯულს ქალის მოტაცებისათვის 16 ძროხა დაეკისრებინა მეორე მხარისათვის, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქალისთვის ყოფილ საქმროს თავი დანებებული ჰქონდა და ამიტომ რჯულმა ქალის მოტაცებისათვის პასუხისმგე-

---

2910 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №4, 4.

2911 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 151..

2912 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 38; იქვე, 7/13, 152.

2913 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/4, 38.

2914 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 24.

2915 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143.

2916 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1940, 38.

2917 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 43; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 7.

2918 დ. ცისკარაული, ხევსურეთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H. კოლექცია №2814, 33.

2919 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143.

ბლობა მის წამყვანს მკვლელის წინაშე არ დააკისრა.[2920] ამდენად, ამ კონკრეტული მაგალითის მიხედვით, დანიშნული ქალის წაყვანისათვის გადასახადი ყოფილი ქმრის სასარგებლოდ 16 ძროხა იყო. ბ. გოგოჭურის საარქივო მონაცემებში გვხვდება XX საუკუნის 50-იან წლებში მომხდარი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც გუდანელ ჭინჭარაულს დანიშნული ქალი წაართვა ქმოსტელმა ღვთისო ბურდულმა. მხარეები შერიგდნენ და ბურდულებმა ჭინჭარაულებს 25 ძროხის დრამა გადაუხადეს და კურატიც მისცეს.[2921] ამ მონაცემის მიხედვით კი სხვისი დანიშნული ქალის მოტაცებისათვის გადასახადი 16 ძროხას აღემატება და 25 ძროხის ტოლია.

საცოლის/ცოლის წართმევის, მოტაცებისათვის გადასახადის ოდენობის შესახებ ზემოთმოყვანილ ცნობებს თუ განვაზოგადებთ (მათ შორის კონკრეტულ შემთხვევაში გადახდილს), გამოვა, რომ ყველა ეს მონაცემი თავსდება ნ. ხიზანაშვილის მიერ დასახელებული ოდენობის – 16-30 – ფარგლებში. როგორც ჩანს, ამ დანაშაულისათვის საზღაურის ზუსტად დადგენილი ოდენობა მთელი ხევსურეთის მასშტაბით არ არსებობდა და სხვადასხვა შემთხვევაში შერიგებისას განსხვავებული საზღაურის დაკისრება ხდებოდა, მხოლოდ ზემოთაღნიშნულ ფარგლებში. არ არის გასაკვირი, რომ ბ. გოგოჭურიც ამ დანაშაულისათვის საზღაურს „დაახლოებით“ ასახელებს.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არის ცნობა დანიშნული ქალის წაყვანისათვის შედარებით ნაკლები საზღაურის გადახდის შესახებ. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მან ცოლად მოიყვანა სხვისი დანიშნული ქალი, რომელმაც საქმრო დაიწუნა. ამას მტრობა მოჰყვა, საბოლოოდ კი რჯული დაინიშნა. რჯულმა ქალის წამყვანს 5 ძროხა დააკისრა.[2922] ეს კონკრეტული მაგალითი გვიჩვენებს, რომ დანიშნული ქალის მოტაცებისათვის გადასახადი შესაძლოა არა 16-დან 30 ძროხამდე, არამედ 5 ძროხაც ყოფილიყო. ეს განსხვავება შესაძლებლად მიგვაჩნია ავხსნათ დროთა განმავლობაში აღნიშნული გადასახადის შემცირებით, ისე როგორც ეს „სამწუნობროს“ ოდენობასთან დაკავშირებით მოხდა. როგორც ზემოთ გამოჩნდა „სამწუნობროს“ ქალი იხდიდა ქმრის/საქმროს დაწუნებისა და უმიზეზოდ მიტოვებისათვის. ამ დანაშაულსა და სხვისი საცოლის/ცოლის გატაცებას, როგორც დანაშაულს შორის კავშირზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქედან გამომდინარე, თუ „სამწუნობროს“ ოდენობა დროთა განმავლობაში 16 ძროხიდან 5 ძროხამდე დავიდა, სრულიად შესაძლებელია იგივე მომხდარიყო დანიშნული/გათხოვილი ქალის გატაცებისათვის დაწესებულ გადასახადდთან დაკავშირებითაც, ანალოგიური მიზეზით.

საცოლის/ცოლის მომტაცებლის მკვლელობის, ან დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში მხარეთა შერიგებისას ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული საზღაური გაიბრება მკვლელობისა, ან სხეულის დაზიანებისათვის გათვალისწინებულ საზღაურთან. სხვისი საცოლის/ცოლის მომტაცებლის მკვლელობის შემთხვევაში, ცოლის მოტაცებისათვის გათვალისწინებული საზღაური გაიბრება მკვლელობისათვის დაწესებული თავსისისხლის ოდენობასთან „თა-

2920 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 156.

2921 ბ. გოგოჭური, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №5, 19.

2922 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 22.

ვის გათავებისა“ და მხარეთა საბოლოო შერიგების დროს.[2923]

ფშავშიც დანიშნული ქალის მოტაცებისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდა ფიქსირდება. ქალის გამტაცებელს 15 ძროხა უნდა გადაეხადა საქმროსთვის, ხოლო ქალის მშობლები ნიშნობის პირობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებოდნენ.[2924]

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ჩანს ცოლის მოტაცება, წართმევა სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ამას ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ცოლის წართმევა სვანეთში იმ დანაშაულთა რიგს მიეკუთვნება (მკვლელობასთან და მძიმე დაჭრასთან ერთად), რომელთა ჩადენა გვარის (სამხუბის) შიგნით არ იწვევდა პატიებას. ცოლის წართმევის შემთხვევაშიც საქმე „თემურად“ განიხილებოდა და დამნაშავეს დაეკისრებოდა დაზარალებულისათვის იმ საზღაურის ნახევრის გადახდა, რაც არამოგვარეთა შორის ანალოგიური დანაშაულის ჩადენისას იყო განსაზღვრული.[2925] აქ ჩანს, რომ ამ უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიეკუთვნებოდა მხოლოდ სხვისი ცოლის მოტაცება, რაც მიანიშნებს, რომ გაუთხოვარი ქალის მოტაცება შედარებით მსუბუქ დანაშაულებრივ ქმედებად ითვლებოდა.

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მამა-პაპური ტრადიციებით აღზრდილ სვანს, რომელსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ჩვეულებითი კანონი, აუცილებლად უნდა დაესაჯა მისი ცოლის მომტაცებელი. მას ვერავინ დააჯერებდა საკუთარ ბედს დამორჩილებული გულ-ხელ დაკრეფილი მჯდარიყო და სამაგიერო არ ეზღო ცოლის მომტაცებლისთვის. ის თოფს და ხანჯალს დაავლებდა ხელს მტრის ჯავრის ამოსაყრელად, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოს კანონი ასეთ ქმედებას სჯიდა. ამ გარემოებას იგი გულგრილად იღებდა, რადგანაც ცოლის წართმევაზე მეტი სასჯელი მისთვის არ არსებობდა. იგი თავის მტერს ან მოკლავდა, ან დაჭრიდა. ასეთი რამ ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა სვანეთში.[2926] ნ. ჩიმაკაძეც ხაზს უსვამს სვანეთში ცოლის მოტაცების, როგორც დანაშაულის სიძმიმეს და მის ხშირ ჩადენას. მისი თქმით, უფრო ძლიერი შედარებით სუსტ ქმარს ართმევდა ცოლს, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა დაზარალებულის მხრიდან შურისძიება. იგი მანამ არ დაცხრებოდა, სანამ მომტაცებელს, ან მის ნათესავს არ მოკლავდა. ცოლის წართმევა კი იმდენად ხშირი მოვლენა ყოფილა, რომ XX საუკუნის დასაწყისში მთავრობას შეუქმნია სპეციალური კომისია (ავტორის მონაცემები გამოქვეყნებულია 1913 წელს, ხოლო კომისია მისი თქმით შექმნილა სამი-ოთხი წლის წინათ), რომელსაც უნდა გამოეძიებინა თუ ვის ყავდა სხვისი ცოლი მოტაცებული და ცოლები ქმრებისთვის დაებრუნებინა. კომისიის მუშაობამ შედეგს ვერ მიაღწია, ხოლო ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა, რადგანაც გამოძიებამ მხარეებს შუღლი გაახსენა.[2927]

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ძველ დროში ცოლის წართმევისათვის გადასახადი

2923 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 59.

2924 ა. გრიგოლია, ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბ., 2015,

2925 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 107.

2926 იქვე, 50-51.

2927 ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი II, ტფილისი, 1913, 19-20.

500 მანეთამდე იყო. ამდენის გადახდა ბევრს არ შეეძლო, ამიტომ მომტაცებელი ძალზედ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და შურისძიებისგან თავი დაეცვა.[2928]

ბ. ნიჟარაძის და ნ. ჩიმაკაძის ცნობები ბალსზემო სვანეთს ეხება. ამ დანაშაულისადმი ანალოგიური დამოკიდებულება იყო ბალსქვემო სვანეთშიც. ალ. დავითიანის მიხედვით, სხვისთვის ცოლის წართმევა ცოლის მიერ ქმრის უმიზეზოდ მიტოვების კონტექსტში განიხილება. ქმრის მიმტოვებელი ცოლი თუ სხვას გაყვებოდა, თან მისი მშობლების ნების წინააღმდეგ, მაშინ პასუხისმგებლობა გადავიდოდა ქალის მომტაცებელზე. ხანდახან მოტაცებული სხვისი ცოლი ორსულადაც იყო. სხვისი ცოლის თუ საცოლის მოტაცებისას კაციც და ქალიც ტოვებდნენ თავის ხევს, ან საერთოდ გადიოდნენ სვანეთიდან და სხვაგან პოულობდნენ თავშესაფარს. იქ საკმაო ხანს იცხოვრებდნენ, სანამ ქალი, თუ ორსული იყო, არ იმშობიარებდა და ხევში აურზაური და მუქარა არ შეწყდებოდა. მიტოვებული ქმარი შერცხვენას მკაცრად უპასუხებდა და მისი ცოლის მომტაცებლის დაჭრას შეიძლება არც დასჯერებოდა. საქმე ხშირად მკვლელობამდეც მივიდოდა, შერცხვენილი ქმარი/საქმრო პირველ რიგში ცოლეულებს მოსთხოვდა პასუხს. ამ უკანასკნელთ შესაძლოა ფიცის მიცემაც დასჭირვებოდათ, საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. თუ აღმოჩნდებოდა რომ ქალის მიერ ქმრის/საქმროს მიტოვებაში ცოლის ახლობლების ხელი არ ერია, მაშინ დაჩაგრული სიძე პასუხს მხოლოდ ქალის წამყვანს მოსთხოვდა. ქალის წამყვანს არც ქალის ცოლეულები ცნობდნენ სიძედ და ქალთანაც ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტდნენ. თუ ქალის ოჯახის წევრები ფიცით ვერ იმართლებდნენ თავს, მაშინ შეურაცხყოფილ ქმარს მტრობა უნდა დაეწყო ქალის ოჯახთანაც და მომტაცებელთანაც. ქალის წამყვანსა და მიტოვებულ ქმარს/საქმროს შორის მძაფრად მტრული ურთიერთობა იქნებოდა. მიტოვებული ქმარი, ცხადია, უაღრესად შერცხვენილი იყო საზოგადოების თვალში და თუ როგორ ჩამოირეცხდა იგი ამ სირცხვილს, რამდენად აღიდგენდა სახელს, ეს მასზე იყო დამოკიდებული. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ცოლის წართმევით გამოწვეული სირცხვილი ხშირად სისხლით ჩამოირეცხებოდა. შესაძლოა სისხლის მაძებარი შერცხვენილი ქმარი და მისი ოჯახობა მისი ცოლის მომტაცებელს ვერ გამკლავებოდა. თუ საქმე შერიგებამდე მივიდოდა, მაშინ გადასახადი 600 მანეთი იყო,[2929] ანუ იმდენი, რაც ალ. დავითიანის მიხედვით განსაზღვრული იყო მეუღლის უმიზეზოდ მიტოვებისათვის. როდესაც ცოლის წართმევის განხილვა ხდება ქმრის მიტოვების კონტექსტში, ცხადია, რომ აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გათხოვილი ქალი თავისი ნებით მიყვება მის წამყვანს.

სვანური წესით, მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ როდის მოხდებოდა ქალის მიერ ქმრის მიტოვება და სხვა კაცის მიერ მისი მოტაცება – დანიშვნის შემდეგ, თუ უშუალოდ ქმრის ოჯახიდან, გადასახადი 600 მანეთი იქნებოდა. თუ გატაცების მომენტში სისხლის ღვრა და მკვლელობა მოხდებოდა, ამას სვანური სასამართლო ცალკე შეაფასებდა, მაგრამ თუ მოტაცება და მაშასადამე ქმრისა თუ საქმროს მიტოვება უსისხლოდ ჩაივლიდა, დამნაშავე მამაკაცს ბალსქვემო სვა-

2928 ბ. ნიჟარაძე. იქვე; რ. ერისთავის თანახმადაც, სხვისი საცოლის/ცოლის მოტაცებისთვის სვანეთში ხდებოდა მომტაცებლის მკვლელობა, ან მძიმე დაჭრა. შერიგების შემთხვევაში საზღაურად გათვალისწინებული იყო 500 მანეთი (რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, ნინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986, 167).

2929 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ., 16/7, 87, 16/8, 571, 574, 577.

ნეთში მხოლოდ ამ დადგენილი 600 მანეთის გადახდა მოუწევდა. შესაძლოა ეს თანხაც გაბათილებულიყო, თუ ქმარი/საქმრო ამ მოტაცებისათვის მომტაცებელს თოფით დაჭრიდა ბარკლებში. თუ ორსული ქალის მოტაცებას ექნებოდა ადგილი, მაშინ მუცელში მყოფი ბავშვიც „სრული ადამიანის სულად" ითვლებოდა და დაღუპვის შემთხვევაში სრული სისხლი გადახდებოდა მისი დედის გამტაცებელს, თუ ეს იმის გამო მოხდა, რომ მას რაიმე დაუშავეს. თუ დედას ნორმალურ პირობებში დაეღუპებოდა ბავშვი, მაშინ ეს ბედისწერას მიეწერებოდა და პასუხს არავინ აგებდა. თუ ბავშვი დაიბადებოდა და უვნებლად გაიზრდებოდა მისი დედის გამტაცებელ მამობილთან, თავის დროზე იგი დაბრუნდებოდა თავის ღვიძლი მამის ოჯახში, რადგანაც სვანური წესით შვილი მამას ეკუთვნოდა სქესის მიუხედავად.[2930] ამ მონაცემის მიხედვით კარგად ჩანს, რომ თუ შერიგებამდე მოხდებოდა მომტაცებლის მოკვლა ან დაჭრა, ეს ცალკე იანგარიშებოდა და ცოლის/საცოლის გატაცებისათვის დადგენილ საზღაურთან იქნებოდა შეფარდებული. თუ მოტაცებული ქალი ფეხმძიმედ იქნებოდა და ბავშვს დაკარგავდა, მომტაცებელს ამისათვის სრული სისხლის გადახდა მოუწევდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც სვანური სამართალი სუბიექტური შერაცხვის პრინციპს იცავდა და ბავშვის დაკარგვისათვის მომტაცებელს პასუხს მხოლოდ მაშინ აკისრებდა, როდესაც ქალს რაიმე ზიანი მიადგებოდა და ამის შედეგად დაკარგავდა ბავშვს, ხოლო ჩვეულებრივ ვითარებაში, ზიანის მიყენების გარეშე ბავშვის დაკარგვა პასუხისმგებლობას არ გამოიწვევდა.

საინტერესოა, რომ მ. კეკელიას ინფორმატორების მეხსიერებასაც შემორჩა სხვისთვის ცოლის წართმევისათვის შურისძიების კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, 1930 წელს სოფელ ლახუშთის (ლატალის საზოგადოება) მცხოვრებ ფირცხელანს მისი ცვედანობის მოტივით გაექცა ცოლი და გაყვა ლატალელ წერედიანს. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც წერედიანი თავის სახლში იჯდა ცოლთან ერთად ფირცხელანმა გარედან ესროლა თოფი და მოკლა. ცოლი დარჩა ფეხმძიმე და შეეძინა ვაჟი. ცოლის გაქცევის შემდეგ ფირცხელანმაც მოიყვანა ცოლი და მასაც ვაჟები შეეძინა. გავიდა წლები და წერედიანის ვაჟი დაუხვდა ფირცხელანების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, თუმცა ამ უკანასკნელმა იარაღი წაართვა მას და მოკლა. რამდენიმე ხნის შემდეგ წერედიანის შვილს ავარია მოუხდა. მანქანაში ეჯდა ფირცხელანების გვარის ქალი, რომელიც გარდაიცვალა. მან შეუთვალა ფირცხელანებს: მოვრიგდეთ მორვაროობითო. ჯერ-ჯერობით ეს საქმე არ დამთავრებულა.[2931] ინფორმატორი ბალს ქვემო სვანეთიდან (ეცერის თემიდან) იხსენებს შემთხვევას, როდესაც დანიშნული ქალი სხვაზე გათხოვდა, ხოლო ყოფილმა საქმრომ ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად მოკლა ქალიც და მისი წამყვანიც. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი სახლში დაბრუნდა, მაგრამ რადგანაც საქმე შერიგებით არ იყო დასრულებული, იგი მუდამ მზად იყო თავდამსხმელებთან შესახვედრად.[2932]

ეს მონაცემებიც ადასტურებს თუ რამდენად მძაფრი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ცოლის წართმევას, როგორც ბალსზემო, ისე ბალსქვემო სვანეთში. ამ შედეგების თავიდან აცილება მხოლოდ შერიგების შემთხვევაში იყო შესა-

2930 ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ა. დ., 16/8, 572.

2931 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №3, 1968, 19-23.

2932 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 84-85.

ძლებელი. მ. კეკელიას ინფორმატორთა უმრავლესობის მიხედვით, შერიგების შემთხვევაში სხვისი ცოლის მოტაცებისათვის გადასახადი წორის ნახევარი, ან მასზე ცოტა ნაკლები იყო (იგივე რაც სვანეთში გათვალისწინებული იყო ქმრის მიტოვებისათვის), ანუ როგორც ერთ-ერთი მათგანი მიუთითებს უნებლიე მკვლელობის ტოლი.[2933]

ცოლის/საცოლის მოტაცებისათვის შურისგება და მძიმე შედეგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. დანიშნული საცოლის მოტაცებისათვის მკვლელობის და შედეგად გვარებს შორის მტრობის, მესისხლეობის ჩამოვარდნის კონკრეტული ფაქტი გვხვდება ფშავში: სოფელ ახადში მცხოვრები პიროვნება ფშაველ ქალზე დანიშნულა. ეს ქალი ცოლად მოყვანის მიზნით გაუტაცია ვინმე შუაფხოველს. ამას შედეგად გამტაცებლის მკვლელობა მოჰყოლია, რის გამოც სოფლებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა, რომელიც ძალზედ გაჭიანურებულა. ამის მიზეზი იყო ახადელების მიერ მკვლელის გამართლება იმით, რომ მან ეს დანიშნულის მოტაცების გამო ჩაიდინა. საბოლოოდ XX საუკუნის დამდეგს მხარეები მაინც შერიგებულან ლაშარის ჯვარში სამნის ჩასმით.[2934]

ცოლის მოტაცებისათვის მკვლელობა დაფიქსირებული გვაქვს თუშეთშიც. სოფელ დართლოში მცხოვრებ ერთ პიროვნებას ჰყოლია ორი ცოლი. ერთ-ერთი წაურთმევია ვინმე ლეკიაძეს და მიუყვანია სხვისთვის. აღნიშნულ პიროვნებას მოუკლავს მისი ცოლის გამტაცებელიც და ისიც, ვისაც მისი ცოლი მიუყვანეს. ამის გამო იგი ცოლ-შვილით ომალოში გადასახლებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც მოკლავდნენ მოკლულის ნათესავები.[2935]

მთიულეთში ცოლის წართმევისათვის საჯარო ხასიათის სასჯელიც გვხვდება. მ. კედელაძის მიერ ჩაწერილი ცნობის მიხედვით, მთიულეთის ერთ-ერთ სოფელში ძველად ერთ მოძალადე ოჯახს ცოლი წაურთმევია სხვისთვის, რაც გასაჩივრებულა და ხალხს და სასამართლოს დამნაშავენი გაუმტყუნებია და მათი გაძევება გადაუწყვეტია. დამნაშავე ოჯახს ხალხისთვის პატიება უთხოვია, აღარ გავიმეორებთო. ხალხს შეუსმენია მათი თხოვნა და აღარ გაუსახლებია ისინი, მხოლოდ ხატში დაუფიცებია, რომ ძალადობას, რასაც სჩადიოდნენ, აღარ გაიმეორებდნენ. ფიცის განსამტკიცებლად კი ხატში სამანი ჩაუსვამთ.[2936] ამდენად, მთიულეთში აღნიშნული დანაშაულს შესაძლოა მოჰყოლოდა გაძევება, როგორც საჯარო სასჯელი, რომლის გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაიფიქრეს დამნაშავე მხარის მიერ მონანიების გამო.

მასალებში დანიშნული ქალის მოტაცებისათვის მთის რეგიონებში სამაგიეროს მიზღვევის თავისებური წესი გვხვდება, რაც დამნაშავის მიმართ მის მიერ ჩადენილის იდენტური მოქმედების განხორციელებაში გამოიხატებოდა.

ხევსურეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით სხვისი საცოლის/ცოლის მოტაცებას დაზარალებულის მხრიდან შესაძლოა მოჰყოლოდა მომტაცებლის თუ მისი ახლო ნათესავის საცოლის მოტაცება. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი იხსენებს მის ოჯახს გადამხდარ შემთხვევას, როდესაც მისი „ხელდაკრული" ანუ

2933 მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 11; №3, 1968, 52; №4, 1968, 74; №5, 1968-1969, 23.

2934 მ. კედელაძე, ფშაური მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 4/12, 8.

2935 გ. დავითაშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992, 1.

2936 მ. კედელაძე, სახატო მინები მთიულეთში, 1949, ნაწილი I, პირადი არქივი, მ. კ. 3/3, 75-76.

დანიშნული ქალიშვილი მოიტაცა სხვა პიროვნებამ. ამან დიდი მტრობა გამოიწვია, რაც ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბოლოს იმით „გაიბარა“ საქმე რომ იმ კაცმა, ვისზეც ინფორმატორის ქალიშვილი იყო დანიშნული, მისი სიძის (ანუ ქალის გამტაცებლის) ძმას წაჰგვარა ცოლი, რითაც გადაუხადა მის შემარცხვენელს სამაგიერო.[2937] მსგავსი შემთხვევა მომხდარი 1897 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელშიც“ გამოქვეყნდა: ერთ არხოტელ ხევსურს, გვარად ოჩიაურს სოფელ ართხმოში მცხოვრები ხევსურისათვის, გიორგი წიკლაურისთვის მოუტაცია ცოლი. მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ ოჩიაურების დანიშნულისათვის დაუწამებიათ გიორგი წიკლაურის შეყვარება. როდესაც საქმროს შეუტყვია ეს ამბავი, იგი რასაკვირველია სამაგიეროს გადახდისათვის შემზადებულა და ერთი ამხანაგით გამგზავრებულა სოფელ ჯუთისკენ, სადაც თავის მტრის ცოლი ეგულებოდა. ქალი მოიტაცეს, ის ცდილობდა თავი დაეხსნა, მაგრამ ვერას გახდა. მომტაცებელი ჯერ კავკავში გადავიდა, შემდეგ კი არხოტში. მეორე დღეს მოტაცებული ქალის გაბრაზებულ ქმარსაც აუღია საომრად ფარხმალი, მაგრამ გვიანღა იყო.[2938] ამ შემთხვევაში სხვისი საცოლის მოტაცება საკუთარი საცოლის სხვის მიერ მოტაცებისათვის საპასუხო ქმედება არ ყოფილა, თუმცა არხოტელი ხევსურისათვის მისი დანიშნულის მიერ სხვა პიროვნების შეყვარების ცნობა და მისი სავარაუდო გაყოლა მისადმი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ პიროვნების საცოლე მოეტაცა და ამით გადაეხადა სამაგიერო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როდესაც ქალის გატაცების შედეგად უკანონო ქორწინება მოხდებოდა, შესაძლოა დამდგარიყო სამართლებრივი შედეგი დამახასიათებელი როგორც უკანონო ქორწინებისათვის, ისე ქალის გატაცებისათვის. ეს უფრო მაშინ ხდებოდა, როდესაც ადგილი ექნებოდა დანიშნული ქალის მოტაცებას და შესაბამისად საქმროს მხრიდან საკმაოდ მძიმე რეაგირებას. ეს რეაგირება განპირობებული იქნებოდა არა უკანონო ქორწინებით, არამედ სწორედ მისი საცოლის მოტაცების ფაქტით. ჩვენ უკანონო ქორწინებაზე საუბრისას მოვიყვანეთ ერთი კონკრეტული მაგალითი, როდესაც უკანონო ქორწინების გამო ხევსურეთში მოხდა ნათესავების მოკვეთა, ძმობის გაყრა, ანუ ის სამართლებრივი შედეგი რაც შეიძლება სწორედ უკანონო ქორწინებას გამოეწვია. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ წაყვანილი ქალი დანიშნული იყო სხვა პიროვნებაზე, რომელსაც ქალის გამტაცებელ ვაჟთან არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა. მისთვის ეს შემთხვევა იყო არა უკანონო ქორწინება, არამედ ქალის მოტაცება, სადაც იგი დაზარალებულს წარმოადგენდა, როგორც ამ ქალის საქმრო. მას ქალ-ვაჟის ნათესავებისაგან განსხვავებით რეაქცია ჰქონდა არა უკანონო ქორწინებაზე, არამედ ქალის მოტაცებაზე. იგი თოფით მოსაკლავად დასდევდა ქალის გამტაცებელსაც და მისი მამიშვილობის წევრებსაც.[2939] ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, რომ ერთ დანაშაულებრივ ქმედებას შესაძლოა ორმაგი პასუხისმგებლობა გამოეწვია, რადგანაც ეს ქმედება სხვადასხვა დაზარალებულის მიერ განსხვავებულ დანაშაულად იქნა აღთქმული. ამას ძირითადად მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც პიროვნება ქალის გატაცებით დაარღვევდა საქორწინო აკრძალვასაც და ამავე დროს ეს ქალი იქნებოდა დანიშნული, ან „კვეთილში ჩასმული“.

2937 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 52.

2938 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, 27 მარტი, №154.

2939 ნ. ბალიაური, სნორფორობა ხევსურეთში, თბ., 1991, 94.

4.3. პასუხისმგებლობა ქვრივი ქალის მოტაცებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დანაშაულად ითვლებოდა ქვრივი ქალის ცოლად წაყვანა, მისი მოტაცება, თუ ქალი ისევ გარდაცვლილი ქმრის ოჯახში ცხოვრობდა და მშობლების სახლში არ იყო დაბრუნებული. ქალი, რომელსაც ქმარი (ან დანიშნული საქმრო) გარდაეცვალა არ ჰქონდა უფლება სხვაზე გათხოვებისა, მანამ, სანამ მას გარდაცვლილი ქმრის (დანიშნულის) ახლობლები „თავს არ დაანებებენ", არ გაისტუმრებენ სახლში, არ ჩააბარებენ თავის მშობლებს და სახალხოდ არ გამოაცხადებენ „თავის დანებების" შესახებ.[2940] ქვრივის გატაცება „თავის დანებებამდე" ქალის გარდაცვლილი ქმრის ოჯახის უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა და მას აუცილებლად მოჰყვებოდა საპასუხო რეაქცია ქალის წამყვანის მიმართ. ქვრივის ქმრეულები აუცილებლად გადაემტერებოდნენ ქვრივის გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან გამტაცებლებს.[2941]

ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო შემთხვევას ვხვდებით ალ. ოჩაიურის მასალებში. მისი ხევსური ინფორმატორი იხსენებს: სუიკათ მამის კაცი იყო მანგიათ აპარეკა, რომელმაც ცოლად მოიყვანა შატილიონი ქალი, თოთიათ თარუა. იგი ანატორელი ხვთისოს ნაცოლარი იყო. აპარეკას ანატორელებთან დიდი ბრძოლებიც ჰქონია და ბოლოს შუაკაცებს შეურიგებიათ. თარუასთან აპარეკას ვაჟიც ყავდა და ცხოვრობდნენ კარგა ხანს. მერე აპარეკა ციხეში მომკვდარა და თარუა დარჩენილა ქვრივი. ამ თარუას მაზლის, ტუჩას ცოლიც ქვრივი იყო. მან თავისი ქვრივი მაზლის ცოლი დაუახლოვა ვინმე ბათირათ კვირიკას. ჯერ მეგობრები იყვნენ და ბოლოს კვირიკამ ცოლად წაიყვანა თარუა და მითხოში (ქისტების სოფელში) გაიქცა. ინფორმატორის განმარტებით: „ხევსურეთის წესით, ცოლი მანამ ქმრის სახლში არის, გათხოვება არ შეიძლება. თუ ვინმე ქმრის სახლიდან წაიყვანა ქვრივი ან ქმრიანი ქალი, ეს უეჭველად უნდა მოკლან ან სამუდამოდ შერცხვენილი უნდა დარჩეს მთელი გვარი..... მამის სახლიდან უფლება აქვს გათხოვდეს....." თუ ქმრის სახლიდან წაიყვანდნენ ქვრივ ქალს, მომტაცებელს მესისხლეს მსგავსად არ დაედევნებოდნენ, თუმცა შეეცდებოდნენ მისთვის რაიმე ევნოთ, დაეჭრათ, შესაძლოა მოეკლათ კიდევაც. თუ ქვრივ ქალს მისი ქმრეულები რაიმე საეჭვოს შეამჩნევდნენ, ეტყოდნენ: „ჩამოშორდი, ეგ კაცი არ მოგვაკვლევინოო". ასეთი ქალი შესაძლოა მშობლების სახლში გაესტუმრებინათ, რადგანაც ეშინოდათ მისი გატაცების და შესაბამისად, შეურაცხყოფის. აღნიშნულ შემთხვევაშიც ქვრივი ქალის წაყვანა მოხდა გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან. აპარეკას უმცროსი ძმა დარჩა – გიორგი. ქვრივი რძალი რომ გაუთხოვდა მკვდარი ძმის ოჯახიდან, გიორგიმ ქუდი მოიხადა და თავზე შალი მოიხვია: „მე კვირიკამ თავზე ქუდი მომხადა და ახლა დიაცის თავსახვევი უნდა ვატარო. კაცს ნუღარავინ დამიძახებთო, მანამ კვირიკას არ მოვკლავო." დადიოდა გიორგი თავშლით და ცდილობდა კვირიკას მოკვლას, მაგრამ იგი ძალიან ფრთხილობდა, რადგან იცოდა, სუიკანი ავი ხალხი იყო და აუცილებლად მოკლავდნენ, თუ მას ხელში ჩაიგდებდნენ. კვირიკა უგზავნიდა შუაკაცებს (ხან ქისტებს, ხან შატილოვნებს) და სთხოვდა შევრიგებას. მზად იყო რასაც შეუთვლიდნენ ყველაფერი გადაეხადა. გიორგი და სუიკანი ასე პასუხობდნენ: „რად უნდა შერიგება, ის მითხოს ზის და ჩვენ აქა ვართ. ჩვენ იქ ხომ ვერ მო-

2940 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 122-123; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 43.

2941 მ. ბალიაური, იქვე.

ვკლავთ და იყოს ეგრე, რა აშინებსო." კვირიკა მითხოს არ სცილდებოდა, თუმცა ერთხელაც ღამით მუცოსკენ შეიარა, სადაც მოკლეს კიდეც გიორგიმ და მისმა ორმა სახლიკაცმა. კვირიკას გვარიდან მისი ყველაზე ახლობელი დარჩა გუგო. მან სუიკათ მოთხოვა სრული კაცის თავი, მაგრამ სუიკანი არ დათანხმდნენ. ბოლოს რჯული ჩატარდა და სუიკათ დააკისრეს ნახევარი თავი, ხოლო ნახევარი თავი გარდაცვლილის ცოლის წაყვანაში გააბრეს. მერე უყენეს ხევსურეთის რჯულით გათვალისწინებული რიგის ნახევარი.[2942] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში ქვერივი ქალის წაყვანა მისი გარდაცვლილი მეუღლის ოჯახიდან ფაქტიურად ისევე აღიქმებოდა, როგორც ცოცხალი ქმრის სახლიდან ცოლის მოტაცება. შედეგი საკმაოდ მძიმე შეიძლება ყოფილიყო. ამ კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, გარდაცვლილის ნათესავებმა თავი უკიდურესად შეურაცხყოფილად ჩათვალეს და ეს სირცხვილი ქვრივის წამყვანის მოკვლით ჩამოირეცხეს. სამედიატორო სასამართლოს („რჯულის") გადაწყვეტილებამ კი გვიჩვენა, რომ ქვრივი ქალის გარდაცვლილი ქმრის ოჯახიდან წაყვანა, როგორც დანაშაული, შეფასდა ნახევარ სისხლად, ანუ 30 ძროხად. ეს კი საცოლის/ცოლის წართმევისათვის ხევსურული რჯულით განსაზღვრული მაქსიმალური სახდელია. ამდენად, ქვრივის წაყვანა ყოფილი ქმრის სახლიდან, მიუხედავად იმისა ქალის თანხმობით მოხდა, თუ ამის გარეშე, დაზარალებულთა მხრიდან ისეთივე რეაქციას იწვევდა, როგორსაც საცოლის/ცოლის წართმევა და შერიგების შემთხვევაშიც იგივე ოდენობის დრამის გადახდას ითვალისწინებდა. როგორც დავინახეთ, ნ. ხიზანაშვილის და ბ. გოგოჭურის მონაცემით, საცოლის/ცოლის წართმევისათვის გადასახდელის საზღაურის ოდენობა შესაძლოა ყოფილიყო 30 ძროხა. ეს მაგალითი ასევე ადასტურებს, რომ ქალის მოტაცების გამო მკვლელობისათვის ხევსურეთში თავის დადებას ადგილი მაინც ჰქონდა.

გასაკვირი არაა, რომ ბ. გოგოჭური ქვრივის მოტაცებას, მის ცოლად წაყვანას „ცოლის წართმევად" განიხილავს, სწორედ სხვისი ცოლის/საცოლის მოტაცებასთან ერთად და ამ ქმედებისათვის ზუსტად იგივე სამართლებრივ შედეგს მიუთითებს, რაც ცოლის/საცოლის მოტაცებას მოჰყვება ხევსურული რჯულით, კერძოდ, 25 ან 30 ხელითი ძროხის გადახდა შერიგებისას და დამნაშავის შესაძლო მკვლელობა თუ დაჭრა-დასახიჩრება წაყვანილი ქვრივის გარდაცვლილი ნათესავების მხრიდან.[2943] ეს უკანასკნელნი ამ დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულებად ითვლებიან, რადგანაც მათ უკითხავად ქვრივის წაყვანა სწორედ მათი პატივისა და ღირსების შემლახავ ქმედებას წარმოადგენს.

საერთოდ, ქვრივ ქალს ხევსურეთში, მიუხედავად იმისა ჰყავს თუ არა შვილები, ქმრის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში არა აქვს უფლება სხვაზე გათხოვების. მას „მკვდრის ცოლს" უწოდებენ. ერთი წლის შემდეგ თუ იგი დაბრუნდა მამის სახლში, მისი შვილები აუცილებლად ქმრის ოჯახში რჩებიან და იქ იზრდებიან. ქმრის ნათესავები თავს ანებებენ მამის სახლში წასულ ქვრივს, რომელიც იღებს „სათავნოს", „ნამაშვრალს", „ერთი წლის სარჩოს" და სხვა. თუ „მკვდრის ცოლი" სხვაზე გათხოვდა, მაშინაც კი, როდესაც მის ყოფილ ქმრეულებს მისთვის თავი დანებებული აქვთ, მისი ახალი ქმარი ვალდებულია მისი ცოლის ყოფილი ქმრის (დანიშნულის) ოჯახს მიუყვანოს ერთი საკლავი

2942 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, პირადი არქივი, ა. ო. 7/10, 109-111.

2943 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143.

მაინც.[2944] როგორც ჩანს, „თავის დანებების“ შემდეგაც ქვრივი და მისი წამყვანი ქვრივის ყოფილი ქმრეულების მიმართ გარკვეულ მორიდებას გრძნობენ და მათ მიმართ პატივისცემის გამოსახატავად და როგორც ჩანს გარდაცვლილი ქვრის (დანიშნულის) სულის მოსახსენებლად მიყავთ საკლავი.

ქვრივის მოყვანის აკრძალვას ხევში აფიქსირებს ალ. ყაზბეგი. მის ერთერთ ეთნოგრაფიული წერილში ვკითხულობთ: „ქვრივის შერთვა საშინელს და მოუსვენებელ მტრობას ჩამოაგდებს იმათ შორის, რომელი სახლის რძალიც იყო და იმ სახლის შუა, რომლებშიც ითხოვენ. ეს წინააღმდეგობა უწინ თავდებოდა ხოლმე ქვრივის შეხვეწნით, რომელიც უნდა ჩამოსულიყო წინანდელს მაზლებთან შეძლებისამებრ არაყით, ორი საკლავი ცხვარით, პურით და ყველით. მთელი გვარეულობა უნდა დაეპატიჟებინა ხოლმე იმ სახლისა, სადაც წინ რძლად ითვლებოდა. ამ შერიგების შემდეგ ესენი სამუდამოთ დამოკეთდებოდნენ და შფოთი და წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა იმათ შორის. ეს სახლიც თავის მხრით გამოუტანდა საჩუქარს.“[2945] აქ საუბარია ქვრივის ჩუმად გათხოვებაზე, რის გამოც, ქვრივის ზანდუკი, რომელიც მას მზითვად ჰქონდა მიტანილი, ყოფილი ქმრის სახლში რჩებოდა. სანამ ეს ქვრივი იქ ხვეწნით არ მივიდოდა, ზანდუკსაც არ დაანებებდნენ.[2946]

ამდენად, ხევშიც ხევსურეთის მსგავსად ქვრივის წაყვანა გარდაცვილილი ქმრის ოჯახის შეურაცხყოფად აღიქმებოდა, რაც მტრობის გამომწვევი იყო. მხარეების შერიგება გარკვეული გადასახადის გადახდით იყო შესაძლებელი. ამდენად, ხევში ქვრივი ქალის ცოლად წაყვანა ითვლებოდა დანაშაულად, რასაც მოჰყვებოდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. ფშავშიც ქვრივი ქალის წამყვანს მისი გარდაცვლილი ქმრის ნათესავები, ძმები გადაემტერებოდნენ და შესარიგებლად მას თავის ცოლის ყოფილი მაზლებისთვის ან დედამთილ-მამამთილისათვის უნდა მიეცა ხუთი ძროხა, რომელსაც „საქვრივო“ ერქვა.[2947] როგორც ვხედავთ, ფშავისა და ხევის მონაცემებით, საერთოდ, ქვრივის მოყვანა მისი გარდაცვლილი ქმრის ნათესავების ნებართვისა და განსაზღვრული გადასახადის გადახდის გარეშე ამ უკანასკნელთა საკმაოდ მძაფრ რეაქციას იწვევდა.

4. 4. პასუხისმგებლობა ქალის მოტაცებისათვის საქართველოს სხვა კუთხეების (გურია, იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, მესხეთი) ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. საქართველოს ზოგიერთი კუთხის (მაგალითად, გურიის, იმერეთის სამეგრელოს, ლეჩხუმის) მასალების მიხედვით, ქალის მოტაცება ასევე აღიქმებოდა ქალის ოჯახის შეურაცხყოფად და შესაძლებელია ქალ-ვაჟის ოჯახებს შორის მტრობაც ჩამოვარდნილიყო და მკვლელობაც მომხდარიყო, თუმცა მასალების მიხედვით, ძირითადად მაინც დავა მხარეებს შორის მშვიდობიანად გვარდებოდა და ისეთი მძაფრი რეაქცია არ მოჰყვებოდა, როგორც ზემოთგანხილულ მთიან კუთხეებში.

მაგალითად, გურული ინფორმატორი მიუთითებს, რომ „დაშარნული“ (დანიშნული) ქალი თუ სხვას გაჰყვებოდა, მაშინ „შარნა“ (ნიშანი) უნდა დაებრუ-

2944 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 116; მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/3, 122-123.

2945 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, 508-509.

2946 იქვე, 509.

2947 ვაჟა-ფშაველა, ფშაელების ძველი სამართალი და საოჯახო ყოფა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 75.

ნებინათ.[2948] რაიმე სამაგიეროს გადახდაზე, თუნდაც ქალის ყოფილი საქმროს მხრიდან, ინფორმატორი არაფერს ამბობს. როგორც ჩანს, გურიაში ქალის გატაცება, თუნდაც დანიშნულის, XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორთა ხსოვნაში რაიმე მძიმე სამართლებრივი შედეგის გამომწვევი არ იყო. იმერელი ინფორმატორების მიხედვით კი ქალის მოტაცება იშვიათად ხდებოდა, თუმცა ძირითადად არა იძულებით, არამედ ქალის ნებით. რაიმე ჩხუბი, მტრობა, სისხლისღვრა ამას არ მოჰყვებოდა. მხარეებს უფროსი კაცები შეარიგებდნენ და რაიმე გადასახადის გადახდას ადგილი არ ჰქონდა.[2949] იგივე დამოკიდებულებას ვხვდებით სამეგრელოში ჩაწერილი მონაცემებითაც. ერთ-ერთი აქაური ინფორმატორი საუბრობს, რომ ქალის მოტაცება საცოლედ სირცხვილად ითვლებოდა, ხოლო ამისათვის შესაძლო პასუხისმგებლობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უკავშირებს.[2950] ამით მიუთითებს რომ თვითგასწორებას ქალის მოტაცებისას, როგორც წესი, ადგილი არ ჰქონდა და ამ ქმედებისათვის დასჯა სახელმწიფოს მიერ თუ ხდებოდა. ლეჩხუმშიც ქალის მოტაცებას ძირითადად შურისძიება არ მოჰყვებოდა და საქმე შერიგებით სრულდებოდა.[2951] ადგილობრივი ინფორმატორი იხსენებს მისი ოჯახის ისტორიას, კერძოდ, ბაბუამისის მიერ დანიშნული ქალის მოტაცების ფაქტს. მომტაცებლები სახლში შესულან, ქალი აივნიდან ჩამოუგდიათ, სხვებს ქვემოთ დაუჭერიათ და ისე მოუტაციათ. ქალის ყოფილი საქმრო გულმოსული იყო ინფორმატორის ბაბუაზე, თუმცა მას ვერაფერი გაუბედა, ხოლო შვილებში ეს მტრობა განელდა. ასეთ შემთხვევაში ნიშანს, ცხადია, უკან აბრუნებდნენ.[2952]

გარკვეული მონაცემები ქალის მოტაცების შესახებ გვხვდება მესხეთში ჩაწერილ მასალაშიც. ადგილობრივი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გატაცებული ქალი უკან დააბრუნეს, რადგანაც ასეთი ქმედება დაუშვებელი იყო.[2953] რაიმე მტრობის ჩამოვარდნაზე ინფორმატორი არ საუბრობს, რაც მიუთითებს, რომ საქართველოს ამ რეგიონშიც ქალის მოტაცებას, სავარაუდოდ, მთის რეგიონების მსგავსი შედეგი არ მოჰყვებოდა.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში გვხვდება ამ კუთხეებში ჩაწერილი კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ქალის მოტაცებას საცოლედ მტრობის ჩამოვარდნა და ვითარების გამწვავება მოჰყვა. მაგალითად, იმერელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ქალი გაიტაცეს (სოფელ ზვარედან სოფელ ჩრდილში). სოფლის თავკაცმა შეძლო მხარეების მორიგება, თორემ ვითარება ისე იყო გამწვავებული, რომ შესაძლოა მკვლელობითაც დასრულებულიყო.[2954] მიუხედავად მხარეთა შორის დაპირისპირებისა, ამ შემთხვევაშიც საქმე მორიგებით დასრულდა. ლეჩხუმში ჩაწერილ მასალაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც გამტაცებელს მოუკლეს ძმა, ასევე ერთი კაცი მოკვდა მეორე მხრიდა-

---

2948 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 4.

2949 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 29, 32; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10.

2950 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 1.

2951 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 2.

2952 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25-26.

2953 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 88-89.

2954 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7.

ნაც. ეს ამბავი გახმაურებულა და დამნაშავეები ხელისუფლებას დაუსჯია.[2955] ლეჩხუმელი ინფორმატორების ცნობით ქალის გატაცებას მკვლელობა უფრო გატაცების მომენტში შეიძლება მოჰყოლოდა. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც სოფელ ლაჯანაში ქალის გატაცებას შეესწრო ამ უკანასკნელის ახლობელი, რომელმაც ერთ-ერთი გამტაცებელი თოფით მოკლა. გამტაცებლები ძმები იყვნენ, ისინი სახლში შევარდნენ და მკვლელი დანით მოკლეს, თუმცა ქალის წაყვანა ვერ შეძლეს. სასამართლომ ძმები გაასამართლა, ხოლო ამ ამბავს შურისძიება აღარ მოჰყოლია.[2956] ქალის ახლობლები მის გატაცებას თუ შეესწრებოდნენ, ბუნებირივია, ნებისმიერ კუთხეში შეეწინააღმდეგებოდნენ ქალის მომტაცებლებს, ხოლო შედეგი შესაძლოა ამ მძაფრი დაპირისპირების შედეგად საკმაოდ მძიმე ყოფილიყო. ქალის გატაცების მომენტში ქალის ახლობლებსა და გამტაცებლებს შორის დაპირისპირების შედეგად მძიმე შედეგის დადგომა არ შეიძლება განვიხილოთ ქალის გატაცებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ხარისხის მახასიათებლად.

როგორც ჩანს, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში ამ კუთხეებშიც შესაძლებელი იყო ქალის მოტაცებას მძიმე შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ თუ ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით არ იყო დაკავშირებული საქორწინო აკრძალვის დარღვევასთან, მხარეებს შორის დავა ძირითადად მაინც მშვიდობიანად, მორიგებით სრულდებოდა.

ქალის მოტაცებას ძირითადად რეაქცია ქალის ახლობლების, საქმროს/ქმრის მხრიდან მოჰყვებოდა ხოლმე, რაც ამ დანაშაულისათვის სასჯელის კერძოსამართლებრივ ხასიათზე მიუთითებს. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ქალის გატაცებისათვის საჯარო სასჯელის გამოყენებასაც ვხვდებით. კერძოდ, ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ქალის გამტაცებელი სოფელმა დასაჯა. ლეჩხუმელი ინფორმატორი იხსენებს გასული საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ შემთხვევას, როდესაც პიროვნებამ ცოლად მოყვანის მიზნით მეზობელი ქალი მოტყუებით მოიტაცა. ქალი დააბრუნებინეს, თუმცა შეიკრიბა სოფლის ყრილობა, რომელმაც ვაჟის ოჯახის სოფლიდან გაძევება მოითხოვა. შემდეგ საქმეში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ჩაერიენ და გამტაცებელი სახელმწიფოს კანონებით დაისაჯა.[2957] აქ ქალის გატაცებისათვის საჯარო სასჯელის, გაძევების გამოყენება განპირობებული იყო ქალ-ვაჟის თანასოფლელობით. სოფელმა მიზანშეუწონლად მიიჩნია სოფელში მსგავსი საქციელი და პრევენციის, მსგავსი შემთხვევის განმეორების თავიდან აცილების მიზნით მოითხოვა დამნაშავის და მისი ოჯახის გაძევება. აჭარაში დაფიქსირებული მონაცემის მიხედვით კი კაცს რომელიც თავის სოფელში მეზობელს ცოლს წაართმევდა, იმას მთელი სოფელი გააძევებდა სოფლიდან.[2958] როგორც ვხედავთ, თანასოფლელის თუ თანასოფლელის ცოლის მოტაცებას შესაძლოა სოფლის მხრიდანაც გამოეწვია რეაქცია მომტაცებლისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის დაკისრებით. ამ რეგიონებში თანასოფლელობა საქორწინო აკრძალვად არ

2955 დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 31.

2956 გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25, 26.

2957 იქვე, 9-10.

2958 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 80.

ფიქსირდება და ამდენად სოფლის მიერ განსაზღვრული ეს სასჯელი სწორედ ქალის გატაცებისათვის უნდა ყოფილიყო დადგენილი.

ბოლოს დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ რომ ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით საქართველოში XX საუკუნეში, განსაკუთრებით მთის რეგიონებში, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. აღნიშნული ქმედება ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულად ითვლებოდა. ზოგიერთი კუთხის მონაცემების თანახმად ქალის მოტაცება მისი ნების საწინააღმდეგოდ უფრო მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა და მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ქალი ვაჟს მისი ნებით გაჰყვებოდა. ეს ზოგადად დამახასიათებელია ქართული სამართლებრივი ტრადიციისათვის. კერძოდ, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ცოლის წაგვრა ქალის ნების საწინააღმდეგოდ, ძალით უფრო მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა, ვიდრე ცოლის საკუთარი ნებით გაყოლა სხვისადმი.[2959]

ქალის მოტაცების, როგორც დანაშაულის სუბიექტად ითვლებოდა როგორც ქალის გამტაცებული მამაკაცი, ისე გატაცებული ქალი, თუ გატაცება მისი თანხმობით მოხდებოდა. ამას მიუთითებს ის გარემოება, რომ თუ ქალი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ გაყვებოდა ვაჟს, მისი ნათესაეები მას გარკვეული ხნით მოიკვეთდნენ. ცნობილია, რომ ძველად მშობლების ნებართვის გარეშე დაქორწინება მიუღებლად ითვლებოდა და მშობლების მხრიდან შესაბამის რეაქციას იწვევდა. დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდნენ ქალის ოჯახი, ხოლო გათხოვილი/დანიშნული ქალის მოტაცებისას ასევე მისი ქმარი/საქმრო. დანაშაული ხელყოფდა ქალის ოჯახის, განსაკუთრებით ქალის საქმროს/ქმრის პატივსა და ღირსებას, ქალის თავისუფლებას მისი ნების საწინააღმდეგოდ მოტაცების შემთხვევაში. დანიშნული/გათხოვილი ქალის მოტაცება ცხადია მეტად შეურაცხმყოფელი იყო მისი საქმროსთვის/ქმრისათვის და ძირითადად უფრო მძაფრ რეაგირებას იწვევდა, ვიდრე დაუნიშნავი თუ გაუთხოვარი ქალის მოტაცება. შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევაში თავისუფალი ქალის მოტაცებასაც უაღრესად მძიმე შედეგი მოჰყოლოდა, მათ შორის მკვლელობის თუ ოჯახის დარბევის სახით, თუმცა საცოლის/ცოლის მოტაცება, განსაკუთრებით მთის რეგიონებში იმდენად დიდ, სასიკვდილო შეურაცხყოფას წარმოადგენდა, რომ დამნაშავის მკვლელობა თუ ჩამორეცხდა დაზარალებულს სამარცხვინო ლაქას.

განსახილველ დანაშაულს საპასუხო რეაქცია ძირითადად დაზარალებულთა მხრიდან მოჰყვებოდა, უმეტესად შურისძიების სახით, რაც აღნიშნულ დანაშაულს კერძო-სამართლებრივ ხასიათს ანიჭებს. ცალკეული მონაცემები საზოგადოების მხრიდან დამნაშავის დასჯისა გამონაკლისია და ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მხოლოდ თანასოფლელის მოტაცების შემთხვევაში გვხვდება. დამნაშავის პასუხისმგებლობა კი შესაძლოა გამოხატულიყო: 1. დამნაშავის დაჭრასა და მკვლელობაში, 2. მისი ოჯახისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებაში (ოჯახის დარბევა, პირუტყვის წართმევა, ქონების განადგურება), 3. დამნაშავის მოკვეთაში სოფლის მიერ, 4. დამნაშავის მოკვეთაში ნათესაობის მიერ (ფიქსირდება ხევსურეთში), 5. დაზარალებულის (მხედველობაშია მოტაცებულის საქმრო) მიერ დამნაშავის თუ მისი ახლობლის ცოლის/საცოლის მოტაცებაში (ფიქსირდება ხევსურეთში), 6. დაზარალებულის მიერ დამნაშავის

2959 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 502-503.

კერიის შეურაცხყოფაში (ფიქსირდება სვანეთში), 7. შერიგების შემთხვევაში გარკვეული ქონებრივი საზღაურის გადახდაში.

ძალზედ საინტერესოა XX საუკუნის ეთნოგრაფიულ მასალაში ქალის გატაცებისას დაზარალებულის მხრიდან რეაგირების ძველი ფორმის, დამნაშავის ოჯახის დარბევის შემორჩენილობა. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდება, რომლის მიხედვითაც თუ კაცს ცოლს წაგვრიდნენ, მას უფლება ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ემტრო მომტაცებლისთვის: „.....დაწვასა, მოტაცებასა, დარბევასა, – არა მიეფასოს, რა რიგად წაუღოს სისხლის ქნისაგან მეტი." (მუხ. 22).[2960] ამ მუხლის მიხედვით ჩანს, რომ კანონმდებელი მეფე გარკვეულწილად იძულებულია ანგარიში გაუწიოს მთიულეთში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებას, იმას რომ ცოლის მოტაცება უკიდურესად შეურაცხმყოფელ ქმედებას წარმოადგენდა ამაყი მთიელისათვის და ფაქტიურად უშვებს ამ შემთხვევაში შურისძიების განხორციელების უფლებას, შეზღუდულს გარკვეული ვადით. შურისძიების ნებადართული აქტი კი დაზარალებულის მხრიდან სწორედ დამნაშავის ოჯახის დარბევას გულისხმობდა, რაც გვიჩვენებს რომ სწორედ ეს ქმედება წარმოადგენდა ძველთაგანვე მიღებულ პასუხის გაცემის ფორმას ქალის (ცოლის) მოტაცებისათვის. ფშავში შემონახული მდევრების მიერ ოჯახის დარბევის შინაარსი სწორედ ძველი პერიოდის გამოძახილი უნდა იყოს. ხევსურეთში ჩამოყალიბებული ქალის გამტაცებლის „ბანზე შეხტომის" წესი, რომელსაც აქ გატაცებული ქალის ახლობლები მიმართავდნენ ნ. ხიზანაშვილის მონაცემების მიხედვით, შედარებით გვიანდელ წესად ჩანს და ოჯახის დარბევის ერთგვარ სიმულაციას უნდა წარმოადგენდეს.

5. „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა

ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის ჩვეულებითი სამართალი იცნობს ქმრის, საქმროს მიერ, ცოლის, საცოლის „კვეთილში ჩასმას". ჩვენ „კვეთილში ჩასმა", როგორც სასჯელი, განხილული გვაქვს ნაშრომში, რომელიც ეხება სასჯელთა სახეებს ქართულ ჩვეულებით სამართალში.[2961] აქ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, როდესაც ქმარი (საქმრო) მის დამწუნებელ ცოლს, საცოლეს მისგან თავისუფლებას მისცემდა, შესაძლოა იგი „კვეთილში ჩაესვა", რაც გულისხმობდა ქალისათვის ყოფილი ქმრის მიერ ქორწინების უფლების ჩამორთმევას. ეს შეიძლება ყოფილიყო ქორწინების უფლების ჩამორთმევა, მისი აკრძალვა კონკრეტულ პირთან (რომელზედაც ეჭვი იყო, რომ მისი გულისთვის მოხდა ცოლის, საცოლის მიერ ქმრის, საქმროს დაწუნება), კონკრეტულ სოფლებში (სოფელში), ასევე ქორწინების აკრძალვა, გარკვეულ ტერიტორიაზე დაქორწინების დაშვების მითითებით.[2962] ხევსურეთში „კვეთილში ჩასმა" შეიძლება ყოფილიყო უვადოც და ვადიანიც.[2963] ფშაური მონაცემებით, ქორწინების საერთოდ აკრძალვა ფიქსირდება. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას მიხედვით, როდესაც ქალი იწუნებდა ქმარს და

2960 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 411.

2961 იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 527-531.

2962 იქვე, 530.

2963 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 142.

ცდილობდა მასთან განშორებას, თან ღალატს ადგილი არ ჰქონდა, ასეთ ცოლს ქმარი უფლებას აძლევდა ეცხოვრა იქ, სადაც სურდა, თუმცა უკრძალავდა სხვა კაცზე გათხოვებას. ეს ჩვეულება „კვეთილში ჩასმად" იწოდებოდა.[2964] „კვეთილში ჩასმული" ქალისათვის გათხოვების სრულ აკრძალვას და „საუკუნოდ უქმროდ დარჩენას" ეხვდებით ნ. ხიზანაშვილთან ხევსურეთზე საუბრისას.[2965] იგივე ფიქსირდება მ. ბალიაურთანაც. მისი განმარტებით, როდესაც საცოლის მიერ დაწუნებული საქმრო ვეღარაფრით შეძლებდა ქალის თავისთან დატოვებას, მაშინ მას „საქმრიანობას უკვეთდა," ე. ი. ის ნებას არ მისცემდა, რომ სხვა მამაკაცზე გათხოვილიყო.[2966] თუმცა აღსანიშნავია, რომ ხევსურეთში დაფიქსირებულ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში „კვეთილში ჩასმულისათვის" გათხოვების სრული აკრძალვა მხოლოდ ამ ავტორებთან გვხვდება. აქვე აღსანიშნავია, რომ მ. ბალიაურთანაც ფიქსირდება ქმრის/საქმროს მიერ დამწუნებელი ცოლის/საცოლეს გათხოვების აკრძალვა კონკრეტულ პიროვნებაზე. მისი თქმით, ქმარი კონკრეტულ პირზე ქორწინებას დამწუნებელ ცოლს მაშინ უკვეთდა, როდესაც ქალი მას კონკრეტული მამაკაცის გამო იწუნებდა. როდესაც ქალი ქმარს სამუდამოდ დაანებებდა თავს, გაყრა რჯულის მეშვეობით ხდებოდა, რომელზეც დაწუნებული ქმარი იტყოდა, რომ იგი ქალს თავს ანებებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქალს უკვეთს გათხოვებას ამა და ამ სოფელში. ქმარი არ დაასახელებდა კონკრეტულად იმ პიროვნებას, ვისზეც ეჭვობდა, რომ ცოლმა/საცოლემ იგი მისი გულისთვის დაიწუნა, თუმცა უკვეთდა ქორწინებას ცოლს /საცოლეს იმ სოფელში, სადაც ეს მამაკაცი ცხოვრობდა. იმ სოფლის მკვიდრის გარდა კი მას ნებისმიერ პიროვნებაზე დაქორწინების უფლება ჰქონდა. ამის შემდეგ ქალს არ ჰქონდა უფლება „ნაკვეთ" სოფლებში გათხოვილიყო, არც ამ სოფლის მკვიდრ მამაკაცს ჰქონდა უფლება მისი ცოლად მოყვანის.[2967] ხევსურული მასალების მიხედვით, „კვეთილში ჩასმა" უფრო ჯერ კიდევ წაუყვანელი საცოლის თუ ცოლის ხდებოდა.[2968]

ფშავში „კვეთილში ჩასმის" თავისებურ ფორმასაც ვხვდებით. ს. მაკალათიას მიხედვით, ფშავში ქალი შესაძლოა „კვეთილში ჩაესვა" არა მის საქმროს, ქმარს, არამედ მის მთხოვნელს. ამით იგი სხვა კაცზე გათხოვებას უკრძალავდა მის სასურველ ქალს და ამით უპირატესობის მოპოვებას ლამობდა ამ ქალის მოყვანის სხვა პრეტენდენტთან შედარებით. ქალს თუ ორი მთხოვნელი გამოუჩნდებოდა ერთ-ერთი დასწრებაზე საჯაროდ გამოაცხადებდა, რომ ესა და ეს ქალი ჩემი საცოლეა, არავინ შემეცილოს და, ვინც გაბედავს, ახლავე მტრობას ვუცხადებო. ამის თქმას ვინც პირველად დაასწრებდა, ქალიც მასზე უნდა გათხოვილიყო ან სამუდამოდ გაუთხოვარი დარჩებოდა.[2969]

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა, როგორც დანაშაული და მისთვის გათვალისწინებული სასჯელი და არა

2964 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 79.

2965 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 43.

2966 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 52.

2967 იქვე, 54-55.

2968 გ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 134.

2969 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 138.

„კევთილში ჩასმის“, როგორც ინსტიტუტის შინაარსი.

ფშავ-ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ყოფილი ცოლისათვის ქორწინების ზემოთაღნიშნულ აკრძალვას თუ შეზღუდვას სავალდებულო წესად თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი კერძო პირის მიერ იყო დადგენილი. „კევთილში ჩასმა“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აღნიშნულ კუთხეებში ჩვეულებას წარმოადგენდა და მისი პირობების დარღვევა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. ამ პასუხისმგებლობის ხასიათს განაპირობებდა ის გარემოება, რომ „კევთილში ჩასმის“ პირობების დარღვევა, ანუ „კევთილში ჩასმული“ ქალის ცოლად წაყვანა იმ პირის მიერ ვისაც ეს კევთილობის ძალით აკრძალული ჰქონდა, ყოფილი ქმრის, საქმროს (ქალის „კევთილში ჩამსმელის“) უდიდეს შეურაცხყოფას და ღირსების შელახვას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ყოფილი ცოლის „კევთილში ჩამსმელის“ (ამ შემთხვევაში დაზარალებულის) ღირსების აღდგენა მხოლოდ დამნაშავის („კევთილში ჩასმულის“ ცოლად წამყვანის) მიმართ შურისძიების განხორციელებით იყო შესაძლებელი. ეს კარგად ჩანს ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალაში. კერძოდ, ალ. ოჩიაურის მიხედვით, თუ „კევთილში ჩასმულს“ სწორედ ის პირი წაიყვანდა ცოლად, რომელზე გათხოვებაც აკრძალული ჰქონდა, ყოფილი ქმარი მას როგორც მესისხლეს დაედევნებოდა და თუ ხელში ჩაიგდებდა აუცილებლად მოკლავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უდიდესი სირცხვილი იქნებოდა.[2970] ბ. გაბუურის, ნ. ხიზანაშვილის, ს. მაკალათიას, ბ. გოგოჭურის, მ. ბალიაურის მიხედვითაც, ასეთი შემთხვევა შურისძიებას, მტრობას და დამნაშავის მკვლელობას თუ დაჭრას იწვევდა.[2971] როდესაც პიროვნება ყოფილ ცოლს, საცოლეს გარკვეულ სოფელში (სოფლებში) „უკვეთდა“ ქორწინებას და იგი მაინც ამ „ნაკვეთ“ სოფელში გათხოვდებოდა, ყოფილი ქმარი ქალის წამყვანს ან მოკლავდა, ან დაჭრიდა.[2972] მ. ბალიაურის თანახმად, ვაჟის გვარი ნებას არ რთავდა იმ ქალზე დაქორწინებას, რომელსაც მათ სოფელში ქორწინება „ნაკვეთი“ ჰქონდა, რადგანაც არავის მტრად გადაკიდება არ სურდა. თუ ვაჟი მაინც არ დაიშლიდა და ამ ქალს ცოლად მოიყვანდა, ქალის პირველი ქმარი მას მოსაკლავად დაედევნებოდა და მისი მოსისხლე მტერი გახდებოდა. ხმალ-ხანჯლით კი არ შეებრძოლებოდა, არამედ პირდაპირ თოფს ესროდა. ორი გვარის წარმომადგენლები ერთმენეთთან შეხვედრისას არ დაინდობდნენ ერთმანეთს.[2973] ხევსურეთში მკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ „ნაკვეთი ქალის“ წაყვანა იყო.[2974] ამის გამო „კვეთილიან“ ქალს იშვიათად ვინმე ირთავდა, რადგან მტრის გაჩენა ხევსურეთში საძნელო საქმე იყო და თუ ასეთი შემთხვევა მოხდებოდა ეს განპირობებული იქნებოდა ქალის სილამაზით, კარგი „თესლჯილაგით“, მისი დაფასებულობით, მშრომელობით და სხვა. ასეთი ქალის გამო შესაძლოა მტრის გადაკიდებასაც არ მორიდებოდნენ, მითუმეტეს თუ ვაჟი ამაყი პიროვნება იყო

2970 ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/4, 38; იქვე, 7/10. 110; იქვე, 7/13, 152.

2971 ნ. ხიზანაშვილი, იქვე; ბ. გაბუური, იქვე; 135; ს. მაკალათია, იქვე; ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 142; მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 52-53, 55.

2972 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 116.

2973 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 57-58.

2974 ბ. გაბუური, იქვე, 136.

და მტრისადმი დახვედრის იმედიც ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კვეთილიანს არავინ შეირთავდა. ამიტომ „კვეთილიანი" ქალი ხშირად შინ უქმროდ ბერდებოდა.[2975] შესაძლო სირცხვილის თავიდან ასაცილებლად ქმარი, რომელმაც ცოლი კვეთილში ჩასვა, მის დაჭრა-დასახიჩრებას ჩქარობდა, რომ მისი წაყვანის სურვილი არავის ჰქონოდა. მაგალითად, პირაქეთ ხევსურეთში ქალს ქმარი დაუწუნია, რის გამოც იგი ქმარს კვეთილში ჩაუსვამს. მიუხედავად ამისა ქმარი მაინც ეძებდა დროს რომ ქალი როგორმე დაეჭრა და სირცხვილი მოეშორებინა. ერთხელ ეს ქალი და მისი რძალი ტყეში თხილის საკრეფად წასულან და შინ დაბრუნებისას ტყის პირას დამჯდარან დასასვენებლად. ამ დროს ქალს დაუნახავს, რომ ყოფილი ქმარი მათკენ მოდიოდა მიპარვით. ყოფილი ცოლი სასწრაფოდ წამომხტარა და ტყეში დამალულა. რძალს ვერ მოუსწრია გაქცევა, თან უფიქრია, მე მაინც არ დამჭრის და რატომ გავიქცეო. თუმცა ქმარი ახლოს რომ მისულა, ქალს შეუმჩნევია, რომ დაჭრას უპირებდა და ხვეწნა დაუწყია: არ დაეჭრა, რადგანაც ის მისი საცოლე არ იყო. ვაჟს იგი მაინც თავისი საცოლე ჰგონებია (ქმარს თურმე საცოლე თვალით არ ჰყავდა ნანახი) და მარჯვენა ხელზე ხანჯალით დაუჭრია ეს ქალი. ამას დიდი მტრობა მოჰყოლია. ბოლოს შერიგების დროს ქალისთვის „კვეთილი" მოუხსნიათ და სხვა ქმარზე გათხოვების უფლება მიუციათ. ქალის ხელის „გახაიბრება" კი გადაუხდევინებიათ. ვაჟი ხალხში შეცდომისათვის შეურცხვენიათ. მეორე მაგალითი: პირაქეთ ხევსურეთში ქმრის დაწუნებისთვის ქალი ასევე კვეთილში ჩაუსვამს დაწუნებულ საქმროს. ქალის სამრელოში ყოფნის დროს, სადაც ქალი მარტო ყოფილა, შეპარულა ქმარი და მოუნდომებია ქალისთვის ცხვირის მოჭრა. მაგრამ ქალს ერთი ხელი გაუთავისუფლებია და ცხვირზე მიუფარებია, რომ ცხვირი არ მოეჭრა. საქმროს დანა გამოუსვია და ცხვირის ნაცვლად ხელი გაუჭრია. ამის შემდეგ გარეთ გამოვარდნილა და ამხანაგებით გაქცეულა. ქალს ბიძაშვილებისთვის დაუძახია. მთელი სოფელი დადევნებია საქმროს, თუმცა ველარ დასწევიან. შერიგებისას რჯულის გადაწყვეტილებით, საქმროსთვის კუთვნილი „სამწუნობრო" ჭრილობაში გაუბრიათ, ხოლო ქალი კვეთილობიდან გაუთავისუფლებიათ.[2976]

დ. ჯალაბაძე აღნიშნავს, რომ ფშაურ მასალებში არ მოიპოვება ცნობები, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევას, თუმცა „კვეთილში ჩასმის" ხევსურული ინსტიტუტის აშკარა მსგავსება ფშაურ ანალოგთან მიანიშნებს, რომ „კვეთილში ჩასმის" წესის დარღვევა ფშაეში ისეთივე შედეგებს გამოიწვევდა, როგორსაც ხევსურეთში.[2977]

ფშავში ამ გარემოებას ადასტურებს ისიც, რომ როდესაც ქალის მთხოვნელი (არა ქმარი, საქმრო) „კვეთილში ჩასვამდა" თავის სასურველ ქალს და მას სხვა წაიყვანდა, ამას აუცილებლად მტრობა მოჰყვებოდა.[2978] ასეთი სახით „კვეთილში ჩასმა" თუ იწვევდა მტრობას და შურისგებას, მითუმეტეს, ქმრის, საქმროს მიერ დამწუნებელი ცოლის, საცოლის „კვეთილში ჩასმა" გამოიწვევდა შურისძიებას და ქალის წამყვანის მკვლელობას, დაჭრას, ანუ ხევსურეთის ანა-

2975 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 53, 8/4, 157.

2976 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/4, 151-155.

2977 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 132.

2978 ს. მაკალათია, იქვე.

ლოგიურ შედეგს.

მოტანილი მონაცემები მიუთითებს, რომ „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა, რაც დაზარალებულის („კვეთილში ჩამსმელის") ღირსების უკიდურეს შელახვას წარმოადგენდა, მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა და აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამას შედეგად მტრობა და დამნაშავის მიმართ შურისძიების განხორციელება მოჰყვებოდა. „კვეთილიანი" ქალის წაყვანის და შესაბამისად თავს ლაფის დასხმის თავიდან ასაცილებლად ფიქსირდება დაწუნებული საქმროს/ქმრის მიერ დამწუნებელი ქალის დაჭრა-დასახიჩრება. ეს რა თქმა უნდა მტრობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. ასეთ დროს შერიგების შემთხვევაში კი დაჭრა-დასახიჩრებისათვის გადასახადი „სამწუნობროში" გაიბრებოდა და ამის გარდა, როგორც მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში ჩანს, ქალი „კვეთილობიდან" თავისუფლდებოდა.

გარკვეული ცნობები „კვეთილში ჩასმის" წესების შესახებ გვხვდება ხევსურეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილ მასალაშიც. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით დანიშნულის მიერ საქმროს დაწუნებისას, სხვისი შეყვარების გამო, საქმრო საცოლეს სწორედ ამ შეყვარებულზე გათხოვებას „უკვეთდა". იგი შეატყობინებდა ამის შესახებ ქალის ნათესავებს (მამას, ძმას, ახლობლებს) და ქალის პოტენციურ წამყვანსაც და აფრთხილებდა, რომ თუ მაინც ადგილი ექნებოდა „ნაკვეთი ქალის" წაყვანას, მაშინ შესაძლოა საქმე მკვლელობამდე მისულიყო. ასევე, როგორც ინფორმატორი განმარტავს ქალის წაყვანის შემთხვევაში დაზარალებული პასუხისმგებლობას აკისრებს ქალის მშობლებს, მის მამიშვილობას, ხოლო თავის მხრივ მამის ოჯახი უპირისპირდება იმ პიროვნებას, რომელიც მაინც წაიყვანს ქალს.[2979]

ხევსურეთში დაფიქსირებული ზოგიერთი მონაცემის მიხედვით კი ჩანს, რომ „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა შესაძლოა მხარეთა შერიგებით დასრულდეს და ადგილი ჰქონდეს დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდას და ამით დაპირისპირების დასრულებას. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის თანახმად, თუ „კვეთილში ჩასმულს" მაინც წაიყვანდა სწორედ ის ვისაც „ნაკვეთი" ჰქონდა მისი წაყვანა, ქალის ყოფილი ქმრისათვის 5 ძროხა უნდა გადაეხადა.[2980] მეორე ინფორმატორის ცნობით კი შესაძლოა „კვეთილში ჩასმულის" ცოლად წაყვანა პიროვნებას ყოფილი საქმროსთვის ეთხოვა და თანხმობის მიღების შემთხვევაში მას 5 ძროხას გადაუხდიდა, ხოლო ძალით წაყვანისას კი 16 ძროხას.[2981] ალ. ოჩიაურის ინფორმატორის თანახმად კი თუ „კვეთილში ჩასმული" ქალის წამყვანი შორს გადაიხვეწებოდა და მისი მოკვლა ვერ მოხერხდებოდა, გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა შერიგებას. შერიგება მოხდებოდა ჯვარში კურატით და ლუდით. ამასთან დრამა უნდა მიეცა თექვსმეტი ძროხა და ზევით. თექვსმეტ ძროხაზე ნაკლები არ იყო. გააჩნდა შუაკაცებსაც და იმასაც რა პირობებში წაიყვანა. თუ დამტკიცდა რომ ქალის კვეთილიანობა ვერ გაიგო და ისე წაიყვანა, მაშინ შე-

2979 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 31-32.

2980 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 52.

2981 იქვე, 43.

ღავათი ქონდა. ისეც ხდებოდა, რომ რჯული ორივე მხარეს თავს ანებებინებდა ამ ქალს და იგი მამის სახლში მიდიოდა, მერე კი იქიდან სხვაგან გათხოვდებოდა.[2982] ალ. ოჩიაურის ეს მონაცემი გარკვეულწილად განსხვავდება XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილი ცნობისაგან. ალ. ოჩიაურის ინფორმატორი გამორიცხავს „კვეთილში ჩასმის“ პირობების დარღვევისათვის 16 ძროხაზე ნაკლები გადასახადის დაწესებას. მისი განმარტებით, გადასახადი შესაძლოა მეტიც ყოფილიყო, თუმცა საზღაურის მაქსიმალურ ოდენობას არ ასაბელებს. საინტერესოა, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეული იყო გამტაცებლის მიერ ქალის გატაცების მომენტში მისი „კვეთილში ჩასმის“ ფაქტის არ ცოდნა. ეს გარემოება ამცირებდა გადასახადის ოდენობას. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაფიქსირებული მონაცემის მიხედვით, კი იგივე ქმედებისათვის ხევსური ინფორმატორები გადასახადის ოდენობად 5 ძროხასაც ასახელებენ, თუმცა ერთ-ერთი მათგანი მიუთითებს, რომ მხოლოდ 5 ძროხის გადახდა მაშინ მოხდებოდა, თუ ყოფილი საქმრო თვითონ დათანხმდებოდა კვეთილში ჩასმული ქალის სხვის მიერ წაყვანას, მისი თხოვნის საფუძველზე, ხოლო უკითხავად წაყვანისათვის კი იგივე 16 ძროხა იყო დაწესებული. ბ. გოგოჭურის მონაცემით „კვეთილში ჩასმის“ პირობების დარღვევა, ანუ „კვეთილიანი ქალის“ წაყვანა შერიგების შემთხვევაში იწვევდა იმდენივე დრამის გადახდას, რამდენიც განსაზღვრული იყო სხვისი საცოლის/ცოლის მოტაცებისათვის და სწორედ ამ ქმედების თანაბარზომიერ დანაშაულს წარმოადგენდა და სამართლებრივი შედეგებიც ანალოგიური იყო (შერიგებისას დაახლოებით 25 ან 30 ძროხის დრამის გადახდა).[2983] მ. ბალიაურის მიხედვით, კი გადასახადი ასეთ შემთხვევაში 36 ძროხას წარმოადგენდა.[2984] მ. ბალიაური ხევსურულ საქორწინო ურთიერთობებს აღწერს არხოტელ (კერძოდ, ახიელელ) ინფორმატორებზე დაყრდნობით. სრულიად შესაძლებელია ასეთი დიდი გადასახადი სწორედ ხევსურეთის ამ რეგიონისთვის ყოფილიყო დამახასიათებელი, ისიც შედარებით ძველ პერიოდში.

„კვეთილში ჩასმის“ წესების დარღვევისას დრამის აღება ხევსურეთში სამარცხვინოდ ითვლებოდა. მ. ბალიაურის განმარტებით, დრამის ამღებს ცუდი სახელი გაუვარდებოდა, ხალხი დასცინებდა, ხალხში საყვედური დაედებოდა: თუ საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა, რას „უკვეთავდა“ ქალს ქმრიანობას. ახლა უარესი სირცხვილი დაედო – ცოლი წაართვეს და ხმა ვერ ამოიღო.[2985]

ხევსურეთში ფიქსირდება „კვეთილის ახსნაც“. „კვეთილში ჩასმიდან“ გარკვეული დროის შემდეგ ვაჟი ვისაც აკრძალული ჰქონდა კვეთილიანი ქალის ცოლად მოყვანა, შესაძლოა საკლავითა და სასმელით მისულიყო ქალის ყოფილ საქმროსთან/ქმართან და ეთხოვა ნება დაერთო მისთვის „კვეთილიანი ქალის“ ცოლად წაყვანისა. ყოფილი საქმრო/ქმარი შესაძლოა შერიგებოდა და ნება დაერთო კვეთილიანი ქალის ცოლად შერთვისა, რასაც ერქვა კიდეც „კვეთილის

2982 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, 7/10, 110.

2983 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 142.

2984 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 55.

2985 მ. ბალიაური, ქორწილის წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, პირადი არქივი, მ. ბ. ბ., 8/2, 55-56.

ახსნა", თუმცა შეეძლო უარით გაესტუმრებინა მთხოვნელი.[2986]

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევა, როგორც დანაშაული, გამოიხატება იმაში, რომ „კვეთილში ჩასმული" ცოლად მიჰყავს სწორედ იმ პიროვნებას, რომელსაც ყოფილი ქმრის, საქმროს მიერ აღკვეთილი აქვს ამის გაკეთება. ამდენად, ასეთი ქორწინება უკანონოდ ითვლება იმდენად, რამდენადაც „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევით ხდება, „კვეთილში ჩასმა" კი ჩვეულებაა, რომლის პირობების დარღვევაც საზოგადოებაში მიუღებელ ქმედებად აღიქმება.

„კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევისას შერიგების შემთხვევაში ხევსურული სამართალი ითვალისწინებს დაახლოებით ისეთივე გადასახადს, რაც ცოლის/საცოლის მოტაცებისთვის არის განსაზღვრული. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგანაც განსახილველი დანაშაულიც თავისი შინაარსით გულისხმობს ქალის გატაცებას ცოლად მოყვანის მიზნით, ოღონდ ყოფილი საქმროს/ქმრის მიერ „კვეთილში ჩასმულის". გადასახადის აღნიშნული ოდენობა ალ. ოჩიაურის, და ბ. გოგოჭურის შესაბამისი მონაცემების შეჯერებით იკვეთება. კერძოდ, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ამ დანაშაულისათვის გადასახადი 16 ძროხა და მეტია, ხოლო ბ. გოგოჭურის თანახმად დაახლოებით 25-30 ძროხა. ეს მიუთითებს, რომ „კვეთილში ჩასმის" წესების დარღვევისათვის მინიმალური გადასახადი შეიძლება ყოფილიყო 16 ძროხა, მაქსიმალური კი 30, როგორც სხვისი საცოლის/ცოლის მოტაცებისას. კონკრეტულ ოდენობას კი რჯულის კაცები განსაზღვრავდნენ „კვეთილიანი ქალის" ნაყვანის პირობების და მასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, წამყვანმა იცოდა თუ არა „კვეთილობის" ფაქტი და სხვა. მ. ბალიაურის მონაცემში მოცემული შედარებით დიდი და უალტერნატივო საზღაური (36 ძროხა), როგორც აღინიშნა, ხევსურეთის კონკრეტულ თემშია ჩაწერილი და იქაური რეალობის ამსახველი უნდა იყოს.

„კვეთილში ჩასმის" პირობების დამრღვევის მკვლელობა, თუ დაჭრა-დასახიჩრება ამის ჩამდენს აღნიშნული დანაშაულებისათვის გათვალისწინებული სასჯელისაგან არ ათავისუფლებდა და შერიგების შემთხვევაში „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებული საზღაური და მკვლელობისა თუ დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული ერთმანეთში გაიბრებოდა.[2987]

მასალებში ჩანს „კვეთილში ჩასმის" ჩვეულების თანდათანობით შერბილების და ნაკლებად გამოყენების ტენდენციაც. მაგალითად, ს. მაკალათიას დაკვირვებით „კვეთილში ჩასმის" ჩვეულება თანდათანობით ისპობა,[2988] იგივე ტენდენციის გამოხატულება უნდა იყოს „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევისათვის 5 ძროხის გადახდის შესახებ ცნობაც, მაშინ როცა ამ დანაშაულისათვის გადასახადის ოდენობად მინიმუმ 16 და მაქსიმუმ 30 ძროხა ფიქსირდება. სრულიად შესაძლებელია ადგილი ჰქონდა „კვეთილში ჩასმის" პირობების დარღვევისათვის გადასახადის ოდენობის დროთა განმავლობაში თანდათანობით შემცირებას, „სამწუნობროს" შემცირების ტენდენციის ანალოგიურად.

2986 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143.

2987 იხ. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 143,

2988 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 177.

„კვეთილში ჩასმის“ პირობების დარღვევას, როგორც დანაშაულს ჩვენ განვიხილავთ უკანონო ქორწინებისაგან დამოუკიდებლად. ეს განპირობებულია იმით, რომ საქორწინო აკრძალვები, რომელთა დარღვევაც უკანონო ქორწინების შიინაარს წარმოადგენს ზოგადი ხასიათისაა, რომელთა დაცვა მოცემული საზოგადოების ყველა წევრისთვისაა სავალდებულო. ამ აკრძალვების მოქმედება და მათი დარღვევის შემთხვევაში დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება რაიმე წინაპირობის არსებობით განპირობებული არ ყოფილა. „კვეთილში ჩასმის“ წესების დარღვევა კი სპეციფიკური ხასიათისაა და იგი შესაძლოა დამდგარიყო საზოგადოების არა ყველა წევრის, არამედ მხოლოდ კონკრეტული პირის თუ პირების მიმართ, მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში კერძო პირის ნებით მოხდებოდა სწორედ მისი ცოლის/საცოლის „კვეთილში ჩასმა“. ამდენად, „კვეთილში ჩასმის“ პირობების დარღვევა განსხვავებული ბუნების მატარებელი დანაშაული იყო.

აღნიშნული დანაშაული ხელყოფს დაზარალებულის (ქალის „კვეთილში ჩამსმელის“) პატივსა და ღირსებას. დანაშაულის სუბიექტად კი ითვლება „კვეთილში ჩასმული“ ქალის ცოლად წამყვანი და თვით „კვეთილში ჩასმული“, როგორც ნებაყოფლობით გაყოლილი იმ ვაჟს, რომელზე გათხოვებაც აღკვეთილი ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ერთი ზემოთმოყვანილი ცნობა, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულს შესაძლოა პასუხი მოეთხოვა სწორედ ქალის ოჯახისაგან.

6. უკანონო სქესობრივი კავშირი

ნებისმიერი სქესობრივი კავშირი არამეუღლეებს შორის უკანონო სქესობრივ კავშირად ითვლებოდა და ქართული ჩვეულებითი სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენდა. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრებამ, რომელმაც მონოგამია სავალდებულო ზნეობრივ კანონად დაამკვიდრა. შედეგად, ცხოვრებამ და ქრისტიანობამ ყოველგვარი სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე დანაშაულად აღიარა.[2989] საკვლევ პერიოდში ქართული ჩვეულებითი სამართალიც ამ პრინციპს მიყვება და ქორწინების გარეშე დამყარებულ ნებისმიერ სქესობრივ კავშირს დანაშაულად თვლის. აქ ჩვენ შევეხებით უკანონო სქესობრივ კავშირს, რომელსაც ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა. ძალადობით დამყარებულ სქესობრივ კავშირს, ანუ გაუპატიურებას ჩვენ ცალკე დანაშაულად განვიხილავთ.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, პასუხისმგებლობის სიმძიმე უკანონო სქესობრივი კავშირისათვის დამოკიდებული იყო აღნიშნული ქმედების ხასიათზე. მაგალითად, სქესობრივი კავშირი გათხოვილი ქალისა უცხო მამაკაცთან, ნათესავებს შორის, არასრულწლოვანთან უფრო მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა, ვიდრე უკანონო სქესობრივი კავშირი არანათესავ, დაუქორწინებელ პირებს შორის. უკანონო სქესობრივი კავშირი გამოხატული მრუშობაში, დამყარებული ნათესავთან, არასრულწლოვანთან, ზოგიერთ

2989 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 217.

რეგიონში თანასოფლელთან, ასევე ქალიშვილის შეცდენა, შეიძლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ ფაქტორებად განვიხილოთ.

6. 1. დაქორწინებული პირის სქესობრივი კავშირი. მრუშობა. მრუშობა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულად ითვლებოდა. კანონიკური სამართლით როგორც ქმრის, ისე ცოლის ღალატი მძიმე ცოდვად იყო მიჩნეული და 15 წლით უზიარებლობას ითვალისწინებდა, მაშინ როდესაც სიძვა (დაუქორწინებელთა სქესობრივი კავშირი) 7 წლით უზიარებლობას.[2990] კანონიკური სამართლით ცოლისა და ქმრის მრუშობა თანაბრად ისჯებოდა. შუა საუკუნეების საერო სამართალი და ხალხის ზნე-ჩვეულება კი მრუში ქალს გაცილებით ულმობლად ეკიდებოდა, ვიდრე მრუშ მამაკაცს.[2991] ივ. ჯავახიშვილის მითითებით ქმარს რომ საყვარელი, „ხარჭა" ჰყოლოდა, ეტყობა ისეთ დიდ დანაშაულად არ ითვლებოდა, როგორც ცოლის ღალატი. მაგალითად, აშოტ კურაპალატს და მის შვილს ადარნასეს ცოლის გარდა საყვარლებიც ჰყავდათ სახლში, გიორგი III-ს ჰყოლია ხარჭა და მისგან უკანონო შვილი.[2992] ბ. ზოიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „მოცემული დანაშაულის სუბიექტია როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი, მაგრამ ორივე მათგანის დანაშაული არაა ერთნაირად დასაგმობი. ვახტანგ VI-ის სამართალში ძირითადი აქცენტი ქალის მრუშებაზეა გადატანილი. მამაკაცს მრუშება მძიმე ტვირთად არ აწვება. ეს საერთო მოვლენაა მთელი საქრისტიანოსი, ასევე მუსულმანური რწმენის ქვეყნებში".[2993] ანალოგიური დამოკიდებულება გვხვდება ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. მის თანახმად, მძიმედ ისჯებოდა სწორედ გათხოვილი ქალის სქესობრივი კავშირი სხვა მამაკაცთან. ისინი მრუშობის, როგორც დანაშაულის სუბიექტებად გვევლინებიან.

ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა განსახილველია ქმრის შესაძლო მოქმედება მოღალატე ცოლის მიმართ. ცნობილია, რომ ძველი ქართული სამართალი, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (მუხლი 42, პუნქტი 8) ითვალისწინებს მოღალატე ცოლის მკვლელობისას ქმრის სრულ გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან.[2994]

ასეთი დამოკიდებულება ჩვენს ხელთ არსებული XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება. მაგალითად, მესხი ინფორმატორის მითითებით, ქმარი, რომელიც მოღალატე ცოლს მოკლავდა პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა.[2995] მეგრელი ინფორმატორის მიხედვითაც, თუ ქმარი ცოლს საყვარელთან წაასწრებდა ორივეს მოკვლის შემთხვევაში ჩვეულებითი სამართლით პასუხს არ აგებდა.[2996] განსაკუთრებით ბევრი მონაცემი ქმრის მიერ მოღალატე ცოლის მოკვლისა გვხვდება აჭარაში. XX საუკუნის ინფორმატორებს გადმოცემით გაუგიათ, რომ ცოლის ღალატისათვის, მრუშობისათვის (არაბულად „ზინა") უმძიმესი განაჩენი, კერძოდ, სიკვდილით დასჯა,

2990 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 217-218, 219.

2991 იქვე, 219.

2992 იქვე, 219.

2993 ბ. ზოიძე, ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული ვახტანგ VI-ის სამართალში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1986, 129.

2994 ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, თბ., 1963, 493.

2995 დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 7.

2996 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 28.

ჯერ კიდევ ყადებს გამოჰქონდათ, რომლებიც თურქული მმართველობის პერიოდში იყვნენ მოსამართლეები. ეს განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ მემრუშე ქალისა და კაცის ჩაქოლვით.[2997] ინფორმატორთა განმარტებით, ყადობის შემდგომ პერიოდში შეურაცხყოფილ ქმარს თავისი შეხედულებისამებრ გამოჰქონდა განაჩენი მოღალატე ცოლის მიმართ. იგი მრუშობისათვის კლავდა ცოლსაც და მის საყვარელსაც, თუ წაასწრებდა მათ, ან დარწმუნებით დაადგენდა ცოლის ღალატის ფაქტს. ინფორმატორები ამას ხსნიან იმით, რომ წინასწარმეტყველი მუჰამედი ნებას რთავდა მორწმუნეებს რამოდენიმე გამონაკლის შემთხვევაში, მათ შორის მრუშობისას, განუსჯელად მოეკლათ დამნაშავე.[2998] ამგვარად, მრუშობა აჭარაში ითვლებოდა ისეთ დანაშაულად, რომლის ჩამდენი ცოლის მკვლელობა შურისძიებას არ გამოიწვევდა ქალის ახლობლების მხრიდან. ქმარს შეეძლო დაუსჯელად მოეკლა ქალი. ქალის ჭირისუფალი, განსაკუთრებით მამა, ძმები და სხვა მადლობას შეუთვლიდნენ ყოფილ სიძეს, რომ მოკლა ოჯახისა და გვარის შემარცხვენელი.[2999] მოღალატე ცოლის მოკვლა შურისძიებას რომ არ იწვევდა XX საუკუნის დასასრულს ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება. ინფორმატორები აჭარის სხვადასხვა რაიონიდან და სოფლიდან ერთხმად აღნიშნავენ, რომ მოღალატე ცოლის მკვლელობა ქალის ნათესავების მხრიდან სისხლის აღებას არ გამოიწვევდა (განსხვავებით ოჯახური კონფლიქტის დროს ცოლის მკვლელობისას), პირიქით, იტყოდნენ – რატომ იბოზაო?[3000] იბ. აბაშიძის ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევას იხსენებს, რომელიც ხულოს რაიონში მოხდა. ერთ პიროვნებას ურთიერთობა ჰქონია თანასოფლელის ცოლთან. ქმარს შეუტყვია ამის შესახებ. ერთ დღეს გზაში შეხვედრია ცოლის საყვარელი და მისთვის მოტყუებით უთქვამს, რომ ხულოში მიდიოდა სიმინდის საყიდლად. საყვარელი მაშინვე მის ცოლთან მისულა, რადგანაც მისი ქმარი ხულოში ეგულებოდა. სინამდვილეში კი იგი გარკვეული დროის შემდეგ სახლში მობრუნებულა და მოღალატე ცოლიც და მისი საყვარელიც მოუკლავს.[3001] სხალთის ხეობაში მომხდარა ასეთი შემთხვევა: მამაკაცს სხვის ცოლთან ჰქონია ურთიერთობა. ქალის ქმარს და შვილებს მოუთხოვია ამ კაცისთვის შეეწყვიტა ეს საქმიანობა. მან კი უარყო აღნიშნულ ქალთან რაიმე ურთიერთობა. ბოლოს მას ქალთან წაასწრეს და ამ უკანასკნელის ქმარმა და შვილებმა იგი ნაჯახით დაჩეხეს. ინფორმატორის განმარტებით ასეთ შემთხვევაში ქმარი ქალის მშობლების წინაშე პასუხს არ აგებდა.[3002]

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, საკვლევ პერიოდში საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით შემორჩენილა ვახტანგის სამართლით გათვალისწინებული განაწესი მოღალატე ცოლის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ცოლის ღალატს ქმრის მხრიდან ძალზედ ხისტი რეაქცია მოჰყვებოდა აღ-

2997 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება (კან ალმაქ) და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, ბათუმი, 1965, 41.

2998 იქვე, 9, 42.

2999 იქვე, 9.

3000 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 9, 43; 1989, 43.

3001 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება (კან ალმაქ) და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, ბათუმი, 1965, 6.

3002 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 56.

მოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. ძველად ამისათვის გავრცელებული მოვლენა ყოფილა ქმრის მიერ ცოლის დასახიჩრება, კერძოდ, ცხვირის მოჭრა, თითის მოჭრა, ხელ-ფეხის დაშავება, სახის დასახიჩრება, ან კვეთილში ჩასმა, ანუ ქორწინების აკრძალვა აქედან გამომდინარე შედეგებით და გაშვება. აღნიშნული ფიქსირდება ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ქსნის ხეობაში.[3003] ამ საკითხს საკმაოდ ხატოვნად ეხება ვაჟა: „დიაცი თუ აშკარად დაიწუნებდა ქმარსა და ამ დაწუნებას უნამუსობით, მოღალატეობით დაამარილებდა, მაშინ ქმარი ამისთანა ცოლს დაასახიჩრებდა, ანუ, როგორც ფშაველი იტყვის, „გაახაიბრებდა" – მოსჭრიდა ცხვირს ან ხელს. მოაკლებდა დედაკაცს კაცის თვალგულის მისასვლელს თვისებას – სილამაზეს; ამითი, თითქო, უსპობდა საშუალებას უნამუსობისას, გარყვნილობისას და განიშორებდა."[3004] მ. კოვალევსკის მიხედვით, ხევსურეთსა და თუშეთში ქმარს შეიძლება მოეკლა მოღალატე ცოლი, თუმცა იგი ჩვეულებრივ ცხვირს აჭრიდა მას და სახლიდან აგდებდა.[3005] ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ქმრის მიერ მოღალატე ცოლის დასახიჩრება და გაშვება. როგორც მ. კოვალევსკი აღნიშნავს, ქმრის მიერ მოღალატე ცოლის მოკვლას აქაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი, თუმცა, მასალების მიხედვით, ეს შედარებით ნაკლებად ხდებოდა.

მოღალატე ცოლის დასახიჩრება ფიქსირდება სამეგრელოშიც. ცნობილი ფაქტია, რომ მე-17 საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა მოღალატე ცოლს, რომელიც აფხაზეთის მთავრის, შერვაშიძის ქალი იყო, ცხვირი მოაჭრა. ასეთ შემთხვევაში ხდებოდა ცოლისათვის არა მარტო ცხვირის, არამედ ყურის, ენის წვერის მოჭრა.[3006] მოღალატე ცოლის დასახიჩრება სამეგრელოში სავარაუდოდ უფრო ადრე გამოვიდა გამოყენებიდან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამას მიუთითებს ის გარემოება, რომ XX საუკუნის დასასრულის მეგრელი ინფორმატორების მეხსიერებას მოღალატე ცოლის ასეთი დასჯა ქმრის მიერ არ შემორჩენია. ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, ქმარი მოღალატე ცოლს სახლიდან უბრალოდ გაუშვებდა და არავითარ სასჯელს არ დააკისრებდა.[3007]

მოღალატე ცოლის ცემა, სოფლიდან გაძევება გვხვდება გურიაში.[3008]

ბალსზემო სვანეთში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცოლის ღალატის შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლი ისე გაეშვა, რომ „ნაცვრიერი" არ გადაეხადა. ასევე მას არც მზითევს მისცემდა და ცხადია, არც ბავშვებს გაატანდა.[3009] აღსანიშნა-

---

3003 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია" 1888, №185; ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966, დ. 299 (ხელნაწერის უფლებით, საკანდიდატო დისერტაცია), 153-154; არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კავკასიაში (რუსულ ენაზე), სანქტ-პეტერბურგი, 1879, 250. დ. ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშაველები, „ივერია", 1891, №24; მ.კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 9.

3004 ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, თბ., ტ. IX, 1964, 74. ფშავში მოღალატე ცოლისათვის სახის დამახინჯება გამოიხატებოდა ტერმინით „გაჯულურება". იგი ყურისა და ცხვირის მოჭრას ნიშნავდა და არ გულისხმობდა ხელის ან ფეხის მოკვეთას (ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №3, თბ., 1991, 118-120.

3005 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 120.

3006 დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, 83; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნანერები, თბ., 1956, 105.

3007 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48.

3008 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 9.

3009 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 12; №3,

ვია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად არ ფიქსირდება მოღალატე ცოლის მიმართ ქმრის ძალადობრივი ქმედება – მისი მკვლელობა, დასახიჩრება და ქმარი მხოლოდ ცოლის გაგდებით კმაყოფილდებოდა.

მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი, სვანური ჩვეულებითი სამართლის შესანიშნავი მცოდნე გრიშა ხარძიანი (კალის თემიდან) აღნიშნავს, რომ როდესაც ქმარი საკუთარ სახლში თავის ცოლს წაასწრებდა სხვა მამაკაცთან, ქალი უხმოდ დატოვებდა ქმრის ოჯახს. ქალის მშობლების მხრიდან კი მოციქულობა დაიწყებოდა შერიგების მიზნით. თუ ქმარი უარს იტყოდა შერიგებაზე, ეს ნიშნავდა, რომ ქმრის მხრიდან შურისძიება იყო მოსალოდნელი. იგი პირველ რიგში მოკლავდა ცოლის ძმას, თუ ძმა არ ყავდა მამას, ბიძებს, ან ბიძაშვილებს. იმ შემთხვევაში თუ მოციქულები დაიყოლიებდნენ ქმარს შერიგებაზე, მაშინ მოხდებოდა მორვების არჩევა და წესისამებრ საქმის განხილვა. უფრო ხშირად ქალი აღიარებდა თავის შეცდომას, ამ შემთხვევაში, ქალის მხარეს დაეკისრებოდა 8-20 ათასამდე მანეთის (ძველი კურსით) გადახდა. თუ აღმოჩნდებოდა რომ მხოლოდ ეჭვიანობას ჰქონდა ადგილი, მაშინ ქმარი სახალხოდ ბოდიშს მოიხდიდა.[3010] მოღალატე ცოლის სახლიდან გაგდება და მისი მხრიდან უპატიობისათვის გარკვეული საზღაურის გადახდა ბალსზემო სვანეთში მ. კოვალევსკის მიხედვითაც დასტურდება.[3011] გარკვეული გადასახადის გადახდა შეიძლება ცოლსაც მოეთხოვა მოღალატე ქმრისაგან, თუმცა როგორც მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი განმარტავს, ეს ძალზედ იშვიათად ხდებოდა და მამაკაცი დიდად არ იკიცხებოდა ასეთი ქცევისათვის. ქალის საყვარელს კი არაფერი გადახდებოდა, თუმცა მისი ღირსება და ავტორიტეტი სოფელში ეცემოდა.[3012] თუ რა შედეგებს იწვევდა ცოლის ღალატი ბალსქვემო სვანეთში ვხვდებით ა. დავითიანის მასალებში. ავტორი საუბრობს ქმრის მიერ მოღალატე ცოლისთვის ჭრილობის მიყენებაზე. ქალს კი როგორც დამნაშავეს ამ დროს მისი ნათესაობა არ გამოესარჩლებოდა.[3013]

აქ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღალატე ცოლის მიმართ ქმრის რეაქცია შესაძლოა განსხავებული ყოფილიყო. ცოლის (ან მისი ახლობლების) მკვლელობიდან, დასახიჩრებიდან, ცემიდან დაწყებული, მისი უბრალოდ გაშვებით დამთავრებული. შესაძლოა, ქმარს უპატიობისათვის ცოლის ნათესავებისაგან გარკვეული გადასახადიც მიეღო, რაც ხევსურეთსა და სვანეთში ფიქსირდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად, ასევე არ იყო გამორიცხული ქმარს ეპატიებინა ცოლისათვის და მასთან თანაცხოვრება ღალატის მიუხედავად მაინც გაეგრძელებინა.[3014] ამ თვალსაზრისით ნიშნადობლივია ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორის განმარტება.

1968, 43-44; 56; ა. დავითიანი, საქანეთი ეთნოგრაფიულიად, პირადი არქივი, ა. დ. 16/7, 83.

3010 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 85, 86, 87-88.

3011 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37.

3012 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 89.

3013 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, პირადი არქივი, ა. დ., 16/8, 598.

3014 ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაც ქმარს უფლება აქვს მოღალატე ცოლი გაუშვას ყოველგვარი გადასახადის გარეშე, თუმცა მას შეუძლია მისი პატიება და ცოლად დატოვებაც. კანონმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ქმარს ვერავინ დასძრახავს (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963)

მისი თქმით, მოღალატე ცოლის დასჯა ქმარზე იყო დამოკიდებული – ან მოკლავდა, ან გაუშვებდა, ან აპატიებდა.[3015] კიდევ ერთი აჭარელი ინფორმატორის ცნობით, ყოფილა შემთხვევები, რომ ქმარს მოღალატე ცოლი „შეენახა" სახლში, თუმცა ეს ნაკლებად ხდებოდა და ასეთ კაცს ხალხი ზიზღით უყურებდა.[3016] ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. აქაც თუ ქმარი აპატიებდა ცოლს ღალატს და სახლში დაიტოვებდა, ეს შედარებით იშვიათი მოვლენა იქნებოდა, ხოლო ხალხის თვალში ასეთი კაცის ავტორიტეტი უცილობლად დაეცემოდა.

ქმრის რეაქცია შესაძლოა მიმართული ყოფილიყო არა მარტო მოღალატე ცოლის, არამედ მისი საყვარლის წინააღმდეგაც. დ. ბაქრაძე იხსენებს, რომ ფშავში ყოფნისას იგი სტუმრობდა ვინმე გელას, რომელიც მოუყვა მას, რომ მან წაასწრო თავის ცოლს სხვა მამაკაცთან, ეს უკანასკნელი ხანჯლით იქვე მოკლა, ცოლს კი ცხვირი მოაჭრა და გააგდო.[3017] გურიაშიც ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ქმარმა ცოლის საყვარელი წალდით მოკლა ცოლის მეორე საყვარლის ჩაგონებით.[3018] ცოლის საყვარლის მკვლელობის ფაქტს მესხეთში ჩაწერილ მასალაშიც ვხვდებით. ამ შემთხვევაში სიტუაცია დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ ცოლის საყვარელი ქმრის ბიძაშვილი აღმოჩნდა. ქმარმა მისი ოჯახის ღირსების შემლახავი ბიძაშვილი კლდიდან გადააგდო და ასე გამოასალმა სიცოცხლეს. ინფორმატორის განმარტებით, სოფელმა მკვლელი გაამართლა და პირიქით მოკლულის საქციელი დაგმო. ინფორმატორი ამ ყველაფრის მოწმე ყოფილა.[3019] ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის საყვარლის მკვლელობა მესხეთში ხალხური მართლშეგნებით მართლზომიერ ქმედებას წარმოადგენდა და ხალხური სამართლით მკვლელის პასუხისმგებლობას აქარწყლებდა. იგივე ფიქსირდება აჭარის ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც. აქ როგორც მოღალატე ცოლის მკვლელობა არ იწვევდა საპასუხო შურისძიებას, ისე ცოლის საყვარლის.[3020] ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ქმარმა ცოლთან ერთად მისი საყვარელიც მოკლა. ქმრის საყვარლის მკვლელობის სხვა კონკრეტული შემთხვევებიც ფიქსირდება, როდესაც მოკლულის ახლობლების მხრიდან საპასუხო მკვლელობას ადგილი არ ჰქონია.[3021] ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ცოლის საყვარლის მკვლელობას საპასუხო მკვლელობა მოჰყვა (ქედა)[3022] სხვა მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ასეთი ქმედება აკრძალული იყო და თავის მხრივ გამოიწვევდა საპასუხო ქმედებას. ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ცოლის საყვარლის მკვლელობა არ იწვევდა შურისძიებას, მაგრამ თუ მაინც გადაწყვე-

---

3015 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 20.

3016 იქვე, 37.

3017 Д. Бакрадзе, Мое знакомство с Пшавии, «Кавказ», 1850, №99.

3018 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 2.

3019 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 22-23.

3020 ნ. მგელაძე, 1982 წლის აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (სოციალური ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №6, საქმე №21, 1982, 29; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9.

3021 იბ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ., 6.

3022 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 8.

ტდნენ ამას, მთელი სოფელი დაირაზმებოდა შურისმაძიებლის წინააღმდეგ.[3023]

ცოლის საყვარლის დასჯა ძალზედ სასტიკი მეთოდით ფიქსირდება XVII საუკუნის სამეგრელოში. ა. ლამბერტის თანახმად, სამეგრელოს დიდებულები და თავადები ხშირად იყენებდნენ მათი ყმების მიმართ სიკვდილით დასჯის უფლებას. იგი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთ თავადს ეჭვი შეეპარა, რომ ყმამ მისი ცოლი მოხიბლა. თავადმა ყმა დააკრევინა შამფურივით გამოჭრილ გრძელ სარზე, იქვე დაანთებინა დიდი ცეცხლი და ატრიალებინა ისე, თითქოს მწვადს წვავდნენ.[3024]

მ. კოვალევსკის მიხედვით, ხევსურეთსა და თუშეთში კავკასიის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ცოლთან მემრუშის მიმართ დიდ სიმკაცრეს არ იჩენდნენ და შეურაცხყოფილი ქმარი მისთვის მხოლოდ რამოდენიმე ცხვრის გადახდით კმაყოფილდებოდა. მთელ თავის ჯავრს იგი ცოლზე იყრიდა.[3025] ამის მიზეზი შესაძლოა ის იყო, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა და ცოლის საყვარლის მკვლელობა აუცილებლად გამოიწვევდა სისხლის აღებას და ყველა იმ სამართლებრივ შედეგს რაც ხევსურეთში მოჰყვებოდა მკვლელობის ჩადენას. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია შეურაცხყოფილი ქმარი, მორიდებოდა ცოლის საყვარლის, ან თუნდაც ცოლის მკვლელობას და ცოლის გაშვებით და მისი დასახიჩრებით დაკმაყოფილებულიყო. სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც, საკუთარ სახლში ცოლის ღალატზე წასწრებისას, ცოლის საყვარლის მკვლელობისათვის შეურაცხყოფილ ქმარს ჩვეულებრივ უნდა ეგო პასუხი, მხოლოდ სრულ წორს გამოაკლდებოდა სხვის სახლში უნებართვოდ შესვლისთვის დაწესებული გადასახადი.[3026] მოტანილი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურეთსა და სვანეთში ქმრის მიერ ცოლის საყვარლის მოკვლა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენდა. სავარაუდოდ, იგივე სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა სვანეთსა და ხევსურეთში ქმრის მიერ მოღალატე ცოლის მკვლელობას, ან ცოლის ძმისა თუ ახლობლების მკვლელობას, რის შესაძლებლობაზეც მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი საუბრობს.

ბალსქვემო სვანეთში, ა. დავითიანის მიხედვით, ასევე ფიქსირდება ცოლის უზნეო საქციელით შერცხვენილი ქმრის მიერ მის ცოლთან მრუშობის ჩამდენისადმი ანგარიშსწორება. ეს თავიდან იქნებოდა აცილებული, როდესაც სხვის ცოლთან მრუშობაში ეჭვმიტანილი ფიცით იმართლებდა თავს, რომ არ ჩაუდენია რასაც აბრალებენ.[3027]

ქმრის მძაფრი რეაქცია ცოლის ღალატისას კარგად ჩანს ალ. ყაზბეგის ცნობილ ნაწარმოებში – „მოძღვარი." ნაწარმოების ერთ-ერთი პესონაჟი გელა მძიმედ დაჭრის ონისეს მის ცოლთან ურთიერთობისათვის. ამას შედეგად მოჰყვა მტრობა ორ გვარს შორის და სისხლისღერის გაგრძელების საფრთხე. აღნიშნული საკითხი განიხილა სამების საბჭეოში შეკრებილმა თემის ყრილობამ და

3023 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9.

3024 ა. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73.

3025 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 119-120.

3026 იქვე, 33-34.

3027 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, პირადი არქივი, ა. დ. 16/8, 598.

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, – შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან. ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, – შეკრულ იქნას და განდევნილი ხევიდგან“[3028] ეს შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ მრუშობისათვის ჩანს, როგორც კერძო-სამართლებრივი ხასიათის დასჯა ქმრის მხრიდან, ასევე, საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საზოგადოების, თემის ყრილობის მხრიდან. ალ. ყაზბეგის ამ ნაწარმოებიდან ვლინდება რომ მრუშობა, როგორც დანაშაული, მითუმეტეს მეზობლის მიმართ განხორციელებული ხევში მთელი თემის შემარცხვენელ ქმედებად ითვლებოდა, ასევე ოჯახისა და ნათესაობისა (როგორც მემრუშე ქალის, ისე ვაჟის) და არა მხოლოდ ქმრის ღირსების. იგი ხელყოფდა თემში დამკვიდრებულ წესებსა და ზნეობას, რასაც თემის არსებობა ეფუძნებოდა. ასეთ ქმედებას კი თემი არავის პატიობდა.

მემრუშეთა თანასოფლელობა მასალების თანახმად საზოგადოების, სოფლის მიერ საჯარო სასჯელით დასჯას იწვევდა სხვა კუთხეებშიც. მ. კედელაძის რაჭულ მასალებში გვხვდება ერთი კონკრეტული შემთხვევა: სოფელ წედისის მცხოვრებ მ. მ-ს ცოლად ჰყავდა კახეთიდან ჩამოყვანილი ძალიან ლამაზი ქალი. მას ურთიერთობა დაუმყარებია ქმრის შორეულ ბიძაშვილთან კ. მ-თან. მ. მ-ს მეზობლებმა მიანიშნეს ამის შესახებ და მანაც წაასწრო თავის მეუღლეს კ. მ-სთან ერთად მწოლარეს. მან მოინდომა ამ უკანასკნელის მოკვლა, თოფი ესროლა, თუმცა ხელში დაჭრა. ამ მრუშობასთან დაკავშირებით გაიმართა სოფლის ყრილობა. ბჭობა თურმე სამი დღე გრძელდებოდა. თავიდან მემრუშეთა ჩაქოლვაზეც კი ფიქრობდნენ, თუმცა ბოლოს დამნაშავეებს გამანბილებელი სასჯელი დააკისრეს (გაშიშვლებულები, ტანზე ტალახ, ნახშირ, ნაკელ წასმულები ვირზე შესვეს და სოფელში ჩამოატარეს), შემდეგ კი სოფლიდან გააძევეს.[3029] აქაც როგორც ვხედავთ, მრუშობას მოჰყვა ქმრის მიერ ცოლის საყვარლისადმი ზიანის მიყენება და ამავე დროს საზოგადოების მიერ საჯარო ხასიათის სასჯელების გამოყენება. მემრუშეთა მიმართ სოფლის საზოგადოების მიერ გამანბილებელი სასჯელების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართლში. მრუშობის შემთხვევაში შეიკრიბებოდა მთელი სოფელი და კაცსაც და ქალსაც შემურავდნენ, პირუკუღმა ვირზე შესვამდნენ და სოფელში ჩამოატარებდნენ, თან თავზე ლაფს დაასხამდნენ. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სოფელ ნორიოში მომხდარა ასეთი შემთხვევა: ამ სოფლის მკვიდრს ს. ტ-ს მოუნდომებია ძალად შევარდნოდა ღამე ვინმე მ-ს ცოლს. ქმარს მიუსწრია როდესაც იგი კარებს ამტვრევდა. მათ შორის ჩხუბი მომხდარა. მეორე დღეს კი ტ-ს უჩივლია სოფლის ყრილობაზე საკუთარი ოჯახის შეურაცხყოფის გამო. სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით კი დამნაშავეს დაუდგინეს ზემოთაღნიშნული გამანბილებელი სასჯელი.[3030] ქართლში მრუშობის შემთხვევაში გამანბილებელი სასჯელის ნაცვლად შესაძლოა სოფელს დამნაშავის დარბევისთვისაც მიემართა. გ. ურო-

3028 ალ. ყაზბეგი, მოძღვარი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 418–419, 424.

3029 მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 6/6, 1–3.

3030 გაზეთ „დროების“ კორესპონდენცია, „დროება“, 1883, №93.

დანია იხსენებს მის ბავშვობაში (დაახლოებით XIX საუკუნის 80-იანი წლები) მომხდარ შემთხვევას, რომლის თვითმხილველიც ყოფილა: გორის მაზრის ერთერთ სოფელში მრუშობის ჩამდენი მამაკაცის ოჯახში შესულან თანასოფლელი მამაკაცები, წაურთმევიათ წყვილი ხარი და 10 კოკა (45 ფუთი) ღვინო და მოუწყვიათ დიდი ღრეობა.[3031]

აჭარაშიც, სადაც ძირითადად ქმარი უსწორდებოდა ცოლის საყვარელს, დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც ცოლის თანასოფლელი საყვარელი, მისგან შეურაცხყოფილი ქმრის თხოვნით სოფლის საზოგადოებამ დასაჯა. ქმარი ჯამეში მისულა და ხალხისთვის უთხოვია, მისი ცოლის საყვარლის დასჯა. ხალხი მისულა დამნაშავესთან და მისსავე ეზოში სასტიკად უცემია. ამის შემდეგ ეს კაცი სამი ნელი გახიზნულა სოფლიდან.[3032]

მრუშობისათვის საზოგადოების მიერ საჯარო სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა ფიქსირდება ფშავშიც. ძველ პერიოდში მრუშების მიმართ აქ ჩაქოლვის გამოყენებაც კი ხდებოდა.[3033]

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მრუშობა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ეს ძირითადად ქალის მრუშობას ეხება. მასალების მიხედვით გვხვდება ცოლის და მისი საყვარლის მიმართ როგორც კერძო ხასიათის სასჯელის გამოყენება, კერძოდ, ქმრის მხრიდან სხვადასხვა ხასიათის ძალადობრივი ქმედების განხორციელება, ასევე მემრუშეთა დასჯა საჯარო ხასიათის სასჯელით, თუ დამნაშავეები ერთი ტერიტორიული ერთეულის (თემის, სოფლის) მცხოვრებნი იყვნენ. ეს გარემოება მიუთითებს, რომ მრუშობა ხელყოფდა არა მარტო შეურაცხყოფილი მეუღლის, მისი ოჯახის, გვარის პატივსა და ღირსებას, არამედ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ინტერესსაც, რადგანაც ამით ილახებოდა სოფელსა თუ თემში დამკვიდრებული ზნეობრივი საწყისები.

მრუშობისათვის შურისძიების ალტერნატივად განსაზღვრული ოდენობის სისხლის ფასის გადახდა კი ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მხოლოდ სვანეთსა და მ. კოვალევსკის მონაცემით, ხევსურეთსა და თუშეთში შემორჩა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ძველი ქართული სამართლისათვის მრუშობისათვის სისხლის ფასის განსაზღვრა არ იყო უცხო. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის 86-ე მუხლი ითვალისწინებს მემრუშე ცოლის საყვარლის მიერ მისი ქმრისათვის სრული სისხლის გადახდას, თუ ქმარი მოღალატე ცოლს გაუშვებდა, ხოლო თუ გააგრძელებდა მასთან თანაცხოვრებას, ნახევარი სისხლის.[3034] სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მრუშობისათვის დადგენილი ქონებრივი საზღაურის შესახებ მონაცემები ძალზედ მწირია და ამ საკითხზე მხოლოდ ზემოთაღნიშნულით შემოვიფარგლებით.

6. 2. „ქალის შეცდენა“. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არც თუ იშვიათად გვხვდება ცნობები „ქალის შეცდენის“ შესახებ. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება ქალიშვილთან სქესობრივი კავშირის დამყარება, მისთვის ქალიშ-

---

3031 გ. ურდანია, სახალხო სისხლის-სამართლებრივი სასამართლოები ქართლში, „ზაკავკაზიე“, (რუსულ ენაზე), 1911, №260.

3032 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8.

3033 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 92.

3034 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 503.

ვილობის წართმევა არაძალადობრივი გზით. სიტყვა „შეცდენა" იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ინფორმატორები უნდა გულისხმობდნენ ქალიშვილთან სქესობრივი კავშირის დამყარებას მოტყუებით, დაქორწინების დაპირებით, მისი მიამიტობის გამოყენებით. აღნიშნული ქმედება ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქალის ახლობლების, ოჯახის წევრების მიერ უდიდეს შეურაცხყოფად აღიქმებოდა და მათი მხრიდან უაღრესად მძაფრ რეაქციას იწვევდა. ამ შემთხვევაში გაუპატიურებასთან, ანუ სქესობრივი კავშირის ძალადობრივ დამყარებასთან საქმე არ გვაქვს, თუმცა ქალის ნათესაობა ამ ე. წ. „შეცდენას" ფაქტიურად გაუპატიურების ტოლ დანაშაულებრივ ქმედებად აღიქვამდა და ამით იყო განპირობებული ასეთი ქმედებისათვის გათვალისწინებული მძიმე პასუხისმგებლობა. მ. კოვალევსკი საკუთარი დაკვირვების საფუძველზე პირდაპირ მიუთითებს, რომ სვანები სამართლებრივი შედეგის მიხედვით არ ანსხვავებდნენ გაუპატიურებას და ქალის შეცდენას, მისთვის ქალიშვილობის წართმევას და ამისათვის გადასახადი იყო 50 აცსიში, ან 300 მანეთი ვერცხლით, ანუ წორის მესამედიდან ნახევრამდე.[3035]

თუშური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქალის შემცდენი ვალდებული იყო დაქორწინებულიყო მასზე, ან მიეცა მისთვის მისი სისხლის ნახევარი, ე. ი. 60 ძროხა. ასეთი ქალი იშვიათად პოულობდა ქმარს.[3036] სამეგრელოში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც პიროვნებამ შეაცდინა ქალი მეზობელი სოფლიდან – ჯერ ცოლად შერთვას შეპირდა, სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ კი უარი თქვა ამაზე. სოფლის მცხოვრებლებმა ეს უდიდეს შეურაცხყოფად მიიღეს. ისინი დაუკავშირდნენ სოფლიდან გაძევებულ პიროვნებას და მას დაავალეს ქალის შემარცხვენლის მოკვლა, თან დაპირდნენ ამ დავალების შესრულების შემთხვევაში პატიებას და სოფელში დაბრუნების უფლების მიცემას.[3037] ეს კონკრეტული შემთხვევა კარგად ახასიათებს ქალიშვილის შეცდენისას მისი ნათესავების თუ თანასოფლელების დამოკიდებულებას. სოფლის გადაწყვეტილებით დამნაშავეს ფაქტობრივად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. რაკი იგი სხვა სოფლიდან იყო და სოფლის თვითმმართველობის ორგანოებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მისი მოკვლა კონკრეტულ პიროვნებას დაავალეს. აღნიშნული ქმედება იმდენად მძიმე დანაშაულად იქნა აღთქმული, რომ დამნაშავის მკვლელობა ამავე სოფლის საზოგადოების მიერ დანაშაულისათვის გაძევებულ პიროვნებას დაავალეს და დანაშაულის პატიებასაც კი შეპირდნენ.

ქალის შეცდენისათვის აჭარაში ფიქსირდება დამნაშავის გაძევება,[3038] თუმცა ქალის ახლობლების მხრიდან დამნაშავის მკვლელობაც არ იყო გამორიცხული. XX საუკუნის დასაწყისში აჭარის ერთ-ერთ სოფელში მომხდარა ასეთი შემთხვევა: ერთმა პიროვნებამ შეაცდინა მის მეზობლად მცხოვრები ქალი. შეიტყვეს ეს ქალის ახლობლებმა და მოკლეს მისი შემცდენელი. მოკლულის მშობლებმა სამძიმრისას გვერდით ამოიყენეს მკვლელი და ამით აღიარეს მისი

3035 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37.

3036 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849. №11; არნ. ზისერმანი, ოცდახუთი წელი კაეკასიაში (რუსულ ენაზე), სანკტ-პეტერგურგი, 1879, 250.

3037 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 14-15.

3038 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7.

შვილის საქციელის მიუღებლობა.[3039] როგორც ჩანს, ქალის შეცდენისათვის აჭარაში იგივე დამოკიდებულება გვხვდება, რაც სხვაგან.

ქალის შეცდენისათვის საერო სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის საკითხს ჯერ კიდევ ძველ პერიოდში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით განიხილავს ივ. ჯავახიშვილი. იგი ამისათვის ზენონის ეპიზოდს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც „შეცთენილი“ ქალწულის ახლო ნათესავს შური უნდა ეძია შემცდენელზე, მისი სისხლი დაეღვარა. ამის გაუკეთებლობა მაშინ დიდ სირცხვილად ითვლებოდა ხალხის თვალში.[3040] ქალიშვილის შემცდენის, როგორც განსახილველი დანაშაულის სუბიექტის მიმართ შურისძიება და მისი სისხლის დაღვრა ფიქსირდება XIX-XX საუკუნის მასალების მიხედვითაც. ქართული ჩვეულებითი სამართალი აღნიშნული დანაშაულისათვის სხვა სასჯელებსაც ითვალისწინებს, მათ შორის საჯარო სამართლებრივი ხასიათის. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ქალიშვილის შეცდენა როგორც დანაშაული არა მარტო ქალიშვილის ოჯახის ღირსებას ხელყოფდა, არამედ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ პრინციპებსაც და ამიტომაც ზოგიერთ კუთხეში დამნაშავის დასჯას შეცდენილი ქალიშვილის სოფლის საზოგადოება ახორციელებდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მასალების მიხედვით ქალიშვილის შეცდენისას სისხლის ფასის გადახდაც გვხვდება, კერძოდ, სვანური და თუშური მასალების მიხედვით. ეს მიუთითებს, რომ ქალის შეცდენისას შურისძიების ალტერნატივად შესაძლოა სისხლის ფასის გადახდას ჰქონოდა ადგილი, თუ დაზარალებულ მხარეს შერიგებაზე დაითანხმებდნენ.

6. 3. სქესობრივი კავშირის დამყარება ნათესავთან, თანასოფლელთან, მცირეწლოვანთან. ნათესავთან სქესობრივი კავშირის დამყარება, ისე როგორც ნათესავებს შორის ქორწინება, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ძალზედ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ჯერ კიდევ „მცირე სჯულისკანონის“ მიხედვით „ნათესავთა თანა აღრევაჲ“ ადამიანის ბუნების გარეშე დანაშაულადაა აღიარებული. იგი ცხადია აქ მძიმე დანაშაულად განიხილება.[3041] ბუნებრივია, ნათესავებს შორის ქორწინების მსგავსად მათ შორის სქესობრივი კავშირი არანაკლებ უზნეობად ითვლებოდა და საზოგადოებაში აღშფოთებას იწვევდა. ამან ასახვა ჰპოვა ქართულ ჩვეულებით სამართალშიც. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მოგვეპოვება ცნობები ნათესავთა შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის (როდესაც მათ შორის ქორწინებას არ ჰქონია ადგილი) ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებისათვის მასალების მიხედვით ყველაზე მძიმე სასჯელების გამოყენებას ვხვდებით, მათ შორის სიკვდილით დასჯის.

ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის ძველად ფშავში, ქსნის ხეობაში შესაძლოა ჩაქოლვის გამოყენებაც მომხდარიყო.[3042] ფშავში ნათესავთა შორის სქესობრივი კავშირი ადგილობრივი ინფორმატორების მიერ მოიხენიება ტერ-

---

3039 იქვე, 14.

3040 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 218-219.

3041 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 220.

3042 ალ. რაზიკაშვილი, არ დავინყება ძველისა, თბ., 1984, 16; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 39-40.

მინით „შეგმანავა“.[3043] იგივე სასჯელი აღნიშნული ქმედებისათვის გვხვდება ხევსურეთშიც. ეს სხვადასხვა მონაცემით დასტურდება. ალ. ოჩიაურის მასალების თანახმად, მას შემდეგ რაც ჭინჭარაულები, არაბულები და გოგოჭურები გუდანიდან გაყრილან, აქ დარჩენილა სამი ძმა ჭინჭარაული. ორი თანამოძმე გვარის წარმომადგენლები ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში წასულან. ჭინჭარაულებიდან ორი ძმა დაცოლშვილებულა, მესამე ძმისთვის კი დასთან სქესობრივი ურთიერთობა დაუბრალებიათ, რის გამოც იგი ქისტანში გახიზნულა ჩაქოლვის შიშით.[3044] აქ აშკარად ჩანს, რომ ნათესავთან, ამ შემთხვევაში დასთან სქესობრივი კავშირი ჩაქოლვით ისჯებოდა. აღსანიშნავია, რომ სქესობრივი დანაშაულისათვის, კერძოდ, ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის, სისხლის აღრევისათვის, „ნათელ-მირონის გათელვისათვის“, ანუ სულიერ ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის ქალ-ვაჟის ჩაქოლვის შესაძლებლობას XX საუკუნის დასასრულის ხევსური ინფორმატორიც ადასტურებს.[3045] ნათესავთან სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის ხევსურეთში გვხვდება მოკვეთაც.[3046] მ. კედელაძის მონაცემით, ლიქოკის ხეობის სოფელ მაღრანში მცხოვრებ აბიკა ლიქოკელს დააბრალეს, რომ თავისი ბიძაშვილის ცოლთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, რის გამოც ორივე მოიკვეთეს, თუმცა ბოლოს დადგინდა რომ აბიკა დამნაშავე არ იყო.[3047] ეს მონაცემები ადასტურებს, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ნათესავთან სქესობრივ კავშირს მძიმე დანაშაულად თვლიდა და მისთვის მკაცრ საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებდა.

ხევსურები საერთოდ ერიდებოდნენ უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებას ქალთან და ქალისგანაც იგივეს მოითხოვდნენ. ამის მიზეზი იყო მათი თავმოყვარეობა და ასევე დარისხების შიში. საქმე ისაა, რომ ხევსურეთში ხატობა დღეს ხუცესი მთელი სოფლის თანდასწრებით არისხებდა სხვადასხვა დანაშაულისა თუ უზნეობის ჩამდენს და მათ შორის ქალ-ზალთან თავშეუკავებელ, თავდაუჭერ მამაკაცს.[3048] ამ მონაცემის მიხედვითაც ჩანს, რომ ხევსურეთში განსაკუთრებით მიუღებელი იყო თანასოფლელთან, თანასოფლელის ცოლთან (ანუ ქალ-ზალთან) სქესობრივი კავშირის დამყარება. მითუმეტეს გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანასოფლელები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის ნათესავები იყვნენ. ქალ-ზალთან სქესობრივი ურთიერთობის დამამყარებელი დარისხებულად ითვლებოდა, თუნდაც მისი ეს ქმედება არ გამომჟღავნებულიყო. გამომაჟღავნების შემთხვევაში კი ადგილი ექნებოდა მოკვეთას, შესაძლოა მის ნაირსახეობას – „სამძახის დაკვეთას“. ალ. ოჩიაურის თანახმად, ხევსურეთში, როდესაც პიროვნება ჩაიდენდა ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულს, ხევსური წესებით უკიდურესად სამარცხვინო საქმეს, მათ შორის ქალ-ზალში რაი-

3043 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 52.

3044 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 262-263.

3045 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

3046 იქვე, 78.

3047 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/21, 2-3.

3048 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 366; მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1975, XVIII, 118-119.

მე უკუთვნელ საქმეს, ადგილი ექნებოდა „სამძახის დაკვეთას“.[3049] ამ ცნობაში კარგად ჩანს, რომ ქალ-ზალთან სქესობრივი კავშირის დამყარება ხევსურეთში უაღრესად სამარცხვინო ქმედებას და მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა და შედეგად იწვევდა ხევსურეთში ყველაზე უფრო სამარცხვინო ქმედებებისთვის გათვალისწინებულ სასჯელს.

სქესობრივი კავშირის დამყარება ნათესავთან, ანუ გვარისა და ნათესაობის გატეხვა, ასევე სასტიკად ისჯებოდა ბალსზემო სვანეთში.[3050] ამის გამკეთებელს ნაკურთხ მიწაშიც არ დაკრძალავდნენ.[3051] აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ნათესავებს შორის სისხლის აღრევა სვანეთში ძალზედ იშვიათი მოვლენა იყო. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. კოვალევსკიმ. სვანები თურმე მის შეკითხვებს სვანეთში სისხლის აღრევასთან დაკავშირებით კატეგორიული უარით პასუხობდნენ.[3052] ა. დავითიანის თანახმად ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირის დამყარება მძიმე დანაშაული იყო ბალსქვემო სვანეთშიც. ეს მოყვრობით ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირსაც ეხება. მაგალითად, ავტორი გამოყოფს ძმის ცოლთან სქესობრივი კავშირის დამყარების უკიდურეს მიუღებლობას. მისი განმარტებით, ეს ცოცხლად სიკვდილს ნიშნავდა. ამასთან დაკავშირებით სვანეთში ამბობდნენ: „თავისი ძმის ცოლთან შემცდარი საკუთარ ბარკალს კბენსო“. ასეთივე სირცხვილი და თავის მოჭრა იქნებოდა სქესობრივი კავშირის დამყარება სიდედრთან, ცოლის დასთან და სხვა.[3053] ასევე, სქესობრივი კავშირი აკრძალული იყო სულიერ ნათესავთა შორისაც. ვინც ამას ჩაიდენდა „ნათლიაობის მოღალატე“ ერქვა.[3054] სამეგრელოში კი ნათესავთან სქესობრივი კავშირის დამყარებას შესაძლოა მკვლელობა მოჰყოლოდა, სოფლიდან გაძევება კი გარდაუვალი სასჯელი გახლდათ ამ დანაშაულისათვის.[3055] ინფორმატორებს მოჰყავთ ნათესავებს შორის უკანონო სქესობრივი კავშირისათვის როგორც მკვლელობის, სიკვდილით დასჯის, ისე გაძევების კონკრეტული მაგალითები.[3056] მესხი ინფორმატორის განმარტებით კი დიდი ამორალური საქციელის ჩამდენი (ნათესავთან, ახლობელთან სქესობრივი კავშირის დამჭერი) თვითონ დატოვებდა სოფელს.[3057] ქსნის ხეობაში ჩაწერილი მასალის მიხედ-

3049 ალ. ონჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 179. აღსანიშნავია, რომ უკანონო სქესობრივი კავშირისათვის „სამძახის დაკვეთით“ დასჯას ადასტურებს მ. კეკელიას ხევსური ინფორმატორიც (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67).

3050 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 70.

3051 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 107.

3052 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 37.

3053 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, პირადი არქივი, ა. დ., 16/2, 146.

3054 იქვე, 147.

3055 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 54.

3056 მაგალითად, სოფელ ნაფიჩხაოში ძველად დაუხოცავთ მოგვარე ქალ-ვაჟი უკანონო სქესობრივი კავშირისათვის (მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 54). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში სქესობრივი კავშირ დაუმყარებიათ მოგვარეებს. გვარმა ეს თურმე იუკადრისა, ქალი სოფლის ცენტრში, მამასახლისის კანცელარიაში მიიყვანეს და დამბაჩით მოკლეს, მამაკაცი კი გაიქცა სოფლიდან და სიცოცხლის ბოლომდე იქ აღარ დაბრუნებულა (იქვე, 25-26). ასევე მოხდა შემთხვევა, როდესაც 50 წელს გადაცილებულმა მამაკაცმა დააფიეხმძიმა 17 წლის მოგვარე. ამ საკითხზე იმსჯელეს დუდკოჩებმა და მამაკაცი სოფლიდან გააძევეს (იქვე, 53). კიდევ ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან გააძევეს პიროვნება მოგვარესთან სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის (იქვე, 12).

3057 მ. კეკელია, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 80.

ვით, ადგილობრივი მთიული ინფორმატორები უკანონო სქესობრივ კავშირთან დაკავშირებით ძირითადად ნათესავთან სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის დანესებულ პასუხისმგებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას. აქ ამისათვის ძირითადად ხდებოდა დარბევისა და გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება.[3058] ინფორმატორები არაერთ კონკრეტულ შემთხვევას იხსენებენ. მაგალითად, მიდელაშვილი იოსები იხსენებს, როდესაც ერთმა პიროვნებამ თავისი მოგვარის დაქვრივებულ ცოლთან დაამყარა სქესობრივი კავშირი. ეს სოფელმა შეიტყო და სოფლის თავკაცების გადაწყვეტილებით ისინი „დაარბიეს" (ორივეს წაართვეს ძროხა და შეჭამეს), ასევე დასაჯეს გამაწბილებელი სასჯელით – ორივე შესვეს უკუღმა ვირებზე და ჩამოატარეს.[3059] ზუსტად ანალოგიურ შემთხვევაში, რომელსაც სხვა სოფელში ჰქონდა ადგილი, ქალიც და კაციც ასევე გაშიშვლებულები ვირებზე შესვეს და სოფელში ჩამოატარეს.[3060] კიდევ ერთ შემთხვევაში მამამთილს დაუმყარებია სქესობრივი კავშირი გარყვნილ რძალთან. ეს გაუგია სოფელს და მამაკაცი დაურბევია, ხოლო რძალი გაუძევებია.[3061] ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ქსნის ხეობაში სოფლის საზოგადოება გულგრილად არ ეკიდებოდა ასეთ უზნეობას და დამნაშავეებს გამაწბილებელი სასჯელით სჯიდა, რაც მათ საშვილიშვილო შერცხვენას ნიშნავდა და მატერიალურ სახდელსაც აკისრებდა.

ნათესავთან სქესობრივი კავშირის დამყარების გამო ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული საჯარო ხასიათის სასჯელების გამოყენებას საზოგადოების მიერ ვხვდებით მთიულეთში. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა რამოდენიმე სხვადასხვა ხასიათის და სახის სასჯელის გამოყენება მომხდარიყო. მაგალითად, ხანდოს ერთ-ერთ სოფელში ერთი პიროვნება მიუხდა საკუთარი ბიძაშვილის ცოლს. ამისათვის სოფელს იგი მოუკვეთია შვიდი წლით, ამის გარდა მატერიალური საზღაურის გადახდაც დაუკისრებია მისთვის, კერძოდ, მისი ხარი დაუჭერიათ, რომელიც დეკანოზს დაუკლავს და ხორცი სოფელს გაუნაწილებია. ამავე დროს, დამნაშავე გაუშიშვლებიათ და ყინულზე უტრიალებიათ, შემდეგ უცემიათ. მოკვეთის ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავე აყრილა და ბარში გადასახლებულა.[3062] როგორც ვხედავთ, ერთი კონკრეტული დანაშაულისათვის პიროვნება ერთდროულად დასაჯეს მოკვეთით, ქონებრივი საზღაურის დაკისრებით, გამაწბილებელი და გვემითი სასჯელით. სასჯელების ასეთი კომბინირებული სახით შეფარდება ერთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მიუთითებს, თუ რამდენად მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა მთიულეთში განსახილველი დანაშაული.

გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც გამომჟღავნდა პიროვნების სისტემატური სქესობრივი კავშირი შვილთან (XX საუკუნის 80-იან წლებში). სოფლის საზოგადოებამ გადაწყვიტა მისი სიკვდილით დასჯა, თუმცა მილიციამ

3058 . კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 78, 79.

3059 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 27.

3060 იქვე, 68.

3061 იქვე, 9.

3062 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006, 118.

არ მისცა ხალხს ამის საშუალება.[3063]

ზოგიერთი მონაცემით, მძიმე დანაშაულად ითვლებიდა ასევე სქესობრივი კავშირის დამყარება თანასოფლელთან. ეს ძირითადად მთის რეგიონებში გვხვდება. მაგალითად, თანასოფლელთან (მეზობლის ქალთან) სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის მოკვეთა სამნის ჩასმით ძველი გადმოცემის თანახმად ფიქსირდება ფშავში.[3064]

მძიმე დანაშაულად ფასდებოდა, ცხადია, სქესობრივი კავშირის დამყარება მცირეწლოვანთან. სამეგრელოში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ერთმა ახალგაზრდამ სქესობრივი კავშირი დაამყარა შვიდი წლის ბავშვთან. სოფელმა მთელი მისი ოჯახი გააძევა.[3065] ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „მცირე სჯულისკანონზე" დაყრდნობით, მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარება, „უასაკოს გახრწნა" გამოიხატებოდა 11-12 წლის ბავშვის გახრწნაში.[3066] ანალოგიური მიახლოებითი ასაკის დადგენა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (თუნდაც ცალკეული ლოკალური ტერიტორიული ერთეულების – თემების, სოფლების ჩვეულებითი სამართლის თანახმად) ძნელია, მასალების სიმწირის გამო.

ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ჩვეულებითი სამართლით დანაშაულად ჩანს თანასოფლელი, ნათესავი ქალისათვის სქესობრივი კავშირის დამყარების შეთავაზება. მესხი ინფორმატორის ცნობით, მათთან იცოდნენ „შეჰყივლოს ქალსო", რაც ნიშნავდა ქალისათვის სქესობრივი კავშირის დამყარების თხოვნას.[3067]

ხევში ჩაწერილი მონაცემების თანახმად, ამას შესაძლოა სოფლის მიერ დამნაშავის (სქესობრივი კავშირის დამყარების შემთავაზებელი მამაკაცის) დასჯა მოჰყოლოდა. მოხევე ინფორმატორი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის დამყარებამდე, ხევის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა ერთი მანეთი მისცა და სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა თანასოფლელ ქვრივ ქალს. ქალმა ამის შესახებ სოფლის კაცებს შესჩივლა. სოფლის კაცები შეკრებილან და დამნაშავისთვის გადაუწყვეტიათ ხევის ბოლო სოფელ ცდოში უკუღმა შეესვათ ვირზე და ასე ჩამოეტარებინათ მთელი ხევის ბოლო სოფელ ყანობამდე. გაუგია ეს ამ მამაკაცს და ღამით გაპარულა, დაუტოვებია სახლ-კარი. რამდენიმე წელიწადში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სოფელში დაბრუნებულა.[3068] იგივე ინფორმატორი იხსენებს კიდევ ერთ ანალოგიურ შემთხვევას, როდესაც სხვა მამაკაცმა თავის თანასოფლელ ქალს ასევე შესთავაზა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება. სოფლის კაცებმა იგი დაიბარეს სკოლაში, იქ გაასამართლეს და მიუსაჯეს სოფლის დაუყოვნებლივ დატოვება. დამნაშავე ამ დროს დაახლოებით 60 წლის იყო და ამის შემდეგ სოფელში არ დაბრუნებუ-

---

3063 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, №1, 17; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1989, №1, 9-10.

3064 მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, 70.

3065 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1988, 67.

3066 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 220.

3067 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1986, №2, 20.

3068 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევული, 1984, №3, 29.

ლა.[3069] კიდევ უფრო ძველ გადმოცემას იხსენებს სხვა მოხევე ინფორმატორი სოფელ გერგეტიდან. მისი მონაყოლის თანახმად ერთ მამაკაცს მეზობლის რძალთან დაუწყია „მაიმუნობა". ამ ქალს ეს განუცხადებია, „სამების ბჭეებთან". ასე ეძახდნენ მაშინ „თემის კაცებს", რომლებიც სამებაზე ახდენდნენ ბჭობას (დღეს არ არის ეს წესი). თემის კაცების გადაწყვეტილებით, ეს მამაკაცი დაარისხეს სამნის ჩასმით.[3070] ამ მონაცემებით კარგად ჩანს, რომ ხევში ქალისადმი უხამსი წინადადება, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობა უზნეო და მიუღებელ საქციელად ითვლებოდა და საზოგადოების მხრიდან დამნაშავის საკმაოდ მძიმე საჯარო ხასიათის სასჯელით დასჯას იწვევდა. ძველად როგორც ჩანს დარისხებას მიმართავდნენ „სამების ბჭეები", შედარებით გვიანდელ პერიოდში კი კონკრეტულ შემთხვევებში დამნაშავის სოფლიდან გაძევებას, ან გამაწბილებელი სასჯელის გამოყენებას ვხვდებით.

ანალოგიურ შემთხვევაში საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენება ფიქსირდება ქსნის ხეობაშიც. ადგილობრივი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ერთი კაცი თავისი ბიძაშვილის ცოლს დაუხვდა გზაში და შესთავაზა ეცხოვრა მასთან. ქალი გამოქცეულა და სოფელში განუცხადებია: ამა და ამ კაცმა თავი მთხოვაო. სოფელი აღშფოთებულა და გადაუწყვეტია ეს უღირსი ბიძაშვილი დაერბია. მას წაართვეს ორი ქვაბი არაყი, რომელიც ორმოცი ლიტრა იქნებოდა და ერთი მოზვერიც დაუკლეს, რაც სოფელმა შეჭამა.[3071]

აქ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოს არაერთი კუთხის ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა საკმაოდ მძიმე ხასიათის პასუხისმგებლობას ნათესავთან (ხორციელ, მოყვრულ და სულიერ), მცირეწლოვანთან, თანასოფლელთან (ძირითადად მთის რეგიონებში) სქესობრივი კავშირისათვის, ასევე თანასოფლელი ქალისათვის სქესობრივი კავშირის დამყარების შეთავაზებისათვის, რაც ასევე მთის რეგიონებში გვხვდება. ნათესავებს, თანასოფლელებს შორის სქესობრივი კავშირისას დანაშაულის სუბიექტად გვევლინება ამ ქმედების ჩამდენი როგორც ქალი, ისე ვაჟი. მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებისას და თანასოფლელი ქალისათვის სქესობრივი კავშირის დამყარების შეთავაზებისას კი დანაშაულის სუბიექტი მამაკაცია.

საინტერესოა რომ, ფაქტიურად ყველა კუთხეში სადაც აღნიშნული ქმედებებისათვის ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ფიქსირდება, დამნაშავის მიმართ საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენება გვხვდება. ამდენად, უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმებოდა, მის ზნეობრივ სიმტკიცეს ხელყოფდა და შესაბამისად სხვადასხვა სახის საჯარო სასჯელით ისჯებოდა. ეს შეიძლება ყოფილიყო სიკვდილით დასჯა, მოკვეთა-გაძევება, ქონებრივი საზღაურის დაკისრება, გამაწბილებელი სასჯელები. არც თუ იშვიათად კი რამდენიმე სხვადასხვა სახის სასჯელის ერთობლივად გამოყენება ხდებოდა.

3069 იქვე, 30.

3070 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 67-68.

3071 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 8.

სავარაუდოდ, ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას საზოგადოება ითვალისწინებდა თუ რამდენად ახლო ნათესავები იყვნენ აღნიშნული ქმედების ჩამდენნი. მასალების მიხედვით ჩანს, რომ ახლო სისხლით ნათესავთან ჩადენილი სქესობრივი კავშირი უფრო მძიმედ ისჯებოდა, ვიდრე, მაგალითად, მოყვარესთან ჩადენილი, თუმცა ამ საკითხზე ზუსტად მსჯელობა უფრო სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას მოითხოვს.

6. 4. უკანონო სქესობრივი კავშირი დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. ბოზობა. დაუქორწინებელთა სქესობრივი კავშირი, რომელიც არ იყო დაკავშირებული ნათესავებთან, თანასოფლელებთან, რძლებთან, მცირეწლოვნებთან ურთიერთობასთან, ქალიშვილის შეცდენასთან, მრუშობასთან ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ნაკლებად მძიმე დანაშაულებრივ ქმედებად ჩანს. ზოგიერთი ინფორმატორი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი ქმედება საერთოდ არ ისჯებოდა. მაგალითად, ხევსური ინფორმატორი მიუთითებს, რომ თუ ქალ-ვაჟს შორის ნებაყოფლობით მოხდებოდა სქესობრივი კავშირი არავითარი დასჯა არ მოხდებოდა.[3072] მეორე ინფორმატორის განმარტებით კი ასეთ დროს ვაჟს ქალი ცოლად უნდა მოეყვანა.[3073] მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხევსური მამაკაცი ყოველთვის ერიდებოდა უკანონო სქესობრივს კავშირს. ეს არა მარტო „ქალ-ზალთან" ურთიერთობას ეხებოდა. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს: „დიაცთან დანოლა ხომ არას გზით არ შეიძლება. თუნდაც რომ ჩუმად მოხერხდეს, ბოზობაა და ბოზობა ხომ ხევსურეთის თვალში დიდს დანაშაულობას შეადგენს."[3074] ამდენად, ხევსურეთში უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება ვაჟისთვის ნებისმიერ შემთხვევაში სამარცხვინო და დამამცირებელი ქმედება იყო. მითუმეტეს ეს ეხება ქალს.

სვანეთში უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება უპირველეს ყოვლისა მამაკაცის პასუხისმგებლობას იწვევდა. ა. დავითიანის მონაცემით, რომელიც ძირითადად ბალსქვემო სვანეთს ეხება, ქალს თუ გაუვარდებოდა ხმა მამაკაცთან სქესობრივი კავშირის ქონის შესახებ, მით უფრო გასათხოვარს, მამაკაცს უცილობლად თავი უნდა ემართლებინა, რომ ქალთან, რომელზედაც ცუდი ხმები იყო დარხეული, არავითარი სამარცხვინო ურთიერთობა არ ჰქონდა. მართალ მამაკაცს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოეგვარებინა საქმე და თავი ემართლებინა. საქმის შეყოვნება მითქმა-მოთქმას გაახშირებდა და მტრობას გაამძაფრებდა. მამაკაცის თავის მართლებას მოითხოვდა ქალის ჭირისუფალი მამაკაცობა. თავის მართლება მხოლოდ ფიცით შეიძლებოდა. დადანაშაულებული ქალი ასეთ შემთხვევაში ხმას არ იღებდა, მას სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. თუ მამაკაცი მართლა დამნაშავე იყო, იგი დაფიცებას ვერ გაბედავდა ცრუ ფიცის შიშით. ქალის სახელის გამტეხ მამაკაცს დაუხვდებოდნენ და თავს გაუტეხდნენ საჯაროდ, თავში ჯოხის დარტყმით, ან ხანჯლის ჩარტყმით.[3075] როგორც ამ მონაცემიდან ირკვევა განსახილველ შემთხვევაში დაზარალებულად ითვლებოდა ქალის ნათესაობა, რომელიც შეურცხყოფილად თვლიდა თავს. პასუხი ამ შეურაცხყოფაზე იყო მათი ნათესავი ქალის გამბახებლის თავის არეში დაჭრა.

3072 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 74.

3073 იქვე, 16.

3074 ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 41.

3075 ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალები, პირადი არქივი, ა. დ. 16/6, 556-557.

ეს როგორც ჩანს, მიღებული წესი იყო ასეთ შემთხვევაში. შეიძლება ისედაც მომხდარიყო, რომ მამაკაცი დამნაშავე არ იყო, თუმცა თავმოყვარეობის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, თავს დროულად არ გაიმართლებდა და ამასობაში დაასისხლიანებდნენ. ასეთი სახით დაზარალებული ჯერ თავს გაიმართლებდა, შემდეგ კი თვითონ სამაგიეროს გადაუხდიდა მის დამჭრელს. არ იყო გამორიცხული დამნაშავეს ცრუ ფიცით ემართლებინა თავი, მაგალითად, ფიცის ტექსტის დამახინჯებით და სხვა. ეს თუ გაირკვეოდა, მაშინ მხოლოდ თავის გატეხვას არ ჩათვლიდნენ საკმარისად და დამნაშავეს წელს ქვემოთ თოფით დაჭრიდნენ.

ასეთ მოვლენებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, გასათხოვარი ქალი სათანადოდ უნდა მოქცეულიყო, კერძოდ, ჭკუა და სიფრთხილე გამოეჩინა, რომ მის გარშემო ცუდი არაფერი მომხდარიყო. იგი უცხო და არანათესავ მამაკაცთან განმარტოვებით ყოფნას უნდა მორიდებოდა, არ უნდა გახუმრებოდა და არ უნდა მიეცა საბაბი მოსახლეობაში ცუდი ენების გავრცელებისა.[3076] ქალისათვის ასეთი ქცევის მოთხოვნა საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც არ იყო უცხო.

ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარების, როგორც დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა, თუ მამაკაცი სქესობრივ კავშირს ამყარებდა ვაჟიშვილის ყოლის მიზნით. ეს ფაქტორი იმიტომ ითვლებოდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, რომ დამნაშავის მიზანი ამ დროს არ იყო ქალის და მისი ოჯახის შერცხვენა და შესაბამისად, მამაკაცს ნაკლებად მძიმე პასუხისმგებლობა ელოდა.[3077] სამწუხაროდ, ა. დავითიანის ამ მონაცემში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა პასუხისმგებლობის შემსუბუქება. ავტორი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ქალის დაორსულების შემთვევაში ამ მამაკაცსა და ქალს შორის საიდუმლო კავშირი გამჟღავნდებოდა, სოფელი გაიგებდა ყველაფერს და დაისმებოდა საკითხი მათი შეუღლების შესახებ, მიუხედავად იმისა, მამაკაცს ჰყავდა ცოლი, თუ არა. მათი შეუღლება მტრობის აღმკვეთი იქნებოდა.[3078] როგორც ჩანს, ქალის ცოლად შერთვა მხარეთა შერიგებას გამოიწვევდა და მამაკაცის პასუხისმგებლობას ადგილი აღარ ექნებოდა.

თუ ქალი სისტემატურად ამყარებდა სქესობრივ კავშირს არაერთ მამაკაცთან და ეს გამჟღავნდებოდა, საქართველოს ბევრ კუთხეში ასეთი ქმედება (ბოზობა) სოფლის საზოგადოების მხრიდან საჯარო სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა. იმერელი ინფორმატორის ცნობით სოფელში გარყვნილ ქალზე იტყოდნენ: „ეს ამ კაცთან ცუისო, ე. ი. დადისო,"[3079] ფშავში კი გარყვნილ ქალს „წარამარა ყროლს" უწოდებდნენ.[3080]

მასალების მიხედვით, საჯარო ხასიათის გარკვეული სასჯელების გამოყენება გვხვდება ქალების მიმართ, რომლებიც ბოზობაში იქნებოდნენ შემჩნეულნი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქალის ამ ქმედების გამო საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვან სამართლებრივ რეაგირებას ვხვდებით. მაგალითად, ლეჩხუმელი ინფორმატორის ცნობით, ბოზობისათვის ქალი მაინცდამაინც არ

3076 იქვე, 557.

3077 იქვე, 558.

3078 იქვე.

3079 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 79.

3080 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 126.

იკიცხებოდა, თუმცა საზოგადოებისათვის მიუღებელი და არასასურველი იყო. ასეთ პირს სოფელი არ უთანაგრძნობდა და გაჭირვების შემთხვევაში დახმარებას არ გაუწევდა.[3081] ამ მონაცემის მიხედვით, აღნიშნული ქმედებისათვის საზოგადოება დამნაშავე ქალის მიმართ ერთგვარი მსუბუქი ბოიკოტით შემოიფარგლებოდა. ზოგიერთი მესხი ინფორმატორი ასევე საუბრობს ბოზი ქალის მიმართ ბოიკოტის თავისებური ფორმის გამოყენებაზე. მათი თქმით, ასეთ ქალს ეკლესიაში არ შეუშვებდნენ, ხდებოდა მისი მოძულება სოფლის საზოგადოების მიერ. მოძულებაში ისინი გულისხმობენ იმას, რომ ბოზთან სოფლის მცხოვრებნი ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტდნენ და ასევე მას არ დაიმოყვრებდნენ, არ დაინათესავებდნენ, რადგანაც ხალხის რწმენით „სისხლი სისხლს მოსდევს", „ცხენი გვარით გაჭენდება", „ბოროტება შვიდ თაობამდე გადადის" და ბოზის შთამომავლობაც შვიდი თაობის შემდეგ განიწმინდება.[3082]

გურიაში კი სოფლის საზოგადოება შეიკრიბებოდა და როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, შეარცხვენდა ცუდი ყოფაქცევის ქალს. სხვა ქმედების ჩადენა გარყვნილი ქალის მიმართ არ ხდებოდა.[3083] ეს უკანასკნელი დათქმა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგანაც სხვა ინფორმატორთა ცნობით გარყვნილი ქალისთვის შესაძლოა ბოიკოტიც გამოეცხადებინათ,[3084] ზოგ ასეთ შემთხვევაში კი სოფლიდან გაძევებამდეც კი მისულიყო საქმე.[3085] გურიაში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ სოფელში საზოგადოებამ გადაწყვიტა ვინმე ნ. რ-ს სოფლიდან გაძევება იმის გამო, რომ მან „კაცები მიიჩვია", ანუ ბოზობდა. ამის წინააღმდეგ წასულა სოფლის სამი მაცხოვრებელი. მათ კაცებს განუცხადეს: „თუ ნატაშა ბოზია, თქვენ დადიოდით მასთან, და არა ის თქვენთანო." შედეგად, გაძევება აღარ მომხდარა.[3086] ეს ფაქტი ადასტურებს ბოზობისათვის ქალის გაძევების შესაძლებლობას გურიაში, თუმცა, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოჩნდა, ასეთი ქალის გაძევების გადაფიქრებაც არ იყო გამორიცხული. გურიაში გვხვდება შემთხვევა ბავშვის მიერ ჩადენილი უმსგავსობის გამო მთელი მისი ოჯახის სოფლიდან გაძევების შესახებ (ეს ამბავი XX საუკუნის 70-იან წლებში მოხდა).[3087] როგორც ჩანს, ბავშვის მიერ ჩადენილი გარყვნილი ქმედება საზოგადოებამ მისი ოჯახში არასათანადო აღზრდას და ყურადღებას მიაწერა და ამიტომ მთელი ოჯახი დასაჯა გაძევებით. ბოზობის გამო ქალისათვის უნდობლობის გამოცხადება, ან გაძევება გვხვდება იმერეთშიც.[3088] ამ ქმედებისათვის აღნიშნული სასჯელების გამოყენება XX საუკუნის დასასრულის იმერელ ინფორმატორებს მხოლოდ გადმოცემით გაუგონიათ.

XX საუკუნის დასასრულის ზოგიერთი ინფორმატორი (მესხეთიდან) იმასაც

3081 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 6.

3082 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 55-56, 73-74.

3083 მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

3084 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 2; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 34.

3085 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 17.

3086 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 15-16.

3087 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 2.

3088 ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

კი აღნიშნავს, რომ გარყვნილი, ბოზი ქალი შეიძლება ჩაექოლათ კიდეც, თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ ეს წინაპრებისგან გაუგონიათ და ამას ძველად თუ ექნებოდა ადგილი.[3089] ასევე, ძველად აჭარაში ფიქსირდება საზოგადოების, კერძოდ, ოლქობის გადაწყვეტილებით გარყვნილი ქალის სიკვდილით დასჯაც.[3090] აჭარაში ყადების სასამართლოს მოქმედებებისას კი დაუქორწინებელთა უკანონო სქესობრივი კავშირი არა სიკვდილით დასჯას (როგორც ეს მრუშობისას ხდებოდა), არამედ დამნაშავეთა გაროზგვის განაჩენს იწვევდა – 100-100 როზგი თითოეულს.[3091] როგორც ჩანს, შედარებით ძველ პერიოდში ქალის გარყვნილი ქმედება, ბოზობა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში შედარებით მძიმედ ისჯებოდა, ვიდრე ეს შემდგომი პერიოდის ჩვეულებითი სამართლის მასალებში ჩანს.

აჭარაში გარყვნილი ქმედებისათვის გვხვდება როგორც ქალის, ისე მამაკაცის გაძევება, ან მათთვის ბოიკოტის გამოცხადება.[3092] ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი გარყვნილობის ჩამდენ მამაკაცს ჯერ ბოიკოტს გამოუცხადებდნენ, თუ გააგრძელებდა ანალოგიურ საქმიანობას, მაშინ გააძევებდნენ.[3093] ეს მონაცემი სრულად შეესაბამება ქართული ჩვეულებითი სამართლის ძირითად პრინციპებს, როდესაც დამნაშავეს ჯერ შედარებით მსუბუქი ხასიათის საჯარო სასჯელს აკისრებდნენ, ამის შემდეგ იგივე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი უფრო მძიმე სასჯელს უფარდებდნენ.

ბოზობისათვის ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკმაოდ გავრცელებული იყო ქალის სახალხო შერცხვენა, კერძოდ, სამეგრელოში, იმერეთში, მესხეთში, ქართლში, აჭარაში ჩაწერილ მასალებში გვხდება ისეთი გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება, როგორიცაა თავსლაფის დასხმა,[3094] სამარცხვინო ბოძზე, ხეზე თუ კედელზე გაკვრა,[3095] სოფელში ჩამოტარება,[3096]

3089 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №2, 14; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 80.

3090 ვლ. მგელაძე, ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში, „ლიტერატურული აჭარა", 1964, №3, 83.

3091 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება (კან ალმაქ) და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, ბათუმი, 1965, 41.

3092 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 25, 35; 1991, 8; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35.

3093 ს. გოგიტიძე, მუხტარი და მეჯლისი აჭარაში, 1964 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის რვეული, ნ. ბერძენიშვილის სახელობის აჭარის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №32, 60.

3094 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 6; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 9-10; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9.

3095 მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 20. იმერეთში მოხდა შემთხვევა, როდესაც ქალი – გ. ა. ეკლესიის ეზოში გააკრეს ხეზე რამოდენიმე დღით და ამ ხნის განმავლობაში ყველას აუკრძალეს მასთან მიახლოება (გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25).

3096 დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 79; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 83. ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მისი თანასოფლელი ქალი, სახელად მელანო სოფელში ბოზობდა და ქმარს, სახელად სპირიდონს, ღალატობდა. ამასთან დაკავშირებით სოფელი შეიკრიბა და მელანოს ასეთი სასჯელი გადაუწყვიტეს: ხის ნიჩაბს დაანერეს: „მელანო ტყუა სპირიდონასთან" და ქალი ამ ნიჩბით ჩამოატარეს სოფელში. ხალხი ეუბნებოდა: „ფუი შენს ქალობასო." (გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 79).

მათ შორის ვირზე შესმით,[3097] საჯარო შერცხვენა, გაკიცხვა, მათ შორის გაშიშვლებით.[3098] ქსნის ხეობაში კი „საქოლავი ციხის აგება“[3099], რაც ამ კუთხისათვის დამახასიათებელ გამაწბილებელ სასჯელს წარმოადგენდა. აჭარაში ჩაწერილი მასალის მიხედვით კი გამანბილებელი სასჯელების გამოყენება უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის გვხვდება როგორც ქალის, ისე მამაკაცის მიმართ. აქ გარყვნილ ქალს „ფეხობილს“ ეძახდნენ. ინფორმატორთა გადმოცემით გარყვნილ კაცსაც და ქალსაც „ჩაკირავდნენ“, „ამოკირავდნენ“ სოფლის გზაჯვარედინზე, გზის გაღმა-გამოღმა. გამვლელი მიაფურთხებდა, ქვას მიაყრიდა. ზოგიერთი ინფორმატორი საუბრობს მხოლოდ ქალის, ან მხოლოდ მამაკაცის ამოკირვაზე.[3100] ამ შემთხვევაში ინფორმატორები საუბრობენ ჩაკირვაზე, ამოკირვაზე არა როგორც სიკვდილით დასჯაზე, არამედ, როგორც გამაწბილებელ სასჯელზე, როგორც სიმბოლურ ჩაქოლვაზე.[3101]

აჭარაში ჩაწერილი მასალების მიხედვით დაუქორწინებელთა გარყვნილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა შედარებით მძიმე იყო, ვიდრე აქ მითითებულ სხვა კუთხეებში, სადაც ქალის სისტემატური ბოზობა სოფლის საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობას იწვევდა. თან განსხვავებით ამ კუთხეებისაგან, მასალების მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ აქ კაცისა და ქალის მიერ ჩადენილ გარყვნილ ქმედებას ფაქტიურად ერთგვაროვნად გასაკიცხ მოვლენას წარმოადგენდა და როგორც ქალი ისჯებოდა ამ ქმედებისათვის, დაახლოებით ასევე მოხდებოდა მამაკაცის დასჯა. სხვა აღნიშნულ კუთხეებში ქალის დასჯა საზოგადოების მიერ ბოზობისათვის ძირითადად მაშინ ხდებოდა (თუ ეს რაიმე დამამძიმებელ გარემოებასთან არ იყო დაკავშირებული), როდესაც იგი გარყვნილ ქმედებას სისტემატურად სჩადიოდა და სოფელში ბოზის სახელი გაუვარდებოდა. აჭარაში კი კაცსაც და ქალსაც სჯიდნენ გარყვნილი ქმედებისათვის, თუნდაც ეს მათი პირველივე ურთიერთობისას გამოვლენილიყო. როდესაც საუბარია ქალ-ვაჟის ერთობლივ დასჯაზე გარყვნილი ქმედებისათვის სოფლის საზოგადოების მიერ, დიდი ალბათობით ისინი თანასოფლელები უნდა ყოფილიყვნენ და სოფლის მიერ მათი დასჯა საჯარო ხასიათის სასჯელით (განსაკუთრების მამაკაცის) შესაძლოა ამ ფაქტორითაც ყოფილიყო განპირობებული, თუმცა ადგილობრივი ინფორმატორები ქალ-ვაჟის თანასოფლელობის ფაქტორზე არ ამახვილებენ ყურადღებას და ამიტომ ჩვენც მათ ამ მონაცემებს არ განვიხილავთ ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც თანასოფლელთა შორის უკანონო სქესობრივ კავშირზე გვქონდა მსჯელობა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია

3097 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 5; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1986, 7, 14; გ. ჟორდანია, სახალხო სისხლის-სამართლებრივი სასამართლოები ქართლში, „ზაკავკაზიე“, (რუსულ ენაზე), 1911, №260.

3098 გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1986, 40, 55. ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 25.

3099 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 45, 69-70, 75.

3100 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 37-38; 1989-1990, 32, 37, 42; ნ. მგელაძე, 1982 წლის აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (სოციალური ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №6, საქმე №21, 1982, 29, 30.

3101 ამ საკითხზე იხ. გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 441-444.

ვივარაუდოთ, რომ ისინი სწორედ თანასოფლელთა შორის უკანონო სქესობრივ კავშირს გულისხმობენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალის სისტემატური ბოზობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემები ფაქტიურად არ გვხვდება ფშავ-ხევურეთში, თუშეთში, სვანეთში. ჩვენი ვარაუდით ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ კუთხეებში თანასოფლელთან სქესობრივი კავშირისათვის ქალთან ერთად მამაკაციც ისჯებოდა, თან საკმაოდ მკაცრად, რის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. იმ კუთხეებში კი სადაც ქალის სისტემატური გარყვნილი ქმედება საჯარო ხასიათის სასჯელს იწვევდა, თანასოფლელი მამაკაცის სქესობრივი კავშირი ასეთ ქალთან დანაშაულად არ აღიქმებოდა, თუ რაიმე დამამძიმებელ გარემოებასთან არ იყო დაკავშირებული. ამდენად, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ქალის დასჯა ხდებოდა. სოფლისთვის შემარცხვენელი იყო გარყვნილი ქალის სოფელში გამოჩენა და მისი ასეთი საქმიანობის გამჟღავნების შემთხვევაში სოფლის საზოგადოება ქალს საჯარო სასჯელით სჯიდა. განსაკუთრებით ხშირად გამანბილებელი სასჯელი გამოიყენებოდა, თუმცა როგორც დავინახეთ, სხვა სახის, უფრო მძიმე საჯარო სასჯელის გამოყენებაც იყო შესაძლებელი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქალის გარყვნილება არა მარტო საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ იყო მიმართული და საზოგადოების ინტერესს ხელყოფდა, არამედ ქალის ოჯახის წევრებისაც. მათთვის უკიდურესად სამარცხვინო იყო ოჯახის წევრის გარყვნილი საქციელი და ამიტომ მათი მხრიდან სამარცხვინო ლაქის ჩამოსარეცხად საკმაოდ რადიკალურ ქმედებასაც შესაძლოა ჰქონოდა ადგილი, მაგალითად, გარყვნილი ქალიშვილის მკვლელობას მამის, თუ სხვა ახლობლის მხრიდან. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში შესაბამისი კონკრეტული ფაქტებიც ფიქსირდება.[3102]

7. გაუპატიურება

ქართული ჩვეულებითი სამართალი მამაკაცის ძალადობრივ სქესობრივ კავშირს ქალთან, ანუ გაუპატიურებას უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევდა. მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი გაუპატიურების, როგორც დანაშაულის შესახებ საუბრისას, ჩვენი აზრით, სრულად გამოხატავს ხალხური სულისკვეთებით გამსჭვალული ჩვეულებითი სამართლის დამოკიდებულებას ამ დანაშაულისადმი. მისი თქმით: „გაუპატიურება მკვლელობის ტოლად მიგვაჩნია, სულ ერთია გათხოვილი ქალი იქნება გაუპატიურებული თუ ქალიშვილი.“[3103] ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თუ გაუპატიურების საქმე მორვების გადასაწყვეტი გახდებოდა, მაშინ გადასახადი ერთ წორს უდრიდა[3104], ანუ იგივე იყო, რაც მკვლელობის შემთხვევაში. ამდენად, სვანეთში გაუპატიურებას იგივე

3102 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 10; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 9; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 33; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 35.

3103 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 90.

3104 იქვე.

შედეგი მოჰყვებოდა, რაც მკვლელობას. ეს შეიძლება ყოფილიყო შურისძიება ქალის ნათესავებისა დამნაშავის მიმართ, ან თუ საქმე სამედიატორო სასამართლომდე მიეიდოდა, მაშინ დამნაშავეს სრული ნორის გადახდა მოუწევდა. აღსანიშნავია, რომ გაუპატიურებისადმი ასეთი დამოკიდებულება 2015 წელს ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება.[3105]

თითქმის იგივე დამოკიდებულებას ვხვდებით ამ დანაშაულისადმი ფშავ-ხევსურეთში. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის მითითებით ქალის გაუპატიურება დამნაშავის მკვლელობას გამოიწვევდა – თუ ქალი გათხოვილი იყო მის ქმრის მიერ, ხოლო თუ გაუთხოვარი იყო მისი ძმა-ბიძაშვილების მიერ.[3106] კიდევ ერთი ინფორმატორის მიხედვით კი გაუთხოვარი ქალის გაუპატიურების შემთხვევაში დამნაშავის მძიმე დაჭრა, მისთვის ხელის მოჭრა, სახეზე მძიმე ჭრილობის მიყენება ჯანმრთელობის ასეთი ზიანისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას არ იწვევდა.[3107] ფშაველი ინფორმატორების მიხედვითაც, გაუპატიურება დამნაშავის მკვლელობას გამოიწვევდა და ამისათვის მკვლელს პასუხი არ მოეთხოვებოდა.[3108] როგორც ვხედავთ, ფშავ-ხევსურეთში გაუპატიურებას დამნაშავის მკვლელობა ან დაჭრა-დასახიჩრება შეიძლება მოჰყოლოდა ქალის ახლობლების მხრიდან. ასეთი დამოკიდებულება ცალსახად მიუთითებს, რომ ფშავ-ხევსურული ჩვეულებითი სამართლით გაუპატიურება უმძიმეს დანაშაულთა რიგს მიეკუთვნებოდა. მძიმე დანაშაულად ჩანს გაუპატიურება თუშურ ჩვეულებით სამართალშიც. ივ. ცისკარიშვილის თანახმად ქალის ღირსების შეურაცხყოფა იშვიათად მთავრდებოდა სისხლის აღების გარეშე.[3109] აქ ქალის ღირსების შეურაცხყოფა ჩვენი აზრით, უცილობლად უნდა გულისხმობდეს გაუპატიურებასაც, რასაც თუშეთშიც ფშავ-ხევსურეთის მსგავსად დამნაშავის მკვლელობა მოსდევდა. გაუპატიურების, როგორც დანაშაულის სიმძიმეს მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თუშური ჩვეულებითი სამართლით თუ ქალის შეცდენისათვის სისხლის ნახევრის გადახდა იყო დაწესებული,[3110] ქალის გაუპატიურებისათვის, არანაკლები სასჯელი იქნებოდა გათვალისწინებული, თუ მეტი არა.[3111]

გაუპატიურებისათვის დამნაშავის მკვლელობას ვხვდებით დაზარალებული ქალის ახლობლების მხრიდან აჭარაშიც. აქაც ეს დანაშაული იმდენად შეურაცხმყოფელ ქმედებად ითვლებოდა, რომ მასალების მიხედვით მისთვის დამ-

3105 იხ. ს. ონიანი, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 2015, 65, იხ. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016, 221.

3106 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 16.

3107 იქვე, 74.

3108 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 10-11, 15.

3109 И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

3110 იქვე.

3111 საინტერესოა, რომ აღნიშნული დანაშაულის განხილვა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა თუშეთის სათემო ყრილობაზე, რომელიც „თუშეთის ღელეზე" ტარდებოდა. ამის შესახებ ცნობას ვხედებით ვ. ელანიძის ნაშრომში, რომლის თანახმადაც, აქტორის ინფორმატორი, გომეწრის თემის სოფელ ჯვარბოსლის მკვიდრი რაჟდო დარქიზანიძე, 1912 წელს დასწრებია სათემო ყრილობას აღნიშნულ ადგილას და ახსოვს, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ყრილობას განუხილავს იყო გომეწრის თემის მკვიდრის ნიკო ხეცოიძის მიერ ქალის გაუპატიურების მცდელობის საკითხი (იხ. ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988, 40). სათემო ყრილობის მიერ გაუპატიურების საქმის განხილვა ასევე მეტყველებს ამ დანაშაულის მნიშვნელობასა და სიმძიმეზე.

ნაშავის მკვლელობა იშვიათ მოვლენად არ ჩანს. რამოდენიმე ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ გაუპატიურებას უცილობლად მოჰყვებოდა დამნაშავის მკვლელობა,[3112] თუმცა გვხვდება მონაცემები ამ დანაშაულისათვის დამნაშავის საზოგადოებიდან გაძევებისა.[3113] ასევე ერთი ინფორმატორის ცნობით, საზოგადოება დამნაშავეს ჩაკირავდა.[3114] ამდენად, ამ მონაცემების მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გაუპატიურების ჩამდენის მკვლელობას ქალის ახლობლების მხრიდან ადგილი არ ჰქონოდა და საქმე სოფლის საზოგადოებას განეხილა, თუ რა თქმა უნდა დამნაშავეც და დაზარალებულიც ერთი საზოგადოების წევრები იყვნენ, ანუ, შესაძლოა, დაზარალებულ მხარეს არ მოეკლა დამნაშავე და შერიგებოდა მის გაძევებას. დამნაშავის მიერ გაძევების პირობების დარღვევა, ცხადია, დაზარალებულ მხარეს მისი მკვლელობისაკენ უბიძგებდა. მაგალითად, აჭარაში დაფიქსირებული გვაქვს შემთხვევა, როდესაც, პიროვნებამ სოფელ აჭყვისთავში, გასული საუკუნის 80-იან წლებში მეზობლის გოგო გააუპატიურა. დაზარალებულმა მხარემ მას სოფლიდან გადახვეწა მოსთხოვა. დამნაშავე მართლაც წავიდა სოფლიდან, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ რატომღაც დაბრუნდა. გოგოს პატრონმა დაინახა იგი და მოკლა. ამის შემდეგ მკვლელის ოჯახი და მისი უახლოესი ნათესაობა წავიდნენ სოფლიდან და ჩასახლდნენ ქობულეთის რაიონის სხვადასხვა სოფელში.[3115]

როგორც ვხედავთ აჭარული ჩვეულებითი სამართლითაც გაუპატიურება ყველაზე მძიმე დანაშაულთა რიგს მიეკუთვნებოდა, რაც თუნდაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი იწვევდა დამნაშავის მკვლელობას დაზარალებულის მხრიდან, ან საზოგადოების მიერ მის ჩაქოლვას, ან გაძევებას, რაც ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებულ უმძიმეს პასუხისმგებლობას გულისხმობდა.

გაუპატიურების, როგორც დანაშაულის ანალოგიური აღთქმა გვხვდება სხვა, მათ შორის ბარის რეგიონებში ჩაწერილი ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვითაც. მაგალითად, ერთ-ერთი გურული ინფორმატორის თქმით, „ჩვენთან ყველაზე მძიმე დანაშაულად გაუპატიურება ითვლებოდა, თვით მკვლელობაზეც კი."[3116] იგივეს ადასტურებს სხვა ინფორმატორიც.[3117] ადგილი აქვს გაუპატიურების მოხსენიებას ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულთა (მკვლელობა, ოჯახზე თავდასხმა) შორის, როგორც გურული, ისე მეგრელი ინფორმატორების მიერ.[3118] ცხადია, იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება, განსაკუთრებით სისხლის სამართლებრივ საქმეებზე, შეზღუდული იყო სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, გაუპატიურების საქმეებს ძირითადად სწორედ სახელმწიფო ორგანოები განიხილავდნენ, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გაუპატიურება, როგორც დანაშაული, გურიაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, მესხეთში, შესაძლოა განხილულიყო თვით საზოგადოების,

3112 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25, 43.

3113 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 25; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

3114 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 37.

3115 გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19-20.

3116 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 48.

3117 იქვე, 58.

3118 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

სოფლის მცხოვრებთა მიერ. ამ შემთხვევაში დამნაშავის მიმართ ძირითადად ხდებოდა ბოიკოტის და გაძევების გამოყენება, ხოლო დამატებით სასჯელად შესაძლოა გამანბილებელი სასჯელის დაკისრება მომხდარიყო. მაგალითად, მესხი ინფორმატორის თქმით, გაუპატიურების ჩამდენს სოფლის გადაწყვეტილებით ჯერ სოფელში სახალხოდ ჩამოატარებდნენ (ვირზე შესმულს, ან ფეხით), შემდეგ კი გააძევებდნენ სოფლიდან.[3119] სოფლიდან გაძევებას ეხვდებით გაუპატიურებისათვის ლეჩხუმში ჩაწერილი მასალის მიხედვითაც. ადგილობრივი ინფორმატორის თქმით, განსაკუთრებით მძიმედ ითვლებოდა ნათესავის (სისხლის თუ სულიერი) გაუპატიურება,[3120] თუმცა ის არაფერს მიუთითებს, თუ როგორ ახდენდა ეს გავლენას სასჯელის სიმძიმეზე. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში გაძევებას სამუდამო ხასიათი ექნებოდა. მეგრელი და გურული ინფორმატორების მიხედვითად, სოფელი დამნაშავის მიმართ გაძევებას ან ბოიკოტის გამოცხადებას გადაწყვეტდა.[3121] გურიაში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ჩოხატაურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები სიმონ ს-ძე (მაშინ 12-13 წლისა) სტუმრად ჩავიდა თავის დასთან, რომელიც სხვა სოფელში იყო გათხოვილი. მან თავის დის ქმრის ძმისშვილი დაიჭირა და ძალით წაათრია კლდისაკენ. უნდოდა მისი გაუპატიურება და მერე კლდიდან გადაგდება. ეს ბავშვი შვიდი-რვა წლის იყო. ეს დაინახა ქალმა, რომელიც იქვე თხებს მწყემსავდა (ბავშვის ტირილი გაიგონა). მან ყვირილი დაიწყო. ამაზე მოცვივდა ხალხი. ორი კილომეტრი სდიეს სიმონას. დაიჭირეს, შეუკრეს ხელები და მოიყვანეს მისი დის მაზლთან და დააყენეს ხელშეკრული. ხალხმა დაადგინა სოფელში არ შემოეშვათ ეს ბიჭი, თავის დასთან. ეს ამბავი მენშევიკების მმართველობისას მომხდარა.[3122] აქ კარგად ჩანს, რომ გაუპატიურების მცდელობის ჩამდენი, რომელიც სხვა სოფლიდან იყო, საზოგადოებამ შეიპყრო და აუკრძალა ამ სოფელში შემოსვლა, საკუთარი დის სანახავადაც კი. ამ შემთხვევაში არა მარტო გაუპატიურების, არამედ მკვლელობის მცდელობასთანაც გვაქვს საქმე და ხალხმა შედარებით მსუბუქი სასჯელი აკმარა დამნაშავეს, სავარაუდოდ, მისი არასრულწლოვნების გათვალისწინებით.

იგივე რეგიონებში გაუპატიურებას შესაძლოა დამნაშავის მკვლელობა მოჰყოლოდა. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს გურიაში გოგოს გაუპატიურებისათვის შური უძიებია მის ძმას, რომელსაც დამნაშავე მოუკლავს.[3123] მეგრელი ინფორმატორი კი იხსენებს მამამისის მონაყოლს, რომლის თანახმადაც 1905 წელს ყაჩაღი კვარაცხელია თავისი ამხანაგებით მიუვარდა ფიფიების ოჯახს. ძმა დააკრეს გრძელ სკამზე და მის თვალწინ გააუპატიურეს მისი და. შემდეგ თურმე ეს ავქსენტი ფიფია დაუდარაჯდა კვარაცხელიას და მოკლა.[3124]

როგორც ჩანს, აღნიშნულ რეგიონებში გაუპატიურება ადგილობრივი ჩვეუ-

---

3119 ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 32.

3120 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

3121 იხ. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 26, 38; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 30; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11, 23, 48; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10, 28, 37.

3122 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 6.

3123 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 58-59.

3124 ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 33.

ლებითი სამართლის მიხედვით მაინც საჯარო ხასიათის დანაშაულად აღიქმებოდა და მისთვის საჯარო ხასიათის სასჯელები იყო გათვალისწინებული.[3125] ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, დამნაშავის მკვლელობასაც ჰქონდა ადგილი დაზარალებულის უახლოესი ნათესავის მიერ. ცხადია, გაუპატიურებული ქალის მეუღლის, ძმის ან სხვა ახლო ნათესავის მხრიდან დამნაშავისათვის ასეთი შეურაცხყოფის არ პატიება, მითუმეტეს ცხელ გულზე, აღელვების ნიადაგზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული დანაშაული ჩადენილი იქნებოდა უკიდურესად შეურაცხმყოფელი სახით, მაგალითად, ქალის გაუპატიურება ძმის თვალწინ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენ მიერ მოტანილი გაუპატიურებისათვის მკვლელობის მეორე შემთხვევაში.

გამაუპატიურებლის მკვლელობის ალბათობა, ცხადია, იზრდებოდა, როდესაც, დამნაშავის დასჯა სახელმწიფოს, ან საზოგადოების მიერ ვერ/არ ხერხდებოდა, მაგალითად, მისი ყაჩაღად გავარდნისა და მოუხელთებლობის გამო. ასევე, მაშინ, როდესაც დამნაშავე სხვა სოფლიდან იყო და მისი საზოგადოება მიზანშეწონილად არ ჩათვლიდა მის დასჯას სხვაგან ჩადენილი დანაშაულისათვის, რადგან არ მიიჩნევდა საკუთარი ინტერესის საწინააღმდეგო ქმედებად. ჩვენს მიერ მოტანილ მეორე შემთხვევაში, რომელიც გაუპატიურებისათვის შურისძიებას ეხება, ჩანს, რომ დამნაშავე ყაჩაღად იყო გავარდნილი და მას საზოგადოება ვერ მოიხელთებდა დასასჯელად, თანაც მისთვის, როგორც საკუთარი საცხოვრისიდან ისედაც გადახვეწილი პირისათვის გაუპატიურებისათვის ჩვეულებითი სამართლით დაწესებული სასჯელი, კერძოდ, სოფლიდან გაძევება, აბსოლუტურად არაფრისმთქმელი იქნებოდა. ასეთი სასჯელი მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო საკუთარ სოფელში მცხოვრები დამნაშავისთვის.

აღნიშნულ რეგიონებში გაუპატიურებისათვის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სასჯელის დაკისრებას, თუ დამნაშავის მკვლელობას, უმეტესად შედარებით ადრეულ პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი. ინფორმატორები ძირითადად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებს იხსენებენ. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაუპატიურების საქმეები ძირითადად ხელისუფლების განხილვის ობიექტი იყო.

გაუპატიურების შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე დაზარალებულ ქალს ცოლად წაიყვანდა. აღნიშნული ჩანს ერთ-ერთი სვანი ინფორმატორის მონათხრობში. კერძოდ, მისი განმარტებით, თუ ჯერ გააუპატიურა კაცმა ქალიშვილი, შემდეგ კი მოხდა ისე, რომ ცოლად წაიყვანა, ამ დროს ცხადია არც გადახდება მას არაფერი, მაგრამ ასეთი კაცი თავის ცოლის ნათესავებში არასდროს იქნება დაფასებული და თუ ცუდი რამ საქციელი გამოამჟღავნა ცოლისადმი, უფრო მოელის საფრთხე მის სიცოცხლეს, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში. თუ პირმა მის მიერ გაუპატიურებული ქალი მოჩვენებით, თვალის ასახვევად წაიყვანა

3125 აღსანიშნავია, რომ გაუპატიურება ჯერ კიდევ გურიის სამთავროში ითვლებოდა საჯარო ხასიათის დანაშაულად. კერძოდ, დონ ქრისტეფორე დე კასტელის ცნობით, გურიის მთავარმა ქალის გაუპატიურების გამო დამნაშავე ხეზე ჩამოაკიდებინა, მაგრამ არა სიკვდილით დასასჯელად. მას ორი მხრიდან თოკი ჰქონდა გამობმული, რომელსაც ორივე მხრიდან ორ-ორი კაცი ექაჩებოდა და ზემოთ-ქვემოთ ასწევდა და დასწევდა (იხ. დონ ქრისტეფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, 148, სურათი №333).

ცოლად, მაგრამ მალე ისევ დატოვა, ასეთ მოქმედებას მკვლელობა მოსდევს, ან არადა მთელი წორის გადახდა.[3126] ამ მონაცემში კარგად ჩანს, რომ გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანა დამნაშავეს ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. თუ მისი მხრიდან თვალთმაქცობას ექნებოდა ადგილი და იგი გაუპატიურებულ ქალს თვალის ასახვევად მოიყვანდა ცოლად, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით და შემდეგ მიატოვებდა მას, ადგილი ექნებოდა ქორწინებამდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენას – გაუპატიურების ჩამდენი ისევ დამნაშავედ ჩაითვლებოდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგით, კერძოდ, ამ შემთხვევაში დაზარალებული მხარის მხრიდან მოხდებოდა მისი მოკვლა, ხოლო თუ საქმე სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით შერიგებამდე მივიდოდა, მაშინ დამნაშავეს ერთი სრული წორი უნდა გადაეხადა. გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანის შემთხვევაშიც ვაჟის ნებისმიერი ნეგატიური საქციელი ცოლის მიმართ ამ უკანასკნელის ნათესავების მხრიდან ჩვეულებრივზე მეტი სიმძაფრით აღიქმებოდა და ვაჟის სიცოცხლეს დამატებით საფრთხეს უქმნიდა.

გაუპატიურებული ქალის ცოლად შერთვა დამნაშავეს პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა ხევსურეთშიც. მ. კოვალევსკის მიხედვით, ქალის გაუპატიურებისას დამნაშავეს პასუხისმგებელობა დაეკისრებოდა, თუ იგი მას ცოლად არ მოიყვანდა.[3127] აქ ნათლად ჩანს, რომ გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა.[3128] სავარაუდოდ ანალოგიური დამოკიდებულება იქნებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც, სადაც საკვლევ პერიოდში გაუპატიურების, როგორც დანაშაულის განხილვა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მოხდებოდა, სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე.

ამრიგად, ქართული ჩვეულებითი სამართალი გაუპატიურებისათვის ითვალისწინებს დამნაშავის მოკვლას, ან დაჭრა-დასახიჩრებას ქალის ახლობლების მხრიდან, ასევე, საზოგადოების მიერ მის სიკვდილით დასჯას, გაძევებას, ან ბოიკოტის გამოცხადებას. მთის რეგიონებში – სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – აღნიშნული დანაშაული თავისი სიმძიმით ფაქტიურად მკვლელობასთან იყო გათანაბრებული და მას უცილობლად შურისძიება, ან მკვლელობისათვის გათვალისწინებული საზღაურის ოდენობის გადახდა მოჰყვებოდა. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მხოლოდ გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანა გამოიწვევდა.

დანაშაულის სუბიექტად გვევლინება მამაკაცი, რომელიც ქალის ნების საწინააღმდეგოდ მასთან სქესობრივ კავშირს დაამყარებდა. დანაშაულის შინაარსი

3126 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 90.

3127 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 119.

3128 ამის შესახებ გარკვეულ მინიშნებას ვხვდებით ნ. ხიზანაშვილთანაც. მისი განმარტებით, თუ პიროვნება ცოლად მოყვანის მიზნით მოტაცებულ ქალს გააუპატიურებდა, იგი ამისათვის პასუხს არ აგებდა. თუ ცოლად მოყვანის მიზნით მოატაცებული ქალის ცოლად შერთვა გაუპატიურებისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო ზოგადად გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანის შემთხვევაში (ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 36). სამეგრელოშიც ვაჟი მოტაცებულ ქალთან ძალადობრივ სქესობრივ კავშირს ამყარებდა, რათა ქალი მშობლებთან არ დაბრუნებულიყო (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, 262). ამ მონაცემის მიხედვითაც, ქალის ცოლად შერთვა მისი გაუპატიურებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ჩანს.

ქალთან სწორედ ძალადობრივი კავშირის დამყარებაში გამოიხატებოდა და დამთავრებულად ითვლებოდა ასეთი ხასიათის სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტიდან.

დ. ჯალაბაძე ფშაურ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას მართებულად აღნიშნავს, რომ ხალხური სამართლით დაცული სიკეთე, რომელსაც გაუპატიურება ხელყოფდა, უპირველეს ყოვლისა ქალის სქესობრივი თავისუფლებაა. ამის გარდა გაუპატიურება, როგორც დანაშაული ხელყოფდა საზოგადოების საერთო ინტერესს და მისი ტრადიციით დაცულ ზნეობრივ კატეგორიებს, თუმცა დ. ჯალაბაძე ამასთან შედარებით პრიორიტეტს მაინც ქალის სქესობრივ თავისუფლებას ანიჭებს.[3129] გაუპატიურება, როგორც დანაშაული, ხელყოფდა ასევე, ქალის ახლობლების (ოჯახის წევრების, ბიძაშვილების) პატივსა და ღირსებას, რაც განაპირობებდა მათი მხრიდან ძალზედ მძაფრ რეაქციას დამნაშავის მიმართ.

8. მამათმავლობა

ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში თითქმის არ მოიპოვება ცნობები არაბუნებრივი სქესობრივი კავშირის, კერძოდ, მამათმავლობის შესახებ. გამონაკლისია ერთი მონაცემი, რომელიც აჭარის სინამდვილეს ეხება. აქ მამათმავლებს სიკვდილით სჯიდნენ ჩაქოლვის ფორმით. თურქული მმართველობის შემდეგ, როდესაც ყადები სჯიდნენ ასეთი გარყვნილი ქმედების ჩამდენთ, ხალხი თვითონ უსწორდებოდა თავისი საზოგადოების უღირს წევრს. ხალხი იწონებდა ასეთ სასჯელს, ხოლო ასეთი პიროვნების მკვლელობა სამაგიეროს ზღვევას არ იწვევდა.[3130]

იბ. აბაშიძის ამ ერთი მონაცემის მიხედვით, ძნელია სრულფასოვანი დასკვნების გაკეთება აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით, თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ მამათმავლობა აჭარული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. ამას მიუთითებს სასჯელი, რომელიც ამ გარყვნილი ქმედების ჩადენისათვის ჩვეულებითი სამართლით იყო გათვალისწინებული. საზოგადოება ვერ ურიგდებოდა მამათმავალ წევრს საკუთარ რიგებში და ასეთი ქმედების გამოვლენისას დამნაშავეს უცილობლად სიკვდილით სჯიდა. აღნიშნული დანაშაულის მძიმე ხასიათზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მამათმავლობა აჭარული ჩვეულებითი სამართლით იმ დანაშაულთა, გარყვნილ ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლის ჩამდენის მოკვდინება საპასუხო შურისგებას არ იწვევდა.

3129 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 123.

3130 იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, ბათუმი, 1965, 43.

9. უკანონო შვილის გაჩენა. ქალის დაორსულება უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგად, „გაბიჭიანება"

ქართული ჩვეულებითი სამართალი საკმაოდ მძიმე სასჯელს ითვალისწინებდა უკანონო შვილის გაჩენისათვის. ამ დანაშაულის შემადგენლობა მოიცავდა უკანონო შვილის გაჩენას, ქალის დაორსულებას უკანონო ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შედეგად. დ. ჯალაბაძე ფშავის ჩვეულებით სამართალში აღნიშნული დანაშაულის განხილვისას შენიშნავს, რომ თუ უკანონო შვილის გაჩენა ძალადობრივ სქესობრივ კავშირს მოჰყვებოდა ეს სხვა დანაშაულის – გაუპატიურების შემადგენლობას გულისხმობდა.[3131]

განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდა აღნიშნული დანაშაული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აქ ამ დანაშაულისათვის ძირითადად ვხვდებით ჩაქოლვასა და მოკვეთას – ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებულ უმძიმეს საჯარო ხასიათის სასჯელებს. მაგალითად, ფშავში ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ჩაქოლვას სხვა მძიმე დანაშაულებთან (მაგალითად, თემისა და ხატის ღალატი) ერთად იწვევდა ქალისა და მამაკაცის სიყვარული, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფი გამოჩნდებოდა.[3132] ფშაველი ინფორმატორების განმარტებით, უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგად დაორსულების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „გაბიჭიანება."[3133] იგივე ტერმინი ფიქსირდება ხევსურეთშიც.[3134] დ. ჯალაბაძის ფშაველი ინფორმატორის (ნიკოლოზ თვარელიშვილის) განმარტებით, „გაბიჭიანებისათვის ქალსაც და კაცსაც ხიდის ყურეზე, ყველას თვალწინ ჩაქოლავდნენ. ეს მაშინ, თუ გაბიჭიანება ქალის ნებით მოხდებოდა."[3135] ამის გარდა ასეთი ქმედების ჩამდენთ „საფლავის მიწასაც კი არ მისცემდნენ".[3136] ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ფშავლებით დასახლებულ ერთ-ერთ სოფელში (ახმეტის რაიონი) იპოვეს მკვდარი ახალშობილი. შემდეგ დაადგინეს ბავშვის დედა და როგორც ბავშვის უკანონოდ გამჩენი სოფლიდან გააძევეს.[3137]

აღნიშნული დანაშაულისადმი იგივე დამოკიდებულებას ვხვდებით ხევსურული მასალების მიხედვითაც. აქაც ფიქსირდება უკანონო შვილის გაჩენისათვის ჩაქოლვა.[3138] ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი აცხადებს: „თუ ბავშვი ქორწინების გარეშე დაიბადება იმას ნაბიჭვარს, უფრო კი ბიჭს ვეძახით. ნაბიჭვრის მშობლებს ან მოკლავენ ან მოიკვეთენ, შეიძლება ნაკურთხ სასაფლაოზეც არ დაკრძალონ, შეიძლება შეცდენილნი ჩაქოლათ კიდეც."[3139] ხევსურულ მასალებში უკანონო შვილის გაჩენისათვის თუ „გაბიჭიანებისათვის" პასუხისმგებლობის დაკისრების კონკრეტული მაგალითებიც გვხვდება. მაგალითად, არხოტში ყოფილა ლამაზი ქალი – ბაჯალათ თამარა, რომელიც შეუყვარდა

3131 დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, თბ., 2003, 126.

3132 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 71.

3133 დ. ჯალაბაძე, იქვე..

3134 იხ. გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 61.

3135 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 3.

3136 იქვე.

3137 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 9.

3138 ალ. რაზიკაშვილი, არ დაეინყება ძველისა, თბ., 1984, 30.

3139 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

აბას, რასაც ქალის გაბიჭიანება მოჰყოლია. ქალს უთქვამს აბასგან მყავსო. აბას თავისი შინშის, უშიშასათვის მიუმართავს – შენ დაიბრალეო. უშიშასაც თავის თავზე აუღია ამ ქმედების ჩადენა. შემდეგ სოფელს მსჯელობა დაუწყია: უშიშა და თამარა მოვიკვეთოთ, ერთმანეთზე გადავაბათ, ან დავხოცოთ, ან წყალში ჩავყაროთო.[3140] სოფელ ახიელში ერთი გვარის ქალ-ვაჟს გაუჩნდათ ნაბიჭვარი. ვაჟი არ მოკლეს, ხოლო ქალი გააგდეს სოფლიდან. იგი პირაქეთ ხევსურეთში სოფელ გუდანში გათხოვდა. „მამისახლმა" ეს ქალი არ შეირიგა ოც წელზე მეტ ხანს. ბოლოს ძმა შეურიგდა მას. ვაჟი ერთი წლის განმავლობაში ჰყავდათ მოკვეთილი, მის მიმართ გამოიყენეს გამაწბილებელი სასჯელი „კალთის მოსჭრა", რაც სირცხვილად ითვლებოდა. ბოლოს ისიც შეირიგეს.[3141] უფრო მძიმე შედეგით დასრულდა უკანონო შვილის გაჩენა ხევსურეთში აღწერილ კიდევ ერთ შემთხვევაში: უკანონო შვილი შეეძინა ერთმანეთის მოგვარე ქალ-ვაჟს. ორივე ხელმოკლიათ გვარს მიეკუთვნებოდა და პირაქეთ ხევსურეთში ცხოვრობდა: ვაჟი სოფელ ჩირდილში და ქალი სოფელ ხიტალეში. ამ უკანასკნელ სოფელში სხვა გვარის არც ერთი ოჯახი არ ბინადრობდა. ხელმოკლიათ გვარი სოფელ ჩირდილში და ხიტალეში დაახლოებით 6-7 თაობით იყვნენ დაშორებული. ქალმა უკანონოდ შობილი ვაჟი მოკლა და გაიქცა პირიქით ხევსურეთისკენ, თუმცა ძმებმა დაიჭირეს და გამოტეხეს თუ ვისგან ჰყავდა ბუში. შემდეგ ძმებმა გადაწყვიტეს მისი ხევსურეთიდან გაგდება. გაიქცა დამნაშავე ვაჟიც, რომელიც ცოლშვილიანი ყოფილა. მისმა ძმებმა მოილაპარაკეს, თუ რომელი მათგანი მოკლავდა მათ შემარცხვენელ ძმას და აღასრულეს კიდეც თავისი გადაწყვეტილება.[3142] საინტერესოა, რომ ამ შემთხვევიდან მრავალი წლის შემდეგ მოკლულის შვილიშვილმა მკვლელის შვილიშვილს მოსთხოვა პაპამისის მკვლელობისათვის გადასახადის გადახდა. მისი თქმით, პაპამისმა თავისი საქციელით საკუთარი თავი შეარცხვინა და ძმებმა რატომ მოკლესო? თუ მოკვლა იყო ქალის ნათესავებს მოეკლათო. საბოლოოდ მან მკვლელის შვილიშვილს პაპამისის მკვლელობისათვის სისხლის ფასი გადაახდევინა.[3143]

ნაკლებად მძიმე სასჯელებს ვხვდებით უკანონო შვილის გაჩენისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. მაგალითად, ბ. ნიჟარაძის ცნობით, „თუ ქალიშვილს მეძაობა გამოაჩნდებოდა, და ბუში (ნაბიჭვარი) ეყოლებოდა, მაშინ ყრილობა ქალიშვილის დედ-მამას, და თუ ესენი არ ჰყავდა – მისი ყურის მგდებელ ახლო ნათესავებს, ჩამოართმევდა ჯარიმად ერთ დღიურ ყანას, ან ამის კვალობაზე სათიბს, ტყეს, რომელნიც სასოფლო საბეგრო ადგილებად რჩებოდნენ სამუდამოდ. მეძავ ქალიშვილს და მის ბუშს ეკრძალებოდათ ნაკურთხ მიწაში დამარხვა, საყდრებში მისვლა და დასწრება სახალხო და საღმრთო დღესასწაულებზე. ნაბუშარ ქალს, გათხოვილი იქნებოდა თუ გაუთხოვარი, არ შეეძლო ღვთისადმი მსხვერპლის შეწირვა თავის თავად.[3144] უკანონო

3140 გ. დოლიძე, იქვე.

3141 ნ. ბალიაური, სნორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 80.

3142 იქვე, 79.

3143 იქვე, 80.

3144 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88; იგივეს, სავარაუდოდ ბ. ნიჟარაძეზე დაყრდნობით, ადასტურებს რ. ხარაძე (იხ. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 69-70).

შვილის გამჩენ ქალს ეკლესიის საზღვრებში გავლაც კი ეკრძალებოდა.[3145]

როგორც ვხედავთ, უკანონო შვილის გაჩენისათვის ბალსზემო სვანეთში ბ. ნიჟარაძის თანახმად, ძირითადად, ქონებრივი საზღაურის გადახდას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, ქალის მშობლებს (მათი არ ყოფნის შემთხვევაში, მის მეურვე ახლო ნათესავებს) თემის ყრილობის გადაწყვეტილებით და თემის სასარგებლოდ უნდა გაეღოთ ერთი დღიური მიწა. ასევე ადგილი ექნებოდა დამატებით სასჯელებსაც, რომლებიც გარკვეული უფლების ჩამორთმევასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, ნაკურთხ მიწაში დამარხვის, ეკლესიაში შესვლის, სახალხო და რელიგიური დღესასწაულზე დასწრების უფლების.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბ. ნიჟარაძის მონაცემებში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არავითარი ცნობა არ არის იმ მამაკაცის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლისგანაც ქალს შეეძინება უკანონო შვილი. აქ საუბარია მხოლოდ უკანონო შვილის გამჩენი ქალის და მისი მშობლების დასჯაზე. ამ ხარვეზის შევსება შესაძლებელია ეგ. გაბლიანის მონაცემების მეშვეობით. მისი განმარტებით: „გაუთხოვარ ქალს თუ ვინმე შვილს აყოლებს და ცოლად არ შეირთავს, ამას ქვია ლიბჭაანი. ეს მთელი გვარეულობის შეურაცხყოფას შეადგენს და გარიგების დროს .... ნახევარ წორად ფასობს.“[3146] ამ მონაცემიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული დანაშაული ქალის გვარეულობის უდიდესი შეურაცხყოფა იყო და მათი მხრიდან ვაჟის საწინააღმდეგო მოქმედებებს გამოიწვევდა, რასაც შესაძლოა მისთვის მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. თუ დაპირისპირება შერიგებამდე მივიდოდა, მაშინ ვაჟს ქალის მხარისთვის საკმაოდ დიდი გადასახადი – ნახევარი წორი უნდა გადაეხადა.

გარკვეული მონაცემები უკანონო შვილის გაჩენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გვხვდება გურიაში ჩაწერილ ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც. უკანონო შვილს აქ ბუშად იხსენიებენ, მის დედას ბოზს უწოდებენ.[3147] ამ ქმედებისათვის აქ ძირითადად გვხვდება გაძევება და ბოიკოტის გამოცხადება.[3148] ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა უკანონო შვილის გამჩენი ქალის გაძევებისა.[3149] არაერთი გურული ინფორმატორი (სურებიდან) იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას უკანონო შვილის გაჩენისა, როდესაც ვინმე გ. რ-მ იშვილა ტ-ს შვილი. მას და მის ცოლს შვილი არ ჰყავდათ. გ. რ-ს ნაშვილევთან დაუმყარებია სქესობრივი კავშირი სწორედ შვილის ყოლის მიზნით. მასაც გაუჩენია ბავშვი. სახელმწოფო კანონი ამ ქმედებას არ სჯიდა, თუმცა სოფლისთვის ეს მიუღებელი საქციელი იყო, რომელიც ჩვეულებითი სამართლით ისჯებოდა. სოფელი შეიკრიბა და საერთო გადაწყვეტილებით გ. რ-ს ბოიკოტი გამოუცხადეს სამი წლით.[3150] გამორიცხული არაა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გ. რ-ს დასჯა განაპირობა იმანაც, რომ უკანონო შვილის გაჩენა მოხდა მის მიერ საკუთარ ნაშვილებთან დამყარებული სქესობრივი კავშირის გამო, რაც ბავშვის დაბა-

3145 რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 112.

3146 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 111.

3147 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 18.

3148 იქვე, 9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 30.

3149 გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 10.

3150 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 14; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 37, 48; მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 24.

დების ფაქტმა გამოავლინა. სხვა მონაცემების თანახმად კი უკანონო შვილის გაჩენისათვის ძირითადად ქალის პასუხისმგებლობა გვხვდება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე.

სამეგრელოში უკანონო შვილის გაჩენას, ქორწინების გარეშე დაფეხმძიმებას მეზობლების მხრიდან ქალის ოჯახის ბოიკოტი მოსდევდა. ქალი კი ყველას სალაპარაკო ხდებოდა, მისი საქციელის შესახებ ლექსებს თხზავდნენ და სხვა. თ. სახოკიას მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უკანონო შვილის გამჩენ ქალს ხობში ლექსი გამოუთქვეს. ასეთი ქალის გათხოვება ძალზედ გართულებული იყო. თუ კარგი მზითვი ჰქონდა, შეიძლება ვინმე ღარიბ-ღატაკ, უსახლკარო ყმაწვილს წაეყვანა, შეიძლება ვინმე მოხუც კაცს ეკისრა მისი შერთვა. ასე მოხდა თ. სახოკიას მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაშიც.[3151]

მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა უკანონო შვილის გაჩენა აჭარაშიც. აჭარაში, კერძოდ, კვარიათში მცხოვრები ლაზი ინფორმატორი იხსენებს, რომ სარფში კაცი დაპირდა ქალს ცოლად მოყვანას. ქალის მშობლებს არ უნდოდათ იგი სასიძოდ და ქალი არ მიათხოვეს. კაცი ნაცხოვრები აღმოჩნდა ქალთან, რომელსაც შეეძინა ბავშვი. ქალები ცდილობდნენ კაცებს არ გაეგოთ და მალავდნენ ამ ქალს, მაგრამ ბავშვის დაბადება გაიგო ქალის ძმამ და მოკლა ეს ქალიც და ბავშვიც. შემდეგ იგი ემტერებოდა იმ კაცსაც, მაგრამ ეს უკანასკნელი დაიმალა. საერთოდ ქალები მალავდნენ უკანონო შვილის გამჩენ ქალს, ხოლო მის ბავშვს ახრჩობდნენ.[3152] ამ მონაცემის მიხედვით, საზოგადოება არ მონაწილეობს დამნაშავეთა დასჯაში, თუმცა ჩანს, თუ რაოდენ არსებითად ხელყოფდა აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება ქალის ახლობლების პატივსა და ღირსებას და შეურაცხყოფდა მათ. როგორც ჩანს, აჭარის რეგიონში უკანონო შვილის გაჩენას საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა და საქმე შესაძლოა უკანონო შვილის გამჩენი ქალის სიკვდილითაც დასრულებულიყო. ამ მონაცემიდან ისიც ჩანს, რომ ქალის ძმა ვაჟსაც მოკლავდა ეს უკანასკნელი რომ არ დამალულიყო. ქალების მიერ უკანონო შვილის გამჩენი ქალის დამალვა და ბავშვის მოკვლა განპირობებული იყო სწორედ იმით, რომ ეს ქალი დაეცვათ ოჯახის მამაკაცების მხრიდან მოკვლისგან. როგორც ჩანს, უკანონო შვილის გამჩენი ქალის ახლო ნათესავების მხრიდან ქალისა და ვაჟის მკვლელობა ამ დანაშაულის შემთხვევაში მიღებული წესი იყო. სქესობრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისადმი ასეთი დამოკიდებულება გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა.

მოტანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალი უკანონო შვილის გაჩენას, ქალის დაორსულებას უკანონო ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შედეგად, ე. წ. „გაბიჭიანებას“ დანაშაულად განიხილავს. „გაბიჭიანება“, როგორც დანაშაული ფშავ-ხევსურეთში ფიქსირდება. ვაჟას განმარტება რომ ჩაქოლვა მოჰყვებოდა ქალისა და კაცის სიყვარულს, როდესაც ამ სიყვარულის ნაყოფიც გამოჩნდებოდა შეიძლება გულისხმობდეს უკანონო შვილის გაჩენასაც და უკანონო სქესობრივი კავშირის გამო დაორსულებასაც. ბუნებრივია, აღნიშნული შედეგი დგებოდა უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებით, რაც თავისთავად დამოუკიდებელ დანა-

3151 თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912, პირადი არქივი, 74-76.

3152 გ. დავითაშვილი, მასალები ლაზების ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 18.

შაულად ითვლებოდა. ხშირად, უკანონო სქესობრივი კავშირის ფაქტი მჟღავნდებოდა სწორედ ქალის დაორსულების თუ ბავშვის დაბადების გამო. ამ შემთხვევაში ავტორები და ინფორმატორები დანაშაულად უკანონო შვილის დაბადებას და უკანონო სქესობრივი კავშირის შედეგად ქალის დაორსულებას განიხილავენ. ჩვენც აქედან გამომდინარე აღნიშნულ ქმედებას დამოუკიდებელ დანაშაულად გამოვყოფთ.

უკანონო შვილის გაჩენა, „გაბიჭიანება" ფშავ-ხევსურეთში მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რაზედაც მიუთითებს მისთვის გათვალისწინებული სასჯელები – სიკვდილით დასჯა, მათ შორის ჩაქოლვის სახით, მოკვეთა-გაძევება. ეს სასჯელები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ძირითადად საჯარო ხასიათის სასჯელებად ითვლება. სვანეთსა და გურიაში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვითაც უკანონო შვილის გაჩენისათვის ასევე საჯარო სასჯელების გამოყენებას ვხვდებით, შესაბამისად, ჯარიმას საზოგადოების სასარგებლოდ და ბოიკოტის გამოცხადებას. ეს მიუთითებს, რომ უკანონო შვილის გაჩენა, „გაბიჭიანება" ძირითადად საჯარო ხასიათის დანაშაულად ითვლებოდა. უაღრესად მძიმე დანაშაულად ჩანს უკანონო შვილის გაჩენა აჭარაშიც, სადაც ამ ქმედებას შესაძლოა ქალ-ვაჟის მკვლელობა მოჰყოლოდა.

აღნიშნული დანაშაული უპირველეს ყოვლისა ხელყოფდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. ამაზე მიუთითებს არა მარტო ის გარემოება რომ საზოგადოება თვითონ სჯიდა დამნაშავეს საჯარო ხასიათის სასჯელებით, არამედ ისიც რომ უკანონო შვილის გამჩენს ეკრძალებოდა ნაკურთხ მინაში დაკრძალვა, ეკლესიაში შესვლა და სხვა. ხევსურეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით ასევე ჩანს, რომ ეს დანაშაული ხელყოფდა მის ჩამდენთა ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების პატივსა და ღირსებას. მათთვის განსაკუთრებით შემარცხვენელი და დამამცირებელი იყო უახლოესი ნათესავების უზნეო საქციელი. ამას მიუთითებს თუნდაც ხევსურეთში მომხდარი ის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უკანონო შვილის გამჩენი, რომელიც სოფლიდან გაძევებულ იქნა და შემდეგ სხვაგან გათხოვდა, მამის ოჯახმა ოცი წლის განმავლობაში არ შეირიგა. ასევე, დამნაშავე მამაკაცი მისივე ძმებმა მოკლეს მათთვის მიყენებული უდიდესი სირცხვილისათვის და ამით ჩამოირეცხეს სამარცხვინო ლაქა. როგორც დავინახეთ ამ მკვლელობისათვის მკვლელის შვილიშვილმა აგო პასუხი. ამდენად, ასეთი ქმედება საბოლოო ჯამში არამართლზომიერად შეფასდა, რადგანაც იგი უფრო ქალის ახლობლების მხრიდან იქნებოდა ჩვეულებითი სამართლით გამართლებული. დამნაშავე ქალის ძმებმა კი გადაწყვიტეს ქალის გაძევება, რაც ნიშნავდა, რომ ამ ქალისთვის იკეტებოდა არა მარტო საკუთარი ოჯახის კარი, არამედ ყველა მისი ნათესავის, თანასოფლელის და იგი საერთოდ გაძევებული იქნებოდა თავისი საცხოვრისიდან.

ხევსურეთში დაფიქსირებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ განსახილველი დანაშაულის ჩამდენთა მიმართ დამსჯელი ღონისძიებების გატარება მათი უახლოესი ნათესავების მიერ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, დამნაშავე შესაძლოა მოეკლათ, გაეძევებინათ, მოეკვეთათ და დიდი ხნის განმავლობაში არ შერიგებოდნენ. განსაკუთრებით მძიმე რეაქცია მოჰყვებიდა ხოლმე ამ დანაშაულს თუ მის ჩამდენთ ერთმანეთთან ნათესაური კავშირი ექნებოდათ. ხევსურეთის სინამდვილიდან მოყვანილ ორ შემთხვევაში გამოჩნდა,

რომ დამნაშავეები ერთმანეთის მოგვარეები იყვნენ და შესაძლოა ამან განსაკუთრებით გაამძაფრა მათი უახლოესი ნათესავების რეაქცია მათ მიმართ. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემს გვაწვდის მ. კედელაძე. მის მიხედვით, გვარი თვითონ მოკლავდა უკანონო შვილის გამჩენ ქალს. „წინათ ორივეს ჩაქოლვა იცოდნენ, თუ ისინი გვარის შიგნით მოიმოქმედებდნენ ამას". ქალს მოკლავდნენ მისი ოჯახის წევრები, ე. ი. ქალის ძმა-ბიძაშვილები. თუ რაიმე მიზეზით ქალს ან კაცს ვერ ან არ მოკლავდნენ, გააძევებდნენ. თუ ეკუთვნოდა ცოლად მოაყვანინებდნენ, მხოლოდ სოფლიდან მაინც გააძევებდნენ. თუ ერთი სოფლიდან იყვნენ ორი სამი წლის შემდეგ ისევ შეირიგებდნენ. შეიძლება მტრობა ვაჟის სიკვდილით დასრულებულიყო.[3153] ამ მონაცემიდან გამომდინარე შესაძლოა გარკვეული დასკვნების გაკეთება: 1. ეს მონაცემი ცალსახად გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში უკანონო შვილის გაჩენისათვის პასუხისმგებლობა მძიმდებოდა, თუ დამნაშავეები ნათესავები (მოგვარეები) იყვნენ, ანუ ნათესავების მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა ხევსურეთში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა და მას შესაძლოა სიკვდილით დასჯა მოჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ძველ დროს ორივეს – კაცსაც და ქალსაც – ჩაქოლავდნენ. თუ რაიმე მიზეზით სიკვდილით დასჯა არ მოხდებოდა, მათ აძევებდნენ. 2. უკანონო შვილის გამჩენი ქალი შესაძლოა მისივე გვარის წევრებს, ძმა-ბიძაშვილებს გამოესალმებინათ სიცოცხლეს. ქალის გამოსავალი ამ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გადახვეწა იყო. ასევე, აღნიშნულ დანაშაულს მოჰყვებოდა ქალის ძმა-ბიძაშვილების გადამტერება დამნაშავე ვაჟის მიმართ, რაც შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევაში ისე გამწვავებულიყო, რომ ვაჟის მკვლელობით დასრულებულიყო. 3. თუ დამნაშავეები არ იყვნენ ერთმანეთის ნათესავები და მათი დაქორწინების ხელისშემშლელი რაიმე ფაქტორი არ არსებობდა, მაშინ მათ მიმართ შედარებით მსუბუქი სასჯელის გამოყენებას ექნებოდა ადგილი. მოხდებოდა დამნაშავეთა დაქორწინება და თუ ერთი სოფლიდან იყვნენ მათი გაძევება გარკვეული დროით, კერძოდ, ორი-სამი წლით და შემდეგ მათი შემორიგება. მ. კედელაძის ეს მონაცემი ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელი უნდა იყოს. უკანონო შვილის გაჩენის რაიმე კონკრეტულ შემთხვევას, როგორც სხვა მონაცემები გვიჩვენებს, შესაძლოა განსხვავებული შედეგიც მოჰყოლოდა.

ხევსურეთში ჩაწერილი მონაცემები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ დამნაშავეების დასჯა გვარის, უახლოესი ნათესავების, ძმა-ბიძაშვილების მიერ, უძველესი დროიდან შემორჩენილი წესის გამოვლინებაა, რომელიც ჯერ კიდევ ტერიტორიული თემის ჩამოყალიბებამდე მოქმედებდა. მასალების მიხედვით ეს უფრო გვარის შიგნით მომხდარი დანაშაულის შემთხვევაში ჩანს.

როგორც მასალებიდან გამოჩნდა, უკანონო შვილის გაჩენას შესაძლოა დამნაშავეთა უახლოეს ნათესავებს შორის მტრობა მოჰყოლოდა და კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავე ვაჟის მკვლელობაც გამოეწვია.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტად ჩანს უკანონო შვილის გამჩენი, „გაბიჭიანებული" ქალი და ვაჟი, რომლისგანაც ქალს უკანონო შვილი ეყოლა. ხევსურეთში მომხდარ ერთ ზემოთმოყვანილ შემთხვევაში გამოჩნდა, რომ ქალსაც და კაცსაც სოფელმა გადაუწყვიტა მოკვეთა და შემდეგ სიკვდილით დასჯა, თუმცა სხვა შემთხვევაში ქალი გააძევეს, მამაკაცი კი მხოლოდ ერთი წლით

3153 მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, მ. კ. 5/7, 4-5.

მოიკვეთეს. რა იყო ამ შემთხვევაში მამაკაცის მიმართ შედარებით მსუბუქი სასჯელის დაკისრების მიზეზი ძნელი სათქმელია. აღსანიშნავია, რომ მონაცემში ხაზგასმულია ის გარემოება რომ დამნაშავე ვაჟი არ მოკლეს. ამ გარემოების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ ეს სრულიად შესაძლებელი იყო, არა მარტო სოფლის გადაწყვეტილებით, არამედ მის მიერ შეცდენილი ქალის ახლო ნათესავების მიერაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არ მოხდა და დამნაშავე ვაჟს მხოლოდ გარკვეული ვადით მოკვეთა აკმარეს.

10. წაწლობის, ნადობ-ნაძმობობის, სწორფრობის წესების დარღვევა

ეს დანაშაული ფშავ-ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება. ცნობილია, რომ ფშავში გვხდება წაწლობის (ნადობ-ნაძმობობის), ხოლო ხევსურეთში სწორფრობის ინსტიტუტი.[3154] ჩვენ არ ვაპირებთ აღნიშნული ინსტიტუტების შესწავლას, მათი წარმომავლობის შესახებ მსჯელობას, მხოლოდ მათი წესების დარღვევის სამართლებრივ მხარეს შევეხებით.

წაწლობის (ნადობ-ნაძმობობის) და სწორფრობის წესების დარღვევა ფშავ-ხევსურეთში შეიძლება გამოხატულიყო წაწლებს/სწორფრებს შორის ქორწინებასა და სქესობრივ კავშირში, რასაც ქალის დაფეხმძიმება, უკანონო შვილის გაჩენა მოჰყვა.

ნადობ-ნაძმობობის წესები ითვალისწინებდა ნადობისა და ნაძმობის, ერთად წოლას, ხვევნა-კოცნას, ხოლო სქესობრივი აქტი იკრძალებოდა, ნაძმობი ნადობს წელსქვევით არ უნდა გასცილებოდა, მკერდზე ხელით არ უნდა შეხებოდა. მიუხედავად ამისა იყო ნადობის დაორსულების შემთხვევები, რაც თემში სამარცხვინო მოვლენად ითვლებოდა. ასეთი წაწალი ვერ გათხოვდებოდა, როგორც თემისაგან შერცხვენილი და ნაბუშარიც თვითონ უნდა გაეზარდა. ასეთ ნაძმობს კი წაწლები უფრთხოდნენ და არცხვენდნენ, ხოლო ხალხი კიცხავდა. ეს გარემოება წაწლებს თავშეკავებისკენ უბიძგებდა, რომ ნაბუშარის გაჩენით თემში თავი არ შეერცხვინათ.[3155] იგივე ითქმის სწორფრობის წესებზეც. სწორფერთან სქესობრივი კავშირის დამყარება ხევსურული ჩვეულებითი სამართლით აკრძალული იყო. ს. მაკალათიას მიხედვით, სწორფრობა ცდუნებისგან დაზღვეული არ ყოფილა და სქესობრივი აქტი გამორიცხული არ იყო. ეს ხდებოდა სიფრთხილით, უთესლოდ და ამას დიდ საიდუმლოდ ინახავდნენ. ქალიც არ გასცემდა ძმობილს, რადგანაც მის თანაბრად იყო პასუხისმგებელი აღნიშნული ქმედებისათვის.[3156] ძმობილი ქალი თუ დაორსულდებოდა, რაც აქ იშვიათად ხდებოდა, სწორფერი ყველა ზომას მიმართავდა, რომ მას მუცელი მოშლოდა და ამით თემის რისხვა აეცდინა.[3157] ნ. ბალიაურის მიხედვით კი ხევსურეთში

3154 ქალ წაწალს ნადობს ეძახდნენ, ხოლო კაცს – ნაძმობს. სწორფრებს კი ძმობილებად მოიხსენიებენ.

3155 ს. მაკალათია, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ტფ., 1925, 3; მისივე, ფშავი, თბ., 1925, 128; დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 12, 25-26.

3156 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 25. დ. ცისკარაულის მტკიცებით, ქალების 25% ვარდება ამ შეცდომაში, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს არ მჟღავნდებოდა სწორედ იმიტომ, რომ ქალ-ვაჟი ასეთ დროს ძალიან ფრთხილობდა. 30 წლის განმავლობაში მთელ ხევსურეთში ასეთ შემთხვევაში ქალის დაორსულების სულ სამი შემთხვევა იყო (დ. ცისკარაული, იქვე, 27),

3157 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 162.

სწორფრობის დროს უწესობას ეძახიან „გარყვნას“, „გარყვნილებას“. ხევსური კაცი ერიდებოდა ქალთან უწესობის ჩადენას, თავდაჭერილი იყო და ქალისგანაც იგივეს მოითხოვდა. ამის მიზეზი კი იყო კაცის თავმოყვარეობა და ასევე „ქალ-ზალთან“ სქესობრივი კავშირის დამმყარებლის ჯვარში დარისხების შიში. კაცი თავს იკავებდა იმიტომაც, რომ ქალს არ გაეცა იგი, რადგანაც ამ შემთხვევაში ქალისა და ვაჟის გვარებს შორის შუღლი დაიწყებოდა, რასაც მოჰყვებოდა ჭრა-ჭრილობა და დიდი საყვედური, რომელიც ქალსაც და კაცსაც მთელი ცხოვრება თან გაჰყვებოდა. ამავე მიზეზებით ქალიც ერიდებოდა ძმობილთან სქესობრივი კავშირის დამყარებას თუ გახმაურებას.[3158] კაცის მხრიდან სწორფერთან სქესობრივი აქტის მცდელობაც კი შესაძლოა მისთვის სავალალოდ დასრულებულიყო. ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ვაჟი შეეცდებოდა სწორფერთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, თუმცა ქალს ვერ დაიყოლიებდა, ეს უკანასკნელი კი მას თავს დაანებებდა და ამის შესახებ თავის მეგობარ ქალებს და ვაჟებს მოუყვებოდა. ასეთი ვაჟი თავის ტოლ ქალ-ვაჟებში მიუღებელი ხდებოდა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილას მის ყოფნას არავინ დაუშვებდა. ასეთ გაწბილებულ მდგომარეობაში მყოფი იგი თავს ვერსად აჩენდა. მას დანიშნულიც ეყოლებოდა და როდესაც მისი საცოლე ამის შესახებ გაიგებდა მაშინვე დაიწუნებდა მას. იგივე მიზეზით სხვა ქალის თხოვნაც მისთვის პრობლემატური გახდებოდა. ასე რომ, წამიერი თავდაუჭერლობა ახალგაზრდის შერცხვენასაც იწვევდა და მისი ნათესაობისაც.[3159]

ს. მაკალათიას მიხედვით, ფშავში ნადობ-ნაძმობნი, წაწლები შესაძლოა ყოფილიყვნენ ძმათაშვილები – ერთი გვარისანი და ხატისანი, ასევე შეიძლებოდა უცხო, სხვა ხატისა და გვარის ვაჟთან წაწლობაც. ძმათაშვილებში წაწლების შეუღლება იკრძალებოდა, უცხოთა შორის კი ასეთი შეუღლება ნებადართული იყო.[3160] სწორფერთა დაქორწინება იკრძალებოდა ხევსურეთშიც, თუ ისინი ერთი გვარის და სოფლის წარმომადგენლები იყვნენ.[3161] იგივეს ადასტურებს ნ. ბალიაურიც. მისი თქმით, „ძმობილების დაქორწინება განსაკუთრებით მწვავე ხასიათისაა და მეტად მძიმეა, თუ ეს სწორფრები ერთსა და იმავე დიდი გვარის განშტოების გვარეულები არიან. ასე მაგალითად: დიდი გვარია ხევსურეთში არაბული, რომელიც შემდეგ იყოფა ქვე გვარებად: დავითური, ბიჩინაგური და სხვა. საერთო გვარი კი არაბულია, რომელზედაც ეწერებიან. დავუშვათ დავითურების ქალი ძმობილი იყო ბიჩინაგურების ვაჟისა და ერთიმეორე შეირთეს, მაშინ საქმე მეტად რთულდება, ხშირად მკვლელობამდისაც მიდის.“[3162] მისივე განმარტებით, საერთოდ, სწორფრების – ძმობილების ერთმანეთზე დაქორწინებას ხევსურეთში ძალიან ცუდად უყურებენ, კიცხავენ ქალსაც და კაცსაც.[3163]

ძველად ნადობ-ნაძმობობა და სწორფრობა რაინდული სიყვარულის სახეს ატარებდა და შეუცდენლად წაწლობა თუ სწორფრობა ვაჟკაცობად ითვლებოდა. წაწალი ერთი ყავდათ და იგი ჭირსა და ლხინში ხმლით იცავდა და მფარ-

3158 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30.

3159 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 24.

3160 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 130.

3161 ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 162.

3162 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 40.

3163 იქვე, 54.

ველობდა თავის ნადობს. აღნიშნული ქმედება ქალის დაქორწინებას სხვა მამაკაცზე არ აბრკოლებდა. წაწლის ან სწორფერის ყოლა ქალისთვის სასახელოც კი ყოფილა და მის გათხოვებას ხელს ვერ შეუშლიდა. ს. მაკალათიას თანახმად, მაშინ როდესაც, იგი იმყოფებოდა ფშავ-ხევსურეთში წაწლობისა და სწორფრობის ინსტიტუტის შესასწავლად (1925) ეს ჩვეულებები საზოგადოებაში უკვე არ ითვლებოდა მოსაწონად, რადგანაც მათ წესებს შერყვნილი სახე ქონდა.[3164]

ფშავ-ხევსურეთში წაწლობის/სწორფრობის წესების დარღვევას ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკმაოდ მძიმე სასჯელი შეიძლება გამოეწვია. ს. მაკალათიას მიხედვით, ძველად წაწლები ნაბუშარს თუ გააჩენდნენ, ნადობ-ნაძმობს ხიდის ყურზე ხალხი ჩაქოლავდა.[3165] ვაჟა-ფშაველას მიხედვით ფშავში უკანონო შვილის გაჩენა ძველად ისედაც ჩაქოლვას იწვევდა.[3166] ეს ნორმა ბუნებრივია წაწლებზეც ვრცელდებოდა, როდესაც ისინი უკანონო შვილს გააჩენდნენ. წაწლობის წესების დარღვევას (მაგალითად, მოგვარე წაწლების დაქორწინებას და უკანონო შვილის გაჩენას) ს. მაკალათიას მიხედვით შესაძლოა მოკვეთა და გაძევება, ან სიკვდილით დასჯა გამოეწვია.[3167]. წაწლობის წესების დარღვევისათვის საზოგადოებიდან მოკვეთა-გაძევებას აფიქსირებს გ. თედორაძე, დ. ცისკარაული.[3168] ასეთი ქმედება როგორც ქალისთვის, ისე ვაჟისთვის უაღრესად სამარცხვინო იყო და შესაბამის სასჯელსაც იმსახურებდა. როგორც დ. ცისკარაული აღნიშნავს, ისინი ცოცხლად ისამარებდნენ თავს. მისი თქმით, ამ მოვლენას მთელი თემის ახალგაზრდობა უაღრესად საწყენად იღებდა, ყველანი შეურაცხყოფილად თვლიდნენ თავს. ქალ-ვაჟს თემობაში ღირსება ელახებოდა და მათი გვარებიც შერცხვებოდნენ. თუ ვაჟი ამ ქალს შეირთავდა, მაშინ კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ასე არ ხდებოდა, მაშინ ასეთ ქალს ცოლად ირთავდა ვინმე მოხუცი, ან მეორე ცოლად მოიყვანდა კაცი, ვისაც თავის ცოლთან შვილი არ ჰყავდა. ვაჟიც თუ ითხოვდა, მხოლოდ ძალიან ცუდ ქალს. ამიტომ ყველა ვაჟი ცდილობდა ქალთან წოლისას დაეცვა დადგენილი წესები.[3169] როგორც დავინახეთ, ნ. ბალიაურის მიხედვით, სწორფრობის წესების დარღვევას ასევე შესაძლოა მკვლელობა გამოეწვია.

ხევსურეთში სწორფრობის, ხოლო ფშავში წაწლობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეულ ცნობები XX საუკუნის დასასრულის, კერძოდ, 80-იანი წლების ადგილობრივ ინფორმატორთა მეხსიერებამაც შემოგვინახა. მაგალითად, ფშაველი ინფორმატორი მიუთითებს, რომ „თუ ნადობ-ნაძმობობა ან წაწლობის წესი დაირღვეოდა და მას გაბიჭიანება მოჰყვებოდა, თუ ვერ გაასწრებდნენ სოფლიდან, ამ დროს ან ჩაქოლავდნენ ორივეს, ან მოიკვეთდნენ. მათ ოჯახებს შორის მტრობა და შური დიდხანს გასტანდა.“[3170] ხევსური ინფორმატორის ცნობით კი „სწორფრები თუ თავს ვერ შეიკავებდ-

3164 ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 129-130; მისივე ხევსურეთი, თბ., 1984, 162.

3165 იქვე, 129.

3166 ვაჟა-ფშაველა, თხულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 71.

3167 ს. მაკალათია, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ტფ. 1925, 1-2.

3168 გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 165. დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 25.

3169 დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814, 25-26.

3170 დ. ჯალაბაძე, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

ნენ სქესობრივი აქტისაგან და ამას ქალის დაორსულება მოყვებოდა, მათ მოკლავდნენ."[3171]

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ წანლებსა და სწორფრებს შორის სქესობრივი კავშირის დამყარება უკვე წარმოადგენდა წანლობისა და სწორფრობის წესების დარღვევას, თუმცა კონკრეტულ პასუხისმგებლობაზე საუბარი ამ მონაცემების მიხედვით ძირითადად ამ კავშირის შედეგად ქალის დაორსულებას თუ მის მიერ ბუშის გაჩენას უკავშირდება. ეს განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ თუ წანლებსა და სწორფრებს შორის ადგილი ჰქონდა სქესობრივ კავშირს, როგორც ს. მაკალათიას და ნ. ბალიაურის ზემოთმოყვანილ მონაცემებში გამოჩნდა, ისინი ამას საგულდაგულოდ მალავდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ ქალის დაფეხმძიმების თავიდან აცილებას. ამდენად, თუ ქალი წანლის თუ სწორფრისგან მაინც დაფეხმძიმდებოდა (ამას იშვიათად ჰქონია ადგილი), ძირითადად ამის შედეგად გაირკვეოდა ხოლმე რომ მათ შორის ადგილი ჰქონდა უკანონო სქესობრივ კავშირს. ამ შემთხვევაში, ცხადია, პასუხისმგებლობის დაკისრება უკანონო შვილის გაჩენის გათვალისწინებით ხდებოდა. თქმულის მიუხედავად, სრულიად გამორიცხვა იმისა, რომ წანლებს/სწორფრებს შორის სქესობრივი კავშირის დამყარების გახმაურება ქალის დაფეხმძიმების თუ ბუშის გაჩენის გარეშეც შესაძლებელია მომხდარიყო, არ შეიძლება. როგორც ნ. ბალიაურთან გამოჩნდა ამ შემთხვევაში გარდაუვალი იყო შუღლი ქალის და ვაჟის მოგვარეებს შორის, რასაც მოჰყვებოდა ჭრა-ჭრილობა და დიდი საყვედური, რაც სიკვდილამდე გაჰყვებოდა ორივეს. თუ ქალი გამოაშკარავებდა ყველაფერს, რამაც შუღლი გამოიწვია, მაშინ მას ასე დაუძახებდნენ: „ნაწყლსისხლიანო, ენასისხლიანო". თუ ყველაფერი ვაჟის გამო მოხდა, მას ეტყოდნენ: „ჴელ მაისვიე ამა.... (სახელი იმ ადგილისა, სადაც ჭრილობა აქვს) შენ ქურდ-ბოზვობა ზედ გწერავ!"[3172] თუ ქალი დანიშნული იქნებოდა, მაშინ ეს გარემოება საქმროს გვარეულობისთვისაც შეურაცხყოფად ითვლებოდა, რაც ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებდა.[3173]

როგორც ს. მაკალათიას მონაცემებში გამოჩნდა წანლებისა/სწორფრების ერთმანეთთან ქორწინება მაშინ იწვევდა მძიმე სამართლებრივ შედეგს, როდესაც ისინი ნათესავები, თანასოფლელები იყვნენ და წანლობის მიუხედავადაც არსებობდა მათი ქორწინების დამაბრკოლებელი ფაქტორები. მოგვარე წანლების თუ სწორფრების ქორწინება თუნდაც ისინი სხვადასხვა მამიშვილობის წევრები ყოფილიყვნენ გამოიწვევდა დამნაშავეთა მოკვეთა-გაძევებას, მკვლელობასაც კი. ნ. ბალიაურს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ვინმე ბაბუამ თავისი სწორფერი თამარი შეიყვარა და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. მათ ჰქონდათ საერთო გვარი – არაბული. ქალის მამამ და ძმებმა შეუთვალეს ბაბუას, რომ სწორფრობაში ხელს არ შეუშლიდნენ, რადგანაც ეს ხევსურული წესი იყო, მაგრამ ქალის ცოლად შერთვაზე უარი უნდა ეთქვა, თორემ ორივეს მოკლავდნენ. მიუხედავად ამისა ბაბუამ ქალი ჩუმად მაინც წაიყვანა, რითაც ხევსურული კანონი დაირღვა და არაბულების აღშფოთება გამოიწვია. ქალის მამას ერქვა ბაბუკი, ვაჟის მამას კი ჩალხა. ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სოფელში ასეთი საუბარი: „თუ

3171 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

3172 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 31.

3173 იქვე.

ბაბუკის შვილმა ეეხლა ჩალხაის შვილ ვერ მაკლ, მაშინ კი მაგას კაცად არავინ დახკვლევს. **ვის გაუგონავ ჴევსურეთ, რომ ვაჟმ ქალ წაიყვანს სწორფერი-დ ისიც თავის გვარისაი?** (ხაზგასმა ჩემია – გ. დ.) იმას არ ფიქრობდას, რომ მაევრიდავ, დავიმალავ, რაჴელ არ ას მასაკლავი?....." ეს ყველაფერი ქალის ოჯახმა უდიდეს შეურაცხყოფად ჩათვალა. ქალის მამამ მიატოვა 60 წლის ცოლი და უთხრა: „დიაცო! შენ ეეხლა მამისახლს უნდა ჩაღბარდ! შენ ჩვენთან ყოფნა არ გეკადრების, ჩვენ კაცებში აღარ ვსთვლიორთ....მანამდე სანამ სირცხვილ არ მავიხდით. ჩვენ ცოლებ არაად გვინდა, თაოდ სხვებ გვიპირობენ ცოლად შართვას, როსაც სირცხვილს მავალეგებთ, თუ ჩვენ კაცები ორთ, ამას კი ვიზამთ..... ჩვენ მანამდი ცხოვრებაზე არ ვიფიქრებთ, არც მავსთიბთ, არც მაეხმკით, ყველა ეეგრ უნდა დარჩას....." საბოლოოდ ბაბუკამ და ნათელისძემ (ქალის ძმამ) მოკლეს ბაბუა.[3174] აქ კარგად ჩანს, თუ რამდენად ძლიერად შეურაცხყოფდა მოგვარე სწორფერის ცოლად მოყვანა ქალის ოჯახის წევრების პატივსა და ღირსებას. ასეთი დამოკიდებულება დამახასიათებელი იყო ზოგადად უკანონო ქორწინებისადმი და სწორფერი მოგვარეების ქორწინებაზეც ჩვეულებრივ ვრცელდებოდა.

ნაკლებად მძიმე სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა არამოგვარე, მაგრამ თანასოფლელი სწორფრების დაქორწინებას. აქ იგივე სამართლებრივი შედეგი დადგებოდა, რაც ზოგადად თანასოფლელთა ქორწინებას მოჰყვებოდა ხოლმე. დაქორწინებულები სოფლიდან წავიდოდნენ, თანასოფლელთა შეუღლებით აღშფოთებული სოფელი ვაჟის მამა-ძმებს ჯვარში მისვლას უკრძალავდა, გარკვეული ხნით მოიკვეთდა, თუმცა საბოლოოდ ვაჟსაც და მის მამა-ძმებსაც სოფელი შემოირიგებდა.[3175]

განსხვავებულ დამოკიდებულებას ვხვდებით წაწლების/სწორფრების ქორწინების შემთხვევაში, თუ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება (მათი ნათესაობა, თანასოფლელობა) არ არსებობდა. როგორც ს. მაკალათიას მონაცემში გამოჩნდა არამოგვარე წაწლების შეუღლება ნებადართული იყო. ნ. ბალიაურის მიხედვით კი, როგორც დავინახეთ, სწორფერთა შეუღლება საერთოდ იწვევდა ხალხის ნეგატიურ დამოკიდებულებას და როგორც კაცის, ისე ქალის გაკიცხვას. ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, არანათესავი სწორფრების შეუღლების შემთხვევაშიც არსებობდა. ნ. ბალიაურის თანახმად, სწორფერთა დაქორწინება დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, ხშირ შემთხვევაში კი მას ჩხუბიც მოჰყვებოდა, თუმცა იგი ძალიან არ მწვავდებოდა, თუ ქალ-ვაჟი ერთი გვარისა არ იყვნენ.[3176]

გაკიცხვა საჯარო ხასიათის სასჯელი იყო და ამდენად, არანათესავი სწორფრების შეუღლება გარკვეულ, მსუბუქი სახის პასუხისმგებლობას მაინც იწვევდა. როგორც ჩანს, საზოგადოება არანათესავი სწორფრების შეუღლებას დადგენილი წესების მნიშვნელოვან დარღვევად არ მიიჩნევდა, თუმცა ეს არც მოსაწონ საქციელს წარმოადგენდა. წაწლობა და სწორფრობა ძველი ჩვეულებები იყო, რომლებიც ხელს უწყობდა ახალგაზრდის რაინდული თვისებების ჩამოყალიბებას, თავშეკავებულობის უნარის განვითარებას და სხვა. აქედან გამომდი-

3174 ნ. ბალიაური, სწორფრობა ბევსურეთში, თბ., 1991, 41-44.

3175 იქვე, 38-40.

3176 იქვე, 36.

ნარე, წანლებისა და სწორფრების ქორწინება მიუღებელი იყო მაშინაც კი როდესაც ისინი ნათესავები, თანასოფლელები არ იყვნენ და ამისათვის გაკიცხვით დასჯა ამ დამოკიდებულების გამოხატულება უნდა იყოს.

როგორც გამოჩნდა წანლობის/სწორფრობის წესების დარღვევას, კერძოდ, წანლებს/სწორფრებს შორის უკანონო ქორწინებას და სქესობრივ კავშირს, რასაც უკანონო შვილის გაჩენა მოჰყვა, შეიძლება გამოეწვია დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა, მკვლელობა, მოკვეთა-გაძევება, სწორფრებს შორის სქესობრივი აქტის გამომჟღავნებისას კი ვაჟის დაჭრა. ფაქტიურად იგივე სასჯელებთან გვაქვს საქმე, რაც ფშავ-ხევსურეთში გათვალისწინებული იყო უკანონო ქორწინებისათვის, უკანონო ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირისათვის, უკანონო შვილის გაჩენისათვის, როგორც ცალკე აღებული დანაშაულისათვის. როდესაც ამ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება ხდებოდა წანლებისა და სწორფრების მიერ, ეს ამავე დროს შესაბამისად წანლობის და სწორფრობის წესების დარღვევაც იყო, რაც, როგორც მასალებით ჩანს, ადგილობრივი საზოგადოების მიერ ასევე დამოუკიდებელ დანაშაულად აღიქმებოდა და ჩვენც ამიტომ ეს დანაშაულებრივი ქმედება დამოუკიდებელი სახით განვიხილეთ, ხოლო წანლებს/სწორფრებს შორის ქორწინება, სქესობრივი კავშირი, უკანონო შვილის გაჩენა, მის შემადგენელ კომპონენტებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ წანლობის/სწორფრობის წესების დარღვევის, როგორც დანაშაულის შემადგენლობა მოიცავდა წანლებს, სწორფრებს შორის ნებისმიერ ქორწინებას და არა მხოლოდ იმას, რომელსაც ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ახლდა, მაგალითად, წანალთა თუ სწორფერთა ნათესაობა, თანასოფლელობა და სხვა.

ძველად სწორფრებს შორის ქორწინება საერთოდ აკრძალული ყოფილა. ხევსურეთში ძმობილი ვაჟი ძმობილ ქალს ცოლად არ ირთავდა, რადგანაც სწორფრების შეუღლება დიდი სირცხვილი იყო. როგორც ერთი გვარის ქალ-ვაჟის ქორწინება იკრძალებოდა, ასევე იკრძალებოდა სწორფრების შეუღლებაც. ხალხის წარმოდგენით, თუ სწორფრები შეუღლდებოდნენ ეს გარყვნილება იყო, მათ სუსტი ნებისყოფა ჰქონიათ და არ შესძლებიათ სწორფრების მოვალეობის შესრულება.[3177] როგორც ჩანს, ადრე, სწორფრობა ხევსურეთში ქორწინების დამაბრკოლებელ, ამკრძალავ გარემოებას წარმოადგენდა. ნ. ბალიაურის ცნობით, 1914-1917 წლებში პირაქეთ ხევსურეთის ქალებმა უარი თქვეს ძალით გათხოვებაზე და მოითხოვეს საკუთარი ნება-სურვილით გათხოვების უფლება. ამას შედეგად მოჰყვა სწორფრებს შორის ქორწინების დაშვება.[3178] ეს ნიშნავს, რომ ხევსურეთში სწორფრობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად აღარ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე სწორფრების ქორწინება მხოლოდ მაშინ იკრძალებოდა, როდესაც ამის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება არსებობდა. თუ ასეთი გარემოება არ იყო სახეზე ქორწინება დაიშვებოდა. როგორც დავინახეთ, სწორფრების ქორწინება კატეგორიულად იკრძალებოდა, თუ ისინი ერთმანეთის მოგვარეები იყვნენ. თანასოფლელობა იმ დოზით იყო სწორფერთა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, რამდენადაც იგი საერთოდ ითვლებოდა ასეთად (ამ საკითხზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც უკანონო ქორწინებას შევეხეთ). თუ არც ნათესავები იყვნენ და არც თანასოფლე-

3177 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 33, 34.

3178 იქვე, 34.

ლები, მათი ქორწინება არ იკრძალებოდა. როგორც აღინიშნა ამ შემთხვევაში ქალ-ვაჟის გაკიცხვა ხდებოდა, შესაძლოა შუღლსაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ, ეს შუღლი არ მწვავდებოდა და ქალ-ვაჟის შემორიგება შედარებით იოლად ხდებოდა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სწორფრობა გარკვეული პერიოდიდან აღარ წარმოადგენდა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას და არამოგვარე სწორფრების შეუღლება უკანონო ქორწინებად არ ითვლებოდა, სწორფრების ქორწინება სწორფრობის წესების დარღვევად მაინც უნდა იყოს განხილული. ნ. ბალიაურის მიხედვით ცხადად ჩანს, რომ სწორფრების ნებისმიერი ქორწინება შეუღლებული ქალ-ვაჟის გაკიცხვას იწვევდა, რაც მიუთითებს, რომ ასეთი ქმედება ხევსურეთში საზოგადოების მხრიდან დასჯადი იყო, არა როგორც უკანონო ქორწინება (ან არა მხოლოდ როგორც უკანონო ქორწინება), არამედ როგორც სწორფრობის წესების დარღვევა. სწორფერთა ქორწინებისას პასუხისმგებლობის ხარისხი განსხვავებული იყო და დამოკიდებული იყო სწორფერთა ნათესაურ კავშირზე. კერძოდ, თუ სწორფრები არც ნათესავები იყვნენ და არც თანასოფლელები, მათთვის ძირითადი სასჯელი სწორედ გაკიცხვა იქნებოდა. სწორფრების ასეთ ქორწინებასაც, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა ჩხუბი მოჰყოლოდა, თუმცა იგი არ მწვავდებოდა და საკმარისი იყო ვაჟის მხარე შერიგებოდა ქალის მშობლებს.[3179] თუ სწორფრები არამოგვარეები იყვნენ, თუმცა თანასოფლელები, მაშინ პასუხისმგებლობა მძიმედებოდა, რადგანაც ხევსურული რჯული თანასოფლელთა ქორწინებას ნეგატიურად აფასებდა და ეს ფაქტორი პასუხისმგებლობის ხარისხზე ზემოქმედებას ახდენდა. სამართლებრივი შედეგი ისეთივე იქნებოდა, როგორიც თანასოფლელთა ქორწინებას ზოგადად მოჰყვებოდა. ამ შემთხვევაში ვაჟის ნათესავები ირიგებდნენ არა მარტო ქალის მშობლებს, არამედ სოფელსაც.[3180] თუ შეუღლებული სწორფრები მოგვარეებიც იყვნენ, ეს ყველაზე მძიმე პასუხიმგებლობას იწვევდა, რადგანაც განიხილებოდა, არა მარტო როგორც სწორფრობის წესების დარღვევა, არამედ როგორც უკანონო ქორწინება.

წაწლობას/სწორფრობა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წესჩვეულება იყო, რომელიც ფშავ-ხევსურული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენდა. ამდენად, მისი წესების დარღვევა, როგორც დანაშაული, საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ითვლებოდა.

მასალების მიხედვით ჩანს, რომ წაწლობისა და სწორფრობის წესების დარღვევის, როგორც დანაშაულის სუბიექტად გვევლინება ორივე წაწალი თუ სწორფერი – კაციც და ქალიც. იგი საჯარო ხასიათის დანაშაულთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ, რაზედაც თუნდაც მისი ჩადენის შემთხვევაში საჯარო ხასიათის სასჯელების დაკისრებაც მიუთითებს. ეს კარგად ჩანს მაშინ, როდესაც წაწლები/სწორფრები თანასოფლელები თუ თანამოთემეები იყვნენ. ასევე ადგილი ჰქონდა ქალის ახლო ნათესაობის მხრიდან ვაჟის მიმართ გარკვეული ქმედებების განხორციელებას, მძიმე შემთხვევებში დაჭრის და მოკვლის ჩათვლითაც, დამნაშავის ნათესაობიდან მოკვეთას და სხვა.

3179 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 50.

3180 იქვე.

თავი მეექვსე

სხვა დანაშაულები

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში უკვე განხილული დანაშაულების გარდა გვხვდება სხვებიც, რომლებიც დანაშაულთა არც ერთი კატეგორიისათვის არ მიგვიკუთნებია. ამ დარჩენილ დანაშაულებს თავი მოვუყარეთ ცალკე თავში. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხელყოფის ძირითადი ობიექტის მიხედვით, ამდენად, თავს ზოგადად ვუწოდეთ „სხვა დანაშაულები.“

1. ადამიანის გატაცება, დატყვევება

1. 1. ადამიანის გატაცება და დატყვევება გამოსასყიდის მიღების (ვალის დაბრუნების) მიზნით. ადამიანის გატაცება გამოსასყიდის მიღების (ვალის დაბრუნების) მიზნით არაერთ ქვეყანაში წარმოადგენდა საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას. ჩვენ ამ დანაშაულს ვეხებით იმდენად, რამდენადაც მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ფიქსირდება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. შესაბამის მონაცემებს საქართველოს მთის რეგიონებში ჩაწერილ ცნობებში ვხვდებით. კავკასიელ მთიელებში ხშირად ჰქონდა ადგილი ადამიანის გატაცებას ქონებრივი გამორჩენის მიღების მიზნით. ეს არც თუ იშვიათად მაშინ ხდებოდა, როდესაც ადგილი ექნებოდა ქონებრივი ვალდებულების შეუსრულებლობას – ვალის თუ გატაცებული, მოპარული ქონების დაუბრუნებლობას, ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი ქონებრივი საზღაურის გადაუხდელობას. მაგალითად, ხშირად ჩრდილოკავკასიელი მთიელები თავს ესხმოდნენ ქართველ მთიელებს და მიჰყავდათ მათი პირუტყვი. ამას ბუნებრივია ქართველი მთიელების მხრიდან საპასუხო მოქმედება მოჰყვებოდა ხოლმე, რაც შესაძლოა გამოხატულიყო ქონებრივ შურისძიებაში, ან ვინმე ჩრდილოკავკასიელის მოტაცებაში, რომლის გათავისუფლების პირობა სწორედ გატაცებული პირუტყვის უკან დაბრუნება იყო. ერთი ბარისახოელი ინფორმატორი გვიყვება XX საუკუნის 20-30 წლებში მომხდარ ამბავს: ქისტებს ხარები მოუპარავთ ხევსურებისთვის და მდევარი ვერ დასწევია მათ. სამაგიეროდ ხევსურებმა ხელთ იგდეს მწყემსი – ქისტი გოგო. იგი ტყვედ წამოუყვანიათ. ტყვე მოუყვანიათ შატილში. მიზნად ჰქონდათ გატაცებული ტყვის გაცვლა ხარებში. შატილში შეისვენეს, ხოლო ტყვე ერთ ოთახში მოათავსეს. წამოსვლისას ერთმა შატილელმა მოხუცმა შუბი გამოაჩინა და უთხრა გამტაცებლებს, რომ არ დაანებებდა ამ ქალის წაყვანას და უთხრა: „ქალის ტყვედ წამოყვანა როგორ იქნება, მაგრამ რახან წამოგიყვანიათ, აქედან მაინც არ გაგატანო. ჩვენ ქისტებთან მეზობლობა გვაქვს, მტერ-მოყვარული. ეს საქმე კიდევ უფრო გადაგვკიდებს ერთმანეთსო.“ ქალის გამტაცებლები შინ ხელცარიელები დაბრუნდნენ. შატილელებმა ქალი ქისტებს დაუბრუნეს.[3181] ასეთ შემთხვევებში დაზარალებულებმა კარგად იცოდნენ რომ, ქისტებზე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ და პირუტყვის გამტაცე-

3181 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 7-8.

ბლები ნაქურდალს უკან საკუთარი ნებით არ დააბრუნებდნენ. ამიტომ ნაქურდალის უკან დაბრუნების საშუალებად ვინმე ქისტის გატაცება მიაჩნდათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, დაზარალებულმა ხევსურებმა მხოლოდ ქისტი ქალის ხელში ჩაგდება მოახერხეს, რაც არ ითვლებოდა ღირსეულ საქციელად და ამიტომ დაზარალებულებს გატაცებული ქალის გაშვება მოუწია. შატილელი მოხუცის ქცევის მოტივაცია, როგორც ჩანს იყო არა მხოლოდ ქალის გატაცების მიუღებლობა, არამედ შატილის სიახლოვე ქისტებთან და მათთან ურთიერთობის დაძაბვის შიში.

ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება შემთხვევა (მომხდარი დაახლოებით XX საუკუნის ათიან წლებში), როდესაც ქისტებმა ხევსურებს არა მარტო პირუტყვი მოსტაცეს, არამედ ადამიანიც, მწარა თადიაური და მისი გათავისუფლებისთვის გამოსასყიდი მოითხოვეს. ამ ყაჩაღების უფროსი ყოფილა ვინმე ბაგი, ქისტებში უდიდესი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე პირი. ქისტებისთვის მისი სიტყვა კანონი ყოფილა. „ტყვის სახსრად" 30 ძროხა მიუყვანიათ.[3182] ამ შემთხვევაში ეხვდებით ადამიანის გატაცებას, დატყვევებას გამოსასყიდის მიღების მიზნით. 30 ძროხა ხევსურეთში საკმაოდ დიდ გადასახადს წარმოადგენდა და ამდენად, ტყვის გამოსყიდვა ძალზედ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ე. ბარდაველიძის მონაცემით, შატილში ტყვეებს ბორკილებით აბამდნენ. ტყვის „სახსარი" 30 ძროხა იყო, თუმცა შესაძლოა 60 ძროხამდეც ასულიყო.[3183] ვ. ბარდაველიძის სხვა მონაცემით, ფშავ-ხევსურეთში ადამიანის დატყვევება „სახსრის" მიღების მიზნით არ იყო იშვიათი მოვლენა. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის თქმით, ფშავლები ხევსურებს იტაცებდნენ და ხევსურები ფშავლებს. მისივე განმარტებით, სახსრის ოდენობა 60-90 ძროხას შეადგენდა.[3184] ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ფშავ-ხევსურეთში სხვადასხვა შემთხვევაში ადამიანის გატაცებისათვის გამოსასყიდი 30-90 ძროხის ფარგლებში მერყეობდა.

ადამიანის გატაცებას იგივე მიზნით სვანეთში დაფიქსირებულ მასალაშიც ვხვდებით. დ. დავითულიანი აღნიშნავს რომ დატყვევება სვანეთში ძველი დროიდან ხდებოდა.[3185] „ტყვე" სვანურად იგივე მნიშვნელობით იხმარება, როგორითაც ქართულში.[3186] .

ადამიანის გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, როგორც დანაშაული, სვან ავტორთაგან ყველაზე სრულყოფილად განხილული აქვს ბ. ნიჟარაძეს. იგი ეხება არა მარტო ადამიანის დატყვევების, როგორც დანაშაულის შინაარსს, მის მიზეზებს და პასუხისმგებლობას მისთვის, არამედ, დატყვევებულის სტატუსს და გამოსასყიდის მიღების წესს, რაც სრულად რეგულირდებოდა ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. აღნიშნულ საკითხებს სხვა ავტორები თუ ადგილობრივი ინფორმატორებიც ეხებიან.

ადამიანის დატყვევება (ლინტყავ) სვანეთში უმძიმეს დანაშაულს და ტყვისათვის დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა.[3187] ბ. ნიჟარაძის განმარტებით,

---

3182 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/14, 162.

3183 ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ე. ბ. 247/1, 26.

3184 ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, პირადი არქივი, ე. ბ. 247/3, 63.

3185 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ. 1974-1975, 181.

3186 იქვე, 165.

3187 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 120.

ტყვეობა ხალხს დიდად სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა. ამ სირცხვილს ტყვე ვინმეს ნაკლებად შეარჩენდა. მკვლელობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სვანეთში კაცის დატყვევება იყო. მხოლოდ დამტყვევებლის მოკვლა აღუდგენდა პატივს ტყვეს. ჩვეულების ძალით ბორკილებ და ხუნდ „ნაყარი" ტყვე ღირსება ჩამორთმეულ კაცად ითვლებოდა, მას აკრძალული ჰქონდა ნაკურთ მიწაზე დაკრძალვა. თუ ვინმესთან ჩხუბი მოუვიდოდა, მოწინააღმდეგე შემდეგი სიტყვებით შეარცხვენდა ყოფილ ტყვეს: „სი ტყვემ იმჟი მარგადი მი"! (შენ ტყვევ, რაღა პირით მელაპარაკები მე!). ამ მიზეზით დამტყვევებელი ისე ექცეოდა მის მიერ დატყვევებულს, როგორც ბატონს ყმა, მუდამ ცდილობდა თავისი სხვადასხვანაირი სამსახურით, პატივისცემით ტყვეს გულიდან ამოეღო ის ხინჯი, რომელიც ყოველ ტყვეს გაჰყვებოდა გათავისუფლების შემდეგ.[3188] ბ. ნიჟარაძის ეს განმარტება მიუთითებს, რომ დატყვევება იმის გარდა რომ ზღუდავდა ადამიანის თავისუფლებას, ამავე დროს ხელყოფდა დატყვევებულის პატივსა და ღირსებას. აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ სვანურ ენაში სიტყვები „ტყვე", „ტყვეილა" სალანძღავ სიტყვებად იყო მიჩნეული. თანამედროვე სვანურ მეტყველებაშიც კი დამამცირებელი გამოთქმა „ტყვეილა" დღემდეა ხმარებაში, რომელსაც დაბეჩავებული, უფლებააყრილი ადამიანის მიმართ ხმარობენ.[3189]

შემდეგ ბ. ნიჟარაძე განიხილავს საკითხს თუ ვისი დატყვევება იყო შესაძლებელი. ერთი თემის შიგნით სვანეთში დატყვევება არ ხდებოდა. დატყვევება შეიძლებოდა მხოლოდ უცხო საზოგადოების წევრის, როგორც თვით სვანური, ისე სხვა საზოგადოების, სხვა ქვეყანაში მცხოვრების. გასათვალისწინებელი იყო ერთი გარემოება: თუ ერთი საზოგადოების კაცი მეორე საზოგადოების კაცს დაატყვევებდა და გზად სხვა საზოგადოების ტერიტორიაზე უნდა გაევლო, ამ უკანასკნელ საზოგადოებას (თემს) უფლება ჰქონდა, თუ შეიტყობდა ტყვეობის შესახებ, დამტყვევებლისთვის გაეშვებინა ტყვე. დამტყვევებელი უბრალო სამდურავსაც ვერ შეჰბედავდა ტყვის მხსნელ საზოგადოებას.[3190]

დატყვევება მასალების მიხედვით, ძირითადად, გამოსასყიდის მიღების მიზნით ხდებოდა. ხშირად კი დამტყვევებელს მტრისადმი სამაგიეროს გადახდის სურვილი ამოძრავდებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მტერი მას უმძიმეს შეურაცხყოფას მიაყენებდა მის მიმართ რაიმე დანაშაულის ჩადენით და ამისათვის დაკმაყოფილებას ადგილი არ ექნებოდა.[3191]

დ. დავითულიანის განმარტებით, როდესაც დატყვევებას მიმართავდნენ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, გამოსასყიდის ოდენობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა და შესაძლოა ნახევარ წორს გატოლებოდა, ხოლო ზოგჯერ მკვლელობისათვის გათვალისწინებულ წორის ოდენობასაც კი.[3192] დატყვევება

3188 იქვე, 122.

3189 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 114; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ. 1974-1975, 165.

3190 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 120-121. იგივეს ადასტურებს დ. დავითულიანიც, რომლის განმარტებითაც დატყვევება ხდებოდა არა მარტო სხვა ტომის წევრის, რომელთანაც სვანებს საბრძოლო მდგომარეობა ჰქონდა, არამედ ცალკეულ თემებს შორისაც (დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ. 1974-1975, 181).

3191 ბ. ნიჟარაძე, იქვე, 120.

3192 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ. 1974-1975, 165, 181.

სამოქალაქო დავების შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობის დროსაც შესაძლოა მომხდარიყო.[3193] ასეთ შემთხვევაში გამოსასყიდის ოდენობა ძირითადად ამ ვალდებულების საგნის ღირებულებას უტოლდებოდა. აღნიშნული დასადასტურებლად შესაძლოა მოვიყვანოთ დოკუმენტი სვანური საისტორიო ძეგლებიდან. მე-14 საუკუნის დასასრულისა და მე-15 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, პიროვნებას – ივებიან ამსაჯანს – თავის მიწის ნაკვეთში, სავარაუდოდ წანახედის გამო, დაუჭერია ივანე სეტიელის ცხენი და დაუბია, თუმცა ცხენის მეპატრონეს ცხენი უკითხავად წაუყვანია. ზიანის ანაზღაურების მიზნით ივებიან ამსაჯანს ცხენის პატრონის დისწული შეუპყრია და დაუტყვევებია. შემდეგ შეუყრიათ მორვები და მათი საშუალებით ამსაჯან ივებიანს მიყენებული ზიანი გამოსასყიდით აუნაზღაურებია.[3194] იგივე პერიოდის კიდევ ერთი დოკუმენტის მიხედვით, პიროვნება დაუტყვევებიათ ქვაბის წაღების გამო და მის გამოსახსნელად გარკვეული ღირებულების სათიბი მიუციათ.[3195] ეს კონკრეტული მაგალითები გვიჩვენებს, რომ თუ დატყვევება მოჰყვებოდა მიყენებული ზიანის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობას, დატყვევებულის გამოსასყიდი, ძირითადად, მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ანალოგიურად გადაწყდებოდა საქმე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (მაგალითად, სესხის დაუბრუნებლობისათვის) დატყვევების შემთხვევაშიც. ა. დავითიანის მიხედვით კი, რომლის ცნობებიც ბალსქვემო სვანეთს ეხება, როდესაც სვანი ვარგები გლეხებს იტაცებდნენ ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში გაყიდვის მიზნით, შესაძლოა მომხდარიყო მათი გამოსყიდვა, გატაცებულის ოჯახის მიერ, თუ ისინი „სახსარს“ განსაზღვრულ ვადაში გადაიხდიდნენ. „სახსრის“ ოდენობა 60 ძროხას უდრიდა. გადაუხდელობის შემთხვევაში დატყვევებულს სვანეთის გარეთ გაყიდდნენ.[3196]

ბ. ნიჟარაძე დეტალურად აღწერს დატყვევებულის სტატუსს, მისადმი დამოკიდებულების წესებს, მის უფლებებს. ავტორის განმარტებით, ტყვე ხელშეუხებელი იყო, ე. ი. მისი ცემა და სხვაგვარი წვალება არ შეიძლებოდა. დამტყვევებელს ტყვის კარგი კვება უნდა უზრუნველეყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დამტყვევებლის ოჯახი, თემი, სოფელი, საზოგადოება ქვეყნის აუგს, სირცხვილს დაიმსახურებდა. დატყვევების პირველ დღეებსა და კვირეებში ტყვე თავისუფლად დადიოდა მიჩენილი კაცების ზედამხედველობის ქვეშ. მას უფლება ჰქონდა იმ სოფელში, სადაც დაჭერილი იყო, წვრილფეხა საქონელი: ქათამი, გოჭი, ბატკანი, დაეჭირა და თავისთვის დაეკლა, ვისიც უნდა ყოფილიყო იგი. ამ „ნანადირევით“ ტყვე თვითონაც სარგებლობდა და გარშემომყოფთაც შესაქცევად უთავაზებდა ხოლმე. საქონლის პატრონი ტყვეს ამას ჩვეულების ძალით ვერ უსაყვედურებდა. ტყვე ამ მდგომარეობაში იყო მანამ, სანამ დამტყვევებელი ტყვის ახლობლებისგან დანამდვილებით არ შეიტყობდა – მალე აპირებს იგი ტყვის დახსნას, თუ არა. თუ ჯერ-ჯერობით არ დაიხსნიდა, ტყვის მდგომარეობა მძიმდებოდა. მისი თავისუფლება სხვადასხვა საშუალებით

3193 იქვე, 165.

3194 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, 87.

3195 იქვე, 82.

3196 ა. დავითიანი, სვანეთის საისტორიო ამბები, პირადი არქივი, ა. დ. 14, 118.

იზღუდებოდა, კერძოდ, ა) ტყვეს ფეხებში შეუყრიდნენ რკინის ბორკილებს; ბ) ცალ ფეხში შეუყრიდნენ ხის ხუნდს (ხულ). ხუნდი იყო ხის, მრგვალი, სიგრძით არშინზე ცოტა ნაკლები, შუაზე ორად გაყოფილი. ხუნდის ეს ორი თანასწორი ნახევარი შიდა მხრიდან მრგვლად იყო ამოთლილი შუა ადგილას იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო იმისთვის, რომ შიგ კაცის წვივი მოთავსებულიყო. ფეხში შეყრის დროს ხუნდი ორად გაიხსნებოდა, შეყრის შემდეგ იკეტებოდა ერთგვარი ხის ბოქლომით, რომლის გასაღებსაც დამტყვევებელი ინახავდა ისე, რომ ტყვეს არსად ენახა. რადგანაც ხუნდის თრევა ერთი ფეხით სამძიმო იყო, ამისათვის ხუნდს მობმული ჰქონდა ბაწარი, რომლის მეორე ბოლო ტყვეს ეჭირა ხელში. სიარულის დროს ტყვე ბაწრის საშუალებით იმსუბუქებდა ხუნდის სიმძიმეს; გ) ტყვეს დაამწყვდევდნენ დილეგში (დილეგ). დილეგს (დილეგ) სვანეთში ეძახიან კოშკის ქვედა სართულზე ოთახს. ეს იყო მიჩენილი ტყვის დასამწყვდევად. ამ ოთახს კარი არ ჰქონდა. კარის მაგივრობას სწევდა ოთხკუთხად ჭერში ამოჭრილი „ლობი", საიდანაც ტყვეს ჩაუშვებდნენ კიბით. შემდეგ კიბეს ამოიტანდნენ, ჭერში ამოჭრილ ჩასასვლელს „სარქველით" დახურავდენ ჭურის თავის მსგავსად. ტყვეს საჭმელსაც ზემოდან აწვდიდნენ.[3197]

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, დილეგში ტყვის დამწყვდევა ძალზედ იშვიათი ყოფილა, რადგანაც ტყვის ჭირისუფალი ყველა ღონეს იხმარდა რომ „სახსარი" (საყსარ) მიეტანა დამტყვევებლისათვის და ტყვე გამოეხსნა.[3198]

ძალზედ ძველად სვანებს სცოდნიათ ხელის ბორკილიც, ე. წ. „მარქვარ" (მარქვ – ქართული მაქვა). როგორი იყო ეს „მარქვარ" ვერავინ ვერ აუწერა ბ. ნიჟარაძეს, რადგან მისი გამოყენება მის თანამედროვე თაობას აღარ ახსოვდა.[3199]

ბოლოს ბ. ნიჟარაძე განიხილავს ტყვის გამოსახსნელად საზღაურის გადახდის წესს. როგორც ზემოთ გამოჩნდა ტყვის გამოსასყიდ ქონებრივ საზღაურს ერქვა „სახსარი" (საყსარ). ტყვის ახლობელი როდესაც გაიგებდა თავისიანის დატყვევების შესახებ, მივიდოდა ადგილობრივ მახვშთან, რომელიც თავის მხრივ წავიდოდა იმ საზოგადოებაში, სადაც დატყვევებული იყო, ნახავდა დამტყვევებელს და მის საზოგადოების მახვშს; გაარკვევდნენ რამდენი სახსარი უნდა გადახდენოდა ტყვის ჭირისუფალს. შემდეგ დამტყვევებელი რამდენიმე კაცის თანხლებით ტყვის ჭირისუფალთან მიდიოდა სახსრის მისაღებად. რამდენი კაციც დამტყვევებლის მხრიდან ტყვის საზოგადოებაში მიდიოდა, იგივე რაოდენობის მძევალი (ძავალ) ტყვის ჭირისუფალს უნდა გაეგზავნა დამტყვევებლის საზოგადოებაში. როდესაც სახსარს მიუტანდნენ, მაშინ დამტყვევებელი თავის კაცებით სახლში ბრუნდებოდა და ერთგულების ფიცის შემდეგ ათავისუფლებდა ტყვეს და მძევლებსაც.[3200]

ამ შემთხვევაში ერთგულების ფიცი გამოიხატებოდა იმაში, რომ დამტყვევებელი ყოფილ ტყვეს მის ახლობლებთან ერთად ხატის წინაშე დააფიცებდა, რომ: „ეს შემთხვევა გულში არ ჩაედოთ, ნაწყენი არ დარჩენილიყვნენ და სამაგიერო არ გადაეხადათ". მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლებდნენ ტყვეს.[3201] თუ პი-

3197 ბ. ნიჟარაძე, იქვე, 121.

3198 იქვე, 122.

3199 იქვე.

3200 იქვე.

3201 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №7, 1970, 91-92.

როვნება მტერს ტყვედ ჩაუვარდებოდა საერთო სათემო საქმესთან დაკავშირებით, მაშინ თემის გადაწყვეტილებით სახსრის გადახდაში მთელი თემი მიიღებდა მონაწილეობას.[3202]

გამოსასყიდის მიუღებლობის შემთხვევაში ტყვეს ან სახლში ამუშავებდნენ (რაც უფრო იშვიათად ხდებოდა), ან გაყიდდნენ ჩრდილო კავკასიაში.[3203]

გამოსასყიდის მიღების მიზნით პიროვნების გატაცებისა და დატყვევების შესახებ მ. კეკელიას სვან ინფორმატორებსაც კარგად ახსოვთ. მათ გადმოცემით გაუგიათ, რომ ხდებოდა მეზობელი ქვეყნებიდან თუ სვანეთის სხვა საზოგადოებიდან ადამიანების გატაცება და მათი დატყვევება გამოსასყიდის მიღების მიზნით. ტყვეს კოშკის ქვედა სართულზე, დილეგში ათავსებდნენ და ფეხზე ადებდნენ ე. წ. „ხულს", იგივე ხუნდს. ტყვის გამოსახსნელად კი, ამ ინფორმატორების განმარტებით, ძირითადად პირუტყვის გადახდა ხდებოდა.[3204] მ. კეკელიას ინფორმატორებს კონკრეტული შემთხვევებიც გაუგიათ, რომელთა მონმეები მათი უშუალო წინაპრები ყოფილან. ერთი მათგანი, დიმიტრი მარგიანი იხსენებს ბიძამისის ნაამბობს, რომ მისი ოჯახის წევრებს ადრე ლენტეხიდან მოუყვანიათ ტყვეები და ჩაუსვამთ დილეგში. ტყვეების ახლობლებს მათ გამოსახსნელად დიდი რაოდენობის პირუტყვის მოყვანა დასჭირვებიათ.[3205] მეორე ინფორმატორი კი მამამისის გადმოცემას იხსენებს, როდესაც ქვემო სვანეთიდან მოუტაციათ და დაუტყვევებიათ ორი კაცი, რომელიც პირუტყვის გადახდით გამოუხსნიათ თავისიანებს.[3206] 1970 წელს ჩაწერილი ეს მონაცემები გვიჩვენებს რომ, ადამიანის დატყვევების შემთხვევებს კოშკის დილეგში ჩასმით სვანეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისშიც ჰქონია ადგილი. სწორედ ამ პერიოდში უნდა ეცხოვრათ მ. კეკელიას ინფორმატორების მამა-ბიძებს.

ადამიანის მოტაცება და დატყვევება სვანების მიერ საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც რომ შეიძლება მომხდარიყო დასტურდება ეგ. გაბლიანის მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტით, კერძოდ, უშგულელი ყაჩაღი ჯამაგა ჭელიძე, და ჭიორელი დეტო, იმის გარდა რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ყაჩაღობდნენ, ძარცვავდნენ ოსეთიდან ღებ-ჭიორასაკენ მიმავალ მგზავრებს, ასევე იჭერდნენ მათ, მიჰყავდათ უშგულში და მხოლოდ სახსრის მიტანის შემდეგ ათავისუფლებდნენ.[3207]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის გატაცება და დატყვევება სვანეთში მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რაც განპირობებული იყო მისი პატივისა და ღირსების უკიდურესად შემლახავი ხასიათით. ასევე ასეთი შეურაცხყოფის ჩამორეცხვა მხოლოდ დამტყვევებლის მკვლელობით იყო შესაძლებელი, თუმცა მასალების მიხედვით ჩანს, რომ შესაძლოა დამტყვევებელს დატყვევებულის სასარგებლოდ გარკვეული ქონებრივი საზღაური გადაეხადა. მაგალითად, 1918 წელს უშგულელებს დაუტყვევებიათ ერთი სვანი სამი დღით. ამისათვის მთელმა თემმა აგო პასუხი და გადაიხადა დატყვევებულის სასარგებლოდ ამ შეურაცხ-

3202 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 67.

3203 ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), პირადი არქივი, ვ. ბ. 293/4, I

3204 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №7, 1970, 55; 85, 91.

3205 იქვე, 85.

3206 იქვე, 55.

3207 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 117.

ყოფისათვის ნახევარი წორი, 1500 მანეთამდე.[3208] ამ კონკრეტულ შემთხვევაში დატყვევებისათვის საკმაოდ სოლიდური საზღაურის (ნახევარი წორის) გადახდა მიუთითებს თუ რამდენად მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა იგი სვანეთში. ასევე ჩანს, რომ დატყვევებას შესაძლოა შურისძიების ნაცვლად კომპოზიციის გადახდის საფუძველზე მხარეთა შერიგება მოჰყოლოდა.

1. 2. ადამიანის გატაცება და დატყვევება შურისძიების მიზნით. სვანეთში ფიქსირდება ადამიანის გატაცება და დატყვევება არა მარტო მატერიალური დაკმაყოფილების, „სახსრის" მიღების, არამედ, შურისძიების მიზნითაც. შესაბამის მონაცემს გვაწვდის ბ. ნიჟარაძე. მისი განმარტებით, იყო შემთხვევები, როდესაც მტერი მტერს დაატყვევებდა და რამოდენიმე დღის შემდეგ „უსახსროდ" გაათავისუფლებდა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც შეურაცხყოფილს სურდა სამაგიერო გადაეხადა მტრისათვის.[3209] რამდენადაც დატყვევება დატყვევებულის ღირსების უკიდურეს შელახვას იწვევდა, ამდენად შურისძიების, მტრისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით მისი გამოყენება სვანეთში, გასაკვირი არ უნდა იყოს. ბ. ნიჟარაძის ამ მონაცემიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მტრის სამაგიეროს გადახდის მიზნით დატყვევება მხოლოდ რამოდენიმე დღე გრძელდებოდა და დამტყვევებელი თავის მსხვერპლს უფრო ადრე ათავისუფლებდა, ვიდრე „სახსრის" მიღების მიზნით დატყვევებისას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ დატყვევება ამ შემთხვევაში „სახსრის" მიღების მოლოდინთან არ იყო დაკავშირებული, რასაც შეიძლება გაეხანგრძლივებინა დატყვევების პერიოდი, ხოლო მტრის თუნდაც რამოდენიმე დღით დატყვევება სრულიად აკმაყოფილებდა შურისმაძიებელ დამტყვევებელს. პასუხისმგებლობა სამაგიეროს მიზღვევის მიზნით დატყვევებისათვის, სავარაუდოდ, ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით დატყვევებისას. დატყვევებულისათვის მისი ღირსების შელახვის ხარისხის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, თუ რა მიზნით იქნებოდა იგი დატყვევებული.

1. 3. ადამიანის გატაცება გაყიდვის მიზნით. ცნობილი ფაქტია რომ საქართველოში ადამინის გატაცება და საზღვარგარეთ გაყიდვა საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. უამრავი ჯანლონით სავსე ქართველი ახალგაზრდა სპარსეთსა და თურქეთში მამლუქთა და იენიჩართა რიგებს ავსებდა. შედეგად ქართულ გენოფონდს გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმული იყო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, განსაკუთრებით თავადაზნაურობა, რომლებიც ამ თავის საქმიანობას ხშირ შემთხვევაში დიდად საძრახისად არც მიიჩნევდნენ და ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდნენ, რაც მათ მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღწერს ამ დანაშაულის ჩადენის მეთოდებს და საუბრობს მის სოციალურ საფუძვლებზე: „.... არიან აქ ისეთი ქურდებიც, რომელნიც იპარავენ კაცებს და ყმაწვილებს და ჰყიდიან ჩუმად თურქეთში. გურიელის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან ..... მოდის მრავალი თურქი ვაჭარი, მათ მოაქვთ ბლომად ფული

3208 იქვე, 114.

3209 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 122.

და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოყავთ თურქებზე ტყვედ გასასყიდად ქართლელებიც, კახელებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებულნი ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს. შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ ვისაც კი შინ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ. ზოგჯერ კი მოტყუებით მიიბირებენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებენ და შესაფერ დროს ქობულეთშივე წაიყვანებენ თურქებზე გასასყიდად. თურქები, რასაკვირველია, ფასს აძლევენ და მაშინვე გადაიყვანებენ თავის ქვეყანაში, რომელიც ძალიან ახლოა"[3210]. ქობულეთის გარდა ტყვეებით ვაჭრობის ცენტრები იყო ანაკლია, გონიო, ფოთი, ბათუმი და სხვა.

სახელმწიფო და ეკლესია ტყვეთა შეპყრობას საზღვარგარეთ გაყიდვის მიზნით მძიმე ცოდვად და დანაშაულად განიხილავდა და უმძიმეს საერო და საეკლესიო სასჯელებს ანესებდა ამისათვის. დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ კათალიკოსთა სამართალი. ეს ძეგლი მიღებული იქნა დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის საეკლესიო კრებაზე, რომელიც XVI საუკუნის 40-იან წლებში გაიმართა ქართლის კათალიკოსის მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონის ინიციატივით. მას ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები. კრების ჩატარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ადამიანის გატაცება და გაყიდვა იყო, რომელიც იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ძალზედ გავრცელებულ და საშიშ მოვლენას წარმოადგენდა. კათალიკოსთა სამართლის პირველივე მუხლი სწორედ ადამიანის გატაცებას ეძღვნება. მუხლის პირველი ნაწილი ადამიანის გატაცებისათვის საეკლესიო სასჯელს ადგენს: „რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განჴდილი".[3211] როგორც ვხედავთ, საეკლესიო კრება ადამიანის გაყიდვისათვის უმძიმეს საეკლესიო სასჯელს – შეჩვენებას – აწესებს და მას საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელზე თანაბრად განავრცობს. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრება მხოლოდ საეკლესიო სასჯელით არ კმაყოფილდება და ადამიანის გაყიდვისათვის არც მეტი არც ნაკლები სიკვდილით დასჯას აწესებს ჩამოხრჩობის სახით. დამნაშავეს შეეძლო თავი გადაერჩინა სიკვდილით დასჯისაგან, თუ მის მიერ გაყიდულს გამოიხსნიდა და უკან დააბრუნებდა. ამ შემთხვევაში მას უნდა გადაეხადა ჯარიმა იმ სამწყსოს ეპისკოპოსისათვის, სადაც გაყიდული ცხოვრობდა და მისი ბატონისათვის.[3212] ადამინის გატაცება და გაყიდვა საეკლესიო კრებას იმდენად მძიმე და ქვეყნისთვის საშიშ დანაშაულად მიაჩნდა, რომ მისთვის სიკვდილით დასჯას აწესებდა.

საკმაოდ მძიმე სასჯელია დაწესებული ადამიანის გაყიდვისათვის ვახტანგის სამართლის წიგნითაც. სისხლის ფასის გადახდის გარდა „მეფისგან ტყვის გაყიდვაზე დიდი გამოკიდება და ნასაღი უნდა."[3213] ვახტანგი საკმაოდ წარმა-

3210 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 71-72.

3211 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 393.

3212 იქვე.

3213 იქვე, 506.

ტებით ებრძოდა ტყვეთა გაყიდვას. იგივე ითქმის იმერეთის მეფე სოლომონ I-ზე. ცნობილი ფაქტია, რომ მან 1759 წელს საერო და სასულიერო ხელისუფალთა კრება მოიწვია, რომელმაც ტყვეთა გაყიდვისათვის საეკლესიო სასჯელად შეჩვენება, საერო სასჯელად კი სიკვდილით დასჯა დააწესა. ასეთ ბრძოლას ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ უკვალოდ არ ჩაუვლია, თუმცა ხელისუფლების შესუსტების კვალობაზე ტყვეთა გაყიდვის ინტენსიურობა იზრდებოდა.

ადამიანთა დატყვევება გაყიდვის მიზნით ფიქსირდება სვანეთში ჩაწერილ მასალაშიც. ეს ბევრწილად განპირობებული იყო სვანეთში ხელისუფლების სისუსტით. ა. დავითაინი აღნიშნავს, რომ სვანი ვარგები ხშირად იტაცებდნენ ადამიანებს გასაყიდად. მათი გაყიდვა ძირითადად ხდებოდა აფხაზეთში, ჩერქეზეთში, ყარაჩაიში. სვანებით ვაჭრობას ძველად ფართე ხასიათი ჰქონდა, იცვლებოდნენ და იყიდებოდნენ ბავშვები, ქალები, კაცები. სვანი ვარგებისათვის ტყვეებით ვაჭრობა შემოსავლის ძირითადი წყარო იყო.[3214] საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც კი ტყვეთა გაყიდვის ფაქტებს, ძალზედ იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ საქართველოში ადამიანის გატაცებისა და საზღვარგარეთ გაყიდვის, როგორც დანაშაულის ღრმა ისტორიულ-სამართლებრივ მიმოხილვას. ამ საკითხს შევეხეთ იმიტომ, რომ XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში მოიპოვება ცალკეული ცნობები ადამიანის გატაცებისა და გაყიდვისათვის პასუხისმგებლობლობის შესახებ სწორედ ხალხური სამართლის საფუძველზე. ასეთი მასალები ძირითადად ფიქსირდება აჭარაში. საქართველოს ამ კუთხეში XX საუკუნის II ნახევრის ინფორმატორებსაც ახსოვთ ძველად ადამიანის, ძირითადად ბავშვის გატაცებისა და გაყიდვისა და ამ დანაშაულის ჩამდენის დადაღვის შესახებ.[3215] აჭარაში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევაც, რომელიც ვლ. მგელაძემ 1959 წელს ჩაიწერა. ინფორმატორის განმარტებით, სოფელ მარადიდთან ახლოს არსებულ ყანაში თურმე ქალი მუშაობდა და იქვე ორი წლის ბავშვი ჰყავდა. მუშაობის დროს ქალს ბავშვი დაუკარგავს, რომელიც ქურდს მოუტაცია და გაუყიდია. 50-მდე კაცს მონაწილეობა მიუღია ქურდის შეპყრობაში. ოლქას (სახალხო კრების) გადაწყვეტილებით კი ბავშვის გამტაცებელს ხელ-ფეხი შეუკრეს, ღელეში გადააგდეს და დაახრჩეს.[3216] ეს შემთხვევა თურქული მმართველობის პერიოდში მომხდარა. იგი გვიჩვენებს, რომ ადამიანის გატაცების და გაყიდვისათვის დამნაშავე სიკვდილით სწორედ ხალხური სამართლით დაუსჯიათ. როგორც ჩანს, ხალხური მართლშეგნებით ეს ქმედება მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა და შესაბამისად ჩვეულებითი სამართალი იმდენად მძიმე დანაშაულად თვლიდა რომ, მისთვის სიკვდილით დასჯის გამოყენებაც კი იყო შესაძლებელი. ცნობილია რომ ოლქა, იგივე მოყრიანობა, როგორც თვითმმართველობის ორგანო, რომელსაც სასამართლო ფუნქციებიც ჰქონდა, თურქული მმართველობის დროს საკმაოდ აქტიურად მოქმედებდა და ხშირად ხელისუფლების გვერდის ავლით ახორციელებდა დამნაშავის დასჯას

3214 ა. დავითაინი, სვანეთის საისტორიო ამბები, პირადი არქივი, ა. დ. 14, 118-119.

3215 ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3, 14.

3216 ვლ. მგელაძე, 1959 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №11, 40.

ხალხური სამართლის საფუძველზე.[3217]

მოცემულ შემთხვევაში სასიკვდილო განაჩენი დამთავრებული დანაშაულის პირობებში დადგა. დამნაშავემ მოასწრო ბავშვის მოტაცებაც და მისი გაყიდვაც. ძნელი სათქმელია ადამიანის მოტაცების მცდელობის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა დადგებოდა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. სამწუხაროდ, შესაბამისი ფაქტები არ მოგვეპოვება.

2. დასმენა

ძალზედ მწირი მონაცემები მოგვეპოვება დასმენის, როგორც დანაშაულის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ საქართველოს რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი XX საუკუნეშიც კი საკმაოდ სრულყოფილი სახით შემორჩა, დანაშაულად ითვლებოდა სახელმწიფო ორგანოებში პიროვნების დასმენა. ხევსური ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელისუფლებასთან დაბეზღება დანაშაულად ითვლებოდა.[3218] ხევსურეთში თუ პიროვნების საჩივრის საფუძველზე ვინმე ციხეში თუნდაც ერთ დღეს გაატარებდა, მომჩივანს 5 ძროხა უნდა გადაეხადა.[3219] ბ. გოგოჭური ნათლად აყალიბებს თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა ხევსურეთში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში პიროვნების დამსმენთა მიმართ. მისი განმარტებით: ხევსურეთში მილიციასა და მთავრობაში ჩივილი, კაცის დაჭერინება საძრახის, სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა და იგი მართალიც რომ ყოფილიყო, საკუთარი თავი თვითონ უნდა დაეცვა, დამნაშავეს თავად გასწორებოდა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის არ მიემართა.[3220] ალ. ოჩიაურის მონაცემებში კარგად ჩანს ასეთი მიდგომის კონკრეტული შედეგი. მის მასალებში ფიქსირდება ასეთი ამბავი: სოფელ გუდანში მცხოვრები ხევსური მინდია ჭინაჭარაული გარდაცვლილა საპატიმროში. მისი დაპატიმრება დაუბრალებიათ ვინმე ადუასთვის, რის გამოც მინდიას ძმა-ბიძაშვილები გადამტერებიან მას. როგორც შემდეგში გაირკვა ადუა დამნაშავე არ იყო, მაგრამ ისინი მაინც ადუას ეძებდნენ მოსაკლავად: ხან სად უსაფრდებოდნენ, ხან სად, ბოლოს მოკლეს კიდეც.[3221] ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ ციხეში გარდაცვლილის ახლობლები ადუას მოსაკლავად დასდევდნენ სწორედ იმიტომ, რომ მას აბრალებდნენ გარდაცვლილის ციხეში მოხვედრას. ასეთივე დამოკიდებულება ფიქსირდება სვანეთშიც. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, სვანები არ თანამშრომლობდნენ რუსულ სასამართლო ორგანოებთან, რაც აქ აკრძალული იყო. კონკრეტული მაგალითი ამისთვის პასუხისმგებლობისა ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ მოგვეპოვება, ჩვენი აზრით, იმის გამო, რომ სვანებში თითქმის

3217 იხ. ო. ზოიძე, სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", 2000 წ., №14, 18.

3218 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31.

3219 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", 1923-1924, 142.

3220 ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012, 47–48.

3221 ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/13, 149.

გამორიცხული იყო ვინმეს ასეთი რამ ჩაედინა და საზოგადოების წინააღმდეგ ნასულიყო. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაც ამ საქმეზე ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ ფიქსირდება.

ხელისუფლების ორგანოებში პიროვნების დასმენა მიუღებელი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. აჭარაში ჩაწერილ მასალაში გვხვდება კონკრეტული შემთხვევა, რომელიც 1924 წელს მომხდარა, კერძოდ, მემედ ჯაფარიძემ თავისი ქობულეთელი მეგობრის თხოვნით ოჯახში მიიღო ორი ყაჩაღი, რომელთაც თურქეთში უნდოდათ გადასვლა. შემდეგ ისინი დააბეზღა ხელისუფლების ორგანოში. ერთი ყაჩაღი დაჭრეს, მეორე გაიქცა. ამ ამბის შემდეგ მემედ ჯაფარიძე სოფელს გაეცალა და 10 წელი არ დაბრუნებულა. ეს ამბავი რომ მოხდა, ინფორმატორის მამას შეუთვლია მემედისთვის: იმ საზოგადოებაში სადაც მე ვიქნები, მოსვლა არ გაბედო, რადგან ასეთი სისაძაგლე გააკეთეო.[3222] ერთ-ერთი გურული ინფორმატორი იხსენებს ამ თვალსაზრისით.საინტერესო შემთხვევას: ბიძამისი თავის დროზე ყოფილა მთავრობის მოწინააღმდეგე. იგი დაუსმენია შესაბამის ორგანოში ერთ-ერთ პიროვნებას. ინფორმატორის ბიძა დაუჭერიათ და გადაუსახლებიათ. ამის გამო დასმენიდან ერთი წლის შემდეგ გადასახლებულის ძმების მეცადინეობით დამსმენი მოუკლავთ.[3223]

გურიაში, ოზურგეთის რაიონში, დაახლოებით 1917-1918 წლებში მოხდა ასეთი რამ: ერთი პიროვნება ყაჩაღად იყო გასული. ერთხელ სამ მეგობართან ერთად მივიდა სიდედრის დასთან. სიმამრმა და სიმამრის ცოლის დამ ისინი დაასმინეს და ხელისუფლების წარმომადგენლებს დაახოცინეს. ამ ყაჩაღების მეგობრებმა დამსმენებზე შური იძიეს და მოკლეს აღნიშნული ყაჩაღის სიმამრი და მისი ცოლის და. ამაზე ლექსიც კი შეუთხზავთ:

საზიზღარო ჯაშუშებო
რა გაქვთ კარგი დანათესი,
დღეს პასუხი უნდა მოგვცეთ,
ამხანაგი მოვალთ ექვსი,
მოძმის სისხლი რომ ავიღოთ
ასეთია ჩვენი წესი.[3224]

სახელმწიფო ორგანოებში დასმენა რომ ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელ საქციელად ითვლებოდა ეს კარგად ჩანს ამ მონაცემების მიხედვით. ჩვენი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე საინტერესოა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში აღნიშნული ქმედების ჩამდენის მიმართ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე გარკვეული სასჯელის დაკისრებაც კი ხდებოდა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ხევსურული ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც სპეციალური ნორმა შეუმუშავებია დასმენის საფუძველზე ციხეში ჩასმისთვის პასუხისმგებლობის შესახებ – დასმენის საფუძველზე თუნდაც ერთი დღის ციხეში გატარება – 5 ძროხა. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობა მხოლოდ დასმენა არ იყო. დანაშაულებრივი შედეგი

3222 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 10.

3223 ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 33

3224 ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989, 25.

დადგებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დასმენას პიროვნების ცხიეში ჩასმა მოჰყვებოდა. თუ დასმენის საფუძველზე ციხეში ჩასმული იქ გარდაიცვლებოდა, როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მიცვალებულის ნათესავები დამსმენს ისე დაუწყებდნენ დევნას, როგორც მკვლელს, დამბეზღებელს კი გარდაცვლილის თავსისხლი სრულად დაეკისრებოდა. დამსმენის მკვლელობის შემთხვევაში კი თავი თავში გაიბრებოდა.

საინტერესოა, რამდენად ითვლებოდა ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულად დამნაშავის დასმენა დაზარალებულის წინაშე. ამ თვალსაზრისით შეიძლება ერთმანეთისგან გამოვყოთ შემთხვევები, როდესაც დამსმენი დამნაშავის ნათესავია და როდესაც გარეშე პირია.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არის გარკვეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულად ითვლებოდა ნათესავის დასმენა დაზარალებულის წინაშე, რაც საფუძველს აძლევდა ამ უკანასკნელთ შურისძიების განსახორციელებლად, თუ დანაშაულის შესატყვისი საზღაურის მოსათხოვნად. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას ვხვდებით მთიულეთ-გუდამაყრის სინამდვილიდან: სოფელ ჩოხში ყოფილა სამი ძმა. ერთ-ერთს ხევსური მოუკლავს, რაზედაც გადამტერებიან და მოსაკლავად დასდევნებიან. დაუჭერიათ ერთი ძმათაგანი და მკვლელის გაცემა მოუთხოვიათ სისხლის აღების მიზნით. ძმის გამყიდველობის მეშვეობით მკვლელი ხევსურების მიერ იქნა მოკლული, მოღალატე ძმა კი ჩოხელებმა მოკვეთეს გაძევების გარეშე.[3225] ხევსურეთში კი ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც დამ დაასმინა ძმა საკუთარ ძმობილთან, წინასწარ გააფრთხილა რა იგი მის წინააღმდეგ ძმის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ამ ქალის ძმასა და ძმობილს შორის ყოფილა მტრობა. ძმამ გადაწყვიტა მისი დაჭერინება ან მოკვლა. ქალმა კი ყველაფერი უამბო ძმობილს, რომელიც დაიმალა. ქალის გვარმა ყველაფერი გაიგო. მამამ და ძმამ, მთელმა ნათესაობამ გააძევეს იგი და სამუდამოდ მოიკვეთეს. დადიოდა ქალი უსახლკაროდ ყველასაგან მოძულებული. ისე მოკვდა, რომ მისთვის ნათესავს ხმა არ გაუცია.[3226]

ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ დაზარალებულის წინაშე დამსმენი ნათესაობიდან მოკვეთა-გაძევებით ისჯება, თუ იგი დანაშაულის ჩამდენის (თუ შესაძლო ჩამდენის) ნათესავია. ერთ შემთხვევაში ეს იყო დამნაშავის ძმა, მეორეში კი და. ასეთი ქმედება ხელყოფდა უპირველეს ყოვლისა გარკვეული ნათესაური ჯგუფის (გვარის, გვარის განშტოების) ინტერესს და ამდენად, სასჯელს დამნაშავეს აკისრებდა სწორედ აღნიშნული ნათესაური ჯგუფი ნათესაობიდან, გვარიდან (გვარის განშტოებიდან) მოკვეთის, მასთან ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტის სახით. როგორ ჩანს, თემი, სოფელი თუ სხვა ტერიტორიული გაერთიანება ასეთ შემთხვევაში არ რეაგირებს და დამსმენი მხოლოდ ნათესაური ერთეულისგან ხდება გარიყული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შესაძლოა კონკრეტული დასახლებული პუნქტი, მაგალითად, სოფელი, ერთი ნათესაური ჯგუფის ადამიანებით ყოფილიყო დასახლებული. ასეთ შემთხვევაში ნათესაური ჯგუფიდან მოკვეთა ფაქტიურად სოფლიდან მოკვეთას გულისხმობდა. აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ პირველ მონაცემში

3225 იხ. გ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 70.

3226 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 17-18.

ხაზგასმულია, რომ სოფელ ჩოხში მცხოვრებმა ჩოხელებმა (სოფლის ძირითადი მოსახლეობა) ძმის დამსმენი მოიკვეთეს გაძევების გარეშე. მათ შეეძლოთ დამნაშავე სოფლიდან გაეძევებინათ, თუმცა ამისგან თავი შეიკავეს. სამწუხაროდ, მონაცემები აღნიშნული საკითხზე ძალზედ მწირია და უფრო სრულყოფილი კვლევის საშუალებას არ იძლევა.

გარეშე პირის დასმენის შემთხვევაში განსხვავებული სამართლებრივი შედეგი შეიძლება დამდგარიყო. ნათესაობიდან მოკვეთა-გაძევება ცხადია ვერ განხორციელდებოდა როდესაც დამსმენი დამნაშავის ნათესავი არ იყო. მასალების მიხედვით, გარეშე პირის მიერ დამნაშავის დასმენისას არც საზოგადოების (მხედველობაშია თემი, სოფელი თუ სხვა ტერიტორიული გაერთიანება) მხრიდან ფიქსირდება დამსმენის მიმართ რაიმე სახის საჯარო ხასიათის სასჯელის გამოყენება. გარეშე პირის დასმენას შესაძლოა რეაქცია მოჰყოლოდა მხოლოდ დამნაშავის და მისი ნათესავების მხრიდან.

ცნობილია, რომ დაზარალებულის წინაშე დამსმენს საქართველოში „მთხრობელს“ უწოდებდნენ, რაც უპირატესად მიუღებელ, სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა. მთხრობლის ვინაობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება) დროს მთხრობლობისას საიდუმლოდ რჩებოდა, რადგანაც მთხრობელს დამნაშავის გვარის მხრიდან შურისძიების შიში ჰქონდა.[3227] ამდენად, დამნაშავის დასმენას მისი არანათესავი პირის მიერ შესაძლოა დამსმენის მიმართ შურისძიება მოჰყოლოდა დამნაშავის გვარის მხრიდან, თუ რასაკვირველია დამსმენის ვინაობა ცნობილი გახდებოდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დასმენა როგორც დანაშაული შეიძლება განხილული იქნას ორი თვალსაზრისით: 1. დამნაშავის დასმენა სახელმწიფო ორგანოებში, თუნდაც დაზარალებულის მიერ. ხევსურულმა სამართალმა სპეციალური ნორმა შეიმუშავა სახელმწიფო ორგანოებში დამნაშავის დასმენისათვის, თუ ამას მისი ციხეში მოხვედრა მოჰყვა. 2. დამნაშავის დასმენა დაზარალებულის მიმართ. დამსმენი შესაძლოა ყოფილიყო დამნაშავის ნათესავიც და გარეშე პირიც. პირველ შემთხვევაში დამსმენის მიმართ შესაძლოა სასჯელად გამოყენებულიყო ნათესაობიდან მოკვეთა, მეორე შემთხვევაში კი დამნაშავის მხრიდან დამსმენის მიმართ გარკვეული ძალადობრივი მოქმედებების განხორციელება.

3. თანამოფიცართა დაყოლიება ცრუ ფიცის დადებაზე

ცნობილია, რომ ძველ ქართულ სამართალში დაფიცება თავის მართლების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო. მისი ამ მიზნით გამოყენება საკმაოდ დიდხანს შემორჩა ქართულ სასამართლო წარმოებას. საქართველოს იმ რეგიონებში კი, სადაც სამართლებრივ ურთიერთობათა დარეგულირება ჩვეულებითი სამართლის ნორმებით ბოლო ხანებამდე არსებობდა (სვანეთი, ხევსურეთი), იგი აქ გადამწყვეტ მტკიცებულებად ბოლო პერიოდამდე გამოიყენებოდა. ასევე უნდა ითქვას რომ ფიცისადმი პატივსაცემი დამოკიდებულება საქართველოს

3227 იხ. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 130.

ბარის რეგიონებშიც საკმაოდ დიდხანს შემორჩა.[3228]

აღნიშნული მტიცებულების, როგორც საქმეზე სიმართლის დადგენის საშუალების ეფექტურობა, განპირობებული იყო საზოგადოების ურყევი რწმენით ცრუ ფიცის შემთხვევაში ღვთიური სასჯელის გარდაუვლობის შესახებ. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ბევრი მონაცემია, რომლის თანახმადაც პიროვნების გარდაცვალების, ავადმყოფობის, ოჯახის ამოწყვეტის მიზეზად საზოგადოება ცრუ ფიცს მიიჩნევს.[3229] საზოგადოება ტყუილად დამფიცებელს ღვთის მგმობელად თვლიდა და დარწმუნებული იყო რომ ღმერთი მას უდიდეს უბედურებას მოუვლენდა ოჯახთან ერთად. აქედან გამომდინარე, ცრუ ფიცის მიცემას ყველა ერიდებოდა, თუმცა გამონაკლის შემთხვევებს ადგილი მაინც ჰქონდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხია, თუ რამდენად იყო ცრუ ფიცი დანაშაული ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით? ცნობილია, რომ განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფი სამართლებრივი სისტემა ცრუ ფიცს, როგორც დანაშაულს არ იცნობდა. ტყუილად დაფიცება წარმოუდგენელ რამედ ითვლებოდა, ხოლო ტყუილად დამფიცებლის დასჯა ღვთაების საქმედ იყო მიჩნეული.[3230]

ეს პრინციპი შესაძლოა გავრცელდეს ქართულ ჩვეულებით სამართალზეც. ცრუ ფიცისთვის რაიმე სასჯელს ქართული ჩვეულებითი სამართალი არ იცნობს. ხევსური ინფორმატორები ერთხმად მიუთითებენ, რომ ტყუილად დაფიცებისას ადამიანური სასჯელი გათვალისწინებული არ იყო და ცრუ მოფიცარს ღმერთი, ჯვარ-ხატი დასჯიდა, მის ოჯახს ბოლოს მოუღებდა.[3231] სვანი ინფორმატორებიც იგივეს ადასტურებენ. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „პირი რომელიც ფიცს გასტეხს მისთვის რაიმე სასჯელი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ იგი და მისიანები ხატის მიერ იქნებიან დასჯილნი. ჩვენ ასეთ კაცს სხვა დროს არაფერს არ დაუჯერებდა, არც ფიცით და არც უფიცრად. ამაზე დიდი უბედურება რაღაა ქვეყანაზე კაცური კაცისთვის?“[3232] მ. კეკელიას კონკრეტული შემთხვევები აქვს ჩაწერილი ცრუ ფიცის გამო ღვთიური სასჯელის მოვლენისა. მაგალითად, ერთ-ერთ ინფორმატორს გადმოცემით გაუგია, რომ ბარლიანების გვარს ტყუილზე დაუფიცია მთავარანგელოზის ხატზე, რისი მიზეზითაც მთელი გვარი ამოწყვეტილა. ხატს გაუწყვეტია ისინი. ეს შემდეგ ხალხში დარჩა ჰარაკად.[3233] ერთი საკმაოდ გავრცელებული გადმოცემით კი თურმე ერთ-ერთი საქმის განმხილველ მოსამართლეებს (მორვარებს) კალაში წმინდა კვირიკეს ეკლესიაში დაუფიციათ. როდესაც ისინი სოფელში ჩამოდიოდნენ თორმეტივეს

3228 იხ. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტიცებულება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 9.

3229 იქვე, 9-10.

3230 გ. ნადარეიშვილი, ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962, 91-92.

3231 ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, №1, 98; იქვე, №2, 5; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 19. ალ. ოჩიაურის მასალებში არაერთი შესაბამისი კონკრეტული შემთხვევაა აღწერილი. მაგალითად, შატილში პიროვნებას ტყუილად დაუფიცია, რაზედაც „გაუწყრა“ მას ანატორის ჯვარი და სასიკვდილო მდგომარეობამდე მიიყვანა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II, თბ., 2005, 286). ალ. ოჩიაური მეორე შემთხვევაში მთელი ოჯახის ამოწყვეტის დეტალებს გვამცნობს, რასაც მისი ინფორმატორი ცრუ ფიცს უკავშირებს (ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, პირადი არქივი, ა. ო. 7/11, 1954, 129).

3232 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1969, №6, 96.

3233 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №7, 1970, 87.

ერთმანეთი დაუხოცია, რაც ცრუ ფიცისთვის ღვთიურ სასჯელად შეფასდა.[3234] ასეთი დამოკიდებულება გვხვდება არა მარტო მთის რეგიონებში. მაგალითად, შესაბამისი კონკრეტული ფაქტი გვხვდება იმერეთში, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალება მისი მამის იმდღევანდელ ცრუ ფიცს დაუკავშირა საზოგადოებამ.[3235] მესხეთში კი ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ვინმე გაბრიელ ზაზაძემ ეკლესიაში დაიფიცა, რომ მკვლელობა მოკლულის მიზეზით მოხდა. დაფიცების შემდეგ იგი ცუდად გახდა და საბოლოოდ გარდაიცვალა. ხალხმა ეს ცრუ ფიცისათვის ღვთიურ სასჯელად მიიჩნია.[3236] ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა თურმე XX საუკუნის დასაწყისში ქართლშიც. ადგილობრივი მოსამართლეების განმარტებით, ტყუილად დამფიცებლის განსჯის უფლება მათ არ აქვთ. თუ იგი ტყუილად იფიცებს, მას ღმერთი განსჯის.[3237]

ამრიგად, მასალების თანახმად, ცრუ ფიცი ქართული ჩვეულებითი სამართლით სასჯელს არ იწვევს და ამდენად დანაშაულად არ განიხილება. ხალხის რწმენით ტყუილად დამფიცებელს ღმერთი უცილობლად დასჯიდა.

ღვთიური რისხვა არა მარტო დამფიცებელ ეჭვმიტანილზე, არამედ მის თანამოფიცრებზეც ვრცელდებოდა. ისინი მაშინ თანხმდებოდნენ თანამოფიცრობაზე, თუ ეჭვმიტანილი დაარწმუნებდა მათ თავის უდანაშაულობაში და დაიყოლიებდა მასთან ერთად დაფიცებაზე. თანამოფიცრობის ინსტიტუტი საკვლევ პერიოდში ძირითადად სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება. როგორც აღვნიშნეთ, ცრუ ფიცის შემთხვევაში ეჭვმიტანილს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით არავითარი სასჯელი არ ეკისრებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ცრუ მოფიცარს უხდებოდა გარკვეული საზღაურის გადახდა, კერძოდ, თუ აღმოჩნდებოდა რომ ეჭვმიტანილმა ტყუილად დაიფიცა თანამოფიცრებთან ერთად. ამ შემთხვევაში თანამოფიცრებს შეეძლოთ ცრუ მოფიცარისგან მოეთხოვათ გარკვეული გადასახადის გადახდა, რადგანაც მან ისინი მოტყუებით ჩაითრია ცრუ ფიცის დადებაში და საშინელი ღვთიური რისხვის საშიშროების ქვეშ დააყენა. ხევსური ინფორმატორის ცნობით, თუ დროთა განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ეჭვმიტანილმა ტყუილად დაიფიცა, მაშინ „ხელს მამკიდეებს" (ასე უწოდებენ თანამოფიცრებს ხევსურეთში) იგი ბოდიშს მოუხდის და „ტყუილად ჯვარში შაგდებისა და დაფიცებისათვის" სამ-სამ ცხვარს გადაუხდის თითოეულს.[3238] სვანეთში ანალოგიური ნორმის არსებობას ადასტურებს ეგ. გაბლიანი. მისი თქმით, თუ .გამომჟღავნდებოდა, რომ ბრალდებულმა ცრუ ფიცი დადო და თანამოფიცრებიც შეცდომაში შეიყვანა და ტყუილად დააფიცა, მაშინ თანამოფიცრები ახდევინებდნენ მას „ხატა ნაკშიერს" – ტყუილად დაფიცებისათვის თითოეული 100 მანეთამდე. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თანამოფიცრებს მძიმედ დაუჭრიათ ის, ვინც მათ ფიცი გაატეხინა, ტყუილად დააფიცა და ამისთვის პა-

---

3234 იქვე, 20.

3235 იხ. გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 83-84.

3236 მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 62-63.

3237 Г. Жорданиа, Уголовно-правовой облик Карталинской деревни, Москва, 1908, საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1813, საქმე №29.

3238 მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 80.

სუხიც არ უგიათ.[3239] ასეთი ნორმის არსებობას მ. კეკელიას სვანი ინფორმატორიც ადასტურებს. მისი განმარტებით, როდესაც დადგინდება რომ ეჭვმიტანილმა თანამოფიცრები ტყუილად დააფიცა, ეს უკანასკნელნი უჩივიან ყოფილ ეჭვმიტანილს და ეუბნებიან: „რად ჩაგვაგდე ამ უსაშველოში, ტყუილად რად დაგვაფიცე?"[3240] სამწუხაროდ ინფორმატორმა ვერ გაიხსენა თუ რამდენის გადახდა დაეკისრებოდა ცრუ მოფიცარს მოტყუებული თანამოფიცრებისათვის.

ეს მონაცემები გვიჩვენებს რომ სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართალი თავად ცრუ ფიცს დანაშაულად არ მიიჩნევს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივ ქმედებად აფასებს ეჭვმიტანილის მიერ თანამოფიცართა შეგნებულ დაყოლიებას ცრუ დაფიცებაზე. ამას მიუთითებს ის გარემოება, რომ ამისათვის ცრუ მოფიცარს თანამოფიცრებისათვის გარკვეული საზღაური უნდა გადაეხადა, რომლის ოდენობაც მოყვანილ მონაცემებშია მითითებული. საინტერესო მინიშნებას ვხვდებით ეგ. გაბლიანის ცნობაში, რომ მოტყუებულ თანამოფიცრებს შესაძლოა სხეულის მძიმე დაზიანებაც კი მიუყენებიათ ყოფილი ეჭვმიტანილისათვის, რომელმაც მათ ცრუ ფიცი დაადებინა და ამისათვის არავითარი პასუხი არ ეგოთ. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლით ცრუ მოფიცრის მძიმე დაჭრა ქვითავდა მის მიერ თანამოფიცართა დაყოლიებას ტყუილად დაფიცებაზე, როგორც დანაშაულს და მისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობას.

ცრუ მოფიცარის მიერ თანამოფიცართა დაყოლიება ტყუილად დაფიცებაზე, საყოველთაო რწმენით, ამ თანამოფიცრებს ღვთიური რისხვის საფრთხის ქვეშ აყენებდა, რაც ხალხური შეგნებით სვანეთში საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

ეს დანაშაულებრივი ქმედება თანამოფიცართა, ანუ კერძო პირთა წინააღმდეგ იყო მიმართული და ამდენად კერძო ხასიათის სამართალდარღვევათა კატეგორიას უნდა მივაკუთნოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სახეზე იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოვლინდებოდა რომ ეჭვმიტანილმა თანამოფიცრები ნამდვილად ტყუილად დააფიცა და შეგნებულად დაიყოლია ცრუ დაფიცებაზე.

4. ოჯახის დარბევა-აწიოკება, „ოჯახის გატეხვა"

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში სხვის ოჯახში უნებართვოდ შეღწევა დამთავრებულ დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდა და მისთვის გათვალისწინებული გადასახადი დაემატებოდა საზღაურს იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც სახლში უნებართვოდ შესული ჩაიდენდა. საქართველოს ზოგიერთი სხვა კუთხის ჩვეულებით სამართალში, მასალების მიხედვით, განსხვავებული ვითარება შეინიშნება, რადგანაც აქ სახლში უნებართვოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულად არ აღიქმება და სახლში შეღწევით განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან ერთად ერთიან დანაშაულებრივ კონტექსტში განიხილება.

3239 ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 116-117.

3240 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 1969, 9.

სამაგალითოდ მოვიყვანთ ქსნის ხეობაში მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს. აქ გვხვდება დანაშაული, რომელსაც ადგილობრივი ინფორმატორები „სახლის გატეხვას“ უწოდებენ. აღნიშნული ქმედება არ გულისხმობს მხოლოდ სახლის კარების გატეხვას და რაიმე ქონების ხელყოფას. ამ დანაშაულის რამოდენიმე ადგილობრივი ინფორმატორი აღწერს. ერთი მათგანი ასე განმარტავს მის შინაარს: „ჩვენი გაგებით „სახლის გატეხვაში“ იგულისხმება არა ფიზიკურად „კარების გატეხვა“, არამედ ძალადობით აწიოკება, შეჭრა უფლებებში, რასაც შეიძლება გაძარცვაც მოყვეს და აოხრებაც. „გატეხა ოჯახიო“ როცა იტყვიან ეს იმას ნიშნავს რომ ააფორიაქა, შეურაცხყო, წაართვა თუ დაარბიაო. დაახლოებით ასეთი შინაარსი დევს ამ სიტყვაში. ამ სიტყვას – გატეხვას – ახლა შედარებით იშვიათად ვხმარობთ.“.[3241] მეორე ადგილობრივ ინფორმატორთანაც ამ დანაშაულის მსგავს აღწერას ვხვდებით: „ჩვენში როცა კაცი კაცს მიუვარდებოდა ოჯახში, დაარბევდა, წაიყვანდა პირუტყვს ან სახლიდან ნაიღებდა რაიმე ქონებას, ამ კაცზე იტყვიან „ოჯახი გაუტეხაო“. აქ სიტყვა გატეხვაში დაკეტილი კარების გატეხვა არ იგულისხმებოდა, იქნებ სახლის კარები დაკეტილი არ იყოს, შევიდეს ბოროტი კაცი და წაიღოს რაიმე. ამ დროსაც იტყვიან „სახლი გატეხაო“. შეიძლება „სახლი გაუტეხაო“ მაშინაც თქვან, როცა მიუხდეს კაცი კაცს და აგინოს ლანძღოს თავის ოჯახში.“[3242] კიდევ ერთი ინფორმატორის მოკლე განმარტებას მოვიყვანთ ამ დანაშაულთან დაკავშირებით.: „ოჯახი გამიტეხაო“ ნიშნავს მომპარა, დამარბია, დამაზარალა, შეურაცმყო, „გატეხვა“ კარის გატეხვას როდი ნიშნავს.“[3243]

როგორც ვხედავთ, ქსნის ხეობაში მცხოვრები მთიულების ჩვეულებითი სამართალი იცნობს დანაშაულს, რომელსაც ადგილობრივები მოიხსენიებენ, როგორც „ოჯახის გატეხვას“, „სახლის გატეხვას“. აღნიშნული დანაშაულის შინაარსი როგორც დავინახეთ არ მოიცავს სახლში შეღწევას, „სახლის გატეხვას“ მხოლოდ სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, ამდენად, არ შეიძლება ის იყოს განხილული როგორც მხოლოდ ქონებრივი დანაშაული, თუმცა ქონების ხელყოფის ელემენტებსაც შეიცავს. ცხადია, ადგილი რომ ჰქონოდა სახლში შეღწევას და იქიდან მხოლოდ რაიმე ქონების წამოღებას, მაშინ ადგილი ექნებოდა ქურდობას სახლში შეღწევით, რაც ჩვენ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ თავში განვიხილეთ. ამ შემთხვევაში კი ქონების ხელყოფა, სახლიდან რაიმე ქონების წამოღება, პირუტყვის წაყვანა შესაძლოა ყოფილიყო ამ დანაშაულის ერთ-ერთი კომპონენტი. ადგილობრივ ინფორმატორთა მონაცემებში კარგად ჩანს, რომ „ოჯახის გატეხვა“ უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ოჯახის დარბევასთან, როდესაც ხდება სახლში მივარდნა, შიგ შეჭრა, ოჯახის აწიოკება, ოჯახის წევრების შეურაცხყოფა, მათი ლანძღვა-გინება, ქონების განადგურება, ყველაფრის აოხრება. ყოველივე ამის თანმდევი კი შეიძლება ყოფილიყო დაზარალებული ოჯახის ქონების ხელყოფაც. ამრიგად, „ოჯახის გატეხვა“, „სახლის გატეხვა“, როგორც დანაშაული ფაქტიურად გულისხმობს, ოჯახის დარბევა-აწიოკებას, მის დამცირებას, შეურაცხყოფას,

3241 მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 8.

3242 იქვე, 19-20.

3243 იქვე, 30.

რაც ზემოთაღნიშნულ სხვადასხვა სახის მოქმედებებში შეიძლება გამოხატულიყო. სამწუხაროდ, ინფორმატორები არაფერს ამბობენ ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელზე. სავარაუდოდ, სასჯელის ზომა დამოკიდებული იქნებოდა კონკრეტული დარბევა-აწიოკების ხასიათზე და იმ ზიანზე, რომელიც დარბეულ ოჯახს მიადგა.

მსგავს დანაშაულზე გარკვეული მინიშნებები გვხვდება გურიაში დაფიქსირებულ მასალაშიც. ადგილობრივი ინფორმატორი ჩამოთვლის მძიმე დანაშაულებს და სხვებთან ერთად (მკვლელობა, გაუპატიურება) ამ კონტექსტში ასახელებს სახლში მიხდომას და აწიოკებას.[3244] კიდევ ერთი გურული ინფორმატორის ცნობით კი, ძველად ჩამოხრჩობას და ცხენის ძუაზე გამობმას მიმართავდნენ ხოლმე სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისათვის, მათ შორის სახლზე დაცემის, აწიოკების და გაძარცვისათვის.[3245] მონაცემები ძალზედ ზოგადია. მათში აღწერილ დანაშაულს, რომელიც მოიცავს სახლში მიხდომას, აწიოკებას, გაძარცვას, შესაძლოა პირობითად ვუწოდოთ სახლის, ოჯახის დარბევა-აწიოკება, რაც ქსნის ხეობაში დაფიქსირებული „ოჯახის გატეხვის“ ანალოგიური უნდა იყოს.

****

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალში ჩვენს მიერ განხილულის გარდა შესაძლოა კიდევ სხვა დანაშაულებსაც ჰქონოდა ადგილი, რომლებიც მაგალითად, ვერ დაფიქსირდა საველე სამუშაოების ჩატარებისას. ასევე არის ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ჩვენი აზრით უპრიანი იქნება სხვა ინსტიტუტების შესახებ საუბრისას განვიხილოთ. მაგალითად, სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართლში დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება შერიგების წესების დარღვევა, ან მედიატორების თუ შუაკაცების მიერ შერიგების პირობების დარღვევა, რასაც ჩვენ ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტის შესწავლისას შევეხებით.

მატერიალური ზიანის მიყენება (სხვისი ქონების დაზიანება, განადგურება) ქართული ჩვეულებითი სამართლის თვალსაზრისით ძირითადად სამოქალაქო დელიქტად ითვლებოდა და მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებდა (მაგალითად, მასალებში ხშირად გვხვდება მონაცემები პირუტყვის მიერ ნათესების დაზიანებისას პირუტყვის პატრონის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და სხვა). ამის გამო ამ საკითხს ჩვენ ქართულ ჩვეულებით სამართალში სამოქალაქო სამართლის საკითხების კვლევისას განვიხილავთ.

3244 დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 10.
3245 იქვე, 14.

RESUME

The paper deals with the discussion of certain types of crime according to the customary (traditional) law of Georgia. The main focus is on the general characterization of a certain type of crime and especially on responsibilities provided within the customary law in certain parts of Georgia.

The work is mostly based on the ethnological data of the second half of the XIX and XX centuries. Accordingly, the work analyzes certain types of crime according to the customary law of different parts of Georgia deriving from the data laid down in this period of time, which mostly consists of the relevant customary law being applied in XIX-XX centuries.

The most comprehensive data about the certain types of crime can be found in two mountainous regions of Georgia – Khevsureti and Svaneti. Generally, customary law of Svaneti and Khevsureti during the whole XX century (not to speak of an earlier period) was in fact presented in a viable form. In these parts of Georgia in times of study, in case of an offence (even when the murder was committed), the case was resolved according to the customary law and even the Russian Empire, or the Soviet Government would fail in leveling the local customary law actions. In the same period of time, local customary law application regarding the institute of a crime can also be found in other mountainous regions of Georgia, though it is presented in less comprehensive manner than in Svaneti and Khevsureti.

The work consists of six chapters.

CHAPTER I – MURDER AS A CRIME IN GEORGIAN CUSTOMARY LAW

In Svan and Khevsurian customary law murder creates such legal relationship, the participants of which were not only the murderer and the family members of the murdered person, but pretty wide circle of relatives from both sides, including the relatives of the father and mother's side. Participation of the relatives from mother's side was limited mainly with the payment and receiving the certain amount of property for the murder. Thus, mainly the murderer's and family members of the murdered person were involved in this relationship, especially the representatives of their subgenera. In some mountainous regions of Georgia (in Khevsureti, Svaneti and etc.) in case of a murder even in XX century the rule of blood feud was still preserved.

Murder in Khevsureti had multilateral legal effects. In one hand, blood feud relations

between the subject and object of a blood feud, the pursuit of the murderer and his relatives and their migration, and on the other hand, in parallel the reconciliation processes, the main goal of which was to avoid the blood feud. The reconciliation process in Khevsureti is mainly related to the so called **"Rigis Kheneba" ("Row setting").**

In murder case "Rigis Kheneba" is quite long and difficult process. It was created by the Khevsurian law as an alternative mechanism for the blood feud. The rule prevents the revenge and not rarely, the murderer's side, which "sets the row" to the victim's side, properly fulfills all the requirements related to it and thus, the rule achieves the prevention of blood feud and after a long period of time and big efforts made, the final reconciliation becomes possible, which is the final goal of the rule of "Rigis Kheneba".

The rule of "Rigis Kheneba" means the following: until the final reconciliation, on the chosen day, the murderer annually sends the slaughtered meat (lamb) to the victim's family. There are also a number of different types of „Rigi", which are paid, one-time by the murderer's relatives to the relatives of the murdered person: „family rigi", „brotherhood rigi", „mother's rigi", „aunt's rigi", „sisterhood rigi" and etc.

The reconciliation, related to the murder in Khevsureti was quite long and multistage process. It included a certain amount of taxes, ritual or ceremonial actions in victim's prayer, family and etc.

According to the customary law of some parts of Georgia in the study period we can find the fixed asset allowance. For example, according to customary law of Svans, a particular area of land was foreseen for a murder. And in case, the noble man was murdered, fees doubled. In Khevsureti, Pshavi and Tusheti the fee for the murder consisted of 60 cows and fee for the murder of a woman, consisted of only 30 cows. In those parts of Georgia, the cow represented the main exchange unit.

CHAPTER II - BODILY INJURY OR HARM, AS A CRIME IN GEORGIAN CUSTOMARY LAW

Together with the murder, in Georgian customary law the bodily injury was given much attention, and especially the cutting-wounding. Preferably, it refers to the mountainous regions, where often took place the human bodily injury, resulting in the need for legal regulation of this crime. Certain financial responsibility for person's cutting-wounding has been establishing since the oldest phase of society's development, most likely from the time of composition system. System of taxes for cutting-wounding can be met in written and unwritten laws of almost all people. Georgia is not an exception. The murder charge was taken into account as the basis for this system. The amount of payment for the different nature and severity of a wound was calculated according to the charge established in that society for the murder. For example, for some of the wounds the payment was the half of the prescribed fee for the murder, or a third and so on. If for person's wound the specific tax was established (not according to the amount of payment for the murder, for example, 5 cows, 15 cows, and etc.) is was still determined by the amount of compensation provided for the murder.

Classification of the damage caused to the body, according to its severity, allows us to determine, what factors caused the severity of the wound according to Georgian customary law materials and thus, the amount of payment for the wound.

According to the Georgian customary law, main factors determining the severity of a wound were the following: 1. place of a wound (wound location), where the person was wounded – if the wound was in a place dangerous for his life (for example, the chest, abdomen and the other), in a conspicuous place, in a place covered by clothes or in a place covered by beard. For instance, in a conspicuous place, in particular, face wound was considered more seriously than the similar wound on a place, covered with the clothes. Also, wound on bare face was considered more dangerous than the one on a place covered with the beard (the later one can be seen in Khevsurian customary law); 2. the size of the wound, extent of it. For example, in the mountainous regions of eastern Georgia, the size of the wound on a face was measured by the barley and wheat grains. It is clear, the greater would be the size of a wound, more taxes would be to pay; 3. The depth of the wound, for example, the severity of the wound in the area of head was determined according to its depth: for relatively deep wound, more taxes were considered. There is also some data, according to which the deep inside wound (for example, if the wound is made with the pointy end of a sword or dagger). Naturally, deeper the wound was, more human health risk was posed. The depth of a wound was a significant factor for the determination of a severity of a wound; 4. the type of a weapon, with which the wound was inflicted; 5. Quality of damage for health, caused by the inflicted wound was the factor, which is observed mainly in the regions of Svaneti and Khevsureti. According to the materials, when determining the amount of payment for the wound, Svani and Khevsuri mediators, except considering the location of the wound, also considered the fact, whether the wound was the cause of the limitation or the loss of person's working capacity; 6. Wound caused by the pointy end of the dagger or sword. In Khevsureti there is information, according to which, even the light damage, caused by the pointy end of the dagger or sword, because of increased danger to life, meant increased taxes.

According to the Khevsurian law, the severity of the wound on a head depended on its depth. In Khevsureti it was long determined how the depth of a wound was evaluated, namely: 1. cut the head's skin – 1 sheep; 2. break of a top bone – 5 cows; 3. Damage of a cartilage substance located in between the upper and lower bones of a skull – 8 cows; 4. Damage of a lower bone, when the bone is not fully broken – 12 cows; 5. Full break of a lower bone, when brain can be seen – 16 cows.

According to Svan customary law, damage and mutilation of any organ was equal to the half amount to be paid for murder. Indelible distortion of a face was punished the same way.

In Khevsurian, Tush and Pshavian customary law the rule of severity of the wound is observed by its size and length. We mean the measurement of the length of the wound with the help of wheat and barley grains and the imposition of relevant amount of fee according to the numbers of grains on the wound.

In Khevsureti the liability imposed by measuring the facial wound existed according to the following rules: 1. Measurement of the wound was conducted after its healing; 2. the wound was measured with the straw, grass stalk (it was possible that the wound would have been measured with the thread); 3. The size obtained by measuring with the straw stalk (thread) was transferred to the stone (board, paper) and with the stone again (coal) the wound length was marked (and the line of the length of the wound was drawn); 4. The grains were placed on the length of the wound, marked on the stone; 5. For the measurement of the size of the wound grains of wheat and barley were placed on the stone together; 6. Grains were placed - grains were placed by their length and the barley grains – by their width, one by one; 7. the number of grains situated on the length of the wound was determined; 8. In case of the wound on bare face two grains were thrown and the offender would have to pay the victim the money equivalent of as many cows, as the number of grains left after throwing two; 9. Grains were thrown because the wound after healing was smaller; 10. When it was the first time of bare face wound, the grains were not thrown; the same applied in cases of not the first wound in the area of nose and below the eye; 11. Wound in the facial area covered with the beard, was also measured by the help of grains; 12. The number of grains, placed on the facial area covered with the beard, was halved, even though it was the first cut on the face or not and the number of grains left was the amount of money to be paid by the offender. In fact, the similar rule of the wound measurement was observed also in Pshavi and Tusheti.

According to the Khevsurian customary law, damage of each organ of a body was evaluated with the relevant payment. For example, for removing an eye, 30 cows was to be paid, for maiming hands and feet, the amount of money to be paid depended on the quality of the wound: for the full mutilation of hands and feet, the amount of payment was 30 cows in Khevsureti, and relatively small (incomplete, partial) injury caused fewer taxes, which according to the quality of the injury were determined in each case separately by the mediators. And the quality of the wound depended on the functional disorders in the hands and feet, which to some extent was influenced by the exact place of the injury on hands and feet that could inflict the wound. Relatively small taxes were determined for the injury inflicted on the area from the wrist and relatively more taxes were to pay for the wound inflicted on the area from the elbow (approximately 12-20 cows). In case of partial injury on feet, it was important to determine, if the foot became crippled from ankle or - from the knee (in such case the tax amounted to 8-25 cows).

According to the Khevsurian customary law, there was a separate charge for the maimed fingers, teeth, damage of nose and ears, for the chest injury and etc.

CHAPTER III – CRIMES AGAINST THE SOCIETY IN GEORGIAN CUSTOMARY LAW

The main object of the crime encroachment against the society is the public interest. It could have been any interest, important one or minor.

From the Georgian customary law it is clear that the most serious crime against the society was the betrayal of the society. In the mountainous regions of Georgia the betrayal of the society could include the betrayal of the whole region, valley, as well as the interests of individual community or the village.

Here the betrayal of the society included the actions against the rules, orders, freedom established in the mentioned society, also the assistance to the enemies in obtaining property and freedom of the society and etc, meaning in fact such actions, which in old Georgian law were considered as a state treason. Only the customary law punished such actions against the common interests of certain territorial unit - intercommunity association, community or rural people, society. Such toughest punishments envisaged by the customary law, as the stoning, expulsion, cutting off from the community, cursing, execration are pointing in particular to the gravity of the crime, according to the Georgian customary law.

Crime against the society included also the encroachment of movable property (the treasure) of chapels (cross-icons) existing in churches and mountainous regions of Georgia. And for this crime the death penalty and expulsion was used as a punishment.

The infringement of common property of the society should also be regarded as the crime against the society. In this case, it refers to common real estate, land, owned by the community or village (any community or village had its own real estate, land). This may have been the infringement of arable land, hayfields, pastures, forests, as well as the movable property, and also failing to fulfill financial obligations for the society (village, community). The issues of infringement of the property of churches existing in the mountainous regions of eastern Georgia are also discussed here. It is not meant here the movable property of these chapels, which we have discussed above. It is well-known that in mountainous regions of Georgia chapels had their own lands, including agricultural lands, forests and etc. income received from these estates generally was spent on the cross-icon celebrations. Cross-icon lands were cultivated by the village population. Each family plowed, sowed its portion of the estate and harvested crops were used in religious festivals. According to the customary law, the misappropriation of these lands, their illegal exploitation and its usage for private purposes (e.g. plow and cultivation of lands, deforestation for own use), stealing of harvested crops, evasion of taxes for these lands led to some sort of punishment.

According to the Georgian customary law, an action of incompliance of the decision, made by the society, violation of the general promise and agreement of the society was regarded as the crime against the society. The decision of the society (village, community), agreement may have been made regarding the qualitatively different issues. When the rural

community gathered together and agreed on any issue, made decisions, it meant that the issue at question was utterly important for the society and its incompliance was regarded by the society as the violation of society's interests.

In mountainous regions of Georgia, where there was no supperior and positional and legal difference (mountainous region of Eastern Georgia, Balszemo, free Svaneti), society extremely sensitively reflected on society's this or that member's aspirations to obtain any privilege or the advantage (of rights as well as economic) compared to co-members of the community. Such action in these regions was regarded as crime against the society and envisaged quite severe punishment. The necessary element as the *Corpus Delicti* of *the* intention to obtain any prerogative was offender's motivation to obtain some kind of a prerogative compared to other members of the community. According to the materials, the member of the society in order to obtain a prerogative, forcefully misappropriated community's and village's lands, arbitrarily reduced the amount of taxes for these lands and then did not obey the demands of society, in particular, regarding the return of leased land to the community. All these actions – unauthorized appropriation of community's lands, arbitrary reduction of taxes for lands, or its full non-payment, disobedience of community's demands – were easily possible to have been regarded as a separate crime, but when this happened precisely in order to gain certain advantages over other members of the community, then such action would be considered as the aspiration to obtain a prerogative in the society.

According to Georgian customary law, crime against the society included for example, working on day offs, as well as making public disorders and etc.

CHAPTER IV – CRIMES AGAINST PROPERTY IN GEORGIAN CUSTOMARY LAW

According to materials of Georgian customary law, from the crimes against property, data occurs regarding mainly the theft. It should not be surprising, since in the society, where the customary law maintains an essential role, the concept of theft includes virtually all crimes against property.

When a person committed theft for the first time, it is clear that the responsibility was relatively light than in case of recidivism. In different parts of Georgia, in villages an action of theft often would lead to offender's disappointing punishment, the main goal of which was to humiliate the offender in public so that he would not have had any desire to repeat the action again in the future. Most common punishment from the disappointing punishments was the following action: they made the offender pass through the whole village publicly with the stolen items and that meant the social death of this person. In Khevsureti for example, we can also find the double, triple, seven time compensation of the stolen goods as a punishment. In Svaneti we can find the punishment, according which, in addition to the double compensation for the stolen goods, offender also paid with restitution in kind, the amount of which was determined by the society itself deriving from the material

capabilities of the offender. For stealing by illegally entering the house, the perpetrator, in addition to the compensation of the stolen goods, should have also to pay certain amount of money for entering the house without owner's consent. According to Svan and Khevsurian customary law, the abovementioned action was regarded as a complete crime, as it was considered a great insult towards the owner of house. If the perpetrator did not commit anything, he still had to pay to the owner of house.

The responsibility for theft was aggravated for repeated actions. For such action the perpetrator may have been stoned (in Khevsureti) or expelled from the society.

CHAPTER V – CRIMES AGAINST MORALITY, HONOR AND DIGNITY OF A PERSON IN GEORGIAN CUSTOMARY LAW

Crimes against morality, honor and dignity of a person include: insult, slander. Illegal marriage is regarded as the grave crime. Illegal marriage signified the marriage between man and woman regardless the prohibiting and preventing circumstances. Such kind of circumstances in Georgia was mainly represented by: the fact of being relatives (by blood, spiritual and artificial), religious and national identity, social status, territorial principle. According to the Pshav-Khevsurian customary law, leaving a spouse without any reason, considered to be a crime as well. In mountainous regions of Georgia, the main reason for releasing a wife was wife's infidelity. In Pshav-Khevsureti, the one, who was leaving his/her spouse or fiancée/fiancé, was charged to pay to the one, who was left. The rejection of husband/fiancé by the woman had much heavier results that the rejection of wife/fiancée by the man. The rejection by the woman could lead to certain violent actions from her husband's side. It was frequent and common to wound wife, in particular, the husband could remove her nose or cut her face. In Svaneti it was prohibited for the man to leave his fiancée or wife, as well as for the woman to leave her fiancé or husband. Such kind of action was regarded as a crime. After murder this was the biggest insult and to cover the shame the offender had to be wounded or killed. If reconciliation was completed then the offender had to pay to the victim half of the fee prescribed for the murder.

Crime against the honor and dignity included the abduction of a woman in order to marry her. For this crime the responsibility was aggravated if the woman was someone's fiancée/wife. In Khevsureti it was a great shame and led to revenge, but if the issue came to reconciliation, the compensation for the action was between 16 to 30 cows. According to Svan customary law, particularly serious crime seems to be the abduction, deprivation of someone's wife. The offended Svan would surely try to kill or seriously injure his wife's abductor. In case of reconciliation, a fairly large amount of tax was imposed.

Any sexual intercourse between non-spouses was considered as illicit sex and was punishable under Georgian customary law. Especially seriously was considered adultery. For example, in mountainous regions of Eastern Georgia, wife's infidelity resulted in very rigid

reaction of the husband. In old days, husband for the mentioned action, could wound his wife, in particular, remove her nose or finger, and injure hands or feet, cut face and release. Such tradition can be found in Khevsureti, Pshavi, Tusheti. The responsibility aggravated if the sexual intercourse with the relative, co villager or the minor. Under the Georgian customary law, gravest crime was to rape, i.e. violent sexual intercourse with the woman. This crime was considered similar to murder and, thus, the appropriate consequences would follow.

CHAPTER VI – OTHER CRIMES

In the last chapter of this work, those crimes are discussed, which does not belong to any above category. Such is, for instance, kidnapping and capturing a person in order to receive ransom or debt. Kidnapping and capturing of a person was considered as grave crime in Svaneti and this was due to extremely degrading nature of honor and dignity of a person. Such kind of shame and abuse could only be washed-out by killing the perpetrator, however, according to materials, it can be seen that the capturer in favor of captive could pay compensation. The denouncement was also attributed to the same series of crimes. First of all, it should be noted that in parts of Georgia, where even in XX century the customary law was perfectly preserved, reporting a person in governmental bodies was considered as a crime. For example, in Khevsureti, if anyone was to spend even one day in prison due to the complaint, the applicant had to pay 5 cows. Same attitude is observed in Svaneti as well. After Russian governance took the power, the Svans did not cooperate with Russian justice organs, which was actually forbidden. If a person sent to prison due to the report would die there, the relatives of the deceased could persecute the reporter as if he was a murderer and he would be fully in charge for killing the deceased person.

ლიტერატურა

1. ბ. აბაშიძე, მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1984.
2. მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940.
3. მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940.
4. ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.
5. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 1952.
6. ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი (პანთეონის შემადგენლობა, ღვთაებათა იერარქია და მათი ბუნება), „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", X, 1959.
7. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტომი II_1, ხევსურეთი, თბ., 1982.
8. ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988.
9. მ. ბურდული, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახალციხე, 2010.
10. ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996.
11. ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.
12. ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.
13. ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924.
14. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
15. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
16. ბ. გოგოჭური, ხევსურული რჯულ-სამართალი, თბ., 2012.
17. ა. გრიგოლია, ქართველ მთიელთა ადათი და სამართალი, თბ., 2015.
18. რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.
19. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 1998.
20. გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული" ხევსურეთში, თბ., 2001.
21. გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002.
22. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003.
23. გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004.
24. გ. დავითაშვილი, ქართული ჩვეულებითი სამართალი – ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინა – სახალხო თვითმმართველობა საქართველოში, თბ., 2007.

25. გ. დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებული, „ქართლი ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990.
26. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი, (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მესამე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991.
27. გ. დავითაშვილი, „მიცვალებულისადმი შეწირვა“, როგორც სასამართლო მტკიცებულების ელემენტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართალი“, 1999, №5.
28. გ. დავითაშვილი, ცივი წყლით გამოცდის შესახებ გასული საუკუნის ცნობები, „სამართალი“, 1999, №6-7.
29. გ. დავითაშვილი, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილო კრებული მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003.
30. გ. დავითაშვილი, დანაშაულის ბუნებისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართალი“, 2004, №1-2.
31. გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №3, თბ., 1991.
32. გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში 1988 წლის ივნის-აგვისტოში სამეგრელოსა და ხევსურეთში ჩატარებულ სამუშაოზე, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ №4, თბ., 1993.
33. დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975.
34. დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, თბ., 1988; №3, თბ., 1991.
35. გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975.
36. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
37. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977.
38. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964.
39. გაზ. „დროება“, 1876, №131.
40. გაზ. “დროება”, 1879, № 12.
41. გაზ. „დროება“, 1883, №93.
42. გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სვანეთში, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, გეგეჭკორი, 1981.
43. ჟ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები და მოსახლეობის უძველესი სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982.
44. რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად

მოამზადა, ნინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თემურ ჯადოგნიშვილმა, თბ., 1986.
45. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1964.
46. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, თბ., 1964.
47. ვაჟა–ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964.
48. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქათული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946.
49. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1948.
50. გ. ვეკუა, სამეგრელოს ჩვეულებითი სამართალი, ზუგდიდი, 2000.
51. ბ. ზოიძე, ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული ვახტანგ VI-ის სამართალში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1986.
52. ო. ზოიძე, სასჯელები, (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991.
53. ო. ზოიძე, საკუთრების სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე ნაწილი, II თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, თბ., 1993.
54. ო. ზოიძე, მიწა-წყლის სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", მეორე ნაწილი, III თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, თბ., 1993.
55. ო. ზოიძე, სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", 2000 წ., №14.
56. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ, 1930.
57. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006.
58. გაზ. „ივერია", 1893, 16 ნოემბერი, №247.
59. თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999.
60. ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი" ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957.
61. ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.
62. ვახ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", 1983, №4.
63. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეელები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., 1941.
64. მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975.
65. მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", 1988, თბ., 1991.
66. მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან

(უცხოს გათავისების წესი), თბ., 2001.
67. მ. კანდელაკი, სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1995.
68. მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქრთველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981.
69. მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, B I (138), 1971.
70. მ. კეკელია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესახებ, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", IV, 1986.
71. მ. კეკელია, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2015.
72. ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბ., 2009.
73. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996.
74. ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1966.
75. ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
76. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.
77. ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.
78. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.
79. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985.
80. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
81. ს. მაკალათია, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ტფ. 1925.
82. ვლ. მგელაძე, ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში, „ლიტერატურული აჭარა", 1964, №3.
83. ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები," 1987.
84. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991.
85. ჯ. მერაბიშვილი, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიიის ანგარიში (ფშავი, მესხეთი, 1986), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამაართალი", 1, თბ., 1988.
86. ჯ. მერაბიშვილი, ს. მაკალათია და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", თბ., 1988.
87. ჯ. მერაბიშვილი, „სამშობლო ხევსურისას" ავტორი ქართველ მთიელთა სამართლის შესახებ, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988.
88. ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.
89. გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, 2000, ოქტომბერი.

90. გ. ნადარეიშვილი, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ალმანახი", №14, 2000, ოქტომბერი.
91. გ. ნადარეიშვილი, სასჯელები ქართული სამართლის მიხდვით, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", თბ., 1995.
92. გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბ., 1959.
93. გ. ნადარეიშვილი, ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962.
94. გ. ნადარეიშვილი, ჩაქოლვა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 11, თბ., 1987.
95. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I., თბ., 1962.
96. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის" საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958.
97. კ. ოკუჯავა, შაფსუღური ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2006.
98. ს. ონიანი, გ. დავითაშვილი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბ., 2016
99. ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.
100. ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი", თბ., 1988; კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1990.
101. ალ. ოჩიაური, არხოტი, ახიელის ძველი ოჯახები, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", №2, თბ., 1990.
102. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი, თბ., 1988.
103. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი). თბ., 2005.
104. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.
105. ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984.
106. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964.
107. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
108. თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", III, 1940.
109. ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970.
110. ფშაური ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 3, „მეცნიერება", თბ., 1991.
111. ი. ფუტკარაძე, მთიულთა ჩვეულებითი სასისხლო წარმოების საკითხები, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", III. თბ., 1971.
112. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
113. ქართული პროზა, ტ. 1, თბ., 1981.
114. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექ-

სიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., ტ. 1, 1963.
115. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 2, თბ., 1965.
116. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 3, თბ., 1970.
117. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VI, თბ., 1977.
118. მ. ქიქოძე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX – B, 1959.
119. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1948.
120. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1948.
ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950.
121. ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1931.
122. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.
123. ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი II, ტფ., 1913.
124. ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1988.
125. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.
126. წიგნნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკეთი I, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბ., 1989.
127. წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია", 1898, №228.
128. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939.
129. რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947.
130. რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. ნაკვ. II, თბ., 1959.
131. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953.
132. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
133. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.
134. ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, ივერია, 1888, № 185.
135. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
136. დ. ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშაველები, „ივერია", 1891, № 24.
137. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.
138. დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2003.
139. ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", თბ., 1987.

140. Акты Кавказской археографической комиссии (АКАК), Т. V, Тифлис, 1873.
141. Д. Бакрадзе, Сванетия, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VI, Тифлис, 1864.
142.. Д. Бакрадзе, Мое знакомство с Пшавии, «Кавказ», 1850, №99.
143. Н. Берзенов, Дигория, «Закавказский Вестник», 1852, №39.
144. К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книга VII, выпуск I, Тифлис, 1866.
145. В. Гурко-Кряжин, Хевсуры, Москва, 1928.
146. Г. Жорданиа, Третеиский суд в Сванетии,. «Закавказье», 1912, №2-3.
147. Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258, 260.
148. А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879.
149. М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886.
150. М. Ковалевскиий, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М.. 1888.
151. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890.
152. М. Ковалевский, Пшавы, Юридический вестник, Т. 7, М., 1888.
153. М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925.
154. . Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т,1, Одесса, 1882.
155.. Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т, 2, Одесса, 1883.
156. Д. Маргиани, Сванеты, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 10, отдел I, 1890.
157. Письма из Осетии, Тифлисские ведомости, №84, 1830.
158. М. Сагарадзе, Обычай и верования в Имеретии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Том 26, отдел I, 1899.
159. А. Стоянов, Путешествие по Сванетии, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, Книжка X, выпуск второй, Тифлис, 1876.
160. „Тифлисские ведомости", 1829, №25
161. „Тифлиский Вестник", 1880, №41.
162.. Дж. Дж. Фреззер, Фольклор в Ветхом Завете, М., 1990.
163. Н. Худадов, Заметки о Хевсуретии, Тифлис, 1887.
164. И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.
165. Р. Эристов, О тушино-пшаво-хевсурском округе, Записки Императорского Русского Географического Общества, Т.3, Тифлис, 1855.

საარქივო მასალები:

1. იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965.
2. თ. აჩუგბა, 1983 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კველევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №125.
3. ს. გოგიტიძე, მუხტარი და მეჯლისი აჭარაში, 1964 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის რვეული, ნ. ბერძენიშვილის სახელობის აჭარის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №32.
4. ლ. დავითაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები (ჩაწერილია 1981 წელს), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №827.
5. მ. ერისთავი, რელიგიური ელემენტების გადმონაშთები ადრესამიწათმოქმედო ყოფაში, ხელნაწერი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1983, ფონდი №902.
6. ე. იმნაიშვილი ისტორიული მასალები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №69, ბათუმი, 1946.
7. ვლ. მგელაძე, 1959 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმაწერთა ფონდი, ანაწერი №5, საქმე №11.
8. ნ. მგელაძე, 1982 წლის აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (სოციალური ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი №6, საქმე №21, 1982.
9. გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.
10. ქათამაძე, მოგონებები და ზღაპრები, 1958, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №250.
11. ვ. შამილაძე, ჩანაწერები მესაქონლეობაზე (ხულოსა და შუახევის რაიონებში), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №479.
12. დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, კოლექცია №2814.

თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი:

13. მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, მ. ბ. ბ. 8/1.
14. მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, მ. ბ. ბ. 8/2.

15. მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, მ. ბ. ბ. 8/3.
16. მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემი) ძველად, 1939, მ. ბ. ბ. 8/4.
17. მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, მ. ბ. ბ. 10/16.
18. მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, მ. ბ. ბ. 10/21.
19. მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, მ. ბ. ბ. 10/23.
20. მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, მ. ბ. ბ. 10/25.
21. მ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, 1941, მ. ბ. ბ. 10/27.
22. ნ. ბალიაური, მ. ბალიაური, უქმეები ხევსურეთსა (პირიქით და პირაქეთ ხევსურეთში) და ფშავში, 1950, მ. ბ. ბ. 14/1.
23. ვ. ბარდაველიძე, 1945 წლის მთიულეთი-გუდამაყრის ექსპედიციის დღიური, ვ. ბ. 55/2.
24. ვ. ბარდაველიძე, 1945 წლის მთიულეთი-გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ვ. ბ. 55/5.
25. ვ. ბარდაველიძე, მასალა სისხლ-მესისხლეობაზე (ხევსურეთი, მთიულეთი), 1945, ვ. ბ. 56.
26. ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალა, 1931, ვ. ბ. 109.
27. ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, ვ. ბ. 247/1.
28. ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, ვ. ბ. 247/2.
29. ვ. ბარდაველიძე, 1952 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური, ვ. ბ. 247/3.
30. ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), ვ. ბ. 293/2.
31. ვ. ბარდაველიძე, სვანეთის ექსპედიციის მასალები (1931, 1936), ვ. ბ. 293/4.
32. ვ. ბარდაველიძე, მასალები ხევსურული ხალხური სამართლის შესახებ (ამონაწერები ვ. ბარდაველიძის 1943; 1947; 1950; 1951; 1952 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციებიდან; ალ. ოჩიაურის მასალებიდან და რ. ხარაძის ნაშრომიდან – ხევსურული რჯული), პირადი არქივი, ვ. ბ. 329.
33. ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალები სხვადასხვა კუთხიდან, 1931, ვ. ბ. 339.
34. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ვ. ბ. 369
35. ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, პირადი არქივი, ვ. ბ. 374/1.
36. ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ვ. ბ. 374/5.
37. ვ. ბარდაველიძე, ფშავ-ხევსურეთის 1950 წლის და ხევსურეთის 1951 და 1952 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ვ. ბ. 374/16.
38. ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, 1962, ვ. ბ. 383.
39. ს. გულედანი, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები ფეოდალური ხანისა, 1942-1943.
40. ა. დავითიანი, სვანეთის საისტორიო ამბები, ა. დ. 14.
41. ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, ა. დ. 16/3.
42. ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალა, ა. დ. 16/6.

43. ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, ა. დ. 16/7.
44. ა. დავითიანი, ეთნოგრაფიული მასალები, ა. დ. 16/8.
45. მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I) მ. კ. 1/6.
46. მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი I), მ. კ. 1/11.
47. მ. კედელაძე, ხატის მიწები ცხაოტის თემში (მთიულეთი, 1940, 1942, 1947, 1948, ნაწილი II), მ. კ. 1/13.
48. მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, 1949, ნაწილი I, მ. კ. 3/3
49. მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, 1949, ნაწილი II, მ. კ. 3/15.
50. მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, 1949, ნაწილი II, მ. კ. 3/26.
51. მ. კედელაძე, სახატო მიწები მთიულეთში, 1949, ნაწილი II, მ. კ. 3/27.
52. მ. კედელაძე, ფშაური მასალები, 1951, მ. კ. 4/5.
53. მ. კედელაძე, ფშაური მასალა, 1951, მ. კ. 4/10.
54. მ. კედელაძე, ფშაური მასალები, 1951, მ. კ. 4/12.
55. მ. კედელაძე, ფშაური მასალა, 1951, მ. კ. 4/14.
56. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/1.
57. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/4.
58. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/5.
59. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/6.
60. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/7.
61. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/10.
62. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/12.
63. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/16.
64. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/18.
65. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, მ. კ. 5/23.
66. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/1.
67. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/2.
68. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/4.
69. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/5.
70. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/6.
71. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/7.
72. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/8.
73. მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, მ. კ. 6/9.
74. მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, 1951, მ. კ. 7/1.
75. მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, 1951. მ. კ. 7/7.
76. დ. მარგიანი, ქვემო სვანეთი, 1939, დ. მ. 2/2.
77. სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, II, 1937.
78. ა. ონიანი, ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1941.
79. ა. ონიანი, ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის ბატონები ძველად, 1930.
80. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/1.
81. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/2.
82. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/3.
83. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/4.

84. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/5.
85. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/6.
86. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 6/7.
87. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/1.
88. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/2.
89. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/3.
90. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/4.
91. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/5.
92. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/6.
93. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/7.
94. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/8.
95. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/9.
96. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/10.
97. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/11.
98. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/12.
99. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/13.
100. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 1954, ა. ო. 7/14.
101. ალ. ოჩიაური, რელიგია ბაცალიგოში, ა. ო. 3/32.
102. ალ. ოჩიაური, მესაძმოე, სახლისკაცი და მეშაბათე, 1951, ა. ო. 18.
103. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, რვეული №1, 1945.
104. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, რვეული №2, 1945.
105. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის რჯული, რვეული №3, 1945.
106. ალ. ოჩიაური, სახატო მიწები ხევსურეთში, 1938, ა. ო. 10/3.
107. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, 1953, რვეული №3.
108. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, 1953, რვეული №5.
109. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, 1953, რვეული №10.
110. ალ. ოჩიაური, მასალები სამამო მიწისმფლობელობის შესაზებ ხევსურეთში, 1953, რვეული №11.
111. ალ. ოჩიაური, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1931, რვეული №5.
ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1937, რვეული №1.
112. ალ. ოჩიაური, სხვადასხვა მასალა ფშავ-ხევსურეთისა, 1949.
113. თ. ოჩიაური, ერნო-თიანეთის ექსპედიციის მასალები (საველე დღიური), 1980, თ. ო. 55.
114. თ. ოჩიაური, დუშეთის რაიონის ექსპედიციის მასალები, თ. ო. 48.
115. თ. სახოკია, ქორწილი სამეგრელოში (საეტნოგრაფიო გამოკვლევა), ბრიუსელი, 1912.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ მასალები (ეთნოგრაფიული რვეულები):

116. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967.
117. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968.
118. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968.
119. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968.
120. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969.
121. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969.
122. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970.
123. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973.
124. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1977.
125. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1977.
126. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1977.
127. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1977.
128. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977.
129. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977.
130. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
131. მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
132. მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
133. მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
134. მ. კეკელია, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.
135. მ. კეკელია, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987.
136. მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985.
137. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986.

138. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986.
139. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1984.
140. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1984.
141. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1984.
142. მ. კეკელია, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, (ლეჩხუმი, იმერეთი), ეთნოგრაფიული რვეული, 1972.
143. მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული, რვეული, 1989.
144. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
145. ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
146. ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.
147. ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
148. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
149. ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
150. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987.
151. ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
152. დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987.
153. დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
154. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
155. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
156. დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.
157. დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
158. დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
159. ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

160. ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
161. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990.
162. ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1990.
163. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991.
164. ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
165. ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989.
166. ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989.
167. ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.
168. ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
169. ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
170. გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
171. გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991.
172. გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
173. გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989.
174. გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989.
175. გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
176. გ. დავითაშვილი, მასალები თუშეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1992.
177. გ. დავითაშვილი, მასალები ლაზურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.
178. გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, ქ. დუშეთი, 2016.

ბადა გოგოჭურის პირადი არქივი:

179. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული №1.
180. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული №2.
181. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული №3.
182. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული №4.
183. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული №5.
184. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული: „არხილო".
185. ბ. გოგოჭური, ეთნოგრაფიული რვეული: „პირველადი ჩანაწერები"
186. ბ. გოგოჭური, რვეული: მკვლელობა.
187. ბ. გოგოჭური, რვეული: ჭრა-ჭრილობა.
188. ბ. გოგოჭური, რვეული: საქორწინო-საოჯახო სამართალი.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

https://www.facebook.com/PublishingHouselawyersworld